Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

კარლ ლეტარგებს ჟველა ქვეყნისა შეერთდით!

ლენინი

თხზულებანი

2

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სხრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1946

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1948

ვ. ი. ლენინი

ტომი

2

1895 — 1897

წინასიტყვაობა

ამ ტომში შედის ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია 1895 — 1897 წლებში.

ტომში დაბეჭდილ ნაშრომთა პირველი ჯგუფი — «ფრიდრიხ ენგელსი», «სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება», «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» და «რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?» — მიძღვნილია რუსი მარქსისტების საპროგრამო, ტაქტიკური და ორგანიზაციული ამოცანების დამუშავებისადმი.

ამ ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ლენინის ეკონომიური ნაწარმოებები, რომლებიც მიმართულია ნაროდნიკების წინააღმდეგ: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის», «შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894/95 წელს და «შინამრეწველობის» ზოგადი საკითხები», «ნაროდნიკული პროექტერობის მარგალიტები» და სხვ.

ამ ტომში მოთავსებულ ნაშრომთა მესამე ჯგუფში შედის ლენინის სააგიტაციო ნაწარმოებები: ბროშურები — «განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ» და «ახალი საფაბრიკო კანონი», ფურცლები — «ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა-ქალებს» და «მეფის მთავრობას», სტატია «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?»

1897 და 1898 წლებში, ნაშრომის «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» ლეგალური გამოცემების დამზა-

დების დროს ლენინი, ცენზურული მოსაზრებებით, იძულებული იყო ნაცვლად სიტყვებისა «მარქსიზმის თეორია» დაეწერა «უახლესი თეორია»; ნაცვლად სიტყვისა «მარქსი» — «ცნობილი გერმანელი ეკონომისტი»; ნაცვლად სიტყვებისა «ეს სოციალიზმი» — «ეს მოძღვრება» და ა. შ. ამ ნაშრომის 1908 წელს გამოცემისას ლენინმა აღნიშნულ გამოთქმათა მნიშვნელოვანი ნაწილი ან თვით ტექსტში გაასწორა, ან სქოლიოებში ახსნა. თხზულებათა მე-2 — 3 გამოცემებში ლენინის ეს შესწორებები მოცემული იყო ტექსტქვეშა შენიშვნების სახით. ამ გამოცემაში კი შეტანილია ნაწარმოების ძირითად ტექსტში.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა წინა გამოცემებში ნაშრომი «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» იბეჭდებოდა ლენინის ხელნაწერის ასლის მიხედვით. ეს ასლი შეიცავს გადამწერის მიერ დაშვებულ ზოგიერთ შეცდომას და სხვა უსწორობას. თხზულებათა ამ გამოცემაში ნაშრომი მოცემულია 1902 წელს გამოცემული ბროშურის ტექსტის მიხედვით, რომელიც გადასინჯა და შეასწორა ლენინმა.

ვ. ი. ლენინი
1897

ფრიდრიხ ენგელსი

დაწერილია 1895 წლის შემოდგომაზე.

პირველად დაიბეჭდა 1896 წელს კრებულში «რაბოტნიკ»[1] № 1 — 2

იბეჭდება კრებულ «რაბოტნიკის» ტექსტის მიხედვით

1 ტ. 2

ПРОЛЕТАРІИ ВСѢХЪ СТРАНЪ, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

РАБОТНИКЪ

№№ 1 и 2.

НЕПЕРІОДИЧЕСКІЙ СБОРНИКЪ

Съ портретомъ Фридриха Энгельса.

Изданіе „Союза Русскихъ Соціальдемократовъ“.

ЖЕНЕВА
Типографія „Союза Русскихъ Соціальдемократовъ“
1896

თავფურცელი კრებულისა «რაბოტნიკ»,
რომელშიც პირველად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია-ნეკროლოგი
«ფრიდრიხ ენგელსი». — 1896 წ.

Какой светильник разума погас,
Какое сердце биться перестало! [2]

1895 წლის 5 აგვისტოს ახალი სტილით (24 ივლისს) ლონდონში გარდაიცვალა ფრიდრიხ ენგელსი. თავისი მეგობრის კარლ მარქსის (რომელიც 1883 წელს გარდაიცვალა) შემდეგ, ენგელსი ყველაზე შესანიშნავი მეცნიერი და თანამედროვე პროლეტარიატის მასწავლებელი იყო მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში. მას შემდეგ, რაც ბედმა კარლ მარქსი ფრიდრიხ ენგელსს შეახვედრა, ორივე მეგობრის სასიცოცხლო შრომა მათი საერთო საქმე გახდა. ამიტომ, იმის გასაგებად, თუ რა გააკეთა ფრიდრიხ ენგელსმა პროლეტარიატისათვის, ნათლად უნდა შევითვისოთ მარქსის მოძღვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობა თანამედროვე მუშათა მოძრაობის განვითარებაში. მარქსი და ენგელსი პირველნი იყვნენ, რომელთაც ცხადჰყვეს, რომ მუშათა კლასი თავისი მოთხოვნებით აუცილებელი ნაყოფია თანამედროვე ეკონომიური წესწყობილებისა, რომელიც ბურჟუაზიასთან ერთად გარდუვალად წარმოშობს და რაზმავს პროლეტარიატს; მათ ცხადჰყვეს, რომ კაცობრიობას იმ უბედურებათაგან, რომლებიც მას ახლა სტანჯავს, იხსნის არა ცალკეულ კეთილშობილ პიროვნებათა კეთილგანზრახული ცდები, არამედ ორგანიზებული პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა. მარქსი და ენგელსი პირველნი იყვნენ, რომელთაც თავიანთ მეცნიერულ შრომებში

განმარტეს, რომ სოციალიზმი მეოცნებეთა გამონაგონი კი არ არის, არამედ თანამედროვე საზოგადოებაში საწარმოო ძალების განვითარების საბოლოო მიზანი და აუცილებელი შედეგია. მთელი ნაწერი ისტორია დღემდე იყო კლასობრივი ბრძოლის ისტორია, ერთი საზოგადოებრივი კლასების სხვა კლასებზე ბატონობისა და გამარჯვების შენაცვლება. და ეს გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე არ გაქრება კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ბატონობის საფუძვლები — კერძო საკუთრება და უწესრიგო საზოგადოებრივი წარმოება. პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვენ ამ საფუძვლების მოსპობას, და ამიტომ მათ წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული ორგანიზებული მუშების შეგნებული კლასობრივი ბრძოლა. ხოლო ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა.

მარქსისა და ენგელსის ეს შეხედულებანი ახლა შეთვისებული აქვს თავისი განთავისუფლებისთვის მებრძოლ მთელ პროლეტარიატს, მაგრამ, როდესაც ორმა მეგობარმა 40-იან წლებში მონაწილეობა მიიღო თავისი დროის სოციალისტურ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ მოძრაობაში, ასეთი შეხედულებები სრულიად ახალი რამ იყო. მაშინ მრავლად იყვნენ ნიჭიერი და უნიჭო, პატიოსანი და უპატიოსნო ადამიანები, რომლებიც, პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლით, მეფეების, პოლიციისა და ხუცების თვითმპყრობელობასთან ბრძოლით გატაცებულნი, ვერ ხედავდნენ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგობას. ამ ადამიანებს ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ მუშებს შეეძლოთ გამოსულიყვნენ როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ძალა. მეორე მხრივ, მრავლად იყვნენ მეოცნებენი, ზოგჯერ გენიალურნიც, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ საჭიროა მხოლოდ დავარწმუნოთ მმართველნი და გაბატონებული კლასები თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილების უსამართლობაში, და მაშინ ადვილად შეიძლება ქვეყნად მშვიდობისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამყარებაო. ისინი ოცნებობდნენ სოციალიზმის უბრძოლველად დამყარებაზე. ბოლოს,

თითქმის ყველა მაშინდელ სოციალისტს და საერთოდ მუშათა კლასის მეგობრებს პროლეტარიატი მხოლოდ წ ყ ლ უ ლ ა დ მიაჩნდათ და შეძრწუნებულნი უყურებდნენ, თუ როგორ იზრდებოდა, მრეწველობის ზრდასთან ერთად, ეს წყლულიც. ამიტომ ყველა ისინი იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ შეეჩერებინათ მრეწველობისა და პროლეტარიატის განვითარება, შეეჩერებინათ «ისტორიის ჩარხის ტრიალი». პროლეტარიატის განვითარების წინაშე ამ საერთო შიშის წინააღმდეგ, მარქსი და ენგელსი მთელ თავიანთ იმედებს პროლეტარიატის შეუჩერებელ ზრდაზე ამყარებდნენ. რაც უფრო მეტია პროლეტარები, მით უფრო მეტია მათი ძალა, როგორც რევოლუციური კლასისა, მით უფრო ახლოა და უფრო შესაძლებელია სოციალიზმი. მუშათა კლასის წინაშე მარქსისა და ენგელსის დამსახურება რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება გამოითქვას: მათ მუშათა კლასს ასწავლეს თვითშემეცნება და თვითშეგნება, და ოცნების ადგილას მეცნიერება დააყენეს.

აი რატომ უნდა იცნობდეს ყოველი მუშა ენგელსის სახელსა და ცხოვრებას, აი რატომ არის საჭირო, რომ ჩვენს კრებულში, რომლის მიზანი, ისევე როგორც ყველა ჩვენი გამოცემისა, არის კლასობრივი თვითშეგნების გაღვიძება რუს მუშებში, მოვათავსოთ თანამედროვე პროლეტარიატის ორი დიდი მასწავლებლიდან ერთ-ერთის — ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნარკვევი.

ენგელსი დაიბადა 1820 წელს ქ. ბარმენში, პრუსიის სამეფოს რაინის პროვინციაში. მისი მამა მეფაბრიკე იყო. 1838 წელს ენგელსი ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა, გიმნაზიის დაუმთავრებლად, ბრემენის ერთ სავაჭრო ფირმაში ნოქრად დამდგარიყო. სავაჭრო საქმიანობას ხელი არ შეუშლია ენგელსისათვის თავის მეცნიერულ და პოლიტიკურ განათლებაზე ემუშავნა. მან ჯერ კიდევ გიმნაზიელმა შეიძულა თვითმპყრობელობა და მოხელეების თვითნებობა. ფილოსოფიაში მეცადინეობამ უფრო შორს წაიყვანა იგი. იმ დროს გერმანულ ფილოსოფიაში ვაბატონებული იყო ჰეგელის მოძ-

ღვრება, და ენგელსიც მისი მიმდევარი გახდა. თუმცა თვითონ ჰეგელი პრუსიის თვითმპყრობელური სახელმწიფოს თაყვანისმცემელი იყო და მის სამსახურში იმყოფებოდა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორად, — ჰეგელის მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა რევოლუციური იყო. ჰეგელის რწმენას ადამიანის გონებისა და მისი უფლებებისადმი და ჰეგელის ფილოსოფიის ძირითად დებულებას, რომ სამყაროში ცვლილებისა და განვითარების მუდმივი პროცესი სწარმოებს, ბერლინელი ფილოსოფოსის ის მოწაფეები, რომელთაც არ სურდათ სინამდვილეს შერიგებოდნენ, იმ აზრამდე მიჰყავდა, რომ სინამდვილესთან ბრძოლაც, არსებულ უსამართლობასთან და გამეფებულ ბოროტებასთან ბრძოლა ჩაქსოვილია მარადი განვითარების მსოფლიო კანონში. თუ ყველაფერი ვითარდება, თუ ერთ დაწესებულებას შეორე სცვლის, მაშინ რატომ მარად უნდა გაგრძელდეს პრუსიის მეფის ან რუსეთის მეფის თვითმპყრობელობა, უმნიშვნელო უმცირესობის გამდიდრება უდიდესი უმრავლესობის ხარჯზე, ბურჟუაზიის ბატონობა ხალხზე? ჰეგელის ფილოსოფია სულისა და იდეების განვითარებაზე ლაპარაკობდა, იგი ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი იყო. სულის განვითარებიდან მას გამოჰყავდა ბუნების, ადამიანის განვითარება და ადამიანთა ურთიერთობის, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება. მარქსმა და ენგელსმა შეინარჩუნეს ჰეგელის აზრი განვითარების მარადი პროცესის შესახებ *, უკუაგდეს წინასწარაკვიატებული იდეალისტური შეხედულება; მიმართეს რა ცხოვრებას, მათ დაინახეს, რომ სულის განვითარება კი არა ხსნის ბუნების განვითარებას, არამედ, პირიქით — სული უნდა აიხსნას ბუნებით, მატერიით... წინააღმდეგ ჰეგელისა და

* მარქსსა და ენგელსს არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ ისინი თავიანთი გონებრივი განვითარების მხრივ ბევრი რამით არიან დავალებულნი დიდი გერმანელი ფილოსოფოსებისაგან და კერძოდ ჰეგელისაგან. «გერმანული ფილოსოფია რომ არ ყოფილიყო, — ამბობს ენგელსი, — მეცნიერული სოციალიზმიც არ იქნებოდაო» [3].

სხვა ჰეგელიანელებისა, მარქსი და ენგელსი მატერიალისტები იყვნენ. მატერიალისტურად რომ შეხედეს სამყაროსა და კაცობრიობას, მათ დაინახეს, რომ როგორც ბუნების ყველა მოვლენას საფუძვლად უდევს მატერიალური მიზეზები, ასევე ადამიანთა საზოგადოების განვითარება შეპირობებულია მატერიალური, საწარმოო ძალების განვითარებით. საწარმოო ძალების განვითარებაზეა დამოკიდებული ის ურთიერთობა, რომელიც ადამიანებს შორის მყარდება ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელი საგნების წარმოების დროს. და ამ ურთიერთობით აიხსნება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენა, ადამიანის მისწრაფებები, იდეები და კანონები. საწარმოო ძალების განვითარება ჰქმნის კერძო საკუთრებაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მაგრამ ახლა ჩვენ ვხედავთ, საწარმოო ძალების იგივე განვითარება როგორ ართმევს საკუთრებას უმრავლესობას და თავს უყრის ამ საკუთრებას უმნიშვნელო უმცირესობის ხელში. ეს განვითარება სპობს საკუთრებას, თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველს, იგი თვითონ მიისწრაფვის იმავე მიზნისაკენ, რომელიც სოციალისტებმა დაისახეს. სოციალისტები მხოლოდ უნდა გაერკვიონ, თუ რომელი საზოგადოებრივი ძალაა დაინტერესებული, თანამედროვე საზოგადოებაში თავისი მდგომარეობის გამო, სოციალიზმის განხორციელებით, და შეაგნებინონ ამ ძალას მისი ინტერესები და ისტორიული ამოცანა. ასეთი ძალა პროლეტარიატია. მას ენგელსი გაეცნო ინგლისში, ინგლისის მრეწველობის ცენტრში, მანჩესტერში, სადაც იგი 1842 წელს გადავიდა და სამსახური დაიწყო სავაჭრო ფირმაში, რომლის ერთ-ერთ მეპაიედაც მისი მამა იყო. აქ ენგელსი სულ ფაბრიკის კანტორაში როდი იჯდა, — იგი დაიარებოდა ჭუჭყიან უბნებში, სადაც მუშები თავს აფარებდნენ, და თავისი თვალით ხედავდა მათს სიღატაკესა და გაჭირვებას. მაგრამ ენგელსი პირადი დაკვირვებებით როდი დაკმაყოფილებულა, მან წაიკითხა ყველაფერი, რაც კი მის დრომდე მოიპოვებოდა ინგლისის მუშათა

კლასის მდგომარეობის შესახებ, გულდასმით შეისწავლა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა ოფიციალური დოკუმენტი. ამ შესწავლისა და დაკვირვების ნაყოფი იყო 1845 წელს გამოსული წიგნი: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში»[4]. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა არის ენგელსის მთავარი დამსახურება, როგორც წიგნის «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» ავტორისა. ენგელსამდეც ძალიან ბევრს აუწერია პროლეტარიატის ტანჯვა და მიუთითებია, რომ საჭიროა მისთვის დახმარების გაწევა. ენგელსმა პირველმა სთქვა, რომ პროლეტარიატი არ არის მხოლოდ დატანჯული კლასი; რომ სწორედ ის სამარცხვინო ეკონომიური მდგომარეობა, რომელშიც პროლეტარიატი იმყოფება, შეუჩერებლად მიაქანებს მას წინ და აიძულებს იბრძოლოს თავისი საბოლოო განთავისუფლებისათვის. ხოლო მებრძოლი პროლეტარიატი თვითონ უშველის თავის თავს. მუშათა კლასის პოლიტიკური მოძრაობა აუცილებლად მიიყვანს მუშებს იმის შეგნებამდე, რომ სოციალიზმის გარეშე მათ გამოსავალი არა აქვთ. მეორე მხრივ, სოციალიზმი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა ძალად, როდესაც იგი მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის მიზანი გახდება. აი ძირითადი აზრები ენგელსის წიგნისა ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ, აზრები, რომლებიც ახლა შეთვისებული აქვს მთელ მოაზროვნე და მებრძოლ პროლეტარიატს, მაგრამ მაშინ სრულიად ახალ რამეს წარმოადგენდნენ. ეს აზრები გამოთქმული იყო წარმტაცად დაწერილ წიგნში, რომელიც სავსეა ინგლისის პროლეტარიატის გაჭირვების უაღრესად სარწმუნო და შემაძრწუნებელი სურათებით. ეს წიგნი იყო საშინელი ბრალდება კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის მიმართ. შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა, მეტად დიდი იყო. ენგელსის წიგნს ყველგან იმოწმებდნენ როგორც თანამედროვე პროლეტარიატის მდგომარეობის საუკეთესო სურათს. და მართლაც, არც 1845 წლამდე და არც შემდეგ არ გამოსულა მუშათა კლასის

გაჭირვების ესოდენ შკაფიოდ და უტყუარად ამსახველი არც ერთი ნაწარმოები.

ენგელსი მხოლოდ ინგლისში გახდა სოციალისტი. მანჩესტერში მან კავშირი გააბა ინგლისის მაშინდელი მუშათა მოძრაობის მოღვაწეებთან და დაიწყო წერა ინგლისის სოციალისტურ გამოცემებში. 1844 წელს, გერმანიაში რომ ბრუნდებოდა, მან გზად, პარიზში გაიცნო მარქსი, რომელთანაც ადრევე ჰქონდა მიმოწერა. პარიზში, ფრანგი სოციალისტებისა და საფრანგეთის ცხოვრების გავლენით, მარქსიც სოციალისტი გახდა. აქ მეგობრებმა ერთად დასწერეს წიგნი: «წმიდა ოჯახი, ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა» [5]. ამ წიგნში, რომელიც ერთი წლით ადრე გამოვიდა, ვიდრე «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში» და მეტწილად მარქსის მიერ იყო დაწერილი, ჩაყრილია საფუძვლები იმ რევოლუციურ-მატერიალისტური სოციალიზმისა, რომლის მთავარი აზრებიც ზემოთ გადმოვეცით. «წმიდა ოჯახი» სახუმარო სახელია ფილოსოფოსების — ძმათა ბაუერებისა და მათი მიმდევრებისა. ეს ვაჟბატონები ქადაგებდნენ კრიტიკას, რომელიც ყოველნაირ სინამდვილეზე მაღლა, პარტიებსა და პოლიტიკაზე მაღლა დგას, უარჰყოფს ყოველგვარ პრაქტიკულ მოღვაწეობას და მხოლოდ «კრიტიკულად» სჭვრეტს გარემო სამყაროს და მის მოვლენებს. ბატონი ბაუერები ქედმაღლურად მსჯელობდნენ პროლეტარიატზე, როგორც არაკრიტიკულ მასაზე. მარქსმა და ენგელსმა გადაჭრით გაილაშქრეს ამ უთავბოლო და მავნე მიმართულების წინააღმდეგ. ნამდვილი ადამიანური პიროვნების — მუშის ღირსების დასაცავად, რომელსაც გაბატონებული კლასები და სახელმწიფო ჰქელავენ, ისინი მოითხოვენ არა ჭვრეტას, არამედ ბრძოლას საზოგადოების უკეთესად მოწყობისათვის. იმ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს ასეთი ბრძოლა აწარმოოს და რომელიც დაინტერესებულია ამ ბრძოლით, მათ, რა თქმა უნდა, პროლეტარიატი მიაჩნიათ. ჯერ კიდევ «წმიდა ოჯახამდე» ენგელსმა მარქსისა და რუგეს «გერმანულ-ფრანგულ ჟურნალში» [6] დაბეჭდა «პოლიტიკური ეკონომიის

კრიტიკული ნარკვევები»[7], სადაც სოციალიზმის თვალსაზრისით განიხილა თანამედროვე ეკონომიური წყობილების ძირითადი მოვლენები, როგორც აუცილებელი შედეგები კერძო საკუთრების ბატონობისა. ენგელსთან ურთიერთობამ უდავოდ შეუწყო ხელი იმას, რომ მარქსმა გადაწყვიტა ემუშავნა პოლიტიკურ ეკონომიაში, იმ მეცნიერებაში, რომელშიც მისმა შრომებმა მთელი გადატრიალება მოახდინეს.

დრო 1845-დან 1847 წლამდე ენგელსმა გაატარა ბრიუსელსა და პარიზში, სადაც მეცნიერულ მუშაობასთან ერთად პრაქტიკულ მოღვაწეობასაც ეწეოდა ბრიუსელისა და პარიზის გერმანელ მუშათა წრეში. აქ ენგელსმა და მარქსმა ურთიერთობა გააბეს ფარულ გერმანულ «კომუნისტთა კავშირთან»[8], რომელმაც მათ მიანდო ჩამოეყალიბებინათ მათ მიერ შემუშავებული სოციალიზმის ძირითადი პრინციპები. ხუთ წარმოიშვა მარქსისა და ენგელსის განთქმული «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», რომელიც 1848 წელს დაიბეჭდა. ეს პატარა წიგნაკი მთელ ტომებს უდრის: დღემდე მისი სულისკვეთებით ცოცხლობს და მოძრაობს ცივილიზებული მსოფლიოს მთელი ორგანიზებული და მებრძოლი პროლეტარიატი.

1848 წლის რევოლუციამ, რომელმაც ჯერ საფრანგეთში იფეთქა, შემდეგ კი დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო, მარქსი და ენგელსი სამშობლოში დააბრუნა. იქ, რაინის პრუსიაში, ისინი სათავეში ჩაუდგნენ დემოკრატიულ «ახალ რაინის გაზეთს»[9], რომელიც კელნში გამოდიოდა. ორივე მეგობარი რაინის პრუსიაში ყველა რევოლუციურ-დემოკრატიული მისწრაფების სული და გული იყო. უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ ისინი ხალხისა და თავისუფლების ინტერესებს რეაქციული ძალებისაგან. ამ უკანასკნელებმა, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს. «ახალი რაინის გაზეთი» აკრძალეს; მარქსი, რომელმაც თავისი ემიგრანტული ცხოვრების დროს დაჰკარგა პრუსიის ქვეშევრდომის უფლებები, გააძევეს, ხოლო ენგელსმა მონაწილეობა მიიღო შეიარაღებულ სახალხო აჯანყებაში, იგი სამ შეტაკებაში იბრძოდა თავის-

უფლებისათვის და აჯანყებულთა დამარცხების შემდეგ შვეიცარიით ლონდონს გაიქცა.

იქვე დაბინავდა მარქსიც. ენგელსი მალე ისევ ნოქარი გახდა, შემდეგ კი მეპაიეც მანჩესტერის იმ სავაჭრო ფირმისა, სადაც იგი 40-იან წლებში მსახურობდა. 1870 წლამდე ის მანჩესტერში ცხოვრობდა, ხოლო მარქსი ლონდონში, რაც ხელს არ უშლიდა მათ უაღრესად ცოცხალი სულიერი კავშირი ჰქონოდათ ერთმანეთთან: მათ თითქმის ყოველდღიური მიმოწერა ჰქონდათ. ამ მიმოწერაში მეგობრები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებსა და ცოდნას და ერთად განაგრძობდნენ მეცნიერული სოციალიზმის შემუშავებას. 1870 წელს ენგელსი ლონდონს გადასახლდა, და 1883 წლამდე, როდესაც მარქსი გარდაიცვალა, გრძელდებოდა დაძაბული მუშაობით აღსავსე მათი ერთობლივი სულიერი ცხოვრება. ამ მუშაობის ნაყოფი იყო — მარქსის მხრივ — «კაპიტალი», ჩვენი საუკუნის უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიური ნაწარმოები, ხოლო ენგელსის მხრივ — მთელი რიგი დიდი და პატარა თხზულებები. მარქსი მუშაობდა კაპიტალისტური მეურნეობის რთულ მოვლენათა გარკვევაზე. ენგელსი ფრიად გასაგებად დაწერილ ნაშრომებში, რომლებიც ხშირად პოლემიკური ხასიათისა იყო, აშუქებდა უაღრესად ზოგად მეცნიერულ საკითხებს და წარსულისა და აწმყოს სხვადასხვა მოვლენას — ისტორიის მატერიალისტურად გაგებისა და მარქსის ეკონომიური თეორიის თვალსაზრისით. ენგელსის ამ ნაშრომებიდან უნდა დავასახელოთ: — პოლემიკური თხზულება დიურინგის წინააღმდეგ (აქ განხილულია ფილოსოფიის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა უდიდესი საკითხები) *, «ოჯახის, საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა» (თარგმნილია რუსულ ენაზე, გამოიცა ს.-პეტერ-

* ეს გასაოცრად შინაარსიანი და საგულისხმო წიგნია. სამწუხაროდ, რუსულ ენაზე თარგმნილია ამ წიგნის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც შეიცავს სოციალიზმის განვითარების ისტორიულ ნარკვევს («მეცნიერული სოციალიზმის განვითარება», მე-2 გამოცემა, ჟენევა, 1892) [10].

ბურგში, მე-3 გამოც., 1895) [11], «ლუდვიგ ფეიერბახი» (რუსული თარგმანი გ. პლეხანოვის შენიშვნებით, ჟენევა, 1892) [12], სტატია რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე (თარგმნილია რუსულ ენაზე ჟენევის «სოციალ-დემოკრატში», №№ 1 და 2) [13], შესანიშნავი სტატიები საბინაო საკითხზე [14], დასასრულ, ორი პატარა, მაგრამ მეტად საგულისხმო სტატია რუსეთის ეკონომიური განვითარების შესახებ («ფრიდრიხ ენგელსი რუსეთის შესახებ», თარგმნილია რუსულ ენაზე ვ. ი. ზასულიჩის მიერ, ჟენევა, 1894) [15]. მარქსი ისე გარდაიცვალა, რომ ველარ მოასწრო საბოლოოდ დაემუშავებინა თავისი უზარმაზარი შრომა კაპიტალის შესახებ. შავად კი იგი უკვე მზად იყო, და აი, მეგობრის სიკვდილის შემდეგ, ენგელსი შეუდგა მძიმე შრომას — «კაპიტალის» II და III ტომის დამუშავებასა და გამოცემას. 1885 წელს მან გამოსცა II, 1894 წელს — III ტომი (IV ტომის დამუშავება მან ვერ მოასწრო) [16]. ამ ორ ტომზე საჭირო შეიქნა ძალიან ბევრი მუშაობა. ავსტრიელმა სოციალ-დემოკრატმა ადლერმა სწორად შენიშნა, რომ «კაპიტალის» II და III ტომის გამოცემით ენგელსმა თავის გენიალურ მეგობარს აუგო დიდებული ძეგლი, რომელზეც უნებლიეთ გამოკვეთა წარუხოცელი ხაზებით თავისი საკუთარი სახელიო. მართლაც, «კაპიტალის» ეს ორი ტომი ორი ადამიანის — მარქსისა და ენგელსის ნაშრომია. ძველებური გადმოცემები მოგვითხრობენ მეგობრობის სხვადასხვა ამაღელვებელ მაგალითს. ევროპის პროლეტარიატს შეუძლია სთქვას, რომ მისი მეცნიერება შეჰქმნა ორმა სწავლულმა და მებრძოლმა, რომელთა ურთიერთობა აღემატება თვით ძველთა ყველაზე ამაღელვებელ თქმულებებს ადამიანთა მეგობრობის შესახებ. ენგელსი ყოველთვის, — და, საერთოდ, სავსებით სამართლიანად, — თავის თავს მარქსზე უკან აყენებდა. «მარქსის დროს, — სწერდა იგი ერთ ძველ მეგობარს, — მე მეორე ადგილი მეჭირაო» [17]. მისი სიყვარული ცოცხალი მარქსისადმი და მოკრძალება გარდაცვალებულის ხსოვნის წინაშე უსაზღვრო

იყო. ამ მედგარ მებრძოლს და მკაცრ მოაზროვნეს ღრმად მოსიყვარულე გული ჰქონდა.

1848 — 1849 წლების მოძრაობის შემდეგ გაძევებული მარქსი და ენგელსი მხოლოდ მეცნიერების დარგში როდი მუშაობდნენ. 1864 წელს მარქსმა შეჰქმნა «მუშათა საერთაშორისო საზოგადოება» და მთელი ათი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოებას. მის საქმეებში ცხოველ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ენგელსიც. «საერთაშორისო საზოგადოების» საქმიანობას, რომელიც, მარქსის აზრის თანახმად, ყველა ქვეყნის პროლეტარებს აერთიანებდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა მოძრაობის განვითარებაში. მაგრამ 70-იან წლებში «საერთაშორისო საზოგადოების» დახურვის შემდეგაც ეს გამაერთიანებელი როლი მარქსისა და ენგელსისა არ შეწყვეტილა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ მათი, როგორც მუშათა მოძრაობის სულიერი ხელმძღვანელების, მნიშვნელობა მუდამ იზრდებოდა, რადგან განუწყვეტლივ იზრდებოდა თვით ეს მოძრაობაც. მარქსის სიკვდილის შემდეგ ევროპის სოციალისტების მრჩეველი და ხელმძღვანელი მარტო ენგელსი-ღა იყო. რჩევისა და მითითებებისათვის მას ერთნაირად მიმართავდნენ გერმანელი სოციალისტებიც, რომელთა ძალა, მიუხედავად მთავრობის მხრივ დევნისა, სწრაფად და განუწყვეტლივ იზრდებოდა, და ჩამორჩენილი ქვეყნების წარმომადგენლებიც, — მაგალითად, ესპანელები, რუმინელები, რუსები, რომელთაც უხდებოდათ მოესაზრათ და აეწონ-დაეწონათ თავიანთი პირველი ნაბიჯები. ყველა ისინი ეწაფებოდნენ მოხუცი ენგელსის ცოდნისა და გამოცდილების მდიდარ საგანძურს.

მარქსსა და ენგელსს, რომლებმაც რუსული ენა იცოდნენ და რუსულ წიგნებს კითხულობდნენ, ძალიან აინტერესებდათ რუსეთი; ისინი თანაგრძნობით ადევნებდნენ თვალყურს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას, მათ ურთიერთობა ჰქონდათ რუს რევოლუციონერებთან. ორივენი დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი-დ ა ნ სოციალისტები გახდნენ, და მათ მეტად ძლიერად ჰქონ-

დათ განვითარებული პოლიტიკური თვითნებობისადმი ს ი-ძ უ ლ ვ ი ლ ი ს დემოკრატიული გრძნობა. ამ უშუალო პოლიტიკურმა გრძნობამ იმ კავშირის ღრმა თეორიულ გაგებასთან ერთად, რომელიც პოლიტიკურ თვითნებობასა და ეკონომიურ ჩაგვრას შორის არსებობს, აგრეთვე ცხოვრების მდიდარმა გამოცდილებამ მარქსი და ენგელსი მეტად გულისხმიერნი გახადეს სწორედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მხრივ. ამიტომ ერთ მუჭა რუს რევოლუციონერთა გმირული ბრძოლა მეფის ძლიერი მთავრობის წინააღმდეგ უდიდეს თანაგრძნობას ჰპოვებდა ამ გამობრძმედილი რევოლუციონერების გულში. პირიქით, მათს თვალში ბუნებრივ ეჭვს იწვევდა და მათ სოციალური რევოლუციის დიადი საქმის პირდაპირ ღალატადაც კი მიაჩნდათ წადილი იმისა, რომ მოჩვენებითი ეკონომიური სარგებლობის გულისათვის ზურგი შეჰქცეოდა რუსი სოციალისტების ყველაზე უშუალო და მნიშვნელოვან ამოცანას — პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების ამოცანას. «პროლეტარიატის განთავისუფლება მისი საკუთარი საქმე უნდა იყოსო», — აი რას გვასწავლიდნენ მუდამ მარქსი და ენგელსი. ხოლო თავისი ეკონომიური განთავისუფლებისათვის რომ იბრძოლოს, პროლეტარიატმა გარკვეული პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უფლებები უნდა მოიპოვოს. გარდა ამისა, მარქსიც და ენგელსიც ნათლად ხედავდნენ, რომ რუსეთის პოლიტიკურ რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობისთვისაც. თვითმპყრობელური რუსეთი ყოველთვის იყო მთელი ევროპის რეაქციის დასაყრდენი. იმ არაჩვეულებრივ ხელსაყრელმა საერთაშორისო მდგომარეობამ, რომელშიც რუსეთი ჩააყენა 1870 წლის ომმა, რამაც გერმანიასა და საფრანგეთს შორის დიდი ხნით განხეთქილება ჩამოაგდო, რა თქმა უნდა, მხოლოდ გააძლიერა თვითმპყრობელური რუსეთის, როგორც რეაქციული ძალის, მნიშვნელობა. მხოლოდ თავისუფალი რუსეთი, რომლისთვისაც საჭირო არ იქნება არც პოლონელების, ფინელების, გერმანელების, სომხებისა და სხვა პატარა ერების ჩაგვრა, არც საფ-

რანგეთისა და გერმანიის მუდმივი წასისიანება ერთმანეთზე, საშუალებას მისცემს თანამედროვე ევროპას თავისუფლად ამოისუნთქოს ომის სიმძიმეთაგან, შეასუსტებს ყველა რეაქციულ ელემენტს ევროპაში და გაადიდებს ევროპის მუშათა კლასის ძალას. აი რატომ იყო, რომ დასავლეთში მუშათა მოძრაობის წარმატებისთვისაც ენგელსს მხურვალედ სურდა პოლიტიკური თავისუფლება დამყარებულიყო რუსეთში. რუსმა რევოლუციონერებმა ენგელსის სახით თავიანთი საუკეთესო მეგობარი დაჰკარგეს.

საუკუნო ხსენება ფრიდრიხ ენგელსს, დიდ მებრძოლსა და პროლეტარიატის მასწავლებელს!

განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ[18]

დაწერილია 1895 წ. შემოდგომაზე.

პირველად დაიბეჭდა ცალკე ბროშურად პეტერბურგში, 1895 წ.

იბეჭდება 1895 წ. გამოცემის მიხედვით, რომელიც შედარებულია 1897 წ. გამოცემასთან

ОБЪЯСНЕНІЕ

ЗАКОНА

О

ШТРАФАХЪ, ВЗИМАЕМЫХЪ

съ

рабочихъ на фабрикахъ и заводахъ.

ХЕРСОНЪ.
Типографія К. Н. Субботина, Екатерин. ул. д. Калинина.
1895.

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა
«განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც
შეშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ». — 1895 წ.

I

რა არის ჯარიმები?

მუშას რომ ჰკითხო, იცი თუ არა, ჯარიმები რა არისო, ასეთმა კითხვამ შეიძლება კიდევაც გააოცოს. ჯარიმები როგორ არ ეცოდინება, როცა მუდამ უხდება მათი გადახდა? ეს რა საკითხავია?

მაგრამ ეს მხოლოდ ეჩვენება კაცს, თითქოს აქ საკითხავიც არაფერი იყოს. ნამდვილად კი მუშების უმრავლესობას სწორი წარმოდგენა არა აქვს ჯარიმებზე.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, ჯარიმა არის მუშის მიერ მეპატრონისათვის მიყენებული ზარალის საზღაურიო. — ეს სწორი არ არის. — ჯარიმა და ზარალის საზღაური სულ სხვადასხვა რამეა. ერთმა მუშამ მეორე მუშას რაიმე ზარალი რომ მიაყენოს, ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება (მაგალითად, ქსოვილის გაფუჭებისათვის), მაგრამ მისი დაჯარიმება არ შეუძლია. სწორედ ასევე, თუ ერთი მეფაბრიკე ზარალს მიაყენებს მეორეს (მაგ., ვადაზე არ მიაწოდებს საქონელს), მეფაბრიკეს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება, მაგრამ არ შეუძლია დააჯარიმოს მეორე მეფაბრიკე. — ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ თანასწორი ადამიანისაგან, დაჯარიმება კი მხოლოდ ხელქვეითი ადამიანისა შეიძლება. ამიტომ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა სასამართლოს წესით ხდება, ხოლო ჯარიმას მეპატრონე სასამართლოს გარეშე ადებს. ჯარიმის დადება ზოგჯერ ისეთ შემთხვევაშიც ხდება, როდესაც მეპატრონეს არავითარი ზარალი არ მოსვლია: მაგ., ჯარიმა თამბაქოს წევისათვის. ჯარიმა სასჯელია და არა ზარალის საზღაური. თუ მუშას, ვთქვათ, თამბაქოს წევისას ნამწვი დაუ-

ვარდა და მან მეპატრონის ქსოვილი დასწვა, მეპატრონე არათუ დააჯარიმებს მას თამბაქოს წევისათვის, არამედ დამწვარი ქსოვილის ღირებულებასაც გამოუქვითავს. ამ მაგალითით ნათლად სჩანს ჯარიმის განსხვავება ზარალის საზღაურისაგან.

ჯარიმების დანიშნულებაა არა ზარალის ანაზღაურება, არამედ დისციპლინის შექმნა, ე. ი. მეპატრონისადმი მუშების დამორჩილება; ჯარიმების დანიშნულებაა აიძულოს მუშები შეასრულონ მეპატრონის ბრძანებები, მუშაობის დროს მისი გამგონი იყვნენ. — ჯარიმების კანონი ასეც ამბობს: ჯარიმა «ფულადი გადასახდელია, რომელსაც ფაბრიკის გამგეები საკუთარი უფლებით აწესებენ წესრიგის დაცვისათვის». ამიტომ, ჯარიმის სიდიდეც დამოკიდებულია არა ზარალის სიდიდეზე, არამედ იმაზე თუ რამდენად დაუდევარია მუშა: ჯარიმა მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია დაუდევრობა, რაც უფრო დიდია მეპატრონისადმი ურჩობა, მის მოთხოვნათა შეუსრულებლობა. როდესაც ვინმე მეპატრონესთან სამუშაოდ მიდის, ცხადია, იგი არათავისუფალი ხდება; იგი მეპატრონის გამგონი უნდა იყოს, და მეპატრონეს შეუძლია მისი დასჯა. — ყმა-გლეხები მემამულეებისთვის მუშაობდნენ, და მემამულენიც მათ სჯიდნენ. — მუშები კაპიტალისტებისთვის მუშაობენ, და კაპიტალისტებიც მათ სჯიან. — მთელი განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წინათ არათავისუფალ ადამიანს კეტით სცემდნენ, ახლა კი ფულით სცემენ.

შესაძლოა, რომ ამაზე გამოგვედავონ: სთქვან, მუშათა მასების საერთო მუშაობა ქარხანასა თუ ფაბრიკაში უდისციპლინოდ შეუძლებელია: მუშაობაში აუცილებელია წესრიგი, აუცილებელია თვალყურის დევნება ამ წესრიგისთვის და მის დამრღვევთა დასჯაო. ამიტომაო — იტყვიან — ჯარიმას იმიტომ კი არ ახდევინებენ, რომ მუშები არათავისუფალი ხალხია, არამედ იმიტომ, რომ ერთად მუშაობა წესრიგს საჭიროებსო.

ასეთი პასუხი სრულიად უმართებულოა, თუმცა ერთი შეხედვით მან შეიძლება კაცი შეცდომაში შეიყვანოს. ეს მოსაზრება მხოლოდ იმათ მოჰყავთ, ვისაც სურს მუშებს დაუმა-

ლოს მათი არათავისუფალი მდგომარეობა. ყოველგვარ საერთო მუშაობაში წესრიგი, მართლაც, აუცილებელია. მაგრამ განა აუცილებელია, რომ მომუშავე ადამიანები ემორჩილებოდნენ მეფაბრიკეების, ე. ი. ისეთი ადამიანების თვითნებობას, რომელნიც თვით არ მუშაობენ და ძლიერნი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ხელში ჩაუგდიათ ყველა მანქანა, იარაღი და მასალა? საერთო მუშაობის წარმოება არ შეიძლება უწესრიგოდ, უიმისოდ, რომ ყველა ამ წესრიგს ემორჩილებოდეს; მაგრამ საერთო მუშაობის წარმოება არ შეიძლება მეფაბრიკეებისა და მექარხნეებისადმი მუშების დამორჩილების გარეშეც. საერთო მუშაობა მართლაც მოითხოვს, რომ წესრიგს თვალყური ადევნონ, მაგრამ იგი სრულიადაც არ მოითხოვს, რომ მეთვალყურეობის უფლება ყოველთვის იმას ეკუთვნოდეს, ვინც თვითონ არ მუშაობს და სხვისი შრომით ცხოვრობს. — აქედან სჩანს, რომ ჯარიმებს იმიტომ კი არ ახდევინებენ, რომ ადამიანები საერთო მუშაობას აწარმოებენ, არამედ იმიტომ, რომ ახლანდელი კაპიტალისტური წესების დროს მთელ მუშა ხალხს არავითარი საკუთრება არ გააჩნია: ყველა მანქანა, იარაღი, ნედლი მასალა, მიწა და პური მდიდრების ხელშია. შიმშილით რომ არ დაიხოცონ, მუშები ამ მდიდრებს უნდა მიეყიდონ. ხოლო რაკი მიეყიდნენ, ისინი, რასაკვირველია, უკვე ვალდებული არიან დაემორჩილონ მათ და მათგან სასჯელიც აიტანონ.

ამაში კარგად უნდა გაერკვეს ყოველი მუშა, რომელსაც სურს იცოდეს, თუ რა არის ჯარიმები. ამის ცოდნა აუცილებელია, რათა გავაბათილოთ ჩვეულებრივი (და მეტად მცდარი) მსჯელობა, თითქოს ჯარიმები აუცილებელია, რადგან უამისოდ, თითქოს, შეუძლებელია საერთო მუშაობა. ამის ცოდნა აუცილებელია, რათა შეგვეძლოს ყოველ მუშას განვუმარტოთ, თუ რით განსხვავდება ჯარიმა ზარალის საზღაურისაგან და რატომ ნიშნავს ჯარიმები მუშების არათავისუფალ მდგომარეობას, მათს დაქვემდებარებას კაპიტალისტებისადმი.

II

როგორ აჯარიმებდნენ წინათ და რამ გამოიწვია ახალი კანონები ჯარიმების შესახებ?

კანონები ჯარიმების შესახებ დიდი ხანი არაა რაც არსებობს: სულ ცხრა წელიწადია. 1886 წლამდე ჯარიმების შესახებ არავითარი კანონები არ იყო. — მეფაბრიკეებს შეეძლოთ თავის სურვილისამებრ გადაეხდევინებინათ ჯარიმები, რამდენიც და რაშიც ნებავდათ. მაშინ მეფაბრიკეები უზომოდ დიდ ჯარიმებს ახდევინებდნენ და დიდ შემოსავალსაც იღებდნენ ჯარიმებით. — ზოგჯერ ჯარიმებს ადებდნენ ისე, უბრალოდ, «მეპატრონის შეხედულებისამებრ» და არც კი ასახელებდნენ ჯარიმის მიზეზს. — ხანდახან ჯარიმები ხ ე ლ ფ ა ს ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ს აღწევდა, ასე რომ მუშა გასამრჯელოდ მიღებული მანეთიდან ჯარიმების სახით მეპატრონეს ათ შაურს აძლევდა. — ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომ ჯარიმებს გარდა ახდევინებდნენ აგრეთვე პირგასამტეხლოსაც; მაგალითად, 10 მანეთს ფაბრიკის დატოვებისათვის. ყოველთვის, როცა კი მეფაბრიკეს ცუდად წაუვიდოდა საქმე, — მისთვის სულ ადვილი იყო დაეკლო ხელფასი მიუხედავად პირობისა. — ის ოსტატებს აიძულებდა უფრო მკაცრად გადაეხდევინებინათ ჯარიმები და დაეწუნებინათ საქონელი: ეს კი მუშის ხელფასის დაკლება გამოდიოდა.

მუშები ყველა ამ შევიწროებას დიდხანს ითმენდნენ, მაგრამ, რაც უფრო ვითარდებოდა დიდი ქარხნები და ფაბრიკები, განსაკუთრებით საფეიქრო ფაბრიკები, რომლებიც აძევებდნენ წვრილ საწარმოებსა და ხელით მომუშავე ფეიქრებს, — მით უფრო ძლიერდებოდა მუშების აღშფოთება თვითნებობისა და შევიწროების წინააღმდეგ. ამ ათიოდე წლის წინათ ვაჭრებსა და მეფაბრიკეებს დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ა შეექმნათ, ეგრეთწოდებული კრიზისი დაუდგათ: საქონელი ვერ საღდებოდა; მეფაბრიკეებს ზარალი მოსდიოდათ და უფ-

რო ძლიერ დააწვნენ ჯარიმებს. მუშებმა, რომელთაც ხელფასი ისედაც უხეირო ჰქონდათ, ველარ აიტანეს ახალი შევიწროება, და აი 1885 — 1886 წლებში მოსკოვის, ვლადიმირისა და იაროსლავლის გუბერნიებში დაიწყო მუშათა ამბოხებანი. მოთმინებიდან გამოსული მუშები თავს ანებებდნენ მუშაობას და საშინლად იძიებდნენ შურს შემავიწროებლებზე, — ანგრევდნენ ფაბრიკის შენობებსა და მანქანებს, ზოგჯერ ცეცხლს უკიდებდნენ მათ, სცემდნენ ადმინისტრაციას და ა. შ.

ყველა ამ გაფიცვიდან განსაკუთრებით შესანიშნავი იყო გაფიცვა ტიმოთე საბას-ძე მოროზოვის ნიკოლსკოეს ცნობილ მანუფაქტურაში (დაბა ნიკოლსკოე, მოსკოვ-ნიჟნი-ნოვგოროდის რკინიგზის სადგურ ორეხოვოსთან). მოროზოვმა 1882 წლიდან დაიწყო ხელფასის დაკლება, და 1884 წლამდე ხუთჯერ მოხდა ეს დაკლება. ამავე დროს ჯარიმები სულ უფრო მკაცრი ხდებოდა: მთელ ფაბრიკაში ჯარიმა ხელფასის თითქმის მეოთხედს შეადგენდა (გასამრჯელოდ მიღებულ მანეთზე 24 კაპიკი ჯარიმა მოდიოდა), ზოგჯერ კი ჯარიმა ცალკეულ მუშათა ხელფასის ნახევარს აღწევდა. ამ უმსგავსო ჯარიმების დასამალავად კანტორა დარბევის წინა წელს ასე იქცეოდა: იმ მუშებს, რომელთაც ჯარიმები გასამრჯელოს ნახევრამდე უწევდა, იძულებით უსწორებდა ანგარიშს, ხოლო შემდეგ ამ მუშებს შეეძლოთ თუნდ იმავე დღეს კვლავ დამდგარიყვნენ სამუშაოზე და ახალი წიგნაკი აეღოთ. ასეთი საშუალებით სპობდნენ იმ წიგნაკებს, რომლებშიც მეტად დიდი ჯარიმები იყო ჩაწერილი. — მუშას ერთ გაცდენილ დღეში სამ დღეს უქვითავდნენ, თამბაქოს მოწევისთვის ერთგზობაზე 3, 4 და 5 მანეთით აჯარიმებდნენ. მოთმინებიდან გამოსულმა მუშებმა 1885 წლის 7 იანვარს ხელი აიღეს მუშაობაზე და რამდენიმე დღის განმავლობაში დაარბიეს ფაბრიკის დუქანი, ოსტატ შორინის ბინა და ფაბრიკის ზოგიერთი სხვა შენობა. ათეული ათასი მუშის (მუშების რიცხვი 11 000-მდე ადიოდა) ამ საშინელმა ამბოხებამ მეტისმეტად დააფრთხო მთავრობა: ორეხოვო-ზუევოში მაშინვე გაჩნდა ჯარი, გუბერნატორი, პროკურო-

რები ვლადიმირიდან და მოსკოვიდან. — გაფიცულებთან მოლაპარაკების დროს თავშეყრილმა მუშებმა უფროსებს გადასცეს «თვით მუშების მიერ შედგენილი პირობები», რომლებითაც მუშები მოითხოვდნენ, რათა დაებრუნებინათ მათთვის ჯარიმები 1884 წლის აღდგომიდან მოკიდებული, რათა შემდეგისთვის ჯარიმებს ხელფასის 5 პროცენტისათვის არ გადაემეტებინა, ე. ი. გასამრჯელოდ მიღებულ მანეთზე შაურის მეტი არ უნდა მოსულიყო, რათა თითო გაცდენილ დღეზე 1 მანეთზე მეტი არ აეღოთ. ამას გარდა, მუშები მოითხოვდნენ 1881 — 1882 წლების ხელფასის აღდგენას, მოითხოვდნენ, რათა მეპატრონეს აენაზღაურებინა მისი მიზეზით მოცდენილი დღეებისათვის, რათა სრული ანგარიშსწორების შესახებ მუშები გაეფრთხილებინათ 15 დღით ადრე, რათა საქონლის მიღებას დასწრებოდნენ მოწმეები მუშებიდან და ა. შ.

ამ უდიდესმა გაფიცვამ უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა მთავრობაზე, რომელმაც დაინახა, რომ მუშები საშიშ ძალას წარმოადგენენ, როდესაც ისინი ერთად მოქმედებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთად მოქმედი მუშების მასა პირდაპირ აყენებს თავის მოთხოვნებს. მეფაბრიკეებმაც იგრძნეს მუშების ძალა და უფრო ფრთხილნი გახდნენ. გაზეთ «ნოვოე ვრემიაში» [19] მოთავსებული იყო ცნობა, მაგ., ორეხოვო-ზუევოდან: «შარშანდელ დარბევას (ე. ი. მოროზოვის ფაბრიკაში 1885 წლის იანვარში მომხდარ დარბევას) ის მნიშვნელობა აქვს, რომ მან ერთბაშად შესცვალა ფაბრიკის ძველი წესები, როგორც ორეხოვო-ზუევოს, ისე მისი მიდამოების ფაბრიკებში». მაშასადამე, არა მარტო მოროზოვის ფაბრიკების მეპატრონეებს უნდა შეეცვალათ უმსგავსო წესები, როდესაც მუშებმა ერთად მოითხოვეს მათი გაუქმება, არამედ მეზობელი მეფაბრიკეებიც კი დათმობაზე წავიდნენ დარბევის შიშით. იმავე გაზეთში სწერდნენ: «მთავარია ის, რომ ახლა მუშებისადმი უფრო ადამიანური მოპყრობა დამყარდა, რაც წინათ ფაბრიკის ადმინისტრატორთა შორის იშვიათი მოვლენა იყო».

გაზეთმა «მოსკოვსკიე ვედომოსტიმაც» კი[20] (ეს გაზეთი ყოველთვის მეფაბრიკეებს იცავს და ყველაფერში თვით მუშებს ამტყუნებს) შეიგნო, რომ შეუძლებელია ძველი წესების შენარჩუნება, იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ თვითნებური ჯარიმები — «ბოროტებაა, რომელიც აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებებს იწვევს», რომ «ფაბრიკის დუქნები — ნამდვილი ძარცვა-გლეჯაა», რომ ამიტომ აუცილებელია შემოღებულ იქნას ჯარიმების კანონი და წესებიო.

ამ გაფიცვის დიდი შთაბეჭდილება კიდევ უფრო გააძლიერა მუშების გასამართლებამ. 33 მუშა სამართალში მისცეს გაფიცვის დროს აყალმაყალის ატეხისა და სამხედრო ყარაულზე თავდასხმისთვის (გაფიცვის დროს მუშების ერთი ნაწილი დააპატიმრეს და ჩაკეტეს ერთ შენობაში, მაგრამ მუშებმა გაამტვრიეს კარი და წავიდნენ). გასამართლება მოხდა ვლადიმირში 1886 წ. მაისში. ნაფიცმა მსაჯულებმა ყველა ბრალდებული გაამართლეს, რადგანაც სასამართლოში მოწმეების ჩვენებამ, — მათ შორის ფაბრიკის მეპატრონის ტ. ს. მოროზოვის, ფაბრიკის დირექტორის დიანოვისა და მრავალი ფეიქარი მუშის ჩვენებამ, — ნათელჰყო ყველა ის უმსგავსო შევიწროება, რომელსაც მუშები განიცდიდნენ. სასამართლოს ეს განაჩენი პირდაპირი მსჯავრის დადება იყო არა მარტო მოროზოვისა და მისი ადმინისტრაციისთვის, არამედ საერთოდ მთელი მაშინდელი საფაბრიკო წესებისთვისაც.

მეფაბრიკეების დამცველნი საშინლად შეშფოთდნენ და გაბოროტდნენ. იგივე «მოსკოვსკიე ვედომოსტი», რომელმაც დარბევის შემდეგ აღიარა ძველი წესების უმსგავსობა, ახლა სულ სხვაგვარად ალაპარაკდა: «ნიკოლსკოეს მანუფაქტურა ერთი საუკეთესო მანუფაქტურათაგანია. მუშები ფაბრიკისადმი არავითარ ბატონყმურ ან სავალდებულო დამოკიდებულებაში არ იმყოფებიან, მოდიან თავის ნებით და მიდიან დაუბრკოლებლივ. რაც შეეხება ჯარიმებს, ეს ხომ აუცილებელი რამაა ფაბრიკებში; უამისოდ მუშებთან ვერაფერს გახდები, და ფაბრიკა მისაკეტი იქნება». — მთელი ბრალი, თურ-

მე, მუშებისა ყოფილა, «თავაშვებული, ლოთი და დაუდევარი» მუშებისა. სასამართლოს განაჩენს მხოლოდ «ხალხის მასების გარყვნა» შეუძლია *. — «მაგრამ ხალხის მასებთან ხუმრობა სახიფათოა — გაიძახოდა «მოსკოვსკიე ვედომოსტი». — რა უნდა იფიქრონ მუშებმა ვლადიმირის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამო? ცნობა ამ გადაწყვეტილების შესახებ მყისვე მოედო მთელ ამ მანუფაქტურულ მხარეს. ჩვენს კორესპონდენტს, რომელიც ვლადიმირიდან წამოვიდა ამ განაჩენის გამოტანისთანავე, უკვე ყველა სადგურზე ესმოდა ლაპარაკი ამ განაჩენის შესახებ...»

ამრიგად, მეფაბრიკეები ცდილობდნენ დაეშინებინათ მთავრობა: მუშებს ერთი რამ რომ დაუთმო, ხვალ სხვა რამეს მოითხოვენო.

მაგრამ მუშების მიერ მოწყობილი დარბევა უფრო საშიში იყო, და მთავრობა იძულებული შეიქნა დაეთმო.

1886 წ. ივნისში გამოვიდა ახალი კანონი ჯარიმების შესახებ, რომელიც აღნიშნავდა, თუ რა შემთხვევებში შეიძლებოდა დაჯარიმება, განსაზღვრავდა ჯარიმების უკიდურეს ოდენობას და ადგენდა, რომ ჯარიმის ფული მეფაბრიკის ჯიბეში კი არ უნდა მიდიოდეს, არამედ თვით მუშების საჭიროებას ხმარდებოდეს.

ბევრი მუშა ამ კანონს არ იცნობს, ხოლო ისინი, რომელნიც მას იცნობენ, ფიქრობენ, რომ ჯარიმების მხრივ შეღავათი მთავრობის წყალობაა და ამას უფროსებს უნდა ვუმადლოდეთო. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს მართალი არ არის. — თუმცა ძალიან უმსგავსო იყო ძველი საფაბრიკო წესები, უფროსებს სრულე-

* მეფაბრიკეები და მათი დამცველნი ყოველთვის ასე უყურებდნენ და უყურებენ საქმეს: თუ მუშები უფიქრდებიან თავიანთ მდგომარეობას, იწყებენ თავიანთ უფლებათა მოპოვებას და მეპატრონეთა უმსგავსობისა და შევიწროების წინააღმდეგ ერთად გალაშქრებას, — ყველაფერი ეს მხოლოდ «გარყვნილებაა». — რა თქმა უნდა, მეპატრონეებისთვის უფრო ხელსაყრელია, რომ მუშები თავიანთ მდგომარეობაზე არ ფიქრობდნენ და შეგნებული არ ჰქონდეთ თავიანთი უფლებები.

ბით არაფერი გაუკეთებიათ მუშების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ვიდრე მუშები არ ამხედრდნენ ამ წესების წინააღმდეგ, ვიდრე გაბოროტებული მუშები იქამდე არ მივიდნენ, რომ დაიწყეს ფაბრიკებისა და მანქანების მტვრევა, საქონლისა და მასალის დაწვა, ადმინისტრაციისა და მეფაბრიკეების ცემა. — მთავრობამხოლოდ მაშინშეინდა დადათმობაზე წავიდა. — მუშები თავიანთი მდგომარეობის შემსუბუქებას უფროსებს კი არ უნდა უმადლოდნენ, არამედ თავიანთ ამხანაგებს, რომელნიც ცდილობდნენ უმსგავსო შევიწროებათა გაუქმებას და კიდევაც მიაღწიეს ამას.

1885 წლის დარბევათა ისტორია გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი ძალა აქვს მუშების შეერთებულ პროტესტს. — მხოლოდ აუცილებელია ზრუნვა იმისათვის, რომ ეს ძალა უფრო შეგნებულად იყოს მოხმარებული, რომ იგი უქმად არ იხარჯებოდეს ამა თუ იმ ცალკეულ მეფაბრიკესა ან მექარხნეზე შურისძიებისათვის, ამა თუ იმ ათვალწუნებული ფაბრიკისა ან ქარხნის დარბევისათვის, რომ ამ აღშფოთებისა და ამ სიძულვილის მთელი ძალა მიმართული იყოს საერთოდ ყველა მეფაბრიკისა და მექარხნის წინააღმდეგ, მეფაბრიკეთა და მექარხნეთა მთელი კლასის წინააღმდეგ, და ხმარდებოდეს ამ კლასთან მუდმივსა და შეუპოვარ ბრძოლას.

ახლა დაწვრილებით განვიხილოთ ჩვენი კანონები ჯარიმების შესახებ. ამ კანონების გასაცნობად უნდა გავარჩიოთ შემდეგი კითხვები: ა) რა შემთხვევაში და რა საბაბით შეიძლება კანონის მიხედვით დაჯარიმება? 2) ჯარიმების რანაირი ოდენობა უნდა იყოს კანონით? 3) დაჯარიმების რა წესია კანონში ნაჩვენები? — ე. ი. კანონით ვის შეუძლია დაჯარიმება? შეიძლება თუ არა ამის გასაჩივრება? რანაირად უნდა გამოეცხადოს მუშას წინასწარ ჯარიმების ტაბელი? როგორ უნდა ჩაიწეროს დავთარში ჯარიმები? 4) კანონით რაზე უნდა იხარჯებოდეს ჯარიმის ფული? სად უნდა ინახებოდეს? რანაირად უნდა იხარჯებოდეს მუშების საჭიროებებზე და სახელ-

დობრ რა საჭიროებებზე? დასასრულ, უკანასკნელი კითხვა 5) ყველა მუშაზე ვრცელდება თუ არა კანონი ჯარიმების შესახებ?

როდესაც ყველა ამ კითხვას გავარჩევთ, ჩვენ გვეცოდინება არა მარტო ის, თუ რა არის ჯარიმა, არამედ ჯარიმების შესახებ რუსეთის კანონის ყველა განსაკუთრებული წესი და დაწვრილებითი დადგენილება. ამის ცოდნა კი მუშებისათვის აუცილებელია, რათა შეგნებულად შეხედონ უსამართლო დაჯარიმების ყოველ ცალკე შემთხვევას, რათა შესძლონ განუმარტონ ამხანაგებს, თუ რატომ არსებობს ესა თუ ის უსამართლობა, — იმიტომ, რომ ფაბრიკის უფროსები არღვევენ კანონს, თუ იმიტომ, რომ თვით კანონშია ასეთი უსამართლო წესები, — და ამის მიხედვით შესძლონ შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის შესაფერისი ფორმის გამონახვა.

III

რა საბაბით შეუძლია მეფაბრიკეს დაჯარიმება?

კანონი ამბობს, რომ დაჯარიმების საბაბი, ანუ დანაშაული, რისთვისაც ფაბრიკის ან ქარხნის მეპატრონეს შეუძლია მუშები დააჯარიმოს, შემდეგი შეიძლება იყოს: 1) დაუდევარი მუშაობა; 2) გაცდენა; 3) წესრიგის დარღვევა. «სხვა რაიმე საბაბით — სწერია კანონში — არავითარი ჯარიმის დადება არ შეიძლება» *. ყურადღებით განვიხილოთ თვითეული ეს სამი საბაბი ცალ-ცალკე.

პირველი საბაბი დაუდევარი მუშაობაა. კანონში ნათქვამია: «დაუდევარ მუშაობად ითვლება მუშის მიერ, დაუდევრობით, არაკეთილხარისხოვანი ნაწარმის დამზადება, მუშაობის

* კანონი, რომელ'ზედაც ვლაპარაკობთ, არის «წესდება მრეწველობის შესახებ», რომელიც რუსეთის «კანონთა კრებულის» მეთერთმეტე ტომის მეორე ნაწილში შედის. კანონი ჩამოყალიბებულია ცალკე მუხლებად, რომლებიც დანომრილია. — ჯარიმების შესახებ ლაპარაკია 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151 და 152 მუხლებში.

დროს მასალის, მანქანებისა და წარმოების სხვა იარაღების გაფუჭება». აქ უნდა დავიხსომოთ სიტყვა: «დაუდევრობით». ეს ფრიად მნიშვნელოვანია. — მაშასადამე, დაჯარიმება შეიძლება მხოლოდ დაუდევრობისთვის. მეფაბრიკეს დაჯარიმების უფლება არა აქვს, თუ ნაწარმი არაკეთილხარისხოვანი გამოვიდა არა მუშის დაუდევრობით, არამედ, მაგალითად, იმიტომ, რომ მეპატრონემ უხეირო მასალა მისცა. საჭიროა მუშებმა ეს კარგად გაიგონ, და დაუდევარი მუშაობისათვის დაჯარიმების შემთხვევაში, როცა ეს მოხდა არა მუშის მიზეზით, არა მისი უყურადღებობით, განაცხადონ პროტესტი, იმიტომ რომ ასეთ შემთხვევაში დაჯარიმება პირდაპირ უკანონოა. — ავიღოთ კიდევ მაგალითი: ქარხნის მუშა დაზგაზე მუშაობს ელექტრონათურის მახლობლად. ასხლტა რკინის ნაჭერი, მოხვდა ნათურას და გატეხა. მეპატრონე სწერს ჯარიმას: «მასალის გაფუჭებისათვის». აქვს თუ არა მას ამის უფლება? არა, არა აქვს, იმიტომ რომ მუშას დაუდევრობით როდი გაუტეხია ნათურა: რა მუშის ბრალია, რომ ნათურა არაფრით არ იყო დაცული რკინის ნაჭრებისაგან, რომლებიც მუშაობის დროს ყოველთვის ცვივა ხოლმე *.

ახლა იბადება კითხვა, საკმაოდ იცავს თუ არა მუშას ეს კანონი? იცავს თუ არა იგი მუშას მეპატრონის თვითნებობისაგან და უსამართლო დაჯარიმებისაგან? რა თქმა უნდა, არა, იმიტომ რომ მეპატრონე თავის შეხედულებისამებრ სწყვეტს კეთილხარისხოვანია თუ არა ნაწარმი; აქ ყოველთვის შეიძლება შარის მოდება, მეპატრონეს ყოველთვის შეუძლია არაკეთილხარისხოვანი ნაწარმისათვის გააძლიეროს ჯარიმები, ამით კი იგი იმავე ხელფასით უფრო მეტ მუშაობას ამოქა-

* სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა პეტერბურგის ნავსადგურში (ახალ საადმირალოში), რომლის უფროსი, ვერხოვსკი, ცნობილია მუშების შევიწროებით. მუშების გაფიცვის შემდეგ მან შესცვალა ნათურის გატეხისათვის ჯარიმების დადება და გატეხილი ნათურის საფასურს სახელოსნოს ყველა მუშას უქვითავდა. გასაგებია, რომ ეს დაქვითვებიც ისევე უკანონოა, როგორც ჯარიმები.

ჩავს. კანონი მუშას არ მფარველობს, მეპატრონეს კი მისი შევიწროების შესაძლებლობას აძლევს. აშკარაა, რომ კანონი მიკერძოებითია, იგი შედგენილია მეფაბრიკეებისთვის ხელსაყრელად და უსამართლოა.

როგორ უნდა ყოფილიყო მუშა დაცული? მუშებმა კარგა ხანია ეს აღნიშნეს: მოროზოვის ნიკოლსკოეს ფაბრიკის ფეიქრებმა, 1885 წ. გაფიცვის დროს, სხვათა შორის, ასეთი მოთხოვნა წამოაყენეს: «საქონლის კეთილხარისხოვნობისა თუ არაკეთილხარისხოვნობის დადგენა ხდებოდეს მისი ჩაბარების დროს, უთანხმოების შემთხვევაში, მახლობლად მომუშავე მუშებიდან მოწმეთა თანადასწრებით, და ყოველივე ეს იწერებოდეს საქონლის მისაღებ დავთარში». (ეს მოთხოვნა შეტანილი იყო «მუშების საერთო თანხმობით» შედგენილ რვეულში, რომელიც გაფიცვის დროს თავშეყრილმა მუშებმა პროკურორს გადასცეს. — ეს რვეული სასამართლოში იქნა წაკითხული.) ეს მოთხოვნა სავსებით სამართლიანია, იმიტომ რომ არ შეიძლება იყოს მეპატრონის თვითნებობის თავიდან აცილების სხვა საშუალება, გარდა მოწმეების დასწრებისა, როდესაც საქონლის კეთილხარისხოვნობაზეა დავა, ამასთან ეს მოწმეები უეჭველად მუშებიდან უნდა იყვნენ: ოსტატები და მოსამსახურენი ვერასოდეს ვერ გაბედავენ მეპატრონის წინააღმდეგ წასვლას.

დაჯარიმების მეორე საბაბი გაცდენაა. რას უწოდებს კანონი გაცდენას? კანონში ნათქვამია: «თუ მუშა სამუშაოზე გამოცხადებას დააგვიანებს არანაკლებ ნახევარი სამუშაო დღისა, ამას გაცდენა ეწოდება, რაც განსხვავდება სამუშაოზე არა თავის დროზე გამოცხადებისა და თვითნებურად სამუშაოს მიტოვებისაგან». სამუშაოზე არა თავის დროზე გამოცხადება ანდა სამუშაოს თვითნებურად მიტოვება კანონით, როგორც ახლავე დავინახავთ, «წესრიგის დარღვევად» ითვლება, და ამისათვის ჯარიმაც ნაკლები ედება. თუ მუშა ქარხანაში რამდენიმე საათის დაგვიანებით, მაგრამ მაინც შუადღეზე ადრე მივიდა, ეს გაცდენა კი არა, მხოლოდ წესრიგის დარღვევა იქ-

ნება; და თუ მხოლოდ შუადღისას მივიდა — ეს უკვე გაცდენაა. — სწორედ ასევე, თუ მუშა თვითნებურად, უნებართვოდ წავიდა სამუშაოდან ნაშუადღევს, ე. ი. რამდენიმე საათი გამოსტოვა — ეს წესრიგის დარღვევა იქნება, ხოლო თუ მთელი ნახევარი დღით წავიდა — ეს გაცდენაა. კანონში დადგენილია, რომ მეფაბრიკეს უფლება აქვს დაითხოვოს მუშა, თუ იგი სამუშაოს გააცდენს ზედიზედ სამ დღეზე მეტს ანდა საერთოდ თვეში ექვს დღეზე მეტს. — საკითხავია, ყოველთვის ითვლება თუ არა გაცდენად ნახევარი ან მთელი დღის გამოტოვება? — არა. — მხოლოდ მაშინ, როდესაც სამუშაოზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი არ იყო. კანონში ჩამოთვლილია გამოუცხადებლობის შემდეგი საპატიო მიზეზები. ესენია: 1) «მუშის თავისუფლების აღკვეთა». მაშასადამე, თუ მუშას, მაგალითად, დააპატიმრებენ (პოლიციის ბრძანებით ან მომრიგებელი მოსამართლის განაჩენით), მეფაბრიკეს უფლება არა აქვს ანგარიშის გასწორების დროს დააჯარიმოს იგი გაცდენისათვის, 2) «უბედური შემთხვევით გამოწვეული უეცარი დაზარალება», 3) «ხანძარი», 4) «წყალდიდობა». მაგალითად, გაზაფხულის უგზოობის დროს თუ მუშა მდინარეზე ვერ გადავიდა, — მეფაბრიკეს მისი დაჯარიმების უფლება არა აქვს, 5) «ავადმყოფობა, რომელიც სახლიდან გასვლის საშუალებას არ იძლევა», და 6) «მშობლების, ქმრის, ცოლისა და შვილების სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა». ყველა ამ ექვს შემთხვევაში სამუშაოზე მუშის გამოუცხადებლობა საპატიოდ ითვლება. მუშამ გაცდენისთვის ჯარიმა რომ აიცდინოს, უნდა იზრუნოს მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთის შოვნაზე: მის სიტყვიერ განცხადებას, რომ საპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, კანტორაში არ დაუჯერებენ. საჭიროა ექიმის მოწმობის აღება (მაგალ., ავადმყოფობის შემთხვევაში) ან პოლიციის მოწმობისა (მაგ., ხანძრის შემთხვევაში). თუ მოწმობას მაშინვე ვერ აიღებს, შეიძლება თუნდაც დაგვიანებით წარადგინოს იგი და კანონის საფუძველზე მოითხოვოს, რომ არ დააჯარიმონ, ხოლო თუ ჯარიმა უკვე დადებულია — მოხსნან იგი.

გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზთა შესახებ იმ წესების გამო, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეს წესები ისე მკაცრია, თითქოს ისინი ყაზარმაში მყოფ ჯარისკაცებს ეხებოდეს და არა თავისუფალ ადამიანებს. ეს წესები გადმოწერილია სასამართლოში გამოუცხადებლობის კანონიერ მიზეზთა წესებიდან: თუ ვისმე ბრალად ედება რაიმე დანაშაული, სასამართლოს გამომძიებელი გამოიძახებს მას, და ბრალდებულიც მოვალეა გამოცხადდეს. გამოუცხადებლობა ნებადართულია მხოლოდ სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც ნებადართულია მუშების გამოუცხადებლობა *. მაშასადამე, კანონი მუშებს ისევე სასტიკად ეპყრობა, როგორც ყველა თაღლითს, ქურდსა და სხვ. ყველას ესმის, თუ რატომაა ასე სასტიკი სასამართლოში გამოცხადების წესები, — იმიტომ რომ ბამნაშავის დასჯა მთელ საზოგადოებას ეხება. მაგრამ სამუშაოზე მუშის გამოცხადება სრულებითაც არ ეხება მთელ საზოგადოებას, ეხება მხოლოდ მეფაბრიკეს, ამასთანავე ადვილია ერთი მუშის შეცვლა მეორით, რომ მუშაობა არ შეჩერდეს. მაშასადამე, არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა კანონების ასეთ სამხედრო სიმკაცრეს. მაგრამ კაპიტალისტები მარტო იმას როდი სჯერდებიან, რომ მუშას მთელ დროს ართმევენ ფაბრიკაში სამუშაოდ; მათ უნდათ მუშას წაართვან აგრეთვე ყოველგვარი თავისუფლება, ყოველივე სხვა ინტერესები და ფიქრები, გარდა მხოლოდ ფაბრიკაზე ფიქრისა. მუშას ისე ეპყრობიან, როგორც არათავისუფალ ადამიანს. — ამიტომაც ადგენენ ასეთ ყაზარმულ, კანცელარიულ-ხრიკიან წესებს. მაგ., ახლა ვნახეთ, რომ გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად კანონს მიაჩნია «მშობლების, ქმრის, ცოლისა და შვილების სიკვდილი ან მძიმე ავადმყოფობა». — ასეა ნათქვამი სასამართლოში გამოცხადების კანონში. — სწორედ ასევეა ნათქვამი სამუშაოზე მუშის

* გარდა ერთი შემთხვევისა — «ხანძრისა», რომელიც ბრალდებულთა გამოწვევის კანონში არ არის მოხსენებული.

გამოცხადების კანონშიც. მაშასადამე, მუშას რომ მოუკვდეს, მაგ., არა ცოლი, არამედ და, — ის ვერ გაბედავს გამოსტოვოს სამუშაო დღე, ვერ გაბედავს დაკრძალვაზე დრო დაკარგოს: დრო მას კი არ ეკუთვნის, არამედ მეფაბრიკეს. დაკრძალვა პოლიციასაც შეუძლია, — განა ღირს ამაზე ზრუნვა? სასამართლოში გამოცხადების კანონის მიხედვით, ოჯახის ინტერესი უნდა დაექვემდებაროს საზოგადოების ინტერესებს, რომლისთვისაც აუცილებელია დამნაშავეთა დევნა. — სამუშაოზე გამოცხადების კანონის მიხედვით, მუშის ოჯახის ინტერესების წინაშე უპირატესობა უნდა მიეცეს მეფაბრიკის ინტერესებს, რომლისთვისაც აუცილებელია მოგების მიღება. — და ამის შემდეგ ის სპეტაკი ვაჟბატონები, რომელნიც ადგენენ, ასრულებენ და იცავენ ასეთ კანონებს, ბედავენ ბრალი დასდონ მუშებს, რომ ისინი ოჯახურ ცხოვრებას არ აფასებენო!..

ვნახოთ, სამართლიანია თუ არა გაცდენისთვის ჯარიმების კანონი? — მუშამ ერთ ან ორ დღეს სამუშაო რომ მიატოვოს, — ეს გაცდენად ითვლება და ამისთვის მუშას სჯიან, ხოლო თუ ზედიზედ სამ დღეზე მეტი გააცდინა, სულაც შეუძლიათ გააგდონ. — მაგრამ მეფაბრიკემ რომ შეაჩეროს მუშაობა (მაგ., შეკვეთების უქონლობის გამო) ან დაწესებული ექვსი დღის მაგივრად კვირაში მხოლოდ ხუთ დღეს აძლიოს სამუშაო? მუშები რომ მართლაც თანასწორუფლებიანი იყვნენ მეფაბრიკეებთან, მაშინ კანონი მეფაბრიკისთვისაც ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც მუშისთვისაა. — თუ მუშა სწყვეტს მუშაობას, ის ხელფასსაც ჰკარგავს და ჯარიმასაც იხდის. მაშასადამე, თუ მეფაბრიკე თვითნებურად სწყვეტს მუშაობას, იგი, ჯერ-ერთი, სრულ ხელფასს უნდა აძლევდეს მუშას მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ფაბრიკა მოცდენილია და, მეორე, უნდა ჯარიმდებოდეს კიდეც. — მაგრამ კანონში არც ერთი და არც მეორე არაა დადგენილი. ამ მაგალითით ნათლად მტკიცდება ის, რაც ზემოთ ჯარიმების შესახებ ვთქვით, სახელდობრ ის, რომ ჯარიმები მოასწავებს კაპიტალისტის მიერ მუშების დამონებას. რომ მუშები წარმოად-

გენენ დაბალ, არათავისუფალ კლასს, რომელიც მთელ სიცოცხლეში უნდა მუშაობდეს კაპიტალისტებისთვის, ჰქმნიდეს მათს სიმდიდრეს და ამისთვის გროშებს იღებდეს, რაც ოდნავ ადამიანური ცხოვრებისთვისაც არ არის საკმაო. — ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ მეფაბრიკეები ჯარიმას იხდიდნენ მუშაობის თვითნებურად შეჩერებისთვის. მაგრამ მეფაბრიკეები მუშებს ხელფასსაც კი არ აძლევენ, როდესაც მუშაობა შეჩერებულია არა მუშების მიზეზით. ეს უაღრესად აღმაშფოთებელი უსამართლობაა. კანონი შეიცავს მხოლოდ იმ წესს, რომ ხელშეკრულება მუშასა და მეფაბრიკეს შორის უქმდება, როდესაც «ხანძრის, წყალდიდობის, ორთქლის ქვაბის აფეთქებისა და სხვა ამგვარი შემთხვევის გამო ფაბრიკასა ან ქარხანაში მუშაობა შეჩერებულია 7 დღეზე მეტ ხანს». მუშები უნდა ცდილობდნენ ისეთი წესის შემოღებას, რომელიც მეფაბრიკეს ავალდებულებს ხელფასი აძლიოს მუშებს მუშაობის შეჩერების დროსაც. — ეს მოთხოვნა რუსმა მუშებმა უკვე წამოაყენეს საჯაროდ 1885 წლის 11 იანვარს ტ. ს. მოროზოვის ფაბრიკაში მომხდარი ცნობილი გაფიცვის დროს *. მუშების მოთხოვნათა რვეულში ეწერა ასეთი მოთხოვნა: «რომ გაცდენისთვის დაქვითვა არ აღემატებოდეს ერთ მანეთს, რომ მეპატრონეც იხდიდეს ფულს მისი მიზეზით გაცდენილ დღეებში, როგორიცაა: მანქანების მოცდენისა და გადაკეთების დრო, და ამ მიზნით ყოველი გაცდენილი დღე უნდა იწერებოდეს ანგარიშსწორების რვეულში». — მუშების პირველი მოთხოვნა (რომ ჯარიმა გაცდენისთვის არ აღემატებოდეს ერთ

* უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს (1884/85 წ.) არა მუშების მიზეზით ფაბრიკის გაცდენა ძალიან ხშირი მოვლენა იყო, რადგანაც მაშინ იყო სავაჭრო და სამრეწველო კრიზისი: მეფაბრიკეები საქონელს ვერ ასაღებდნენ და ცდილობდნენ წარმოების შემცირებას. მაგ., 1884 წლის დეკემბერში ვოზნესენსკის დიდმა მანუფაქტურამ (მოსკოვის გუბერნიაში, მოსკოვ-იაროსლავლის რკინიგზის სადგ. ტალიცის ახლოს) სამუშაო დღეები კვირაში 4-მდე შეამცირა. მუშებმა, რომლებიც ნარდად მუშაობდნენ, ამაზე გაფიცვით უპასუხეს; ეს გაფიცვა 1885 წლის იანვარში დამთავრდა იმით, რომ მეფაბრიკე დათმობაზე წავიდა.

მანეთს) შესრულებულია და შევიდა 1886 წლის კანონში ჯარიმების შესახებ. მეორე მოთხოვნა (რომ მეპატრონემ იხადოს ფული მისი მიზეზით გაცდენილი დღეებისთვის) არ შესრულებულა, და მუშები კიდევ უნდა ეცადონ, რომ იგი შესრულდეს. ამ მოთხოვნისთვის ბრძოლას რომ წარმატება ჰქონდეს, აუცილებელია, რათა ყოველ მუშას ნათლად ესმოდეს კანონის უსამართლობა, ნათლად ესმოდეს ის, რისი მოთხოვნაც საჭიროა. ყოველ ცალკე შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ქარხანა ან ფაბრიკა გაჩერებულია და მუშები ხელფასს არ იღებენ, — მუშებმა უნდა დასვან საკითხი ამ უსამართლობის შესახებ, დაბეჯითებით უნდა მოითხოვონ, რომ, ვიდრე მეფაბრიკესთან ხელშეკრულება არ დარღვეულა, მეფაბრიკე ვალდებულია იხადოს ხელფასი ყოველი დღისთვის, უნდა განუცხადონ ეს ინსპექტორს, რომლის განმარტებაც მუშებს დაუდასტურებს, რომ კანონში, მართლაც, არაფერია ამაზე ნათქვამი, და გამოიწვევს კანონის განხილვას მუშების მიერ. როცა კი შესაძლებელია, მუშებმა უნდა მიმართონ სასამართლოს თხოვნით, რომ მეფაბრიკეს გადახდეს სანარდო ხელფასი, — ბოლოს, მათ უნდა წამოაყენონ საერთო მოთხოვნა მოცდენილი დღეების ხელფასის გადახდის შესახებ.

დაჯარიმების მესამე საბაბია «წესრიგის დარღვევა». — კანონში წესრიგის დარღვევის შემდეგი 8 შემთხვევაა აღნიშნული: 1) «სამუშაოზე არა თავის დროზე გამოცხადება ან სამუშაოს თვითნებურად მიტოვება» (ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რით განსხვავდება ეს პუნქტი გაცდენისაგან); 2) «ქარხნის ან ფაბრიკის შენობებში ცეცხლთან ფრთხილად მოპყრობის დადგენილი წესების დაუცველობა, იმ შემთხვევებში, როცა ფაბრიკის ან ქარხნის გამგე საჭიროდ არ სთვლის მუშასთან დადებული დაქირავების ხელშეკრულების გაუქმებას 105 მუხლის 1 შენიშვნის ძალით». — ეს იმას ნიშნავს, რომ მუშის მიერ ცეცხლთან ფრთხილად მოპყრობის წესების დარღვევის კანონი მეფაბრიკეს არჩევანს ანიჭებს ან დააჯარიმოს მუშა, ანდა დაითხოვოს («გააუქმოს დაქირავების

ხელშეკრულება», როგორც კანონი ამბობს); 3) «ქარხნის ან ფაბრიკის შენობებში სისუფთავის დაუცველობა»; 4) «მუშაობის დროს სიჩუმის დარღვევა ხმაურობით, ყვირილით, ლანძღვა-გინებით და ჩხუბით»; 5) «ურჩობა». ამ პუნქტის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ მეფაბრიკეს მხოლოდ მაშინ აქვს «ურჩობისთვის» მუშის დაჯარიმების უფლება, როდესაც მუშა არ ასრულებს კანონიერ მოთხოვნას, ე. ი. ხელშეკრულებაზე დამყარებულ მოთხოვნას. — თუ მუშას წარუდგენენ რაიმე თვითნებური ხასიათის მოთხოვნას, რომელიც არ ემყარება მეპატრონესა და მუშას შორის დადებულ ხელშეკრულებას, — ამ შემთხვევაში არ შეიძლება დაჯარიმება «ურჩობისათვის». — მაგალითად, მუშა მუშაობს სანარდო სამუშაოს პირობით. ოსტატი ეუბნება მას თავი დაანებოს ამ სამუშაოს და სხვა რამე გააკეთოს. მუშა უარზეა. — ამ შემთხვევაში უმართებულო იქნებოდა დაჯარიმება ურჩობისთვის, რადგანაც მუშა მხოლოდ ერთ სამუშაოზე გაურიგდა მეპატრონეს და, ვინაიდან ის ნარდად მუშაობს, სხვა სამუშაოზე გადასვლა მუქთი მუშაობა გამოუვიდოდა; 6) «სამუშაოზე მთვრალი მისვლა»; 7) «მოწყობა ნებადაურთველი თამაშობისა ფულზე (ბანქოს თამაში, ფულობანა და სხვ.)» და 8) «ფაბრიკის შინაგანრიგების წესების დარღვევა». ამ წესებს ადგენს თვითეული ფაბრიკისა და ქარხნის მეპატრონე და ამტკიცებს საფაბრიკო ინსპექტორი. — ამ წესების ამონაწერი იბეჭდება ანგარიშსწორების წიგნაკებში. — მუშები უნდა კითხულობდნენ ამ წესებს და უნდა იცოდნენ ისინი, რათა შეამოწმონ მართებულად თუ უმართებულოდ აჯარიმებენ მათ შინაგანრიგების წესების შეუსრულებლობისათვის. — აუცილებელია ეს წესები განვასხვავოთ კანონისაგან. კანონი ყველა ქარხანა-ფაბრიკისთვის ერთია; შინაგანრიგების წესები კი თვითეულ ფაბრიკაში სხვადასხვაა. — კანონი მტკიცდება ან უქმდება ხელმწიფის ძალაუფლებით; შინაგანრიგების წესები კი — ფაბრიკის ინსპექტორის მიერ. ამიტომ, თუ ეს წესები მუშებისთვის

შემავიწროებელია, მათი გაუქმება შეიძლება საფაბრიკო ინსპექტორთან საჩივრის შეტანით (თუ ინსპექტორმა არ შეიწყნარა საჩივარი, შეიძლება ინსპექტორზე საჩივრის წარდგენა საფაბრიკო საკრებულოში). — მოვიყვან მაგალითს იმისათვის, რომ დავინახოთ კანონისა და შინაგანრიგების წესების ერთიმეორისაგან გარჩევის საჭიროება. ვთქვათ, მუშას აჯარიმებენ იმისთვის, რომ ოსტატმა მოსთხოვა მას ემუშავნა უქმე დღეს ან ზედმეტ საათებში, და იგი არ გამოცხადდა. — სწორია თუ არა ასეთი დაჯარიმება? — ამაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ვიცოდეთ შინაგანრიგების წესები. — თუ ამ წესებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მუშა ვალდებულია გამოცხადდეს სამუშაოზე, მოთხოვნისამებრ, უდროო დროს, — მაშინ ჯარიმა უკანონოა. ხოლო თუ წესებში ნათქვამია, რომ მუშა ვალდებულია, უფროსთა მოთხოვნისამებრ, სამუშაოზე გამოცხადდეს უქმე დღეებსა და უდროო დროს, — მაშინ ჯარიმა კანონიერია. — ამ ვალდებულების გასაუქმებლად მუშები ჯარიმებს კი არ უნდა უჩიოდნენ, არამედ შინაგანრიგების წესების შეცვლას უნდა მოითხოვდნენ. — ყველა მუშამ პირი უნდა შეჰკრას, და მაშინ საერთო შეთანხმებული მოქმედებით ისინი შესძლებენ მიაღწიონ ასეთი წესის გაუქმებას.

IV

რამდენად დიდი შეიძლება იყოს ჯარიმები?

ახლა ყველა შემთხვევა ვიცით, როდესაც კანონი მუშების დაჯარიმების უფლებას იძლევა. — განვიხილოთ, რას ამბობს კანონი ჯარიმების სიდიდის შესახებ? კანონი არ განსაზღვრავს ჯარიმების ერთ ოდენობას ყველა ქარხანა-ფაბრიკისათვის. იგი აწესებს მხოლოდ ზღვარს, რომლის ზევითაც ჯარიმების დანიშვნა არ შეიძლება. ეს ზღვარი დაჯარიმების სამივე შემთხვევისათვის (დაუდევარი მუშაობა, გაცდენა და წესრიგის დარღვევა) ცალ-ცალკეა ნაჩვენები. — სახელდობრ,

გაცდენისთვის ჯარიმების ზღვარი შემდეგია: დღიური მუშაობის ხელფასის დროს ჯარიმა არ აღემატება ექვსი დღის გასამრჯელოს (ნაგულისხმევია ჯარიმები მთელი თვის განმავლობაში), ე. ი. ჯარიმები გაცდენებისთვის ერთი თვის განმავლობაში არ შეიძლება ექვსი დღის ხელფასზე მეტი იყოს *. თუ ხელფასი სანარდოა, მაშინ გაცდენისთვის ჯარიმის ზღვარი დღეში 1 მანეთს უდრის და თვეში 3 მანეთს არ აღემატება. ამას გარდა, მუშა კარგავს ხელფასს მთელი გაცდენილი დროის განმავლობაში. შემდეგ, წესრიგის დარღვევისთვის ჯარიმის ზღვარი შეადგენს დარღვევის თვითეულ ცალკე შემთხვევაში ერთ მანეთს. დასასრულ, რაც შეეხება ჯარიმებს დაუდევარი მუშაობისათვის, ზღვარი კანონში სულ არაა აღნიშნული. — აღნიშნულია კიდევ ერთი საერთო ზღვარი ყველა ჯარიმისთვის ერთად: გაცდენისა, წესრიგის დარღვევისა და დაუდევარი მუშაობისათვის. ყველა ეს ჯარიმა, ერთად აღებული, «არ უნდა აღემატებოდეს იმ ხელფასის ერთ მესამედს, რომელიც მუშას ნამდვილად ერგება ანგარიშის გასწორების დაწესებული დროისთვის». ესე-იგი, თუ მუშას, ვთქვათ, 15 მანეთი ერგება, კანონით არ შეიძლება მას ჯარიმად 5 მანეთზე მეტი გადახდეს, — ყველა გაცდენისა, დაუდევარი მუშაობისა და წესრიგის დარღვევისთვის ერთად. თუ ჯარიმები მეტი დაგროვდა, მეფაბრიკემ უნდა ჩამოაკლოს. მაგრამ ამ შემთხვევაში კანონი მეფაბრიკეს სხვა უფლებასაც აძლევს: სახელდობრ, მეფაბრიკეს უფლება აქვს ხელშეკრულება გააუქმოს, თუ მუშას ხელფასის ერთ მესამედზე მეტი ჯარიმის გადახდა უწევს **.

---

* დღიური ხელფასის დროს ერთი გაცდენილი დღის ჯარიმის ზღვარი ნაჩვენები არ არის. ნათქვამია მხოლოდ: «მუშის ხელფასის კვალობაზე». ჯარიმების ოდენობა, როგორც ახლავე დავინახავთ, ყოველ ფაბრიკაში სისწორით აღინიშნება სასჯელთა ტაბელში.

** თუ მუშა ხელშეკრულების გაუქმებას უმართებულოდ მიიჩნევს, მას შეუძლია სასამართლოში იჩივლოს, მაგრამ ასეთი საჩივრებისთვის ძალიან მოკლე ვადაა დაწესებული: ერთი თვე (რა თქმა უნდა, ანგარიშის გასწორების დღიდან).

ჯარიმების ზღვრული სიდიდის ამ წესების შესახებ, რომ-ლებიც კანონშია გათვალისწინებული, უნდა ითქვას, რომ ეს წესები ძალიან მკაცრია მუშისთვის და ხელსაყრელია მხოლოდ მეფაბრიკისთვის მუშის საზიანოდ. — ჯერ-ერთი, კანონი ძალიან დიდ ჯარიმებს აწესებს — ხელფასის ერთ მესამედამდე. ეს უმსგავსოდ დიდი ჯარიმებია. შევადაროთ ჯარიმის ეს ზღვარი განსაკუთრებით დიდი ჯარიმების ცნობილ შემთხვევებს. ვლადიმირის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექ-ტორი ბ-ნი მიკულინი (რომელმაც დასწერა წიგნი 1886 წ. ახალი კანონის შესახებ) მოგვითხრობს, თუ რამდენად დიდი იყო ჯარიმები ფაბრიკებში ამ კანონის შემოღებამდე. ყვე-ლაზე დიდი ჯარიმები საფეიქრო წარმოებაში იყო, და სა-ფეიქრო ფაბრიკაში უდიდესი ჯარიმა შეადგენდა მუშების ხელფასის 10%-ს, ე. ი. ხ ე ლ ფ ა ს ი ს ე რ თ მ ე ა თ ე დ ს. — ვლადიმირის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორს, ბ-ნ პესკოვს თავის ანგარიშში * მოჰყავს განსაკუთრებით დიდი ჯარიმების მაგალითები: მათგან ყველაზე დიდი ჯარიმა იყო 5 მ. 31 კაპ., როცა ხელფასი 32 მანეთი და 31 კაპ. იყო. ეს შეადგენს 16,4%-ს (მანეთზე 16 კაპიკს), ე. ი. ხ ე ლ ფ ა ს ი ს ე რ თ მ ე ე ქ ვ ს ე დ ზ ე ნ ა კ ლ ე ბ ს. ასეთ ჯარიმას დიდს უწოდე-ბენ, და მას ასე უწოდებს არა მუშა, არამედ ინსპექტორი. ჩვენი კანონი კი იძლევა ე რ თ ი ო რ ა დ მეტი ჯარიმების, ხ ე ლ ფ ა ს ი ს ე რ თ ი მ ე ს ა მ ე დ ი ს, მანეთზე $33^1/_3$ კაპი-კის გადახდევინების ნებას! ეტყობა, ცოტად თუ ბევ-რად რიგიან ფაბრიკებში არ ყოფილა ისეთი დიდი ჯარიმები, როგორიც ახლა ნებადართულია ჩვენი კანო-ნებით. — ავიღოთ ტ. ს. მოროზოვის ნიკოლსკოეს მანუ-ფაქტურის ჯარიმათა ცნობები 1885 წლის 7 იანვ-რის გაფიცვის წინ. მოწმეების სიტყვით, ამ ფაბრიკაში უფრო დიდი ჯარიმები იყო, ვიდრე მახლობელ ფაბრიკებში.

* პირველი ანგარიში 1885 წლისა იყო. საფაბრიკო ინსპექტორების მხოლოდ პირველი ანგარიშები დაიბეჭდა. მთავრობამ მაშინვე შესწყვიტა ანგარიშების ბეჭდვა. — სჩანს, კარგი საფაბრიკო წესები ყოფილა, თუ მათი გამოქვეყნებისა ეშინოდათ.

ეს ჯარიმები იმდენად უმსგავსო იყო, რომ 11 000 კაცი სრულიად გამოიყვანა მოთმინებიდან. — ალბათ, არ შევცდებით, თუ ამ ფაბრიკას სანიმუშოდ ავიღებთ უმსგავსო ჯარიმების მხრივ. — მაინც რამდენად დიდი იყო აქ ჯარიმები? — ფეიქარი ოსტატი შორინი სასამართლოს აჩვენებდა, როგორც უკვე ვთქვით, რომ ჯარიმები ხელფასის ნახევრამდე ადიოდაო, და საერთოდ 30-დან 50 პროცენტამდე, მანეთზე ექვსი შაურიდან ათ შაურამდე აღწევდაო. — მაგრამ ეს ჩვენება, ჯერ-ერთი, არ არის დადასტურებული ზუსტი ცნობებით და მეორე — ან ცალკეულ შემთხვევებს ეხება, ანდა ერთ რომელიმე სახელოსნოს. — გაფიცულთა გასამართლების დროს გამოაქვეყნეს ზოგიერთი ცნობა ჯარიმების შესახებ. — მოყვანილი იყო (თვიური) ხელფასისა და ჯარიმების 17 შემთხვევა: მთელი ხელფასი 179 მ. და 6 კაპ. შეადგენს, ხოლო ჯარიმა — 29 მ. და 65 კაპ.; ერთ მანეთ ხელფასზე 16 კაპიკი ჯარიმა მოდის. ყველა ამ 17 შემთხვევაში ყველაზე დიდი ჯარიმა 3 მანეთი და 85 კაპიკი იყო 12 მანეთი და 40 კაპიკი ხელფასიდან. ეს შეადგენს 31½ კაპიკს მანეთზე, — მაინც იმაზე ნაკლებს, რაც ჩვენი კანონით ნებადართულია. — მაგრამ ყველაზე უკეთესია ავიღოთ ცნობები მთელი ფაბრიკის მიხედვით. — 1884 წელს ჯარიმები უფრო დიდი იყო, ვიდრე წინა წლებში: მანეთზე 23¼ კაპ. მოდიოდა (ეს ყველაზე დიდი ციფრია: ჯარიმები იყო 20¾-დან 23¼%-მდე). ამრიგად, იმ ფაბრიკაში, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი უმსგავსოდ დიდი ჯარიმებით, ეს უკანასკნელი მაინც იმაზე ნაკლები იყო, რაც რუსეთის კანონით ნებადართულია!.. კარგად კი იცავს მუშებს ასეთი კანონი, თქმა არ უნდა! — მოროზოვის ფაბრიკაში გაფიცულნი მოითხოვდნენ: «ჯარიმები გასამრჯელოდ მიღებული მანეთის 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს; ამასთან აუცილებლად საჭიროა, რომ მუშა ცუდი მუშაობის გამო წინდაწინ გააფრთხილონ და თვეში ორ ჯერზე მეტად არ გამოიძახონ ხოლმე». ჩვენი კანონებით ნებადართული ჯარიმები მხოლოდ რომელიმე მევახშის პრო-

ცენტებს თუ შეედრება. ძნელად თუ რომელიმე მეფაბრიკემ გაბედოს ასეთი დიდი ჯარიმების დადება; კანონი ამ უფლებას ანიჭებს, მაგრამ მუშები ნებას არ მისცემენ *.

ჩვენი კანონები ჯარიმების ოდენობის შესახებ ხასიათდება არა მარტო უმსგავსო შევიწროებით, არამედ საშინელი უსამართლობითაც. თუ ჯარიმა მეტისმეტად დიდია (ერთ მესამედზე მეტი), მეფაბრიკეს შეუძლია გააუქმოს ხელშეკრულება, მუშას კი არ ეძლევა ასეთივე უფლება, ე. ი. ფაბრიკიდან წასვლის უფლება, თუ მას იმდენ ჯარიმას ადებენ, რომ ხელფასის ერთ მესამედს აღემატება. ცხადია, კანონი მხოლოდ მეფაბრიკეებზე ზრუნავს, თითქოს ჯარიმები მარტო მუშების მიზეზით იყოს გამოწვეული. ნამდვილად კი ყველამ იცის, რომ მეფაბრიკეები და მექარხნეები ხშირად მიმართავენ ხოლმე ჯარიმებს მაშინაც, როცა მუშებს არავითარი ბრალი არ მიუძღვნით, მაგალითად, იმისათვის, რომ მუშები აიძულონ უფრო დაძაბულად იმუშაონ. კანონი მხოლოდ მეფაბრიკეს იცავს დაუდევარი მუშისაგან, მაგრამ მუშას არ იცავს მეტისმეტად შემავიწროებელი მეფაბრიკისაგან. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მუშებს მფარველი არა ჰყავთ. მუშებმა თვითონ უნდა იფიქრონ თავიანთ თავზე და მეფაბრიკეებთან ბრძოლაზე.

* ამის გამო არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ პეტერბურგის ოლქის ყოფილ მთავარ საფაბრიკო ინსპექტორს, ბ-ნ მიხაილოვსკის, სამართლიანად მიაჩნია ასეთ კანონს ეწოდოს «ჭეშმარიტად ჰუმანური (კაცთმოყვარე) რეფორმა, რომელიც რუსეთის იმპერატორის მთავრობას უდიდეს პატივს მატებს და მეტყველებს მის მზრუნველობაზე მუშათა კლასის მიმართ». (ეს ნათქვამია წიგნში რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესახებ, რომელიც რუსეთის მთავრობამ გამოსცა ჩიკაგოს 1893 წლის მსოფლიო გამოფენისთვის.) აი როგორი გახლავთ რუსეთის მთავრობის მზრუნველობა!!! კანონამდე და ყოველგვარი კანონის გარეშე მეფაბრიკეებში მოიპოვებოდნენ ისეთი მძარცველები, რომელნიც მუშებს მანეთზე 23 კაპ. უჭერდნენ. კანონი კი მუშებზე ზრუნავს და ადგენს: მანეთზე 33 $^1/_3$ (ოცდაცამეტ და ერთ მესამედ) კაპიკზე მეტი არ დაუჭიროთო! ოცდაცამეტი კაპიკის დაკავება კი უმესამედოდ ახლა უკვე კანონის მიხედვით შეიძლება. — მართლაც რომ «ჭეშმარიტად ჰუმანური რეფორმაა»!.

V

როგორია დაჯარიმების წესი?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ კანონით ჯარიმის დადება ფაბრიკის თუ ქარხნის გამგეებს შეუძლიათ «საკუთარი უფლებით». რაც შეეხება მათ განკარგულებათა გასაჩივრებას, კანონი ამბობს: «ფაბრიკის ან ქარხნის გამგის განკარგულებანი მუშებზე სასჯელის დადების შესახებ არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას. მაგრამ საფაბრიკო ინსპექციის მოხელეთა მიერ ფაბრიკის ან ქარხნის დათვალიერების დროს მუშების განცხადებებით თუ აღმოჩნდება კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამო სასჯელის დადება, გამგე პასუხისგებაში მიეცემა». — ეს დადგენილება, როგორც ხედავთ, ძალიან ბუნდოვანია და თანაც წინააღმდეგობას შეიცავს: ერთის მხრივ, მუშას ეუბნებიან, ჯარიმის დადების გასაჩივრება არ შეიძლებაო. მეორე მხრივ კი ამბობენ, მუშებს შეუძლიათ ინსპექტორს «განუცხადონ» «კანონის შეუსაბამო» დაჯარიმებაო. «განაცხადონ უკანონობის შესახებ» და «იჩივლონ უკანონობის გამოო», — ადამიანი, რომელსაც შემთხვევა არ ჰქონია გასცნობოდა რუსეთის კანონებს, ალბათ იკითხავს: აქ რა განსხვავებაა? განსხვავება არ არის, მაგრამ კანონის ამ საშარო დადგენილების მიზანი სავსებით ნათელია: კანონს უნდოდა შეეზღუდა მუშების უფლება მეფაბრიკეების მხრივ უსამართლო და უკანონო დაჯარიმების გასაჩივრებისა. ახლა, რომელიმე მუშამ ინსპექტორს საჩივრით რომ მიმართოს უკანონო ჯარიმის შესახებ, ინსპექტორს შეუძლია უპასუხოს: «დაჯარიმების გასაჩივრება კანონით ნებადართული არ არისო». — განა ბევრი მოინახება ისეთი მუშა, რომელსაც ეცოდინება ეს ვერაგული კანონი და რომელიც მოახერხებს ამაზე უპასუხოს: «მე კი არა ვჩივი, მხოლოდ ვაცხადებო». — ინსპექტორები სწორედ იმისათვის არიან დაყენებული, რომ თვალყური ადევნონ მეფაბრიკეებთან მუშების ურთიერთობის კანონების დაცვას. ინსპექტორები მოვალენი არიან მიიღონ ყოველგვარი განცხადება კანონის შეუსრულებლობის შესა-

ხებ. ინსპექტორს, წესით (იხ. ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული «განაწესი საფაბრიკო ინსპექციის მოხელეთათვის»), დანიშნული უნდა ჰქონდეს მიღების დღეები, კვირაში ერთი მაინც, სიტყვიერი ახსნა-განმარტებისათვის იმ პირებთან, ვისაც ეს ესაჭიროება, და ამ დღეების შესახებ განცხადება უნდა იყოს გამოკრული ყოველ ფაბრიკაში. — ამრიგად, თუ მუშებს ეცოდინებათ კანონი და მტკიცედ გადასწყვეტენ, რომ ამ კანონიდან არავის არავითარ გადახვევას არ დაანებებენ, — მაშინ ახლახან მოყვანილი კანონის ვერაგობა ამაო აღმოჩნდება, და მუშები შესძლებენ მიაღწიონ იმას, რომ კანონი დაცულ იქნას. — უფლება აქვთ თუ არა მუშებს უკანვე მიიღონ ჯარიმის ფული, თუ ეს ფული უკანონოდ არის გადახდევინებული? საღი გონებით რომ ვიმსჯელოთ, რა თქმა უნდა, პასუხი დადებითი უნდა იყოს. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ მეფაბრიკეს შეეძლოს უკანონოდ დააჯარიმოს მუშა და არ დაუბრუნოს უმართებულოდ დაკავებული ფული. მაგრამ, როდესაც ეს კანონი სახელმწიფო საბჭოში ირჩეოდა, თურმე გადაუწყვეტიათ, რომ ამაზე გ ა ნ გ ე ბ არაფერი თქმულიყო. სახელმწიფო საბჭოს წევრებმა სცნეს, რომ მუშებისათვის უმართებულოდ გადახდევინებული ფულის უკანვე დაბრუნების მოთხოვნის უფლების მინიჭება «მუშების თვალში შეასუსტებს იმ მნიშვნელობას, რომელიც გათვალისწინებულია მიეკუთვნოს ფაბრიკის გამგეს, მუშებს შორის წესრიგის დაცვის მიზნით». აი როგორ მსჯელობენ სახელმწიფო ადამიანები მუშებზე! მეფაბრიკემ თუ უმართებულოდ გადაახდევინა მუშას ფული, მუშას არ უნდა მიეცეს ამ ფულის უკანვე გამოთხოვის უფლება. რათ უნდა წაერთვას მუშას მისი ფული? — იმიტომ რომ საჩივრები «შეასუსტებენ გამგეთა მნიშვნელობას»! მაშასადამე, «გამგეთა მნიშვნელობა» და «ფაბრიკებში წესრიგის დაცვა» მხოლოდ იმაზეა დამყარებული, რომ მუშებმა არ იციან თავიანთი უფლებები და «ვერ გაბედავენ» უჩივლონ უფროსებს, თუნდაც ეს უკანასკნელნი კანონს არღვევ-

დნენ! მაშასადამე, სახელმწიფო ადამიანებს პირდაპირ ეშინიათ, ვაი თუ მუშებმა მოიწადინონ თვალყური ადევნონ ჯარიმების დადების სისწორესაო! მუშებმა მადლობა უნდა გადაუხადონ სახელმწიფო საბჭოს წევრებს იმ გულახდილობისათვის, რომელიც აჩვენებს მუშებს, თუ რას უნდა მოელოდნენ ისინი მთავრობისაგან. მუშებმა უნდა აჩვენონ მათ, რომ თავიანთ თავს ისეთივე ადამიანებად სთვლიან, როგორიც მეფაბრიკეები არიან, და არავის არ მისცემენ ნებას ისე მოეპყრან მათ, როგორც პირუტყვს. ამიტომ მუშებმა თავიანთ მოვალეობად უნდა მიიჩნიონ გაუსაჩივრებლად არ დასტოვონ უმართებულო დაჯარიმების არც ერთი შემთხვევა, აუცილებლად უნდა წარუდგინონ მოთხოვნა ფულის უკანვე დაბრუნების შესახებ, — ან ინსპექტორს, ანდა, თუ ის უარს იტყვის, სასამართლოს. — თუნდაც მუშები ვერაფერს გახდნენ ვერც ინსპექტორებთან და ვერც სასამართლოში, — მათი მეცადინეობა მაინც ფუჭად არ ჩაივლის: ამით მუშებს თვალი აეხილებათ, ისინი დაინახავენ, თუ როგორ ეპყრობიან ჩვენებური კანონები მუშათა უფლებებს.

ამრიგად, ახლა ჩვენ ვიცით, რომ ჯარიმებს გამგეები ადებენ თავისი «საკუთარი უფლებით». — მაგრამ თვითეულ ფაბრიკაში შეიძლება სხვადასხვა სიდიდის ჯარიმა (ვინაიდან კანონი ხომ მხოლოდ ზღვარს აწესებს, რომელსაც ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს), სხვადასხვანაირი შინაგანრიგების წესი იყოს. ამიტომ კანონი მოითხოვს, რომ ყოველივე დარღვევა, რისთვისაც ჯარიმები დაიდება, და თვითეული დარღვევისათვის ჯარიმის სიდიდე წინდაწინვე იყოს ნაჩვენები ს ა ს ჯ ე ლ თ ა ტ ა ბ ე ლ შ ი. ამ ტაბელს ცალკე ადგენს თვითეული მეფაბრიკე და მექარხნე და ამტკიცებს საფაბრიკო ინსპექტორი. კანონით ეს ტაბელი გამოკრული უნდა იყოს ყოველ სახელოსნოში.

იმისათვის, რომ შეიძლებოდეს თვალყურის დევნება — მართებულად ხდება თუ არა დაჯარიმება და რამდენ ჯარიმას ადებენ, საჭიროა, რომ უკლებლივ ყველა ჯარიმა სწორად იწე-

რებოდეს. კანონი მოითხოვს, რომ ჯარიმა მუშის ანგარიშსწორების წიგნაკში იწერებოდეს «დაჯარიმების დროიდან არა უგვიანეს სამი დღისა». უნდა ჩაიწეროს, ჯერ-ერთი, დაჯარიმების საბაბი (ე. ი. რისთვისაა დაჯარიმებული, — დაუდევარი მუშაობისათვის და სახელდობრ რა სახის დაუდევრობისათვის, გაცდენისა თუ წესრიგის დარღვევისათვის და სახელდობრ რა დარღვევისათვის) და, მეორეც, ჯარიმის სიდიდე. — ანგარიშსწორების წიგნაკში ჯარიმების ჩაწერა საჭიროა იმისათვის, რომ მუშებს შეეძლოთ შეამოწმონ დაჯარიმების სისწორე და რაიმე უკანონობის შემთხვევაში დროზე გაასაჩივრონ იგი. შემდეგ, ყველა ჯარიმა უნდა იწერებოდეს განსაკუთრებულ ზონარგაყრილ დავთარში, რომელიც ყველა ფაბრიკა-ქარხანას უნდა ჰქონდეს, რათა ინსპექციას შეეძლოს ჯარიმების შემოწმება.

ამის გამო, შეიძლება, ზედმეტი არ იყოს ორიოდე სიტყვა ვთქვათ მეფაბრიკეებსა და ინსპექტორებზე საჩივრების შეტანის შესახებ, რადგანაც მუშებმა მეტწილად არ იციან, ვისთან და როგორ იჩივლონ. — კანონით ფაბრიკასა თუ ქარხანაში კანონის ყოველგვარი დარღვევა საფაბრიკო ინსპექტორთან უნდა გასაჩივრდეს. იგი ვალდებულია მიიღოს უკმაყოფილების სიტყვიერი თუ წერილობითი განცხადება. თუ საფაბრიკო ინსპექტორმა თხოვნა არ შეიწყნარა, მაშინ შეიძლება მიმართონ უფროს ინსპექტორს, რომელიც აგრეთვე ვალდებულია დანიშნული ჰქონდეს მიღების დღეები განცხადებათა მოსასმენად. — გარდა ამისა, უფროსი ინსპექტორის კანცელარია ყ ო ვ ე ლ დ ღ ე ღია უნდა იყოს იმ პირთათვის, რომელთაც ცნობისა და განმარტების მიღება ანდა განცხადების შეტანა სურთ (იხ. «განაწესი საფაბრიკო ინსპექციის მოხელეთათვის», გვ. 18). ინსპექტორის გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა შეიძლება საფაბრიკო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში*. ამ საჩივრებისათვის

* ვინ შედის საფაბრიკო საკრებულოში? გუბერნატორი, პროკურორი, ადგილობრივ სამმართველოს უფროსი, საფაბრიკო ინსპექტორი და ორი

კანონით დაწესებულია ერთი თვის ვადა დღიდან ინსპექტორის მიერ თავისი განკარგულების გამოცხადებისა. შემდეგ, საფაბრიკო საკრებულოს დადგენილება შეიძლება იმავე ვადაში გასაჩივრდეს ფინანსთა მინისტრთან.

როგორც ხედავთ, კანონში ძალიან ბევრი პირია ნაჩვენები, ვისთანაც საჩივრის შეტანა შეიძლება. ამასთან საჩივრის შეტანის უფლება ერთნაირად აქვთ მეფაბრიკესაც და მუშასაც. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ეს დაცვა მარტო ქაღალდზე რჩება. მეფაბრიკეს სრული შესაძლებლობა აქვს საჩივრები შეიტანოს, — მას თავისუფალი დრო აქვს, სახსრები მოეპოვება ვექილის ასაყვანად და ა. შ., და ამიტომ მეფაბრიკეები მართლაც უჩივიან ხოლმე ინსპექტორებს, მინისტრამდე მიდიან და უკვე მოიპოვეს სხვადასხვა შეღავათი. მუშისათვის კი საჩივრის შეტანის უფლება მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. უწინარეს ყოვლისა, მუშას დრო არა აქვს ინსპექტორებთან და კანცელარიებში იაროს! ის მუშაობს, «გაცდენისათვის» კი მას აჯარიმებენ. მას ფული არა აქვს, რომ ვექილი აიყვანოს. ის კანონებს არ იცნობს, და ამიტომ მას არ შეუძლია თავისი უფლება დაიცვას. ხოლო უფროსები არამცთუ არ ზრუნავენ იმაზე, რომ მუშებმა კანონები იცოდნენ, არამედ, პირიქით, ცდილობენ დაუმალონ მუშას ეს კანონები. იმათთვის, ვისაც ეს არ სჯერა, მოვიყვანთ შემდეგ წესს «განაწესიდან საფაბრიკო ინსპექციის მოხელეთათვის» (ეს განაწესი მინისტრის მიერ არის დამტკიცებული და განმარტავს საფაბრიკო ინსპექტორთა უფლება-მოვალეობას): «საფაბრიკო ინსპექტორი კანონის და მისი განვითარების მიზნით გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის შესახებ ყოველგვარ განმარტებას სამრეწველო დაწესე-

---

მ ე ფ ა ბ რ ი კ ე. — ამას რომ დაემატოს ციხის უფროსი და კაზაკების სარდალი, აქ იქნებიან ყველა მოხელენი, რომელნიც ახორციელებენ «რუსეთის საიმპერატორო მთავრობის მზრუნველობას მუშათა კლასის მიმართ».

ბულების მფლობელს ან მის გამგეს აძლევს აუცილებლად მუშის დაუსწრებლად» *. ხედავთ! თუ მეფაბრიკე არღვევს კანონს, ინსპექტორი ვერ გაბედავს მ უ შ ე ბ ი ს თ ა ნ ა დ ა ს წ რ ე ბ ი თ უთხრას მეფაბრიკეს ამის შესახებ: მინისტრი უკრძალავს! თორემ მუშები შეიძლება მართლაც გაეცნონ კანონს და მისი შესრულება მოითხოვონ! ტყუილად კი არ სწერდა «მოსკოვსკიე ვედომოსტი», ეს მხოლოდ «გარყვნილება» იქნებოდაო!

ყოველმა მუშამ იცის, რომ მისთვის თითქმის სრულიად მიუწვდომელია საჩივრები, განსაკუთრებით ინსპექტორზე. რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ მუშებმა საჩივრები არ უნდა აღძრან: პირიქით, ყოველთვის, როდესაც თუნდაც რაიმე შესაძლებლობა არსებობს, აუცილებლად უნდა აღძრან ხოლმე საჩივარი, იმიტომ რომ მუშები მხოლოდ ამ გზით გაეცნობიან თავიანთ უფლებებს და გაიგებენ, ვისი ინტერესების დასაცავად არის დაწერილი საფაბრიკო კანონები. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ მუშათა მდგომარეობის არავითარი სერიოზული და საერთო გაუმჯობესება საჩივრების გზით არ შეიძლება. ამისათვის მხოლოდ ერთი გზაა: მუშები უნდა გაერთიანდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად, მეპატრონეთა მხრივ შევიწროებასთან საბრძოლველად, უფრო ხეირიანი გასამრჯელოსი და უფრო მოკლე სამუშაო დღის მოსაპოვებლად.

VI

რას უნდა ხმარდებოდეს, კანონით, ჯარიმის ფული?

ახლა მივმართოთ უკანასკნელ კითხვას, რომელიც ჯარიმებს შეეხება: როგორ იხარჯება ჯარიმის ფული? — ჩვენ უკვე ვთქვით, რომ 1886 წლამდე ეს ფული მეფაბრიკეებისა და მექარხნეების ჯიბეში მიდიოდა. მაგრამ ეს წესი იმდენ

* «განაწესის» 26-ე მუხლის შენიშვნა.

ბოროტმოქმედებას იწვევდა და იმ ზომადე აღიზიანებდა მუშებს, რომ თვით მეპატრონეებმაც შეიგნეს ამ სისტემის გაუქმების აუცილებლობა. ზოგიერთ ფაბრიკაში თავისთავად დაწესდა ჯარიმის ფულიდან მუშებისათვის დახმარების მიცემის ჩვეულება. მაგალითად, იმავე მოროზოვთან ჯერ კიდევ 1885 წლის გაფიცვამდე დადგენილი იყო, რომ ჯარიმები თამბაქოს მოწევისა და არაყის შეტანისათვის გადასცემოდა დასახიჩრებულთა დასახმარებლად, ხოლო ჯარიმები დაუდევარი მუშაობისათვის — მეპატრონეს.

1886 წლის ახალმა კანონმა საერთო წესად დაადგინა, რომ ჯარიმები არ შეიძლება მეპატრონის ჯიბეში მიდიოდეს. კანონში ნათქვამია: «მუშებისათვის გადახდევინებული ფული ყოველ ფაბრიკაში უნდა მოხმარდეს განსაკუთრებული კაპიტალის შედგენას, რომელიც ფაბრიკის მმართველობის გამგებლობაში უნდა იმყოფებოდეს. ეს კაპიტალი, ინსპექტორის ნებართვით, შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ თვით მუშების საჭიროებას ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული და შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებული წესების მიხედვით». ამრიგად, კანონით ჯარიმები მხოლოდ თვით მუშების საჭიროებაზე უნდა იხარჯებოდეს. ჯარიმის ფული — ეს მუშების საკუთარი ფულია მათი გასამრჯელოდან დაკავებული.

საჯარიმო კაპიტალის დახარჯვის წესები, რომლებზედაც კანონშია ლაპარაკი, გამოიცა მხოლოდ 1890 წელს (4 დეკემბერს), ე. ი. კანონის გამოქვეყნებიდან მთელი 3½ წლის შემდეგ. ამ წესებში ნათქვამია, რომ ჯარიმის ფული, უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ, მუშების შემდეგ საჭიროებებზე იხარჯება: «ა) იმ მუშების დახმარებაზე, რომელთაც სამუდამოდ დაჰკარგეს შრომის უნარი ანდა ავადმყოფობის გამო დროებით არ შეუძლიათ მუშაობა». ამჟამად დასახიჩრებული მუშები ჩვეულებრივ სრულიად უსახსროდ რჩებიან. მეფაბრიკესთან დავა რომ დაიწყონ, ისინი, ჩვეულებრივ, გადადიან კმაყოფაზე იმ ვექილებისა, რომლებიც მათს საქმეებს აწარმოებენ და ამ მოწ-

ყალების სამაგიეროდ თვითონ იტოვებენ მუშისათვის მიკუთვნებული საზღაურის უდიდეს ნაწილს. ხოლო თუ მუშას სასამართლოს განაჩენით მცირე საზღაურის მიღება შეუძლია, იგი ვექილს ვერც კი იშოვის. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გამოიყენონ ჯარიმის ფული; საჯარიმო კაპიტალიდან მიღებული დახმარებით მუშას შეუძლია ერთხანს იოლად წავიდეს და ვექილიც დაიქირავოს მეპატრონესთან საქმის გასაძღოლად, ისე, რომ გაჭირვების გამო მეპატრონის კაბალიდან ვექილის კაბალაში არ ჩავარდეს. თავიანთი საჯარიმო კაპიტალიდან დახმარება უნდა მიიღონ აგრეთვე იმ მუშებმა, რომელთაც ავადმყოფობის გამო სამუშაო დაჰკარგეს *.

წესების ამ პირველი პუნქტის განსამარტებლად ს.-პეტერბურგის საფაბრიკო საკრებულომ დაადგინა, რომ დახმარება უნდა გაიცეს ექიმის მოწმობის მიხედვით, არა უმეტეს წინანდელი ხელფასის ნახევრისა. ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ ს.-პეტერბურგის საფაბრიკო საკრებულომ ეს დადგენილება გამოიტანა 1895 წლის 26 აპრილის სხდომაზე. მაშასადამე, განმარტება მოხდა წესების გამოცემის 4½ წლის შემდეგ. ხოლო წესები გამოიცა კანონის გამოქვეყნების 3½ წლის შემდეგ. მაშასადამე, სულ რვა წელიწადი მოუნდა მხოლოდ იმას, რომ კანონი საკმაოდ განმარტებული ყოფილიყო!! რამდენი წელიწადიღა დასჭირდება ახლა იმას, რომ კანონი ყველასთვის ცნობილი გახდეს და ნამდვილად იქნას გამოყენებული?

მეორე, საჯარიმო კაპიტალიდან გაიცემა «ბ) დახმარება მუშა-ქალებზე, რომელნიც ორსულობის უკანასკნელ პერიოდში იმყოფებიან და რომელნიც მშობიარობამდე ორი კვირით ადრე შესწყვეტენ მუშაობას». პეტერბურგის საფაბრიკო საკრებულოს განმარტებით, „დახმარების გაცემა მხოლოდ 4 კვირის განმავლობაში უნდა ხდებოდეს (ორი კვირა

* თავისთავად ცხადია, საჯარიმო კაპიტალიდან დახმარების მიღება მუშას უფლებას არ ართმევს მეფაბრიკეს საზღაური მოსთხოვოს, მაგალითად, დასახიჩრების შემთხვევაში.

მშობიარობამდე და ორი კვირა მას შემდეგ) და მისი ოდენობა წინანდელი გასამრჯელოს ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს.

მესამე, დახმარება გაიცემა «გ) ხანძრის ან სხვა რაიმე უბედურების გამო ქონების დაკარგვის ან გაფუჭების შემთხვევაში». ს.-პეტერბურგის საკრებულოს განმარტებით, ასეთი გარემოების დასადასტურებლად წარდგენილ უნდა იქნას პოლიციის მოწმობა, და დახმარება არ უნდა აღემატებოდეს ნახევარი წლის გასამრჯელოს $^2/_3$ -ს (ანუ ოთხი თვის გასამრჯელოს).

დასასრულ, მეოთხე, დახმარება გაიცემა «დ) დასაკრძალავად». ს.-პეტერბურგის საკრებულოს განმარტებით, ეს დახმარება უნდა გაიცეს მხოლოდ იმ მუშებისათვის, რომელნიც ამ ფაბრიკაში მუშაობდნენ და გარდაიცვალნენ, ან მათი მშობლებისა და შვილებისათვის. დახმარების ოდენობაა 10-დან 20 მანეთამდე.

ასეთია დახმარების გაცემის წესებში აღნიშნული ოთხი შემთხვევა. — მაგრამ მუშებს დახმარების მიღების უფლება სხვა შემთხვევებშიც აქვთ: წესებში აღნიშნულია, რომ დახმარება «უმთავრესად» ამ ოთხ შემთხვევაში გაიცემა. მუშებს უფლება აქვთ დახმარება მიიღონ არა მარტო აქ ჩამოთვლილ შემთხვევებში, არამედ ყოველგვარი საჭიროებისთვისაც. პეტერბურგის საკრებულო ჯარიმების წესების განმარტებაში (ეს განმარტება ყველა ფაბრიკასა და ქარხანაშია გამოკრული) ამბობს: «დახმარების დანიშვნა ყველა სხვა შემთხვევაში ინსპექციის ნებართვით სწარმოებს», და ამასთან საკრებულომ დასძინა, რომ დახმარების გაცემამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეამციროს ფაბრიკის ხარჯები სხვადასხვა დაწესებულებაზე (მაგალითად, სკოლებზე, საავადმყოფოებზე და სხვ.) და სხვა სავალდებულო ხარჯები (მაგალითად, მუშების საგომთა წესიერად შენახვაზე, საექიმო დახმარებაზე და სხვ.). ეს იმას ნიშნავს, რომ საჯარიმო კაპიტალიდან დახმარების გაცემა მეფაბრიკეს უფლებას არ აძლევს ეს თავის ხარჯად

ჩასთვალოს; ეს მისი ხარჯი კი არ არის, არამედ თვით მუშების ხარჯია. მეფაბრიკის ხარჯები წინანდელი უნდა დარჩეს.

პეტერბურგის საკრებულომ კიდევ შემდეგი წესი დაადგინა: «მუდმივ დახმარებათა გაცემის თანხა არ უნდა აღემატებოდეს წლიურად შემოსული ჯარიმების ნახევარს». აქ განირჩევა მუდმივი დახმარება (რომელიც განსაზღვრული დროის განმავლობაში ეძლევა, მაგალითად, ავადმყოფს ან დასახიჩრებულს) და ერთდროული დახმარება (რომელიც მხოლოდ ერთხელ გაიცემა, მაგალითად, დასაკრძალავად ან ხანძრის შემთხვევაში). ერთდროული დახმარებისათვის ფული რომ დარჩეს, მუდმივი დახმარება ყველა ჯარიმის ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს.

რანაირად შეიძლება მიიღოს მუშამ დახმარება საჯარიმო კაპიტალიდან? წესების მიხედვით, მუშებმა დახმარებისათვის თხოვნით უნდა მიმართონ მეპატრონეს, რომელიც გასცემს დახმარებას ინსპექციის ნებართვით. თუ ვინიცობაა მეპატრონემ უარი სთქვა, უნდა მიმართონ ინსპექტორს, რომელსაც შეუძლია თავისი საკუთარი უფლებით დანიშნოს დახმარება.

საფაბრიკო საკრებულოს შეუძლია კეთილსაიმედო მეფაბრიკეებს ნება მისცეს ინსპექტორის უნებართვოდ გასცენ ხოლმე მცირე დახმარება (15 მანეთამდე).

ჯარიმის ფული 100 მანეთამდე ინახება ფაბრიკის პატრონთან, ხოლო ამაზე მეტი — შემნახველ სალაროში.

თუ რომელიმე ფაბრიკა ან ქარხანა დაიკეტა, საჯარიმო კაპიტალი გადაირიცხება მუშათა საერთო საგუბერნიო კაპიტალში. წესებში არაფერია ნათქვამი, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს ეს «მუშათა კაპიტალი» (რომლის შესახებ მუშებმა არაფერი იციან და არც შეიძლება იცოდნენ). სახელმწიფო ბანკში უნდა ინახებოდეს «განსაკუთრებულ დანიშნულებამდეო». თუ სატახტო ქალაქშიც კი რვა წელიწადი დასჭირდა იმას, რომ ცალკეულ ფაბრიკებში საჯარიმო კაპიტალის დახარჯვის წესები დადგენილიყო, — ალბათ, არა ერთი ათეული

წლის ლოდინი დაგვჭირდება მანამდე, სანამ «მუშათა საერთო საგუბერნიო კაპიტალის» ხარჯვის წესებს შეადგენდნენ.

ასეთია ჯარიმის ფულის ხარჯვის წესები. როგორც ხედავთ, ეს წესები მეტისმეტად რთული და არეულ-დარეულია; ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ მუშებმა დღემდე თითქმის სრულიად არაფერი იციან ამ წესების არსებობაზე. მიმდინარე წელს (1895) პეტერბურგის ფაბრიკებსა და ქარხნებში აკრავენ განცხადებებს ამ წესების შესახებ *. თვით მუშები უნდა შეეცადონ, რომ ამ წესებს ყველა იცნობდეს, რომ მუშები სწორად უყურებდნენ საჯარიმო კაპიტალიდან მიღებულ დახმარებას — არა როგორც მეფაბრიკეთა მიერ გაღებულ საჩუქარს, როგორც მოწყალებას, არამედ როგორც თავის საკუთარ ფულს, რომელიც მათი გასამრჯელოდან გაკეთებული გამორიცხვებიდან შესდგა და მხოლოდ მათს საჭიროებაზე უნდა იხარჯებოდეს. მუშებს სრული უფლება აქვთ ამ ფულის მიღება მოითხოვონ.

ამ წესების შესახებ, ჯერ-ერთი, უნდა ითქვას, თუ როგორ იყენებენ მათ, რა უხერხულობა იქმნება და რა ბოროტმოქმედება ხდება მათი განხორციელების დროს. მეორე, უნდა ვნახოთ, რამდენად სამართლიანად არის შედგენილი ეს წესები, საკმაოდ იცავს თუ არა მუშების ინტერესებს.

რაც შეეხება ამ წესების გამოყენებას, უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს პეტერბურგის საფაბრიკო საკრებულოს შემდეგი განმარტება: «თუ ამა თუ იმ მომენტში ჯარიმის ფული არ მოიპოვება..., მუშებს არ შეუძლიათ რაიმე პრეტენზია განუცხადონ ფაბრიკის მმართველობას». მაგრამ საკითხავია,

* ამრიგად, პეტერბურგში მხოლოდ 1895 წელს შეუდგნენ ჯარიმების შესახებ 1886 წლის კანონის შესრულებას. მთავარი ინსპექტორი კი, ბ-ნი მიხაილოვსკი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, 1893 წელს ამბობდა, 1886 წლის კანონი «ახლა ზუსტად სრულდებაო». — ამ პატარა მაგალითით ვხედავთ, თუ რა თავხედურ სიცრუეს სწერდა მთავარი საფაბრიკო ინსპექტორი იმ წიგნში, რომლის დანიშნულებაც არის ამერიკელებს გააცნოს რუსეთის საფაბრიკო წესები.

საიდან ეცოდინებათ მუშებს — არის თუ არა ჯარიმის ფული, და თუ არის — რამდენი? საფაბრიკო საკრებულო ისე მსჯელობს, თითქოს მუშებმა ეს იციან, — მაგრამ საკრებულო არ გარჯილა რაიმე გაეკეთებინა იმისათვის, რათა ეცნობებინა მუშებისთვის საჯარიმო კაპიტალის მდგომარეობა, მას ვალდებული არ გაუხდია მეფაბრიკეები და მექარხნეები გამოეკრათ განცხადებანი ჯარიმის თანხების შესახებ. — ნუთუ საფაბრიკო საკრებულოს ჰგონია, რომ საკმარისია მუშებმა გაიგონ ეს მეპატრონესთან, რომელიც კინწის კვრით გამოაგდებს მთხოვნელებს, როცა ჯარიმის ფული არ არის? ეს უმსგავსობა იქნებოდა, რადგანაც მაშინ მეპატრონეები დახმარების მთხოვნელ მუშებს ისე მოექცეოდნენ, როგორც მათხოვრებს. — მუშებმა აუცილებლად უნდა მიაღწიონ, რომ ყოველ ფაბრიკა-ქარხანაში ყოველთვიურად გამოკრული იყოს განცხადება საჯარიმო კაპიტალის მდგომარეობის შესახებ: რამდენი ფულია ამჟამად, რამდენი შემოვიდა უკანასკნელ თვეში, რამდენი დაიხარჯა და «რა საჭიროებაზე»? უამისოდ მუშებს არ ეცოდინებათ, რამდენის მიღება შეუძლიათ; არ ეცოდინებათ, შეიძლება თუ არა საჯარიმო კაპიტალიდან ყველა მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს თუ მხოლოდ ერთი ნაწილი, — ამ შემთხვევაში სამართლიანი იქნებოდა ყველაზე არსებით საჭიროებათა გამოყოფა. უკეთ მოწყობილმა ქარხნებმა აქა-იქ თავისით შემოიღეს ასეთი განცხადებები: ს.-პეტერბურგში, მგონი, ეს ხდება სიმენსისა და გალსკეს ქარხანაში და სახაზინო სავაზნე ქარხანაში. თუ ინსპექტორთან ყოველი საუბრის დროს მუშა დაბეჯითებით მოითხოვს ამ გარემოებისათვის ყურადღების მიქცევას და განცხადების გამოკვრის აუცილებლობას, მაშინ მუშები, ალბათ, შესძლებენ, რომ ეს ყველგან იქნას შემოღებული. შემდეგ, მუშებისთვის ძალიან მოხერხებული იქნებოდა, რომ ფაბრიკა-ქარხნებში შემოღებული იყოს საჯარიმო კაპიტალიდან დახმარების მისაღებად თხოვნა-

თა დაბეჭდილი ბლანკები *. ასეთი ბლანკები შემოღებულია, მაგალითად, ვლადიმირის გუბერნიაში. თვით მუშისათვის ადვილი როდია მთელი თხოვნის დაწერა, ესეც არ იყოს, იგი ვერ შესძლებს ყველაფერი დასწეროს, რაც საჭირო იქნება, ბლანკში კი ყველაფერი აღნიშნულია და მან მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უნდა ჩასწეროს თავისუფალ ადგილებში. ბლანკები თუ არ შემოიღეს, ბევრი მუშა იძულებული იქნება თხოვნების შესადგენად გადამწერებს მიმართოს, ეს კი ხარჯებს მოითხოვს. რა თქმა უნდა, თანახმად წესებისა, დახმარების თხოვნა შეიძლება სიტყვიერიც იყოს, მაგრამ, ჯერ-ერთი, მუშამ, სულ ერთია, უნდა იშოვოს წესებით გათვალისწინებული წერილობითი მოწმობა პოლიციისა თუ ექიმისა (ბლანკზე დაწერილი თხოვნის დროს იქვე, იმავე ბლანკზე იწერება ეს მოწმობაც) და, მეორეც, სიტყვიერ თხოვნაზე ზოგიერთმა მეპატრონემ, შეიძლება, პასუხი არც კი გასცეს, წერილობითზე კი იგი ვალდებულია უპასუხოს. დაბეჭდილი განცხადება, შეტანილი ფაბრიკა-ქარხნის კანტორაში, დახმარების გაღების თხოვნას მათხოვრულ ხასიათს დაუკარგავს, მეპატრონეები კი ცდილობენ მას ასეთი ხასიათი მისცენ. ბევრი მეფაბრიკე და მექარხნე განსაკუთრებით უკმაყოფილოა იმით, რომ ჯარიმის ფული, კანონით, მათ ჯიბეში კი არ მიდის, არამედ მუშების საჭიროებას ხმარდება. ამიტომ ბევრ ხრიკსა და ფანდს იგონებდნენ, რომ მუშები და ინსპექტორები გაეცურებინათ და კანონისათვის გვერდი აევლოთ. მუშების გასაფრთხილებლად ზოგიერთ ასეთ ფანდზე მოგითხრობთ.

ზოგიერთ მეფაბრიკეს დავთარში ჯარიმები შეჰქონდა არა როგორც ჯარიმები, არამედ როგორც მუშისათვის მიცემული ფული. მუშას ერთი მანეთით დააჯარიმებდნენ, დავთარში კი ჩასწერდნენ, მუშას ერთი მანეთი მიეცაო. როდესაც ხელფა-

* ესე-იგი დაბეჭდილი განცხადებები, რომლებშიც თვით თხოვნა დაბეჭდილია და დატოვებულია თავისუფალი ადგილები, სადაც ჩაიწერება ფაბრიკის სახელწოდება, რა შემთხვევისთვის ითხოვენ დახმარებას, საცხოვრებელი ადგილი, ხელის მოწერა და სხვ.

სის მიღებისას მუშას ამ მანეთს გამოუქვითავდნენ, ეს ფული მეფაბრიკის ჯიბეში რჩებოდა. ეს უკვე არამცთუ კანონის გვერდის ახვევაა, არამედ აშკარა მოტყუება და სიყალბის ჩადენაც არის.

სხვა მეფაბრიკეები გაცდენისათვის ჯარიმების ნაცვლად მუშას უწერდნენ არა ყველა სამუშაო დღეს, არამედ ნაკლებს, ე. ი., თუ მუშამ, მაგალითად, კვირაში ერთი დღე გააცდინა, მას უწერენ არა ხუთ დღეს, არამედ ოთხს: ერთი დღის ხელფასი (რომელიც გაცდენის ჯარიმას უნდა წარმოადგენდეს და საჯარიმო კაპიტალში უნდა შედიოდეს) მეპატრონეს რჩება. ესეც უხეში მოტყუებაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მუშები სრულიად უძლურნი არიან თავი დაიფარონ ასეთი მოტყუებისაგან *, რადგანაც საჯარიმო კაპიტალის მდგომარეობის შესახებ მათ არაფერს ეუბნებიან. როდესაც ყოველთვიურად გამოკრული იქნება დაწვრილებითი განცხადებანი (იმის აღნიშვნით, თუ ყოველ ცალკეულ სახელოსნოში რამდენი ჯარიმაა კვირაში), მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მუშებს თვალყური ადევნონ იმას, რომ ჯარიმები ნამდვილად საჯარიმო კაპიტალში შედიოდეს. ვინღა უნდა ადევნოს თვალყური ყველა ამ ჩანაწერის სისწორეს, თუ არა თვით მუშებმა? საფაბრიკო ინსპექტორებმა? მაგრამ როგორ შეიტყოს ინსპექტორმა, რომ დავთარში სწორედ ესა და ეს ციფრია ყალბად შეტანილი? საფაბრიკო ინსპექტორი, ბ-ნი მიკულინი, ამ მოტყუებაზე რომ ლაპარაკობს, შენიშნავს:

«ყველა ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელი იყო ბოროტმოქმედების აღმოჩენა, თუ ამაზე არ იყო პირდაპირი მითითებანი მუშების საჩივართა სახით». თვით ინსპექტორი აღიარებს, სიყალბეს ვერ აღმოვაჩენ, თუ მუშებმა არ მიმითითესო. მუშები კი ამას ვერ უჩვენებენ, თუ მეფაბრიკეები ვალდებული არ იქნებიან გამოაკრან განცხადებანი ჯარიმების შესახებ.

* ხოლო ასეთი მოტყუება რომ ხდება, ამას მოგვითხრობს თვით ვლადიმირის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორი, ბ-ნი მიკულინი, თავის წიგნში 1886 წლის ახალი კანონის შესახებ.

სხვა მეფაბრიკეებმა მუშების მოსატყუებლად და კანონის გვერდის ასახვევად მოიგონეს გაცილებით უფრო მარჯვე ხერხი, — ისეთი ოსტატური და საშარო ხერხები, რომ შედავება ადვილი როდი იყო. ვლადიმირის გუბერნიის ბამბეულის საფეიქრო ფაბრიკების ბევრი პატრონი ინსპექტორს დასამტკიცებლად წარუდგენდა თვითეული ხარისხის ქსოვილზე არა ერთ შეფასებას, არამედ ორს და სამსაც კი; შეფასების შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ ის ფეიქრები, რომლებსაც უნაკლო საქონელი გამოჰყავთ, ხელფასს უმაღლესი შეფასებით იღებენ, რომლებსაც ამაზე მდარე საქონელი გამოჰყავთ — მეორე შეფასებით, ხოლო იმ საქონელში, რომელიც წუნდებულად ჩაითვლება — ხელფასს ყველაზე დაბალი შეფასებით იღებენო *. ცხადია, თუ რა მიზნით არის მოგონილი ასეთი ოსტატური ხრიკი: განსხვავება მაღალ და დაბალ შეფასებას შორის მეპატრონის ჯიბეში მიდიოდა, მაშინ როდესაც ეს განსხვავება ნამდვილად ნიშნავდა ჯარიმას დაუდევარი მუშაობისათვის და ამიტომ საჯარიმო კაპიტალში უნდა გადასულიყო. ცხადია, ეს იყო კანონისათვის უხეშად გვერდის ახვევა, და არა მარტო ჯარიმების კანონისა, არამედ შეფასებათა დამტკიცების კანონისაც; შეფასებები იმისათვის მტკიცდება, რომ მეპატრონეს თვითნებურად არ შეეძლოს ხელფასის შეცვლა, ხოლო თუ შეფასება ერთი კი არ იქნება, არამედ რამდენიმე, ცხადია, მეპატრონეს სრული თვითნებობის საშუალება ეძლევა.

საფაბრიკო ინსპექტორები ხედავდნენ, რომ ასეთი შეფასებები «ა შ კ ა რ ა დ იქითკენ არის მიმართული, რომ კანონს გვერდი აუხვიონ» (ყოველივე ამას მოგვითხრობს იგივე ბ-ნი მიკულინი ზემოაღნიშნულ წიგნში), მაგრამ მაინც «თ ა ვ ი ს

* ასეთი შეფასებებია პეტერბურგის ფაბრიკებშიც; მაგალითად, სწერენ, რომ საქონლის ამა და ამ რაოდენობაში მუშა 20-დან 50 კაპიკამდე იღებსო.

თავს უფლებამოსილად ვერ სთვლიდნენ» უარი ეთქვათ პატივცემულ «ბატონ» მეფაბრიკეთათვის.

ოღონდაც. იოლი საქმე ხომ არ არის — უარი უთხრა მეფაბრიკეებს (ასეთი ხრიკი ერთმა კი არა, რამდენიმე მეფაბრიკემ გამოიგონა ერთბაშად!). აბა ერთი «ბატონ» მეფაბრიკეებს კი არა, მუშებს მოენდომებინათ კანონისათვის გვერდის ახვევა? საინტერესოა ვიცოდეთ, მოინახებოდა თუ არა მაშინ მთელი რუსეთის იმპერიაში თუნდაც ერთი ისეთი საფაბრიკო ინსპექტორი, რომელიც «თავის თავს უფლებამოსილად ვერ ჩასთვლიდა» უარი ეთქვა მუშებისათვის კანონის გვერდის ახვევის ცდაში?

ამრიგად, ეს ორ- და სამსართულიანი შეფასებები დამტკიცებულ იქნა საფაბრიკო ინსპექციის მიერ და ძალაში შევიდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ შეფასების საკითხი აინტერესებთ არა მარტო ბატონ მეფაბრიკეებს, რომელნიც კანონის გვერდის ასახვევ ხრიკებს იგონებენ, და არა მარტო ბატონ ინსპექტორებს, რომელნიც თავიანთ თავს უფლებამოსილად არა სთვლიან ხელი შეუშალონ მეფაბრიკეებს მათ კეთილ განზრახვებში, არამედ აგრეთვე... მუშებსაც. მუშებს არ აღმოაჩნდათ ასეთი სათუთი ლმობიერება ბატონ მეფაბრიკეთა თაღლითობისადმი, და მათ «თავიანთი თავი უფლებამოსილად ჩასთვალეს» ხელი შეეშალათ მეფაბრიკეებისთვის მუშების გაცურებაში.

ამ შეფასებებმა — მოგვითხრობს ბ-ნი ინსპექტორი მიკულინი — «მუშებს შორის ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ იგი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო იმ უწესოებისა და შფოთისა, რის გამოც საჭირო გახდა შეიარაღებული ძალის ჩარევა».

აი როგორაა საქმეები ამ ქვეყნად! ჯერ მათ «თავიანთი თავი უფლებამოსილად ვერ ჩასთვალეს» ხელი შეეშალათ ბატონ მეფაბრიკეებისათვის კანონის დარღვევასა და მუშების მოტყუებაში, — ხოლო როდესაც ასეთი უმსგავსობით აღშფოთებულმა მუშებმა აჯანყება დაიწყეს, მაშინ «საჭიროდ» მიიჩნიეს შეიარაღებული ძალის გამოთხოვა! რატომ იყო, რომ ეს-

შეიარაღებული ძალა «საჭირო გახდა» იმ მუშების წინააღმდეგ, რომელნიც თავიანთ კ ა ნ ო ნ ი ე რ უფლებებს იცავდნენ, და არა იმ მეფაბრიკეების წინააღმდეგ, რომელნიც აშკარად არღვევდნენ კანონს? ასეა თუ ისე, მხოლოდ მუშების აჯანყების შემდეგ «გუბერნატორის განკარგულებით ასეთი შეფასებები გაუქმებულ იქნა». მუშებმა თავისი გაიტანეს. კანონი შემოღებულ იქნა არა ბატონ საფაბრიკო ინსპექტორების მიერ, არამედ თვით მუშების მიერ, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ისინი თავიანთი აბუჩად აგდების ნებას არავის მისცემენ და შესძლებენ თავიანთი უფლებები დაიცვან. «შემდეგში — ამბობს ბ-ნი მიკულინი — საფაბრიკო ინსპექცია უკვე უარს ამბობდა ასეთ შეფასებათა დამტკიცებაზე». ამრიგად, მუშებმა ინსპექტორებს კანონის გამოყენება ასწავლეს.

მაგრამ ეს გაკვეთილი მხოლოდ ვლადიმირის გუბერნიის მეფაბრიკეებმა მიიღეს. მეფაბრიკეები კი ყველგან ერთნაირნი არიან: ვლადიმირშიც, მოსკოვშიც და პეტერბურგშიც. ამაოდ ჩაიარა ვლადიმირის მეფაბრიკეების მიერ კანონის გაბიაბრუების ცდამ, მაგრამ მათ მიერ გამოგონილი ხერხი არათუ დარჩა, არამედ ერთი პეტერბურგელი გენიალური მექარხნის მიერ იგი გაუმჯობესებულიც იქნა.

რაში მდგომარეობდა ვლადიმირის მეფაბრიკეების ხერხიანობა? იმაში, რომ არ ეხმარათ სიტყვა ჯარიმა, არამედ იგი სხვა სიტყვით შეეცვალათ. მე რომ ვთქვა — მუშა დაუდევარი მუშაობის გამო ერთი მანეთით ნაკლებს იღებს-მეთქი, — ეს ჯარიმა გამოვა და ფული საჯარიმო კაპიტალში უნდა გადაირიცხოს. მაგრამ თუ ვიტყვი, რომ მუშა დაუდევარი მუშაობის გამო დაბალი შეფასებით იღებს ხელფასს-მეთქი, — მაშინ ეს ჯარიმა აღარ იქნება და მანეთიანი ჩემს ჯიბეში ჩავა. ასე მსჯელობდნენ ვლადიმირელი მეფაბრიკეები, მაგრამ მუშებთან ეს მათ არ გაუვიდათ. შეიძლება ცოტა სხვანაირადაც ვიმსჯელოთ. შეიძლება ითქვას: მუშა დაუდევარი მუშაობის გამო ხელფასს იღებს ჯილდოს მ ი უ ღ ე ბ ლ ა დ, მაშინ ესეც ჯარიმა არ იქნება და მანეთიანი მეპატრონის ჯიბეში ჩავა. აი

სწორედ ასეთი მსჯელობა გამოიგონა გაქნილმა პეტერბურგელმა მექარხნემ იაკოვლევმა, მექანიკური ქარხნის მეპატრონემ. იგი ასე ამბობს: თქვენ დღეში მანეთს მიიღებთ, მაგრამ, თუ არაფერს დააშავებთ, დღეებს არ გააცდენთ, უხეშად არ მოიქცევით, წესიერად იმუშავებთ, «ჯილდოდ» დღეში 20 კაპიკი მოგეცემათო. ხოლო თუ რაიმე დააშავეს, მეპატრონე ამ 20 კაპ. უქვითავს და, რა თქმა უნდა, ჯიბეში იდებს, — იმიტომ რომ ეს ხომ «ჯილდოა» და არა ჯარიმა. მთელი კანონები იმის შესახებ, თუ რა დანაშაულისთვის შეიძლება ჯარიმის დადება, რა რაოდენობით და როგორ უნდა იხარჯებოდეს ეს ფული მუშათა საჭიროებაზე, — თურმე ბ-ნ იაკოვლევისთვის არ არსებობს. კანონები «ჯარიმების» შესახებ არის დაწერილი, მას კი «ჯილდოსთან» აქვს საქმე. ეს გაქნილი მექარხნე დღემდე ატყუებს მუშებს თავისი შარიანი ხრიკით. ალბათ, პეტერბურგელმა საფაბრიკო ინსპექტორმაც «უ ფ ლ ე ბ ა-მ ო ს ი ლ ა დ ვ ე რ ს ც ნ ო თ ა ვ ი» ხელი შეუშალოს მას კანონის გვერდის ახვევაში. იმედი ვიქონიოთ, რომ პეტერბურგის მუშები არ ჩამორჩებიან ვლადიმირის მუშებს და ასწავლიან ინსპექტორსა და მექარხნეს, თუ როგორ უნდა კანონის დაცვა.

იმის საჩვენებლად, თუ რა დიდძალი ფული სდგება ჯარიმებისაგან, მოვიყვანთ ცნობებს ვლადიმირის გუბერნიაში საჯარიმო კაპიტალების სიდიდის შესახებ.

იქ დახმარების გაცემა დაიწყო 1891 წლის თებერვლიდან. 1891 წლის ოქტომბრამდე დახმარება მიეცა 3 665 პირს 25 458 მან. 59 კაპიკის რაოდენობით. 1891 წლის 1 ოქტომბრისათვის საჯარიმო კაპიტალი შეადგენდა 470 052 მან. 45 კაპიკს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჯარიმის ფულს კიდევ ერთი სხვა დანიშნულებაც მიეცა. ერთ ფაბრიკაში საჯარიმო კაპიტალი 8 242 მან. 46 კაპიკს შეადგენდა. ეს ფაბრიკა გაკოტრდა, და მუშები ზამთარში ულუკმაპუროდ და უსაქმოდ დარჩნენ. მაშინ ამ კაპიტალიდან მუშებს, რიცხვით 800 კაცს, დახმარებად მისცეს 5 820 მანეთი.

1891 წლის 1 ოქტომბრიდან 1892 წლის 1 ოქტომბრამდე ჯარიმად გადაახდევინეს 94 055 მან. 47 კაპ., ხოლო დახმარებად 6 312 კაცზე 45 200 მან. 52 კაპიკი გასცეს. ეს დახმარება სხვადასხვა მუხლის მიხედვით ასე იყო განაწილებული: 208 პირს შრომის უნარის დაკარგვის გამო ყოველთვიური პენსიის სახით მიეცა 6 198 მან. 20 კაპ., მაშასადამე, საშუალოდ 1 კაცზე წელიწადში მოდის 30 მან. (ასეთ მათხოვრულ დახმარებას უნიშნავენ მაშინ, როდესაც ათეულ ათას მანეთობით ჯარიმის ფული მოუხმარებლად დევს!). შემდეგ, ქონების დაკარგვის გამო 1 037 პირს 17 827 მან. 12 კაპ. მისცეს, საშუალოდ კაცზე 18 მანეთი. ორსულ ქალებს 2 669 შემთხვევაში მიეცა 10 641 მან. 81 კაპ., საშუალოდ 4 მანეთი თვითეულს (ეს სამ კვირაში — ერთი მშობიარობამდე და ორი კვირაც მშობიარობის შემდეგ). ავადმყოფობის გამო 877 მუშას 5 380 მან. და 68 კაპ. მიეცა, საშუალოდ 6 მანეთი თვითეულს. დასაკრძალავად 1 506 მუშას მიეცა 4 620 მან. (სამ-სამი მანეთი) და სხვადასხვა შემთხვევის გამო 15 კაცს მიეცა 532 მან. 71 კაპ.

ახლა ჩვენ სავსებით გავეცანით წესებს ჯარიმის თანხების შესახებ და იმასაც, თუ როგორ ხორციელდება ეს წესები. ვნახოთ, სამართლიანია თუ არა ეს წესები და საკმაოდ იცავენ თუ არა ისინი მუშათა უფლებებს.

როგორც ვიცით, კანონით დადგენილია, რომ ჯარიმის ფული ფაბრიკის მეპატრონეს არ ეკუთვნის, ეს ფული შეიძლება მხოლოდ მუშების საჭიროებას ხმარდებოდეს. ფულის ხარჯვის წესები მინისტრებს უნდა დაემტკიცებინათ.

რა გამოვიდა ამ წესებიდან? ეს ფული მუშებისაგან შეჰკრიბეს და მათ საჭიროებაზე იხარჯება, — ხოლო წესებში ისიც კი არ არის ნათქვამი, რომ მეპატრონენი ვალდებულნი არიან მუშებს საჯარიმო კაპიტალის მდგომარეობა გააცნონ. მუშებს მინიჭებული არა აქვთ უფლება იყოლიონ ამორჩეული კაცები, რათა თვალყური ადევნონ საჯარიმო კაპიტალში ჯარიმის ფულის მიზნებულად შემოსვლას, რათა მიიღონ

მუშებისაგან განცხადებები და გაანაწილონ დახმარება. კანონში ნათქვამი იყო, დახმარება «ინსპექტორის ნებართვით» გაიცემაო, მინისტრების მიერ გამოცემული წესებით კი გამოვიდა, რომ მუშამ დახმარების თხოვნით მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ს უნდა მიმართოს. რატომ უნდა მიმართოს მეპატრონეს? ეს ფული ხომ მეპატრონისა არ არის, არამედ მუშებისაა, მათი ხელფასიდან დაქვითვისგან არის შემდგარი! თვითონ მეპატრონეს უფლება არა აქვს ხელი ახლოს ამ ფულს: თუ მან ეს ფული დახარჯა — ამისათვის პასუხს აგებს, როგორც მითვისებისა და გაფლანგვისათვის, ისევე, როგორც სხვისი ფულის დახარჯვისათვის. აშკარაა, მინისტრებმა იმიტომ გამოსცეს ასეთი წესი, რომ უნდოდათ მეფაბრიკეთა გული მოეგოთ: ახლა მუშებმა მეპატრონეს უნდა ს თ ხ ო ვ ო ნ დახმარება, თითქოს მოწყალებას ითხოვდნენ. მართალია, თუ მეპატრონე უარს იტყვის, ინსპექტორს თვითონ შეუძლია დაუნიშნოს დახმარება. მაგრამ ინსპექტორმა ხომ თვითონ არაფერი იცის — მას მეპატრონე ეტყვის, ეს მუშა ასეთი და ისეთია, იგი დახმარების ღირსი არ არისო, და ინსპექტორიც დაუჯერებს *. ესეც არ იყოს, განა ბევრი მოინახება ისეთი მუშა, რომელიც საჩივრით მიმართავს ინსპექტორს, სამუშაო დროს დაჰკარგავს მასთან სიარულზე, თხოვნების წერაზე და სხვ.? სინამდვილეში, მინისტრების წესების წყალობით, მხოლოდ ის გამოდის, რომ იქმნება მეპატრონეებზე მუშების დამოკიდებულების

* დაბეჭდილ განცხადებაში დახმარების შესახებ, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ვლადიმირის საფაბრიკო საკრებულომ ფაბრიკა-ქარხნებს დაუგზავნა და რომელიც წარმოადგენს მუშებისათვის ამ «წესების» გამოყენების ყველაზე მოხერხებულ საშუალებას, ნათქვამია: «ფაბრიკის კანტორა ადასტურებს ხელმოწერას, განცხადების შინაარსს და დასძენს, რომ, მისი აზრით, მთხოვნელი ღირსია ამდენი და ამდენი დახმარებისა».

მაშასადამე, კანტორას ყოველთვის შეუძლია მიზეზების განუმარტებლადაც დასწეროს, რომ, «მისი აზრით», მთხოვნელი დახმარების ღირსი არ არის.

დახმარებას მიიღებენ არა ისინი, ვისაც ესაჭიროება, არამედ ისინი, ვინც «მეფაბრიკეების. აზრით ამის ღირსია».

ახალი ფორმა. მეპატრონეებს საშუალება ეძლევათ შეავიწროონ ის მუშები, რომლებითაც უკმაყოფილონი არიან, იქნებ იმიტომაც, რომ ეს მუშები თავს არ აბრიყვებინებენ: თხოვნაზე უარს რომ ეტყვიან, მეპატრონეები ასეთ მუშას უთუოდ მრავალ ზედმეტ სადავიდარაბოს გაუჩენენ და შესაძლოა იმასაც მიაღწიონ, რომ ასეთმა მუშამ სულაც ვერ მიიღოს დახმარება. პირიქით, იმ მუშებს, რომელნიც მეპატრონეების გულს იგებენ, მის წინაშე ლაქიობენ და ამხანაგებზე მაბეზღრობას ეწევიან, — მეპატრონეებს შეუძლიათ განსაკუთრებით დიდი დახმარება მისცენ მაშინაც კი, როცა სხვა მუშას უარით გაისტუმრებდნენ. ნაცვლად იმისა, რომ ჯარიმის საქმეებში მოსპობილიყო მუშების დამოკიდებულება მეპატრონეებზე, ნამდვილად ახალი დამოკიდებულება იქმნება, რომელიც მუშებს სთიშავს და ჰქმნის მლიქვნელობას და გაიძვერობას. მიაქციეთ კიდევ ყურადღება საქმის იმ ყოვლად უმსგავსო გაჭიანურებას, რომელიც, თანახმად წესებისა, თან სდევს დახმარების მიღებას: ყოველ ცალკე შემთხვევაში მუშამ მოწმობის ასაღებად უნდა მიმართოს ხან ექიმს, რომელიც მას უსათუოდ უკმეხად შეხვდება, ხან პოლიციას, რომელიც უქრთამოდ არაფერს აკეთებს. ვიმეორებთ, ყოველივე ეს კანონში ნათქვამი არ არის; ეს შემოღებულია მინისტრების წესებით, რომლებიც აშკარად მეფაბრიკეთა გულის მოსაგებად არის შედგენილი, აშკარად იქითკენ არის მიმართული, რომ გარდა მეპატრონეებზე დამოკიდებულებისა, შეჰქმნან კიდევ ახალი დამოკიდებულება მუშებისა მოხელეებზე, რათა სავსებით ჩამოაშორონ მუშები მათგანვე აღებული ჯარიმის ფულის მათსავე საჭიროებაზე ხარჯვის საქმეს, რათა გააბან უაზრო ბიუროკრატიულ ფორმალობათა ქსელი, რაც აჩლუნგებს მუშებს და დემორალიზაცია შეაქვს * მათში.

ალმაშფოთებელი უსამართლობაა მეპატრონისთვის იმის უფლების მინიჭება, რომ მან გასცეს ჯარიმის ფულიდან დახმარება. მუშებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ კანონით მათ მიე-

* თიშავს მუშებს, ჰქმნიხ მლიქვნელობას, ავითარებს ცუდ ზნეს.

ცეთ უფლება აირჩიონ დეპუტატები (ამორჩეული კაცები), რომელნიც თვალყურს ადევნებენ ჯარიმების საჯარიმო კაპიტალში შემოსვლას, მიიღებენ და შეამოწმებენ მუშების განცხადებებს დახმარების მიცემის შესახებ, ანგარიშს წარუდგენენ მუშებს კაპიტალის მდგომარეობისა და მისი ხარჯვის შესახებ. იმ ქარხნებში, სადაც ამჟამად უკვე არიან დეპუტატები, მათ ყურადღება უნდა მიაქციონ ჯარიმის ფულს, მოითხოვონ ყველა ცნობა ჯარიმების შესახებ, მიიღონ მუშების განცხადებანი და გადასცენ ისინი უფროსებს.

VII

ყველა მუშაზე ვრცელდება თუ არა ჯარიმების კანონები?

ჯარიმების კანონები, ისევე როგორც რუსეთის სხვა კანონების უმეტესობა, ყველა ფაბრიკასა და ქარხანაზე, ყველა მუშაზე როდი ვრცელდება. როდესაც რუსეთის მთავრობა რაიმე კანონს სცემს, ყოველთვის შიშობს, რომ ამით არ აწყენინოს ბატონ მექარხნეებს და მეფაბრიკეებს, შიშობს, რომ კანცელარიული წესებისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობის ეშმაკური ხლართები არ შეეჯახოს რომელიმე სხვა კანცელარიულ წესებს (ასეთი წესები კი ჩვენში აურაცხელია), რომელიმე სხვა მოხელეთა უფლება-მოვალეობას; ეს მოხელეები საშინლად შეურაცხყოფილად სთვლიან თავს, როცა მათს სფეროში ვინმე სხვა ახალი მოხელე იჭრება, და ხაზინის უამრავ მელანსა და დიდძალ ქაღალდს გადაალევენ ხოლმე მიწერ-მოწერას «უწყებათა გამიჯვნის» შესახებ. ამიტომ ჩვენში იშვიათია მთელი რუსეთისათვის ერთბაშად შემოღებული კანონი, უგამონაკლისოდ, ვადების ლაჩრულად გადაუდებლად, მინისტრებისა და სხვა მოხელეებისათვის კანონის გადახვევის უფლების მიუნიჭებლად.

ყოველივე ამან განსაკუთრებით ძლიერ იჩინა თავი ჯარიმების კანონში, რომელმაც, როგორც ვნახეთ, ბატონ კაპიტა-

ლისტების ასეთი უკმაყოფილება გამოიწვია და რომელიც გატარებულ იქნა მხოლოდ მუშების მრისხანე აჯანყებათა ზეგავლენით.

ჯერ-ერთი, ჯარიმების კანონი რუსეთის მხოლოდ მცირე ნაწილზე ვრცელდება *. ეს კანონი, როგორც ვთქვით, გამოიცა 1886 წლის 3 ივნისს და ძალაში შევიდა 1886 წლის 1 ოქტომბრიდან მ ხ ო ლ ო დ ს ა მ გ უ ბ ე რ ნ ი ა ში: პეტერბურგის, მოსკოვისა და ვლადიმირისა. ხ უ თ ი წ ლ ი ს შემდეგ კანონი გავრცელდა ვარშავისა და პეტროკოვის გუბერნიებზე (1891 წლის 11 ივნისს). კიდევ ს ა მ ი წ ლ ი ს შემდეგ 1894 წლის 15 მარტის კანონით იგი გავრცელდა 13 გუბერნიაზე (სახელდობრ: ცენტრალური გუბერნიებიდან — ტვერის, კოსტრომის, იაროსლავლის, ნიჟნი-ნოვგოროდის და რიაზანისა; ოსტზეის გუბერნიებიდან — ესტლანდიისა და ლიფლანდიისა; დასავლეთისა — გროდნოსი და კიევისა; სამხრეთისა — ვოლინის, პოდოლის, ხარკოვისა და ხერსონისა). 1892 წელს ჯარიმების წესები გავრცელდა კერძო სამთამადნო ქარხნებსა და სარეწებზე.

სამხრეთ რუსეთში კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება და სამთამადნო საქმის დიდი ზრდა თავს უყრის მუშების მასებს და აიძულებს მთავრობას აჩქარდეს.

მთავრობა, როგორც სჩანს, ძალიან ზანტად ამბობს უარს ძველ საფაბრიკო წესებზე. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი უარს ამბობს მხოლოდ მუშების ზეგავლენით: პოლონეთში მუშათა მოძრაობის გაძლიერებამ და გაფიცვებმა გამოიწვია ამ კანონის გავრცელება ვარშავისა და პეტროკოვის (პეტროკოვის გუბერნიაშია ქალაქი ლოძი) გუბერნიებზე. რიაზანის გუბერნიის ეგორიევის მაზრის ხლუდოვოს მანუფაქ-

* ეს კანონი შეადგენს ეგრეთწოდებული «მეფაბრიკეთა და მუშათა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებული წესების» ნაწილს. ეს «განსაკუთრებული წესები» ვრცელდება მხოლოდ იმ «ადგილებზე, სადაც შესამჩნევად არის განვითარებული საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა». ამ ადგილებს ქვემოთ ტექსტში მოვიხსენიებთ.

ტურაში მომხდარმა უდიდესმა გაფიცვამ მაშინვე გამოიწვია ამ კანონის გავრცელება რიაზანის გუბერნიაზე. აშკარაა, მთავრობაც «უფლებამოსილად ვერა სთვლის თავს» ბატონ კაპიტალისტებს წაართვას უკონტროლო (თვითნებური) დაჯარიმების უფლება, სანამ საქმეში თვით მუშები არ ჩაერევიან.

მეორეც, ჯარიმების კანონი, ისევე როგორც ფაბრიკა-ქარხნებზე მეთვალყურეობის ყველა სხვა წესი, არ ვრცელდება იმ დაწესებულებებზე, რომელნიც ხაზინას და მთავრობის სხვა ორგანოებს ეკუთვნიან. სახაზინო ქარხნებში ცალკე ჰყავთ მუშებზე «მზრუნველი» უფროსები, რომელთაც კანონი ჯარიმების წესებით არ აწუხებს. მართლაცდა, რა მეთვალყურეობაა საჭირო სახაზინო ქარხნებზე, როდესაც ქარხნის უფროსი თვითონ მოხელეა? მუშებს შეუძლიათ მასზე საჩივარი მასვე მოახსენონ. საკვირველი როდია, რომ სახაზინო ქარხნების ამ უფროსთა შორის გამოჩნდებიან ხოლმე ისეთი უმსგავსონი, როგორიც არის, მაგალითად, პეტერბურგის ნავსადგურის უფროსი, ბ-ნი ვერხოვსკი.

მესამეც, წესები საჯარიმო კაპიტალების შესახებ, რაც თვით მუშების საჭიროებაზე იხარჯება, არ ვრცელდება იმ რკინიგზების სახელოსნოთა მუშებზე, სადაც საპენსიო ან შემნახველ-დამხმარე სალაროები არსებობს. ჯარიმის ფული ამ სალაროებში შედის.

ყველა ეს გამონაკლისი მაინც საკმარისად არ მიიჩნიეს, და კანონში დადგენილია, რომ მინისტრებს (ფინანსთა და შინაგან საქმეთა) უფლება აქვთ, ერთის მხრივ, ამ წესებისადმი «დაქვემდებარებისაგან გაათავისუფლონ» «უმნიშვნელო ქარხნები და ფაბრიკები, თუ ამის საჭიროება ნამდვილად არის», ხოლო მეორე მხრივ, გაავრცელონ ეს წესები «მნიშვნელოვან» სახელოსნო დაწესებულებებზე.

ამრიგად, კანონმა მარტო ის კი არ მიანდო მინისტრს, რომ შეადგინოს წესები ჯარიმის ფულის შესახებ, არამედ იმის ნებაც მისცა მინისტრებს, რომ კანონისადმი დამორჩილებისაგან გაათავისუფლონ ზოგიერთი მეფაბრიკე! აი სადამდე მი-

დის ჩვენი კანონის თავაზიანობა ბატონ მეფაბრიკეებისადმი! მინისტრის ერთ-ერთ განმარტებაში ნათქვამია, რომ იგი მხოლოდ ისეთ მეფაბრიკეებს ათავისუფლებს, რომელთა შესახებაც საფაბრიკო საკრებულო «დარწმუნებულია, რომ საწარმოს მფლობელი მუშების ინტერესებს არ შელახავს». მეფაბრიკეები და საფაბრიკო ინსპექტორები ისეთი ახლო მეგობრები არიან, რომ ერთმანეთის სიტყვას ენდობიან. რა საჭიროა მეფაბრიკის შეწუხება წესებით, როდესაც იგი «ირწმუნება», მუშების ინტერესებს არ შევლახავო? აბა ერთი რომელიმე მუშას გაებედნა და ეთხოვნა ინსპექტორის ან მინისტრისთვის — წესების შესრულებისაგან გამათავისუფლეთ და, «გარწმუნებთ», მეფაბრიკის ინტერესებს არ შევლახავო? ასეთ მუშას, ალბათ, შეშლილად ჩასთვლიდნენ.

ამას ეწოდება მუშებისა და მეფაბრიკეების «თანასწორუფლებიანობა».

რაც შეეხება საჯარიმო წესების გავრცელებას მნიშვნელოვან სახელოსნო დაწესებულებებზე, დღევანდლამდე, რამდენადაც ვიცით, ეს წესები გავრცელებული იყო მხოლოდ (1893 წელს) სამუშაოთა გამცემ კანტორებზე, რომელნიც შინ მომუშავე ფეიქრებს ქსელს ურიგებენ. მინისტრებს არ ეჩქარებათ ჯარიმის წესების გავრცელება. იმ მუშების მთელი მასა, რომელნიც შინ მუშაობენ მეპატრონეებისათვის, დიდი მაღაზიებისათვის და სხვ., დღევანდლამდე ძველ მდგომარეობაში იმყოფება და სავსებით ემორჩილება მეპატრონეთა თვითნებობას. ამ მუშებისათვის უფრო ძნელია გაერთიანდნენ, თავიანთ საჭიროებებზე მოილაპარაკონ, მეპატრონეების მხრივ შევიწროების წინააღმდეგ საერთო ბრძოლა დაიწყონ. — ამიტომაც მათ ყურადღებას არ აქცევენ.

VIII

დასკვნა

ჩვენ ახლა გავეცანით ჯარიმების ჩვენს კანონებსა და წესებს, მთელ ამ მეტისმეტად რთულ სისტემას, რომელიც მუშას აფრთხობს თავისი უსულგულობითა და უხეში კანცელარიული ენით.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ისევ დავუბრუნდეთ საკითხს, რომელიც თავშივე გვქონდა დასმული — იმის შესახებ, რომ ჯარიმა წარმოშობილია კაპიტალიზმით, ე. ი. ისეთი საზოგადოებრივი წყობილებით, როდესაც ხალხი ორ კლასად არის გაყოფილი, — მიწის, მანქანების, ფაბრიკების, ქარხნების, მასალებისა და სურსათის მესაკუთრეებად — და იმ ადამიანებად, რომელთაც არავითარი საკუთრება არ მოეპოვებათ და ამიტომ კაპიტალისტებს უნდა მიეყიდონ და მათთვის იმუშაონ.

ყოველთვის ასე იყო, რომ მუშებს, რომელნიც მეპატრონისათვის მუშაობდნენ, მისთვის ჯარიმა უნდა ეხადნათ ყოველი წესის დარღვევის გამო?

პატარა საწარმოებში, — მაგალითად, ქალაქის ხელოსნებსა ან მუშებს შორის, — ჯარიმები არ არსებობს. იქ მეპატრონე და მუშა ერთიმეორეს მთლად არ არიან დაცილებულნი, ისინი ერთად ცხოვრობენ და მუშაობენ. მეპატრონე ჯარიმების შემოღებას არც კი ფიქრობს, იმიტომ რომ იგი თვითონ უყურებს მუშაობას და ყოველთვის შეუძლია გაასწორებინოს რაც არ მოეწონება.

მაგრამ ასეთი პატარა საწარმოები და წარმოებანი თანდათანობით ქრებიან. შინამრეწველებსა და ხელოსნებს, აგრეთვე წვრილ გლეხებს, არ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ დიდ ფაბრიკებს, ქარხნებსა და მსხვილ მეპატრონეებს, რომელნიც უკეთეს იარაღებს, მანქანებს იყენებენ და ერთად აერთიანებენ მუშათა მასის შრომას. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ შინამრეწველები, ხელოსნები და გლეხები უფრო და უფრო

ღატაკდებიან, მუშებად დგებიან ფაბრიკებსა და ქარხნებში, სოფელს თავს ანებებენ და ქალაქებში მიდიან.

მსხვილ ფაბრიკებსა და ქარხნებში მეპატრონესა და მუშებს შორის დამოკიდებულება უკვე ისეთი აღარაა, როგორიც წვრილ სახელოსნოებში იყო. მეპატრონე იმდენად მაღლა დგას მუშაზე სიმდიდრით, თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, რომ მათ შორის მთელი უფსკრულია, ისინი ხშირად ერთმანეთს არც კი იცნობენ და საერთო არაფერი აქვთ. მუშას არავითარი შესაძლებლობა არა აქვს ოდესმე პატრონი გახდეს: ის განწირულია მუდამ ღატაკი იყოს და მისთვის უცნობი მდიდრებისათვის მუშაობდეს. ორი-სამი მუშის ადგილას, რომელნიც წვრილ მეპატრონეს ჰყავდა, ახლა გაჩნდა მუშების მთელი მასა, რომელნიც სხვადასხვა ადგილიდან მოდიან და მუდამ ერთიმეორეს სცვლიან. მეპატრონის ცალკეულ განკარგულებათა ნაცვლად ახლა საერთო წესებია შემოღებული, რომლებიც ყველა მუშისათვის სავალდებულო ხდება. მუშისა და მეპატრონის ურთიერთობის წინანდელი მუდმივობა ქრება: მეპატრონე სრულიად არ უფრთხილდება მუშას, იმიტომ რომ მას ყოველთვის ადვილად შეუძლია სხვა დაიქირაოს იმ უმუშევართა ლაშქრიდან, რომელნიც მზად არიან ვისაც გნებავთ მიექირაონ. ამრიგად, ძლიერდება მეპატრონის უფლება მუშების მიმართ, მეპატრონე ამ უფლებით სარგებლობს და მუშას ჯარიმებით საფაბრიკო მუშაობის სასტიკ ჩარჩოებში აყენებს. მუშა იძულებულია დაემორჩილოს თავისი უფლებებისა და თავისი ხელფასის ამ ახალ შეზღუდვას, ვინაიდან იგი ახლა უმწეოა მეპატრონის წინაშე.

ამრიგად, დიდი ხანი არაა, რაც ჯარიმა წარმოიშვა ამ ქვეყნად — იგი მოგვევლინა დიდ ფაბრიკა-ქარხნებთან, მსხვილ კაპიტალიზმთან ერთად, როდესაც მდიდარ მეპატრონეებსა და ღატაკ მუშებს შორის სრული გათიშვა მოხდა. ჯარიმები კაპიტალიზმის სრული განვითარებისა და მუშის სრული დამონების შედეგად გაჩნდა.

მაგრამ დიდი ფაბრიკების ამ განვითარებამ და მეპატრონეთა

მხრივ შევიწროების გაძლიერებამ სხვა შედეგებიც გამოიწვია. მუშებმა, რომელნიც მეფაბრიკეების წინაშე სრულიად უმწეონი აღმოჩნდნენ, თანდათან შეიგნეს, რომ მათ სრული დაცემა და სიღატაკე მოელით, თუ გათიშულნი დარჩებიან. მუშებმა თანდათან შეიგნეს, რომ შიმშილით სიკვდილისა და გადაშენების თავიდან ასაცილებლად, რომლითაც მათ კაპიტალიზმი ემუქრება, მათ მოეპოვებათ მხოლოდ ერთი საშუალება — გაერთიანდნენ მეფაბრიკეების წინააღმდეგ საბრძოლველად ხელფასისა და ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის.

ჩვენ დავინახეთ, თუ მუშების რა უმსგავსო შევიწროებამდე მივიდნენ ჩვენებური მეფაბრიკეები 80-იან წლებში, როგორ გადააქციეს მათ ჯარიმები მუშის ხელფასის შემცირების საშუალებად, არ სჯერდებოდნენ რა მარტო შეფასებათა შემცირებას. კაპიტალისტების მხრივ მუშების ჩაგვრამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია.

მაგრამ ამ ჩაგვრამ მუშების წინააღმდეგობაც გამოიწვია. მუშები აჯანყდნენ შემავიწროებელთა წინააღმდეგ და გაიმარჯვეს კიდეც. შეშინებულმა მთავრობამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები და საჩქაროდ გამოსცა ჯარიმების გაუქმების კანონი.

ეს იყო დათმობა მუშების მიმართ. მთავრობას ეგონა, რომ ჯარიმების კანონებისა და წესების გამოცემით, ჯარიმის ფულიდან დახმარების გაცემის შემოღებით, იგი ერთბაშად დააკმაყოფილებდა მუშებს და დაავიწყებდა მათ თავიანთ საერთო საქმეს — მეფაბრიკეების წინააღმდეგ ბრძოლას.

მაგრამ მთავრობას, რომელიც მუშების დამცველად ასაღებს თავს, არ გაუმართლდება ასეთი იმედები. ჩვენ დავინახეთ, რა უსამართლოა ახალი კანონი მუშების მიმართ, რა ცოტა რამეა მუშებისათვის დათმობილი თუნდაც იმ მოთხოვნებთან შედარებით, რომლებიც მოროზოვის გაფიცულმა მუშებმა წამოაყენეს; დავინახეთ, თუ როგორ დაუტოვეს ყველგან ხვრელები მეფაბრიკეებს, რომელთაც კანონის დარღვევა

სურთ, თუ როგორ არის მათ სასარგებლოდ შედგენილი დახმარების წესები, რაც მეპატრონეთა თვითნებობას მოხელეთა თვითნებობასაც უმატებს.

როდესაც ასეთი კანონის, ასეთი წესების გამოყენება დაიწყება, როდესაც მუშები გაიცნობენ მათ და უფროსებთან შეტაკების დროს დაინახავენ, თუ როგორ ავიწროებს მათ ეს კანონი, — მაშინ ისინი ცოტცოტათი შეიგნებენ თავიანთ არათავისუფალ მდგომარეობას. მიხვდებიან, რომ მხოლოდ სიღატაკემ აიძულა ისინი მდიდრებისათვის იმუშაონ და გროშებს დასჯერდნენ თავიანთი მძიმე შრომისათვის. მიხვდებიან, რომ მთავრობა და მისი მოხელენი მეფაბრიკეებს ესარჩლებიან, ხოლო კანონებს ისე ადგენენ, რომ მეპატრონეს მუშის შევიწროება გაუადვილდეს.

ბოლოს, მუშებიც გაიგებენ, რომ კანონი მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაფერს აკეთებს, ვიდრე იარსებებს მუშების დამოკიდებულება კაპიტალისტებზე, იმიტომ რომ კანონი ყოველთვის კაპიტალისტ-მეფაბრიკეებისადმი მიკერძებული იქნება, იმიტომ რომ მეფაბრიკეები ყოველთვის შესძლებენ გამონახონ ხრიკები კანონის გვერდის ასახვევად.

როდესაც მუშები ამას შეიგნებენ, ისინი დაინახავენ, რომ თავის დასაცავად მათ ერთი საშუალებაღა რჩებათ — გაერთიანდნენ მეფაბრიკეებისა და იმ უსამართლო წესების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც კანონით არის დადგენილი.

გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები

(«რუსსკოე ბოგატსტვო»)

დიდი ხანია ვიცით, თუ როგორ სურთ ნაროდნიკებს გადასწყვიტონ საკითხი კაპიტალიზმის შესახებ რუსეთში; უკანასკნელ დროს ამ საკითხის ყველაზე რელიეფურ გადაწყვეტას გვიჩვენებს «რუსსკოე ბოგატსტვო» [21]. ნაროდნიკები არ უარჰყოფენ კაპიტალიზმის არსებობას, იძულებული არიან აღიარონ მისი განვითარება, მაგრამ ამასთანავე ჩვენს კაპიტალიზმს სთვლიან არა ბუნებრივ და აუცილებელ პროცესად, რომელიც აგვირგვინებს სასაქონლო მეურნეობის საუკუნეობრივ განვითარებას რუსეთში, არამედ შემთხვევით მოვლენად, რომელსაც მტკიცე ფესვები არა აქვს და რომელიც ნიშნავს მხოლოდ გადახრას ერის მთელი ისტორიული ცხოვრებით ნაკარნახევი გზიდან. «ჩვენ — ამბობენ ნაროდნიკები, — სამშობლოსათვის სხვა გზები უნდა ავირჩიოთ», კაპიტალიზმის გზას უნდა გადავუხვიოთ და წარმოება «გავათემობრივოთ», რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ არსებული ძალები «მთელი» «საზოგადოებისა», რომელიც უკვე რწმუნდება კაპიტალიზმის უძლურებაშიო.

ცხადია, თუ შესაძლებელია სამშობლოსათვის სხვანაირი გზის არჩევა, თუ მთელი საზოგადოება იწყებს ამის აუცილებლობის შეგნებას, მაშინ წარმოების «გათემობრივება» დიდ სიძნელეებს აღარ წარმოადგენს და განსაზღვრულ მოსამზადებელ ისტორიულ პერიოდს აღარ მოითხოვს. საკმარისია მხო-

ლოდ ასეთი გათემობრივების გეგმა შევიმუშავოთ, დავარწმუნოთ, ვისაც ეს ეხება, მისი განხორციელების შესაძლებლობაში, — და «სამშობლოც» კაპიტალიზმის მცდარი გზიდან განსაზოგადოების გზისაკენ გადაუხვევს.

ყველას ესმის, თუ რა უდიდეს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ამგვარი გეგმა, რომელიც ასეთ წარმტაც პერსპექტივებს გადაგვიშლის, და ამიტომაც რუსეთის საზოგადოება დიდად მადლობელი უნდა იყოს «რუსსკოე ბოგატსტვოს» ერთ-ერთი მუდმივი თანამშრომლის ბ-ნ იუჟაკოვისა იმისათვის, რომ მან ამგვარი გეგმის შემუშავება იკისრა. «რუსსკოე ბოგატსტვოს» მაისის წიგნში ჩვენ ვხედავთ მის სტატიას: «საგანმანათლებლო უტოპია» ქვესათაურით: «საყოველთაო-სახალხო სავალდებულო საშუალო განათლების გეგმა».

რა დამოკიდებულება აქვს ამას წარმოების «გათემობრივებასთან»? — იკითხავს მკითხველი. სრულიად უშუალო, რადგანაც ბ-ნ იუჟაკოვის გეგმა ძალიან ფართოა. ავტორის პროექტით ყოველ თემში უნდა დაარსდეს გიმნაზია, რომელშიც უნდა მოთავსდეს სასკოლო ასაკის მთელი მოსახლეობა მამრობითი და მდედრობითი სქესისა (8 — 20 წლისა, maximum 25 წლამდეც). ასეთი გიმნაზიები უნდა წარმოადგენდნენ საწარმოო ასოციაციებს, რომლებიც სამიწათმოქმედო და ზნეობრივ მეურნეობას მისდევენ და თავიანთი შრომით ინახავენ არა მარტო გიმნაზიების მოსახლეობას (რომელიც, ბ-ნ იუჟაკოვის აზრით, მთელი მოსახლეობის მ ე ხ უ თ ე დ ნ ა წ ი ლ ს შეადგენს), არამედ, გარდა ამისა, ბ ა ვ შ ვ თ ა მ თ ე ლ ი მ ო-ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს შენახვის საშუალებებსაც იძლევიან. დაწვრილებითი გაანგარიშება, რომელიც ავტორს მოუხდენია ერთი ტიპიური გიმნაზია-თემისათვის (იგივე — «გიმნაზია-ფერმა», «გიმნაზიის მეურნეობა» ანუ «სამიწათმოქმედო გიმნაზია»), გვიჩვენებს, რომ გიმნაზია შეინახავს სულ დიდი მ თ ე ლ ი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მ ე ტ ს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველი ასეთი გიმნაზია (პროექტით რუსეთში 20 000 ასეთი ორმაგი გიმნა-

ზია უნდა დაარსდეს, ე. ი. 20 000 ვაჟთა და 20 000 ქალთა) მომარაგდება მიწითა და წარმოების საშუალებებით (მხედველობაში მიღებულია მთავრობის გარანტიით ერობების მიერ ობლიგაციების გამოშვება 4½%-ის გადახდით და ½%-ის განაღდებით), — მაშინ მივხვდებით, თუ მართლაც რამდენად «უზარმაზარია» ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმა». ხდება წარმოების განსაზოგადოება მოსახლეობის მთელი ნახევრისათვის. მაშასადამე, ერთბაშად გამონახულია ახალი გზა სამშობლოსათვის! და ეს მიღწეული იქნება «მთავრობის, ერობისა და ხალხის მხრივ რაიმე ხარჯის გაუწევლად (sic! *)». ეს «უტოპიად გვეჩვენება მხოლოდ ერთი შეხედვით», ნამდვილად კი «მისი განხორციელება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე საყოველთაო-სახალხო დაწყებითი განათლებისა». ბ-ნი იუჟაკოვი გვარწმუნებს, რომ ამისათვის აუცილებელი საფინანსო ოპერაცია «ქიმერასა და უტოპიას არ წარმოადგენს», და მისი მიღწევა შეიძლება, როგორც უკვე დავინახეთ, არა მარტო ხარჯის, ყოველგვარი ხარჯის გაუწევლად, არამედ «დაწესებული სასწავლო გეგმების» შეუცვლელადაც კი!! ბ-ნი იუჟაკოვი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ «ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ სურვილი გვექნება მარტო ცდას კი არ დავჯერდეთ, არამედ ნამდვილ საყოველთაო-სახალხო განათლებას მივაღწიოთ». მართალია, იგი ამბობს, «მიზნად არ დამისახავს ასრულების პროექტი შემედგინაო», მაგრამ მის გადმოცემაში მოცემულია თვითეულ გიმნაზიაში მოსწავლე ვაჟებისა და ქალების ნავარაუდევი რიცხვიც, გიმნაზიების მთელი მოსახლეობის შესანახად საჭირო სამუშაო ძალის გაანგარიშებაც, ჩამოთვლილია პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალიც, ნაჩვენებია როგორც გიმნაზიის წევრთა კმაყოფა ნატურით, ისე პედაგოგების, ექიმების, ტექნიკოსებისა და ხელოსნების ფულადი ჯამაგირიც. ავტორი დაწვრილებით ანგარიშობს სამიწათმოქმედო სამუშაოთათვის

* — ასეა რ ე დ.

საჭირო სამუშაო დღეების რიცხვს, თვითეული გიმნაზიისთვის საჭირო მიწის რაოდენობას და თავდაპირველი მოწყობისათვის საჭირო ფულად სახსრებს. მას გათვალისწინებული აქვს, ერთის მხრივ, უცხოტომელთა და სექტანტთა ბედი, რომელნიც საყოველთაო-სახალხო საშუალო განათლების სიკეთით ვერ ისარგებლებენ, და, მეორე მხრივ, იმ პირთა ბედიც, რომლებიც გიმნაზიიდან გაირიცხებიან ცუდი ყოფაქცევისათვის: ავტორის გაანგარიშება მხოლოდ ერთი ტიპიური გიმნაზიით არ განისაზღვრება. არავითარ შემთხვევაში. იგი აყენებს ყველა 20 000 ორმაგი გიმნაზიის განხორციელების საკითხს და გვიჩვენებს, როგორ იქნას შეძენილი საამისოდ საჭირო მიწა და როგორ იქნას უზრუნველყოფილი «მასწავლებელთა, ადმინისტრატორთა და მეურნეთა დამაკმაყოფილებელი პერსონალი».

გასაგებია, რამდენად წარმტაც ინტერესს წარმოადგენს ასეთი გეგმა, — ინტერესს არა მარტო თეორიულს (ცხადია, წარმოების გათემობრივების ესოდენ კონკრეტულად შემუშავებულმა გეგმამ საბოლოოდ უნდა დაარწმუნოს ყველა სკეპტიკოსი და გააცამტვეროს ყველა ისინი, ვინც ამგვარი გეგმების განხორციელების შესაძლებლობას უარჰყოფს), არამედ ცხოველ პრაქტიკულ ინტერესსაც. უცნაური იქნებოდა, რომ საყოველთაო-სახალხო სავალდებულო საშუალო განათლების ორგანიზაციის პროექტისათვის უმაღლეს მთავრობას ყურადღება არ მიექცია, მეტადრე როცა ამ წინადადების ავტორი გადაჭრით ამტკიცებს, რომ საქმე «ყოველგვარი ხარჯის გაუწევლად» მოეწყობა და მას «დაბრკოლებები გადაეღობება არა იმდენად ამოცანის საფინანსო და ეკონომიური პირობების მხრივ, რამდენადაც კულტურული პირობების მხრივ», რომლებიც თუმცაღა «დაუძლეველი არ არისო». ასეთი პროექტი უშუალოდ ეხება არა მარტო სახალხო განათლების სამინისტროს, არამედ ამდენადვე შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, მიწათმოქმედების სამინისტროს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სამხედრო სამინისტროსაც კი.

ალბათ, იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში უნდა გადავიდეს პროექტით ნავარაუდევი «გამასწორებელი გიმნაზიები». ეჭვი არ არის, სხვა სამინისტროებიც დაინტერესდებიან ამ პროექტით, რომელიც, ბ-ნ იუჟაკოვის სიტყვით, «დააკმაყოფილებს ყველა ზემოხსენებულ (ე. ი. განათლებისა და შენახვის) მოთხოვნილებებს და, ალბათ, კიდევ მრავალ სხვას».

ამიტომ დარწმუნებული ვართ, მკითხველი არ დაგვემდურება, თუ ამ დიდად შესანიშნავი პროექტის დაწვრილებითს განხილვას შევუდგებით.

ბ-ნ იუჟაკოვის ძირითადი აზრი შემდეგში მდგომარეობს: ზაფხულის დრო სრულიად თავისუფლდება სასწავლო მეცადინეობისაგან და ხმარდება სამიწათმოქმედო მუშაობას. შემდეგ, გიმნაზიადამთავრებული მოწაფეები რამდენიმე ხნით იქვე რჩებიან მომუშავეებად; ისინი ზამთრის სამუშაოებს ასრულებენ და გამოიყენებიან სარეწაო სამუშაოებზე, რომლებიც სამიწათმოქმედო სამუშაოებს შეავსებენ და თვითეულ გიმნაზიას საშუალებას აძლევენ თავიანთი საკუთარი შრომით შეინახონ ყველა მოწაფე და მუშა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციის მთელი პერსონალი და დაფარონ განათლების ხარჯები. ასეთი გიმნაზიები — სამართლიანად ამბობს ბ-ნი იუჟაკოვი — დიდი სამიწათმოქმედო არტელები იქნებოდნენო. ეს უკანასკნელი გამოთქმა, სხვათა შორის, ოდნავ ეჭვსაც აღარ სტოვებს, რომ ჩვენ უფლება გვაქვს ბ-ნ იუჟაკოვის გეგმა განვიხილოთ, როგორც წარმოების ნაროდნიკული «გათემობრივების» პირველი ნაბიჯები, როგორც ნაწილი იმ ახალი გზისა, რომელიც უნდა აირჩიოს რუსეთმა, რათა თავიდან აიცილოს კაპიტალიზმის პერიპეტიები.

«ამჟამად — მსჯელობს ბ-ნი იუჟაკოვი — გიმნაზიას 18 — 20 წლის ასაკში ამთავრებენ, ზოგჯერ კი 1 — 2 წლითაც იგვიანებენ. სავალდებულო სწავლების დროს... დაგვიანება უფრო ხშირი გახდება. უფრო გვიან დაამთავრებენ, ხოლო სამ უფროსს კლასში 16 — 25 წლისანი იქნებიან, თუ კურსდაუმთავრებლად გარიცხვისთვის სახელდობრ 25 წელიწადი იქნება

უკიდურეს ასაკად დაწესებული. ამრიგად, თუ ამ დიდასაკოვან მეხუთე კლასელთა დამატებითს კონტინგენტს მივიღებთ მხედველობაში, გიმნაზიის მოსწავლეთა დაახლოებით ერთი მესამედი თამამად შეგვიძლია ჩავთვალოთ... სამუშაო ასაკში». ეს პროცენტი მეოთხედამდეც რომ დავიყვანოთ, როგორც შემდეგ ვარაუდობს ავტორი, თუ გიმნაზიის 8 კლასს დავუმატებთ 2 კლასს დაწყებითი მოსამზადებელი სკოლისათვის (მიღებული იქნებოდნენ წერა-კითხვის უცოდინარი რვა წლის ბავშვები), — მაინც მივიღებთ დიდძალ მუშებს, რომლებიც, ნახევარმუშების დახმარებით, საზაფხულო სამუშაოს დასძლევენო. მაგრამ «ათკლასიანი გიმნაზია-ფერმისათვის — საფუძვლიანად შენიშნავს ბ-ნი იუჟაკოვი — აუცილებლად საჭირო იქნება ზამთრის მუშების განსაზღვრული კონტინგენტი». სად უნდა ვიშოვოთ ისინი? ავტორი ორ გამოსავალს მიგვითითებს: 1) მუშების დაქირავება («მათგან ზოგიერთი დამსახურებული მუშა შეიძლება შემოსავლის მონაწილეც გახდეს»). გიმნაზიის მეურნეობა შემოსავლიანი მეურნეობა უნდა იყოს და ასეთი დაქირავება უნდა გაამართლოს. მაგრამ ავტორს «უფრო საყურადღებოდ მიაჩნია მეორე გამოსავალი»: 2) გიმნაზიის კურსდამთავრებულნი ვალდებული იქნებიან იმუშაონ იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც მათს სწავლასა და შენახვას დასჭირდა უმცროს კლასებში. ეს მათი «პირდაპირი მოვალეობაა», — დასძენს ბ-ნი იუჟაკოვი, — იგულისხმება, მოვალეობა მხოლოდ იმათთვის, ვისაც საშუალება არა აქვს სწავლის ღირებულება გადაიხადოს. აი სწორედ ესენი შეადგენენ ზამთრის მუშებისა და ზაფხულის დამატებითი მუშების აუცილებელ კონტინგენტს.

ასეთია პირველი ნიშანდობლივი თვისება ნავარაუდევი ორგანიზაციისა, რომელმაც სამიწათმოქმედო არტელებად უნდა «გაათემობრივოს» მოსახლეობის ერთი მეხუთედი ნაწილი. უკვე აქედან შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა ღირსება ექნება სამშობლოსათვის სხვა გზის არჩევას. დაქირავებულ შრომას, რომელიც ამჟამად ცხოვრების ერთადერთი წყაროა

იმ პირთათვის, ვისაც «საშუალება არ ექნება გადაიხადოს ღირებულება სწავლისა» და ცხოვრებისა, სცვლის სავალდებულო მუქთი შრომა. მაგრამ ამან არ უნდა შეგვაკრთოს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამის სამაგიეროდ მოსახლეობა საყოველთაო საშუალო განათლების სიკეთით ისარგებლებს.

გავყვეთ ქვევით. ავტორის პროექტით ცალ-ცალკე უნდა დაარსდეს გიმნაზიები ვაჟებისა და ქალებისათვის, რადგან იგი ანგარიშს უწევს ევროპის კონტინენტზე გაბატონებულ ცრუშეხედულებას ქალ-ვაჟთა ერთად სწავლის წინააღმდეგ, რომელიც, კაცმა რომ სთქვას, უფრო რაციონალური იქნებოდაო. «50 მოსწავლე თითო კლასში ანუ 500 ყველა ათ კლასში ანუ 1 000 გიმნაზიის მეურნეობაში (500 ვაჟი და 500 ქალი) სრულიად ნორმალური შემადგენლობა იქნება» საშუალო გიმნაზიისა. მასში იქნება 125 «წყვილი მუშა» და სათანადო რიცხვი ნახევარმუშებისა. «თუ ვიტყვი, — ამბობს იუჟაკოვი, — რომ მუშათა ამ რიცხვს შეუძლია დაამუშაოს, მაგალითად, მალოროსიაში 2 500 დეს. კულტურული საყანე მიწა, მაშინ ყველა მიხვდება, რამდენად დიდ ძალას წარმოადგენს გიმნაზიის შრომა»!..

მაგრამ ამ მუშებს გარდა იქნებიან «მუდმივი მუშებიც», რომლებმაც უნდა იმუშაონ განათლებისა და შენახვის ხარჯების «ასანაზღაურებლად». რამდენი იქნებიან ისინი? ყოველწლიურად კურსს დაამთავრებს 45 მოწაფე ქალი და ვაჟი. მოწაფეთა ერთი მესამედი წავა სამხედრო ბეგარის მოსახდელად (ამჟამად ბეგარას იხდის მეოთხედი. ავტორი ამ რიცხვს ერთ მესამედამდე ადიდებს, რადგანაც სამსახურის ვადას 3 წლამდე ამცირებს) 3 წლის განმავლობაში. «უსამართლობა არ იქნება, თუ დანარჩენ ორ მესამედსაც ასეთსავე პირობებში ჩავაყენებთ, ე. ი. გიმნაზიაში დავტოვებთ იმისათვის, რომ აანაზღაურონ საკუთარი განათლების, აგრეთვე იმ ამხანაგების განათლების ფასი, რომლებიც ჯარში წავიდნენ. ყველა ქალიც შეიძლება დავტოვოთ ამავე მიზნით».

ორგანიზაცია ახალი წესებისა, რომლებიც ეწყობა სხვა

გზის ამომრჩევ სამშობლოში, უფრო მეტი გარკვეულობით ისახება. ამჟამად რუსეთის ყველა ქვეშევრდომი ვალდებულია სამხედრო ბეგარა მოიხადოს და, რადგანაც ჯარში გასაწვევი ასაკის პირთა რიცხვი საჭირო მეომრებზე უფრო მეტია, ამიტომ არჩევანი კენჭის ყრით ხდება. გათემობრივებულ წარმოებაში ახალწვეულთ კენჭის ყრითვე აირჩევენ, მაგრამ განზრახულია დანარჩენებიც «ასეთსავე პირობებში ჩააყენონ», ე. ი. ვალდებულება დააკისრონ სამი წელიწადი დაჰყონ სამსახურში, მართალია, არა სამხედრო სამსახურში, არამედ გიმნაზიისათვის სამუშაოდ. მათ უნდა იმუშაონ ჯარში გაწვეული ამხანაგების შესანახი ფასის ასანაზღაურებლად. ყველამ უნდა იმუშაოს ამისათვის? არა. მხოლოდ იმათ, ვისაც არ შეუძლია სწავლის ღირებულება გადაიხადოს. ავტორმა უკვე ზევით წამოაყენა ეს შენიშვნა, ქვევით კი დავინახავთ, რომ იმ პირთათვის, რომელთაც შეუძლიათ სწავლის ფასი გადაიხადონ, იგი აპროექტებს განსაკუთრებულ გიმნაზიებს, რომლებიც ძველ ტიპს ინარჩუნებენ. საკითხავია, ჯარში წასული ამხანაგების შენახვის ფასის ანაზღაურება რათ ეკისრება იმათ, ვისაც არ შეუძლია სწავლის ღირებულება გადაიხადოს? და არა იმათ, ვისაც შეუძლია? ადვილად გასაგებია, თუ რატომ. გიმნაზიელებს თუ დავყოფთ ფასით და უფასოდ მოსწავლეებად, მაშინ ცხადია, რეფორმა საზოგადოების თანამედროვე აგებულებას არ ეხება: ეს კარგად ესმის თვით ბ-ნ იუჟაკოვსაც. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რომ სახელმწიფოს საერთო ხარჯებს (ჯარისკაცებზე) გასწევენ ისინი, ვისაც ცხოვრების სახსრები არა აქვს *, — სწორედ ისევე, როგორც ახლაც იხდიან ამ ხარჯებს, მაგ., არაპირდაპირი გადასახადების სახით და სხვ. მაშ რაში მდგომარეობს ახალი წყობილების განსხვავება? იმაში, რომ ამჟამად სახსრების უქონელთ შეუძლიათ სამუშაო ძალა გაჰყიდონ, ახალ წყობილებაში კი ისინი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იქნებიან იმუშაონ მ უ ქ თ ა დ (ე. ი. მხოლოდ შენახვისათვის). ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთი ამ-

* თორემ პირველნი გაბატონებული არ იქნებოდნენ უკანასკნელებზე.

რიგად თავს აღწევს კაპიტალისტური წყობილების ყველა პერიპეტიას. თავისუფლად დაქირავებული შრომა, რომელიც «პროლეტარიატის წყლულით» იმუქრება, იდევნება და ადგილს უთმობს... მუქთ სავალდებულო შრომას.

არაფერი გასაკვირველიც არ არის, რომ ადამიანები, ჩაყენებულნი მუქთი სავალდებულო შრომის ურთიერთობაში, ვარდებიან ისეთ პირობებში, რომლებიც ამ ურთიერთობას შეესაბამება. მოისმინეთ, თუ რას გვეუბნება ნაროდნიკი («ხალხის მეგობარი») უშუალოდ ზემოთქმულის შემდეგ:

«თუ ამასთანავე ერთად ნებადართული იქნება ასეთს კურსდამთავრებულ და გიმნაზიაში 3 წლით დატოვებულ ახალგაზრდებს შორის დაქორწინება; თუ ცოლშვილიანი მუშებისათვის ცალკე ბინები მოეწყობა; და თუ გიმნაზიის შემოსავალი საშუალებას მისცემს გიმნაზიას გიმნაზიიდან მათი წასვლის დროს მცირეოდენი დახმარება მაინც აღმოუჩინოს ფულით და ნატურით, მაშინ გიმნაზიაში ასეთი სამწლიანი ყოფნა გაცილებით უფრო ნაკლებად სამძიმო იქნება, ვიდრე სამხედრო ბეგარა»...

განა ცხადი არ არის, რომ ასეთი შეღავათიანი პირობები მოსახლეობას აიძულებენ მთელი ძალღონით ეცადოს, რომ გიმნაზიაში მოხვდეს. თქვენ თვითონ განსაჯეთ: ჯერ-ერთი, ნებადართული იქნება დაქორწინება. მართალია, ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კანონების მიხედვით ასეთი ნებართვა (უფროსებისაგან) საერთოდ საჭირო არ არის. მაგრამ მიიღეთ მხედველობაში, რომ ისინი ხომ გ ი მ ნ ა ზ ი ე ლ ე ბ ი იქნებიან, — მართალია, 25 წლის ასაკს მიღწეულნი, მაგრამ მაინც გიმნაზიელები. თუ უნივერსიტეტის სტუდენტებს არა აქვთ დაქორწინების ნება, განა შეიძლებოდა ამის ნება მისცემოდა გიმნაზიელებს? ამასთანავე ნებართვა ხომ დამოკიდებული იქნება გიმნაზიის უფროსებზე, მაშასადამე, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებზე: ცხადია, ბოროტმოქმედების შიში არ უნდა გვქონდეს. გიმნაზიადამთავრებულნი და მუდმივ მუშებად იქ დარჩენილნი უკვე გიმნაზიელები არ არიან. მიუხე-

დავად ამისა, დაქორწინების ნებართვის აღებაზე ლაპარაკია იმათ შესახებაც — 21 — 27 წლის ადამიანების შესახებაც. არ შეგვიძლია არ გამოვტყდეთ, რომ სამშობლოს შიერ არჩეული ახალი გზა იწვევს რუს მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებაუნარიანობის ერთგვარ შეზღუდვას, მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ საყოველთაო საშუალო განათლების სიკეთენი უმსხვერპლოდ ვერ მოიპოვება. მეორე, ცოლშვილიანი მუშებისათვის მოეწყობა ცალკე ბინები, ალბათ, არა უარესი იმ სენაკებზე, რომლებშიც ამჟამად ფაბრიკის მუშები ცხოვრობენ. და მე-3, მუდმივი მუშები ამისთვის იღებენ «მცირე დახმარებას». ეჭვს გარეშეა, რომ მოსახლეობა უფროსების ფრთებქვეშ მშვიდობიანად ცხოვრების ამ შეღავათებს ამჯობინებს, ვიდრე კაპიტალიზმის შფოთსა და მღელვარებას, ამჯობინებს იმდენად, რომ ზოგიერთი მუშა სამუდამოდ გიმნაზიაში დარჩება (ალბათ, ნიშნად მადლობისა, რომ დაქორწინების ნება დართეს): «მცირე კონტინგენტი მუდმივი მუშებისა, რომლებიც გიმნაზიაში სამუდამოდ დარჩნენ და მას შეესისხლხორცნენ (sic!!), გიმნაზიის მეურნეობის ამ სამუშაო ძალას ავსებს. ასეთია ჩვენი სამიწათმოქმედო გიმნაზიის შესაძლებელი და სრულიადაც არა უტოპიური სამუშაო ძალები».

რა ბრძანებაა! რა არის აქ «უტოპიური»? მუდმივი მუქთი მუშები, «შესისხლხორცებულნი» მეპატრონეებთან, რომლებიც მათ დაქორწინების ნებასაც რთავენ, — აბა ერთი ჰკითხეთ რომელიმე მოხუც გლეხს, და ის თავისი საკუთარი გამოცდილებით გიამბობთ, რომ ყოველივე ეს სავსებით განსახორციელებელიაო.

(გაგრძელება იქნება) *.

დაწერილია 1895 წლის შემოდგომაზე.
დაიბეჭდა გაზეთ «სამარსკი ვესტნიკის»[22] 254 ნომერში, 1895 წლის 25 ნოემბერს, კ. ტ. — ინ-ის ხელმოწერით

იბეჭდება გაზეთ «სამარსკი ვესტნიკის» ტექსტის მიხედვით

---

* — გაგრძელება გაზეთ «სამარსკი ვესტნიკში» აღარ ყოფილა. რ ე დ.

ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა-ქალებს [23]

ტორნტონის ფაბრიკის მუშებო და მუშა-ქალებო!

6 და 7 ნოემბერი ყველა ჩვენგანისათვის სამახსოვრო დღეები უნდა იყოს... ფეიქრებმა ერთსულოვანი წინააღმდეგობა გაუწიეს მეპატრონეთა მოძალებას და ამით დაამტკიცეს, რომ ჩვენს წრეში მძიმე დროს კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ თავი გამოიდონ ჩვენი საერთო მუშური ინტერესებისათვის, რომ ჩვენმა კეთილისმყოფელმა მეპატრონეებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს საბოლოოდ გადავექციეთ თავისი უძირო ქისის უბადრუკ მონებად. მაშ, ამხანაგებო, მედგრად და შეუდრეკლად გავატაროთ ჩვენი ხაზი ბოლომდე, გვახსოვდეს, რომ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენ მხოლოდ საერთო შეთანხმებული მეცადინეობით შეგვიძლია. უწინარეს ყოვლისა, ამხანაგებო, არ გაებათ იმ მახეში, რომელიც ბ-ნმა ტორნტონებმა ასე ცბიერად დაგვიგეს. ისინი ასე მსჯელობენ: «ახლა საქონლის გასაღებაში შეფერხების დროა, ასე რომ თუ ფაბრიკაში მუშაობის ძველი პირობები გვექნება, ჩვენ უწინდელ მოგებას ვეღარ მივიღებთ... ხოლო უფრო ნაკლებს არ დავჯერდებით... მაშასადამე, უნდა დავაწვეთ მუშებს, დაე მათ თავიანთ ზურგზე იგემონ ბაზრის ფასების დაწევა... ხოლო ეს საქმე დაუდევრად კი არ უნდა მოვაჭახრაკოთ, არამედ ოსტატურად, ისე, რომ მუშა თავის გულუბრყვილობით ვერც კი მიგვიხვდეს, თუ რა შეჭამადს ვუმზადებთ მას... ყველას რომ ერთბაშად შევე-

ხოთ, — ყველანი ერთბაშადვე აღსდგებიან, ვერაფერს გავხდებით მათთან. ჩვენ კი ჯერ ღატაკ ფეიქრებს გავაცურებთ, მერე დანარჩენებიც ვერსად წაგვივლენ... ჩვენ როდი გვჩვევია მორიდება ამ კაცუნებთან, ანდა რა საჭიროა ეს? ჩვენთან ახალი ცოცხი უფრო კარგად ჰგვის...» ამრიგად, მუშების სიკეთისათვის მოამაგე მეპატრონეებს სურთ ნელ-ნელა და შეუმჩნევლად ფაბრიკის ყველა განყოფილების მუშებს იგივე მომავალი განუმზადონ, რაც მათ ფეიქრებისათვის უკვე განახორციელეს... ამიტომ, თუ ჩვენ ყველანი გულგრილობას გამოვიჩენთ საფეიქრო განყოფილების ბედისადმი, ამით საკუთარი ხელით გავთხრით იმ ორმოს, რომელშიც სულ მალე ჩვენც გადაგვყრიან. ფეიქრები ამ ბოლო დროს ნახევარ თვეში საშუალოდ იღებდნენ 3 მ. 50 კაპ. ისინი რაღაცნაირად ახერხებდნენ ამ ხნის განმავლობაში 5 მანეთით ეცხოვრათ 7 სულისაგან შემდგარი ოჯახით, ხოლო ქმრისა, ცოლისა და ბავშვისაგან შემდგარი ოჯახი მხოლოდ 2 მანეთით ცხოვრობდა. მათ გაჰყიდეს უკანასკნელი ტანსაცმელი, შესჭამეს უკანასკნელი გროშები, რაც ჯოჯოხეთური შრომით იყო მოპოვებული იმ დროს, როდესაც მათი კეთილისმყოფელი ტორნტონები მილიონებზე მილიონებს იგებდნენ. მაგრამ ესეც საკმაოდ არ მიაჩნდათ, და მუშების თვალწინ ფაბრიკიდან ერეკებოდნენ მეპატრონეთა ანგარების სულ ახალ-ახალ მსხვერპლს, ხოლო შევიწროება თავის მხრივ მეტისმეტი გულქვაობით იზრდებოდა... მატყლში მოურიდებლად ურევდნენ ნოლესსა და კნოპს[24], რის გამოც საქონლის გამომუშავება ძალიან გვიანდებოდა, თითქოს უნებურად ქსელის მიღება ჭიანურდებოდა, დაბოლოს, ხელი მიჰყვეს სამუშაო საათების პირდაპირ დაკლებას, ახლა კი 9-შმიციანი[25] ნაჭრების ნაცვლად 5-შმიციანი შემოაქვთ, რათა ფეიქარმა უფრო მეტ ხანს და ხშირად იჯახიროს ქსელის მიღებასა და აწყობაზე, რისთვისაც, როგორც ვიცით, მას გროშსაც არ უხდიან. უნდათ სული ამოხადონ ჩვენს ფეიქრებს, და გასამრჯელო 1 მ. 62 კაპ. ნახევარ თვეში, რაც ზოგიერთი ფეიქრის ანგარიშსწორე-

ბის წიგნაკში უკვე ჩნდება, შესაძლოა მოკლე ხანში საფეიქრო განყოფილების საერთო გასამრჯელოდ იქცეს... ამხანაგებო, გსურთ თუ არა თქვენც ეღირსოთ მეპატრონის ასეთ ალერსს? და თუ არ გსურთ, თუ, ბოლოს, მთლად არ გაგქვავებიათ გული თქვენსავით ღატაკთა ტანჯვისადმი, დაირაზმეთ ერთსულოვნად ჩვენი ფეიქრების ირგვლივ, წამოვაყენოთ ჩვენი საერთო მოთხოვნები და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ჩვენს დამჩაგვრელებს ხელიდან გამოვგლიჯოთ უკეთესი ხვედრი. სართავი განყოფილების მუშებო, თავს ნუ მოიტყუებთ თქვენი ხელფასის სიმტკიცითა და ერთგვარი მომატებით... თქვენი თანამოძმეების თითქმის $^2/_3$ ხომ უკვე დაითხოვეს ფაბრიკიდან, და თქვენი უკეთესი გასამრჯელო ნაყიდია ქუჩაში გარეკილი თქვენივე მრთველების შიმშილის ფასად. ეს ისევ და ისევ მეპატრონეთა ოსტატური ფანდია, და მისი გაგება ძნელი არ არის, თუ გამოვიანგარიშებთ, რამდენს გამოიმუშავებდა ხოლმე მთელი მიულ-სართავი განყოფილება წინათ და რამდენს გამოიმუშავებს ხოლმე ახლა. — ახალი სამღებროს მუშებო! თქვენ ყოველდღიურად $14^1/_4$ საათის მუშაობის ფასად, საღებავის საშინელი ანაორთქლით თავით ფეხამდე გაჟღენთილნი, უკვე ახლაც თვეში სულ 12 მანეთს იღებთ! ყურადღება მიაქციეთ ჩვენს მოთხოვნებს: ჩვენ გვინდა ბოლო მოვუღოთ იმ უკანონობას, რომ თქვენ გიქვითავენ თქვენი ოსტატის უხეირობის გამო. — ფაბრიკის შავო მუშებო და საერთოდ ყველა არასპეციალისტო მუშავ! — ნუთუ იმედი გაქვთ, რომ შეინარჩუნებთ თქვენს დღიურ 60 — 80 კაპ., როდესაც სპეციალისტი-ფეიქარი დღეში მხოლოდ ერთ აბაზს უნდა დასჯერდეს? — ამხანაგებო, ნუ დაბრმავდებით, არ გაებათ მეპატრონეთა მახეში, მტკიცედ დაუჭირეთ მხარი ერთმანეთს, თორემ ყველას ცუდი დღე დაგვადგება ამ ზამთარს. უდიდესი სიფხიზლით უნდა ავადევნოთ ყველამ თვალი ჩვენი მეპატრონეების ფანდებს შეფასებათა შემცირების დარგში და მთელი ჩვენი ძალღონით წინააღმდეგობა გავუწიოთ ჩვენთვის დამღუპველ ამ მისწრაფებას... ყურს ნუ ათ-

ხოვებთ ნურავითარ მათს ლაპარაკსა და ჩივილს, რომ საქმეები ცუდად მიდისო: მათთვის ეს მხოლოდ ნაკლები მოგებაა მათს კაპიტალზე, ჩვენთვის კი — ეს არის ჩვენი ოჯახების შიმშილით ტანჯვა, უკანასკნელი გამხმარი ლუკმაპურის დაკარგვა, განა ერთ სასწორზე აიწონება ეს ორი გარემოება?! ამჟამად პირველ რიგში ფეიქრებს ავიწროებენ, და ჩვენ უნდა მოვითხოვოთ:

1) საფეიქრო მუშაობის შეფასებათა გადიდება გაზაფხულის დონემდე, ე. ი. შმიცზე დაახლოებით 6 კაპიკით;

2) ფეიქრებისთვისაც სრულდებოდეს კანონი იმის შესახებ, რომ მუშას, სანამ მუშაობას დაიწყებდეს, უნდა ეცნობოს იმ ხელფასის ოდენობა, რომელზეც იგი მუშაობს. საფაბრიკო ინსპექტორის მიერ ხელმოწერილი ტაბელი მხოლოდ ქაღალდზე კი არ უნდა რჩებოდეს, არამედ ნამდვილად ხორციელდებოდეს, როგორც ამას კანონი მოითხოვს. მაგალითად, საფეიქრო მუშაობისათვის არსებულ შეფასებას უნდა დაემატოს მითითებანი მატყლის ღირსების, მასში ნოლესისა და კნოპის რაოდენობის შესახებ, გამოანგარიშებულ უნდა იქნას დრო, რომელიც მოსამზადებელ მუშაობას სჭირდება;

3) სამუშაო დრო ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ ჩვენი მხრივ უნებური გაცდენები არ გამოდიოდეს; ახლა, მაგალითად, ისეა საქმე მოწყობილი, რომ ფეიქარი თითო ნაჭერ ქსოვილზე ქსელის მისაღებად ერთ დღეს ჰკარგავს, ხოლო ვინაიდან ნაჭერი თითქმის ერთიორად დაპატარავდება, ფეიქარი ამაზეც ორშაგად დაჰკარგავს, მიუხედავად შეფასებათა ტაბელისა. თუ მეპატრონეს ჩვენი გასამრჯელოს ასე წაგლეჯა სურს, დაე სააშკარაოზე გამოვიდეს, ისე, რომ ჩვენ მტკიცედ ვიცოდეთ, რომ ჩვენგან ჩამოცინცვლა უნდათ;

4) საფაბრიკო ინსპექტორი თვალყურს უნდა ადევნებდეს, რომ შეფასებაში მოტყუება არ იყოს, რომ შეფასება ორნაირი არ იყოს. ეს იმას ნიშნავს, მაგალითად, რომ ერთი და იმავე ხარისხის საქონელში, რომელსაც სხვადასხვა სახელწოდება აქვს, შეფასებათა ტაბელში ორი სხვადასხვა ფასი არ იქნას

დაშვებული. მაგალითად, ბიბერს ჩვენ ვქსოვდით 4 მ. და 32 კაპიკად, ხოლო ურალს[26] — 4 მ. და 14 კაპიკად, — მაგრამ განა ეს ერთსა და იმავე მუშაობას არ მოითხოვს? კიდევ უფრო თავხედური მოტყუებაა, როდესაც ერთი სახელწოდების საქონელში სამუშაოს ორნაირი ფასი არსებობს. ამ გზით ბატონი ტორნტონები გვერდს უხვევდნენ ჯარიმების კანონს, რომელშიც ნათქვამია: ჯარიმის დადება სამუშაოს გაფუჭებისთვის მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც იგი მუშის დაუდევრობითაა გამოწვეული; ასეთ შემთხვევაში გამოქვითვა უნდა ჩაიწეროს სამუშაო წიგნაკის ჯარიმების სვეტში არა უგვიანეს სამი დღისა დაჯარიმების შემდეგ. ყველა ჯარიმა ერთად სასტიკ ანგარიშგებას უნდა ექვემდებარებოდეს, და მათგან შემდგარი თანხა მეფაბრიკის ჯიბეში კი არ უნდა მიდიოდეს, არამედ ამ ფაბრიკის მუშების საჭიროებას უნდა ხმარდებოდეს. ჩვენში კი — ნახეთ ჩვენი წიგნაკები — სუფთაა, არ არის ჯარიმები, გეგონება, ჩვენი მეპატრონენი ყველაზე გულკეთილნი არიანო. ნამდვილად კი ისინი ჩვენი უვიცობის გამო გვერდს უხვევენ კანონს და თავის საქმეებს ოსტატურად აჭახრაკებენ... ხომ ხედავთ, ჩვენ არ გვაჯარიმებენ და მხოლოდ გვიქვითავენ, უფრო მცირე შეფასებით გვიხდიან გასამრჯელოს და ვიდრე ორნაირი შეფასება არსებობდა — მაღალი და დაბალი — ჩვენ საშუალება არ გვქონდა შევდავებოდით, ისინი კი თავის ჯიბის გასასქელებლად გვიქვითავდნენ და გვიქვითავდნენ;

5) ერთი შეფასების შემოღებასთან ერთად დაე ყოველი დაქვითვა-გამოქვითვა შეტანილ იქნას ჯარიმების სვეტში იმის აღნიშვნით, თუ რისთვის დაგვაჯარიმეს.

მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება უმართებულო დაჯარიმება, ნაკლებად დაიკარგება ფუჭად ჩვენი შრომა და შემცირდება ის უმსგავსოებანი, რაც ხდება ამჟამად, მაგალითად, სამღებროში, სადაც მუშებს ნაკლები გამომუშავება ჰქონდათ უხეირო ოსტატის მიზეზით, რაც კანონით არ შეიძლება იყოს მიზეზი შრომის ქირის გადაუხდელობისა, ვინაიდან აქ მუშის

დაუდევრობა არაფერ შუაშია. და განა ყოველ ჩვენგანს ცოტა გვაქვს ისეთი დაქვითვები, რაშიც ჩვენ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის?

6) ჩვენ მოვითხოვთ, რომ ბინისათვის გვახდევინებდნენ იმდენს, რამდენსაც 1891 წლამდე გვართმევდნენ, ე. ი. თვეში კაცზე 1 მ., იმიტომ რომ ჩვენი გასამრჯელოდან 2 მანეთის გადახდა პირდაპირ შეუძლებელია, ანდა რაში უნდა ვიხდიდეთ?.. ამ ჭუჭყიან, მყრალ, ვიწრო და ხანძრის მხრივ საშიშ საკანისათვის? ნუ დაივიწყებთ, ამხანაგებო, რომ მთელს პიტერში 1 მან. თვეში საკმაოდ ითვლება, მხოლოდ მარტო ჩვენს მზრუნველ მეპატრონეებს ეცოტავებათ იგი და ჩვენ უნდა ვაიძულოთ ისინი, რომ აქაც შეზღუდონ თავიანთი სიხარბე. ვიცავთ რა ამ მოთხოვნებს, ამხანაგებო, ამით ამბოხებას კი არ ვახდენთ, ჩვენ მხოლოდ იმის მოცემას მოვითხოვთ, რითაც უკვე სხვა ფაბრიკების მუშები კანონისამებრ სარგებლობენ, რაც ჩვენ წაგვართვეს მხოლოდ იმ იმედით, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი საკუთარი უფლებები დავიცვათ. მაშ დავამტკიცოთ ახლა, რომ ჩვენი «კეთილისმყოფელნი» შეცდნენ.

დაწერილია და პირველად
დაიბეჭდა მიმეოგრაფზე
1895 წლის ნოემბერში

იბეჭდება ფურცლის ტექსტის
მიხედვით, რომელიც შედარებულია
კრებულ «რაბოტნიკის» № 1 — 2
(1896 წ.) ტექსტთან

რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები [27]

დაწერილია 1895 წლის დამლევს
გაზეთ «რაბოჩეე დელოსთვის».
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება პოლიციის დეპარტამენტის
არქივში ნაპოვნი ასლის მიხედვით

შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს წერილი მისწერა. წერილი დაწერილია 1895 წლის 18 მარტს 2603 ნომრით, და ზედ წარწერა აქვს: «სრულიად საიდუმლოდ». მაშასადამე, მინისტრს უნდოდა, რომ ეს წერილი ფრიად საიდუმლოდ დარჩენილიყო. მაგრამ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელნიც არ იზიარებენ ბატონ მინისტრის შეხედულებას, რომ რუსმა მოქალაქეებმა არ უნდა იცოდნენ მთავრობის განზრახვები, და აი ახლა ეს წერილი ხელიდან ხელში გადადის ხელნაწერი ასლის სახით.

რასა სწერდა ბ-ნი დურნოვო ბ-ნ პობედონოსცევს!

იგი მას სწერდა საკვირაო სკოლების შესახებ. წერილში ნათქვამია: «ამ ბოლო წლებში მიღებული ცნობები მოწმობს, რომ პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირები, აგრეთვე გარკვეული მიმართულების მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილი, 60-იანი წლების მაგალითისამებრ, მიისწრაფიან საკვირაო სკოლებში მოეწყონ მასწავლებლებად, ლექტორებად, ბიბლიოთეკარებად და სხვ. ასეთი სისტემატური მისწრაფება, რომელიც საარსებო სახსრის გამოძებნის სურვილითაც კი არ მართლდება, ვინაიდან ასეთ სკოლებში მოვალეობის ასრულება უსასყიდლოა, ამტკიცებს, რომ ზემოაღნიშნული მოვლენა წარმოადგენს მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტების მხრივ რუსეთში არსებული სახელმწიფოებრივი და საზოგა-

დოებრივი წყობილების წინააღმდეგ ლეგალურ (კანონიერ) ნიადაგზე ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას».

აი როგორ მსჯელობს ბ-ნი მინისტრი! განათლებულ ხალხში მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც სურთ თავიანთი ცოდნა მუშებს გაუზიარონ, სურთ, რომ სწავლამ მარტო მათ კი არ მოუტანოს სარგებლობა, არამედ ხალხსაც, — და მინისტრი მაშინვე ასკვნის, აქ «მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტები» არიანო, ე. ი. ვიღაც შეთქმულნი აქეზებენ ადამიანებს საკვირაო სკოლაში იმუშაონო. ნუთუ წაუქეზებლად არ შეიძლებოდა ზოგიერთ განათლებულ კაცს დაბადებოდა სხვისი სწავლების სურვილი? მაგრამ მინისტრის შეშფოთებას ის იწვევს, რომ საკვირაო სკოლების მასწავლებლები ჯამაგირს არ იღებენ. ის მიჩვეულია იმას, რომ მისი ჯაშუშები და მოხელეები მხოლოდ ჯამაგირისთვის მსახურობენ, ემსახურებიან იმას, ვინც მეტ ფულს მისცემს, აქ კი რას ხედავს — ადამიანები მუშაობენ, მსახურობენ, ასწავლიან და ყოველივე ამას... მუქთად აკეთებენ. საეჭვოაო! ფიქრობს მინისტრი, და ჯაშუშებს გზავნის საქმის დასაზვერად. წერილში შემდეგ ნათქვამია: «შემდგომი ცნობებით» (იმ ჯაშუშების ცნობებით, რომელთა არსებობაც ჯამაგირის მიღებით მართლდება) «ირკვევა, რომ არა მარტო მასწავლებელთა შემადგენლობაში გვხვდებიან მავნე მიმართულების პირნი, არამედ ხშირად თვით სკოლები არაკეთილსაიმედო პირთა მთელი წრის ფარულ ხელმძღვანელობაში იმყოფებიან; ასეთი წრის წევრები, რომელნიც მოსამსახურეთა ოფიციალურ პერსონალს სრულებით არ ეკუთვნიან, მათგანვე დაყენებულ მასწავლებელ მამაკაცთა და ქალთა მიწვევით საღამოობით კითხულობენ ხოლმე ლექციებს და მოსწავლეებთან მეცადინეობენ... ისეთი წესი, რომელიც შესაძლებლად ხდის გარეშე პირთა მიერ ლექციების წაკითხვას, სრულ შესაძლებლობას იძლევა, რომ ლექტორთა რიცხვში მოჰყვნენ აშკარად რევოლუციური წრის ადამიანები».

ამრიგად, თუ «გარეშე ადამიანებს», რომლებიც მოწონებუ-

ლი და შემოწმებული არ არიან ხუცესებისა და ჯაშუშების მიერ, მუშებთან მეცადინეობა სურთ, — ეს პირდაპირი რევოლუცია ყოფილა! მინისტრს მუშები თოფის წამლად მიაჩნია, ხოლო ცოდნა და განათლება — ნაპერწკლად; მინისტრი დარწმუნებულია, რომ თუ ნაპერწკალი თოფის წამალში ჩავარდა, მაშინ აფეთქება უწინარეს ყოვლისა მთავრობის წინააღმდეგ დაიგრიალებს.

ჩვენ არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ ამ იშვიათ შემთხვევაში ჩვენ სავსებით და უთუოდ ვიზიარებთ მისი მაღალადმატებულების შეხედულებებს.

მინისტრს წერილში შემდეგ მოჰყავს თავისი «ცნობების» სისწორის «დამამტკიცებელი საბუთები». კარგი საბუთები კია!

ჯერ-ერთი, «წერილი ერთ-ერთი საკვირაო სკოლის მასწავლებლისა, რომლის გვარი ჯერაც გამოურკვეველია». ეს წერილი ჩხრეკის დროს არის ჩამორთმეული. წერილში ლაპარაკია ისტორიის ლექციების პროგრამაზე, წოდებათა ყმობის დამყარებისა და ყმობიდან განთავისუფლების იდეაზე, მოხსენებულია რაზინისა და პუგაჩოვის ამბოხება.

ალბათ, ამ უკანასკნელმა სახელებმა თუ დააფრთხეს ასე კეთილი მინისტრი: მას მაშინვე, ალბათ, ორთითები მოელანდა.

მეორე საბუთი:

«შინაგან საქმეთა სამინისტროში მოიპოვება ფარული გზით მიღებული მოსკოვის ერთ-ერთი საკვირაო სკოლის საჯარო ლექციის პროგრამა შემდეგი შინაარსისა: «საზოგადოების წარმოშობა. პირველყოფილი საზოგადოება. საზოგადოებრივი ორგანიზაციის განვითარება. სახელმწიფო და რისთვისაა იგი საჭირო. წესრიგი. თავისუფლება. სამართლიანობა. სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები. აბსოლუტური და კონსტიტუციური მონარქია. შრომა საერთო კეთილდღეობის საფუძველია. სარგებლიანობა და სიმდიდრე. წარმოება, გაცვლა და კაპიტალი. როგორ ნაწილდება სიმდიდრე. საკუთარი ინ-

ტერესის დაცვა. საკუთრება და მისი აუცილებლობა. გლეხთა განთავისუფლება მიწიანად. რენტა, მოგება, ხელფასი. რაზეა დამოკიდებული ხელფასი და მისი სახეები. დაზოგვა».

სახალხო სკოლისთვის ამ აშკარა უვარგისი პროგრამით ლექციის კითხვა ლექტორს სრულ შესაძლებლობას აძლევს თანდათანობით გააცნოს მსმენელებს კარლ მარქსის, ენგელსის და სხვ. თეორიებიც, ხოლო საეპარქიო ხელისუფალთა მიერ დანიშნული დამსწრე პირი ძნელად თუ შენიშნავს ლექციაში სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის ჩანასახებს».

როგორც ეტყობა, ბ-ნ მინისტრს ძალიან ეშინია «მარქსისა და ენგელსის თეორიებისა», თუ კი ამ თეორიების «ჩანასახებს» ხედავს თვით ისეთ პროგრამაში, სადაც ამის ნიშანკვალიც კი არ არის. რა ნახა მინისტრმა მასში «უვარგისი»? ალბათ, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმებისა და კონსტიტუციის საკითხი.

აიღეთ, ბ-ნო მინისტრო, გეოგრაფიის რომელი სახელმძღვანელოც გნებავთ და იქ იპოვით ამ საკითხებს! ნუთუ მოწიფულ მუშებს აკრძალული აქვთ იმის ცოდნა, რასაც ბავშვებს ასწავლიან?

მაგრამ ბ-ნ მინისტრს საეპარქიო უწყების პირთა იმედი არა აქვს: «ალბათ, ვერ მიხვდებიან, რაზეა ლაპარაკიო».

წერილი თავდება პროხოროვის სამანუფაქტურო ამხანაგობის მოსკოვის ფაბრიკასთან არსებულ საეკლესიო-სამრევლო საკვირაო სკოლის, ქ. ელცის საკვირაო სკოლისა და ქ. თბილისში გასახსნელად განზრახული სკოლის «არაკეთილსაიმედო» მასწავლებლების ჩამოთვლით. ბ-ნი დურნოვო ბ-ნ პობედონოსცევს ურჩევს «გულმოდგინედ შეამოწმოს ის პირნი, რომელთაც სკოლებში სამეცადინოდ უშვებენ». ახლა, როდესაც მასწავლებლების სიას კითხულობ, თმები ყალყზე დგება: სულ ყოფილი სტუდენტი და ყოფილი სტუდენტი, და კიდევ ყოფილი კურსისტი ქალი. ბ-ნ მინისტრს სურს, რომ მასწავლებლებად ყოფილი უნტერები იყვნენ.

განსაკუთრებული ძრწოლით ამბობს ბ-ნი მინისტრი, რომ ქ. ელცში სკოლა «მოთავსებულია მდინარე სოსნას გაღმა, სადაც უპირატესად უბრალო» (ჰოი, საშინელებავ!) «და ხელოსანი ხალხი ცხოვრობს და სადაც რკინიგზის სახელოსნოა».

შორს, შორს უნდა იყვნენ სკოლები «უბრალო და ხელოსანი ხალხისაგან».

მუშებო! თქვენ ხედავთ, რომ სიკვდილსავით ეშინიათ ჩვენს მინისტრებს იმისი, რომ ცოდნა და მუშა ხალხი არ შეერთდნენ! მაშ დაანახვეთ ყველას, რომ ვერავითარი ძალა ვერ წაართმევს მუშებს შეგნებას! ცოდნის გარეშე მუშები უმწეონი არიან, ხოლო ცოდნით აღჭურვილნი — ძალას წარმოადგენენ!

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება [18]

«პროგრამის პროექტი» იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ქიმიური მელნით არის დაწერილი სტრიქონებს შუა ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიეს» 1900 წ. მე-5 ნომერში, «პროგრამის განმარტება» — ჰექტოგრაფირებული რვეულის მიხედვით

დაწერილია საპყრობილეში 1895 — 1896 წ წ.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.

პროგრამის პროექტი

ა. 1. რუსეთში უფრო და უფრო სწრაფად ვითარდება მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც აღატაკებენ წვრილ შინამრეწველებსა და გლეხებს, აქცევენ მათ უქონელ მუშებად, სულ უფრო და უფრო მეტ ხალხს ერეკებიან ქალაქებში, საფაბრიკო და სამრეწველო სოფლებსა და დაბებში.

2. კაპიტალიზმის ეს ზრდა მოასწავებს სიმდიდრისა და ფუფუნების უზარმაზარ ზრდას ერთ მუჭა მეფაბრიკეებს, ვაჭრებსა და მიწათმფლობელებს შორის და მუშების სიღატაკისა და ჩაგვრის კიდევ უფრო სწრაფ ზრდას. მსხვილი ფაბრიკების მიერ წარმოებაში შემოღებული გაუმჯობესებანი და მანქანები ხელს უწყობენ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ემსახურებიან მუშებზე კაპიტალისტების ბატონობის გაძლიერებას, უმუშევრობის ზრდას და ამასთან ერთად მუშების უმწეობასაც.

3. მაგრამ მსხვილი ფაბრიკები კაპიტალის მიერ შრომის დამონების უმაღლეს დონემდე აყვანით ჰქმნიან მუშების განსაკუთრებულ კლასს, რომელსაც საშუალება ეძლევა ბრძოლა აწარმოოს კაპიტალის წინააღმდეგ, ვინაიდან თვით ამ კლასის ცხოვრების პირობები სპობენ მის ყოველგვარ კავშირს საკუთარ მეურნეობასთან, აერთებენ მუშებს საერთო მუშაობით და ფაბრიკიდან ფაბრიკაში მათი გადატყორცნით აკავშირებენ მუშა ხალხის მასებს. მუშები იწყებენ ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ, და მათ შორის ჩნდება ძლიერი მისწრაფება გაერთიანებისადმი. მუშების ცალკეული აჯანყებებიდან იბადება რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლა.

4. მუშათა კლასის ეს ბრძოლა კაპიტალისტების კლასის წინააღმდეგ არის ბრძოლა სხვისი შრომით მცხოვრები ყველა კლასისა და ყოველგვარი ექსპლუატაციის წინააღმდეგ. იგი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების გადასვლით მუშათა კლასის ხელში, მთელი მიწის, იარაღების, ფაბრიკების, მანქანების, მაღაროების გადაცემით მთელი საზოგადოების ხელში სოციალისტური წარმოების მოსაწყობად, რომლის დროსაც ყველაფერი, რასაც კი მუშები აწარმოებენ, და ყოველი გაუმჯობესება წარმოებაში თვით მშრომელთა სასარგებლოდ უნდა წარიმართოს.

5. რუსეთის მუშათა კლასის მოძრაობა თავისი ხასიათითა და მიზნით შედის, როგორც ნაწილი, ყველა ქვეყნის მუშათა კლასის საერთაშორისო (სოციალ-დემოკრატიულ) მოძრაობაში.

6. რუსეთის მუშათა კლასის მიერ თავისი განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს შეუზღუდავი თვითმპყრობელი მთავრობა თავისი უპასუხისმგებლო მოხელეებით. ეს მთავრობა, ემყარება რა მიწათმფლობელებისა და კაპიტალისტების პრივილეგიებს, ემსახურება რა მათ ინტერესებს, სრული უუფლებობის მდგომარეობაში სტოვებს დაბალ წოდებებს და ამით ბორკავს მუშათა მოძრაობას, აფერხებს მთელი ხალხის განვითარებას. ამიტომ რუსეთის მუშათა კლასის მიერ თავისი განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლა აუცილებლად იწვევს ბრძოლას თვითმპყრობელი მთავრობის შეუზღუდავი ძალაუფლების წინააღმდეგ.

ბ. 1. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია თავის ამოცანად აცხადებს — დაეხმაროს რუსეთის მუშათა კლასის ამ ბრძოლას მუშების კლასობრივი თვითშეგნების განვითარებით, მათი ორგანიზაციებისათვის ხელისშეწყობით, ბრძოლის ამოცანებისა და მიზნების ჩვენებით.

2. რუსეთის მუშათა კლასის მიერ თავისი განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, და

მისი პირველი ამოცანა არის პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება.

3. ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია მუშათა მოძრაობისაგან გამოუთიშავად მხარს დაუჭერს ყოველ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც მიმართული იქნება თვითმპყრობელი მთავრობის შეუზღუდავი ძალაუფლების, პრივილეგიან თავადაზნაურ-მიწათმფლობელთა კლასის წინააღმდეგ და ბატონყმობისა და წოდებრივობის ყოველგვარი ნაშთების წინააღმდეგ, რომელნიც ზღუდავენ კონკურენციის თავისუფლებას.

4. პირიქით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ომი ექნება ყოველი მისწრაფების წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ შეუზღუდავი მთავრობისა და მისი მოხელეების მეურვეობით გააბედნიეროს მშრომელი კლასები და შეაჩეროს კაპიტალიზმის განვითარება და, მაშასადამე, მუშათა კლასის განვითარებაც.

5. მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმე უნდა იყოს.

6. რუს ხალხს სჭირდება არა შეუზღუდავი მთავრობისა და მისი მოხელეების დახმარება, არამედ მისი უღლისაგან განთავისუფლება.

8. ამ შეხედულებათა საფუძველზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია უპირველეს ყოვლისა მოითხოვს:

1. საერო კრების მოწვევას ყველა მოქალაქის წარმომადგენელთაგან კონსტიტუციის შესამუშავებლად.

2. საყოველთაო და პირდაპირ საარჩევნო უფლებას 21 წლის ასაკს მიღწეულ რუსეთის ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

3. კრებების, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლებას.

4. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას.

5. წოდებათა გაუქმებას და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის სრულ თანასწორობას.

6. სარწმუნოების თავისუფლებას და ყველა ეროვნების თანასწორობას. მეტრიკების წარმოების გადაცემას დამოუკიდებელი სამოქალაქო მოხელეების ხელში, რომელნიც პოლიციაზე არ იქნებიან დამოკიდებულნი.

7. ყოველი მოქალაქისათვის იმ უფლების მინიჭებას, რომ საჩივარი აღძრას ყოველი მოხელის წინააღმდეგ სასამართლოს წესით, უფროსთა წინაშე უჩივლელად.

8. პასპორტების გაუქმებას, მიმოსვლისა და გადასახლებადასახლების სრულ თავისუფლებას.

9. ხელობისა და საქმიანობის თავისუფლებას და ამქრების გაუქმებას.

დ. მუშებისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს:

1. სამრეწველო სასამართლოების დაარსებას მრეწველობის ყველა დარგში, რომლებშიც არჩეულ მოსამართლეებად თანაბრად უნდა იყვნენ კაპიტალისტებისა და მუშების წარმომადგენელნი.

2. სამუშაო დღის კანონმდებლობით შეზღუდვას 8 საათით დღე-ღამეში.

3. ღამით მუშაობისა და ცვლათა კანონმდებლობით აკრძალვას. 15 წლის ასაკამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვას.

4. დასასვენებელი უქმე დღის კანონმდებლობით დაწესებას.

5. საფაბრიკო კანონებისა და საფაბრიკო ინსპექციის გავრცელებას მრეწველობის ყველა დარგზე მთელ რუსეთში და სახაზინო ფაბრიკებზე, აგრეთვე შინ მომუშავე შინამრეწველებზე.

6. საფაბრიკო ინსპექციას დამოუკიდებელი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს და ფინანსთა სამინისტროს უწყებაში არ უნდა იყოს. სამრეწველო სასამართლოების წევრები საფაბრიკო კანონების შესრულების მეთვალყურეობაში საფაბრიკო ინსპექციის თანასწორ უფლებებს იღებენ.

7. ხელფასის საქონლით გადახდის ყველგან აუცილებლად აკრძალვას.

8. მუშების მიერ არჩეულ პირთა მეთვალყურეობის დაწესებას შეფასებათა სწორად შედგენასა, საქონლის წუნდებასა, ჯარიმის ფულის ხარჯვასა და მუშების საფაბრიკო ბინებზე.

კანონს იმის შესახებ, რომ ყოველგვარი გამოქვითვა მუშების ხელფასიდან, რა დანიშნულებისთვისაც არ უნდა ხდებოდეს ეს (ჯარიმები, წუნდება და სხვ.), ერთად აღებული, არ აღემატებოდეს 10 კაპიკს მანეთზე.

9. კანონს, რომელმაც მეფაბრიკეს უნდა დააკისროს პასუხისმგებლობა მუშების დასახიჩრებისათვის, და მეფაბრიკის ვალდებულებას—დაამტკიცოს, რომ ბრალი მუშებს მიუძღვით.

10. კანონს, რომელიც მეფაბრიკეებს დაავალდებულებს — შეინახონ სკოლები და საექიმო დახმარება აღმოუჩინონ მუშებს.

Ე. გლეხებისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს:

1. გამოსასყიდ გადასახდელთა[28] გაუქმებას და უკვე შეტანილ გამოსასყიდ გადასახდელთა გლეხებისათვის ანაზღაურებას. გლეხების მიერ ხაზინაში ზედმეტად შეტანილი ფულის უკანვე დაბრუნებას.

2. გლეხებისათვის იმ მიწების უკანვე დაბრუნებას, რომლებიც 1861 წელს ჩამოეჭრათ.

3. გლეხებისა და მემამულეების მიწებზე გაწერილ გამოსაღებთა და გადასახადთა სრულ თანასწორობას.

4. ურთიერთთავდებობისა[29] და ყველა იმ კანონის გაუქმებას, რომლებიც ზღუდავენ გლეხებს მათს მიწათსარგებლობაში.

პროგრამის განმარტება

პროგრამა სამ მთავარ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში მოყვანილია ყველა ის შეხედულება, რომლებიდანაც გამომდინარეობენ პროგრამის დანარჩენი ნაწილები. ამ ნაწილში აღ-

ნიშნულია, რა მდგომარეობა უჭირავს მუშათა კლასს თანამედროვე საზოგადოებაში, რა აზრი და მნიშვნელობა აქვს მის ბრძოლას მეფაბრიკეთა წინააღმდეგ და როგორია მუშათა კლასის პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფოში.

მეორე ნაწილში მოცემულია პარტიის ამოცანა და აღნიშნულია, თუ რა დამოკიდებულებაშია პარტია რუსეთის სხვა პოლიტიკურ მიმართულებებთან. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს პარტიისა და ყველა იმ მუშის საქმიანობა, ვისაც შეგნებული აქვს თავისი კლასობრივი ინტერესები, და როგორ უნდა მოეპყრონ ისინი რუსეთის საზოგადოების სხვა კლასების ინტერესებსა და მისწრაფებებს.

მე-3 ნაწილი შეიცავს პარტიის პრაქტიკულ მოთხოვნებს. ეს ნაწილი იყოფა სამ განყოფილებად. 1-ლი განყოფილება შეიცავს საერთო-სახელმწიფოებრივ გარდაქმნათა მოთხოვნას. მე-2 განყოფილება — მუშათა კლასის მოთხოვნებსა და პროგრამას. მე-3 განყოფილება — მოთხოვნებს გლეხების სასარგებლოდ. ამ განყოფილებათა ზოგიერთი წინასწარი განმარტება მოცემულია ქვემოთ, პროგრამის პრაქტიკულ ნაწილზე გადასვლის წინ.

ა 1. პროგრამა უწინარეს ყოვლისა ლაპარაკობს მსხვილი ფაბრიკებისა და ქარხნების სწრაფ ზრდაზე, რადგანაც ეს თანამედროვე რუსეთის უმთავრესი მოვლენაა, რომელიც სრულიად სცვლის ცხოვრების ყველა ძველ პირობას, განსაკუთრებით კი მშრომელი კლასის ცხოვრების პირობებს. ძველ პირობებში თითქმის მთელს სიმდიდრეს ჰქმნიდნენ წვრილი მეურნეები, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ. მოსახლეობა უმოძრაოდ ცხოვრობდა სოფლებში და პროდუქტების უმეტეს ნაწილს ჰქმნიდა ან თავისი საკუთარი მოხმარებისათვის, ან გარშემო სოფლების პატარა ბაზრისათვის, რომელიც ნაკლებად იყო დაკავშირებული სხვა მეზობელ ბაზრებთან. მემამულეებისთვისაც იგივე წვრილი მეურნეები მუშაობდნენ, და მემამულეები აიძულებდნენ მათ ეწარმოებინათ პროდუქტი უმთავრესად

საკუთარი მოხმარებისათვის. შინ დამზადებულ პროდუქტებს დასამუშავებლად აძლევდნენ ხელოსნებს, რომლებიც აგრეთვე სოფლებში ცხოვრობდნენ ან ახლო-მახლო ადგილებში დადიოდნენ სამუშაოს საძებნელად.

და აი გლეხების განთავისუფლების დროიდან ხალხის მასის ცხოვრების ეს პირობები სრულიად შეიცვალა: წვრილი ხელოსნური საწარმოების ნაცვლად გაჩნდა დიდი ფაბრიკები, რომლებიც უდიდესი სისწრაფით იზრდებოდნენ; ისინი გამოდევნიდნენ ხოლმე წვრილ მეურნეებს, აქცევდნენ მათ დაქირავებულ მუშებად, ასობითა და ათასობით მუშებს აიძულებდნენ ერთად ემუშავნათ და უდიდესი რაოდენობით დაემზადებინათ საქონელი, რომელიც მთელ რუსეთში იყიდებოდა.

გლეხების განთავისუფლებამ მოსპო მოსახლეობის უმოძრაობა და გლეხები ისეთ პირობებში ჩააყენა, რომ მათ უკვე აღარ შეეძლოთ თავი ერჩინათ მათს განკარგულებაში დარჩენილ მიწის პატარა ნაჭრებით. დიდძალი ხალხი საშოვრის საძებნად გაეშურა, მიდიოდა ფაბრიკებში, რკინიგზების მშენებლობაზე, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა კუთხეებს აერთიანებდნენ და რომლებითაც ყველგან იზიდებოდა დიდი ფაბრიკების საქონელი. დიდძალი ხალხი საშოვრის საძებნელად წავიდა ქალაქებში, მუშაობდა საფაბრიკო და სავაჭრო შენობების მშენებლობაზე, ეზიდებოდა საწვავს ფაბრიკებისათვის, ამზადებდა მასალას მისთვის. დასასრულ, ბევრნი შინ ასრულებდნენ სამუშაოს, რომელსაც ურიგებდნენ ვაჭრები და მეფაბრიკეები, რადგან ვერ ასწრებდნენ თავიანთ საწარმოთა გაფართოებას. ასეთივე ცვლილებები მოხდა მიწათმოქმედებაში, მემამულეებმა ხელი მიჰყვეს პურის მოყვანას გასაყიდად, გლეხებსა და ვაჭრებში გაჩნდნენ მსხვილი მთესველები, დაიწყო ასეული მილიონი ფუთობით პურის გაყიდვა საზღვარგარეთ. წარმოებისათვის საჭირო გახდა დაქირავებული მუშები, და ასიათასობით, მილიონობით გლეხებმა თავი მიანებეს თავიანთ პაწაწინა ნადელებს და მოჯამაგირეებად

და დღიურ მუშებად წავიდნენ ახალ მეპატრონეებთან, რომლებსაც პური გასაყიდად მოჰყავდათ. პროგრამაც ცხოვრების სწორედ ამ ძველი პირობების ცვლილებებს აღწერს და ამბობს, რომ დიდი ფაბრიკები და ქარხნები წვრილ შინამრეწველებსა და გლეხებს აჩანაგებენ და დაქირავებულ მუშებად ხდიანო. წვრილ წარმოებას ყველგან სცვლის მსხვილი წარმოება, ხოლო ამ მსხვილ წარმოებაში მუშათა მასები უკვე უბრალო დაქირავებულნი არიან და ხელფასზე მუშაობენ კაპიტალისტისათვის, რომელიც ჰფლობს უზარმაზარ კაპიტალებს, აშენებს უზარმაზარ სახელოსნოებს, იძენს დიდძალ მასალას და ჯიბეში იდებს გაერთიანებული მუშების ამ მასობრივი წარმოების მთელ მოგებას. წარმოება კაპიტალისტური გახდა და იგი დაუნდობლად და უმოწყალოდ სრესს ყველა წვრილ მეურნეს, ანგრევს მათს უმოძრაო ცხოვრებას სოფლებში, აიძულებს მათ მთელი ჩვენი ქვეყნის კიდით-კიდემდე უბრალო შავ მუშებად იარონ და თავიანთი შრომა კაპიტალს მიჰყიდონ. მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი საბოლოოდ სწყდება სოფელსა და სოფლის მეურნეობას და თავს იყრის ქალაქებში, საფაბრიკო და სამრეწველო სოფლებსა და დაბებში, ჰქმნის საკუთრების სრულიად უქონელ ადამიანთა განსაკუთრებულ კლასს, დაქირავებული მუშა-პროლეტარების კლასს, რომლებიც მხოლოდ თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობენ.

აი რაში მდგომარეობს ის უდიდესი ცვლილებანი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომლებიც დიდმა ფაბრიკებმა და ქარხნებმა მოახდინეს: წვრილ წარმოებას სცვლის მსხვილი წარმოება, წვრილი მეურნეები დაქირავებულ მუშებად იქცევიან. რას ნიშნავს ეს ცვლილება მთელი მშრომელი ხალხისათვის და რას იწვევს იგი? სწორედ ამაზე ლაპარაკობს პროგრამა ქვემოთ.

§ 2. წვრილი წარმოების მსხვილი წარმოებით შეცვლას თან სდევს ცალკეული მეურნის წვრილი ფულადი სახსრების შეცვლა უზარმაზარი კაპიტალებით, წვრილი, უმნიშვნელო

მოგების შეცვლა მილიონიანი მოგებით. ამიტომ კაპიტალიზმის ზრდა ყველგან ფუფუნებისა და სიმდიდრის ზრდას იწვევს. რუსეთში შეიქმნა მთელი კლასი მსხვილი ფულიანი ბობოლებისა, მეფაბრიკეებისა, რკინიგზელებისა, ვაჭრებისა, ბანკირებისა, შეიქმნა მთელი კლასი ადამიანებისა, რომლებიც მრეწველებზე პროცენტით გასესხებული ფულადი კაპიტალების შემოსავლით ცხოვრობენ; გამდიდრდნენ მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც გლეხებისაგან მიწის დიდ გამოსასყიდს იღებდნენ, სარგებლობდნენ იმით, რომ გლეხებს მიწა უჭირდათ და ზრდიდნენ იჯარით გასაცემი მიწის ფასს, თავიანთ მამულებში არაყისსახდელ და შაქრის დიდ ქარხნებს აწყობდნენ. ფუფუნებამა და ხელგაშლილობამ მდიდრების ყველა ამ კლასში უმაგალითო ზომას მიაღწია, და დიდი ქალაქების საპარადო ქუჩებზე მათი თავადური პალატები და ძვირფასი სრა-სასახლეები გაშენდა. მაგრამ მუშის მდგომარეობა კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ უარესდებოდა. გლეხების განთავისუფლების შემდეგ გასამრჯელო აქა-იქ თუ კიდეც გაიზარდა, მეტად მცირედ და არა დიდიხნით, რადგან სოფლიდან მოზღვავებული დამშეული ხალხის მასა ხელფასს დაბლა სცემდა, ხოლო ამავე დროს სასურსათო და საარსებო პროდუქტები სულ ძვირდებოდა, ისე რომ ხელფასის გადიდების დროსაც კი მუშები ნაკლებ საარსებო საშუალებებს იღებდნენ; სამუშაოს შოვნა თანდათან უფრო ძნელდებოდა, და მდიდრების ძვირფასი პალატების გვერდით (ანდა ქალაქების გარეუბნებში) მრავლდებოდა ქოხები მუშებისა, რომლებიც იძულებული ხდებოდნენ ეცხოვრათ სარდაფებში, ხალხით გაჭედილ ნესტიან და ცივ ბინებში, ან პირდაპირ მიწურებში ახალი სამრეწველო დაწესებულებების მახლობლად. რაც უფრო მსხვილდებოდა კაპიტალი, მით უფრო ძლიერ ჩაგრავდა იგი მუშებს, აღატაკებდა მათ, აიძულებდა მთელი თავიანთი დრო მიეცათ ფაბრიკისათვის და სამუშაოზე მიერეკებოდა მუშების ცოლ-შვილს. ამრიგად, აი რაში მდგომარეობს პირველი ცვლილება, რომლისკენაც მივყავართ კაპი-

ტალიზმის ზრდას: უზარმაზარი სიმდიდრენი გროვდება ერთი მუჭა კაპიტალისტების ხელში, ხოლო ხალხის მასები ღატაკდებიან.

მეორე ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ წვრილი წარმოების შეცვლამ მსხვილი წარმოებით ბევრი გაუმჯობესება გამოიწვია წარმოებაში. უწინარეს ყოვლისა თვითეულ წვრილ სახელოსნოში და თვითეულ წვრილ მეპატრონესთან ცალ-ცალკე, მარტოხელა შრომის ადგილი დაიჭირა გაერთებული მუშების მუშაობამ; ესენი ერთად შრომობენ ერთ ფაბრიკაში, ერთ მიწათმფლობელთან, ერთ მოიჯარადრესთან. ერთად შრომა გაცილებით უფრო წარმატებულია (ნაყოფიერია), ვიდრე ცალკე შრომა, და საქონლის უფრო ადვილად და სწრაფად წარმოების საშუალებას იძლევა. მაგრამ ყველა ამ გაუმჯობესებით სარგებლობს მხოლოდ კაპიტალისტი, რომელიც მუშებს მათსავე გროშებს აძლევს და მუშათა შეერთებული შრომით მიღებულ მთელ სარფას მუქთად ითვისებს. კაპიტალისტი უფრო ძლიერი ხდება, ხოლო მუშა უფრო სუსტი, იმიტომ რომ იგი ერთ რომელიმე სამუშაოს ეჩვევა და მეორე საქმეზე გადასვლა, საქმიანობის გამოცვლა უძნელდება.

მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გაუმჯობესება წარმოებაში არის მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი, რომლებიც შემოაქვს კაპიტალისტს. მანქანების გამოყენებით შრომის ნაყოფიერება მრავალჯერ იზრდება; მაგრამ კაპიტალისტი მთელ ამ სარფას მუშების წინააღმდეგ იყენებს: სარგებლობს რა იმით, რომ მანქანები ნაკლებ ფიზიკურ შრომას მოითხოვენ, იგი მანქანებზე ამუშავებს ქალებსა და ბავშვებს, რომლებსაც ნაკლებ ხელფასს აძლევს. სარგებლობს რა იმით, რომ მანქანებს გაცილებით ნაკლები მუშა სჭირდება, იგი აუარებელ მუშას ერეკება ფაბრიკიდან და ამ უმუშევრობას იყენებს იმისათვის, რათა უფრო მეტად დაიმონოს მუშა, რათა გაადიდოს სამუშაო დღე, რათა წაართვას მუშას ღამის დასვენება და იგი მანქანის უბრალო დანამატად გადააქციოს. მანქანებით შექმნილი უმუშევრობა, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება, ახლა

იწვევს მუშის სრულ უმწეობას. მისი დახელოვნება ფასსა ჰკარგავს, მას ადვილად სცვლის უბრალო შავი მუშა, რომელიც სწრაფად ეჩვევა მანქანას და ხალისით მიდის სამუშაოდ უფრო ნაკლებ ხელფასზე. კაპიტალის მიერ უფრო ძლიერი შევიწროებისაგან თავდაცვის ყოველ ცდას მუშის დათხოვნა მოსდევს. განცალკევებულად მუშა სრულიად უძლურია კაპიტალის წინაშე, მანქანა მას გასრესას უქადის.

ა 3. წინა პუნქტის განმარტებაში ჩვენ ვთქვით, რომ განცალკევებული მუშა უძლური და უმწეოა კაპიტალისტის წინაშე, რომელსაც წარმოებაში მანქანები შემოაქვს. მუშა იძულებული ხდება თავის დასაცავად რადაც უნდა დაუჯდეს გამოსძებნოს საშუალებანი, რომელთა დახმარებითაც შეუძლია გაუმკლავდეს კაპიტალისტს. ასეთ საშუალებას იგი შ ე ე რ თ ე ბ ა შ ი პოულობს. მუშა, რომელიც უძლურია ცალკე, ძლიერი ხდება ამხანაგებთან შეერთების შემდეგ, მას საშუალება ეძლევა იბრძოლოს კაპიტალისტის წინააღმდეგ და გაუმკლავდეს მას.

შ ე ე რ თ ე ბ ა აუცილებელი ხდება მუშისათვის, რომლის წინააღმდეგაც დგას უკვე მსხვილი კაპიტალი. მაგრამ შეიძლება თუ არა შეერთება ერთმანეთისათვის უცხო და შემთხვევით თავმოყრილი ხალხისა, თუნდაც იგი ერთ ფაბრიკაში მუშაობდეს? პროგრამა აღნიშნავს იმ პირობებს, რომლებიც მუშებს შეერთებისათვის ამზადებენ და უვითარებენ მათ ამ შეერთების უნარსა და ცოდნას. ეს პირობებია: 1) დიდი ფაბრიკა სამანქანო წარმოებით, რომელიც მუდმივ მუშაობას მოითხოვს მთელი წლის განმავლობაში, სრულიად აწყვეტინებს მუშას კავშირს მიწასთან, საკუთარ მეურნეობასთან და მას სრულ პროლეტარად ხდის. მიწის პატარა ნაჭერზე საკუთარი მეურნეობა კი მუშებს ერთმანეთს აშორებდა, ყოველ მათგანს ერთგვარ განსაკუთრებულ, ამხანაგის ინტერესებისაგან დაშორებულ ინტერესს უქმნიდა, და ამრიგად ხელს უშლიდა მათს გაერთიანებას. მიწასთან მუშის კავშირის გაწყვეტა სპობს ამ დაბრკოლებებს. 2) შემდეგ, ასობით და ათასობით მუშების

ერთად მუშაობა თავისთავადაც აჩვევს მუშებს თავიანთ საჭიროებათა ერთად განხილვას, ერთად მოქმედებას, თვალსაჩინოდ ხდის მთელი მუშათა მასის მდგომარეობისა და ინტერესების მსგავსებას. 3) დასასრულ, მუშების მუდმივი გადასვლა ფაბრიკიდან ფაბრიკაში აჩვევს მათ ერთმანეთს დაუპირისპირონ და შეადარონ სხვადასხვა ფაბრიკის წესები და პირობები, დარწმუნდნენ, რომ ექსპლუატაცია ყველა ფაბრიკაში ერთნაირია, გაიზიარონ ის გამოცდილება, რომელიც მიღებული აქვთ სხვა მუშებს კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამრიგად გააძლიერონ მუშების შეკავშირება, სოლიდარობა. აი სწორედ ამ პირობებმა, ერთად აღებულმა, გამოიწვიეს, რომ მსხვილი ფაბრიკების და ქარხნების წარმოშობას შედეგად მოჰყვა აგრეთვე მუშების შეერთება. რუს მუშათა შორის ეს შეერთება უფრო ხშირად და უფრო მძლავრად თავს იჩენს გაფიცვებში (იმის შესახებ, თუ რატომ არის მიუწვდომელი ჩვენი მუშებისათვის შეერთება კავშირებისა თუ სალაროების სახით, მერმე გვექნება საუბარი). რაც უფრო მეტად ვითარდება მსხვილი ფაბრიკები და ქარხნები, მით უფრო ხშირი, მძლავრი და მედგარი ხდება მუშათა გაფიცვებიც, ასე რომ, რაც უფრო ძლიერია კაპიტალიზმის უღელი, მით უფრო აუცილებელია მუშების საერთო წინააღმდეგობა. მუშათა გაფიცვები და ცალკეული აჯანყებანი, როგორც პროგრამა ამბობს, ამჟამად ყველაზე გავრცელებული მოვლენაა რუსეთის ფაბრიკებში. მაგრამ, კაპიტალიზმის შემდგომი ზრდისა და გაფიცვების გახშირების შესაბამისად, ისინი საკმარისი აღარ არიან. მეფაბრიკეები ამ გაფიცვების წინააღმდეგ საერთო ზომებს იღებენ: ისინი ერთმანეთს შორის ჰკრავენ კავშირს, იწერენ მუშებს სხვა ადგილებიდან, დახმარებისათვის მიმართავენ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც ეხმარება მათ მუშების წინააღმდეგობის ჩაქრობაში. მუშების წინააღმდეგ დგას უკვე არა ერთი ცალკეული მეფაბრიკე ყოველი ცალკეული ფაბრიკისა, არამედ მათ წინააღმდეგ დგას კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს მ თ ე ლ ი

კ ლ ა ს ი და მისი დამხმარე მთავრობა. კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე-ბ ი ს მთელი კ ლ ა ს ი ბრძოლას იწყებს მთელ მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს თ ა ნ, ეძებს საერთო ზომებს გაფიცვების წინააღმდეგ, მოითხოვს მთავრობისაგან კანონებს მუშების წინააღმდეგ, ფაბრიკები და ქარხნები გადააქვს უფრო მიყრუებულ ადგილებში, სამუშაოს არიგებს სახლში და ათასგვარ სხვადასხვა ფანდებსა და ხრიკებს მიმართავს მუშების წინააღმდეგ. ცალკეული ფაბრიკისა და თვით მრეწველობის ცალკეული მუშების შეერთება აღარ კმარა კაპიტალისტების მთელი კლასის გასამკლავებლად, აუცილებელი ხდება მ თ ე ლ ი მ უ-შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ერთობლივი მოქმედება. ამრიგად, მუშათა ცალკეული აჯანყებებიდან იბადება ბრძოლა მთელი მუშათა კლასისა. მუშების ბრძოლა მეფაბრიკეების წინააღმდეგ კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბ რ ძ ო ლ ა დ იქცევა. ყველა მეფაბრიკეს აერთიანებს ერთი ინტერესი — მორჩილებაში იყოლიონ მუშები და მათ რაც შეიძლება ნაკლები ხელფასი აძლიონ. და მეფაბრიკეებიც ხედავენ, რომ ისინი თავიანთი საქმის დაცვას შესძლებენ მხოლოდ იმ პირობით, თუ მეფაბრიკეების მთელი კლასი გაერთიანებულად იმოქმედებს, თუ გავლენას მოიპოვებს სახელმწიფო ხელისუფლებაზე. მუშებსაც სწორედ ასევე აკავშირებს ერთი საერთო ინტერესი — თავი არ დააჩაგვრინონ კაპიტალს, დაიცვან ცხოვრებისა და ადამიანური არსებობის თავიანთი უფლება. და მუშებიც სწორედ ასევე რწმუნდებიან, რომ მათთვისაც აუცილებელია გაერთიანება, საერთო მოქმედება მთელი კლასისა — მუშათა კლასისა — და რომ ამისთვის აუცილებელია გავლენა მოიპოვონ სახელმწიფო ხელისუფლებაზე.

ა 4. ჩვენ განვმარტეთ, თუ ფაბრიკის მუშების ბრძოლა მეფაბრიკეების წინააღმდეგ როგორ და რატომ ხდება კლასობრივ ბრძოლად, მუშათა კლასის — პროლეტარების — ბრძოლად კაპიტალისტების კლასის — ბურჟუაზიის — წინააღმდეგ. საკითხავია, რა მნიშვნელობა აქვს ამ ბრძოლას მთელი ხალხისთვის და ყველა მშრომელისთვის? თანამედროვე პი-

რობებში, რომელთა შესახებაც ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით 1-ლი პუნქტის განმარტებაში, დაქირავებული მუშების საშუალებით წარმოება სულ უფრო და უფრო ავიწროებს წვრილ მეურნეობას. რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებიც დაქირავებული შრომით ცხოვრობენ, სწრაფად იზრდება, იზრდება არა მარტო მუდმივი საფაბრიკო მუშების რიცხვი, არამედ უფრო მეტად იზრდება რიცხვი გლეხებისა, რომლებიც თავის გამოსაკვებად იძულებული ხდებიან ეძებონ ასეთივე დაქირავებული სამუშაო. ამჟამად დაქირავებით მუშაობა, მუშაობა კაპიტალისტისათვის უკვე გადაიქცა მუშაობის ყველაზე გავრცელებულ ფორმად. კაპიტალის ბატონობამ შრომაზე მოსახლეობის მასა მოიცვა არა მარტო მრეწველობაში, არამედ მიწათმოქმედებაშიც. დიდ ფაბრიკებს განვითარების უმაღლეს საფეხურამდე აჰყავთ დაქირავებული შრომის სწორედ ეს ექსპლუატაცია, რომელიც საფუძვლად უდევს თანამედროვე საზოგადოებას. ექსპლუატაციის ყველა ხერხი, რომლებსაც ყველა კაპიტალისტი მიმართავს მრეწველობის ყველა დარგში და რომლებიც სტანჯავენ რუსეთის მუშათა მოსახლეობის მთელ მასას — აქ, ფაბრიკაში, ერთად გროვდება, ძლიერდება, მუდმივ წესად ხდება, ვრცელდება შრომის, მუშის ცხოვრების ყველა მხარეზე, ჰქმნის კაპიტალისტის მიერ მუშისაგან ძალღონის გამოწურვის მთელ თადარიგს, მთელ სისტემას. განვმარტოთ ეს მაგალითით: ყველგან და ყოველთვის ყველა, ვინც კი სამუშაოზე დგება, ისვენებს, სამუშაოს თავს ანებებს უქმე დღეს, თუ ამ დღეს ახლომახლო მიდამოებშიც უქმობენ. სულ სხვანაირად არის საქმე ფაბრიკაში: მუშას რომ ქირაობს, ფაბრიკა განაგებს მას უკვე როგორც მოეპრიანება, არავითარ ყურადღებას არ აქცევს მუშის ჩვეულებებს, მისი ცხოვრების ჩვეულებრივ წესებს, მის ოჯახურ მდგომარეობას, გონებრივ მოთხოვნილებებს. ფაბრიკა სამუშაოზე მიერეკება მას მაშინ, როცა ეს ფაბრიკისთვის საჭიროა, აიძულებს მთელი თავისი ცხოვრება ფაბრიკის მოთხოვნებს შეუფარდოს, აიძულებს თავისი დასასვენებელი

დრო დააქუცმაცოს, ცვლებით მუშაობის დროს აიძულებს იმუშაოს ღამითაც და უქმე დღესაც. ფაბრიკა იყენებს ყოველ-გვარ ბოროტმოქმედებას, რანაირიც კი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა სამუშაო დროის შესახებ, ამასთანავე შემოაქვს ყოველი მუშისათვის სავალდებულო თავისი «წესები», თავისი «წესრიგი». საფაბრიკო წესები განზრახ იმნაირად არის მოჭახრაკებული, რომ დაქირავებულ მუშას გამოსწუროს მთელი ის რაოდენობა შრომისა, რომლის მოცემაც კი მას შეუძლია, გამოსწუროს რაც შეიძლება მალე და მერე მოიშოროს თავიდან! მეორე მაგალითი. ყველა, ვინც კი სამუშაოზე დგება, რა თქმა უნდა, ვალდებული ხდება მეპატრონეს დაემორჩილოს, შეასრულოს ის, რასაც მას უბრძანებენ. მაგრამ დროებითი სამუშაოს შესრულებას რომ კისრულობს, დაქირავებული სრულიადაც არ ამბობს უარს თავის ნება-სურვილზე; თუ მეპატრონის მოთხოვნები არასწორად ან მეტად უზომოდ მიიჩნია, მუშა მისგან მიდის. ფაბრიკა კი მოითხოვს, რომ მუშამ სრულიად უარი სთქვას თავის ნება-სურვილზე; იგი აწესებს დისციპლინას, აიძულებს მუშას შეუდგეს მუშაობას და გაათავოს იგი ზარის დარეკვისას, იგი ითვისებს მუშის დასჯის უფლებას და თავის მიერვე შედგენილი წესების ყოველი დარღვევისათვის აჯარიმებს მას ან უქვითავს ხელფასიდან. მუშა უზარმაზარი მანქანის აპარატის ნაწილად ხდება: იგი ისევე მორჩილი, დამონებული, საკუთარ ნებისყოფას მოკლებული უნდა იყოს, როგორც თვით მანქანა.

კიდევ მე-3 მაგალითი. ყველა, ვინც კი ქირაზე მუშაობს, ძალიან ხშირად უკმაყოფილოა მეწარმისა, უჩივის მას სასამართლოში ან უფროსთან. უფროსიც და სასამართლოც საქმეს ჩვეულებრივ მეპატრონის სასარგებლოდ სწყვეტენ, მათი მხარე უჭირავთ, მაგრამ მეპატრონის ინტერესების ეს მფარველობა ემყარება არა საზოგადო წესს ან კანონს, არამედ ცალკეული მოხელეების მლიქვნელობას, რომელნიც მათ ზოგჯერ მეტად იცავენ, ზოგჯერ ნაკლებად, უსამართლოდ სწყვეტენ საკითხს მეპატრონის სასარგებლოდ ან მასთან ნაც-

ნობობით, ან იმიტომ, რომ მუშაობის პირობებს არ იცნობენ და მუშის გაგება არ შეუძლიათ. ასეთი უსამართლობის ყოველი ცალკე შემთხვევა დამოკიდებულია მუშის ყოველ ცალკე შეტაკებაზე მეპატრონესთან, ყოველ ცალკეულ მოხელეზე. ფაბრიკა კი მუშათა ისეთ მასას აერთებს, შევიწროება ისეთ ზომამდე მიჰყავს, რომ შეუძლებელი ხდება თვითეული შემთხვევის ცალკე განხილვა. იქმნება საერთო წესები, მუშავდება კანონი მეფაბრიკეებთან მუშების ურთიერთობის შესახებ, კანონი, რომელიც სავალდებულოა ყველასათვის. და ამ კანონში მეპატრონის ინტერესების გამოქომაგება უკვე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ არის განმტკიცებული. ცალკეული მოხელეების უსამართლობის ადგილს იჭერს თვით კანონის უსამართლობა. ჩნდება, მაგ., ისეთი წესები, რომელთა მიხედვითაც მუშა სამუშაოს გაცდენისათვის არა მარტო ხელფასსა ჰკარგავს, არამედ ჯარიმასაც იხდის, ხოლო როცა თვით მეპატრონე მოაცდენს მუშას, მეპატრონე მუშას არაფერს უხდის; მეპატრონეს შეუძლია მუშის დათხოვნა უკმეხობისათვის, მუშას კი არ შეუძლია ამავე მიზეზის გამო მეპატრონისაგან წავიდეს; მეპატრონეს უფლება აქვს მუშას თვითნებურად დაადოს ჯარიმა, გამოუქვითოს ხელფასიდან ფული ან მოსთხოვოს ზედმეტ საათებში მუშაობა და სხვ.

ყველა ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ აძლიერებს ფაბრიკა მუშების ექსპლუატაციას და ამ ექსპლუატაციას საყოველთაოს ხდის, როგორ ჰქმნის აქედან მთელ «წ ე ს რ ი გ ს». მუშას უკვე ახლავე ნებსით თუ უნებლიეთ საქმე აქვს არა ცალკეულ მეპატრონესთან, მის ნება-სურვილთან და მისგან შევიწროებასთან, არამედ მეპატრონეთა მთელი კლასის თვითნებობასა და მისგან შევიწროებასთან. მუშა ხედავს, რომ მისი მჩაგვრელია არა ერთი რომელიმე კაპიტალისტი, არამედ კაპიტალისტთა მთელი კლასი, იმიტომ რომ ყველა საწარმოს ექსპლუატაციის ერთნაირი წესი აქვს; ცალკეულ კაპიტალისტს არც კი შეუძლია გადაუხვიოს ამ წესს: მან კიდევაც რომ მოისურვოს, მაგ., სამუშაო დროის შემცირება, საქონე-

ლი მას უფრო ძვირად დაუჯდება, ვიდრე მის მეზობელს, მეორე მეფაბრიკეს, რომელიც იმავე ქირაზე მუშას უფრო მეტ ხანს ამუშავებს. თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მუშას ახლა უხდება საქმე იქონიოს მთელ საზოგადოებრივ წყობილებასთან, რომელიც კაპიტალის მიერ შრომის ექსპლუატაციისაკენ არის მიმართული. მუშის წინააღმდეგ დგას უკვე არა ერთი რომელიმე მოხელის ცალკეული უსამართლობა, არამედ უსამართლობა თვით სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელსაც თავის მფარველობაში აჰყავს კაპიტალისტთა მთელი კლასი და ამ კლასის სასარგებლოდ სცემს ყველასათვის სავალდებულო კანონებს. ამრიგად, ფაბრიკის მუშების ბრძოლა მეფაბრიკეების წინააღმდეგ გარდუვალად იქცევა ბრძოლად კაპიტალისტების მთელი კლასის წინააღმდეგ, მთელი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, რომელიც დამყარებულია კაპიტალის მიერ შრომის ექსპლუატაციაზე. ამიტომაც მუშების ბრძოლას საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლევა, იგი ხდება ყველა მშრომელის ბრძოლად სხვისი შრომით მცხოვრებთა ყველა კლასის წინააღმდეგ. ამიტომ მუშების ბრძოლა რუსეთის ისტორიის ახალ ეპოქას ჰქმნის და მუშათა განთავისუფლების განთიადს წარმოადგენს.

რაზეა დამყარებული კაპიტალისტთა კლასის ბატონობა მშრომელი ხალხის მთელ მასაზე? იმაზე, რომ კაპიტალისტების ხელში, მათს კერძო საკუთრებაში იმყოფება ყველა ფაბრიკა, ქარხანა, მაღარო, მანქანა, შრომის იარაღი; იმაზე, რომ მათ ხელშია მიწის უდიდესი რაოდენობა (ევრ. რუსეთის მიწის $^1/_3$-ზე მეტი ეკუთვნით მიწათმფლობელებს, რომელთა რიცხვი ნახევარ მილიონსაც არ შეადგენს). მუშები, რომელთაც თვითონ შრომის არავითარი იარაღები და მასალები არა აქვთ, იძულებული ხდებიან თავიანთი სამუშაო ძალა მიჰყიდონ კაპიტალისტებს, რომლებიც მუშებს აძლევენ მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია მათი რჩენისათვის, და მთელ ნაჭარბს, რომელსაც შრომა ჰქმნის, ჯიბეში იდებენ; ამრიგად ისინი იხდიან მუშის მიერ სამუშაოსათვის მოხმარებული

დროის მხოლოდ ნაწილის საფასურს, დანარჩენ ნაწილს კი ითვისებენ. მთელი ზრდა სიმდიდრისა, რომელიც წარმოსდგება მუშათა მასების შეერთებული შრომით ან წარმოებაში მომხდარ გაუმჯობესებათაგან, კაპიტალისტთა კლასის ხელში გადადის, მუშები კი, რომლებიც თაობიდან თაობამდე შრომობენ, ისევ ღატაკ პროლეტარებად რჩებიან. ამიტომ არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება, რომელიც ბოლოს მოუღებს შრომის ექსპლუატაციას კაპიტალის მიერ, სახელდობრ: შრომის იარაღებზე კერძო საკუთრების მოსპობა, ყველა ფაბრიკის, ქარხნის, მაღაროს, აგრეთვე ყველა დიდი მამულის და სხვ. გადაცემა მთელი საზოგადოების ხელში და საერთო სოციალისტური წარმოების მოწყობა, რომელსაც თვით მუშები უხელმძღვანელებენ. საერთო შრომით შექმნილი პროდუქტები მაშინ თვით მშრომელთა სასარგებლოდ წავა, ხოლო მათ მიერ წარმოებული ზედმეტი პროდუქტები მოხმარდება თვით მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მთელი მათი უნარის სრულ განვითარებას და იმას, რომ თანასწორუფლებიანად ისარგებლონ მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა მონაპოვრით. პროგრამაში სწორედ ამიტომაც აღნიშნულია, რომ მხოლოდ ამით შეიძლება დამთავრდეს მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. ამისათვის კი აუცილებელია, რომ პოლიტიკური ძალაუფლება, ე. ი. სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ძალაუფლება იმ მთავრობის ხელიდან, რომელიც კაპიტალისტთა და მიწათმფლობელთა გავლენაში იმყოფება, ან იმ მთავრობის ხელიდან, რომელიც პირდაპირ კაპიტალისტების მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან შესდგება, მუშათა კლასის ხელში გადავიდეს.

ასეთია მუშათა კლასის ბრძოლის საბოლოო მიზანი, ასეთია მისი სრული განთავისუფლების პირობა. ამ საბოლოო მიზნისაკენ უნდა მიისწრაფოდნენ შეგნებული, გაერთიანებული მუშები; მაგრამ ჩვენში, რუსეთში, ისინი ჯერ კიდევ ხვდებიან დიდ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან მათ იბრძოლონ თავიანთი განთავისუფლებისათვის.

ა 5. კაპიტალისტთა კლასის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას ამჟამად უკვე აწარმოებენ ევროპის ყველა ქვეყნის მუშები, აგრეთვე ამერიკისა და ავსტრალიის მუშები. მუშათა კლასის შეერთება და შეკავშირება მხოლოდ ერთი ქვეყნის ან ერთი ეროვნების ფარგლებით არ განისაზღვრება: სხვადასხვა სახელმწიფოს მუშათა პარტიები ხმამაღლა აცხადებენ, რომ მთელი მსოფლიოს მუშათა ინტერესებსა და მიზნებს შორის სრული ერთგვარობა (სოლიდარობა) არსებობს. ისინი ერთად იკრიბებიან საერთო კონგრესებზე, საერთო მოთხოვნებს უყენებენ ყველა ქვეყნის კაპიტალისტთა კლასს, აწესებენ საერთაშორისო დღესასწაულს მთელი გაერთიანებული პროლეტარიატისათვის, რომელიც განთავისუფლებისკენ მიისწრაფვის (1 მაისი), ყველა ქვეყნისა და ყველა ეროვნების მუშათა კლასს აკავშირებენ ერთ დიად მუშათა არმიად. ყველა ქვეყნის მუშების ეს გაერთიანება გამოწვეულია აუცილებლობით, იმით, რომ მუშებზე გაბატონებული კაპიტალისტთა კლასი თავის ბატონობას ერთი რომელიმე ქვეყნით არ საზღვრავს. სხვადასხვა სახელმწიფოთა სავაჭრო ურთიერთობა უფრო და უფრო მჭიდრო და ფართო ხდება; კაპიტალი განუწყვეტლივ გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში. ბანკები, კაპიტალების ეს უზარმაზარი საწყობები, რომლებიც ამ კაპიტალს ყოველი მხრიდან აგროვებენ და სესხის სახით უნაწილებენ კაპიტალისტებს, ნაციონალურიდან საერთაშორისონი ხდებიან, აგროვებენ კაპიტალებს ყველა ქვეყნიდან და ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტებს უნაწილებენ. უზარმაზარი სააქციო კომპანიები ეწყობა კაპიტალისტურ საწარმოთა დასაარსებლად უკვე არა ერთ ქვეყანაში, არამედ ერთბაშად რამდენიმეში; ჩნდებიან კაპიტალისტთა საერთაშორისო საზოგადოებანი. კაპიტალის ბატონობა საერთაშორისოა. სწორედ ამიტომაც ყველა ქვეყნის მუშათა ბრძოლას განთავისუფლებისათვის მხოლოდ მაშინ მოჰყვება წარმატება, როცა მუშები გაერთიანებულად აწარმოებენ ამ ბრძოლას საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ კაპიტალისტთა კლასის წი-

ნააღმდეგ ბრძოლაში რუსი მუშის ამხანაგია გერმანელი მუშაც, პოლონელი მუშაც და ფრანგი მუშაც, სწორედ ისევე, როგორც რუსი მუშის მტრები არიან როგორც რუსი, ისე პოლონელი და ფრანგი კაპიტალისტები. ასე, მაგალითად, უკანასკნელ ხანს უცხოელ კაპიტალისტებს განსაკუთრებული ხალისით გადმოაქვთ თავიანთი კაპიტალები რუსეთში, აშენებენ რუსეთში თავიანთი ქარხნებისა და ფაბრიკების განყოფილებებს და აარსებენ კომპანიებს რუსეთში ახალ საწარმოთა შესაქმნელად. ისინი ხარბად ეტანებიან ახალგაზრდა ქვეყანას, სადაც მთავრობა ისე კეთილმოწყალე და მასიამოვნებელია კაპიტალისა, როგორც არსად, სადაც ისინი ნაკლებ გაერთიანებულ და წინააღმდეგობის გაწევის ნაკლებუნარიან მუშებს ხვდებიან, ვიდრე დასავლეთში, სადაც მუშათა საარსებო დონე და, მაშასადამე, მათი ხელფასიც გაცილებით უფრო დაბალია და სადაც ამიტომ უცხოელ კაპიტალისტებს შეუძლიათ უდიდესი, თავიანთ სამშობლოში გაუგონარი მოგება მიიღონ. საერთაშორისო კაპიტალმა უკვე წაუპოტინა ხელი რუსეთსაც. რუსი მუშები ხელს უწვდიან საერთაშორისო მუშათა მოძრაობას.

§ 6. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, თუ როგორ აჰყავთ უმაღლეს საფეხურამდე მსხვილ ფაბრიკებსა და ქარხნებს შრომის დამონება კაპიტალის მიერ, როგორ ჰქმნიან ისინი ექსპლუატაციის წესების მთელ სისტემას; როგორ ჯანყდებიან მუშები კაპიტალის წინააღმდეგ და გარდუვალად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ყველა მუშის შეკავშირება, აუცილებელია მთელი მუშათა კლასის გაერთიანებული ბრძოლა. კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ ამ ბრძოლის დროს მუშები პირისპირ ხვდებიან საერთო სახელმწიფო კანონებს, რომლებიც მფარველობას უწევენ კაპიტალისტებსა და მათ ინტერესებს.

მაგრამ, თუ შეერთებულ მუშებს შეუძლიათ კაპიტალისტები დათმობაზე წაიყვანონ, წინააღმდეგობა გაუწიონ მათ, მაშინ მუშები თავიანთი გაერთიანებით ხომ შესძლებდნენ

სწორედ ასევე გავლენა მოეხდინათ სახელმწიფო კანონებზე, და ამ კანონების შეცვლისათვის მიეღწიათ. ყველა სხვა ქვეყნის მუშები ასეც იქცევიან, მაგრამ რუს მუშებს არ შეუძლიათ პირდაპირი გავლენა მოახდინონ სახელმწიფოზე. რუსეთში მუშები ისეთ პირობებში არიან ჩაყენებული, რომ სულ უბრალო მოქალაქობრივ უფლებებსაც კი მოკლებული არიან. მათ არც შეკრება შეუძლიათ, არც თავიანთი საქმეების ერთად განხილვა, არც კავშირების მოწყობა, არც თავიანთ განცხადებათა დაბეჭდვა, სხვანაირად რომ ვთქვათ — სახელმწიფო კანონები არამცთუ კაპიტალისტთა კლასის ინტერესების სასარგებლოდ არის შედგენილი, არამედ ყოველგვარ საშუალებას ართმევს მუშებს გავლენა მოახდინონ ამ კანონებზე და მიაღწიონ მათს შეცვლას. ეს იმიტომ ხდება, რომ რუსეთში (ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის მხოლოდ რუსეთში) დღემდე დაცულია თვითმპყრობელი მთავრობის განუსაზღვრელი ძალაუფლება, ესე-იგი ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, როცა მთელი ხალხისათვის სავალდებულო კანონების გამოცემა მხოლოდ მეფეს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, ამ კანონების შესრულება კი მხოლოდ მის მიერ დანიშნულ მოხელეებს შეუძლიათ. მოქალაქეებს უფლება არა აქვთ რაიმე მონაწილეობა მიიღონ კანონების გამოცემაში, მათს განხილვაში, ახალი კანონების წარდგენაში, ძველი კანონების გაუქმების მოთხოვნაში. მათ არავითარი უფლება არა აქვთ ანგარიში მოსთხოვონ მოხელეებს, შეამოწმონ მათი მოქმედება, სასამართლოს წინაშე ბრალი დასდონ. მოქალაქეებს იმის უფლებაც კი არა აქვთ, რომ სახელმწიფო საქმეებზე იმსჯელონ: იმავე მოხელეების ნებადაურთველად მათ კრებებისა და კავშირების მოწყობა არ შეუძლიათ. ამრიგად, მოხელეები უპასუხისმგებლონი არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; ისინი შეადგენენ ერთგვარ განსაკუთრებულ კასტას, რომელიც დაყენებულია მოქალაქეებზე მაღლა. მოხელეების უპასუხისმგებლობა და თვითნებობა და თვით მოსახლეობის სრული უუფლებობა მოხელეთა ძალაუფლების ისეთ

აღმაშფოთებელ ბოროტად გამოყენებასა და უბრალო ხალხის უფლებათა ისეთ დარღვევას იწვევს, როგორიც ძნელად თუ შეიძლება ევროპის რომელიმე ქვეყანაში.

ამრიგად, კანონით რუსეთის მთავრობა სრულიად შეუზღუდავია, იგი თითქოს სრულიად დამოუკიდებელია ხალხისაგან, თითქოს ყველა წოდებასა და კლასზე მაღლა დგას. მაგრამ ეს რომ მართლაც ასე იყოს, კანონიცა და მთავრობაც მუშებისა და კაპიტალისტების ყველა შეტაკების დროს ყოველთვის კაპიტალისტებს რათ დაუჭერდნენ მხარს? კანონიცა და მთავრობაც უფრო და უფრო მეტად რათ დაუჭერდნენ მხარს კაპიტალისტებს იმისდა მიხედვით, რაც უფრო იზრდება მათი რიცხვი და მატულობს მათი სიმდიდრე, — მუშებს კი უფრო და უფრო მეტად რათ გაუწევდნენ წინააღმდეგობას და უფრო და უფრო მეტად რათ შეავიწროებდნენ?

ნამდვილად მთავრობა კლასებზე მაღლა არა დგას და მფარველობას უწევს ერთ კლასს მეორის წინააღმდეგ, მფარველობას უწევს მქონებელთა კლასს უქონელთა წინააღმდეგ, კაპიტალისტებს მუშების წინააღმდეგ. შეუზღუდავი მთავრობა ვერც კი შესძლებდა ასეთი უზარმაზარი სახელმწიფოს მართვას, ყოველგვარ შეღავათს რომ არ აძლევდეს და არ ანებივრებდეს მქონებელ კლასებს.

თუმცა კანონით მთავრობა შეუზღუდავი და დამოუკიდებელი ხელისუფლებაა, მაგრამ ნამდვილად კაპიტალისტებსა და მიწათმფლობელებს ათასნაირი საშუალება აქვთ გავლენა მოახდინონ მთავრობასა და სახელმწიფო საქმეებზე. მათ აქვთ თავიანთი, კანონით აღიარებული, წოდებრივი დაწესებულებანი, თავადაზნაურობისა და ვაჭართა საზოგადოებანი, ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტები და ა. შ. მათი არჩეული წარმომადგენლები ან პირდაპირ მოხელეები ხდებიან და მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მართვაში (მაგალითად, თავადაზნაურობის წინამძღოლნი), ან მათ წევრებად იწვევენ მთავრობის ყველა დაწესებულებაში: მაგალითად, მეფაბრიკეები კანონით მონაწილეობას იღებენ საფაბრიკო საკრებუ-

ლოებში (საფაბრიკო ინსპექცია ამ საკრებულოს ექვემდებარება), სადაც თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ. მაგრამ ისინი იმას არ სჯერდებიან, რომ პირდაპირ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მართვაში. თავიანთ საზოგადოებებში ისინი იხილავენ სახელმწიფო კანონებს, იმუშავებენ პროექტებს, და მთავრობაც, ყოველი შემთხვევის გამო, ჩვეულებრივ კითხულობს მათს აზრს, წარუდგენს რომელიმე პროექტს და სთხოვს გამოსთქვან თავიანთი შენიშვნები.

კაპიტალისტები და მიწათმფლობელები აწყობენ სრულიად რუსეთის ყრილობებს, რომლებზედაც იხილავენ თავიანთ საქმეებს, იმუშავებენ სხვადასხვა ღონისძიებებს თავიანთი კლასის სასარგებლოდ, თავადაზნაურ მემამულეთა და «სრულიად რუსეთის ვაჭართა წოდების» სახელით შუამდგომლობენ ახალი კანონების გამოცემაზე და ძველების შეცვლაზე. თავიანთი საქმეები მათ შეუძლიათ გაზეთებში განიხილონ, ვინაიდან რაც უნდა ძალიან ავიწროებდეს მთავრობა ბეჭდვით სიტყვას თავისი ცენზურით, იგი ფიქრსაც ვერ გაბედავს იმაზე, რომ მდიდართა კლასს თავისი საქმეების განხილვის უფლება წაართვას. მათ ყოველთვის გზა ხსნილი აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან და უფრო ადვილად შეუძლიათ იმსჯელონ დაბალ მოხელეთა თვითნებობაზე, ადვილად შეუძლიათ მიაღწიონ განსაკუთრებით შემზღუდველი კანონებისა და წესების გაუქმებას. და თუ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ასეთი უამრავი კანონი და წესი, მთავრობის ასეთი უმაგალითო პოლიციური მეურვეობა, რომელსაც ყოველგვარი წვრილმანი აქვს გათვალისწინებული და რომელიც ყოველგვარ ცოცხალ საქმეს აუპიროვნებს — სამაგიეროდ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არღვევენ ასე ადვილად ამ ბურჟუაზიულ წესებს და ასე ადვილად არ უხვევენ გვერდს ამ პოლიციურ კანონებს მარტოოდენ უმაღლეს ხელისუფალთა კეთილმოწყალე ნებართვით. ასეთ კეთილმოწყალე ნებართვაზე კი არასოდეს უარს არ ეუბნებიან [31].

ბ 1. პროგრამის ეს პუნქტი ყველაზე დიდმნიშვნელოვანია, ყველაზე მთავარია, იმიტომ რომ იგი გვიჩვენებს, რაში უნდა მდგომარეობდეს მოქმედება პარტიისა, რომელიც მუშათა კლასის ინტერესებს იცავს, და მოქმედება ყველა შეგნებული მუშისა. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა შეუერთდეს სოციალიზმის მისწრაფებანი, ადამიანის მიერ ადამიანის მუდმივი ექსპლუატაციის გაუქმების მისწრაფებანი იმ სახალხო მოძრაობას, რომელიც მსხვილი ფაბრიკებისა და ქარხნების მიერ შექმნილი ცხოვრების პირობებით არის წარმოშობილი.

პარტიის მოღვაწეობა უნდა მდგომარეობდეს მუშების კლასობრივი ბრძოლისათვის ხელის შეწყობაში. პარტიის ამოცანა ის კი არ არის, რომ გამოიგონოს მუშებისადმი დახმარების რაიმე მოდური საშუალებანი, არამედ ის, რომ მიემხროს მუშების მოძრაობას, სინათლე შეიტანოს მასში, დაეხმაროს მუშებს ამ ბრძოლაში, რომელიც უკვე თვითონ მათ დაიწყეს. პარტიის ამოცანაა იცავდეს მუშათა ინტერესებს და წარმოადგენდეს მთელი მუშათა მოძრაობის ინტერესებს. რით უნდა გამოიხატებოდეს მუშებისადმი დახმარება მათს ბრძოლაში?

პროგრამა ამბობს, რომ ეს დახმარება უნდა მდგომარეობდეს, ჯერ-ერთი, მუშათა კლასობრივი თვითშეგნების განვითარებაში. თუ როგორ ხდება მუშების ბრძოლა მეფაბრიკეების წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლად ბურჟუაზიის წინააღმდეგ — ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

ჩვენი მაშინდელი ნათქვამიდან გამომდინარეობს, თუ რას უნდა ვგულისხმობდეთ მუშების კლასობრივ თვითშეგნებად. მუშათა კლასობრივი თვითშეგნება ნიშნავს მუშების მხრივ იმის გაგებას, რომ მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი განთავისუფლების ერთადერთი საშუალებაა ბრძოლა კაპიტალისტთა და მეფაბრიკეთა კლასის წინააღმდეგ, რომელნიც შექმნილი არიან დიდი ფაბრიკებისა და ქარხნების მიერ. შემდეგ, მუშათა თვითშეგნება ნიშნავს იმის გაგებას, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ყველა მუშის ინტერესები ერთნაი-

რია, სოლიდარულია, რომ ყველა ისინი შეადგენენ ერთ კლასს, საზოგადოების ყველა სხვა კლასისაგან განცალკევებულს. დასასრულ, მუშათა კლასობრივი თვითშეგნება ნიშნავს იმის გაგებას მუშების მხრივ, რომ თავიანთი მიზნების მისაღწევად მუშებმა აუცილებლად უნდა მოიპოვონ გავლენა სახელმწიფო საქმეებზე, როგორც ეს მოპოვებული აქვთ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს, რომელნიც კვლავაც განაგრძობენ მის მოპოვებას.

რა გზით იძენენ ყოველივე ამის გაგებას მუშები? მუშები ამ გაგებას მუდამ იძენენ სწორედ იმ ბრძოლით, რომელსაც მეფაბრიკეების წინააღმდეგ იწყებენ და რომელიც სულ უფრო და უფრო ვითარდება, მწვავდება და მსხვილი ფაბრიკებისა და ქარხნების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტ მუშას ითრევს. იყო დრო, როცა კაპიტალის წინააღმდეგ მუშების მტრობა გამოიხატებოდა მხოლოდ თავიანთი ექსპლუატატორების წინააღმდეგ სიძულვილის ბუნდოვანი გრძნობით, თავიანთი ჩაგვრისა და მონობის ბუნდოვანი შეგნებით და კაპიტალისტების მიმართ შ უ რ ი ს ძ ი ე ბ ი ს სურვილით. მაშინ ბრძოლა მუშების ცალკეული აჯანყებებით გამოიხატებოდა, ისინი ანგრევდნენ შენობებს, ამტვრევდნენ მანქანებს, სცემდნენ ფაბრიკის უფროსებს და სხვ. ეს იყო პ ი რ ვ ე ლ ი, დასაწყისი ფორმა მუშათა მოძრაობისა, და იგი აუცილებელი იყო იმიტომ, რომ კაპიტალისტისადმი სიძულვილი ყველგან და ყოველთვის იყო პირველი ბიძგი მუშებში თავდაცვისადმი მისწრაფების გაღვიძებისა. მაგრამ რუსეთის მუშათა მოძრაობამ ამ პირვანდელ ფორმას უკვე თავი დააღწია. კაპიტალისტისადმი ბუნდოვანი სიძულვილის ნაცვლად მუშებმა უკვე თანდათან შეიგნეს მუშათა კლასისა და კაპიტალისტთა კლასის ინტერესების წინააღმდეგობა. ჩაგვრის ბუნდოვანი გრძნობის ნაცვლად ისინი თანდათან უკვე ერკვევიან, თუ ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ი თ და ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ო გ ო რ ავიწროებს მათ კაპიტალი, და ჯანყდებიან ჩაგვრის ამა თუ იმ ფორმის წინააღმდეგ, საზღვარს უდებენ კაპიტალის მიერ

ჩაგვრას, თავს იცავენ კაპიტალისტის სიხარბისაგან. კაპიტალისტების მიმართ შურისძიების ნაცვლად ისინი იწყებენ ბრძოლას კაპიტალისტების მხრივ დათმობებისთვის, ისინი ზედიზედ უყენებენ მოთხოვნებს კაპიტალისტთა კლასს და მოითხოვენ მუშაობის პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის გადიდებას, სამუშაო დღის შემცირებას. ყოველი გაფიცვა მუშათა მთელ ყურადღებას და მთელ ძალღონეს აპყრობს ხან ერთ, ხან მეორე პირობას, რომელშიც ჩაყენებულია მუშათა კლასი. ყოველი გაფიცვა იწვევს ამ პირობებზე მსჯელობას, ეხმარება მუშებს მათს შეფასებაში, საშუალებას აძლევს გაერკვნენ, რაში მდგომარეობს კაპიტალის მიერ შევიწროება, რა საშუალებებით შეიძლება ბრძოლა ამ ჩაგვრის წინააღმდეგ. ყოველი გაფიცვა ამდიდრებს მთელი მუშათა კლასის გამოცდილებას. თუ გაფიცვა წარმატებით დამთავრდა, იგი ცხადჰყოფს მუშათა გაერთიანების ძალას და სხვებსაც ახალისებს ამხანაგების წარმატებით ისარგებლონ. თუ დამარცხებით დამთავრდა, იგი იწვევს დამარცხების მიზეზებზე მსჯელობას და ბრძოლის უკეთესი წესების გამოძებნას. ახლა რუსეთში ეს ყველგან დაწყებული განუხრელი ბრძოლა თავისი საარსებო საჭიროებებისათვის, ბრძოლა დათმობებისთვის, ცხოვრების, ხელფასისა და სამუშაო დღის უკეთესი პირობებისათვის წარმოადგენს უდიდეს ნაბიჯს, რომელიც რუსეთის მუშებმა გადასდგეს, და ამიტომ ამ ბრძოლას, მისთვის ხელის შეწყობას ს.-დ. პარტიისა და ყველა შეგნებული მუშის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს. მუშებისადმი დახმარება უნდა მდგომარეობდეს მათთვის იმ არსებით საჭიროებათა ჩვენებაში, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც უნდა წარმოებდეს ბრძოლა, იმ მიზეზების გარჩევაში, რომლებიც განსაკუთრებით აუარესებენ ამა თუ იმ მუშების მდგომარეობას, იმ საფაბრიკო კანონებისა და წესების განმარტებაში, რომელთა დარღვევა (და კაპიტალისტების მაცთური ხრიკები) ასე ხშირად იწვევს მუშების ორმაგ ძარცვას. დახმარება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ უფრო ზუსტად და გარკვეუ-

ლად გამოიხატოს მუშათა მოთხოვნები და საჯაროდ წამოყენებულ იქნას ისინი, იქაში, რომ შერჩეულ იქნას საუკეთესო მომენტი წინააღმდეგობის გასაწევად, იმაში, რომ არჩეულ იქნას ბრძოლის წესი, განხილულ იქნას ორივე მებრძოლი მხარის მდგომარეობა და ძალები, გამოირკვეს, ხომ არ შეიძლება ბრძოლის კიდევ უკეთესი წესის არჩევა (მაგალითად, ისეთი ხერხი, როგორიცაა წერილი მეფაბრიკისადმი, ან მიმართვა ინსპექტორისადმი, ან ექიმისადმი, გარემოებისდა მიხედვით, თუ პირდაპირ გაფიცვაზე გადასვლა საჭირო არ არის და სხვ.).

ჩვენ ვთქვით, რომ რუსი მუშების ასეთ ბრძოლაზე გადასვლა იმის მაჩვენებელია, რომ მათ უდიდესი ნაბიჯი გადასდგეს წინ. ეს ბრძოლა მუშათა მოძრაობას სწორ გზაზე აყენებს და მისი შემდგომი წარმატების ნამდვილი საწინდარია. ამ ბრძოლით მუშა ხალხის მასები, ჯერ-ერთი, სწავლობენ კაპიტალისტური ექსპლუატაციის ხერხების გაგებასა და მათში გარკვევას, ადარებენ მათ კანონებსაც, თავიანთი ცხოვრების პირობებსაც და კაპიტალისტთა კლასის ინტერესებსაც. ექსპლუატაციის ცალკეული ფორმებისა და შემთხვევების განხილვით მუშები სწავლობენ საერთოდ ექსპლუატაციის მნიშვნელობისა და არსის გაგებას, სწავლობენ იმ საზოგადოებრივი წყობილების გაგებას, რომელიც დამყარებულია კაპიტალის მიერ შრომის ექსპლუატაციაზე. მეორე, ამ ბრძოლაში მუშები სინჯავენ თავიანთ ძალებს, სწავლობენ გაერთიანებას, სწავლობენ მისი აუცილებლობისა და მნიშვნელობის გაგებას. ამ ბრძოლის გაფართოება და შეტაკებათა გახშირება გარდუვალად იწვევს ბრძოლის გაფართოებას, ერთიანობის გრძნობის, სოლიდარობის გრძნობის განვითარებას ჯერ ამა თუ იმ ადგილის მუშათა შორის, შემდეგ მთელი ქვეყნის მუშებს შორის, მთელ მუშათა კლასში. მესამე, ეს ბრძოლა ანვითარებს მუშათა პოლიტიკურ შეგნებას. მუშა ხალხის მასა თვით ცხოვრების პირობებით ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ მათ (არ შეუძლიათ) არც დრო აქვთ, არც შესაძ-

ლებლობა რაიმე სახელმწიფოებრივ საკითხებზე იფიქრონ. მაგრამ მუშების ბრძოლა მეფაბრიკეების წინააღმდეგ თავიანთ ყოველდღიურ საჭიროებათათვის მუშებს თავისთავად და გარდუვალად წინ უყენებს სახელმწიფო და პოლიტიკურ საკითხებს, იმ საკითხებს, თუ როგორია რუსეთის სახელმწიფოს მართვა, როგორ გამოდის და ვის ინტერესებს ემსახურება კანონები და წესები. ყოველი საფაბრიკო შეტაკება აუცილებლად იწვევს მუშების შეტაკებას კანონებთან და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მუშები პირველად აქ ისმენენ «პოლიტიკურ სიტყვებს». თავდაპირველად თუნდაც საფაბრიკო ინსპექტორებისაგან, რომლებიც მათ განუმარტავენ, რომ ხრიკი, რომლის საშუალებითაც მექარხნემ მათ მუხრუჭი მოუჭირა, ემყარება სათანადო ხელისუფლების მიერ იმ დამტკიცებული წესების ზუსტ აზრს, რომლებითაც მეფაბრიკეს თვითნებურად შეუძლია მუხრუჭი მოუჭიროს მუშებს, ან რომ მეფაბრიკის მხრივ შევიწროება სრულიად კანონიერია, იმიტომ რომ იგი მხოლოდ თავისი უფლებით სარგებლობს, ეყრდობა რა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ და დაცულ ამა და ამ კანონს. ბატონ ინსპექტორთა პოლიტიკურ განმარტებებს ზოგჯერ ემატება კიდევ უფრო მეტად სასარგებლო «პოლიტიკური განმარტებანი» ბ-ნ მინისტრისა, რომელიც მუშებს მოაგონებს «ქრისტიანული სიყვარულის» გრძნობას, რითაც ისინი გამსჭვალული უნდა იყვნენ მეფაბრიკეებისადმი იმისათვის, რომ მუშების შრომის ხარჯზე მეფაბრიკეები მილიონებს იძენენ. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ამ განმარტებებს და მუშების მიერ იმის უშუალოდ გაცნობას, თუ ვის სასარგებლოდ მოქმედებს ეს ხელისუფლება, შემდეგ ემატება კიდევ სოციალისტების ფურცლები ან სხვა განმარტებანი, ასე რომ ასეთი გაფიცვით მუშები უკვე სავსებით იღებენ თავიანთ პოლიტიკურ აღზრდას. ისინი სწავლობენ არა მარტო მუშათა კლასის განსაკუთრებული ინტერესების გაგებას, არამედ იმ განსაკუთრებული ადგილის გაგებასაც, რომელიც მუშათა

კლასს სახელმწიფოში უჭირავს. ამრიგად, აი რაში უნდა მდგომარეობდეს ის **დახმარება**, რომელიც ს.-დ. პარტიას შეუძლია გაუწიოს მუშების კლასობრივ ბრძოლას: დახმარება მუშათა კლასობრივი თვითშეგნების განვითარებაში იმ გზით, რომ ხელი შეეწყოს მუშების ბრძოლას თავიანთი ყველაზე საარსებო საჭიროებებისათვის.

მეორე **დახმარება** უნდა მდგომარეობდეს, როგორც პროგრამაშია ნათქვამი, მუშათა ორგანიზაციისათვის ხელშეწყობაში. ის ბრძოლა, რომელიც ჩვენ ახლა ავწერეთ, აუცილებლად მოითხოვს მუშების ორგანიზაციას. ორგანიზაცია საჭირო ხდება გაფიცვისთვისაც, რომ იგი უფრო წარმატებით წარიმართოს, გაფიცულთა სასარგებლოდ ფულის შეგროვებისთვისაც, მუშათა სალაროების მოსაწყობადაც, მუშებს შორის აგიტაციისთვისაც, მათ შორის ფურცლების ან განცხადებების, მოწოდებების და სხვ. გასავრცელებლადაც. ორგანიზაცია კიდევ უფრო მეტად არის საჭირო იმისთვის, რომ მუშებმა თავი დაიფარონ პოლიციისა და ჟანდარმერიის დევნისაგან, დაუმალონ მათ მუშათა ყველა გაერთიანება, მთელი კავშირურთიერთობა, მოაწყონ წიგნების, ბროშურების, გაზეთების და სხვ. მიწოდება. ყოველივე ამაში დახმარება — ასეთია პარტიის მეორე ამოცანა.

მესამე დახმარება უნდა იყოს ბრძოლის ნამდვილი მიზნის ჩვენება, ე. ი. მუშებისათვის იმის განმარტება, თუ რაში მდგომარეობს შრომის ექსპლუატაცია კაპიტალის მიერ, რას ემყარება ის, როგორ იწვევს მიწისა და შრომის იარაღების კერძო საკუთრება მუშათა მასების გაღატაკებას, როგორ აიძულებს მათ თავისი შრომა კაპიტალისტებს მიჰყიდონ და მუქთად მისცენ მთელი ის ნამეტი, რაც მუშის შრომით იქმნება მის შესანახ ხარჯს ზევით, შემდეგ, იმის განმარტება, თუ ეს ექსპლუატაცია როგორ გარდუვალად იწვევს მუშათა კლასობრივ ბრძოლას კაპიტალისტების წინააღმდეგ, როგორია ამ ბრძოლის პირობები და მისი საბოლოო მიზნები —

ერთი სიტყვით, იმის განმარტება, რაც მოკლედ აღნიშნული იყო ამ პროგრამაში.

ბ 2. რას ნიშნავს ეს, რომ მუშათა კლასის ბრძოლა არის პოლიტიკური ბრძოლა? ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა კლასს არ შეუძლია აწარმოოს ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის, თუ გავლენა არ მოიპოვა სახელმწიფო საქმეებზე, სახელმწიფოს მართვაზე, კანონების გამოცემაზე. ამ გავლენის აუცილებლობა რუსეთის კაპიტალისტებმა უკვე დიდი ხანია შეიგნეს, და ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორ მოახერხეს მათ, მიუხედავად პოლიციური კანონების ყოველგვარი აკრძალვისა, გამოენახათ ათასნაირი საშუალება სახელმწიფო ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად, და როგორ ემსახურება ეს ხელისუფლება კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ მუშათა კლასისთვისაც შეუძლებელია აწარმოოს ბრძოლა, ისიც კი შეუძლებელია, რომ თავისი ხვედრის მუდმივ გაუმჯობესებას მიაღწიოს, თუ გავლენა არ მოიპოვა სახელმწიფო ხელისუფლებაზე.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშების ბრძოლა აუცილებლად იწვევს მათს შეჯახებას მთავრობასთან, და თვით მთავრობაც მთელი თავისი ძალღონით ცდილობს დაუმტკიცოს მუშებს, რომ მხოლოდ ბრძოლით და შეერთებული წინააღმდეგობით შეუძლიათ მოახდინონ გავლენა სახელმწიფო ხელისუფლებაზე. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ ამას ის დიდი გაფიცვები, რომლებიც რუსეთში 1885 — 1886 წლებში მოხდა. მთავრობა მაშინვე შეუდგა მუშების შესახებ წესების შედგენას, დაუთმო მუშების მტკიცე მოთხოვნებს და მაშინვე გამოსცა ახალი კანონები საფაბრიკო წესრიგის შესახებ (მაგალითად, შემოღებულ იქნა წესები ჯარიმების შეზღუდვისა და ხელფასის წესიერად დარიგების შესახებ), სწორედ ასევე ახლანდელმა (1896 წ.) გაფიცვებმაც გამოიწვია მთავრობის დაუყოვნებლივ ჩარევა, და მთავრობამ უკვე შეიგნო, რომ დაპატიმრებით და გადასახლებით ფონს ვეღარ გავა, რომ სასაცილოა უმასპინძლდებოდე

მუშებს სულელური დარიგებით მეფაბრიკეთა კეთილშობილების შესახებ (იხ. ფინანსთა მინისტრის ვიტეს ცირკულარი საფაბრიკო ინსპექტორებისადმი. 1896 წ. გაზაფხული). მთავრობამ დაინახა, რომ «შეერთებული მუშები წარმოადგენენ ძალას, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს», და აი მან უკვე დაიწყო საფაბრიკო კანონების გადასინჯვა და ს.-პეტერბურგში იწვევს უფროსი საფაბრიკო ინსპექტორების ყრილობას, რათა განიხილოს სამუშაო დღის შემცირებისა და მუშებისადმი სხვა აუცილებელ დათმობათა საკითხი.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკური ბრძოლა. ეს ბრძოლა, მართლაც, ახლა უკვე გავლენას ახდენს სახელმწიფო ხელისუფლებაზე, პოლიტიკურ მნიშვნელობას იღებს. მაგრამ რაც უფრო მეტად ვითარდება მუშათა მოძრაობა, მით უფრო ცხადად, მკვეთრად ისახება და საგრძნობი ხდება მუშების სრული პოლიტიკური უუფლებობა, რაზედაც ჩვენ წინათ ვლაპარაკობდით, სრული შეუძლებლობა, რომ მუშებმა აშკარა და პირდაპირი გავლენა მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლებაზე. ამიტომ მუშების ყველაზე საარსებო მოთხოვნა და სახელმწიფო საქმეებზე მუშათა კლასის გავლენის პირველი ამოცანა უნდა იყოს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ა, ე. ი. სახელმწიფოს მართვაში ყველა მოქალაქის პირდაპირი, კანონით (კონსტიტუციით) უზრუნველყოფილი მონაწილეობის მოპოვება, იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მოქალაქეს შეეძლოს თავისუფლად შეკრება, თავიანთი საქმეების განხილვა, და კავშირებისა და ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით სახელმწიფო საქმეებზე გავლენის მოხდენა. პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება «მ უ შ ე ბ ი ს ს ა ა რ ს ე ბ ო ს ა ქ მ ე» ხდება, იმიტომ რომ უამისოდ მუშებს არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ არავითარი გავლენა სახელმწიფო საქმეებზე და ამრიგად გარდუვალად რჩებიან უუფლებო, დამცირებულ, უტყვ კლასად. და თუ ახლაც კი, როცა მუშე-

ბის ბრძოლა და შეკავშირება მხოლოდ იწყება, მთავრობა უკვე ჩქარობს დათმობაზე წავიდეს მუშების მიმართ, რათა მოძრაობის შემდგომი ზრდა შეაჩეროს, ეჭვს გარეშეა, რომ როცა მუშები ერთი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობით შეკავშირდებიან და გაერთიანდებიან, ისინი შესძლებენ აიძულონ მთავრობა დამორჩილდეს, შესძლებენ მოიპოვონ თავისთვის და მთელი რუსი ხალხისათვის პოლიტიკური თავისუფლება!

პროგრამის წინა ნაწილებში აღნიშნული იყო, თუ რა ადგილი უჭირავს მუშათა კლასს თანამედროვე საზოგადოებასა და თანამედროვე სახელმწიფოში, როგორია მუშათა კლასის ბრძოლის მიზანი და რაში მდგომარეობს იმ პარტიის ამოცანა, რომელიც მუშების ინტერესებს გამოხატავს. მთავრობის განუსაზღვრელი ძალაუფლების დროს რუსეთში არ არის და არც შეიძლება იყოს აშკარა პოლიტიკური პარტიები, მაგრამ არსებობენ პოლიტიკური მიმართულებანი, რომლებიც სხვა კლასების ინტერესებს გამოხატავენ და გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრსა და მთავრობაზე. ამიტომ, თუ გვინდა ს.-დ. პარტიის მდგომარეობა გამოვარკვიოთ, საჭიროა ახლა აღვნიშნოთ მისი ურთიერთობა რუსეთის საზოგადოებაში არსებულ სხვა პოლიტიკურ მიმართულებებთან, რათა მუშებმა გამოარკვიონ — ვინ შეიძლება იყოს მათი მოკავშირე. სადამდე და ვინ არის მათი მტერი. სწორედ ეს არის აღნიშნული პროგრამის ორ მომდევნო პუნქტში.

ბ 3. პროგრამა აცხადებს, რომ მუშების მოკავშირეა, ჯერერთი, საზოგადოების ყველა ის ფენა, რომელიც თვითმპყრობელი მთავრობის შეუზღუდავი ძალაუფლების წინააღმდეგ გამოდის. ვინაიდან ეს შეუზღუდავი ძალაუფლება არის უმთავრესი დაბრკოლება მუშების ბრძოლაში თავისი განთავისუფლებისათვის, აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ მუშების პირდაპირი ინტერესი მოითხოვს მხარი დაუჭირონ ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას აბსოლუტიზმის წინააღმდეგ (აბსოლუტური ნიშნავს შეუზღუდავს; აბსოლუ-

ტიზმი — მთავრობის შეუზღუდავ ძალაუფლებას). რაც უფრო ძლიერ ვითარდება კაპიტალიზმი, მით უფრო ღრმავდება წინააღმდეგობანი ბიუროკრატიულ მმართველობასა და თვით. შეძლებული კლასების ინტერესებს, ბურჟუაზიის ინტერესებს შორის. და ს.-დ. პარტია აცხადებს, რომ იგი მხარს დაუჭერს ბურჟუაზიის ყველა ფენასა და ჯგუფებს, რომლებიც შეუზღუდავი მთავრობის წინააღმდეგ გამოდიან.

მუშებისათვის გაცილებით უფრო სასარგებლოა ბურჟუაზიის პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა ვ ლ ე ნ ა სახელმწიფო საქმეებზე, ვიდრე ახლანდელი მისი გავლენა მექრთამე. და თავაშვებულ მოხელეთა ხროვის საშუალებით. მუშებისთვის გაცილებით უფრო სასარგებლოა ბურჟუაზიის ა შ კ ა რ ა გავლენა პოლიტიკაზე, ვიდრე ახლანდელი გავლენა, იმ ვითომდა ყოვლადძლიერი «დამოუკიდებელი» მთავრობის მიერ დ ა ფ ა რ უ ლ ი, რომელიც იწერება «წყალობითა ღვთისათა» და «თავის წყალობას» არ აკლებს მრავალტანჯულ და შრომისმოყვარე მიწათმფლობელებს და გაჭირვებულ და დაჩაგრულ მეფაბრიკეებს. მუშებისთვის საჭიროა ა შ კ ა რ ა ბ რ ძ ო ლ ა კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ, რათა რუსეთის მთელ პროლეტარიატს შეეძლოს დაინახოს, თუ რა ინტერესებისთვის იბრძვიან მუშები, შეეძლოს ისწავლოს, როგორ უნდა აწარმოოს ბრძოლა, რათა ბურჟუაზიის ოინები და მისწრაფებანი არ იმალებოდეს დიდი მთავრების დერეფნებში, სენატორებისა და მინისტრების სადარბაზო ოთახებში, ყველასთვის გამოკეტილ დეპარტამენტთა კანცელარიებში, რათა ეს ოინები და მისწრაფებები გამომზეურდეს, თვალი აუხილოს ყველას და ყოველს იმაზე, თუ ვინა ჰქმნის ნამდვილად მთავრობის პოლიტიკას და საით მიისწრაფიან კაპიტალისტები და მიწათმფლობელები. ამიტომ ძირს ყველაფერი, რაც კაპიტალისტთა კლასის ახლანდელ გავლენას ფარავს, ამიტომ მხარდაჭერა ბურჟუაზიის ყველა და ყოველგვარ წარმომადგენლებს, რომლებიც გ ა მ ო დ ი ა ნ მოხელეების, ბიუროკრატიული მართვა-გამგეობის წინააღმდეგ, შეუზღუდავი მთავრობის წინააღმ-

დეგ! მაგრამ, როცა ს.-დ. პარტია აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს ყოველგვარ საზოგადოებრივ მოძრაობას აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, იგი ამასთანავე აღიარებს, რომ არ ემიჯნება მუშათა მოძრაობას, იმიტომ რომ მუშათა კლასს აქვს თავისი განსაკუთრებული, ყველა სხვა კლასის ინტერესთა საწინააღმდეგო ინტერესები. როცა მუშები პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახმარებას უწევენ ბურჟუაზიის ყველა წარმომადგენელს, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ შეძლებული კლასები მხოლოდ დროებით შეიძლება იყვნენ მათი მოკავშირენი, რომ მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესების შეთანხმება შეუძლებელია, რომ მთავრობის შეუზღუდავი ძალაუფლების თავიდან მოშორება მუშებს მხოლოდ იმისათვის სჭირდებათ, რომ აშკარად და ფართოდ აწარმოონ ბრძოლა კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ.

შემდეგ, ს.-დ. პარტია აცხადებს, რომ იგი მხარს დაუჭერს ყველა იმას, ვინც აჯანყდება პრივილეგიან თავადაზნაურ მიწათმფლობელთა კლასის წინააღმდეგ. თავადაზნაური მემამულეები რუსეთში სახელმწიფოს პირველ წოდებად ითვლებიან. გლეხებზე მათი ბატონყმური უფლების ნაშთები დღემდე უღლად აწევს ხალხის მასებს. გლეხები კვლავ იხდიან მემამულეთა ბატონობისგან თავდასახსნელ ფულს. გლეხები ჯერ კიდევ მიმაგრებული არიან მიწაზე, რათა ბატონმა მემამულეებმა იაფ და მორჩილ მოჯამაგირეთა ნაკლებობა არ განიცადონ. გლეხები დღემდე როგორც უუფლებონი და მცირეწლოვანნი მინებებული არიან იმ მოხელეთა თვითნებობაზე, რომელნიც თავიანთ ჯიბეს იცავენ, გლეხების ცხოვრებაში ერევიან, რათა გლეხებმა «წესიერად» უხადონ მებატონე-მემამულეებს გამოსასყიდი ფული ან ღალა, რათა გლეხებმა არ გაბედონ და თავი არ «აარიდონ» მემამულეებისათვის მუშაობას, არ გაბედონ, მაგალითად, გადასახლება და ამით არ აიძულონ მემამულენი სხვა ადგილიდან დაიქირაონ ნაკლებ იაფი და გაჭირვებისაგან ნაკლებ დაბეჩავებული მუშები. იმის გამო, რომ ბატონი მემამულეები მილიონობით და ათე-

ული მილიონობით გლეხებს იმონებენ თავიანთ სამსახურად და მათს უუფლებობას უწყობენ ხელს, ამ ქველობისათვის უმაღლესი სახელმწიფო პრივილეგიებით სარგებლობენ. უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი უმთავრესად თავადაზნაურ-მიწათმფლობელებს უჭირავთ (კანონითაც თავადაზნაურთა წოდებას ყველაზე მეტი უფლება აქვს სახელმწიფო სამსახურის მისაღებად); წარჩინებული მემამულეები ყველაზე ახლოს დგანან მეფის კართან და უფრო პირდაპირ და სხვებზე ადვილად ხრიან ხოლმე თავისკენ მთავრობის პოლიტიკას. ისინი სარგებლობენ მთავრობასთან სიახლოვით, რათა ძარცვონ სახელმწიფო ხაზინა და ხალხის ფულიდან მიიღონ მილიონობით მანეთის საჩუქრები და წყალობა ხან დიდი მამულების სახით, რომლებსაც სამსახურისათვის არიგებენ, ხან კიდევ «დათმობათა» სახით *.

---

* — აქ სწყდება მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში არსებული ჰექტოგრაფირებული რვეული. რ ე დ.

მეფის მთავრობას[32]

მიმდინარე 1896 წელს რუსეთის მთავრობამ უკვე ორჯერ მიმართა საზოგადოებას ცნობით მეფაბრიკეების წინააღმდეგ მუშების ბრძოლის შესახებ. სხვა სახელმწიფოებში ასეთი ცნობების გამოქვეყნება იშვიათი როდია, — იქ არ მალავენ იმას, რაც სახელმწიფოში ხდება, და გაზეთებში თავისუფლად ბეჭდავენ ცნობებს გაფიცვების შესახებ. მაგრამ რუსეთში მთავრობას საშინლად ეშინია ფაბრიკის წესებისა და შემთხვევების გახმაურებისა: მან აკრძალა გაზეთებში წერა გაფიცვების შესახებ, საფაბრიკო ინსპექტორებს აუკრძალა თავიანთი ანგარიშების ბეჭდვა, მან გაფიცვის საქმეების გარჩევაც კი მოსპო ჩვეულებრივ, საჯარო სასამართლოებში, — ერთი სიტყვით, ყველა ზომა მიიღო, რათა სრულიად საიდუმლოდ შეინახოს ყველაფერი, რაც ფაბრიკებში და მუშებს შორის ხდება. და უცბად ყველა ეს პოლიციური ხრიკი საპნის ბუშტივით სკდება, — და მთავრობაც იძულებული ხდება თვითონ აშკარად ილაპარაკოს იმაზე, რომ მუშები მეფაბრიკეებს ებრძვიან. რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება? — 1895 წელს განსაკუთრებით ბევრი მუშათა გაფიცვა მოხდა. დიახ, მაგრამ გაფიცვები წინათაც ხდებოდა, მიუხედავად ამისა მთავრობა ახერხებდა საიდუმლოს შენახვას, და ეს გაფიცვები მუშათა მთელი მასისთვის გაუხმაურებლად ტარდებოდა. ახლანდელი გაფიცვები გაცილებით უფრო ძლიერი იყო წინა გაფიცვებზე და ერთ ადგილას ხდებოდა. დიახ, მაგრამ წინათაც ყოფილა არანაკლებ ძლიერი გაფიცვები, — მაგალითად, 1885 — 1886

წლებში მოსკოვისა და ვლადიმირის გუბერნიებში. — მაგრამ მთავრობა ჯერ მაინც მაგრობდა და არაფერს ამბობდა მეფაბრიკეებთან მუშების ბრძოლის შესახებ. მაშ ამჯერად რატომ ალაპარაკდა? იმიტომ, რომ ამჯერად მუშებს გამოესარჩლნენ სოციალისტები, რომლებიც დაეხმარნენ მუშებს საქმის განმარტებაში, მის გამოხმაურებაში ყველგან, მუშებს შორისაც და საზოგადოებაშიც, მუშათა მოთხოვნების ზუსტად ჩამოყალიბებაში, მთავრობის არაკეთილსინდისიერებისა და ველური ძალადობის ყველასთვის ჩვენებაში. მთავრობამ დაინახა, რომ სისულელეა დუმილი, როცა გაფიცვები ყველამ შეიტყო, — და იმანაც ყველას მიჰბაძა. სოციალისტების ფურცლებმა მთავრობას პასუხი მოსთხოვეს, და მთავრობაც გამოვიდა და პასუხი გასცა.

ვნახოთ, როგორი იყო ეს პასუხი.

თავდაპირველად მთავრობამ სცადა თავი აერიდებინა საჯარო და აშკარა პასუხისათვის. ერთ-ერთმა მინისტრმა, ფინანსთა მინისტრმა ვიტემ, საფაბრიკო ინსპექტორებს ცირკულარი დაუგზავნა, და ამ ცირკულარში მუშებსა და სოციალისტებს «საზოგადოებრივი წესრიგის უბოროტეს მტრებს» უწოდებდა, საფაბრიკო ინსპექტორებს ურჩევდა დაეშინებინათ მუშები, დაერწმუნებინათ, რომ მთავრობა მეფაბრიკეებს უკრძალავს დათმობაზე წასვლას, მიეთითებინათ მუშებისათვის, რომ მეფაბრიკეებს კარგი სურვილები და კეთილშობილი განზრახვები აქვთ, ელაპარაკნათ იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ მეფაბრიკეები მუშებისა და მათი საჭიროებისათვის, რა «კარგი გრძნობებით» არიან აღვსილნი მეფაბრიკეები. თვით გაფიცვებზე მთავრობა არაფერს ამბობდა, მას კრინტიც კი არ დაუძრავს იმაზე, თუ რის გამო ხდებოდა ეს გაფიცვები, რაში მდგომარეობდა მეფაბრიკეების მხრივ უმსგავსო შევიწროება და კანონის დარღვევა, რის მიღწევას ცდილობდნენ მუშები; ერთი სიტყვით, მან პირდაპირ იცრუა 1895 წლის ზაფხულისა და შემოდგომის ყველა გაფიცვის შესახებ, შეეცადა იოლად წასულიყო გაცვეთილი ბიუროკრატიული

ფრაზებით მუშების ძალადობისა და «უკანონო» მოქმედების შესახებ, თუმცა მუშებს ძალადობა არ უხმარიათ: ძალადობას მხოლოდ პოლიცია მიმართავდა. მინისტრს სურდა ეს ცირკულარი საიდუმლოდ დაეტოვებინა, მაგრამ თვით მოხელეებმა, რომელთაც მან იგი ანდო, საიდუმლო ვერ დაიცვეს, და ცირკულარიც საზოგადოების ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგ ის სოციალისტებმა დაბეჭდეს. როცა მთავრობამ დაინახა, რომ იგი სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ყველასათვის ცნობილი თავისი «საიდუმლოებით», ცირკულარი გაზეთებში დაბეჭდა. ეს იყო, როგორც უკვე ვთქვით, პასუხი 1895 წლის ზაფხულისა და შემოდგომის გაფიცვებზე. მაგრამ აი 1896 წლის გაზაფხულზე გაფიცვები გაცილებით მეტი სიძლიერით განმეორდა. მათ შესახებ გავრცელებულ ხმებს სოციალისტების ფურცლები დაემატა. მთავრობა თავდაპირველად ლაჩრულად სდუმდა, უცდიდა, რით გათავდებოდა საქმე, და შემდეგ, როცა მუშათა აჯანყება უკვე დაცხრა, — იგი უკანა რიცხვით გამოვიდა თავისი კანცელარიული სიბრძნით, როგორც დაგვიანებული პოლიციური ოქმით. ამჯერად კი საჭირო გახდა აშკარად გამოსვლა და ამასთანავე მთელი მთავრობისა. მისი ცნობა «პრავიტელსტვენი ვესტნიკის» 158 ნომერში დაიბეჭდა. ამჯერად უკვე შეუძლებელი გახდა გაფიცვების შესახებ კვლავინდებურად სიცრუის თქმა. მთავრობა იძულებული გახდა ეთქვა, როგორც იყო საქმე, რაში მდგომარეობდა მეფაბრიკეების მხრივ შევიწროება, რას მოითხოვდნენ მუშები; იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მუშები «წესიერად» იქცეოდნენ. ამრიგად, მუშებმა მთავრობა გადააჩვიეს საზიზღარ პოლიციურ სიცრუეს: აიძულეს იგი ეღიარებინა სიმართლე, როცა მასობრივად აღსდგნენ, როცა საქმის გასამჟღავნებლად ფურცლები გამოიყენეს. ეს დიდი წარმატებაა. მუშებს ახლა ეცოდინებათ, თუ რაში მდგომარეობს ერთადერთი საშუალება, რომ მიაღწიონ თავიანთი გაჭირვების საჯაროდ განცხადებას და აუწყონ მთელ რუსეთს მუშათა ბრძოლის ამბავი. მუშებს ახლა ეცოდინებათ, რომ მთავრობის სიცრუეს

აბათილებს მხოლოდ თვით მუშების გაერთიანებული ბრძოლა და მათი შეგნებული დამოკიდებულება თავიანთ უფლებათა მოპოვებისადმი. — როცა მინისტრებმა სთქვეს, როგორ იყო საქმე, მათ დაიწყეს გასამართლებელი მიზეზების მოგონება, თავიანთ ცნობაში გვარწმუნებდნენ, რომ გაფიცვები გამოწვეული იყო მხოლოდ «ბამბის რთვასა და ძაფის წარმოების თავისებურებით». აი თურმე რა ყოფილა! და არა მთელი რუსეთის წ ა რ მ ო ე ბ ი ს თავისებურებით, არა რუსეთის იმ სახელმწიფო წესწყობილების თავისებურებით, რომელიც პოლიციას ნებას აძლევს სდევნოს და შეიპყროს მშვიდობიანი მუშები, რომლებიც თავს იცავენ შევიწროებათაგან? მაშ რატომ იყო, კეთილო ბატონო მინისტრებო, რომ მუშები გაფაციცებით კითხულობდნენ და მოითხოვდნენ ფურცლებს, რომლებშიც ლაპარაკი იყო არა ბამბასა და ძაფზე, არამედ რუსეთის მოქალაქეთა უუფლებობასა და კაპიტალისტების მსახური მთავრობის ველურ თვითნებობაზე, არა, ამ ახალი მიზეზების მოგონება თითქმის უარესია, უფრო საზიზღარია, ვიდრე ის, რასაც იმიზეზებდა თავის ცირკულარში ფინანსთა მინისტრი ვიტე, რომელიც ყველაფერს «წამქეზებლებს» აბრალებდა. მინისტრი ვიტე გაფიცვაზე ისევე მსჯელობს, როგორც ყოველი პოლიციელი მოხელე, რომელიც მეფაბრიკეებისაგან მოწყალებას იღებს: წამქეზებლები მოვიდნენ — და გაფიცვაც მოხდაო. ახლა, როცა 30 ათასი მუშის გაფიცვა დაინახეს, ყველა მინისტრმა ერთად დაიწყო ფიქრი და, ბოლოს, მოისაზრეს, რომ გაფიცვა ხდება არა იმიტომ, რომ წამქეზებელი სოციალისტები ჩნდებიან, არამედ სოციალისტები იმიტომ ჩნდებიან, რომ იწყება გაფიცვები, იწყება მუშების ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ. მინისტრები ახლა ირწმუნებიან, სოციალისტები შემდეგ «მიემხრნენ» გაფიცვებსო. ეს კარგი გაკვეთილია ფინანსთა მინისტრ ვიტესათვის. აბა, ბატონო ვიტე, ვინძლო კარგად ისწავლოთ! კვლავისათვის ისწავლეთ იმის გარჩევა, თუ რა იწვევს გაფიცვას, ისწავლეთ მუშათა მოთხოვნების დანახვა, ყურს ნუ უგდებთ თქვენი პოლიციელი

ვირთაგვების მოხსენებებს, რომლებისაც თქვენ თვითონაც ხომ არაფერი გჯერათ. ბატონი მინისტრები საზოგადოებას არწმუნებენ, რომ ეს მხოლოდ «ბოროტგანმზრახველი პიროვნებანი» ცდილობდნენ გაფიცვებისთვის მიეცათ «დანაშაულებრივი პოლიტიკური ხასიათი» ან, როგორც ისინი ერთ ადგილას ამბობენ, «სოციალური ხასიათი» (ბატონ მინისტრებს სურდათ ეთქვათ სოციალისტურიო, მაგრამ, თავიანთი უვიცობით თუ კანცელარიული სიმხდალით, სთქვეს სოციალურიო, და უაზრობა გამოვიდა: სოციალისტური ნიშნავს მუშებისთვის კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდამჭერს, სოციალური კი ნიშნავს მხოლოდ საზოგადოებრივს. როგორ შეიძლება გაფიცვას საზოგადოებრივი ხასიათი მიეცეს? ეს ხომ იმასვე ნიშნავს, რომ მინისტრებს მინისტრობის ჩინი მიეცეთ!). აი სეირი! სოციალისტები გაფიცვებს პოლიტიკურ ხასიათს აძლევენო! ყოველგვარ სოციალისტებზე ადრე თვით მთავრობამ მიიღო ყველა ზომა, რომ გაფიცვებს პოლიტიკური ხასიათი მისცემოდა. განა მან არ დაიწყო მშვიდობიანი მუშების შეპყრობა, თითქოს ისინი ბოროტმოქმედნი ყოფილიყვნენ? დაპატიმრება და გადასახლება? განა მან არ დაგზავნა ყველგან ჯაშუშები და პროვოკატორები? განა ის არ იჭერდა ყველას, ვინც კი ხელში მოხვდებოდა? განა ის არ დაჰპირდა დახმარებას მეფაბრიკეებს, ოღონდ დათმობაზე არ წასულიყვნენ? განა ის არ სდევნიდა მუშებს მხოლოდ იმისათვის, რომ გაფიცულთა სასარგებლოდ ფულს აგროვებდნენ? თვითონ მთავრობამ ყველაზე უკეთ განუმარტა მუშებს, რომ მათი ბრძოლა მეფაბრიკეების წინააღმდეგ აუცილებლად უნდა იყოს ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. სოციალისტებს ისღა დარჩენოდათ, რომ დაედასტურებინათ ეს და ფურცლებში გამოექვეყნებინათ. ეს არის და ეს. მაგრამ რუსეთის მთავრობა თვალთმაქცობის ხელოვნებაში უკვე დიდად გამობრძმედილია, და მინისტრებიც შეეცადნენ დადუმებულიყვნენ იმაზე, თუ ჩვენი მთავრობა რა საშუალებებით «აძლევდა გაფიცვებს პოლიტიკურ ხასიათს», მან უამბო სა-

ზოგადოებას, რა რიცხვით იყო დათარიღებული სოციალისტების ფურცლები, — რატომ არ უამბო, რა თარიღი ჰქონდა გრადონაჩალნიკისა და სხვა ბაშიბუზუკების ბრძანებებს მშვიდობიანი მუშების დაპატიმრების, ჯარის შეიარაღების, ჯაშუშებისა და პროვოკატორების დაგზავნის შესახებ? მათ ჩამოუთვალეს საზოგადოებას, რამდენი ფურცელი იყო სოციალისტებისა, რატომ ისიც არ ჩამოსთვალეს, რამდენი მუშა და სოციალისტი შეიპყრეს, რამდენი ოჯახია განადგურებული, რამდენია გადასახლებული და გაუსამართლებლად საპყრობილეში დამწყვდეული? რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის მინისტრებიც კი, მიუხედავად მთელი მათი ურცხვობისა, ერიდებიან საჯაროდ ლაპარაკს ასეთს ავაზაკურ საქმეებზე. მშვიდობიან მუშებს, რომლებიც თავიანთი უფლებების დასაცავად აღსდგნენ, რომლებიც თავს იცავდნენ მეფაბრიკეების თვითნებობისაგან, — თავს დაატყდა სახელმწიფო ხელისუფლების მთელი ძალა, პოლიციითა და ჯარით, ჟანდარმებითა და პროკურორებით, — მუშების წინააღმდეგ, რომელთაც თავი გაჰქონდათ საკუთარი გროშებითა და თავიანთი ამხანაგების — ინგლისელი, პოლონელი, გერმანელი და ავსტრიელი მუშების გროშებით, — გამოვიდა მთელი ძალა სახელმწიფო ხაზინისა, რომელიც დახმარებას დაჰპირდა საწყალ მეფაბრიკეებს.

მუშები გაერთიანებული არ იყვნენ. მათ არ შეეძლოთ მოეწყოთ ფულის შეგროვება, სხვა ქალაქებისა და სხვა მუშების მიზიდვა, მათ ყველგან სდევნიდნენ, ისინი იძულებული გახდნენ დაეთმოთ სახელმწიფო ხელისუფლების მთელი ძალისათვის. ბატონი მინისტრები ზეიმობენ, რომ მთავრობამ გაიმარჯვა!

კარგი გამარჯვება კია! 30 ათასი მშვიდობიანი მუშის წინააღმდეგ, რომელთაც ფული არა ჰქონდათ, — აღიმართა მთელი ძლიერება ხელისუფლებისა, მთელი სიმდიდრე კაპიტალისტებისა! მინისტრები უფრო ჭკვიანურად მოიქცეოდნენ, ასეთი გამარჯვებით კვეხნა რომ არ დაეწყოთ, თორემ მათი ტრაბახი ძალიან მოგვაგონებს იმ პოლიციელი ჯარისკაცის

ტრაბახს, რომელსაც თავი მოაქვს — გაფიცვიდან ისე წავედი, რომ ვ ე რ ა მცემესო.

სოციალისტების «წამქეზებლობას» წარმატება არ მოჰყოლიაო, — ზეიმით აცხადებს მთავრობა, ამშვიდებს რა კაპიტალისტებს. — ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: დიახ, არავითარ წაქეზებას არ შეეძლო მოეხდინა მეასედიც კი იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც პეტერბურგის ყველა მუშაზე, რუსეთის ყველა მუშაზე მოახდინა მთავრობის საქციელმა ამ საქმეში! მუშებმა თვალნათლივ დაინახეს მთავრობის პოლიტიკა — მუშათა გაფიცვების მიჩქმალვა და სიცრუე მათ შესახებ. მუშებმა დაინახეს, როგორ გამოააშკარავა მათმა გაერთიანებულმა ბრძოლამ პოლიციის თვალთმაქცური სიცრუე. მათ დაინახეს, ვის ინტერესებს იცავს მთავრობა, რომელიც მეფაბრიკეებს დაჰპირდა დახმარებას. მათ შეიგნეს, ვინ არის მათი ნამდვილი მტერი, როცა, მიუხედავად იმისა, რომ კანონი და წესრიგი არ დაურღვევიათ, მათ, როგორც მტრებს, ჯარი და პოლიცია მიუსიეს. რამდენიც უნდა ილაყბონ მინისტრებმა ბრძოლის წარუმატებლობის შესახებ, მუშები მაინც ხედავენ, როგორ მიყუჩდნენ ყველგან მეფაბრიკეები, იციან ისიც, რომ მთავრობა უკვე საფაბრიკო ინსპექტორებს იწვევს იმაზე სათათბიროდ, თუ რა შეიძლება დაეთმოს მუშებს, ვინაიდან ხედავს, რომ დათმობანი აუცილებელია. 1895 — 1896 წლების გაფიცვებს ამაოდ არ ჩაუვლია. მათ უდიდესი სამსახური გაუწიეს რუსეთის მუშებს, დაანახვეს, როგორ უნდა აწარმოონ ბრძოლა თავიანთი ინტერესებისთვის. ამ გაფიცვებმა შეაგნებინეს მათ მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა ნ ი.

1896 წლის ნოემბერი.

მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი

დაწერილია საპყრობილეში 1896 წ. შემოდგომაზე.

იბეჭდება ფურცლის ტექსტის მიხედვით

დაიბეჭდა მიმეოგრაფზე 1896 წ. ნოემბერში

ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის

(სისმონდი და ჩვენებური სისმონდისტები) [34]

დაწერილია 1897 წ. გაზაფხულზე.

პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «ნოვოე სლოვოში» [35], წიგნი 7—10, 1897 წ. აპრილი — ივლისი.

ხელმოწერილია: კ. ტ — ნი

გადაბეჭდილია კრებულში: ვლადიმირ ილინი—«ეკონომიური ეტიუდები და სტატიები», 1898 წ.

იბეჭდება კრებულის «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია «ნოვოე სლოვოს» ტექსტთან და ტექსტთან კრებულისა: ვლ. ილინი — «აგრარული საკითხი», 1908 წ.



გარეკანი ჟურნალისა «ნოვოე სლოვო»,
რომელშიც პირველად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები
«ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის»
და «ერთი საკარხეთო შეხიზვნის ვაჭრ». — 1898 წ.

შვეიცარიელი ეკონომისტი სისმონდი (J.-C.-L. Simonde de Sismondi), რომელიც მიმდინარე საუკუნის დამდეგს სწერდა, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმ საერთო ეკონომიური საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ახლა განსაკუთრებული სიძლიერით იჩენენ თავს რუსეთში. თუ ამას დავუმატებთ, რომ პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში სისმონდის განსაკუთრებული ადგილი უკავია, განზე დგას რა მთავარ მიმდინარეობათაგან, რომ იგი წვრილი წარმოების თავგამოდებული მომხრეა და პროტესტით გამოდის მსხვილი მეწარმეობის დამცველებისა და იდეოლოგების წინააღმდეგ (სწორედ ისევე, როგორც მათ წინააღმდეგ თანამედროვე რუსი ნაროდნიკები გამოდიან), მაშინ მკითხველისათვის გასაგები იქნება ჩვენი განზრახვა წარმოვადგინოთ მთავარ ხაზებში სისმონდის მოძღვრების ნარკვევი და ვაჩვენოთ ამ მოძღვრების დამოკიდებულება ეკონომიური მეცნიერების სხვა — თანადროული და შემდგომი — მიმართულებებისადმი. სისმონდის შესწავლის ინტერესი სწორედ ამჟამად ძლიერდება იმით, რომ გასული 1896 წლის ჟურნალ «რუსსკოე ბოგატსტვოში» ჩვენ ვპოულობთ სტატიას, რომელიც აგრეთვე სისმონდის მოძღვრების გადმოცემისადმი არის მიძღვნილი (ბ. ე ფ რ უ ს ი: «სიმონდ დე-სისმონდის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებანი». «რ. ბ.», 1896 წ., №№ 7 და 8) *.

* ეფრუსი გარდაიცვალა 1897 წელს. მისი ნეკროლოგი დაბეჭდილია «რუსსკოე ბოგატსტვოს» 1897 წლის მარტის წიგნაკში.

«რუსსკოე ბოგატსტვოს» თანამშრომელი თავიდანვე აცხადებს, რომ არ არსებობს ისეთი მწერალი, რომელიც «ესოდენ უმართებულოდ ყოფილიყოს შეფასებული», როგორც სისმონდი, რომელიც «უსამართლოდ» გამოჰყავდათო ხან რეაქციონერად, ხან უტოპისტად. — პირიქით. სისმონდის სწორედ ასეთი შეფასებაა სავსებით მართებული. «რუსსკოე ბოგატსტვოს» სტატია კი, რომელიც სისმონდის მოძღვრების დაწვრილებით და აკურატულ გადმოცემას შეიცავს, მის თეორიას სრულიად არასწორად ახასიათებს *, ეწევა სისმონდის მოძღვრების სწორედ იმ პუნქტების იდეალიზაციას, რომლებშიც იგი ყველაზე უფრო უახლოვდება ნაროდნიკებს, უგულებელჰყოფს და არასწორად აშუქებს მის დამოკიდებულებას ეკონომიური მეცნიერების შემდგომი მიმდინარეობებისადმი. ამიტომ სისმონდის მოძღვრების ჩვენი გადმოცემა და განხილვა ამავე დროს ეფრუსის სტატიის კრიტიკაც იქნება.

თავი I

რომანტიზმის ეკონომიური თეორიები

სისმონდის თეორიის ნიშანდობლივ თავისებურებას შეადგენს მისი მოძღვრება შემოსავალზე, შემოსავლის დამოკიდებულებაზე წარმოებისა და მოსახლეობისადმი. სისმონდის მთავარი თხზულების სათაურიც ასეთია: «Nouveaux principes d'économie politique ou de la richesse dans ses rapports avec la population» (Seconde édition. Paris, 1827, 2 vol.** პირველი გამოცემა 1918 წელს იყო) — «პოლიტიკური

* სრული სიმართლეა, რომ სისმონდი სოციალისტი არ არის, რასაც სტატიის დასაწყისშივე აღნიშნავს ეფრუსი, რომელიც ლიპერტის ნათქვამს იმეორებს (იხ. «Handwörterbuch der Staatswissenschaften», V. Band, Artikel «Sismondi» von Lippert, Seite 678) («სახელმწიფო მეცნიერებათა ლექსიკონი», ტ. V, ლიპერტის სტატია «სისმონდი», გვ. 678. რედ.).

** — მეორე გამოცემა. პარიზი, 1827, 2 ტომი. რედ.

ეკონომიის ახალი საწყისები ანუ სიმდიდრე და მისი დამოკიდებულება მოსახლეობისადმი». ეს თემა თითქმის ეიგივება იმ საკითხს, რომელიც რუსულ ნაროდნიკულ ლიტერატურაში ცნობილია სახელწოდებით «კაპიტალიზმის შინაური ბაზრის საკითხი». სისმონდი სწორედ იმას ამტკიცებდა, რომ მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში მსხვილი მეწარმეობისა და დაქირავებული შრომის განვითარება იწვევს იმას, რომ წარმოება აუცილებლად წინ უსწრებს მოხმარებას და აწყდება მომხმარებელთა შოვნის გადაუჭრელ ამოცანას; რომ ქვეყნის შიგნით იგი მომხმარებელს ვერ იშოვის, ვინაიდან მოსახლეობის მასას დღიურ, უბრალო მუშებად აქცევს და ჰქმნის უსაქმოდ დარჩენილ მოსახლეობას, ხოლო საგარეო ბაზრის ძებნა სულ უფრო ძნელდება მსოფლიო სარბიელზე ახალი კაპიტალისტური ქვეყნების გამოსვლის გამო. მკითხველი ხედავს, რომ ეს სწორედ იგივე საკითხებია, რომლებიც აინტერესებს ეკონომისტ-ნაროდნიკებს ბატონ ვ. ვ-ისა და ნ.—ონის [38] მეთაურობით. მაშ უფრო ახლოს გავეცნოთ სისმონდის არგუმენტაციის ცალკეულ მომენტებს და მეცნიერულ მნიშვნელობას.

I

მცირდება თუ არა შინაური ბაზარი წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგების გამო?

წინააღმდეგ ეკონომისტ-კლასიკოსებისა, რომელნიც თავიანთ სისტემებში უკვე ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ წყობილებას გულისხმობდნენ და მუშათა კლასის არსებობას რაღაც თავისთავად მოცემულ და ნაგულისხმევ მოვლენად სთვლიდნენ, სისმონდი ხაზს უსვამს სწორედ წვრილი მწარმოებლის გაჩანაგების პროცესს, — პროცესს, რომელიც ამ კლასის წარმოქმნას იწვევდა. კაპიტალისტური წყობილების ამ წინააღმდეგობის აღნიშვნა რომ სისმონდის დამსახურებას შეადგენს — ეს უდავოა, მაგრამ საქმე ის არის, რომ სისმონდიმ, როგორც ეკონომისტმა, ვერ შესძლო გ ა ე გ ო ეს მოვლენა და თანმიმდევრული ანალიზის უუნარობას «კეთილი სურვი-

ლებით» ფარავდა. წვრილი მწარმოებლის გაჩანაგება, სისმონდის აზრით, შინაური ბაზრის შემცირების დამამტკიცებელია.

«თუ მეფაბრიკე უფრო იაფად გაჰყიდის, — ამბობს სისმონდი თავში იმის შესახებ, თუ «როგორ აფართოებს თავის ბაზარს გამყიდველი?» (ch. III, livre IV, t. I, p. 342 et suiv. *) **, — იგი მეტს გაჰყიდის, ვინაიდან სხვები ნაკლებს გაჰყიდიან. ამიტომ მეფაბრიკის მეცადინეობა ყოველთვის იქითკენ არის მიმართული, რომ შრომაზე თუ ნედლ მასალაზე რაიმე დანაზოგი მიიღოს, რაც მას საშუალებას მისცემს თავის ამხანაგებზე უფრო იაფად გაჰყიდოს. რადგანაც თვით მასალები წარსული შრომის პროდუქტს წარმოადგენენ, მისი დანაზოგი, ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის მოასწავებს ნაკლები რაოდენობის შრომის მოხმარებას იმავე პროდუქტის საწარმოებლად». «მართალია, ცალკეული მეფაბრიკე ცდილობს მუშათა რაოდენობა კი არ შეამციროს, არამედ წარმოება გაადიდოს. დავუშვათ, რომ ეს მან შესძლო, რომ თავის კონკურენტებს მყიდველები წაართვა საქონლის ფასის დაკლებით. როგორი იქნება ამის «ნაციონალური შედეგი»?» «სხვა მეფაბრიკეები წარმოების მის ხერხებს შემოიღებენ. მაშინ, ცხადია, ზოგიერთ მათგანს მოუხდება მუშების ერთი ნაწილის დათხოვა, იმის შესაბამისად, თუ რამდენად გააძლიერებს შრომის საწარმოო ძალას ახალი მანქანა. თუ მოხმარება უცვლელი დარჩა, და თუ შრომის იმავე რაოდენობას ათჯერ უფრო ნაკლები მუშა-ხელი ასრულებს, მაშინ მუშათა კლასის ამ ნაწილის შემოსავლის ცხრა მეათედი მას წაერთმევა, და მისი მოხმარებაც ყოველმხრივ ამდენადვე დაიკლებს... მაშასადამე, — თუ ერს საგარეო ვაჭრობა არა აქვს და თუ მოხმარება უცვლელი რჩება, — გამოგონებას შედეგად მოჰყვება საყოველთაო დანაკლისი, ნაციონალური შემოსავლის შემცირება,

* — თავი III, წიგნი IV, ტ. I, გვ. 342 და შემდ. რ ე დ.

** ყველა შემდგომი ციტატი, თუ განსაკუთრებული შენიშვნა არ ექნება, «Nouveaux Principes»-ის ზემოხსენებულ გამოცემას ეკუთვნის.

რაც მომდევნო წელიწადში საერთო მოხმარების შემცირებას გამოიწვევს» (I, 344). «და ეს ასეც უნდა მოხდეს: შრომა თავისთავად შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს (სისმონდის მხედველობაში აქვს ხელფასი), და ამიტომ შეუძლებელია შრომაზე მოთხოვნილება ისე შემცირდეს, რომ ერი უფრო არ გაღარიბდეს. ამიტომაც ის სარფიანობა, რომელიც მოსალოდნელია წარმოების ახალი წესების გამოგონებით, თითქმის ყოველთვის უცხოეთის ვაჭრობის ანგარიშზე მოდის» (I, 345).

მკითხველი ხედავს, რომ უკვე ამ სიტყვებით ჩვენს წინაშეა მთელი ესოდენ ნაცნობი «თეორია» «შინაური ბაზრის შემცირებისა» კაპიტალიზმის განვითარების შედეგად და ამის გამო საგარეო ბაზრის აუცილებლობისა. სისმონდი ამ აზრს ძალიან ხშირად უბრუნდება და მას უკავშირებს როგორც თავის კრიზისების თეორიას, ისე მოსახლეობის «თეორიას»; მის მოძღვრებაში ეს ისეთივე მთავარი პუნქტია, როგორც რუსი ნაროდნიკების მოძღვრებაში.

ცხადია, სისმონდის არ ავიწყდება, რომ ახალ ურთიერთობაში გაჩანაგებას და უმუშევრობას თან ახლავს «კომერციული სიმდიდრის» ზრდა, რომ ლაპარაკი უნდა იყოს მსხვილი წარმოების, კაპიტალიზმის განვითარებაზე. ეს მას ჩინებულად ესმოდა და სწორედ იმას ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმის ზრდა შინაურ ბაზარს ამცირებსო: «სწორედ ისევე, როგორც მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის სულ ერთი არ არის, ყველას დოვლათიანობა და მოხმარება თანდათან გათანასწორდება, თუ უმნიშვნელო უმცირესობას ყველაფერი ჭარბად ექნება, ხოლო მასა კი უნდა დასჯერდეს უაღრესად აუცილებელ საგნებს, სწორედ ასევე შემოსავლის განაწილების ეს ორი სახე სულ ერთი არ არის არც კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი ს ი მ დ ი დ რ ი ს (richesse commerciale)* განვითარებისათვის.

* ხაზგასმა აქ, ისევე როგორც ყველა სხვა ადგილას, ჩვენია, თუ წინააღმდეგი არაა აღნიშნული.

მოხმარების თანაბრობამ ყოველთვის უნდა გამოიწვიოს შედეგად მწარმოებელთა ბაზრის გაფართოება, ხოლო უთანაბრობამ — ბ ა ზ რ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა» (de le (le marché) resserrer toujours davantage) (I, 357).

მაშასადამე, სისმონდი ამტკიცებს, რომ შინაური ბაზარი მცირდება განაწილების იმ უთანაბრობით, რომელიც კაპიტალიზმს ახასიათებს, რომ ბაზარი უნდა იქმნებოდეს თანაბარი განაწილებით. მაგრამ როგორ შეიძლება ეს მოხდეს კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი ს ი მ დ ი დ რ ი ს დროს, რომელზედაც შეუმჩნევლად გადავიდა სისმონდი (და რომელზედაც არ შეეძლო არ გადასულიყო, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ბ ა ზ რ ი ს შესახებ ვერ ილაპარაკებდა)? ამას იგი არ იკვლევს. რით ამტკიცებს სისმონდი მწარმოებელთა თანაბრობის შენარჩუნების შესაძლებლობას კომერციული სიმდიდრის, ე. ი. ცალკეულ მწარმოებელთა შორის კონკურენციის დროს? აბსოლუტურად ვერაფრით ვერ ამტკიცებს. იგი მხოლოდ აცხადებს, ასე უ ნ დ ა ი ყ ო ს ო. იმ წინააღმდეგობის შემდგომი ანალიზის ნაცვლად, რომელიც სისმონდიმ სამართლიანად აღნიშნა, იგი იწყებს მსჯელობას საზოგადოდ წინააღმდეგობათა არასასურველობის შესახებ. «შესაძლოა, რომ წვრილი მიწათმოქმედების მსხვილი მიწათმოქმედებით შეცვლასთან ერთად მიწაში მეტი კაპიტალი დაბანდდა, მიწათმოქმედთა მთელ მასაში მეტი სიმდიდრე განაწილდა, ვიდრე წინათ»... (ე. ი. «შესაძლოა» გაიზარდა შინაური ბაზარი, რომელიც სწორედ კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი სიმდიდრის აბსოლუტური რაოდენობით განისაზღვრება? — გაიზარდა კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად?)... «მაგრამ ერისათვის ერთი და იგივე არ არის მდიდარ ფერმერთა ერთი ოჯახის მოხმარება პლუს 50 გაღატაკებული დღიური მუშის ოჯახი და იმ 50 გლეხის ოჯახის მოხმარება, რომელთაგან არც ერთი არ არის მდიდარი, მაგრამ სამაგიეროდ არც ერთი არ არის მოკლებული (ზომიერ) საკმაო დოვლათს» (une honnête aisance) (I, 358). სხვანაირად რომ ვთქვათ: შესაძლოა სწორედ ფერმერობის განვითარება

ჰქმნიდეს შინაურ ბაზარს კაპიტალიზმისათვის. სისმონდი მეტად განათლებული და კეთილსინდისიერი ეკონომისტი იყო, რომ ეს ფაქტი უარეყო, მაგრამ... მაგრამ აქ ავტორი სტოვებს თავის გამოკვლევას და კომერციული სიმდიდრის «ერის» ადგილას პირდაპირ გლეხთა «ერს» აყენებს. სისმონდი თავიდან იშორებს იმ არასასიამოვნო ფაქტს, რომელიც მის წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისს უარჰყოფს, და იმასაც კი ივიწყებს, რასაც თვითონვე ამბობდა ამაზე ცოტა ადრე, სახელდობრ: რომ «ფერმერები», კომერციული სიმდიდრის განვითარების მეოხებით, სწორედ «გლეხებიდან» განვითარდნენ. «პირველი ფერმერები, — ამბობს სისმონდი, — უბრალო მხვნელ-მთესველები იყვნენ... ისინი გლეხებადვე რჩებოდნენ... ისინი ერთად მუშაობისათვის თითქმის არასოდეს არ იყენებდნენ დღიურ მუშებს, არამედ მხოლოდ შინამოსამსახურეებს (მოჯამაგირეებს — des domestiques), რომელნიც მუდამ თავის თანასწორთაგან აჰყავდათ და რომელთაც ისე ეპყრობოდნენ, როგორც თანასწორთ, პურს ერთად სჭამდნენ... გლეხთა ერთ კლასს შეადგენდნენ» (I, 221). მაშასადამე, ყოველივე ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს პატრიარქალური გლეხები პატრიარქალური მოჯამაგირეებითურთ გაცილებით უფრო მოსწონს ავტორს, და ისიც ზურგს აქცევს იმ ცვლილებებს, რომლებიც ამ პატრიარქალურ ურთიერთობაში «კომერციული სიდიდრის» ზრდამ შეიტანა.

მაგრამ სისმონდი სრულიადაც არ ფიქრობს ეს აღიაროს. მას კვლავ ჰგონია, რომ კომერციული სიმდიდრის კანონებს იკვლევს, და, ივიწყებს რა თავისსავე შენიშვნებს, პირდაპირ ამტკიცებს:

«ამრიგად, ერთი მუჭა მესაკუთრეთა ხელში ქონების კონცენტრაციის გამო შ ი ნ ა უ რ ი ბ ა ზ ა რ ი უ ფ რ ო და უ ფ რ ო მ ც ი რ დ ე ბ ა (!), და მრეწველობას სულ უფრო და უფრო უხდება ეცადოს საქონლის გასაღებას საგარეო ბაზრებზე, სადაც მას მოელის უდიდესი ცვალებადობა» (des grandes ré-

volutions) (I, 361). «მაშასადამე, შინაური ბაზარი არ შეიძლება სხვა გზით გაფართოვდეს, თუ არა ნაციონალური კეთილდღეობის გაფართოებით» (I, 361). სისმონდის მხედველობაში აქვს სახალხო კეთილდღეობა, ვინაიდან მან ეს-ეს არის თვითონ აღიარა «ნაციონალური» კეთილდღეობის შესაძლებლობა ფერმერობის დროს.

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენი ეკონომისტი-ნაროდნიკები სიტყვასიტყვით ამასვე ამბობენ.

სისმონდი ამ საკითხს კვლავ უბრუნდება თავისი თხზულების ბოლოში, VII წიგნში: «მოსახლეობის შესახებ», VII თავში: «მოსახლეობა, რომელიც მანქანების გამოგონების გამო ზედმეტი შეიქნა».

«დიდ ბრიტანეთში სოფლად მსხვილი ფერმების სისტემის შემოღებამ იმ მოიჯარადრე-გლეხთა (fermiers paysans) კლასის გაქრობა გამოიწვია, რომელნიც თვითონვე მუშაობდნენ და მიუხედავად ამისა ზომიერი დოვლათი ჰქონდათ; მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა; მაგრამ მისი მოხმარება კიდევ უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე მისი რიცხვი. დღიური მუშები, რომლებიც მინდვრის ყოველგვარ სამუშაოს ასრულებენ და მხოლოდ სრულიად აუცილებელ სახსარს იღებენ, ბევრად უფრო ნაკლებად ახალისებენ (encouragement) საქალაქო ინდუსტრიას, ვიდრე წინათ მდიდარი გლეხები» (II, 327). «ანალოგიური ცვლილება მოხდა ქალაქის მოსახლეობაშიც... წვრილი ვაჭრები, წვრილი მრეწველები ჰქრებიან, და ასობით ასეთ წვრილ ვაჭარსა და მრეწველს ერთი მსხვილი მეწარმე სცვლის; შეიძლება, ყველა ისინი ერთად არ იყვნენ ისე მდიდრები, როგორც იგი. მიუხედავად ამისა ისინი, ყველანი ერთად, უკეთესი მომხმარებლები იყვნენ, ვიდრე იგი. მისი ფუფუნება გაცილებით უფრო ნაკლებად ახალისებს ინდუსტრიას, ვიდრე იმ ასეული მეურნის ზომიერი დოვლათიანობა, რომელნიც მან შესცვალა» (ib. *).

* — ibidem — იქვე. რ ე დ.

საკითხავია, რას გვიჩვენებს სისმონდის ეს თეორია კაპიტალიზმის განვითარების დროს შინაური ბაზრის შემცირების შესახებ? იმას, რომ მისმა ავტორმა, როგორც კი სცადა საქმისათვის სწორად შეეხედნა, მყისვე თავი აარიდა იმ პირობების ანალიზს, რომლებიც კაპიტალიზმს შეესაბამება («კომერციული სიმდიდრე» პლუს მსხვილი მეწარმეობა მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში, ვინაიდან სისმონდიმ სიტყვა «კაპიტალიზმი» არ იცის. ცნებათა იგივეობა ამ სიტყვის ხმარებას სავსებით მართებულს ხდის, და ჩვენც ამიერიდან პირდაპირ ვიხმართ სიტყვა «კაპიტალიზმს»), და ანალიზის ადგილი თავის წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისსა და წვრილბურჟუაზიულ უტოპიას დააჭერინა. კომერციული სიმდიდრისა და, მაშასადამე, კონკურენციის განვითარებამ ხელუხლებელი უნდა დასტოვოს ერთი დონის საშუალო გლეხობა მისი «ზომიერი დოვლათით» და მოჯამაგირეებთან პატრიარქალური ურთიერთობით.

გასაგებია, რომ ეს უწყინარი სურვილი მხოლოდ და მხოლოდ სისმონდისა და «ინტელიგენციიდან» გამოსული სხვა რომანტიკოსების კუთვნილებას შეადგენს, რომ იგი დღითიდღე უფრო და უფრო ეწინააღმდეგებოდა სინამდვილეს, რომელიც იმ წინააღმდეგობებს ავითარებდა, რომელთა სიღრმის დაფასება სისმონდის ჯერ კიდევ არ შეეძლო.

გასაგებია, რომ თეორიულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომელიც თავის შემდგომ განვითარებაში * კლასიკოსებს მიემხრო, ზუსტად დაადგინა სწორედ ის, რის უარყოფაც უნდოდა სისმონდის, სახელდობრ: რომ საერთოდ კაპიტალიზმისა და კერძოდ ფერმერობის განვითარება კი არ ამცირებს, არამედ ჰ ქ მ ნ ი ს შინაურ ბაზარს. კაპიტალიზმის განვითარება სასაქონლო მეურნეობის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს, და რამდენადაც საოჯახო წარმოება ადგილს უთმობს გასაყი-

* ლაპარაკია მარქსიზმზე. (ავტორის შენიშვნა 1908 წ. გამოცემისათვის. რ ე დ.)

დად წარმოებას, ხოლო შინამრეწველი ადგილს უთმობს ფაბრიკას, — იქმნება ბაზარი კაპიტალისათვის. «დღიური მუშები», რომელნიც «გლეხების» «ფერმერებად» გადაქცევის გამო მიწათმოქმედებიდან იდევნებიან, სამუშაო ძალას აწოდებენ კაპიტალს, ფერმერები კი გამოდიან ინდუსტრიის პროდუქტების მყიდველებად, და ამასთან არა მარტო მოხმარების საგნების მყიდველებად (რომლებსაც წინათ გლეხები ან სოფლის ხელოსნები შინ ამზადებდნენ), არამედ წარმოების იმ იარაღების მყიდველებადაც, რომელნიც წვრილი მიწათმოქმედების მსხვილით შეცვლის დროს წინანდელ სახეს ველარ შეინარჩუნებდნენ *. უკანასკნელ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას, ვინაიდან განსაკუთრებით სწორედ მას უგულებელჰყოფდა სისმონდი, რომელიც ზემოთ მოყვანილ ციტატაში გლეხებისა და ფერმერების «მოხმარებაზე» ისე ლაპარაკობდა, თითქოს მარტო პირადი მოხმარება (ბურის, ტანსაცმლის და სხვ. მოხმარება) არსებობდა, თითქოს მანქანების, იარაღებისა და სხვ. ყიდვა, შენობების, საწყობების, ფაბრიკებისა და სხვ. აგება იგივე, მხოლოდ სხვაგვარი ხასიათის მოხმარება არ იყოს, სახელდობრ: საწარმოო მოხმარება, მოხმარება არა ადამიანებისა, არამედ კაპიტალისა. და კვლავ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ სწორედ ეს შეცდომა, რომელიც სისმონდიმ, როგორც ახლავე დავინახავთ, ადამ სმიტისაგან შეითვისა, სრულიად უცვლელად გადმოიღეს ჩვენმა ნაროდნიკმა-ეკონომისტებმაც **.

---

* ამრიგად, ერთსა და იმავე დროს იქმნება ელემენტები როგორც ცვალებადი («თავისუფალი» მუშა), ისე მუდმივი კაპიტალისა; უკანასკნელს ეკუთვნიან წარმოების ის საშუალებანი, რომელთაგან წვრილი მწარმოებელი თავისუფლდება.

** ეფრუსი სისმონდის დოქტრინის ამ ნაწილზე — კაპიტალიზმის განვითარების გამო შინაური ბაზრის შემცირებაზე — არაფერს ამბობს. ჩვენ კიდევ მრავალჯერ ვნახავთ, რომ მან გამოსტოვა სწორედ ის, რაც ყველაზე მკაფიოდ ახასიათებს სისმონდის თვალსაზრისს და მისი მოძღვრებისადმი ნაროდნიკების დამოკიდებულებას.

II

სისმონდის შეხედულებანი ნაციონალურ შემოსავალსა და კაპიტალზე

სისმონდის არგუმენტაცია კაპიტალიზმისა და მისი განვითარების შესაძლებლობის წინააღმდეგ მარტო ამით როდი განისაზღვრება. მას ასეთივე დასკვნები გამოჰყავდა თავისი მოძღვრებიდანაც შემოსავლის შესახებ. უნდა ითქვას, რომ სისმონდიმ სავსებით გადმოიღო ად. სმიტისაგან შრომითი ღირებულებისა და შემოსავლის სამი სახის: რენტის, მოგებისა და ხელფასის თეორია. ზოგან ის კიდეც ცდილობს განაზოგადოს შემოსავლის პირველი ორი სახე მესამის საწინააღმდეგოდ: მაგალითად, ხანდახან ის აერთიანებს მათ და უპირდაპირებს ხელფასს (I, 104 — 105); მის ნაწერებში გვხვდება კიდეც სიტყვა: **mieux-value** (ზეღირებულება [37]) მათ მიმართ (I, 103). მხოლოდ არ უნდა გავაზვიადოთ ამ სიტყვის ხმარების მნიშვნელობა, როგორც ამას სჩადის, მგონი, ეფრუსი, რომელიც ამბობს, «სისმონდის თეორია ზედმეტი ღირებულების თეორიასთან ახლოს დგასო» («რ. ბ.» № 8, გვ. 41). არსებითად სისმონდის ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ ად. სმიტთან შედარებით, რომელიც აგრეთვე ამბობდა, რომ რენტა და მოგება წარმოადგენს «შრომიდან გამოკლებულს», იმ ღირებულების ნაწილს, რომელსაც მუშა პროდუქტს უმატებსო (იხ. «გამოკვლევა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ», რუსული თარგმანი ბიბიკოვისა, ტ. I, თავი VIII: «ხელფასი» და თავი VI: «საქონლის ფასის შემადგენელი ნაწილები». ამას ვერც სისმონდი გასცდა. მაგრამ იგი ცდილობდა ახლად შექმნილი პროდუქტის ეს ზეღირებულებად და ხელფასად დაყოფა დაეკავშირებინა საზოგადოებრივი შემოსავლის, შინაური ბაზრის თეორიასთან და პროდუქტის რეალიზაციასთან კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ეს ცდები მეტისმეტად საყურადღებოა სისმონდის მეცნიერული მნიშვნელობის შესაფასებლად და მის დოქტრინასა და რუს ნა-

როდნიკთა დოქტრინას შორის არსებული კავშირის გამოსარკვევად. ამიტომ საჭიროა ისინი უფრო დაწვრილებით გავარჩიოთ.

სისმონდი ყველგან წინ აყენებს საკითხს შემოსავლის შესახებ, წარმოების, მოხმარებისა და მოსახლეობისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ, ამიტომ ბუნებრივია, მას «შემოსავლის» ცნების თეორიული საფუძვლებიც უნდა გაერჩია. და ჩვენც ვპოულობთ მისი თხზულების დასაწყისშივე სამ თავს შემოსავლის საკითხის შესახებ (l. II, ch. IV — VI). თავი IV: «როგორ წარმოსდგება შემოსავალი კაპიტალისაგან» — ეხება კაპიტალისა და შემოსავლის განსხვავებას. სისმონდი პირდაპირ იწყებს ამ საგნის გარკვევას მთელი საზოგადოების მიმართ. «რადგან თვითეული ყველასთვის მუშაობს, — ამბობს იგი, — ყველას წარმოება ყველას მიერ უნდა იქნას მოხმარებული... კაპიტალსა და შემოსავალს შორის განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის» (I, 83). მაგრამ სისმონდი გრძნობს, რომ ეს «არსებითი» განსხვავება ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ისე მარტივი არ არის, როგორც ცალკე მეწარმისათვის. «ჩვენ ვუახლოვდებით, — შენიშნავს იგი, — პოლიტიკური ეკონომიის ყველაზე აბსტრაქტულ და ყველაზე ძნელ საკითხს. კაპიტალისა და შემოსავლის ბუნება ჩვენს წარმოდგენაში მუდამ ეხლართება ერთმანეთს: ჩვენ ვხედავთ, რომ შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი ე რ თ ი ს ა თ ვ ი ს მ ე ო რ ი ს ა თ ვ ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ხ დ ე ბ ა, — და ერთი და იგივე საგანი, ხელიდან ხელში გადასვლისას, თანმიმდევრულად სხვადასხვა სახელწოდებას იღებს» (I, 84), ე. ი. ხან «კაპიტალის» სახელწოდებას, ხან «შემოსავლის» სახელწოდებას. «მაგრამ, — ამტკიცებს სისმონდი, — მათი ერთმანეთში არევა შეცდომაა» (leur confusion est ruineuse, p. 477). «რამდენადაც ძნელია განასხვავო კაპიტალი და საზოგადოების შემოსავალი, იმდენადვე მნიშვნელოვანია ეს განსხვავება» (I, 84).

მკითხველმა, ალბათ, შეამჩნია, თუ რაში მდგომარეობს ის სიძნელე, რომელზედაც სისმონდი ლაპარაკობს: თუ ცალკეული

მეწარმისათვის შემოსავალს წარმოადგენს მისი მოგება, რომელიც მოხმარების ამა თუ იმ საგნებზე იხარჯება*, თუ ცალკეული მუშისათვის შემოსავალს მისი ხელფასი წარმოადგენს, განა შეიძლება ეს შემოსავალი შევაჯამოთ, რათა «საზოგადოების შემოსავალი» მივიღოთ? მაშინ რა ვუყოთ იმ კაპიტალისტებსა და მუშებს, რომლებიც, მაგალითად, მანქანებს აწარმოებენ? მათი პროდუქტი ისეთი სახით არსებობს, რომ მოხმარებაში (ე. ი. პირად მოხმარებაში) ვერ შევა. მოხმარების საგნებთან მისი მიმატება შეუძლებელია. ამ პროდუქტების დანიშნულება კაპიტალად ყოფნაა. მაშასადამე, ისინი, წარმოადგენენ რა შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ს თავისი მწარმოებლებისათვის (სახელდობრ იმ ნაწილში, რომელიც მოგებასა და ხელფასს ანაზღაურებს), მყიდველთათვის კ ა პ ი ტ ა ლ ა დ ხდებიან. როგორ უნდა გავერკვეთ ამ დომხალში, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი შემოსავლის ცნების დადგენას?

როგორც დავინახეთ, სისმონდი მხოლოდ მიუახლოვდა საკითხს და მყისვე უხვევს მას გვერდს, სჯერდება მისი «სიძნელის» აღნიშვნას. იგი პირდაპირ აცხადებს, «ჩვეულებრივ შემოსავლის სამ სახეს აღიარებენ: რენტას, მოგებასა და ხელფასს» (I, 85), და შემდეგ გადმოგვცემს ა. სმიტის მოძღვრებას თვითეულ მათგანზე. წამოყენებული საკითხი — კაპიტალისა და საზოგადოების შემოსავლის განსხვავებაზე — უპასუხოდ დარჩა. ახლა საკითხის განხილვა უკვე ისე მიმდინარეობს, რომ მკაცრად არ იყოფა ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი და ინდივიდუალური შემოსავალი. მაგრამ თავისგანვე მიტოვებულ საკითხს სისმონდი ერთხელ კიდევ უბრუნდება. იგი ამბობს, რომ, შემოსავლის სხვადასხვა სახის მსგავსად, არსებობენ აგრეთვე «სიმდიდრის სხვადასხვა სახეები» (I, 93), სახელდობრ: ძ ი რ ი თ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი — მანქანები, იარაღები და სხვ., — ს ა ბ რ უ ნ ა ვ ი კ ა პ ი ტ ა-

* უფრო ზუსტად: მოგების ის ნ ა წ ი ლ ი, რომელიც დაგროვებას არ ხმარდება.

ლი, რომელიც პირველისაგან განსხვავებით ჩქარა იხმარება და ფორმას იცვლის (თესლი, ნედლი მასალა, ხელფასი) და, ბოლოს, კაპიტალის შემოსავალი, რომელიც ურეპროდუქციოდ იხმარება. ჩვენთვის აქ მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ სისმონდი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მოძღვრებაში სმიტის ყველა შეცდომას იმეორებს და ერთმანეთში ურევს პროცესის ამ კატეგორიებს და წარმოების პროცესიდან (მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი) გამომდინარე კატეგორიებს. ჩვენ გვაინტერესებს სისმონდის მოძღვრება შემოსავალზე. და ამ საკითხზეც მას სიმდიდრის ზემოხსენებულ სამ სახედ დაყოფიდან შემდეგი გამოჰყავს:

«საჭიროა აღინიშნოს, რომ სიმდიდრის ეს სამი სახე ერთნაირად მიდის მოხმარებაში; ვინაიდან ყოველივე ნაწარმოებს ადამიანისათვის ღირებულება აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მის მოთხოვნილებებს ემსახურება, ეს მოთხოვნილებები კი მხოლოდ მოხმარებით კმაყოფილდება. მაგრამ ძირითადი კაპიტალი ამას არაპირდაპირ ემსახურება (d'une manière indirecte); ის მოიხმარება ნელ-ნელა, ეხმარება ადამიანს იმის რეპროდუქციაში, რაც მის მოხმარებას ემსახურება» (I, 94 — 95), მაშინ როდესაც საბრუნავი კაპიტალი (სისმონდი მას უკვე ცვალებადთან აიგივებს) «მუშის სამომხმარებლო ფონდად» იქცევა (I,95). მაშასადამე, გამოდის, რომ წინააღმდეგ ინდივიდუალური მოხმარებისა, საზოგადოებრივი მოხმარება ორგვარია. ეს ორი სახე არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან. რა თქმა უნდა, საქმე ის კი არ არის, რომ ძირითადი კაპიტალი ნელ-ნელა მოიხმარება, არამედ ის, რომ იგი მოიხმარება ისე, რომ საზოგადოების არც ერთი კლასისათვის არ შეადგენს შემოსავალს (სამომხმარებლო ფონდს), რომ ის მოიხმარება არა პირადად, არამედ წარმოებისათვის. მაგრამ სისმონდი ამას ვერ ხედავს, და, რაკი გრძნობს, რომ კვლავ დაიბნა *

* სახელდობრ: სისმონდიმ ეს-ეს არის ახლა გამოჰყო კაპიტალი შემოსავლისაგან. პირველი ემსახურება წარმოებას, მეორე —

საზოგადოებრივი კაპიტალისა და შემოსავლის განსხვავების ძებნაში, უმწეოდ აცხადებს: «სიმდიდრის ეს მოძრაობა ისე აბსტრაქტულია, ისეთ ძლიერ ყურადღებას მოითხოვს, რათა იგი მკაფიოდ წარმოვიდგინოთ (pour le bien saisir), რომ ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია სულ უბრალო მაგალითი ავიღოთ» (I, 95). მაგალითს, მართლაც, «სულ უბრალოს» იღებს: განცალკევებით მცხოვრებმა ფერმერმა (un fermier solitaire) მოიწია 100 ტომარა ხორბალი; ნაწილი მან თვითონ მოიხმარა, ნაწილი სათესლედ მიდის, ნაწილი კი დაქირავებულ მუშებს ხმარდება. შემდეგ წელიწადს უკვე 200 ტომარას იღებს. ვინ მოიხმარს მას? ფერმერის ოჯახი ასე სწრაფად ვერ გაიზრდება. გვიჩვენებს რა ამ (მეტისმეტად უხეირო) მაგალითით განსხვავებას ძირითად კაპიტალსა (სათესლე), საბრუნავ კაპიტალსა (ხელფასი) და ფერმერის მოსახმარებელ ფონდს შორის, სისმონდი ამბობს:

«ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავეთ ცალკეული ოჯახის სიმდიდრის სამი სახე. ახლა თვითეული სახე განვიხილოთ მთელი ერის მიმართ და გამოვარკვიოთ, ამ განაწილებიდან როგორ შეიძლება წარმოსდგეს ნაციონალური შემოსავალი» (I, 97). მაგრამ ქვევით მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი, რომ საზოგადოებაშიც აუცილებელია სიმდიდრის იმავე სამი სახის რეპროდუქცია: ძირითადი კაპიტალი (ამასთან სისმონდი ხაზს უსვამს იმას, რომ ამაზე დაიხარჯება შრომის განსაზღვრული რაოდენობა, მაგრამ არ განმარტავს, თუ როგორ გადაიცვლება ძირითადი კაპიტალი მოხმარების იმ საგნებზე, რომლებიც აუცილებელია კაპიტალისტებისა და ამ წარმოებაში დაბანდებული მუშებისათვის); შემდეგ ნედლი მასალა (აქ სისმონდი მას ცალკე გამოჰყოფს); მერე მუშების შენახვა და კაპიტა-

---

მოხმარებას. მაგრამ ხომ საზოგადოებაზეა ლაპარაკი. საზოგადოება კი ძირითად კაპიტალსაც «მოიხმარს». აღნიშნული განსხვავება ბათილდება, და გამოუურკვეველი რჩება ის საზოგადოებრივ-სამეურნეო პროცესი, რომელიც «კაპიტალს ერთისათვის» «მეორისათვის შემოსავლად» აქცევს.

ლისტების მოგება. აი ყველაფერი ის, რასაც IV თავი იძლევა. აშკარაა, რომ ნაციონალური შემოსავლის საკითხი ღიად დარჩა, და სისმონდიმ ვერ გაარკვია არათუ განაწილება, არამედ თვით შემოსავლის ცნება ც. თეორიულად მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას საზოგადოების ძირითადი კაპიტალის რეპროდუქციის აუცილებლობის შესახებ ის მაშინვე ივიწყებს და შემდეგ თავში, როდესაც «მოქალაქეთა სხვადასხვა კლასს შორის ნაციონალური შემოსავლის განაწილებას» ეხება (ch. V), ის პირდაპირ შემოსავლის სამ სახეზე ლაპარაკობს და, აერთიანებს რა რენტას და მოგებას, აცხადებს, რომ ნაციონალური შემოსავალი ორ ნაწილს შეიცავს: სიმდიდრიდან მიღებულ მოგებას (ე. ი. არსებითად რენტას და მოგებას) და მუშათა არსებობის საშუალებებს (I, 104 — 105). უფრო მეტიც, ის აცხადებს:

«სწორედ ასევე წლიური წარმოება ანუ ერის მიერ წლის განმავლობაში შესრულებული მთელი მუშაობის შედეგი ორი ნაწილისაგან შესდგება: ერთი... ეს არის მოგება, რომელიც სიმდიდრიდან წარმოსდგება; მეორეა — შრომის უნარი (la puissance de travailler), რაც უნდა ეთანაბრებოდეს სიმდიდრის იმ ნაწილს, რომელზედაც ის იცვლება, ან მშრომელ კლასთა არსებობის საშუალებებს». «მაშასადამე, ნაციონალური შემოსავალი და წლიური წარმოება ურთიერთ თანასწორდებიან და თანაბარ ოდენობებად წარმოგვიდგებიან. მთელი წლიური წარმოება წლის განმავლობაში მოიხმარება, მაგრამ ნაწილობრივ მუშების მიერ, რომელნიც ნაცვლად იძლევიან თავიანთ შრომას, მას კაპიტალად აქცევენ და მის რეპროდუქციას ახდენენ; ნაწილობრივ კაპიტალისტების მიერ, რომელნიც, იძლევიან რა ნაცვლად თავიანთ შემოსავალს, სპობენ მას» (I, 105).

ამრიგად, ნაციონალური კაპიტალისა და შემოსავლის განსხვავების საკითხი, რომელიც თვით სისმონდიმ ასე გარკვეულად აღიარა მეტად მნიშვნელოვან და ძნელ საკითხად, — მან პირდაპირ უკუაგდო და სრულებით დაივიწყა ის,

რაც რამდენიმე გვერდის წინ სთქვა! სისმონდი უკვე ველარ ამჩნევს, რომ იგი ამ საკითხის უკუგდებით სრულიად უაზრო დებულებამდე მივიდა: როგორ შეიძლება წლიური წარმოება მთლიანად შევიდეს მუშებისა და კაპიტალისტების მოხმარებაში შემოსავლის სახით, როცა წარმოებისათვის საჭიროა კაპიტალი, საჭიროა — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — წარმოების საშუალებანი და იარაღები. მათ უნდა აწარმოებდნენ და მათ ყოველწლიურად აწარმოებენ (როგორც ეს თვით სისმონდიმ ეს-ეს არის აღიარა). და აი წარმოების ყველა იარაღი, ნედლი მასალა და სხვ. უცბად ჰქრება, და კაპიტალისა და შემოსავლის განსხვავების «ძნელი» საკითხი წყდება ყოვლად შეუსაბამო მტკიცებით, თითქოს წლიური წარმოება ნაციონალურ შემოსავალს უდრიდეს.

ეს თეორია, რომლის მიხედვით კაპიტალისტური საზოგადოების მთელი წარმოება ორ ნაწილს შეიცავს — მუშათა ნაწილს (ხელფასს, ანუ — თანამედროვე ტერმინოლოგიით — ცვალებად კაპიტალს) და კაპიტალისტთა ნაწილს (ზედირებულებას), სისმონდის თავისებურებას როდი შეადგენს. იგი არ შეადგენს მის კუთვნილებას. მან იგი მთლიანად ად. სმიტისგან გადმოიღო, და თან რამდენადმე უკანაც დაიხია. მთელი შემდგომი პოლიტიკური ეკონომია (რიკარდო, მილი, პრუდონი, როდბერტუსი) იმეორებდა ამ შეცდომას, რომელიც მხოლოდ «კაპიტალის» ავტორმა ცხადჰყო II ტომის III განყოფილებაში. მის შეხედულებათა საფუძველს ქვემოთ გადმოვცემთ. ახლა-კი აღვნიშნავთ, რომ ამ შეცდომას ჩვენი ნაროდნიკი-ეკონომისტებიც იმეორებენ. სისმონდისთან მათი შედარება იმიტომ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, რომ მათ ამ შემცდარი თეორიიდან ი ს ე თ ი ვ ე დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი გამოჰყავთ, რ ო გ ო რ ი ც პ ი რ დ ა პ ი რ ს ი ს მ ო ნ დ ი მ ა ც გ ა მ ო ი ყ ვ ა ნ ა*, სახელდობრ: დასკვნა კაპიტალისტურ საზოგა-

* და რომელთა გამოყვანას კეთილგონივრულად მოერიდნენ სხვა ეკონომისტები, რომელნიც ად. სმიტის შეცდომას იმეორებდნენ.

დოებაში ზეღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობის შესახებ; საზოგადოებრივი სიმდიდრის განვითარების შეუძლებლობის შესახებ; საგარეო ბაზრისადმი მიმართვის საჭიროების შესახებ ი მ ი ს გ ა მ ო, რომ ქვეყნის შიგნით ზეღირებულების რეალიზაცია შეუძლებელია; დასასრულ, კრიზისების შესახებ, რომელთაც მუშათა და კაპიტალისტთა მოხმარებაში პროდუქტის რეალიზაციის ვითომ სწორედ ეს შეუძლებლობა იწვევს.

III

სისმონდის დასკვნები შემცდარი მოძღვრებიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში წლიური წარმოების ორი ნაწილის შესახებ

მკითხველს რომ შეეძლოს მთლიანად წარმოიდგინოს სისმონდის დოქტრინა, ჯერ მოვიყვანთ მის უმთავრეს დასკვნებს ამ თეორიიდან, შემდეგ კი გადავალთ მისი ძირითადი შეცდომის იმ შესწორებაზე, რომელიც მარქსის «კაპიტალშია» მოცემული.

ად. სმიტის ამ შემცდარი თეორიიდან სისმონდის უწინარეს ყოვლისა ის დასკვნა გამოჰყავს, რომ წარმოება მოხმარებას უნდა შეესაბამებოდეს, რომ წარმოება შემოსავლით ისაზღვრება. ამ «ჭეშმარიტების» (რომელიც კაპიტალისტური წარმოების ხასიათის სრულ გაუგებლობას მოწმობს) დაწვრილებით გადაღეჭვას მიძღვნილი აქვს მთელი შემდეგი VI თავი: «ურთიერთ განსაზღვრა წარმოებისა მოხმარებით და გასავლისა — შემოსავლით». სისმონდის პირდაპირ გადააქვს კაპიტალისტურ საზოგადოებაზე მომჭირნე გლეხის მორალი და სერიოზულად ფიქრობს, რომ მან ამით შესწორება შეიტანა სმიტის მოძღვრებაში. თავისი თხზულების დასაწყისშივე, როცა შესავალ ნაწილში (წიგ. I, მეცნიერების ისტორია) ად. სმიტის შესახებ ლაპარაკობს, ის აცხადებს, რომ სმიტს «ავსებს» იმ დებულებით, რომლის მიხედვით «მოხმარება არის დაგროვების ერთადერთი მიზანი» (I, 51). «მოხმარება, — ამბობს ის, — განსაზღვრავს რეპროდუქციას» (I, 119 — 120), «ნაციონალუ-

რი გასავალი უნდა აწესრიგებდეს ნაციონალურ შემოსავალს» (I, 113) და სხვა ამგვარი დებულებებით არის აჭრელებული მთელი თხზულება. ამასთან უშუალოდ დაკავშირებულია სისმონდის დოქტრინის კიდევ ორი დამახასიათებელი თვისება: პირველი, კაპიტალიზმის განვითარებისადმი უნდობლობა, იმის გაუგებლობა, თუ უფრო და უფრო როგორ ზრდის იგი საწარმოო ძალებს, ამ ზრდის შესაძლებლობის უარყოფა, — სწორედ ისევე, როგორც რუსი რომანტიკოსები «გვასწავლიან», რომ კაპიტალიზმი იწვევს შრომის ფლანგვას და სხვ.

«სცდებიან ისინი, ვინც უსაზღვრო წარმოებას ქადაგებს», ამბობს სისმონდი (I, 121). შემოსავალთან შედარებით წარმოების სიჭარბე ჭარბწარმოებას იწვევს (I, 106). სიმდიდრის ზრდა ხელსაყრელია მხოლოდ მაშინ, «როცა ის თანდათანობითია, როცა ის თავისი თავის პროპორციულია, როცა მისი არც ერთი ნაწილი არ ვითარდება უზომო სიჩქარით» (I, 409). კეთილი სისმონდი ფიქრობს, რომ «არაპროპორციული» განვითარება არ არის განვითარება (როგორც ამას ჩვენი ნაროდნიკებიც ფიქრობენ), რომ ეს არაპროპორციულობა საზოგადოებრივი მეურნეობის არსებული წყობისა და მისი მოძრაობის კანონი კი არ არის, არამედ კანონმდებლის «შეცდომაა» და სხვ., რომ ეს არის ევროპის მთავრობების მხრივ ხელოვნური წაბაძვა ინგლისისა, რომელიც შემცდარ გზას დაადგა *. სისმონდი სრულიად უარჰყოფს იმ დებულებას, რომელიც კლასიკოსებმა წამოაყენეს და რომელიც სავსებით მიიღო მარქსის თეორიამ, სახელდობრ იმას, რომ კაპიტალიზმი ავითარებს საწარმოო ძალებს. უფრო მეტიც, — მას სრულიად არ ძალუძს დაგროვების პროცესის ახსნა და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოველგვარი დაგროვების განხორციელება მხოლოდ «ცოტცოტაობით» შეიძლება. ეს მის შეხე-

* იხ., მაგ., II, 456 — 457 და მრავალი სხვა ადგილი. ქვემოთ მოვიყვანთ მათ სიმუშვებს, და მკითხველი დაინახავს, რომ ჩვენებური, ბ-ნ ნ. — ონის მსგავსი, რომანტიკოსების გამოთქმებიც კი არაფრით განირჩევა სისმონდის გამოთქმებისაგან.

დულებათა მეორე უაღრესად დამახასიათებელი თვისებაა. მეტად სასაცილოა მისი მსჯელობა დაგროვების შესახებ:

«ბოლოს და ბოლოს ამა თუ იმ წლის წარმოების ჯამი ყოველთვის მხოლოდ წარსული წლის წარმოების ჯამზე იცვლება» (I, 121). აქ დაგროვება უკვე სავსებით უარყოფილია: გამოდის, რომ კაპიტალიზმის დროს საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდა შეუძლებელია. რუს მკითხველს ეს დებულება მაინცდამაინც არ გააკვირვებს, ვინაიდან მას იგივე გაუგონია ბ-ნ ვ. ვ-სგანაც და ბ-ნ ნ.—ონისგანაც. მაგრამ სისმონდი მაინც სმიტის მოწაფე იყო. ის გრძნობს, რომ რაღაც სრულიად შეუსაბამოს ლაპარაკობს, და ცდილობს გამოასწოროს:

«თუ წარმოება თანდათან მატულობს, — განაგრძობს ის, — მაშინ ყოველი წლის გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ ყოველი წლის მცირე დანაკლისს (une petite perte) იწვევს და იმავე დროს აუმჯობესებს პირობებს მომავლისთვის (en même temps qu'elle bonifie la condition future). თუ ეს დანაკლისი მცირეა და კარგად განაწილებული, მას ყველა დაუჩივლებლად გადაიტანს... ხოლო თუ ახალ წარმოებასა და წინანდელს შორის შეუსაბამობა დიდია, კაპიტალები იღუპებიან (sont entamés), იწყება ტანჯვა-წამება, და ერიც პროგრესის ნაცვლად უკან მიექანება» (I, 121). ძნელია კაპიტალიზმის მიმართ რომანტიზმისა და წვრილბურჟუაზიული შეხედულების ძირითადი დებულების იმაზე უფრო რელიეფურად და პირდაპირ გამოთქმა, ვიდრე ეს ამ ტირადაშია გადმოცემული. რაც უფრო ჩქარა მიდის დაგროვება, ე. ი. მოხმარებაზე წარმოების გადამეტება, — მით უკეთესიო, გვასწავლიდნენ კლასიკოსები, რომელნიც, თუმცა ვერ ერკვეოდნენ კაპიტალის საზოგადოებრივი წარმოების პროცესში, თუმცა ვერ თავისუფლდებოდნენ სმიტის შეცდომისაგან, თითქოს საზოგადოებრივი პროდუქტი ორი ნაწილისგან შესდგებოდეს, მაგრამ მაინც სავსებით სამართლიან დებულებას აყენებდნენ, რომ წარმოება თვითონ ჰქმნის თავისთვის ბაზარს, თვითონ განსაზღვრავს მოხმარებას. და ჩვენ ვიცით, რომ ასეთი შეხედუ-

ლება დაგროვებაზე კლასიკოსებისაგან მიიღო მარქსის თეორიამაც, რომელმაც აღიარა, რომ, რაც უფრო სწრაფია სიმდიდრის ზრდა, მით უფრო სრულად ვითარდებიან შრომის საწარმოო ძალები და მისი განსაზოგადოება, მ ი თ უ ფ რ ო უ კ ე თ ე ს ი ა მ უ შ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, რამდენადაც კი შეიძლება ის უკეთესი იყოს საზოგადოებრივი მეურნეობის არსებულ სისტემაში. რომანტიკოსები პირდაპირ ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებენ და მთელ თავიანთ იმედებს სწორედ კაპიტალიზმის სუსტად განვითარებაზე ამყარებენ, მისი შ ე ფ ე რ ხ ე ბ ი ს ა კ ე ნ მოგვიწოდებენ.

შემდეგ, იმის გაუგებლობიდან, რომ წარმოება ჰქმნის თავისთვის ბაზარს, გამომდინარეობს მოძღვრება ზეღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობის შესახებ. «რეპროდუქციიდან წარმოსდგება შემოსავალი, მაგრამ თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ წ ა რ მ ო ე ბ ა კ ი დ ე ვ ა რ ა რ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი: იგი ასეთ სახელწოდებას (ce nom! მაშასადამე, წარმოების, ე. ი. პროდუქტის, განსხვავება შემოსავლისაგან მხოლოდ სიტყვაშია!) იღებს, იგი ასეთად ხდება (elle n'opère comme tel) მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი რეალიზებულია, მას შემდეგ, როცა ყოველი წარმოებული ნივთი პოულობს მომხმარებელს, რომელსაც იგი ესაჭიროება ან მასში სიამოვნებას პოულობს» (qui en avait le besoin ou le désir) (I, 121). ამრიგად, «წარმოების» (ე. ი. ყოველივე იმის, რაც წარმოებულია) შემოსავალთან გაიგივებიდან გამომდინარეობს რეალიზაციისა და პ ი რ ა დ ი მოხმარების გაიგივება. ის კი, რომ რეალიზაცია, მაგ., ისეთი პროდუქტებისა, როგორიცაა რკინა, ქვანახშირი, მანქანები და სხვ., საერთოდ წარმოების საშუალებათა რეალიზაცია სხვანაირად ხდება, — სისმონდიმ უკვე დაივიწყა, თუმცა ზემოთ ძალიან დაუახლოვდა ამას. რეალიზაციისა და პ ი რ ა დ ი მოხმარების გაიგივებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს მოძღვრება, რომ კაპიტალისტებს არ შეუძლიათ სწორედ ზ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს რეალიზაცია, ვინაიდან საზოგადოებრივი პროდუქტის ორი ნაწილიდან ხელფასის რეალიზაციას ახ-

დენენ მუშები თავიანთი მოხმარებით. და სისმონდი მართლა მივიდა იმ დასკვნამდე (რომელიც შემდეგ უფრო დაწვრილებით განავითარა პრუდონმა და რომელსაც მუდამ იმეორებენ ჩვენი ნაროდნიკები). მაკ-კულოხთან პოლემიკაში სისმონდი სწორედ იმაზე მიუთითებს, თითქოს უკანასკნელი (რიკარდოს მოძღვრების გადმოცემისას) არ განმარტავს მოგების რეალიზაციას. მაკ-კულოხი ამბობდა, რომ საზოგადოებრივი შრომის დანაწილების დროს ერთი წარმოება ბაზარია მეორისთვის. პურის მწარმოებელნი საქონელს ასაღებენ ტანსაცმლის მწარმოებელთა პროდუქტში, და პირიქით *. «ავტორი გულისხმობს, — ამბობს სისმონდი, — შრომას მოგების მიუღებლად (un travail sans bénéfice), რეპროდუქციას, რომელიც ანაზღაურებს მხოლოდ მ უ შ ე ბ ი ს მოხმარებას» (II, 384, ხაზგასმა სისმონდისაა)... «ის აღარაფერს სტოვებს მეპატრონის წილად»... «ჩვენ ვიკვლევთ იმას, თუ რად იქცევა მუშათა წარმოების ნაჭარბი მათი მოხმარების მიმართ» (ib.). ამრიგად, ამ პირველი რომანტიკოსის თხზულებაში ჩვენ ვპოულობთ უკვე სავსებით გარკვეულ მითითებას, რომ კაპიტალისტებს არ შეუძლიათ ზ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს რეალიზაცია. ამ დებულებიდან სისმონდი აკეთებს შემდგომ დასკვნას — კვლავ სწორედ ისეთს, როგორსაც ნაროდნიკებიც აკეთებენ, — რომ თ ვ ი თ რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი ს გამო აუცილებელია ს ა გ ა რ ე ო ბ ა ზ ა რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს. «რადგან შრომა თავისთავად შეადგენს შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს, შეუძლებელია შრომის მოთხოვნა

* იხ. «Nouveaux Principes»-ის დამატება, მე-2 გამოცემა, ტ. II: «Eclaircissements relatifs à la balance des consommations avec les productions» («განმარტებანი მოხმარებისა და წარმოების ბალანსის შესახებ». რ ე დ.), სადაც სისმონდი სთარგმნის და აკრიტიკებს რიკარდოს მოწაფის (მაკ-კულოხის) სტატიას, რომელიც დაიბეჭდა «Edinburgh Review»-ში («ედინბურგის მიმოხილვა». რ ე დ.) სახელწოდებით: «გამოკვლევა საკითხისა, ყოველთვის იზრდება თუ არა საზოგადოებაში მოხმარების უნარი წარმოების უნართან ერთად».

შემცირდეს ისე, რომ ერი უფრო არ გაღარიბდეს. ამიტომ წარმოების ახალი ხერხების აღმოჩენით მოსალოდნელი სარფიანობა თითქმის ყოველთვის უ ცხ ო ე თ ი ს ვ ა ჭ რ ო ბ ა ს მიეწერება» (I, 345). «ერი, რომელიც პირველად ახდენს რაიმე აღმოჩენას, დიდი ხნის განმავლობაში აფართოებს თავის ბაზარს ყოველ ახალ გამოგონებასთან ერთად განთავისუფლებული მუშა-ხელის რაოდენობის შესაბამისად. იგი მათ მაშინვე იყენებს იმ პროდუქტების რაოდენობის გასადიდებლად, რომელთა უფრო იაფად წარმოების შესაძლებლობასაც მისი გამოგონება იძლევა. მაგრამ, ბოლოს, დგება ისეთი ხანა, როდესაც მთელი ცივილიზებული მსოფლიო ერთ ბაზარს ჰქმნის და როდესაც უკვე შეუძლებელი ხდება რომელიმე ახალ ერში ახალი მყიდველების შეძენა. მაშინ მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა გადაიქცევა უცვლელ (précise) ოდენობად, რომლისთვის ერთმანეთს შეეცილებიან სხვადასხვა სამრეწველო ერები. თუ ერთი მეტ პროდუქტებს მიაწოდებს, ეს საზარალო იქნება მეორისათვის. საერთო გაყიდვამ არ შეიძლება სხვანაირად მოიმატოს, თუ არ საერთო კეთილდღეობის გადიდებით ან მხოლოდ და მხოლოდ მდიდრების მფლობელობაში მყოფი საქონლის გადასვლით ღარიბთა მოხმარებაში» (II, 316). მკითხველი ხედავს, რომ სისმონდი სწორედ იმ დოქტრინის წარმომადგენელია, რომელიც ასე კარგად შეუთვისებიათ ჩვენს რომანტიკოსებს, თითქოს საგარეო ბაზარი იყოს გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი საერთოდ პროდუქტისა და კერძოდ ზეღირებულების რეალიზაციის ს ი ძ ნ ე ლ ი დ ა ნ.

დასასრულ, ნაციონალური შემოსავლის ნაციონალურ წარმოებასთან იგივეობის ამავე დოქტრინიდან წარმოიშვა სისმონდის მოძღვრება კრიზისების შესახებ. ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ, მგონი, საჭირო აღარ არის მოვიყვანოთ ამონაწერები სისმონდის თხზულების მრავალი ადგილიდან, რომლებიც მიძღვნილია ამ საკითხისადმი. მის იმ მოძღვრებიდან, რომ წარმოება აუცილებლად შემოსავალს უნდა ეთანაბრებოდეს, თავისთავად წარმოიშვა ის შეხედულება,

რომ კრიზისი სწორედ შედეგია ასეთი შესაბამისობის დარღვევისა, შედეგია უზომო წარმოებისა, რომელმაც მომხმარებას გაუსწრო. ზემოთ მოყვანილი ციტატიდან სჩანს, რომ სისმონდი კრიზისების ძირითად მიზეზად სთვლიდა წარმოებისა და მოხმარების სწორედ ამ შეუსაბამობას, ამასთან პირველ ადგილზე აყენებდა ხალხის მასების, მუშების არასაკმარის მოხმარებას. ამიტომ კრიზისების სისმონდის თეორია (რომელიც როდბერტუსმაც გადაიღო) ეკონომიურ მეცნიერებაში ცნობილია, როგორც ნიმუში თეორიებისა, რომელთაც კრიზისები არასაკმარისი მოხმარებიდან (Unterkonsumption) გამოჰყავთ.

IV

რაში მდგომარეობს ად. სმიტისა და სისმონდის მოძღვრებათა შეცდომა ნაციონალური შემოსავლის შესახებ?

რაში მდგომარეობს სისმონდის ძირითადი შეცდომა, რომელმაც ეს დასკვნები გამოიწვია?

თავისი მოძღვრება ნაციონალურ შემოსავალსა და მის ორად (მუშების წილი და კაპიტალისტების წილი) განაწილებაზე სისმონდიმ მთლიანად ად. სმიტისაგან გადმოიღო. სისმონდიმ არათუ დაუმატა რამე მის დებულებებს, არამედ ნაბიჯიც კი გადადგა უკან და გამოსტოვა ადამ სმიტის ცდა (თუმცა უხეირო) — თეორიულად დაემტკიცებინა ეს წარმოდგენა. სისმონდი თითქოს ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობას, რომელშიც ეს თეორია აღმოჩნდა საერთოდ წარმოების მოძღვრების მიმართ. მართლაც, იმ თეორიის მიხედვით, რომელსაც ღირებულება შრომიდან გამოჰყავს, ცალკეული პროდუქტის ღირებულებაში სამი შემადგენელი ნაწილი შედის: ნედლი მასალისა და შრომის იარაღების (მუდმივი კაპიტალი) ამნაზღაურებელი ნაწილი, ხელფასის ანუ მუშათა შენახვის ამნაზღაურებელი ნაწილი (ცვალებადი კაპიტალი) და «ზეღირებულება» (სისმონდის mieux-value). ასეთია ა. სმიტის მიერ გაკეთებული ანალიზი ცალკეული პროდუქტისა მისი ღირე-

ბულების მიხედვით, რომელსაც სისმონდიც იმეორებს. ახლა ვიკითხოთ: როგორ მოხდა, რომ, საზოგადოებრივი პროდუქტი, რომელიც ცალკეულ პროდუქტთა ჯამისაგან შესდგება, მარტო ორ უკანასკნელ ნაწილს შეიცავს? სად გაქრა პირველი ნაწილი — მუდმივი კაპიტალი? სისმონდი, როგორც დავინახეთ, ამაოდ უტრიალებდა ამ კითხვას, ა. სმიტმა კი პასუხი გასცა მას. ის ამტკიცებდა, რომ ეს ნაწილი დამოუკიდებლად მხოლოდ ერთეულ პროდუქტში არსებობს. ხოლო თუ მთელ საზოგადოებრივ პროდუქტს განვიხილავთ, იგი, თავის მხრივ, იყოფა ხელფასად და ზეღირებულებად — სწორედ იმ კაპიტალისტების ზეღირებულებად, რომელნიც აწარმოებენ ამ მუდმივ კაპიტალს.

მაგრამ ასეთი პასუხის გაცემით ა. სმიტმა ვერ ახსნა, მუდმივი კაპიტალის, თუნდაც მანქანების, ღირებულების ამ დაყოფაში რა საფუძვლით არის დავიწყებული ისევ მუდმივი კაპიტალი, ე. ი. ჩვენი მაგალითით — რკინა, რომლისგანაც გაკეთებულია მანქანები, იარაღები, რომლებიც ამასთანავე მოხმარებულია, და სხვ.? თუ თვითეული პროდუქტის ღირებულება შეიცავს მუდმივი კაპიტალის ამნაზღაურებელ ნაწილს (ამას კი ყველა ეკონომისტი აღიარებს), მაშინ მისი გამორიცხვა საზოგადოებრივი წარმოების რომელიმე დარგიდან სრულიად თვითნებურია. «როდესაც ა. სმიტი ამბობს, შრომის იარაღები თვითონ იშლებიან ხელფასად და მოგებადო, მას ავიწყდება დაუმატოს (ამბობს «კაპიტალის» ავტორი): დაიმმუდმივ კაპიტალად, რომელიც მოხმარდა მათს წარმოებას. ა. სმიტი პონტეელისაგან პილატესთან გვგზავნის, ერთი პროდუქტიდან მეორეზე გადადის, მეორიდან მესამეზე» [38], და ვერ ამჩნევს, რომ ამ გადაწევით საკითხი სრულიად არ იცვლება. სმიტის ეს პასუხი (რომელიც მიღებული იყო მთელი მომდევნო პოლიტიკური ეკონომიის მიერ მარქსამდე) — ამოცანიდან უბრალო გადახვევაა, სიძნელისათვის თავის არიდებაა. სიძნელე კი აქ მართლაც არის. იგი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალის და შემოსავლის ცნება არ შეიძლება პირდაპირ გადატანილ იქნას

ინდივიდუალური პროდუქტიდან საზოგადოებრივზე. ეკონომისტები ამას აღიარებენ, როცა ამბობენ, რომ საზოგადოებრივი თვალსაზრისით «კაპიტალი ერთისათვის მეორისთვის შემოსავალი ხდება» (იხ. ზემოთ სისმონდის აზრი). მაგრამ ეს ფრაზა სიძნელის მხოლოდ ფორმულირებაა და არა გადაწყვეტა *.

გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ ამ საკითხის საზოგადოებრივი თვალსაზრისით განხილვის დროს შეუძლებელია ლაპარაკი საერთოდ პროდუქტებზე, მათი მატერიალური ფორმის დამოუკიდებლად. მართლაც, ლაპარაკია საზოგადოებრივ შემოსავალზე, ე. ი. მოსახმარებლად მიღებულ პროდუქტზე. მაგრამ ყოველი პროდუქტი ხომ არ იხმარება პირადი მოხმარების აზრით: მანქანები, ქვანახშირი, რკინა და სხვა საგნები იხმარება არა პირადად, არამედ საწარმოებლად. ცალკეული მეწარმის თვალსაზრისით ეს განსხვავება ზედმეტი იყო: თუ ვამბობდით, მუშები მოიხმარებენ ცვალებად კაპიტალს, — ჩვენ ვგულისხმობდით, რომ ისინი ბაზარზე გადასცვლიან მოხმარების საგნებს იმ ფულზე, რომელიც კაპიტალისტებმა მიიღეს მუშების მიერ ნაწარმოები მანქანებისათვის და რომელიც ამ მუშებს გადაუხადეს. ჩვენ აქ არ გვაინტერესებს მანქანების ეს გადაცვლა პურზე. მაგრამ საზოგადოებრივი თვალსაზრისით აღარ შეიძლება ეს გადაცვლა ვიგულისხმოთ: არ შეიძლება ითქვას, რომ მანქანების, რკინის და სხვ. მწარმოებელ კაპიტალისტთა მთელი კლასი მათ ჰყიდის და ამით ახდენს მათს რეალიზაციას. საკითხი აქ სწორედ ის არის, თუ როგორ ხდება რეალიზაცია, ეს-იგი საზოგადოებრივი პროდუქტის ყველა ნაწილის ანაზღაურება. ამიტომ საზოგადოებრივ კაპიტალსა და შე-

* აქ მოგვყავს მხოლოდ არსი ახალი თეორიისა, რომელმაც ეს გადაწყვიტა, და უფლებას ვიტოვებთ სხვაგან უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მასზე. იხ. «Das Kapital», II. Band, III. Abschnitt («კაპიტალი», ტ. II, განყოფილება III [39]. რედ.). (უფრო დაწვრილებით იხ. «კაპიტალიზმის განვითარებაში», თავი I) [40].

მოსავალზე, — ანუ, რაც იგივეა, კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციაზე — მსჯელობის გამოსავალი წერტილი უნდა იყოს ორი სრულიად სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი პროდუქტის დაყოფა: წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნებისა. პირველთა მოხმარება შეიძლება მხოლოდ საწარმოოდ, მეორეთა — მხოლოდ პირადად. პირველნი შეიძლება გამოდგენ მხოლოდ კაპიტალად, მეორენი უნდა გახდნენ შემოსავლად, ე. ი. უნდა მოისპონ მუშებისა და კაპიტალისტების მოხმარებაში. პირველნი მთლად კაპიტალისტებს რჩებათ, მეორენი — ნაწილდებამუშებსა და კაპიტალისტებს შორის.

რაკი ეს დაყოფა შეთვისებულია და გასწორებულია შეცდომა ა. სმიტისა, რომელმაც საზოგადოებრივი პროდუქტიდან ამოაგდო მისი მუდმივი ნაწილი (ე. ი. მუდმივი კაპიტალის ამნაზღაურებელი ნაწილი), — პროდუქტის რეალიზაციის საკითხი კაპიტალისტურ საზოგადოებაში უკვე ნათელი ხდება. ცხადია, არ შეიძლება ვთქვათ, რომ ხელფასის რეალიზაცია ხდება მუშების მოხმარებით, ხოლო ზეღირებულებისა — კაპიტალისტების მოხმარებით და მეტი არაფერი*. მუშები მოიხმარებენ ხელფასს, ხოლო კაპიტალისტები — ზეღირებუ-

* სწორედ ასე მსჯელობენ ჩვენი ნაროდნიკი-ეკონომისტები, ბატონი ვ. ვ. და ნ. — ონი. ჩვენ ზევით განგებ შევჩერდით ასე დაწვრილებით სისმონდის დაბნეულ მსჯელობაზე საწარმოო და პირადი მოხმარების, მოხმარების საგნებისა და წარმოების საშუალებების საკითხის შესახებ (ა. სმიტი მათი განსხვავების გაგებას უფრო მეტად უახლოვდებოდა, ვიდრე სისმონდი). ჩვენ გვინდოდა მკითხველისთვის გვეჩვენებინა, რომ შემცდარი თეორიის კლასიკური წარმომადგენლები გრძნობდნენ მის არადამაკმაყოფილებლობას, ხედავდნენ წინააღმდეგობას და ცდილობდნენ მისგან თავის დაღწევას. ჩვენი «თვითმყოფი» თეორეტიკოსები კი არათუ არაფერს ხედავენ და არაფერს გრძნობენ, არამედ არც თეორია იციან და არც ისტორია იმ საკითხისა, რომელზედაც ასე გულმოდგინედ ლაყბობენ.

ლებას მხოლოდ მაშინ, როდესაც პროდუქტი მოხმარების საგნებისაგან შესდგება, ე. ი. საზოგადოებრივი წარმოების მხოლოდ ერთ ქვედარგში. იმ პროდუქტის «მოხმარება» კი, რომელიც წარმოების საშუალებათაგან შესდგება, მათ არ შეუძლიათ: ის უ ნ დ ა გ ა დ ა ი ც ვ ა ლ ო ს მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ზ ე. მაგრამ მოხმარების საგნების რომელ ნაწილზე (ღირებულებით) შეუძლიათ მათ გადასცვალონ თავიანთი პროდუქტი? ცხადია, მხოლოდ მ უ დ მ ი ვ ნ ა წ ი ლ ზ ე (მუდმივ კაპიტალზე), ვინაიდან ორი დანარჩენი ნაწილი შეადგენს სამომხმარებლო ფონდს მუშებისა და კაპიტალისტებისას, რომლებიც მოხმარების საგნებს აწარმოებენ. ეს გაცვლა, ახდენს რა ზეღირებულებისა და ხელფასის რეალიზაციას წარმოების საშუალებათა დამამზადებელ წარმოებაში, ამით ახდენს მუდმივი კაპიტალის რეალიზაციას მოხმარების საგნების დამამზადებელ წარმოებაში. მართლაც, ვთქვათ, შაქრის მწარმოებელ კაპიტალისტს პროდუქტის ის ნაწილი, რომელმაც მუდმივი კაპიტალი (ე. ი. ნედლეული, დამხმარე მასალები, მანქანები, შენობები და სხვ.) უნდა .ანაზღაუროს, შ ა ქ რ ი ს სახით მოეპოვება. ამ ნაწილის რეალიზაციისთვის მან ამ მოხმარების საგნის ნაცვლად უნდა მიიღოს სათანადო წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი. მაშასადამე, ამ ნაწილის რეალიზაცია იქნება მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი ს გაცვლა იმ პროდუქტებზე, რომელნიც წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ებ ს შეადგენენ. ახლა აუხსნელი გვრჩება საზოგადოებრივი პროდუქტის მხოლოდ ერთი ნაწილის რეალიზაცია, სახელდობრ: მუდმივი კაპიტალისა წარმოების საშუალებათა მწარმოებელ ქვედარგში. მისი რეალიზაცია ხდება ნაწილობრივ იმით, რომ პროდუქტის ნაწილი ნატურალური სახით შედის ისევ წარმოებაში (მაგ., ქვანახშირის საწარმოს მიერ მოპოვებული ნახშირის ნაწილი ისევ ნახშირის მოპოვებას ხმარდება; ფერმერების მიერ მოწეული მარცვლეული ისევ სათესლედ იხმარება და ა. შ.); ნაწილობრივ კი მისი რეალიზაცია ხდება ამავე ქვედარგის ცალკეულ კაპიტალისტთა შორის გაცვლით: მაგ., რკინის წარმოე-

ბაში აუცილებელია ქვანახშირი, ხოლო ქვანახშირის წარმოებაში აუცილებელია რკინა. ორივე ამ პროდუქტის მწარმოებელი კაპიტალისტები ურთიერთშორის გაცვლით ეწევიან ამ პროდუქტების იმ ნაწილის რეალიზაციას, რომელიც მათს მუდმივ კაპიტალს ანაზღაურებს.

ეს ანალიზი (რომელიც ჩვენ, ვიმეორებთ, სულ მოკლედ გადმოვეცით ზემოხსენებული მიზეზის გამო) სწყვეტს იმ სიძნელეს, რომელსაც გრძნობდა ყველა ეკონომისტი, როცა მას გამოხატავდნენ ფრაზით: «ერთისთვის კაპიტალი — მეორისთვის შემოსავალია». ამ ანალიზმა ცხადჰყო საზოგადოებრივი წარმოების მარტოოდენ პირადი მოხმარებით შემოფარგვლის მთელი შეცდომა.

ახლა ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ იმ დასკვნების განხილვაზე, რომელნიც სისმონდის (და სხვა რომანტიკოსებს) თავისი შემცდარი თეორიიდან გამოჰყავდა. მაგრამ ჯერ მოვიყვანთ იმ აზრს, რომელიც სისმონდის შესახებ გამოსთქვა ზემოხსენებული ანალიზის ავტორმა მას შემდეგ, რაც უაღრესად დაწვრილებით და ყოველმხრივ განიხილა ა. სმიტის თეორია, რომლისთვისაც სისმონდის სულ მცირეოდენი რამეც არ დაუმატებია, მხოლოდ გამოსტოვა სმიტის ცდა — გაემართლებინა თავისი წინააღმდეგობა:

«სისმონდის, რომელიც თავს იმტვრევდა შემოსავლისადმი კაპიტალის დამოკიდებულების სპეციალურ განხილვაზე და რომელმაც ამ დამოკიდებულების განსაკუთრებული ფორმულირება მართლაც თავის «Nouveaux Principes»-ის differentia specifica-დ * აქცია, ა რ ც ე რ თ ი (ხაზგასმა ავტორისაა) მეცნიერული სიტყვა არ უთქვამს, ატომიც კი არ შეუტანია პრობლემის გადაჭრაში» («Das Kapital», II, S. 385, 1-te Auflage**).

---

* — ნიშანდობლივ თვისებად. რ ე დ.

** — «კაპიტალი», ტ. II, გვ. 385, 1-ლი გამოცემა". რ ე დ.

V

დაგროვება კაპიტალისტურ საზოგადოებაში

შემცდარი თეორიიდან გამოყვანილი პირველი შემცდარი დასკვნა დაგროვებას ეხება. სისმონდიმ სრულიად ვერ გაიგო კაპიტალისტური დაგროვება, და იმ გაცხარებულ კამათში, რომელსაც იგი ეწეოდა ამ საკითხის გამო რიკარდოსთან, სიმართლე, არსებითად, უკანასკნელის მხარეზე იყო. რიკარდო აშტკიცებდა, რომ წარმოება თვითონვე ჰქმნის თავისთვის ბაზარს, სისმონდი კი უარჰყოფდა ამას და ასეთ უარყოფაზე აგებდა თავის კრიზისების თეორიას. მართალია, რიკარდომაც ვერ გამოასწორა სმიტის ზემოაღნიშნული ძირითადი შეცდომა, ამიტომ ვერც გადასჭრა საკითხი შემოსავლისადმი საზოგადოებრივი კაპიტალის დამოკიდებულებისა და პროდუქტის რეალიზაციის შესახებ (რიკარდოს არც დაუყენებია თავისთვის ეს საკითხები), — მაგრამ ის ინსტინქტურად ახასიათებდა წარმოების ბურჟუაზიული წესის თვით არსს, აღნიშნავდა სრულიად უდავო ფაქტს, რომ დაგროვება არის წარმოების გადამეტება შემოსავალზე. უახლესი ანალიზის თვალსაზრისით ეს ასეც გამოდის. მართლაც, წარმოება თვითონვე ჰქმნის თავისთვის ბაზარს: წარმოებისთვის აუცილებელია წარმოების საშუალებები — და ისინი შეადგენენ საზოგადოებრივი პროდუქციის განსაკუთრებულ დარგს, მასში ჩაბმულია მუშების გარკვეული ნაწილი და იგი იძლევა განსაკუთრებულ პროდუქტს, რომლის რეალიზაციაც ხდება ნაწილობრივ თვით ამ დარგის შიგნით, ნაწილობრივ მეორე დარგთან — მოხმარების საგნების წარმოებასთან გაცვლით. დაგროვება მართლაც წარმოების გადამეტებაა შემოსავალზე (მოხმარების საგნებზე). წარმოების გასაფართოებლად («დასაგროვებლად» — ამ ტერმინის კატეგორიული მნიშვნელობით) საჭიროა შეიქმნას ჯერ წარმოების საშუალებანი *, ამისთვის კი საჭიროა, მაშასა-

* მოვაგონებთ მკითხველს, თუ როგორ უდგებოდა ამას სისმონდი, გარკვევით გამოჰყოფდა რა ამ წარმოების საშუალებებს ცალკეული ოჯა-

დამე, გაფართოვდეს საზოგადოებრივი პროდუქციის ის განყოფილება, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს, საჭიროა, რომ ამ განყოფილებაში გადავიდნენ მუშები, რომელნიც უკვე მოთხოვნილებას აყენებენ მოხმარების საგნებზეც. მაშასადამე, «მოხმარება» ვითარდება «დაგროვების» შემდეგ ან «წარმოების» შემდეგ, — ეს შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სხვანაირად შეუძლებელიცაა. მაშასადამე, კაპიტალისტური პროდუქციის ამ ორი განყოფილების განვითარებაში არათუ სავალდებულო არ არის თანაბარზომიერება, არამედ, პირიქით, აუცილებელია არათანაბარზომიერება. ცნობილია, რომ კაპიტალის განვითარების კანონი იმაში მდგომარეობს, რომ მუდმივი კაპიტალი ცვალებად კაპიტალზე უფრო ჩქარა იზრდება, ე. ი. ახლად წარმოქმნილი კაპიტალების სულ უფრო და უფრო მეტი ნაწილი გადადის საზოგადოებრივი მეურნეობის იმ განყოფილებაში, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს. მაშასადამე, ეს განყოფილება აუცილებლად იმ განყოფილებაზე ჩქარა იზრდება, რომელიც მოხმარების საგნებს ამზადებს, ე. ი. ხდება სწორედ ის, რასაც სისმონდი აცხადებდა «შეუძლებლად», «საშიშრად» და სხვ. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების საერთო მასაში პირადი მოხმარების საგნებს სულ უფრო და უფრო ნაკლები ადგილი უჭირავს. და ეს სავსებით შეესაბამება კაპიტალიზმის ისტორიულ «მისიას» და მის სპეციფიკურ სოციალურ სტრუქტურას: პირველი მდგომარეობს სწორედ საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებაში (წარმოება წარმოებისათვის); მეორე შეუძლებელს ხდის მათს უტილიზაციას მოსახლეობის მასის მიერ.

ახლა შეგვიძლია სავსებით შევაფასოთ სისმონდის შეხედულება დაგროვებაზე. მისი მტკიცება, ჩქარი დაგროვება

ხისთვის და ცდილობდა რა ასეთივე გამოყოფა მოეხდინა საზოგადოებისთვისაც. ნამდვილად რომ ითქვას, «უდგებოდა» სმიტი და არა სისმონდი, რომელიც მხოლოდ მის ნაოჭებს გადმოგვცემს.

უბედურებას იწვევსო, სრულიად შემცდარია და გამომდინარეობს მხოლოდ დაგროვების გაუგებლობიდან, სწორედ ისეკე, როგორც მრავალგზისი განცხადება და მოთხოვნა, რომ წარმოებამ არ გაუსწროს მოხმარებას, ვინაიდან მოხმარება განსაზღვრავს წარმოებასო. ნამდვილად კი სწორედ საწინააღმდეგო რამ ხდება, და სისმონდიც პირდაპირ გაურბის სინამდვილეს მისი განსაკუთრებული, ისტორიულად განსაზღვრული ფორმით და ანალიზის ნაცვლად წვრილბურჟუაზიულ მორალს გვაწოდებს. განსაკუთრებით სასაცილო შთაბეჭდილებას ახდენს სისმონდის ცდა — ეს მორალი «მეცნიერულ» ფორმულაში გახვიოს. «ბატონი სეი და რიკარდო, — ამბობს ის « Nouveaux Principes»-ის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, — იმ დოქტრინამდე მივიდნენ, რომ მოხმარებას სხვა საზღვარი არა აქვს, გარდა წარმოების საზღვრისა, მაშინ როდესაც იგი შემოსავლით არის შეზღუდული... მათ უნდა გაეფრთხილებინათ მწარმოებლები, რომ მათ მხოლოდ შემოსავლის მქონე მომხმარებლების იმედი უნდა იქონიონ» (I, XIII) *. ასეთი გულუბრყვილობა ამჟამად მხოლოდ ღიმილს იწვევს. მაგრამ განა ასეთივე რამეებით არ არის სავსე ბატონ ვ. ვ-ისა და ნ. — ონის მსგავსი ჩვენი თანამედროვე რომანტიკოსების ნაწერები? «დაე კარგად დაფიქრდნენ ბანკების მეპატრონეები»... მოინახება თუ არა ბაზარი საქონლისთვის? (II, 101 — 102). «როდესაც სიმდიდრის ზრდა საზოგადოების მიზნად მიაჩნიათ, — მიზანი ყოველთვის საშუალებებს შეეწირება ხოლმე» (II, 140). «თუ, იმის ნაცვლად, რომ იმპულსს შრომის მოთხოვნილებიდან (ე. ი. წარმოების იმპულსს პროდუქტებზე მუშათა მოთხოვნილებიდან) მო-

* როგორც ცნობილია, ამ საკითხში (ჭქმნის თუ არა წარმოება თავისთვის ბაზარს?) უახლესი თეორია სავსებით მიემხრო კლასიკოსებს, რომლებიც მას დადებითად უპასუხებდნენ, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ რომანტიზმის», რომელიც უარყოფითად უპასუხებდა. «კაპიტალისტური წარმოების ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ა ზ ღ ვ ა რ ი თ ვ ი თ კ ა პ ი ტ ა ლ ი ა» («Das Kapital », III, I, 231) («კაპიტალი», ტ. III, ნ. I, გვ. 231 [42]. რ ე დ.).

ველოდეთ, გვეგონება, რომ მას წინანდელი წარმოება მოგვცემს, — ჩვენ თითქმის იმასვე ჩავიდენთ, რასაც ჩავიდენდით საათის მიმართ, ძეწკვიანი ბორბლის (la roue qui porte la chaînette) უკან დატრიალების ნაცვლად სხვა ბორბალი რომ დაგვეტრიალებინა უკან, — მთელი მანქანა გატყდებოდა და გაჩერდებოდა» (II, 454). ამას ამბობს სისმონდი. ახლა მოვუსმინოთ ბ-ნ ნიკოლაი — ონს. «ჩვენ მხედველობიდან გამოგვრჩა ის, რის ხარჯზეც ხდება ასეთი განვითარება (ე. ი. კაპიტალიზმის განვითარება), ჩვენ დაგვავიწყდა აგრეთვე ყოველივე წარმოების მიზანი... მეტისმეტად დამღუპველი შეცდომაა...» (ნ.—ონი, «ჩვენი რეფორმისშემდგომი საზოგადოებრივი მეურნეობის ნარკვევები», 298). ორივე ეს მწერალი ლაპარაკობს კაპიტალიზმზე, კაპიტალისტურ ქვეყნებზე; ორივენი ააშკარავებენ კაპიტალისტური დაგროვების არსის სრულ გაუგებლობას. მაგრამ განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკანასკნელი პირველის შემდეგ 10 წლის მერე წერს?

როგორ უკავშირდება კაპიტალისტური დაგროვების გაუგებლობა მთელი წარმოების მცდარ შემოფარგვლას მოხმარების საგნების წარმოებით, — ეს ნათლად სჩანს ერთი მაგალითიდან, რომელიც სისმონდის მოჰყავს VIII თავში: «წარმოების გაიაფებისათვის ბრძოლის შედეგები» (წიგნი IV: «კომერციული სიმდიდრის შესახებ»).

ვთქვათ, — ამბობს სისმონდი, — მანუფაქტურის პატრონს აქვს 100 000 ფრანკი საბრუნავი კაპიტალი, რომელსაც მოაქვს 15 000, საიდანაც 6 000 შეადგენს კაპიტალის პროცენტს და კაპიტალისტს ეძლევა, ხოლო 9 000 შეადგენს მეფაბრიკის სამეწარმეო მოგებას. ვთქვათ, ის მოიხმარს 100 მუშის შრომას, რომელთა ხელფასი შეადგენს 30 000 ფრანკს. შემდეგ, ვთქვათ გადიდდა კაპიტალი, გაფართოვდა წარმოება («დაგროვება»). 100 000 ფრ. ნაცვლად კაპიტალი იქნება = 200 000 ფრ., რაც დაბანდებულია ძირითად კაპიტალში, და 200 000 ფრ. — საბრუნავ კაპიტალში, სულ 400 000 ფრ.; მოგება და პროცენტი = 32 000+16 000 ფრ., ვინაიდან პროცენტმა 6%-დან

4%-მდე დაიწია. მუშათა რიცხვი გაორკეცდა, მაგრამ ხელფასმა 300 ფრანკიდან 200 ფრანკამდე დაიწია, — სულ, მაშასადამე, 40 000 ფრ. ამრიგად, წარმოება ოთხჯერ გაიზარდა *. და სისმონდი ანგარიშობს შედეგებს: «შემოსავალი» ანუ «მოხმარება» პირველად იყო 45 000 ფრ. (30 000 ხელფასი + 6 000 პროცენტი + 9 000 მოგება), ახლა კი 88 000 ფრ. (40 000 ხელფასი + 16 000 პროცენტი + 32 000 მოგება). «წარმოება გაოთხკეცდა, — ამბობს სისმონდი, — მოხმარება კი გაორკეცებულიც არ არის. არ უნდა ვიანგარიშოთ იმ მუშათა მოხმარება, რომლებმაც მანქანები დაამზადეს. იგი დაფარულია ამაზე გამოყენებული 200 000 ფრანკით; იგი წარმოადგენს უკვე იმ მეორე მანუფაქტურის ანგარიშსწორების ნაწილს, სადაც იმავე ფაქტებს ექნებათ ადგილი» (I, 405 — 406).

სისმონდის გაანგარიშებით მტკიცდება შემოსავლის შემცირება წარმოების ზრდის დროს. ეს უდავო ფაქტია. მაგრამ სისმონდი ვერ ამჩნევს, რომ თავისი მაგალითით იგი აბათილებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის თავის თეორიას. კურიოზულია მისი შენიშვნა, რომ მანქანების მწარმოებელი მუშების მოხმარება «არ უნდა ვიანგარიშოთო». რატომ? ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ იგი დაფარულია 200 000 ფრანკით. მაშასადამე, კაპიტალი გადატანილია იმ დარგში, რომელიც წარმოებისა საშუალებებს ამზადებს, — ამას სისმონდი ვერ ამჩნევს. მაშასადა-

* «კონკურენციის პირველი შედეგია, — ამბობს სისმონდი, — ხელფასის შემცირება და იმავე დროს მუშათა რიცხვის ზრდა» (I, 403). ჩვენ აქ არ ვეხებით სისმონდის გაანგარიშების უსწორობას: ის, მაგ., სთვლის, რომ მოგება იქნება 8% ძირითად კაპიტალზე და 8%-ი საბრუნავ კაპიტალზე, რომ მუშათა რიცხვი იმატებს საბრუნავი კაპიტალის (რომელსაც იგი ხეირიანად ვერ არჩევს ცვალებადი კაპიტალისაგან) ზრდის პროპორციულად, რომ ძირითადი კაპიტალი მთლიანად შედის პროდუქტის ფასში. ამ შემთხვევაში ყოველივე ამას მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან დასკვნა სწორი გამოდის: ცვალებადი კაპიტალის წილის შემცირება კაპიტალის საერთო შემადგენლობაში, როგორც დაგროვების აუცილებელი შედეგი.

ში, «შინაური ბაზარი», რომლის «შემცირებაზედაც» ლაპარაკობდა სისმონდი, არ ამოიწურება მოხმარების საგნებით, არამედ შეიცავს აგრეთვე წარმოების საშუალებებსაც. ეს წარმოების საშუალებები ხომ განსაკუთრებულ პროდუქტს შეადგენენ, რომლის «რეალიზაცია» პირად მოხმარებაში არ მდგომარეობს, და, მაშასადამე, რაც უფრო ჩქარა ხდება დაგროვება, მით უფრო ძლიერ ვითარდება კაპიტალისტური პროდუქციის ის დარგი, რომელიც პროდუქტებს იძლევა არა პირადი, არამედ საწარმოო მოხმარებისათვის. მეორე, — უპასუხებს სისმონდი, — ესენი არიან მუშები მეორე მანუფაქტურისა, სადაც იმავე ფაქტებს აქვთ ადგილი (où les mêmes faits pourront se représenter). როგორც ხედავთ, ეს განმეორებაა მკითხველის სმიტისებური გაგზავნისა «პონტეელისაგან პილატესთან». მაგრამ ამ «მეორე მანუფაქტურაშიც» ხომ იყენებენ მუდმივ კაპიტალს, და მისი წარმოებაც ხომ უქმნის ბაზარს კაპიტალისტური პროდუქციის იმ განყოფილებას, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს! რამდენიც არ უნდა გადაგვქონდეს საკითხი ერთი კაპიტალისტისაგან მეორისკენ, მეორისგან მესამისკენ, — აღნიშნული განყოფილება ამით არ გაქრება, და «შინაური ბაზარიც» მარტო მოხმარების საგნებით არ შემოიფარგლება. ამიტომ, როდესაც სისმონდი ამბობს, «ეს გაანგარიშება უარჰყოფს... ერთ-ერთ აქსიომას, რომელსაც ყველაზე უფრო იცავდნენ პოლიტიკურ ეკონომიაში, სახელდობრ იმას, რომ ყველაზე თავისუფალი კონკურენცია განსაზღვრავს ინდუსტრიის ყველაზე ხელსაყრელ განვითარებასო» (I, 407), — იგი ვერ ამჩნევს, რომ «ეს გაანგარიშება» მის შეხედულებასაც უარჰყოფს. უდავოა ის ფაქტი, რომ მანქანების შემოღება უმუშევრად სტოვებს მუშებს, აუარესებს მათს მდგომარეობას, და უდავოა ღვაწლი სისმონდისა, რომელიც ერთი პირველთაგანი იყო, ამაზე რომ მიუთითა. მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ დაგროვებისა და შინაური ბაზრის მისი თეორია სრული შეცდომა იყოს. მისივე გაანგარიშე-

ბა ცხადჰყოფს სწორედ იმ მოვლენას, რომელსაც სისმონდი არათუ უარჰყოფდა, არამედ საბუთადაც კი იყენებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, როცა ამბობდა, რომ დაგროვება და წარმოება მოხმარებას უნდა შეესაბამებოდეს, თორემ კრიზისი გაჩნდებაო. გაანგარიშება კი ნამდვილად იმას გვიჩვენებს, რომ დაგროვება და წარმოება წინ უსწრებენ მოხმარებას, სხვანაირად საქმე არც შეიძლება რომ წავიდეს, ვინაიდან დაგროვება უმთავრესად ხდება იმ წარმოების საშუალებათა ხარჯზე, რომელნიც «მოხმარებაში» არ შედიან. ის, რაც სისმონდის ეგონა უბრალო შეცდომა, რიკარდოს დოქტრინის წინააღმდეგობა, — სახელდობრ, რომ დაგროვება არის შემოსავალზე წარმოების გადამეტება, — ეს საქმით სავსებით შეესაბამება სინამდვილეს, გამოხატავს რა კაპიტალიზმის დამახასიათებელ წინააღმდეგობას. ეს გადამეტება აუცილებელია ყოველი დაგროვების დროს, რომელიც ახალ ბაზარს უხსნის წარმოების საშუალებებს, მოხმარების საგნების ბაზრის სათანადოდ გაუფართოებლად და ამ ბაზრის შემცირების დროსაც კი*. შემდეგ, უარჰყოფს რა მოძღვრებას თავისუფალი კონკურენციის უპირატესობათა შესახებ, სისმონდი ვერ ამჩნევს, რომ უშინაარსო ოპტიმიზმთან ერთად ის უარჰყოფს იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ თავისუფალი კონკურენცია ავითარებს საზოგადოების საწარმოო ძალებს, როგორც ეს კვლავ მისივე გაანგარიშებით აშკარავდება. (არსებითად, ეს მხოლოდ სხვა გამოხატულებაა იმ ფაქტისა, რომ იქმნება მრეწველობის განსაკუთრებული, წარმოების საშუალებათა მწარმოებელი ქვედარგი, და რომ ის განსაკუთრებით ჩქარა ვითარდება.) საზოგადოების საწარმოო

* ზემომოყვანილი ანალიზიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ ასეთი შემთხვევაც შესაძლებელია, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყოფა ახალი კაპიტალი მუდმივ და ცვალებად ნაწილად და რამდენად მოიცავს ძველ წარმოებებს ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი წილის შემცირება.

ძალთა ეს განვითარება მოხმარების შესაბამისი განვითარების გარეშე, რასაკვირველია, წინააღმდეგობაა, მაგრამ სწორედ ისეთი წინააღმდეგობაა, რომელსაც სინამდვილეში აქვს ადგილი, რომელიც პირდაპირ კაპიტალიზმის არსიდან გამომდინარეობს და რომელსაც გრძნობიერი ფრაზებით თავს ვერ დააღწევ.

რომანტიკოსები კი სწორედ ამნაირად იძვრენენ თავს. რათა მკითხველმა არ დაგვწამოს, რომ უსაფუძვლოდ ვდებთ ბრალს თანამედროვე ეკონომისტებს ესოდენ «მოძველებული» მწერლის შეცდომების გამო, როგორც სისმონდია, მოვიყვანთ «უახლესი» მწერლის ბ-ნ ნ. — ონის პატარა ნიმუშს. თავისი «ნარკვევების» 242-ე გვერდზე ის მსჯელობს კაპიტალიზმის განვითარებაზე რუსეთის პურის ფქვის საქმეში. ავტორი აღნიშნავს ორთქლის დიდი წისქვილების გაჩენას წარმოების გაუმჯობესებული იარაღებით (70-იანი წლებიდან წისქვილების გადასაკეთებლად დახარჯულია 100 მილიონ მანეთამდე) და შრომის ერთიორად და მეტად გაზრდილი ნაყოფიერებით. იგი აღწერილ მოვლენას ასე ახასიათებს: «პურის ფქვის საქმე კი არ ვითარდებოდა, არამედ მხოლოდ თავს იყრიდა მსხვილ საწარმოებში». მერე ამ დახასიათებას ავრცელებს მრეწველობის ყ ვ ე ლ ა დარგზე (გვ. 243) და გამოჰყავს დასკვნა, რომ «გამოუკლებლივ ყველა შემთხვევაში მომუშავეთა მასა თავისუფლდება, ვერ პოულობს სამუშაოს» (243) და რომ «კაპიტალისტური წარმოება სახალხო მოხმარების ხარჯზე ვითარდებოდა» (241). ვეკითხებით მკითხველს. ასეთი მსჯელობა თუნდაც რითმე ვანსხვავდება სისმონდის ახლახან მოყვანილი მსჯელობისაგან? ეს «უახლესი» მწერალი ორ ფაქტს ადასტურებს, იმავე ფაქტებს, რომლებიც სისმონდის მაგალითშიც ვნახეთ, და ცდილობს ორივე ამ ფაქტს თავი დააღწიოს ისეთივე გრძნობიერი ფრაზით. ჯერ-ერთი. მისი მაგალითი მოწმობს, რომ კაპიტალიზმის განვითარება ხდება სწორედ წარმოების საშუალებათა ხარჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ავითარებს საზოგადოების საწარ-

მოო ძალებს. მეორე, მისი მაგალითი მოწმობს, რომ ეს განვითარება მიმდინარეობს წინააღმდეგობათა სწორედ იმ სპეციფიკური გზით, რომელიც დამახასიათებელია კაპიტალიზმისთვის: წარმოება ვითარდება (100 მილიონი მანეთის დახარჯვა — შინაური ბაზარი იმ პროდუქტებისათვის, რომელთა რეალიზაცია ხდება არა პირადი მოხმარებით) მოხმარების შესაბამისი განვითარების გარეშე (ხალხის კვება უარესდება), ე. ი. ხდება სწორედ წარმოება წარმოებისთვის. და ბ-ნი ნ. — ონიც ფიქრობს, რომ ეს წინააღმდეგობა ცხოვრებაში გაქრება, თუ ის, მოხუცი სისმონდის გულუბრყვილობით, წარმოიდგენს მას მხოლოდ დოქტრინის წინააღმდეგობად, მხოლოდ «დამღუპველ შეცდომად»: «ჩვენ დაგვავიწყდა წარმოების მიზანი»!! რაღა იქნება ასეთ ფრაზაზე უფრო დამახასიათებელი: «კი არ ვითარდებოდა, არამედ მ ხ ო ლ ო დ თავს იყრიდა»? ცხადია, ბ-ნმა ნ. — ონმა იცის ისეთი კაპიტალიზმი, რომელშიც განვითარება თ ა ვ მ ო ყ რ ი ს გზით კი არა, არამედ ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ მ ო ხ დ ე ბ ო დ ა. სამწუხაროა, რომ მან არ გაგვაცნო ასეთი «თვითმყოფი», მთელი მისი წინამორბედი პოლიტიკური ეკონომიისთვის უცნობი, კაპიტალიზმი!

VI

საგარეო ბაზარი, როგორც ზეღირებულების რეალიზაციის «სიძნელიდან გამოსავალი»

სისმონდის შემდეგი შეცდომა, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი შემოსავლისა და პროდუქტის შემცდარი თეორიიდან, — ეს არის მოძღვრება საერთოდ პროდუქტის და კერძოდ ზეღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობაზე და, როგორც ამ შეუძლებლობის შედეგი, საგარეო ბაზრის აუცილებლობაზე. რაც შეეხება საერთოდ პროდუქტის რეალიზაციას, ზემომოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ «შეუძლებლობა» მუდმივი კაპიტალისა და წარმოების საშუალებათა შემცდარი გამორიცხვით ამოიწურება. რაკი ეს შეცდომა გასწორებულია, —

ჰქრება «შეუძლებლობაც». მაგრამ იგივე უნდა ითქვას კერძოდ ზეღირებულების შესახებაც: ეს ანალიზი გვირკვევს მის რეალიზაციასაც. სრულიად არავითარი გონივრული საფუძველი არა გვაქვს, რომ მთელი პროდუქტიდან გამოვყოთ ზეღირებულება მისი (ზეღირებულების) რეალიზაციის მიმართ. სისმონდის (და ჩვენი ნაროდნიკების) წინააღმდეგი მტკიცება უბრალო შედეგია საერთოდ რეალიზაციის ძირითადი კანონების გაუგებლობისა, არცოდნაა პროდუქტის სამი (და არა ორი) ნაწილის დაყოფისა ღირებულების მიხედვით და პროდუქტების ორი სახის დაყოფისა მატერიალური ფორმის მიხედვით (წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნებისა). ის დებულება, რომ კაპიტალისტები ვერ მოიხმარებენ ზეღირებულებას, მხოლოდ გავულგარებული განმეორებაა სმიტის გაუგებრობისა საერთოდ რეალიზაციის შესახებ. ზეღირებულების მხოლოდ ნ ა წ ი ლ ი შესდგება მოხმარების საგნებისაგან; მეორე ნაწილი კი — წარმოების საშუალებათაგან შესდგება (შაგ., რკინის ქარხნის პატრონის ზეღირებულება). ა მ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ზეღირებულების «მოხმარება» ხდება იმით, რომ ი ს ბ ა ნ დ დ ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი; ის კაპიტალისტები კი, რომელნიც პროდუქტს ამზადებენ წარმოების საშუალებათა სახით, თვითონ მოიხმარებენ არა ზეღირებულებას, არამედ სხვა კაპიტალისტებთან გაცვლით მიღებულ მ უ დ მ ი ვ კ ა პ ი ტ ა ლ ს. ამიტომ ნაროდნიკებმაც, ზეღირებულების რეალიზაციის შეუძლებლობაზე რომ მსჯელობენ, ლოგიკურად უნდა აღიარონ აგრეთვე მუდმივი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს რეალიზაციის შეუძლებლობაც, — და, ამრიგად, ისინი მშვიდობიანად დაუბრუნდებოდნენ ადამს... თავისთავად ცხადია, «პოლიტიკური ეკონომიის მამასთან» ასეთი დაბრუნება გიგანტური პროგრესი იქნებოდა იმ მწერლებისთვის, რომელნიც ძველ შეცდომებს გვაწვდიან ჭეშმარიტებათა სახით, რომლებსაც მათ «თავისი ჭკუით მიაღწიეს»...

საგარეო ბაზარი? ხომ არ უარვყოფთ კაპიტალიზმისათვის საგარეო ბაზრის აუცილებლობას? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ საგარეო ბაზრის საკითხს რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ს ა კ ი თ ხ-

თან აბსოლუტურად არაფერი აქვს საერთო, და ერთ მთლიან რამედ მათი შეკავშირების ცდა ახასიათებს მხოლოდ კაპიტალიზმის «შეფერხების» რომანტიკულ სურვილებს და რომანტიკულ ულოგიკობას. ეს სრული სიზუსტით დაგვიმტკიცა იმ თეორიამ, რომელმაც რეალიზაციის საკითხი გაგვიმარტა. რომანტიკოსი ამბობს: კაპიტალისტებს არ შეუძლიათ ზეღირებულება მოიხმარონ, ამიტომ იგი უნდა გაასაღონ საზღვარგარეთო. მერე კაპიტალისტები თავიანთ პროდუქტებს მუქთად ხომ არ აძლევენ უცხოელებს ან ზღვაში ხომ არ ჰყრიან მათ? ჰყიდიან — მაშასადამე, ეკვივალენტს იღებენ; გააქვთ ერთი პროდუქტი — მაშასადამე, შემოაქვთ სხვა პროდუქტები. თუ ჩვენ საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციაზე ვლაპარაკობთ, ამით უკვე განზე ვტოვებთ ფულის ტრიალს და ვგულისხმობთ მხოლოდ პროდუქტების გაცვლას პროდუქტებზე, ვინაიდან რეალიზაციის საკითხი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანალიზი გავუკეთოთ საზოგადოებრივი პროდუქტის ყველა ნაწილის ანაზღაურებას ღირებულებისა და მატერიალური ფორმის მიხედვით. ამიტომ რეალიზაციაზე მსჯელობის დაწყება და მისი იმით გათავება, რომ «პროდუქტს ფულზე გაასაღებენო», — ისევე სასაცილოა, როგორც სასაცილო იქნებოდა, ვისმე რომ მოხმარების საგნებში მოთავსებული მუდმივი კაპიტალის რეალიზაციის შესახებ მიცემულ კითხვაზე ეპასუხნა: «გაჰყიდიანო». ეს პირდაპირ უხეში ლოგიკური მარცხია: აქ მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის საკითხიდან იმ ცალკეული მეწარმის თვალსაზრისზე გადადიან, რომელსაც «უცხოელზე გაყიდვის» მეტი არაფერი არ აინტერესებს. რეალიზაციის საკითხისათვის საგარეო ვაჭრობისა და გატანის მიტმასნება — ეს ნიშნავს საკითხის თავიდან მოცილებას, მის უფრო ფართო ნიადაგზე გადატანას და სრულიადაც არა მის გარკვევას*. ჩვენ რომ ერთი ქვეყნის

* ეს იმდენად აშკარაა, რომ სისმონდისაც კი შეგნებული ჰქონდა საგარეო ვაჭრობის აბსტრაგირების აუცილებლობა რეალიზაციის ანალი-

ბაზრის მაგიერ ქვეყნების განსაზღვრული კომპლექსის ბაზარი ავიღოთ, ამით რეალიზაციის საკითხი ოდნავადაც არ წაიწევს წინ. როდესაც ნაროდნიკები ირწმუნებიან, საგარეო ბაზარი «გამოსავალია იმ სიძნელიდან» *, რომელსაც კაპიტალიზმი თავის თავს უქმნის პროდუქტის რეალიზაციის საქმეშიო, ამ ფრაზით ისინი მხოლოდ იმ სამწუხარო გარემოებას ფარავენ, რომ მათთვის «საგარეო ბაზარი» არის «გამოსავალი იმ სიძნელიდან», რომელშიც თვითონ ვარდებიან თეორიის გაუგებლობის წყალობით... უფრო მეტიც. თეორია, რომელიც საგარეო ბაზარს მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის საკითხს უკავშირებს, არა მარტო ამ რეალიზაციის გაუგებლობას ააშკარავებს, არამედ აგრეთვე შეიცავს ამ რეალიზაციის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა უაღრესად ზერელე გაგებასაც. «მუშები მოიხმარებენ ხელფასს, ხოლო კაპიტალისტები ვერ მოიხმარებენ ზეღირებულებას». ჩაუფიქრდით ამ «თეორიას» საგარეო ბაზრის თვალსაზრისით. საიდან ვიცით ჩვენ, რომ «მუშები ხელფასს მოიხმარებენ»? რა საფუძვლით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ პროდუქტები, რომელნიც ამა თუ იმ ქვეყნის კაპიტალისტთა მთელი კლასის მიერ დანიშნულია ქვეყნის ყველა მუშის მოსახმარებლად, ნამდვილად აღმოჩნდება ღირებულებით მათი ხელფასის თანაბარი და აანაზღაურებს მას, რომ ამ პროდუქტებისთვის საჭირო არ იქნება საგარეო ბაზარი? სრულიად არავითარი საფუძველი არ არსებობს ასე ვიფიქროთ, და ნამდვილადაც ეს სრულებით არ არის ასე. როგორც ზეღირებულების ამნაზღაუ-

---

ზის დროს. «ამ გაანგარიშებისათვის უფრო ზუსტად რომ გაგვედევნებინა თვალი, — ამბობს ის წარმოებისა და მოხმარების შესაბამისობის შესახებ, — და საკითხი გაგვემარტივებინა, აქამდე სრულიად განყენებული გვქონდა საგარეო ვაჭრობა; ჩვენ ვგულისხმობდით იზოლირებულ ერს; ადამიანთა საზოგადოება თვითონ ასეთივე იზოლირებული ერია, და ყოველივე, რაც კი ერს ეხება საგარეო ვაჭრობის გამოკლებით, სწორედ ასევე ადამიანთა მთელ მოდგმასაც შეეხება» (I, 115).

* ნ. — ონი, ვვ. 205.

რებელი პროდუქტები (თუ პროდუქტთა ნაწილი), ისე ცვალებადი კაპიტალის ამნაზღაურებელი პროდუქტები; როგორც ცვალებადი კაპიტალის ამნაზღაურებელი პროდუქტები, ისე მუდმივი კაპიტალის (რომელსაც ივიწყებენ ჩვენი «ეკონომისტები», რომელთაც არ ახსოვთ ნათესაობა... ადამთან) ამნაზღაურებელი პროდუქტები; როგორც მოხმარების საგნების სახით არსებული პროდუქტები, ისე წარმოების საშუალებათა სახით არსებული პროდუქტები, — ყველაფერი ეს თანაბრად საღდება მხოლოდ «სიძნელეთა» ვითარებაში, მუდმივ რყევათა ვითარებაში, რომელნიც თანდათან ძლიერდებიან კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად, გააფთრებული კონკურენციის ვითარებაში, რომელიც ყოველ მეწარმეს აიძულებს ცდილობდეს უსაზღვრად გააფართოოს წარმოება, გადალახოს არსებული სახელმწიფოს საზღვრები, ეძიოს ახალახალი ბაზრები იმ ქვეყნებში, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან ჩაბმული საქონლის კაპიტალისტურ ბრუნვაში. ჩვენ ახლა მივადექით იმ საკითხსაც, თუ რატომ არის აუცილებელი საგარეო ბაზარი კაპიტალისტური ქვეყნისთვის? სრულიადაც არა იმიტომ, რომ პროდუქტი საზოგადოდ ვერ გასაღდება კაპიტალისტურ წყობილებაში. ეს სისულელეა. საგარეო ბაზარი იმიტომ არის აუცილებელი, რომ კაპიტალისტურ წარმოებას ახასიათებს უსაზღვრო გაფართოებისადმი მისწრაფება — წინააღმდეგ წარმოების ყველა ძველი წესისა, რომელნიც შეზღუდული იყვნენ თემის, მამულის, ტომის, ტერიტორიული ოლქის თუ სახელმწიფოს საზღვრებით. მაშინ როდესაც ყველა ძველი სამეურნეო რეჟიმის დროს წარმოება ყოველთვის იმავე სახით და იმავე ფარგლებში ახლდებოდა, როგორშიც წინათ მიმდინარეობდა, — კაპიტალისტურ წყობილებაში ეს განახლება იმავე სახით შეუძლებელი ხდება, და წარმოების კანონად ცხადდება უსაზღვრო გაფართოება, მუდმივი წინსვლა *.

* შეად. ზიბერი, «დავიდ რიკარდო და სხვ.». სპბ. 1885, გვ. 466, შენიშვნა.

ამრიგად, რეალიზაციის სხვადასხვა გაგება (უფრო სწორად, ერთი მხრივ მისი გაგება და მეორე მხრივ სრული გაუგებლობა რომანტიკოსების მიერ) ბადებს ორ დიამეტრულად მოწინააღმდეგე შეხედულებას საგარეო ბაზრის მნიშვნელობაზე. ზოგიერთისთვის (რომანტიკოსებისთვის) — საგარეო ბაზარი იმ «სიძნელის» მაჩვენებელია, რომელსაც კაპიტალიზმი უქმნის საზოგადოებრივ განვითარებას. სხვებისთვის, პირიქით, საგარეო ბაზარი გვიჩვენებს, თუ როგორ სპობს კაპიტალიზმი საზოგადოებრივი განვითარების იმ სიძნელეებს, რომელნიც ისტორიამ წარმოქმნა სხვადასხვა თემური, ტომობრივი, ტერიტორიული და ნაციონალური ზღუდეების სახით *.

როგორც ხედავთ, განსხვავება მხოლოდ «თვალსაზრისშია»... დიახ, «მხოლოდ»! კაპიტალიზმის რომანტიკოს მსაჯულთა განსხვავება სხვებისაგან მდგომარეობს საერთოდ «მხოლოდ» «თვალსაზრისში», «მხოლოდ» იმაში, რომ ერთნი სჯიან უკანიდან, ხოლო მეორენი — წინიდან, ერთნი — იმ წყობილების თვალსაზრისით, რომელსაც კაპიტალიზმი ანგრევს, მეორენი — იმ წყობილების თვალსაზრისით, რომელსაც კაპიტალიზმი ჰქმნის **.

საგარეო ბაზრის არასწორ გაგებას რომანტიკოსები ჩვეულებრივ უერთებენ ამა თუ იმ ქვეყანაში კაპიტალიზმის საერთაშორისო მდგომარეობის «თავისებურებათა» აღნიშვნას, ბაზრის შოვნის შეუძლებლობის აღნიშვნას და სხვ.; ყველა ამ არგუმენტით ცდილობენ კაპიტალისტებს «გადაახვევინონ» საგარეო ბაზრის ძებნისგან. როცა «აღნიშვნას» ვამბობთ, ეს სავსებით სწორი არ არის, ვინაიდან ქვეყნის საგარეო ვაჭრობის, ახალი ბაზრების დარგში მისი წინსვლის, მისი კოლო-

* შეად. ქვემოთ: « Rede über die Frage des Freihandels.» (კ. მ ა რ ქ ს ი. «სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ». რ ე დ.).

** მე აქ ვლაპარაკობ მხოლოდ კაპიტალიზმის შეფასებაზე და არა მის გაგებაზე. ამ უკანასკნელი მხრივ რომანტიკოსები, როგორც დავინახეთ, კლასიკოსებზე მაღლა არ დგანან.

ნიზაციის და სხვ. ფაქტიურ ანალიზს რომანტიკოსი არ იძლევა. მას სრულიად არ აინტერესებს ნამდვილი პროცესის შესწავლა და მისი გამორკვევა; მას ესაჭიროება მხოლოდ მ ო რ ა ლ ი ა მ პ რ ო ც ე ს ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. რათა მკითხველი დარწმუნდეს, რომ ეს მორალი რუსეთის თანამედროვე რომანტიკოსებს და ფრანგ რომანტიკოსს სავსებით ერთნაირი აქვთ, მოვიყვანთ უკანასკნელის მსჯელობის ნიმუშებს. როგორ აშინებს სისმონდი კაპიტალისტებს, რომ ისინი ბაზარს ვერ იშოვნიან, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ. მაგრამ ის მარტო ამას როდი ამტკიცებდა. ის ამტკიცებდა, რომ «მსოფლიო ბაზარი უკვე საკმაოდ მომარაგებულია» (II, 328), ამტკიცებდა კაპიტალიზმის გზით სიარულის შეუძლებლობას და სხვა გზის არჩევის აუცილებლობას... ის ინგლისელ მეწარმეთ არწმუნებდა, რომ კაპიტალიზმი ვერ შესძლებს სამუშაო გაუჩინოს ყველა მუშას, რომლებსაც საფერმო მეურნეობა ათავისუფლებს მიწათმოქმედებაში (I, 255—256). «ისინი, ვისაც მიწათმოქმედთ სწირავენ მსხვერპლად, ნახავენ კი რაიმე სარგებლობას ამაში? მიწათმოქმედნი ხომ ინგლისის მანუფაქტურების ყველაზე მახლობელი და ყველაზე საიმედო მომხმარებლები არიან. მათი მოხმარების შეწყვეტა უფრო დამღუპველ ლახვარს ჩასცემდა ინდუსტრიას, ვიდრე ერთ-ერთი უდიდესი საგარეო ბაზრის დახურვა» (I, 256). იგი ინგლისელ ფერმერებს არწმუნებდა, რომ ისინი ვერ გაუძლებენ იმ ღარიბი პოლონელი გლეხის კონკურენციას, რომელსაც პური თითქმის არაფერი არ უჯდება (II, 257), რომ მათ შავი ზღვის ნავსადგურებიდან რუსეთის პურის კიდევ უფრო საშინელი კონკურენცია ემუქრება. ის აცხადებდა: «ამერიკელები ახალ პრინციპს დაადგნენ: აწარმოონ ბაზრის საკითხის აუწონ-დაუწონლად (produire sans calculer le marché), და აწარმოონ რაც შეიძლება მეტი», და აი «შეერთებული შტატების ვაჭრობის დამახასიათებელი თვისება, ქვეყნის ერთი კიდიდან მეორემდე, — ყოველგვარი საქონლის სიჭარბე მოხმარების საჭიროებათა მიმართ... მუდმივი გაკოტრება თან

სდევს სავაჭრო კაპიტალების ამ სიჭარბეს, რომელთა გადაცვლა შემოსავალზე აღარ ხერხდება» (I, 455—456). კეთილი სისმონდი! რას იტყოდა იგი თანამედროვე ამერიკაზე,— იმ ამერიკაზე, რომელიც ასე კოლოსალურად განვითარდა სწორედ იმ «შინაური ბაზრის» ხარჯზე, რომელიც, რომანტიკოსთა თეორიის მიხედვით, უნდა «შემცირებულიყო»!

VII

კრიზისი

სისმონდის მესამე შემცდარი დასკვნა, რომელიც მის მიერ გადმოღებული ად. სმიტის მცდარი თეორიიდან გამომდინარეობს, ეს არის მოძღვრება კრიზისების შესახებ. სისმონდის შეხედულებიდან, რომ დაგროვებას (საერთოდ წარმოების ზრდას) მოხმარება განსაზღვრავს, და მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის (რომლადაც მიჩნეულია მუშების წილი და კაპიტალისტების წილი შემოსავალში) რეალიზაციის შემცდარი განმარტებიდან ბუნებრივად და აუცილებლად წარმოიშვა ის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც კრიზისები წარმოებასა და მოხმარებას შორის შეუსაბამობით აიხსნება. სისმონდი მთლიანად სწორედ ამ თეორიას იცავდა. ეს თეორია გადაიღო როდბერტუსმაც, რომელმაც მას ოდნავ შეუცვალა სახე: იგი კრიზისებს იმით ხსნიდა, რომ წარმოების ზრდის დროს მუშათა წილი პროდუქტში მცირდება, ამასთან იგი მთელ საზოგადოებრივ პროდუქტს, როგორც ად. სმიტიც, შეცდომით ჰყოფდა ხელფასად და «რენტად» (მისი ტერმინოლოგიით «რენტა» არის ზედირებულება, ე. ი. მოგება და მიწის რენტა ერთად). კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაგროვების* და პროდუქტის რეალიზაციის მეცნიერულმა ანალიზმა დაარღვია

* იმ მოძღვრებასთან დაკავშირებით, რომ კაპიტალისტურ მეურნეობაში მთელი პროდუქტი ორი ნაწილისაგან შესდგება, ა. სმიტს და მომდევნო ეკონომისტებს არასწორად ესმით «ერთეული კაპიტალის დაგროვება». სახელდობრ, ისინი გვასწავლიდნენ, რომ მოგების დანაგროვი ნაწი-

ამ თეორიის ყველა საფუძველი, მან აღნიშნა აგრეთვე, რომ სწორედ კრიზისების წინა ხანებში მუშათა მოხმარება მატულობს, რომ არასაკმარისი მოხმარება (რომელიც ვითომ კრიზისებს ხსნის) სულ სხვადასხვა სამეურნეო რეჟიმის დროს არსებობდა, ხოლო კრიზისები მხოლოდ ერთი კაპიტალისტური რეჟიმის ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენენ. ეს თეორია კრიზისებს სხვა წინააღმდეგობით ხსნის, სახელდობრ იმ წინააღმდეგობით, რომელიც არსებობს (კაპიტალიზმის მიერ განსაზოგადოებული) წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო, ინდივიდუალურ წესს შორის. ამ თეორიების ღრმა განსხვავება თითქოს თავისთავად ცხადი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ მასზე, ვინაიდან სისმონდის სწორედ რუსი მიმდევრები ცდილობენ წ ა შ ა ლ ო ნ ეს განსხვავება და არივდარიონ საქმე. კრიზისების ორი თეორია, რომლებზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, სულ სხვადასხვანაირად ხსნის მათ. პირველი თეორია მათ ხსნის წარმოების და მუშათა კლასის მოხმარების წინააღმდეგობით, მეორე — წარმოების საზოგადოებრივი ხასიათისა და მითვისების კერძო ხასიათის წინააღმდეგობით. მაშასადამე, მოვლენის ფესვს პირველი ხედავს წარმოების გ ა რ ე თ (აქედან გამომდინარეობს, მაგ., სისმონდის საერთო თავდასხმა კლასიკოსებზე, რომ ისინი უგულებელჰყოფენ მოხმარებას და მხოლოდ წარმოებით არიან გატაცებულიო); მეორე კი — სწორედ წარმოების პირობებში. მოკლედ, პირველი კრიზისებს ხსნის არასაკმარისი მოხმარებით (Unterkonsumption), მეორე — წარმოების უწესრიგობით. ამრიგად, თუმცა ორივე თეორია კრიზისებს თვით მეურნეობის წყობაში არსებული წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი თ ხსნის, მაგრამ ისინი სრულიად შორდებიან ერთმანეთს ამ წინააღმდეგობის დასახელებაში. მაგრამ იბადება კითხვა: უარჰყოფს თუ არა

ლი მთლიანად ხელფასზე იხარჯება, მაშინ როცა ნამდვილად ის იხარჯება: 1) მუდმივ კაპიტალსა და 2) ხელფასზე. სისმონდი კლასიკოსების ამ შეცდომასაც იმეორებს.

მეორე თეორია წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული წინააღმდეგობის ფაქტს, არასაკმარისი მოხმარების ფაქტს? რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ა რ ა. ის სავსებით აღიარებს ამ ფაქტს, მაგრამ მას სათანადო, დაქვემდებარებულ ადგილს უთმობს, როგორც ფაქტს, რომელიც მხოლოდ მთელი კაპიტალისტური წარმოების ერთ ქვედარგს შეეხება. ის გვასწავლის, რომ ეს ფაქტი ვერ ახსნის კრიზისებს, რომელთაც თანამედროვე სამეურნეო სისტემის მეორე, უფრო ღრმა, ძირითადი წინააღმდეგობა, სახელდობრ წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ხასიათს შორის არსებული წინააღმდეგობა იწვევს. ამის შემდეგ რა უნდა ვთქვათ იმ ადამიანებზე, რომელნიც არსებითად პირველ თეორიას ემხრობიან, მაგრამ ამავე დროს თავს იფარავენ იმის აღნიშვნით, თუ როგორ ადასტურებენ მეორე თეორიის წარმომადგენელნი წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებულ წინააღმდეგობას? აშკარაა, ეს ადამიანები ა რ ჩ ა ფ ი ქ რ ე ბ ი ა ნ ამ ორი თეორიის განსხვავების საფუძველს და როგორც საჭიროა ვერ გაუგიათ მეორე თეორია. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, მაგ., ბ-ნი ნ. — ონი (ბ-ნ ვ. ვ-ზე რომ აღარაფერი ვთქვათ). ისინი რომ სისმონდის მიმდევართა რიცხვს ეკუთვნიან, ეს ჩვენს ლიტერატურაში უკვე ბ-ნმა ტუგან-ბარანოვსკიმ აღნიშნა («სამრეწველო კრიზისები», გვ. 477, უცნაური შენიშვნით ბ-ნ ნ. — ონის შესახებ: «როგორც სჩანსო»). მაგრამ ბ-ნი ნ. — ონი, მიუხედავად იმისა, რომ «შინაური ბაზრის შემცირებაზე» და «ხალხის სამომხმარებლო უნარის შემცირებაზე» (მის შეხედულებათა ცენტრალური პუნქტებია) ლაპარაკობს, მაინც იმოწმებს მეორე თეორიის წარმომადგენლებს, რომელნიც ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ე ნ წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული წინააღმდეგობის ფაქტს, არასაკმარისი მოხმარების ფაქტს. ცხადია, ასეთი დამოწმება საზოგადოდ ამ ავტორის მიერ უადგილო ციტატების მოყვანის უნარის დამახასიათებელია, და მეტი არაფერი. მაგ., ყველა მკითხველს, ვინც მის «ნარკვევებს» იცნობს, რა თქმა

უნდა, ახსოვს მისი «ციტატი» იმის შესახებ, რომ «მუშებს, როგორც საქონლის მყიდველებს, ბაზრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებას მიდრეკილება აქვს ისინი, როგორც საკუთარი საქონლის — სამუშაო ძალის — გამყიდველნი, ფასის მინიმუმით შეზღუდოს» («ნარკვევები», გვ. 178); მკითხველებს ახსოვთ აგრეთვე, რომ ბ-ნ ნ. — ონს სურს აქედან გამოიყვანოს «შინაური ბაზრის შემცირებაც» (ib., გვ. 203 და სხვ.) და კრიზისებიც (გვ. 298 და სხვ.). მაგრამ, მოჰყავს რა ეს ციტატი (რომელიც, როგორც განვმარტეთ, არაფერს არ ამტკიცებს), ჩვენი ავტორი გარდა ამისა ს ტ ო ვ ე ბ ს იმ შენიშვნის ბ ო ლ ო ს, საიდანაც ამოღებულია მისი ციტატი. ეს ციტატი წარმოადგენს შ ე ნ ი შ ვ ნ ა ს, რ ო მ ე ლ ი ც ჩ ა რ თ უ ლ ი ა «კაპიტალის» II ტომის II განყოფილების ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი. ეს შენიშვნა იმიტომაა ჩართული, რომ «შემდეგში ის უფრო დაწვრილებით ყოფილიყო განვითარებული», და ხელნაწერის გამომცემელმაც ის შენიშვნაში გადაიტანა. მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ა მ შ ე ნ ი შ ვ ნ ა შ ი ნ ა თ ქ ვ ა მ ი ა: «მ ა გ რ ა მ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ე ს ე ხ ე ბ ა მ ხ ო ლ ო დ შ ე მ დ გ ო მ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს» *, ე. ი. მესამე განყოფილებას. მერე რას წარმოადგენს ეს მესამე განყოფილება? ეს სწორედ ის განყოფილებაა, რომელშიც მოცემულია კრიტიკა ა. სმიტის თეორიისა მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის ორი ნაწილის შესახებ (სისმონდის შესახებ ზემომოყვანილ შენიშვნასთან ერთად) და «მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციისა და ტრიალის», ე. ი. პროდუქტის რეალიზაციის ანალიზი. ამრიგად, სისმონდის შეხედულებათა გამმეორებელ შეხედულებათა დასამტკიცებლად ჩვენს ავტორს მოჰყავს ციტატი იმ შენიშვნიდან, რომელიც «მხოლოდ იმ განყოფილებას» ეხება, რომელიც სისმონდის უარჰყოფს: «მხოლოდ იმ განყოფილებას», რომელშიც ნაჩვენებია, რომ

* «Das Kapital», II. Band, S. 304 («კაპიტალი», ტ. II, გვ. 304[48]. რ ე დ.). რუს. თარგ., გვ. 232. ხაზგასმა ჩვენია.

კაპიტალისტებს შ ე უ ძ ლ ი ა თ ზეღირებულების რეალიზაცია და რომ საგარეო ვაჭრობის შეტანა რეალიზაციის ანალიზში უაზრობაა...

მეორე ცდა ამ ორი თეორიის განსხვავების წაშლისა და უახლეს მოძღვრებათა დამოწმებით ძველი რომანტიკული დომხალის დაცვისა წარმოდგენილია ეფრუსის სტატიაში. ეფრუსის მოჰყავს კრიზისების თეორია სისმონდისა და აღნიშნავს მის უსწორობას («რ. ბ.» № 7, გვ. 162). მისი მითითებანი მეტად გაურკვეველი და წინააღმდეგობით სავსეა. ერთი მხრივ, ის იმეორებს მოწინააღმდეგე თეორიის საბუთებს და ამბობს, რომ ნაციონალური მოთხოვნილება არ ამოიწურება უშუალო მოხმარების საგნებით. მეორე მხრივ, ის ამტკიცებს, რომ სისმონდის მიერ კრიზისების ახსნა «აღნიშნავს მხოლოდ ერთს მრავალ გარემოებათაგანს, რომელნიც აფერხებენ ნაციონალური წარმოების განაწილებას მოსახლეობის მოთხოვნილების და მისი მსყიდველობითი უნარის მიხედვით». მაშასადამე, მკითხველს აფიქრებინებენ, რომ კრიზისების ახსნა სწორედ «განაწილებაში» მდგომარეობს, და რომ სისმონდის შეცდომა ისაზღვრება ამ განაწილების შემაფერხებელი მიზეზების არასრული ჩამოთვლით! მაგრამ მთავარი ეს როდია... «სისმონდი, — ამბობს ეფრუსი, — არ შეჩერებულა ზემომოყვანილ განმარტებაზე. «Nouv Princ.»-ის უკვე პირველ გამოცემაში ჩვენ ვპოულობთ მეტად საგულისხმო თავს, რომლის სათაურია «De la connaissance du marché» *. ამ თავში სისმონდი გვიხსნის წარმოებასა და მოხმარებას შორის წონასწორობის დარღვევის (მიაქციეთ ამას ყურადღება!) ძირითად მიზეზებს ისეთი სიცხადით, როგორსაც ამ საკითხში მხოლოდ რამდენიმე ეკონომისტის ნაწერებში თუ ვხვდებით» (ib.). და მოჰყავს რა ციტატები იმის შესახებ, რომ მეფაბრიკეს არ შეუძლია იცნობდეს ბაზარსო, ეფრუსი ამბობს: «თითქმის იმასვე ამბობს ენგელსი» (გვ. 163) — ამას მოსდევს ციტატი იმის შესახებ, რომ მეფაბრიკეს არ შეუძლია იცოდეს

* — «ბაზრის ცოდნის შესახებ». რ ე დ.

მოთხოვნილებაო. მოჰყავს რა კიდევ ციტატები წარმოებასა და მოხმარებას შორის წონასწორობის დამყარების სხვა დაბრკოლებათა შესახებ (გვ. 164), ეფრუსი გვარწმუნებს, რომ «მათში მოცემულია კრიზისების სწორედ ის ახსნა, რომელიც სულ უფრო და უფრო ბატონდება»! უფრო მეტიც: ეფრუსის ჰგონია, რომ «სახალხო-სამეურნეო კრიზისების მიზეზების საკითხში ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია სისმონდი მივიჩნიოთ იმ შეხედულებათა მამამთავრად, რომელნიც შემდეგში უფრო თანმიმდევრობით და უფრო ნათლად ვითარდებიან» (გვ. 168).

მაგრამ ყოველივე ამით ეფრუსი საქმის სრულ უცოდინარობას ააშკარავებს! რა არის კრიზისები? — ჭარბი წარმოება, წარმოება საქონლისა, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია, რომელზედაც არ არის მოთხოვნილება. თუ საქონელზე არ არის მოთხოვნილება, ეს იმას ნიშნავს, რომ მეფაბრიკემ, როცა ამ საქონელს აწარმოებდა, არ იცოდა მოთხოვნილება. ახლა ვიკითხოთ: ნუთუ კრიზისების შესაძლებლობის ამ პირობის აღნიშვნა კრიზისების ახსნას ნიშნავს? ნუთუ ეფრუსის არ ესმოდა განსხვავება მოვლენის შესაძლებლობის აღნიშვნასა და მისი აუცილებლობის ახსნას შორის? სისმონდი ამბობს: კრიზისები შესაძლებელია, ვინაიდან მეფაბრიკემ არ იცის მოთხოვნილება; ისინი აუცილებელია, ვინაიდან კაპიტალისტურ წარმოებაში არ შეიძლება წონასწორობა არსებობდეს წარმოებასა და მოხმარებას შორის (ე. ი. შეუძლებელია პროდუქტის რეალიზაცია). ენგელსი ამბობს: კრიზისები შესაძლებელია, ვინაიდან მეფაბრიკემ არ იცის მოთხოვნილება; ისინი აუცილებელია სრულიადაც არა იმიტომ, რომ საზოგადოდ პროდუქტის რეალიზაცია არ შეიძლება, ეს არ არის სწორი: პროდუქტის რეალიზაცია შეიძლება. [კრიზისები აუცილებელია იმიტომ, რომ წარმოების კოლექტიური ხასიათი წინააღმდეგობაში ვარდება მითვისების ინდივიდუალურ ხასიათთან.] და აი გამოდის ეკონომისტი, რომელიც გვარწმუნებს, რომ ენგელსი «თითქმის

იმასვე» ამბობსო; რომ სისმონდი «კრიზისებს იმგვარადვე ხსნისო»! «ამიტომ მე მაკვირვებს, — სწერს ეფრუსი, — რომ ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის... მხედველობიდან გამოეპარა ის, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასია სისმონდის მოძღვრებაში» (გვ. 168). მაგრამ ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის არაფერიც არ გამოპარვია მხედველობიდან *. პირიქით, მან სრული სიზუსტით აღნიშნა ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომლითაც ზღუდავს საქმეს ახალი თეორია (გვ. 455, და სხვ.), და გამოარკვია მნიშვნელობა სისმონდისა, რომელმაც უფრო ადრე აღნიშნა კრიზისებში გამომჟღავნებული წინააღმდეგობა, მაგრამ სწორად ვერ ახსნა იგი (გვ. 457: სისმონდიმ ენგელსამდე აღნიშნა, რომ კრიზისები მეურნეობის თანამედროვე ორგანიზაციიდან გამომდინარეობენ; გვ. 491: სისმონდიმ ჩამოსთვალა კრიზისების შესაძლებლობის პირობები, მაგრამ «ყოველი შესაძლებლობა როდი ხორციელდება სინამდვილეში»). ხოლო ეფრუსი ყოველივე ამაში სრულიად ვერ გაერკვა, ყველაფერს ერთმანეთში ურევს და მერე თვითონვე «უკვირს», რომ მას არევ-დარევა გამოუდის! «ჩვენ, — ამბობს «რუსსკოე ბოგატსტვოს» ეკონომისტი, — მართალია, სისმონდის ნაწერებში ვერ ვნახულობთ იმ გამოთქმებს, რომელთაც დღეს მოქალაქობის საყოველთაო უფლება მოიპოვეს, როგორიცაა, მაგ., «წარმოების ანარქია», «წარმოების გეგმაშეწონილობის (Planlosigkeit) არარსებობა», მაგრამ ამ გამოთქმებში ჩამარხული დედაარსი მას სავსებით ნათლად აქვს აღნიშნული» (გვ. 168). აი რა ადვილად ახდენს წარსული დროის რომანტიკოსის რესტავრაციას უახლესი რომანტიკოსი! საკითხი თურმე სიტყვების განსხვავება ყოფილა! ნამდვილად კი საქმე ის არის, რომ ეფრუსის არ ესმის ის სიტყვები,

* «კაპიტალიზმის განვითარებაში» (გვ. 16 და 19) (იხ. თხზულებანი, ტ. III, თავი I, § VI. რ ე დ.) მე უკვე აღვნიშნე ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკის ის უსწორობანი და შეცდომები, რომლებმაც შემდეგში გამოიწვიეს მისი სრული გადასვლა ბურჟუაზიული ეკონომისტების ბანაკში. (ავტორის შენიშვნა 1908 წ. გამოცემისათვის. რ ე დ.)

რომლებსაც იმეორებს. «წარმოების ანარქია», «წარმოების გეგმაშეწონილობის არარსებობა» — რას გულისხმობენ ეს გამოთქმანი? წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების ინდივიდუალურ ხასიათს შორის არსებულ წინააღმდეგობას. ჩვენ ვეკითხებით ყველას, ვინც კი ხსენებულ ეკონომიურ ლიტერატურას იცნობს: აღიარებდა თუ არა ამ წინააღმდეგობას სისმონდი ან როდბერტუსი? გამოჰყავდათ თუ არა მათ კრიზისები ამ წინააღმდეგობიდან? არა, არ გამოჰყავდათ და ვერც გამოიყვანდნენ, ვინაიდან არ ცერთს მათგანს სრულიად არ ესმოდა ეს წინააღმდეგობა. თვით ის იდეა, რომ კაპიტალიზმის კრიტიკა შეუძლებელია დავამყაროთ ფრაზებზე საყოველთაო კეთილდღეობის შესახებ *, ან «თავისნებაზე მიშვებული მიმოქცევის» უსწორობის შესახებ **, არამედ საჭიროა დავამყაროთ წარმოებითი ურთიერთობის ევოლუციის ხასიათზე, — მათ აბსოლუტურად ეუცხოებოდათ.

ჩვენ კარგად გვესმის, რატომ ხმარობენ ჩვენი რუსი რომანტიკოსები ყოველ ღონისძიებას, რომ წაშალონ განსხვავება კრიზისების ორ აღნიშნულ თეორიას შორის. ეს იმიტომ, რომ აღნიშნულ თეორიებთან ყველაზე უშუალოდ და ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია პრინციპულად სხვადასხვაგვარი

---

* Cf. Sismondi, l. c. I, 8 (შეად. სისმონდი, მოყვანილი ადგილი, I, 8. რედ.).

** როდბერტუსი. ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერნშტეინმა, მოახდინა რა საზოგადოდ ბურჟუაზიული ეკონომიის ცრურწმენათა რესტავრაცია, ამ საკითხშიც არევ-დარევა შეიტანა, ამტკიცებდა რა, რომ მარქსის კრიზისების თეორია მაინცდამაინც როდი განსხვავდება როდბერტუსის თეორიისაგანო (« Die Voraussetzungen etc.». Stuttg. 1899, S. 67) (ე. ბერნშტეინი. «სოციალიზმის წანამძღვარნი და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები», შტუტგარტი, 1899, გვ. 67. რედ.) და რომ მარქსი თავის თავს ეწინააღმდეგება, როცა კრიზისების უკანასკნელ მიზეზად მასების მოხმარების შეზღუდულობას აღიარებსო. (ავტორის შენიშვნა 1908 წ. გამოცემისათვის. რედ.)

დამოკიდებულება კაპიტალიზმისადმი. მართლაც, თუ ჩვენ კრიზისებს ვხსნით პროდუქტის რეალიზაციის შეუძლებლობით, წარმოებისა და მოხმარების წინააღმდეგობით, ამითვე უარვყოფთ იმ გზის სისწორესა და გამოსადეგობას, რომლითაც მიიმართება კაპიტალიზმი, ვაცხადებთ მას «ყალბ» გზად და ვეძებთ «სხვა გზებს». როცა კრიზისები ამ წინააღმდეგობიდან გამოგვყავს, უნდა ვიფიქროთ, რომ, რაც უფრო ვითარდება იგი, მ ი თ უ ფ რ ო ძ ნ ე ლ ი ა წინააღმდეგობიდან გამოსვლა. და ჩვენ დავინახეთ, რა უდიდესი გულუბრყვილობით გამოსთქვა სისმონდიმ სწორედ ეს აზრი, როცა სთქვა, რომ თუ კაპიტალი ნელა გროვდება, ამის ატანა კიდევ შეიძლება, მაგრამ თუ იგი ჩქარა გროვდება, ეს აუტანელი ხდებაო. — პირიქით, თუ კრიზისებს ავხსნით წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების ინდივიდუალურ ხასიათს შორის წინააღმდეგობით, ამით ჩვენ კაპიტალისტური გზის სინამდვილეს და პროგრესულობას აღვიარებთ და უარვყოფთ «სხვა გზების» ძებნას, როგორც უსაფუძვლო რომანტიზმს. ამით ჩვენ აღვიარებთ, რომ, რაც უფრო ვითარდება ეს წინააღმდეგობა, მ ი თ უ ფ რ ო ა დ ვ ი ლ ი ა იქიდან გამოსვლა, და რომ გამოსავალი სწორედ ამა თუ იმ წყობილების განვითარებაში მდგომარეობს.

როგორც მკითხველი ხედავს, ჩვენ აქაც ვხვდებით «თვალსაზრისთა» განსხვავებას...

სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენი რომანტიკოსები ეძებენ თავიანთ შეხედულებათა თეორიულ დასაბუთებას. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ძიებას ისინი მიჰყავს ძველ დომხალამდე, რომელიც კარგა ხანია რაც უკუაგდო დასავლეთმა ევროპამ. სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი, გრძნობენ რა ამას, ცდილობენ აღადგინონ ეს დომხალი, რისთვისაც ხან ალამაზებენ დასავლეთ ევროპის რომანტიკოსებს, ხან უადგილო და დამახინჯებული ციტატების სამოსელით აპარებენ რომანტიზმს. მაგრამ ისინი სასტიკად სცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ ასეთი კონტრაბანდა გამოუაშკარავებელი დარჩება.

ვამთავრებთ რა ამით სისმონდის ძირითადი თეორიული დოქტრინის და აქედან მის მიერ გამოყვანილი უმთავრესი თეორიული დასკვნების გადმოცემას, ჩვენ პატარა დამატება უნდა გავაკეთოთ, რომელიც ისევ ეფრუსის ეხება. თავის მეორე სტატიაში სისმონდის შესახებ (პირველის გაგრძელება) ის ამბობს: «კიდევ უფრო საინტერესოა (კაპიტალის შემოსავლის მოძღვრებასთან შედარებით) სისმონდის შეხედულებანი შემოსავლის სხვადასხვა სახეებზე» («რ. ბ.» № 8, გვ. 42). სისმონდი ისევეო, როგორც როდბერტუსი, ნაციონალურ შემოსავალს ორ ნაწილად ჰყოფსო: «ერთი გადადის მიწის და წარმოების იარაღების მფლობელთა ხელში, მეორე — შრომის წარმომადგენელთა ხელში» (ib.). ამას მოსდევს ციტატები, სადაც სისმონდი ლაპარაკობს არა მარტო ნაციონალური შემოსავლის, არამედ მთელი პროდუქტის ასეთ დაყოფაზე: «წლიური წარმოება, ანუ წლის განმავლობაში ხალხის მიერ შესრულებული მთელი მუშაობის შედეგი აგრეთვე ორი ნაწილისაგან შესდგება» და სხვ. («Nouv Princ.», I, 105, ციტირებულია «რ. ბ»-ში, № 8, გვ. 43). «ციტირებული ადგილები, — დაასკვნის ჩვენი ეკონომისტი, — აშკარად ამტკიცებენ, რომ სისმონდის სავსებით შეუთვისებია (!) სახალხო შემოსავლის სწორედ ის კლასიფიკაცია, რომელსაც ასეთ მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ უახლესი ეკონომისტები, სახელდობრ სახალხო შემოსავლის დაყოფა შრომაზე დამყარებულ და უშრომო შემოსავლად — arbeitsloses Einkommen . თუმცა, საერთოდ რომ ვთქვათ, სისმონდის შეხედულება შემოსავლის საკითხზე ყოველთვის ნათელი და გარკვეული როდია, მაგრამ მასში მაინც მოსჩანს იმ განსხვავების შეგნება, რომელიც არსებობს კერძო მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის შემოსავალს შორის» (გვ. 43).

მოყვანილი ადგილი, — ვიტყვით ჩვენ ამაზე, — აშკარად ამტკიცებს, რომ ეფრუსის სავსებით შეუთვისებია გერმანული სახელმძღვანელოების სიბრძნე, მაგრამ, მიუხედავად ამისა (ანდა, შეიძლება, სწორედ ამის მეოხებით), სრულიად ვერ

შეუმჩნევია თეორიული სიძნელე საკითხისა ნაციონალური შემოსავლის შესახებ ინდივიდუალური შემოსავლისაგან განსხვავებით. ეფრუსი ლაპარაკში სიფრთხილეს არ იჩენს. ჩვენ ვნახეთ, რომ თავისი სტატიის პირველ ნახევარში იგი «უახლეს ეკონომისტებს» უწოდებს ერთი განსაზღვრული სკოლის თეორეტიკოსებს. მკითხველს უფლება აქვს იფიქროს, რომ ამ შემთხვევაშიც მათზეა ლაპარაკი. ნამდვილად კი ავტორი აქ სრულიად სხვა რასმე გულისხმობს. უახლეს ეკონომისტებად ახლა უკვე გამოდიან გერმანელი კათედერ-სოციალისტები. სისმონდის დაცვა იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი მის თეორიას მათ მოძღვრებას უახლოებს. რაში მდგომარეობს ეფრუსის ამ «უახლესი» ავტორიტეტების მოძღვრება? — იმაში, რომ ნაციონალური შემოსავალი ორ ნაწილად იყოფა.

მერე ეს ხომ ად. სმიტის მოძღვრებაა და სრულიადაც არა «უახლესი ეკონომისტებისა»! ჰყოფდა რა შემოსავალს ხელფასად, მოგებად და რენტად («ხალხთა სიმდიდრე», წიგ. I, თავი VI; წიგ. II, თავი II), ა. სმიტი პირველს უპირდაპირებდა ორ უკანასკნელს, სწორედ როგორც უშრომო შემოსავალს, და ორივეს შრომიდან გამოკლებას უწოდებდა (წიგ. I, თავი VIII) და უარჰყოფდა იმ აზრს, თითქოს მოგება იგივე ხელფასი იყოს განსაკუთრებული შრომისათვის (წიგ. I, თავი VI). როგორც სისმონდი და როდბერტუსი, ისე გერმანული სახელმძღვანელოების «უახლესი» ავტორები მხოლოდ იმეორებენ სმიტის ამ მოძღვრებას. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ა. სმიტი აღიარებდა, რომ იგი სავსებით ვერ ახერხებდა ნაციონალური შემოსავლის გამოყოფას ნაციონარული პროდუქტიდან; აღიარებდა, რომ წინააღმდეგობაში ვარდება, როცა უკანასკნელიდან რიცხავდა მუდმივ კაპიტალს (თანამედროვე ტერმინოლოგიით), რომელიც მას, მიუხედავად ამისა, ერთეულ პროდუქტში შეჰქონდა. «უახლესი» ეკონომისტები კი, იმეორებდნენ რა ა. სმიტის შეცდომას, მის მოძღვრებას მხოლოდ უფრო მაღალფარდოვან ფორმაში («ნაციონალური შემოსავლის კლასიფიკაცია») ახვევდნენ და

ჰკარგავდნენ იმ წინააღმდეგობის შეგნების უნარს, რომლის წინაშე ა. სმიტი გაჩერდა. ეს, შეიძლება, მეცნიერთა ხერხებია, მაგრამ მეცნიერული სრულიადაც არ არის.

VIII

კაპიტალისტური რენტა და კაპიტალისტური ჯარგმოსახლეობა

განვაგრძობთ სისმონდის თეორიულ შეხედულებათა მიმოხილვას. მთელი მისი მთავარი შეხედულებანი, რომელნიც ახასიათებენ მას ყველა სხვა ეკონომისტისაგან განსხვავებით, ჩვენ უკვე განვიხილეთ. დანარჩენი ან იმდენად მნიშვნელოვან როლს არ თამაშობენ მთელ მის მოძღვრებაში, ან წინათ განხილულთაგან გამოყვანილ დასკვნას წარმოადგენენ.

აღვნიშნავთ, რომ სისმონდი სწორედ ისევე, როგორც როდბერტუსი, არ იზიარებდა რიკარდოს რენტის თეორიას. თუმცა იგი თავის საკუთარ თეორიას არ აყენებდა, მაგრამ რიკარდოს მოძღვრების შერყევას მეტად სუსტი მოსაზრებებით ცდილობდა. აქ იგი გამოდის წვრილი გლეხის წმინდა წყლის იდეოლოგად; იგი იმდენად რიკარდოს კი არ უარჰყოფს, რამდენადაც საერთოდ უარჰყოფს სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის კატეგორიების მიწათმოქმედებაზე გადატანას. მისი თვალსაზრისი ორივე მხრივ უაღრესად დამახასიათებელია რომანტიკოსისთვის. მე-3 წიგნის * VIII თავი მიძღვნი-

* დამახასიათებელია თვით გადმოცემის სისტემაც: მე-3 წიგნი ეხება «ტერიტორიულ სიმდიდრეს» (richesse territoriale), საადგილმამულოს, ე. ი. მიწათმოქმედებას. შემდგომი მე-4 წიგნი — «კომერციული სიმდიდრის შესახებ» (de la richesse commerciale) — მრეწველობასა და ვაჭრობას. თითქოს მიწის პროდუქტიც და თვით მიწაც საქონლად არ ხდებოდნენ კაპიტალიზმის ბატონობის დროს! ამიტომაც ამ ორ წიგნს შორის შესაბამისობა არ არის. მრეწველობა დახასიათებულია მხოლოდ მისი კაპიტალისტური ფორმით, რომელიც სისმონდის დროს არსებობდა. მიწათმოქმედება კი აწერილია მიწის ექსპლუატაციის სხვადასხვა სისტემის აჰრელებული ჩამოთვლის სახით: ექსპლუატაცია პატრიარქალური, მო-

ლია «ბ-ნ რიკარდოს თეორიისადმი მიწის რენტის შესახებ». სისმონდი თავიდანვე აცხადებს, რომ რიკარდოს დოქტრინა სავსებით ეწინააღმდეგება მის საკუთარ თეორიას, და რიკარდოს საპასუხოდ ასეთი მოსაზრებები მოჰყავს: მოგების საერთო დონე (რომელზედაც აგებულია რიკარდოს თეორია) არასოდეს არ მყარდება, მიწათმოქმედებაში კაპიტალის თავისუფალი გადანაცვლება არ არსებობს. მიწათმოქმედებაში უნდა განვიხილოთ პროდუქტის შინაგანი ფასეულობა (la valeur intrinsèque), რომელიც დამოკიდებული არ არის ბაზრის რყევაზე და რომელიც მფლობელს აძლევს «წმინდა პროდუქტს» (produit net), «ბუნების შრომას» (I, 306). «ბუნების შრომა არის ძალა, წყარო მიწის წმინდა პროდუქტისა, რომელიც განიხილება მისი შინაგანი ღირებულების მიხედვით» (intrinsèquement) (I, 310). «რენტას (le fermage) ან, უფრო სწორად, წმინდა პროდუქტს, ჩვენ განვიხილავთ როგორც მესაკუთრის სასარგებლოდ პირდაპირ მიწიდან წარმომდგარ მოვლენას; ის არავითარ წილს არ ართმევს არც ფერმერსა და არც მომხმარებელს» (I, 312). და ამ დახავსებულ ფიზიოკრატულ ცრურწმენათა განმეორებას აგვირგვინებს მორალით: «საერთოდ პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვერიდოთ (se défier) აბსოლუტურ ვარაუდებს, ისევე როგორც აბსტრაქციებს» (I, 312)! ასეთ «თეორიაში» განსახილველიც არაფერია, ვინაიდან რიკარდოს პატარა შენიშვნაც «ბუნების შრომის» წინააღმდეგ სავსებით საკმარისია*. ეს

ნური, საიჯარო, საბატონო, საღალო, საფერმო, ემფიტევტიკური (სამუდამო-მემკვიდრეობითი იჯარით გაცემა). ამის შედეგად სრული არევ-დარევა გამოდის: ავტორი არც მიწათმოქმედების ისტორიას იძლევა, ვინაიდან ყველა ეს «სისტემა» ერთმანეთთან დაუკავშირებელია, არც მიწათმოქმედების ანალიზს კაპიტალისტურ მეურნეობაში, თუმცა ეს უკანასკნელი მისი თხზულების ნამდვილი საგანია და თუმცა მრეწველობაზე იგი ლაპარაკობს მხოლოდ მისი კაპიტალისტური ფორმის მიხედვით.

* რ ი კ ა რ დ ო. თხზულებანი, ზიბერის თარგმანი, გვ. 35: «განა ბუნება არაფერს აკეთებს ადამიანისათვის სამანუფაქტურო მრეწველობაში? განა ქარისა და წყლის ძალას, რომელიც ჩვენს მანქანებს ამოძრავებს და

მხოლოდ ანალიზზე ხელის აღება და რიკარდოსთან შედარებით უკან გადადგმული გიგანტური ნაბიჯია. სისმონდის რომანტიზმი აქაც სრული სიცხადით იჩენს თავს. იგი იჩქარის გაჰკიცხოს ესა თუ ის პროცესი, რადგან ეშინია ანალიზი გაუკვეთოს მას. ნუ დაგავიწყდებათ, იგი ხომ არ უარჰყოფს იმ ფაქტს, რომ ინგლისში მიწათმოქმედება კაპიტალისტურად ვითარდება, რომ გლეხების ადგილს ფერმერები და დღიური მუშები იკავებენ, რომ კონტინენტზე განვითარება იმავე მიმართულებით მიდის. იგი პირდაპირ ზურგს აქცევს ამ ფაქტებს (რომელნიც მას უნდა განეხილა კაპიტალისტურ მეურნეობაზე მსჯელობის დროს) და ამჯობინებს სენტიმენტალურ მასლაათს მიწის პატრიარქალური ექსპლუატაციის სისტემის უპირატესობის შესახებ. სწორედ ასევე იქცევიან ჩვენი ნაროდნიკებიც: არც ერთი მათგანი არც კი ცდილა უარეყო ის ფაქტი, რომ სასაქონლო მეურნეობა მიწათმოქმედებაში იჭრება, რომ მან არ შეიძლება რადიკალური ცვლილებები არ მოახდინოს მიწათმოქმედების საზოგადოებრივ ხასიათში, — მაგრამ ამავე დროს, კაპიტალისტურ მეურნეობაზე მსჯელობისას, არავინ არ აყენებს სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდის საკითხს. ყველა ამჯობინებს თავი აარიდოს ამას სენტენციებით «სახალხო წარმოების» შესახებ. რადგანაც ჩვენ აქ ჯერჯერობით სისმონდის თეორიული ეკონომიის განხილვით ვკმაყოფილდებით, ამ «პატრიარქალური ექსპლუატაციის» უფრო დაწვრილებით გაცნობას შემდეგისათვის გადავდებთ.

მეორე თეორიული პუნქტი, რომლის გარშემო ტრიალებს სისმონდის განმარტება, — ეს არის მოძღვრება მოსახლეობის

ზღვაოსნობას ეხმარება, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? ატმოსფეროს წნევა და ორთქლის დრეკადობა, რომელთა საშუალებითაც მოძრაობაში მოგვყავს განსაცვიფრებელი მანქანები, — განა ეს ბუნების ძღვენი არ არის? რომ არაფერი ვთქვათ სითბოს მოქმედებაზე, რომელიც არბილებს და ადნობს ლითონებს, და ჰაერის მონაწილეობაზე ღებვისა და დუღილის პროცესებში, — არ არსებობს მანუფაქტურის არც ერთი დარგი, რომელშიც ბუნება დახმარებას «არ უწევდეს ადამიანს, თანაც მუქთ და უხვ დახმარებას».

შესახებ. აღვნიშნოთ სისმონდის დამოკიდებულება მალთუსის თეორიასთან და კაპიტალიზმის მიერ შექმნილ ზედმეტ მოსახლეობასთან.

ეფრუსის მტკიცებით, სისმონდი მალთუსს მხოლოდ იმაში ეთანხმება, რომ მოსახლეობას შეუძლია მეტისმეტი სისწრაფით მრავლდებოდეს და ეს არაჩვეულებრივი ტანჯვის წყაროს წარმოადგენდესო. «დანარჩენში ისინი სრული ანტიპოდები არიან. სისმონდი მთელ საკითხს მოსახლეობის შესახებ სოციალურ-ისტორიულ ნიადაგზე აყენებს» («რ. ბ.». № 7, გვ. 148). და ამ ფორმულირებით ეფრუსი სრულიად ჩქმალავს სისმონდის დამახასიათებელ (სახელდობრ წვრილბურჟუაზიულ) თვალსაზრისს და მის რომანტიზმს.

რას ნიშნავს «მოსახლეობის საკითხის სოციალურ-ისტორიულ ნიადაგზე დაყენება»? ეს ნიშნავს იმას, რომ ცალკე გამოიკვლიო მეურნეობის თვითეული ისტორიული სისტემის მოსახლეობის კანონი და შეისწავლო მისი კავშირი და თანაფარდობა ამა თუ იმ სისტემასთან. რა სისტემას სწავლობდა სისმონდი? კაპიტალისტურს. ამრიგად, «რუსსკოე ბოგატსტვოს» თანამშრომელს ჰგონია, რომ სისმონდი მოსახლეობის კაპიტალისტურ კანონს სწავლობდა. ამ მტკიცებაში არის ჭეშმარიტების ნასახი, მაგრამ მხოლოდ ნ ა ს ა ხ ი. ხოლო ვინაიდან ეფრუსის არც უფიქრნია განეხილა, თუ რა აკლდა სისმონდის მსჯელობას მოსახლეობის შესახებ, და ვინაიდან ეფრუსი ამტკიცებს, რომ «სისმონდი აქ ყველაზე გამოჩენილ უახლეს ეკონომისტთა წინამორბედია» * (გვ. 148), — შედეგად გამოდის წვრილბურჟუაზიული რომანტიკოსის სავსებით ისეთივე შეფარდება, როგორიც დავინახეთ კრიზისების და ნაციონალური შემოსავლის საკითხში. რაში მდგომარეობდა სისმონდის მოძღვრების მსგავსება ახალ თეორიასთან ამ სა-

* აქ, სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, ვის გულისხმობს ეფრუსი «ყველაზე გამოჩენილ უახლეს ეკონომისტად», რომანტიზმისთვის უეჭველად უცხო, ცნობილი სკოლის წარმომადგენელს, თუ ყველაზე სქელი ჰანდბუხის ავტორს?

კითხებში? იმაში, რომ სისმონდიმ აღნიშნა ის წინააღმდეგობანი, რომელნიც კაპიტალისტური დაგროვების დამახასიათებელია. ეს მსგავსება ეფრუსიმ აღნიშნა. რაში მდგომარეობდა სისმონდის განსხვავება ახალი თეორიისაგან? ჯერ-ერთი, იმაში, რომ მან ოდნავადაც ვერ წასწია წინ ამ წინააღმდეგობათა მეცნიერული ანალიზი, ხოლო ზოგიერთი მხრივ უკანაც კი გადადგა ნაბიჯი კლასიკოსებთან შედარებით, — მეორეც, იმაში, რომ სისმონდი იმ გარემოებას, რომ ანალიზის უნარი არ შესწევდა (ნაწილობრივ იმისაც, რომ არ სურდა ანალიზი გაეკეთებინა), ფარავდა წვრილბურჟუაზიული მორალით ნაციონალური შემოსავლისა და გასავლის შეფარდების, წარმოების და მოხმარების შეფარდების აუცილებლობის შესახებ **და სხვ.** ეს განსხვავება ეფრუსიმ არც ერთ ზემოხსენებულ პუნქტში ა რ ა ღ ნ ი შ ნ ა და ამით სრულიად არასწორად წარმოგვიდგინა სისმონდის ნამდვილი მნიშვნელობა და მისი დამოკიდებულება უახლესი თეორისადმი. სავსებით ამასვე ვხედავთ ხსენებულ საკითხშიც. სისმონდის მსგავსება უახლეს თეორიასთან აქაც წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს ა ღ ნ ი შ ვ ნ ი თ ისაზღვრება, აქაც განსხვავება მდგომარეობს მეცნიერული ანალიზის უქონლობასა და წვრილბურჟუაზიულ მორალში ნაცვლად ასეთი ანალიზისა. განვმარტოთ ეს.

წარსული საუკუნის მიწურულიდან კაპიტალისტური სამანქანო ინდუსტრიის განვითარებამ ზედმეტი მოსახლეობა წარმოშვა და პოლიტიკური ეკონომიის წინაშე წამოიჭრა ამ მოვლენის ახსნის ამოცანა. როგორც ვიცით, მალთუსი ცდილობდა ეს მოვლენა აეხსნა ბუნებრივ-ისტორიული მიზეზებით, სავსებით უარჰყოფდა მის წარმოშობას საზოგადოებრივი მეურნეობის ცნობილი, ისტორიულად განსაზღვრული წყობილებიდან და განზრახ არ ამჩნევდა ამ ფაქტით გამოაშკარავებულ წინააღმდეგობებს. სისმონდიმ აღნიშნა ეს წინააღმდეგობანი და მანქანების მიერ მოსახლეობის განდევნა. ეს აღნიშვნა წარმოადგენს მის უცილობელ დამსახურებას,

ვინაიდან იმ ეპოქაში, როცა ის სწერდა, ასეთი აღნიშვნა სიახლე იყო. მაგრამ ვნახოთ, როგორ მოეპყრო იგი ამ ფაქტს.

მე-7 წიგნის («მოსახლეობის შესახებ») მე-7 თავი სპეციალურად ეხება «მოსახლეობას, რომელიც მანქანების გამოგონების გამო ზედმეტი გახდა». სისმონდი აღნიშნავს, რომ «მანქანები აძევებენ ადამიანებს» (p. 315, II, VII), და მაშინვე აყენებს კითხვას: სარგებლობა მოაქვს თუ უბედურება მანქანების გამოგონებას ერისათვისო? ცხადია, ამ კითხვის «გადაწყვეტა» საერთოდ ყველა ქვეყნისა და დროისათვის და არა კაპიტალისტური ქვეყნისთვის ყოვლად უშინაარსო ბანალობას წარმოადგენს: სასარგებლოა მაშინ, როცა «მოხმარებაზე მოთხოვნილება აღემატება წარმოების საშუალებებს მოსახლეობის ხელში» (les moyens de produire de la population) (II, 317), და უბედურებაა — «როცა წარმოება სავსებით საკმარისია მოხმარებისათვის». სხვანაირად რომ ვთქვათ: წინააღმდეგობის აღნიშვნა საბაბს აძლევს სისმონდის იმსჯელოს რაღაც აბსტრაქტულ საზოგადოებაზე, რომელშიც უკვე არავითარი წინააღმდეგობა აღარ არსებობს და რომელსაც ანგარიშიანი გლეხის მორალი შეეფერება! სისმონდი არც კი ცდილობს ანალიზი გაუკეთოს ამ წინააღმდეგობას, გაარჩიოს, როგორ იქმნება იგი, რას იწვევს და ა. შ. არსებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. არა, იგი ამ წინააღმდეგობას იყენებს მხოლოდ როგორც მასალას ასეთი წინააღმდეგობის გამო თავისი ზნეობრივი აღშფოთების გამოსაცხადებლად. ამ თავის მთელი შემდგომი შინაარსი აბსოლუტურად არაფერს არ იძლევა ამ თეორიული საკითხის შესახებ, არამედ წუწუნით, ჩივილითა და გულუბრყვილო სურვილებით ამოიწურება. გაძევებული მუშები მომხმარებლები იყვნენ... შინაური ბაზარი მცირდება... რაც შეეხება საგარეოს, მსოფლიო უკვე საკმაოდ მომარაგებულია... გლეხების ზომიერი დოვლათიანობა უფრო უზრუნველჰყოფდა გასაღებას... არ არსებობს უფრო გასაოცარი და საშინელი მაგალითი, ვიდრე ინგლისი, რომელსაც კონტინენტის სახელმწიფოებიც მიჰყვებიან, — აი რა სენტენ-

ციებს იძლევა სისმონდი ნაცვლად მოვლენის ანალიზისა! საგნისადმი მისი დამოკიდებულება ზუსტად ისეთივეა, როგორც ჩვენებური ნაროდნიკების დამოკიდებულება. ნაროდნიკებიც კმაყოფილდებიან მოსახლეობის სიჭარბის ფაქტის მხოლოდ კონსტატაციით და ამ ფაქტს მხოლოდ იმისათვის იყენებენ, რომ იწუწუნონ და სამდურავი გამოსთქვან კაპიტალიზმის მიმართ (შეად. ნ. — ონი, ვ. ვ. და სხვ.). როგორც სისმონდი არც კი ცდილობს ანალიზი გაუკეთოს, თუ რა დამოკიდებულება აქვს კაპიტალისტური წარმოების მოთხოვნებთან ამ ზედმეტ მოსახლეობას, — ისევე ნაროდნიკებს არასოდეს არც კი უცდიათ დაეყენებინათ ასეთი საკითხი.

ამგვარი ხერხის სრული უმართებულობა ცხადჰყო ამ წინააღმდეგობის მეცნიერულმა ანალიზმა. ამ ანალიზმა დაამტკიცა, რომ ჭარბი მოსახლეობა, რომელიც უეჭველად წინააღმდეგობას წარმოადგენს (ჭარბწარმოებასა და ჭარბმოხმარებასთან ერთად) და რომელიც კაპიტალისტური დაგროვების აუცილებელი შედეგია, ამავე დროს წარმოადგენს კაპიტალისტური მექანიზმის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ნ ა წ ი ლ ს *. რაც უფრო ვითარდება მსხვილი ინდუსტრია, მით უფრო მეტად მერყეობს მოთხოვნილება მუშა-ხელზე, რაც დამოკიდებულია მთელ ნაციონალურ წარმოებაში ან მის თვითეულ ცალკე დარგში კრიზისების თუ აყვავების პერიო-

* პირველად, რამდენადაც ვიცით, ეს შეხედულება ჭარბ მოსახლეობაზე გამოსთქვა ენგელსმა თავის «Die Lage der arbeitenden Klasse in England» (1845) (ე ნ გ ე ლ ს ი. «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». რ ე დ.). აღწერს რა ინგლისის მრეწველობის ჩვეულებრივ სამრეწველო ციკლს, ავტორი ამბობს:

«აქედან სჩანს, რომ ინგლისის მრეწველობას ყოველ დროს, უმაღლესი აყვავების მოკლე პერიოდებს გარდა, უნდა ჰყავდეს უსაქმოდ დარჩენილი სათადარიგო მუშათა არმია, — იმისათვის, რომ საშუალება ჰქონდეს დაამზადოს საქონლის მასა, რომელსაც ბაზარი მოითხოვს ყველაზე უფრო გაცხოველებულ თვეებში. ეს სათადარიგო არმია ფართოვდება ან ვიწროვდება იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ბაზარი, რომელიც სამუშაოს აძლევს მისი წევრების ამა თუ იმ ნაწილს. და თუ ბაზრის

დებზე. ეს მერყეობა კანონია კაპიტალისტური წარმოებისა, რომელიც ვერ იარსებებდა, რომ არ იყოს ჭარბი მოსახლეობა (ე. ი. მოსახლეობა, რომელიც აღემატება კაპიტალიზმის საშუალო მოთხოვნილებას მუშა-ხელზე), რომელიც ყოველ მოცემულ მომენტში მზად არის მუშა-ხელი მიაწოდოს მრეწველობის ყოველ დარგს თუ ყოველ საწარმოს. ანალიზმა ცხადჰყო, რომ ჭარბი მოსახლეობა იქმნება მრეწველობის ყველა დარგში, სადაც კი კაპიტალიზმი იჭრება, — მიწათმოქმედებაშიც სწორედ ისევე, როგორც მრეწველობაში, — და რომ ჭარბი მოსახლეობა სხვადასხვა ფორმით არსებობს. მთავარი ფორმა სამია*: 1) მოძრავი ჭარბმოსახლეობა. მას ეკუთვნიან ის მუშები, რომლებიც მრეწველობაში არ არიან ჩაბმული. მრეწველობის განვითარებასთან ერთად მათი რიცხვიც აუცილებლად იზრდება. 2) ფარული ჭარბმოსახლეობა. მას ეკუთვნის სოფლის მოსახლეობა, რომელიც კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად თავის მეურნეობას ჰკარგავს და არასამიწათმოქმედო სამუშაოს ვერ პოულობს. ეს მოსახლეობა მუდამ მზად არის ყოველ საწარმოს მიაწოდოს მუშა-ხელი. 3) უძრავი ჭარბმოსახლეობა. მას სამუშაო აქვს «მეტისმეტად უს-

---

უდიდესი გაცხოველების დროს სამიწათმოქმედო ოლქები და მრეწველობის დარგები, რომელთაც ნაკლებად მოსდებია საერთო აყვავება, დროებით აძლევენ მანუფაქტურებს მუშათა განსაზღვრულ რაოდენობას, ასეთები პატარა უმცირესობაა, და ისინიც ასევე სათადარიგო არმიას ეკუთვნიან, იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ სწორედ ჩქარი აყვავება იყო საჭირო იმისათვის, რომ გამოაშკარავებულიყო მათი მიკუთვნება ამ არმიისადმი» [44].

უკანასკნელ სიტყვებში აღსანიშნავია ის, რომ სათადარიგო არმიისადმი მიკუთვნებულია მიწათმოქმედი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც დროებით მიმართავს ხოლმე მრეწველობას. ეს სწორედ ის არის, რასაც მერმინდელმა თეორიამ ჭარბი მოსახლეობის ფარული ფორმა უწოდა (იხ. მარქსის «კაპიტალი»).

* შეად. ზიბერი, «დავიდ რიკარდო და სხვ.», გვ. 552 — 553. სპბ. 1885.

წორმასწოროდ», «უწესოდ», ისეთ პირობებში, რომლებიც ჩვეულებრივ დონეზე დაბლა დგას. მას ეკუთვნიან უმთავრესად მეფაბრიკეებისა და მაღაზიებისათვის შინ მომუშავენი, როგორც სოფლის, ისე ქალაქის მცხოვრებნი. მოსახლეობის ყველა ამ ფენის ერთობლიობა შეადგენს შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ს ჭ ა რ ბ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს, ანუ ს ა თ ა დ ა რ ი გ ო ა რ მ ი ა ს. უკანასკნელი ტერმინი ნათლად გვიჩვენებს, თუ რომელ მოსახლეობაზეა ლაპარაკი. ესენი არიან მუშები, რომელნიც კაპიტალიზმს ესაჭიროება საწარმოთა შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ ი გაფართოებისათვის, მაგრამ რომელთაც არასოდეს არა აქვთ მუდმივი სამუშაო.

ამრიგად, ამ საკითხშიც თეორია იმ დასკვნამდე მივიდა, რომელიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება რომანტიკოსების დასკვნას. უკანასკნელთათვის ჭარბი მოსახლეობა ნიშნავს კაპიტალიზმის შეუძლებლობას ან მის «შემცდარობას». ნამდვილად კი, — სწორედ პირიქით: ჭარბი მოსახლეობა აუცილებელი დამატებაა ჭარბი წარმოებისა და აუცილებლად ეკუთვნის კაპიტალისტურ მეურნეობას, უ რ ო მ ლ ი ს ო დ ა ც ი გ ი ვ ე რ ც ი ა რ ს ებ ებ დ ა დ ა ვ ე რ ც გ ა ნ ვ ი თ ა რ დ ე ბ ო დ ა. ეფრუსიმ აქაც სრულიად არასწორად წარმოგვიდგინა საქმის ვითარება, დუმილით რომ აუარა გვერდი უახლესი თეორიის ამ დებულებას.

საკმარისია ორი ხსენებული თვალსაზრისის ერთმანეთთან უბრალო შედარება იმის გასაგებად, თუ რომელ მათგანს ემხრობიან ჩვენი ნაროდნიკები. სისმონდის თხზულების ზემოთ გადმოცემული თავი თამამად შეიძლებოდა შეტანილი ყოფილიყო ბ-ნ ნ.—ონის «ჩვენი რეფორმისშემდგომი დროის საზოგადოებრივი მეურნეობის ნარკვევებში».

ნაროდნიკები აღნიშნავდნენ ჭარბი მოსახლეობის გაჩენას რეფორმისშემდგომი დროის რუსეთში, მაგრამ მათ არასოდეს არ დაუსვამთ ის საკითხი, თუ რამდენად ესაჭიროება კაპიტალიზმს მუშათა სათადარიგო არმია. განა შეიძლებოდა რკი-

ნიგზების გაყვანა, მუდმივი ჭარბი მოსახლეობა რომ არ იქმნებოდეს? ხომ ცნობილია, რომ ამგვარ შრომაზე მოთხოვნილება ძალიან მერყეობს სხვადასხვა წლებში. განა შეიძლებოდა მრეწველობის განვითარება უამპირობოდ? (გაცხოველების პერიოდებში ის მოითხოვს უამრავ მშენებელ მუშებს ახლად ასაგები ფაბრიკებისა, შენობებისა და საწყობებისათვის და სხვ. აგრეთვე ყოველგვარი დახმარება დღიური სამუშაოსათვის, რომელიც შეიცავს ეგრეთწოდებულ არასამიწათმოქმედო გარესაშოვრების უდიდეს ნაწილს.) უამპირობოდ განა შეიქმნებოდა ჩვენი განაპირა ქვეყნების კაპიტალისტური მიწათმოქმედება, რომელიც ასეულ ათასობით და მილიონობით დღიულ მუშას მოითხოვს, ამასთან, როგორც ვიცით, ამ შრომაზე მოთხოვნილება მეტისმეტად მერყევია? განა ჭარბი მოსახლეობის შეუქმნელად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ხე-ტყის მრეწველმა მეწარმეებმა ასეთი ფენომენალური სისწრაფით მოსპეს ტყეები ფაბრიკების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად? (სატყეო სამუშაოებიც იმ სამუშაოთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც შრომის ანაზღაურება და მუშაობის პირობები ყველაზე ცუდია, ისევე როგორც მეწარმეთათვის სოფლის მცხოვრებთა სხვა სახით შრომა.) უამპირობოდ განა შეიძლებოდა ქალაქად და სოფლად განვითარებულიყო ვაჭრების, მეფაბრიკეების, მაღაზიების მიერ სამუშაოს შინ დარიგების სისტემა, რაც ესოდენ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს ეგრეთწოდებულ შინამრეწველობაში? შრომის ყველა ამ დარგში (რომლებიც უმთავრესად რეფორმის შემდგომ განვითარდა) დაქირავებულ შრომაზე მოთხოვნილების მერყეობა ფრიად დიდია. ხოლო ასეთი მოთხოვნილების მერყეობის ზომა განსაზღვრავს იმ ჭარბი მოსახლეობის ოდენობას, რომელსაც კაპიტალიზმი მ ო ი თ ხ ო ვ ს. ნაროდნიკ-ეკონომისტებს არსად არ უჩვენებიათ, რომ მათ ეს კანონი ცოდნოდეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვფიქრობთ შევუდგეთ აქ ამ საკითხების არსებითად გან-

ხილვას *. ეს არც შეადგენს ჩვენს ამოცანას. ჩვენი სტატიის საგანია — დასავლეთ ევროპის რომანტიზმი და მისი დამოკიდებულება რუსული ნაროდნიკობისადმი. ამ შემთხვევაშიც ეს დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც ყველა წინა შემთხვევაში: ჭარბი მოსახლეობის საკითხში ნაროდნიკები ერთიანად რომანტიზმის თვალსაზრისზე დგანან, რომელიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება უახლესი თეორიის თვალსაზრისს. კაპიტალიზმი განთავისუფლებულ მუშებს სამუშაოს ვერ აძლევსო, — ამბობენ ისინი. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი შეუძლებელია, «შემცდარობააო» და სხვ. სულაც არ «ნიშნავს». წინააღმდეგობა შეუძლებლობა როდია (Widerspruch ის არ არის, რაც Widersinn). კაპიტალისტური დაგროვებაც, ეს ნამდვილი წარმოება წარმოებისათვის, წინააღმდეგობაა. მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის იარსებოს და მეურნეობის განსაზღვრული სისტემის კანონს წარმოადგენდეს. იგივე უნდა ითქვას კაპიტალიზმის ყველა სხვა წინააღმდეგობაზე. მოყვანილი ნაროდნიკული მსჯელობა მხოლოდ იმას «ნიშნავს», რომ რუსეთის ინტელიგენციაში ღრმად გაუდგამს ფესვი ყველა ამ წინააღმდეგობის ფრაზებით თავიდან აცილების სენს.

ამრიგად, სისმონდის აბსოლუტურად არაფერი მოუცია ჭარბმოსახლეობის თ ე ო რ ი უ ლ ი ა ნ ა ლ ი ზ ი ს ა თ ვ ი ს. მაგრამ როგორ უყურებდა იგი მას? მისი შეხედულება შეიცავს წვრილბურჟუაზიული სიმპათიებისა და მალთუზიანობის ორიგინალურ შეხამებას. «თანამედროვე სოციალური ორგანიზაციის უდიდესი სენი, — ამბობს სისმონდი, — ის არის, რომ ღარიბს არასოდეს არ შეუძლია იცოდეს, შრომის როგორი მოთხოვნილების იმედი იქონიოს» (II, 261), და სისმონდიც ოხრავს იმ დროებაზე, როცა «სოფლის ხარაზმა» და წვრილმა

* ამიტომ ჩვენ აქ არ ვეხებით იმ მეტად ორიგინალურ გარემოებას, რომ ყველა ამ მრავალი მუშის ჩ ა უ თ ვ ლ ე ლ ო ბ ი ს საფუძვლად ნაროდნიკ-ეკონომისტებს მათი რეგისტრაციის უქონლობა მიაჩნიათ.

გლეხმა ზუსტად იცოდნენ თავიანთი შემოსავალი. «რაც უფრო მოკლებულია ღარიბი ყოველგვარ საკუთრებას, მით უფრო მეტი საფრთხე მოელის მას შესცდეს თავისი შემოსავლის შესახებ და ხელი შეუწყოს ისეთი მოსახლეობის შექმნას (contribuer à accroître une population...), რომელიც შრომაზე მოთხოვნილებას არ შეესაბამება და საარსებო საშუალებებს ვერ იპოვის» (II, 263 — 264). ხომ ხედავთ: წვრილი ბურჟუაზიის ეს იდეოლოგი არ სჯერდება იმას, რომ სურს შეაფერხოს მთელი საზოგადოებრივი განვითარება ნახევრადველური მოსახლეობის პატრიარქალური ურთიერთობის შესანარჩუნებლად. იგი მზად არის გვიკარნახოს ადამიანის ბუნების როგორიც გნებავთ დამახინჯება, ოღონდ ამან ხელი შეუწყოს წვრილი ბურჟუაზიის შენარჩუნებას. აი კიდევ რამდენიმე ამონაწერი, რომელიც არავითარ ეჭვს არ სტოვებს ამ უკანასკნელი პუნქტის შესახებ:

ნახევრადღატაკი მუშისათვის ფაბრიკაში ყოველკვირეულად ანგარიშის გასწორებამ ეს მუშა მიაჩვია იმას, რომ მომავალი შემდგომ შაბათს იქით აღარ დაინახოს: «ამრიგად მასში ჩაახშეს ზნეობრივი თვისებები და სიმპათიის გრძნობა» (II, 266), რაც, როგორც ახლავე დავინახავთ, «ცოლქმრულ კეთილგონიერებაში» მდგომარეობს!.. — «მისი ოჯახი მით უფრო მრავალრიცხოვანი გახდება, რაც უფრო მეტად დააწვება ტვირთად საზოგადოებას; და ერიც დაიტანჯება (gémira) იმ მოსახლეობის ტვირთით, რომელიც შეუფარდებელია (disproportionnée) მისი შენახვის საშუალებებთან» (II, 267). წვრილი საკუთრების შენარჩუნება, რადაც უნდა დაჯდეს, თუნდაც ცხოვრების დონის დაწევისა და ადამიანის ბუნების დამახინჯების ფასად — აი სისმონდის ლოზუნგი! და სისმონდი, ვითომ სახელმწიფო კაცივით რომ იმასლაათა იმაზე, თუ როდის არის «სასურველი» მოსახლეობის ზრდა, ცალკე თავს უძღვნის რელიგიაზე თავდასხმებს იმისათვის, რომ იგი «უგუნურ» ქორწინებებს არ ჰგმობდა. რაკი საქმე მის იდეალს — წვრილ ბურჟუას ეხება, სისმონდი უფრო მალთუსიანე-

ლად წარმოგვიდგება, ვიდრე თვით მალთუსი. «ბავშვები, რომლებიც მხოლოდ სიღატაკისთვის იბადებიან, — არიგებს სისმონდი რელიგიას, — იბადებიან აგრეთვე მხოლოდ ბიწიერებისათვისაც... სოციალური წყობილების საკითხებში უმეცრებამ აიძულა ისინი (რელიგიის წარმომადგენელნი) ამოეშალათ უმანკოება ქორწინების დამახასიათებელ სათნოებათა რიცხვიდან, — იგივე უმეცრება იყო ერთი იმ მუდმივ მოქმედი მიზეზთაგანი, რომელნიც არღვევენ ბუნებრივად დამყარებულ შესაბამისობას მოსახლეობასა და მისი არსებობის საშუალებებს შორის» (II, 294). «რელიგიური მორალი უნდა ასწავლიდეს ადამიანებს, რომ ოჯახის განახლებისას ისინი თავის ცოლებთან არანაკლებ უბიწოდ უნდა ცხოვრობდნენ, ვიდრე უცოლონი იმ ქალებთან, რომლებიც მათ არ ეკუთვნიან» (II, 298). და სისმონდი, რომელიც საერთოდ პრეტენზიას აცხადებს არა მარტო თეორეტიკოს-ეკონომისტის, არამედ ბრძენი ადმინისტრატორის წოდებაზედაც, იქვე ანგარიშობს, რომ «ოჯახის განსაახლებლად» საჭიროა «საერთოდ და საშუალოდ სამი დაბადება», და მთავრობას ურჩევს «არ მოატყუოს ადამიანები დამოუკიდებელი მდგომარეობის იმედით, რაც მათ ოჯახს შეაქმნევინებს, როდესაც ეს მოჩვენებითი დაწესებულება (cet établissement illusoire) ტანჯვის, სიღატაკისა და მოკვდაობის ამარა დასტოვებს მათ» (II, 299); «როცა სოციალური ორგანიზაცია მშრომელ კლასს არ განაცალკევებდა რაიმე საკუთრების მქონე კლასისაგან, მარტო საზოგადოებრივი აზრი კმაროდა მათხოვრობის საშინელების (le fléau) თავიდან ასაცილებლად. მიწათმოქმედისათვის — მისი მამაპაპეული მემკვიდრეობის გაყიდვა, ხელოსნისათვის — მისი პატარა კაპიტალის გაფლანგვა ყოველთვის რაღაც სამარცხვინოს შეიცავს... მაგრამ ევროპის თანამედროვე წყობილებაში... ადამიანები, რომელნიც განწირული არიან არასოდეს არავითარი საკუთრება არ ჰქონდეთ, ვერავითარ სირცხვილს ვერ გრძნობენ მათხოვრობის დაწყების წინაშე» (II, 306 — 307). ძნელია ამაზე უფრო რელიეფურად გამოს-

თქვა წვრილი მესაკუთრის სიჩლუნგე და გულქვაობა! სისმონდი აქ თეორეტიკოსის ნაცვლად პრაქტიკულ მრჩევლად გვევლინება და იმ მორალს ქადაგებს, რომელსაც, როგორც ცნობილია, ასეთი წარმატებით მისდევს ფრანგი გლეხი. ეს მარტო მალთუსი კი არ არის, არამედ განგებ წვრილი ბურჟუას ყალიბზე გამოჭრილი მალთუსია. როცა სისმონდის თხზულების ამ თავებს კითხულობ, უნებურად გაგონდება პრუდონის მგზნებარე, მრისხანე გამოსვლები, როცა ის ამტკიცებდა, რომ მალთუსიანობა ერთგვარი ბუნებისაწინააღმდეგო ბიწიერების ცოლქმრული პრაქტიკის ქადაგებაა *.

IX

მანქანები კაპიტალისტურ საზოგადოებაში

ჭარბი მოსახლეობის საკითხთან დაკავშირებით დგას საერთოდ მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ს მნიშვნელობის საკითხი.

ეფრუსი გულმოდგინედ მსჯელობს სისმონდის «ბრწყინვალე შენიშვნებზე» მანქანების შესახებ, იმაზე, რომ «უსამართლობა იქნება იგი ტექნიკურ გაუმჯობესებათა მოწინააღმდეგედ ჩავთვალოთ» (№ 7, გვ. 155), რომ «სისმონდი არ იყო მანქანებისა და გამოგონებათა მტერი» (გვ. 156). «სისმონდის არა ერთხელ გაუსვამს ხაზი იმ აზრისათვის, რომ თავისთავად მანქანები და გამოგონებანი კი არ არის მავნე მუშათა კლასისათვის, არამედ ისინი ასეთებად ხდებიან მხოლოდ თანამედროვე მეურნეობის პირობების მეოხებით, როცა შრომის ნაყოფიერების ზრდა არ იწვევს არც მუშათა კლასის მოხმარების გადიდებას და არც სამუშაო დროის შემცირებას» (გვ. 155).

ყველა ეს მითითება სავსებით სამართლიანია. და მაინც, სისმონდის ა მ გ ვ ა რ ი შეფასება შესანიშნავი გარკვეულო-

* იხ. მალთუსის თხზულების «ცდა მოსახლეობის შესახებ» რუსული თარგმანის დამატება. (თარგმანი ბიბიკოვისა, სპბ. 1866.) ნაწყვეტი პრუდონის თხზულებისა «სამართლიანობის შესახებ».

ბით გვიჩვენებს, რომ ნაროდნიკმა აბსოლუტურად ვერ გაიგო რომანტიკოსი, ვერ გაიგო რომანტიზმის დამახასიათებელი თვალსაზრისი კაპიტალიზმზე და მისი რადიკალური განსხვავება მეცნიერული თეორიის თვალსაზრისისაგან. ნაროდნიკი ამას ვერც გაიგებდა, იმიტომ რომ თვით ნაროდნიკობა რომანტიზმს არ გასცილებია. მაგრამ, თუ სისმონდის მითითებანი მანქანათა კაპიტალისტური მოხმარების წინააღმდეგობის შემცველ ხასიათზე დიდი პროგრესი იყო 1820-იან წლებში, დღეს ასეთი პრიმიტიული კრიტიკით დაკმაყოფილება და მისი წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობის გაუგებლობა უკვე ყოვლად შეუწყნარებელია.

ამ მხრივ (ე. ი. უახლესი თეორიისაგან სისმონდის მოძღვრების განსხვავების საკითხში) * ეფრუსი მტკიცედ იცავს თავისას. იგი საკითხის დასმასაც ვერ ახერხებს. იგი აღნიშნავს, სისმონდი წინააღმდეგობას ხედავდაო, და ამით კმაყოფილდება, თითქოს ისტორიას არ ეჩვენებინოს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გაკრიტიკების უაღრესად სხვადასხვაგვარი წესები და საშუალებანი. როცა ეფრუსი ამბობს, რომ სისმონდი მანქანებს მავნედ სთვლიდა არა თავისთავად, არამედ განსაზღვრულ სოციალურ წყობილებაში მათი მოქმედების გამოო, იგი ვერც კი ამჩნევს, თუ რა პრიმიტიული, ზერელე-სენტიმენტალური თვალსაზრისი მჟღავნდება უკვე მარტო ამ მსჯელობით. სისმონდი მართლაც ასე მსჯელობდა: მავნეა მანქანები თუ არ არის მავნე? და კითხვას «სწყვეტდა» სენტენციით: მანქანები სასარგებლოა მხოლოდ მაშინ, როცა წარმოება მოხმარებას შეესაბამებაო (შეად. ციტატები «რ. ბ.»-ში № 7, გვ. 156). ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აქ საჭირო არ არის ვამტკიცოთ, რომ ამგვარი «გადაწყვეტა» მხოლოდ წვრილბურჟუაზიული უტოპიის შემოჩენებაა ნაცვლად კაპიტალიზმის მეცნიერული ანალიზისა. სისმონდის არ შეიძლება

* ჩვენ კი უკვე არა ერთხელ დავინახეთ, რომ ეფრუსი ყველგან ცდილობდა ეს შედარება გაეტარებინა სისმონდისა და თანამედროვე თეორიას შორის.

ბრალი დავდოთ იმაში, რომ მას ასეთი ანალიზი არ მოუხდენია. ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით. ბაგრამ ჩვენ აქ ვმსჯელობთ უკვე არა სისმონდიზე და მის პრიმიტიულ, სენტიმენტალურ თვალსაზრისზე, არამედ «რ. ბ — ვოს» ეკონომისტზე, რომელსაც დღემდე ვერ გაუგია ასეთი თვალსაზრისის განსხვავება უახლესისაგან. მას არ ესმის, რომ ამ განსხვავების დასახასიათებლად საჭირო იყო დასმულიყო საკითხი არა იმაზე, მანქანების მტერი იყო თუ არა სისმონდი, არამედ იმაზე, ესმოდა თუ არა სისმონდის მანქანების მნიშვნელობა კაპიტალისტურ წყობილებაში? ესმოდა თუ არა მას ამ წყობილებაში მანქანების როლი, როგორც პროგრესის ფაქტორისა? და მაშინ «რ. ბ—ვოს» ეკონომისტი შეამჩნევდა, რომ თავისი წვრილბურჟუაზიული, უტოპიური თვალსაზრისით სისმონდი ვერც დაუყენებდა ასეთ კითხვას, და რომ სწორედ მის დაყენებასა და გადაწყვეტაში მდგომარეობს ახალი თეორიის განსხვავება. მაშინ ეფრუსი გაიგებდა, რომ არსებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მანქანების ისტორიული როლის საკითხის ნაცვლად საერთოდ მანქანების «ხელსაყრელობისა» და «სარგებლობის» პირობების საკითხის წამოყენებით სისმონდი ბუნებრივად მიდიოდა მოძღვრებასთან კაპიტალიზმისა და მანქანების კაპიტალისტური გამოყენების «საშიშროების» შესახებ, მოუწოდებდა კაპიტალიზმის ზრდის «შეფერხების», «შენელების», «რეგლამენტაციის» აუცილებლობის შესახებ და ამის გამო რეაქციონერი ხდებოდა. მანქანების, როგორც პროგრესის ფაქტორის, ისტორიული როლის გაუგებლობა წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთ მიზეზს, რომლის გამოც უახლესმა თეორიამ სისმონდის მოძღვრება რეაქციულად სცნო.

ცხადია, ჩვენ აქ არ შევუდგებით სამანქანო წარმოებაზე უახლესი მოძღვრების (ე. ი. მარქსის მოძღვრების) გადმოცემას. მკითხველს მივუთითებთ თუნდაც ნ. ზიბერის ზემოდასახელებულ გამოკვლევას, თავი X: «მანქანები და მსხვილი მრეწველობა» და განსაკუთრებით თავი XI: «სამანქანო წარმოების თეორიის განხილვა» *. სულ მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ მის არსს. იგი ორ პუნქტს შეიცავს: ჯერ-ერთი, ისტორიულ ანალიზს, რომელიც ადგილს უჩენს სამანქანო წარმოებას კაპიტალიზმის განვითარების სხვა სტადიების წყებაში და სამანქანო ინდუსტრიის დამოკიდებულებას ამ წინამორბედი სტადიების (კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის და კაპიტალისტური მანუფაქტურის) მიმართ; მეორე, მანქანების როლის ანალიზს კაპიტალისტურ მეურნეობაში და განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების ყველა პირობის იმ გარდაქმნის ანალიზს, რომელსაც სამანქანო ინდუსტრია ახდენს. პირველი პუნქტის შესახებ თეორიამ დაადგინა, რომ სამანქანო ინდუსტრია მხოლოდ ერთი სტადიაა (სახელდობრ უმაღლესი) კაპიტალისტური წარმოებისა, და ნათელჰყო მისი წარმოშობა მანუფაქტურიდან. მეორე პუნქტის შესახებ თეორიამ დაადგინა, რომ სამანქანო ინდუსტრია უდიდესი პროგრესია კაპიტალისტურ საზოგადოებაში არა მარტო იმიტომ, რომ იგი უაღრესად ავითარებს საწარმოო ძალებს და განასაზოგადოებს შრომას მთელ საზოგადოებაში **, არამედ იმი-

* «მართალი რომ ვთქვათ, — ამბობს ზიბერი ამ თავის დასაწყისში: — ეს მოძღვრება მანქანებსა და მსხვილ ინდუსტრიაზე ახალ აზრთა და ორიგინალურ გამოკვლევათა ისეთ დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს, რომ თუ ვინმე მოისურვებს ამ მოძღვრების შეფარდებითი ღირსებების სავსებით აწონდაწონას, მას მარტო ამ საგანზე დასჭირდებოდა თითქმის მთელი წიგნის დაწერა» (გვ. 473).

** ზიბერი, ადარებს რა თემსა და კაპიტალისტურ საზოგადოებაში «შრომის შეერთებას» სამანქანო ინდუსტრიასთან, სავსებით სამართლიანად შენიშნავს: «თემის «საკრებსა» და სამანქანო პროდუქციის მქონე საზოგადოების «საკრებს» შორის დაახლოებით ისეთივე განსხვავებაა, როგორც, მაგალითად. 10-ის ერთეულსა და 100-ის ერთეულს შორის» (გვ. 495).

ტომაც, რომ შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას ანგრევს, აუცილებელს ხდის მუშების გადასვლას ერთი სამუშაოდან მეორეზე, საბოლოოდ ანგრევს ჩამორჩენილ პატრიარქალურ ურთიერთობას, განსაკუთრებით სოფლად *, უძლიერეს ბიძგს აძლევს საზოგადოების პროგრესულ მოძრაობას როგორც აღნიშნული მიზეზების, ისე ინდუსტრიული მოსახლეობის კონცენტრაციის გამო. ამ პროგრესს, როგორც კაპიტალიზმის ყველა სხვა პროგრესს, თან ახლავს აგრეთვე წინააღმდეგობათა «პროგრესი», ე. ი. მათი გამწვავება და გაფართოება.

შეიძლება მკითხველმა იკითხოს, რა ინტერესს წარმოადგენს ასეთი საყოველთაოდ ცნობილი საკითხის შესახებ სისმონდის შეხედულებათა განხილვა და ასეთი ზოგადი მითითება ახალ თეორიაზე, რომელსაც ყველა «იცნობს», რომელსაც ყველა «ეთანხმებაო»?

აი იმისათვის, რომ დავინახოთ როგორია ეს «თანხმობა», ჩვენ ახლა ავიღებთ ყველაზე ცნობილ ნაროდნიკ ეკონომისტს, ბ-ნ ნ. — ონს, რომელიც უახლესი თეორიის ზუსტი გამოყენების პრეტენზიას აცხადებს. როგორც ვიცით, თავის «ნარკვევებში» ბ-ნმა ნ.—ონმა ერთ-ერთ სპეციალურ ამოცანად დაისახა რუსეთის საფეიქრო ინდუსტრიის კაპიტალიზაციის შესწავლა, — იმ ინდუსტრიისა, რომელიც სწორედ მანქანების ყველაზე მეტი გამოყენებით ხასიათდება.

იბადება კითხვა, რა თვალსაზრისზე დგას ამ საკითხში ბ-ნი ნ. — ონი: სისმონდის თვალსაზრისზე (რომლის თვალსაზრისსაც, როგორც დავინახეთ, ის იზიარებს კაპიტალიზმის ფრიად მრავალ მხარეზე), თუ უახლესი თეორიის თვალსაზრისზე? ასეთ მნიშვნელოვან საკითხში ის რომანტიკოსია თუ... რეალისტი **?

* ზიბერი, ხსენებ. თხზ., გვ. 467.

** სიტყვა «რეალისტი» აქ ნახმარია მ ა რ ქ ს ი ს ტ ი ს ნაცვლად მხოლოდ და მხოლოდ ცენზურული მოსაზრებით. ამავე მიზეზით «კაპიტალზე» მითითებანი შეცვლილია მარქსის «კაპიტალის» შინაარსის გადმომცემი ზიბერის წიგნზე მითითებებით. (ავტორის შენიშვნა 1908 წ. გამოცემისათვის. რ ე დ.)

ჩვენ დავინახეთ, რომ უახლესი თეორიის პირველ განსხვავებას შეადგენს სამანქანო ინდუსტრიის კაპიტალისტური მანუფაქტურიდან წარმოშობის ისტორიული ანალიზი. დააყენა თუ არა ბ-ნმა ნ. — ონმა რუსეთის სამანქანო ინდუსტრიის წარმოშობის საკითხი? არა. მართალია, მან აღნიშნა, რომ მას წინ უსწრებდა შინ მუშაობა კაპიტალისტისათვის და ხელით სამუშაო «ფაბრიკა» *, მაგრამ სამანქანო ინდუსტრიის წინამორბედი სტადიისადმი დამოკიდებულების საკითხი არათუ ვერ განმარტა, არამედ ვერც კი «შეამჩნია», რომ მეცნიერული ტერმინოლოგიით ფ ა ბ რ ი კ ა არ შეიძლება ეწოდოს წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ სტ ა დ ი ა ს (ხელით წარმოებას შინ ან კაპიტალისტის სახელოსნოში), რომელიც უსათუოდ უნდა დახასიათდეს, როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა **.

მკითხველმა არ იფიქროს, რომ ეს «ხარვეზი» უმნიშვნელოა. პირიქით, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერ-ერთი, ბ-ნი ნ. — ონი ამნაირად კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ს ს ა მ ა ნ ქ ა ნ ო ი დ უ ს ტ რ ი ა ს თ ა ნ აიგივებს. ეს უხეში შეცდომაა. მეცნიერული თეორიის მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ნამდვილი ადგილი მიუჩინა სამანქანო ინდუსტრიას, როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ე რ თ ს ტ ა დ ი ა ს. ბ-ნი ნ. — ონი ა მ თ ე ო რ ი ი ს თვალსაზრისზე რომ იდგეს, განა

* გვ. 108. ციტატი ამოღებულია «მოსკოვის გუბერნიის სტატისტიკური ცნობების კრებულიდან», ტ. VII, ნაკვ. III, გვ. 32 (სტატისტიკოსები აქ გადმოგვცემენ კორსაკის ნაშრომს «მრეწველობის ფორმების შესახებ»): «თვით სარეწის ორგანიზაცია 1822 წლიდან სრულიად იცვლება: დამოუკიდებელ შინამრეწველ მწარმოებელთა ნაცვლად გლეხები ხდებიან მხოლოდ მსხვილი საფაბრიკო წარმოების ზოგიერთი ოპერაციის ამსრულებლად, ისინი მხოლოდ სანარდო ხელფასის მიღებით კმაყოფილდებიან».

** ზიბერმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა ჩვეულებრივი ტერმინოლოგიის (ფაბრიკა, ქარხანა და სხვ.) უვარგისობა მეცნიერული კვლევაძიებისთვის და აუცილებლად აღიარა სამანქანო ინდუსტრიის კაპიტალისტური მანუფაქტურიდან გამოყოფა: გვ. 474.

სამანქანო ინდუსტრიის ზრდასა და გამარჯვებას გამოხატავდა, როგორც «ორი სამეურნეო ფორმის ბრძოლას»: რაღაც უცნობი ფორმისა, «გლეხობის მიერ წარმოების საშუალებათა ფლობაზე დამყარებული ფორმისა» *, და «კაპიტალიზმის» ბრძოლას (გვ. 2, 3, 66, 198 და სხვ.), მაშინ როდესაც ნამდვილად ჩვენ ვხედავთ სამანქანო ინდუსტრიის ბრძოლას კაპიტალისტურ მანუფაქტურასთან? ამ ბრძოლის შესახებ ბ-ნ ნ. — ონს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, თუმცა მის მიერ შესასწავლად სპეციალურად აღებულ სწორედ საფეიქრო ინდუსტრიაში (გვ. 79), მის მიერვე მოყვანილი ცნობით, სწორედ კაპიტალიზმის ორი ფორმის ასეთი ცვლა ხდებოდა, რომელიც ბ-ნ ნ. — ონს გადამახინჯებულად გამოჰყავს «სახალხო წარმოების» შეცვლად «კაპიტალიზმით». განა ცხადი არ არის, რომ არსებითად მას სრულიად არ აინტერესებდა სამანქანო ინდუსტრიის ნამდვილი განვითარების საკითხი და რომ აქ «სახალხო წარმოების» სახით სავსებით სისმონდისებური უტოპია იმალება? მეორე, ბ-ნ ნ. — ონს რუსეთის სამანქანო ინდუსტრიის ისტორიული განვითარების საკითხი რომ დაეყენებინა, განა შესძლებდა ლაპარაკს «კაპიტალიზმის დანერგვაზე» (331, 283, 323 და სხვა გვერდები), მთავრობის მხრივ ხელშეწყობისა და დახმარების ფაქტებზე დაყრდნობით — იმ ფაქტებზე, რომელთაც ევროპაშიც ჰქონდა ადგილი? საკითხავია, ვის ჰბაძავს ის: სისმონდის, რომელიც სავსებით ასევე ლაპარაკობდა «დანერგვის» შესახებ, — თუ უახლესი თეორიის წარმომადგენელს, რომელიც სწავლობდა მანუფაქტურის შეცვლას სამანქანო ინდუსტრიით? მესამე, ბ-ნ ნ.—ონს რომ დაეყენებინა რუსეთში კაპიტალიზმის ფორმების ისტორიული განვითარების საკითხი (საფეიქრო მრეწველობაში), განა შეეძლო მას უგულებელეყო კაპიტალისტური მანუფაქტურის არსებობა რუსეთის «შინამრეწველობის სა-

* ნ.—ონი, გვ. 322. განა განსხვავდება ეს თუნდაც ოდნავ სისმონდის პატრიარქალური გლეხური მეურნეობის იდეალიზაციისაგან?

რეწებში» *? ხოლო იგი მართლაც თეორიას რომ გაჰყოლოდა და ცდილიყო მეცნიერული ანალიზით შეხებოდა ამ აგრეთვე «სახალხო წარმოების» თუნდაც ერთ პატარა კუთხეს, — რაღა დარჩებოდა რუსეთის საზოგადოებრივი მეურნეობის მისი ესოდენ სუზდალურად დახატული სურათიდან, რომელიც გვისახავს რაღაც ბუნდოვან «სახალხო წარმოებას» და მისგან მოწყვეტილ, მხოლოდ ერთი «მუჭა» მუშების შემცველ, «კაპიტალიზმს» (გვ. 326 და სხვ.)?

დავასკვნათ: პირველ პუნქტში, რომლითაც განსხვავდება სამანქანო ინდუსტრიის უახლესი თეორია რომანტიკულისაგან, ბ-ნი ნ. — ონი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღიარებულ იქნას პირველი თეორიის მიმდევრად, ვინაიდან მას არც კი ესმის სამანქანო ინდუსტრიის, როგორც კაპიტალიზმის განსაკუთრებული სტადიის, წარმოშობის საკითხის დასმის საჭიროება და აფუჩეჩებს კაპიტალისტური მანუფაქტურის არსებობას, იმ მანუფაქტურისა, რომელიც მანქანების წინამორბედი სტადიაა კაპიტალიზმისა. ისტორიული ანალიზის ნაცვლად ის «სახალხო წარმოების» უტოპიას გვაჩეჩებს.

მეორე პუნქტი ეხება უახლესი თეორიის მოძღვრებას სამანქანო ინდუსტრიის მიერ საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნის შესახებ. ბ-ნი ნ. — ონი არც კი ცდილობს გაარჩიოს ეს საკითხი. მან ბევრი იწუხა კაპიტალიზმის გამო, გამოიტირა ფაბრიკა (სწორედ ისევე, როგორც სისმონდიმ

* ჩვენ გვგონია, რომ აქ საჭირო არ არის ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის მტკიცება. საკმარისია მოვიგონოთ პავლოვის საზეინკლო სარეწი, ბოგოროდსკის ტყავის, კიმრის მეჩექმეობის, მოლვიტინის რაიონის ქუდის, ტულის გარმონისა და სამოვრის, კრასნოსელსკისა და რიბნოსლობოდსკის საიუველირო, სემიონოვის კოვზის, «უსტიანშჩინის» რქის, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის სემიონოვსკის მაზრის სამთელავო სარეწები და სხვ. ჩვენ ციტატი ზეპირად მოგვყავს: შინამრეწველობის რომელი გამოკვლევაც უნდა ავიღოთ, დაუსრულებლად შეიძლება სიის გაგრძელება.

გამოიტირა იგი), მაგრამ არც კი უცდია შეესწავლა საზოგადოებრივი პირობების ის გარდაქმნა, რაც ფაბრიკამ* მოახდინა. ამისათვის ხომ საჭირო იქნებოდა სამანქანო ინდუსტრიის შედარება წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ს ტ ა დ ი ე ბ თ ა ნ, რასაც ბ-ნ ნ.—ონის ნაშრომში ვერ ვხედავთ. სწორედ ასევე მისთვის სრულიად უცხოა უახლესი თეორიის თვალსაზრისი მანქანებზე, როგორც ა რ ს ე ბ უ ლ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს პროგრესის ფაქტორზე. მას არც ახლა დაუყენებია საკითხი ამის შესახებ** და ა რ ც შ ე ე ძ ლ ო დ ა ე ყ ე ნ ე ბ ი ნ ა, ვინაიდან ეს საკითხი მხოლოდ შედეგია კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ე რ თ ი ფ ო რ მ ი ს მეორით შეცვლის ისტორიული შესწავლისა, ხოლო ბ-ნ ნ. — ონის მიხედვით «კაპიტალიზმი» tout court*** სცვლის... «სახალხო წარმოებას».

ჩ ვ ე ნ რ ო მ რ უ ს ე თ ი ს ს ა ფ ე ი ქ რ ო ი ნ დ უ ს ტ რ ი ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ბ-ნ ნ.—ო ნ ი ს «გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ი ს» ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე დაგვესვა კითხვა: როგორ უყურებს ბ-ნი ნ. — ონი მანქანებს? — ვერ მივიღებდით სხვა პასუხს, გარდა იმისა, რომელსაც უკვე ვიცნობთ სისმონდის მიხედვით. ბ-ნი ნ. — ონი აღიარებს, რომ მანქანები ზრდიან შრომის ნაყოფიერებას (ისღა აკლდა, რომ ესეც არ ეღიარებინა!), — როგორც ამას სისმონდიც აღიარებდა. ბ-ნი ნ.—ონი ამბობს, რომ მავნეა არა მანქანები, არამედ მათი კაპიტალისტური გამოყენება, — როგორც ამას სისმონდიც ამბობდა. ბ-ნი ნ. — ონი ფიქრობს, რომ «ჩვენ», მანქანების შემოღებისას, მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ წარ-

* გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ ამ ტერმინის მეცნიერული მნიშვნელობა ჩვეულებრივს არა ჰგავს. მეცნიერება მხოლოდ მსხვილი სამანქანო ინდუსტრიით განსაზღვრავს მის გამოყენებას.

** როგორც დააყენა იგი, მაგალითად, ა. ვოლგინმა, «ნაროდნიკობის დასაბუთება ბ-ნ ვორონცოვის (ვ. ვ.) შრომებში». სპბ. 1896.

*** — უბრალოდ. რ ე დ.

მოება უნდა შეესაბამებოდეს «ხალხის მომხმარებლობითს უნარს», — როგორც ამას სისმონდიც ფიქრობდა.

ეს არის და ეს. ამაზე მეტს ბ-ნი ნ. — ონი არაფერს არ ფიქრობს. იმ საკითხებზე, რომლებიც უახლესმა თეორიამ წამოაყენა და გადასჭრა, ბ-ნ ნ. — ონს არაფერიც არ .სურს იცოდეს, ვინაიდან მან არც კი სცადა განეხილა არც რუსეთში კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა ფორმათა ისტორიული ცვლა (თუნდაც საფეიქრო ინდუსტრიის აღებულ მაგალითში), არც როლი მანქანებისა, როგორც ა რ ს ე ბ უ ლ კაპიტალისტურ წყობილებაში პროგრესის ფაქტორისა.

ამრიგად, მანქანების საკითხშიც — თეორიული ეკონომიის ამ უდიდეს საკითხში — ბ-ნი ნ. — ონი სისმონდის თვალსაზრისზე დგას. ბ-ნი ნ. — ონი ს ა ვ ს ე ბ ი თ ი ს ე მ ს ჯ ე ლ ო ბ ს, რ ო გ ო რ ც რ ო მ ა ნ ტ ი კ ო ს ი, რაც, ცხადია, მას სრულიადაც არ უშლის ხელს დაუსრულებლივ მოიყვანოს ციტატები.

ეს ეხება არა მარტო საფეიქრო ინდუსტრიის მაგალითს, არამედ ბ-ნ ნ. — ონის მთელ მსჯელობას. გაიხსენეთ თუნდაც პურის ფქვის წარმოების ზემოთ მოყვანილი მაგალითი. მანქანების შემოღების აღნიშვნა მხოლოდ საბაბია ბ-ნ ნ.—ონის სენტიმენტალური წუხილისა იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერების ეს გადიდება არ შეესაბამება «ხალხის მომხმარებლობითს უნარს». მას არც უფიქრნია საზოგადოებრივი წყობილების იმ გარდაქმნათა განხილვა, რომელნიც შემოაქვს საერთოდ სამანქანო ინდუსტრიას (და რომელნიც მან ნამდვილად შემოიტანა რუსეთში). მისთვის სრულებით გაუგებარია საკითხი, პროგრესს წარმოადგენდნენ თუ არა ეს მანქანები არსებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში *.

---

* მარქსის თეორიის საფუძველზე ტექსტში აღნიშნულია ბ-ნ ნ.—ონის შეხედულებათა კრიტიკის ის ამოცანები, რომელნიც მე შემდეგ შევასრულე «კაპიტალიზმის განვითარებაში». (ავტორის შენიშვნა 1908 წ. გამოცემისთვის. რ ე დ.)

ხოლო ბ-ნ ნ. — ონზე ნათქვამი a fortiori* ეხება დანარჩენ ნაროდნიკ-ეკონომისტებს: მანქანების საკითხში ნაროდნიკობა დღემდე წვრილბურჟუაზიული რომანტიზმის თვალსაზრისზე დგას და ეკონომიურ ანალიზს სენტიმენტალური სურვილებით სცვლის.

X

პროტექციონიზმი [45]

უკანასკნელი თეორიული საკითხი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს სისმონდის შეხედულებათა სისტემაში, — ეს არის პროტექციონიზმის საკითხი. ამ საკითხს «Nouveaux Principes»-ში ცოტა ადგილი როდი აქვს დათმობილი, მაგრამ აქ მას ავტორი არკვევს უფრო პრაქტიკული მხრივ — ინგლისში პურის კანონების საწინააღმდეგო მოძრაობასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელ საკითხს ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, ვინაიდან იგი შეიცავს კიდევ სხვა უფრო ფართო საკითხებს. აქ კი ჩვენ ჯერჯერობით გვაინტერესებს მხოლოდ სისმონდის თვალსაზრისი პროტექციონიზმზე. ამ საკითხის ინტერესი მდგომარეობს არა სისმონდის რომელიმე ახალ ეკონომიურ ცნებაში, რომელიც წინათ არ მოგვიხსენიებია, არამედ მის მიერ «ეკონომიკასა» და «ზედნაშენს» შორის არსებული კავშირის გაგებაში. ეფრუსი «რ. ბ — ვოს» მკითხველებს არწმუნებს, რომ სისმონდი «თანამედროვე ისტორიული სკოლის ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ნიჭიერი წინამორბედთაგანია», რომ იგი ილაშქრებს «ყველა სხვა სოციალური ფაქტორისაგან ეკონომიურ მოვლენათა იზოლირების წინააღმდეგ». «სისმონდის შრომებში გატარებულია ის შეხედულება, რომ სამეურნეო მოვლენები იზოლირებული არ უნდა იყოს სხვა სოციალური ფაქტორებისაგან, რომ მათი შესწავლა უნდა ხდებოდეს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ფაქტებთან დაკავშირებით» («რ. ბ.» № 8, 38 — 39). აი ამ მაგალითის მიხედვით

* — მით უფრო. რ ე დ.

ვნახოთ, როგორ ესმოდა სისმონდის სამეურნეო მოვლენათა კავშირი სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებთან.

«შემოტანის აკრძალვა, — ამბობს სისმონდი თავში «საბაჟოების შესახებ» (l. IV, ch. XI), — ისევე არაგონივრული და ისევე დამღუპველია, როგორც გატანის აკრძალვა: ის გამოგონილია იმისათვის, რომ ერს აჩუქოს მანუფაქტურა, რომელიც მას ჯერ კიდევ არა ჰქონია; და არც შეიძლება იმის უარყოფა, რომ ახლად დაწყებული ინდუსტრიისთვის ეს აკრძალვა უდიდეს წამახალისებელ პრემიას უდრის. ეს მანუფაქტურა, შესაძლოა, ამა თუ იმ სახის საქონლის ერის მიერ მოსახმარი რაოდენობის მეასედ ნაწილსაც ძლივს ამზადებდეს: ასმა მყიდველმა ერთმანეთში მეტოქეობა უნდა გასწიოს, რომ საქონელი მიიღოს ერთადერთი გამყიდველისაგან, ხოლო ოთხმოცდაცხრამეტი, რომელთაც ის უარს ეტყვის, იძულებული იქნება თავი გაიტანოს კონტრაბანდული საქონლით. ამ შემთხვევაში ერის დანაკლისი უდრის 100-ს, სარგებლობა კი — 1-ს. რა სარგებლობასაც უნდა აძლევდეს ერს ეს ახალი მანუფაქტურა, — უეჭველია, იგი მაინც ძალიან ცოტა იქნება ესოდენ დიდი მსხვერპლის გასამართლებლად. ყოველთვის შეიძლება მოინახოს უფრო ნაკლებ ფლანგვის საშუალებანი იმისათვის, რომ ასეთი მანუფაქტურა ავამოქმედოთ» (I, 440 — 441).

აი რა მარტივად სწყვეტს ამ საკითხს სისმონდი: პროტექციონიზმი «უგუნურებაა», ვინაიდან «ერისათვის» საზარალოაო!

რომელ «ერზე» ლაპარაკობს ჩვენი ეკონომისტი? რომელ სამეურნეო ურთიერთობას უპირისპირებს იგი არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტს? იგი არავითარ გარკვეულ ურთიერთობას არ იღებს, მსჯელობს ს ა ე რ თ ო დ ერზე, თანახმად მ ი ს ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ს ა ი მ ა ზ ე, თ უ რ ა ნ ა ი რ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს ე რ ი. ხოლო ეს წარმოდგენა იმაზე, თუ რანაირი უნდა იყოს ერი, როგორც ვიცით, დამყარებულია კაპი-

ტალიზმის გამორიცხვასა და წვრილი დამოუკიდებელი წარმოების ბატონობაზე.

მაგრამ რაღაც წარმოდგენილ წყობილებას რომ შეადარო სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ სამეურნეო წყობილებას ეხება, — ეს ხომ სრული შეუსაბამობაა! პროტექციონიზმი კაპიტალიზმის «სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორია», ხოლო სისმონდი მას უპირისპირებს არა კაპიტალიზმს, არამედ რაღაც ერს ს ა ე რ თ ო დ (ან წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა ერს). კაცმა რომ სთქვას, მას შეეძლო პროტექციონიზმი დაეპირისპირებინა თუნდაც ინდოეთის თემისათვის და ამით კიდევ უფრო თვალსაჩინო «უგუნურება» და «დამღუპველობა» მიეღო, მაგრამ ეს «უგუნურება» სწორედ ასევე შეეხებოდა მის საკუთარ დაპირისპირებას და არა პროტექციონიზმს. სისმონდის ბავშვური გაანგარიშება მოჰყავს, რათა დაამტკიცოს, რომ მფარველობა ხელსაყრელია ძალიან მცირე რაოდენობისათვის მასის ხარჯზე. მაგრამ ამას მტკიცებაც არ ესაჭიროება, ვინაიდან ეს ცხადია თვით პროტექციონიზმის ცნებიდანვე (სულ ერთია, პრემიის პირდაპირი გაცემა იქნება ეს თუ უცხოელი კონკურენტების ჩამოცილება). პროტექციონიზმი საზოგადოებრივ წინააღმდეგობას რომ გამოხატავს — ეს უდავოა. მაგრამ განა იმ წყობილების სამეურნეო ცხოვრებაში, რომელმაც პროტექციონიზმი შეჰქმნა, არ არის წინააღმდეგობანი? პირიქით, იგი მთლად წინააღმდეგობებით არის აღსავსე, და სისმონდი მთელ თავის გადმოცემაში თვითონ აღნიშნავდა ამ წინააღმდეგობებს. ნაცვლად იმისა, რომ ეს წინააღმდეგობა გ ა მ ო ი ყ ვ ა ნ ო ს სამეურნეო წყობილების იმ წინააღმდეგობათაგან, რომლებსაც თვითონვე აღნიშნავდა, სისმონდი უ გ უ ლ ე ბ ე ლ ჰ ყ ო ფ ს ეკონომიურ წინააღმდეგობებს და ამით თავის მსჯელობას სრულიად უშინაარსო «გულუბრყვილო სურვილად» აქცევს. ნაცვლად იმისა, რომ ეს დაწესებულება, რომელიც, მისივე სიტყვით, მცირე ჯგუფის სარგებლობას ემსახურება, დაუპირისპიროს ამ ჯგუფის მდგომარეობას ქვეყ-

ნის მთელ მეურნეობაში და ამ ჯგუფის ინტერესებს, იგი მას უპირისპირებს აბსტრაქტულ დებულებას «საერთო კეთილდღეობის» შესახებ. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ, წინააღმდეგ ეფრუსის მტკიცებისა, სისმონდი სწორედ სთიშავს სამეურნეო მოვლენებს დანარჩენი მოვლენებისაგან (პროტექციონიზმს იხილავს სამეურნეო წყობილებასთან დაუკავშირებლად) და სრულიად არ ესმის კავშირი ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტებს შორის. ჩვენ მიერ მოყვანილი ტირადა შეიცავს ყველაფერს, რისი მოცემაც კი შეუძლია მას, როგორც თეორეტიკოსს, პროტექციონიზმის საკითხზე: დანარჩენი მხოლოდ ამის განმეორებაა. «საეჭვოა, რომ მთავრობებს სავსებით ესმოდეთ, რა ფასად ყიდულობენ ისინი ამ სარგებლობას (მანუფაქტურათა განვითარებას) და იმ საშინელ მსხვერპლს, რომელსაც ისინი მომხმარებლებს აკისრებენ» (I, 442—443). «ევროპის მთავრობებს სურდათ ძალა ეხმარათ ბუნებაზე» (faire violence à la nature). რომელ ბუნებაზე? კაპიტალიზმის ბუნებას ხომ არ «ატანს ძალას» პროტექციონიზმი? «ერი აიძულეს, ასე ვთქვათ (en quelque sorte), ყალბი საქმიანობა დაეწყო» (I, 448). «ზოგიერთი მთავრობა იქამდე მივიდა, რომ თავის ვაჭრებს ფულს აძლევს, რათა იაფად გაყიდვა შეაძლებინოს; რაც უფრო უცნაურია ეს მსხვერპლი, რაც უფრო ეწინააღმდეგება იგი სულ უბრალო ანგარიშიანობას, მით უფრო მიაწერენ ხოლმე მას უმაღლეს პოლიტიკას... მთავრობები თავიანთ ვაჭრებს ფულს აძლევენ თავიანთ ქვეშევრდომთა ხარჯზე» (I, 421), და სხვ. და სხვ. აი რა მსჯელობით გვიმასპინძლდება სისმონდი! სხვა ადგილას იგი თითქოს დასკვნებს აკეთებს ამ მსჯელობიდან და კაპიტალიზმს «ხელოვნურს», «გადმონერგილს» (I, 379, opulence factice), «სათბურში გამოყვანილს» (II, 456) და სხვ. უწოდებს. მან იმით დაიწყო, რომ წინააღმდეგობათა ანალიზის ნაცვლად გულუბრყვილო სურვილები შემოგვაჩეჩა და ამ სურვილების გულისათვის სინამდვილის პირდაპირ დამახინჯებამდე მიდის. გამოდის, რომ კაპიტალისტური მრეწ-

ველობა, რომელსაც ასე გულმოდგინედ «ეხმარებიან», სუსტია, უნიადაგოა და სხვ., უპირატეს როლს არ ასრულებს ქვეყნის მეურნეობაში, რომ, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ეს უპირატესი როლი ეკუთვნის წვრილ წარმოებას, და სხვ. ის უეჭველი და უცილობელი ფაქტი, რომ პროტექციონიზმი მხოლოდ განსაზღვრული სამეურნეო წყობილებით და ამ წყობილების განსაზღვრული წინააღმდეგობით არის შექმნილი, რომ იგი იმ რეალური კლასის რეალურ ინტერესებს გამოხატავს, რომელიც უ პ ი რ ა ტ ე ს როლს ასრულებს სახალხო მეურნეობაში, — არარაობად, პირდაპირ თავის წინააღმდეგობად არის გადაქცეული რამდენიმე გრძნობიერი ფრაზის საშუალებით! აი კიდევ ნიმუში (სამიწათმოქმედო პროტექციონიზმის გამო, — I, 265, თავი პურის კანონების შესახებ):

«ინგლისელები თავიანთ მსხვილ ფერმებს წარმოგვიდგენენ როგორც ერთადერთ საშუალებას აგრიკულტურის გასაუმჯობესებლად, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მეტი სიუხვის მისაღებად უფრო იაფ ფასში, — ნამდვილად კი, პირიქით, ისინი ამ პროდუქტებს უფრო ძვირად ამზადებენ»...

ფრიად დამახასიათებელია ეს ნაწყვეტი, რაც ასე რელიეფურად ააშკარავებს რომანტიკულ მსჯელობათა იმ ხერხებს, რომელნიც მთლიანად შეუთვისებიათ რუს ნაროდნიკებს! ფერმერობისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური პროგრესის განვითარების ფაქტი გამოსახულია განზრახ შემოღებული სისტემის სახით: ინგლისელებს (ე. ი. ინგლისელ ეკონომისტებს) აგრიკულტურის გაუმჯობესების ეს სისტემა ერთადერთ საშუალებად წარმოუდგენიათ. სისმონდის სურს სთქვას, რომ ფერმერობის გარდა «შეიძლებოდა ყოფილიყო» სხვა საშუალებებიც მის გასაუმჯობესებლად, ე. ი. «შეიძლებოდა ყოფილიყო» კვლავ რომელიმე აბსტრაქტულ საზოგადოებაში და არა გარკვეული ისტორიული პერიოდის იმ რეალურ საზოგადოებაში, სასაქონლო მეურნეობაზე დაფუძნებულ «საზოგადოებაში», რომელზედაც ინგლისელი ეკონომის-

ტები ლაპარაკობენ და რომელზედაც უნდა ელაპარაკნა სისმონდისაც. «აგრიკულტურის გაუმჯობესება, ესე-იგი თავისთვის (ერისთვის?) პროდუქტების მეტი სიუხვის მოპოვება». სრულიადაც არა «ესე-იგი». აგრიკულტურის გაუმჯობესება და მასის კვების პირობების გაუმჯობესება სრულიადაც არ არის ერთი და იგივე; მათი შეუსაბამობა არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც არის მეურნეობის ისეთ წყობილებაში, რომელზედაც მსჯელობას ასე გულმოდგინედ გაურბის სისმონდი. მაგალითად, კარტოფილის ნათესების გაფართოება შეიძლება ნიშნავდეს შრომის ნაყოფიერების გადიდებას მიწათმოქმედებაში (ძირხვენების შემოღება) და ზეღირებულების გადიდებას — მუშათა კვების გაუარესებასთან ერთად. ეს ნაროდნიკის... ანუ რომანტიკოსის იგივე მანერაა — ფრაზებით აარიდოს თავი ნამდვილი ცხოვრების წინააღმდეგობებს.

«ნამდვილად, — განაგრძობს სისმონდი, — ეს ფერმერები, ესოდენ მდიდარნი, ესოდენ ინტელიგენტნი, მეცნიერების ყოველგვარი პროგრესით ესოდენ ზურგგამაგრებულნი (secondés), რომელთაც ასე ლამაზი აკაზმულობა, მაგარი მესერი, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილი მინდვრები აქვთ, — ვერ უძლებენ იმ საცოდავი, უმეცარი, მონობით დაბეჩავებული, მხოლოდ ლოთობაში ნუგეშის მაძიებელი პოლონელი გლეხის კონკურენციას, რომლის აგრიკულტურაც ჯერ კიდევ დახელოვნების უსუსურ მდგომარეობაშია. პოლონეთის ცენტრში მოყვანილი პური, რომელზედაც მრავალ ასეულ ლიოს მანძილზე — მდინარით, ხმელეთით, ზღვით — ფრახტს იხდიან, იხდიან აგრეთვე სხვა ქვეყანაში შეტანის ბაჟს თავისი ღირებულების 30 და 40%-ის რაოდენობით, — მაინც ინგლისის უმდიდრესი საგრაფოების პურზე იაფია» (I, 265). «ინგლისელ ეკონომისტებს ეს კონტრასტი აკრთობს». ისინი იმიზეზებენ გადასახადებს და სხვ. მაგრამ საქმე ამაში როდია. «თვით ექსპლუატაციის სისტემაა ცუდი, დამყარებულია საშიშარ ბაზისზე... რამდენიმე ხნის წინათ ამ სისტემას ყველ-

მწერალი აღტაცების ღირს საგნად გვისახავდა, მაგრამ ჩვენ, პირიქით, კარგად უნდა გავეცნოთ მას, რომ მოვერიდოთ მის მიბაძვას» (I, 266).

მართლაც, რა უსაზღვროდ გულუბრყვილოა ეს რომანტიკოსი, რომელიც ინგლისის კაპიტალიზმს (ფერმერობას) ეკონომისტების არასწორ სისტემად წარმოგვიდგენს, და ფიქრობს, რომ იმ ეკონომისტთა «შეკრთომა», რომელთაც არ სურთ შეამჩნიონ ფერმერობის წინააღმდეგობანი, საკმარისი არგუმენტია ფერმერების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ? რა ზერელეა მისი გაგება, რომელიც სამეურნეო პროცესების ახსნას ეძებს არა სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებში, არამედ ეკონომისტთა, მწერალთა, მთავრობათა შეცდომებში! კეთილ სისმონდის სურს სინდისსა და სირცხვილში ჩააგდოს ინგლისელი ფერმერები და მათთან ერთად კონტინენტის ფერმერებიც, რათა მათ ასეთ «ცუდ» სისტემებს არ «მიბაძონ»!

თუმცაღა, ნუ დაივიწყებთ, რომ ეს დაწერილია 70 წლის წინათ, რომ სისმონდი მაშინ ამ სრულიად ახალ მოვლენათა პირველ ნაბიჯებს ხედავდა. მ ი ს ი გულუბრყვილობა კიდევ მისატევებელია, ვინაიდან თვით კლასიკოსი ეკონომისტები (მისი თანამედროვენი) არანაკლები გულუბრყვილობით სთვლიდნენ ამ ახალ მოვლენებს ადამიანის ბუნების საუკუნო და ბუნებრივ თვისებათა ნაყოფად. მაგრამ გეკითხებით, განა მიუმატეს ჩვენმა ნაროდნიკებმა თუნდაც ერთი ორიგინალური სიტყვა სისმონდის არგუმენტებს თავიანთ «შეკამათებაში» რუსეთის მზარდი კაპიტალიზმის წინააღმდეგ?

ამრიგად, სისმონდის მსჯელობა პროტექციონიზმის შესახებ გვიჩვენებს, რომ მისთვის სრულიად უცხოა ისტორიული თვალსაზრისი. პირიქით, იგი ისევე მსჯელობს, როგორც XVIII საუკუნის ფილოსოფოსები და ეკონომისტები, სრულიად აბსტრაქტულად, და მათგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ნორმალურად და ბუნებრივად აცხადებს არა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, არამედ წვრილ დამოუკიდებელ მწარმოებელთა საზოგადოებას. ამიტომ მას სრულიად არ ესმის პრო-

ტექციონიზმის კავშირი განსაზღვრულ სამეურნეო წყობასთან და ამ სოციალურ-პოლიტიკური სფეროს წინააღმდეგობას თავს არიდებს ისეთივე გრძნობიერი ფრაზებით «სიყალბის», «საშიშროების», შემცდარობის, უგუნურების და სხვ. შესახებ, როგორითაც თავს არიდებდა სამეურნეო ცხოვრების წინააღმდეგობებს. ამიტომ იგი მეტისმეტად ზერელედ გვიხატავს საქმის ვითარებას, როდესაც პროტექციონიზმისა და ფრიტრედერობის[46] საკითხს «შემცდარი» და «სწორი» გზის საკითხად (ე. ი., მისი ტერმინოლოგიით, კაპიტალიზმის ან არაკაპიტალისტური გზის საკითხად) წარმოგვიდგენს.

უახლესმა თეორიამ სავსებით გამოააშკარავა ეს შეცდომები, დაგვანახა პროტექციონიზმის კავშირი საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ ისტორიულ წყობასთან, ამ წყობაში გაბატონებული კლასის ინტერესებთან, რომელსაც მთავრობები მხარს უჭერენ. მან გვიჩვენა, რომ პროტექციონიზმისა და ვაჭრობის თავისუფლების საკითხი მეწარმეთა შ ო რ ი ს არსებული საკითხია (ხან სხვადასხვა ქვეყნის მეწარმეთა შორის, ხან ამა თუ იმ ქვეყნის მეწარმეების სხვადასხვა ფრაქციათა შორის).

როცა პროტექციონიზმზე ამ ორ თვალსაზრისს ვადარებთ ნაროდნიკ-ეკონომისტების მისდამი დამოკიდებულებას, ვხედავთ, რომ ისინი ამ საკითხშიც მთლიანად რომანტიკოსების თვალსაზრისზე დგანან და პროტექციონიზმს უპირისპირებენ არა კაპიტალისტურს, არამედ რაღაც აბსტრაქტულ ქვეყანას, **tout court** «მომხმარებლებს», აცხადებენ მას «სათბურში გამოყვანილი» კაპიტალიზმის «შემცდარ» და «არაგონივრულ» დახმარებად და სხვ. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მანქანების უბაჟოდ შემოტანის საკითხში, რომელიც კონფლიქტს ბადებს ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის მეწარმეთა შორის, ნაროდნიკები, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, თავდადებით ესარჩლებიან სოფლის... მეწარმეებს. ჩვენ არ **გვინდა ვთქვათ**, რომ ისინი მართალი არ არიან. მაგრამ ეს არის ფაქტის საკითხი, ამა თუ იმ ისტორიული მომენტის სა-

კითხი, საკითხი იმის შესახებ, თუ მეწარმეთა რომელი ფრაქცია გამოხატავს კაპიტალიზმის განვითარების უფრო საერთო ინტერესებს. თუ ნაროდნიკები მართალი არიან კიდეც, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ბაჟის დადება ნიშნავს «ხელოვნურ» «ხელშეწყობას კაპიტალიზმისათვის», ხოლო მისი მოხსნა — «ძველისძველი» სახალხო სარეწისათვის ხელშეწყობას, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის განვითარება (რომელიც მანქანებს საჭიროებს), აჩქარებს რა სოფლად შუასაუკუნეობრივი ურთიერთობის მოსპობას და ინდუსტრიისთვის შინაური ბაზრის შექმნას, მოასწავებს საერთოდ კაპიტალიზმის უფრო ფართო, უფრო თავისუფალ და უფრო სწრაფ განვითარებას.

ერთ რამეში შეუძლიათ შემოგვედავონ იმის გამო, რომ ჩვენ ამ საკითხში ნაროდნიკები რომანტიკოსებს მივაკუთვნეთ. შესაძლოა, სთქვან, რომ აქ უნდა გამოვყოთ ბ-ნი ნ. — ონი, რომელიც ხომ პირდაპირ ამბობს, ვაჭრობის თავისუფლებისა და პროტექციონიზმის საკითხი კაპიტალისტური საკითხიაო, ამას არა ერთხელ ამბობს და «ციტატებიც» კი მოჰყავს... დიახ, დიახ, ბ-ნ ნ. — ონს ციტატებიც კი მოჰყავს! მაგრამ თუ ჩვენ მისი «ნარკვევებიდან» ამ ადგილს მოგვიყვანენ, მაშინ ჩვენ მოვიყვანთ ს ხ ვ ა ა დ გ ი ლ ე ბ ს, სადაც ის კაპიტალიზმისათვის ხელშეწყობას მის «დანერგვად» აცხადებს (ისიც «შეჯამებებსა და დასკვნებში»! გვ. 331, 323, აგრეთვე 283), კაპიტალიზმის წახალისებას ხსნის «დამღუპველი შეცდომით», ხსნის იმით, რომ «ჩვენ მხედველობიდან გამოგვრჩა», «დავივიწყეთ», «დაგვაბრმავესო» და სხვ. (გვ. 298. შეადარეთ სისმონდის!). როგორ შევათავსოთ ეს იმის მტკიცებასთან, რომ კაპიტალიზმისათვის ხელშეწყობა (გატანის პრემიებით) «ერთი იმ მრავალ წინააღმდეგობათაგანია, რომლებითაც სავსეა ჩვენი სამეურნეო ცხოვრება*; იგი, რო-

* სწორედ ისევე, როგორც «ნარკვევები» «სავსეა» მოწოდებებით «ჩვენდამი», წამოძახილებით: «ჩვენ» და სხვ. ფრაზებით, რომელნიც ამ წინააღმდეგობებს უგულებელყოფენ.

გორც ყველა დანარჩენი, არსებობს იმ ფორმის წყალობით, რომელსაც მთელი წარმოება იღებს» (გვ. 286)? დაუკვირდით ამას: მ თ ე ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ა! ჩვენ ვეკითხებით ყოველ მიუდგომელ ადამიანს, რა თვალსაზრისზე დგას ეს მწერალი, რომელიც «მ თ ე ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს მ ი ე რ მ ი ღ ე ბ უ ლ ი ფ ო რ მ ი ს» მხარდაჭერას — «შეცდომით» ხსნის? სისმონდისა თუ მეცნიერული თეორიის თვალსაზრისზე დგას? ბ-ნ ნ. — ონის «ციტატები» აქაც (როგორც ზემოთ გარჩეულ საკითხებში) გარეშე, უხეშ ჩანართებს წარმოადგენენ, რომლებიც ოდნავაც არ გამოხატავენ ნამდვილ რწმენას, რომ ეს «ციტატები» რუსეთის სინამდვილეს შეეფარდება. ბ-ნ ნ.—ონის «ციტატები» — ეს უახლესი თეორიის აბრაა, რომელსაც მხოლოდ შეცდომაში შეჰყავს მკითხველები. ეს იმ «რეალისტის» უშნოდ ჩაცმული კოსტუმია, რომლის ზურგს უკან წმინდა წყლის რომანტიკოსი იმალება *.

XI

სისმონდის საერთო მნიშვნელობა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში

ჩვენ ახლა გავეცანით სისმონდის ყველა უმთავრეს დებულებას, რომელნიც თეორიული ეკონომიის სფეროს ეკუთვნიან. ვაჯამებთ რა შედეგებს, ვხედავთ, რომ სისმონდი არსად არ ღალატობს თავის თავს, რომ მისი თვალსაზრისი უცვ-

* ჩვენ ეჰვი გვეპარება, ბ-ნ ნ.—ონს ეს «ციტატები» ყოველგვარი კრიტიკისაგან დამცველ თილისმად ხომ არ მიაჩნია? სხვანაირად ძნელი ასახსნელია ის გარემოება, რომ ბ-ნ ნ.—ონს, რომელმაც ბატონ სტრუვესა და ტუგან-ბარანოვსკისაგან იცოდა სისმონდის დოქტრინასთან მისი მოძღვრების შედარების ამბავი, «რ. ბ — ვოს» ერთ თავის სტატიაში (1894 წ., № 6, გვ. 88) თვითონვე მოჰყავს ახალი თეორიის წარმომადგენლის აზრი, რომელიც სისმონდის წვრილბურჟუაზიულ რეაქციონერებსა და უტოპისტებს აკუთვნებს. ალბათ, იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამგვარი «ციტატით» «გააბათილა» თავისი საკუთარი პიროვნების შედარება სისმონდისთან.

ლელია. ყველა პუნქტში იგი იმით განსხვავდება კლასიკოსებისაგან, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს აღნიშნავს. ეს ერთის მხრივ. მეორე მხრივ, მას არც ერთ პუნქტში არ შეუძლია (და არც სურს) წინ წასწიოს კლასიკოსთა ანალიზი და ამიტომ სჯერდება კაპიტალიზმის სენტიმენტალურ კრიტიკას წვრილი ბურჟუას თვალსაზრისით. მეცნიერული ანალიზის სენტიმენტალური წუწუნითა და წუხილით ასეთი შეცვლა განაპირობებს სისმონდის გაგების მეტისმეტ ზერელეობას. უახლესმა თეორიამ, შეითვისა რა მითითებანი კაპიტალიზმის წინააღმდეგობებზე, მათზედაც გაავრცელა მეცნიერული ანალიზი და ყველა პუნქტში ისეთ დასკვნებამდე მივიდა, რომლებიც ძირფესვიანად განსხვავდებიან სისმონდის დასკვნებისაგან და ამიტომ კაპიტალიზმზე დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისამდე მივყავართ.

«პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი დებულების კრიტიკაში» (« Zur Kritik » [47]. რუს. თარგმანი, მოსკოვი, 1896 წ.) სისმონდის საერთო მნიშვნელობა მეცნიერების ისტორიაში ასეა დახასიათებული:

«სისმონდი უკვე განთავისუფლდა ბუაგილბერის წარმოდგენისაგან, რომ შრომა, რომელიც საცვლელი ღირებულების წყაროს შეადგენს, ფულით მახინჯდება, მაგრამ ის თავს ესხმის მსხვილ სამრეწველო კაპიტალს სწორედ ისევე, როგორც ბუაგილბერი — ფულს» (გვ. 36).

ავტორს სურს სთქვას: როგორც ბუაგილბერი ზერელედ უყურებდა საქონლის გაცვლას, როგორც ბუნებრივ წყობას და ილაშქრებდა ფულის წინააღმდეგ, რომელშიც იგი «უცხო ელემენტს» ხედავდა (გვ. 30, ibid.), ისე სისმონდი წვრილ წარმოებას უყურებდა, როგორც ბუნებრივ წყობას და ილაშქრებდა მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ, რომელშიც ის უცხო ელემენტს ხედავდა. ბუაგილბერს არ ესმოდა ფულის განუყრელი და ბუნებრივი კავშირი საქონლის გაცვლასთან, არ ესმოდა, რომ იგი ერთმანეთს უპირდაპირებს, როგორც უცხო ელემენტებს, «ბურჟუაზიული შრომის» ორ ფორმას (ibid.,

30 — 31). სისმონდის არ ესმოდა მსხვილი კაპიტალის განუყრელი და ბუნებრივი კავშირი წვრილ დამოუკიდებელ წარმოებასთან, არ ესმოდა, რომ ეს — სასაქონლო მეურნეობის ორი ფორმაა. ბუაგილბერი, «ილაშქრებს რა ბურჟუაზიული შრომის ერთი ფორმის წინააღმდეგ», «უტოპიაში ვარდება და ცამდე აჰყავს მისი მეორე ფორმა» (ibid.). სისმონდი, ილაშქრებდა რა მსხვილი კაპიტალის წინააღმდეგ, ე. ი. სასაქონლო მეურნეობის ერთი ფორმის წინააღმდეგ, სახელდობრ ყველაზე განვითარებული ფორმის წინააღმდეგ, უტოპიაში ვარდებოდა და ცამდე აჰყავდა წვრილი მწარმოებელი (განსაკუთრებით გლეხობა), ე. ი. სასაქონლო მეურნეობა სხვა, მხოლოდ ჩანასახი ფორმით.

«თუ პოლიტიკურ ეკონომიას, — განაგრძობს «კრიტიკის» ავტორი, — რიკარდოს სახით ულმობლად გამოჰყავს თავისი უკანასკნელი დასკვნა და ამით მთავრდება იგი, სისმონდი ამ შედეგს ავსებს, და თვითონ წარმოადგენს მის ეჭვებს» (გვ. 36).

ამრიგად, «კრიტიკის» ავტორი სისმონდის მნიშვნელობას იმით განსაზღვრავს, რომ მან კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ს ა კ ი თ ხ ი წ ა მ ო ა ყ ე ნ ა და ამრიგად ამოცანა დაუყენა შემდგომ ანალიზს. ყველა დამოუკიდებელი შეხედულება სისმონდისა, რომელსაც აგრეთვე სურდა ამ კითხვაზე პ ა ს უ ხ ი გ ა ე ც ა, ციტირებულ ავტორს მიაჩნია არამეცნიერულად, ზერელედ და მისი რეაქციული წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისის გამომხატველად (იხ. ზემოთ მოყვანილი შეფასებანი და ერთი შეფასება ქვემოთ, ეფრუსის «ციტატთან» დაკავშირებით).

სისმონდის დოქტრინას რომ ნაროდნიკობას ვადარებთ, თითქმის ყველა პუნქტში (გარდა რიკარდოს რენტის თეორიის უარყოფისა და გლეხების მალთუსიანური დარიგებისა) ვხედავთ გასაოცარ იგივეობას, რომელიც ხანდახან გამოთქმათა ერთნაირობამდე მიდის. ნაროდნიკი ეკონომისტები მთლიანად სისმონდის თვალსაზრისზე დგანან. ჩვენ ამაში კი-

დევ უფრო დავრწმუნდებით ქვემოთ, როდესაც თეორიიდან გადავალთ სისმონდის შეხედულებებზე პრაქტიკული საკითხების შესახებ.

ბოლოს, რაც შეეხება ეფრუსის, მას სისმონდის სწორი შეფასება არც ერთ პუნქტში არ მოუცია. ეფრუსი აღნიშნავს, რომ სისმონდი ხაზს უსვამდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს და გმობდა მათ, მაგრამ მან სრულებით ვერ გაიგო ვერც მისი თეორიის მკვეთრი განსხვავება მეცნიერული მატერიალიზმის თეორიისაგან, ვერც კაპიტალიზმზე რომანტიკული და მეცნიერული თვალსაზრისის დიამეტრული წინააღმდეგობა. ნაროდნიკის სიმპათიამ რომანტიკოსისადმი, მათმა გულისამაჩუყებელმა ერთსულოვნებამ შეუშალა ხელი «რუსსკოე ბოგატსტვოს» სტატიების ავტორს სწორად დაეხასიათებინა რომანტიზმის ეს კლასიკური წარმომადგენელი ეკონომიურ მეცნიერებაში.

ჩვენ ახლა მოვიკვანეთ აზრი სისმონდის შესახებ, რომ «იგი თვითონ წარმოადგენდა» კლასიკური ეკონომიის «ეჭვებს».

მაგრამ სისმონდის არც კი უფიქრნია დასჯერებოდა ასეთ როლს (რომელიც მას საპატიო ადგილს აკუთვნებს ეკონომისტთა შორის). როგორც დავინახეთ, იგი ცდილობდა გაეფანტა ეჭვები, მაგრამ ამას მეტად უხეიროდ ცდილობდა. უფრო მეტიც, სისმონდი კლასიკოსებს და მათს მეცნიერებას ბრალს სდებდა არა იმისათვის, რომ ეს მეცნიერება წინააღმდეგობათა ანალიზის წინაშე შეჩერდა, არამედ იმისათვის, რომ იგი ვითომ შემცდარ ხერხებს მისდევდა. «ძველი მეცნიერება» ახალ უბედურებათა «ვერც გაგებას გვასწავლის და ვერც თავიდან აცილებასო» (I, XV), ამბობს სისმონდი თავისი წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, და ამ ფაქტს ხსნის არა იმით, რომ ამ მეცნიერების ანალიზი არასრული და არათანმიმდევრულია, არამედ იმით, რომ იგი თითქოს «აბსტრაქციაში გადავარდა» (I, 55: ა. სმიტის ახალი მოწაფეები ინგლისში აბსტრაქციებში გადავარდნენ (se sont jetés) და

«ადამიანი» დაივიწყეს) — და «ყალბი გზით მიდის» (II, 448). რაში მდგომარეობს კლასიკოსების წინააღმდეგ სისმონდის ბრალდება, რამაც მას ასეთი დასკვნის გაკეთების ნება მისცა?

«ყველაზე განთქმული ეკონომისტები ძალიან ცოტა ყურადღებას აქცევდნენ მოხმარებასა და გასაღებას» (I, 124).

ეს ბრალდება სისმონდის შემდეგ დაუსრულებლად მეორდებოდა. საჭიროდ სთვლიდნენ «მოხმარების», როგორც მეცნიერების განსაკუთრებული განყოფილების, გამოყოფას «წარმოებისაგან»; ამბობდნენ, რომ წარმოება დამოკიდებულია ბუნებრივ კანონებზე, მაშინ როცა მოხმარება განისაზღვრება განაწილებით, რომელიც ადამიანთა ნებაზეა დამოკიდებული, და სხვ. და სხვ. როგორც ცნობილია, ჩვენი ნაროდნიკებიც იმავე იდეებს იცავენ და პირველ ადგილზე განაწილებას აყენებენ *.

რა აზრი აქვს ამ ბრალდებას? ის დამყარებულია მხოლოდ

* თავისთავად ცხადია, ეფრუსიმაც არ დააყოვნა სისმონდის შექება ამისათვის. «სისმონდის მოძღვრებაში მნიშვნელოვანია, — ვკითხულობთ «რ. ბ»-ში № 8, გვ. 56, — უფრო საერთო სულისკვეთება, რომლითაც გამსჭვალულია მთელი მისი სისტემა, ვიდრე ცალკეული, სპეციალური ზომები, რომლებსაც ეგი აყენებდა. წინააღმდეგ კლასიკური სკოლისა, სისმონდი განსაკუთრებული სიძლიერით აყენებს განაწილების ინტერესებს და არა წარმოების ინტერესებს». მიუხედავად «უახლეს» ეკონომისტებზე კვლავ და კვლავ «მითითებისა», ეფრუსის აბსოლუტურად ვერ გაუგია მათი მოძღვრება და კვლავ თავს ირთობს სენტიმენტალური ჩმახვით, რომელიც კაპიტალიზმის პრიმიტიულ კრიტიკას ახასიათებს. ჩვენს ნაროდნიკს აქაც იმით სურს იხსნას თავი, რომ სისმონდის ადარებს «ისტორიული სკოლის ბევრ ცნობილ წარმომადგენელს»; თურმე, «სისმონდი მათზე შორს წასულა» (ibid.), და ეფრუსიც სავსებით კმაყოფილდება ამით! გერმანელ პროფესორებზე «შორს წასულა» — რაღა გინდათ ამაზე მეტი? ყველა ნაროდნიკის მსგავსად, ეფრუსი ცდილობს სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს იმაზე, რომ სისმონდი კაპიტალიზმს აკრიტიკებდა. იმაზე კი, რომ კაპიტალიზმის კრიტიკა სხვადასხვანაირია, რომ კაპიტალიზმის გაკრიტიკება შეიძლება როგორც სენტიმენტალური, ისე მეცნიერული თვალსაზრისით, — «რ. ბ. — ვ ო ს» ეკონომისტს, ეტყობა, წარმოდგენა არა აქვს.

თვით პოლიტიკური ეკონომიის საგნის მეტისმეტად არამეცნიერულ გაგებაზე. მისი საგანია სრულიადაც არა «მატერიალურ ღირებულებათა წარმოება», როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე (ეს ტექნოლოგიის საგანია), არამედ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოებაში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «წარმოებას» პირველი აზრით გავიგებთ, შეიძლება გამოიყოს მისგან ცალკე «განაწილება», და მაშინ «განყოფილებაში» წარმოების შესახებ, საზოგადოებრივი მეურნეობის ისტორიულად განსაზღვრული ფორმების კატეგორიათა ნაცვლად, გვევლინებიან ისეთი კატეგორიები, რომელნიც საზოგადოდ შრომის პროცესს ეკუთვნიან: ჩვეულებრივ ასეთ უშინაარსო ბანალობას შემდეგ მხოლოდ ისტორიული და სოციალური პირობების მისაჩქმალავად იყენებენ. (მაგალითი — თუნდაც კაპიტალის ცნება.) ხოლო თუ თანმიმდევრულად განვიხილავთ «წარმოებას», როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობას წარმოებაში, მაშინ «განაწილებაც» და «მოხმარებაც» ყოველგვარ დამოუკიდებელ მნიშვნელობას დაჰკარგავენ. რაკი გამორკვეულია წარმოებითი ურთიერთობა, — ამ ით გამოირკვა პროდუქტის ის წილიც, რომელიც ცალკე კლასებს ხვდებათ, და, მაშასადამე, «განაწილება» და «მოხმარება». და პირიქით, წარმოებითი ურთიერთობის გამოურკვევლობისას (მაგალითად, მთლიანად საზოგადოებრივი კაპიტალის წარმოების პროცესის გაუგებლობისას) ყოველგვარი მსჯელობა მოხმარებასა და განაწილებაზე ბანალობად ან გულუბრყვილო რომანტიკულ სურვილებად იქცევა. სისმონდი ამგვარი ლაპარაკის მამამთავარია. როდბერტუსიც ბევრს ლაპარაკობდა «ნაციონალური პროდუქტის განაწილებაზე», ეფრუსის «უახლესმა» ავტორიტეტებმა ცალკე «სკოლებიც» კი შეჰქმნეს, რომელთა ერთ-ერთი პრინციპი იყო განსაკუთრებული ყურადღება განაწილებისადმი *. და «განაწილებისა»

* ინგრემი ფრიად სამართლიანად უახლოებს სისმონდის «კათედერ-სოციალისტებს» (გვ. 212, «პოლიტიკური ეკონომიის ისტორია», მოსკოვი, 1891), როცა გულუბრყვილოდ აცხადებს: «ჩვენ უკვე (!!) მივემხრეთ» სის-

და «მოხმარების» ყველა ამ თეორეტიკოსმა ვერ გადასჭრა თვით საზოგადოებრივი კაპიტალის და საზოგადოებრივი შემოსავლის განსხვავების ძირითადი საკითხი, ისინი უფრო და უფრო იხლართებოდნენ წინააღმდეგობებში, რომელთა წინაშე შეჩერდა ა. სმიტი *. — პრობლემა მხოლოდ იმ ეკონომისტმა გადასჭრა, რომელსაც არასოდეს არ გამოუცალკევებია განაწილება და რომელიც მეტად ენერგიულ პროტესტს აცხადებდა «განაწილების» შესახებ «ვულგარულ» მსჯელობათა წინააღმდეგ (შეად. მარქსის შენიშვნები გოთას პროგრამის შესახებ, მოყვანილი პ. სტრუვეს მიერ «კრიტიკულ შენიშვნებში», გვ. 129, IV თავის ეპიგრაფი) [48]. უფრო მეტიც. თვით პრობლემის გადაჭრა საზოგადოებრივი კაპიტალის რ ე პ რ ო დ უ ქ ც ი ი ს ანალიზში მდგომარეობდა. არც მოხმარებაზე და არც განაწილებაზე ავტორს ცალკე საკითხი არ დაუსვამს; მაგრამ ერთიც და მეორეც სავსებით გამოირკვა თავისთავად მას შემდეგ, რაც ბოლომდე იქნა მიყვანილი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ანალიზი.

«წარმოების კაპიტალისტური წესის მეცნიერული ანალიზი ამტკიცებს, რომ... განაწილების პირობები, რომელნიც თავისი დედაარსით გაიგივებულნი არიან წარმოების პირობებთან, უკანასკნელთა უკანა მხარეს წარმოადგენენ, ასე რომ

მონდის შეხედულებას სახელმწიფოზე, როგორც ისეთ ძალაზე, რომელიც უნდა ზრუნავდეს... იმისათვის, რომ საზოგადოებრივი შეერთებისა და უახლესი პროგრესის სიკეთენი, შეძლებისდაგვარად, საზოგადოების ყველა კლასზე გავრცელდეს» (215). თუ რა სიღრმე ახასიათებს სისმონდის ამ «შეხედულებებს», ჩვენ უკვე დავინახეთ პროტექციონიზმის მაგალითზე.

* იხ., მაგალითად, რ. მ ე ი ე რ ი ს სტატია «შემოსავალი» «Handw. der St»-ში (რუს. თარგმანი კრებულში «მრეწველობა»), რომელიც ააშკარავებს მთელ უმწეო დაბნეულობას «უახლესი» გერმანელი პროფესორების მსჯელობაში ამ საგნის შესახებ. ორიგინალურია, რომ რ. მეიერი, რომელიც პირდაპირ ად. სმიტს ეყრდნობა და ლიტერატურის მაჩვენებელში «კაპიტალის» II ტომის სწ ო რ ე დ ი მ თ ა ვ ე ბ ზ ე მიუთითებს, სადაც სავსებით უარყოფილია სმიტი, — ამის შესახებ ტექსტში არაფერს ამბობს.

პირველნიც და მეორენიც ერთნაირად ატარებენ იმავე ისტორიულად გარდამავალ ხასიათს». «ხელფასი გულისხმობს დაქირავებულ შრომას, მოგება — კაპიტალს. მაშასადამე, განაწილების ეს განსაზღვრული ფორმები გულისხმობენ წარმოების პირობების განსაზღვრულ საზოგადოებრივ ხასიათს (Charaktere) და წარმოების აგენტთა განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. მაშასადამე, განაწილების განსაზღვრული ურთიერთობა მხოლოდ გამოხატულებაა წარმოების ისტორიულად განსაზღვრული ურთიერთობისა»... «განაწილების ყოველი ფორმა ქრება წარმოების განსაზღვრულ ფორმასთან ერთად, რომელსაც ის შეესაბამება და რომლისგანაც გამომდინარეობს».

«ის შეხედულება, რომელიც ისტორიულად განიხილავს მხოლოდ განაწილების ურთიერთობას და არა წარმოების ურთიერთობას, ერთი მხრივ, ბურჟუაზიული ეკონომიის ახლად ჩასახული, ჯერ კიდევ გაუბედავი (არათანმიმდევრული, befangen) კრიტიკის შეხედულებას წარმოადგენს. ხოლო, მეორე მხრივ, იგი ემყარება წარმოების საზოგადოებრივი პროცესის არევასა და გაიგივებას შრომის მარტივ პროცესთან, რომელიც უნდა შეასრულოს ხელოვნურად იზოლირებულმა ადამიანმაც ყოველგვარი საზოგადოებრივი დახმარების გარეშე. რამდენადაც შრომის პროცესი მხოლოდ ადამიანსა და ბუნებას შორის წარმოებული პროცესია, — მისი მარტივი ელემენტები ერთნაირი რჩებიან განვითარების ყველა საზოგადოებრივი ფორმისთვის. მაგრამ ამ პროცესის ყოველი განსაზღვრული ისტორიული ფორმა ავითარებს მის მატერიალურ საფუძვლებს და საზოგადოებრივ ფორმებს» («კაპიტალი», ტ. III, 2, გვ. 415, 419, 420 გერმან. ორიგინალისა[40]).

სისმონდის უფრო მეტად როდი გაუღიმა ბედმა კლასიკოსებზე სხვაგვარ თავდასხმებშიც, რასაც კიდევ უფრო მეტი ადგილი უჭირავს მის « Nouveaux Principes »-ში. «ინგლისში ა. სმიტის ახალი მოწაფენი აბსტრაქციაში გადავარდნენ და ადამიანი დაივიწყეს»... (I, 55). რიკარდოსთვის «სიმდიდრე

ყველაფერია, ხოლო ადამიანები — არაფერი» (II, 331). «ისინი (ვაჭრობის თავისუფლების დამცველი ეკონომისტები) ხშირად ადამიანებს და რეალურ ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ აბსტრაქტულ თეორიას» (II, 457) და სხვ.

რა ძველია ეს თავდასხმები და ამავე დროს რა ახალია! მე მხედველობაში მაქვს მათი განახლება ნაროდნიკების მიერ, რომლებმაც ასეთი ხმაური ასტეხეს იმის აშკარად აღიარების გამო, რომ რუსეთის კაპიტალისტური განვითარება მისი ახლანდელი, ნამდვილი და აუცილებელი განვითარებაა. განა ამასვე არ იმეორებდნენ ისინი სხვადასხვა ჰანგებზე, როცა გაჰყვიროდნენ «ფულის ბატონობის აპოლოგიაზე», «სოციალ-ბურჟუაზიულობაზე» და სხვ.? და მათ სისმონდიზე გაცილებით უფრო მეტად უდგება ის შენიშვნა, რომელიც საზოგადოდ კაპიტალიზმის სენტიმენტალური კრიტიკის მიმართ არის გაკეთებული: **Man schreie nicht zu sehr über den Zynismus! Der Zynismus liegt in der Sache, nicht in den Worten, welche die Sache bezeichnen!** ბევრს ნუ გაჰყვირით ცინიზმზე! ცინიზმი სინამდვილის აღმწერ სიტყვებში კი არ არის, არამედ თვით სინამდვილეშია!

«გაცილებით უფრო მეტად», — ვამბობთ ჩვენ. ეს — იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპის რომანტიკოსებს თვალწინ არ ჰქონდათ კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა მეცნიერული ანალიზი; მათ პირველად აღნიშნეს ეს წინააღმდეგობა, ისინი ანადგურებდნენ (თუმცა «უბადრუკი სიტყვებით») იმ ადამიანებს, რომელთაც არ უნახავთ ეს წინააღმდეგობანი!

სისმონდი რიკარდოს თავს ესხმოდა იმისათვის, რომ მას ულმობელი გულახდილობით გამოჰყავდა ყველა დასკვნა ბურჟუაზიული საზოგადოების დაკვირვებიდან და შესწავლიდან: მან აშკარად ჩამოაყალიბა როგორც წარმოების არსებობა წარმოებისათვის, ისე სამუშაო ძალის გადაქცევა საქონლად, რომელსაც ისე უყურებენ, როგორც ყოველგვარ სხვა საქონელს, — აგრეთვე ისიც, რომ «საზოგადოებისთვის» მნიშვნელოვანია მხოლოდ წმინდა შემოსავალი, ე. ი. მხოლოდ

მოგების სიდიდე *. მაგრამ რიკარდო სრულ სიმართლეს ამბობდა: სინამდვილეში ყოველივე სწორედ ასე ხდება. თუ ეს ჭეშმარიტება «მდაბალ ჭეშმარიტებად» მიაჩნდა სისმონდის, ამ სიმდაბლის მიზეზები რიკარდოს თეორიაში კი არ უნდა ეძებნა და «აბსტრაქციების» წინააღმდეგ კი არ უნდა გაელაშქრნა; მისი შეძახილები რიკარდოს მიმართ ერთიანად ეკუთვნის «ჩვენი ამამაღლებელი ტყუილის» სფეროს.

რაღა ვთქვათ ჩვენს თანამედროვე რომანტიკოსებზე? ფიქრობენ თუ არა ისინი უარჰყონ «ფულის ბატონობის» სინამდვილე? ფიქრობენ თუ არა უარჰყონ, რომ ეს ძალა ყოვლისშემძლეა არა მარტო სამრეწველო მოსახლეობაში, არამედ სამიწათმოქმედოშიც, რომელიც გნებავთ «თემურ», რომელიც გნებავთ მიყრუებულ სოფელში? ფიქრობენ თუ არა ისინი

* მაგალითად, ეფრუსი მედიდურად იმეორებს სისმონდის სენტიმენტალურ ფრაზებს იმის შესახებ, რომ მეწარმის წმინდა შემოსავლის გადიდება სარფას არ შეადგენს სახალხო მეურნეობისათვის. და სხვ., და მხოლოდ იმას უსაყვედურებს, რომ მას ეს «ჯერ კიდევ საკმაოებით ნათლად არ ესმოდა» (გვ. 43, № 8).

ხომ არ ინებებთ შევადაროთ ამას კაპიტალიზმის მეცნიერული ანალიზის შედეგები:

საზოგადოების მთლიან შემოსავალს (Roheinkommen) შეადგენს ხელფასი+მოგება+რენტა. წმინდა შემოსავალი (Reineinkommen) — ეს ზეღირებულებაა.

«თუ მთელი საზოგადოების შემოსავალს განვიხილავთ, ნაციონალურ შემოსავალს შეადგენს ხელფასი, პლუს მოგება, პლუს რენტა, ე. ი. მთლიანი შემოსავალი. მაგრამ ასეთი შეხედულება მხოლოდ აბსტრაქციას წარმოადგენს იმ მხრივ, რომ მთელი საზოგადოება, კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, კაპიტალისტურ თვალსაზრისზე დგება და წმინდა შემოსავლად მხოლოდ იმ შემოსავალს სთვლის, რომელიც ხელფასისა და რენტისაგან შესდგება» (III, 2, 375 — 376)[30].

ამრიგად, ავტორი საკმაოებით ემხრობა რიკარდოს და მის «საზოგადოების» «წმინდა შემოსავლის» განსაზღვრას, — სწორედ იმ განსაზღვრას, რომელმაც სისმონდის «შესანიშნავი პასუხი» გამოიწვია («რ. ბ.» № 3, გვ. 44): «როგორ? სიმდიდრე ყველაფერია, ხოლო ადამიანები არაფერიო?» (II, 331). თანამედროვე საზოგადოებაში, რა თქმა უნდა, ასეა.

უარჰყონ ამ ფ ა ქ ტ ი ს აუცილებელი კავშირი სასაქონლო მეურნეობასთან? ისინი არც კი ცდილან ეჰვი შეეტანათ ამაში. ისინი მხოლოდ ცდილობენ არ ილაპარაკონ ამაზე. მათ ეშინიათ საგნებს თავისი ნამდვილი სახელი უწოდონ.

და ჩვენც კარგად გვესმის მათი შიში: სინამდვილის აშკარად აღიარება ყოველგვარ ნიადაგს გამოაცლიდა კაპიტალიზმის სენტიმენტალურ (ნაროდნიკულ) კრიტიკას. გასაკვირველი როდია, რომ ისინი ასე გაშმაგებით იწყებენ ბრძოლას, როცა რომანტიზმის დაჟანგებული იარაღის გაწმენდაც ვერ მოუსწრიათ. გასაკვირველი როდია, რომ ისინი საშუალებებს არ არჩევენ და ს ე ნ ტ ი მ ე ნ ტ ა ლ უ რ ი კრიტიკისადმი მტრობა სურთ საერთოდ კრიტიკისადმი მტრობად გამოაცხადონ, ისინი ხომ თავისი არსებობის უფლებისათვის იბრძვიან.

სისმონდი იმასაც კი ცდილობდა, რომ თავისი სენტიმენტალური კრიტიკა ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ მ ე თ ო დ ა დ გადაექცია. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ იგი რიკარდოს უსაყვედურებდა არა იმას, რომ მისი ობიექტური ანალიზი შეჩერდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა წინაშე (ეს საყვედური საფუძვლიანი იქნებოდა), არამედ სწორედ იმას, რომ ეს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ანალიზია. სისმონდი ამბობდა, რიკარდო «ადამიანს ივიწყებსო». «Nouveaux Principes»-ის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ასეთ ტირადას ვხვდებით:

«საჭიროდ მიმაჩნია პროტესტი განვაცხადო იმ თხზულებაზე მსჯელობის ჩვეულებრივი, ხშირად ესოდენ ქარაფშუტული, ხშირად ესოდენ ყალბი ხერხების წინააღმდეგ, რომელიც სოციალურ მეცნიერებებს ეხება. პრობლემა, რომელიც ამ მეცნიერებებმა უნდა გადასჭრან, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა პრობლემა; ამავე დროს ეს პრობლემა გულსაც სწორედ ისევე მიმართავს, როგორც გონებას» (I, XVI). რუსი მკითხველი კარგად იცნობს საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა დაპირისპირების, სოციალურ მეცნიერებათა «გული-

სადმი» მიმართვის ამ იდეებს! * სისმონდი აქ იმავე აზრებს გამოსთქვამს, რომელნიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ «ხელახლა იქნა აღმოჩენილი» ევროპის შორეულ აღმოსავლეთში «სოციოლოგთა რუსული სკოლის» მიერ და რომელნიც მოგვევლინენ განსაკუთრებულ «სუბიექტურ მეთოდად სოციოლოგიაში»... აშკარაა, სისმონდი, — ისევე როგორც ჩვენებური სოციოლოგები, — მიმართავს «როგორც გულს, ისე გონებას» **. მაგრამ ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორ იმარჯვებდა ყველა უმნიშვნელოვანეს პრობლემაში წვრილი ბურჟუას «გული» თეორეტიკოს-ეკონომისტის «გონებაზე».

---

* «პოლიტიკური ეკონომია უბრალო ანგარიშიანობის მეცნიერება კი არ არის (n'est pas une science de calcul), არამედ მორალური მეცნიერება... იგი მიზანს მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა მხედველობაში მიღებულია ადამიანთა გრძნობები, მოთხოვნილებანი და გულისთქმანი» (I, 313). ეს გრძნობიერი ფრაზები, რომლებშიც სისმონდი, სწორედ ისევე, როგორც სუბიექტური სკოლის რუსი სოციოლოგები თავიანთ სრულიად ანალოგიურ შეძახილებში, სოციალური მეცნიერების ახალ ცნებას ხედავს, ნამდვილად იმას გვიჩვენებენ, თუ ჯერ კიდევ რა ბავშვურად პრიმიტიულ მდგომარეობაში იყო ბურჟუაზიის კრიტიკა. განა წინააღმდეგობათა მეცნიერული ანალიზი, მკაცრ ობიექტურ «ანგარიშიანობად» დარჩენილი, არ იძლევა მტკიცე საფუძველს იმისათვის, რომ გავიგოთ «გრძნობანი, მოთხოვნილებანი და გულისთქმანი», თანაც არა საზოგადოდ «ადამიანების», — ამ აბსტრაქციის, რომელსაც რომანტიკოსიც და ნაროდნიკიც სპეციფიკური წვრილბურჟუაზიული შინაარსით ავსებს, — არამედ გარკვეული კლასების ადამიანთა გულისთქმანი? მაგრამ საქმე ის არის, რომ სისმონდის არ შეეძლო თეორიულად გაებათილებინა ეკონომისტების აზრები და ამიტომ სენტიმენტალური ფრაზებით კმაყოფილდებოდა. «უტოპიური დილეტანტიზმი იძულებულია თეორიულ დათმობებზე წავიდეს ბურჟუაზიული წყობილების ყოველი ცოტად თუ ბევრად სწავლული დამცველის წინაშე. თავისი უძლურების შეგნება რომ დაფაროს, უტოპისტი თავს იმით ინუგეშებს, რომ თავის მოწინააღმდეგეებს ობიექტურობას უსაყვედურებს: ვთქვათ, თქვენ ჩემზე უფრო სწავლული ხართ, სამაგიეროდ მე უფრო კეთილი ვარო» (ბ ე ლ ტ ო ვ ი, გვ. 43)[51].

** თითქოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათაგან გამომდინარე «პრობლემებიც» «გულს» არ მიმართავდნენ?!

პოსტ-სკრიპტუმი *

სენტიმენტალური სისმონდის აქ მოცემული შეფასების სისწორეს მეცნიერულ-«ობიექტური» რიკარდოსადმი დამოკიდებულების მხრივ სავსებით ადასტურებს მარქსის აზრი 1905 წელს გამოსულ «ზედმეტი ღირებულების თეორიების» მეორე ტომში («Theorien über den Mehrwert», II. B., I. Th., S. 304 u. ff. «Bemerkungen über die Geschichte der Entdeckung des sogenannten Ricardoschen Gesetzes»)**. მარქსი ერთმანეთს უპირდაპირებს მალთუსს, როგორც უბადრუკ პლაგიატორს, შეძლებულთა მოსყიდულ ვექილს, უტიფარ სიკოფანტს, — და რიკარდოს, როგორც მეცნიერს, და ამბობს:

«რიკარდო წარმოების კაპიტალისტურ წესს განიხილავს, როგორც საერთოდ წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელს, როგორც სიმდიდრის შესაქმნელად ყველაზე ხელსაყრელს, და რიკარდოც სავსებით მართალია თავისი ეპოქისათვის. მას სურს წ ა რ მ ო ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, და ის მართალია. ამის წინააღმდეგ გალაშქრება, როგორც რიკარდოს სენტიმენტალური მოწინააღმდეგენი იქცეოდნენ და იმის აღნიშვნა, რომ წარმოება, როგორც ასეთი, თვითმიზანს ხომ არ წარმოადგენსო, ნიშნავს იმის დავიწყებას, რომ წარმოება წარმოებისათვის არის მხოლოდ კაცობრიობის საწარმოო ძალთა განვითარება, ე. ი. ა დ ა მ ი ა ნ ი ს ბ უ ნ ე ბ ი ს ს ი მ დ ი დ რ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა, რ ო გ ო რ ც თ ვ ი თ მ ი ზ ა ნ ი. თუ ამ მიზანს ცალკეულ ინდივიდთა კეთილდღეობას დავუპირდაპირებთ, როგორც სისმონდი იქცეოდა, ეს ნიშნავს იმის მტკიცებას, რომ ადამიანთა მთელი მოდგმის განვითარება შ ე ფ ე რ ხ ე ბ უ ლ უნდა იქნას ცალკეულ ინდივიდთა კე-

---

* — პოსტ-სკრიპტუმი დაწერილია 1908 წ. გამოცემისათვის. რ ე დ.

** — «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. I, გვ. 304 და შემდეგი. «შენიშვნები ეგრეთწოდებული რიკარდოს კანონის აღმოჩენის ისტორიის შესახებ» [62]. რ ე დ.

თილდღეობის უზრუნველსაყოფად, რომ, მაშასადამე, არ შეიძლება, მაგალითად, არავითარი ომის წარმოება, ვინაიდან ომი ცალკეულ პირთა დაღუპვას იწვევს. სისმონდი მართალია მხოლოდ ისეთი ეკონომისტების მიმართ, რომელნიც ამ ანტაგონიზმს ჩ ქ მ ა ლ ა ვ ე ნ, უარჰყოფენ» (S. 309). თავისი თვალსაზრისით, რიკარდოს სრული უფლება აქვს პროლეტარები მანქანებს, საქონელს გაუთანაბროს კაპიტალისტურ წარმოებაში. «Es ist dieses stoisch, objektiv. wissenschaftlich», «ეს სტოიციზმია, ეს ობიექტურია, ეს მეცნიერულია» (S. 313). ცხადია, ეს შეფასება ეხება მხოლოდ განსაზღვრულ ეპოქას, სწორედ XIX საუკუნის დასაწყისს.

თავი II

რომანტიკოსების მიერ კაპიტალიზმის კრიტიკის ხასიათი

სისმონდის «გონებას» ჩვენ უკვე საკმაოდ გავეცანით. ახლა უფრო ახლოს გავეცნოთ მის «გულს». ვცადოთ და ერთად მოვუყაროთ თავი ყველა ცნობას, რაც კი გაგვირკვევს მის თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ს (რომელსაც აქამდე ჩვენ ვსწავლობდით მხოლოდ როგორც თეორიულ საკითხებთან დაკავშირებულ ელემენტს), მის დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს კაპიტალიზმისადმი, მის საზოგადოებრივ სიმპათიებს, მის მიერ იმ ეპოქის «სოციალურ-პოლიტიკური» ამოცანების გაგებას, რომლის მონაწილეც იგი იყო.

I

კაპიტალიზმის სენტიმენტალური კრიტიკა

იმ ეპოქის ნიშანდობლივ თვისებას, როდესაც სისმონდი სწერდა, შეადგენდა გ ა ც ვ ლ ი ს (თანამედროვე ტერმინოლოგიით — ფულადი მეურნეობის) სწრაფი განვითარება, რაც განსაკუთრებით მკვეთრად გამოაშკარავდა საფრანგეთის რევოლუციის მიერ ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობის შემდეგ.

სისმონდი მოურიდებლად კიცხავდა გაცვლის ამ განვითარებასა და გაძლიერებას, თავს ესხმოდა «საბედისწერო კონკურენციას», მოუწოდებდა «მთავრობას მოსახლეობა დაეცვა კონკურენციის შედეგებისაგან» (ch. VIII, l. VII) და სხვ. «სწრაფი გაცვლა ხალხის კარგ ზნე-ჩვეულებას აფუჭებს. სარფიანად გაყიდვაზე მუდმივ ზრუნვას ყოველთვის თან სდევს ძვირად დაფასებისა და მოტყუების ცდა, და, რაც უფრო ძნელია არსებობა იმისთვის, ვინც მუდმივი გაცვლით ცხოვრობს, მით უფრო დიდია მისი "ცთუნება — გამოიყენოს მოტყუება» (I, 169). აი რა გულუბრყვილობა იყო საჭირო იმისათვის, რომ თავს დასხმოდნენ ფულად მეურნეობას ისე, როგორც მას ჩვენი ნაროდნიკები ესხმიან თავს! «...კომერციულ სიმდიდრეს ეკონომიურ წყობაში თავისი მნიშვნელობით მხოლოდ მეორე ადგილი უჭირავს; და ტერიტორიული (territoriale — საადგილმამულო) სიმდიდრე, რომელიც არსებობის საშუალებებს იძლევა, პირველ რიგში უნდა იზრდებოდეს. მთელმა ამ მრავალრიცხოვანმა, ვაჭრობით მცხოვრებმა კლასმა მიწის პროდუქტების ნაწილი მხოლოდ მაშინ უნდა მიიღოს, როდესაც ეს პროდუქტები არსებობს; იგი (ეს კლასი) მხოლოდ იმდენად უნდა იზრდებოდეს, რამდენადაც ეს პროდუქტები იზრდება» (I, 322 — 323). ამ პატრიარქალურ რომანტიკოსს თუნდაც ერთი ნაბიჯით გაუსწრო წინ ბ-ნმა ნ. — ონმა, რომელიც მთელ ფურცლებზე მხოლოდ იმას ჩივის, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდა წინ უსწრებს მიწათმოქმედების განვითარებასო? რომანტიკოსისა და ნაროდნიკის ეს ჩივილი მოწმობს მხოლოდ კაპიტალისტური მეურნეობის სრულ გ ა უ გ ე ბ ლ ო ბ ა ს. გ ა ნ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ დ ე ს ისეთი კაპიტალიზმი, რომლის დროსაც ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება წინ ა რ უსწრებდეს მიწათმოქმედებას? კაპიტალიზმის ზრდა ხომ სასაქონლო მეურნეობის ზრდაა, ე ს ე-ი გ ი ზრდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა, რომელიც მიწათმოქმედებას ზედიზედ ა შ ო რ ე ბ ს ნედლეულის დამუშავების სხვადასხვა სახეს,

რაც თავდაპირველად ერთ ნატურალურ მეურნეობაში იყო შეერთებული ნედლეულის მოპოვებასა, დამუშავებასა და მოხმარებასთან ერთად. ამიტომ ყველგან და ყოველთვის კაპიტალიზმი ნიშნავს ვაჭრობისა და მრეწველობის უფრო ჩქარ განვითარებას მიწათმოქმედებასთან შედარებით, სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის უფრო ჩქარ ზრდას, ვაჭრობისა და მრეწველობის უფრო მეტ წონასა და მნიშვნელობას საზოგადოებრივი მეურნეობის საერთო წყობაში*. სხვანაირად არც შეიძლება. და ბ-ნი ნ. — ონიც, ასეთ ჩივილს რომ იმეორებს, ამით კიდევ და კიდევ იმას ამტკიცებს, რომ თავისი ეკონომიური შეხედულებებით იგი ზერელე, სენტიმენტალურ რომანტიზმს არ გასცილებია. «მეწარმეობის ამ უგუნურ სულისკვეთებას (esprit d'entreprise), ყოველგვარი ვაჭრობის ამ სიჭარბეს, რომელიც ესოდენ ხშირ გაკოტრებას იწვევს ამერიკაში, ყოველ ეჭვს გარეშეა, საფუძვლად უდევს ბანკების გამრავლება და ის სიადვილე, რომლითაც მაცთური კრედიტი რეალური ქონების (fortune réelle) ადგილს იკავებს» (II, 111) და ასე შემდეგ დაუსრულებლივ. რისთვისღა ესხმოდა თავს სისმონდი ფულად მეურნეობას (და კაპიტალიზმს)? რას უპირდაპირებს იგი მას? წვრილ დამოუკიდებელ წარმოებას, გლეხთა ნატურალურ მეურნეობას სოფლად და ხელოსნობას — ქალაქად. აი რას ამბობს იგი პირველის შესახებ თავში «პატრიარქალური სოფლის მეურნეობის შესახებ» (ch. III, l. III, «De l'exploitation patriarcale — მიწის პატრიარქალური ექსპლუატაციის შესახებ. მე-3 წიგნი ეხება «ტერიტორიულ» ანუ საადგილმამულო სიმდიდრეს):

«მიწის პირველი მესაკუთრენი თვითონვე იყვნენ მხვნელ-

---

* კაპიტალისტური განვითარების დროს მიწათმოქმედება ყოველთვის და ყველგან უკან რჩება ვაჭრობასა და მრეწველობას, ვაჭრობა და მრეწველობა მუდამ წარმართავენ და ექსპლუატაციას უწევენ მას, მუდამ მხოლოდ მოგვიანებით გამოჰყავთ იგი კაპიტალისტური წარმოების ვზაზე.

მთესველნი, მინდვრის ყოველგვარ სამუშაოს ისინი თავიანთ შვილთა და თავიანთ მოსამსახურეთა შრომით ასრულებდნენ. ვერც ერთი სოციალური ორგანიზაცია* ვერ უზრუნველჰყოფს მეტ ბედნიერებას და მეტ კეთილდღეობას ერის ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასისათვის, მეტ დოვლათიანობას (opulence) ყველასთვის, საზოგადოებრივი წესწყობილების მეტ სიმტკიცეს... იმ ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედი მესაკუთრეა (où le fermier est propriétaire), და სადაც პროდუქტები მთლიანად (sans partage) ეკუთვნით სწორედ იმ ადამიანებს, რომელთაც თვითონ შეასრულეს ყველა სამუშაო, ე. ი. იმ ქვეყნებში, რომელთა სოფლის მეურნეობას ჩვენ პატრიარქალურს ვუწოდებთ, — ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ იმის ნიშანს, თუ როგორ უყვარს მიწათმოქმედს სახლი, რომელშიც ცხოვრობს, მიწა, რომელსაც უვლის... თვით შრომა მისთვის სიამოვნებაა. იმ ბედნიერ ქვეყნებში, სადაც მიწათმოქმედება პატრიარქალურია, ყოველი მინდვრის განსაკუთრებულ ბუნებას სწავლობენ, — და ეს ცოდნა მამიდან შვილზე გადადის... მსხვილი საფერმო მეურნეობა, რომელსაც უფრო მდიდარი ადამიანები ხელმძღვანელობენ, იქნებ ცრურწმენასა და რუტინაზე მაღლა დადგეს. მაგრამ ცოდნა (l'intelligence. ე. ი. სოფლის მეურნეობის ცოდნა) ვერ მიაღწევს იმ პირამდე,

---

* მიაქციეთ ყურადღება, რომ სისმონდი — სწორედ ისე, როგორც ჩვენი ნაროდნიკები, — გლეხთა დამოუკიდებელ მეურნეობას ერთბაშად «სოციალურ ორგანიზაციად» აქცევს. ეს აშკარა სიყალბეა. რა აკავშირებს ერთად სხვადასხვა ადგილის ამ გლეხებს? სწორედ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სასაქონლო მეურნეობა, რომელშაც ფეოდალური ურთიერთობის ადგილი დაიკავა. აქ ერთბაშად აშკარავდება სასაქონლო მეურნეობის წყობის ერთი წევრის უტოპიად გადაქცევა და დანარჩენ წევრთა გაუგებლობა. შეადარეთ ბ-ნ ნ.—ონის ნაშრომში, გვ. 322: «მრეწველობის ფორმა, რომელიც დამყარებულია გლეხობის მიერ წარმოების იარაღთა ფლობაზე». ბ-ნი ნ.—ონი ვერც კი ხვდება, რომ წარმოების იარაღების ეს ფლობა გლეხობის მიერ — ისტორიულადაც და ლოგიკურადაც — სწორედ კაპიტალისტური წარმოების გამოსავალი წერტილია!

ვინც თვითონ მუშაობს, და ეს ცოდნა უფრო ცუდად იქნება გამოყენებული... პატრიარქალური მეურნეობა ზნე-ჩვეულებასა და ხასიათს უუმჯობესებს ერის ამ ესოდენ მრავალრიცხოვან ნაწილს, რომელსაც მთელი სამიწათმოქმედო მუშაობა აკისრია. საკუთრება წესიერებისა და მომჭირნეობის ჩვევებს ჰქმნის, მუდმივი დოვლათიანობა ღორმუცლობისა (gourmandise) და ლოთობისადმი მიდრეკილებას სპობს... მას (მიწათმოქმედს) თითქმის მარტო ბუნებასთან აქვს ურთიერთობა და ამიტომ მრეწველობის ყოველ სხვა მუშაზე ნაკლები საბაბი აქვს უნდობლად მოეპყროს ადამიანებს და მათ წინააღმდეგ არაკეთილსინდისიერების იარაღი იხმაროს» (I, 165 — 170). «პირველი ფერმერები უბრალო მხვნელ-მთესველნი იყვნენ; ისინი საკუთარი ხელით ასრულებდნენ სამიწათმოქმედო სამუშაოთა მეტ ნაწილს; ყველა თავიანთ წამოწყებას ისინი თავიანთი ოჯახების ძალებს უფარდებდნენ... ისინი მუდამ გლეხებად რჩებოდნენ: თვითონ ხნავენ კავით (tiennent eux-mêmes les cornes de leur charrue): თვითონ უვლიან პირუტყვს მინდვრადაც და თავლაშიც; წმინდა ჰაერზე ცხოვრობენ, ეჩვევიან მუდმივ შრომასა და უბრალო საჭმელს, რომლებიც ჯანსაღ მოქალაქეებსა და მამაც ჯარისკაცებს ჰქმნიან *. ისინი საერთო სამუშაოებისათვის თითქმის არასოდეს არ იყენებენ დღიურ მუშებს, არამედ მხოლოდ შინამოსამსახურეებს (des domestiques), რომელთაც ყოველთვის თავის თანასწორთა შორის ირჩევენ, რომელთაც ეპყრობიან როგორც თანასწორთ, მათთან ერთად სჭამენ, იმავე ღვინოს სვამენ, იმავე ტანისამოსს იცვამენ. ამრიგად, მიწათმოქმედნი თავიანთი შინამოსამსახურეებიანად შეადგენენ გლეხთა ერთ კლასს, რომელნიც გამსჭვალულნი არიან ერთი და იმავე გრძნობებით, იზიარებენ ერთსა და იმავე სიამოვნებას, ემორ-

* შეადარეთ, მკითხველო, ამ ტაბილ-ტაბილ ზღაპრებს XIX საუკუნის დამლევის ის «მოწინავე» პუბლიცისტი, რომლის ნაწერებიდანაც ბ-ნ სტრუვეს ციტატები მოჰყავს თავის «კრიტიკულ შენიშვნებში», გვ. 17. [52]

ჩილებიან ერთსა და იმავე გავლენას, ერთნაირად არიან დაკავშირებულნი სამშობლოსთან» (I, 221).

ესეც თქვენი სანაქებო «სახალხო წარმოება»! ნურავინ იტყვის, რომ სისმონდის არ ესმოდეს მწარმოებელთა შეკავშირების აუცილებლობა: ის პირდაპირ ამბობს (იხ. ქვემოთ), რომ «მასაც ისევე (როგორც ფურიეს, ოუენს, ტომპსონს, მუირონს) სურს ასოციაცია» (II, 365). ნურავინ იტყვის, ვითომ იგი სწორედ საკუთრებას იცავდეს: პირიქით, მას სიმძიმის ცენტრად მიაჩნია წვრილი მეურნეობა (შეად. II, 355) და არა წვრილი საკუთრება. ცხადია, წვრილი გლეხური მეურნეობის ეს იდეალიზაცია სხვა ისტორიულ და საყოფაცხოვრებო პირობებში განსხვავებულ სახეს იღებს. მაგრამ როგორც რომანტიზმს, ისე ნაროდნიკობას სწორედ წვრილი გლეხური მეურნეობა რომ აჰყავთ ცამდე — ეს უეჭველია.

სწორედ ასევე აიდეალებს სისმონდი პრიმიტიულ ხელოსნობასაც და ამქრებსაც.

«სოფლის ხარაზი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ეაჭარიც არის, მეფაბრიკეც და მუშაც, ერთ წყვილ ფეხსაცმელსაც არ შეკერავს, თუ შეკვეთა არ მიიღო» (II, 262), მაშინ როდესაც კაპიტალისტურმა მანუფაქტურამ მოთხოვნილების უცოდინარობით შეიძლება კრახი განიცადოს. «როგორც თეორიულად, ისე ფაქტიურად უეჭველია, რომ ამქართა (corps de métier) დაარსება აფერხებდა ჭარბი მოსახლეობის წარმოშობას და კიდევაც უნდა შეეფერხებინა იგი. სწორედ ასევე უეჭველია, რომ ასეთი მოსახლეობა ამჟამად არსებობს, და რომ იგი თანამედროვე წყობილების აუცილებელი შედეგია» (I, 431). ასეთი ამონაწერების მოყვანა ბლომად შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ შემდეგისთვის ვდებთ სისმონდის პრაქტიკული რეცეპტების განხილვას. აქ კი ზემოთქმულით დავკმაყოფილდებით, რათა ჩავწვდეთ სისმონდის თვალსაზრისს. მოყვანილი მსჯელობა შეიძლება ასე შევაჯამოთ: 1) ფულადი მეურნეობა დაგმობილია იმისათვის, რომ იგი ანგრევს წვრილ მწარმოებელთა უზრუნველყოფილ მდგომა-

რეობას და მათს ურთიერთდაახლოებას (ხელოსნისა და მომხმარებლის ერთმანეთთან სიახლოვე იქნება ეს თუ მიწათმოქმედის სიახლოვე მის თანასწორ მიწათმოქმედებთან); 2) წვრილი წარმოება ცამდე აყვანილია იმისთვის, რომ უზრუნველჰყოფს მწარმოებლის დამოუკიდებლობას და სპობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე ეს იდეა ნაროდნიკობის არსებითს ავლადიდებას შეადგენს *, — და ვცადოთ ჩავწვდეთ მათს შინაარსს.

ფულადი მეურნეობის კრიტიკას რომანტიკოსები და ნაროდნიკები იმით განსაზღვრავენ, რომ აღნიშნავენ მის მიერ წარმოშობილ ინდივიდუალიზმსა ** და ანტაგონიზმს (კონკურენცია), აგრეთვე იმას, რომ მწარმოებელი უზრუნველყოფილი არ არის და საზოგადოებრივი მეურნეობა მერყეევია ***.

ჯერ «ინდივიდუალიზმის» შესახებ. ჩვეულებრივ ამა თუ იმ თემის გლეხთა თუ ამა თუ იმ ხელობის ხელოსანთა (ანუ შინამრეწველთა) კავშირს უპირდაპირებენ — კაპიტალიზმს, რომელიც არღვევს ამ კავშირს და მას სცვლის კონკურენციით. ეს მსჯელობა რომანტიზმის ტიპიური შეცდომის განმეორებაა, სახელდობრ: მას კაპიტალიზმის წინააღმდეგობიდან გამოჰყავს დასკვნა მასში ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ო ბ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ი ფ ო რ მ ი ს უარყოფის შესახებ. განა კაპიტალიზმი, რომელიც შუასაუკუნეობრივ სათემო, საამქრო, საარტელო და სხვ. კავშირს არღვევს, მათ ადგილას სხვას არ

* ბ-ნ ნ.—ონს ამ საკითხშიც იმდენი წინააღმდეგობა აქვს, რომ მათგან შეიძლება ავიღოთ ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი რ ო გ ო რ ი ც გ ნ ე ბ ა ვ თ დებულებანი. მაგრამ სრულიად უეჭველია გლეხური მეურნეობის იდეალიზაცია ბუნდოვანი ტერმინით: «სახალხო წარმოება». ბუნდოვანება განსაკუთრებით ხელსაყრელია ყოველგვარი გადასხვაფერებისათვის.

** შეად. ნ. — ონი, გვ. 321 in f. (in fine — ბოლოში. რ ე დ.) და სხვ.

*** Ibid., გვ. 335. გვ. 184. კაპიტალიზმი «სიმტკიცეს ართმევს». და მრავალი სხვ.

ამყარებს? განა სასაქონლო მეურნეობა უკვე არ არის მწარმოებელთა შორის კავშირი, რომელსაც ბაზარი ამყარებს? * ამ კავშირის ანტაგონისტური, მერყევი და წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათი უფლებას არ გვაძლევს მისი არსებობა უარვყოთ. და ჩვენ ვიცით, რომ სწორედ წინააღმდეგობათა განვითარება უფრო და უფრო ააშკარავებს ამ კავშირის ძალას, საზოგადოების ყველა ცალკეულ ელემენტს და კლასს აიძულებს ისწრაფოდნენ შეერთებისაკენ, ამასთან შეერთებისაკენ უკვე არა ერთი თემის თუ ერთი ოლქის ვიწრო ფარგლებში, არამედ ამა თუ იმ კლასის ყველა წარმომადგენელთა შეერთებისაკენ მთელ ერში და სხვადასხვა სახელმწიფოშიც კი. მხოლოდ რომანტიკოსს შეუძლია თავისი რეაქციული თვალსაზრისით უარჰყოს ამ კავშირის არსებობა და მისი უფრო ღრმა მნიშვნელობა, რომელიც ემყარება სახალხო მეურნეობაში როლების ერთობას და არა ტერიტორიულ, პროფესიულ, სარწმუნოებრივ და სხვ. ინტერესებს. და თუ ასეთმა მსჯელობამ რომანტიკოსის სახელი დაუმსახურა სისმონდის, რომელიც სწერდა ისეთ ეპოქაში, როდესაც კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი ეს ახალი კავშირი მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობდა, ცხადია, ჩვენს ნაროდნიკებს გაცილებით უფრო შეეფერებათ ასეთი შეფასება, ვინაიდან ახლა ასეთი კავშირის უდიდესი

* «გამოთქმანი: საზოგადოება, ასოციაცია — ნამდვილად ეს ისეთი სახელწოდებებია, რომელნიც შეგიძლიათ დაარქვათ ყოველგვარ საზოგადოებას, როგორც ფეოდალურს, ისე ბურჟუაზიულს, რომელიც კონკურენციაზე დამყარებული ასოციაციაა. როგორ შეიძლება არსებობდნენ ისეთი მწერლები, რომელთაც შესაძლებლად მიაჩნიათ კონკურენცია უარჰყონ ერთი სიტყვით: ასოციაციაᲔ» (Marx. «Das Elend der Philosophie» (მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე» [54]. რედ.) ავტორი, მთელი სიმკაცრით აკრიტიკებს რა კონკურენციის სენტიმენტალურ დაგმობას, წინ აყენებს პირდაპირ მის პროგრესულ მხარეს, მის მამოძრავებელ ძალას, რომელსაც წინ მიჰყავს «ტექნიკური პროგრესი და სოციალური პროგრესი».

მნიშვნელობის უარყოფა მხოლოდ სულ დაბრმავებულ ადამიანებს შეუძლიათ.

რაც შეეხება არაუზრუნველყოფილობას, სიმკვიდრის უქონლობას და სხვ., ყოველივე ეს ისევ ის ძველი სიმღერაა, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ საგარეო ბაზრის გამო. სწორედ ამგვარ გამოსვლებში მჟღავნდება რომანტიკოსი, რომელიც ძრწოლით გმობს სწორედ იმას, რასაც მეცნიერული თეორია ყველაზე უფრო აფასებს კაპიტალიზმში: მის დამახასიათებელ მისწრაფებას განვითარებისადმი, თავშეუკავებელ წინსვლას, შეჩერების ან სამეურნეო პროცესების უწინდელ უცვლელ ფარგლებში რეპროდუქციის შეუძლებლობას. მხოლოდ უტოპისტს, რომელიც შუასაუკუნეობრივი კავშირების (მაგალითად, თემის) გაფართოების და მთელ საზოგადოებაზე გავრცელების ფანტასტიკურ გეგმებს თხზავს, შეუძლია უგულებელჰყოს ის ფაქტი, რომ სწორედ კაპიტალიზმის «სიმკვიდრის უქონლობა» წარმოადგენს უდიდეს პროგრესულ ფაქტორს, რომელიც აჩქარებს საზოგადოებრივ განვითარებას, მოსახლეობის უფრო და უფრო მეტ მასებს ითრევს საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალში, აიძულებს მათ ჩაუფიქრდნენ ამ ცხოვრების წყობას, აიძულებს მათ თვითონვე «გამოსჭედონ თავიანთი ბედნიერება».

ბ-ნ ნ. — ონის ფრაზები კაპიტალისტური მეურნეობის «სიმკვიდრის უქონლობაზე», გაცვლის არაპროპორციულ განვითარებაზე, მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის, წარმოებასა და მოხმარებას შორის წონასწორობის დარღვევაზე, კრიზისების არანორმალურობაზე და სხვ. — უცილობლად მოწმობს იმას, რომ იგი კვლავ მთლიანად რ ო მ ა ნ ტ ი ზ მ ი ს თვალსაზრისზე დგას. ამიტომ ევროპული რომანტიზმის კრიტიკა ს ი ტ ყ ვ ა ს ი ტ ყ ვ ი თ მის თეორიასაც ეხება. აი ამის დამამტკიცებელი საბუთი:

«მოვუსმინოთ მოხუც ბუაგილბერს:

«სხვადასხვა საქონლის ფასი, — ამბობს ის, — ყოველთვის პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ი უნდა იყოს, ვინაიდან მხოლოდ ასეთი

ურთიერთთანხმობა აძლევს მათ საშუალებას ყოველ მომენტში ხელახლა იქნან რეპროდუქცირებული... რადგან სიმდიდრე სხვა არა არის რა, თუ არა ეს მუდმივი გაცვლა ადამიანსა და ადამიანს შორის, საწარმოს და საწარმოს შორის, — საშინელი შეცდომა იქნებოდა სიღატაკის მიზეზები სხვა რამეში გვეძებნა და არა გაცვლის იმ დარღვევაში, რომელსაც იწვევს პროპორციული ფასებიდან გადახრა».

მოვუსმინოთ აგრეთვე ერთ უახლეს * ეკონომისტს:

«დიადი კანონი, რომელიც უნდა მივუყენოთ წარმოებას, არის პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ო ბ ი ს კანონი (the law of proportion), რომელსაც ერთადერთს შეუძლია სიმტკიცე შეუნარჩუნოს ღირებულებას... ეკვივალენტი უზრუნველყოფილი უნდა იყოს... სხვადასხვა ხანაში ყველა ერი მრავალნაირი სავაჭრო რეგლამენტისა და შეზღუდვის საშუალებით ცდილობდა რამდენადმე მაინც განეხორციელებინა პროპორციულობის ეს კანონი, მაგრამ ადამიანის ბუნების დამახასიათებელმა ეგოიზმმა იქამდე მიგვიყვანა, რომ მოწესრიგების მთელი ეს სისტემა დამხობილ იქნა. პროპორციული წარმოება (proportionale production) — ეს ჭეშმარიტი სოციალურ-ეკონომიური მეცნიერების განხორციელებაა» (W. A t k i n s o n. «Principles of political economy». London, 1840, p 170 და 195) **.

Fuit Troja! *** ეს სწორი პროპორცია მოთხოვნა-მიწოდებას შორის, რომელიც ისევ მრავალთა სურვილების საგნად ხდება, დიდი ხანია აღარ არსებობს. მან თავისი დრო მოსჭამა; იგი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ ხანებში, როცა წარმოების საშუალებანი შეზღუდული იყო, როცა გაცვლა მეტად ვიწრო ფარგლებში სწარმოებდა. მსხვილი ინდუსტრიის წარმოშობასთან ერთად ეს წესიერი პროპორცია აუცილებლად

* დაწერილია 1847 წ.

** — ვ. ა ტ კ ი ნ ს ო ნ ი. «პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები», ლონდონი, 1840, გვ. 170 და 195. რ ე დ.

*** — ტროადა აღარ არის! რ ე დ.

უნდა (muss'e) გამქრალიყო, და წარმოებას ბუნების კანონების აუცილებლობით უნდა გაევლო მუდმივი თანმიმდევრული ცვლა აყვავებისა და დაცემისა, კრიზისისა, შეფერხებისა, ახალი აყვავებისა და ასე შემდეგ.

ისინი, ვისაც, მსგავსად სისმონდისა, სურს წარმოების სწორ პროპორციულობას დაუბრუნდეს და ამასთანავე საზოგადოების თანამედროვე საფუძვლები შეინარჩუნოს, რეაქციონერები არიან, რადგანაც ისინი, თანმიმდევარნი რომ ყოფილიყვნენ, უნდა ცდილიყვნენ აღედგინათ უწინდელი დროის მრეწველობის სხვა პირობებიც.

რა აჩერებდა წარმოებას წესიერი, ან თითქმის წესიერი, პროპორციის ჩარჩოებში? მოთხოვნა, რომელიც მიწოდებას განაგებდა, წინ უსწრებდა მას; წარმოება კვალდაკვალ მისდევდა მოხმარებას. მსხვილ ინდუსტრიას, რომელიც თვით მის მიერ გამოყენებული იარაღების ხასიათით იძულებულია მუდამ უფრო და უფრო გააფართოოს წარმოება, არ შეუძლია მოთხოვნას ელოდოს. წარმოება წინ უსწრებს მოთხოვნას, მიწოდება ძალით იღებს მოთხოვნას.

თანამედროვე საზოგადოებაში, ინდივიდუალურ გაცვლაზე დამყარებულ მრეწველობაში, წარმოების ანარქია, რაც ამდენი უბედურების წყაროა, ამავე დროს პროგრესის მიზეზიცაა.

ამიტომ ორში ერთი: ან უნდა ისურვო წარსულ საუკუნეთა სწორი პროპორცია ჩვენი დროის წარმოების საშუალებებთან ერთად, — და ეს კი ნიშნავს ერთსა და იმავე დროს რეაქციონერიც იყო და უტოპისტიც.

ან უნდა ისურვო პროგრესი უანარქიოდ, — და მაშინ აუცილებლად უნდა უარჰყო ინდივიდუალური გაცვლა იმისათვის, რომ საწარმოო ძალები შეინარჩუნო» («Das Elend der Philosophie», S. 46 — 48)[55].

უკანასკნელი სიტყვები ეხება პრუდონს, რომელსაც ავტორი ეკამათება, და, მაშასადამე, ახასიათებს თავისი თვალსაზრისის განსხვავებას როგორც სისმონდის, ისე პრუდონის შეხედულებათაგან. რა თქმა უნდა, ბ-ნი ნ. — ონი ყ ვ ე ლ ა თა-

ვისი შეხედულებით ვერ შეეგუებოდა ვერც ერთსა და ვერც მეორეს *. მაგრამ დაუკვირდით ამ ნაწყვეტის შინაარსს. რაში მდგომარეობს ციტირებული ავტორის ძირითადი დებულება, მისი მთავარი აზრი, რომელიც მას თავის წინამორბედებთან შეურიგებელ წინააღმდეგობაში აყენებს? უდავოდ, იმაში, რომ ის კაპიტალიზმის სიმკვიდრის უქონლობის საკითხს (რომელსაც სამივე ეს მწერალი ადასტურებს) ისტორიულ ნიადაგზე აყენებს და ამ სიმკვიდრის უქონლობას პროგრესულ ფაქტორად აღიარებს. სხვანაირად რომ ვთქვათ: ის აღიარებს, ჯერ-ერთი, არსებულ კაპიტალისტურ განვითარებას, რომელიც დისპროპორციის, კრიზისების და სხვათა გზით სწარმოებს, აუცილებელ განვითარებად, ამბობს რა, რომ უკვე თვით წარმოების საშუალებათა (მანქანები) ხასიათი იწვევს წარმოების გაფართოებისადმი უსაზღვრო მისწრაფებას და იმას, რომ მიწოდება მუდამ წინ უსწრებს მოთხოვნას. მეორე, ის ამ არსებულ განვითარებაში აღიარებს პროგრესის ელემენტებს, რომლებიც მდგომარეობენ საწარმოო ძალთა განვითარებაში, შრომის განსაზოგადოებაში მთელი საზოგადოების ფარგლებში, მოსახლეობის მოძრაობისა და მისი ცნობიერების გადიდებაში და სხვ. ამ ორი პუნქტით ამოიწურება მისი განსხვავება სისმონდისა და პრუდონისაგან, რომლებიც მას ემსგავსებიან «სიმკვიდრის უქონლობისა» და მისგან წარმოშობილ წინააღდეგობათა აღნიშვნით და ამ წინააღმდეგობათა მოსპობისადმი გულწრფელი მისწრაფებით. იმის გაუგებლობას, რომ ეს «სიმკვიდრის უქონლობა» ყოველგვარი კაპიტალიზმისა და საერთოდ სასაქონლო მეურნეობის აუცილებელ თვისე-

* თუმცა კიდევ დიდი საკითხია, რატომ ვერ შეეგუებოდა? მარტო იმიტომ ხომ არა, რომ ეს მწერლები საკითხებს უფრო ფართოდ აყენებდნენ, ითვალისწინებდნენ საზოგადოდ არსებულ სამეურნეო წყობას, მის ადგილსა და მნიშვნელობას მთელი კაცობრიობის განვითარებაში, არ საზღვრავდნენ თავის მსოფლმხედველობას ერთი ქვეყნით, რომლისთვისაც თითქოს შესაძლებელია განსაკუთრებული თეორიის შეთხზვა.

ბას წარმოადგენს, ისინი უტოპიამდე მიჰყავს. პროგრესის იმ ელემენტების გაუგებლობა, რომლებიც ამ სიმკვიდრის უქონლობას ახასიათებენ, მათს თეორიებს რეაქციულს ხდის*.

და ახლა წინადადებას ვაძლევთ ბატონ ნაროდნიკებს გვიპასუხონ კითხვაზე: იზიარებს თუ არა ბ-ნი ნ.--ონი მეცნიერული თეორიის შეხედულებებს ზემოხსენებულ ორ პუნქტში? სცნობს თუ არა ის სიმკვიდრის უქონლობას, როგორც არსებული წყობილებისა და არსებული განვითარების თვისებას? აღიარებს თუ არა ის პროგრესის ელემენტებს ამ სიმკვიდრის უქონლობაში? ყველამ იცის, რომ არა, რომ ბ-ნი ნ.--ონი, პირიქით, კაპიტალიზმის ამ «სიმკვიდრის უქონლობას» უბრალო არანორმალობად, გადახრად და სხვ. აცხადებს და მას სთვლის დაცემად, რეგრესად (შეად. ზევით: «სიმკვიდრეს ართმევს»), აიდეალებს თვით იმ ეკონომიურ შეფერხებას (გაიხსენეთ «საუკუნო საფუძვლები», «საუკუნეობით ნაკურთხი საწყისები» და სხვ.), რომლის დანგრევაშიც მდგომარეობს «სიმკვიდრეს მოკლებული» კაპიტალიზმის ისტორიული დამსახურება. ამიტომ ცხადია, ჩვენ სავსებით მართალი ვიყავით, როცა იგი რომანტიკოსებს მივაკუთვნეთ, და რომ მისი ვერავითარი «ციტატები» და «დამოწმებანი» ვერ შესცვლიან მის საკუთარ მსჯელობათა ასეთ ხასიათს.

ცოტა ქვემოთ ერთხელ კიდევ შევჩერდებით ამ «სიმკვიდრის უქონლობაზე» (ინდუსტრიული მოსახლეობის სასარგებ-

---

* ეს ტერმინი ისტორიულ-ფილოსოფიური აზრით იხმარება, ის მხოლოდ იმ თეორეტიკოსთა შეცდომას ახასიათებს, რომელნიც დრომოჭმულ წესწყობილებაში თავის თეორიულ დებულებათა ნიმუშებს იღებენ. ის სრულიადაც არ ეხება არც ამ თეორეტიკოსთა პირად თვისებებს, არც მათს პროგრამებს. ყველამ იცის, რომ არც სისმონდი და არც პრუდონი რეაქციონერები არ ყოფილან სიტყვის ჩვეულებრივი აზრით. ჩვენ ამ საანბანო ჭეშმარიტებებს იმიტომ განვმარტავთ, რომ ბ-ნ ნაროდნიკებს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქამდე ვერ შეუ-

ლოდ მიწათმოქმედი მოსახლეობის შემცირებისადმი რომანტიზმისა და ნაროდნიკობის მტრული დამოკიდებულების გამო), ახლა კი «პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი დებულების კრიტიკიდან» მოვიყვანთ ერთ ადგილს, სადაც განხილულია სენტიმენტალური თავდასხმები ფულად მეურნეობაზე.

«ეს გარკვეული საზოგადოებრივი როლები (სახელდობრ: გამყიდველისა და მყიდველის როლები) გამომდინარეობენ არა საერთოდ ადამიანის ინდივიდუალობიდან, არამედ იმ ადამიანთა შორის არსებული გაცვლითი ურთიერთობიდან, რომლებიც თავიანთ პროდუქტებს საქონლის ფორმით ამზადებენ. ურთიერთობა, რომელიც მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებობს, იმდენად არა ინდივიდუალურია, რომ ამ ურთიერთობას ორივენი ამყარებენ, რამდენადაც უარყოფილია მათი შრომის ინდივიდუალური ხასიათი, სახელდობრ, რამდენადაც იგი, როგორც არა ინდივიდუალური შრომა, ფულად იქცევა. ამიტომ იმდენადვე უაზრობაა მყიდველისა და გამყიდველის ამ ეკონომიურ-ბურჟუაზიული როლების აღიარება ადამიანთა ინდივიდუალიზმის საუკუნო საზოგადოებრივ ფორმებად, რამდენადაც უსამართლოა დატირება ამ როლებისა, როგორც ამ ინდივიდუალიზმის მოსპობის მიზეზისა.

თუ რა დიდად აოცებს კეთილ ადამიანებს ანტაგონიზმის ის სრულიად ზერელე ფორმაც-კი, რომელიც ყიდვა-გაყიდვაში სახიერდება, გვიჩვენებს შემდეგი ამონაწერი ისააკ პერეირას წიგნიდან: «Leçons sur l'industrie et les finances»-Paris. 1832 *. ის გარემოება, რომ ამავე ისააკს, როგორც «Crédit mobilier»-ის ** გამომგონსა და დიქტატორს, პარიზის ბირჟის მგლის სავალალო სახელი დაუვარდა, გვიჩვენებს, თუ რას შეიცავს ხსენებული წიგნი ეკონომიის სენტიმენტალურ კრიტიკასთან ერთად. ბ-ნი პერეირა, იმ ხანებში სენ-სი-

* — «ლექციები მრეწველობასა და ფინანსებზე». პარიზი. 1832. რ ე დ.

** — «მოძრავი ქონების დამგირავებელი ბანკი». რ ე დ.

მონის მოციქული, ამბობს: «იმის გამო, რომ ინდივიდუუმები ერთმანეთისაგან იზოლირებულნი, განცალკევებულნი არიან როგორც წარმოებაში, ისე მოხმარებაში, მათ შორის არსებობს მათი წარმოების პროდუქტთა გაცვლა. გაცვლის აუცილებლობიდან გამომდინარეობს საგანთა შეფარდებითი ფასეულობის განსაზღვრის აუცილებლობა. ამრიგად, ფასეულობისა და გაცვლის იდეები მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან, და თავისი ნამდვილი ფორმით ორივენი ინდივიდუალიზმსა და ანტაგონიზმს გამოხატავენ... პროდუქტთა ფასეულობის განსაზღვრა მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ არსებობს ყიდვა და გაყიდვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს ანტაგონიზმი საზოგადოების სხადასხვა წევრთა შორის. ფასზე, ფასეულობაზე ზრუნვა გვიხდება მხოლოდ იქ, სადაც ყიდვა-გაყიდვა სწარმოებს, ერთი სიტყვით, სადაც თვითეულმა ინდივიდუუმმა უნდა ი ბ რ ძ ო ლ ო ს იმისათვის, რათა მიიღოს მისი არსებობის შენარჩუნებისათვის საჭირო საგნები»» (ხსენ. თხზ., გვ. 68) [58].

იბადება კითხვა, რაში მდგომარეობს აქ პერეირას ს ე ნ ტ ი მ ე ნ ტ ა ლ ო ბ ა? ის ლაპარაკობს მხოლოდ კაპიტალიზმის დამახასიათებელ ინდივიდუალიზმზე, ანტაგონიზმზე, ბრძოლაზე, ლაპარაკობს იმასვე, რასაც ლაპარაკობენ სხვადასხვაგვარად ჩვენი ნაროდნიკები, და მასთან, თითქოს, სიმართლეს ლაპარაკობენ, ვინაიდან «ინდივიდუალიზმი, ანტაგონიზმი და ბრძოლა» მართლაც გაცვლისა და სასაქონლო მეურნეობის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენენ. სენტიმენტალობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს სენ-სიმონისტი, კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა დაგმობით გატაცებული, ამ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა ი ქ ი თ ვ ე ღ ა რ ხ ე დ ა ვ ს იმ ფაქტს, რომ გ ა ც ვ ლ ა ც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს განსაკუთრებულ ფორმას გამოხატავს, რომ ის, მაშასადამე, ა რ ა მ ა რ ტ ო ა ც ა ლ კ ე ვ ე ბ ს (ეს სწორია მხოლოდ შუასაუკუნეობრივი კავშირების მიმართ, რომელთაც კაპიტალიზმი არღვევს), ა რ ა მ ე დ ა გ რ ე თ ვ ე ა ე რ-

თიანებს ადამიანებს, აიძულებს რა მათ ურთიერთშორის კავშირი დაამყარონ ბაზრის საშუალებით *. აი გაგების სწორედ ამ ზერელეობამ, რომელიც გამოწვეულია კაპიტალიზმის «განიავების» (უტოპიური თვალსაზრისით) გატაცებით, საბაბი მისცა ზემოხსენებულ ავტორს სენტიმენტალური ეწოდებინა პერეირას კრიტიკისათვის.

მაგრამ რად გვინდა პერეირა, ეს დიდიხნის დავიწყებული სენ-სიმონიზმის დიდიხნის დავიწყებული მოციქული? უკეთესი არ იქნება ნაროდნიკობის უახლესი «მოციქული» ავიღოთ?

«წარმოებას... დაეკარგა სახალხო ხასიათი და ინდივიდუალური, კაპიტალისტური ხასიათი მიიღო» (ბ-ნი ნ. ონი, «ნარკვევები», გვ. 321 — 322).

ხედავთ, როგორ მსჯელობს ეს მორთულ-მოკაზმული რომანტიკოსი: «სახალხო წარმოება ინდივიდუალური გახდაო». ხოლო რადგანაც «სახალხო წარმოებად» ავტორს სურს თემი იგულისხმოს, ის აღნიშნავს, მაშასადამე, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის დაცემას, წარმოების საზოგადოებრივი ფორმის შევიწროებას.

მერე მართალია ეს? «თემი» იძლეოდა (თუ იძლეოდა; მაგრამ ჩვენ მზად ვართ ყოველნაირად დავუთმოთ ავტორს) წარმოების ორგანიზაციას მხოლოდ ერთ ცალკეულ თემში, რომელიც განცალკევებული იყო ყოველი სხვა თემისაგან. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი მოიცავდა მხოლოდ ერთი თემის წევრებს**. კაპიტალიზმი-კი ჰქმნის წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს მთელ სახელმწიფოში. «ინდივიდუალიზმი» საზოგადოებრივი კავშირის დარღვევაში მდგომარეობს, მაგრამ მას არღვევს ბაზა-

* სცვლის რა ადგილობრივ, წოდებრივ კავშირებს სოციალური მდგომარეობისა და სოციალური ინტერესების ერთიანობით მთელი სახელმწიფოს და მთელი მსოფლიოს ფარგლებშიც კი.

** საერობო სტატისტიკის ცნობებით (ბლაგოვეშჩენსკის «შემაჯამებელი კრებული») თემის საშუალო სიდიდე, 123 მაზრაში, 22 გუბერნიაში, უდრის 52 კომლს ორივე სქესის 323 სულით.

რი, რომელიც მის ნაცვლად ამყარებს კავშირს ინდივიდთა მასებს შორის, რომელნიც არ არიან შებორკილი არც თემით, არც წოდებით, არც პროფესიით, არც სარეწის ვიწრო რაიონით და სხვ. რადგანაც კაპიტალიზმის მიერ შექმნილი კავშირი მჟღავნდება წინააღმდეგობათა და ანტაგონიზმის ფორმით, ამიტომ ჩვენს რომანტიკოსს არ სურს დაინახოს ეს კავშირი (თუმცა თემიც, როგორც წარმოების ორგანიზაცია, არასოდეს არ არსებობდა წარმოების ძველი წესების დამახასიათებელ წინააღმდეგობათა და ანტაგონიზმის სხვა ფორმების გარეშე). უტოპიური თვალსაზრისი კაპიტალიზმის კრიტიკასაც სენტიმენტალურ კრიტიკად აქცევს.

II

რომანტიზმის წვრილბურჟუაზიული ხასიათი

წვრილი წარმოების იდეალიზაცია გვიჩვენებს რომანტიკული და ნაროდნიკული კრიტიკის მეორე დამახასიათებელ თვისებას: მის წვრილბურჟუაზიულობას. ჩვენ დავინახეთ, ფრანგმა და რუსმა რომანტიკოსმა როგორ ერთნაირად გადააქციეს წვრილი წარმოება «სოციალურ ორგანიზაციად», «წარმოების ფორმად» და იგი კაპიტალიზმს დაუპირისპირეს. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ ასეთი დაპირისპირება არ შეიცავს არაფერს, გარდა გაგების უკიდურესი ზერელობისა, რომ ეს არის სასაქონლო მეურნეობის ერთი ფორმის (მსხვილი სამრეწველო კაპიტალი) ხელოვნური და უმართებულო გამოყოფა და მისი დაგმობა და ამავე დროს იმავე სასაქონლო მეურნეობის მეორე ფორმის (წვრილი წარმოება) უტოპიური იდეალიზაცია. როგორც XIX საუკუნის დასაწყისის ევროპელი რომანტიკოსების, ისე XIX საუკუნის დასასრულის რუსი რომანტიკოსების უბედურებაც ის არის, რომ ისინი თხზავენ რაღაც აბსტრაქტულ, წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობის გარეშე მდგომ წვრილ მეურნეობას, და

ვერ ამჩნევენ იმ უმნიშვნელო გარემოებას, რომ ეს წვრილი მეურნეობა ნამდვილად სასაქონლო წარმოების პირობებშია მოქცეული, — როგორც ევროპის კონტინენტის 1820-იანი წლების წვრილი მეურნეობა, ისე რუსეთის 1890-იანი წლების გლეხური მეურნეობა. ამიტომ სინამდვილეში ის წვრილი მწარმოებელი, რომელიც ცამდე აჰყავთ რომანტიკოსებსა და ნაროდნიკებს — წვრილი ბურჟუაა, რომელიც ისეთივე წინააღმდეგობით სავსე ურთიერთობაში იმყოფება, როგორც კაპიტალისტური საზოგადოების ყოველი სხვა წევრი, რომელიც სწორედ ასევე თავს იცავს ბრძოლით; და ეს ბრძოლა, ერთის მხრივ, მუდამ გამოჰყოფს მსხვილ ბურჟუათა უმნიშვნელო უმცირესობას, ხოლო, მეორე მხრივ, უმრავლესობას პროლეტარიატის რიგებში ერეკება. სინამდვილეში, როგორც ამას ყველა ხედავს და ყველამ იცის, არ არიან ისეთი წვრილი მწარმოებლები, რომლებიც ამ ორ მოწინააღმდეგე კლასს შორის არ იდგნენ, და შუაში ყოფნის ეს მდგომარეობა განაპირობებს წვრილი ბურჟუაზიის აუცილებელ სპეციფიკურ ხასიათს, მის ორმაგობას, ორპირობას, მის მიდრეკილებას ბრძოლაში გამარჯვებული უმცირესობისადმი, მის მტრულ დამოკიდებულებას «დამარცხებულთადმი», ე. ი. უმრავლესობისადმი. რაც უფრო ვითარდება სასაქონლო მეურნეობა, მით უფრო ძლიერ და მკვეთრად აშკარავდება ეს თვისებები, მით უფრო ცხადი ხდება, რომ წვრილი წარმოების იდეალიზაცია მხოლოდ რეაქციულ, წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისს გამოხატავს.

შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ამ ტერმინების მნიშვნელობამ, რომელთაც «პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი დებულების კრიტიკის» ავტორი სწორედ სისმონდის უფარდებდა. ეს ტერმინები სრულიადაც არ ლაპარაკობენ, რომ სისმონდი ჩამორჩენილ წვრილ ბურჟუებს იცავს. სისმონდი მათ არსად არ იცავს: მას უნდა საერთოდ მშრომელი კლასების თვალსაზრისზე იდგეს, ის

თავის თანაგრძნობას უცხადებს ამ კლასთა ყველა წარმომადგენელს, ის შეჰხარის, მაგ., საფაბრიკო კანონმდებლობას, თავს ესხმის კაპიტალიზმს და ააშკარავებს მის წინააღმდეგობებს. ერთი სიტყვით, მისი თვალსაზრისი სრულიად ისეთივეა, როგორც თანამედროვე ნაროდნიკების თვალსაზრისიც.

საკითხავია, რას ემყარება მისი, როგორც წვრილი ბურჟუას, დახასიათება? სწორედ იმას, რომ მას არ ესმის კავშირი წვრილ წარმოებასა (რომელსაც აიდეალებს) და მსხვილ კაპიტალს შორის (რომელსაც თავს ესხმის). სწორედ იმას, რომ ის ვერ ხედავს, თუ მისი სანატრელი წვრილი მწარმოებელი, გლეხი, სინამდვილეში როგორ ხდება წვრილ ბურჟუად. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი განმარტება სხვადასხვა მწერლის თეორიების სხვადასხვა კლასთა ინტერესებითა და თვალსაზრისით განსაზღვრის გამო:

«არ უნდა ვიფიქროთ, რომ წვრილი ბურჟუაზია პრინციპულად ისწრაფვის განახორციელოს თავისი ეგოისტური კლასობრივი ინტერესები. პირიქით, ის დარწმუნებულია, რომ მისი განთავისუფლების სპეციალური პირობები ამავე დროს იმ საერთო პირობებს წარმოადგენენ, რომლებშიც მხოლოდ და მხოლოდ არის შესაძლებელი თანამედროვე საზოგადოების ხსნა და კლასობრივი ბრძოლის თავიდან აცილება. ასევე არ უნდა ვიფიქროთ, რომ დემოკრატიის ყველა წარმომადგენელი — მედუქნეები ან მედუქნეთა თაყვანისმცემლები არიან. თავისი განათლებით და ინდივიდუალური მდგომარეობით ისინი შეიძლება ისე დაშორებული იყვნენ მათგან, როგორც ცა დედამიწისაგან. წვრილი ბურჟუას წარმომადგენლებად მათ ხდის ის გარემოება, რომ მათ გონებას არ შეუძლია გასცილდეს იმ საზღვრებს, რომელთაც ვერ სცილდება წვრილ ბურჟუათა ცხოვრება, და ამიტომ ისინი თეორიულად იმავე ამოცანებამდე და გადაწყვეტილებებამდე მიდიან, რომელთადმი წვრილი ბურჟუა პრაქტიკულად მიჰყავს მის მატერიალურ ინტერესს და მის საზოგადოებრივ მდგომარეობას. საერთოდაც ასეთია დამოკიდებულება კლა-

სის პოლიტიკურ და ლიტერატურულ წარმომადგენლებსა და იმ კლასს შორის, რომელსაც ისინი წარმოადგენენ» (კ. მარქსი. «მეთვრამეტე ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა», თარგმანი ბაზაროვისა და სტეპანოვისა, გვ. 179 — 180)[57].

ამიტომ ძალიან სასაცილო არიან ის ნაროდნიკები, რომელნიც ფიქრობენ, რომ წვრილბურჟუაზიულობაზე მითითება ვითომ რაღაც განსაკუთრებით გესლიანი თქმის მიზნით ხდება, რომ ეს ვითომ უბრალო პოლემიკური ხერხია. ასეთი დამოკიდებულებით ისინი ააშკარავებენ მათი მოწინააღმდეგეების ზოგად შეხედულებათა გაუგებლობას, უმთავრესად კი კაპიტალიზმის თვით იმ კრიტიკის საფუძვლების გაუგებლობას, რომელსაც ყველა ისინი «ეთანხმებიან», აგრეთვე მისი სენტიმენტალური და წვრილბურჟუაზიული კრიტიკისაგან განსხვავების გაუგებლობას. მარტო იმ საკითხის გვერდის ავლის გაძლიერებული სურვილი, რომელიც ეხება კრიტიკის ამ უკანასკნელ სახეებს, მათ არსებობას დასავლეთ ევროპაში, მათს დამოკიდებულებას მეცნიერული კრიტიკისადმი, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რატომ არ სურთ ნაროდნიკებს ამ განსხვავების გაგება *.

ნათქვამი ავხსნათ მაგალითით. 1896 წლის «რუსსკაია მისლის» № 5-ის (გვ. 229 და შემდ.)[58] ბიბლიოგრაფიულ განყო-

* მაგ., ეფრუსიმ ორი სტატია დასწერა იმის შესახებ, თუ «როგორ უყურებდა კაპიტალიზმის ზრდას» სისმონდი («რ. ბ.» № 7, გვ 139), და მაინც აბსოლუტურად ვერ გაიგო სწორედ ის, თუ როგორ უყურებდა სისმონდი. «რუსსკოე ბოგატსტვოს» თანამშრომელს ვერ შეუნიშნავს სისმონდის წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისი. ხოლო რადგანაც ეფრუსი, უეჭველია, იცნობს სისმონდის; რადგანაც ის (როგორც ქვემოთ დავინახავთ) იცნობს უახლესი თეორიის სწორედ იმ წარმომადგენელს, რომელმაც ასე დაახასიათა სისმონდი; რადგანაც მასაც უნდა «თანახმა» იყოს ახალი თეორიის ამ წარმომადგენლისა, — ამიტომ მის გაუგებლობას სავსებით გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა. ნაროდნიკს არც შეეძლო რომანტიკოსში დაენახა ის, რასაც იგი ვერ ხედავს თავის თავში.

ფილებაში ლაპარაკია იმაზე, რომ ინტელიგენციაში «უკანასკნელ დროს გაჩნდა და საოცარი სისწრაფით იზრდება ჯგუფი», რომელიც პრინციპული და აშკარა მტრობით უყურებს ნაროდნიკობას. ბ-ნი რეცენზენტი მეტისმეტად მოკლედ აღნიშნავს ამ მტრული განწყობილების მიზეზებსა და ხასიათს. და არ შეიძლება მადლობით არ აღვნიშნოთ, რომ იგი ამასთანავე სრული სიზუსტით გადმოსცემს ნაროდნიკობისადმი მტრული თვალსაზრისის არსს *. ბ-ნი რეცენზენტი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს. მას არ ესმის, თუ როგორ შეიძლება კლასობრივი ინტერესებისა და სხვ. იდეებმა ხელი აგვაღებინონ «ხალხის იდეალებზე» («უბრალოდ ხ ა ლ ხ ი ს, და არა ხალხოსნური»; ibid., გვ. 229), რაც ვითომ გლეხობის, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობასა, თავისუფლებასა და შეგნებულობაში მდგომარეობს.

«რა თქმა უნდა, ამაზე გვეტყვიან, — ამბობს ბ-ნი რეცენზენტი, — როგორც სხვებსაც ეუბნებოდნენ, რომ გლეხი-ავტორის იდეალები (ლაპარაკი იყო ერთი გლეხის მიერ გამოთქმულ სურვილებზე) წვრილბურჟუაზიულია, და რომ ამიტომ ჩვენი ლიტერატურა დღემდე წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი იყო. მაგრამ ეს ხომ. უბრალო საფრთხობელაა და, გარდა ზამოსკვორეჩიეს ვაჭარი ქალის მსოფლმხედველობის და გონებრივი ჩვევების მქონე პირებისა, ვისი შეშინება შეიძლება ამ საფრთხობელათი?..»

მაგრად არის ნათქვამი! მაგრამ მოვუსმინოთ ქვევით:

«...როგორც ადამიანთა საერთო ცხოვრების პირობების, ისე შეგნებულ საზოგადოებრივ ღონისძიებათა ძირითადი კრიტერიუმი ხომ მდგომარეობს არა ეკონომიურ კატეგორი-

* რა თქმა უნდა, ეს მეტად უცნაურად მოისმის: ადამიანი იმისათვის აკო, რომ სწორად გადმოსცემს სხვის აზრებს!! მაგრამ რას იზამთ? «რუსსკოე ბოგატსტვოს» და ძველი «ნოვ. სლოვოს» ჩვეულებრივ პოლემისტებს ბ-ნ კრივენკოს და ვორონცოვს შორის ა ს ე თ ი პოლემიკა მართლაც არაჩვეულებრივი გამონაკლისია.

სის პოლიტიკურ და ლიტერატურულ წარმომადგენლებსა და იმ კლასს შორის, რომელსაც ისინი წარმოადგენენ» (კ. მარქსი. «მეთვრამეტე ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა», თარგმანი ბაზაროვისა და სტეპანოვისა, გვ. 179 — 180)[57].

ამიტომ ძალიან სასაცილო არიან ის ნაროდნიკები, რომელნიც ფიქრობენ, რომ წვრილბურჟუაზიულობაზე მითითება ვითომ რაღაც განსაკუთრებით გესლიანი თქმის მიზნით ხდება, რომ ეს ვითომ უბრალო პოლემიკური ხერხია. ასეთი დამოკიდებულებით ისინი ააშკარავებენ მათი მოწინააღმდეგეების ზოგად შეხედულებათა გაუგებლობას, უმთავრესად კი კაპიტალიზმის თვით იმ კრიტიკის საფუძვლების გაუგებლობას, რომელსაც ყველა ისინი «ეთანხმებიან», აგრეთვე მისი სენტიმენტალური და წვრილბურჟუაზიული კრიტიკისაგან განსხვავების გაუგებლობას. მარტო იმ საკითხის გვერდის ავლის გაძლიერებული სურვილი, რომელიც ეხება კრიტიკის ამ უკანასკნელ სახეებს, მათ არსებობას დასავლეთ ევროპაში, მათს დამოკიდებულებას მეცნიერული კრიტიკისადმი, თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რატომ არ სურთ ნაროდნიკებს ამ განსხვავების გაგება*.

ნათქვამი ავხსნათ მაგალითით. 1896 წლის «რუსსკაია მისლის» № 5-ის (გვ. 229 და შემდ.)[58] ბიბლიოგრაფიულ განყო-

* მაგ., ეფრუსიმ ორი სტატია დასწერა იმის შესახებ, თუ «როგორ უყურებდა კაპიტალიზმის ზრდას» სისმონდი («რ. ბ.» № 7, გვ 139), და მაინც აბსოლუტურად ვერ გაიგო სწორედ ის, თუ როგორ უყურებდა სისმონდი. «რუსსკოე ბოგატსტვოს» თანამშრომელს ვერ მეუნიშნავს სისმონდის წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისი. ხოლო რადგანაც ეფრუსი, უეჭველია, იცნობს სისმონდის; რადგანაც ის (როგორც ქვემოთ დავინახავთ) იცნობს უახლესი თეორიის სწორედ იმ წარმომადგენელს, რომელმაც ასე დაახასიათა სისმონდი; რადგანაც მასაც უნდა «თანახმა» იყოს ახალი თეორიის ამ წარმომადგენლისა, — ამიტომ მის გაუგებლობას სავსებით გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა. ნაროდნიკს არც შეეძლო რომანტიკოსში დაენახა ის, რასაც იგი ვერ ხედავს თავის თავში.

ფილებაში ლაპარაკია იმაზე, რომ ინტელიგენციაში «უკანასკნელ დროს გაჩნდა და საოცარი სისწრაფით იზრდება ჯგუფი», რომელიც პრინციპული და აშკარა მტრობით უყურებს ნაროდნიკობას. ბ-ნი რეცენზენტი მეტისმეტად მოკლედ აღნიშნავს ამ მტრული განწყობილების მიზეზებსა და ხასიათს, და არ შეიძლება მადლობით არ აღვნიშნოთ, რომ იგი ამასთანავე სრული სისწორით გადმოსცემს ნაროდნიკობისადმი მტრული თვალსაზრისის არსს *. ბ-ნი რეცენზენტი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს. მას არ ესმის, თუ როგორ შეიძლება კლასობრივი ინტერესებისა და სხვ. იდეებმა ხელი აგვაღებინონ «ხალხის იდეალებზე» («უბრალოდ ხ ა ლ ხ ი ს, და არა ხალხოსნურ»; **ibid.**, გვ. 229), რაც ვითომ გლეხობის, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობასა, თავისუფლებასა და შეგნებულობაში მდგომარეობს.

«რა თქმა უნდა, ამაზე გვეტყვიან, — ამბობს ბ-ნი რეცენზენტი, — როგორც სხვებსაც ეუბნებოდნენ, რომ გლეხი-ავტორის იდეალები (ლაპარაკი იყო ერთი გლეხის მიერ გამოთქმულ სურვილებზე) წვრილბურჟუაზიულია, და რომ ამიტომ ჩვენი ლიტერატურა დღემდე წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების წარმომადგენელი და დამცველი იყო. მაგრამ ეს ხომ, უბრალო საფრთხობელაა და, გარდა ზამოსკვორეჩიეს ვაჭარი ქალის მსოფლმხედველობის და გონებრივი ჩვევების მქონე პირებისა, ვისი შეშინება შეიძლება ამ საფრთხობელათი?..»

მაგრად არის ნათქვამი! მაგრამ მოვუსმინოთ ქვევით:

«...როგორც ადამიანთა საერთო ცხოვრების პირობების, ისე შეგნებულ საზოგადოებრივ ღონისძიებათა ძირითადი კრიტერიუმი ხომ მდგომარეობს არა ეკონომიურ კატეგორი-

* რა თქმა უნდა, ეს მეტად უცნაურად მოისმის: ადამიანი იმისათვის აქო, რომ სწორად გადმოსცემს სხვის აზრებს!! მაგრამ რას იზამთ? «რუსსკოე ბოგატსტვოს» და ძველი «ნოვ. სლოვოს» ჩვეულებრივ პოლემისტებს ბ-ნ კრივენკოს და ვორონცოვს შორის ა ს ე თ ი პოლემიკა მართლაც არაჩვეულებრივი ვამონაკლისია.

ებში, რომელნიც ამასთანავე გადმოღებულია ქვეყნისთვის უცხო, სხვა ვითარებაში ჩამოყალიბებული, პირობებიდან, არამედ მოსახლეობის უმრავლესობის როგორც მატერიალურ, ისე სულიერ კეთილდღეობასა და ბედნიერებაში. და თუ ცხოვრების გარკვეული წყობა და გარკვეული ღონისძიებანი ასეთი წყობის შესანარჩუნებლად და გასავითარებლად იწვევენ ამ ბედნიერებას, წვრილბურჟუაზიულს უწოდებთ მათ თუ სხვა რამეს, — საქმე ამით არ შეიცვლება: ყოველივე ეს — ცხოვრების ეს წყობა და ეს ღონისძიებანი — არსებითად მაინც პროგრესული იქნებიან და სწორედ ამიტომ წარმოადგენენ უმაღლეს იდეალს, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის არსებულ პირობებში და არსებულ მდგომარეობაში» (in., გვ. 229 — 230, ხაზგასმა ავტორისაა).

ნუთუ ბ-ნი რეცენზენტი ვერ ხედავს, რომ ის, პოლემიკური ენით გატაცებული, საკითხს გადაახტა?

ნაროდნიკობისათვის წვრილბურჟუაზიულობის დაბრალებას იგი დიდი სისასტიკით ნათლავს «უბრალო საფრთხობელად» და ასეთი მტკიცების საბუთად მას არაფერი არ მოჰყავს, გარდა შემდეგი, მეტისმეტად გასაოცარი დებულებისა: «კრიტერიუმი... მდგომარეობს არა ეკონომიურ კატეგორიებში, არამედ უმრავლესობის ბედნიერებაში». მაგრამ ეს ხომ იგივეა, რომ ვთქვათ: ამინდის კრიტერიუმი მდგომარეობს არა მეტეოროლოგიურ დაკვირვებაში, არამედ უმრავლესობის განწყობილებაში! ერთი ვიკითხოთ, რა არის ეს «ეკონომიური კატეგორიები», თუ არ მეცნიერული ფორმულირება მოსახლეობის მეურნეობის და ცხოვრების პირობებისა და ამასთან არა საზოგადოდ «მოსახლეობისა», არამედ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისა, რომლებსაც გარკვეული ადგილი უჭირავთ საზოგადოებრივი მეურნეობის არსებულ წყობაში? როდესაც ბ-ნი რეცენზენტი «ეკონომიურ კატეგორიებს» უპირდაპირებს უაღრესად აბსტრაქტულ დებულებას «უმრავლესობის ბედნიერების» შესახებ, იგი ამით

პირდაპირ შლის მთელი საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებას გასული საუკუნის დასასრულიდან და უბრუნდება გულუბრყვილო რაციონალისტურ სპეკულაციას, რომელიც უგულებელჰყოფს გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და მის განვითარებას. კალმის ერთი მოსმით შლის ყოველივეს, რისთვისაც საუკუნო ძიების ფასად მიუღწევია ადამიანის გონებას, რომელიც მიისწრაფოდა გ ა ე გ ო საზოგადოებრივი მოვლენები! და ბ-ნი რეცენზენტი, რომელმაც, ამრიგად, თავი გაითავისუფლა ყოველგვარი მეცნიერული ავლადიდებისაგან, ს ა კ ი თ ხ ს უ კ ვ ე გ ა დ ა ჭ რ ი ლ ა დ ს თ ვ ლ ი ს. მართლაც, ის პირდაპირ ასკვნის: «თუ გარკვეულ წყობას... მივყავართ ამ ბედნიერებისაკენ, მაშინ, რაც უნდა უწოდოთ მას, ამით საქმე არ შეიცვლებაო». ერიჰა! საკითხი ხომ სწორედ ის იყო, თ უ რ ო გ ო რ ი ა ეს წყობა. ავტორმა ხომ ეს-ეს არის თვითონვე აღნიშნა, რომ იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომელნიც გლეხურ მეურნეობაში განსაკუთრებულ წყობას («სახალხო წარმოებას» ან რაც გინდათ) ხედავენ, გაილაშქრეს სხვებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეს სულაც არ არის განსაკუთრებული წყობა, არამედ სრულიად ჩვეულებრივი წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი წყობაა, ისეთივე, როგორიც არის ყოველი სხვა წვრილი წარმოების წყობა სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის ქვეყანაში. თუ პირველი შეხედულებიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ «ამ წყობას» («სახალხო წარმოებას») «ბედნიერებისაკენ მივყავართ», მაშინ მეორე შეხედულებიდანაც თავისთავად გამომდინარეობს, რომ «ამ წყობას» (წვრილბურჟუაზიულ წყობას) მივყავართ კაპიტალიზმისაკენ და არსად სხვაგან, მივყავართ «მოსახლეობის უმრავლესობის» განდევნისაკენ პროლეტარიატის რიგებში და უმცირესობის გადაქცევისაკენ სოფლის (ან სამრეწველო) ბურჟუაზიად. განა ცხადი არ არის, რომ ბ-ნმა რეცენზენტმა ჰაერში გაისროლა და, სროლის ხმაურში, დამტკიცებულად მიიღო სწორედ ის, რის უარყოფასაც შეიცავს მეორე შეხედულება, რომელიც ესოდენ

მწყრალად არის გამოცხადებული «უბრალო საფრთხობელად»?

მას რომ სურვილი ჰქონოდა სერიოზულად გაერკვია მეორე შეხედულება, ცხადია, ორში ერთი უნდა დაემტკიცებინა: ან ის, რომ «წვრილი ბურჟუაზია» უმართებულო მეცნიერული კატეგორიაა, რომ შეიძლება წარმოვიდგინოთ კაპიტალიზმი და სასაქონლო მეურნეობა წვრილი ბურჟუაზიის გ ა რ ე შ ე (როგორც ეს წარმოუდგენიათ ბატონ ნაროდნიკებს, რომელნიც ამით სავსებით უბრუნდებიან სისმონდის თვალსაზრისს); ა ნ დ ა ის, რომ ეს კატეგორია რუსეთს ა რ ე დ გ ე ბ ა, ე. ი., რომ ჩვენში არ არის არც კაპიტალიზმი, არც სასაქონლო მეურნეობის ბატონობა, რომ წვრილი მწარმოებელნი არ ხდებიან საქონლის მწარმოებლებად, რომ მათ წრეში არ სწარმოებს ზემოხსენებული პროცესი უმრავლესობის განდევნისა და უმცირესობის «დამოუკიდებლობის» განმტკიცებისა. ახლა კი, როცა ვხედავთ, რომ მას ნაროდნიკობის წვრილბურჟუაზიულობის აღნიშვნა ბატონ ნაროდნიკების «წყენინების» უბრალო სურვილად მიაჩნია, და ამის შემდეგ ვკითხულობთ ზემომოყვანილ ფრაზას «საფრთხობელაზე», ჩვენ უნებურად გვაგონდება ცნობილი გამოთქმა: «რას ბრძანებთ, კიტ კიტიჩ! თქვენ ვინ გაწყენინებთ? — თქვენ თვითონ ვისაც გინდათ აწყენინებთ!»

III

მიწათმოქმედი მოსახლეობის ხარჯზე ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდის საკითხი

დავუბრუნდეთ სისმონდის. წვრილი ბურჟუაზიის იდეალიზაციასთან ერთად, რომანტიკულ გაუგებლობასთან ერთად, თუ როგორ იქცევა «გლეხობა» წვრილ ბურჟუაზიად მეურნეობის არსებული საზოგადოებრივი წყობის დროს, სისმონდის მეტად დამახასიათებელი შეხედულება აქვს ინდუსტრიული მოსახლეობის სასარგებლოდ მიწათმოქმედი მოსახლეობის შემცირებაზე. ცნობილია, რომ ამ მოვლენას — ქვეყნის

კაპიტალისტური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უფრო რელიეფურ გამოვლინებას — ჩვენ ვხედავთ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, და აგრეთვე რუსეთშიც *.

ცხადია, სისმონდის, როგორც თავისი დროის გამოჩენილ ეკონომისტს, არ შეეძლო ეს ფაქტი არ დაენახა. ის აშკარად ადასტურებს მას, მაგრამ სრულიად არ ესმის მისი აუცილებელი კავშირი კაპიტალიზმის განვითარებასთან (კიდევ უფრო ზოგადად: საზოგადოებრივი შრომის დანაწილებასთან, ამ მოვლენით გამოწვეულ სასაქონლო მეურნეობის ზრდასთან). ის პირდაპირ ჰ კ ი ც ხ ა ვ ს ამ მოვლენას, როგორც «სისტემის» რომელიმე ნაკლს.

აღნიშნავს რა ინგლისის მიწათმოქმედების უდიდეს პროგრესს, სისმონდი ამბობს:

«მაგრამ, ამ ესოდენ მზრუნველობით დამუშავებული მინდვრებით აღტაცების დროს, უნდა გადახედოთ მოსახლეობასაც, რომელიც მათ ამუშავებს; იგი სანახევროდ ნაკლებია იმ მოსახლეობაზე, რომელიც საფრანგეთში იქნებოდა ასეთსავე ტერიტორიაზე. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ეს — მოკვეგბაა; ჩემი აზრით კი — ეს წაგებაა» (I, 239).

ცხადია, რატომ სთვლიდნენ ბურჟუაზიის იდეოლოგები ამ მოვლენას მოგებად (ჩვენ ახლავე დავინახავთ, რომ ა ს ე თ ი ვ ე შეხედულებისა არის კაპიტალიზმის მეცნიერული კრიტიკაც): ამით ისინი გამოხატავდნენ ბურჟუაზიული სიმდიდრის, ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდას. სისმონდი

* ევროპის რუსეთში ქალაქის მოსახლეობის პროცენტი იზრდება რეფორმისშემდგომ ეპოქაში. ჩვენ აქ უნდა დავჯერდეთ ამ ყველაზე უფრო საყოველთაოდ ცნობილ ნიშანზე მითითებას, თუმცა ის ს ა ვ ს ე ბ ი თ ვ ე რ გამოხატავს მოვლენას, არ მოიცავს რუსეთის მნიშვნელოვან თავისებურებებს დასავლეთ ევროპასთან შედარებით. აქ უადგილო იქნება გავარჩიოთ ეს თავისებურებანი (გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლების უქონლობა გლეხთათვის, სამრეწველო და საფაბრიკო სოფლების არსებობა, ქვეყნის შინაგანი კოლონიზაცია და სხვ.).

იჩქარის ამ მოვლენის დაგმობას და სრულიად არ ფიქრობს მის მიზეზებზე.

«საფრანგეთსა და იტალიაში, — ამბობს ის, — სადაც, როგორც ვარაუდობენ, მოსახლეობის ოთხი მეხუთედი მიწათმოქმედ კლასს ეკუთვნის, ერის ოთხი მეხუთედი ნაციონალური პურით გამოიკვებება, როგორიც არ უნდა იყოს უცხოეთის პურის ფასი» (I, 264). Fuit Troja! შეიძლება ითქვას ამის გამო. დღეს უკვე აღარ არსებობს ისეთი (თუნდაც ყველაზე უფრო მიწათმოქმედი) ქვეყნები, რომელნიც არ იყვნენ სავსებით დამოკიდებულნი პურის ფასებზე, ე. ი. პურის მსოფლიო კაპიტალისტურ წარმოებაზე.

«თუ ერს არ შეუძლია თავისი ვაჭარი მოსახლეობა გაადიდოს ისე, რომ თვითეულს არ მოსთხოვოს შრომის მეტი რაოდენობა იმავე ქირაზე, მაშინ იგი უნდა უფრთხოდეს თავისი ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდას» (I, 322). როგორც მკითხველი ხედავს, ეს უბრალო კეთილსასურველი რჩევაა, მოკლებული ყოველგვარ აზრსა და მნიშვნელობას, ვინაიდან «ერის» ცნება აქ ემყარება იმ კლასთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა ხელოვნურ აბსტრაქციას, რომელნიც ამ «ერს» შეადგენენ. სისმონდი, როგორც ყოველთვის, თავს არიდებს ლაპარაკს ამ წინააღმდეგობებზე და მხოლოდ გულუბრყვილო სურვილს გამოსთქვამს... რომ წინააღმდეგობანი არ იყოს.

«ინგლისში მიწათმოქმედებას მისდევს მხოლოდ 770 199 ოჯახი, ვაჭრობასა და მრეწველობას — 959 632, საზოგადოების დანარჩენი ნაწილი შეადგენს — 413 316. ყველა 2 143 147 ოჯახზე ანუ 10 150 615 სულზე რომ სავაჭრო სიმდიდრით მცხოვრები მოსახლეობის ესოდენ დიდი წილი მოდის, ეს ჭეშმარიტად საშინელებაა (effrayante). საბედნიეროდ, საფრანგეთი კიდევ შორსაა იმ მდგომარეობიდან, რომ მუშათა ესოდენ დიდი რაოდენობა შორეულ ბაზარზე მიღწეულ წარმატებათაგან იყოს დამოკიდებული» (I, 434). აქ სისმონდის თითქოს ავიწყდება კიდეც, რომ ეს «ბედნიერება» მხოლოდ

საფრანგეთის კაპიტალისტური განვითარების ჩამორჩენილობაზეა დამოკიდებული.

სისმონდი გვისურათებს თანამედროვე წყობილების იმ ცვლილებებს, რომელნიც მისი შეხედულებით «სასურველია» (მათ შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი), და აღნიშნავს, რომ «შედეგი (რომანტიკული ხასიათის გარდაქმნებისა) უეჭველად ის იქნებოდა, რომ არა ერთი ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ინდუსტრიით ცხოვრობს, იძულებული გახდებოდა ზედიზედ დაეხურა მრავალი სახელოსნო, და რომ ქალაქების უზომოდ გაზრდილი მოსახლეობა სწრაფად დაიკლებდა, მაშინ როდესაც სოფლის მოსახლეობა მატებას დაიწყებდა» (II, 367).

ეს მაგალითი განსაკუთრებული სიმკვეთრით ააშკარავებს კაპიტალიზმის სენტიმენტალური კრიტიკის უმწეობას და წვრილი ბურჟუის უძლურ წყენას! სისმონდი პირდაპირ წ უ წ უ ნ ე ბ ს* იმის გამო, რომ საქმის ვითარება ასეთია და **არა** სხვანაირი. მისი სევდა სოფლის მოსახლეობის პატრიარქალური სიჩლუნგისა და დაბეჩავების ედემის დანგრევის გამო იმდენად დიდია, რომ ჩვენი ეკონომისტი მოვლენის მიზეზებსაც ველარ არჩევს. ამიტომ ის ვერ ხედავს, რომ ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდა აუცილებელ და განუყრელ კავშირშია სასაქონლო მეურნეობასა და კაპიტალიზმთან. სასაქონლო მეურნეობა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარების შესაბამისად ვითარდება. შრომის ეს დანაწილება კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მრეწველობის დარგები, ნედლი პროდუქტის დამუშავების სხვადასხვა სახე ზედიზედ გ ა მ ო ე ყ ო ფ ი ა ნ მიწათმოქმედებას, დამოუკიდებელნი ხდებიან და, მაშასადამე, ჰქმნიან ინდუსტრიულ მოსახლეობას. ამიტომ ვინც სასაქონლო მეურნეობასა და კაპიტალიზმზე მსჯელობს და მხედველობაში არ იღებს ინდუსტრიული მო-

* «ეს მიმართულება (სახელდობრ წვრილბურჟუაზიული კრიტიკის მიმართულება, რომლის მეთაური იყო სისმონდი) თავის მერმინდელ განვითარებაში გადაიქცა ლაჩრულ წუწუნად საქმეთა თანამედროვე ვითარების შესახებ» [50].

სახლეობის შეფარდებითი ზრდის კანონს, — მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს საზოგადოებრივი მეურნეობის ა რ ს ებ უ ლ ი წყობის ძ ი რ ი თ ა დ თვისებებზე.

«წარმოების კაპიტალისტური წესი, თვით მისი ბუნების გამო, მუდამ ამცირებს მიწათმოქმედ მოსახლეობას არამიწათმოქმედ მოსახლეობასთან შედარებით, ვინაიდან ინდუსტრიაში (სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) ცვალებად კაპიტალთან შედარებით მუდმივი კაპიტალის ზრდა ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტურ ზრდასთან არის დაკავშირებული, მიუხედავად მისი შედარებითი შემცირებისა *. მიწათმოქმედებაში კი აბსოლუტურად მცირდება ცვალებადი კაპიტალი, რომელიც საჭიროა მიწის განსაზღვრული რაოდენობის ექსპლუატაციისთვის; მაშასადამე, ეს კაპიტალი გაიზრდება მხოლოდ იმ პირობით, თუ ახალი მიწები დამუშავდება **, ხოლო ეს თავის მხრივ არამიწათმოქმედი მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ ზრდას გულისხმობს» (III, 2, 177) [60].

უახლესი თეორიის თვალსაზრისი ამ პუნქტშიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება რომანტიზმს მისი სენტიმენტალური წუწუნითურთ. ბუნებრივია, მოვლენის აუცილებლობის შეგნება იწვევს სრულიად სხვანაირ დამოკიდებულებას მისდამი, მისი

---

* მკითხველს ამის მიხედვით შეუძლია განსაჯოს გონებამახვილობა ბ-ნ ნ.—ონისა, რომელიც თავის «ნარკვევებში» ცვალებადი კაპიტალისა და მუშათა რაოდენობის შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ს შემცირებას უყოყმანოდ აქცევს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ შემცირებად და აქედან მრავალი ყოვლად უაზრო დასკვნა გამოაქვს შინაური ბაზრის «შემცირების» შესახებ და სხვ.

** ი სწორედ ეს პირობა გვქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდით, რომ რუსეთის შინაგანი კოლონიზაცია ართულებს ინდუსტრიული მოსახლეობის მეტი ზრდის კანონის გამოვლინებას. საკმარისია მოვიგონოთ განსხვავება რუსეთის დიდი ხნის დასახლებულ ცენტრსა, სადაც ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდა ხდებოდა უფრო საფაბრიკო დაბა-სოფლების, ვიდრე ქალაქების ხარჯზე, და თუნდაც ნოვოროსიას შორის, რომელიც რეფორმისშემდგომ ხანაში დასახლდა და სადაც ქალაქთა ზრდა ამერიკული სისწრაფით სწარმოებს. ამ საკითხის უფრო დაწვრილებით გარჩევას ჩვენ ვიმედოვნებთ სხვა ადგილას.

სხვადასხვა მხარის დაფასების უნარს. მოვლენა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, კაპიტალისტური წყობილების ერთ-ერთ ყველაზე ღრმა და ყველაზე ზოგად წინააღმდეგობას წარმოადგენს. ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან, მათ შორის წინააღმდეგობა და ქალაქის მიერ სოფლის ექსპლუატაცია — მზარდი კაპიტალიზმის ეს მუდმივი თანამგზავრი — აუცილებელი პროდუქტია «სავაჭრო სიმდიდრის» (სისმონდის თქმით) უპირატესობისა «საადგილმამულო» (სასოფლო-სამეურნეო) «სიმდიდრეზე». ამიტომ სოფელზე ქალაქის უპირატესობა (ეკონომიური, პოლიტიკური, ინტელექტუალური მხრივ და ყველა სხვა მხრივაც) საყოველთაო და აუცილებელი მოვლენაა ყველა ქვეყანაში, სადაც შემოსულია სასაქონლო წარმოება და კაპიტალიზმი, მათ შორის რუსეთშიც: ამ მოვლენის დატირება მხოლოდ სენტიმენტალურ რომანტიკოსებს შეუძლიათ. მეცნიერული თეორია, პირიქით, აღნიშნავს იმ პ რ ო გ რ ე ს უ ლ მხარეს, რომელიც ამ წინააღმდეგობაში შეაქვს მსხვილ სამრეწველო კაპიტალს. «ქალაქის მოსახლეობის მუდმივ მზარდ სიჭარბესთან ერთად, მოსახლეობისა, რომელსაც კაპიტალისტური წარმოება თავს უყრის მსხვილ ცენტრებში, ის აგროვებს ისტორიულ ძალას საზოგადოების წინ წასაყვანად»[1] (die geschichtliche Bewegungskraft der Gesellschaft)*. თუ ქალაქის უპირატესობა აუცილებელია, მხოლოდ ქალაქებში მოსახლეობის მიზიდვას შეუძლია უვნებელჰყოს (და, მართლაც, როგორც ისტორია ამტკიცებს, უვნებელჰყოფს) ამ უპირატესობის ცალმხრივი ხასიათი. თუ ქალა-

* შეად. აგრეთვე განსაკუთრებით რელიეფური დახასიათება ინდუსტრიული ცენტრების პროგრესული როლისა მოსახლეობის გონებრივ განვითარებაში: « Die Lage der arbeit. Klasse in England ». 1845[2]. ამ როლის აღიარებამ «ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობის» ავტორს რომ ხელი არ შეუშალა კარგად გაეგო სოფლისგან ქალაქის გამოყოფაში გამოაშკარავებული წინააღმდეგობა — ამას ამტკიცებს მისი პოლემიკური თხზულება დიურინგის წინააღმდეგ.

ქი თავის თავს აუცილებელ პრივილეგიურ მდგომარეობას უქმნის, ხოლო სოფელს სტოვებს დამორჩილებულს, განუვითარებელს, უმწეოსა და დაბეჩავებულს, მაშინ სოფლის მოსახლეობის უმწეო მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მოსახლეობის დენას ქალაქებისკენ, მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედი და არამიწათმოქმედი მოსახლეობის შერევასა და შეერთებას. ამიტომ პასუხად რომანტიკოსთა რეაქციული წუწუნისა და დრტვინვისა, უახლესი თეორია მიგვითითებს იმაზე, თუ მიწათმოქმედი და არამიწათმოქმედი მოსახლეობის ცხოვრების პირობების სწორედ ეს დაახლოება როგორ ჰქმნის პირობებს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობის მოსასპობად.

ახლა ვიკითხოთ, რა თვალსაზრისზე დგანან ამ საკითხში ჩვენი ეკონომისტი-ნაროდნიკები? უეჭველად სენტიმენტალურ-რომანტიკულზე. მათ არათუ არ ესმით ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდის აუცილებლობა საზოგადოებრივი მეურნეობის არსებულ წყობაში, არამედ კიდევაც ცდილობენ არ დაინახონ თვით ეს მოვლენა, ემსგავსებიან რა ერთ ფრინველს, რომელიც თავს ფრთის ქვეშ იმალავს. ჰ. სტრუვეს მითითება, რომ კაპიტალიზმის შესახებ ბ-ნ ნ. — ონის მსჯელობაში უხეშ შეცდომას წარმოადგენს ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტური შემცირების მტკიცება («კრიტიკული შენიშვნები», გვ. 255), რომ უაზროობაა ინდუსტრიული მოსახლეობის ნაკლები პროცენტის მიხედვით დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირება და ამავე დროს კაპიტალიზმის განვითარების გამო ამ პროცენტის ზრდის უყურადღებოდ დატოვება* («Sozialpolitisches

* გაიხსენოს მკითხველმა, რომ სისმონდი სწორედ ამ შეცდომას უშვებდა, როცა ლაპარაკობდა საფრანგეთის «ბედნიერებაზე» მისი 80% მიწათმოქმედი მოსახლეობით, თითქოს ეს რომელიღაც «სახალხო წარმოების» და სხვ. თავისებურება იყო და არა კაპიტალიზმის განვითარების ჩამორჩენილობის გამოხატულება.

Centralblatt » *, 1893, № 1), როგორც მოსალოდნელი იყო, უპასუხოდ დარჩა. ეკონომისტმა-ნაროდნიკებმა, რომლებიც მუდამ რუსეთის თავისებურებებზე ლაპარაკობენ, ისიც კი ვერ შესძლეს, რომ დაეყენებინათ საკითხი იმის შესახებ, თუ რა ნამდვილი თავისებურებანი ახასიათებს რუსეთში ინდუსტრიული მოსახლეობის წარმოშობას **, რომელიც ზემოთ მოკლედ აღვნიშნეთ. ასეთია ნაროდნიკების თეორიული დამოკიდებულება საკითხისადმი. მაგრამ ნამდვილად, როცა რეფორმისშემდგომი სოფლის გლეხთა მდგომარეობაზე მსჯელობენ და თეორიული ეჭვებით არ არიან შებოჭილი, ნაროდნიკები აღიარებენ, რომ მიწათმოქმედებიდან გაძევებული გლეხობა ესახლება ქალაქებსა და საფაბრიკო ცენტრებში და ამასთანავე მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ ამ მოვლენას დასტირიან, სწორედ ისევე, როგორც დასტიროდა მას სისმონდი ***. მოსახლეობის მასების

* — «ცენტრალური სოციალურ-პოლიტიკური ფურცელი». რედ.

** შეად. ვოლგინი. «ნაროდნიკობის დასაბუთება ბ-ნ ვორონცოვის შრომებში». სპბ. 1896, გვ. 215 — 216.

*** სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ როცა სისმონდი რამდენსამე ქვეყანაში ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდას უკვირდება და ამ მოვლენის ზოგად ხასიათს აღიარებს, ალაგ-ალაგ იჩენს იმის გაგებას, რომ ეს რაიმე «ანომალია» და სხვ. კი არ არის, არამედ მოსახლეობის ცხოვრების პირობების ღრმად შეცვლაა, — შეცვლა, რომელშიც ძალაუნებურად უნდა აღინიშნოს ცოტაოდენი კარგი მხარეც. ყოველ შემთხვევაში, მისი შემდეგი მსჯელობა შრომის დანაწილების მავნებლობაზე გაცილებით უფრო ღრმა შეხედულებას შეიცავს, ვიდრე შეხედულება, მაგ., ბ-ნ მიხაილოვსკისა, რომელმაც ზოგადი «პროგრესის ფორმულა» შეთხზა იმის ნაცვლად, რომ ანალიზი გაეკეთებინა განსაზღვრული ფორმებისათვის, რომელთაც შრომის დანაწილება იღებს საზოგადოებრივი მეურნეობის სხვადასხვა ფორმაციაში და განვითარების სხვადასხვა ეპოქაში.

«თუმცა ოპერაციების ერთგვაროობამ, რომელსაც შეიცავს მუშების ყოველგვარი მოქმედება ფაბრიკაში, როგორც სჩანს, უნდა ავნოს მათს განვითარებას (intelligence), მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საუკეთესო მსაჯულთა (juges, მცოდნეთა) დაკვირვებით, ინგლისის მანუფაქტურის მუშები განვითარებით, განჯთლებითა და ზნეობით მიწათ-

ცხოვრების პირობათა გარდაქმნის ის ღრმა პროცესი, რომელიც რეფორმისშემდგომ რუსეთში სწარმოებდა, — პროცესი, რომელმაც პირველად დაარღვია გლეხობის ბინადრობა და ადგილზე მიმაგრება, აამოძრავა იგი და ერთმანეთს დაუახლოვა მიწათმოქმედი და არამიწათმოქმედი, სოფლისა და ქალაქის მუშები *, — მათ სრულიად შეუმჩნეველი დარჩათ როგორც ეკონომიური, ისე (შეიძლება გაცილებით უფრო საყურადღებო) მორალური და საგანმანათლებლო მნიშვნელობით, რაც მხოლოდ საბაბს აძლევდა მათ სენტიმენტალურ-რომანტიკული ოხვრისათვის.

მოქმედ მუშებზე (ouvriers des champs) მაღლა დგანან» (I, 397). სისმონდი აღნიშნავს ამის მიზეზებს: Vivant sans cesse ensemble, moins épuisés par la fatigue, et pouvant se livrer davantage à la conversation, les idées ont circulé plus rapidement entre eux (იმის მეოხებით, რომ ისინი გამუდმებით ერთად ცხოვრობდნენ, ნაკლებად იქანცებოდნენ შრომით, მეტი საშუალებაც ჰქონდათ ერთმანეთთან ებაასნათ, მათ შორის იდეები უფრო ჩქარა ვრცელდებოდა. რ ე დ.). მაგრამ — მელანქოლიურად შენიშნავს იგი — aucun attachement à l'ordre établi (არავითარი სიყვარული არსებული წესწყობილებისადმი. რ ე დ.).

* ამ პროცესის ფორმაც ევროპის რუსეთის ცენტრალური ზოლისა და განაპირა ქვეყნებისათვის სხვადასხვაა. გ ა ნ ა პ ი რ ა ქ ვ ე ყ ნ ე ბ შ ი მიდიან, უმთავრესად, მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი მუშები შუა-შავნიადაგიანი გუბერნიებიდან და ნაწილობრივ ა რ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი მუშები სამრეწველო გუბერნიებიდან, — ისინი ავრცელებენ «ხელოსნობის» ცოდნას და «ნერგავენ» მრეწველობას წმინდა მიწათმოქმედ მოსახლეობაში. ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ზ ო ლ ი დ ა ნ მიდიან ა რ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი მუშები, ზოგი რუსეთის ყველა კუთხეში, უმთავრესად კი დედაქალაქებსა და მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში, — ამასთან ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინდუსტრიული მიმდინარეობა იმდენად ძლიერია, რომ ნაკლებობა ჩნდება მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ი მუშებისა, რომელნიც ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო გ უ ბ ე რ ნ ი ე ბ შ ი (მოსკოვის, იაროსლავლის და სხვ.) მიდიან შუა-შავნიადაგიანი გუბერნიებიდან. იხ. ს. ა. კოროლენკო, «ნებით დაქირავებული შრომა და სხვ.».

IV

რომანტიზმის პრაქტიკული სურვილები

ახლა ვეცდებით შევაჯამოთ სისმონდის საერთო თვალსაზრისი კაპიტალიზმზე (როგორც მკითხველს ეხსომება, ასეთივე ამოცანა ჰქონდა დასახული ეფრუსისაც) და განვიხილოთ რომანტიზმის პრაქტიკული პროგრამა.

როგორც დავინახეთ, სისმონდის ღვაწლი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მ ი გ ვ ი თ ი თ ა კაპიტალიზმის წინააღმდეგობებზე. მაგრამ, მიგვითითა რა ამაზე, მან არათუ სცადა გაეკეთებინა მათი ანალიზი და განემარტა მათი წარმოშობა, განვითარება და ტენდენცია, არამედ მასში დაინახა ბუნებისაწინააღმდეგო ანუ მცდარი გადახრა ნორმიდან. ამ «გადახრათა» წინააღმდეგ ის გულუბრყვილოდ ილაშქრებდა სენტენციებით, ამხელდა მათ, რჩევა-დარიგებებით ცდილობდა მათს მოსპობას და სხვ., თითქოს ეს წინააღმდეგობანი არ გამოხატავდნენ მოსახლეობის იმ რეალური ჯგუფების რ ე ა ლ უ რ ი ნ ტ ე რ ე ს ებ ს, რომელთაც გარკვეული ადგილი უკავიათ თანამედროვე საზოგადოებრივი მეურნეობის საერთო წყობაში. ეს — რომანტიზმის ყველაზე უფრო რელიეფური თვისებაა: ინტერესთა წინააღმდეგობის (რაც ღრმად ფესვგადგმულია თვით საზოგადოებრივი მეურნეობის წყობაში) მიჩნევა დოქტრინის, სისტემის, თვით ღონისძიებათა და სხვ. წინააღმდეგობად თუ შეცდომად. ვიწრო შეხედულება Kleinbürger-ისა *, რომელიც განვითარებულ წინააღმდეგობებს განზე გასდგომია და რომელსაც შუათანა, გარდამავალი ადგილი უკავია ორ ანტიპოდს შორის, აქ უერთდება გულუბრყვილო იდეალიზმს, — ჩვენ თითქმის მზადა ვართ ვთქვათ: ბიუროკრატიზმს, — რომელიც საზოგადოებრივ წყობილებას ადამიანთა (განსაკუთრებით ძალაუფლების მქონე ადამიანთა) შეხედულებებით

* — წვრილი ბურჟუის. რ ე დ.

ხსნის და არა პირიქით. მოვიყვანოთ სისმონდის ყველა ამგვარი მსჯელობის მაგალითები.

«ინგლისმა, როცა ნივთთა გულისთვის ადამიანები დაივიწყა, ამით მიზანი საშუალებებს ხომ არ უმსხვერპლა?

ინგლისის მაგალითი მით უფრო გასაოცარია, რომ ეს თავისუფალი, განათლებული, კარგი მართვა-გამგეობის მქონე ერია, და ყველა მისი უბედურება მხოლოდ და მხოლოდ იქიდან წარმოსდგება, რომ იგი ყ ა ლ ბ ეკონომიურ მიმართულებას დაადგა» (I, p. IX *). სისმონდის ნაწერებში ინგლისი საზოგადოდ კონტინენტისათვის დამაფრთხობელი მაგალითის როლს თამაშობს, — სწორედ ისე, როგორც ეს ჩვენებურ რომანტიკოსებს ემართებათ, რომელთაც ჰგონიათ, რომ რაღაც ახალს იძლევიან და არა ყველაზე ძველ ხარახურას.

«როდესაც ჩემი მკითხველების ყურადღება ინგლისზე შევაჩერე, მინდოდა მეჩვენებინა.... ჩვენი საკუთარი მომავლის ისტორია, თუ ჩვენ განვაგრძობთ მოქმედებას იმ პრინციპების მიხედვით, რომელთაც ინგლისი მისდევდა» (I, p. XVI).

«...კონტინენტის სახელმწიფოები საჭიროდ სთვლიან ინგლისს აჰყვნენ მის სამანუფაქტურო კარიერაში» (II, 330). «წარმოუდგენელია ინგლისზე უფრო გასაოცარი და საშინელი სანახაობა» (II, 332) **.

«არ უნდა დავივიწყოთ, რომ სიმდიდრე არის მხოლოდ ის, რაც (n'est que la représentation) ცხოვრების სიამესა და

* — I, გვ. IX. რედ.

** თვალნათლივ რომ დავინახოთ ევროპული რომანტიზმის დამოკიდებულება რუსული რომანტიზმისადმი, ჩვენ სქოლიოში მოვიყვანთ ხოლმე ციტატებს ბ-ნ ნ.—ონის ნაწერებიდან. «ჩვენ არ მოვისურვეთ გვესარგებლნა იმ გაკვეთილით, რომელიც მოგვცა დასავლეთ ევროპის განვითარების სამეურნეო მსვლელობამ. ჩვენ იმდენად გაგვაოცა ინგლისის კაპიტალიზმის განვითარების ბრწყინვალებამ და ისე გვაოცებს კაპიტალიზმის განუზომლად უფრო სწრაფი განვითარება ამერიკის შტატებში» და სხვ. (323). — როგორც ხედავთ, ბ-ნ ნ.—ონის გამოთქმებსაც კი არა აქვთ სიახლის ბრწყინვალება! მას «აოცებს» იგივე, რაც საუკუნის დამდეგს სისმონდის «აოცებდა».

მის გაადვილებას წარმოადგენს» (ბურჟუაზიული სიმდიდრის ნაცვლად აქ უკვე დაყენებულია სიმდიდრე საერთოდ!), «ხელოვნური სიმდიდრის შექმნა და ამავე დროს ერის დატოვება იმის ამარად, რაც ნამდვილად სიღატაკეს და ტანჯვას შეადგენს, ეს ნიშნავს იმას, რომ ნივთის სახელწოდება მის არსად მიიღო»! (prendre le mot pour la chose) (I, 379).

«...ვიდრე ერები მხოლოდ ბუნების ხმას (ბრძანებას, indications) მისდევდნენ და იმ უპირატესობებით სარგებლობდნენ, რომელთაც ჰავა, ნიადაგი, მდებარეობა, ნედლი მასალის ფლობა იძლეოდა, — ისინი არ ვარდებოდნენ ა რ ა ბ უ ნ ებ რ ი ვ მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი (une position forcée), არ ეძებდნენ მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ს ი მ დ ი დ რ ე ს (une opulence apparente), რომელიც ხალხის მასისთვის რეალურ სიღატაკედ იქცევა» (I, 411). ბურჟუაზიული სიმდიდრე მხოლოდ მოჩვენებითია!! «ერისთვის საშიშია, რომ საგარეო ვაჭრობას კარი ჩაეკეტოს: ერს ამით აიძულებენ, ასე ვთქვათ (en quelque sorte), ყ ა ლ ბ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს გ ზ ა ს დ ა ა დ გ ე ს, რაც მის დაღუპვას გამოიწვევს» (I, 448) *.

«...ხელფასში არის აუცილებელი ნაწილი, რომელმაც სიცოცხლე, ძალა და ჯანი უნდა შეუნახოს იმათ, ვინც მას იღებს... ვაი იმ მთავრობას, რომელიც ამ ნაწილს შეეხება, —

* «...სწორი არ არის ის სამეურნეო გზა, რომლითაც ჩვენ მივდიოდით ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში» (281)... «ჩვენ მეტად დიდხანს ვაიგივებდით კაპიტალიზმის ინტერესებს და სახალხო სამეურნეო ინტერესებს, რაც უაღრესად დამღუპველი შეცდომაა... მრეწველობის მფარველობის ხ ი ლ უ ლ მ ა შ ე დ ე გ ე ბ მ ა... ჩვენ იმდენად დ ა გ ვ ა ბ რ მ ა ვ ა, რომ სრულიად გამოგვეპარა მხედველობიდან სახალხო-საზოგადოებრივი მხარე... ჩვენ გამოგვრჩა მხედველობიდან ის, თუ რის ხარჯზე სწარმოებს ასეთი განვითარება, ჩვენ დაგვავიწყდა ყოველგვარი წარმოების მიზანიც» (298) — გარდა კაპიტალისტურისა!

«საკუთარი წარსულის ათვალწუნება... კაპიტალიზმის დანერგვა»... (283)... «ჩვენ... ყოველგვარი საშუალება ვიხმარეთ კაპიტალიზმის დასანერგავად»... (323)... «ჩვენ ვერ შევამჩნიეთ»... (ibid.).

იგი მსხვერპლად სწირავს ყველაფერს (il sacrifie tout ensemble) — ადამიანებსაც, მომავალი სიმდიდრის იმედსაც... ეს განსხვავება გვაგებინებს, რამდენად ყალბია იმ მთავრობათა პოლიტიკა, რომლებმაც მუშათა კლასები მინიმალურ ხელფასამდე ჩამოაქვეითეს, რაც აუცილებელია მეფაბრიკეების, ვაჭრებისა და მესაკუთრეების წმინდა შემოსავლის გასადიდებლად» (II, 169) *.

«უკვე დადგა დრო ვიკითხოთ: საით მივდივართ?» (où l'on veut aller) (II, 328).

«მათი (სახელდობრ მესაკუთრეთა კლასისა და მშრომელთა) გაყოფა, მათი ინტერესების წინააღმდეგობა იმ თანამედროვე ხელოვნური ორგანიზაციის შედეგია, რომელიც ჩვენ ადამიანთა საზოგადოებას მივეცით... სოციალური პროგრესის ბუნებრივი წესი სულაც არ მოითხოვს ნივთთაგან ადამიანთა გამოყოფას, ან შრომისაგან სიმდიდრის გამოყოფას; სოფლად — მესაკუთრე შეიძლებოდა მიწათმოქმედად დარჩენილიყო; ქალაქად — კაპიტალისტი შეიძლებოდა ხელოსნად (artisan) დარჩენილიყო; მუქთახორა კლასისგან მშრომელი კლასის გამოყოფა სრულიადაც არ იყო არსებითად საჭირო საზოგადოების არსებობისათვის ან წარმოებისათვის; ჩვენ იგი ყველასთვის უდიდესი სარფის გულისთვის შემოვიღეთ; ჩვენზეა დამოკიდებული (il nous appartient) მისი მოწესრიგება, რომ მართლაც ამ სარფას მივაღწიოთ» (II, 348).

«ამრიგად მწარმოებლები ერთმანეთს (ე. ი. მეპატრონეები მუშებს) ოპოზიციაში ჩაუყენეს და იძულებული გახადეს იმ გზას დასდგომოდნენ, რომელიც დ ი ა მ ე ტ რ უ ლ ა დ ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა საზოგადოების ინტერესებს... ხელფასის დაკლებისათვის ამ გამუდმებულ ბრძოლაში სოციალური ინტერესი, რომელშიც თვითეული მონაწილეობს, ყველას ავიწყდება» (II, 359 — 360). და ამის წინ კიდევ მოგონება ისტო-

* «...ჩვენ ხელი არ შეგვიშლია წარმოების კაპიტალისტური ფორმების განვითარებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გლეხობის ექსპროპრიაციაზე არიან დამყარებული» (323).

რიის მიერ ნაანდერძევი გზებისა: «საზოგადოებრივი ცხოვრების დასაწყისში ყ ო ვ ე ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ჰ ფ ლ ო ბ ს კ ა პ ი ტ ა ლ ს, რომლის საშუალებით ის იყენებს თავის შრომას, და თითქმის ყველა ხელოსანი იმ შემოსავლით ცხოვრობს, რომელიც ერთნაირად სდგება მოგებისა და ხელფასისაგან» (II, 359) *.

მგონი, კმარა... დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მკითხველს, რომელიც არ იცნობს არც სისმონდისა და არც ბ-ნ ნ. — ონს, გაუჭირდება სთქვას, ამ ორ რომანტიკოსში რომელს უფრო პრიმიტიული და გულუბრყვილო თვალსაზრისი აქვს — ტექსტში თუ სქოლიოში მოყვანილს.

ამას სავსებით შეესაბამება სისმონდის პრაქტიკული სურვილებიც, რომლებსაც მან ამდენი ადგილი დაუთმო თავის «Nouveaux Principes»-ში.

ჩვენ ა. სმიტისაგან იმით განვსხვავდებით, — ამბობს სისმონდი თავისი თხზულების პირველსავე წიგნში, — რომ «ჩვენ თითქმის ყოველთვის მოვითხოვთ მთავრობის იმ ჩარევას, რომელსაც ა. სმიტი უარჰყოფდა» (I, 52). «სახელმწიფო არ ასწორებს განაწილებას» (I, 80)... «კანონმდებელს შეეძლო ერთგვარი გარანტიები მიეცა ღარიბისათვის საყოველთაო კონკურენციის წინააღმდეგ» (I, 81). «წარმოება სოციალურ შემოსავალს უნდა ეთანაბრებოდეს, და იმათ, რომელნიც ხელს უწყობენ უსაზღვრო წარმოებას და არ ზრუნავენ იმაზე, რომ ეს შემოსავალი გაიგონ, დაღუპვისაკენ მიჰყავთ ერი, თუმცა

* «იმის ნაცვლად, რომ მტკიცედ დაგვეცვა ჩვენი საუკუნო ტრადიციები; იმის ნაცვლად, რომ გაგვევითარებინა წარმოების საშუალებათა და უშუალო მწარმოებლის მჭიდრო კავშირის პრინციპი... იმის ნაცვლად, რომ გაგვედიდებინა მისი (გ ლ ე ხ ო ბ ი ს) შრომის ნაყოფიერება მის ხელში წარმოების საშუალებათა თავის მოყრით... ყოველივე ამის ნაცვლად ჩვენ ს რ უ ლ ი ა დ ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო გზას დავადექით» (322—323). «ჩვენ კაპიტალიზმის განვითარება მთელი სახალხო წარმოების განვითარებად მივიღეთ... ჩვენ ვ ე რ შ ე ვ ა მ ჩ ნ ი ე თ ის, რომ ერთის განვითარება... მხოლოდ და მხოლოდ მეორის ხარჯზე შეიძლება მოხდეს» (323). ხაზგასმა ჩვენია.

ფიქრობენ, რომ მას სიმდიდრის გზას უხსნიან» (le chemin des richesses) (I, 82). «როდესაც სიმდიდრის პროგრესი თანდათანობითია (graduée), როცა ის თავისთავად თანაზომიერია, როცა არც ერთი მისი ნაწილი არ ვითარდება უზომო სიჩქარით, მაშინ იგი საყოველთაო კეთილდღეობას ავრცელებს... შესაძლებელია, მთავრობათა მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მოძრაობა შეანელონ (ralentir!!), რათა მოაწესრიგონ იგი» (I, 409 — 410).

სისმონდის არავითარი წარმოდგენა არა აქვს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობაზე, ეს განვითარება კი წინააღმდეგობათა და არაპროპორციულობის სწორედ ამ გზით სწარმოებს!

«თუ მთავრობა სიმდიდრისადმი მისწრაფებაზე მომწესრიგებელ და გამაზომიერებელ გავლენას ახდენს — იგი შეიძლება უსაზღვროდ კეთილისმყოფელი იყოს» (I, 413). «ვაჭრობის ზოგიერთი რეგლამენტაცია, რომელსაც დღეს საყოველთაო აზრი ჰგმობს, თუ მართლაც დაგმობის ღირსია როგორც მრეწველობის წახალისება, შეიძლება გამართლებულ იქნას, შესაძლებელია, როგორც ლაგამი» (I, 415).

სისმონდის უკვე ამ მსჯელობაში სჩანს მისი საოცარი ისტორიული უტაქტობა: მას არავითარი იდეა არა აქვს იმის შესახებ, რომ მთელი ისტორიული აზრი იმ პერიოდისა, რომლის თანამედროვე თვითონ იყო, სწორედ შუასაუკუნეობრივი რეგლამენტაციებისაგან განთავისუფლებაში მდგომარეობდა. ის ვერა გრძნობს, რომ მისი მსჯელობა ხელს უწყობს ancien régime-ის * მაშინდელ დამცველებს, რომლებიც ჯერ კიდევ ესოდენ ძლიერი იყვნენ თვით საფრანგეთშიც კი, რომ არაფერი ვთქვათ დასავლეთ-ევროპის კონტინენტის სხვა სახელმწიფოებზე, სადაც ისინი ბატონობდნენ **.

* — ძველი წყობილების. რ ე დ.

** ეფრუსი სისმონდის ამ სინანულსა და ზრახვებში «მოქალაქობრივ გამბედაობას» ხედავს (№ 7, გვ. 139). თურმე სენტიმენტალური სურვილების გამოთქმა მოქალაქობრივ გამბედაობას მოითხოვს!! ისტორიის რო-

ამრიგად, სისმონდის პრაქტიკული სურვილების გამოსავალი წერტილია — მეურვეობა, შეფერხება, რეგლამენტაცია.

ასეთი თვალსაზრისი სრულიად ბუნებრივად და აუცილებლად გამომდინარეობს სისმონდის იდეათა მთელი წრიდან. ის სწორედ იმ დროს ცხოვრობდა, როცა მსხვილი სამანქანო ინდუსტრია პირველ ნაბიჯებს სდგამდა ევროპის კონტინენტზე, როცა მანქანების ზეგავლენით (დაიხსომეთ, სწორედ სამანქანო ინდუსტრიისა და არა საზოგადოდ «კაპიტალიზმის» ზეგავლენით) * იწყებოდა ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ის მძაფრი და მკვეთრი გარდაქმნა, რასაც ეკონომიურ მეცნიერებაში industrial revolution-ს (სამრეწველო რევოლუციას) უწოდებენ. აი როგორ ახასიათებს მას ერთი პირველი ეკონომისტთაგანი, რომელმაც შესძლო დაეფასებინა მთელი სიღრმე იმ გადატრიალებისა, რამაც ნახევრადშუასაუკუნეობრივ პატრიარქალურ საზოგადოებათა ადგილას თანამედროვე ევროპული საზოგადოებანი შეჰქმნა:

«...ინგლისის სამრეწველო განვითარების უკანასკნელი 60 წლის (დაწერილია 1844 წ.) ისტორიის მსგავსი რამ არ იცის კაცობრიობის მატიანემ. 60 — 80 წლის წინათ ინგლისი ყოველ სხვა ქვეყანას ჰგავდა, მას ჰქონდა პატარა ქალაქები, უმნიშვნელო და მარტივი მრეწველობა, ჰყავდა თხელი, მაგრამ

მელ საგიმნაზიო სახელმძღვანელოშიც გნებავთ ჩაიხედეთ, თქვენ იქ ამოიკითხავთ, რომ XIX საუკუნის პირველი მეოთხედის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები მოწყობილი იყვნენ იმ ტიპის მიხედვით, რომელსაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერება აღნიშნავს ტერმინით: Polizeistaat (პოლიციური სახელმწიფო. რ ე დ.). თქვენ იქ წაიკითხავთ, რომ საუკუნის როგორც ამ, ისე შემდგომი მეოთხედის ისტორიული ამოცანა სწორედ ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში მდგომარეობდა. მაშინ მიხვდებით, რომ სისმონდის თვალსაზრისს რესტავრაციის დროის ფრანგი წვრილი გლების სიჩლუნგის ელფერი დაჰკრავს; რომ სისმონდი წვრილბურჟუაზიული სენტიმენტალური რომანტიზმისა და ფენომენალური მოქალაქობრივი უმწიფობის შეხამების მაგალითს წარმოადგენს.

* კაპიტალიზმი ინგლისში თარიღდება არა XVIII საუკუნის ბოლოდან, არამედ გაცილებით ადრე.

შედარებით მნიშვნელოვანი მიწათმოქმედი მოსახლეობა. ახლა ეს ქვეყანა არა ჰგავს არც ერთს სხვა ქვეყანას, მის საატახტო ქალაქში 2½ მილიონი მცხოვრებია; აქვს დიდი სამრეწველო ქალაქები; ინდუსტრია, რომელიც პროდუქტებს აწოდებს მთელ მსოფლიოს და ყველაფერს თითქმის მეტად რთული მანქანების საშუალებით ამზადებს; ჰყავს ინიციატივიანი, ინტელიგენტური, მჭიდრო მოსახლეობა, რომლის ორი მესამედი მრეწველობასა და ვაჭრობაშია ჩაბმული და სრულიად სხვადასხვა კლასისაგან შესდგება; ეს მოსახლეობა, რომელსაც სულ სხვა ჩვეულებები და საჭიროებანი აქვს, მართლაც სრულიად სხვა ერს შეადგენს იმ დროის ინგლისთან შედარებით. სამრეწველო რევოლუციას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ინგლისისათვის, როგორც პოლიტიკურ რევოლუციას — საფრანგეთისათვის, როგორც ფილოსოფიურ რევოლუციას — გერმანიისათვის. და განსხვავებაც 1760 წლის ინგლისსა და 1844 წლის ინგლისს შორის, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე დიდია, როგორც ancien régime-ის დროინდელ საფრანგეთსა და ივლისის რევოლუციის საფრანგეთს შორის» *.

ეს იყო სრული «მსხვრევა» ყველა ძველი, ფესვგადგმული ურთიერთობისა, რომლის ეკონომიური ბაზისი წვრილი წარმოება იყო. გასაგებია, რომ სისმონდის თავისი რეაქციული, წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით არ შეეძლო გაეგო ამ «მსხვრევის» მნიშვნელობა. გასაგებია, რომ მას ყველაზე უწინარეს და ყველაზე მეტად სურდა, ის ყველაზე მეტად მოუწოდებდა, უხმობდა, მოითხოვდა «შეეწყვიტათ მსხვრევა» **.

როგორ «შეეწყვიტათ მსხვრევა»? პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, სახალხო... ესე-იგი «პატრიარქალური წარმოების», გლეხობისა და საზოგადოდ წვრილი მიწათმოქმედების მხარდაჭერით. სისმონდი მთელ თავს (II, VII, ch. VIII) უძ-

* Engels. «Die Lage der arbeitenden Klasse in England»

** ბ-ნი ნ.—ონი, იმედია, არ დაგვემდურება, რომ მისგან ვსესხულობთ ამ გამოთქმას (გვ. 345), რომელიც ჩვენ მეტად მოხერხებულად და დამახასიათებლად მიგვაჩნია.

ღვნის იმის გამორკვევას, თუ «როგორ უნდა დაიცვას მთავრობამ მოსახლეობა კონკურენციის შედეგებისაგან».

«მიწათმოქმედი მოსახლეობის მიმართ მთავრობის საერთო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მომუშავეთათვის (à ceux qui travaillent) უზრუნველჰყოს საკუთრების ნაწილი, ან იმაში, რომ მხარი დაუჭიროს (favoriser) იმას, რასაც ჩვენ პატრიარქალური მიწათმოქმედება ვუწოდეთ და უპირატესობას ვაძლევთ ყველა სხვა ფორმის წინაშე» (II, 340).

«ელისაბედის სტატუტი, რომელიც არ იყო დაცული, კრძალავს ინგლისში სოფლური ქოხის (cottage) აშენებას, თუ მას მიწა არ ექნება მიზომილი ოთხი აკრის რაოდენობით. ეს კანონი რომ განხორციელებულიყო, არც ერთი ქორწინება არ მოხდებოდა დღიურ მუშებს შორის საკუთარი cottage-ის მიუღებლად, და არც ერთი cottager-ი არ მივიდოდა სიღატაკის უკანასკნელ საფეხურამდე. ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯი (c'est quelque chose) იქნებოდა, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა; ინგლისის ჰავაში გლეხური მოსახლეობა გაჭირვებით იცხოვრებდა ოჯახზე 4 აკრი მიწით. დღეს ინგლისში კოტეჯრებს, მეტ წილად, მხოლოდ 1½ — 2 აკრი მიწა აქვთ და ამაში საკმაოდ დიდ იჯარას იხდიან... კანონს ვალდებული უნდა გაეხადა... მემამულე, რომ მრავალ cottager-ს შორის მინდვრის გაყოფის დროს თვითეულისათვის მიწის საკმაო რაოდენობა მიეცა, რათა მას ცხოვრება შესძლებოდა» (II, 342 — 343) *.

* «დავიცვათ ჩვენი საუკუნო ტრადიციები; (ნუთუ ეს პატრიოტიზმი არ არის?)... განვავითაროთ წარმოების საშუალებებსა და უშუალო მწარმოებლებს შორის მჭიდრო კავშირის პრინციპი, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ»... (ბ-ნი ნ.—ონი, 322). «ჩვენ გადავუხვიეთ იმ გზას, რომლითაც ვიდოდით მრავალი საუკუნის განმავლობაში; ჩვენ დავიწყეთ იმ წარმოების მოსპობა, რომელიც ემყარება უშუალო მწარმოებელსა და წარმოების საშუალებებს შორის არსებულ მჭიდრო კავშირს, მიწათმოქმედებისა და დამმუშავებელი მრეწველობის მჭიდრო კავშირს, და ჩვენს სამეურნეო პოლიტიკას საფუძვლად დავუდეთ პრინციპი კაპიტალისტური წარმოების განვითარებისა, რაც დამყარებულია უშუალო მწარმოებელთა ჩამოშორე-

მკითხველი ხედავს, რომ რომანტიზმის სურვილები სავსებით ეთანხმება ნაროდნიკების სურვილებსა და პროგრამებს: ისინი სწორედ ასევეა აგებული ნამდვილი ეკონომიური განვითარების უგულებელყოფასა და მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის, გააფთრებული კონკურენციისა და ინტერესთა ბრძოლის ხანაში ძველი დროის პატრიარქალურ პირობათა აღმდგენი პირობების უაზრო წამოყენებაზე.

V

რომანტიზმის რეაქციული ხასიათი

სისმონდის, რა თქმა უნდა, არ შეეძლო შეგნებული არ ჰქონოდა, თუ როგორ მიმდინარეობს ნამდვილი განვითარება. ამიტომ «წვრილი მიწათმოქმედების წახალისებას» რომ მოითხოვს (II, 355), ის პირდაპირ ლაპარაკობს, რომ საჭიროა «სოფლის მეურნეობას მიეცეს ისეთი მიმართულება, რომელიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება ინგლისის სოფლის მეურნეობის ახლანდელ მიმართულებას» (II, 354 — 355) *.

«საბედნიეროდ, ინგლისს საშუალება აქვს ბევრი რამ გაა-

ბაზე წარმოების საშუალებათაგან, მთელი იმ უბედურებითურთ, რომელიც მას თან ახლავს და რომლითაც დღეს დასავლეთი ევროპა იტანჯება» (281). მკითხველმა ამას უნდა შეადაროს თვით «დასავლეთ-ევროპელების» ზემოხსენებული შეხედულება ამ «უბედურებაზე, რომლითაც იტანჯება» და სხვ. «პრინციპები... გლეხთათვის მიწის მიზომვა ან... თვით მწარმოებელთათვის შრომის იარაღების მიცემა» (გვ. 2)... «საუკუნო სახალხო საფუძველნი» (75)... «მაშასადამე, ამ ციფრებში (სწორედ ციფრებში, რომლებიც გვიჩვენებენ იმას, თუ «რამოდენაა minimum-ი მიწის იმ რაოდენობისა, რომელიც არსებულ სამეურნეო პირობებში საჭიროა სოფლის მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის») ჩვენ გვაქვს სამეურნეო საკითხის გადაჭრის ერთი ელემენტთაგანი, მაგრამ მხოლოდ სწორედ ერთი ელემენტთაგანი» (65). როგორც ხედავთ, დასავლეთ-ევროპელ რომანტიკოსებს რუსებზე ნაკლებ არ ჰყვარებიათ სახალხო წარმოების «სანქციის» ძებნა «საუკუნო ტრადიციებში».

* შეადარეთ ბ-ნ ვ. ვ-ის ნაროდნიკული პროგრამა «ისტორიის წათრევისა სხვა ხაზით». შეად. ვოლგინის შრომაში, l. c. (loco citato — ციტირებულ ადგილზე. რედ.), გვ. 181.

კეთოს თავის სოფლის ღარიბთათვის, შეუძლია დაუყოს მათ თავისი დიდძალი სათემო მიწები (ses immenses communaux)... მისი სათემო მიწები რომ დაიყოს თავისუფალ ნაკვეთებად (en propriétés franches) 20-დან 30 აკრამდე, ისინი (ინგლისელები) დაინახავდნენ, როგორ აღორძინდება სოფლელთა ის დამოუკიდებელი და ამაყი კლასი, ის yeomanry, რომლის თითქმის სრულ მოსპობას ინგლისელები ახლა ნანობენ» (II, 357 — 358).

რომანტიზმის «გეგმები» წარმოდგენილია ძალიან ადვილად განსახორციელებელ გეგმებად — რეალური ინტერესების სწორედ იმ უგულებელყოფის გამო, რომელიც რომანტიზმის დედაარსს შეადგენს. «ასეთი წინადადება (მიწის წვრილ ნაკვეთებად დარიგება დღიური მუშებისათვის და მათზე ზრუნვის დაკისრება მიწათმფლობელთათვის), ალბათ, ააშფოთებს მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც დღეს ინგლისში მარტონი სარგებლობენ საკანონმდებლო ძალაუფლებით; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სამართლიანია... მხოლოდ მსხვილ მიწათმფლობელებს ესაჭიროებათ დღიური მუშები; უკანასკნელნი მათ შეჰქმნეს და დაე მათვე შეინახონ» (II, 357).

საუკუნის დამდეგს დაწერილ ასეთ გულუბრყვილობას რომ კითხულობ, არ გიკვირს: რომანტიზმის «თეორია» შეესაბამება საზოგადოდ კაპიტალიზმის იმ პრიმიტიულ მდგომარეობას, რომელმაც ესოდენ პრიმიტიული თვალსაზრისი წარმოშვა. კაპიტალიზმის ფაქტიური განვითარება — მისი თეორიული გაგება — თვალსაზრისი კაპიტალიზმზე, ყველა ამათ შორის მაშინ კიდევ არსებობდა შესაბამისობა, და სისმონდიც, ყოველ შემთხვევაში, გვევლინება მთლიანი სახის მწერლად, რომელიც თავის თავს არ ღალატობს.

«ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, — ამბობს სისმონდი, — რა მფარველობას პოულობდა ოდესღაც ეს კლასი (სახელდობრ ხელოსანთა კლასი) ამქართა და კორპორაციათა დაწესებულებაში (des jurandes et des maîtrises)... ლაპარაკია არა იმაზე, რომ აღდგენილ იქნას მათი უცნაური და შემავიწროებელი ორგა-

ნიზაცია... მაგრამ კანონმდებელმა მიზნად უნდა დაისახოს საშრეწველო შრომის გასამრჯელოს გადიდება, მრეწველთა გამოყვანა იმ მერყევი (précaire) მდგომარეობიდან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, და, ბოლოს, მათთვის იმის მოპოვების შესაძლებლობის გაადვილება, რასაც ისინი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ს* (un état) უწოდებენ... ახლა მუშები მუშებად იბადებიან და მუშებადვე კვდებიან, მაშინ როდესაც წინათ მუშის მდგომარეობა მხოლოდ მომზადება, პირველი საფეხური იყო უფრო მაღალი მდგომარეობის მისაღწევად. აი მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ აღვადგინოთ ამ ამაღლების (cette faculté progressive) შესაძლებლობა. ისე უნდა მოხერხდეს, რომ მეპატრონეები დაინტერესებული იყვნენ თავიანთი მუშების უფრო მაღალ საფეხურზე გადაყვანით; რომ მანუფაქტურაში დაქირავებულმა კაცმა მუშაობა დაიწყოს მართლაც უბრალო ხელფასით, მაგრამ მუდამ იმის იმედი ჰქონდეს, რომ, თუ კარგ ყოფაქცევას გამოიჩენს, წილს დაიდებს საწარმოს მოგებაში» (11, 344 — 345).

ამაზე უფრო მკაფიოდ ძნელია წვრილი ბურჟუას თვალსაზრისის გამოხატვა! ამქრები — სისმონდის იდეალია, და მის შენიშვნას მათი აღდგენის არასასურველობის შესახებ, ალბათ, მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ უნდა ავიღოთ ამქრის პრინციპი, იდეა (სწორედ ისე, როგორც ნაროდნიკებს სურთ აიღონ თემის პრინციპი, იდეა და არა თანამედროვე ფისკალური კავშირი, რომელსაც თემი ეწოდება) და უკუვაგდოთ მისი შუასაუკუნეობრივი სიმახინჯე. სისმონდის გეგმის უაზრობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ის მთლიანად იცავდა ამქრებს და უნდოდა მათი მთლიანად აღდგენა — ასეთი ამოცანა მას არ დაუსახავს. უაზრობა იმაში მდგომარეობს, რომ ნიმუშად ის იღებს იმ კ ა ვ შ ი რ ს, რომელიც ადგილობრივ ხელოსანთა გაერთიანების ვიწრო, პრიმიტიულმა მოთხოვნილებამ წარმოშვა, და ცდილობს ეს საზომი, ეს ნიმუში მიუყენოს

* ხაზგასმა ავტორისაა.

კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომელშიც გამაერთიანებელი, განმსაზოგადოებელი ელემენტია მსხვილი სამანქანო ინდუსტრია, რომელიც ამსხვრევს შუასაუკუნეობრივ ზღუდეებს, შლის ადგილობრივ, სათვისტომო და პროფესიულ განსხვავებას. გრძნობს რა საერთოდ კავშირის ამა თუ იმ სახით გაერთიანების საჭიროებას, რომანტიკოსი ნიმუშად იღებს იმ კავშირს, რომელიც გაერთიანების ვიწრო მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა პატრიარქალურ, უმოძრაო საზოგადოებაში, და მას სურს მიუყენოს ის სრულიად გარდაქმნილ საზოგადოებას, სადაც არის მოძრავი მოსახლეობა, შრომა განსაზოგადოებულია არა რომელიმე თემის ან რომელიმე კორპორაციის ფარგლებში, არამედ მთელი სახელმწიფოს ფარგლებში და ერთი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთაც კი *.

აი სწორედ ეს შეცდომა აძლევს რომანტიკოსს რ ე ა ქ ც ი ო ნ ე რ ი ს სრულიად დამსახურებულ კვალიფიკაციას,

* სავსებით ანალოგიურ შეცდომას სჩადიან ნაროდნიკები მეორე კავშირის (თ ე მ ი ს) მიმართ. ეს კავშირი აკმაყოფილებდა მიწათმფლობელობის, საძოვრის და სხვათა ერთიანობით (უმთავრესად კი მემამულეთა და მოხელეთა ძალაუფლების ერთიანობით) დაკავშირებულ ადგილობრივ გლეხთა გაერთიანების ვიწრო მოთხოვნილებას, მაგრამ სრულიად არ შეესაბამება მოთხოვნილებებს სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმისას, რომელიც ამსხვრევს ყოველგვარ ადგილობრივ, წოდებრივ, ჯგუფობრივ ზღუდეებს და ინტერესთა ღრმა ეკონომიურ განხეთქილებას ბადებს თემის შ ი გ ნ ი თ. კავშირის, გაერთიანების მოთხოვნილება კაპიტალისტურ საზოგადოებაში კი არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, უზომოდ გაიზარდა. მაგრამ ახალი საზოგადოების ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ძველი საზომის აღება სრული უაზრობაა. ეს ახალი საზოგადოება უკვე მოითხოვს, ჯერ-ერთი, იმას, რომ კავშირი არ იყოს ადგილობრივი, წოდებრივი, ჯგუფობრივი; მეორე, მისი გამოსავალი წერტილი იყოს მდგომარეობისა და ინტერესების ის განსხვავება, რომელიც შექმნილია კაპიტალიზმის მიერ და გლეხობის დაშლით. ადგილობრივი, წოდებრივი კავშირი კი, რომელიც აერთებს ეკონომიური მდგომარეობისა და ინტერესების მხრივ მკვეთრად დანაწილებულ გლეხებს, ახლა, თავისი ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ხასიათის გამო, მ ა ვ ნ ე ხდება როგორც თვით გლეხთათვის, ისე მთელი საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

ამასთან ამ ტერმინით იგულისხმება არა პირდაპირ შუასაუკუნეობრივ დაწესებულებათა აღდგენის სურვილი, არამედ სახელდობრ ცდა — ახალი საზოგადოება გაზომოს ძველი პატრიარქალური საზომით, სახელდობრ სურვილი — ნიმუში ეძებოს ძველ წყობასა და ტრადიციებში, რომლებიც სრულიად არ შეეფერება შეცვლილ ეკონომიურ პირობებს.

ეს გარემოება სრულებით ვერ გაუგია ეფრუსის. სისმონდის თეორიის, როგორც რეაქციული თეორიის, დახასიათება მან სწორედ ტლანქი, ვულგარული აზრით გაიგო. ეფრუსი შეკრთა... როგორ, — მსჯელობს ის, — სისმონდი რეაქციონერი რათ იქნება, როცა ის პირდაპირ ლაპარაკობს, რომ სრულიადაც არ მინდა ამქრები აღვადგინოო? და ეფრუსიმ გადასწყვიტა, რომ სისმონდისთვის «რეტროგრადობის» ასეთი «დაბრალება» უსამართლობაა; რომ სისმონდი, პირიქით, «საამქრო ორგანიზაციას სწორად» უყურებდა და «სავსებით აფასებდა მის ისტორიულ მნიშვნელობას» (№ 7, გვ. 147), როგორც ეს, ვითომ, დამტკიცებულია ამა და ამ პროფესორების ისტორიული გამოკვლევებით საამქრო ორგანიზაციის კარგი მხარეების შესახებო.

Quasi-სწავლური* მწერლები ხშირად გასაოცარ ნიჭს იჩენენ — რიყეზე ქვა ვერ დაინახონ! სისმონდის შეხედულება ამქრებზე სწორედ იმიტომ არის დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი, რომ იგი მათ უკავშირებს თავის პრაქტიკულ სურვილებს**. სწორედ ამიტომ ხასიათდება მისი მოძღვრება როგორც რეაქციული. ეფრუსი კი სრულიად უადგილოდ იწყებს მსჯელობას უახლეს ისტორიულ თხზულებებზე ამქრების შესახებ!

ამ უადგილო და quasi-მეცნიერულ მსჯელობას ის მოჰყვა, რომ ეფრუსიმ გვერდი აუხვია სწორედ საკითხის არსს: სამართლიანია თუ არა სისმონდის დოქტრინის დახასიათება

* — ვითომ-სწავლული. რედ.

** იხ. ზევით, თუნდაც იმ თავის სათაური, საიდანაც ჩვენ მოვიყვანეთ მსჯელობა ამქრების შესახებ (რაც ეფრუსისაც მოჰყავს: გვ. 147).

როგორც რეაქციულისა? მან სწორედ ის ვერ შენიშნა, რაც უმთავრესია, — სისმონდის თვალსაზრისი. «პოლიტიკურ ეკონომიაში, — ამბობს სისმონდი, — მე საზოგადოებრივი პროგრესის მტრად, ბარბაროსულ და ძალდამტანებელ დაწესებულებათა დამცველად მსახავდნენ. არა, მე არ მინდა ის, რაც უკვე იყო, მაგრამ მინდა რაიმე უკეთესი ახლანდელთან შედარებით. აწმყოზე მე შემიძლია ვიმსჯელო მხოლოდ წარსულთან მისი შედარების საშუალებით, და სრულიადაც არა მსურს აღვადგინო ძველი ნანგრევები, როცა მათი საშუალებით ვამტკიცებ საზოგადოების მარადს საჭიროებებს» (II, 433). სურვილები რომანტიკოსებს (ისე როგორც ნაროდნიკებს) ძალიან კარგი აქვთ. კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა შეგნება მათ იმ ბრმა ოპტიმისტებზე მაღლა აყენებს, რომელნიც ამ წინააღმდეგობებს უარჰყოფენ. და სისმონდის რეაქციონერად აღიარებენ სრულიადაც არა იმისთვის, რომ მას სურდა შუა საუკუნეებს დაბრუნებოდა, არამედ სწორედ იმისთვის, რომ თავის პრაქტიკულ სურვილებში იგი «აწმყოს ადარებდა წარსულს» და არა მომავალს, სწორედ იმისთვის, რომ ის «საზოგადოების მარადს საჭიროებებს ამტკიცებდა» * «ნანგრევების» საშუალებით და არა უახლესი განვითარების ტენდენციების საშუალებით. ეფრუსიმ ვერ გაიგო სისმონდის სწორედ ეს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისი, რაც მას მკაფიოდ განასხვავებს სხვა მწერლებისაგან, რომელნიც მის დროსაც და შემდეგაც აგრეთვე ამტკიცებდნენ «საზოგადოების მარადს საჭიროებებს».

ეფრუსის ამ შეცდომაში გამომჟღავნდა ტერმინების — «წვრილბურჟუაზიულის», «რეაქციული» დოქტრინის, — იგივე ვიწრო გაგება, რაზედაც ზევით ვილაპარაკეთ პირველი ტერმინის გამო. ეს ტერმინები სრულიადაც არ მოწმობენ წვრილი მედუქნის ეგოისტურ ზრახვებს ან საზოგადოებრივ-

* ვიმეორებთ, ის გარემოება, რომ იგი ამ საჭიროებათა არსებობას ამტკიცებდა, მას ვიწრო ბურჟუაზიულ ეკონომისტებზე გაცილებით უფრო მაღლა აყენებს.

განვითარების შეჩერების და უკან დაბრუნების სურვილს: ისინი გამოხატავენ ამა თუ იმ მწერლის თვალსაზრისის მხოლოდ შ ე ც დ ო მ ა ს, მისი შეგნებისა და გარსახედველის შეზღუდულობას, რაც იწვევს ისეთ საშუალებათა არჩევას (მეტად კარგი მიზნის მისაღწევად), რომელნიც პრაქტიკულად არ შეიძლება ნამდვილი იყოს, რომელნიც დააკმაყოფილებენ მხოლოდ წვრილ მწარმოებელს ან სამსახურს გაუწევენ ძველი წესების დამცველებს. სისმონდი, მაგალითად, სულაც არ არის წვრილი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ფანატიკოსი. მას ჩვენს თანამედროვე ნაროდნიკებზე ნაკლებ როდი ესმის გაერთიანების კავშირის საჭიროება. ის სურვილს გამოსთქვამს, რომ სამრეწველო საწარმოთა «მოგების ნახევარი» «ასოციაციაში გაერთიანებულ მუშებს შორის ნაწილდებოდეს» (II, 346). ის აშკარად ემხრობა «ასოციაციის სისტემას», რომლის დროსაც მთელი «წარმატებანი წარმოებისა სარგებლობას მოუტანს იმას, ვინც მასშია ჩაბმული» (II, 438). ლაპარაკობს რა თავისი მოძღვრების დამოკიდებულებაზე ოუენის, ფურიეს, ტომპსონის, მუირონის (Muiron) მაშინდელი ცნობილი მოძღვრებებისადმი, სისმონდი აცხადებს: «მეც მათსავით მსურს, რომ განხორციელდეს ასოციაცია იმათ შორის, ვინც ერთად ამზადებს ამა თუ იმ პროდუქტს, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს ჩაუდგნენ ოპოზიციაში. მაგრამ არა მგონია, რომ ეს მიზანი როდისმე განხორციელდეს იმ საშუალებებით, რომლებიც მათ წამოაყენეს» (II, 365).

სისმონდისა და ამ მწერლების განსხვავება სწორედ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს შ ი მდგომარეობს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ეფრუსიმ, რომელმაც ვერ გაიგო ეს თვალსაზრისი, სრულიად არასწორად დაგვიხატა სისმონდის დამოკიდებულება ამ მწერლებისადმი.

«თუ სისმონდის გავლენა თავის თანამედროვეებზე ძალიან სუსტი იყო, — ვკითხულობთ «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო შ ი» № 8, გვ. 57, — თუ მის მიერ წამოყენებული სოციალური რეფორმები ვერ განხორციელდა, ეს უმთავრესად იმით აიხსნე-

ბა, რომ მან დიდად გაუსწრო თავის ეპოქას. ის იმ დროს სწერდა, როდესაც ბურჟუაზია თავის პირველ გამარჯვებებს დღესასწაულობდა... ცხადია, ასეთ პირობებში იმ ადამიანის ხმა, რომელიც სოციალურ რეფორმებს მოითხოვდა, უნდა დარჩენილიყო ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უკეთესად მას არც შთამომავლობა მოპყრობია. ამის მიზეზი, შეიძლება, ის იყოს, რომ სისმონდი, როგორც ზევით უკვე ვთქვით, გარდამავალი ეპოქის მწერალია; თუმცა მას დიდი ცვლილებები სურს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სავსებით ვერ ელევა ძველს. ამიტომ ზომიერ ადამიანებს ის მეტად რადიკალურად მიაჩნდათ, ხოლო უფრო უკიდურეს მიმართულებათა წარმომადგენლების შეხედულებით ის მეტად ზომიერი იყო».

ჯერ-ერთი, იმის თქმა, რომ სისმონდიმ მის მიერ წამოყენებული რეფორმებით «ეპოქას გაუსწრო»—ნიშნავს სისმონდის დოქტრინის არსის აბსოლუტურ გაუგებლობას; სისმონდი თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე, რომ იგი აწმყოს წარსულს ადარებდა. დიდი სიბეცე (ან რომანტიზმისადმი უსაზღვრო მიკერძოება) იყო საჭირო იმისათვის, რომ სისმონდის თეორიის საერთო სულისკვეთება და საერთო მნიშვნელობა ვერ შეემჩნიათ მხოლოდ იმის გამო, რომ სისმონდი საფაბრიკო კანონმდებლობას * თანაუგრძნობდა და სხვ.

მეორე, ეფრუსი ამრიგად ფიქრობს, რომ სისმონდისა და სხვა მწერალთა შორის არსებული განსხვავება მდგომარეობს მხოლოდ იმაში, თუ რ ა ო დ ე ნ გ ა ბ ე დ უ ლ ი იყო წამოყენებული რეფორმები: სხვა მწერლები უფრო შორს მიდიოდნენ, სისმონდი კი სავსებით ვერ შეელია ძველსაო.

საქმე ეს როდია. განსხვავება სისმონდისა და ამ მწერლებს შორის გაცილებით უფრო ღრმაა, — იგი იმაში კი არ მდგო-

* სისმონდის ამ საკითხშიც არ «გაუსწრია» ეპოქისთვის, ვინაიდან იწონებდა მხოლოდ იმას, რაც უკვე ხორციელდებოდა ინგლისში, არ ესმოდა რა ამ გარდაქმნათა კავშირი მსხვილ სამანქანო ინდუსტრიასა და მის პროგრესულ ისტორიულ მუშაობასთან.

მარეობს, რომ ერთნი უფრო შორს მიდიოდნენ, ხოლო მეორენი მოკრძალებულნი იყვნენ*, არამედ იმაში, რომ რეფორმების თვით ხასიათი მათ ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისით ჰქონდათ წარმოდგენილი. სისმონდი ამტკიცებდა «საზოგადოების მარადს საჭიროებებს», ეს მწერლებიც ამტკიცებდნენ საზოგადოების მარადს საჭიროებებს. სისმონდი უტოპისტი იყო, ის თავის სურვილებს აბსტრაქტულ იდეაზე ამყარებდა და არა რეალურ ინტერესებზე, — ეს მწერლებიც უტოპისტები იყვნენ, ისინიც თავის გეგმებს აბსტრაქტულ იდეაზე ამყარებდნენ. მაგრამ სწორედ მათი გეგმების ხასიათი სულ სხვადასხვაა იმის გამო, რომ უახლეს ეკონომიურ განვითარებას, რომელმაც «მარად საჭიროებათა» საკითხი წამოაყენა, ისინი დიამეტრულად საწინააღმდეგო თვალსაზრისით უყურებდნენ. ხსენებული მწერლები წინასწარ სჭვრეტდნენ მომავალს, გენიალურად ხვდებოდნენ იმ «მსხვრევის» ტენდენციებს, რომელსაც მათ თვალწინ ახდენდა წინანდელი სამანქანო ინდუსტრია. ისინიც იქითკენ იყურებოდნენ, საითაც ნამდვილი განვითარება მიიმართებოდა; ისინი მართლაც წინ უსწრებდნენ ამ განვითარებას. სისმონდი კი ამ განვითარებას ზურგს აქცევდა; მისი უტოპია წინასწარკი არ სჭვრეტდა მომავალს, არამედ წარსულის რესტავრაციას ახდენდა; ის იხედებოდა არა წინ, არამედ უკან, ოცნებობდა «შეეჩერებინა მსხვრევა», — სწორედ ის «მსხვრევა», რომლიდანაც თავიანთი უტოპიები გამო-

* ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, რომ დასახელებულ მწერალთა შორის ამ მხრივ განსხვავება არ არის, მაგრამ იგი საქმეს ვერ გვიხსნის და არასწორად წარმოგვიდგენს სისმონდის დამოკიდებულებას სხვა მწერლებისადმი: გამოდის, თითქოს ისინი ერთნაირ თვალსაზრისს ადგნენ და ერთმანეთისაგან მხოლოდ სიმტკიცითა და დასკვნების თანმიმდევრობით განსხვავდებოდნენ. საქმე ის კი არ არის, რომ სისმონდი ისე შორს არ «მიდიოდა», არამედ ის, რომ ის უკან «მიდიოდა», ხოლო ხსენებული მწერლები წინ «მიდიოდნენ».

ჰყავდათ ხსენებულ მწერლებს *. აი რატომ არის, რომ სისმონდის უტოპია ითვლება — და სრულიად სამართლიანადაც — რეაქციულ უტოპიად. კიდევ ვიმეორებთ, ასეთი დახასიათების საფუძველი მხ ო ლ ო დ ი მ ა შ ი მდგომარეობს, რომ სისმონდის არ ესმოდა პროგრესული მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ძველი, ნახევრადშუასაუკუნეობრივი, პატრიარქალური საზოგადოებრივი ურთიერთობის იმ «მსხვრევისა», რომელსაც გასული საუკუნის დასასრულიდან ახდენდა მსხვილი სამანქანო ინდუსტრია.

სისმონდის ეს სპეციფიკური თვალსაზრისი გამოსჭვივის მისი მსჯელობიდანაც საზოგადოდ «ასოციაციის» შესახებ. «მე მინდა, — ამბობს ის, — რომ მანუფაქტურების საკუთრება (la propriété des manufactures) დაყოფილ იქნას საშუალო კაპიტალისტთა დიდ რიცხვს შორის და არ ერთიანდებოდეს ერთი ადამიანის ხელში, რომელიც მრავალი მილიონის მფლობელია...» (II, 365). წვრილი ბურჟუას თვალსაზრისი კიდევ უფრო მკაფიოდ იხატება ასეთ ტირადაში: «უნდა მოისპოს არა ღარიბთა კლასი, არამედ დღიურ მუშათა კლასი; ისინი მესაკუთრეთა კლასში უნდა დავაბრუნოთ» (II, 308). «დ ა ვ ა ბ რ უ ნ ო თ» მესაკუთრეთა კლასში, — ამ სიტყვებშია გამოხატული სისმონდის დოქტრინის მთელი არსი!

რა თქმა უნდა, სისმონდის თვითონ უნდა ეგრძნო თავისი კეთილი სურვილების განუხორციელებლობა, უნდა ეგრძნო მკვეთრი დისონანსი მათსა და ინტერესთა თანამედროვე განხეთქილებას შორის. «ამოცანა მათი ინტერესების ხელახლა შეერთებისა, ვინც ერთად მონაწილეობს ერთსა და იმავე წარ-

* «რობერტ ოუენი, — ამბობს მარქსი, — კოოპერაციული ფაბრიკებისა და კოოპერაციული დუქნების მამაა, — რომელიც, მიუხედავად ამისა, ხულაც არ იზიარებდა თავის მემკვიდრეთა ილუზიებს გარდაქმნის ამ იზოლირებული ელემენტების მნიშვნელობის (Tragweite) შესახებ, — არა მარტო ფაქტიურად გამოდიოდა თავის ცდებში საფაბრიკო სისტემიდან, არამედ თეორიულადაც აცხადებდა მას «სოციალური გადატრიალების» გამოსავალ წერტილად» [64].

მოებაში (qui concourrent à la même production)... უეჭველად, ძნელია, მაგრამ არა მგონია ეს სიძნელე ისე დიდი იყოს, როგორც ფიქრობენ» (II, 450) *. სინამდვილის პირობებსა და მათს განვითარებასთან თავისი სურვილებისა და იმედების ამ შეუსაბამობის შეგნება ბუნებრივად იწვევს მისწრაფებას დაამტკიცოს, რომ «ჯერ კიდევ გვიან არ არის» «დავუბრუნდეთ» და სხვ. რომანტიკოსი ცდილობს დაეყრდნოს თანამედროვე წყობილების წინააღმდეგობათა განუვითარებლობას, ქვეყნის ჩამორჩენილობას. «ხალხებმა მოიპოვეს სისტემა თავისუფლებისა, რომელშიც ჩვენ შევედით (ლაპარაკი იყო ფეოდალიზმის დაცემაზე); მაგრამ იმ დროს, როცა მათ დაამსხვრიეს ის უღელი, რომელსაც ასე დიდ ხანს ატარებდნენ, მშრომელი კლასები (les hommes de peine — შრომის წარმომადგენლები) არ იყვნენ ყოველგვარ საკუთრებას მოკლებულნი. სოფლად ისინი მიწას ჰფლობდნენ როგორც მენახევრენი, მეჩინშენი (censitaires), მოიჯარადრენი (ils se trouvèrent associés à la propriété du sol). ქალაქებში ისინი დამოუკიდებელი მრეწველნი იყვნენ (ils se trouvèrent associés à la propriété de leur industrie) როგორც წევრნი იმ კორპორაციებისა, ხელოსანთა კავშირებისა (métiers), რომელთაც ისინი ერთმანეთის დასაცავად აარსებდნენ. მხოლოდ ჩვენს დროს, მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში (c'est dans ce moment même) სიმდიდრის პროგრესი და კონკურენცია ამსხვრევს ყველა ამ ასოციაციას. მაგრამ ეს მსხვრევა (révolution) ჯერ სანახევროდაც არ არის დასრულებული» (II, 437).

«მართალია, დღეს ამ არაბუნებრივ მდგომარეობაში მხოლოდ ერთი ერი იმყოფება; მხოლოდ ერთ ერში ვხედავთ ამ მუდმივ კონტრასტს მოჩვენებითს სიმდიდრესა (richesse

* ამოცანა, რომელიც რუსეთის საზოგადოებამ უნდა გადასჭრას, დღითი-დღე რთულდება. კაპიტალიზმის დაპყრობანი დღითი-დღე ფართოვდებიან»... (ibid.).

apparente) და მოსახლეობის იმ მეათედი ნაწილის საშინელ სიღატაკეს შორის, რომელიც იძულებულია საზოგადოებრივი ქველმოქმედების ხარჯზე იცხოვროს. მაგრამ ამ ერმა, რომელიც სხვა მხრივ ესოდენ ღირსია წაბაძვისა და თავის ბრწყინვალებას შეცდომებშიც არ კარგავს, თავისი მაგალითით კონტინენტის ყველა სახელმწიფო კაცი შეაცდინა. და თუ ეს ფიქრები სარგებლობას ვეღარ მოუტანს მას, ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, სამსახურს გავუწევ კაცობრიობას და ჩემს თანამემამულეთ იმით, რომ ვუჩვენებ იმ გზის საშიშროებას, რომლითაც ის მიდის, და მისი საკუთარი გამოცდილებით დავუმტკიცებ, რომ შეუზღუდველი კონკურენციის პრინციპზე პოლიტიკური ეკონომიის დამყარება იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობის ინტერესი მსხვერპლად მიუტანო ყველა პირადი გულისთქმის ერთდროულად მოქმედებას» (II, 368) *. ასე აბოლოებს სისმონდი თავის «Nouveaux Principes»-ს.

სისმონდისა და მისი თეორიის საერთო მნიშვნელობა მკაფიოდ ჩამოაყალიბა მარქსმა შემდეგს დახასიათებაში, რომელშიც ჯერ მოცემულია ნარკვევი დასავლეთ ევროპის ეკონომიური ცხოვრების იმ პირობებისა, რომელთაც ასეთი თეორია წარმოშვეს (და ამასთან წარმოშვეს სწორედ იმ ხანაში, როცა კაპიტალიზმი მხოლოდ იწყებდა იქ მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის შექმნას), და შემდეგ თვით თეორიის შეფასება **.

«შუასაუკუნეობრივი მეშჩანობა და წვრილ გლეხთა წოდება თანამედროვე ბურჟუაზიის წინამორბედნი იყვნენ. მრეწველობისა და ვაჭრობის მხრივ ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში ეს კლასი დღემდე კიდევ ბოგინობს განვითარების გზაზე მდგომი ბურჟუაზიის გვერდით.

* «რუსეთის საზოგადოებამ უნდა გადასჭრას დიდი, მეტად ძნელი, მაგრამ არა შეუძლებელი ამოცანა — განავითაროს მოსახლეობის საწარმოო ძალები ისეთი ფორმით, რომ ამ ძალებით სარგებლობა შეეძლოს არა უმნიშვნელო უმცირესობას, არამედ მთელ ხალხს» (ნ.—ონი, 343).

** შეად. ციტატები «რ. ბ.»-ს მე-8 ნომერში, გვ. 57, აგრეთვე «რ. ბ — ვოს» მე-6 ნომერში, გვ. 94, ბ-ნ ნ. — ონის სტატიაში.

იმ ქვეყნებში, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია განვითარდა, წარმოიქმნა — და როგორც კაპიტალისტური საზოგადოების დამატებითი ნაწილი მუდამ ახლად იქმნება — ბურჟუაზიული საშუალო წოდება (რომელიც პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის მერყეობს). მაგრამ იმ პირებს, რომლებიც ამ კლასს ეკუთვნიან, კონკურენცია მუდამ ერეკება პროლეტარიატის რიგებში, ისინი იწყებენ იმ მომენტის მოახლოების გათვალისწინებასაც-კი, როცა, მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, ისინი სრულიად გაქრებიან, როგორც თანამედროვე საზოგადოების დამოუკიდებელი ნაწილი, და მათს ადგილს ვაჭრობაში, მანუფაქტურასა და მიწათმოქმედებაში ზედამხედველნი და დაქირავებული მოსამსახურენი დაიკავებენ.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთია, სადაც გლეხობა მთელი მოსახლეობის ნახევარზე გაცილებით მეტს შეადგენს, ბუნებრივი იყო გამოჩენილიყვნენ მწერლები, რომელნიც, დგებოდნენ რა პროლეტარიატის მხარეზე, კაპიტალისტურ პირობებს წვრილბურჟუაზიული და წვრილგლეხური საზომით უდგებოდნენ და მუშათა საქმეს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით იცავდნენ. ასე წარმოიშვა წვრილბურჟუაზიული სოციალური მოძღვრება. სისმონდი ამგვარ ლიტერატურას სათავეში უდგას არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიც.

ამ მოძღვრებას ჩინებულად ეხერხებოდა წარმოების თანამედროვე პირობების წინააღმდეგობათა შემჩნევა. მან გამოააშკარავა ეკონომისტების ფარისევლური ოპტიმიზმი. მან აღნიშნა სამანქანო წარმოებისა და შრომის დანაწილების დამარღვეველი მოქმედება, კაპიტალებისა და მიწის საკუთრების კონცენტრაცია, ჭარბი წარმოება და კრიზისები, წვრილი ბურჟუაზიისა და გლეხობის აუცილებელი დაღუპვა, პროლეტარიატის სიღატაკე, წარმოების ანარქია, სიმდიდრის განაწილების აშკარა უსამართლობა, გამანადგურებელი სამრეწველო

ომი ერებს შორის, ძველ ზნე-ჩვეულებათა, ძველი ოჯახური ურთიერთობისა და ძველ ეროვნებათა დაშლა *.

ამ მიმართულების მოთხოვნათა დადებითს მხარეს წარმოადგენს ან წარმოებისა და გაცვლის ძველი წესების და მათთან ერთად ძველი ქონებრივი ურთიერთობისა და ძველი საზოგადოებრივი წყობილების აღდგენა; ანდა ის მიისწრაფვის წარმოებისა და გაცვლის თანამედროვე წესები ძალით შეინარჩუნოს ძველი ქონებრივი ურთიერთობის ჩარჩოებში, რომელიც ამ წესებმა უკვე დაამსხვრიეს და აუცილებლად უნდა დაემსხვრიათ. ორივე შემთხვევაში იგი ერთსა და იმავე დროს რეაქციულიც არის და უტოპიურიც.

მისი უკანასკნელი სიტყვაა მრეწველობის საამქრო ორგანიზაცია და პატრიარქალური სოფლის მეურნეობა» **.

ჩვენ ვცდილობდით ამ დახასიათების სამართლიანობა გვეჩვენებინა სისმონდის დოქტრინის თვითეული ცალკე ნაწილის გარჩევისას. ახლა კი აღვნიშნავთ მხოლოდ კურიოზულ ხერხს, რომელსაც აქ ეფრუსი იყენებს რომანტიზმის გადმოცემის, კრიტიკისა და შეფასების დროს დაშვებული შეცდომების დასაგვირგვინებლად. მკითხველს ახსოვს, რომ ეფრუსიმ თავისი სტატიის დასაწყისშივე («რ. ბ — ვოს» მე-7 ნომერში) განაცხადა, სისმონდის რეაქციონერად და უტოპისტად გამოცხადება «სამართლიანი» და «სწორი არ არისო» (l. c., გვ. 138). ასეთი თეზისის დასამტკიცებლად ეფრუსიმ, ჯერ-ერთი, მოახერხა და სრული დუმილით აუარა გვერდი უმთავრესს, სახელდობრ, სისმონდის თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი ს კავშირს

* ეს ნაწყვეტი ეფრუსის მოჰყავს «რ. ბ—ვოს» მე-8 ნომერში 57-ე გვერდზე (უკანასკნელი აბზაციდან).

** შეად. «რ. ბ—ვო», დასახელ. სტატია, 1894 წ., № 6, გვ. 88. ბ-ნ ნ.—ონს ამ ნაწყვეტის თარგმნის დროს ორი შეცდომა დაუშვია და ერთი ადგილი გამოუტოვებია: «წვრილბურჟუაზიულის» და «წვრილგლეხურის» ნაცვლად ის თარგმნის «ვიწრო მეშჩანური» და «ვიწრო გლეხური». «მუშათა საქმის» ნაცვლად ის თარგმნის «ხალხის საქმე», თუმცა ორიგინალში არის der Arbeiter. სიტყვები: «აუცილებლად უნდა დაემსხვრიათ» (gesprengt werden mussten) მას გამოუტოვებია [65].

კაპიტალისტური საზოგადოების განსაკუთრებული კლასის, წვრილ მწარმოებელთა კლასის, მდგომარეობასა და ინტერესებთან; მეორე, სისმონდის თეორიის ცალკეულ დებულებათა გარჩევის დროს ეფრუსი ხან სულ არასწორად აშუქებდა მის დამოკიდებულებას უახლესი თეორიისადმი, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ, ხან კი პირდაპირ უგულებელჰყოფდა უახლეს თეორიას და სისმონდის იცავდა იმ გერმანელ მეცნიერებზე მითითებით, რომელნიც სისმონდის «არ გასცილებიან»; დასასრულ, მესამე, ეფრუსიმ ისურვა მოეცა სისმონდის შეფასების ასეთი რეზიუმე: «ჩვენი (!) შეხედულება სიმონდ დე-სისმონდის მნიშვნელობაზე, — ამბობს ის, — შეგვიძლია (!!) დავასკვნათ შემდეგი სიტყვებით», რაც ეკუთვნის ერთ გერმანელ ეკონომისტს («რ. ბ.» № 7, გვ. 57), და შემდეგ მოყვანილია ზემოხსენებული ნაწყვეტი, ე. ი. ამ ეკონომისტის მიერ მოცემული დახასიათების მ ხ ო ლ ო დ პ ა ტ ა რ ა ნ ა წ ი ლ ი, ამასთან სწორედ ის ნაწილია ამოგდებული, სადაც გარკვეულია სისმონდის თეორიის კავშირი უახლესი საზოგადოების განსაკუთრებულ კლასთან, და ის ნაწილი, სადაც საბოლოო დასკვნა სისმონდის რეაქციულობასა და უტოპიზმზე ლაპარაკობს! უფრო მეტიც. ეფრუსი არ დასჯერდა იმას, რომ დახასიათებიდან ამოგლიჯა პ ა ტ ა რ ა ნ ა წ ი ლ ი, რომელიც არავითარ წარმოდგენას არ იძლევა მ თ ე ლ დახასიათებაზე, და, ამრიგად, სრულიად არასწორად წარმოგვიდგინა ამ ეკონომისტის დამოკიდებულება სისმონდისადმი. მან მოისურვა აგრეთვე შეელამაზებინა სისმონდი და თითქოს იმავე ეკონომისტის შეხედულებათა მხოლოდ გადმომცემად დარჩენილიყო.

«ამას უნდა დავუმატოთ, — ამბობს ეფრუსი, — რომ ზოგიერთი თეორიული შეხედულებით სისმონდი წინამორბედია ყველაზე გამოჩენილი უახლესი ეკონომისტებისა*: გავიხსენოთ მისი შეხედულებანი კაპიტალის შემოსავალზე, კრიზისზე, ნაციონალური შემოსავლის მისი კლასიფიკაცია და სხვ.»

* — ადოლფ ვაგნერისთანა? კ. ტ.

(ibid.). ამრიგად, იმის ნაცვლად, რომ გერმანელი ეკონომისტი: მიერ სისმონდის დამსახურებათა ჩამოთვლას მიუმატოს იმავე ეკონომისტის მითითება სისმონდის წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისსა და მისი უტოპიის რეაქციულ ხასიათზე, — ეფრუსი სისმონდის ღვაწლს უმატებს მისი მოძღვრების სწორედ იმ ნაწილებს (როგორც, მაგ., «ნაციონალური შემოსავლის კლასიფიკაციას»), რომლებშიც, იმავე ეკონომისტის დახასიათებით, არც ერთი მეცნიერული სიტყვა არ მოიპოვება.

გვეტყვიან: ეფრუსის შეუძლია სულაც არ გაიზიაროს ის აზრი, რომ ეკონომიურ დოქტრინათა განმარტება ეკონომიურ სინამდვილეში უნდა ვეძიოთო; ის შეიძლება ღრმად დარწმუნებული იყოს, რომ ა. ვაგნერის თეორია «ნაციონალური შემოსავლის კლასიფიკაციის» შესახებ «უშესანიშნავესი» თეორიააო. — ჩვენ ეს გვჯერა. მაგრამ რა უფლებით ეკეკლუცებოდა იგი ამ თეორიას, რომელზედაც ბატონ ნაროდნიკებს ძალიან უყვართ ლაპარაკი, რომ ისინი მას «ეთანხმებიან», მაშინ როდესაც ნამდვილად მას აბსოლუტურად ვერ გაუგია ამ თეორიის დამოკიდებულება სისმონდისადმი და ყოველივე შესაძლებელი (და შეუძლებელიც-კი) გააკეთა იმისათვის, რომ ეს დამოკიდებულება სრულიად არასწორი სახით წარმოგვიდგინოს?

ჩვენ ამ საკითხს ამდენ ადგილს არ დავუთმობდით, საქმე რომ ეხებოდეს მარტო ეფრუსის — მწერალს, რომლის სახელი თითქმის პირველად გვხვდება ნაროდნიკულ ლიტერატურაში. ჩვენ გვაინტერესებს არა ეფრუსის პიროვნება და არც მისი შეხედულებანი, არამედ საერთოდ ნაროდნიკების დამოკიდებულება განთქმული გერმანელი ეკონომისტის თეორიისადმი, რომელსაც ისინი ვითომ იზიარებენ. ეფრუსი სულაც არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს. პირიქით, მისი მაგალითი სავსებით ტიპიურია, და, ამის დასამტკიცებლად, ჩვენ ყველგან პარალელი გაგვყავდა სისმონდის თვალსაზრის-

სა და თეორიას და ბ-ნ ნ.—ონის თვალსაზრისსა და თეორიას შორის *. ანალოგია უაღრესად სრული აღმოჩნდა: თეორიული მსოფლმხედველობაც, შეხედულებაც კაპიტალიზმზე და პრაქტიკული დასკვნებისა და სურვილების ხასიათიც ერთნაირი აღმოაჩნდა ორივე მწერალს. ხოლო რადგანაც ბ-ნ ნ. — ონის შეხედულებანი შეიძლება ნაროდნიკობის უკანასკნელ სიტყვად ჩაითვალოს, ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ნაროდნიკების ეკონომიური მოძღვრება მხოლოდ რუსული სახესხვაობაა საერთოევროპული რომანტიზმისა.

თავისთავად ცხადია, რომ, ერთი მხრივ, რუსეთის ისტორიული და ეკონომიური თავისებურებანი და, მეორე მხრივ, მისი შეუდარებლად მეტი ჩამორჩენილობა ნაროდნიკობის განსაკუთრებით დიდ განსხვავებას იწვევს. მაგრამ ეს განსხვავება სახეობითი განსხვავების საზღვრებს არ სცილდება და ამიტომ ნაროდნიკობისა და წვრილბურჟუაზიული რომანტიზმის ერთგვაროვნებას არა სცვლის.

შეიძლება, ყველაზე თვალსაჩინო და ყველაზე საყურადღებო განსხვავებას წარმოადგენს ეკონომისტ-ნაროდნიკების მისწრაფება — დაჰფარონ თავიანთი რომანტიზმი იმით, რომ განაცხადონ — უახლეს თეორიას «ვეთანხმებითო» და რაც შეიძლება ხშირად დაიმოწმონ ის, თუმცა ეს თეორია ძლიერ უარყოფით ეკიდება რომანტიზმს და წვრილბურჟუაზიულ მოძღვრებათა ყველა სახესხვაობასთან სასტიკ ბრძოლაში აღმოცენდა.

სისმონდის თეორიის გარჩევა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს სწორედ იმიტომ, რომ ასეთი გადასხვაფერების ზოგადი ხერხების გარჩევის საშუალებას იძლევა.

ჩვენ დავინახეთ, რომ როგორც რომანტიზმი, ისე

* მეორე ნაროდნიკი ეკონომისტი, ბ-ნი ვ. ვ., სავსებით ეთანხმება ბ-ნ ნ. — ონს ზემოაღნიშნულ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, და მისგან განსხვავდება მხოლოდ კიდევ უფრო პრიმიტიული თვალსაზრისით.

უახლესი თეორია თანამედროვე საზოგადოებრივი მეურნეობის ერთსა და იმავე წინააღმდეგობებს აღნიშნავენ. სწორედ ამით სარგებლობენ ნაროდნიკები, რომელნიც იმოწმებენ იმას, რომ უახლესი თეორია აღიარებს წინააღმდეგობებს, რაც მჟღავნდება კრიზისებით, საგარეო ბაზრის ძებნით, მოხმარების შემცირებასთან ერთად წარმოების ზრდით, საბაჟო მფარველობით, სამანქანო ინდუსტრიის მავნე მოქმედებით და სხვ. და სხვ. და ნაროდნიკები სავსებით მართალი არიან: უახლესი თეორია მართლაც აღიარებს ყველა ამ წინააღმდეგობას, რომელსაც რომანტიზმიც აღიარებდა. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, როდისმე თუნდაც ერთ ნაროდნიკს დაუყენებია საკითხი იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება ამ წინააღმდეგობათა მეცნიერული ანალიზი, რომელიც მათ მეურნეობის არსებული წყობის ნიადაგზე აღმოცენებული სხვადასხვა ინტერესებით ფარგლავს, წინააღმდეგობათა ამ აღნიშვნის გამოყენებისაგან მხოლოდ კეთილი სურვილებისათვის? — არა, არც ერთ ნაროდნიკს არა აქვს გარჩეული ეს საკითხი, რომელიც ახასიათებს სწორედ უახლესი თეორიის განსხვავებას რომანტიზმისაგან. ნაროდნიკები წინააღმეგობათა აღნიშვნას სწორედ ასე იყენებენ მხოლოდ კეთილი სურვილებისათვის.

შემდეგ საკითხავია — როდისმე თუნდაც ერთ ნაროდნიკს დაუყენებია საკითხი იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება კაპიტალიზმის სენტიმენტალური კრიტიკა მისი მეცნიერული, დიალექტიკური კრიტიკისაგან? — არც ერთს არ დაუყენებია ეს საკითხი, რომელიც ახასიათებს უახლესი თეორიის მეორე უმნიშვნელოვანეს განსხვავებას რომანტიზმისაგან. არც ერთს არ დაუნახავს საჭიროდ თავისი თეორიების კრიტერიუმად წამოეყენებინა საზოგადოებრივ-სამეურნეო ურთიერთობის სწორედ არსებული განვითარება (ხოლო ამ კრიტერიუმის გამოყენებაში მდგომარეობს სწორედ მეცნიერული კრიტიკის ძირითადი განსხვავება).

დასასრულ, საკითხავია — როდისმე თუნდაც ერთ ნაროდნიკს დაუყენებია საკითხი იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება რომანტიზმის თვალსაზრისი, რომელიც აიდეალებს წვრილ წარმოებას და დასტირის «კაპიტალიზმის» მიერ მისი საფუძვლების «მსხვრევას», — უახლესი თეორიის თვალსაზრისისაგან, რომელიც თავის დებულებათა გამოსავალ წერტილად სთვლის მსხვილ კაპიტალისტურ სამანქანო წარმოებას და პროგრესულ მოვლენად აცხადებს ამ «საფუძვლების მსხვრევას»? (ჩვენ ვხმარობთ ამ საყოველთაოდ მიღებულ ნაროდნიკულ გამოთქმას, რომელიც მკაფიოდ ახასიათებს მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის გავლენით საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნის იმ პროცესს, რომელიც ყ ვ ე ლ გ ა ნ, და არა მარტო რუსეთში, ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის გამოაცებელი მკვეთრი და მძაფრი ფორმით.)—ისევ და ისევ არა. არც ერთ ნაროდნიკს არ დაუყენებია ეს საკითხი, არც ერთს არ უცდია რუსული «მსხვრევისთვის» მიეყენებინა ის საზომი, რომლის მიხედვით დასავლეთ ევროპული «მსხვრევა» პროგრესულად არის აღიარებული, და ყველა ისინი მისტირიან საფუძვლებს, გვირჩევენ შევწყვიტოთ მსხვრევა და აცრემლებულნი ირწმუნებიან, რომ სწორედ ეს არის «უახლესი თეორიაო»...

შედარება მათი «თეორიისა», რომელსაც ისინი სახავდნენ კაპიტალიზმის საკითხის ახალ და დამოუკიდებელ გადაჭრად დასავლეთ ევროპული მეცნიერებისა და ცხოვრების უკანასკნელი სიტყვების საფუძველზე და შედარება სისმონდის თეორიისა თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ კაპიტალიზმისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების რომელ პრიმიტიულ პერიოდს ეკუთვნის ასეთი თეორიის წარმოშობა. მაგრამ საქმის არსი ის კი არ არის, რომ ეს თეორია ძველია. განა ცოტაა მეტად ძველი ევროპული თეორია, რომელიც ძალიან ახალი იქნებოდა რუსეთისათვის! საქმის არსი ის არის, რომ მ ა შ ი ნ ა ც, რ ო ც ა ე ს თ ე ო რ ი ა გ ა ჩ ნ დ ა, ი გ ი წ ვ რ ი ლ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი დ ა რ ე ა ქ ც ი უ ლ ი თ ე ო რ ი ა ი ყ ო.

VI

ინგლისში პურის ბაჟების საკითხი რომანტიზმისა და მეცნიერული თეორიის შეფასებით

თანამედროვე ეკონომიის მთავარი პუნქტების შესახებ რომანტიზმის თეორიისა და უახლესი თეორიის შედარებას ჩვენ შევავსებთ ერთ პრაქტიკულ საკითხზე მათი მსჯელობის შედარებით. ასეთი შედარების ინტერესს აძლიერებს, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ეს პრაქტიკული საკითხი კაპიტალიზმის ერთ-ერთი უდიდესი, პრინციპული საკითხია; მეორე მხრივ, ის, რომ ამ საკითხზე თავისი აზრი გამოსთქვა ამ ერთმანეთისადმი მტრული თეორიების ორმა ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელმა.

ჩვენ ვლაპარაკობთ ინგლისის პურის კანონებისა და მათი გაუქმების შესახებ[66]. მიმდინარე საუკუნის მეორე მეოთხედში ეს საკითხი ძლიერ აინტერესებდა არა მარტო ინგლისელ, არამედ კონტინენტის ეკონომისტებსაც: ყველას ესმოდა, რომ ეს სრულებითაც არ არის საბაჟო პოლიტიკის კერძო საკითხი, არამედ საერთო საკითხია ვაჭრობის თავისუფლების, კონკურენციის თავისუფლების, «კაპიტალიზმის ბედის» შესახებ. საქმე ეხებოდა სწორედ იმას, რომ კაპიტალიზმის შენობა დაგვირგვინებულიყო კონკურენციის თავისუფლების სრული გატარებით, გზა გაწმენდილიყო იმ «მსხვრევის» დასაბოლოებლად, რომელიც ინგლისში დაიწყო მსხვილმა სამანქანო ინდუსტრიამ წარსული საუკუნის დასასრულიდან, მოსპობილიყო ის დაბრკოლებანი, რომელნიც აფერხებდნენ ამ «მსხვრევას» მიწათმოქმედებაში. სწორედ ასე შეხედა ამ საკითხს კონტინენტის ორივე ეკონომისტმა, რომელთა შესახებაც ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ.

სისმონდიმ თავის «Nouveaux Principes»-ის მეორე გამოცემაში განსაკუთრებული თავი შეიტანა «პურით ვაჭრობის კანონების შესახებ» (l. III, ch. X).

ის უწინარეს ყოვლისა აღნიშნავს საკითხის მწვავე ხასიათს: «ამჟამად ინგლისელი ხალხის ნახევარი მოითხოვს პუ-

რის კანონების გაუქმებას, მოითხოვს უდიდესი გულისწყრომით იმათ მიმართ, ვინც ამ კანონებს უჭერს მხარს; მეორე ნახევარი კი მოითხოვს მათ შენარჩუნებას და აღშფოთებულია იმათ წინააღმდეგ, ვისაც ჰათი გაუქმება უნდა» (I, 251).

იხილავს რა საკითხს, სისმონდი აღნიშნავს, რომ ინგლისელ ფერმერთა ინტერესები პოითხოვს პურის ბაჟებს იმისათვის, რომ მათ უზრუნველყოფილი ჰქონდეთ remunerating price (ხელსაყრელი ანუ უზარალო ფასი). მანუფაქტურისტთა ინტერესები კი მოითხოვს პურის კანონების გაუქმებას, ვინაიდან მანუფაქტურები ვერ იარსებებენ საგარეო ბაზრების გარეშე, ხოლო ინგლისის ექსპორტის შემდგომ განვითარებას აფერხებდნენ ის კანონები, რომლებიც შემოტანას ზღუდავდნენ: «მანუფაქტურისტები ამბობდნენ, რომ ბაზრის ავსება, რასაც ისინი ხედავენ საგამსაღებლო ადგილებში, იმავე პურის კანონების შედეგია, — რომ კონტინენტის მდიდარ ადამიანებს არ შეუძლიათ შეიძინონ მათი საქონელი, რადგანაც ისინი ვერ ასაღებენ თავიანთ პურს» (I, 254) *.

«უცხოეთის პურისთვის ბაზრების გახსნა, ალბათ, გააღატაკებს ინგლისელ მიწათმფლობელთ და შეუდარებლად დაუცემს საიჯარო ქირას. უეჭველია, ეს დიდი უბედურებაა, მაგრამ ეს უსამართლობა არ იქნებოდა» (I, 254). და სისმონდიც ფრიად გულუბრყვილოდ იწყებს იმის მტკიცებას, რომ მიწათმფლობელთა შემოსავალი უნდა შეეფერებოდეს იმ სამსახურს (sic!! **), რომელსაც ისინი უწევენ «საზოგადოებას» (კაპიტა-

* ოაც უნდა ცალმხრივი იყოს ეს განმარტება ინგლისელი მეფაბრიკეებისა, რომლებიც უგულებელყოფენ კრიზისების უფრო ღრმა მიზეზებს და მათ აუცილებლობას ბაზრის სუსტი გაფართოების დროს, მასში მაინც არის ის უთუოდ სავსებით სამართლიანი აზრი, რომ პროდუქტების რეალიზაცია უცხოეთში, საერთოდ და მთლიანად, მოითხოვს საოთანადო შემოტანას უცხოეთიდან. — ინგლისელი მეფაბრიკეების ეს მითითება ვურჩევთ ყურადღონ იმ ეკონომისტებმა, რომლებიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტის რეალიზაციის საკითხს თავიდან იცილებენ ღრმაზროვანი შენიშვნით: «ხაზღვარგარეთ გაასაღებენ».

** — ასეა!! რედ.

ლისტურს?) და სხვ. «ფერმერები, — განაგრძობს სისმონდი, — მიწათმოქმედებიდან ამოიღებენ თავის კაპიტალს, — ნაწილობრივ მაინც».

სისმონდის ამ მსჯელობაში (ის კი ამ მსჯელობით კმაყოფილდება) მეღავნდება ძირითადი მანკი რომანტიზმისა, რომელიც საკმაო ყურადღებას არ აქცევს ეკონომიური განვითარების იმ პროცესს, რომელსაც ადგილი აქვს სინამდვილეში. ჩვენ დავინახეთ, რომ სისმონდიმ თვითონ აღნიშნა ფერმერობის თანდათანობითი ზრდა და განვითარება ინგლისში. მაგრამ ის იჩქარის დაჰგმოს ეს პროცესი იმის ნაცვლად, რომ მისი მიზეზები შეისწავლოს. მხოლოდ ამ აჩქარებით, ისტორიისათვის თავისი გულუბრყვილო სურვილების თავზე მოხვევის მონდომებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ სისმონდის გამოეპარა მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების საერთო ტენდენცია და ამ პ რ ო ც ე ს ი ს აუცილებელი დ ა ჩ ქ ა რ ე ბ ა პურის კანონების გაუქმების დროს, ე. ი. მიწათმოქმედების კაპიტალისტური პროგრესი იმ დაცემის ნაცვლად, რომელსაც სისმონდი წინასწარმეტყველებს.

მაგრამ სისმონდი თავის თავს არ ღალატობს. როგორც კი მიადგა ამ კაპიტალისტური პროცესის წინააღმდეგობას, ის დაუყოვნებლივ იწყებს მის გულუბრყვილოდ «უარყოფას», და ცდილობს უეჭველად დაამტკიცოს იმ გზის შეცდომა, რომლითაც მიიმართება «ინგლისური სამშობლო».

«რაღა უნდა ჰქნას დღიურმა მუშამ?.. მუშაობა შესწყდება, ყანები საძოვრებად გადაიქცევა... რაღა ეშველება იმ 540 000 ოჯახს, რომელთაც სამუშაო წაერთმევა? * თუნდაც რომ და-

* სისმონდი კაპიტალიზმის უვარგისობის «დასამტკიცებლად» მაშინვე სთხზავს სამაგალითო გაანგარიშებას (რაც ასე უყვარს, მაგ., ჩვენს რუს რომანტიკოსს ბ-ნ ვ. ვ -ს). 600 000 ოჯახი, — ამბობს ის, — მიწათმოქმედებას მისდევს. როცა ყანები საძოვრებით შეიცვლება, ამ რაოდენობის ერთ მეათედზე მეტი აღარ იქნება «საჭირო»... პროცესის მთელი სირთულის რაც უფრო ნაკლებ ცოდნას ამჟღავნებს მწერალი, მით უფრო მეტი ხალისით მიმართავს ის ბავშვურ გაანგარიშებას «თვალდათვალ».

ვუშვათ, რომ ისინი ყოველგვარი სამრეწველო მუშაობისთვის გამოდგებიან, განა არის ამჟამად ისეთი ინდუსტრია, რომელსაც შეეძლოს მათი მიღება?.. განა მოინახება ისეთი მთავრობა, რომელიც ნებაყოფლობით გაბედავდა მის გამგებლობაში მყოფი ერის ნახევარი ასეთ კრიზისში ჩაეგდო?.. ისინი, ვისაც, ამნაირად, მსხვერპლად შესწირავენ მიწათმოქმედთ, ნახავენ კი რაიმე სარგებლობას აქედან? ეს მიწათმოქმედნი ხომ ინგლისის მანუფაქტურების ყველაზე ახლობელი და ყველაზე საიმედო მომხმარებლები არიან. მათი მოხმარების შეწყვეტა უფრო დამღუპველ ლახვარს ჩასცემდა ინდუსტრიას, ვიდრე ერთ-ერთი უდიდესი საზღვარგარეთული ბაზრის დახურვა» (255—256). აქ სცენაზე გამოდის ყბადაღებული «შინაური ბაზრის შემცირება». «რამდენს დაჰკარგავენ მანუფაქტურები იმით, თუ მოხმარებას შესწყვეტს ინგლისელ მიწათმოქმედთა მთელი კლასი, რომელიც ერის თითქმის ნახევარს შეადგენს? რამდენს დაჰკარგავენ მანუფაქტურები იმით, თუ მოხმარებას შესწყვეტენ მდიდრები, რომელთა სამიწათმფლობელო შემოსავალი თითქმის მოისპობა?» (267). რომანტიკოსი ტყავიდან ძვრება და უმტკიცებს მეფაბრიკეებს, რომ ის წინააღმდეგობანი, რომელნიც მათი წარმოებისა და მათი სიმდიდრის განვითარებას ახლავს, მხოლოდ მათი შეცდომის, მათი უანგარიშობის გამომხატველია. და მეფაბრიკეები რომ «დაარწმუნოს» კაპიტალიზმის «საშიშროებაში», სისმონდი დაწვრილებით ასურათებს პოლონური და რუსული პურის მოსალოდნელ კონკურენციას (p. 257 — 261). ის ყოველგვარ არგუმენტს იყენებს, თვით ინგლისელების თავმოყვარეობაზედაც კი უნდა გავლენა მოახდინოს. «რა მოუვა ინგლისის ღირსებას, თუ რუსეთის იმპერატორს შეეძლება, როგორც კი მოისურვებს მისგან რაიმე დათმობის მიღებას, შიმშილით ამოართვას მას სული ბალტიის ზღვის ნავსადგურების ჩაკეტვით?» (268). მოიგონეთ, მკითხველო, როგორ ამტკიცებდა სისმონდი «ფულის ბატონობის აპოლოგიის» შემცდარობას იმ საბუთით, რომ გაყიდვის დროს ადვილად ხდება მოტყუებაო... სისმონდის სურს «უარ-

ჰყოს» ფერმერობის თეორიული განმმარტებლები იმის აღნიშვნით, რომ მდიდარი ფერმერები ვერ გაუძლებენ საცოდავი გლეხების კონკურენციასო (ციტ. ზემოთ),—და ბოლოს და ბოლოს მაინც თავის სანუკვარ დასკვნამდე მიდის, როგორც სჩანს, დარწმუნებული იმაში, რომ დაამტკიცა იმ გზის «შემცდარობა», რომელსაც «ინგლისური სამშობლო» ადგას. «ინგლისის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს პრაქტიკა (ფულადი მეურნეობის განვითარება, რომელსაც სისმონდი უპირდაპირებს l'habitude de se fournir soi-même, «თავისი შრომით ცხოვრებას») საშიშროებას მოკლებული არ არის» (263). «თვით სისტემა მეურნეობისა (სახელდობრ ფერმერობა) ცუდია, სახიფათო ბაზისს ემყარება, და აი სწორედ მისი შეცვლა არის საჭირო» (266).

ამრიგად, კონკრეტული საკითხი, რომელიც გამოწვეულია განსაზღვრული ინტერესების შეტაკებით მეურნეობის განსაზღვრულ სისტემაში, ფულუბრყვილო სურვილების მორევშია დაძირული! მაგრამ საკითხი თვით დაინტერესებულ მხარეთა მიერ ისე მკვეთრად იყო დაყენებული, რომ ასეთი «გადაწყვეტით» დაკმაყოფილება (როგორც კმაყოფილდება ამით რომანტიზმი ყველა სხვა საკითხის მიმართ) უკვე ყოვლად შეუძლებელი იყო.

«მაგრამ რა ვქნათ? — სასოწარკვეთილი კითხულობს სისმონდი, — გავხსნათ თუ ჩავკეტოთ ინგლისის ნავსადგურები? ვინ გავწიროთ შიმშილისა და სიკვდილისათვის — ინგლისის მანუფაქტურებისა თუ სოფლის მუშები? ჭეშმარიტად, საშინელი კითხვაა; მდგომარეობა, რომელშიც ინგლისის სამინისტრო იმყოფება, — ერთი იმ ყველაზე საჩოთირო მდგომარეობათაგანია, რომელშიც-კი შეეძლოთ ჩავარდნა სახელმწიფო კაცებს» (260). და სისმონდი ისევ და ისევ უბრუნდება «საერთო დასკვნას» ფერმერობის სისტემის «საშიშროების» შესახებ, «სპეკულაციის სისტემისათვის მთელი მიწათმოქმედების დამორჩილების საშიშროების» შესახებ. მაგრამ «მე არ ვიცი, როგორ შეიძლება ინგლისში მივიღოთ ისეთი ზომები — სე-

რიოზული, მაგრამ იმავე დროს თანდათანობითი ზომები, რომლებიც გაადიდებდნენ წვრილი ფერმების მნიშვნელობას (remettraient en honneur, როცა მანუფაქტურებში ჩაბმული ნახევარი ერი შიმშილობს, ხოლო ზომები, რომლებსაც იგი მოითხოვს, შიმშილს უქადის ერის მეორე, მიწათმოქმედებაში ჩაბმულ ნახევარს. მე საჭიროდ მიმაჩნია პურით ვაჭრობის კანონები საგრძნობლად შეიცვალოს; მაგრამ ვურჩევ იმათ, ვინც მათს სავსებით გაუქმებას მოითხოვს, გულმოდგინედ გამოიკვლიონ შემდეგი საკითხები» (267), — ამას მოსდევს ძველი წუწუნი და შიში მიწათმოქმედების დაცემის, შინაური ბაზრის შემცირებისა და სხვ. შესახებ.

ამრიგად, სინამდვილესთან პირველ შეჯახებისთანავე, რომანტიზმმა სრული ფიასკო განიცადა. იგი იძულებული იყო თავის თავისთვის თვითონვე მიეცა testimonium paupertatis* და თვითონვე მოეწერა ხელი მის მიღებაზე. მოიგონეთ, რა უბრალოდ და ადვილად «სწყვეტდა» რომანტიზმი ყველა საკითხს «თეორიაში»! პროტექციონიზმი — არაგონივრულია, კაპიტალიზმი — დამღუპველი შეცდომაა, ინგლისის გზა — შემცდარი და სახიფათოა, წარმოება მხარდამხარ უნდა მისდევდეს მოხმარებას, მრეწველობა და ვაჭრობა — მიწათმოქმედებას, მანქანები მხოლოდ მაშინ არის ხელსაყრელი, როცა იწვევენ ხელფასის გადიდებას ან სამუშაო დღის შემცირებას, წარმოების საშუალებანი არ უნდა ჩამოვაშოროთ მწარმოებლებს, გაცვლამ არ უნდა გაუსწროს წარმოებას, არ უნდა წარმოშვას სპეკულაცია და სხვ., და სხვ. ყოველ წინააღმდეგობას რომანტიზმი სათანადო სენტიმენტალური ფრაზით ფარავს, ყოველ კითხვაზე სათანადო გულუბრყვილო სურვილით უპასუხებს და მიმდინარე ცხოვრების ყველა ფაქტზე ამ იარლიკების დაკვრას საკითხების «გადაჭრას» უწოდებს. გასაკვირველი როდია, რომ საკითხების ასეთი გადაჭრა ესოდენ გულისამაჩუყებელი სიმარტივითა და ადვილად ხდებოდა: იგი უგულებელჰყოფდა მხოლოდ ერთ პატარა გარემოებას — იმ რეა-

* — სიღარიბის მოწმობა. რ ე დ.

ლურ ინტერესებს, რომელთა კონფლიქტში მდგომარეობდა სწორედ წინააღმდეგობა. და როდესაც ამ წინააღმდეგობის განვითარებამ რომანტიკოსი პირისპირ შეაჯახა ერთ-ერთ ისეთ განსაკუთრებით ძლიერ კონფლიქტს, როგორიც იყო ინგლისში პარტიათა ბრძოლა პურის კანონების გაუქმების წინ, — ჩვენი რომანტიკოსი სრულიად დაიბნა. ის მშვენივრად გრძნობდა თავს კეთილი სურვილებისა და ოცნების ნისლში, ფრიად ოსტატურად სთხზავდა სენტენციებს, რომელნიც შეეფერებოდა საერთოდ «საზოგადოებას» (მაგრამ არ შეეფერებოდა საზოგადოების არც ერთ ისტორიულად გარკვეულ წყობას), — ხოლო როცა თავისი ფანტაზიის სამყაროდან ნამდვილი ცხოვრებისა და ინტერესთა ბრძოლის ორომტრიალში ჩავარდა, — მას ხელში კრიტერიუმიც-კი არ აღმოაჩნდა კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად. განყენებული დებულებებისა და აბსტრაქტულ გადაწყვეტილებათა მიღების ჩვეულებამ კითხვა მშრალ ფორმულამდე ჩამოიყვანა: რომელი მოსახლეობა უნდა გაჩანაგდეს, მიწათმოქმედებაში თუ მანუფაქტურებში ჩაბმული? — და, რა თქმა უნდა, რომანტიკოსს არ შეეძლო არ დაესკვნა, რომ არც ერთი არ უნდა გაჩანაგდეს, რომ საჭიროა «გზიდან გადახვევა»... მაგრამ რეალური წინააღმდეგობანი მას ისე მჭიდროდ შემორტყმიან გარს, რომ კეთილი სურვილების ბურუსში ასვლის საშუალებას აღარ აძლევენ, და რომანტიკოსიც იძულებული ხდება პ ა ს უ ხ ი გ ა ს ც ე ს. სისმონდიმ კი მთელი ორი პასუხი მოგვცა: პირველი — «მე არ ვიცი»; მეორე — «ერთი მხრივ, არ შეიძლება არ გამოვტყდე, მეორე მხრივ, უნდა აღვიაროო».

1848 წლის 9 იანვარს ბრიუსელში კარლ მარქსმა საჯარო კრებაზე წარმოსთქვა «სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ» *. წინააღმდეგ რომანტიზმისა, რომელიც აცხადებდა, რომ

* «Discours sur le libre échange» («სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ» [67]. რ ე დ.). ჩვენ ვსარგებლობთ გერმანული თარგმანით: «Rede über die Frage des Freihandels».

«პოლიტიკური ეკონომია ანგარიშიანობის მეცნიერება კი არა, მორალის მეცნიერებაა», — მან თავისი გადმოცემის გამოსავალ წერტილად სწორედ ინტერესების უბრალო ფხიზელი გაანგარიშება წამოაყენა. იმის ნაცვლად, რომ პურის კანონების საკითხი განეხილა როგორც ერის მიერ არჩეული «სისტემის» საკითხი, ან როგორც კანონმდებლობის საკითხი (ასე უყურებდა სისმონდი), — ორატორმა იმით დაიწყო, რომ ეს საკითხი მეფაბრიკეებისა და მიწათმფლობელების ინტერესთა შეჯახებად წარმოგვიდგინა, და გვიჩვენა, თუ როგორ ცდილობდნენ ინგლისელი მეფაბრიკეები საკითხი საერთო-სახალხო საქმედ წარმოედგინათ, როგორ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მუშები, რომ ისინი ხალხის კეთილდღეობისათვის იღწვიან. წინააღმდეგ რომანტიკოსისა, რომელიც საკითხს არკვევდა იმ მოსაზრებათა ფორმით, რომელნიც კანონმდებელს უნდა ჰქონდეს მხედველობაში რეფორმის განხორციელებისას, — ორატორმა საკითხი ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა კლასის რეალური ინტერესების შეჯახებით შემოფარგლა. მან დაგვანახა მეფაბრიკეებისათვის ნედლი მასალის გაიაფების საჭიროება, როგორც მთელი საკითხის საფუძველი. მან დაახასიათა უნდობლობა ინგლისელი მუშებისა, რომლებსაც «ყოვლად თავდადებული ადამიანები, რომელიმე ბოურინგი (Bowring), ბრაიტი (Bright) და მათი ამხანაგები — თავიანთ უდიდეს მტრებად მიაჩნდათ».

«მეფაბრიკეები დიდ ხარჯებს ეწევიან და აგებენ სასახლეებს, სადაც Anti-Corn-Law-League (პურის კანონების საწინააღმდეგო ლიგა)[68] თავის ერთგვარ რეზიდენციას აწყობს, ისინი ინგლისის ყოველ პუნქტში მოციქულების მთელ არმიას გზავნიან თავისუფალი ვაჭრობის რელიგიის საქადაგებლად. ისინი ათასობით ეკზემპლარ ბროშურებს ბეჭდავენ და მუქთად არიგებენ, რათა გაანათლონ მუშაკი და შეაგნებინონ მისი საკუთარი ინტერესები. ისინი დიდძალ ფულს ხარჯავენ პრესის მისამხრობად. ფრიტრედერული მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის ისინი გრანდიოზულ ადმინისტრაციულ

აპარატს აწყობენ და საჯარო მიტინგებზე მთელი თავიანთი მჭევრმეტყველების ნიჭს გადაშლიან ხოლმე. ერთ-ერთ ასეთ მიტინგზე ერთმა მუშამ წამოიძახა: «მიწათმფლობელები რომ ჩვენს ძვლებს ჰყიდდნენ, თქვენ, მეფაბრიკეები, პირველნი იყიდდით მათ, რათა ორთქლის წისქვილში გაგეგზავნათ და მათგან ფქვილი მიგეღოთო!» ინგლისელმა მუშებმა ჩინებულად გაიგეს მიწათმფლობელთა და მეფაბრიკეთა შორის ჩამოვარდნილი ბრძოლის მნიშვნელობა. მათ მშვენივრად იციან, რომ პურის ფასის დაკლება იმისთვის უნდათ, რათა ხელფასი შეამცირონ, და რომ კაპიტალის მოგება იმდენადვე გადიდდება, რამდენადაც რენტა დაეცემა».

ამრიგად, თვით ს ა კ ი თ ხ ი დ ა ყ ე ნ ებ ულ ი ა სულ სხვანაირად, ვიდრე სისმონდის აქვს. აქ ამოცანად დასახულია, ჯერ-ერთი, განმარტებულ იქნას ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა კლასის დამოკიდებულება საკითხისადმი მათი ინტერესების თვალსაზრისით; მეორე, გაშუქდეს რეფორმის მნიშვნელობა ინგლისის საზოგადოებრივი მეურნეობის საერთო ევოლუციაში.

ამ უკანასკნელ პუნქტში ორატორის შეხედულებები ეთანხმება სისმონდის შეხედულებებს იმ მხრივ, რომ ისიც აქ ხედავს არა კერძო, არამედ ს ა ე რ თ ო ს ა კ ი თ ხ ს საზოგადოდ კაპიტალიზმის განვითარების, «თავისუფალი ვაჭრობის», როგორც სისტემის, შესახებ. «პურის კანონების გაუქმება ინგლისში უდიდესი ტრიუმფი იყო, რომელსაც თავისუფალმა ვაჭრობამ მიაღწია XIX საუკუნეში» [69]. «პურის კანონების გაუქმებით თავისუფალი კონკურენცია, საზოგადოებრივი მეურნეობის თანამედროვე წყობა თავის უკიდურეს განვითარებას აღწევს» *. მაშასადამე, ეს საკითხი ამ ავტორებისათვის

* «Die Lage der arbeitenden Klasse in England». (1845) [70]. ეს თხზულება დაწერილია სავსებით ამავე თვალსაზრისით პურის კანონების გ ა უ ქ მ ებ ა მ დ ე (1846), — მაშინ როდესაც ტექსტში გადმოცემული სიტყვა ეკუთვნის მათი გაუქმების შ ე მ დ გ ო მ პერიოდს. მაგრამ დროის განსხვავებას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს: საკმარისია შევადაროთ

წარმოადგენს საკითხს იმის შესახებ, კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება არის სასურველი თუ, პირიქით, მისი შეფერხება, «სხვა გზების» ძებნა და სხვ. და ჩვენ ვიცით, რომ ამ საკითხზე მათი დადებითი პასუხი იყო სახელდობრ გადაჭრა «კაპიტალიზმის ბედის» საერთო პრინციპული საკითხისა და არა ინგლისის პურის კანონების კერძო საკითხისა, ვინაიდან აქ გამორკვეულ თვალსაზრისს იყენებდნენ გაცილებით უფრო გვიანაც სხვა სახელმწიფოების მიმართ. ავტორები ასეთ შეხედულებებს იცავდნენ 1840-იან წლებში როგორც გერმანიის, ისე ამერიკის მიმართ *, აღიარებდნენ რა ამ ქვეყნისთვის თავისუფალი კონკურენციის პროგრესულობას; ერთი მათგანი გერმანიის შესახებ ჯერ კიდევ 60-იან წლებში სწერდა, რომ გერმანიას აწუხებს არა მარტო კაპიტალიზმი, არამედ კაპიტალიზმის არასაკმარისი განვითარებაცო.

დავუბრუნდეთ ხსენებულ სიტყვას. ჩვენ აღვნიშნეთ პრინციპულად სხვა თვალსაზრისი ორატორისა, რომელმაც საკითხი ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა კლასის ინტერესებით შემოფარგლა. ასეთსავე ღრმა განსხვავებას ვხედავთ მის მიერ იმ წმინდა თეორიული საკითხის დაყენებაშიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს პურის კანონების გაუქმებას საზოგადოებრივ შეურნეობაში. მისთვის ეს არის არა აბსტრაქტული საკითხი

სისმონდის ზემომოყვანილი მსჯელობა, რომელიც 1827 წელს ეკუთვნის, ამ 1848 წლის სიტყვას, რათა დავინახოთ, რომ ორივე ავტორს საკითხის ელემენტები სავსებით ერთნაირი აქვს. თვით იდეა სისმონდის შედარებისა მერმინდელ გერმანელ ეკონომისტთან აღებული გვაქვს «Handwörterbuch der Staatswissenschaften», B. V, Art. «Sismondi» von Lippert, Seite 679. ეს პარალელი იმდენად საჭირბოროტო ინტერესის მქონე აღმოჩნდა, რომ ბ-ნ ლიპერტის გადმოცემამ ერთბაშად დაკარგა მთელი თავისი გახევებულობა... ესე-იგი «ობიექტურობა» და საინტერესო, ცოცხალი და მგზნებარეც-კი გახდა.

* შად. «Neue Zeit»-ში («ახალი დროება» [71]. რ ე დ.) მარქსის ამას წინათ აღმოჩენილი სტატიები «Westphälisches Dampfboot»-ში («ვესტფალიის გემი» [72]. რ ე დ.).

იმის შესახებ, თუ როგორ სისტემას უნდა გაჰყვეს ინგლისი, რა გზა აირჩიოს მან (როგორც აყენებს საკითხს სისმონდი, რომელსაც ავიწყდება, რომ ინგლისს აქვს წარსული და აწმყო, რომლებიც უკვე განსაზღვრავენ ამ გზას). არა, ის საკითხს ერთბაშად აყენებს არსებული საზოგადოებრივ-სამეურნეო წყობის ნიადაგზე; ის ეკითხება თავის თავს, როგორი უნდა იყოს შემდგომი ნაბიჯი ამ წყობის განვითარებაში პურის კანონების გაუქმების შემდეგ.

ამ საკითხის სიძნელე მდგომარეობდა იმის გარკვევაში, თუ როგორ გავლენას მოახდენდა პურის კანონების გაუქმება მიწათმოქმედებაზე, — ვინაიდან მრეწველობის მიმართ ეს გავლენა ყველასათვის აშკარა იყო.

იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი გაუქმება მიწათმოქმედებისთვისაც სასარგებლო იქნებოდა, Anti-Corn-Law-League-ს პრემიები დანიშნა ინგლისის მიწათმოქმედებაზე პურის კანონების მოსპობის კეთილმყოფელი გავლენის შესახებ სამი საუკეთესო თხზულებისათვის. ორატორი მოკლედ გადმოგვცემს სამივე ლაურეატის — ჰოპის (Hope), მორზის (Morse) და გრეგის (Greg) შეხედულებებს, და ერთბაშად გამოჰყოფს უკანასკნელს, რომლის თხზულება ყველაზე მეცნიერულად, ყველაზე მკაცრად ატარებს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიერ დამყარებულ პრინციპებს.

გრეგი, თვითონ მსხვილი მეფაბრიკე, რომელიც უმთავრესად მსხვილი ფერმერებისთვის სწერდა, ამტკიცებს, რომ პურის კანონების გაუქმება მიწათმოქმედებიდან გამოაძევებს წვრილ ფერმერებს, რომლებიც იძულებული იქნებიან ინდუსტრიას მიმართონ, მაგრამ სარგებლობას მოუტანს მსხვილ ფერმერებს, რომლებსაც შესაძლებლობა მიეცემათ უფრო გრძელი ვადით აიღონ მიწა, მიწაში უფრო მეტი კაპიტალი დააბანდონ, მეტი მანქანები გამოიყენონ, იოლად წავიდნენ ნაკლები შრომით, რომელიც უნდა გაიაფდეს პურის გაიაფებასთან ერთად. მიწათმფლობელებს კი მოუხდებათ დასჯერდნენ უფრო დაბალ

რენტას, იმის გამო, რომ წყდება მდარე ხარისხის მიწების დამუშავება, რადგან მათ არ შეუძლიათ გაუძლონ შემოტანილი იაფი პურის კონკურენციას.

ორატორი სავსებით მართალი აღმოჩნდა, როცა ყველაზე უფრო მეცნიერულად აღიარა ეს წინასწარმეტყველება და კაპიტალიზმის აშკარა დაცვა მიწათმოქმედებაში. ისტორიამ ეს წინასწარმეტყველება გააამართლა. «პურის კანონების გაუქმებამ ინგლისის მიწათმოქმედებას უდიდესი ბიძგი მისცა... სოფლის მუშა-მოსახლეობის აბსოლუტური შემცირება მხარდამხარ მისდევდა დამუშავებული ფართობის გადიდებას, კულტურის ინტენსიფიკაციას, ადგილ-მამულის დასამუშავებლად დაბანდებული კაპიტალის უნახავ დაგროვებას, ინგლისის აგრონომიის ისტორიაში მიწათმოქმედების პროდუქტის უმაგალითო ზრდას, მიწათმფლობელთა რენტის გადიდებას, კაპიტალისტ მოიჯარადრეთა სიმდიდრის ზრდას... ახალი მეთოდების ძირითადი პირობა იყო მეტი კაპიტალის დახარჯვა აკრ მიწაზე და, მაშასადამე, ფერმების დაჩქარებული კონცენტრაცია» *.

* დაწერილია 1867 წ.[73] — რაც შეეხება რენტის გადიდებას, ამ მოვლენის ასახსნელად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის კანონი, რომელიც დაადგინა დიფერენციული რენტის უახლესმა ანალიზმა, სახელდობრ, რომ *რენტის გადიდება შესაძლებელია პურის ფასის დაკლებასთან ერთად*. «როცა 1846 წ. ინგლისის პურის ბაჟები გაუქმდა, ინგლისელი მეფაბრიკეები ფიქრობდნენ, რომ მათ ამით მიწათმფლობელი არისტოკრატია პაუპერებად გადააქციეს. ამის ნაცვლად ის კიდევ უფრო მდიდარი გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა წინათ. როგორ მოხდა ეს? სულ უბრალოდ. ჯერ-ერთი, ფერმერებს მოსთხოვეს, რომ მათ ხელშეკრულების ძალით წლიურად აკრ მიწაზე დაებანდებინათ 12 გირვანქა სტერლინგი 8 გირვანქა სტერლინგის ნაცვლად, ხოლო, მეორე, მიწათმფლობელებმა, რომლებსაც ბევრი წარმომადგენელი ჰყავდათ ქვედა პალატაში, დიდი სახელმწიფო სუბსიდია გამოითხოვეს თავიანთი მიწების დრენაჟისათვის და სხვა საფუძვლიანი გაუმჯობესების შემოსაღებად. რადგან სრული მიტოვება სულ უმდარესი მიწისაც-კი არსად არ მომხდარა, არამედ ხდებოდა — სულ დიდი — მხოლოდ მისი გამოყენება სხვა მიზნებისათვის, ისიც უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ დროებით, — ამიტომ

მაგრამ, ცხადია, ორატორი არ დასჯერდა გრეგის მსჯელობის ყველაზე მეტი სისწორის ამ აღიარებას. გრეგი მსჯელობდა როგორც ფრიტრედერი, რომელიც ლაპარაკობდა ინგლისის მიწათმოქმედებაზე საერთოდ და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ერს საერთო სარგებლობას მოუტანდა პურის კანონების გაუქმება. ზემოთქმულის შემდეგ ნათელია, რომ ასეთი არ იყო ორატორის შეხედულება.

მან განმარტა, რომ პურის ფასის დაკლება, რასაც ესოდენ აქებ-ადიდებდნენ ფრიტრედერები, ნიშნავს ხელფასის აუცილებელ შემცირებას, საქონელ «შრომის» (უფრო ზუსტად: სამუშაო ძალის) გაიაფებას; რომ პურის გაიაფებას არასოდეს არ შეეძლება გააწონასწოროს მუშისათვის ხელფასის ეს შემცირება, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ პურის ფასის შემცირების დროს მუშას უფრო გაუძნელდება პურის მოხმარებას გადაარჩინოს რამე სხვა საგნების შესაძენად; მეორე, იმიტომ, რომ ინდუსტრიის პროგრესი აიაფებს მოხმარების საგნებს, სცვლის რა ლუდს არაყით, პურს — კარტოფილით, მატყლს და სელს — ბამბეულით და ყოველივე ამით აქვეითებს მუშის მოთხოვნილებებსა და ცხოვრების დონეს.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ორატორი, რ ო გ ო რ ც ს ჩ ა ნ ს, საკითხის ელემენტებს არკვევს ისევე, როგორც სისმონდი: ი ს ი ც აღიარებს თავისუფალი ვაჭრობის აუცილებელ შედეგად წვრილი ფერმერების გაჩანაგებას, მუშების სიღატაკეს მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში. ჩვენი ნაროდნიკები, რომლებმაც შეუდარებელი ოსტატობით იციან «ციტატების მოყვანა», აი სწორედ აქ სწყვეტენ ჩვეულებრივ თავის «ამონაწერებს» და სრული კმაყოფილებით აცხადებენ, რომ ისინი სავსებით «თანახმანი» არიან. მაგრამ ასეთი ხერხები მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ მათ არ ესმით, ჯერ-ერთი,

---

რენტამ აიწია პროპორციულად მიწაში დაბანდებული კაპიტალის გაიდებისა, და მიწათმფლობელი არისტოკრატია კიდევ უფრო უკეთეს პირობებში აღმოჩნდა, ვიდრე წინათ იყო» («Das Kapital», III, 2, 259) («კაპიტალი», ტ. III, ნ. 2, გვ. 259 [74]. რ ე დ.).

ის დიდი განსხვავება საკითხის დაყენებაში, რომელზედაც ზემოთ მივუთითეთ; მეორე, ისინი ვერ ამჩნევენ იმ გარემოებას, რომ ახალი თეორიისა და რომანტიზმის ძირითადი განსხვავება მ ხ ო ლ ო დ ა ქ ი წ ყ ე ბ ა: რომანტიკოსი ზურგს აქცევს ნამდვილი განვითარების კონკრეტულ საკითხებს და ოცნებებს ეძლევა, რეალისტი-კი დადგენილ ფაქტებს იღებს კრიტერიუმად კონკრეტული საკითხის გარკვეული გადაწყვეტისათვის.

აღნიშნავს რა მუშათა მდგომარეობის მოსალოდნელ გაუმჯობესებას, ორატორი განაგრძობს:

«ეკონომისტები ამაზე გვეტყვიან:

კარგი, ჩვენ თანახმა ვართ, რომ მუშათა შორის კონკურენცია, რომელიც, ალბათ, თავისუფალი ვაჭრობის ბატონობის დროს არ შემცირდება, ძალიან ძალე გაუთანაბრებს ხელფასს საქონლის უფრო დაბალ ფასს. მაგრამ, მეორე მხრივ, საქონლის ფასის შემცირება გამოიწვევს მოხმარების გადიდებას; გადიდებული მოხმარება მოითხოვს გაძლიერებულ წარმოებას, რომელიც თავის მხრივ სამუშაო ძალის მოთხოვნილების გაძლიერებას გამოიწვევს; სამუშაო ძალის მოთხოვნილების ამ გაძლიერების შედეგი იქნება ხელფასის გადიდება.

მთელი ამ არგუმენტაციის აზრი შემდეგია: თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ვ ა ჭ რ ო ბ ა ა დ ი დ ე ბ ს ს ა წ ა რ მ ო ო ძ ა ლ ე ბ ს. თუ მრეწველობა მატულობს, თუ სიმდიდრე, საწარმოო ძალები, ერთი სიტყვით, საწარმოო კაპიტალი ზრდის შრომის მოთხოვნილებას, მაშინ შრომის ფასი, და, მაშასადამე, ხელფასიც იზრდება. კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ზ რ დ ა მ უ შ ი ს ა თ ვ ი ს ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი გ ა რ ე მ ო ე ბ ა ა. ა მ ა ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უ ნ დ ა დ ა ვ ე თ ა ნ ხ მ ო თ *. თუ კაპიტალი უძრავად დარჩება, მრეწველობა უძრავად კი არ დარჩება, არამედ იწყებს დაცემას, და ამ შემთხვევაში მუშა მისი დაცემის პირველი მსხვერპლი შეიქნება. მუშა კაპიტალისტზე უფრო ადრე დაიღუპება. მაგრამ იმ შემ-

* ხაზგასმა ჩვენია.

თხვევაში, როცა კაპიტალი იზრდება, ესე-იგი, როგორც უკვე ითქვა, მუშისთვის საუკეთესო შემთხვევაში, როგორი იქნება მისი ბედი? იგი ასევე დაიღუპება...» და ორატორმა ინგლისელი ეკონომისტების მონაცემთა გამოყენებით დაწვრილებით განმარტა, თუ კაპიტალის კონცენტრაცია როგორ აძლიერებს შრომის დანაწილებას, რაც სამუშაო ძალას აიაფებს დახელოვნებული შრომის მარტივი შრომით შეცვლის მეოხებით, მანქანები როგორ აძევებენ მუშებს, მსხვილი კაპიტალი როგორ აჩანაგებს წვრილ მრეწველებს და წვრილ რანტიეებს და იწვევს კრიზისების გაძლიერებას, რაც კიდევ უფრო ზრდის უმუშევართა რიცხვს. მისი ანალიზის დასკვნა ის იყო, რომ ვაჭრობის თავისუფლება სხვა არაფერს ნიშნავს თუ არა კაპიტალის განვითარების თავისუფლებას.

ამრიგად, ორატორმა შესძლო ეპოვა კრიტერიუმი იმ საკითხის გადასაჭრელად, რომელსაც ერთი შეხედვით იმავე გამოუვალ დილემამდე მივყავართ, რომლის წინაშეც შეჩერდა სისმონდი: როგორც თავისუფალი ვაჭრობა, ისე მისი შეფერხება ერთნაირად იწვევს მუშების გაჩანაგებას. ეს კრიტერიუმია საწარმოო ძალების განვითარება. საკითხის ისტორიულ ნიადაგზე დაყენებამ ერთბაშად გამოიღო თავისი ნაყოფი: იმის ნაცვლად, რომ კაპიტალიზმი შეედარებინა რაღაც აბსტრაქტული საზოგადოებისათვის, როგორიც უნდა იყოს იგი (ე. ი. არსებითად უტოპიისათვის), ავტორმა იგი შეადარა საზოგადოებრივი მეურნეობის წინამორბედ სტადიებს, შეადარა კაპიტალიზმის სხვადასხვა სტადია მათს თანმიმდევარ ცვლაში დაცხადჰყო კაპიტალიზმის განვითარების მეოხებით საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების ფაქტი. მან მეცნიერულად გააკრიტიკა ფრიტრედერების არგუმენტაცია და შესძლო თავიდან აეცდინა რომანტიკოსების ჩვეულებრივი შეცდომა, რომლებიც, უარჰყოფენ რა მის ყოველგვარ მნიშვნელობას, «აბაზანიდან წყლის გადაღვრისას ბავშვსაც თან აყოლებენ», შესძლო ამ არგუმენტაციიდან გა-

მოეყო მისი ჯანსაღი მარცვალი, ე. ი. გიგანტური ტექნიკური პროგრესის უცილობელი ფაქტი. რა თქმა უნდა, ჩვენი ნაროდნიკები მათთვის დამახასიათებელი გონებამახვილობით დაასკვნიდნენ, რომ ეს ავტორი, რომელიც ასე აშკარად ე მ ხ რ ო ბ ა მ ს ხ ვ ი ლ კ ა პ ი ტ ა ლ ს წ ვ რ ი ლ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, — «ფულის ბატონობის აპოლოგეტია», მით უფრო, რომ ის ლაპარაკობდა კონტინენტური ევროპის წინაშე, რომ ინგლისის ცხოვრებიდან გამოყვანილ დასკვნებს ავრცელებდა თავის სამშობლოზედაც, სადაც მსხვილი სამანქანო ინდუსტრია იმ ხანებში თავის პირველ, ჯერ კიდევ გაუბედავ ნაბიჯებს სდგამდა. ნამდვილად კი ნაროდნიკებს სწორედ ამ მაგალითით (როგორც მრავალი ამის მსგავსი მაგალითით დასავლეთ ევროპის ისტორიიდან) შეეძლოთ შეესწავლათ ის მოვლენა, რომელიც მათ ვერასგზით ვერ გაუგიათ (შეიძლება, არ სურთ გაიგონ?), — სახელდობრ ის, რომ წვრილი წარმოების წინააღმდეგ მსხვილი კაპიტალის პროგრესულობის აღიარება ძალიან, ძალიან დაშორებულია «აპოლოგიას».

საკმარისია გავიხსენოთ სისმონდის თხზულების ზემოთ გადმოცემული თავი და ეს სიტყვა, რომ დავრწმუნდეთ უკანასკნელის უპირატესობაში თეორიულადაც და ყოველგვარი «აპოლოგიისადმი» მტრული დამოკიდებულების მხრივაც. ორატორმა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც მსხვილი კაპიტალის განვითარებას ახლავს თან, გაცილებით უფრო სწორად, სრულად, პირდაპირ და გულახდილად დაახასიათა, ვიდრე ეს ოდესმე რომანტიკოსებს გაუკეთებიათ. მაგრამ ის არსად არ ჩამოქვეითებულა არც ერთ სენტიმენტალურ ფრაზამდე, რომელიც ამ განვითარებას დასტიროდეს. მას ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია «გზიდან გადახვევის» რაიმე შესაძლებლობის შესახებ. მას ესმოდა, რომ ამგვარი ფრაზით ადამიანები ჰფარავენ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ თვითონ ისინი განზე «უხვევენ» იმ საკითხს, რომელსაც მათს წინაშე აყენებს ცხოვრება, ე. ი. არსებული ეკონომიური სინამდვილე, არსე-

ბული ეკონომიური განვითარება, არსებული ინტერესები, რომლებიც მის ნიადაგზე აღმოცენდებიან ხოლმე.

ზემოხსენებულმა, სავსებით მეცნიერულმა, კრიტერიუმმა შესაძლებლობა მისცა მას გადაეჭრა ეს საკითხი და თანმიმდევარ რეალისტადაც დარჩენილიყო.

«მაგრამ, არ იფიქროთ, ბატონებო, — სთქვა ორატორმა, რომ თავისუფალი ვაჭრობის გაკრიტიკებით მფარველობითი სისტემის დაცვა გვინდოდეს». და ორატორმა აღნიშნა თავისუფალი ვაჭრობისა და პროტექციონიზმის თანაბარი საფუძველი საზოგადოებრივი მეურნეობის თანამედროვე წყობილებაში, მოკლედ აღნიშნა ძველი სამეურნეო ცხოვრებისა და ძველი ნახევრადპატრიარქალური ურთიერთობის «მსხვრევის» ის პროცესი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რომელსაც კაპიტალიზმი ახდენდა ინგლისში და კონტინენტზე, აღნიშნა ის საზოგადოებრივი ფაქტი, რომ, გარკვეულ პირობებში, თავისუფალი ვაჭრობა ა ჩ ქ ა რ ე ბ ს ამ «მსხვრევას» *. «და აი, ბატონებო, — დაასკვნა ორატორმა, — მხოლოდ ამ აზრით ვაძლევ ჩემს ხმას ვაჭრობის თავისუფლებას» [76].

---

* პურის კანონების გაუქმების ეს პროგრესული მნიშვნელობა აგრეთვე ნათლად აღნიშნა «Die Lage»-ს ავტორმაც ჯერ კიდევ ამ გ ა უ ქ მ ე ბ ა მ დ ე (l. c., p. 179) [78] და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მის გავლენას მწარმოებელთა თვითცნობიერებაზე.

ახალი საფაბრიკო კანონი [77]

დაწერილია გადასახლებაში 1897 წ.
დამატება დაწერილია 1897 წლის
შემოდგომაზე.

დაიბეჭდა ცალკე ბროშურად
ძენევაში, 1899 წ.

იბეჭდება 1899 წლის გამოცემის
მიხედვით

ПРОЛЕТАРІИ ВСѢХЪ СТРАНЪ, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

НОВЫЙ

Фабричный Законъ

Изданіе Россійской Соціальдемократической Рабочей Партіи.

ЖЕНЕВА
Типографія „Союза Русскихъ Соціальдемократовъ"
1899

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა
«ახალი საფაბრიკო კანონი». — 1899 წ.

I

რამ გამოიწვია ახალი საფაბრიკო კანონის გამოცემა?

1897 წლის ორ ივნისს გამოიცა ახალი საფაბრიკო კანონი ფაბრიკებსა და ქარხნებში სამუშაო დღის შემცირებისა და უქმეებში დასვენების დაწესების შესახებ. პეტერბურგის მუშები უკვე დიდი ხანია ელოდნენ ამ კანონს, რომელსაც 1896 წ. გაზაფხულის მუშათა მასობრივი გაფიცვით შეშინებული მთავრობა იმავე 1896 წელს დაჰპირდა მათ. მუშათა ამ მასობრივ გაფიცვას ბამბის ძაფსართავ და ბამბეულის საფეიქრო ფაბრიკებში სხვა გაფიცვები მოჰყვა, და მუშები ყველგან სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვდნენ. მთავრობა გაფიცვებზე მხეცური დევნით უპასუხებდა, იჭერდა და გაუსამართლებლად ასახლებდა მრავალ მუშას; დამფრთხალი მთავრობა ცდილობდა გავლენა მოეხდინა მუშებზე სულელური ფრაზებით მეფაბრიკეების მხრივ მუშებისადმი ქრისტიანული სიყვარულის შესახებ (1895/96 წ. გამოცემული მინისტრ ვიტეს ცირკულარი საფაბრიკო ინსპექტორებისადმი). მაგრამ ამ ფრაზებს მუშები მხოლოდ სიცილით გამოეხმაურნენ, და ვერავითარმა დევნამ ვერ შეაჩერა მოძრაობა, რომელიც ათეულ და ასეულ ათასობით მუშას მოედო. მთავრობა მაშინ მიხვდა, რომ აუცილებელი იყო დათმობა და მუშათა მოთხოვნების თუნდაც ნაწილის შესრულება. გარდა გაფიცულთა მხეცური დევნისა და ცრუ-ფარისევლური ფრაზებისა, პეტერბურგელმა მუშებმა პასუხად მიიღეს მთავრობის დაპირება, რომ გამოსცემდა კანონს სამუშაო დღის შემცირების შესახებ. ეს დაპირება არაჩვეულებრივი ზვიმით გამოუცხადეს მუშებს ფინანს-

თა მინისტრის სახელით ფაბრიკებში გამოკრულ საგანგებო განცხადებებში. მუშები მოუთმენლად ელოდნენ დაპირების შესრულებას, ელოდნენ კანონს 1897 წ. 19 აპრილისათვის, უკვე იმ აზრს ადგებოდნენ, რომ მთავრობის მრავალი განცხადების მსგავსად ეს დაპირებაც უხეში მოტყუება იყო. მაგრამ ამჯერად მთავრობამ დაპირება შეასრულა: კანონი გამოიცა; მაგრამ თუ რ ო გ ო რ ი ა ეს კანონი, — ამას ქვევით დავინახავთ. ახლა კი უნდა განვიხილოთ ის გარემოებანი, რომელთაც მთავრობა აიძულეს დაპირება შეესრულებინა.

სამუშაო დღის შემცირების საკითხს ჩვენმა მთავრობამ ხელი მოჰკიდა არა 1896 წლიდან, არამედ გაცილებით უფრო ადრე. საკითხი აღიძრა 15 წლის წინათ: ჯერ კიდევ 1883 წელს პეტერბურგის მეფაბრიკეებმა შუამდგომლობა აღძრეს ამგვარი კანონის გამოცემის შესახებ. ასეთივე შუამდგომლობანი რამდენჯერმე გაიმეორეს სხვა (სახელდობრ პოლონელმა) მეფაბრიკეებმაც, მაგრამ ყველა ამ შუამდგომლობას მაუდქვეშ სდებდნენ, ისევე როგორც სხვა მრავალ პროექტს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ასეთი პროექტების განხილვას რუსეთის მთავრობა არ ჩქარობს; ისინი ათეული წლობით ინახება მაუდქვეშ. აი, როცა საქმე ეხება იმას, რომ რამდენიმე მილიონი მანეთით დაასაჩუქრონ ბატონი რუსი კეთილმზრახველი მიწათმფლობელები, რომლებიც «შუამდგომლობენ», რომ მათ ცოტა რამ უწყალობონ ხალხის ფულიდან, ან იმას, რომ სუბსიდია თუ პრემია დაენიშნოს ბატონ «ჩაგრულ» მეფაბრიკეებს, — აი მაშინ რუსეთის მთავრობა ჩქარობს, და მოხელეთა და მინისტრთა კანცელარიების ბორბლებიც ძლიერ სწრაფად ბრუნავენ, თითქოს რაღაც განსაკუთრებული «ზეთი» «წასცხესო». მუშების შესახებ კი არათუ კანონთა პროექტებია მივიწყებული მთელი წლობით და ათეული წლობით (მაგ., პროექტი მეწარმეთა პასუხისმგებლობის შესახებ აგერ, მგონი, მეორე ათეული წელია რაც «მზადდება»), არამედ უკვე გამოცემულ კანონებსაც კი არ იყენებენ, ვინაიდან იმპერატორის მთავრობის მოხელეებს ეხათრებათ

შეაწუხონ ბატონი მეფაბრიკეები (მაგ., 1886 წლის კანონს მეფაბრიკეების მიერ საავადმყოფოების მოწყობის შესახებ დღემდე უმეტეს შემთხვევაში არ იყენებენ). მაშ რატომ მოხდა, ერთი ვიკითხოთ, რომ დიდი ხნის აღძრული საკითხი ამჯერად უცბად დაიძრა? ერთბაშად გადასწყდა და რიგს გარეშე გატარდა სამინისტროსა და სახელმწიფო საბჭოში? უცბად მიიღო კანონპროექტის სახე და კანონად იქცა? აშკარაა, იყო რაღაც ძალა, რომელიც მოხელეებს მუჯლუგუნს სცემდა, ააფორიაქა ისინი, დასძლია მათი ჯიუტი მოუნდომლობა, რომ ახალი მოთხოვნებით «მისდგომოდნენ» ჩვენებურ მეფაბრიკეებს. ასეთ ძალას წარმოადგენდნენ პეტერბურგელი მუშები და ის უდიდესი გაფიცვები, რომლებიც მათ 1895 — 1896 წლებში მოაწყეს და რომლებსაც მოჰყვა, მუშებისადმი სოციალ-დემოკრატების («ბრძოლის კავშირის» სახით) დახმარების მეოხებით, გარკვეული მოთხოვნების წარდგენა მთავრობისადმი და მუშებს შორის სოციალისტური პროკლამაციებისა და ფურცლების გავრცელება. მთავრობა მიხვდა, რომ ვერავითარი პოლიციური დევნა ვერ გასტეხდა მუშათა მასებს, რომლებმაც თავისი ინტერესები შეიგნეს, საბრძოლველად გაერთიანდნენ და რომელთაც მუშათა საქმის დამცველი სოციალ-დემოკრატთა პარტია ხელმძღვანელობს. მთავრობა იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. ახალი საფაბრიკო კანონი სწორედ ისევე ი ძ უ ლ ე ბ ი თ დ ა ა თ მ ო ბ ი ნ ე ს მუშებმა მთავრობას, სწორედ ისევე გ ა მ ო ჰ გ ლ ი ჯ ე ს მუშებმა მათს უბოროტეს მტერს, როგორც 11 წლის წინათ გამოცემული 1886 წ. 3 ივნისის კანონი შინაგანი განრიგების წესების, ჯარიმების, შეფასებისა და სხვ. შესახებ. მაშინ მუშათა ბრძოლამ ყველაზე ძლიერად იჩინა თავი მოსკოვისა და ვლადიმირის გუბერნიებში. ამ ბრძოლამ მაშინაც თავი იჩინა მასობრივი გაფიცვებით, მუშები მაშინაც უყენებდნენ მთავრობას პირდაპირ და გარკვეულ მოთხოვნებს, და მოროზოვის განთქმული გაფიცვის დროსაც გადაეცა მუშების წრიდან ინსპექტორს თვით მუშების შედგენილი პირობები. ამ პირობებში ნათქვამია, მაგალი-

თად, რომ მუშები მოითხოვენ ჯარიმათა შემცირებას. ამის შემდეგ მალე გამოცემული 1886 წლის 3 ივნისის კანონი პირდაპირ უპასუხებდა მუშების ამ მოთხოვნებს და შეიცავდა წესებს ჯარიმათა შესახებ*.

ასეა ახლაც. 1896 წელს მუშები სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვდნენ და თავიანთ მოთხოვნას უდიდესი გაფიცვებით იცავდნენ. მთავრობა ამ მოთხოვნაზე ახლა უპასუხებს სამუშაო დღის შემცირების შესახებ კანონის გამოცემით. მაშინ, 1886 წელს, მთავრობამ დაუთმო მუშებს მუშათა აჯანყებების გავლენით და ცდილობდა ეს დათმობანი რაც შეიძლება მცირე გაეხადა, ცდილობდა მეფაბრიკეებისათვის ხვრელი დაეტოვებინა, შეეფერხებინა ახალი წესების შემოღება, რაც შეიძლება მეტი ჩამოეცინცლა მუშებისათვის მათი მოთხოვნებიდან. ახლა, 1897 წელს, მთავრობა სწორედ ასევე უთმობს მხოლოდ მუშათა აჯანყებების ზეგავლენას და სწორედ ასევე მთელი ძალღონით ცდილობს შეამციროს დათმობანი მუშათა მიმართ, ცდილობს გამოსტყუოს, გამოსცინცლოს ერთი-ორი საათი, ზრდის იმ სამუშაო დღესაც კი, რომელიც მეფაბრიკეებმა წამოაყენეს, ცდილობს მეფაბრიკეების სასარგებლოდ მოიტოვოს რამდენიმე უქმე დღით მეტი, არ შეაქვს ისინი სავალდებულო დასვენების დღეთა რიცხვში, ცდილობს გააჭიანუროს ახალი წესების შემოღება, მთავარი წესების შემოღება გადასდოს მინისტრების მომავალ განკარგულებებამდე. ამგვარად 1886 წ. 3 ივნისისა და 1897 წ. 2 ივნისის კანონები, ეს მთავარი საფაბრიკო კანონები რუსეთში, ორივენი წარმოადგენენ იძულებით დათმობას, რომელიც პოლიციურ მთავრობას ხელიდან გამოჰგლიჯეს რუსეთის მუშებმა. ორივე კანონი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ეპყრობა რუსეთის მთავრობა მუშათა უაღრესად კანონიერ მოთხოვნებს.

---

* იხ. ამის შესახებ ბროშურა «ჯარიმების შესახებ» (ეს ტომი, გვ. 19. რედ.).

II

რა უნდა ჩაითვალოს სამუშაო დროდ?

დაწვრილებით განვიხილოთ 1897 წლის 2 ივნისის კანონი *. როგორც უკვე ვთქვით, ახალი კანონი, ჯერ-ერთი, განსაზღვრავს სამუშაო დღეს ყველა მუშისათვის; მეორე, აწესებს საკალდებულო დასვენებას კვირა-უქმე დღეებში. ვიდრე დაადგენდეს წესებს სამუშაო დროის რაოდენობის შესახებ, კანონმა უნდა განსაზღვროს, სახელდობრ რა უნდა ვიგულისხმოთ სამუშაო დროდ. ამის შემდეგ ახალი კანონი ასეთ წესს ადგენს: «ყოველი მუშისათვის სამუშაო დროდ ანუ სამუშაო საათების რიცხვად დღე-ღამეში ითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც, დაქირავების ხელშეკრულების თანახმად, მუშა ვალდებულია საწარმოს შენობაში და მისი გამგის განკარგულებაში იყოს სამუშაოს შესასრულებლად». ამრიგად, მთელი ის დრო, როცა მუშა მუშაობის ცხრილის მიხედვით თუ გამგის მოთხოვნით ფაბრიკაში იმყოფება, სამუშაო დროდ უნდა ჩაითვალოს.

ამ დროს მუშა თავის ნამდვილ ან ჩვეულებრივ სამუშაოს ასრულებს თუ მმართველი მას სხვა რამეს აკეთებინებს, ან შეიძლება თუნდაც მხოლოდ ალოდინებს მას — ეს სულ ერთია: მთელი ის დრო, რომელიც მუშამ ფაბრიკაში გაატარა, სამუშაო დროდ უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ზოგიერთ ფაბრიკაში შაბათობით ზარის შემდეგ მუშები მანქანებს სწმენდენ; კანონით მანქანების წმენდაც სამუშაო დროის ნაწილად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, თუ მეფაბრიკე არაფერს აძლევს მუშას მანქანების წმენდისათვის, ეს იმას ნიშნავს, რომ მეფაბრიკე მუქთად სარგებლობს დაქირავებული მუშის სამუშაო დროით. თუ მეფაბრიკე, რომელმაც მუშა სანარდო ხელფასით დაიქირავა, აცდევინებს მას ან აცდენს რაიმე სხვა საქმის დავალებით ამ საქმისათვის ცალკე გასამრჯელოს მიუცემლად (ყოველმა მუშამ იცის, რომ ეს ხშირად ხდება), ეს იმას ნიშნავს, რომ მეფაბრიკე მუქთად სარგებლობს დაქირავებული მუ-

* იგი ძალაში შედის 1898 წ. ნოემბრიდან.

შის ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ი თ. მუშებმა ახალ კანონში სამუშაო დროის ეს განსაზღვრა უნდა დაიხსომონ და, მასზე დაყრდნობით, უნდა შეებრძოლონ მეპატრონის მხრივ სამუშაო ძალის მუქთად გამოყენების ყოველგვარ ცდას. ცხადია, სამუშაო დროის ასეთი განსაზღვრა თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს დაქირავების ხელშეკრულებიდან: ზოგიერთ მუშას ეგონება, ეს ისე ნათელია, რომ აქ სალაპარაკოც არაფერიაო. მაგრამ მთავრობა, კაპიტალისტებს რომ ასიამოვნოს, განგებ აბუნდოვანებს ~~ბევრ~~ ისეთ რამეს, რაც ყოველი მუშისათვის თავისთავად ნათელია. მთავრობა აქაც შეეცადა პატარა ხვრელი დაეტოვებინა ბატონ მეფაბრიკეებისათვის. კანონში ნათქვამია, რომ სამუშაო დროდ ითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც მუშა დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ფაბრიკაში იყოს. მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა დაქირავების ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი მუშის ვალდებულებაზე დღეში ამდენი და ამდენი საათი დაჰყოს ფაბრიკაში? ხომ ხშირად ხდება, მაგ., მექანიკურ ქარხნებში, რომ მუშების მიერ მეპატრონესთან დადებული ხელშეკრულება შეიცავს მხოლოდ იმას, რომ მუშები კისრულობენ ამა და ამ ფასად გააკეთონ ესა თუ ის ნივთი (მანქანის რომელიმე ნაწილი, ხრახნების ან ქანჩების განსაზღვრული რაოდენობა და სხვ.), ხოლო იმ დროის შესახებ, რომელიც მუშამ სამუშაოს უნდა მოახმაროს, ა რ ა ფ ე რ ი ა რ ა რ ი ს ნ ა თ ქ ვ ა მ ი. შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევას მივუყენოთ ახალი კანონი დღე-ღამეში სამუშაო საათების რაოდენობის შესახებ? საღი მოსაზრებით, რა თქმა უნდა, შეიძლება, მუშა ხომ ფაბრიკაში მუშაობს, — როგორ არ უნდა ჩაითვალოს ეს სამუშაო დროდ? მაგრამ ბატონ კაპიტალისტებისა და მათი დამცველი მთავრობის «საღი მოსაზრება» სულ სხვანაირია. ჩვენ მიერ ამოწერილი მუხლის პირდაპირი აზრით, ასეთ შემთხვევებში ადვილად შეუძლიათ არ გამოიყენონ კანონი სამუშაო დროის შემცირების შესახებ. მეფაბრიკე იმას მოიმიზეზებს, რომ ხელშეკრულებით ის მუ-

შას არ ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ დ ა ფაბრიკაში დარჩენილიყო — მორჩა და გათავდა. ხოლო რადგან ყოველი მეფაბრიკე ისეთი დახელოვნებული დავაქარი არ არის, რომ ეს ხრიკი შენიშნოს, ამიტომ ფინანსთა სამინისტროს მოხელეებმა ადრევე მიუთითეს სრულიად რუსეთის ვაჭართა კლასს ამ მათთვის სასარგებლო ხვრელზე ახალ კანონში. ფინანსთა სამინისტრო უკვე დიდი ხანია უშვებს განსაკუთრებულ პატარა გაზეთს: «ვესტნიკ ფინანსოვ, პრომიშლენოსტი ი ტორგოვლი», — ეს ერთი იმ ოფიციალურ გაზეთთაგანია, რომელნიც, მთავრობის განკარგულებათა გამოქვეყნების გარდა, ცდილობენ შეაქონ რუსეთის კაპიტალისტთა წარმატებები და ხოტბა შეასხან მთავრობის მზრუნველობას ბანკირთა, მეფაბრიკეთა, ვაჭართა და მიწათმფლობელთა ქისისათვის, ვითომდა ხალხისათვის ზრუნვის სახით. ახალი კანონის გამოცემის შემდეგ ამ გაზეთმა მალე მოათავსა სტატია ახალი კანონის შესახებ («ვესტნიკ ფინანსოვ» № 26, 1897 წ.), რომელიც დაწვრილებით განმარტავს მის მნიშვნელობას და ამტკიცებს, რომ მუშათა ჯანმრთელობისათვის ზრუნვა სწორედ მთავრობის დანიშნულებას შეადგენსო. აი სწორედ ამ სტატიაში მოხელეები შეეცადნენ ეჩვენებინათ მეფაბრიკეებისათვის საძვრენი ხვრელის შესაძლებლობა ახალი კანონის გვერდის ასავლელად. ამ სტატიაში პირდაპირ არის განმარტებული, რომ ახალ კანონს ვერ მივუყენებთ იმ შემთხვევებს, როცა ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი სამუშაო დროის შესახებ, ვინაიდან განსაზღვრულ სამუშაოზე მუშის აყვანის დროს «ი ს უ კ ვ ე შ ე კ ვ ე თ ი ს მ ი მ ღ ე ბ ი პ ი რ ი ა დ ა ა რ ა დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ა». მაშასადამე, მეფაბრიკეს სულ ადვილად შეუძლია თავი დააღწიოს არასასიამოვნო კანონს: საკმარისია მხოლოდ მუშას უწოდოს არა მუშა, არამედ «შეკვეთის მიმღები პირი»! მაშასადამე, იმის ნაცვლად, რომ სამუშაო დროდ პირდაპირ ის დრო ჩაეთვალა, რომლის განმავლობაშიც მ უ შ ა ფ ა ბ რ ი კ ა შ ი ი მ ყ ო ფ ე ბ ა მეპატრონის განკარგულებაში, კანონი გ ა ნ გ ე ბ ნაკლებ ხიზუსტეს იჩენს, როცა ლაპარაკობს იმ დროზე, რომლის

განმავლობაშიც მუშა ხელშეკრულების თანახმად ვალდებულია ფაბრიკაში იყოს. ეს თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ ნამდვილად აქაც არაფერს დაერიდნენ და განზრახ დააბნელეს საკითხი მუშების საზარალოდ!

III

რამდენად ამცირებს სამუშაო დროს ახალი კანონი?

1897 წ. 2 ივნისის კანონი სამუშაო დროს, დღისით მუშაობისას, საზღვრავს 11½ საათით დღე-ღამეში. ხოლო შაბათობით და უქმეების წინადღით — 10 საათით დღე-ღამეში. მაშასადამე, ახალი კანონით სამუშაო დღის შემცირება სულ უმნიშვნელოა. არის მრავალი მუშა, და პეტერბურგში ისინი, ალბათ, უმრავლესობასაც კი შეადგენენ, რომელთაც ასეთი კანონი სრულიადაც არ უმცირებს სამუშაო დროს, არამედ, პირიქით, ამ დროის გადიდებასაც უქადის. ს.-პეტერბურგის ქარხნებში ჩვეულებრივი სამუშაო დროა 10 — 10½ საათი. ასეთი უზომოდ გრძელი სამუშაო დღის კანონით დაწესება აშკარად მოწმობს, რომ ეს კანონი პასუხი იყო პეტერბურგის ბამბის ძაფსართავი და ბამბეულის საფეიქრო ფაბრიკების მუშათა მოთხოვნებზე. ამ მუშებს ახალი კანონი, შეიძლება, უმცირებს სამუშაო დღეს, ვინაიდან ისინი მეტნაწილად 12 — 14 საათს მუშაობდნენ დღეში. (ჩვენ ქვემოთ ავხსნით, თუ რატომ ვამბობთ «შეიძლება».) კანონი 10 საათის სამუშაო დღეს უწესებს ხელოსნებსა და იმ ქარხნებს, რომელნიც სამხედრო სამინისტროს გამგებლობაშია. მაგრამ მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ფაბრიკის მუშები შეიძლება აიძულო კიდევ მეტი იმუშაონ! პეტერბურგელი მეფაბრიკეებიც კი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე სამუშაო დღის 11 საათამდე შემცირების შესახებ! მთავრობამ გადასწყვიტა კიდევ ნახევარი საათი წაუმატოს მოსკოველი მეფაბრიკეების საამებლად, რომელნიც მუშებს მთელ დღე-ღამეს ორ ცვლად ამუშავებენ და რომელთათვისაც მუშებს, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ საკმაოდ არ უსწავლებიათ ჭკუა. რუსეთის მთავრობა, რო-

მელიც მუდამ იკვეხნიდა მუშებისადმი მზრუნველობას, ნამდვილად ჩარჩივით ხელმოჭერილი აღმოჩნდა. ის უფრო ხელმოჭერილი აღმოჩნდა, ვიდრე თვით მეფაბრიკენი, რომელნიც ზედმეტ ათასებს ართმევენ მუშებს ყოველი ზედმეტი ნახევარი საათის მუშაობით. ამ მაგალითით მუშებს ნათლად შეუძლიათ დაინახონ, რომ მთავრობა არა მარტო იცავს მეფაბრიკეთა ინტერესებს, არამედ იცავს სწორედ ყველაზე ცუდი მეფაბრიკეების ინტერესებს; რომ მთავრობა გაცილებით უფრო ბოროტი მტერია მუშებისა, ვიდრე კაპიტალისტთა კლასი. მთავრობას რომ არ შეეშალა ხელი, პეტერბურგელი მუშები უფრო მოკლე სამუშაო დღეს მოიპოვებდნენ თავისთვისაც და მთელი რუსეთის მუშებისთვისაც. გაერთიანებულმა მუშებმა იძულებით დაათმობინეს მეფაბრიკეებს; პეტერბურგელი მეფაბრიკეები მზად იყვნენ დაეკმაყოფილებინათ მუშათა მოთხოვნები; მთავრობა უკრძალავს მეფაბრიკეებს დათმობას, რომ მაგალითი არ უჩვენონ მუშებს. შემდეგ პეტერბურგის მეფაბრიკეების უმრავლესობა რწმუნდება იმაში, რომ აუცილებელია დაუთმონ მუშებს, და მიმართავს მთავრობას შუამდგომლობით, რათა სამუშაო დღე შემცირებულ იქნას 11 საათამდე. მაგრამ მთავრობა იცავს სრულიად რუსეთის და არა მარტო პეტერბურგის მეფაბრიკეების ინტერესებს, და ვინაიდან კურთხეულ რუსეთში პეტერბურგელ მეფაბრიკეებზე გაცილებით უფრო ხელმოჭერილი მეფაბრიკეები არიან, ამიტომ მთავრობას სურს «სამართლიანი» იყოს და ნებას არ იძლევა, რომ პეტერბურგელმა მეფაბრიკეებმა ძალიან ნაკლებად ძარცვონ თავიანთი მუშები: პეტერბურგელმა მეფაბრიკეებმა ძალიან არ უნდა გაუსწრონ რუსეთის დანარჩენ მეფაბრიკეებს; და მთავრობაც ნახევარ საათს უმატებს იმ სამუშაო დღეს, რომლისთვისაც შუამდგომლობდნენ კაპიტალისტები. აშკარაა, მთავრობის ასეთი მოქმედებიდან სამი გაკვეთილი გამომდინარეობს მუშებისათვის:

პირველი გაკვეთილი: რუსეთის მოწინავე მუშები მთელი ძალღონით უნდა ეცადონ მოძრაობაში ჩააბან უფრო ჩამორ-

ჩენილი მუშები. თუ რუსეთის მუშათა მთელი მასა არ იქნება ჩაბმული მუშათა საქმისათვის ბრძოლაში, მოწინავე, დედაქალაქის მუშები ბევრს ვერაფერს გახდებიან, კიდეც რომ დაათმობინონ თ ა ვ ი ა ნ თ მეფაბრიკეებს, ვინაიდან მთავრობა იმდენად დიდი «სამართლიანობით» განირჩევა, რომ ნებას არ აძლევს უკეთეს მეფაბრიკეებს არსებითად დაუთმონ მუშებს. მეორე გაკვეთილი: რუსეთის მთავრობა გაცილებით უფრო ბოროტი მტერია რუსეთის მუშებისა, ვიდრე რუსეთის მეფაბრიკეები, ვინაიდან მთავრობა არა მარტო იცავს მეფაბრიკეების ინტერესებს, ასეთი დაცვისათვის არა მარტო მხეცურად სდევნის მუშებს, ატუსაღებს, ასახლებს, ჯარით თავს ესხმის უიარაღო მუშებს, არამედ, გარდა ამისა, იგი იცავს ყ ვ ე ლ ა ზ ე ხ ე ლ მ ო ჭ ე რ ი ლ ი მეფაბრიკეების ინტერესებს, ილაშქრებს საუკეთესო მეფაბრიკეების იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ რამე დაუთმონ მუშებს. მესამე გაკვეთილი: მუშაობის ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი პირობების მოსაპოვებლად და 8 საათის სამუშაო დღის განსახორციელებლად, რასაც ესწრაფიან დღეს მთელი მსოფლიოს მუშები, რუსეთის მუშები უნდა დაეყრდნონ მხოლოდ თავიანთი გაერთიანების ძალას და შეუპოვრად გამოჰგლიჯონ მთავრობას ხელიდან დათმობა დათმობაზე. მთავრობა თითქოს ევაჭრება მუშებს, სინჯავს — შეიძლება თუ არა კიდევ ნახევარი საათის წამატება, — მუშები უჩვენებენ მას, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი მოთხოვნების დაცვა. მთავრობა თითქოს სცდის მუშათა მოთმინებას: ეგებ რამენაირად პატარა და იაფი დათმობით მოვიშორო მუშებიო, — მუშები უჩვენებენ მას, რომ მათ მოთმინება ეყოფათ უაღრესად შეუპოვარი ბრძოლისათვის, ვინაიდან ეს მათთვის არის ბრძოლა თავიანთი არსებობისათვის, ბრძოლა მუშა ხალხის სრული დამცირებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ.

IV

რას სთვლის კანონი «ღამის დროდ» მუშებისათვის?

«ღამის დროდ ითვლება: ერთ ცვლად მუშაობისას — დრო საღამოს 9 საათიდან დილის 5 საათამდე, ხოლო ორ და მეტ ცვლად მუშაობისას — დრო საღამოს 10 საათიდან დილის 4 საათამდე». ასეა ნათქვამი ახალ კანონში. «ღამე» შავი ხალხისათვის, რომელმაც მთელ თავის სიცოცხლეში სხვებისათვის უნდა იმუშაოს, და «ღამე» სუფთა ბატონებისათვის, რომელთაც სხვისი შრომით შეუძლიათ ცხოვრება — ეს «კანონით» სულ სხვადასხვა რამეა. ს.-პეტერბურგშიც და მოსკოვშიც დილის 4 საათზე წლის მეტი ნაწილის განმავლობაში ჯერ კიდევ მთლად ბნელა, მთლად ღამეა. მაგრამ რუსეთის კანონი ადგენს, რომ მუშამ მთელი თავისი სიცოცხლე კაპიტალის ინტერესებს უნდა შეუფარდოს, მუშამ უნდა ირწმუნოს, რომ მეხუთე საათზე უ ს ა თ უ ო დ იწყება დღე, თუნდაც მზის ამოსვლამდე კიდევ რამდენიმე საათი რჩებოდეს. ხოლო თუ მუშა ფაბრიკაში არ ცხოვრობს, ის უნდა ადგეს ს ა მ საათზე, ან, შეიძლება, უფრო ადრეც, რომ ოთხი საათისათვის ფაბრიკაში მისვლა მოასწროს! პეტერბურგელი მოხელეებისათვის «დღე» იწყება დღის 12 საათზე, ზოგჯერ 1 საათზედაც კი, მაგრამ მოხელეები ხომ სრულიად განსაკუთრებული ხალხია... მუშებს «დღე» უთავდებათ მხოლოდ საღამოს 10 საათზე და, ფაბრიკიდან სრულიად ჩაბნელებულ ქუჩაში რომ გამოვა, მუშას ეს სიბნელე არ უნდა აკრთობდეს: მას უნდა ახსოვდეს და სწამდეს, რომ «დღე» ეს-ეს არის გათავდა, ვინაიდან ასე აწესებს კანონი. ბარემ დადგენილი ყოფილიყო კანონში, რომ მუშისთვის «დღე» იწყება მაშინ, როცა ფაბრიკის საყვირი მას ფაბრიკაში უხმობს, და თავდება მაშინ, როცა იგივე საყვირი მეორე ცვლას იხმობს — ეს ხომ უფრო აშკარა და სამართლიანი იქნებოდა! შვეიცარიაში უკვე არის კანონი იმის შესახებ, თუ რა უნდა ითვლებოდეს მუშისათვის ღამის დროდ, მაგრამ შვეიცარიელებს სად შეუძლიათ მიხვდნენ რუსეთის პოლიციის

მოხელეთა ყველა ოსტატობას: ამ საშინელ შვეიცარიელებში მუშაკაცისათვის «ღამე» თურმე ისეთივეა, როგორიც დანარჩენი ხალხისათვის, სახელდობრ საღამოს 8 საათიდან დილის 5 (ან 6) საათამდე. ახალ კანონში «ღამის სამუშაოს» ერთადერთი შეზღუდვა ის არის, რომ იმ მუშებმა, რომელთაც თუნდაც ნაწილობრივ უხდებათ ღამით მუშაობა, დღე-ღამეში 10 საათზე მეტი არ უნდა იმუშაონ. ეს არის და ეს. ღამით მუშაობის აკრძალვა კანონში არ არის. კანონი ამ მხრივაც ჩამორჩა იმ პეტერბურგელ მეფაბრიკეთა შუამდგომლობას, რომელნიც 14 წლის წინათ (1883 წ.) შუამდგომლობდნენ ღამით ასაკოვანი მუშებისათვის მუშაობის აკრძალვის შესახებ. მაშასადამე, პეტერბურგის მუშები ამ მხრივაც უფრო მეტს მოიპოვებდნენ მეფაბრიკეებისაგან, ხელი რომ არ შეეშალა მთავრობას, რომელიც რუსეთის ყველაზე ჩამორჩენილი მეფაბრიკეების ინტერესებს გამოესარჩლა. მთავრობამ არ დაუჯერა პეტერბურგელ მეფაბრიკეებს, რადგანაც არ სურდა ეწყენინებინა მოსკოველი მეფაბრიკეებისათვის, რომელნიც მეტნაწილად ღამით ამუშავებენ მუშებს. მთავრობა, ჩვეულებისამებრ, შეეცადა ყველაზე ცუდი მეფაბრიკეების ინტერესებისადმი სამსახური ყალბი ფრაზებით და დამარწმუნებელი სიტყვებით დაეფარა. «ვესტნიკ ფინანსოვ», რომელსაც ფინანსთა სამინისტრო სცემს, ახალი კანონის განმარტებითს სტატიაში აღნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებში (მაგ., საფრანგეთში) ღამით მუშაობა აკრძალულია. მაგრამ, მისი სიტყვით, ჩვენს კანონში ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. «საწარმოში დღე-ღამის მუშაობის შეზღუდვა ყოველთვის როდია შესაძლებელი: არის მთელი რიგი წარმოებანი, რომელნიც, თავიანთ თვისებათა მიხედვით, შეუწყვეტელ მუშაობას მოითხოვენ».

აშკარაა, ეს სრულიად უსაფუძვლო მომიზეზებაა. ლაპარაკია არა იმ განსაკუთრებულ წარმოებებზე, რომელნიც განუწყვეტლივ მუშაობას მოითხოვენ, არამედ საზოგადოდ ყველა წარმოებაზე. განუწყვეტელი მუშაობა ორი ცვლის დროს ახ-

ლანდელი კანონითაც არ შეიძლება, თუ ზედმეტი მუშაობა არ იქნება, რადგანაც დღისით მუშაობა განსაზღვრულია 11½ საათით, ხოლო ღამით მუშაობა — 10 საათით, ერთად 21½ საათით. ამიტომ ისეთ წარმოებათა შესახებ, რომელნიც განუწყვეტლივ მუშაობას მოითხოვენ, სულ ერთია, ახალ კანონში გათვალისწინებულია გამონაკლისი (ე. ი. სამინისტროს განსაკუთრებული წესები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი). მაშასადამე, სრულიად არ იყო «შეუძლებელი» ღამით მუშაობის აკრძალვა. როგორც უკვე ვთქვით, მთავრობას სურს თავი მოგვაჩვენოს, რომ მუშათა ჯანმრთელობისათვის ზრუნავს; აი რას ამბობს ფინანსთა სამინისტრო ღამით მუშაობაზე: «უდავოა, ღამით მუშაობა უფრო მომქანცველი, ჯანმრთელობისათვის მავნებელი და საზოგადოდ ნაკლებ ბუნებრივია, ვიდრე დღის სინათლეზე მუშაობა; ამ მუშაობის მავნებლობა მით უფრო მეტია, რაც უფრო ხანგრძლივი და მუდმივია იგი. რადგანაც ღამით მუშაობა მავნებელია, თითქოს უკეთესი იქნებოდა აეკრძალოს ის ასაკოვან მუშებსაც (როგორც ეს აკრძალული აქვთ ქალებსა და ორივე სქესის მოზარდეებს ზოგიერთ წარმოებაში, ხოლო მცირეწლოვანთ — უცილობლად), მაგრამ ამისათვის არავითარი საფუძველი არ არის მუშის საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისითაც კი; ღამით ზომიერი შრომა უფრო უვნებელია მისთვის, ვიდრე მეტად ხანგრძლივი მუშაობა დღისით, რაშიაც იმდენივე გასამრჯელო ეძლევა». აი რა კარგად უხვევენ თვალს ხალხს რუსეთის მთავრობის მოხელენი! ყველაზე ცუდი მეფაბრიკეების ინტერესების დაცვასაც კი «მუშის კეთილდღეობისათვის» ზრუნვად ასაღებენ. და რა უტიფარია ის გამართლება, რომელიც სამინისტრომ მოიგონა: «ღამით ზომიერი შრომა», თურმე ნუ იტყვით, «უფრო უვნებელია, ვიდრე მეტად ხანგრძლივი მუშაობა დღისით, რაშიაც იმდენივე გასამრჯელო ეძლევა». სამინისტროს სურს სთქვას, რომ მუშა იძულებულია ღამე იმუშაოს დაბალი ხელფასის გამო, ისეთი დაბალი ხელფასის გამო, როცა მ უ შ ა ვერ იარსებებს, თუ უზომოდ

გრძელი სამუშაო არ ექნება. და აი სამინისტრო, დარწმუნებული იმაში, რომ ეს ყოველთვის ასე დარჩება, რომ მუშა ვერასოდეს ვერ ეღირსება უკეთეს ხელფასს, ცინიკურად აცხადებს: თუ მუშა ოჯახის გამოსაკვებად იძულებულია მეტისმეტად დიდხანს იმუშაოს, განა მისთვის სულ ერთი არ არის, ზედმეტ საათებს დღისით იმუშავებს თუ ღამითო? რა თქმა უნდა, თუ რუსეთის მუშათა უმრავლესობის წინანდელი ღატაკური ხელფასი დარჩება, გაჭირვება აიძულებს მათ ზედმეტ საათებში იმუშაონ, მაგრამ რა თავხედი უნდა იყოს ადამიანი, რომ ღამით მუშაობის შემოღება მუშის დაბეჩავებული მდგომარეობით ახსნას! «შრომა ერთნაირად იქნება ანაზღაურებული» — აი რაშია დედაარსი კაპიტალის დამქაშებისათვის, — «ხოლო შრომის ახლანდელი ანაზღაურების პირობებში მუშა იოლად ვერ გავა, თუ ზედმეტ საათებში არ იმუშავა». და ასეთი მოხელენი, რომელნიც კულაკურ საბუთებს სთხზავენ ხელმოჭერილი მეფაბრიკეებისათვის, კიდევ ბედავენ ლაპარაკს «მუშის საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისზე». მხოლოდ ამაოდ ხომ არ იმედოვნებენ ისინი, რომ მუშა მუდამ ასე დაბეჩავებული იქნება? ყოველთვის დაეთანხმება «ერთნაირ გასამრჯელოს», სახელდობრ თავისი შრომის წინანდელ ღატაკურ ანაზღაურებას? დაბალი ხელფასი და გრძელი სამუშაო დღე ყოველთვის ხელიხელჩაკიდებული მიდიან და უერთმანეთოდ შეუძლებელი არიან. თუ ხელფასი დაბალია, მუშა იძულებულია იმუშაოს ზედმეტ საათებში, იმუშაოს ღამ-ღამობითაც, რათა იმდენი გამოიმუშაოს, რომ თავი გამოიკვებოს. თუ სამუშაო დრო მეტისმეტად გრძელია, მაშინ ხელფასი ყოველთვის დაბალი იქნება, იმიტომ რომ თუ სამუშაო დრო გრძელია, მუშა ყოველ საათში ნაკლებს და გაცილებით უფრო ცუდი ხარისხის ნაწარმს ამზადებს, ვიდრე მოკლე სამუშაო დღის განმავლობაში; — იმიტომ რომ უზომო მუშაობით წელში გატეხილი მუშა ყოველთვის დაბეჩავებული და უძლური იქნება კაპიტალის მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ. ამიტომ, თუ რუსეთის მეფაბრიკეთა სამინისტრო ფიქრობს რუსი მუშების ახლან-

დელი მეტისმეტად დაბალი ხელფასის უცვლელად დატოვებას და ამავე დროს «მუშათა კეთილდღეობაზე» ლაყბობს, — ეს ცხადზე უცხადესად გვიჩვენებს მისი ფრაზების ფარისევლობასა და სიყალბეს.

V

როგორ ამტკიცებს ფინანსთა სამინისტრო, რომ ზედმეტ საათებში მუშაობის შეზღუდვა «უსამართლობა» იძნებოდა მუშის მიმართ?

ჩვენ ახალ კანონს ვუწოდეთ სამუშაო დღის შემცირების კანონი. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ახალმა კანონმა სამუშაო დღე 11½ საათით (ღამით მუშაობის დროს 10 საათით) შეზღუდა. მაგრამ ნამდვილად მთელი ამ საქმის ვითარება ასეთი კი არა, არამედ გაცილებით უარესია. კანონი აწესებს ყველა შეზღუდვას მხოლოდ ჩვეულებრივი, ნორმალური, საგანაკვეთო მუშაობის შესახებ, — იგი არ ეხება ზედმეტ საათებში მუშაობას. ამიტომ სინამდვილეში მეფაბრიკე ოდნავაც არ არის შეზღუდული თავის «უფლებაში» — მუშები უზომოდ დიდხანს ამუშაოს, თუნდაც 24 საათს დღე-ღამეში. აი რას ამბობს კანონი ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ: «ზედმეტ საათებში მუშაობად ითვლება ისეთი მუშაობა, რომელსაც მუშა ეწევა სამრეწველო საწარმოში იმ დროს, როცა შინაგანრიგების მიხედვით იგი არ უნდა მუშაობდეს. ზედმეტ საათებში მუშაობა ნებადართულია მხოლოდ განსაკუთრებული შეთანხმებით სამრეწველო საწარმოს გამგესა და მუშას შორის. დაქირავების ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნას პირობები მხოლოდ ისეთ ზედმეტ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც აუცილებელია წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით». ეს ახალი კანონის უაღრესად მნიშვნელოვანი მუხლია და იგი მთლიანად მუშების წინააღმდეგ არის მიმართული და სრულ გასაქანს აძლევს მეფაფრიკის თვითნებობას. აქამდე ზედმეტ საათებში მუშაობა ადათის მიხედვით სწარმოებდა; კანონში მის შესახებ არაფერი

იყო ნათქვამი. ახლა მთავრობამ დააკანონა ეს ზედმეტ საათებში მუშაობა. კანონის დამატება, რომ ამ მუშაობისათვის საჭიროა «განსაკუთრებული შეთანხმება» მუშასა და მეპატრონეს შორის, ფუჭი და სრულიად უაზრო ფრაზაა. მუშები ყველა სამუშაოს მეპატრონეებთან «შეთანხმებით» ასრულებენ; მუშები ყმები ხომ არ არიან (თუმცა ძალიან ბევრი რუსი მოხელე დიდად მოწადინებულია ყმებად გადააქციოს ისინი); ისინი დაქირავებით, ე. ი. შეთანხმებით მუშაობენ. რაღა საჭირო იყო იმაზე ლაპარაკი, რომ ზედმეტ საათებში მუშაობისათვის საჭიროა შეთანხმება. მთავრობამ კანონში ჩაურთო ეს უშინაარსო ფრაზა იმის მოსაჩვენებლად, ვითომ მას სურს ზედმეტ საათებში მუშაობა შეზღუდოს. ნამდვილად კი აქ ასეთი მუშაობის არავითარი შეზღუდვა არ არის; როგორც წინათ მეპატრონე ეუბნებოდა მუშას: «გინდა — იმუშავე ვადაზე მეტი; არ გინდა — ანგარიში მიიღეო!», ისე ეტყვის ახლაც. მხოლოდ დღემდე ეს ხდებოდა ადათის მიხედვით, ახლა კი მოხდება კანონის საფუძველზე. წინათ მეფაბრიკე, როცა მუშას ვერ ითანხმებდა ზედმეტ საათებში მუშაობაზე და ამისათვის მას ანგარიშს უსწორებდა, კანონს ვერ დაეყრდნობოდა; ახლა კი კანონი პირდაპირ უკარნახებს, თუ როგორ შეუძლია მას შეავიწროოს მუშები. ზედმეტ საათებში მუშაობის შეზღუდვის ნაცვლად, კანონის ამ მუხლს ადვილად შეუძლია კიდევ უფრო გააფართოოს ასეთი მუშაობის საზღვრები. კანონი იმის უფლებასაც კი აძლევს მეპატრონეს, რომ ხელშეკრულებაში შეიტანოს ზედმეტ საათებში მუშაობის მოთხოვნა, როცა ასეთი მუშაობა «აუცილებელია წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით». ეს შენიშვნა ოდნავაც არ შებორკავს მეფაბრიკეს. როგორ გავარკვიოთ, რომელი მუშაობაა «აუცილებელი წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით» და რომელი არ არის აუცილებელი? ვინ გაარკვევს ამას? როგორ შეიძლება მეპატრონის განცხადების უარყოფა, როცა იგი ამბობს, რომ ის სამუშაო, რომელსაც ზედმეტ საათებში ასრულებინებს მუშას, «აუცილებელია წარმოების

ტექნიკური პირობების მიხედვით»? ამას ვერავინ ვერ გაარკვევს, მეპატრონის განცხადებას ვერავინ შეამოწმებს. კანონმა მხოლოდ გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ა მეპატრონეთა თვითნებობა იმით, რომ უკარნახა მათ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ს ა ი მ ე დ ო საშუალება მუშების შესავიწროებლად.

ახლა საკმარისია მეპატრონემ ხელშეკრულების პირობებში შეიტანოს ის წესი, რომ მუშას უფლება არა აქვს უარი სთქვას ზედმეტ საათებში მუშაობაზე, რომელიც «აუცილებელია წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით», და მეფაბრიკის საქმეც გაჩარხულია! თუ მუშამ სცადა და ზედმეტ საათებში მუშაობას არ დათანხმდა, — მას გააგდებენ. მერე კი (იფიქრებს მეფაბრიკე) დაე დაიწყოს მუშამ მტკიცება, რომ ეს მუშაობა «აუცილებელი არ იყო წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვითო»! სასაცილოა წარმოვიდგინოთ მუშის მხრივ ამგვარი საჩივრის შესაძლებლობა. რაღა თქმა უნდა, ასეთი საჩივარი არასოდეს არ აღიძვრის და არც არასოდეს არაფერი გამოვა აქედან. ამრიგად, მთავრობამ სავსებით დააკანონა მეფაბრიკის თვითნებობა ზედმეტ საათებში მუშაობის მიმართ. თუ რარიგად იჩქარის ფინანსთა სამინისტრო მეფაბრიკეების გული მოიგოს და ასწავლოს მათ ახალ კანონებზე დაყრდნობით რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენონ ზედმეტ საათებში მუშაობა, — ეს განსაკუთრებით სჩანს «ვესტნიკ ფინანსოვის» შემდეგი მსჯელობიდან: «ზედმეტ საათებში მუშაობა აუცილებელია აგრეთვე სასწრაფო შეკვეთების დროს, რომელთა გათვალისწინება სულაც არ შეუძლია მეფაბრიკეს ან მექარხნეს * იმ წარმოებაში, რომელიც განკუთვნილია დროის განსაზღვრული, მოკლე პერიოდებისათვის, თუ საწარმოს მფლო-

* ძველი ჰანგია! რუსეთის — განსაკუთრებით ცენტრალური რაიონის — ფაბრიკები ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის წინ ყოველ წელიწადს იღებენ სასწრაფო შეკვეთებს, და ყოველ წელიწადს დიდის ამბით არწმუნებენ ყველა სულელს, რომელნიც მათ უჯერიან ან ვითომ უჯერიან, ამის გათვალისწინება არ შეგვეძლოო!..

ბელისათვის შეუძლებელი ან ძნელია მუშების რიცხვის გადიდება».

ხედავთ, რა კარგად «განმარტავენ» კანონს მეფაბრიკეთა გულმოდგინე ლაქიები, რომელნიც ფინანსთა სამინისტროში სხედან! კანონში ლაპარაკია მხოლოდ იმ ზედმეტ სამუშაოზე, რომელიც აუცილებელია ტექნიკური პირობების მიხედვით, ფინანსთა სამინისტრო კი იჩქარის ზედმეტ საათებში მუშაობა «აუცილებლად» აღიაროს «გაუთვალისწინებელი» (?!) შეკვეთის პირობების მიხედვითაც, და მაშინაც კი, როცა მეფაბრიკისთვის «ძნელია» მუშების რიცხვის გადიდება! ეს უკვე მუშების პირდაპირ აბუჩად აგდებაა! ყოველ მოხერხებულ მეფაბრიკეს ხომ ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს შეუძლია სთქვას, ჩემი მდგომარეობა «ძნელიაო». მუშების რიცხვის გადიდება ნიშნავს ახლების დაქირავებას, — ეს ნიშნავს ჭიშკართან თავმოყრილ უმუშევართა რიცხვის შემცირებას, მუშათა შორის მეტოქეობის შესუსტებას, ეს ნიშნავს, რომ მუშები უფრო მომთხოვნი გახადო და უფრო მაღალი ხელფასის მიცემასაც კი დათანხმდე. თავისთავად ცხადია, არ მოინახება არც ერთი ისეთი მეფაბრიკე, რომელმაც ეს თავისთვის «საძნელოდ» არ მიიჩნიოს. მეფაბრიკის ამგვარი თვითნებობა ზედმეტ საათებში მუშაობის დანიშვნის საქმეში აქარწყლებს სამუშაო დღის შემცირების კანონის ყოველგვარ მნიშვნელობას. მუშათა მთელი მასისათვის არავითარი შემცირება არ გამოვა, ვინაიდან ისინი წინანდებურად 15 — 18 საათს და მეტს იმუშავებენ, ღამღამობითაც დარჩებიან ფაბრიკაში ზედმეტ საათებში სამუშაოდ. ზედმეტ საათებში მუშაობის აუკრძალავად (ან, ყოველ შემთხვევაში, შეუზღუდავად) სამუშაო დღის შემცირების კანონის უაზრობა იმდენად აშკარაა, რომ კანონის ყველა წინასწარ პროექტში ნავარაუდევი იყო ზედმეტ საათებში მუშაობის შეზღუდვა. ს.-პეტერბურგის მეფაბრიკეები (თვითონ მეფაბრიკეები!) ჯერ კიდევ 1883 წელს შუამდგომლობდნენ, რომ ზედმეტი საათების მუშაობა დღეში ე რ თ ი ს ა ა თ ი თ განესაზღვრათ. როდესაც პეტერბურგის 1895 — 1896 წლების

გაფიცვებით დამფრთხალმა მთავრობამ დაუყოვნებლივ დანიშნა კომისია სამუშაო დღის შემცირების შესახებ კანონის შესადგენად, — ამ კომისიამაც მოითხოვა ზედმეტ საათებში მუშაობის შეზღუდვა, სახელდობრ 120 საათით წელიწადში *. მთავრობამ რომ უარჰყო ყოველგვარი ვარაუდი ზედმეტ საათებში მუშაობის რაიმე შეზღუდვის შესახებ, ამით მან პირდაპირ თავს იდო ყველაზე ცუდ მეფაბრიკეთა ინტერესების დაცვა, პირდაპირ დააკანონა მუშათა სრული მორჩილება, მთელი სიცხადით გამოხატა თავისი სურვილი ძველებურად დასტოვოს ყველაფერი და უშინაარსო ფრაზებით დაკმაყოფილდა. ფინანსთა სამინისტრო, თავგამოდებით რომ იცავდა მეფაბრიკეთა ინტერესებს, იქამდეც კი მივიდა, რომ მტკიცება დაიწყო — თითქოს ზედმეტ საათებში მუშაობის შეზღუდვა «უსამართლობა იქნებოდა თვით მუშის მიმართ». აი ეს მსჯელობაც, რომელსაც კარგი იქნება ყოველი მუშა ჩაუფიქრდეს. «მუშისათვის ფაბრიკაში დღე-ღამეში განსაზღვრულ საათებს ზევით მუშაობის უფლების წართმევა პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელი იქნებოდა» (რატომ? იმიტომ რომ საფაბრიკო ინსპექტორები ძალიან ცუდად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და საშინლად უფრთხიან იმას, რომ ბატონ მეფაბრიკეებს აწყენინონ? იმიტომ რომ რუსი მუშის უუფლებო და უტყვ მდგომარეობაში მისი სასარგებლო ყველა რეფორმა ძნელი განსახორციელებელია? ფინანსთა სამინისტრომ, თავისდაუნებურად, სიმართლე სთქვა: მართლაც, სანამ რუსი მუშები, ისე როგორც მთელი რუსი ხალხი, უუფლებონი არიან პოლიციური მთავრობის წინაშე, სანამ მათ პოლიტიკური უფლებები არა აქვთ, — არავითარი რეფორმა ნამდვილი არ იქნება)... «და უსამართლობა იქნებოდა მუშის მიმართ: არ შეიძლება სდევნიდე ადამიანს იმისათვის, რომ იგი საარსებო საშუალებებს ეძებს და ხანდახან თავის ძალ-

* ახალი კანონის განმარტების დროს თვით ფინანსთა სამინისტროც იძულებული გახდა ეღიარებინა «ზედმეტ საათებში მუშაობის დაშვება თითქოს უადგილოაო» («ვესტნიკ ფინანსოვ»).

ღონეს ძაბავს იმ საზღვარს ზევით, რომლის იქით მისი შრომა შეიძლება ჯანმრთელობისათვის მავნე გახდეს». აი რა ჰუმანური და კაცთმოყვარეა რუსეთის მთავრობა! თავი დაუკარი და მადლობა უთხარი, რუსო მუშავ! მთავრობა იმდენად მოწყალეა, რომ «უფლებას არ გართმევს» იმუშაო დღე-ღამეში თუნდ 18, თუნდ 24 საათი, მთავრობა იმდენად სამართლიანია, რომ არ სურს გდევნოს იმისათვის, რომ მეფაბრიკე გაიძულებს წელი მოიწყვიტო მუშაობით! ყველა სხვა ქვეყანაში განსაზღვრული ვადის ზევით ფაბრიკაში მუშაობისათვის ს დ ე ვ ნ ი ა ნ არა მუშას, არამედ მეფაბრიკეს... ჩვენს მოხელეებს ეს დაავიწყდათ. ან კი როგორ გაბედავენ რუსი მოხელენი ბატონ მეფაბრიკეების დ ე ვ ნ ა ს! რას ბრძანებთ, ეს როგორ შეიძლება! ჩვენ ახლავე დავინახავთ, რომ მთელი ამ ახალი კანონის დარღვევისთვისაც კი არ დაუწყებენ დევნას ბატონ მეფაბრიკეებს. ყველა სხვა ქვეყანაში მუშებს უფლება აქვთ «საარსებო საშუალებათა გამოსაძებნად» შეჰქმნან კავშირები, სალაროები, აშკარა წინააღმდეგობა გაუწიონ მეფაბრიკეს, თავიანთი პირობები წაუყენონ მას, გაფიცვები მოაწყონ. ჩვენში ეს არ შეიძლება. სამაგიეროდ ჩვენში მუშას მინიჭებული აქვს «უფლება» დღე-ღამეში რამდენი საათიც უნდა «მეტი იმუშაოს». რატომ არ დაუმატეს ამ ჰუმანურმა მოხელეებმა, რომ სამართლიანი მთავრობა «არ ართმევს» აგრეთვე რუს მუშებს «უფლებას» გაუსამართლებლად მოხვდნენ საპყრობილეში ან გალახულ იქნან ამა თუ იმ პოლიციელი ბაშიბუზუკის მიერ კაპიტალისტთა მხრივ ჩაგვრისაგან თავდაცვის ყოველი ცდისათვის.

VI

რა უფლებებს ანიჭებს ახალი კანონი მინისტრებს?

ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტებში ახალი კანონი არავითარ საერთო-სავალდებულო, ზუსტ და უცვლელ წესებს არ ამყარებს: მთავრობა ამჯობინებს რაც შეიძლება მეტი უფლება მიანიჭოს ადმინისტრაციას (სახელ-

დობრ მინისტრებს), რათა მათ შეეძლოთ ყოველგვარი დადგენილება და შეღავათი შემოიღონ მეფაბრიკეებისთვის, შეეძლოთ შეაფერხონ ახალი კანონის გამოყენება და სხვ. ის უფლებები, რომელთაც ახალი კანონი ანიჭებს მინისტრებს, მეტად ფართო და დიდია. მინისტრებს (სახელდობრ ფინანსთა მინისტრს ან გზათა მინისტრს და სხვ. შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით) «უფლება ენიჭებათ» გამოსცენ დაწვრილებითი წესები ახალი კანონის გამოყენების შესახებ. მთლად მინისტრების შეხედულებაზეა დამოკიდებული მრავალი საკითხი, რომელიც ეხება ახალი კანონის ყველა მუხლს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ შ ი და ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ა დ. მინისტრთა უფლებები იმდენად დიდია, რომ არსებითად ისინი ახალი კანონის სრული გამგებელნი არიან; მოისურვებენ — გამოსცემენ ისეთ წესებს, რომ კანონი მართლაც გამოყენებულ იქნას; მოისურვებენ — ისე იზამენ, რომ კანონი სულაც არ იქნება გამოყენებული. მართლაც, შეხედეთ, სახელდობრ რა წესების გამოცემა შეუძლიათ მინისტრებს «ამ კანონების განსავითარებლად» (ასეა ნათქვამი კანონში; ჩვენ უკვე ვნახეთ, რა გონებამახვილად «ავითარებს» კანონს ფინანსთა სამინისტრო — ისე ავითარებს, რომ მუშებმა, მისი აზრით, მადლობა უნდა გადაუხადონ მთავრობას იმისათვის, რომ უკანასკნელი არ სდევნის მათ უზომო მუშაობისათვის და «უფლებას არ ართმევს» იმუშაონ თუნდაც 24 საათი დღე-ღამეში). ჩვენ ჩამოვთვლიდით ამ წესების ყველა თანრიგს, ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმ საკითხებს გარდა, რომელნიც კანონშია აღნიშნული და რომელნიც წყდება მინისტრთა მიერ გამოცემული წესებით, კანონი უფლებას აძლევს მათ გამოსცენ ს ხ ვ ა წ ე ს ე ბ ი ც, სრულიად შეუზღუდავად. მინისტრებს უფლება ეძლევათ გამოსცენ წესები მუშაობის ხანგრძლივობის შესახებ. მაშასადამე, კანონი მუშაობის ხანგრძლივობის შესახებ ერთი საქმეა, და გარდა ამისა კიდევ იქნება მინისტრთა წესები იმავე საგანზე. მინისტრებს შეუძლიათ გამოსცენ წესები ცვლათა რიგის

შესახებ, და შეუძლიათ, რა თქმა უნდა, არც გამოსცენ, რათა მეფაბრიკეები არ შეავიწროონ. მინისტრებს უფლება აქვთ გამოსცენ წესები კომპლექტების რიცხვის შესახებ (ე. ი. ცვლათა რიცხვის შესახებ, იმის შესახებ, თუ რამდენი ცვლა შეიძლება იყოს დღე-ღამეში), შესვენებათა შესახებ და ა. შ. ამას კანონი უმატებს: და ა. შ. (და ასე შემდეგ), ე. ი. რაც გენებოთ, ის გამოეცითო. თუ არ მოისურვებენ მინისტრები, — არავითარი წესები არ გამოიცემა შესვენებათა შესახებ, და მეფაბრიკეები ისევე, როგორც დღეს, შეავიწროებენ მუშებს, არ მისცემენ მათ საშუალებას შინ წავიდნენ სასადილოდ ან დედებს — საჭმელი აჭამონ ბავშვებს. მინისტრებს უფლება ეძლევათ გამოსცენ წესები ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ, სახელდობრ: მისი წარმოების, განაწილებისა და აღრიცხვის წესები. მაშასადამე, მინისტრებს აქ სრული თავისუფლება ეძლევათ. მინისტრებს შეუძლიათ პირდაპირ შესცვალონ კანონის მოთხოვნები, ე. ი. კიდეც გააძლიერონ და კიდეც შეამცირონ ისინი (კანონი განგებ ანიჭებს მინისტრებს უფლებას შეამცირონ ახალი კანონის მოთხოვნები მეფაბრიკეების შესახებ) სამ შემთხვევაში: პირველი, «როცა ეს აუცილებლად იქნება აღიარებული წარმოების თვისების მიხედვით (განუწყვეტელი მუშაობა და სხვ.)». «და სხვა»-ს კანონი ისევ უმატებს და ამით მინისტრებს უფლებას ანიჭებს დაიმოწმონ როგორიც ნებავთ «თვისებები წარმოებისა». მეორე, «სამუშაოთა თვისების მიხედვით (ორთქლის ქვაბების, ამძრავების მოვლა, მიმდინარე და სასწრაფო რემონტი და ა. შ.)». ისევ «და ასე შემდეგ»! მესამე, «და სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში». შემდეგ მინისტრებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რა წარმოებაა განსაკუთრებით მავნებელი მუშათა ჯანმრთელობისათვის (შეუძლიათ არც განსაზღვრონ: კანონი მათ ამას არ ავალდებულებს, მხოლოდ უფლებას ანიჭებს..., თუმცა ეს უფლება მათ წინათაც ჰქონდათ, მაგრამ არ სურდათ ესარგებლნათ ამით!), და განსაკუთრებული წესები გამოსცენ ასეთი წარმოებისათვის.

მუშები ახლა ხედავენ, რატომ ვთქვით ჩვენ, რომ შეუძლებელია იმ საკითხების ჩამოთვლა, რომელთა გადაწყვეტა მინისტრებს აქვთ მინდობილი: კანონში აქ ყველგან დამატებულია: «და ა. შ.». და «და სხვ.». საერთოდ რუსეთის კანონები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: კანონები, რომლებითაც რაიმე უფლებები აქვთ მინიჭებული მუშებს და საერთოდ უბრალო ხალხს, და კანონები, რომლებიც რამეს კრძალავენ და ნებას აძლევენ მოხელეებს აკრძალონ. პირველ კანონებში მუშათა ყველა, თვით უაღრესად მცირე უფლებები ჩ ა მ ო თ ვ ლ ი ლ ი ა სრ ულ ი სიზ უ ს ტ ი თ (მაგ., მუშების უფლებაც კი — არ გამოცხადდნენ სამუშაოზე საპატიო მიზეზების გამო) და აკრძალულია მ ც ი რ ე ო დ ე ნ ი გადახვევაც კი უსასტიკესი სასჯელის შიშით. ასეთ კანონებში ვერასოდეს ვერ ნახავთ ვერც ერთს «და ა. შ.». ან «და სხვ.». მეორეგვარ კანონებში ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მოცემულია მხოლოდ საზოგადო აკრძალვა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ზ უ ს ტ ი ჩ ა მ ო თ ვ ლ ი ს გ ა რ ე შ ე, ასე რომ ადმინისტრაციას შეუძლია ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი აკრძალოს, რ ა ც მ ა ს ს უ რ ს; ამ კანონებში ყოველთვის არის პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დამატებანი: «და ა. შ.», «და სხვ.». ასეთი სიტყვები თვალნათლივ გვიჩვენებენ რუს მოხელეთა ყოვლისშემძლებლობას, ხალხის სრულ უუფლებობას მათს წინაშე; გვიჩვენებენ იმ საზიზღარი კანცელარიობისა და გაჭიანურების უაზრობას და სიველურეს, რომლითაც ერთიანად გამსჭვალულია რუსეთის იმპერატორის მთავრობის ყველა დაწესებულება. ყოველი კანონი, რომელსაც შეუძლია თუნდაც ოდნავი სარგებლობის მოტანა, იმდენად იხლართება ყოველთვის ამ კანცელარიობით, რომ კანონის გამოყენება უსაზღვროდ ჭიანურდება; უფრო მეტიც: კანონის გამოყენების საქმე სავსებით ენდობა მოხელეებს, რომელნიც, როგორც ყველამ იცის, ყოველთვის მზად არიან სულით და გულით «ემსახურონ» ყოველ გატენილ ქისას და, რამდენადაც კი შესძლებენ, სისაძაგლე ჩაიდინონ უბრალო ხალხის მიმართ. ყველა ეს წესი «ამ კანონების განსავითარებლად» მინისტრებს

მხოლოდ უფლება აქვთ გამოსცენ, ე. ი. მათ შეუძლიათ გამოსცენ და შეუძლიათ არც გამოსცენ. კანონი მათ არაფერს არ ავალდებულებს. კანონი არ ნიშნავს ვადას: შეუძლიათ ახლავე გამოსცენ, შეუძლიათ გამოსცენ ათი წლის შემდეგაც. ცხადია, იმ ზოგიერთი წესის ჩამოთვლას, რომელიც კანონშია აღნიშნული, ასეთს ვითარებაში ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა ეკარგება: ეს — ლიტონი სიტყვებია, რომლებიც მხოლოდ ჩქმალავენ მთავრობის სურვილს — დააუძლუროს კანონი მისი პრაქტიკული განხორციელების მხრივ. თითქმის ყოველი კანონი, რომელიც კი მუშათა ყოფა-ცხოვრებას ეხება, უდიდეს უფლებებს ანიჭებს ჩვენს მინისტრებს. და ჩვენც სავსებით გვესმის, რატომ იქცევა ასე მთავრობა: მას სურს რაც შეიძლება კარგად ემსახუროს ბატონ მეფაბრიკეებს. მეფაბრიკისათვის ხომ გაცილებით უფრო ადვილია გავლენა მოახდინოს კანონის გამტარებელ მოხელეზე, ვიდრე თვით კანონის გამოცემაზე. ყველამ იცის, რა ადვილად შედიან ჩვენი ბობოლა-კაპიტალისტები ბატონ მინისტრთა სადარბაზო ოთახებში ერთმანეთთან ტკბილად საუბრისათვის, რა მეგობრულად უმასპინძლდებიან მათ თავიანთ სადილებზე; რა თავაზიანად მიართმევენ ხოლმე საჩუქრად ათეულ და ასეულ ათასობით მანეთს იმპერატორის მთავრობის მექრთამე მოხელეებს (ეს ხდება როგორც პირდაპირ, ქრთამის სახით, ისე არაპირდაპირ — საზოგადოებათა «დამფუძნებელთათვის» აქციების გადაცემის ან ამ საზოგადობებში საპატიო და შემოსავლიანი ადგილების მიცემის სახით). ამრიგად, რაც უფრო მეტ უფლებას მიანიჭებს ახალი კანონი მოხელეებს ამ კანონის გამოყენების მხრივ, მით უფრო ხელსაყრელია ეს მოხელეებისთვისაც და მეფაბრიკეებისთვისაც: მოხელეთათვის ხელსაყრელია იმით, რომ შეუძლიათ კიდევ რამე შესანსლონ; მეფაბრიკეებისთვის იმით, რომ უფრო ადვილად შეუძლიათ შეღავათები და მფარველობა მოიპოვონ. გავახსენებთ მუშებს მაგალითისთვის ორ შემთხვევას, რომელნიც გვიჩვენებენ, თუ რას იწვევენ სინამდვილეში «კა-

ნონის გ ა ნ ს ა ვ ი თ ა რ ე ბ ლ ა დ» გამოცემული მინისტრთა წესები. 1886 წლის 3 ივნისის კანონი ადგენდა, რომ ჯარიმები მუშების ფულია და მათ საჭიროებაზე უნდა იხარჯებოდეს. მინისტრმა ეს კანონი ისე «განავითარა», რომ ს.-პეტერბურგში, მაგ., იგი მთელ ათ წელიწადს არ გამოუყენებიათ, ხოლო როცა მისი გამოყენება დაიწყო, მთელი საქმე მეფაბრიკეს ჩააბარეს, რომელსაც მუშამ მოწყალებასავით უნდა გამოსთხოვოს თავისი ფული. მეორე მაგალითი. იგივე კანონი (1886 წ. 3 ივნისისა) ადგენს, რომ ხელფასის გადახდა უნდა ხდებოდეს თვეში ორჯერ მაინც, ხოლო მინისტრმა ეს კანონი ისე «განავითარა», რომ მეფაბრიკეებს უფლება აქვთ თვენახევრით დაუგვიანონ ხელფასის მიცემა ახალმიღებულ მუშას. ყოველმა მუშამ მშვენივრად იცის ამის შემდეგ, თუ ამ შემთხვევაშიც რისთვის აქვთ მინიჭებული მინისტრებს კანონის «განვითარების» უფლება. მეფაბრიკეებმაც კარგად იციან ეს და კიდევაც აამუშავეს თავიანთი საშუალებანი. ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ მინისტრებს «მინიჭებული» აქვთ უფლება გამოსცენ ზედმეტ საათებში მუშაობის წესები. მეფაბრიკეებმა უკვე დაიწყეს მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენა, რომ მან ზედმეტ საათებში მუშაობა ა რ შ ე ზ ღ უ დ ო ს. გაზეთი «მოსკოვსკიე ვედომოსტი», რომელიც ყოველთვის ძალიან მედგრად იცავს ყველაზე ცუდი მეფაბრიკეების ინტერესებს, ძალიან თავგამოდებით აქეზებს მთავრობას ყოვლად სასტიკი და მხეცური მოქმედების ჩასადენად და რომელიც ასეთი დიდი გავლენით სარგებლობს «უმაღლეს სფეროებში» (ე. ი. უმაღლესი მოხელეების, მინისტრებისა და სხვ. წრეში), — ეს გაზეთი უკვე მთელ ლაშქრობას აწყობს იმის დასაცავად, რომ ზედმეტ საათებში მუშაობა არ უნდა შეიზღუდოსო. მეფაბრიკეებს ათასნაირი საშუალება აქვთ ზეგავლენა მოახდინონ მთავრობაზე: მათ აქვთ თავიანთი საზოგადოებანი და დაწესებულებანი, მეფაბრიკეები მონაწილეობას იღებენ მთავრობის მრავალ კომისიასა და კოლეგიაში (მაგ., საფაბრიკო საკრებულოში და სხვ.), მეფაბრიკეებს შეუძლიათ პირადად შევიდნენ მინისტრებთან,

მეფაბრიკეებს შეუძლიათ რამდენიც უნდათ იმდენი ბეჭდონ თავიანთ სურვილებსა და მოთხოვნილებებზე, ხოლო ბეჭდვით სიტყვას ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მუშებს კი არავითარი კანონიერი საშუალება არა აქვთ ზეგავლენა მოახდინონ მთავრობაზე. მუშებს ერთიღა დარჩენიათ: შეერთდნენ, ყველა მუშათა შორის გაავრცელონ თავიანთი, როგორც ერთი კლასის, ინტერესების შეგნება და შეერთებული ძალებით გაუმკლავდნენ მთავრობასა და მეფაბრიკეებს. ახლა ყოველი მუშა ხედავს, რომ ახალი კანონის გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, ვინ უფრო ძლიერად იმოქმედებს მთავრობაზე: მეფაბრიკეები თუ მუშები. ამ კანონის გამოცემა მუშებმა მხოლოდ ბრძოლით, შეგნებული და მედგარი ბრძოლით მოიპოვეს. მხოლოდ ბრძოლით შეუძლიათ მათ მიაღწიონ იმას, რომ ეს კანონი მართლა განხორციელდეს და გამოყენებულ იქნას მუშათა ინტერესებისათვის. თუ გაერთიანებულმა მუშებმა შეუპოვარი ბრძოლა არ გაუმართეს, მედგარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს მეფაბრიკეების ყოველ ზრახვას, ახალი კანონი დარჩება ფარატინა ქაღალდად, დარჩება ერთ-ერთ იმ მოკაზმულ და ცრუ აბრად, რომლითაც ჩვენი მთავრობა ცდილობს შეალამაზოს პოლიციური თვითნებობის, მუშათა უუფლებობისა და ჩაგვრის მთლად დამპალი შენობა.

VII

როგორ ჰკვეცს ჩვენი «ქრისტიანული» მთავრობა უქმეებს მუშებისათვის

სამუშაო დროის წესს გარდა ახალი კანონი შეიცავს აგრეთვე წესს ფაბრიკა-ქარხნების მუშათა სავალდებულო საკვირაუქმო დასვენების შესახებ. ქვემძრომმა მჯღაბნელებმა, რომელნიც ასე ბლომად არიან რუს მეგაზეთეებსა და ჟურნალისტებს შორის, ამ წესისათვის უკვე ცამდე აიყვანეს ჩვენი მთავრობა და მისი ჰუმანურობა. ჩვენ ახლავე დავინახავთ, რომ ნამდვილად ეს ჰუმანური კანონი ცდილობს მუშებს შეუ-

კვეცოს უქმე დღეები. მაგრამ ჯერ განვიხილოთ ზოგადი წესები საკვირაუქმო დასვენების შესახებ. უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ საკვირაუქმო დასვენების კანონით დაწესებისათვის 14 წლის წინათ (1883 წელს) შუამდგომლობდნენ პეტერბურგელი მეფაბრიკეები. მაშასადამე, რუსეთის მთავრობა აქაც მხოლოდ აფერხებდა და აჭიანურებდა საქმეს, ეწინააღმდეგებოდა რეფორმას, სანამ შესაძლებელი იყო. კანონით იმ უქმეების ცხრილში, როცა მუშაობა არ შეიძლება, აუცილებლად შედის ყველა კვირადღე და შემდეგ კიდევ 14 უქმე, რომელთა შესახებ დაწვრილებით კიდევ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. უქმე დღეს მუშაობას კანონი კრძალავს არა უცილობლად, მაგრამ მისი დაშვება განსაზღვრულია შემდეგი პირობებით: პირველი, აუცილებელია მეფაბრიკისა და მუშების «ურთიერთშორის შეთანხმება»; მეორე, უქმე დღეს მუშაობა დაშვებულია «სამუშაო დღის ნაცვლად»; მესამე, შეთანხმება უქმე დღის სამუშაო დღით შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საფაბრიკო ინსპექციას. ამრიგად, უქმე დღეს მუშაობამ, კანონით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეამციროს დასასვენებელი დღეების რაოდენობა, ვინაიდან მეფაბრიკე ვალდებულია ნამუშევარი უქმე დღის ნაცვლად სამუშაო დღეს დაასვენოს. მუშებმა ყოველთვის უნდა იქონიონ ეს მხედველობაში, აგრეთვე ისიც, რომ კანონი ასეთი შეცვლისათვის მეფაბრიკისა და მუშების ურთიერთშეთანხმებას მოითხოვს. მაშასადამე, მუშებს ყოველთვის შეუძლიათ სრულიად კანონიერი საფუძვლით უარი სთქვან ასეთ შეცვლაზე, და მეფაბრიკეს უფლება არა აქვს აიძულოს ისინი. ნამდვილად, რა თქმა უნდა, მეფაბრიკე აქაც იძულებულს გახდის მუშებს ასეთი ხერხის საშუალებით: ის მუშებს ცალ-ცალკე შეეკითხება მათი თანხმობის შესახებ, და ცალ-ცალკე მუშები უარის თქმას ვერ გაბედავენ იმის შიშით, რომ არ დაითხოვონ დაუთანხმებლობისათვის; რა თქმა უნდა, მეფაბრიკის ასეთი ხერხი უკანონო იქნება, ვინაიდან კანონი მოითხოვს მუშების, ე. ი. ერთად ყველა მუშის თანხმო-

ბ ა ს. მაგრამ როგორ შეუძლია ერთი ქარხნის ყველა მუშას (ხანდახან ისინი რამდენიმე ასი და ათასია მრავალ ადგილას გაბნეული) თავიანთი საერთო თანხმობა განაცხადონ? კანონმა ეს არ აღნიშნა და ამით მეფაბრიკეს კვლავ საშუალება მისცა შეავიწროოს მუშები. ასეთი შევიწროების თავიდან ასაცილებლად მუშებს ერთი საშუალება აქვთ: ყოველ ასეთ შემთხვევაში მოითხოვონ დეპუტატების არჩევა მუშებისაგან მეპატრონისათვის ყველა მუშის ს ა ე რ თ ო გადაწყვეტილების გადასაცემად. ასეთი მოთხოვნა მუშებს შეუძლიათ კანონზე დაამყარონ, ვინაიდან კანონი ლაპარაკობს ყველა მ უ შ ი ს თანხმობაზე, ხოლო ყველა მუშას ერთბაშად ხომ არ შეუძლია ელაპარაკოს მეპატრონეს. მუშათა დეპუტატების არჩევის შემოღება საერთოდ ძალიან სასარგებლო იქნება მათთვის და გამოადგებათ მეფაბრიკესთან და კანტორასთან ყოველგვარი ურთიერთობისათვის, რადგანაც ცალკეული მუშისათვის ძალიან ძნელია და ხშირად საკვებით შეუძლებელიც არის მოთხოვნების, პრეტენზიების და სხვათა განცხადება. შემდეგ, «არამართლმადიდებელი» მუშების შესახებ კანონი ამბობს, რომ «ნებადართულია» უქმეთა ცხრილში ამ მუშებისათვის არ შეიტანონ ის დღეები, რომელთაც მათი ეკლესია არ აღიარებს. მაგრამ სამაგიეროდ ხომ არის სხვა უქმეები, რომელთაც კათოლიკები აღიარებენ და რომელნიც მართლმადიდებლებს არა აქვთ. კანონმა ამას დუმილით აუარა გვერდი და ამით, მაშასადამე, სცადა რამდენადმე შეავიწროოს არამართლმადიდებელი მუშები. კიდევ უფრო მეტად ავიწროებენ არა-ქრისტიან მუშებს: კანონით «დაშვებულია» მათთვის კვირის ნაცვლად სხვა დღეების შეტანა უქმე დღეებში. მხოლოდ «დაშვებულია»! ჩვენი ქრისტიანული მთავრობა ისე მხეცურად სდევნის იმ პირთ, რომელნიც გაბატონებულ რელიგიას არ ეკუთვნიან, რომ აქაც შესაძლებელია არა-ქრისტიანთა შევიწროების ცდა კანონის ბუნდოვანობის საშუალებით. კანონი კი აქ ძალიან ბუნდოვანად ლაპარაკობს. იგი ისე უნდა გავიგოთ, რომ კვირაში ერთი დღე უსათუოდ დასასვენებელი დღე უნდა იყოს

და დასაშვებია მხოლოდ კვირადღის შეცვლა სხვა დღით. მაგრამ «გაბატონებული» რელიგიაც შეღავათს მხოლოდ «ბატონებს» აძლევს, ხოლო მუშაკაცისათვის ის ყოველთვის მზად არის რაიმე ხრიკი გამოიგონოს. აბა ვნახოთ, რ ა უ ქ მ ე ე ბ ი ს აუცილებელ შეტანას მოითხოვს კანონი ცხრილში. კარგია ლაპარაკი საკვირაუქმო დასვენების დაწესების შესახებ; სინამდვილეში კი მუშები, უმეტეს შემთხვევაში, აქამდისაც არ მუშაობდნენ ჩვეულებრივ არც კვირას და არც სხვა უქმე დღეს. კანონს ხომ შეუძლია იმგვარად დააწესოს უქმე დღეს დასვენება, .რომ ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო უქმეების რიცხვი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ უქმეებზე გაცილებით ნაკლები იყოს. ს წ ო რ ე დ ა ს ე მ ო ი ქ ც ა ა ხ ა ლ კ ა ნ ო ნ ში ჩ ვ ე ნ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი მ თ ა ვ რ ო ბ ა. ახალმა კანონმა წელიწადში დააწესა 66 სავალდებულო უქმე დღე, 52 კვირადღე, 8 თარიღიანი უქმე (1 და 6 იანვარი, 25 მარტი, 6 და 15 აგვისტო, 8 სექტემბერი, 25 და 26 დეკემბერი) და 6 მოძრავი უქმე (ვნების კვირის პარასკევი და შაბათი, აღდგომის ორშაბათი და სამშაბათი, ამაღლება და სულიწმინდის მოფენა). ხოლო დღემდე ჩვენს ფაბრიკებში რამდენი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი უქმე დღე იყო წლის განმავლობაში? ამის შესახებ ზუსტი ცნობები მოგვეპოვება მოსკოვისა და სმოლენსკის გუბერნიებზე, ისიც მხოლოდ ზოგიერთი ფაბრიკის შესახებ. მაგრამ რადგანაც ცალკეულ ფაბრიკებსა და თვით ამ ორივე გუბერნიას შორის დიდი განსხვავება არ არის, ეს ცნობები სავსებით გამოსადეგია ახალი კანონის ნამდვილი მნიშვნელობის დასახასიათებლად. მოსკოვის გუბერნიაში ცნობები შეკრებილია 47 დიდი ფაბრიკის შესახებ, რომლებშიც საერთოდ 20 ათასზე მეტი მუშაა. აღმოჩნდა, რომ ხელით სამუშაო ფაბრიკებში უქმეების ჩვეულებრივი რიცხვი უდრის წელიწადში 97-ს, ხოლო მექანიკურ ფაბრიკებში — 98-ს. უქმეების ყველაზე მცირე რიცხვი წელიწადში აღმოჩნდა 78: ამ 78 დღეს უქმობენ უ კ ლ ე ბ ლ ი ვ ყველა გამოკვლეულ ფაბრიკაში. სმოლენსკის გუბერნიაში ცნობები გვაქვს 15 ფაბრიკის შესახებ, რომლებშიც

დაახლოებით 5 — 6 ათასი მუშა ითვლება. წელიწადში უქმეების საშუალო რიცხვია 86, ე. ი. თითქმის იმდენივე, რამდენიც მოსკოვის გუბერნიაში; უქმეების ყველაზე მცირე რიცხვი აღმოჩნდა ერთ ფაბრიკაში, სადაც 75 უქმეა. რუსეთის ფაბრიკების წლიური უქმე დღეების ამ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ რიცხვს შეესაბამება იმ ქარხნების უქმეების რიცხვი, რომელნიც სამხედრო უწყებას ემორჩილებიან; სახელდობრ, იქ დაწესებულია წელიწადში 88 უქმე. თითქმის ამდენივე დღეა აღიარებული ჩვენი კანონებით არასამუშაო დღედ (87 დღე წელიწადში). მაშასადამე, დღემდე წელიწადში ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი უქმე დღეები მუშებს იმდენივე ჰქონდათ, რამდენიც დანარჩენ მოქალაქეებს. ჩვენმა «ქრისტიანულმა მთავრობამ», რომელიც მუშების ჯანმრთელობისათვის ზრუნავს, ამ ჩვეულებრივი უქმეებიდან მეოთხედი ნაწილი, მთელი 22 დღე, ამოაგდო და დასტოვა მხოლოდ 66 სავალდებულო უქმე. ჩამოვთვალოთ ეს ჩვეულებრივი უქმეები, რომელნიც ჩვენმა მთავრობამ ახალი კანონიდან ამოაგდო. თარიღიანი უქმეებიდან გამორიცხულია: 2 თებერვალი — მირქმა; 9 მაისი — ნიკოლოზობა; 29 ივნისი — პეტრეპავლობა; 8 ივლისი — ყაზანის ღვთისმშობლობა; 20 ივლისი — ელიაობა; 29 აგვისტო — ნათლისმცემლობა; 14 სექტემბერი — ამაღლება; 1 ოქტომბერი — ღვთისმშობლობა (მთავრობამ ეს დღესასწაულიც კი ზედმეტად და არასავალდებულოდ მიიჩნია. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ მეფაბრიკეებში ერთიც არ მოინახება ისეთი, რომელმაც გაბედოს და ამ დღეს მუშები ამუშაოს. მთავრობა აქაც ისევ ყველაზე ცუდი მეფაბრიკეების ინტერესებსა და ხელმოჭერილობას იცავს); 21 ნოემბერი — ტაძრად მიყვანება; 6 დეკემბერი — ნიკოლოზობა. სულ ამოგდებულია 10 თარიღიანი უქმე *. შემდეგ მოძრავი უქმეებიდან

* ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ის უქმეები, რომელთაც დღემდე დღესასწაულობდნენ ყ ვ ე ლ ა ფაბრიკაში. ამას გარდა არის აგრეთვე მრავალი უქმე დღე, რომელნიც საერთოა ფაბრიკების უ დ ი დ ე ს ი უ ქ-

ამოგდებულია ყველივრობის შაბათი და უკანასკნელი კვირის ოთხშაბათი, ე. ი. ორი უქმე დღე. მაშასადამე, სულ ამოგდებულია 12 უქმე დღე იმ სულ უმცირესი უქმე დღეების რიცხვიდან, რომელნიც დღევანდლამდე ეძლეოდათ მუშებს დასასვენებლად გაბატონებული ჩვეულების მიხედვით. მთავრობას მეტად უყვარს თავის თავს «ქრისტიანული» მთავრობა უწოდოს; მუშებს რომ მიმართავენ, მინისტრები და სხვა მოხელენი თავიანთ სიტყვას ალამაზებენ ფრაზებით მუშებისადმი მეფაბრიკეებისა და მთავრობის «ქრისტიანული სიყვარულისა» და «ქრისტიანული გრძნობების» და სხვ. შესახებ. მაგრამ როგორც კი ფრაზებიდან საქმეზე მიდგება ჯერი — მთელი ეს მლიქვნელური და ფარისევლური სიტყვები ერთბაშად ჰქრება, და მთავრობაც ჩარჩად იქცევა, რომელიც ცდილობს სადაც კი შეიძლება რაიმე წაჰგლიჯოს მუშებს. დიდი ხანია თვით მეფაბრიკეებმა, სახელდობრ საუკეთესოებმა მათ შორის, იშუამდგომლეს საკვირაუქმო დასვენების კანონით დაწესების შესახებ. ბოლოს, მთავრობა, 15 წლის გაჭიანურების შემდეგ, ასეთ კანონს აქვეყნებს, აწესებს სავალდებულო საკვირაუქმო დასვენებას, — მაგრამ მუშებისათვის ამ დათმობის გამო შემთხვევას არ უშვებს კიდევ შეავიწროოს ისინი და სავალდებულო უქმეების რიცხვიდან ჩვეულებრივ უქმეთა მეოთხედს აგდებს. მაშასადამე, მთავრობა იქცევა, როგორც ნამდვილი მევახშე: ერთ რამეში რომ უთმობს, ცდილობს ეს დათმობა სხვა რომელიმე შევიწროებით აინაზღაუროს. ასეთი კანონის შემდეგ ადვილი შესაძლებელია, რომ ზოგიერთ ფაბრიკაში მეპატრონეები შეეცდებიან მუშათა დასასვენებელი დღეების რიცხვი შეამცირონ, შეეცდებიან მუშები ამუშაონ იმ დღესასწაულებში, რომელთაც აქამდე უქმობდნენ, მაგრამ რომელნიც კანონით

რავლესობისთვის, მაგ., ყველივრობის პარასკევი, აღდგომის წინა დღეები — დიდი ხუთშაბათი, წითელპარასკევი და შაბათი და მრავალი სხვ.

არ არის შეტანილი სავალდებულო უქმეთა რიცხვში. თავიანთი მდგომარეობის გაუარესება რომ არ დაუშვან, მუშები ამ შემთხვევაშიც ყოველთვის მზად უნდა იყვნენ შეებრძოლონ უქმეების რიცხვის შემცირების ყოველგვარ ცდას. კანონი მხოლოდ სავალდებულო უქმეებს აღნიშნავს; მაგრამ მუშებს უფლება აქვთ, მათ გარდა, მოითხოვონ სხვა უქმეებიც. საჭიროა მხოლოდ, რომ ყველა უქმე დღე შეტანილ იქნას შინაგანრიგებაში და არ დაენდონ სიტყვიერ დაპირებას. მუშები მხოლოდ მაშინ იქნებიან დარწმუნებულნი, რომ მათ ვერ ამუშავებენ უქმე დღეს, როცა ეს უკანასკნელი შეტანილი იქნება შინაგანრიგებაში. სწორედ ისევე, როგორც უქმეების შესახებ, — ახალი კანონი ნახევარუქმეების შესახებაც შეეცადა საქმე უცვლელად დაეტოვებინა და რამდენადმე კიდეც გაეუარესებინა ის. კანონში ნახევარუქმე მხოლოდ ერთია დაწესებული — სახელდობრ შობის წინადღე: ამ დღეს მუშაობა უნდა დასრულდეს არა უგვიანეს შუადღისა. ასე იყო დღემდეც მეტწილ ფაბრიკებში, ხოლო თუ რომელიმე ფაბრიკაში არ ათავისუფლებდნენ მუშებს შობის წინ შუადღისას, მაშინ მათ უმეტეს შემთხვევაში ნახევარუქმეს სხვა რომელიმე დიდი უქმის წინადღით აძლევდნენ. საზოგადოდ წელიწადში ერთი ნახევარუქმე იყო და დღესაც დაწესებულია მეტწილ ფაბრიკებში. შემდეგ შაბათობით და უქმეების წინადღით სამუშაო დღე ახალი კანონით განსაზღვრულია ათი საათით, ე. ი. საათნახევრით ნაკლებია ჩვეულებრივ სამუშაო დღეზე. კანონს ამ მხრივაც არ გაუუმჯობესებია მუშათა მდგომარეობა, და შესაძლოა კიდევაც გააუარესა იგი: დღემდე თითქმის ყველა ფაბრიკაში შაბათობით მუშაობა ჩვეულებრივზე ადრე თავდებოდა. ერთი მკვლევარი, რომელმაც ამ საკითხზე ბევრი ცნობა შეაგროვა და საზოგადოდ ახლოს გაეცნო საფაბრიკო ყოფაცხოვრებას, ამტკიცებდა: შეუმცდარად შეიძლება საშუალო დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ შაბათობით მუშაობა თავდება ჩვეულებრივ დროზე ორი საათით ადრე. მაშასადამე, კანონი

აქაც არ უშვებს შემთხვევას, როცა ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ დასვენებას ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო დ ხდის, რომ ამ დათმობისათვის მუშებს კიდევ ნახევარი საათი მაინც წაჰგლიჯოს. ყოველ კვირაში ნახევარი საათი — ეს წელიწადში შეადგენს (ვივარაუდოთ 46 სამუშაო კვირა) — 23 საათს, ე. ი. ორი დღის ზედმეტ მუშაობას მეპატრონის სასარგებლოდ... გვარიანი საჩუქარია ჩვენი საწყალი შეუძლო მეფაბრიკეებისათვის! დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ეს ფულის ქისის რაინდები ასეთი საჩუქრის მიღებასაც არ ითაკილებენ და ყოველ ღონისიძებას იხმარენ, რომ ამნაირად თავისი აინაზღაურონ იმ «მსხვერპლისათვის», რომელსაც მათ ახალი კანონი აკისრებს (როგორც მათ უყვართ ხოლმე თქმა), და, მაშასადამე, ამ მხრივაც მუშებს მხოლოდ თავისი თავისა და თავისი გაერთიანების ძალის იმედი უნდა ჰქონდეთ. თუ შეუპოვარი ბრძოლა არ გააჩაღა, მუშათა კლასი ამ მხრივაც ვერ ეღირსება თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მიუხედავად ახალი კანონისა.

VIII

რით არის უზრუნველყოფილი ახალი კანონის შესრულება?

რით არის საზოგადოდ უზრუნველყოფილი კანონების შესრულება? ჯერ-ერთი, კანონის შესრულებაზე მეთვალყურეობის გაწევით. მეორე, კანონის შეუსრულებლობისათვის დასჯით. ახლა ვნახოთ, როგორია საქმის ვითარება ახალი საფაბრიკო კანონის მიმართ. კანონთა შესრულების მეთვალყურეობა მინდობილი აქვთ საფაბრიკო ინსპექტორებს. აქამდე საფაბრიკო საწარმოთა მეთვალყურეობის წესები, 1886 წელს გამოცემული, ვრცელდებოდა არა მთელ რუსეთზე, არამედ მხოლოდ ზოგიერთ, სახელდობრ ყველაზე უფრო სამრეწველო გუბერნიაზე. საფაბრიკო საწარმოებზე მეთვალყურეობის სფეროს გაფართოება მუდამ კვალდაკვალ მისდევდა მუშათა მოძრაობასა და მუშათა გაფიცვების გაფართოებას. ახლა, სამუშაო დღის შემცირების კანონთან ერთად, გამოიცა (იმავე 1897 წ. 2/VI-ის) კანონი საფაბრიკო საწარმოების მეთვალყურეობის

გავრცელებისა მთელ რუსეთსა და მთელ პოლონეთის სამეფოზე. რა თქმა უნდა, მეთვალყურეობის წესების მთელ რუსეთზე გავრცელება და საფაბრიკო ინსპექტორების დაწესება წინგადადგმული ნაბიჯია. მუშები ამით ისარგებლებენ, რათა თავისი ამხანაგების მეტ რიცხვს გააცნონ თავიანთი მდგომარეობა, კანონები მუშათა შესახებ, გააცნონ ის, თუ როგორ ექცევიან მთავრობა და მისი მოხელეები მუშებს და სხვ. რუსეთის ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშების ერთნაირი წესებისადმი დაქვემდებარება მოწინავე (პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირის და სხვ. გუბ.) მუშებთან ერთად, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მუშათა მოძრაობასაც, რათა უფრო სწრაფად მოედოს რუსეთის ყველა მუშას. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ნ ა მ დ ვ ი ლ ი ა კანონის შესრულების მეთვალყურეობა საფაბრიკო ინსპექტორების საშუალებით, ჩვენ ამას დაწვრილებით არ შევეხებით. ამისათვის საჭირო იქნებოდა განსაკუთრებული წიგნის დაწერა (იმდენად ფართოა ეს საგანი), და სხვა დროს იქნებ შევძლოთ მოველაპარაკოთ მუშებს საფაბრიკო ინსპექციის შესახებ. მოკლედ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საფაბრიკო ინსპექტორებს იმდენად ცოტას ნიშნავენ რუსეთში, რომ ისინი ძალიან იშვიათად თუ გამოჩნდებიან ხოლმე ფაბრიკებში. საფაბრიკო ინსპექტორები საკუთარ ემორჩილებიან ფინანსთა სამინისტროს, რომელიც მათ მეფაბრიკეების დამჭაშებად ხდის, აიძულებს მათ პოლიციას აცნობონ ხოლმე გაფიცვებისა და მღელვარებათა შესახებ, აიძულებს მათ სდევნონ მუშები ფაბრიკიდან წასვლისათვის, სდევნონ მაშინაც კი, როცა თვითონ მეფაბრიკე არ სდევნის მათ, ერთი სიტყვით, საფაბრიკო ინსპექტორებს რაღაც პოლიციის მსახურებად, რაღაც საფაბრიკო ურიადნიკებად აქცევს. მეფაბრიკეს ათასნაირი საშუალება აქვს გავლენა მოახდინოს საფაბრიკო ინსპექტორებზე და თავის ნებაზე ამოქმედოს ისინი. მუშებს კი არავითარი საშუალება არა აქვთ გავლენა მოახდინონ საფაბრიკო ინსპექციაზე, და არც შეიძლება მუშებს ასეთი საშუალება ჰქონდეთ, სანამ ისინი მოკლებული არიან უფლებას

თავისუფლად შეიკრიბონ, კავშირები მოაწყონ, თავის საქმეებზე პრესაში სწერონ, თავიანთი მუშათა გაზეთები გამოსცენ. ამ უფლებების უქონლობისას მოხელეების არავითარი მეთვალყურეობა მეფაბრიკეებისადმი არ შეიძლება იყოს და არც არასოდეს იქნება სერიოზული და ნამდვილი. მაგრამ მარტო მეთვალყურეობა არ კმარა იმისათვის, რომ კანონი სრულდებოდეს. ამისათვის აუცილებელია კიდევ სასტიკი სასჯელის დაწესება კანონის შეუსრულებლობისათვის. უამისოდ რა აზრი ექნება იმას, რომ საფაბრიკო ინსპექტორმა მიუთითოს მეფაბრიკეს მისი მოქმედების უკანონობაზე? მეფაბრიკე ამას ყურადღებას არ მიაქცევს და ძველებურად განაგრძობს თავის საქმეს. ამიტომ ახალი კანონის გამოცემის დროს ყოველთვის საზღვრავენ, თუ რა სასჯელი მოელის მას, ვინც კანონს არ ასრულებს. მაგრამ 1897 წლის 2 ივნისის ახალ კანონში სამუშაო დროის შემცირებისა და უქმე დღეებში დასვენების შესახებ არავითარი სასჯელი არ არის დაწესებული მისი შეუსრულებლობისათვის. მუშები აქედან დაინახავენ, რა სხვადასხვანაირად ეპყრობა მთავრობა მეფაბრიკეებს და მუშებს. როცა გამოდის კანონი, მაგალითად, იმის შესახებ, რომ მუშებს უფლება არა აქვთ ფაბრიკიდან წავიდნენ ვადის გასვლამდე, მაშინვე ნიშნავენ სასჯელსაც წასვლისათვის და მერე ისეთ სასტიკ სასჯელს, როგორიცაა დაპატიმრება. მაგ., გაფიცვისათვის კანონი მუშებს ემუქრება დაპატიმრებას ან ციხესაც კი, ხოლო მეფაბრიკეს გაფიცვის გამომწვევი წესების შეუსრულებლობისთვის — მხოლოდ აჯარიმებს. ასეა ახლაც. კანონის მოთხოვნა, რომ მეფაბრიკემ მუშებს მისცეს საკვირაუქმო დასვენება და არ ამუშაოს ისინი 11½ საათზე მეტი დღე-ღამეში, დაცული არ არის არავითარი სასჯელით მისი შეუსრულებლობისათვის. მაშ რით აგებს პასუხს მეფაბრიკე, რომელიც ამ კანონს დაარღვევს? სულ დიდი-დიდი, მას გადასცემენ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ 50 მანეთამდე დააჯარიმოს, ანდა თვითონ საფაბრიკო

საკრებულო დაადებს სასჯელს ჯარიმის სახითვე. მაგრამ განა 50 მან. ჯარიმა შეაშინებს მეფაბრიკეს? ის ხომ 50 მან. მოგებას არ მიიღებს, როცა ყველა მუშას ამუშავებს ღამის თუ უქმე დღის განმავლობაში! მეფაბრიკისათვის პირდაპირ ხელსაყრელია დაარღვიოს კანონი და გადაიხადოს ჯარიმა. კანონში რომ არ არის განსაკუთრებული სასჯელი მისი შეუსრულებლობისთვის მეფაბრიკის მხრივ, — ეს აშკარა უსამართლობაა და პირდაპირ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს მთავრობას სურს რაც შეიძლება დიდხანს დასტოვოს კანონი გამოუყენებლად, რომ მთავრობას არ სურს სასტიკად მოსთხოვოს მეფაბრიკეებს კანონის მორჩილება. დიდი ხნის წინათ სხვა ქვეყნებშიც ასე იყო, მთავრობა სცემდა საფაბრიკო კანონებს და მათი შეუსრულებლობისათვის სასჯელს არ ნიშნავდა. ასეთი კანონები სინამდვილეში სულაც არ სრულდებოდა, ფარატინა ქაღალდად რჩებოდა. ამიტომ სხვა ქვეყნებში დიდი ხანია უკუაგდეს ეს უაზრო ჩვეულება ისეთი კანონების დაწერისა, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილი არ იყო. ახლა რუსეთის მთავრობა იმეორებს ამ ძველ ხრიკს და იმედოვნებს, რომ მუშები ამას ვერ შეამჩნევენ. მაგრამ ეს იმედი უსაფუძვლოა. როგორც კი გაეცნობიან მუშები ახალ კანონს, ისინი თვითონვე სასტიკად თვალყურის დევნებას დაუწყებენ მის შესრულებას, არ დაუშვებენ ოდნავ გადახვევას მისგან და უარს იტყვიან მუშაობაზე, ვიდრე კანონის მოთხოვნები არ იქნება შესრულებული. თვით მუშების ეს მეთვალყურეობა უფრო ნამდვილი იქნება, ვიდრე რომელიღაც საფაბრიკო ურიადნიკების მეთვალყურეობა. თუ ასეთი მეთვალყურეობა არ იქნება, კანონი არ შესრულდება.

IX

გააუმჯობესებს თუ არა ახალი კანონი მუშათა მდგომარეობას?

ერთი შეხედვით ადამიანს შეიძლება უცნაურადაც კი ეჩვენოს, ასეთ კითხვას რომ ვაყენებთ. კანონი ამცირებს სამუშაო დროს და აწესებს საკალდებულო საკვირაუქმო დასვენე-

ბას, — როგორ არ არის ეს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება? მაგრამ ჩვენ ზევით დაწვრილებით აღვნიშნეთ, თუ რა არაზუსტი და გაურკვეველია ახალი კანონის წესები, თუ რა ხშირად ხდება, რომ კანონი ადგენს მუშათა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ წესს და ამავე დროს ასუსტებს ამ წესს იმით, რომ ძალაში სტოვებს მეპატრონის თვითნებობას ან სავალდებულო უქმეთა რაოდენობას ზღუდავს გაცილებით ნაკლები რიცხვით ჩვეულებრივ უქმეთა რაოდენობასთან შედარებით.

ვცადოთ და გამოვიანგარიშოთ, მართლა შემცირდება თუ არა სამუშაო დრო ახალი კანონის შემოღებით, თუ დასასვენებელი დღეების რიცხვი კანონით დაწესებულზე მეტი არ იქნება, ე. ი. თუ დასვენება მუშებს მიეცემათ მხოლოდ სავალდებულო, კანონით დაწესებულ უქმე დღეებში, დანარჩენ ჩვეულებრივ უქმე დღეებში კი მეფაბრიკეები შესძლებენ აიძულონ მუშები იმუშაონ. შესძლებენ თუ არა ისინი ამას, — ეს, რა თქმა უნდა, საკითხია. ეს დამოკიდებულია მუშების წინააღმდეგობაზე. მაგრამ მეფაბრიკეები რომ შეეცდებიან სამუშაო დღის შემცირება უქმეების შემცირებით აინაზღაურონ, — ეს უეჭველია. უეჭველია ისიც, რომ კანონი მთელი ძალღონით ეხმარება კაპიტალისტების ამ კეთილშობილურ მისწრაფებას — შეავიწროონ მუშები. აი ვნახოთ, რა გამოვიდოდა ამ შემთხვევაში. რომ შევადაროთ სამუშაო დრო ძველი და ახალი (ე. ი. 1897 წ. 2 ივნისის კანონით) წესების მიხედვით, უნდა ავიღოთ სამუშაო საათების რიცხვი წელიწადში: მხოლოდ ასეთი გაანგარიშებით შეიძლება გავითვალისწინოთ როგორც ყველა უქმე დღე, ისე მუშაობის შემცირება უქმეების წინადღეებში. ჩვეულებრივ რამდენი სამუშაო საათი აქვს წელიწადში რუსეთის ფაბრიკა-ქარხნის მუშას ახლა, ე. ი. 1897 წ. 2 ივნისის კანონის ძალაში შესვლის წინ? თავისთავად იგულისხმება, რომ სავსებით ზუსტი ცნობები ამის შესახებ არ მოიპოვება, იმიტომ რომ შეუძლებელია გამოვითვალოთ თვითეული მუშის სამუშაო საათების რიცხვი.

უნდა ვისარგებლოთ იმ ცნობებით, რომლებიც აღებულია რამდენიმე ფაბრიკაზე: იგულისხმება, რომ დანარჩენ ფაბრიკებში საათების რიცხვი დაახლოებით იმდენივეა, როგორც გამოკვლეულ ფაბრიკებში. ავიღოთ მოსკოვის გუბერნიაში შეკრებილი ცნობები. წელიწადში სამუშაო დღეების რიცხვი ზუსტად ნაანგარიშევია 45 დიდ ფაბრიკაში. აღმოჩნდა, რომ ყველა ამ 45 ფაბრიკაში ერთად წელიწადში 12 010 სამუშაო დღეა, ე. ი. საშუალოდ ერთ ფაბრიკაზე წელიწადში 267 სამუშაო დღე მოდის *. კვირაში სამუშაო საათების რიცხვი საშუალოდ შეადგენს (რამდენიმე ასეულ ფაბრიკაზე აღებული ცნობების მიხედვით) — 74-ს, ე. ი. დღეში $12^1/_3$ საათს. მაშასადამე, წელიწადში სულ იყო $267 \times 12^1/_3 = 3\,293$ სამუშაო საათი, ან, თუ დავამრგვალებთ, 3 300 სამუშაო საათი. ქალაქ ოდესაში ჩვენ გვქონდა ცნობები 54 დიდ ფაბრიკაზე, რომელთა შესახებ ვიცით როგორც სამუშაო დღეების რიცხვი, ისე საათების რიცხვი წელიწადში. აღმოჩნდა, რომ წელიწადში სამუშაო საათების საშუალო რიცხვი ყველა ამ ფაბრიკაში უდრის 3 139 საათს, ე. ი. მნიშვნელოვნად ნაკლებს, ვიდრე მოსკოვის გუბერნიაში. ოდესაში უფრო მოკლეა სამუშაო დღე: ყველაზე ჩვეულებრივია — $10\frac{1}{2}$ საათი, ხოლო საშუალოდ ამ 54 ფაბრიკისათვის — 10,7 საათი. ამიტომ წლიურად სამუშაო საათების რიცხვი ნაკლებია, მიუხედავად უქმე დღეების ნაკლები რიცხვისა. ვნახოთ, რამდენი სამუშაო საათი გამოვა ახალი კანონით. უპირველეს ყოვლისა განვსაზღვროთ სამუშაო დღეების რიცხვი წელიწადში. ამისათვის 365-ს უნდა გამოვაკლოთ, ჯერ-ერთი, 66 უქმე; მეორე, ½ დღე შობის წინადღისა; მესამე, უნდა გამოვაკლოთ ის თავისუფალი დრო, რომელსაც მუშა იღებს უქმეების წინადღით მუშაობის

* თუ წელიწადში 267 სამუშაო დღეა, მაშასადამე, არასამუშაო, უქმე დღეა 98. ზევით ჩვენ ვთქვით, რომ უქმეების რიცხვი უდრის 89-ს, მგრამ ჩვენ ავიღეთ, ჯერ-ერთი, მარტო მექანიკური ფაბრიკები და, მეორე, არა ყველა ფაბრიკის უქმე დღეების საშუალო რიცხვი, არამედ უქმეების ის რიცხვი, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება.

1½ საათით ადრე დამთავრებით. უქმეთა წინადღეების რიცხვი იქნება 60 (და არა 66, იმიტომ რომ დაახლოებით ექვსი უქმე დღე შეერთებულია სხვა უქმე დღეებთან). მაშასადამე, უქმე დღეებში მუშაობის შემცირებით მივიღებთ 60×1½=90 სამუშაო საათს ანუ 8 სამუშაო დღეს. სულ უნდა გამოვაკლოთ 365 — 74½ უქმე დღე (66+½8+=74½). მივიღებთ 290 ½ სამუშაო დღეს, ანუ — 290½ × 11½=3 340 სამუშაო საათს. მაშასადამე, გამოდის, რომ თუ უქმეების რიცხვი კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო უქმეების რიცხვამდე შემცირდება, მ უ შ ა თ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ა ხ ა ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს შ ე მ ო ღ ე ბ ი თ ა რ ა თ უ გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს დ ე ბ ა, ა რ ა მ ე დ გ ა უ ა რ ე ს დ ე ბ ა კ ი დ ე ც: საერთოდ და მთლიანად მათი სამუშაო დრო წელიწადში წინანდელი დარჩება ანდა გ ა დ ი დ დ ე ბ ა კ ი დ ე ც! რა თქმა უნდა, ეს ანგარიში მხოლოდ დაახლოებითია: სრული სიზუსტით ამის გამოანგარიშება შეუძლებელია. მაგრამ ეს ანგარიში დამყარებულია სავსებით ვარგის ცნობებზე და ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მზაკვრული ხერხი იხმარა მთავრობამ მუშათა შესავიწროებლად, ჩვეულებრივი უქმეების რიცხვთან შედარებით სავალდებულო უქმეების რიცხვი რომ შეამცირა. ეს ანგარიში ნათლად გვიჩვენებს, რომ თუ მუშებმა მტკიცედ არ დაუჭირეს მხარი ერთმანეთს და შეერთებული ძალით არ გაუმკლავდნენ მეფაბრიკეებს — მათი მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს ახალი კანონის შემოღებით! ამასთან მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მთელი ეს ანგარიში ხომ მხოლოდ დ ღ ი ს ი თ მუშაობას ეხება, სახელდობრ ს ა გ ა ნ ა კ ვ ე თ ო მუშაობას. ახლა ზედმეტ საათებში მუშაობა? მის შესახებ ხომ კანონს არავითარი შეზღუდვა არ დაუწესებია, და არც ვიცით, შემოიღებენ თუ არა რაიმე შეზღუდვას ბატონი მინისტრები იმ წესებში, რომელთა გამოცემა მათ აქვთ «მინდობილი». ზედმეტ საათებში მუშაობის ეს შეუზღუდაობა სწორედ ის მთავარი მიზეზია, რომელიც გვაეჭვებს — გააუმჯობესებს თუ არა ახალი კანონი მუშათა მდგო-

მარეობას? თუ ნორმალური (საგანაკვეთო) სამუშაო დღის შემცირებისას რუსი მუშების უმრავლესობის ხელფასი ისევე მეტისმეტად დაბალი დარჩება, როგორიც ახლა არის, მაშინ გაჭირვების გამო მუშა იძულებული იქნება დათანხმდეს ზედმეტ საათებში მუშაობას, და მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. მუშისათვის საჭიროა, რომ ის მუშაობდეს არა უმეტეს 8 საათისა დღე-ღამეში და ჰქონდეს დრო დასასვენებლად, თავის განსავითარებლად, თავისი უფლებების გამოსაყენებლად, როგორც ადამიანს, მეოჯახეს და როგორც მოქალაქეს. მუშისათვის საჭიროა, რომ ის იღებდეს არა ლატაკურ ხელფასს, არამედ საკმარისს იმისათვის, რომ ადამიანურად იცხოვროს, თვითონ მუშა სარგებლობდეს იმ გაუმჯობესებებით, რომელნიც მუშაობაში შემოდის, და მთელ მოგებას თავის ექსპლუატატორებს არ აძლევდეს. ხოლო თუ მუშა იმავე ხელფასზე იმდენსავე საათს იმუშავებს, რამდენსაც წინათ მუშაობდა, მაშინ განა სულ ერთი არ არის მისთვის, რა სახელი დაერქმევა მის უზომო მუშაობას — საგანაკვეთო თუ ზედმეტი საათებისა? მაშინ კანონი სამუშაო დღის შემცირების შესახებ მკვდარი დარჩება, ფარატინა ქაღალდად გადაიქცევა. მაშინ მეფაბრიკეებს ახალი კანონი ოდნავაც არ შეეხება, მათ არაფერი აღარ აიძულებს დაუთმონ მუშა ხალხს. და ფინანსთა სამინისტროს მოხელენიც, კაპიტალისტების საამებლად, ეტყობა გადაკვრით უკვე მიუთითებენ ამაზე: «ვესტნიკ ფინანსოვ»-ის იმავე სტატიაში ისინი შემდეგნაირად ამშვიდებენ ბატონ მეფაბრიკეებს: «ახალი კანონი, ჩვეულებრივ სამუშაოებზე დაქირავების ხელშეკრულების თავისუფლებას რომ ზღუდავს, ამით მეფაბრიკეს შესაძლებლობას როდი უსპობს თავის საწარმოში მუშაობა აწარმოოს როდესაც უნდა დღისა და ღამის განმავლობაში, და საჭიროების შემთხვევაში» (დიახ! დიახ! ჩვენი საცოდავი, დაჩაგრული მეფაბრიკეები ხომ ასე ხშირად «საჭიროებენ» რუსი მუშების უსასყიდლო შრომას!) ...«უქმე დღეებშიც, რის-

თვისაც მუშებთან სდებენ განსაკუთრებულ შეთანხმებას (ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ)».

ხომ ხედავთ, რა გულმოდგინებას იჩენენ ეს ფულის ქისის ლაქიები! თქვენ დიდად არ შეწუხდეთ, ბატონო მეფაბრიკეებო: თქვენ შეგიძლიათ «მუშაობა აწარმოოთ როდესაც გსურთ დღისა და ღამის განმავლობაში», ოღონდ მაშინ იმ მუშაობას, რომელიც წინათ საგანაკვეთოდ ითვლებოდა, ზ ე დ მ ე ტ ს ა ა თ ე ბ შ ი მ უ შ ა ო ბ ა უ ნ დ ა დ ა ე რ ქ ვ ა ს. მ ხ ო ლ ო დ ს ა მ უ შ ა ო თ ა ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა შ ე ს ც ვ ა ლ ე თ, დ ა მ ე ტ ი ა რ ა ფ ე რ ი ო!

ამ განცხადებაში ყველაზე უფრო საკვირველია მოხელეთა უტიფრობა; ისინი წინდაწინვე დარწმუნებული არიან, რომ ზედმეტ საათებში მუშაობის არავითარი შეზღუდვა არ იქნება (თუ ზედმეტ საათებში მუშაობა შეიზღუდა, მაშინ მეფაბრიკეს არ შეუძლია მუშაობა აწარმოოს როდესაც მოეპრიანება დღისა და ღამის განმავლობაში!). ისინი წინდაწინვე დარწმუნებული არიან, რომ მუშებამდე ვერ მიაღწევს მათი ცინიკური და აშკარა რჩევა-დარიგება მეფაბრიკეებისადმი — ნუ გერიდებათო! ამ მხრივ ფინანსთა სამინისტროს მოხელეებმაც, მგონი, თავი გამოიჩინეს! მუშებისთვის მეტად საგულისხმო იქნება გაიგონ, რ ო გ ო რ ესაუბრებიან მოხელეები მეფაბრიკეებს და რ ა ს ურჩევენ მათ. როცა ამას გაიგებენ, მუშები მიხვდებიან, რომ ახალი კანონის საფარველქვეშ მათ წინააღმდეგ გამოდიან ძველი მტრები, რომელნიც წინანდებურადვე მოწადინებული არიან დაიმონონ მუშა უაღრესად «კ ა ნ ო ნ ი ე რ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე».

X

რა მნიშვნელობა აქვს ახალ კანონს?

ჩვენ ახლა დაწვრილებით გავეცანით ახალ კანონს. ისღა დაგვრჩენია, რომ განვიხილოთ, თ უ რ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ქვს რუსეთის მუშებისა და რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის ამ კანონს.

ახალი საფაბრიკო კანონის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის, ერთის მხრივ, მთავრობის იძულებითი დათმობაა, რომ ის შეგნებულმა და შეერთებულმა მუშებმა ძალით გამოჰგლიჯეს ხელიდან პოლიციურ მთავრობას. ამ კანონის გამოცემა გვიჩვენებს რუსეთის მუშათა მოძრაობის წარმატებას, გვიჩვენებს იმას, თუ რა უდიდეს ძალას შეიცავს მუშათა მასების შეგნებული და მტკიცე მოთხოვნა. არავითარმა დევნამ, არც მასობრივმა დაპატიმრებამა და გადასახლებამ, არც გრანდიოზულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, არც მუშების ერთმანეთზე წასისიანებამ — არაფერმა არ გასჭრა. მთავრობამ მთელი თავისი საშუალებანი და ძალები აამოძრავა. იგი თავს დაატყდა პეტერბურგის მუშებს მთელი იმ ვეებერთელა ძალაუფლების სიმძიმით, რომელიც მას მოეპოვება. ის გაუგონარი სისასტიკით სდევნიდა და უტევდა მუშებს სრულიად გაუსამართლებლად, ცდილობდა რადაც უნდა დასჯდომოდა მოესპო მუშებში პროტესტის, ბრძოლის სულისკვეთება, ცდილობდა ჩაეხშო ახლად დაწყებული მუშათა სოციალისტური მოძრაობა მეფაბრიკეებისა და მთავრობის წინააღმდეგ. არაფერმა არ გასჭრა, და მთავრობა ძალაუნებურად დარწმუნდა, რომ ცალკეული მუშების ვერავითარი დევნა ვერ აღმოფხვრის მუშათა მოძრაობას და რომ ძალაუნებურად დათმობაზე უნდა წასულიყო. შეუზღუდველი მთავრობა, რომელიც ყოვლისშემძლედ და ხალხისაგან დამოუკიდებლად ითვლება, იძულებული გახდა დაეთმო პეტერბურგის რამდენიმე ათეული ათასი მუშის მოთხოვნებისათვის. ჩვენ ვნახეთ, რა უმნიშვნელო, რა ორაზროვანია ეს დათმობანი. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მუშათა მოძრაობა კარგა ხანია უკვე გასცდა ს.-პეტერბურგის ფარგლებს; იგი უფრო და უფრო ფართოდ ვითარდება, უფრო და უფრო ღრმად ედება სამრეწველო მუშების მასებს მთელ ჩვენს ქვეყანაში, და როდესაც მთელი ეს მასები, ერთი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ერთად წამოაყენებენ

თავიანთ მოთხოვნებს, — მაშინ მთავრობა ასეთი უმნიშვნელო დათმობით იოლად ფონს ვერ გავა!

მეორე მხრივ, ახალი კანონის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის აუცილებლად და გარდუვალად ახალ ბიძგს აძლევს რუსეთის მუშათა მოძრაობას. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ცდილობს კანონი ყველგან დასაძვრენი ხვრელი დაუტოვოს მეფაბრიკეებს, ცდილობს გაურკვეველი დასტოვოს უმნიშვნელოვანესი საკითხები. ბრძოლა მეფაბრიკებსა და მუშებს შორის ამ კანონის გამოყენების გულისათვის ყველგან აღიძვრება; ეს ბრძოლა გაცილებით უფრო ფართო რაიონს მოედება, ვინაიდან კანონი მთელ რუსეთზე ვრცელდება. და მუშები შესძლებენ ეს ბრძოლა შეგნებულად და მტკიცედ აწარმოონ, შესძლებენ დაიცვან თავიანთი მოთხოვნები, შესძლებენ თავიდან აიცილონ ის მახეები, რომლებსაც უგებენ მათ გაფიცვების საწინააღმდეგო ჩვენი პოლიციური კანონები. ახალი საფაბრიკო წესების შემოღება, მთელი რუსეთის ფაბრიკების უდიდეს უმრავლესობაში ჩვეულებრივი, საგანაკვეთო დღის ცვლილება უდიდეს სარგებლობას მოიტანს: ის გამოაფხიზლებს მუშათა ყველაზე ჩამორჩენილ ფენებს; ის ყველგან გამოაღვიძებს უაღრესად ცხოველ ინტერესს საფაბრიკო ყოფა-ცხოვრების საკითხებისა და წესებისადმი; ის მუშებისათვის გადაიქცევა მშვენიერ, მოხერხებულ, კანონიერ საბაბად წამოაყენონ თავიანთი მოთხოვნები, დაიცვან კანონის თავიანთი გაგება, დაიცვან ძველი ჩვეულებანი, როცა ისინი უფრო ხელსაყრელია მუშებისათვის (მაგ., დაიცვან ჩვეულებრივი უქმეები, დაიცვან მუშაობის დამთავრება შაბათობით არა 1½ საათით, არამედ 2 საათით და მეტით ადრე), მოითხოვონ უფრო ხელსაყრელი პირობები ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ ახალ შეთანხმებათა დროს, მოითხოვონ უფრო მაღალი ხელფასი, რათა სამუშაო დღის შემცირებამ ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს მუშებს მათთვის რაიმე ზარალის მიუყენებლად.

დამატება

I

წიგნაკი ახალი საფაბრიკო კანონის (1897 წ. 2 ივნისის კანონი) შესახებ უკვე დაწერილი იყო, როცა ოქტომბრის დამდეგს გამოქვეყნდა ამ კანონის გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს წ ე ს ე ბ ი, დამტკიცებული ფინანსთა სამინისტროს მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით 1897 წლის 20 სექტემბერს. თუ რა უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ წესებს მთელი კანონისათვის, ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ წინათ. ამჯერად სამინისტრომ სასწრაფოდ გამოსცა წესები ახალი კანონის შემოღებამდე, იმიტომ რომ წესებში (როგორც ახლავე დავინახავთ) აღნიშნულია ის შემთხვევები, როცა ნებადართულია ახალი კანონის მოთხოვნების გვერდის ახვევა, ე. ი. როცა მეფაბრიკეებს ნება ეძლევათ «მუშაობა აწარმოონ» კანონით განსაზღვრული დროის ზევით. ეს წესები რომ ძალიან საჭირო არ იყოს მეფაბრიკეებისათვის, — მუშებს, რა თქმა უნდა, კიდევ დიდხანს მოუხდებოდათ მათი გამოცემის ლოდინი. «წესების» შემდეგ მალე გამოქვეყნდა აგრეთვე «ინსტრუქცია საფაბრიკო ინსპექციის მოხელეებისათვის» 1897 წ. 2 ივნისის კანონის გამოყენების შესახებ ვითომ იმისათვის, რომ მხოლოდ საფაბრიკო ინსპექტორებს გ ა ნ უ მ ა რ ტ ო ნ კანონის გამოყენების წესი; ეს ინსტრუქცია აკანონებს მოხელეთა სრულ თვითნებობას და მთლიანად მ უ შ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ არის მიმართული, მეფაბრიკეებს კი საშუალებას აძლევს ყოველნაირად აუარონ გვერდი კანონს. იმპერატორის მთავრობას ძალიან უყვარს კარგი სიტყვები ჩასწეროს კანონებ-

ში, ხოლო შემდეგ ნება მისცეს გვერდი აუარონ ამ კანონებს, ინსტრუქციებით შესცვალოს იგი. წესების დაწვრილებით განხილვისას ჩვენ დავინახავთ, რომ ახალი ინსტრუქცია სწორედ ასეთია. აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ ეს «ინსტრუქცია» მნიშვნელოვან ნაწილში სიტყვასიტყვით გადმოწერილია «ვესტნიკ ფინანსოვ»-ის იმ სტატიიდან, რომელზედაც არა ერთხელ მივუთითეთ ჩვენს წიგნაკში ახალი კანონის შესახებ. მაგ., ჩვენ იქ აღვნიშნეთ, თუ როგორ უკარნახა «ვესტნიკ ფინანსოვ»-მა ერთი ოინბაზობა მეფაბრიკეებს: სახელდობრ, «ვესტნიკ ფინანსოვ»-მა განმარტა, რომ ახალი კანონი არ უდგება იმ შემთხვევებს, როცა მუშასა და მეფაბრიკეს შორის დადებულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი სამუშაო დროის შესახებ, რადგანაც მუშა ამ შემთხვევაში ვითომ «შეკვეთის მიმღები პირია და არა დაქირავებული მუშა». ამ საშარო განმარტებას პირწმინდად იმეორებს «ინსტრუქცია». წესები შესდგება 22 მუხლისაგან, რომელთაგან ბევრი 1897 წ. 2 ივნისის კანონის მუხლების პირდაპირი განმეორებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესები ეხება მხოლოდ იმ მეფაბრიკეებს, რომელნიც «ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში იმყოფებიან». წესები არ ეხება არც სამთამადნო ქარხნებს, არც რკინიგზის სახელოსნოებს, არც სახელმწიფო ქარხნებს. ეს წესები ზუსტად უნდა გავარჩიოთ თვით კანონისაგან: წესები გამოცემულია მხოლოდ კანონის განსავითარებლად, და მათ გამომცემელ მინისტრებს შეუძლიათ შეავსონ ისინი, შესცვალონ, ახალი გამოსცენ. წესები შემდეგს ხუთ საკითხს ეხება: 1) შესვენებებს; 2) საკვირაუქმო დასვენებას; 3) ახალი კანონიდან გადახვევას; 4) ცვლებს, და 5) ზედმეტ საათებში მუშაობას. განვიხილოთ ეს წესები დაწვრილებით თვითეული საკითხის შესახებ, და მათთან დაკავშირებით აღვნიშნოთ, ამ წესების გამოყენების როგორ რჩევას იძლევა ფინანსთა სამინისტრო თავის ინსტრუქციაში.

II

შესვენებათა შესახებ ასეთი წესებია დადგენილი: ჯერ-ერთი, შესვენება არ შედის სამუშაო საათების რიცხვში, მუშა თავისუფალია შესვენების განმავლობაში; შესვენება აღნიშნული უნდა იყოს შინაგანრიგების წესებში; მეორე, შესვენება აუცილებლად დაწესებულ უნდა იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სამუშაო დრო 10 საათზე მეტია დღე-ღამეში და რომ შესვენება უნდა იყოს არანაკლებ ერთი საათისა. ეს წესი სულაც არ აუმჯობესებს მუშათა მდგომარეობას. სწორედ პირიქით. ერთი საათის შესვენება ძალიან ცოტაა: მეტწილ ფაბრიკებში შემოღებულია 1½ საათი შესვენება სასადილოდ და ხანდახან კიდევ ნახევარი საათი შესვენება სასაუზმოდ. მინისტრები ეცადნენ ყველაზე უმცირესი ვადა აეღოთ! ერთ საათში მუშა ხშირად ვერც კი მოასწრებს შინ მისვლას და სადილობას.

ცხადია, მუშები ასეთი ხანმოკლე შესვენების შემოღების ნებას არ მისცემენ და მეტს მოითხოვენ. მეორე შენიშვნა შესვენების სავალდებულო ხასიათის შესახებ აგრეთვე შევიწროებას უქადის მუშებს: მინისტრთა წესების მიხედვით შესვენება ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა მხოლოდ მაშინ, როცა სამუშაო დღე 10 საათზე მეტია! მაშასადამე, როცა სამუშაო დღე 10 საათია, მეფაბრიკეს უფლება აქვს შესვენება არ მისცეს მუშებს! აქაც თვითონ მუშებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მეფაბრიკეებმა ვერ შესძლონ და ვერ გაბედონ ამგვარი უფლებით ისარგებლონ. მუშებს შეუძლიათ არ დათანხმდნენ ასეთ წესებზე (როცა ეს წესები შინაგანრიგში შეაქვთ) და უფრო ხშირად მოითხოვონ შესვენება. მინისტრებს ასეთი შევიწროებაც კი ეცოტავათ. ამ წესის «შენიშვნაში» კიდევ ნათქვამია, რომ «მნიშვნელოვანი დაბრკოლების დროს დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა ამ მოთხოვნიდან გადახვევა», ე. ი. დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა, რომ ბატონმა მეფაბრიკეებმა სულაც არ მისცენ მუშებს შესვენება! მინისტრები კი უშვებენ ამას, მაგრამ მუშებმა საეჭვოა დ ა უ შ ვ ა ნ. გარდა ამისა, მინისტრები უ შ ვ ე ბ ე ნ გადახვე-

ვას მაშინაც, როცა შესვენების მოთხოვნა მუშებისთვის სამძიმოდ იქნება აღიარებული. უჰ, რა მზრუნველნი არიან ბატონი მინისტრები! იმაზე, რომ მუშებისთვის «სამძიმო» იქნება მუშაობის შეწყვეტა, ჩვენს მინისტრებს უფიქრიათ, ხოლო იმაზე, რომ მუშებისთვის «სამძიმოა» ერთ საათში სადილობის მოსწრება, ან კიდევ ის, რომ უფრო «სამძიმოა» დღეში შეუსვენებლად 10 საათის მუშაობა, — ამაზე ბატონ მინისტრებს კრინტიც არ დაუძრავთ! მესამე წესი შესვენების შესახებ მოითხოვს, რომ მუშას შესაძლებლობა მიეცეს მიიღოს საჭმელი ყოველ 6 საათში მაინც. მაგრამ შესვენებას ყოველ 6 საათში წესები არ მოითხოვს; რაღა აზრი აქვს ასეთ წესს? როგორ შეუძლია მუშას საჭმელი მიიღოს თუ შესვენება არა აქვს? ბატონ მინისტრებს ამაზე თავი არ შეუწუხებიათ. თუ შესვენება არ არის (ნათქვამია წესებში), მუშას «უნდა მიეცეს საჭმლის მიღების შესაძლებლობა სამუშაო დროის განმავლობაში, ამასთან შინაგანრიგის წესებში აღნიშნული უნდა იყოს საჭმლის მიღების ადგილი». მთელი ეს წესი ისეთი სისულელეა, რომ განცვიფრებას იწვევს! ორში ერთი: ან ეს «საჭმლის მიღების ადგილი» აღნიშნული იქნება ,არა იქ, სადაც მუშა მუშაობს; მაშინ შესვენება აუცილებელია. ან ეს ადგილი აღნიშნული იქნება იქვე, სადაც მუშა მუშაობს; მაშინ რაღა აზრი აქვს ადგილის აღნიშვნას? მუშას მუშაობის შეწყვეტის უფლება არა აქვს, — როგორღა შეუძლია მას, მუშაობის შეუწყვეტლად, მიიღოს საჭმელი? ბატონი მინისტრები მუშას ისე უყურებენ, როგორც მანქანას: ხომ შეიძლება ზეთით გამოჰკვებო მანქანა მისი მუშაობის დროს, მაშ რატომ არ შეიძლება (ფიქრობენ კაპიტალის ჩვენი «მზრუნველი» დამქაშები, მინისტრები) მუშამაც მუშაობის დროს ჩაიჩაროს ხოლმე საჭმელი პირში? მუშებს ის იმედიღა დარჩენიათ, რომ ასეთი სულელური წესი მხოლოდ რუსეთის მოხელეთა კანცელარიებში შეეძლოთ გამოეგონათ, სინამდვილეში კი იგი გამოყენებული არ იქნება. მუშები მოითხოვენ, რომ «საჭმლის მისაღებ ადგილად» აღნიშნულ იქნას

არაისადგილი, სადაც ისინი მუშაობენ: მუშები მოითხოვენ შესვენებას ყოველ 6 საათში. აი ეს არის ყველა წესი შესვენებათა შესახებ. მინისტრებმა ისე განავითარეს კანონი, რომ მას შეუძლია მხოლოდ გააუარესოს მუშების მდგომარეობა, თუ მუშებმა თავიანთი თავი თვითონვე არ დაიცვეს და შეერთებული ძალით არ მოითხოვეს თავიანთი და არა მინისტრთა წესების შემოღება.

III

საკვირაუქმო დასვენების შესახებ დადგენილია მხოლოდ ერთი პატარა წესი, სახელდობრ ის, რომ კვირაუქმე დღეებში მუშები მუშაობისაგან თავისუფალი უნდა იყვნენ არანაკლებ 24 საათისა ზედიზედ. ეს უმცირესი რამეა, რის დადგენაც შეიძლებოდა საკვირაუქმო დასვენების კანონის «განსავითარებლად». ნაკლების დანიშვნა შეუძლებელი იყო. ხოლო იმაზე, რომ მუშებისათვის მეტი დაენიშნათ (მაგ., 36 საათი, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაშია მიღებული), მინისტრებს არც კი უფიქრიათ. არაქრისტიანთა შესახებ წესებში არაფერი არ არის ნათქვამი.

IV

კანონის გადახვევის შესახებ ბევრი, ძალიან ბევრი და მეტად დაწვრილებითი წესია დადგენილი. მოვაგონებთ მუშებს, რომ კანონმა მინისტრებს უფლება მიანიჭა დაუშვან წესებში კანონის გადახვევა, გაადიდონ კანონის მოთხოვნები (ე. ი. მეტი მოსთხოვონ მეფაბრიკეებს მუშებისათვის) და შეამცირონ კანონის მოთხოვნები (ე. ი. ნაკლები მოსთხოვონ მეფაბრიკეებს მუშებისათვის). ვნახოთ, როგორ მოიქცნენ მინისტრები. პირველი წესი. კანონის გადახვევა დასაშვებია მაშინ, როცა «მუშები ასრულებენ უწყვეტ სამუშაოებს, ე. ი. ისეთს, რომელთა თვითნებურად შეწყვეტა არ შეიძლება ხელსაწყოების, მასალების თუ ნაწარმის გაუფუჭებლად». ასეთ

შემთხვევებში ბატონ მეფაბრიკეებს შეუძლიათ «მუშაობა აწარმოონ» კანონით განსაზღვრული დროის ზევითაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში წესი მოითხოვს, ჯერ-ერთი, რომ სამუშაო საათების რიცხვი ორი თანმიმდევარი დღე-ღამის განმავლობაში არ აღემატებოდეს მუშისათვის 24 საათს (ხოლო ცვლათა დარღვევისას — ოცდაათ საათს). რატომ არის ნათქვამი: 24 საათი ორ დღე-ღამეში და არა 12 საათი დღე-ღამეში, — ამას დავინახავთ პარაგრაფში ცვლათა შესახებ. მეორე, წესი მოითხოვს, რომ უწყვეტი მუშაობის დროს თვითეული მუშა განთავისუფლდეს მუშაობისაგან თვეში ოთხი დღე-ღამით, თუ მისი სამუშაო დღე 8 საათს აღემატება. მაშასადამე, უ წ ყ ვ ე ტ წარმოებებში მომუშავე მუშებისათვის დასასვენებელი დღეების რიცხვი ძ ლ ი ე რ შ ე მ ც ი რ ე ბ უ ლ ი ა: თვეში 4, წელიწადში 48, მაშინ როცა თ ვ ი თ კანონი (მიუხედავად უქმეების რიცხვის შეკვეცისა) სტოვებს 66 სავალდებულო უქმე დღეს წელიწადში. რა გონივრული საფუძველი ჰქონდათ მინისტრებს იმისათვის, რომ შეემცირებინათ უქმეების ეს რიცხვი? სრულიად არავითარი; გ ა ნ უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ო ბ ა სულ ერთია მაინც ირღვევა თვეში 4 უქმის დროსაც, ე. ი. მეფაბრიკეებმა მაინც უნდა დაიქირაონ სხვა მუშები უქმეების განმავლობაში (თუ წარმოება მ ა რ თ ლ ა ც უწყვეტია, ე. ი. არ შეიძლება მისი შ ე ჩ ე რ ე ბ ა). მაშასადამე, ბატონმა მინისტრებმა კიდევ შეკვეცეს მუშათა უქმეები მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რომ რაც შეიძლება ნაკლებად «შეაწუხონ» მეფაბრიკეები, რომ შეამცირონ ს ხ ვ ა მუშების დაქირავების შემთხვევები! უფრო მეტიც, «ინსტრუქცია» საფაბრიკო ინსპექტორებსაც კი აძლევს ნებას დაამტკიცოს შინაგანრიგის ისეთი წესები, სადაც მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ნ ა კ ლ ე ბ ი დ ა ს ვ ე ნ ე ბ ა ა დანიშნული! საფაბრიკო ინსპექტორმა მხოლოდ უნდა მოახსენოს ეს ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტს. ეს ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რატომ უყვარს ჩვენს მთავრობას არაფრისმთქმელი კანონები და დაწვრილებითი წესები

და ინსტრუქციები: არასასიამოვნო წესი რომ გადააკეთო, საკმარისია სთხოვო ეს... უცოდველ შემოსავალთა დეპარტამენტს!! სწორედ ასევე საფაბრიკო ინსპექტორს შეუძლია (ინსტრუქციის თანახმად!) ნება დართოს უწყვეტ სამუშაოებს მიაკუთვნონ ისეთებიც, რომელნიც ინსტრუქციისადმი თანდართულ სიაში არ არის აღნიშნული: საკმარისია მოახსენოს დეპარტამენტს... ამ წესის შენიშვნაში ნათქვამია, რომ უწყვეტი სამუშაოები ცალკე აღნიშნული უნდა იყოს შინაგანრიგის წესებში. «ამ კანონის გადახვევა დასაშვებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ნამდვილად აუცილებელია» (ასეა ნათქვამი მინისტრთა წესში). მერე ვინ უნდა ადევნოს თვალყური, ნამდვილად აუცილებელია თუ არა? მუშებს გარდა არავინ: მათ არ უნდა შეატანინონ შინაგანრიგში შენიშვნები უწყვეტ სამუშაოთა შესახებ, თუ ნამდვილი საჭიროება არ მოითხოვს ამას. მეორე წესი. კანონის გადახვევა დასაშვებია მაშინ, როცა მუშები ასრულებენ დამხმარე სამუშაოებს სხვადასხვა წარმოებაში (მიმდინარე რემონტი, ქვაბების, ძრავების და ამძრავების მოვლა, გათბობა, განათება, წყლის მიწოდება, სადარაჯო და სახანძრო სამსახური და სხვ.). ასეთი გადახვევებიც ცალკე აღნიშნული უნდა იყოს შინაგანრიგში. ამ მუშებისათვის დასასვენებელი დღეების შესახებ წესებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. მუშებს კვლავ ისღა დარჩენიათ, რომ თვითონ ადევნონ თვალყური, რომ დასვენება ჰქონდეთ, ე. ი. არ დაეთანხმონ შინაგანრიგის ისეთ წესებს, რომლებშიც დანიშნული არ იქნება დასასვენებელი დღეები ასეთი მუშებისათვის. მესამე წესი. სამუშაო დღის და საკვირაო-უქმო დასვენების წესებიდან და შინაგანრიგის წესებიდან გადახვევა დასაშვებია კიდევ ორ შემთხვევაში: პირველი, ისეთ შემთხვევებში, როცა უეცრად ფუჭდება მექანიზმები, იარაღები და სხვ., რაც იწვევს მთელი ფაბრიკის ან მისი რომელიმე განყოფილების მუშაობის შეწყვეტას. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი რემონტი დასა-

შვებია წესების გარეშეც. მეორე, წესების გარეშე ნებადართულია «დროებითი სამუშაოების» შესრულება «საწარმოს რომელიმე განყოფილებაში იმ შემთხვევებში, როცა ხანძრის, გატეხის და სხვა გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო, საწარმოს ამა თუ იმ განყოფილების მუშაობა რამდენიმე ხნით შემცირებული ან სრულიად შეჩერებული იყო და როცა ეს აუცილებელია საწარმოს სხვა განყოფილებათა სრული დატვირთვით მუშაობისათვის». (ამ შემთხვევაში მეფაბრიკემ იმ დღესვე უნდა აცნობოს საფაბრიკო ინსპექტორს, რომელიც ასეთ სამუშაოთა ნებართვას იძლევა.) ეს უკანასკნელი წესი გვიჩვენებს მინისტრების უდიდეს «მზრუნველობას» იმისათვის, რომ მეფაბრიკეებმა ზედმეტი მანეთი არ დახარჯონ. ფაბრიკის ერთ განყოფილებაში ხანძარი იყო. მუშაობა შეჩერდა. შეკეთების შემდეგ მეფაბრიკე ცდილობს დაკარგული დრო აინაზღაუროს. ამიტომ მინისტრი მას ნებას აძლევს რამდენიც უნდა იმდენი ზედმეტი შრომა გამოსწუროს მუშებს, ამუშაოს ისინი თუნდ 18 საათს დღე-ღამეში. რა შუაში არიან აქ მუშები? როდესაც მეფაბრიკე ზედმეტ მოგებას იღებს, განა უნაწილებს მუშებს? მაშინ ის განა ამცირებს სამუშაო დღეს? მაშ რისთვის უნდა გაუდიდდეს მუშებს სამუშაო დღე, როცა მეფაბრიკეს ზარალი მოსდის? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მოგება შენ თვითონ წაიღო, ზარალი კი მუშებს დააკისრო. თუ საჭიროა დანაკარგის ანაზღაურება, რატომ არ უნდა დაიქირაოს სხვა მუშები? საკვირველია, რა «მზრუნველობას» იჩენენ რუსეთის მინისტრები ბატონ მეფაბრიკეთა ჯიბისათვის! მეოთხე წესი. ახალი კანონიდან გადახვევა შესაძლებელია აგრეთვე «სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში». (ეს რაღა შემთხვევებია კიდევ? უკვე იმდენი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემთხვევაა ჩამოთვლილი, რომ, მგონი, სხვა აღარ დარჩენილა?) ასეთ გადახვევებს ყოველი შემთხვევისათვის ცალკე სწყვეტენ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები. მაშასადამე, მეფაბრიკე ითხოვს, — მინისტრები ნებას დართავენ — და საქმეც გაჩარხულია. მუშებს არც

კი ეკითხებიან: განა გაგონილა, რომ «ბატონებმა» შავი ხალხის აზრი იკითხონ! დაბალი ხალხი კაპიტალისტებისათვის უნდა მუშაობდეს და არა იმაზე მსჯელობდეს, თუ რამ დააწყებინა მეფაბრიკეს მათხოვრობა: «განსაკუთრებულმა» შემთხვევამ თუ სრულიად ჩვეულებრივმა მისწრაფებამ მოგებისადმი. ასეთია მინისტრების წესები ახალი კანონის გადახვევის შესახებ. როგორც ვხედავთ, ყველა ეს წესი იმას გვეუბნება, თუ როგორ და როდის შეიძლება არ შეასრულო კანონი, როდის და როგორ შეიძლება შეამცირო ის, რასაც კანონი მოითხოვს მეფაბრიკეებისაგან მუშებისათვის. ხოლო იმაზე, რომ გაადიდონ კანონის მოთხოვნები მეფაბრიკის მიმართ მუშების სასარგებლოდ, მინისტრები ერთ სიტყვასაც არ სძრავენ. გაიხსენონ მუშებმა, რა იყო ნათქვამი წიგნაკში ახალი საფაბრიკო კანონის შესახებ იმ საკითხზე, თუ რისთვის ანიჭებს კანონი მინისტრებს ასეთ დიდ უფლებებს!

V

ცვლების შესახებ დადგენილია მხოლოდ ერთი პატარა წესი, რომელიც ნებას იძლევა ორ ცვლად 18 საათის მუშაობის დროს გადიდებულ იქნას სამუშაო საათების რიცხვი დღე-ღამეში 12-მდე, ისე კი, რომ საშუალოდ, ორ კვირაზე გაანგარიშებით, თვითეული მუშის სამუშაო დრო არ აღემატებოდეს 9 საათს დღე-ღამეში. ეს წესიც, მაშასადამე, სამუშაო დღის გადიდების ნებას იძლევა. უკვე რამდენი წესია სამუშაო დღის გადიდების შესახებ, შემცირებაზე კი ერთიც არ ყოფილა — და არც იქნება! ამ წესის მიხედვით მუშები შეიძლება მთელი კვირა ამუშაო 12 საათს დღე-ღამეში, — «ინსტრუქცია» კი ისევ დასძენს, რომ საფაბრიკო ინსპექტორებს შეუძლიათ კანონის სხვა გადახვევის ნებაც დართონ, ოღონდ დირექტორს მოახსენონ... შემდეგ ცვლებსვე ეხება ის ზემომოყვანილი წესი, რომელიც უწყვეტი მუშაობის სამუშაო დროს განსაზღვრავს 24 საათით ორ დღე-ღამეში. ინსტრუქცია განმარტავს, რატომ არის ნათქვამი 24 საათი

ორ დღე-ღამეში და არა 12 საათი ერთ დღე-ღამეში. ეს იმისათვის არის ნათქვამი, რომ უცვლელად დარჩეს ზოგიერთ ფაბრიკაში მიღებული უმსგავსო წესი უწყვეტი მუშაობისა ორ ცვლად 8 საათის გამოშვებით: ასეთი ცვლებისას მუშა ერთ დღეს 16 საათს მუშაობს, მეორე დღეს 8 საათს, ამიტომ მას არასოდეს არა აქვს არც წესიერი დასვენება და არც წესიერი ძილი. ამ ცვლებზე უფრო უმსგავს რამეს ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი; მაგრამ მინისტრებმა არათუ გააკეთეს რამე ამ უმსგავსობათა შესაზღუდავად, არამედ თავზედურადაც კი განაცხადეს «ინსტრუქციაში», რომ ასეთი ცვლები ბევრ შემთხვევაში თვით მუშებისთვის არის უმჯობესიო!! აი როგორ ზრუნავენ მინისტრები მუშების უმჯობეს პირობებზე!

VI

ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ წესებში მოცემულია, ერთი შეხედვით, ყველაზე ზუსტი განსაზღვრა. ზედმეტ საათებში მუშაობის შეზღუდვანი უმთავრესი რამეა არა მარტო მინისტრთა წესებში, არამედ მთელ ახალ კანონშიც. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზევით თვით კანონის სრულ გაურკვევლობაზე ამ საკითხის შესახებ, ფინანსთა სამინისტროს თავდაპირველ განზრახვაზე — დაეტოვებინა ზედმეტ საათებში მუშაობა რაიმე დამატებითი წესების გამოუცემლად. ახლა აღმოჩნდა, რომ მინისტრებმა მაინც შეზღუდეს ზედმეტ საათებში მუშაობა, შეზღუდეს სწორედ ისე, როგორც ამას ფიქრობდა ახალი კანონის შემდგენი კომისია, ე. ი. 120 საათით წელიწადში. მაგრამ სამაგიეროდ ფინანსთა მინისტრმა «ინსტრუქციაში» საფაბრიკო ინსპექტორების ჭკუისასწავლად გაიმეორა მუშების წინააღმეგ მიმართული ყველა ის ხრიკი და ფანდი, რომელნიც ჩვენ მოვიყვანეთ «ვესტნიკ ფინანსოვ»-იდან წიგნში ახალი კანონის შესახებ: «ინსტრუქცია», ვიმეორებთ, «ვესტნიკ ფინანსოვ»-იდან არის გადმოწერილი.

პირველი წესი ეხება ახალი კანონის იმ დებულებას, რომ-

ლის მიხედვითაც მეფაბრიკეს შეუძლია მუშასთან დადებულ ხელშეკრულებაში შეიტანოს პირობა წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით ზედმეტ საათებში აუცილებელი მუშაობის შესახებ. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამის გაურკვევლობაზე. ამავე დროს კი კანონის ამ მუხლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს: თუ ზედმეტ საათებში მუშაობის პირობა შეტანილია შინაგანრიგში, ზედმეტ საათებში მუშაობა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა მუშისათვის, და მ თ ე ლ ი კ ა ნ ო ნ ი ა მ ა ვ ე დ რ ო ს გ ა მ ო უ ყ ე ნ ე ბ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა. ახლა მინისტრთა წესებში ეს გამოთქმა ასეა განმარტებული: «წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით აუცილებლად» შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რომლებიც გამოწვეულია «მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითი და მასთან თვით წარმოების თვისებებზე დამოკიდებული გადახრებით მისი ნორმალური მსვლელობიდან». მაშასადამე, მაგ., ისეთი გადახრები, რომლებსაც იწვევს გაძლიერებული შეკვეთები, ამაში არ შედის (რადგანაც ეს გადახრები წარმოების თვისებებზე არ არის დამოკიდებული). არც ხანძრით, გატეხით და სხვ. გამოწვეული გადახრები შედის აქ, რადგანაც ისინიც დამოკიდებული არ არის თვით წარმოების თვისებებზე. ს ა ღ ი მ ო ს ა ზ რ ე ბ ი თ ეს წესი სწორედ ასე უნდა გაგვეგო. მაგრამ აქ მეფაბრიკეების დამხმარედ გამოდის «ინსტრუქცია». «ინსტრუქცია» ისე ბრწყინვალედ ავითარებს იმ შემთხვევებს, როცა ზედმეტ საათებში მუშაობა შეიძლება სავალდებულო გახდეს მუშებისათვის, დაქირავების პირობებში, ე. ი. შინაგანრიგის წესებში მისი შეტანით, — რომ ამ შემთხვევებს რ ა ც კ ი გ ი ნ დ ა თ ის შეგიძლიათ მიაკუთვნოთ. მართლაც, გაიხსენონ მუშებმა, როგორ ა ვ ი თ ა რ ე ბ დ ა კანონს «ვესტნიკ ფინანსოვ»-ის სტატია, და ახლა შეადარონ მას «ინსტრუქცია». «ინსტრუქცია» ჯერ ლაპარაკობს ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც «საჭიროა წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით», — შემდეგ შეუმჩნეველად აპარებს სხვა გამოთქმას: «აუცილებლად საჭირო სამუშაოები» (აი თურმე რა ყოფილა! მერე ვინ

სწყვეტს საჭიროებას?), — ქვევით კი ინსტრუქციას «აუცილებელი საჭიროების» პატარა მაგალითებიც მოჰყავს: თურმე ამას უდგება ის შემთხვევებიც, როცა მეფაბრიკეს «არ შეუძლია ან ეძნელება (ძველი ამბავია!) გაადიდოს მუშათა რიცხვი», როცა მუშაობა ძალიან საჩქაროდ მიმდინარეობს და ვადაზე შესასრულებელია (მაგ., სეზონური სამუშაოების დროს); როცა გაზეთი გამოშვებულ უნდა იქნას სტამბიდან ყოველდღე; როცა სამუშაოთა გათვალისწინება წინდაწინ არ შეიძლება და სხვ. ერთი სიტყვით, რაც მოგეპრიანება, იმას მოითხოვ. კაპიტალისტთა ურცხვმა დამქაშებმა, ფინანსთა სამინისტროში რომ სხედან, ისე გ ა ნ ა ვ ი თ ა რ ე ს კანონი, რომ მეფაბრიკეს უ ფ ლ ე ბ ა ა ქ ვ ს შინაგანრიგის წესებში შეიტანოს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ზ ე დ მ ე ტ ს ა მ უ შ ა ო თ ა მოთხოვნა. ხ ო ლ ო რ ა კ ი ა ს ე თ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ა შ ი ნ ა გ ა ნ რ ი გ ი ს წ ე ს ე ბ შ ი ა შ ე ტ ა ნ ი ლ ი, მ თ ე ლ ი კ ა ნ ო ნ ი ბ ა თ ი ლ დ ე ბ ა, დ ა ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ა დ რ ჩ ე ბ ა. მუშებმა არ უნდა დაუშვან ამ მოთხოვნების შინაგანრიგის წესებში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდება, არამედ გაუარესდება კიდეც. ამ მაგალითით მუშებს შეუძლიათ დაინახონ, როგორ უთანხმდებიან ერთმანეთს მეფაბრიკეები და მოხელეები იმაზე, თუ კვლავ როგორ დაიმონონ მუშები კანონიერ საფუძველზე. «ინსტრუქცია» აშკარად გვიჩვენებს ამ შეთანხმებას, ფინანსთა სამინისტროს ამ ლაქიობას კაპიტალისტთა ინტერესებისადმი.

მეორე წესი ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ ადგენს, რომ ზედმეტ საათებში სამუშაოთა რაოდენობა თვითეულ მუშაზე წელიწადში 120 საათს არ უნდა აღემატებოდეს, — ამასთან ამ რაოდენობაში შ ე ტ ა ნ ი ლ ი ა რ ა რ ი ს, ჯერ-ერთი, ის ზედმეტი საათების სამუშაოები, რომლებიც ხელშეკრულებაში აღნიშნულია, როგორც მუშისათვის სავალდებულო «წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით», ჩვენ კი ეს-ეს არის ვნახეთ, რომ მინისტრებმა ნება დართეს ამ გამოთქმას

მიუყენონ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შემთხვევები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს «წარმოების ტექნიკურ პირობებთან»; მეორე, შეტანილი არ არის ის ზედმეტი საათების სამუშაოები, რომლებიც სწარმოებს ხანძრის ან გატეხის და სხვ. შემთხვევის გამო, ანდა რომელიმე განყოფილებაში მუშაობის შეჩერების გამო დანაკლისის ასანაზღაურებლად.

ყველა ეს ერთად აღებული წესი ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ საოცრად გვაგონებს ცნობილ იგავ-არაკს იმის შესახებ, თუ როგორ ანაწილებდა ლომი ნანადირევს «თანასწორად» თანამონადირეთა შორის: ერთი ნაწილი მას მიაქვს უფლების ძალით; მეორე ნაწილი მიაქვს იმიტომ, რომ ის ნადირთა მეფეა; მესამე — იმიტომ, რომ ის ყველაზე ღონიერია; ხოლო მეოთხე ნაწილზე ვინც თათს გამოიშვერს, ის ცოცხალი ველარ წავაო. აი სავსებით ასე იმსჯელებენ ახლა ჩვენში მეფაბრიკეები ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ. ჯერ-ერთი, ისინი «უფლების ძალით» გამოსწურავენ მუშებს ზედმეტ საათებში მუშაობას, რომელიც «საჭიროა წარმოების ტექნიკური პირობების მიხედვით», ე. ი. ყოველგვარ მუშაობას, ოღონდ იგი შეტანილი იყოს შინაგანრიგის წესებში. მეორე, ისინი მუშებს გამოსწურავენ მუშაობას «განსაკუთრებულ შემთხვევებში», ე. ი. როდესაც უნდათ თავიანთი ზარალი მუშებს დააკისრონ. მესამე, ისინი მათ გამოსწურავენ კიდევ 120 საათს წელიწადში იმ საფუძველზე, რომ ისინი მდიდრები არიან, ხოლო მუშები — ღატაკნი. მეოთხე, «განსაკუთრებულ შემთხვევებში» ისინი საგანგებო შეღავათებს მიიღებენ მინისტრებისგან. ხოლო მერე, ყოველივე ამის შემდეგ რაც დარჩება 24 საათიდან დღე-ღამეში, — იმით მუშებს «თავისუფლად» შეუძლიათ ისარგებლონ, ოღონდ კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ სამართლიანი მთავრობა სულაც არ «ართმევს მათ უფლებას» დღე-ღამეში 24 საათიც იმუშაონ... მუშებისაგან ზედმეტი მუშაობის ეს გამოწურვა კ ა ნ ო ნ ი ე რ ა დ რომ ხდებოდეს, — ამისთვის დადგენილია, რომ მეფაბრიკეებმა განსაკუთრებული წ ი გ ნ ე ბ ი შემოიღონ ზედმეტ საათებში მუ-

შაობის ყველა ამ სახეობის შესახებ. ერთ წიგნში ჩასწერენ იმას, რასაც მუშებს წაჰგლეჯენ «უფლების ძალით»; მეორეში—იმას, რასაც წაჰგლეჯენ საგანგებო შემთხვევებში»; მესამეში — იმას, რასაც წაჰგლეჯენ «განსაკუთრებული შეთანხმების» მიხედვით (არა უმეტეს 120 საათისა წელიწადში); მეოთხეში — იმას, რასაც წაჰგლეჯენ «განსაკუთრებულ შემთხვევებში». მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად გამოვა მხოლოდ დაუსრულებელი გაჭიანურება და კანცელარიული მიწერ-მოწერა (როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე რუსეთის შეუზღუდველი მთავრობის ყველა რეფორმის შედეგად). ფაბრიკის ურიადნიკები მოვლენ ხოლმე ფაბრიკებში და «ზედამხედველობას გაუწევენ»... ამ წიგნებს (რომლებშიც ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს), ხოლო ამ სასარგებლო საქმის შემდეგ თავისუფალ დროს მოახსენებენ ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დირექტორს მეფაბრიკეთა ახალი დასაჩუქრების შესახებ, პოლიციის დეპარტამენტს კი — მუშათა გაფიცვების შესახებ. რა მოხერხებული ხალხია ეს ჩარჩები იმ ბაშიბუზუკებთან ერთად, რომელნიც ჩვენს მთავრობას შეადგენენ! ახლა ისინი ხელსაყრელ ფასში დაიქირავებენ საზღვარგარეთ წარგზავნილ წარმომადგენელსაც, რომელიც ყველა გზაჯვარედინზე მორთავს ყვირილს «ევროპის» წინაშე, აი მუშებისათვის რა მზრუნველი კანონები გვაქვსო.

VII

დასასრულ, საერთოდ გადავავლოთ თვალი მინისტრთა წესებს. გავიხსენოთ, რა წესების დადგენის უფლება მისცა ახალმა კანონმა ბატონ მინისტრებს? სამი თანრიგის წესები: 1) წესები კანონის განსამარტებლად; 2) წესები, რომელნიც მეფაბრიკეების მიმართ ახალი კანონის მოთხოვნებს ადიდებენ ან ამცირებენ; 3) წესები მუშებისათვის განსაკუთრებით მავნე წარმოებათა შესახებ. როგორ ისარგებლეს მინისტრებმა კანონით მინიჭებული უფლებით?

პირველი თანრიგის წესების შესახებ ისინი დაკმაყოფილდნენ სულ აუცილებლით, სულ მცირედით, ურომლისობაც აღარ შეიძლებოდა. ზედმეტ საათებში მუშაობა მათ დაუშვეს ძალიან დიდი და გაფართოებული მოცულობით, — 120 საათი წელიწადში, მასთან ინსტრუქციების საშუალებით იმდენად მრავალი გამონაკლისი შემოიღეს, რომ ისინი ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავენ წესებს. ისინი ეცადნენ და შეკვეცეს მუშების შესვენება, ცვლები კი მთელი მათი უმსგავსობით ძველებურად დასტოვეს, თუ კიდევაც არ გააუარესეს.

მეორე თანრიგის წესების შესახებ მინისტრებმა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გ ა ა კ ე თ ე ს, რომ მეფაბრიკეების მიმართ ახალი კანონის მოთხოვნები შეემცირებინათ, ე. ი. ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გ ა ა კ ე თ ე ს მ ე ფ ა ბ რ ი კ ე ე ბ ი ს ა თ ვ ი ს და ს რ უ ლ ი ა დ ა რ ა ფ ე რ ი ა რ გ ა უ კ ე თ ე ბ ი ა თ მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს: წესებში არ მოიპოვება არც ერთი მუხლი, რომელიც ადიდებდეს ახალი კანონის მოთხოვნებს მეფაბრიკეების მიმართ მუშების სასარგებლოდ.

მესამე თანრიგის წესების შესახებ (ე. ი. იმ მუშების სასარგებლოდ, რომლებიც იძულებული არიან იმუშაონ ყველაზე მავნე წარმოებებში) მინისტრებს სრულიად არაფერი გაუკეთებიათ, ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ ამაზე. მხოლოდ ინსტრუქციაში მოხსენებულია, რომ საფაბრიკო ინსპექტორებს შეუძლიათ დეპარტამენტს მოახსენონ განსაკუთრებით მავნე წარმოებათა შესახებ! «მოხსენება» კი საფაბრიკო ინსპექტორებს წინათაც შეეძლოთ რაზედაც გნებავთ. მხოლოდ რაღაც გაუგებარი მიზეზით საფაბრიკო ურიადნიკები აქამდე «მოახსენებდნენ» მუშათა გაფიცვებზე, დევნის ხერხებზე და არა განსაკუთრებით მავნე წარმოებებში მუშათა დაცვაზე.

აქედან მუშებს თვითონვე შეუძლიათ დაინახონ, რას უნდა მოელოდნენ პოლიციური მთავრობის მოხელეებისაგან. იმისათვის, რომ მოიპოვონ 8 საათის სამუშაო დღე და მიაღწიონ ზედმეტ საათებში მუშაობის სავსებით აკრძალვას, რუს მუშებს კიდევ დიდი და მედგარი ბრძოლა მოელით.

ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო

«რუსსკიე ვედომოსტის»[78] № 239-ში (30 აგვისტოს) მოთავსებულია ბ-ნ ნ. ლევიტსკის პატარა სტატია: «ხალხის ცხოვრების ზოგიერთი საკითხის შესახებ». «სოფლად ცხოვრებისა და ხალხთან მუდმივი ურთიერთობის დროს» ავტორი «დიდი ხანია წააწყდა» ხალხის ცხოვრების ზოგიერთ საკითხს, რომელთა გადაჭრა სათანადო «ღონისძიებათა» მიღებით «გადაუდებელ საჭიროებას», «აუცილებელ მოთხოვნილებას» წარმოადგენს. ავტორი გამოსთქვამს რწმენას, რომ მის «მოკლე შენიშვნებს» ასეთ მნიშვნელოვან საგანზე «გამოეხმაურებიან ხალხის საჭიროებებით დაინტერესებული პირნი» და სურვილს გამოსთქვამს გამოიწვიოს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მის მიერ წამოყენებული საკითხების შესახებ.

ის «მაღალი სტილი», რომლითაც დაწერილია ბ-ნ ნ. ლევიტსკის პატარა სტატია, და მაღალფარდოვანი სიტყვების სიუხვე წინასწარ გვაფიქრებინებს, რომ ლაპარაკია თანამედროვე ცხოვრების რომელიმე მართლაც დიდმნიშვნელოვან, გადაუდებელ, საარსებო საკითხებზე. ნამდვილად კი ავტორის წინადადებანი წარმოადგენენ იმ ჭეშმარიტად მანილოვისებური პროექტერობის კიდევ ერთ, და თანაც მეტად მკაფიო მაგალითს, რომელსაც ნაროდნიკობის პუბლიცისტებმა მიაჩვიეს რუსეთის საზოგადოება. აი ამიტომ ჩავთვალეთ ჩვენ სასარგებლოდ ხმა ამოგვეღო ბ-ნ ნ. ლევიტსკის მიერ აღძრული საკითხების შესახებ.

ბ-ნ ნ. ლევიტსკის ჩამოთვლილი აქვს ხუთი «საკითხი» (პუნქტებად), ამასთან თვითეულ «საკითხზე» ავტორი არა მარ-

ტო «პასუხს» იძლევა, არამედ სრულიად გარკვეულად ასახელებს სათანადო «ღონისძიებასაც». პირველი საკითხია — «იაფი და ხელმისაწვდომი» კრედიტი, მევახშეთა, «კულაკთა და ყოველგვარ სოფლის წურბელათა და მტაცებელთა» თვითნებობის მოსპობა. ღონისძიებაა — «სასოფლო საგლეხო სალაროების უფრო გამარტივებული ტიპის შემუშავება», და ავტორის პროექტით საშემნახველო წიგნაკები სახელმწიფო ბანკის სალაროებიდან უნდა მიეცეს არა ცალკეულ პირებს, არამედ სპეციალურად მოწყობილ ამხანაგობებს, რომელნიც ერთი ხაზინადრის საშუალებით შეიტანენ ფულს და მიიღებენ სესხს.

აი თურმე რა დასკვნამდე მიუყვანია ავტორი «ხალხთან» დიდიხნის «ურთიერთობას» კრედიტის ესოდენ გაცვეთილ საკითხში: სალაროების ახალი ტიპის «შემუშავება»! ავტორი, ალბათ, ფიქრობს, რომ ჩვენში ძალიან ცოტა ქაღალდი და მელანი იხარჯება ურიცხვი «ტიპის», «ნიმუშის», «წესდების», «სანიმუშო წესდების», «ნორმალური წესდებისა» და სხვათა და სხვათა შემუშავებაზე. «სოფლად ცხოვრების დროს» ჩვენს პრაქტიკოსს ვერ შეუმჩნევია ვერც ერთი უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გამოწვეული იყოს იმის სურვილით, რომ «კულაკი» «იაფი და ხელმისაწვდომი კრედიტით» შეიცვალოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, აქ არ დავიწყებთ ლაპარაკს კრედიტის მნიშვნელობაზე: ჩვენ მ ო ნ ა ც ე მ ა დ ვიღებთ ავტორის მიზანს და წმინდა პრაქტიკული მხრივ ვიხილავთ იმ საშუალებებს, რომელთა შესახებაც ავტორი ასეთი რიხით ლაპარაკობს. კრედიტი განვითარებული სასაქონლო მიმოქცევის დაწესებულებაა. ახლა ვიკითხოთ, შესაძლებელია თუ არა ასეთი დაწესებულება ჩვენს გლეხობაში, რომელიც წოდებრივ კანონთა და აკრძალვათა უამრავი ნაშთით ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომლებიც გ ა მ ო რ ი ცხ ა ვ ს საქონლის წესიერ, თავისუფალ, ფართო და განვითარებულ მიმოქცევას? განა სასაცილო არ არის, ხალხის საარსებო და აუცილებელ საჭიროებებზე ლაპარაკობდე. და კრე-

დიტის საკითხს ახალი ტიპის «წესდებათა» შემუშავებით საზღვრავდე, ამავე დროს დუმილით უვლიდე გვერდს იმას, რომ აუცილებელია იმ უამრავი «წესდების» გ ა უ ქ მ ე ბ ა, რომლებიც აფერხებენ საქონლის წესიერ მიმოქცევას გლეხობაში, აბრკოლებენ მოძრავი და უძრავი ქონების თავისუფალ ბრუნვას, გლეხების ადგილიდან ადგილზე და ერთი საქმიანობიდან მეორეზე თავისუფალ გადასვლას, გლეხთა საზოგადოებებში სხვა კლასიდან და წოდებიდან გამოსულ პირთა თავისუფალ შესვლას? «კულაკებთან, მევახშეებთან, სოფლის წურბელებთან, მტაცებლებთან» ბრძოლა საკრედიტო სალაროების «წესდებათა» გაუმჯობესების საშუალებით — რაღა იქნება ამაზე უფრო სასაცილო? ყველაზე ცუდი სახის მევახშეობა ყველაზე უფრო ფეხმომაგრებულია ჩვენს სოფელში სწორედ მისი წოდებრივი კარჩაკეტილობის წყალობით, იმ ათასგვარი ბორკილების მეოხებით, რომლებიც აფერხებენ საქონლის მიმოქცევის განვითარებას, — და აი ჩვენი პრაქტიკული ავტორი ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ამ ბორკილებს და სასოფლო კრედიტის საარსებო საკითხად ა ხ ა ლ წესდებათა შემუშავებას აცხადებს. ალბათ, განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, სადაც სოფელი დიდი ხანია სავაჭრო ბრუნვის შესაბამის პირობებშია ჩაყენებული და სადაც კრედიტი ფართოდ არის განვითარებული, ალბათ, ამ ქვეყნებმა ასეთ წარმატებას კეთილგანწყობილი მოხელეების მიერ შედგენილი უამრავი «წესდების» წყალობით მიაღწიეს!

მეორე საკითხია — «გლეხის ოჯახის მდგომარეობის უმწეობა მისი უფროსის სიკვდილის შემთხვევაში», აგრეთვე «აუცილებელი საჭიროება» «ყოველგვარი შესაძლებელი ზომებითა და საშუალებებით გლეხური მიწათმოქმედი მუშა-მოსახლეობის შენარჩუნებისა და დაცვისა». როგორც ხედავთ, რაც უფრო შორს მივდივართ, ბ-ნ ლევიტსკის «საკითხები» მით უფრო ფართოვდება და დიადდება! თუ პირველი საკითხი ეხებოდა სრულიად ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ დაწესებულებას, რომლის სარგებლობა ჩვენ შეგვიძლია აღვიაროთ

მხოლოდ ფრიად დიდი შენიშვნებით, აქ ჩვენს წინაშე აყენებენ უკვე ისეთივე გიგანტური მნიშვნელობის საკითხს, რომ «პრინციპულად» ჩვენ სავსებით აღვიარებთ მის საარსებო მნიშვნელობას და არ შეგვიძლია ჩვენი სიმპათიაც არ გამოვუცხადოთ ავტორს იმისათვის, რომ ასეთ საკითხს ა ყ ე ნ ე ბ ს. მაგრამ ნაროდნიკის თავში გიგანტურ საკითხს შეესაბამება გიგანტური.... როგორ ვთქვათ უფრო რბილად?.. უჭკუობის «ლონისძიებაც». აბა მოისმინეთ: «...ჩნდება გადაუდებელი საჭიროება მოეწყოს და შემოღებულ იქნას მ თ ე ლ ი გ ლ ე ხ უ რ ი მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ი ც ო ც ხ ლ ი ს სავალდებულო (sic!*) მ ა ს ო ბ რ ი ვ ი, შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ მ ი ნ ი მ უ მ ა მ დ ე გ ა ი ა ფ ე ბ უ ლ ი, ს ა უ რ თ ი ე რ თ ო დ ა ზ ღ ვ ე ვ ა** (საზოგადოებების, ამხანაგობების, არტელების და სხვ. სახით). ამასთანავე საჭიროა გამოირკვეს ამ საქმეში ა) კერძო დამზღვევ საზოგადოებათა, ბ) ერობისა და გ) სახელმწიფოს როლი და მონაწილეობა».

აი რა მოუსაზრებელნი არიან ჩვენი გლეხები! არ ფიქრობენ იმაზე, რომ თუ ოჯახის უფროსი გარდაიცვალა, — მთელ ოჯახს მათხოვრობა მოუხდება; თუ პური არ მოვიდა, — შიმშილით უნდა დაიხოცონ, ხანდახან კი მოსავალიც იქნება, მაგრამ «საშოვარს» რომ ვერსად იპოვნიან, მათხოვრობას მაინც ვერ ასცდებიან! ვერ მოუსაზრებიათ ამ სულელ გლეხებს, რომ ამ ქვეყნად არსებობს «სიცოცხლის დაზღვევა», რომლითაც უკვე დიდი ხანია ბევრი კარგი ვაჟბატონი სარგებლობს და რომლითაც სხვა კარგი ვაჟბატონები (დამზღვევ საზოგადოებათა აქციების მფლობელნი) ფულს იგებენ. ვერ მოუსაზრებია მშიერ «სისოიკას», რომ საკმარისია მან ასევე მშიერ «მიტიაისთან» ერთად მოაწყოს საზოგადოება სიცოცხლის საურთიერთო დაზღვევისათვის (მინიმალური, სულ მინიმალური შესატანით!) — და მათი ოჯახებიც უზრუნველყოფილი იქნებიან უფროსის სიკვდილის შემთხვევაში! საბედნიეროდ, ამ მოუსაზრე-

* — ასეა! რ ე დ.

** ხაზგასმა ავტორისაა.

ბელი გლეხების მაგივრად ფიქრობს ჩვენი განათლებული ნა-როდნიკული ინტელიგენცია, რომლის ერთ-ერთი წარმომადგე-ნელი «სოფლად ცხოვრებისა და ხალხთან მუდმივი ურთიერ-თობის დროს» «დიდი ხანია წააწყდა» ამ გრანდიოზულ, გასა-შტერებლად გრანდიოზულ «პროექტს»!

საკითხი მესამე. «ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წა-მოვაყენოთ და განვიხილოთ საკითხი საერთოსაიმპე-რიო კაპიტალის შექმნისა გლეხური მოსახლეო-ბის სიცოცხლის დასაზღვევად*, მსგავსად იმისა, როგორც არსებობს საერთოსაიმპერიო სასურსათო და სახან-ძრო კაპიტალები». თავისთავად იგულისხმება, რომ დაზღვევი-სათვის საჭიროა განვიხილოთ კაპიტალის საკითხი. მაგრამ ვფიქ-რობთ, რომ დიდად პატივცემულმა ავტორმა აქ ერთი არსე-ბითი ხარვეზი დაუშვა. განა არ არის «საჭირო წამოვაყენოთ და განვიხილოთ» აგრეთვე საკითხი, თუ რომელ სამინისტროს და რომელ დეპარტამენტს ეკუთვნის განზრახული დაწესებუ-ლება? ერთის მხრივ, უეჭველია, მას უნდა განაგებდეს შინა-გან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტი. მეორე მხრივ, ამით უაღრესად დაინტერესებულია აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილებაც. მესამე მხრივ, დაზღვევის საქმეს უნდა განაგებდეს აგრეთვე ფინანსთა სამი-ნისტრო. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნება დაარ-სდეს განსაკუთრებული დაწესებულება «მთელი გლეხური მოსახლეობის სიცოცხლის სახელმწიფო სავალდებულო სა-ურთიერთო დაზღვევის მთავარი სამმართველო», მაგალითად, სახელმწიფო ცხენთაშენის მთავარი სამ-მართველოს მსგავსად?

საკითხი მეოთხე. «შემდეგ, რუსეთში ყოველნაირი არტე-ლების უდიდესი გავრცელების, აგრეთვე სახალხო მეურნეო-ბისათვის მათი უეჭველი სარგებლობისა და მნიშვნელობის გამო, მომწიფდა აუცილებელი საჭიროება 4) დაარსდეს ცალკე

* ხაზგასმა ავტორისაა.

სპეციალური სამიწათმოქმედო და სხვა არ-
ტელთა დამხმარე საზოგადოება». ყოველნაირ
არტელებს სარგებლობა რომ მოაქვთ მოსახლეობის იმ კლა-
სებისათვის, რომელნიც მათ აწყობენ, ეს უეჭველია. აგრეთვე
უეჭველია, რომ მთელ სახალხო მეურნეობასაც დიდ სარგებ-
ლობას მოუტანს სხვადასხვა კლასის წარმომადგენელთა გა-
ერთიანება. მხოლოდ ავტორი ამაოდ არის მეტისმეტად გატა-
ცებული, როცა ლაპარაკობს «რუსეთში ყოველნაირი არტე-
ლების უდიდეს გავრცელებაზე». ყველამ იცის, რომ, დასავ-
ლეთ ევროპის რომელიც გნებავთ ქვეყანასთან შედარებით,
რუსეთში წარმოუდგენლად ცოტაა, ფენომენა-
ლურად ცოტაა «ყოველნაირი არტელები»... «ყველამ
იცის»... გარდა მეოცნებე მანილოვისა. ეს იცის, მაგ., «რუსს-
კიე ვედომოსტის» რედაქციამაც, რომელმაც ბ-ნ ნ. ლევიტსკის
სტატიის წინ მოათავსა მეტად საინტერესო და შინაარსიანი
სტატია «სინდიკატები საფრანგეთში», და ბ-ნ ნ. ლევიტსკის ამ
სტატიიდან შეეძლო გაეგო, რა უსაზღვროდ ფართოდ არის
განვითარებული კაპიტალისტურ საფრანგეთში (არაკაპიტა-
ლისტურ რუსეთთან შედარებით) «ყოველნაირი არტე-
ლები». მე ხაზს ვუსვამ: «ყოველნაირი», ვინაიდან ამ სტატიი-
დანვე ადვილად დაინახავთ, მაგალითად, რომ საფრანგეთში
სინდიკატები ოთხნაირია: 1) მუშათა სინდიკატები (2 163
სინდიკატი 419 172 მონაწილით); 2) მეპატრონეთა სინ-
დიკატები (1 622 სინდიკატი 130 752 მონაწილით); 3) სა-
სოფლო-სამეურნეო სინდიკატები (1 188 სინდიკატი
398 048 წევრით) და 4) შერეული სინდიკატები (173
სინდიკატი 31 126 წევრით). აბა შეაჯამეთ, ბ-ნო ლევი-
ტსკი! მიიღებთ თითქმის მილიონ პირს (979 ათასს), რომელ-
ნიც გაერთიანებული არიან «ყოველნაირ არტელებში», და
ახლა გულზე ხელი დაიდეთ და სთქვით: ნუთუ არ გრცხვენიათ
წამოყრანტალებული ფრაზისა «რუსეთში ყოველნაირი
(sic!!!) არტელების უდიდესი გავრცელების» შესახებ? ნუთუ
ვერ ამჩნევთ, რა კომიკურ, სავალალო-კომიკურ შთაბეჭდილე-

ბას ახდენს თქვენი სტატია, რომელიც დაბეჭდილია იქვე მშრალ ციფრებთან «საფრანგეთის სინდიკატების» შესახებ! ეს საბრალო ფრანგები, რომელთაც, სჩანს, კაპიტალიზმის წყლულმა საშუალება მოუსპო «ყოველნაირი არტელების უდიდესი გავრცელებისა», ალბათ, თავშეუკავებლად გადაიხარხარებდნენ იმ წინადადების გაგონებაზე, რომ საჭიროა მოეწყოს «ცალკე სპეციალური საზოგადოება»... ყოველგვარ საზოგადოებათა მოწყობის ხელშესაწყობად! მაგრამ, თავისთავად ცხადია, ეს სიცილი მხოლოდ იმ ცნობილი ფრანგული თავქარიანობის გამომხატველი იქნებოდა, რომელსაც არ შეუძლია გაიგოს რუსული საფუძვლიანობა. ეს თავქარიანი ფრანგები არათუ აწყობენ «ყოველნაირ არტელებს», წინასწარ «არტელების ხელშემწყობი საზოგადოების» მოუწყობლად, არამედ — horribile dictu! * — არც კი იმუშავებენ წინასწარ «სანიმუშო», «ნორმალური» წესდებებს და სხვადასხვა საზოგადოების «გამარტივებულ ტიპებს»!

მეხუთე საკითხი... (აუცილებელი საჭიროება მომწიფდა) «ამ საზოგადოებასთან (ან ცალკე) გამოიცეს სპ ე ც ი ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო... რ ო მ ე ლ ი ც უ ნ დ ა ე მ ს ა ხ ურ ე ბ ო დ ე ს მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ კ ო ო პ ე რ ა ც ი უ ლ ი ს ა ქ მ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა ს რ უ ს ე თ ს ა დ ა ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ»... დიახ, დიახ, ბ-ნო ლევიტსკი! როცა გაფუჭებული კუჭი რიგიანად ჭამას უშლის ადამიანს, მაშინ მას ისღა დარჩენია, რომ წიგნები იკითხოს იმაზე, თუ როგორ სჭამენ სხვა ადამიანები. მაგრამ ასე დაავადებულ ადამიანს, შეიძლება, ექიმებმაც არ მისცენ სხვათა სადილების შესახებ კითხვის ნება: ასეთ კითხვას შეუძლია გააღვიძოს დიეტის შეუფერებელი უზომო მადა... ექიმები ამ შემთხვევაში სავსებით თანმიმდევარი იქნებოდნენ.

ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით გავარჩიეთ ბ-ნ ნ. ლევიტსკის პატარა შენიშვნა. მკითხველმა, შეიძლება, იკითხოს, განაღირდა ამდენხანს ასეთ მცირე საგაზეთო შენიშვნაზე შეჩერება.

* — საშინელებაა ამისი თქმა! რ ე დ.

განა ღირდა მისთვის ასეთი გრძელი კომენტარიების მიძღვნაო? მერე რა ვუყოთ რომ ადამიანმა (რომელიც, საზოგადოდ, ყოველგვარი კეთილი სურვილებით არის აღსავსე) სისულელე წამოროშა მთელი გლეხური მოსახლეობის სიცოცხლის რაღაც სავალდებულო საურთიერთო დაზღვევის შესახებო? სწორედ ასეთივე აზრები ხშირად გვსმენია ანალოგიური შემთხვევების გამო. ასეთი აზრები, მეტი რომ არა ვთქვათ, უსაფუძვლოა. მართლაც, შემთხვევითი ხომ არ არის ის გარემოება, რომ ჩვენი «მოწინავე პუბლიცისტები» ხანდახან ისეთ ფენომენალურად ველურ «პროექტს» წამოაყრანტალებენ ხოლმე, როგორიცაა «ბატონყმური სოციალიზმი», რომ განცვიფრებაში მოდიხარ? შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ისეთი ორგანოებიც კი, როგორიც არიან «რუსსკოე ბოგატსტვო» და «რუსსკიე ვედომოსტი», — ორგანოები, რომლებიც სულაც არ არიან ულტრა-ნაროდნიკულნი, რომლებიც ყოველთვის პროტესტს აცხადებენ ნაროდნიკობის უკიდურესობათა წინააღმდეგ და à la* ბ-ნ ვ. ვ-ის ნაროდნიკობიდან გამოყვანილი დასკვნების წინააღმდეგ, ორგანოები, რომელნიც მზად არიან თავიანთი ნაროდნიკობის ძველძვული რომელიმე «ეთიკურ-სოციოლოგიური სკოლის» ახალი იარლიკით შეამკონ, რომ ასეთი ორგანოებიც კი პერიოდულად უდიდესი რეგულარობით აწვდიან რუსეთის საზოგადოებას ხან ბ-ნ ს. იუჟაკოვის [79] რაღაც «განმანათლებელ უტოპიას», სამეწათმოქმედო გიმნაზიებში სავალდებულო საშუალო განათლების პროექტს, სადაც ღარიბმა გლეხებმა თავიანთი განათლება მუშაობით უნდა აანაზღაურონ, ხან ბ-ნ ნ. ლევიტსკის აი ამგვარ პროექტს მთელი გლეხური მოსახლეობის სიცოცხლის სავალდებულო საურთიერთო დაზღვევის შესახებ**.

---

* — მსგავსად. რ ე დ.

** ნაროდნიკული პუბლიცისტიკის ამ ორი პროექტერის შედარების დროს არ შეიძლება უპირატესობა არ მივცეთ ბ-ნ ნ. ლევიტსკის, რომლის პროექტი ო დ ნ ა ვ უ ფ რ ო ჭ კ ვ ი ა ნ უ რ ი ა, ვიდრე ბ-ნ ს. იუჟაკოვის პროექტი.

დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა ეს მოვლენა შემთხვევითობით აგვეხსნა. ყოველ ნაროდნიკში მანილოვი ზის. სინამდვილის რეალური პირობების და ნამდვილი ეკონომიური ევოლუციის უგულებელყოფა, რუსეთის საზოგადოების ცალკეული კლასების რეალური ურთიერთდამოკიდებულების ინტერესებში გარკვევის სურვილის უქონლობა, სამშობლოს «საჭიროებებსა» და «სვებედზე» ზ ე მ ო დ ა ნ მსჯელობის ჩვეულება, რუსეთის თემებსა და არტელებში დარჩენილ შუასაუკუნეობრივ კავშირთა უბადრუკი ნაშთებით ყოყოჩობა, უფრო განვითარებული კაპიტალიზმის დამახასიათებელ გაცილებით უფრო განვითარებულ კავშირთა უგულებელყოფასთან დაკავშირებით, — ყველა ამ თვისებას ამა თუ იმ ზომით ყ ო ვ ე ლ ნაროდნიკში იპოვით. ამიტომაც ფრიად საცოდინარია და აღსანიშნავი, როცა რომელიმე არცთუ დიდად ჭკვიან, მაგრამ მეტად გულუბრყვილო მწერალს უკეთესი გამოყენების ღირსი გამბედაობის ეს თვისებები სრულ ლოგიკურ განვითარებამდე მიჰყავს და რომელიმე «პროექტის» ბრჭყვიალა სურათით განასახიერებს. ასეთი პროექტები ყოველთვის ბრჭყვიალა გამოდის, იმდენად ბრჭყვიალა, რომ საკმარისია ა ჩ ვ ე ნ ო თ ისინი მკითხველს, რათა დ ა ა მ ტ კ ი ც ო თ ის ზიანი, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი აზრისა და ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებისთვის მოაქვს თანამედროვე წვრილბურჟუაზიულ ნაროდნიკობას. ასეთ პროექტებში ყოველთვის ბლომად არის კომიკური ელემენტი; ზერელედ წაკითხვის დროს მეტწილად ვერავითარ სხვა შთაბეჭდილებას ვერ გამოიტანთ, გარდა სიცილის სურვილისა. მაგრამ სცადეთ გაერკვეთ მათში — და იტყვით: «ყოველივე ეს სასაცილო იქნებოდა, ასე სამწუხარო რომ არ იყოს!»

დაწერილია გადასახლებაში
1897 წ. სექტემბერში.

იბეჭდება ჟურნალ «ნოვოე სლოვოს» ტექსტის მიხედვით

დაიბეჭდა ჟურნალ
«ნოვოე სლოვოში», წიგ. 1, 1897 წ.
ხელმოწერილია: კ. ტ — ნ

რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები [80]

დაწერილია გადასახლებაში 1897 წლის დამლევს.

პირველად დაიბეჭდა ცალკე ბროშურად ჟენევაში, 1898 წ.

იბეჭდება 1902 წ. გამოცემის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ხელნაწერის ასლთან, 1898, 1905 წლების გამოცემებთან და ტექსტთან კრებულისა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი — «12 წლის მანძილზე», 1907 წ.

ПРОЛЕТАРІИ ВСѢХЪ СТРАНЪ, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

РОССІЙСКАЯ СОЦІАЛЬДЕМОКРАТИЧЕСКАЯ РАБОЧАЯ ПАРТІЯ.

Н. ЛЕНИНЪ.

ЗАДАЧИ РУССКИХЪ СОЦІАЛЬДЕМОКРАТОВЪ

Изданіе 2-е.

СЪ ПРЕДИСЛОВІЯМИ

АВТОРА

И

П. Б. АКСЕЛЬРОДА.

Изданіе Загран. Лиги Русск. Революціонной Соціальдемократіи.

ЖЕНЕВА
Типографія Лиги, Route Caroline, 27.
1902 г.

ვ. ი. ლენინის ბროშურის
«რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანების»
მეორე გამოცემის გარეკანი. — 1902 წ.

90-იანი წლების მეორე ნახევარი ხასიათდება შესანიშნავი გამოცოცხლებით რუსეთის რევოლუციური საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტაში. ნაროდოპრავცების ახალი რევოლუციური პარტიის გაჩენამ, სოციალ-დემოკრატების მზარდმა გავლენამ და წარმატებებმა, ნაროდოვოლცობის შინაგანმა ევოლუციამ, — ყოველივე ამან გამოიწვია საპროგრამო საკითხების გაცხოველებული განხილვა როგორც სოციალისტთა — ინტელიგენტთა და მუშათა — წრეებში, ისე არალეგალურ ლიტერატურაშიც. საკმარისია უკანასკნელ სფეროში აღინიშნოს «ნაროდნოე პრავოს»[81] პარტიის «საარსებო საკითხი» და «მანიფესტი» (1894), ««ნაროდოვოლცების ჯგუფის»[82] მფრინავი ფურცელი», «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის»[83] საზღვარგარეთული «რაბოტნიკი», მუშაობის გაძლიერება რევოლუციური ბროშურების გამოსაცემად რუსეთში, უმთავრესად მუშებისათვის, სოციალ-დემოკრატიული «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» სააგიტაციო მუშაობა ს.-პეტერბურგში პეტერბურგის 1896 წლის საგულისხმო გაფიცვებთან დაკავშირებით და სხვ.

ამჟამად (1897 წლის ბოლო), ჩვენი თვალსაზრისით, ყველაზე უფრო საპირბოროტო საკითხია სოციალ-დემოკრატების პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი საქმიანობის საკითხი. ჩვენ ხაზს ვუსვამთ სოციალ-დემოკრატიზმის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ მხარეს, ვინაიდან მისმა თეორიულმა მხარემ, როგორც სჩანს, უკვე განვლო ყველაზე მწვავე პერიოდი, ერთი მხრივ, მოწინააღმდეგეების დაჟინებული გაუგებლობისა, გაძლიერებული მისწრაფებისა, რომ ახალი მიმართულება გაჩენისთანავე ჩაეხშოთ, და, მეორე მხრივ,

სოციალ-დემოკრატიზმის საფუძვლების მხურვალე დაცვისა. ახლა სოციალ-დემოკრატთა თეორიული შეხედულებანი თავის მთავარ და ძირითად ხაზებში საკმაოდ გამორკვეულად წარმოგვიდგება. იგივე არ შეიძლება ითქვას სოციალ-დემოკრატიზმის პრაქტიკულ მხარეზე, მის პოლიტიკურ პროგრამაზე, მისი მოღვაწეობის ხერხებზე, მის ტაქტიკაზე. ჩვენი ფიქრით, სწორედ ამ დარგშია გაბატონებული ყველაზე მეტი გაუგებრობა და ურთიერთის გაუგებლობა, რაც ხელს უშლის სოციალ-დემოკრატიზმთან იმ რევოლუციონერების სრულ დაახლოებას, რომლებმაც თეორიაში სრულიად უარჰყვეს ნაროდოვოლცობა, ხოლო პრაქტიკაში — თვით საქმეთა ვითარების ძალით ან იწყებენ პროპაგანდასა და აგიტაციას მუშებში, უფრო მეტიც: მუშებს შორის თავიანთი მოღვაწეობის დაყენებას კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე; — ანდა ცდილობენ მთელ პროგრამას და მთელ რევოლუციურ მოღვაწეობას საფუძვლად დემოკრატიული ამოცანები დაუდონ. თუ არ ვცდებით, უკანასკნელი დახასიათება უდგება იმ ორ რევოლუციურ ჯგუფს, რომელნიც ამჟამად რუსეთში მოქმედებენ სოციალ-დემოკრატებთან ერთად, სახელდობრ: ნაროდოვოლცებსა და ნაროდოპრავცებს.

ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით დროულად მიგვაჩნია იმის ცდა, რომ ავხსნათ სოციალ-დემოკრატების პრაქტიკული ამოცანები და ჩამოვაყალიბოთ ის საფუძვლები, რომელთა მიხედვით მათს პროგრამას ვთვლით ყველაზე უფრო რაციონალურად არსებულ სამს პროგრამაში, ხოლო მისი საწინააღმდეგო მსჯელობანი მიგვაჩნია უმთავრესად გაუგებრობაზე დამყარებულ მსჯელობად.

როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატების პრაქტიკული მოღვაწეობა ამოცანად ისახავს ხელმძღვანელობა გაუწიოს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას და ეს ბრძოლა აწარმოოს მის ორივე გამოვლინებაში: სოციალისტურში (კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის მიზანია კლასობრივი წყობილების დანგრევა და სოციალისტური საზოგა-

დოების ორგანიზაცია)[84] და დემოკრატიულში (აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის მიზანია რუსეთში პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება და რუსეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია). ჩვენ ვთქვით: რ ო გ ო რ ც ც ნ ო ბ ი ლ ი ა. და მართლაც, იმავე დღიდან, როცა გაჩნდნენ, როგორც განსაკუთრებული სოციალურ-რევოლუციური მიმართულება, რუსი სოციალ-დემოკრატები ყოველთვის სავსებით გარკვეულად მიუთითებდნენ თავიანთი მოღვაწეობის ასეთ ამოცანაზე, ყოველთვის ხაზს უსვამდნენ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორნაირ გამოვლინებას და შინაარსს, ყოველთვის იცავდნენ თავიანთ სოციალისტურ და დემოკრატიულ ამოცანათა განუყრელ კავშირს, რომელიც ნათლად არის გამოხატული მათ მიერ მიღებულ სახელწოდებაში. მიუხედავად ამისა, ახლაც ხშირად შეხვდებით ისეთ სოციალისტებს, რომელთაც ძალიან შემცდარი წარმოდგენა აქვთ სოციალ-დემოკრატებზე, აბრალებენ მათ პოლიტიკური ბრძოლის უგულებელყოფას და სხვ. მაშ ცოტა შევჩერდეთ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკული მოღვაწეობის ორივე მხარის დახასიათებაზე.

დავიწყოთ სოციალისტური მოღვაწეობით. მას შემდეგ, რაც ს.-პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულმა «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა» თავისი მოღვაწეობა გააჩაღა პეტერბურგის მუშათა შორის, სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეობის ხასიათი ამ მხრივ, თითქოს, სავსებით ნათელი უნდა იყოს. რუსი სოციალ-დემოკრატების სოციალისტური მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ გასწიონ მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებათა პ რ ო პ ა გ ა ნ დ ა, გაავრცელონ მუშებში სწორი გაგება თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილებისა, მისი საფუძვლებისა და განვითარებისა, რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კ ლ ა ს ი ს ა, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა, ამ კლასების ურთიერთშორის ბრძოლისა, ამ ბრძოლაში მუშათა კლასის როლისა, მისი დამოკიდებულებისა მომაკვდავი და გან-

ვითარების გზაზე მდგომი კლასებისადმი, კაპიტალიზმის წარსულისა და მომავლისადმი, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის და რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული ამოცანისა. პროპაგანდასთან განუყრელად დაკავშირებულია მუშათა შორის ა გ ი ტ ა ც ი ა, რომელიც ბუნებრივად პირველ ადგილს იჭერს რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში და მუშათა მასების დღევანდელი განვითარების დონეზე. აგიტაცია მუშათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ სოციალ-დემოკრატები მონაწილეობას იღებენ მუშათა კლასის ბრძოლის ყველა სტიქიურ გამოვლინებაში, კაპიტალისტებთან მუშების ყველა შეტაკებაში სამუშაო დღის, სამუშაო ქირის, შრომის პირობების და სხვ. და სხვ. გამო. ჩვენი ამოცანაა — ჩვენი მოღვაწეობა შევუერთოთ მუშათა ცხოვრების პრაქტიკულ, საყოფაცხოვრებო საკითხებს, დავეხმაროთ მუშებს ამ საკითხების გარკვევაში, მუშების ყურადღება მივაქციოთ უმნიშვნელოვანეს ბოროტმოქმედებებს, დავეხმაროთ მათ უფრო სწორად და პრაქტიკულად ჩამოაყალიბონ თავიანთი მოთხოვნები მეპატრონეებისადმი, განვუვითაროთ მუშებს თავიანთი სოლიდარობის შეგნება, ყველა რუსი მუშის, როგორც პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ნაწილის შემადგენელი ერთიანი მუშათა კლასის საერთო ინტერესებისა და საერთო საქმის შეგნება. მუშებში წრეების მოწყობა, მათსა და სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ ჯგუფს შორის წესიერი და კონსპირაციული კავშირის დამყარება, მუშათა ლიტერატურის გამოცემა და გავრცელება, მუშათა მოძრაობის ყველა ცენტრიდან კორესპონდენციების მიღების მოწყობა, სააგიტაციო ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემა და მათი გავრცელება, გამოცდილი აგიტატორების კონტინგენტის მომზადება, — ასეთია, ზოგადად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სოციალისტური მოღვაწეობის გამოვლინება.

ჩვენი მუშაობა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო მიმართულია ფაბრიკა-ქარხნების, ქალაქის მუშებისაკენ. რუსე-

თის სოციალ-დემოკრატიამ არ უნდა დაქსაქსოს თავისი ძალები, მან მთელი ყურადღება უნდა მიაპყროს მუშაობას სამრეწველო პროლეტარიატში, რომელიც ყველაზე უფრო ითვისებს სოციალ-დემოკრატიულ იდეებს, ყველაზე უფრო განვითარებულია ინტელექტუალურად და პოლიტიკურად, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია თავისი რიცხვობრიობით და ქვეყნის მსხვილ პოლიტიკურ ცენტრებში კონცენტრირებით. ამიტომ ფაბრიკა-ქარხნების, ქალაქის მუშებში მტკიცე რევოლუციური ორგანიზაციის შექმნა სოციალ-დემოკრატიის პირველ და არსებით ამოცანას შეადგენს, ამოცანას, რომლის გვერდის ავლა დღეს უდიდესი უგუნურება იქნებოდა. მაგრამ, აღვიარებთ რა ფაბრიკა-ქარხნების მუშებზე მთელი ჩვენი ძალღონის გადატანის აუცილებლობას, ვგმობთ რა ძალების დაქსაქსვას, ჩვენ სულაც არ გვინდა ვთქვათ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ უგულებელჰყოს რუსეთის პროლეტარიატისა და მუშათა კლასის დანარჩენი ფენები. სრულიადაც არა. რუსი ფაბრიკის მუშა თვით თავისი ცხოვრების პირობების გამო ხშირად იძულებულია ფრიად მჭიდრო დამოკიდებულება იქონიოს შინამრეწველებთან — ამ სამრეწველო პროლეტარიატთან, რომელიც ფაბრიკებს გარეთ არის გაფანტული ქალაქებსა და სოფლებში და გაცილებით უარეს პირობებშია ჩაყენებული. რუსი ფაბრიკის მუშა უშუალოდ ხვდება სოფლის მოსახლეობასაც (ფაბრიკის მუშას ხშირად ოჯახი სოფელში ჰყავს) და, მაშასადამე, მას არ შეუძლია არ დაუახლოვდეს სოფლის პროლეტარიატსაც, პროფესიული მოჯამაგირეებისა და დღიური მუშების მრავალმილიონიან მასას, აგრეთვე იმ გაჩანაგებულ გლეხობას, რომელიც მიწის პაწაწინა ნაჭერს ჩასჭიდებია, შრომამიგების სამუშაოებს ასრულებს და ყოველგვარ შემთხვევითს «საშოვარს» ეძებს, ე. ი. იმავე დაქირავებულ მუშაობას ეწევა. რუს სოციალ-დემოკრატებს უდროოდ მიაჩნიათ თავიანთი ძალები შინამრეწველებისა და სოფლის მუშებისაკენ მ ი მ ა რ თ ო ნ, მაგრამ ისინი სულაც არ ფიქრობენ ეს წრე უყურადღებოდ დასტო-

სოციალ-დემოკრატები აგიტაციას ეწევიან მუშათა შორის უახლოეს ეკონომიურ მოთხოვნათა ნიადაგზე და ამას განუყრელად უკავშირებენ აგიტაციასაც მუშათა კლასის უახლოეს პოლიტიკურ საჭიროებათა, გაჭირვებისა და მოთხოვნათა ნიადაგზე, — აგიტაციას პოლიციური ჩაგვრის წინააღმდეგ, რაც თავს იჩენს ყოველ გაფიცვაში, კაპიტალისტებთან მუშების ყოველ შეტაკებაში, — აგიტაციას მუშების, როგორც საერთოდ რუსეთის მოქალაქეებისა და კერძოდ ყველაზე უფრო დაჩაგრული და შევიწროებული კლასის უფლებათა შეზღუდვის წინააღმდეგ, — აგიტაციას აბსოლუტიზმის ყოველი გამოჩენილი წარმომადგენლისა და ლაქიის წინააღმდეგ, რომელსაც უხდება უახლოესი ურთიერთობის დაჭერა მუშებთან და რომელიც თვალნათლივ უჩვენებს მუშათა კლასს მის პოლიტიკურ მონობას. თუ ეკონომიურ დარგში არ არის მუშათა ცხოვრების ისეთი საკითხი, რომლის უტილიზაცია არ შეიძლებოდეს ეკონომიური აგიტაციისათვის, სწორედ ასევე არც პოლიტიკურ დარგში არსებობს ისეთი საკითხი, რომელიც არ გამოდგებოდეს პოლიტიკური აგიტაციის საგნად. სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობაში ეს ორგვარი აგიტაცია განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან, როგორც ერთი მედლის ორი მხარე. როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური აგიტაცია ერთნაირად აუცილებელია პროლეტარიატის კლასობრივი თვითცნობიერების განსავითარებლად; როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური აგიტაცია ერთნაირად აუცილებელია როგორც რუსი მუშების კლასობრივი ბრძოლის სახელმძღვანელო, ვინაიდან ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა. როგორც პირველი, ისე მეორე აგიტაცია აღვიძებს მუშათა შეგნებას, რაზმავს, წვრთნის, ზრდის მათ სოლიდარულად სამოქმედოდ და სოციალ-დემოკრატიული იდეალებისათვის საბრძოლველად და საშუალებას მისცემს მუშებს თავიანთი ძალღონე გამოსცადონ უახლოეს საკითხებში, უახლოეს საჭიროებებში, საშუალებას მისცემს მათ ნაწილობრივ დაათმობინონ

თავიანთ მტერს, გაიუმჯობესონ ეკონომიური მდგომარეობა, აიძულონ კაპიტალისტები ანგარიში გაუწიონ ორგანიზებული მუშების ძალას, აიძულონ მთავრობა გააფართოოს მუშათა უფლებები, ყურადღებით მოეპყროს მათს მოთხოვნებს და მუდამ შიშში ამყოფონ მთავრობა მტრულად განწყობილი მუშათა მასების წინაშე, რომელთაც მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს.

ჩვენ აღვნიშნეთ სოციალისტური და დემოკრატიული პროპაგანდისა და აგიტაციის განუყრელი სიახლოვე, რევოლუციური მუშაობის სრული პარალელობა ორივე სფეროში. მაგრამ დიდი განსხვავებაც არსებობს მუშაობისა და ბრძოლის ამ ორ სახეს შორის. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიურ ბრძოლაში პროლეტარიატი სრულიად განმარტოებულია, აქ მას მოწინააღმდეგეებად ჰყავს მიწათმფლობელი-თავადაზნაურებიცა და ბურჟუაზიაც, სარგებლობს (ისიც არა ყოველთვის) მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის იმ ელემენტების დახმარებით, რომლებიც პროლეტარიატისკენ იხრებიან. ამავე დროს, დემოკრატიულ, პოლიტიკურ ბრძოლაში რუსეთის მუშათა კლასი განმარტოებული არ არის; აქ მის გვერდით დგებიან ყველა პოლიტიკურად ოპოზიციური ელემენტები, მოსახლეობის ფენები და კლასები, რამდენადაც ისინი მტრულად არიან განწყობილნი აბსოლუტიზმისადმი და ებრძვიან მას ამა თუ იმ სახით. პროლეტარიატის გვერდით აქ დგანან ბურჟუაზიის ან განათლებული კლასების, ან წვრილი ბურჟუაზიის, ან აბსოლუტიზმის მიერ დევნილ ეროვნებათა, ან რელიგიებისა და სექტების და სხვათა და სხვათა ოპოზიციურად განწყობილი ელემენტები. ბუნებრივად იბადება კითხვა, რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს მუშათა კლასმა ამ ელემენტებთან? და შემდეგ, ხომ არ უნდა შეუერთდეს იგი მათ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის? ხომ ყველა სოციალ-დემოკრატი აღიარებს, რომ რუსეთში პოლიტიკური რევოლუცია წინ უნდა უსწრებდეს სოციალისტურ რევოლუციას; ხომ არ უნდა

შევუერთდეთ ყველა პოლიტიკურად ოპოზიციურ ელემენტებს აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და ჯერჯერობით უკან დავაყენოთ სოციალიზმი, ხომ არ არის ეს აუცილებელი აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად?

გავერკვეთ ორივე საკითხში.

რაც შეეხება მუშათა კლასის, როგორც აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლის, დამოკიდებულებას ყველა დანარჩენი პოლიტიკურად ოპოზიციური საზოგადოებრივი კლასისა და ჯგუფისადმი, ამას სავსებით ზუსტად განსაზღვრავენ განთქმულ «კომუნისტურ მანიფესტში» გადმოცემული სოციალ-დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპები. სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ პროგრესულ საზოგადოებრივ კლასებს რეაქციული კლასების წინააღმდეგ, ბურჟუაზიას პრივილეგიური და წოდებრივი მიწათმფლობელობის წარმომადგენლების წინააღმდეგ და მოხელეების წინააღმდეგ, მსხვილ ბურჟუაზიას წვრილი ბურჟუაზიის რეაქციული ზრახვების წინააღმდეგ. ეს მხარდაჭერა არ გულისხმობს და არც მოითხოვს არავითარ კომპრომისს არა სოციალ-დემოკრატიულ პროგრამებსა და პრინციპებთან, ეს არის მხარდაჭერა მოკავშირისა გ ა რ კ ვ ე უ ლ ი მტრის წინააღმდეგ, ამასთან სოციალ-დემოკრატები ამ დახმარებას უწევენ იმისათვის, რათა დააჩქარონ საერთო მტრის დაცემა, მაგრამ ისინი თ ა ვ ი ს თ ვ ი ს არაფერს ელიან ამ დროებითი მოკავშირეებისაგან და არც არაფერს უთმობენ მათ. სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობას თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, ყოველ დაჩაგრულ ეროვნებას, დევნილ სარწმუნოებას, დამცირებულ წოდებას და სხვებს მათს ბრძოლაში თანასწორუფლებიანობისათვის.

ყველა პოლიტიკურად ოპოზიციური ელემენტისათვის მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა სოციალ-დემოკრატთა პროპაგანდაში გამოხატულებას ჰპოვებს იმით, რომ სოციალ-დემოკრატები, მუშათა საქმისადმი აბსოლუტიზმის მტრობის მტკიცებით აღნიშ-

ნავენ აბსოლუტიზმის მტრობასაც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი, მიუთითებენ მუშათა კლასის სოლიდარობაზე ამ ჯგუფებთან ამა თუ იმ საკითხში, ამა თუ იმ ამოცანებში და სხვ. აგიტაციაში ეს მხარდაჭერა გამოიხატება იმით, რომ სოციალ-დემოკრატები გამოიყენებენ აბსოლუტიზმის მხრივ პოლიციური ჩაგვრის ყოველ გამოვლინებას და მიუთითებენ მუშებს, თუ როგორ აწევს ეს ჩაგვრა საზოგადოდ რუსეთის ყველა მოქალაქეს, კერძოდ განსაკუთრებით დაჩაგრულ წოდებათა, ეროვნებათა, სარწმუნოებათა, სექტებისა და სხვ. წარმომადგენლებს, და მეტადრე როგორ გავლენას ახდენს ეს ჩაგვრა მუშათა კლასზე. დასასრულ, პრაქტიკაში ეს მხარდაჭერა გამოიხატება იმით, რომ რუსი სოციალ-დემოკრატები მზად არიან კავშირი შეკრან სხვა მიმართულებების რევოლუციონერებთან ამა თუ იმ კერძო მიზნების მისაღწევად, და ეს მზადყოფნა არა ერთხელ ყოფილა დამტკიცებული საქმით.

აქ ვუახლოვდებით მეორე საკითხსაც. მუშებთან ამა თუ იმ ოპოზიციური ჯგუფების სოლიდარობის აღნიშვნის დროს სოციალ-დემოკრატები ყოველთვის გამოჰყოფენ მუშებს, ყოველთვის განმარტავენ ამ სოლიდარობის დროებითსა და პირობითს ხასიათს, ყოველთვის გაუსვამენ ხაზს პროლეტარიატის კლასობრივ განკერძოებულობას, პროლეტარიატისა, რომელიც ხვალ შეიძლება თავისი დღევანდელი მოკავშირეების წინააღმდეგ აღმოჩნდეს. გვეტყვიან: «ასეთი მითითება ამჟამად შეასუსტებს ყველა მებრძოლს პოლიტიკური თავისუფლებისათვის». ასეთი მითითება გააძლიერებს ყველა მებრძოლს პოლიტიკური თავისუფლებისათვის, — ვუპასუხებთ ჩვენ. ძლიერი არიან მხოლოდ ის მებრძოლები, რომლებიც ემყარებიან განსაზღვრული კლასების შეგნებულ რეალურ ინტერესებს, და ყოველი მიფუჩეჩება ამ კლასობრივი ინტერესებისა, რომლებიც უკვე გაბატონებულ როლს თამაშობენ თანამედროვე საზოგადოებაში, მხოლოდ დაასუსტებს მებრძოლთ. ეს ერთი. მეორე, აბსოლუტიზმის წი-

ნააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასმა თავისი თავი უნდა გამოჰყოს, ვინაიდან მ ხ ო ლ ო დ ის არის ბოლომდე თანმიმდევარი და უეჭველი მტერი აბსოლუტიზმისა, მ ხ ო ლ ო დ მუშათა კლასსა და აბსოლუტიზმს შორის არ შეიძლება იყოს კომპრომისები, მ ხ ო ლ ო დ მუშათა კლასში იპოვნის დემოკრატიზმი თავის უყოყმანო, მედგარ, უკან მოუხედავ მომხრეს. მოსახლეობის ყველა დანარჩენ კლასში, ჯგუფში, ფენაში აბსოლუტიზმისადმი მტრობა უ ე ჭ ვ ე ლ ი ა რ ა რ ი ს, მათი დემოკრატიზმი ყოველთვის უკან იხედება. შეუძლებელია ბურჟუაზიას შეცნობილი არა ჰქონდეს, რომ აბსოლუტიზმი აფერხებს სამრეწველო და საზოგადოებრივ განვითარებას, მაგრამ მას აშინებს პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების სრული დემოკრატიზაცია და ყოველთვის შეუძლია დაუკავშირდეს აბსოლუტიზმს პროლეტარიატის წინააღმდეგ. წვრილი ბურჟუაზია ორპირია თვით თავისი ბუნებით, და თუ, ერთი მხრივ, იხრება პროლეტარიატისა და დემოკრატიზმისაკენ. მეორე მხრივ, ის იხრება რეაქციული კლასებისაკენ, ცდილობს შეაჩეროს ისტორია, შეიძლება აჰყვეს აბსოლუტიზმის ექსპერიმენტებს და ფარისევლობას (თუნდაც ალექსანდრე III «სახალხო პოლიტიკის» სახით), შეუძლია კავშირი შეკრას მმართველ. კლასებთან პროლეტარიატის წინააღმდეგ ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რომ განამტკიცოს თავისი, როგორც წ ვ რ ი ლ მ ე ს ა კ უ თ რ ე თ ა, მდგომარეობა. განათლებულ ხალხს, საზოგადოდ «ინტელიგენციას» არ შეუძლია წინ არ აღუდგეს აზრისა და ცოდნის მდევნელი აბსოლუტიზმის ველურ პოლიციურ ჩაგვრას, მაგრამ ამ ინტელიგენციის მატერიალური ინტერესები მას აბსოლუტიზმთან, ბურჟუაზიასთან აკავშირებს, აიძულებს მას არათანმიმდევარი იყოს, კომპრომისები დაუშვას, თავისი ოპოზიციური და რევოლუციური გზნება გაჰყიდოს სახელმწიფო ჯამაგირისათვის ან მოგებასა თუ დივიდენდებში მონაწილეობისათვის. რაც შეეხება ჩაგრულ ეროვნებათა და დევნილ სარწმუნოებათა დემოკრატიულ ელემენტებს, ყველამ იცის და

ყველა ხედავს, რომ მოსახლეობის ამ კატეგორიებს შიგნით კლასობრივი წინააღმდეგობანი გაცილებით უფრო ღრმა და ძლიერია, ვიდრე ამგვარი კატეგორიის ყველა კლასის სოლიდარობა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ და დემოკრატიულ დაწესებულებათა სასარგებლოდ. მარტო პროლეტარიატს შეუძლია იყოს — და, თავისი კლასობრივი მდგომარეობით, არ შეუძლია არ იყოს — ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატი, აბსოლუტიზმის მედგარი მტერი, რომელმაც არ იცის არავითარი დათმობა, არავითარი კომპრომისი. მარტო პროლეტარიატს შეუძლია იყოს მ ო წ ი ნ ა ვ ე მ ე ბ რ ძ ო ლ ი პოლიტიკური თავისუფლებისათვის და დემოკრატიულ დაწესებულებათათვის, ვინაიდან, ჯერ-ერთი, პროლეტარიატი ყველაზე უფრო ძლიერ განიცდის პოლიტიკურ ჩაგვრას, რადგან ვერ ვხედავთ ვერავითარ კორექტივებს ამ კლასის მდგომარეობაში, რომელსაც ხელი არ მიუწვდება არც უმაღლეს ხელისუფლებთან, არც მოხელეებთანაც-კი და არც გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე. მეორე, მხოლოდ პროლეტარიატს აქვს უნარი ბ ო ლ ო მ დ ე მიიყვანოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაცია, ვინაიდან ასეთი დემოკრატიზაცია ამ წყობილებას მუშებს ჩაუგდებდა ხელში. ამიტომაც მუშათა კლასის დემოკრატიული მოღვაწეობის შ ე ე რ თ ე ბ ა დანარჩენი კლასებისა და ჯგუფების დემოკრატიზმთან შ ე ა ს უ ს ტ ე ბ დ ა დემოკრატიული მოძრაობის ძალას, შ ე ა ს უ ს ტ ე ბ დ ა პოლიტიკურ ბრძოლას, უფრო გაუბედავს, ნაკლებ თანმიმდევარს და უფრო კომპრომისულს გახდიდა მას. პირიქით, მუშათა კლასის, როგორც დემოკრატიულ დაწესებულებათათვის მოწინავე მებრძოლის გ ა მ ო ყ ო ფ ა გ ა ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს დემოკრატიულ მოძრაობას, გ ა ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლას, ვინაიდან მუშათა კლასი ბ ი ძ გ ს მ ი ს ც ე მ ს ყველა დანარჩენ დემოკრატიულ და პოლიტიკურად ოპოზიციურ ელემენტებს, პოლიტიკური რადიკალებისკენ წაუბიძგებს ლიბერალებს, წაუბიძგებს რადიკალებს, რათა მათ სამუდამოდ

გასწყვიტონ კავშირი თანამედროვე საზოგადოების მთელ პოლიტიკურ და სოციალურ წყობილებასთან. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ყველა სოციალისტი რუსეთში სოციალ-დემოკრატი უნდა გახდეს-თქვა. ახლა დავძენთ: ყველა ჭეშმარიტი და თანმიმდევარი დემოკრატი რუსეთში სოციალ-დემოკრატი უნდა გახდეს.

განვმარტოთ ჩვენი აზრი მაგალითით. ავიღოთ დაწესებულება მოხელეობისა, ბიუროკრატიისა, როგორც იმ პირთა განსაკუთრებული ფენისა, რომლებიც დახელოვნებული არიან მართვა-გამგეობაში და ხალხის მიმართ პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული. აბსოლუტისტური, ნახევრადაზიური რუსეთით დაწყებული — და კულტურული, თავისუფალი და ცივილიზებული ინგლისით დამთავრებული, ჩვენ ყველგან ვხედავთ ამ დაწესებულებას, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების აუცილებელ ორგანოს შეადგენს. რუსეთის ჩამორჩენილობას და მის აბსოლუტიზმს შეესაბამება ხალხის სრული უუფლებობა მოხელეობის წინაშე, პრივილეგიური ბიუროკრატიის სრული უკონტროლობა. ინგლისში არსებობს ხალხის ძლიერი კონტროლი მართვა-გამგეობაზე, მაგრამ იქაც ეს კონტროლი ოდნავადაც არ არის სრული, ბიუროკრატიას იქაც ბევრი პრივილეგია აქვს შენარჩუნებული, ხშირად იგი ხალხის ბატონია და არა მისი მსახური. ინგლისშიც ჩვენ ვხედავთ, რომ ძლიერი საზოგადოებრივი ჯგუფები მხარს უჭერენ ბიუროკრატიის პრივილეგიურ მდგომარეობას, ხელს უშლიან ამ დაწესებულების სრულ დემოკრატიზაციას. რატომ არის ასე? იმიტომ, რომ მის სრულ დემოკრატიზაციას მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს: ბურჟუაზიის ყველაზე მოწინავე ფენები იცავენ მოხელეობის ზოგიერთ პრეროგატივს, ილაშქრებენ ყველა მოხელის არჩევითობის, ცენზის სავსებით გაუქმების, ხალხის წინაშე მოხელეების უშუალო პასუხისმგებლობისა და სხვათა წინააღმდეგ, ვინაიდან ეს ფენები გრძნობენ, რომ ამგვარი საბოლოო დემოკრატიზაციით ისარგებლებს

პროლეარიატი ბურჟუაზიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ასეა რუსეთშიც. რუსეთის ყოვლისშემძლე, უპასუხისმგებლო, მექრთამე, ველური, უმეცარი და მუქთახორა მოხელეობის წინააღმდეგ ამხედრებულია რუსი ხალხის ფრიად მრავალრიცხოვანი და სულ სხვადასხვაგვარი ფენა. მაგრამ პროლეტარიატს გარდა ა რ ც ე რ თ ი ამ ფენათაგანი არ დაუშვებდა მოხელეობის სრულ დემოკრატიზაციას, იმიტომ რომ ყველა სხვა ფენას (ბურჟუაზიას, წვრილბურჟუაზიას, საზოგადოდ «ინტელიგენციას») აქვს მოხელეობასთან დამაკავშირებელი ძაფები, იმიტომ რომ ყველა ეს ფენა — რუსეთის მოხელეობის მ ო ნ ა თ ე ს ა ვ ე ა. ვინ არ იცის, კურთხეულ რუსეთში რა ადვილად ხდება ინტელიგენტ-რადიკალის, ინტელიგენტ-სოციალისტის გადაქცევა იმპერატორის მთავრობის მოხელედ, — მოხელედ, რომელიც თავს იმით ინუგეშებს, რომ მას «სარგებლობა» მოაქვს კანცელარიული რუტინის ფარგლებში, — მოხელედ, რომელიც ამ «სარგებლობით» ამართლებს თავის პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს, თავის ლაქიობას შოლტისა და მათრახის მთავრობის წინაშე? მხოლოდ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ა აბსოლუტიზმისა და რუსეთის მოხელეობის უეჭველი მოწინააღმდეგე, მხოლოდ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი არ არის დაკავშირებული არავითარი ძ ა ფ ე ბ ი თ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული საზოგადოების ამ ორგანოებთან, მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია შეურიგებელი მტრობა და შეუპოვარი ბრძოლა მათთან.

როდესაც ვამტკიცებთ, რომ პროლეტარიატი, რომელსაც მის კლასობრივ ბრძოლაში სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, რუსეთის დემოკრატიის მოწინავე მებრძოლია, ჩვენ ვხვდებით მეტად გავრცელებულსა და მეტად უცნაურ აზრს, თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატია უკან აყენებდეს პოლიტიკურ ამოცანებს და პოლიტიკურ ბრძოლას. როგორც ვხედავთ, ეს აზრი — დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. მაშ რით აიხსნება ასეთი საოცარი გაუგებლობა სოციალ-დემოკრატიის პრინციპებისა, რომლებიც მრავალჯერ

ყოფილა ჩამოყალიბებული და უკვე ჩამოყალიბებულია პირველ რუსულ სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში, — «შრომის განთავისუფლების»[85] ჯგუფის საზღვარგარეთულ ბროშურებსა და წიგნებში? ჩვენ გვგონია, რომ ამ განსაცვიფრებელი ფაქტის ახსნა შემდეგს სამ გარემოებაში მდგომარეობს:

ჯერ-ერთი, სოციალ-დემოკრატიზმის პრინციპები საერთოდ არ ესმოდათ ძველი რევოლუციური თეორიების წარმომადგენლებს, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ პროგრამებისა და სამოქმედო გეგმების აგებას აბსტრაქტული იდეების საფუძველზე და არა ჩვენს ქვეყანაში მოქმედი, ისტორიის მიერ ამა თუ იმ ურთიერთდამოკიდებულებაში ჩაყენებული, რეალური კლასების მხედველობაში მიღების საფუძველზე. სწორედ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ასე რეალისტურად არ განიხილავდნენ ი მ ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ს, რომლებიც ამაგრებენ რუსეთის დემოკრატიას, შეეძლო წარმოეშვა აზრი, თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატია ჩრდილში აყენებდეს რუს რევოლუციონერთა დემოკრატიულ ამოცანებს.

მეორე, არ ესმოდათ, რომ ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების, სოციალისტური და დემოკრატიული მოღვაწეობის შეერთება ერთ მთელად, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ერთიან კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბ რ ძ ო ლ ა დ კი არ ასუსტებს, არამედ აძლიერებს დემოკრატიულ მოძრაობას და პოლიტიკურ ბრძოლას, უახლოვებს მას ხალხის მასების რეალურ ინტერესებს, პოლიტიკური საკითხები «ინტელიგენციის ვიწრო კაბინეტებიდან» ქუჩაში, მუშებისა და მშრომელი კლასების წრეში გამოაქვს, პოლიტიკური ჩაგვრის აბსტრაქტულ იდეებს ახურდავებს მის იმ რეალურ გამოვლინებებზე, რომელთაგან ყველაზე უფრო პროლეტარიატი იჩაგრება და რომელთა ნიადაგზე თავის აგიტაციას ეწევა სოციალ-დემოკრატია. რუს რადიკალს ხშირად ჰგონია, რომ სოციალ-დემოკრატი, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ და უშუალოდ მოუწოდებდეს მოწინავე მუშებს პოლიტიკური ბრძოლისაკენ, ნაცვლად ამისა მიუთითებს მუშათა მოძრაობის განვითარების

ამოცანაზე, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაციის ამოცანაზე, — რომ სოციალ-დემოკრატი ამრიგად უკან იხევს თავისი დემოკრატიზმიდან, უკან აყენებს პოლიტიკურ ბრძოლას. მაგრამ თუ აქ არის რაიმე უკანდახევა, ეს ისეთი უკანდახევაა, რომელზედაც ფრანგული ანდაზა ამბობს: «il faut reculer pour mieux sauter!» (საჭიროა უკანდახევა, რომ უფრო ძლიერ გადახტე).

მესამე, გაუგებრობა გამოწვეულია იმით, რომ თვით «პოლიტიკური ბრძოლის» ცნებას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ, ნაროდოვოლეცისა და ნაროდოპრავეცისათვის და, მეორე მხრივ — სოციალ-დემოკრატისათვის. სოციალ-დემოკრატებს სხვანაირად ესმით პოლიტიკური ბრძოლა, მათ იგი გაცილებით უფრო ფართოდ ესმით, ვიდრე ძველი რევოლუციური თეორიების წარმომადგენლებს. თვალსაჩინო ილუსტრაციას ამ დებულებისას, რომელიც შეიძლება პარადოქსად გვეჩვენოს, გვაძლევს 1895 წლის 9 დეკემბრის ««ნაროდოვოლცების ჯგუფის» მფრინავი ფურცელი» № 4. მთელი სულით და გულით მივესალმებით რა ამ გამოცემას, რომელიც მოწმობს აზრის იმ ღრმა და ნაყოფიერ მუშაობას, რაც თანამედროვე ნაროდოვოლცების წრეში სწარმოებს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ პ. ლ. ლავროვის სტატია «პროგრამის საკითხებზე» (გვ. 19 — 22), რომელიც ნათლად ააშკარავებს პოლიტიკური ბრძოლის სულ სხვა გაგებას ძველი ყაიდის ნაროდოვოლცების მიერ *. «...აქ, — სწერს პ. ლ. ლავროვი, ლაპარაკობს რა სოციალ-დემოკრატების პროგრამისადმი ნაროდოვოლცების პროგრამის დამოკიდებულების შესახებ, —

* № 4-ში დაბეჭდილი პ. ლ. ლავროვის სტატია მხოლოდ «ნაწყვეტია» პ. ლ. ლავროვის იმ ვრცელი წერილისა, რომელიც განკუთვნილია «მასალებისათვის». ჩვენ გავიგეთ, რომ ამ ზაფხულს (1897) საზღვარგარეთ გამოვიდა პ. ლ. ლავროვის ეს წერილიც სრული სახით და პლეხანოვის პასუხიც, მაგრამ ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი, ვერც მეორე. სწორედ ასევე არ ვიცით, გამოვიდა თუ არა ««ნაროდოვოლცების ჯგუფის» მფრინავი ფურცლის» № 5, რომელშიც პ. ლ. ლავროვის წერილის გამო რედაქცია დაგვპირდა სარედაქციო სტატიას. იხ. № 4, გვ. 22, სვეტი 1-ლი, შენიშვნა.

არსებითია ერთი და მხოლოდ ერთი რამ: შესაძლებელია თუ არა ძლიერი მუშათა პარტიის შექმნა აბსოლუტიზმის დროს და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური პარტიის შეუქმნელად?» (გვ. 21, სვეტი 2); იგივეა ცოტა ზევით (სვეტი 1-ლი): «...აბსოლუტიზმის ბატონობის დროს რუსეთის მუშათა პარტიის შექმნა, იმავე დროს ამ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური პარტიის შეუქმნელად». ჩვენ სრულებით არ გვესმის ეს განსხვავებანი, რომელნიც ასე კარდინალურად არსებითია პ. ლ. ლავროვისათვის. როგორ? «მუშათა პარტია აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური პარტიის გ ა რ ე შ ე»?? განა თვით მუშათა პარტია რევოლუციური პარტია არ არის? განა ის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ არ არის მიმართული? ამ უცნაურობის ახსნას იძლევა პ. ლ. ლავროვის სტატიის შემდეგი ადგილი: «რუსეთის მუშათა პარტიის შექმნა გვიხდება აბსოლუტიზმისა და ყველა მის მშვენიერებათა არსებობის პირობებში. სოციალ-დემოკრატებმა ამის გაკეთება რომ მოახერხონ და ამავე დროს არ მოაწყონ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა* ასეთი შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ი ს* ყველა პირობით, მაშინ, რა თქმა უნდა, მათი პოლიტიკური პროგრამა რუსეთის სოციალისტების მართებული პროგრამა იქნებოდა, რადგან მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა ძალებით მოხდებოდა. მაგრამ ეს ფრიად საეჭვოა, თუ სულაც შეუძლებელი არ არის» (გვ. 21, სვ. 1). აი თურმე რა ყოფილა! ნაროდოვოლეცისათვის პოლიტიკური ბრძოლის ცნება გაიგივებულია პოლიტიკური შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ი ს ცნებასთან! უნდა აღვიაროთ, რომ ამ სიტყვებით პ. ლ. ლავროვმა მართლაც შესძლო მთელი სიმკვეთრით ეჩვენებინა ძირითადი განსხვავება ნაროდოვოლცებისა და სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკაში. ბლანკიზმის[88], შეთქმულების ტრადიციები მეტად ძლიერი აქვთ ნაროდოვოლცებს, იმდენად ძლიერი, რომ მათ პოლიტიკური ბრძოლა

* ხაზგასმა ჩვენია.

სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ, თუ არ პოლიტიკური შეთქმულების სახით. სოციალ-დემოკრატებს კი შეხედულებათა ასეთ სივიწროვეს ვერ დავწამებთ; შეთქმულება მათ არა სწამთ; ისინი ფიქრობენ, რომ შეთქმულებათა დრომ დიდი ხანია განვლო, რომ პოლიტიკური ბრძოლის შეზღუდვა შეთქმულებით ნიშნავს, ერთის მხრივ, მის უზომოდ შეკვეცას, ხოლო მეორე მხრივ — ბრძოლის ყველაზე უხეირო წესების არჩევას. ყველას ესმის, რომ პ. ლ. ლავროვის სიტყვები, თითქოს «დასავლეთის მოქმედება რუს სოციალ-დემოკრატებს უცილობელ ნიმუშად ჰქონდეთ აღებული» (გვ. 2, სვ. 1), მხოლოდ პოლემიკური ხერხია და მეტი არაფერი, ნამდვილად კი რუს სოციალ-დემოკრატებს არასოდეს არ დაუვიწყნიათ ჩვენი პოლიტიკური პირობები, არასოდეს არ უოცნებიათ რუსეთში მუშათა პარტიის აშკარად შექმნის შესაძლებლობაზე, არასოდეს არ დაუშორებიათ სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანა პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის ამოცანისაგან. მაგრამ ისინი ყოველთვის ფიქრობდნენ და ახლაც ფიქრობენ, რომ ამ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ არა შეთქმულნი, არამედ აწარმოებდეს მუშათა მოძრაობაზე დამყარებული რევოლუციური პარტია. ისინი ფიქრობენ, რომ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მდგომარეობდეს არა შეთქმულებათა მოწყობაში, არამედ პროლეტარიატის აღზრდასა, დისციპლინირებასა და ორგანიზაციაში, მუშათა შორის პოლიტიკურ აგიტაციაში, რომელიც ჰგმობს აბსოლუტიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, სამარცხვინო ბოძზე აკრავს პოლიციური მთავრობის ყველა რაინდს და აიძულებს ამ მთავრობას დათმობებზე წავიდეს. განა სწორედ ასეთი არ არის ს.-პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» მოქმედება? განა ეს ორგანიზაცია არ არის სწორედ ჩანასახი რევოლუციური პარტიისა, რომელიც ეყრდნობა მუშათა მოძრაობას, ხელმძღვანელობს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, კაპიტალისა და აბსოლუტური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას, არ აწყობს არავითარ შეთ-

ქმულებას და თავის ძალას პოულობს სწორედ სოციალისტური და დემოკრატიული ბრძოლის შ ე ე რ თ ე ბ ა შ ი პეტერბურგის პროლეტარიატის ერთ განუყოფელ კლასობრივ ბრძოლად? განა «კავშირის» მოღვაწეობამ, მიუხედავად მისი ხანმოკლეობისა, უკვე არ დაამტკიცა, რომ პროლეტარიატი, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, წარმოადგენს დიდ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც მთავრობა უკვე იძულებულია ანგარიში გაუწიოს და რომლის მიმართ იგი ჩქარობს დათმობაზე წავიდეს? 1897 წლის 2 ივნისის კანონი მისი გატარების სიჩქარითაც და შინაარსითაც თვალნათლივ ააშკარავებს თავის მნიშვნელობას, როგორც იძულებითს დათმობას პროლეტარიატისადმი, როგორც რუსი ხალხის მტრის ხელიდან გამოგლეჯილ პოზიციას. ეს დათმობა ფრიად მინიატურულია, პოზიცია მეტად უმნიშვნელოა, მაგრამ აკი მუშათა კლასის ის ორგანიზაციაც, რომელმაც ეს დათმობა გამოგლიჯა, არ არის არც განსაკუთრებით ფართო, არც მტკიცე, არც ხანდაზმული, არც გამოცდილებით თუ საშუალებებით მდიდარი: როგორც ვიცით, «ბრძოლის კავშირი» დაარსდა მხოლოდ 1895/96 წელს, და მისი მიმართვები მუშებისადმი მხოლოდ ჰექტოგრაფიული და ლითოგრაფიული ფურცლებით ისაზღვრებოდა. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამგვარი ორგანიზაცია, რომელიც რუსეთის მუშათა მოძრაობის უდიდეს ცენტრებს მაინც აერთიანებს (ს.-პეტერბურგის, მოსკოვ-ვლადიმირის, სამხრეთის ოლქებსა და უმნიშვნელოვანეს ქალაქებს, როგორიცაა ოდესა, კიევი, სარატოვი და სხვ.), რომელსაც აქვს რევოლუციური ორგანო და რომელიც ისეთივე ავტორიტეტით სარგებლობს რუსეთის მუშათა წრეში, როგორითაც სარგებლობს «ბრძოლის კავშირი» ს.-პეტერბურგის მუშებში, — რომ ამგვარი ორგანიზაცია უდიდესი პოლიტიკური ფაქტორი იქნებოდა თანამედროვე რუსეთში, — ისეთი ფაქტორი, რომლისთვისაც მთავრობას არ შეეძლებოდა ანგარიში არ გაეწია მთელ თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში? ამგვარი ორგანიზაცია, რომელიც უხელმძღვანელებს

პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, განავითარებს მუშათა შორის ორგანიზაციას და დისციპლინას, დაეხმარება მათ თავიანთ უახლოეს ეკონომიურ საჭიროებათათვის ბრძოლაში და კაპიტალისათვის პოზიციების ზედიზედ წართმევაში, პოლიტიკურად აღზრდის მუშებს და სისტემატურად, განუხრელად დაუწყებს დევნას აბსოლუტიზმს, დევნას დაუწყებს მეფის ყოველ ბაშიბუზუკს, რომელიც აგრძნობინებს პროლეტარიატს პოლიციური მთავრობის მძიმე ტორს, — ამავე დროს იქნებოდა ჩვენს პირობებთან შეგუებული მუშათა პარტიის ორგანიზაცია და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი რევოლუციური პარტია. ხოლო წინდაწინვე მსჯელობა იმაზე, თუ რა საშუალებას მიმართავს ეს ორგანიზაცია აბსოლუტიზმისათვის გადამწყვეტი ლახვრის ჩასაცემად, ამჯობინებს იგი, მაგალითად, აჯანყებას თუ მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვას ან შეტევის სხვა ხერხებს, — ამაზე წინდაწინ მსჯელობა და ამ საკითხის ამჟამად გადაწყვეტა ცარიელი დოქტრინიორობა იქნებოდა. ეს იმას ემგვანებოდა, რომ გენერლებს ჯარის შეკრებამდე, მის მობილიზაციამდე და მტერზე გალაშქრებამდე მოეწყოთ სამხედრო თათბირი. ხოლო როდესაც პროლეტარიატის არმია შეუპოვრად და მტკიცე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით იბრძოლებს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლებსათვის, — მაშინ ეს არმია თვითონ უჩვენებს გენერლებს მოქმედების წესებსა და საშუალებებს. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაწყდეს აბსოლუტიზმზე საბოლოო დარტყმის საკითხი, ვინაიდან საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია სწორედ მუშათა მოძრაობის მდგომარეობაზე, მის სიფართოეზე, მოძრაობის მიერ შემუშავებულ ბრძოლის ხერხებზე, მოძრაობის ხელმძღვანელი რევოლუციური ორგანიზაციის თვისებებზე, პროლეტარიატისა და აბსოლუტიზმისადმი სხვა საზოგადოებრივი ელემენტების დამოკიდებულებაზე, საგარეო და საშინაო პოლიტიკის პირობებზე, — ერთი

სიტყვით, ათას პირობაზე, რომელთა ადრევე გათვალისწინება შეუძლებელიცაა და უსარგებლოც.

ამიტომ უაღრესად უმართებულია აგრეთვე პ. ლ. ლავროვის შემდეგი მსჯელობაც:

«ხოლო თუ კი ისინი (სოციალ-დემოკრატები), ასე თუ ისე, შეაჯგუფებენ არა მარტო მუშათა ძალებს კაპიტალთან საბრძოლველად, არამედ შეაკავშირებენ რევოლუციურ პიროვნებებსა და ჯგუფებს აბსოლუტიზმთან საბრძოლველად, მაშინ რუსი სოციალ-დემოკრატები ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ (ხაზგასმა ავტორისაა) თავიანთი მოწინააღმდეგეების, ნაროდოვოლცების, პროგრამას მიიღებენ, რასაც უნდა უწოდებდნენ ისინი თავიანთ თავს. სხვადასხვა შეხედულება თემზე, რუსეთის კაპიტალიზმის ბედზე, ეკონომიურ მატერიალიზმზე კერძო საკითხებია, რომლებსაც ნამდვილი საქმისათვის მეტად მცირე მნიშვნელობა აქვთ და რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან კერძო ამოცანების, ძირითადი პუნქტების მომზადების კერძო ხერხების გადაწყვეტას, — და მეტი არაფერი» (გვ. 21, სვ. 1).

უცნაურიც კია სადავოდ გადაქცევა ამ უკანასკნელი დებულებისა, თითქოს სხვადასხვა შეხედულება რუსეთის ცხოვრებისა და რუსეთის საზოგადოების განვითარების ძირითად საკითხებზე, ისტორიის გაგების ძირითად საკითხებზე მხოლოდ «კერძო საკითხებს» ეხებოდეს! უკვე დიდი ხანია ნათქვამია, რომ რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც, და ა მ ჟ ა მ ა დ არა გვგონია საჭირო იყოს ასეთი ჭეშმარიტების მტკიცება. კლასობრივი ბრძოლის თეორია, რუსეთის ისტორიის მატერიალისტური გაგება და რუსეთის თანამედროვე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მატერიალისტური შეფასება, იმის აღიარება, რომ რევოლუციური ბრძოლა უნდა განისაზღვრებოდეს გარკვეული კლასის გარკვეული ინტერესებით და ანალიზი უნდა გაუკეთდეს სხვა კლასებისადმი ამ კლასის დამოკიდებულებას — ამ უდიდესი რევოლუციური საკითხებისათვის «კერძო

საკითხების» დარქმევა, — ისე კოლოსალურად არასწორი და მოულოდნელია რევოლუციური თ ე ო რ ი ი ს ვეტერანის მხრივ, რომ ჩვენ თითქმის მზად ვართ ეს ადგილი პირდაპირ lapsus -ად * ჩავთვალოთ. რაც შეეხება ამოწერილი ტირადის პირველ ნახევარს, მისი უმართებულობა კიდევ უფრო გასაოცარია. პრესაში იმის განცხადება, რომ რუსი სოციალ-დემოკრატები მუშათა ძალებს მხოლოდ აჯგუფებენ კაპიტალთან ბრძოლისათვის (ე. ი. მარტო ეკონომიური ბრძოლისათვის!), და არ რაზმავენ რევოლუციურ პიროვნებებს და ჯგუფებს აბსოლუტიზმთან საბრძოლველადო, — ეს ნიშნავს ან არ იცოდე, ან არ გსურდეს იცოდე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები რუსი სოციალ-დემოკრატების მოღვაწეობის შესახებ. ან, იქნებ, პ. ლ. ლავროვი არ სთვლის რუსეთში პრაქტიკულად მომუშავე სოციალ-დემოკრატებს «რევოლუციურ პიროვნებებად» და «რევოლუციურ ჯგუფებად»?! ანდა (ეს, მგონი, უფრო სწორია) აბსოლუტიზმთან «ბრძოლა» მას ესმის მხოლოდ როგორც შეთქმულება აბსოლუტიზმის წინააღმდეგ? (შეად. გვ. 21, სვეტი 2: «...საქმე ეხება... რევოლუციური შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ი ს მოწყობას»; ხაზგასმა ჩვენია.) იქნებ, პ. ლ. ლავროვის აზრით, ის, ვინც პოლიტიკურ შეთქმულებებს არ აწყობს, არც პოლიტიკურ ბრძოლას ეწევა? კიდევ ვიმეორებთ: ასეთი შეხედულება სავსებით შეეფერება ძველი ნაროდოვოლცობის ძველ ტრადიციებს, მაგრამ იგი სრულიად არ შეეფერება არც თანამედროვე წარმოდგენას პოლიტიკურ ბრძოლაზე, არც თანამედროვე სინამდვილეს.

ჩვენ კიდევ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ნაროდოპრავცებზე. ჩვენი აზრით, პ. ლ. ლავროვი სავსებით მართალია, როცა ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატები «ნაროდოპრავცებს ახასიათებენ როგორც უფრო გულახდილთ, და მზად არიან მხარი დაუჭირონ მათ, მხოლოდ ისე, რომ არ გაითქვიფონ მათში» (გვ. 19, სვ. 2); საჭიროა მხოლოდ დავუმატოთ: რო-

* — უნებლიე შეცდომა. რ ე დ.

გორც უფრო გულწრფელ დემოკრატებს და რამდენადაც ნაროდოპრავცები გამოდიან როგორც თანმიმდევარი დემოკრატები. სამწუხაროდ, ეს პირობა — უფრო სასურველი მომავალია, ვიდრე ნამდვილი აწმყო. ნაროდოპრავცებმა სურვილი გამოსთქვეს დემოკრატიული ამოცანები გაათავისუფლონ ნაროდნიკობისაგან და საზოგადოდ «რუსული სოციალიზმის» დრომოჭმულ ფორმებთან კავშირისაგან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თვითონ ისინი სრულიადაც არ არიან თავისუფალნი ძველ ცრურწმენათაგან და სრულიადაც არ არიან თანმიმდევარნი, როცა თავიანთ მარტოოდენ პოლიტიკურ გარდაქმნათა პარტიას «სოციალურ (??)-რევოლუციური» პარტია უწოდეს (იხ. მათი «მანიფესტი», 1894 წლის 19 თებერვლის თარიღით) და თავიანთ «მანიფესტში» განაცხადეს, რომ «სახალხო უფლების ცნებაში შედის სახალხო წარმოების ორგანიზაცია» (ჩვენ იძულებული ვართ ზეპირად მოვიყვანოთ ციტატი), და ამრიგად ნაროდნიკობის იმავე ცრურწმენებს აპარებენ. ამიტომ, მგონი, პ. ლ. ლავროვი მთლად შემცდარი არ იყო, როცა მათ «მასკარადის პოლიტიკოსები» უწოდა (გვ. 20, სვ. 2). მაგრამ, იქნებ, უფრო სამართლიანია ნაროდოპრავცობას ვუყურებდეთ, როგორც გარდამავალ მოძღვრებას, რომელსაც არ შეიძლება დამსახურებად არ ჩავუთვალოთ ის, რომ მას შერცხვა ნაროდნიკული დოქტრინების თვითმყოფობისა და აშკარად გაუმართა კამათი ნაროდნიკობის იმ უსაძაგლეს რეაქციონერებს, რომლებიც პოლიციურ-კლასობრივი აბსოლუტიზმის წინაშე თავიანთ თავს ნებას აძლევენ ეკონომიურ და არა პოლიტიკურ გარდაქმნათა სასურველობის შესახებ ილაპარაკონ (იხ. «საარსებო საკითხი», «ნაროდნოე პრავოს» პარტიის გამოცემა). თუ ნაროდოპრავცების პარტიაში მართლაც არავინ არის, გარდა ყოფილი სოციალისტებისა, რომლებიც ტაქტიკური მოსაზრებებით მალავენ თავიანთ სოციალისტურ დროშას და მხოლოდ არა-სოციალისტ პოლიტიკოსთა ნიღაბს იფარებენ (როგორც ფიქრობს პ. ლ. ლავროვი, გვ. 20, სვ. 2), — მაშინ, რა თქმა უნდა, ამ პარტიას არავითარი

მომავალი არა აქვს. მაგრამ თუ ამ პარტიაში არიან არა მარტო მასკარადის, არამედ ნამდვილი არა-სოციალისტი პოლიტიკოსები, არა-სოციალისტი დემოკრატები, — მაშინ ამ პარტიას მცირე სარგებლობის მოტანა როდი შეუძლია, თუ შეეცდება დაუახლოვდეს ჩვენი ბურჟუაზიის პოლიტიკურად ოპოზიციურ ელემენტებს, შეეცდება გამოაღვიძოს ჩვენი წვრილი ბურჟუაზიის, წვრილი ვაჭრების, წვრილი ხელოსნების და სხვ. კლასის პოლიტიკური თვითცნობიერება, — კლასისა, რომელმაც დასავლეთ ევროპაში ყველგან თავისი როლი შეასრულა დემოკრატიულ მოძრაობაში, რომელმაც ჩვენში, რუსეთში, განსაკუთრებით სწრაფ წარმატებებს მიაღწია კულტურული და სხვა მხრივ რეფორმისშემდგომ ეპოქაში; ამ კლასს არ შეუძლია არ გრძნობდეს ჩაგვრას პოლიციური მთავრობის მხრივ, რომელიც ცინიკურად უჭერს მხარს მსხვილ მექარხნეებს, ფინანსებისა და მრეწველობის ბობოლა-მონოპოლისტებს. ამისთვის მხოლოდ საჭიროა, რომ ნაროდოპრავცებმა ამოცანად დაისახონ სწორედ მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან დაახლოება და არ დასჯერდნენ იმავე «ინტელიგენციას», რომლის უძლურებას, მასების რეალური ინტერესებისაგან მოწყვეტის პირობებში, თვით «საარსებო საკითხიც» აღიარებს. ამისთვის აუცილებელია, რომ ნაროდოპრავცებმა მიატოვონ ყოველგვარი პრეტენზიები სხვადასხვა საზოგადოებრივი ელემენტების შეერთებისა და პოლიტიკური ამოცანების წინაშე სოციალიზმის ჩამოშორებისა, რომ მათ თავი დაანებონ ცრუ სირცხვილს, რომელიც ხელს უშლის ხალხის ბურჟუაზიულ ფენებთან დაახლოებას, ე. ი. რომ მათ არა მარტო ილაპარაკონ არა-სოციალისტ პოლიტიკოსთა პროგრამაზე, არამედ მოიქცნენ ამ პროგრამის შესაბამისად, კლასობრივი თვითცნობიერება გაუღვიძონ და განუვითარონ იმ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და კლასებს, რომლებსაც სოციალიზმი სრულებით არ ესაჭიროებათ, მაგრამ რომლებიც, რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერ გრძნობენ აბსოლუტიზმის მხრივ ჩაგვრას და პოლიტიკური თავისუფლების აუცილებლობას.

რუსეთის სოციალ-დემოკრატია ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა. იგი ეს-ეს არის გამოდის იმ ჩანასახობის მდგომარეობიდან, როცა უპირატესი ადგილი თეორიულ საკითხებს ეკავათ. ის მხოლოდ ახლა იწყებს თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის განვითარებას. სოციალ-დემოკრატიული თეორიებისა და პროგრამების კრიტიკის ნაცვლად სხვა ფრაქციების რევოლუციონერები, აუცილებლობის გამო, უნდა გამოდიოდნენ რუსი სოციალ-დემოკრატების პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ი ს კრიტიკით. და უნდა აღვიაროთ, რომ ეს უკანასკნელი კრიტიკა მეტად მკვეთრად განირჩევა თეორიული კრიტიკისაგან, იმდენად განირჩევა, რომ შესაძლებელი გახდა სასაცილო ჭორის შეთხზვა, თითქოს ს.-პეტერბურგის «ბრძოლის კავშირი» არა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყოს. ასეთი ჭორის თვით შესაძლებლობა უკვე გვიჩვენებს, რომ უმართებულოა სოციალ-დემოკრატებისადმი მიმართული ის გაცვეთილი ბრალდება, თითქოს ისინი უგულებელჰყოფენ პოლიტიკურ ბრძოლას. ასეთი ჭორის თვით შესაძლებლობა უკვე მოწმობს იმას, რომ მრავალი რევოლუციონერი, რომელიც ვერ დაარწმუნა სოციალ-დემოკრატების თ ე ო რ ი ა მ, მათი პ რ ა ქ ტ ი კ ი თ რწმუნდება.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაშე მუშაობის ჯერ კიდევ ვეებერთელა, ოდნავ დაწყებული ასპარეზია გადაშლილი. რუსეთის მუშათა კლასის გაღვიძება, მისი სტიქიური მისწრაფება ცოდნისადმი, გაერთიანებისადმი, სოციალიზმისადმი, თავისი ექსპლუატატორებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლისადმი დღითი-დღე სულ უფრო და უფრო აშკარავდება და ფართოვდება. გიგანტური წარმატებანი, რომელთაც რუსეთის კაპიტალიზმი უკანასკნელ დროს აღწევს, იმის საწინდარია, რომ მუშათა მოძრაობა შეუჩერებლივ გაფართოვდება და გაღრმავდება. ამჟამად, როგორც სჩანს, კაპიტალისტური ციკლის იმ პერიოდს განვიცდით, როდესაც მრეწველობა «ჰყვავის», გაცხოველებული ვაჭრობა სწარმოებს, ფაბრიკები მთელი დატვირთვით მუშაობენ და, როგორც წვიმის შემდეგ

სოკოები, ისე ჩნდებიან ახალ-ახალი უამრავი ქარხნები, ახალი საწარმოები, სააქციო საზოგადოებანი, სარკინიგზო ნაგებობანი და სხვ. და სხვ. საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ წინასწარ განჭვრიტო ის აუცილებელი კრახი (ცოტად თუ ბევრად მძაფრი), რომელიც უნდა მოჰყვეს მრეწველობის ამ «აყვავებას». ასეთი კრახი გააჩანაგებს მრავალ წვრილ მეპატრონეს, მუშათა მასებს გადაისვრის უმუშევართა რიგებში და, ამრიგად, მთელი მუშათა მასების წინაშე მწვავე ფორმით დააყენებს სოციალიზმისა და დემოკრატიზმის იმ საკითხებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია დგას ყოველი შეგნებული, ყოველი დაკვირვებული მუშის წინაშე. რუსმა სოციალ-დემოკრატებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ამ კრახს რუსეთის პროლეტარიატი დაუხვდეს უფრო გათვითცნობიერებული, უფრო გაერთიანებული, რომელსაც შეგნებული ექნება რუსეთის მუშათა კლასის ამოცანები, შეეძლება გაუმკლავდეს კაპიტალისტების კლასს, რომლებიც დღეს გიგანტურ მოგებას იმკიან და ცდილობენ ზარალი მუდამ მუშებს დააკისრონ, — შეეძლება სათავეში ჩაუდგეს რუსეთის დემოკრატიას გადამწყვეტ ბრძოლაში პოლიციური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, რომელიც ხელფეხს უბორკავს რუს მუშებს და მთელ რუს ხალხს.

მაშ, ხელი მივყოთ მუშაობას, ამხანაგებო! ნუ დავკარგავთ ძვირფას დროს! რუს სოციალ-დემოკრატებს ბევრი საქმე აქვთ შესასრულებელი ახლად გამოღვიძებული პროლეტარიატის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მუშათა მოძრაობის მოსაწყობად, რევოლუციური ჯგუფებისა და მათი ურთიერთკავშირის განსამტკიცებლად, პროპაგანდისტული და სააგიტაციო ლიტერატურით მუშების მოსამარაგებლად, მთელ რუსეთში გაფანტული მუშათა წრეებისა და სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების გასაერთიანებლად ერთიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად!

———

პეტერბურგის მუშებსა და სოციალისტებს — «ბრძოლის კავშირისაგან»

მძიმე დროს განიცდიან პეტერბურგის რევოლუციონერები. მთავრობამ თითქოს მთელი ძალები მოიკრიბა, რომ გასრისოს ახლახან ჩასახული და ასეთი სიძლიერით გამოვლინებული მუშათა მოძრაობა. დაპატიმრებამ არაჩვეულებრივი ფართო ხასიათი მიიღო, საპყრობილეები აივსო. აპატიმრებენ ინტელიგენტებს, კაცებსა და ქალებს, აპატიმრებენ და მასობრივად ასახლებენ მუშებს. თითქმის ყოველდღე მოგვდის ამბავი, რომ ახალ-ახალ მსხვერპლს იწირავს პოლიციური მთავრობა, რომელიც გაცოფებული ეკვეთა თავის მტრებს. მთავრობამ ამოცანად დაისახა მოღონიერებისა და ფეხზე დადგომის საშუალება არ მისცეს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ახალ მიმდინარეობას. პროკურორები და ჟანდარმები უკვე იკვეხნიან, გავანადგურეთ «ბრძოლის კავშირიო».

ეს კვეხნა — სიცრუეა. «ბრძოლის კავშირი», მიუხედავად ყოველგვარი დევნისა, უვნებელია. სრული კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მასობრივი დაპატიმრებანი სამსახურს გვიწევენ, რადგან ისინი ძლიერი სააგიტაციო იარაღია მუშებსა და ინტელიგენტ-სოციალისტებს შორის, რომ დაღუპული რევოლუციონერების ადგილას ჩნდებიან ახლები, რომლებიც მზად არიან ახალი ძალღონით ჩადგნენ რუსეთის პროლეტარიატისა და მთელი რუსი ხალხისთვის მებრძოლთა რიგებში. უმსხვერპლოდ ბრძოლა შეუძლებელია, და მეფის ბაშიბუზუკთა მხეცურ თარეშზე ჩვენ დამშვიდებით ვუპასუხებთ: რევოლუციონერები დაიღუპნენ — გაუმარჯოს რევოლუციას!

დევნის გაძლიერებამ დღემდე გამოიწვია მხოლოდ «ბრძოლის კავშირის» ცალკეული ფუნქციების დროებითი

შესუსტება, აგენტებისა და აგიტატორების დროებითი ნაკლებობა. სწორედ ასეთ ნაკლებობას ვგრძნობთ ახლა და ეს გვაიძულებს მოწოდებით მივმართოთ ყველა შეგნებულ მუშას და ყველა ინტელიგენტს, რომელთაც სურთ თავისი ძალღონე რევოლუციური საქმის სამსახურს შეალიონ. «ბრძოლის კავშირს» აგენტები ესაჭიროება. დაე ყველა წრემ და ყველა ცალკე პირმა, რომელსაც კი სურს მუშაობა რევოლუციური საქმიანობის რომელიმე, თუნდ სულ ვიწრო სფეროში, განუცხადოს ამის შესახებ იმათ, ვისაც კავშირი აქვს «ბრძოლის კავშირთან». (თუ, ვინიცობაა, რომელიმე ჯგუფი ვერ მონახავს ასეთ პირთ, — რაც ძნელად დასაჯერებელია, — მას შეუძლია მიმართოს საზღვარგარეთული «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» საშუალებით.) მუშაკები საჭირო ყრიან ყოველგვარი მუშაობისთვის, და რაც უფრო მტკიცედ დასპეციალდებიან რევოლუციონერები რევოლუციური მოღვაწეობის ცალკეულ ფუნქციებში, რაც უფრო კარგად მოიფიქრებენ ისინი თავიანთი საქმის კონსპირაციულ ხერხებს და საფარს, რაც უფრო თავდადებით ჩაიკეტებიან პატარა, უჩინარ, ნაწილობრივს მუშაობაში, — მით უფრო საიმედო იქნება მთელი საქმე, მით უფრო გაუჭირდებათ რევოლუციონერების აღმოჩენა ჟანდარმებსა და ჯაშუშებს. მთავრობამ წინდაწინვე თავისი აგენტების ქსელში გაახვია მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტების არა მარტო ახლანდელი, არამედ აგრეთვე შესაძლო, მოსალოდნელი კერები. მთავრობა განუხრელად აფართოებს და აღრმავებს თავის იმ მსახურთა მოქმედებას, რომელნიც რევოლუციონერებს სდევნიან, იგონებს ახალ ხერხებს, აყენებს ახალ პროვოკატორებს, ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს პატიმრებზე დაშინების, ცრუ ჩვენებათა, ყალბ ხელმოწერათა წარდგენის, ყალბი წერილების შეგდების გზით და სხვ. საშუალებებით. მთავრობასთან ბრძოლა შეუძლებელია რევოლუციური დისციპლინის, ორგანიზაციისა და კონსპირაციის გაუძლიერებლად და განუვითარებლად. კონსპირაცია კი უწინარეს ყოვლისა მოითხოვს ცალკეული წრეებისა და პირების

სპეციალიზაციას მუშაობის ცალკეულ ფუნქციებში და გამაერთიანებელი როლის მინიჭებას «ბრძოლის კავშირის» ცენტრალური ბირთვისათვის, რომელიც წევრთა რაოდენობის მხრივ ყველაზე მცირერიცხოვანი იქნება. რევოლუციური მუშაობის ცალკეული ფუნქციები მეტად მრავალფეროვანია: საჭირო არიან ლეგალური აგიტატორები, რომლებსაც ისე შეუძლიათ ლაპარაკი მუშებში, რომ ამისათვის სამართალში ვერ მისცემენ და რომლებიც მხოლოდ a-ს იტყვიან, ხოლო b-ს და c-ს სხვებს ათქმევინებენ. საჭირო არიან ლიტერატურის, ფურცლების გამავრცელებელნი. საჭირო არიან მუშათა წრეებისა და ჯგუფების ორგანიზატორები. საჭირო არიან კორესპონდენტები ყველა ფაბრიკიდან და ქარხნიდან, რომლებიც მოგვაწვდიან ცნობებს ყველა მომხდარი ამბის შესახებ. საჭირო არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ჯაშუშებსა და პროვოკატორებს ადევნებენ თვალყურს. საჭირო არიან კონსპირაციული ბინების მომწყობნი. საჭირო არიან ადამიანები ლიტერატურის გადასაცემად, დავალებათა გადასაცემად, ყოველგვარი კავშირურთიერთობის დასამყარებლად. საჭირო არიან ფულის შემგროვებელნი. საჭირო არიან აგენტები ინტელიგენციასა და მოხელეობაში, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ მუშებთან, იცნობენ ფაბრიკა-ქარხნის ყოფა-ცხოვრებას, ადმინისტრაციას (პოლიციას, საფაბრიკო ინსპექციას და სხვ.). საჭირო არიან ადამიანები რუსეთისა და სხვა ქვეყნების სხვადასხვა ქალაქთან კავშირის გასაბმელად. საჭირო არიან ადამიანები ყოველგვარი ლიტერატურის მექანიკური გამრავლების სხვადასხვა საშუალების მოსაწყობად. საჭირო არიან ადამიანები ლიტერატურისა და სხვა საგნების შესანახავად და სხვ. და სხვ. რაც უფრო დანაწილებული, დაწვრილმანებული იქნება ის საქმე, რომელსაც იკისრებს ცალკეული პირი ან ცალკეული ჯგუფი, — მით უფრო მეტი შანსია, რომ იგი გონივრულად მოაწყობს ამ საქმეს, უკეთესად უზრუნველჰყოფს მას ჩავარდნისაგან, მოიფიქრებს ყველა კონსპირაციულ წვრილმანს, გამოიყენებს ყოველგვარ საშუა-

ლებას ჟანდარმების სიფხიზლის მოსატყუებლად და შეცდომაში შესაყვანად, მით უფრო საიმედოა საქმის წარმატება, მით უფრო გაუჭირდებათ პოლიციას და ჟანდარმებს თვალყური ადევნონ რევოლუციონერს და ორგანიზაციასთან მის კავშირს, მით უფრო ადვილად შესცვლის რევოლუციური პარტია დაღუპულ აგენტებსა და წევრებს სხვებით, მთელი საქმის დაუზარალებლად. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი სპეციალიზაცია ძალიან ძნელი საქმეა, ძნელია იმიტომ, რომ იგი ადამიანისაგან მოითხოვს დიდ გამძლეობას და დიდ თავდადებას, მოითხოვს მთელი ძალღონის შეწირვას უჩინარი, ერთფეროვანი, ამხანაგებისაგან განმარტოებული მუშაობისათვის, რომელიც რევოლუციონერის მთელ ცხოვრებას მშრალსა და მკაცრ რეგლამენტაციას უმორჩილებს. მაგრამ რუსეთის რევოლუციური პრაქტიკის კორიფეები მხოლოდ ასეთ პირობებში ახორციელებდნენ ყველაზე გრანდიოზულ წამოწყებებს, მთელ წლებს ანდომებდნენ საქმის ყოველმხრივ მომზადებას, და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სოციალ-დემოკრატები ნაკლებ თავდადებას არ გამოიჩენენ, ვიდრე წინა თაობათა რევოლუციონერები. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული სისტემის მიხედვით ბევრ პირთათვის, რომელნიც ისწრაფვიან თავიანთი ძალღონე რევოლუციურ მუშაობას მოახმარონ, ძალიან მძიმე იქნება ეს მოსამზადებელი პერიოდი, სანამ «ბრძოლის კავშირი» შეჰკრებს შესაფერ ცნობებს მუშაობის მსურველი პირისა თუ ჯგუფის შესახებ და გამოსცდის მის უნარს ცალკეული დავალების შესრულებით. მაგრამ თანამედროვე რუსეთში ასეთი წინასწარი გამოცდის გარეშე რევოლუციური მოღვაწეობა შეუძლებელია.

ვურჩევთ რა მოღვაწეობის ასეთ სისტემას ჩვენს ახალ ამხანაგებს, გამოვთქვამთ დებულებებს, რომელთაც გვიკარნახებს ხანგრძლივი გამოცდილება. ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ რევოლუციური მუშაობის წარმატება ყველაზე უფრო უზრუნველყოფილი იქნება ამ სისტემით.

Владиміръ Ильинъ.

ЭКОНОМИЧЕСКІЕ ЭТЮДЫ И СТАТЬИ.

Къ характеристикѣ экономическаго романтизма. — Пермская кустарная перепись. — Перлы народническаго проженерства. — Отъ какого наслѣдства мы отказываемся? — Къ вопросу о нашей фабрично-заводской статистикѣ.

С.-ПЕТЕРБУРГЪ.
Типо-литографія А. Лейферта. Бол. Морская, 65.
1899.

გარეკანი ვ. ილინის (ვ. ი. ლენინის) სტატიათა კრებულისა
«ეკონომიური ეტიუდები და სტატიები»

28 ტ. 2

შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894/95 წელს და «შინამრეწველობის» ზოგადი საკითხები [87]

დაწერილია გადასახლებაში 1897 წ.

პირველად დაიბეჭდა 1898 წ. კრებულში: ვლადიმირ ილინი — «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები»

იბეჭდება კრებულის «ეკონომიური ეტიუდები და სტ.ტიები» ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია ტექსტთან კრებულისა: ვ ლ. ი ლ ი ნ ი — «აგრარული საკითხი», 1908 წ.

სტატია პირველი

(I. ზოგადი მონაცემები. — II. «შინამრეწველი» და დაქირავებული შრომა. — III. «თემურ-შრომითი თანამომდევნობა»)

პერმის სამეცნიერო საზოგადოებებმა, ერობის მონაწილეობით, ხელი მოჰკიდეს ნიჟნი-ნოვგოროდის 1896 წლის გამოფენისათვის ვრცელი ნაშრომის გამოცემას, რომლის საერთო სათაურია: «პერმის მხარის მიმოხილვა». შეკრებილია 200 თაბახზე მეტი მასალა; მთელმა გამოცემამ რვა ტომი უნდა შეადგინოს. ჩვეულებისამებრ, მისი დამთავრება გამოფენისათვის ვერ მოასწრეს, და ჯერჯერობით გამოცემულია მხოლოდ პირველი ტომი, რომელიც შეიცავს გუბერნიის შინამრეწველობის ნარკვევს *. «ნარკვევი» მის საფუძვლად დადებული მასალის სიახლის, სიუხვისა და სისრულის მიხედვით უდიდეს ინტერესს იწვევს. მასალა შეგროვილია შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს სპეციალური ა ღ წ ე რ ი თ, რაც მოუხდენიათ 1894/95 წელს ერობის სახსრებით. ამასთან აღწერა იყო კომლობრივი, გამოკითხულ იქნა თვითეული მეკომური ცალცალკე. ცნობებს საერობო უფროსები აგროვებდნენ. კომლობრივი გამოკვლევის პროგრამა ძლიერ ფართო იყო; იგი მოიცავდა შინამრეწველ-მეპატრონეთა ოჯახების პირად შემადგენლობასაც, შინამრეწველთა მიერ გამოყენებულ დაქირავებულ

* «პერმის მხარის მიმოხილვა. პერმის გუბერნიის შინამრეწველობის მდგომარეობის ნარკვევი». გამოცემულია პერმის საგუბ. ერობის სახსრებით. პერმი. 1896. გვ. II+365+232 ცხრილის ფურცელი, 16 დიაგრამა და პერმის გუბერნიის რუკა. ფ. 1 მ. 50 კაპ.

შრომასაც, სოფლის მეურნეობასაც, ცნობებსაც ნედლეულის დამზადების, წარმოების ტექნიკის, წლის თვეების მიხედვით სამუშაოს განაწილების, პროდუქტების გასაღების, საწარმოთა წარმოშობის დროისა და შინამრეწველთა დავალიანების შესახებ. რამდენადაც ვიცით, ასეთი უხვი ცნობები ჩვენს ლიტერატურაში თითქმის პირველად ქვეყნდება. მაგრამ ვისაც მეტი აქვს, მეტიც მოეთხოვება. მასალის სიუხვე უფლებას გვაძლევს მკვლევარებს ამ მასალის საფუძვლიანად დამუშავების მოთხოვნა წავუყენოთ; ამ მოთხოვნებს კი «ნარკვევი» ოდნავადაც კი ვერ აკმაყოფილებს სრულად. ცხრილების მონაცემებშიც, მათი დაჯგუფებისა და დამუშავების წესშიც მრავალი ხარვეზია, რომელთა შევსება ნაწილობრივ უხდებოდა ავტორს წიგნიდან სათანადო ცნობების ამოკრეფისა და გამოანგარიშების გზით.

ჩვენ განზრახვა გვაქვს მკითხველებს გავაცნოთ აღწერით შეკრებილი მასალა, მისი დამუშავების წესები და ის დასკვნები, რაც იმ მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ჩვენი «შინამრეწველობის სარეწების» ეკონომიურ სინამდვილეს ეხება. ჩვენ ხაზს ვუსვამთ სიტყვებს: «ეკონომიურ სინამდვილეს», რადგან საკითხს ვაყენებთ მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა არის სინამდვილეში, და ეს სინამდვილე რატომ არის სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი. რაც შეეხება იმას, რომ პერმის გუბერნიის შესახები ცნობებიდან გამოტანილ დასკვნებს ვავრცელებთ საზოგადოდ ყველა «ჩვენს შინამრეწველობის სარეწზე», ასეთი გავრცელების კანონიერებაში მკითხველი დარწმუნდება ქვემონათქვამიდან, ვინაიდან პერმის გუბერნიაში «შინამრეწველობის» სახეობანი ფრიად მრავალფეროვანია და მოიცავენ მის ყოველნაირ სახეს, რომელთა შესახებაც კი ცნობები როდისმე გამოქვეყნებულა შინამრეწველობის სარეწთა ლიტერატურაში.

მკითხველს მხოლოდ ძალიან ვთხოვთ, რაც შეიძლება ზუსტად გაარჩიოს ერთმანეთისაგან შემდგომი გადმოცემის ორი

მხარე: ერთის მხრივ, ფაქტიური ცნობების შესწავლა და დამუშავება და, მეორე მხრივ, «ნარკვევის» ავტორთა ნაროდნიკულ შეხედულებათა შეფასება.

I

ზოგადი მოსაზრებები

შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერამ გუბერნიის ყველა მაზრაში მოიცვა შინამრეწველთა 8 991 ოჯახი (დაქირავებულ მუშათა ოჯახების ჩაუთვლელად), ე. ი. პერმელ შინამრეწველთა მთელი რაოდენობის 72%, როგორც ამას ფიქრობენ მკვლევარები, რომლებიც სხვა ცნობებით ითვლიან კიდევ 3 484 ოჯახს. «ნარკვევში» მიღებული ძირითადი დანაწილება შინამრეწველებისა ტიპების მიხედვით მდგომარეობს იმაში, რომ განასხვავებენ შინამრეწველთა ორ ჯგუფს (ცხრილებში ჯგუფები აღნიშნულია რომაული ციფრებით I და II), სახელდობრ ისეთებს, რომელთაც აქვთ სამიწათმოქმედო მეურნეობა (I), და ისეთებს, რომელთაც იგი არა აქვთ (II); შემდეგ თვითეული ჯგუფის სამ ქვეჯგუფს (არაბული ციფრები: 1, 2, 3), სახელდობრ: 1) შინამრეწველნი, რომელნიც თავისუფალი გაყიდვისათვის მუშაობენ; 2) შინამრეწველნი, რომელნიც შემკვეთ-მომხმარებელთათვის მუშაობენ, და 3) შინამრეწველნი, რომელნიც შემკვეთ-შემყიდველთათვის მუშაობენ. ორ უკანასკნელ ქვეჯგუფში შინამრეწველს ნედლეული მეტწილად შემკვეთისაგან ეძლევა. ცოტა შევჩერდეთ ამ დაჯგუფებაზე. თავისთავად იგულისხმება, რომ შინამრეწველთა დანაწილება მიწათმოქმედად და არამიწათმოქმედად სავსებით საფუძვლიანი და აუცილებელია. პერმის გუბერნიაში იმ უმიწაწყლო შინამრეწველთა სიმრავლემ, რომელნიც ხშირად საქარხნო სოფლებში არიან თამოყრილნი, ავტორები აიძულა ეს დაჯგუფება სისტემატურად ეწარმოებინათ და ცხრილებში შეეტანათ იგი. ამრიგად ჩვენ ვიგებთ, რომ შინამრეწველთა მთელი რიცხვის $^1/_3$ (8 991 საწარმოში 19 970 შინამუშა და დაქირავებული მუშაა), სახელდობრ

6 638 კაცი ეკუთვნის სამიწათმოქმედო მეურნეობის უქონელთა რიცხვს *. მაშასადამე, უკვე აქედან სჩანს, რომ ზუსტი არ არის ჩვეულებრივი ვარაუდები და მტკიცებანი მიწათმოქმედებასთან შინამრეწველობის კავშირის შესახებ, როგორც საერთო მოვლენის შესახებ, — კავშირისა, რასაც ზოგჯერ რუსეთის განსაკუთრებულ თვისებადაც კი სთვლიან. «შინამრეწველთა» რიცხვს, მათზე უმართებულოდ მიწერილი სოფლის (და ქალაქის) ხელოსნები რომ გამოვაკლოთ, დანარჩენი 5 566 ოჯახიდან უმიწაწყლოა 2 268, ე. ი. ბაზრისთვის მომუშავე მრეწველთა მთელი რაოდენობის $^2/_5$-ზე მეტი. სამწუხაროდ, «ნარკვევში» ეს ძირითადი დაჯგუფებაც როდია თანმიმდევრობით გატარებული. ჯერ-ერთი, იგი მოყვანილია მხოლოდ შინამრეწველ-მეპატრონეთა შესახებ, დაქირავებული მუშების შესახებ კი ასეთი ცნობები არ არის. ეს ხარვეზი იმის შედეგია, რომ შინამრეწველობის აღწერამ საერთოდ გვერდი აუარა დაქირავებულ მუშებსა და მათს ოჯახებს, აღნუსხავდა მხოლოდ საწარმოებს, მხოლოდ მეპატრონეებს. ამ სიტყვათა ნაცვლად «ნარკვევში» ფრიად არაზუსტად ხმარობენ გამოთქმას: «შინამრეწველობის სარეწების მიმდევარი ოჯახები», ვინაიდან შინამრეწველებისათვის დაქირავებულ მუშათა მიმწოდებელი ოჯახები, ცხადია, არანაკლებ «მისდევენ შინამრეწველობის სარეწებს», ვიდრე მუშების დამქირავებელი ოჯახები. დაქირავებულ მუშათა ოჯახების შესახებ (მათი რიცხვი მუშათა მთელი რიცხვის $^1/_4$-ს უდრის). კომლობრივი ცნობების უქონლობა აღწერის მნიშვნელოვანი ხარვეზია. ეს ხარვეზი ფრიად დამახასიათებელია ნაროდნიკებისათვის, რომელნიც ერთბაშად წვრილი მწარმოებლის თვალსაზრისზე დგებიან და დაქირავებულ შრომას ჩრდილში სტოვებენ. ქვემოთ ჩვენ კიდევ არა ერთხელ შევხვდებით ხარვეზებს დაქირავებულ მუშათა შესახებ შეგროვებულ ცნობებში, ჯერჯერობით კი დავკმაყოფილდებით შენიშვნით, რომ თუმცა დაქი-

* ნამდვილად მრეწველთა ერთ მესამედზე მეტი უმიწაწყლოა, ვინაიდან აღწერაში მხოლოდ ერთი ქალაქი შედის. ამაზე ქვემოთ.

რავებულ მუშათა ოჯახების შესახებ ცნობების უქონლობა შინამრეწველობის სარეწების ლიტერატურაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ გამონაკლისებიც არის. მოსკოვის საერობო სტატისტიკის შრომებში ხანდახან გვხვდება დაქირავებულთა ოჯახების შესახებ სისტემატურად შეკრებილი ცნობები; კიდევ უფრო მეტია ასეთი ცნობები ბატონ ხარიზომენოვისა და პრუგავინის ცნობილ გამოკვლევაში: «ვლადიმირის გუბერნიის სარეწები», სადაც არის კომლობრივი აღწერაც, რომელშიც მეპატრონეთა ოჯახების თანაბრად რეგისტრირებულია დაქირავებულ მუშათა ოჯახები. მეორე, ჩათვალეს რა შინამრეწველთა რიცხვში მრავალი უმიწაწყლო მრეწველი, მკვლევარებმა, ბუნებრივია, ძირი გამოუთხარეს ჩვეულებრივს, სრულიად უმართებულო, წესს — «შინამრეწველთა» რიცხვიდან ქალაქელ მრეწველთა გამორიცხვას. და ჩვენ, მართლაც, ვხედავთ, რომ შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერაში შევიდა ერთი ქალაქი — კუნგური (ცხრილების 33 გვ.), მაგრამ მხოლოდ ერთი. «ნარკვევში» არავითარი განმარტება არ არის, და გაუგებარი რჩება, აღწერაში რატომ ერთი და სახელდობრ ეს ქალაქი შევიდა, შემთხვევითაა ეს თუ რაიმე მოსაზრების გამო. გამოდის საკმაოდ დიდი არევ-დარევა, რაც საერთო ცნობებს ძალიან აფუჭებს. საერთოდ და მთლიანად, შინამრეწველობის აღწერა, მაშასადამე, იმეორებს ჩვეულებრივ ნაროდნიკულ შეცდომას — სოფლისა («შინამრეწველის») და ქალაქის გამოყოფას, თუმცა ცნობილი სამრეწველო რაიონი ხშირად შეიცავს ქალაქს და გარშემო მდებარე სოფლებს. დიდი ხანია დროა უკუვაგდოთ ეს გამოყოფა, რაც დამყარებულია ცრურწმენასა და დრომოჭმულ წოდებრივ ზღუდეთა გაზვიადებაზე.

ჩვენ უკვე არა ერთხელ მოვიხსენიეთ სოფლისა და ქალაქის ხელოსნები, ხან გამოვყოფდით მათ შინამრეწველთაგან, ხან შეგვქონდა მათს რიცხვში. საქმე ისაა, რომ ეს მერყეობა ახასიათებს «შინამრეწველობის» სარეწების მთელ ლიტერატურას და ამტკიცებს, რომ მეცნიერულ გამოკვლევათათვის

უვარგისია ისეთი ტერმინი, როგორიცაა «შინამრეწველი». საყოველთაოდ მიღებულად ითვლება ის აზრი, რომ შინამრეწველებს უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ ბაზრისათვის მომუშავენი, მხოლოდ საქონელმწარმოებელნი; მაგრამ ნამდვილად ადვილი როდია შინამრეწველობის სარეწების ისეთი გამოკვლევის ნახვა, სადაც შინამრეწველთა რიცხვში ხელოსნებიც, ე. ი. შემკვეთ-მომხმარებელთათვის მომუშავენიც არ შედიოდნენ («ნარკვევის» მიხედვით მე-2 ქვეჯგუფი). «შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის შრომებშიც», «მოსკოვის გუბერნიის სარეწებშიც» ხელოსნებს შეხვდებით «შინამრეწველთა» რიცხვში. ჩვენ უსარგებლოდ მიგვაჩნია დავა სიტყვა «შინამრეწველის» აზრის შესახებ, ვინაიდან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ არსებობს მრეწველობის ისეთი ფორმა (გარდა, შეიძლება, სამანქანო ინდუსტრიისა), რომელიც არ შეჰქონდეთ მეცნიერულ გამოკვლევათათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარ ამ ტრადიციულ ტერმინში. ეჭვს გარეშეა, რომ სასტიკად უნდა გავარჩიოთ ბაზრისთვის მომუშავე საქონელმწარმოებელნი (1-ლი ქვეჯგუფი) ხელოსანთაგან, რომელნიც მომხმარებელთათვის მუშაობენ (მე-2 ქვეჯგუფი), ვინაიდან მრეწველობის ეს ფორმები თავისი საზოგადოებრივ-სამეურნეო მნიშვნელობით სრულიად სხვადასხვაგვარ ტიპებს წარმოადგენენ. ფრიად უხეიროა «ნარკვევის» ცდა მიაფუჩეჩოს ეს განსხვავება (შად. გვ. 13, 177); ბევრად უფრო მართებულად იყო აღნიშნული პერმის შინამრეწველთა შესახებ მეორე საერობო-სტატისტიკურ გამოცემაში, რომ «ხელოსნებს შინამრეწველობის დარგთან ძალიან მცირე რამ აქვთ საერთო, — უფრო ნაკლები, ვიდრე ამ უკანასკნელს საფაბრიკო მრეწველობასთან» *. საფაბრიკო მრეწველობაც და

* «პერმის გუბერნიის შინამრეწველობა ციმბირ-ურალის სამეცნიერო-სამრეწველო გამოფენაზე ქალაქ ეკატერინბურგში 1887 წელს» ე. კრასნოპეროვისა. 3 ნაკვეთი. პერმი, 1888 — 1889. ნაკვ. I, გვ. 8. ჩვენ ციტატებს მოვიყვანთ ამ სასარგებლო გამოცემიდან, და აღვნიშნავთ მოკლედ: «შინამრეწ.», ნაკვ. და გვერდი.

«შინამრეწველთა» 1-ლი ქვეჯგუფიც ეკუთვნის სასაქონლო წარმოებას, რაც მე-2 ქვეჯგუფში არ არის. ასევე ზუსტად უნდა განვასხვავებდეთ მე-3 ქვეჯგუფსაც, შემყიდველთათვის (და მეფაბრიკეთათვის) მომუშავე შინამრეწველებს, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან პირველი ორი ქვეჯგუფის «შინამრეწველთაგან». არ შეიძლება არ ვისურვოთ, რომ ეგრეთწოდებული «შინამრეწველობის» ყველა მკვლევარი ზუსტად იცავდეს ამ დაყოფას და ხმარობდეს ზუსტ პოლიტიკურ-ეკონომიურ ტერმინებს იმის მაგივრად, რომ სალაპარაკო ტერმინებში თვითნებური შინაარსი შეჰქონდეს.

მოვიყვანოთ მონაცემები «შინამრეწველთა» ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დანაწილების შესახებ:

	ჯგუფი I				ჯგუფი II				
	ქვეჯგუფები			ყველა	ქვეჯგუფები			ყველა	ერთად
	1	2	3		1	2	3		
საწარმოთა რიცხვი	2 285	2 821	1 013	6 119	935	604	1 333	2 872	8 991
	37,3	46,1	16,6	100	32,6	21,0	46,4	100	—
მუშათა რიცხვი: შინამუშა	4 201	4 146	1 957	10 304	1 648	881	2 233	4 762	15 066
მუშათა რიცხვი: დაქირავებული	1 753	681	594	3 028	750	282	844	1 876	4 904
მუშათა რიცხვი: სულ	5 954	4 827	2 551	13 332	2 398	1 163	3 077	6 638	19 970
საწარმოთა რიცხვი დაქირავებული ხუშებით	700	490	251	1 441	353	148	482	988	2 424

ვიდრე ამ მონაცემებიდან დასკვნებს გავაკეთებდეთ, გავიხსენოთ, რომ ქალაქი კუნგური შესულია II ჯგუფში, რომელიც, ამრიგად, შეიცავს შერეულ ცნობებს სოფლელ და ქალაქელ მრეწველთა შესახებ. ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მიწათმოქმედნი (I ჯგუფი) მნიშვნელოვნად სჭარბობენ რაოდენობით სოფლელ მრეწველებსა და ხელოსნებს და უფრო ჩამორჩენილნი არიან მრეწველობის ფორმათა განვითარებაში, ვიდრე არამიწათმოქმედნი (II ჯგუფი). მიწათმოქმედთა შორის ბევრად უფრო განვითარებულია პრიმიტიული ხელოსნობა საბაზრო წარმოებასთან შედარებით. არამიწათმოქმედ-

თა შორის კაპიტალიზმის უფრო მეტი განვითარება გამოიხატება იმით, რომ იქ უფრო მეტია პროცენტი დაქირავებული მუშებისა, საწარმოებისა დაქირავებული მუშებით და შემყიდველთათვის მომუშავე შინამრეწველებისა. მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიწათმოქმედებასთან კავშირი ახანგრძლივებს მრეწველობის უფრო ჩამორჩენილ ფორმებს და, პირიქით, მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარება იწვევს მის ჩამოშორებას მიწათმოქმედებისაგან. სამწუხაროდ, ამ საგნის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება და ასეთ მიახლოებულ მითითებებს უნდა დავჯერდეთ. მაგ., «ნარკვევიდან» ვერ ვიგებთ, როგორ ნაწილდება საერთოდ პერმის გუბერნიის სოფლის მოსახლეობა მიწათმოქმედთა და უმიწაწყლოთა შორის, და ამიტომ არ შეგვიძლია შევადაროთ, ამ თანრიგთაგან სარეწები რომელში უფრო ძლიერ არის განვითარებული. უგულებელყოფილი დარჩა აგრეთვე ფრიად საინტერესო საკითხი მრეწველობის რაიონების შესახებ (ამის შესახებ მკვლევარებს სავსებით ზუსტი ცნობები ჰქონდათ თვითეულ სოფელში ცალ-ცალკე), არასამიწათმოქმედო, საქარხნო, საერთოდ სავაჭრო-სამრეწველო სოფლებში მრეწველთა კონცენტრაციის შესახებ, მრეწველობის თვითეული დარგის ცენტრების შესახებ, ამ ცენტრებიდან გარშემო მდებარე სოფლებში სარეწების გავრცელების შესახებ. თუ ამას დავუმატებთ, რომ კომლობრივი ცნობები საწარმოთა წარმოშობის დროის შესახებ (მათ შესახებ ქვემოთ, § III) საშუალებას იძლეოდა განგვესაზღვრა სარეწთა განვითარების ხასიათი, ე. ი. გამოგვერკვია, ვრცელდებიან ისინი ცენტრებიდან გარშემო მდებარე სოფლებისაკენ თუ პირიქით, ვრცელდებიან უფრო მეტად მიწათმოქმედთა თუ არამიწათმოქმედთა შორის და სხვ., არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ ცნობების არასაკმაო დამუშავების გამო. ყველაფერი, რაც კი შეგვიძლია მივიღოთ ამ საკითხზე, — ეს არის ცნობები მაზრების მიხედვით სარეწების განლაგების შესახებ. მკითხველისთვის ამ ცნობათა გასაცნობად გამოვიყენოთ მაზრების ჯგუფებად და-

ყოფა, როგორც ეს «ნარკვევშია» მოცემული (გვ. 31): 1) «მაზრები, სადაც საბაზროდ მომუშავე შინამრეწველთა პროცენტი უდიდესია და, ამასთან ერთად, შინამრეწველობის განვითარების დონე შედარებით მაღალია» — 5 მაზრა; 2) «მაზრები, სადაც შინამრეწველობის სარეწების განვითარება შედარებით სუსტია, მაგრამ სადაც საბაზროდ მომუშავე შინამრეწველთა რიცხვი სჭარბობს» — 5 მაზრა და 3) «მაზრები, სადაც შინამრეწველობის განვითარების დონე აგრეთვე დაბალია, მაგრამ სადაც ხშირად სჭარბობენ მომხმარებელთა შეკვეთით მომუშავე შინამრეწველნი» — 2 მაზრა. მაზრათა ამ ჯგუფების უმნიშვნელოვანესი ცნობები რომ შევაჯამოთ, მივიღებთ შემდეგს ცხრილს: (იხ. ცხრილი 446-ე გვ.)

ეს ცხრილი შემდეგს საინტერესო დასკვნებს გვაძლევს: რაც უფრო განვითარებულია სოფლის მრეწველობა მაზრათა ჯგუფში, მით 1) უფრო ნაკლებია სოფლელ ხელოსანთა პროცენტი, ე. ი. მით უფრო მეტად ავიწროებს ხელოსნობას სასაქონლო წარმოება; 2) შინამრეწველთა მით უფრო მეტი პროცენტი ეკუთვნის არამიწათმოქმედ მოსახლეობას; 3) მით უფრო ძლიერ ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობა, მით უფრო მეტია დამოკიდებულ შინამრეწველთა პროცენტი. მაზრათა მესამე ჯგუფში სოფლელი ხელოსნები სჭარბობენ (77,7% ყველა შინამრეწველისა); ამასთან ერთად აქ სჭარბობენ მიწათმოქმედნი (მხოლოდ 5,7% არამიწათმოქმედია) და კაპიტალიზმი უმნიშვნელოდ არის განვითარებული: სულ არის 7,2% დაქირავებული მუშა და 2,7% შინმომუშავე შინამრეწველი, რომელნიც შემყიდველთათვის მუშაობენ, ე. ი. სულ 9,9% დამოკიდებული შინამრეწველია. მაზრათა მეორე ჯგუფში, პირიქით, სჭარბობს სასაქონლო წარმოება, რომელიც ხელოსნობას უკვე ავიწროებს: აქ მხოლოდ 32,5% ხელოსანია. მიწათმოქმედ-შინამრეწველთა პროცენტი 94,3%-დან 66,2%-მდე ეცემა; დაქირავებულ მუშათა პროცენტი ერთიოთხად და მეტად იზრდება: 7,2%-დან ადის 32,1%-მდე; იზრდება, თუმცა არა ისე მნიშვნელოვნად, შემყიდველ-

მაზრათა ჯგუფები	რიცხვი შინამრეწველთა, რომელნიც მუშაობენ:												შინამრეწ. პროც.		შინამრ. ოჯახ. ორივე სქესის პირთა რიცხვი		
	თავისუფ. ბასასუ			შემყიდველ-თათვის			მომხმარებელ-თათვის			სულ			საბარბოდ მიმუშავენი	დაკოოპერებ. (ინ. შენიშ.)	საკუთარი სარეწველ-მოქმ. მეურნეობის მქონენი	სხვანა-ს

თათვის მომუშავე შინამუშათა პროცენტიც, ისე რომ დამოკიდებულ შინამრეწველთა საერთო პროცენტი შეადგენს 38,4%-ს — მთელი რიცხვის თითქმის $^2/_5$-ს. დასასრულ, მაზრების პირველ ჯგუფში სასაქონლო წარმოება კიდევ უფრო მეტად ავიწროებს ხელოსნობას, რომელიც «შინამრეწველთა» მთელი რაოდენობის მხოლოდ $^1/_5$-ს (21,8%) შეადგენს, და ამასთან ერთად არამიწათმოქმედ-მრეწველთა რიცხვი 42,1%-მდე იზრდება; დაქირავებულ მუშათა პროცენტი რამდენადმე ეცემა (32,1%-დან 26%-მდე), მაგრამ სამაგიეროდ მეტისმეტად იზრდება შემყიდველთაგან დამოკიდებულ შინამუშათა პროცენტი, სახელდობრ 6,3%-დან 27,4%-მდე, ისე რომ დამოკიდებული შინამრეწველნი სულ ნახევარზე მეტია — 53,4%. «შინამრეწველთა» უდიდესი რიცხვის (აბსოლუტურად და შეფარდებით) რაიონი კაპიტალიზმის უმეტესი განვითარების რაიონია: სასაქონლო წარმოების ზრდა უკანა რიგში აყენებს ხელოსნობას, იწვევს კაპიტალიზმის განვითარებას და სარეწების გადასვლას არამიწათმოქმედთა ხელში, ე. ი. იწვევს მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის გამოყოფას (ან, შეიძლება, სარეწების კონცენტრაციას არამიწათმოქმედ მოსახლეობაში). შეიძლება მკითხველს ეჭვი დაებადოს: განა მართებულია კაპიტალიზმი უფრო განვითარებულად მივიჩნიოთ მაზრათა პირველ ჯგუფში, სადაც დაქირავებული მუშები უფრო ნაკლებია, ვიდრე მეორეში, მაგრამ სადაც შემყიდველთათვის მომუშავენი მეტია. შეიძლება გვითხრან, შინ მუშაობა კაპიტალიზმის დაბალი ფორმაა. მაგრამ ჩვენ ქვემოთ დავინახავთ რომ ამ შემყიდველთაგან ბევრნი არიან მეფაბრიკენი, მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების მფლობელნი. აქ შინ მუშაობა ფ ა ბ რ ი კ ი ს დ ა ნ ა მ ა ტ ი ა და ნიშნავს წარმოებისა და კაპიტალის მეტ კონცენტრაციას (ზოგიერთი შემყიდველისთვის მუშაობს 200 — 500, ათასამდე და მეტი კაცი), შრომის უფრო მეტ დანაწილებას და, მაშასადამე, იგი განვითარების დონის მხრივ კაპიტალიზმის უფრო მაღალი

ფორმაა. ეს ფორმა ისე შეეფარდება წვრილი მეპატრონის წვრილ სახელოსნოს თავისი დაქირავებული მუშებით, როგორც კაპიტალისტური მანუფაქტურა კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას.

მოყვანილი ცნობები საკმაოდ არღვევენ «ნარკვევის» შემდგენელთა ცდას «წარმოების საშინამრეწველო ფორმა» პრინციპულად დაუპირისპირონ «კაპიტალისტურს», — ეს არის მსჯელობა, რომელიც იმეორებს ცრურწმენებს რუსეთის ყველა ნაროდნიკისას ბატონ ვ. ვ-ისა და ნ. — ონის მეთაურობით. ამ ორ ფორმას შორის «ძირითად განსხვავებად» პერმელ ნაროდნიკებს ის მიაჩნიათ, რომ პირველში «შრომას ეკუთვნის წარმოების იარაღები და მასალები და მასთან ერთად შრომის მთელი ნაყოფიც წარმოების პროდუქტების სახით» (გვ. 3). ჩვენ ახლა უკვე სავსებით გარკვევით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს სიყალბეა. შინამრეწველთა რიცხვში ხელოსნებიც რომ ჩავთვალოთ, «შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ თ ა» მ ე ტ ი ნ ა წ ი ლ ი მაინც ვ ე რ უ დ გ ე ბ ა ა მ პ ი რ ო ბ ებ ს: ვერ უდგებიან, ჯერ-ერთი, დაქირავებული მუშები, ისინი კი 25,3%-ს შეადგენენ; მეორე, ვერ უდგებიან შინამუშები, რომლებიც შემყიდველთათვის მუშაობენ, ვინაიდან არც წარმოების მასალები, არც შრომის ნაყოფი მათ არ ეკუთვნით და ისინი მხოლოდ სანარდო ქირას იღებენ; ასეთებია 20,8%; მესამე, ვერ უდგებიან 1-ლი და მე-2 ქვეჯგუფის შინამუშები, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, ვინაიდან მათ მარტო თავიანთი შრომის «ნაყოფი» როდი ეკუთვნით. ასეთები, ალბათ, 10%-მდე იქნებიან (1-ლი და მე-2 ქვეჯგუფის 6 645 საწარმოდან 1 691-ს, ე. ი. 25,4%-ს დაქირავებული მუშები ჰყავს; 1 691 საწარმოში, ალბათ, 2 000-ზე ნაკლები შინამუშა არ იქნება). სულ კი უკვე «შინამრეწველთა» 25,3% + 20,8% + + 10% = 56,1%, ე. ი. ნახევარზე მეტი ვერ უდგება ამ პირობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთ მივარდნილსა და მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილ გუბერნიაშიც კი, როგორიც პერმის გუბერნიაა, უ კ ვ ე ა ხ ლ ა ს ჭ ა რ-

ბ ო ბ ს ისეთი «შინამრეწველი», რომელიც ან თვითონ ექირავება ვისმე, ან სხვებს ქირაობს, ან ექსპლუატატორია, ან ექსპლუატირებული. მაგრამ ასეთი გაანგარიშებისთვის გაცილებით უფრო მართებული იქნება ხელოსნობა გამოვრიცხოთ და მხოლოდ სასაქონლო წარმოება ავიღოთ. ხელოსნობა მრეწველობის იმდენად არქაული ფორმაა, რომ ჩვენებურ ნაროდნიკებშიც კი, რომლებსაც არა ერთხელ წარმოუთქვამთ — ჩამორჩენილობა რუსეთის ბედნიერებაა (à la* ბატონ ვ. ვ., იუჟაკოვისა და კომპ.), არ აღმოჩენილა ადამიანი, რომელსაც აშკარად და პირდაპირ გაებედოს მისი დაცვა და თავის იდეალთა «საწინდრად» წამოყენება. ცენტრალურ რუსეთთან შედარებით პერმის გუბერნიაში ხელოსნობა ჯერ კიდევ ძალიან განვითარებულია: საკმარისია მივუთითოთ ისეთ სარეწზე, როგორიცაა მღებრობა. ეს არის მხოლოდ ხელოსნური შეღებვა გლეხთა იმ შინაური ქსოვილებისა, რომელთა ადგილი რუსეთის უფრო ნაკლებად მივარდნილ ადგილებში უკვე დიდი ხანია ფაბრიკის ჩითმა დაიჭირა. მაგრამ პერმის გუბერნიაშიც ხელოსნობა უკვე ძალიანაა დაქვეითებული: სოფლის მრეწველობაშიც კი ხელოსნები მხოლოდ 29,5%, ე. ი. ერთ მესამედზე ნაკლებს შეადგენენ. ხოლო ხელოსნებს თუ გამოვაკლებთ, მივიღებთ 14 401 საბაზროდ მომუშავეს; მათგან 29,3% დაქირაულებული მუშაა, 29,5% — შემყიდველთათვის მომუშავე შინამუშა, ე. ი. 58,8% დამოკიდებული «შინამრეწველია», ხოლო 7 — 8 პროცენტი წვრილი მეპატრონეა, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, ე. ი. სულ დაახლოებით 66%, ო რ ი მ ე ს ა მ ე დ ი «შინამრეწველია», რომელთაც კაპიტალიზმთან ო რ ი ძირითადი მ ს გ ა ვ ს ე ბ ა აქვთ, და არა განსხვავება, სახელდობრ: ჯერ-ერთი, ყველა ისინი საქონლისმწარმოებელნი არიან, კაპიტალიზმი კი მხოლოდ ბოლომდე განვითარებული სასაქონლო მეურნეობაა; მეორე, მათგან დ ი დ ი ნ ა წ ი ლ ი ჩაბმულია მუშა-ძალის ყიდვა-

* — მსგავსად. რ ე დ.

ფორმაა. ეს ფორმა ისე შეეფარდება წვრილი მეპატრონის წვრილ სახელოსნოს თავისი დაქირავებული მუშებით, როგორც კაპიტალისტური მანუფაქტურა კაპიტალისტურ მარტივ კოოპერაციას.

მოყვანილი ცნობები საკმაოდ არღვევენ «ნარკვევის» შემდგენელთა ცდას «წარმოების საშინამრეწველო ფორმა» პრინციპულად დაუპირისპირონ «კაპიტალისტურს», — ეს არის მსჯელობა, რომელიც იმეორებს ცრურწმენებს რუსეთის ყველა ნაროდნიკისას ბატონ ვ. ვ-ისა და ნ. — ონის მეთაურობით. ამ ორ ფორმას შორის «ძირითად განსხვავებად» პერმელ ნაროდნიკებს ის მიაჩნიათ, რომ პირველში «შრომას ეკუთვნის წარმოების იარაღები და მასალები და მასთან ერთად შრომის მთელი ნაყოფიც წარმოების პროდუქტების სახით» (გვ. 3). ჩვენ ახლა უკვე სავსებით გარკვევით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს სიყალბეა. შინამრეწველთა რიცხვში ხელოსნებიც რომ ჩავთვალოთ, «შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ თ ა» მ ე ტ ი ნ ა წ ი ლ ი მაინც ვ ე რ უ დ გ ე ბ ა ა მ პ ი რ ო ბ ე ბ ს: ვერ უდგებიან, ჯერ-ერთი, დაქირავებული მუშები, ისინი კი 25,3%-ს შეადგენენ; მეორე, ვერ უდგებიან შინამუშები, რომლებიც შემყიდველთათვის მუშაობენ, ვინაიდან არც წარმოების მასალები, არც შრომის ნაყოფი მათ არ ეკუთვნით და ისინი მხოლოდ სანარდო ქირას იღებენ; ასეთებია 20,8%; მესამე, ვერ უდგებიან 1-ლი და მე-2 ქვეჯგუფის შინამუშები, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, ვინაიდან მათ მარტო თავიანთი შრომის «ნაყოფი» როდი ეკუთვნით. ასეთები, ალბათ, 10%-მდე იქნებიან (1-ლი და მე-2 ქვეჯგუფის 6 645 საწარმოდან 1 691-ს, ე. ი. 25,4%-ს დაქირავებული მუშები ჰყავს; 1 691 საწარმოში, ალბათ, 2 000-ზე ნაკლები შინამუშა არ იქნება). სულ კი უკვე «შინამრეწველთა» 25,3% + 20,8% + + 10% = 56,1%, ე. ი. ნახევარზე მეტი ვერ უდგება ამ პირობებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთ მივარდნილსა და მეურნეობის მხრივ ჩამორჩენილ გუბერნიაშიც კი, როგორიც პერმის გუბერნიაა, უ კ ვ ე ა ხ ლ ა ს ჭ ა რ-

ბ ო ბ ს ისეთი «შინამრეწველი», რომელიც ან თვითონ ექირავება ვისმე, ან სხვებს ქირაობს, ან ექსპლუატატორია, ან ექსპლუატირებული. მაგრამ ასეთი გაანგარიშებისთვის გაცილებით უფრო მართებული იქნება ხელოსნობა გამოვრიცხოთ და მხოლოდ სასაქონლო წარმოება ავიღოთ. ხელოსნობა მრეწველობის იმდენად არქაული ფორმაა, რომ ჩვენებურ ნაროდნიკებშიც კი, რომლებსაც არა ერთხელ წარმოუთქვამთ — ჩამორჩენილობა რუსეთის ბედნიერებაა (à la * ბატონ ვ. ვ., იუჟაკოვისა და კომპ.), არ აღმოჩენილა ადამიანი, რომელსაც აშკარად და პირდაპირ გაებედოს მისი დაცვა და თავის იდეალთა «საწინდრად» წამოყენება. ცენტრალურ რუსეთთან შედარებით პერმის გუბერნიაში ხელოსნობა ჯერ კიდევ ძალიან განვითარებულია: საკმარისია მივუთითოთ ისეთ სარეწზე, როგორიცაა მღებრობა. ეს არის მხოლოდ ხელოსნური შეღებვა გლეხთა იმ შინაური ქსოვილებისა, რომელთა ადგილი რუსეთის უფრო ნაკლებად მივარდნილ ადგილებში უკვე დიდი ხანია ფაბრიკის ჩითმა დაიჭირა. მაგრამ პერმის გუბერნიაშიც ხელოსნობა უკვე ძალიანაა დაქვეითებული: სოფლის მრეწველობაშიც კი ხელოსნები მხოლოდ 29,5%, ე. ი. ერთ მესამედზე ნაკლებს შეადგენენ. ხოლო ხელოსნებს თუ გამოვაკლებთ, მივიღებთ 14 401 საბაზროდ მომუშავეს; მათგან 29,3% დაქირაუებული მუშაა, 29,5% — შემყიდველთათვის მომუშავე შინამუშა, ე. ი. 58,8% დამოკიდებული «შინამრეწველია», ხოლო 7 — 8 პროცენტი წვრილი მეპატრონეა, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, ე. ი. სულ დაახლოებით 66%, ო რ ი მ ე ს ა მ ე დ ი «შინამრეწველია», რომელთაც კაპიტალიზმთან ო რ ი ძირითადი მ ს გ ა ვ ს ე ბ ა აქვთ, და არა განსხვავება, სახელდობრ: ჯერ-ერთი, ყველა ისინი საქონლისმწარმოებელნი არიან, კაპიტალიზმი კი მხოლოდ ბოლომდე განვითარებული სასაქონლო მეურნეობაა; მეორე, მათგან დ ი დ ი ნ ა წ ი ლ ი ჩაბმულია მუშა-ძალის ყიდვა-

* — მსგავსად. რ ე დ.

გაყიდვის ურთიერთობაში, რაც კაპიტალიზმის დამახასიათებელია. «ნარკვევის» შემდგენელნი ცდილობენ მკითხველი დაარწმუნონ, რომ «საშინამრეწველო» წარმოებაში დაქირავებულ შრომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ეს, თითქოს, «პატივსადები» მიზეზებით აიხსნება; თავის ადგილას (§ VII) ჩვენ განვიხილავთ ამ მტკიცებას და მათ მიერ მოყვანილ მაგალითებს. აქ კი საკმაო იქნება აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც საქონლო წარმოება ბატონობს, და დაქირავებულ შრომას იყენებენ არა შემთხვევით, არამედ სისტემატურად, უკვე არსებობს კაპიტალიზმის ყველა ნიშანდობლივი თვისება. შეიძლება ვილაპარაკოთ მის განუვითარებლობაზე, ჩანასახ მდგომარეობაზე, მის განსაკუთრებულ ფორმებზე, მაგრამ «ძირითადი განსხვავების» აღმოჩენა იმაში, რაშიც ნამდვილად ძ ი რ ი თ ა დ ი მ ს გ ა ვ ს ე ბ ა იჩენს თავს, სინამდვილის დამახინჯებას ნიშნავს.

აღვნიშნოთ ბარემ კიდევ ერთი დამახინჯება. «ნარკვევის მე-5 გვერდზე ნათქვამია: «შინამრეწველის ნაწარმოებნი... მზადდება იმ მასალებისგან, რომლებსაც უმთავრესად ადგილობრივ იძენენ». სწორედ ამ პუნქტის შესახებ «ნარკვევში» არის შესამოწმებლად გამოსადეგი ცნობები, სახელდობრ: დაპირისპირება იმისა, თუ როგორ ნაწილდებიან გუბერნიის მაზრების მიხედვით ცხოველთა პროდუქტების დამმუშავებელი შინამრეწველნი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტებთან შედარებით; მცენარეული პროდუქტების დამმუშავებელი შინამრეწველნი ტყის განაწილებასთან შედარებით; ლითონის დამმუშავებელი შინამრეწველნი გუბერნიაში მოპოვებული თუჯისა და რკინის განაწილებასთან შედარებით. ამ დაპირისპირებიდან სჩანს, რომ ცხოველთა პროდუქტების დამმუშავებელ შინამრეწველთა 68,9% თავმოყრილია სამ მაზრაში, მაშინ როდესაც ამავე მაზრებში პირუტყვის სულადობა მხოლოდ 25,1%-ია, ხოლო ნათესები დესეტინებად მხოლოდ 29,5%, ე. ი. სწორედ საწინააღმდეგოს ვხედავთ; «ნარკვევში» კი იქვე აღნიშნულია, რომ

«ცხოველთა პროდუქტების დამუშავებაზე დაფუძნებულ წარმოებათა განვითარების მაღალი დონე» უზრუნველყოფილია უმთავრესად შემოტანილი ნედლეულით, მაგ., კუნგურისა და ეკატერინბურგის მაზრებში — ნედლი ტყავებით, რომელთა დამუშავება ადგილობრივ ტყავის ქარხნებსა და დაბახანებში ხდება, საიდანაც იღებენ მასალას წაღების წარმოებისათვის, რომელიც უმთავრესია ამ მაზრების შინამრეწველობის სარეწებიდან (24 — 25). მაშასადამე, აქ შინამრეწველობა დაფუძნებულია არა მარტო ტყავით მოვაჭრე ადგილობრივ კაპიტალისტთა დიდ ბრუნვებზე, არამედ მექარხნეებისაგან ნახევარფაბრიკატის შეძენაზეც, ე. ი. აქ შინამრეწველობა განვითარებული სასაქონლო მიმოქცევისა და ტყავის კაპიტალისტურ საწარმოთა შედეგია, დანამატია. «შადრინსკის მაზრაში შემოტანილ ნედლეულს წარმოადგენს მატყლი, რომელიც მასალას აწვდის მაზრის უმთავრეს სარეწს — თექის ჩექმების დამზადებას». შემდეგ, მცენარეულ პროდუქტთა დამმუშავებელ შინამრეწველთა 61,3% თავმოყრილია 4 მაზრაში. ამავე დროს ამ 4 მაზრაში გუბერნიის ტყის საერთო რაოდენობის მხოლოდ 20,7%-ია. პირიქით, ორ მაზრაში, სადაც ტყის 51,7% ითვლება, იმყოფება მცენარეული პროდუქტების დამმუშავებელ შინამრეწველთა სულ 2,6% (გვ. 25), ე. ი. აქაც აშკარავდება სწორედ წინააღმდეგი, აქაც «ნარკვევი» აღნიშნავს, რომ ნედლეული შემოაქვთ (გვ. 26) *. ჩვენ აქ ვხედავთ, მაშასადამე, ფრიად საინტერესო ფაქტს, რომ საშინამრეწველო სარეწთა განვითარებას წინ უსწრებს (და ამ განვითარების პირობაა) უკვე ღრმად ფესვებგადგმული ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო მ ი მ ო ქ ც ე ვ ა. ეს გარემოება ფრიად საგულისხმოა, ვინაიდან იგი, ჯერ-ერთი, ააშკარავებს, თუ რაოდენ დიდი ხანია.

* შინამრეწველთა ეს ორი გვარეობა, ე. ი. ცხოველთა პროდუქტებისა და მცენარეული მასალის დამმუშავებელნი, შეადგენს 33% + 28% = = 61% შინამრეწველთა მთელი რიცხვისას. ლითონის დამუშავებაში ჩაბმულია შინამრეწველთა 25% (გვ. 20).

რაც ჩამოყალიბდა სასაქონლო მეურნეობა, რომელშიც შინამრეწველობა მხოლოდ ერთ-ერთი წევრია, და რამდენად უაზროა ამიტომ ჩვენი შინამრეწველობის დასახვა რაღაც tabula rasa-დ *, რომელსაც ვითომც «შეუძლია» კიდევ სხვადასხვანაირი გზებით იაროს. მკვლევარები, მაგალითად, ამბობენ, რომ პერმის «შინამრეწველობას წინანდებურად ატყვია იმ სამიმოსვლო გზების გავლენა, რომლებიც განსაზღვრავდნენ მხარის სავაჭრო-სამრეწველო ფიზიონომიას არა მარტო რკინიგზამდელ, არამედ რეფორმამდელ ეპოქაშიც» (გვ. 39). მართლაც, ქალაქი კუნგური ურალის აქეთა მხარის სამიმოსვლო გზების კვანძი იყო: მასზე გადის ციმბირის ტრაქტი, რომელიც კუნგურს ეკატერინბურგთან, ხოლო შტოებით შადრინსკთან აკავშირებს: კუნგურზევე გადის მეორე კომერციული ტრაქტი — გორობლაგოდატსკისა, რომელიც კუნგურს ოსასთან აერთებს. ბოლოს, ბირის ტრაქტი კუნგურს კრასნოუფიმსკთან აერთებს. «ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გუბერნიის შინამრეწველობა კონცენტრირებულია იმ რაიონებში, რომლებსაც სამიმოსვლო გზების კვანძები განსაზღვრავენ: ურალის აქეთა მხარეში — კუნგურის, კრასნოუფიმსკისა და ოსას მაზრებში; ურალს იქითა მხარეში — ეკატერინბურგისა და შადრინსკინ მაზრებში» (გვ. 39). მკითხველს მოვაგონებთ, რომ შინამრეწველობის განვითარების მხრივ სწორედ ეს 5 მაზრა შეადგენს მაზრათა პირველ ჯგუფს და იქ არის თავმოყრილი შინამრეწველთა მთელი რაოდენობის 70%. მეორე, ეს გარემოება მიგვითითებს იმაზე, რომ შინამრეწველობაში ის «ორგანიზაცია გაცვლისა», რაზეც ასე ზერელედ ლაყბობენ გლეხის კუსტარული მზრუნველები, სინამდვილეში უ კ ვ ე შ ე ქ მ ნ ი ლ ი ა და შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ სრულიად რუსეთის ვაჭართა წოდების მიერ. ქვემოთ ამის კიდევ ბევრ დადასტურებას დავინახავთ. შინამრეწველთა მხოლოდ მესამე (ლითონების დამმუშავებელთა) თანრიგისათვის აღ-

* — სუფთა ადგილი. რ ე დ.

მოჩნდა შესატყვისობა შინამრეწველთა მიერ ნედლეულის მოპოვების განაწილებასა და დამუშავებას შორის: 4 მაზრაში, სადაც თუჯისა და რკინის მოპოვება 70,6%-ს შეადგენს, თავმოყრილია ამ თანრიგის შინამრეწველთა 70%. მაგრამ ნედლეული აქ უკვე თვითონ არის პროდუქტი მსხვილი სამთამადნო მრეწველობისა, რომელსაც, როგორც დავინახავთ, «თავისი შეხედულებები» აქვს «შინამრეწველზე».

II

«შინამრეწველი» და დაქირავებული შრომა

გადავიდეთ პერმის გუბერნიის შინამრეწველობის სარეწებში დაქირავებული შრომის მონაცემების განხილვაზე. არ გავიმეორებთ ზემომოყვანილ აბსოლუტურ ციფრებს და დავჯერდებით უფრო საინტერესო პროცენტულ შეფარდებათა აღნუსხვას:

		ჯგუფი I				ჯგუფი II				ჯამი
		ქვეჯგუფები			სულ	ქვეჯგუფები			სულ	
		1	2	3		1	2	3		
საწარმოთა პროცენტები	დაქირავებული მუშებით	30,6	17,4	24,1	23,6	37,8	24,4	36,1	34,2	26,9
	მხოლოდ დაქირავებული მუშებით	1,3	1,2	0,7	1,1	1,6	1,4	0,3	1,0	1,1
	6 და მეტი დაქირავებული მუშით	2,0	0,1	1,4	1,1	1,3	0,8	0,4	0,6	0,9
დაქირავებ. მუშები		29,4	14,1	23,2	22,7	31,2	29,3	27,4	28,3	24,5
მუშათა საშუალო რიცხვი თითო საწარმოზე	შინამუშები	1,8	1,5	1,9	1,6	1,7	1,4	1,6	1,6	1,6
	დაქირავებულნი	0,76	0,23	0,57	0,48	0,78	0,43	0,63	0,52	0,52
	სულ	2,6	1,7	2,5	2,1	2,5	1,8	2,2	2,2	2,1
პროცენტი იმ საწარმოებისა, სადაც 8 და მეტი შინამუშაა		20,8	7,8	20,9	15,8	18,5	8,6	14,8	14,6	14,9

მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ, რომ დაქირავებულ მუშათა პროცენტი უფრო მ ე ტ ი აქვთ არამიწათმოქმედებს, ვიდრე მიწათმოქმედებს, და ეს განსხვავება უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ მე-2 ქვეჯგუფზეა დამოკიდებული: ხელოსან-მიწათმოქმედებს ჰყავთ დაქირავებული მუშების 14,1%, ხოლო არამიწათმოქმედებს — 29,3%, ე. ი. ერთიორად და უფრო მეტი. დანარჩენ ორ ქვეჯგუფში დაქირავებულ მუშათა პროცენტი ცოტაოდნად უფრო მეტია II ჯგუფში I-ლთან შედარებით. უკვე აღნიშნული იყო, რომ ეს მოვლენა მიწათმოქმედ მოსახლეობაში კაპიტალიზმის უფრო ნაკლებად განვითარების შედეგია. პერმელი ნაროდნიკები, როგორც ყველა სხვა ნაროდნიკი, რასაკვირველია, ამას მიწათმოქმედთა უპირატესობად აცხადებენ. აქ ჩვენ არ დავიწყებთ დავას იმ ზოგად საკითხზე, შეიძლება თუ არა ამ საზოგადოებრივ-სამეურნეო ურთიერთობის განუვითარებლობა და ჩამორჩენილობა უპირატესობად მივიჩნიოთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, როგორც ქვემომოყვანილი ცნობებიდან დავინახავთ, მიწათმოქმედთა ამ უპირატესობას დაბალი შემოსავლის მილება შეადგენს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჯ გ უ ფ ე ბ ს შ ო რ ი ს დაქირავებული შრომის გამოყენების მხრივ განსხვავება უფრო ნაკლებია, ვიდრე განსხვავება ე რ თ ი ჯ გ უ ფ ი ს ქ ვ ე ჯ გ უ ფ ე ბ ს შ ო რ ი ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მრეწველობის ეკონომიური წყობა (ხელოსნები — საქონელმწარმოებელნი — შემყიდველთა მუშები) უფრო ძლიერ გავლენას ახდენს დაქირავებული შრომის გამოყენების ოდენობაზე, ვიდრე მიწათმოქმედებასთან კავშირი ან ამ კავშირის უქონლობა. მაგალითად, წვრილი საქონელმწარმოებელ-მიწათმოქმედი უფრო ჰგავს წვრილ საქონელმწარმოებელ-არამიწათმოქმედს, ვიდრე მიწათმოქმედ-ხელოსანს. 1-ლ ქვეჯგუფში დაქირავებულ მუშათა პროცენტი I ჯგუფისათვის უდრის — 29,4%-ს, ხოლო II-სათვის — 31,2%-ს, მაშინ როდესაც I ჯგუფის მე-2 ქვეჯგუფში ის მხოლოდ 14,1%-ს შეადგენს. სწორედ ასევე შემყიდველისთვის მომუშავე მ-

წათმოქმედი უფრო მეტად ჰგავს შემყიდველისთვის მომუშავე არამიწათმოქმედს (23,2% დაქირავებული მუშები და 27,4%), ვიდრე მიწათმოქმედ-ხელოსანს. ეს იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ათანასწორებს ჩვენს ქვეყანაში სასაქონლო-კაპიტალისტური ურთიერთობის ბატონობა მრეწველობის მონაწილე მიწათმოქმედსა და არამიწათმოქმედს. ამ გათანასწორებას კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს ცნობები შინამრეწველთა შემოსავლის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-2 ქვეჯგუფი გამონაკლისს წარმოადგენს; მაგრამ დაქირავებულ მუშათა პროცენტის შესახებ ცნობების მაგივრად რომ ავიღოთ ცნობები დაქირავებულ მუშათა იმ რიცხვის შესახებ, რაც საშუალოდ 1 საწარმოზე მოდის, დავინახავთ, რომ ხელოსანი-მიწათმოქმედნი უფრო ახლოს დგანან ხელოსან-არამიწათმოქმედებთან (1 საწარმოზე 0,23 და 0,43 დაქირავებული მუშა), ვიდრე სხვა ქვეჯგუფების მიწათმოქმედებთან. ორივე ჯგუფის ხელოსნების ერთი საწარმოს საშუალო შემადგენლობა თითქმის ერთნაირია (1,7 და 1,8 კაცი საწარმოზე), მაშინ როდესაც თვითეული ჯგუფის ქვეჯგუფებში ეს შემადგენლობა ძალიან მერყეობს (I: 2,6 და 1,7; II: 2,5 და 1,8).

თვითეულ ქვეჯგუფში საწარმოს საშუალო შემადგენლობის მონაცემები მიგვითითებს აგრეთვე იმ საინტერესო ფაქტზე, რომ ორივე ჯგუფის ხელოსნებისათვის ეს შემადგენლობა უმცირესია: 1,7 და 1,8 მუშა სახელოსნოზე. მაშასადამე, ხელოსანთა შორის სჭარბობს ყველაზე მეტად დაქსაქსული წარმოება, ერთეულ მწარმოებელთა ყველაზე მეტი განკერძოებულობა, კოოპერაციის ყველაზე ნაკლები გამოყენება წარმოებაში. ამ მხრივ ორივე ჯგუფში პირველი ადგილი უჭირავთ პირველ ქვეჯგუფებს, ე. ი. წვრილ მეპატრონეებს, რომლებიც თავისუფლად გაყიდვისათვის მუშაობენ. სახელოსნოს შემადგენლობა აქ ყველაზე დიდია (2,6 და 2,5 კაცი); დიდოჯახიანი შინამრეწველნი აქ ყველაზე მეტი არიან (სახელდობრ: 3 და მეტ შინამუშიანი 20,3% და 18,5%; მცირე გამონაკლისია I-ჯგუფის მე-3 ქვეჯგუფი — 20,9%); ამას-

თან ერთად ყველაზე მეტია დაქირავებული შრომით სარგებლობა (სახელოსნოზე მოდის 0,75 და 0,78 დაქირავებული); ყველაზე მეტია მსხვილი საწარმოები (2,0% და 1,3% საწარმო 6 და მეტი დაქირავ. მუშით). მაშასადამე, წარმოებაში კოოპერაცია აქ ყველაზე ფართო მასშტაბით იხმარება, და ამას აღწევენ დაქირავებული შრომის ყველაზე მეტი გამოყენებით, როცა შინამუშათა შემადგენლობა ყველაზე მეტია (საწარმოზე მოდის 1,8 და 1,7 შინამუშა; მცირე გამონაკლისია I ჯგუფის მე-3 ქვეჯგუფი — 1,9 კაცით).

ამ უკანასკნელ გარემოებას მივყავართ: «შინამრეწველთა» ოჯახური შრომისა და დაქირავებული შრომის ურთიერთდამოკიდებულების ფრიად მნიშვნელოვან საკითხთან, და გვაიძულებს ეჭვი შევიტანოთ გაბატონებულ ნაროდნიკულ დოქტრინათა სისწორეში, თითქოს დაქირავებული შრომა შინამრეწველობაში მხოლოდ «დამატებაა» ოჯახური შრომისა. პერმელი ნაროდნიკები მხარს უჭერენ ამ აზრს და 55-ე გვერდზე მსჯელობენ, რომ «შინამრეწველობისა და კულაკობის ინტერესთა გაიგივებას» არღვევს ის, რომ ყველაზე შეძლებულ შინამრეწველებს (I ჯგუფი) ოჯახების ყველაზე დიდი შემადგენლობა აქვთ, მაშინ როდესაც, «შინამრეწველის მიზანი რომ მხოლოდ მოგება იყოს, კულაკობის ეს ერთადერთი იმპულსი, და არა თავისი ოჯახის მთელი ძალების გამოყენებით თავისი წარმოების განმტკიცება და განვითარება, ჩვენ უფლება გვექნებოდა გვეფიქრა, რომ საწარმოთა ამ ქვეჯგუფში ყველაზე ნაკლები იქნებოდა პროცენტი მეოჯახეებისა, რომლებიც თავის შრომას წარმოებას ახმარებენ» (?!). უცნაური დასკვნაა! როგორ შეიძლება დასკვნების გამოტანა «პირადი შრომითი მონაწილეობის» როლის შესახებ (გვ. 55) ისე, რომ არ შევეხოთ ცნობებს დაქირავებული შრომის შესახებ? დიდოჯახიანი შინამრეწველების შეძლებულობა კულაკურ ტენდენციებს რომ არ გამოხატავდეს, მაშინ დავინახავდით, რომ მათი დაქირავებული მუშების პროცენტი უ მ ც ი რ ე ს ი იქნებოდა, უ მ ც ი რ ე ს ი იქნე-

ბოდა იმ საწარმოთა პროცენტი, რომელნიც დაქირავებულ მუშებს იყენებენ, უ მ ც ი რ ე ს ი იქნებოდა იმ საწარმოთა პროცენტი, რომელთაც მუშათა დიდი რიცხვი (ხუთზე მეტი) ჰყავთ, უ მ ც ი რ ე ს ი იქნებოდა მუშათა რიცხვი, რომელიც საშუალოდ ერთ საწარმოზე მოდის. ნამდვილად კი ყველაზე შეძლებულ შინამრეწველებს (1 ქვეჯგუფი) ყ ვ ე ლ ა ამ მ ხ რ ი ვ პ ი რ ვ ე ლ ი ადგილი უჭირავთ და ა რ ა უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი, და ეს ასეა ოჯახთა და შინამუშათა უდიდესი შემადგენლობის დროს, იმ შინამრეწველთა უდიდესი პროცენტის დროს, რომელთაც 3 და მეტი შინამუშა ჰყავთ! ცხადია, ფაქტები სწორედ იმის საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ, რასაც მათ ნაროდნიკი ახვევს თავს: შინამრეწველი კულაკობის გზით სწორედ რომ მოგებას ესწრაფვის; იგი დიდი შეძლებით (რის ერთ-ერთი პირობაა დიდოჯახიანობა) სარგებლობს დაქირავებული შრომის უფრო მ ე ტ ა დ გამოყენებისათვის. რადგან შინამუშათა რიცხვის მხრივ იგი სხვა შინამრეწველებზე უკეთეს პირობებშია, ამით იგი სარგებლობს დანარჩენთა გასაძევებლად, მიმართავს რა უ ფ რ ო მ ე ტ მუშათა დაქირავებას. «ოჯახური კოოპერაცია», რაზედაც ასე გუნდრუკის კმევით უყვართ ლაპარაკი ბატონ ვ. ვ-ებსა და ნაროდნიკებს (შეად. «შინამრეწვ.», I, გვ. 14), საწინდარია კაპიტალისტური კოოპერაციის განვითარებისა. ნაროდნიკულ ცრურწმენებს მიჩვეულ მკითხველს ეს, რა თქმა უნდა, პარადოქსად მოეჩვენება, მაგრამ ეს ფაქტია. ამ საკითხზე ზუსტი ცნობები რომ გვქონდეს, ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ როგორ ნაწილდებიან საწარმოები შინამუშათა და დაქირავებულ მუშათა რიცხვის მიხედვით (რაც მოცემულია «ნარკვევში»), არამედ ოჯახური და დაქირავებული შრომის კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ა ც. კომლობრივი ცნობები სრულ შესაძლებლობას იძლეოდა ასეთი კომბინაცია მოეხდინათ, დაეთვალათ 1, 2 და ა. შ. დაქირავებულმუშიან საწარმოთა რიცხვი საწარმოთა თვითეულ თანრიგში შინამუშათა რიცხვის მიხედვით. სამწუხაროდ, ასე როდი გაუკეთებიათ. ეს ხარვეზი

რამდენადმე მაინც რომ შევავსოთ, მივმართოთ ზემოხსენებულ თხზულებას: «შინამრეწვ. და სხვ.». აქ მოყვანილია სწორედ საწარმოთა კომბინაციური ცხრილები შინამუშებისა და დაქირავებული მუშების რიცხვის მიხედვით. ცხრილები მოცემულია 5 სარეწისთვის, რომლებიც მოიცავენ სულ 749 საწარმოს 1 945 მუშით (ხსენ. თხზ., I, გვ. 59, 78, 160; III, გვ. 87 და 109). რათა ანალიზი გავუკეთოთ ამ ცნობებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის, ოჯახური და დაქირავებული შრომის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის შესახებ, ყველა ეს საწარმო უნდა დავანაწილოთ ჯგუფებად მუშათა საერთო რიცხვის მიხედვით (ვინაიდან სწორედ მუშათა საერთო რიცხვი გვიჩვენებს სახელოსნოს სიდიდეს და იმას, თუ რამდენადაა კოოპერაცია გამოყენებული წარმოებაში) და გამოვარკვიოთ ოჯახური და დაქირავებული შრომის როლი თვითეულ ჯგუფში. ვიღებთ 4 ჯგუფს: 1) საწარმონი 1 მუშით; 2) 2—4 მუშით; 3) 5—9 მუშით; 4) 10 და მეტი მუშით. მუშათა საერთო რიცხვის მიხედვით ასეთი დანაწილება მით უფრო აუცილებელია, რომ საწარმონი, მაგალ., 1 და 10 მუშით, ცხადია, სრულიად სხვადასხვა ეკონომიურ ტიპებს წარმოადგენენ; მათი შეერთება და «საშუალოს» გამოყვანა სავსებით უაზრო ხერხი იქნებოდა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ «ნარკვევის» ცნობებიდან. ხსენებული დაჯგუფება ასეთ მონაცემებს იძლევა: (იხ. ცხრილი 459 გვ.)

ამრიგად, ეს დეტალური ცნობები სავსებით ადასტურებენ ზემოთ გამოთქმულ, პირველი შეხედვით პარადოქსულ დებულებას: რაც უფრო დიდია საწარმო მუშათა საერთო რიცხვის მიხედვით, მით უფრო მეტი შინამუშა მოდის 1 საწარმოზე, მაშასადამე, მით უფრო ფართოა «ოჯახური კოოპერაცია», მაგრამ ამასთან ერთად ფართოვდება კაპიტალისტური კოოპერაციაც და ფართოვდება შეუდარებლად უფრო სწრაფად. უფრო შეძლებული შინამრეწველნი, მიუხედავად იმისა, რომ შინამუშები ბევრი ჰყავთ, კიდევ ბევრ დაქირავებულ მუშას ამუშავებენ: «ოჯახური კოოპერაცია» კ ა პ ი ტ ა-

ლისტური კოოპერაციის საწინდარსა და საფუძველს წარმოადგენს.

საწარმოთა ჯგუფები მუშათა საერთო რიცხვის მიხედვით	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			საწარმ. რიცხვი დაქირავებული მუშებით	მათი %	ერთ საწარმოზე მოდის მუშა		
		შინამუშათა	დაქირავებული	სულ			შინამუშა	დაქირავებული	სულ
საწარმ. 1 მუშით	345	343	2	345	2	0,5	0,995	0,005	1,00
» 2—4 მუშით	319	559	251	810	143	44,8	1,76	0,78	2,54
» 5—9 მუშით	59	111	249	360	53	89,8	1,88	4,22	6,10
10 და მეტი მუშით	26	56	374	430	26	100	2,15	14,38	16,53
სულ	749	1 069	876	1 945	224	29,9	1,43	1,16	2,59

განვიხილოთ 1894/95 წლის აღწერის ცნობები ოჯახური და დაქირავებული შრომის შესახებ. შინამუშათა რიცხვის მიხედვით საწარმონი ასე ნაწილდებიან:

				%-ბით
საწარმონი	0	შინამუშით	97	1,1
»	1	»	4 787	53.2
»	2	»	2 770	30,8
»	3	»	898	10,0
»	4	»	279	3,1
»	5 და მეტი	»	160	1,8
		სულ	8 991	100

აქ უნდა აღვნიშნოთ მარტოხელათა სიჭარბე: ისინი ნახევარზე მეტი არიან. ისიც კი რომ დავუშვათ, რომ ოჯახური და დაქირავებული შრომის გამაერთიანებელ ყველა საწარმოს თითო შინამუშაზე მეტი არა ჰყავს, მაშინაც კი აღმოჩნდებოდა, რომ სრული მარტოხელანი 2½ ათასია. ესენი — ყველაზე დაქსაქსულ მწარმოებელთა წარმომადგენელნი არიან, წარმომადგენელნი წვრილი სახელოსნოების უდიდესი და-

ქუცმაცებისა, რაც საზოგადოდ ახასიათებს ნაქებ «სახალხო წარმოებას». შევხედოთ ახლა მოპირდაპირე პოლუსს, ყველაზე დიდ სახელოსნოებს:

			%	დაქირავებულ მუშათა რიცხვი*		დაქირავებული მუშა 1 საწარმოზე	
საწარმ. 0	დაქირ.	მუშით	6 567	73,1		—		—	
» 1	»	»	1 537	17,2		1 537		1	
» 2	»	»	457	5,1		914		2	
» 3	»	»	213	2,3		639		3	
» 4	»	»	88	0,9		352		4	
» 5	»	»	44	0,5		220		5	
» 6—9	»	»	41 } 85	0.4 } 0,9		290 } 1 242		7,1 } 14,6	
» 10	და მეტი	»	44	0,5		952		21,7	
		სულ	8 991	100		4 904		0,5	

ამრიგად, შინამრეწველთა «წვრილი» საწარმონი ხანდახან მნიშვნელოვან ოდენობას აღწევენ: 85 ყველაზე დიდ საწარმოში თავმოყრილია დაქირავებულ მუშათა მთელი რიცხვის თითქმის მეოთხედი; საშუალოდ ერთ ასეთ საწარმოს 14,6 კერძო მუშა ჰყავს. ესენი უკვე მეფაბრიკენი, კაპიტალისტურ საწარმოთა მფლობელნი არიან**. კაპიტალისტურ საფუძველზე დამყარებულ კოოპერაციას აქ ფართოდ იყენებენ; ერთ საწარმოში 15 მუშის ყოლის დროს შესაძლებელი ხდება შრომის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით დანაწილებაც, უფრო დიდი ეკონომიაა ბინისა და ინსტრუმენტების მხრივ, რომელთა რაოდენობაც უფრო დიდი და მრავალნაირია. ნედლეულის დამზადება და პროდუქტის გასაღება აქ აუცილებლად უფრო დიდი მასშტაბით ხდება, რაც მნიშვნე-

* გამოანგარიშებულია «ნარკვევის» მონაცემთა მიხედვით (გვ. 54 და დაქირავ. მუშათა საერთო რიცხვი).

** ჩვენი «ფაბრიკებისა და ქარხნების» (ასე უწოდებენ მათ ოფიციალურ სტატისტიკაში) დიდ უმრავლესობას 16 მუშაზე ნაკლები ჰყავს, სახელდობრ 15 ათასი 21 ათასიდან. იხ. «ფაბრიკა-ქარხნების მაჩვენებელი 1890 წლისათვის».

ლოვნად აიაფებს ნედლ მასალას, მოტანის ხარჯებს, აადვილებს გასაღებას და უფრო მართებული კომერციული ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა. ქვემოთ, შემოსავლის შესახებ ცნობების მოყვანისას, დავინახავთ ამის დადასტურებას 1894/95 წლის აღწერით. აქ კი საკმარისია მივუთითოთ ამ საყოველთაოდ ცნობილ თეორიულ დებულებებზე. აქედან ცხადია, რომ ასეთ საწარმოთა როგორც ტექნიკური, ისე ეკონომიური ფიზიონომია რადიკალურად განსხვავდება მარტოხელათა სახელოსნოებისაგან, და არ შეიძლება არ გაგაოცოთ იმან, რომ პერმელ სტატისტიკოსებს, მიუხედავად ამისა, გადაუწყვეტნიათ მათი შ ე ე რ თ ე ბ ა და საერთო «საშუალოთა» გამოყვანა. უკვე a priori* შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საშუალოები სავსებით ფიქტიური იქნებიან, და რომ კომლობრივი ცნობების დამუშავებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა, გარდა შინამრეწველთა დაყოფისა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად, აგრეთვე მათი კატეგორიებად დაყოფა საწარმოში მუშათა რიცხვის მიხედვით (როგორც შინამუშებისა, ისე დაქირავებული მუშებისა ერთად). ასეთი დაყოფის გარეშე არ შეიძლება ზუსტი ცნობების მიღება არც შემოსავლის, არც ნედლეულის შესყიდვისა და პროდუქტთა გასაღების პირობების, არც წარმოების ტექნიკის, არც მარტოხელებთან შედარებით დაქირავებულ მუშათა მდგომარეობის, არც დიდ და წვრილ სახელოსნოთა შეფარდების შესახებ, — ესენი კი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია «შინამრეწველობის» ეკონომიკის შესწავლისათვის. პერმელი მკვლევარები, რასაკვირველია, ცდილობენ შეასუსტონ კაპიტალისტურ სახელოსნოთა მნიშვნელობა. თუ კი არსებობს საწარმონი 5 და მეტი შინამუშით, — მსჯელობენ ისინი, — მაშასადამე, წარმოების «კაპიტალისტური» და «წარმოების შინამრეწველური ფორმის» (sic! **) კონკურენციას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს

* — წინასწარ. რ ე დ.

** — ასეა! რ ე დ.

მნიშვნელობა, როდესაც საწარმოში ხუთ დაქირავებულ მუშაზე მეტია, ასეთი საწარმონი კი სულ 1%-იაო. მსჯელობა წმინდა ხელოვნურია: ჯერ-ერთი, საწარმონი 5 შინამუშით და 5 დაქირავებული მუშით — ცარიელი აბსტრაქციაა, რომლის არსებობა გამოწვეულია ცნობების არასაკმარისი დამუშავებით, ვინაიდან დაქირავებული შრომა კომბინირებულია ოჯახურთან. თუ საწარმო, რომელსაც 3 შინამუშა ჰყავს, კიდევ 3 მუშას დაიქირავებს, მას 5-ზე მეტი მუშა ეყოლება და მარტოხელებთან შედარებით კონკურენციის სავსებით განსაკუთრებულ პირობებში იქნება. მეორე, თუ სტატისტიკოსებს მართლაც სურდათ გამოეკვლიათ იმ ცალკეულ საწარმოთა «კონკურენციის» საკითხი, რომლებიც დაქირავებული შრომის გამოყენებით განსხვავდებიან, რატომ არ მიმართეს კომლობრივი აღწერის ცნობებს? რატომ არ დააჯგუფეს საწარმონი მუშათა რიცხვის მიხედვით და რატომ შემოსავლიანობის ციფრები არ მოიყვანეს? განა უფრო მართებული არ იქნებოდა, რომ სტატისტიკოსებს, რომლებსაც ხელთ ჰქონდათ უმდიდრესი მასალა, საკითხი ფაქტიურად შეესწავლათ, ვიდრე მკითხველისათვის თავიანთი შეთხზული რამეები მიეწოდებინათ და დაშურებოდნენ ფაქტებიდან ნაროდნიკობის მტერთა «შემმუსვრაზე» გადასვლას?

...«კაპიტალიზმის მომხრეთა თვალსაზრისით ეს პროცენტი, შეიძლება, საკმაოდ მიიჩნიონ იმისათვის, რომ იწინასწარმეტყველონ შინამრეწველობის ფორმის კაპიტალისტურ ფორმად აუცილებელი გადაგვარება, მაგრამ სინამდვილეში იგი ამ მხრივ არავითარ საშიშარ სიმპტომს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით შემდგომ გარემოებათა გამო» (გვ. 56)...

მართლაც-და, რა ჩინებულია! იმის მაგივრად, რომ გაისარჯონ და მათ ხელში არსებული მასალიდან ამოჰკრიფონ ზუსტი ცნობები კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ საწარმოთა შესახებ, ავტორებს ეს საწარმონი მარტოხელათათვის მიუმატებიათ და ვიღაც «წინასწარმეტყველთათვის» პასუხს გამოსდგომიან! — არ ვიცით, რას «იწინასწარმეტყველებდნენ» პერმე-

ლი სტატისტიკოსებისათვის არასასიამოვნო რომელიღაც «მომხრენი კაპიტალიზმისა», ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, მხოლოდ ვიტყვით, რომ მთელი ეს ფრაზები ფაქტებისათვის ზურგის შექცევის ცდის დაფარვაა და სხვა არაფერი. ფაქტები კი იმას გვეუბნებიან, რომ არავითარი განსაკუთრებული «წარმოების შინამრეწველური ფორმა» არ არსებობს (ეს «შინამრეწველური» ეკონომისტების გამოგონებაა), რომ წვრილ საქონელმწარმოებელთაგან აღმოცენდებიან დიდი კაპიტალისტური საწარმონი (ცხრილებში ჩვენ შევხვდით შინამრეწველს 65 დაქირავებული მუშით! გვ. 169), რომ მკვლევართა მოვალეობა იყო ცნობები ისე დაეჯგუფებინათ, რომ ჩვენ შეგვძლებოდა გამოგვეკვლია ეს პროცესი, სხვადასხვა საწარმო ერთმანეთისათვის შეგვედარებინა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ საწარმოებთან მ ა თ ი მ ი ა ხ ლ ო ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. პერმელ სტატისტიკოსებს არათუ თვითონ არ გაუკეთებიათ ეს, არამედ ჩვენც მოგვისპეს ამის გაკეთების საშუალება, ვინაიდან ცხრილებში ამა თუ იმ ქვეჯგუფის ყველა საწარმო ერთად არის შეერთებული, და მარტოხელასაგან მეფაბრიკის გამოყოფა შეუძლებელია. თავის ხარვეზს შემდგენელნი უშინაარსო სენტენციებით ჰფარავენ. დიდი საწარმოები, თურმე ნუ იტყვით, სულ 1% ყოფილა; ეს რომ გამოვაკლოთ, მათი დასკვნები, 99%-ის მიხედვით გამოტანილი, თურმე როდი შეიცვლება (გვ. 56). — მაგრამ ეს ერთი პროცენტი, ეს ერთი მეასედი სხვა მეასედებს ხომ არ უდრის! ერთი დიდი საწარმო ჰფარავს იმ მარტოხელათა 15-ზე მეტს საწარმოს, რომელნიც 30-ზე მეტ «მეასედს» იძლევიან (საწარმოთა მთელი რაოდენობიდან)! ეს გაანგარიშებაა მუშათა რიცხვის მიხედვით. ხოლო თუ ავიღებთ ცნობებს მთელი წარმოების ან წმინდა შემოსავლიანობის შესახებ, აღმოჩნდება, რომ ერთი დიდი საწარმო ჰფარავს არა 15-ს, არამედ, შეიძლება, 30 საწარმოსაც *. საწარმოთა ამ «ერთ მეასედში» თავმოყრილია მთელ

* ქვემოთ ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს საწარმოთა დანაწილების შესახებ წმინდა შემოსავლიანობის მიხედვით. ამ ცნობებით, მინიმალურ შემოსავ-

დაქირავებულ მუშათა მ ე ო თ ხ ე დ ი, რაც საშუალოდ ერთ საწარმოზე 14,6 მუშას იძლევა. მკითხველისათვის ამ უკანასკნელი ციფრის რამდენადმე ილუსტრირების მიზნით ავიღოთ ციფრები «რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მონაცემთა კრებულიდან» (ვაჭრობისა და მანუფაქტურათა დეპარტამენტის გამოცემა) პერმის გუბერნიის შესახებ. ვინაიდან ციფრები წლების მიხედვით ძლიერ მერყეობენ, ავიღოთ საშუალო ციფრი 7 წლისა (1885 — 1891). მივიღებთ «ფაბრიკათა და ქარხანათა» (ჩვენი ოფიციალური სტატისტიკის გაგებით) ციფრს 855-ს პერმის გუბერნიისათვის — 22 645 ათას მან. წარმოების ჯამით და 13 006 მუშით, რაც «საშუალოდ» ერთ ფაბრიკაზე სწორედ 14,6 მუშას იძლევა.

დასამტკიცებლად თავისი აზრისა, რომ მსხვილ საწარმოებს დიდი მნიშვნელობა არა აქვთ, «ნარკვევის» შემდგენელნი იმას იმოწმებენ, რომ დაქირავებული მუშებიდან შინამრეწველთ ძალიან ცოტა ჰყავთ წლიური მუშები (8%), უმრავლესობა ნარდად მომუშავე (37%), ვადიანი (30%) და დღიური (25%, გვ. 51) მუშები არიანო. ნარდად მომუშავენი «ჩვეულებრივ მუშაობენ შინ, საკუთარი ინსტრუმენტებით და კვების ხარჯიც მათია», დღიურ მუშებს კი იწვევენ «დროებით», სოფლის მეურნეობის მუშების მსგავსად.-ასეთ პირობებში, «დაქირავებულ მუშათა შედარებით დიდი რიცხვი ჩვენთვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ამ საწარმოთა კაპიტალისტური ტიპის უეჭველ ნიშანს» (56)... «ვერც ნარდად მომუშავე, ვერც დღიური მუშა საერთოდ, ჩვენი რწმენით, ვერ ჰქმნიან დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მაგვარი მუშათა კლასის კადრებს; ასეთი კადრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მუდმივი წლიური მუშები».

არ შეგვიძლია არ შევაქოთ პერმელი ნაროდნიკები იმისათვის, რომ მათ აინტერესებთ საკითხი რუს დაქირავებულ

ლიან (50 მანეთამდე) 2 376 საწარმოს წმინდა შემოსავალი = 77 900 მან., ხოლო მაქსიმალურ შემოსავლიან 80 საწარმოსი = 83 150 მან. ერთ «საწარმოზე» ეს იძლევა 32 მან. და 1 039 მან.

მუშათა დამოკიდებულებისა «დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან». რა გვეთქმის, საკითხი საინტერესოა! მაგრამ ჩვენ მაინც ვამჯობინებდით, რომ სტატისტიკოსებისაგან ფაქტებზე და არა «რწმენაზე» დამყარებული მტკიცებანი მოგვესმინა. სხვების დასარწმუნებლად ხომ ყოველთვის არ კმარა თავისი «რწმენის» განცხადება... განა უკეთესი არ იქნებოდა, იმის მაგივრად, რომ მკითხველისთვის მოეთხროთ ბატონ NN და MM-ების «რწმენაზე», რაც შეიძლება მეტი ფაქტები მოეწოდებინათ? ხოლო ფაქტები-კი დაქირავებული მუშების მდგომარეობის, შრომის პირობების, სხვადასხვა სიდიდის საწარმოებში სამუშაო დღის, დაქირავებულ მუშათა ოჯახებისა და სხვ. შესახებ «ნარკვევში» საოცრად ცოტაა მოყვანილი. დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისაგან რუს მუშათა განსხვავებაზე მსჯელობა მხოლოდ ამ ხარვეზის დასაფარავად რომ იყოს მოყვანილი, ჩვენი შექების უკან წაღება მოგვიხდებოდა...

ყველაფერი, რაც «ნარკვევიდან» ვიცით დაქირავებული მუშების შესახებ, ეს არის მათი დაყოფა 4 კატეგორიად: წლიური, ვადიანი, ნარდად მომუშავე და დღიური მუშები. ამ კატეგორიების გასაცნობად მოგვიხდება მივმართოთ წიგნში გაბნეულ ცნობებს. 29 სარეწისთვის (43-დან) ნაჩვენებია თვითეული კატეგორიის მუშათა რიცხვი და მათი შემოსავალი. ამ 29 სარეწში 4 795 დაქირავებული მუშაა, რომელთა შემოსავალი 233 784 მანეთს უდრის. ყველა 43 სარეწში კი 4 904 დაქირავებული მუშაა, რომელთა შემოსავალიც 238 992 მანეთს უდრის. მაშასადამე, ჩვენი ნაკრები ცნობა დაქირავებულ მუშათა და მათი შემოსავლის 98%-ს მოიცავს. აი, **en reqard** *, «ნარკვევისა» ** და ჩვენი ნაკრები ცნობის ციფრები:

---

* — შესადარებლად. რ ე დ.

** გვ. 50. «ნარკვევში» შეჯამებული არ არის ცნობები შემოსავლის რაოდენობის შესახებ.

	დაქირავებ. მუშათა რიცხვი «ნარკვევის» მიხედვით	%	ნაკრები ცნობის ციფრები				
			დაქირავებულ მუშათა რიცხვი	%	მათი შემოსავალი: სულ მაგეთ.	ერთ მუშაზე	%*
წლიურები	379	8	351	7,4	26 978	76,8	100
ვადიანები	1 496	30	1 432	29,8	40 958	28,6	37
ნარდად მომუშავენი	1 812	37	1 577	32,9	92 357	58,5	76,1
დღიურნი	1 217	25	1 435	29,9	73 491	51,2	66,7
სულ	4 904	100	4 795	100	233 784	48,7	

თურმე «ნარკვევის» ნაკრებ ცნობაში ან შემდგენლების, ან სტამბის შეცდომებია. მაგრამ ეს — გაკვრით. მთავარი ინტერესი — შემოსავლის ცნობებია. იმ ნარდად მომუშავეთა შემოსავალი, რომელთა შესახებაც «ნარკვევში» ნათქვამია, რომ «ნარდად მუშაობა არსებითად მეპატრონეთა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზის უახლოესი სტადია არისო» (გვ. 51, — ალბათ, ესეც «ჩვენი რწმენით»?), — თურმე წლიური მუშის შემოსავალზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალია. თუ სტატისტიკოსების მტკიცება, რომ წლიური მუშის შესანახავი ხარჯი ჩვეულებრივ მეპატრონისაა, ნარდად მომუშავე მუშის ხარჯი კი თვითონ მუშისა, ემყარება არა მარტო მათს «რწმენას», არამედ ფაქტებსაც, მაშინ ეს განსხვავება კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. ძალიან უცნაურად კი უზრუნველჰყოფენ პერმელი შინამრეწველ-მეპატრონენი თავიანთი მუშებისათვის «გზას დამოუკიდებლობისაკენ»! ეს უზრუნველყოფა ხელფასის დაწევაში მდგომარეობს... სამუშაო პერიოდის მერყეობა, როგორც დავინახავთ, არც ისე დიდია, რომ ეს განსხვავება ამით ავხსნათ. შემდეგ, ფრიად საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღიური მუშის შემოსავალი წლიური მუშის შემოსავლის 66,7%-ს შეადგენს. მაშასადამე, თვითეული დღიური მუშა წელიწადში, საშუალოდ, დაახლოებით 8 თვეს მუშაობს. ცხადია, აქ ბევრად

* წლიური მუშის ხელფასი მიღებულია 100-ად.

უფრო მართებული იქნებოდა მრეწველობისაგან «დროებით» ჩამოშორებაზე (თუ კი დღიური მუშები მართლა თვითონ ჩამოშორდებიან ხოლმე მრეწველობას და არა მეპატრონე სტოვებს მათ უმუშევრად) გველაპარაკნა, ვიდრე «დაქირავებული შრომის გაბატონებულ დროებითს ელემენტზე» (გვ. 52).

III

«თემურ-შრომითი თანამოძმეობა»

დიდ ინტერესს წარმოადგენს თითქმის ყველა გამოკვლეულ საწარმოზე შინამრეწველობის აღწერით შეკრებილი ცნობები ამ საწარმოთა წარმოშობის დროის შესახებ. აი ამის საერთო ცნობები:

იმ საწარმოთა რიცხვი.			
რომელნიც დაარსებულან	1845 წლამდე		640
»	1845 — 1855	წლებში	251
»	1855 — 1865	»	533
»	1865 — 1875	»	1 339
»	1875 — 1885	»	2 652
»	1885 — 1895	»	3 469
		სულ	8 884

ჩვენ ვხედავთ, მაშასადამე, რომ რეფორმის შემდგომმა ხანამ გამოიწვია შინამრეწველობის განსაკუთრებული განვითარება. ამ განვითარების ხელშემწყობი პირობები მოქმედებდნენ და, როგორც სჩანს, რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერ მოქმედებენ, ვინაიდან ყოველ შემდგომ ათეულ წელიწადში სულ უფრო და უფრო მეტი საწარმო იხსნება. ეს მოვლენა ნათლად მოწმობს იმ სიძლიერეს, რომლითაც გლეხობაში სწარმოებს სასაქონლო წარმოების განვითარება, მრეწველობისაგან მიწათმოქმედების გამოყოფა, ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდა საზოგადოდ. ჩვენ ვამბობთ: «მრეწველობისაგან მიწათმოქმედების გამოყოფა», ვინაიდან ეს გამოყოფა უფრო ადრე იწყება, ვიდრე მიწათმოქმედთა გამოყოფა მრეწველთაგან: ყოველი საწარმო, რომელიც საბაზროდ ამზადებს

პროდუქტებს, იწვევს გაცვლას მიწათმოქმედთა და მრეწველთა შორის. მაშასადამე, ასეთი საწარმოს გაჩენა ნიშნავს მიწათმოქმედთა მიერ პროდუქტის შინ დამზადების შეწყვეტას და მის ბაზარზე ყიდვას; ეს ყიდვა კი მოითხოვს, რომ გლეხმა გაყიდოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები. ამგვარად, სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა რიცხვის ზრდა მოასწავებს შრომის მზარდ საზოგადოებრივ დანაწილებას, ეს სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის ზოგადი საფუძველია *.

ნაროდნიკულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომ რეფორმის შემდეგ მრეწველობაში წვრილი წარმოების სწრაფი განვითარება არაკაპიტალისტური ხასიათის მოვლენას წარმოადგენსო. მსჯელობდნენ, რომ წვრილი წარმოების ზრდა ამტკიცებს მის ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას მსხვილ წარმოებასთან შედარებით (ბ-ნი ვ. ვ.). ასეთი მსჯელობა სრულიად უმართებულოა. გლეხობაში წვრილი წარმოების ზრდა ნიშნავს ახალ წარმოებათა გაჩენას, ნედლეულის დამუშავების ახალ დარგთა გამოყოფას მრეწველობის დამოუკიდებელ სფეროებად, პროგრესს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, კაპიტალიზმის დაწყებითს პროცესს, მაშინ როდესაც მსხვილ საწარმოთა მიერ წვრილთა შთანთქმა კაპიტალიზმის უკვე შემდგომი ნაბიჯია, რასაც მისი უმაღლესი ფორმების გამარჯვებისაკენ მივყავართ. გლეხობაში წვრილ საწარმოთა გავრცელება აფართოებს სასაქონლო მეურნეობას, ნიადაგს უმზადებს კაპიტალიზმს (ჰქმნის რა წვრილ მეპატრონეებსა და დაქირავებულ მუშებს), ხოლო მანუფაქტურისა და ფაბრიკის მიერ წვრილ საწარმოთა შთანთქმა ამ შემზადებული ნიადაგის უტილიზაციაა მსხვილი კაპიტალის მიერ. ერთ ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს ამ ორი, თითქოს ურთიერთის საწინააღმდეგო, პროცესის შეთავ-

* ამიტომ, ბ-ნ ნ. — ონის თავდასხმა «მიწათმოქმედებისაგან მრეწველობის გამოყოფაზე» რომანტიკოსის პლატონური ოხვრა რომ არ იყოს, მაშინ იგი უნდა დასტიროდეს შინამრეწველობის თვითეული **საწარმოს** გაჩენასაც.

სება ნამდვილად არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს: სრულიად ბუნებრივია, რომ კაპიტალიზმი ქვეყნის უფრო განვითარებულ მხარეში ან მრეწველობის უფრო განვითარებულ დარგში წინ მიდის იმით, რომ იზიდავს წვრილ შინამრეწველებს მექანიკურ ფაბრიკაში, მაშინ როდესაც მივარდნილ ადგილებსა და მრეწველობის ჩამორჩენილ დარგებში კაპიტალიზმის განვითარების პროცესი მხოლოდ იწყება, თავს იჩენს რა ახალ წარმოებათა და სარეწთა აღმოცენებით. კაპიტალისტური მანუფაქტურა «ნაციონალურ წარმოებას ეუფლება მხოლოდ დიდი თანდათანობით, ყოველთვის ემყარება რა ქალაქის ხელოსნობასა და სოფლის შინაურ დამატებით სარეწებს, როგორც ფართო ბაზისს (Hintergrund). სპობს რა დამატებით სარეწებს მათს ერთ ფორმაში, მრეწველობის განსაზღვრულ დარგებში, განსაზღვრულ პუნქტებში, იგი კვლავ გამოაცოცხლებს ხოლმე მათ სხვა დარგებსა და პუნქტებში» («Das Kapital», I², S. 779 *).

«ნარკვევში» საწარმოთა წარმოშობის დროის ცნობებიც არასაკმარისად არის დამუშავებული: მოცემულია მხოლოდ მაზრობრივი ცნობები, ხოლო ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით საწარმოთა წარმოშობის დროის ცნობები მოყვანილი არ არის; არ არის აგრეთვე სხვა დაჯგუფებანიც (საწარმოთა სიდიდის მიხედვით, საწარმოთა ადგილსამყოფელის მიხედვით სარეწის ცენტრში თუ გარშემო მდებარე სოფლებში და სხვ.). პერმელ ნაროდნიკებს, რომლებსაც მათ მიერვე მიღებული ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვითაც კი არ დაუმუშავებიათ აღწერის ცნობები, აქაც საჭიროდ დაუნახავთ მკითხველს მიაწოდონ სენტენციები, რომლებიც გვაცებენ თავისი ულტრანაროდნიკული ენატკბილობით და... უაზრობით. პერმელმა სტატისტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ «წარმოების შინამრეწველურ ფორმაში» არსებობს საწარმოთა განსაკუთრებული «თანამომდევნობის ფორმა», სახელდობრ

* — «კაპიტალი», ტ. I, გამ. მე-2, გვ. 779 ᲡᲡ. რ ᲒᲓ.

«თემურ-შრომითი», მაშინ როდესაც კაპიტალისტურ მრეწველობაში გაბატონებულია «მემკვიდრეობით-ქონებრივი თანამომდევნობა», რომ «თემურ-შრომითი თანამოძდევნობა დაქირავებულ მუშას ორგანულად აქცევს დამოუკიდებელ მეპატრონედ» (sic!), რაც იმით იხატება, რომ როცა საწარმოს პატრონი ისე კვდება, რომ შინამუშებიდან მემკვიდრეები არა რჩება, სარეწი სხვა ოჯახის ხელში გადადის, «შეიძლება, იმავე საწარმოს დაქირავებული მუშის ხელში», და აგრეთვე გამოიხატება იმით, რომ «თემური მიწათმფლობელობა როგორც შინამრეწველობის საწარმოს მეპატრონისთვის, ისე მისი დაქირავებული მუშისთვის შრომითს სამრეწველო დამოუკიდებლობას თანაბრად უზრუნველჰყოფს» (გვ. 7, 68 და სხვ.).

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ პერმელი ნაროდნიკების მიერ შეთხზული ეს «თემურ-შრომითი საწყისი შინამრეწველობის სარეწების თანამომდევნობისა» სათანადო ადგილს დაიჭერს ლიტერატურის მომავალ ისტორიაში «სახალხო წარმოების» შესახებ ბატონ ვ. ვ-ის, ნ. — ონის და სხვათა ასეთივე მოთაფლული თეორიის გვერდით. ორივე თეორია — ერთი ყაიდისაა, ორივე ალამაზებს და ამახინჯებს სინამდვილეს მანილოვისებური ფრაზების საშუალებით. ყველამ იცის, რომ საწარმოს შინამრეწველთა შორისაც მასალა, იარაღები და სხვ. შეადგენს კერძო საკუთრების ქ ო ნ ე ბ ა ს, რომელიც გადადის მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ და სრულიადაც არა რაღაც თემური სამართლის მიხედვით, რომ თემი სრულიადაც ვერ უზრუნველჰყოფს დამოუკიდებლობას არათუ მრეწველობაში, არამედ მიწათმოქმედებაშიც, რომ თემის შიგნით ისეთივე სამეურნეო ბრძოლა და ექსპლუატაცია სწარმოებს, როგორც მის გარეთ. «თემურ-შრომითი საწყისის» განსაკუთრებულ თეორიად გადაუქცევიათ ის უბრალო ფაქტი, რომ მცირეკაპიტალიანი წვრილი მეპატრონე იძულებულია თვითონაც იშრომოს, რომ დაქირავებულ მუშასაც შ ე უ ძ ლ ი ა მეპატრონე გახდეს (რა თქმა უნდა, თუ მომჭირნე და თავდაჭერილი იქნება), რის მაგალითებიც «ნარკვევის» 69 გვერდზეა დასა-

ხელებული... მეშჩანობის ყველა თეორეტიკოსი ყოველთვის იმით ინუგეშებდა თავს, რომ წვრილ წარმოებაში მუშას შ ე უ ძ ლ ი ა მეპატრონე გახდესო, და ყველა ისინი არასოდეს არ გასცილებიან იმ იდეალს, რომ მუშები მეპატრონეებად გადაექციათ. «ნარკვევში» არის იმის ცდაც კი, რომ მიგვითითონ «სტატისტიკურ ცნობებზე, რომელნიც თემურ-შრომითი თანამომდევნობის საწყისს ადასტურებენ» (45). ცნობები ტყავის სარეწს ეხება. 129 საწარმოდან 90 (ე. ი. 70%) დაარსებულია 1870 წლის შემდეგ; ამავე დროს კი 1869 წელს შინამრეწველობის დაბახანა ითვლებოდა 161 («დასახლებულ ადგილთა სიის» მიხედვით), ხოლო 1895 წ. — 153. მაშასადამე, სარეწი ერთი ოჯახიდან მეორეზე გადადიოდა, რაც მიაჩნიათ «თემურ-შრომითი თანამომდევნობის პრინციპად». თავისთავად ცხადია, სასაცილოც კია დავა იმ სურვილის წინააღმდეგ, რომ განსაკუთრებული «პრინციპი» დაინახონ იმაში, რომ წვრილი საწარმოები ადვილად იხსნებიან და იხურებიან, ადვილად გადადიან ხელიდან ხელში და სხვ. კერძოდ კი ტყავის სარეწის შესახებ დავძენთ: ჯერ-ერთი, ცნობები საწარმოს წარმოშობის დროის შესახებ გვიჩვენებს, რომ დროის მიხედვით იგი ბევრად უფრო ნ ე ლ ა ვითარდებოდა, ვიდრე დანარჩენი სარეწები; მეორე, სრულიად უიმედოა 1869-ისა და 1895 წლების შედარება, ვინაიდან ცნებას «შინამრეწველობის დაბახანა» მუდამ ჰრევენ «ტყავის ქარხნის» ცნებაში. 1860-იან წლებში «მთრიმლავ ქარხანათა» დიდ უმეტესობას (ფაბრიკა-ქარხანათა სტატისტიკით) პერმის გუბერნიაში 1 000 მანეთზე ნაკლების წარმოება ჰქონდა (იხ. «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული». ნაკვ. I, სპბ. 1869 წ. ცხრილები და შენიშვნები), მაშინ როდესაც 1890-იან წლებში, ერთი მხრივ, საწარმოები, რომელთა წარმოებაც 1 000 მანეთისაზე ნაკლები იყო, არ შეჰქონდათ ფაბრიკათა და ქარხანათა რიცხვში; მეორე მხრივ, «შინამრეწველობის დაბახანების» რიცხვში მოხვდა ბევრი ისეთი საწარმო, რომელთაც 1 000 მანეთისაზე მეტი წარმოება ჰქონდათ, მოხვ-

დნენ 5 — 10 ათასი მანეთისა და მეტის წარმოების მქონე ქარხნები (იხ. «ნარკვევის» 70 გვ. ცხრილების 149, 150 გვ.). შინამრეწველობისა და საქარხნო დაბახანათა შორის განსხვავების ასეთი აბსოლუტური გაურკვევლობის დროს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს 1869-ისა და 1895 წლების ცნობათა შედარებას? მესამე, თუნდაც მართალი იყოს, რომ დაბახანათა რიცხვი შემცირდა, განა არ შეიძლება ეს იმას ნიშნავდეს, რომ დაიხურა მრავალი წვრილი საწარმო, რომელთა ნაცვლად თანდათანობით გაიხსნა უფრო მსხვილი საწარმოები? ნუთუ ასეთი «შეცვლაც» დაადასტურებდა «თემურ-შრომითი თანამომდევნობის პრინციპს»?

და კურიოზის დასაგვირგვინებლად «თემურ-შრომითი პრინციპის», «თემური შრომითი დამოუკიდებლობის გარანტიისა» და სხვ. შესახებ ამ მოთაფლული ფრაზებით ლაპარაკია ტყავის სწორედ იმ სარეწზე, რომელშიც მიწათმოქმედი-შინამრეწველნი წვრილი ბურჟუების უაღრესად წმინდა ტიპს წარმოადგენენ (იხ. ქვემოთ) და რომელიც გიგანტურად კონცენტრირებულია იმ ს ა მ დიდ საწარმოში (ქარხანაში), რომელნიც მარტოხელა შინამრეწველებსა და ხელოსნებთან ერთად შინამრეწველთა რიცხვში მოხვედრილან. აი ცნობები ამ კონცენტრაციის შესახებ:

სარეწში სულ 148 საწარმოა. შინამუშა 267+172 დაქირავებული მუშა=439. წარმოების ჯამი = 151 022 მან. წმინდა შემოსავალი = 26 207 მან., მათ რიცხვში 3 ისეთი საწარმოა, სადაც შინამუშაა 0+65 დაქირავებული მუშა = 65. წარმოების ჯამი = 44 275 მან. წმინდა შემოსავალი = 3 391 მ. (ტექსტის გვ. 70 და ცხრილების 149 და 150 გვ.).

ესე-იგი ს ა მ ი საწარმო 148-დან («მხოლოდ 2,1%», როგორც თავის სანუგეშებლად არის ნათქვამი «ნარკვევში», გვ. 76) თავს უყრის «ტყავის შინამრეწველობის სარეწის» მთელი წარმოების თ ი თ ქ მ ი ს მ ე ს ა მ ე დ ს, აძლევს რა თავის მეპატრონეებს ათასობით შემოსავალს, წარმოებაში ყოველგვარი მონაწილეობის მიუღებლად. ჩვენ ქვემოთ სხვა

სარეწების შესახებაც შევხვდებით ასეთი კურიოზების მრავალ მაგალითს. მაგრამ ამ სარეწის აწერის დროს «ნარკვევის» ავტორები, გამონაკლისის სახით, ზემოხსენებულ სამ საწარმოზე შეჩერებულან. ერთ-ერთ მათგანზე ნათქვამია: მეპატრონე (მიწათმოქმედი!), «სჩანს, მხოლოდ სავაჭრო ოპერაციებს მისდევს და ტყავის დუქნები აქვს სოფ. ბელოიარსკოესა და ქ. ეკატერინბურგში» (გვ. 76 — 77). აი იმის მაგალითი, თუ როგორ უერთდება წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი ვაჭრობაში დაბანდებულ კაპიტალს. ამას ვამბობთ «ნარკვევის» ავტორების საყურადღებოდ, რომლებიც «კულაკობასა» და სავაჭრო ოპერაციებს გვიხატავენ, როგორც რაღაც გარედან მოტანილ, წარმოებისაგან მოწყვეტილ რასმე! მეორე საწარმოში ოჯახი 5 მამაკაცისაგან შესდგება, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მუშაობს: «მამა მისდევს სავაჭრო ოპერაციებს თავის წარმოებაში, შვილები კი (18-დან 53 წლის ასაკისა), ყველანი წერა-კითხვის მცოდნენი, სჩანს, სხვა, უფრო მიმზიდველი გზით წასულან, ვიდრე გეჯიდან გეჯაში ტყავის გადალაგება-გადმოლაგება და მათი რეცხვაა» (გვ. 77). ავტორები სულგრძელად გვეთანხმებიან, რომ ამ საწარმოებს «კაპიტალისტური ხასიათი აქვს», «მაგრამ კითხვაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ამ საწარმოების მომავალი იმით, რომ მათი გადაცემა მოხდება მემკვიდრეობით-ქონებრივ საფუძველზე, გადამჭრელი პასუხის გაცემა შეუძლია მხოლოდ თვით მომავალს» (76). ჰოი, სიღრმეო აზროვნებისავ! «მომავლის საკითხზე პასუხის გაცემა შეუძლია მხოლოდ მომავალს». წმიდათა-წმიდა ჭეშმარიტებაა! მაგრამ ნუთუ ეს საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ აწმყო დავამახინჯოთ?

სტატია მეოთხე

(IV. «შინამრეწველთა» მიწათმოქმედება. — V. მსხვილი და წვრილი საწარმონი. — შინამრეწველთა შემოსავალი)

IV

«შინამრეწველთა» მიწათმოქმედება

შინამრეწველ-მეპატრონეთა და წვრილ მეპატრონეთა კომლობრივი აღწერა საინტერესო ცნობებს გვაწვდის მათი მიწათმოქმედების შესახებ. აი ეს ცნობები, რომლებიც «ნარკვევში» ქვეჯგუფებად არის დალაგებული:

ქვეჯგუფები:	მოდის 1 კომლზე ნათესი დესეტ.	ცხენი*	ძროხა*	კომლთა პროც. უცხენოთა	უძროხოთა
1. საქონელმწარმოებელნი	7,1	2,1	2,2	7,4	5
2. ხელოსნები	6,2	1,9	2,1	9,0	6
3. შემყიდველთათვის მომუშავენი	4,5	1,4	1,3	61,0	13
სულ	6,3	1,8	2,0	9,5	6

ამრიგად, რაც უფრო შეძლებული არიან შინამრეწველები, როგორც მრეწველები, მით უფრო შეძლებული არიან ისინი, როგორც მიწათმოქმედნი. რაც უფრო დაბლა დგანან ისინი თავისი როლით წარმოებაში, მით უფრო დაბლა დგანან, რო-

* «ნარკვევის» ამ ციფრებში, როგორც სჩანს, ბეჭდვითი შეცდომაა (იხ. გვ. 58), რომელიც ჩვენ გავასწორეთ.

გორც მიწათმოქმედნი. მაშასადამე, შინამრეწველობის აღწერის მონაცემები სავსებით ადასტურებენ ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ აზრს, რომ მრეწველობაში შინამრეწველთა დაშლა იმავე გლეხთა, როგორც მიწათმოქმედთა, დაშლასთან ერთად ხდება (ა. ვ ო ლ გ ი ნ ი. ნაროდნიკობის დასაბუთება და სხვ. გვ. 211 და შემდ.). ვინაიდან შინამრეწველთა დაქირავებული მუშები კიდევ უფრო დაბლა (ან არა უფრო მაღლა) დგანან, ვიდრე შემყიდველთათვის მომუშავე შინამრეწველნი, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ მათ შორის გაჩანაგებული მიწათმოქმედი უფრო მეტი იქნება. კომლობრივი აღწერა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაქირავებულ მუშებს არ შეხებია. ყოველ შემთხვევაში მოყვანილი ცნობებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რა სასაცილოა «ნარკვევის» მტკიცება, თითქოს «თემური მიწათმფლობელობა თანაბრად უზრუნველჰყოფს შრომითს სამრეწველო დამოუკიდებლობას შინასამრეწველო საწარმოს პატრონისთვისაც და მისი დაქირავებული მუშისთვისაც».

მარტოხელათა, წვრილ და მსხვილ მეპატრონეთა მიწათმოქმედების შესახებ დეტალური ცნობების უქონლობა განსაკუთრებით მკვეთრად ეტყობა ჩვენ მიერ განხილულ ცნობებს. ეს ხარვეზი ნაწილობრივ მაინც რომ შევავსოთ, უნდა მივმართოთ ცნობებს ცალკე სარეწთა შესახებ; ხანდახან გვხვდება ცნობები, თუ რამდენი მიწათმოქმედი მუშა ჰყავთ მეპატრონეებს *, მაგრამ ამ ცნობათა საერთო შეჯამება «ნარკვევში» არ მოიპოვება.

აი მეტყავე-მიწათმოქმედნი — 131 მეურნეობა. მათ 124 მიწათმოქმედი დაქირავებული მუშა ჰყავთ; კომლზე 16,9 დესეტ. ნათესი აქვთ და 4,6 ცხენი ჰყავთ; ძროხები კი — 4,1 (გვ. 71). დაქირავებული მუშები (73 წლიური და 51 ვადიანი) იღებენ 2 492 მან. ხელფასს, ე. ი. თითო 20,1 მანეთს, მაშინ

* ცნობილია, რომ გლეხებში ხშირად მრეწველობის მუშებსაც აიძულებენ სამიწათმოქმედო სამუშაოები შეასრულონ. შეად. «შინამრეწვ. და სხვ.», III, გვ. 7.

როდესაც ტყავის სარეწში მუშის საშუალო ხელფასი 52 მანეთს შეადგენს. მაშასადამე, აქაც სჩანს ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის საერთო მოვლენა — მუშების უფრო დაბალი მდგომარეობა მიწათმოქმედებაში, ვიდრე მრეწველობაში. «შინამრეწველი»-მეტყავენი, ცხადია, გლეხური ბურჟუაზიის პირწავარდნილ ტიპს წარმოადგენენ, და ყბადაღებული, ნაროდნიკების მიერ ესოდენ ნაქები, «სარეწის შეერთება მიწათმოქმედებასთან» იმაში მდგომარეობს, რომ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა შეძლებულ პატრონებს ვაჭრობიდან და მრეწველობიდან კ ა პ ი ტ ა ლ ი მიწათმოქმედებაში გადააქვთ და თავიანთ მოჯამაგირეებს წარმოუდგენლად მცირე ხელფასს აძლევენ *.

აი ზეთის გამომხდელი შინამრეწველები. მათში მიწათმოქმედია 173. ერთ მეურნეობაზე მოდის 10,1 დეს. ნათესი, 3,5 ცხენი და 3,3 ძროხა. უცხენო და უძროხო კომლი არ არის. მიწათმოქმედი მუშაა — 98 (წლიური და ვადიანი) 3 438 მანეთი ხელფასით, ე. ი. 35,1 მან. თვითეულზე. «ჩენჩი ანუ კოპტონი, რომელსაც ზეთსახდელ წარმოებაში იღებენ როგორც ნარჩენს, საუკეთესო საკვებია პირუტყვისათვის, რის წყალობითაც შესაძლებელი ხდება მინდვრების უფრო ფართო მასშტაბით გაპატივება. ამგვარად, მეურნეობას ეს სარეწი სამმაგ სარგებლობას აძლევს: შემოსავალს უშუალოდ სარეწისაგან, შემოსავალს პირუტყვისაგან და უკეთეს მოსავალს მინდვრად» (164). «ისინი (ზეთის გამომხდელნი) მიწათმოქმედებას ფართო მასშტაბით მისდევენ, ამასთან ბევრნი არ სჯერდებიან სულობრივ ნადელებს და კიდევ იჯარით იღებენ

* ვადიანი მუშა მიწათმოქმედებაში ყოველთვის წლიური ხელფასის ნახევარზე მეტს იღებს. ვთქვათ, აქ ვადიანი მუშები წლიური მუშის ხელფასის მხოლოდ ნახევარს იღებენ. მაშინ წლიური მუშის ხელფასი იქნება

$$(2\,492 : (73 + \frac{51}{2})) = 25{,}5$$ მან. მიწათმოქმედების დეპარტამენტის ცნობებით, მეპატრონის ხარჯზე მყოფი წლიური სასოფლო მუშის საშუალო ხელფასი ათი წლის განმავლობაში (1881 — 1891) პერმის გუბერნიაში 50 მანეთს შეადგენს.

მიწას სუსტ მეურნეობათაგან» (168). ცნობები სელისა და კანაფის ნათესების მასობრივი გავრცელების შესახებ გვიჩვენებენ «ერთგვარ კავშირს სელისა და კანაფის ნათესების სიდიდესა და გუბერნიის მაზრებში ზეთსახდელი სარეწის გავრცელებას შორის» (170).

მაშასადამე, აქ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოები წარმოადგენენ ეგრეთწოდებულ ტექნიკურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებებს, რომელთა განვითარებითაც მუდამ ხასიათდება სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედების პროგრესი.

აი მეწისქვილე-მეპატრონენი. მათი უმრავლესობა — მიწათმოქმედნი არიან: 421-დან 385. ერთ კომლზე მოდის 11,0 დეს. ნათესი, 3,0 ცხენი და 3,5 ძროხა. მიწათმოქმედი დაქირავებული მუშა — 307 კაცია 6 211 მანეთი ხელფასით. მსგავსად ზეთსახდელი წარმოებისა, «საფქვავი წარმოება წისქვილების პატრონთათვის წარმოადგენს მათივე საკუთარი მეურნეობის პროდუქტების მათთვის ყველაზე ხელსაყრელი ფორმით ბაზარზე გასაღების იარაღს» (178).

მგონი, ეს მაგალითები სავსებით საკმაოა იმის ცხადსაყოფად, თუ რა უაზრობაა «შინამრეწველ-მიწათმოქმედის» მიჩნევა რაღაც ერთგვაროვან, თავის თავისადმი თანასწორ რადმე. ყველა დასახელებული მიწათმოქმედნი წვრილი ბურჟუაზიული მიწათმოქმედების წარმომადგენელნი არიან, და ასეთი ტიპების შეერთება დანარჩენ გლეხობასთან, მათ შორის გაჩანაგებულ მეურნეობებთანაც, ნიშნავს სინამდვილის ყველაზე დამახასიათებელ თვისებათა მიჩქმალვას.

ზეთსახდელი სარეწის აწერის დასკვნაში შემდგენელნი ცდილობენ გაილაშქრონ «კაპიტალისტური დოქტრინის» წინააღმდეგ, რომელიც გლეხების ფენებად დაშლას კაპიტალიზმის ევოლუციად აცხადებს. ასეთი დებულება ვითომ ემყარება «სრულიად თვითნებურ მტკიცებას, რომ ხსენებული ფენებად დაშლა სულ ბოლო დროის ფაქტია და წარმოადგენს გლეხთა წრეში de facto * კაპიტალისტური რეჟიმის სწრაფი

* — ფაქტიურად. რ ე დ.

ზრდის აშკარა ნიშანს, მიუხედავად de jure * თემური მიწათმფლობელობის არსებობისა» (176). შემდგენელნი გვიპასუხებენ: თემი არასოდეს არ გამორიცხავდა და არც გამორიცხავს ქონების მიხედვით ფენებად დაშლას, მაგრამ იგი «არ განამტკიცებს მათ, არ ჰქმნის კლასებს»; «ეს გარდამავალი ფენებად დაშლა დროთა ვითარებაში კი არ მწვავდებოდა, არამედ, პირიქით, თანდათანობით ნელდებოდა» (177). რასაკვირველია, ამგვარს მტკიცებას, რის დასასაბუთებლადაც ასახელებენ არტელებს (მათზე ქვემოთ, § VII), ოჯახთა გაყრას (sic!) და მიწის გადანაწილებას (!), მარტოოდენ ღიმილის გამოწვევა შეუძლია. დებულებას გლეხთა დიფერენციაციის ზრდისა და მატების შესახებ «თვითნებურს» რომ უწოდებდე, ეს იმას ნიშნავს, რომ უგულებელჰყოფდე «გლეხურ მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის» ფაქტებთან ერთად გლეხთა მასობრივად უცხუნოდ დარჩენისა და მიწის მიტოვების საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს (შეად. ბ-ნ ვ. ვ-ის «პროგრესული მიმდინარეობანი გლეხურ მეურნეობაში»), იჯარის ზრდასთან ერთად ნადელთა გაცემისა და დაგირავების განვითარებას, გარესაშოვარზე გასულთა, ამ მოხეტიალე დაქირავებულ მუშათა, რიცხვის ზრდასთან ერთად სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა რიცხვის ზრდას და სხვ. და სხვ.

შინამრეწველთა კომლობრივ აღწერას მდიდარი მასალა უნდა მოეცა ფრიად საინტერესო საკითხზე შინამრეწველ-მიწათმოქმედთა შემოსავლისა და ხელფასის არამიწათმოქმედ-შინამრეწველთა შემოსავალთან შეფარდების შესახებ. ყველა ამგვარი ცნობები ცხრილებში არის, მაგრამ «ნარკვევში» მოცემული არ არის მათი ნაკრები, და ჩვენ მოგვიხდა თვითონვე გაგვეკეთებინა ეს ნაკრები წიგნის მონაცემების მიხედვით. ასეთი შეჯამება ემყარებოდა, ჯერ-ერთი, «ნარკვევის» ნაკრებს ცალკეულ სარეწთა მიხედვით. ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, რომ შეგვეჯამებინა ცნობები სხვადასხვა სარეწის შესა-

* — იურიდიულად. რ ე დ.

ხებ. მაგრამ ეს შეჯამება ცხრილის ფორმით ყველა სარეწისათვის როდია მოცემული. ხანდახან გვიხდებოდა დავრწმუნებულიყავით, რომ მასში შეპარული იყო გამოანგარიშების ბეჭდური შეცდომები, — ეს ბუნებრივი შედეგი შესამოწმებელი ჯამების უქონლობისა. მეორეც, ნაკრები ემყარებოდა ზოგიერთი სარეწის აღწერილობის რიცხვობრივ მონაცემთა ამონაკრებს. მესამე, როგორც პირველი, ისე მეორე წყაროს უქონლობისას გვიხდებოდა მიგვემართნა პირდაპირ ცხრილებისათვის (მაგალითად, უკანასკნელი სარეწის: «წიაღისეულის მოპოვების» შესახებ). თავისთავად ცხადია, მასალის ასეთ ნაირნაირობას ჩვენს ნაკრებში არ შეიძლებოდა შეცდომები და არასიზუსტე არ მოჰყოლოდა. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ თუმცა ჩვენი ნაკრების საერთო ჯამები ვერ დაემთხვა ცხრილის ჯამებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ნაკრების დასკვნები საკმაოდ შეიძლება ჩვენი მიზნისათვის გამოვიყენოთ, ვინაიდან საშუალო ოდენობანი და შეფარდებანი (რომლებსაც ჩვენ დასკვნებისათვის ვიყენებთ) ყოველი შესწორების შემდგომ ფრიად უმნიშვნელოდ შეიცვლებოდა. მაგალითად, «ნარკვევის» ცხრილთა ჯამების მიხედვით საერთო შემოსავლის სიდიდე 1 მუშაზე უდრის 134,8 მანეთს, ჩვენი ნაკრებით კი — 133,3 მანეთს. წმინდა შემოსავალი ერთ შინამუშაზე — 69,0 მან. და 68,0 მანეთს. 1 დაქირავებული მუშის ხელფასი — 48,7 მან. და 48,6 მან.

აი ამ ნაკრების შედეგები, რომლებიც განსაზღვრავენ დაქირავებულ მუშათა მთლიანი შემოსავლის, წმინდა შემოსავლისა და ხელფასის სიდიდეს ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით. (იხ. ცხრილი შემდეგ გვერდზე.)

აი უმთავრესი შედეგები ამ ცხრილისა:

1) არამიწათმოქმედი სამრეწველო მოსახლეობა გაცილებით უფრო მეტ მონაწილეობას იღებს სარეწში (თავის რაოდენობასთან შედარებით), ვიდრე მიწათმოქმედი. მუშაობა რიცხვის მხრივ არამიწათმოქმედნი ერთიორად უფრო ნაკლები არიან, ვიდრე მიწათმოქმედნი. მთლიანი წარმოების

ჯგუფები	ქვეჯგუფები	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი: მინა-მუშები	მუშათა რიცხვი: დაქირავებული	მუშათა რიცხვი: სულ	მთლიანი შემოსავალი მანეთობით: სულ	მთლიანი შემოსავალი მანეთობით: 1 მინა-მუშაზე	მეორე წვრილდა შემოსავალი მანეთობით: სულ	მეორე წვრილდა შემოსავალი მანეთობით: 1 მინა-მუშაზე	ხელფასი მანეთობით: სულ	ხელფასი მანეთობით: 1 დაქირ.	წმინდა შემოსავალი და ხელფასი ერთად	დაკავებულ მუშა-ფულებათა რიცხვი
I.....	1.....	2 289	4 122	1 726	5 848	758 498	129,7	204 004	49,5	74 558	43,2	278 562	225
».....	2.....	2 841	4 249	712	4 961	383 441	77,3	186 719	43,9	34 937	49,0	221 656	98
».....	3.....	1 016	1 878	586	2 464	236 301	95,9	91 916	48,9	20 535	35,0	112 451	304
ჯამი I ჯგუფისთვის		6 096	10 249	3 042	13 273	1 378 235	103,8	482 639	47,1	130 030	43,0	612 669	622
II.....	1.....	959	1 672	738	2 410	605 509	251,2	220 713	132,0	45 949	62,2	266 662	176
».....	2.....	595	876	272	1 148	178 916	155,8	90 203	102,9	18 404	67,6	108 607	51
».....	3.....	1 320	2 231	852	3 083	492 347	159,7	229 108	102,7	43 289	50,8	272 397	262
ჯამი II ჯგუფისთვის		2 874	4 779	1 862	6 641	1 276 772	192,2	540 024	113,0	107 642	57,8	647 666	489
სულ.....		8 970	15 028	4 886	19 914	2 655 007	133,3	1 022 663	68,0	237 672	48,6	1 260 335	1 111

მხრივ კი ისინი შეადგენენ თითქმის ნახევარს, იძლევიან 2 655 007 მანეთიდან 1 276 772 მანეთს, ე. ი. 48,1%-ს. ხოლო წარმოებისაგან მიღებული შემოსავლით, ე. ი. მეპატრონეთა წმინდა შემოსავლით პლუს დაქირავებულ მუშათა ხელფასი, არამიწათმოქმედნი სჭარბობენ კიდეც მიწათმოქმედებს, იძლევიან 1 260 335 მანეთიდან 647 666 მანეთს, ე. ი. 51,4%-ს. მაშასადამე, როგორც სჩანს, არამიწათმოქმედი მრეწველნი რიცხვით თუმცა ნაკლები არიან, მაგრამ წარმოების სიდიდის მხრივ მიწათმოქმედებს არ ჩამოუვარდებიან. ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანია იმ ტრადიციული ნაროდნიკული მოძღვრების შესაფასებლად, რომელიც მიწათმოქმედებას ეგრეთწოდებული შინამრეწველობის «მთავარ ბურჯად» **სახავს.**

ამ ფაქტიდან ბუნებრივად გამომდინარეობს სხვა დასკვნებიც:

2) არამიწათმოქმედთა მთლიანი წარმოება (მთლიანი შემოსავალი), 1 მუშაზე ნაანგარიშევი, მნიშვნელოვნად უფრო მეტია, ვიდრე მიწათმოქმედთა: 192,2 მან. წინააღმდეგ 103,8 მანეთისა, ე. ი. ო რ კ ე ც ს ცოტაღა აკლია. როგორც ქვემოთ დავინახავთ, არამიწათმოქმედთა სამუშაო პერიოდი უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მიწათმოქმედთა, მაგრამ ეს განსხვავება არცთუ ისე დიდია, ასე რომ არამიწათმოქმედთა შორის მეტი ნაყოფიერება სრულიად უეჭველია. ეს განსხვავება ყველაზე ნაკლებია მე-3 ქვეჯგუფში, შემყიდველთათვის მომუშავე შინამრეწველებში, რაც სავსებით ბუნებრივია.

3) არამიწათმოქმედ მეპატრონეთა და წვრილ მეპატრონეთა წმინდა შემოსავალი ე რ თ ი ო რ ა დ დ ა უ ფ რ ო მეტია, ვიდრე მიწათმოქმედთა: 113,0 მან. წინააღმდეგ 47,1 მანეთისა (თითქმის 2½-ჯერ მეტი). ეს განსხვავება არსებობს ყველა ქვეჯგუფში, მაგრამ იგი ყველაზე დიდია 1-ლ ქვეჯგუფში, თავისუფლად გაყიდვისათვის მომუშავე შინამრეწველებში. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ განსხვავების ახსნა სამუშაო პერიოდთა სხვადასხვაობით მით უფრო ნაკლებ შეიძლება.

სავსებით უეჭველია, ეს განსხვავება დამოკიდებულია იმაზე, რომ მიწასთან კავშირი ამცირებს მრეწველთა შემოსავალს; ბაზარი ამცირებს შინამრეწველთა შემოსავალს მიწათმოქმედებისაგან, და მიწათმოქმედნი იძულებული არიან დაბალ ხელფასს დასჯერდნენ. ამას, ალბათ, ემატება მიწათმოქმედთა უფრო დიდი დანაკარგიც გასაღების დროს, უფრო დიდი ხარჯებიც მასალების შეყიდვაზე, და ვაჭართაგან უფრო მეტი დამოკიდებულებაც. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ მიწასთან კავშირი ამცირებს შინამრეწველის შემოსავალს. ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ბევრი ლაპარაკი ამ ფაქტის უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელიც ცხადჰყოფს თანამედროვე საზოგადოებაში «მიწის მეუფების» ჭეშმარიტ მნიშვნელობას. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემოსავლის გასამრჯელოს დაბალ დონეს წარმოების კაბალური და პრიმიტიული წესების შენარჩუნებაში, მანქანათა გამოყენების შეფერხებაში, და მუშათა საარსებო დონის დაწევაში *.

4) დაქირავებულ მუშათა ხელფასიც არამიწათმოქმედთა შორის ყველაზე უფრო მაღალია, ვიდრე მიწათმოქმედთა

* ამ უკანასკნელი (თავისი მნიშვნელობით პირველი) პუნქტის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, «ნარკვევში» არ მოიპოვება ცნობები მიწათმოქმედთა და არამიწათმოქმედთა ცხოვრების დონის შესახებ. მაგრამ სხვა მკვლევარებმა აღნიშნეს პერმის გუბერნიისთვისაც ჩვეულებრივი მოვლენა — არამიწათმოქმედ მრეწველთა ცხოვრების უფრო მაღალი დონე «უფერულ» მიწათმოქმედებთან შედარებით. შად. «ანგარიშები და გამოკვლევანი შინამრეწველობის შესახებ რუსეთში», — მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამოც., ტ. III, ეგუნოვის სტატია. ავტორი აღნიშნავს ზოგიერთ უმიწაწყლო სოფელში ცხოვრების სავსებით «ქალაქურ» დონეს, შინამრეწველ-არამიწათმოქმედის მისწრაფებას — «ადამიანურად» ჩაიცვას და იცხოვროს (ევროპული ტანისამოსი გახამებული პერანგის ჩათვლით; სამოვარი; ჩაის, შაქრის, თეთრი პურის, საქონლის ხორცისა და სხვ. დიდი მოხმარება); ავტორი საერობო-სტატისტიკურ გამოცემათა ბიუჯეტებს ემყარება.

შორის, თუმცა ეს განსხვავება სრულიადაც ისეთი დიდი არ არის, როგორც მეპატრონეთა შემოსავლის განსხვავება. საერთოდ სამივე ქვეჯგუფში დაქირავებული მუშა მეპატრონე-მიწათმოქმედთან იღებს 43,0 მანეთს, ხოლო არამიწათმოქმედთან — 57,8 მ., ე. ი. $^1/_3$-ით მეტს. ეს განსხვავება შესაძლებელია მნიშვნელოვნად (მაგრამ აქაც არა სავსებით) დამოკიდებული იყოს სამუშაო პერიოდის განსხვავებაზე. ხოლო როგორ ეფარდება ეს განსხვავება მიწასთან კავშირს, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაჯოთ, რადგან მიწათმოქმედ და არამიწათმოქმედ დაქირავებულ მუშათა შესახებ ცნობები არა გვაქვს. რა თქმა უნდა, გარდა სამუშაო პერიოდის გავლენისა აქ თავს იჩენს აგრეთვე მოთხოვნილებათა სხვადასხვა დონის გავლენა.

5) განსხვავება მეპატრონეთა შემოსავლის სიდიდესა და დაქირავებულ მუშათა ხელფასს შორის გაცილებით უფრო მეტია არამიწათმოქმედთა შორის, ვიდრე მიწათმოქმედთა შორის: სამივე ქვეჯგუფში არამიწათმოქმედთა შორის მეპატრონის შემოსავალი თითქმის ერთიორად მეტია დაქირავებულის შემოსავალზე (113 მან. წინააღმდეგ 57,8-ისა), მაშინ როცა მიწათმოქმედთა შორის მეპატრონის შემოსავალი უმნიშვნელო თანხით არის მეტი: 4,1 მანეთით (47,1 და 43,0)! თუ ეს ციფრები გასაოცარია, უფრო მეტი უნდა ითქვას ამ მხრივ მიწათმოქმედ ხელოსნებზე (I, 2), რომლებშიც მეპატრონეთა შემოსავალი დაქირავებულ მუშათა ხელფასზე უფრო დაბალია! მაგრამ ეს მოვლენა სავსებით გასაგები გახდება, როცა ქვემოთ მოვიყვანთ ცნობებს იმ უდიდესი განსხვავების შესახებ, რომელიც არსებობს მსხვილ და წვრილ საწარმოთა შემოსავლის სიდიდეთა შორის. შრომის ნაყოფიერების გადიდებით მსხვილი საწარმოები შესაძლებელს ხდიან ისეთი ქირის გაღებას, რაც აღემატება ღარიბთა, — იმ მარტოხელა შინამრეწველთა შემოსავალს, რომელთა «დამოუკიდებლობა», ბაზრისადმი მათი დაქვემდებარების პირობებში, სრულიად ფიქტიური გამოდის. ეს უდი-

დესი განსხვავება მსხვილ და წვრილ საწარმოთა შემოსავალს შორის თავს იჩენს ორივე ჯგუფში, მაგრამ მიწათმოქმედთა შორის იგი გაცილებით უფრო ძლიერია (წვრილ შინამრეწველთა უფრო მეტი დაბეჩავების გამო). წვრილი მეპატრონის შემოსავალსა და დაქირავებულის ხელფასს შორის სულ მცირეოდენი განსხვავება ცხადჰყოფს, რომ იმ წ ვ რ ი ლ ი მიწათმოქმედი შინამრეწველის შემოსავალი, რომელსაც დაქირავებული მუშები არა ჰყავს, დაქირავებული მუშის ხელფასზე დ ი დ ი კ ი ა რ ა, ხ შ ი რ ა დ უ ფ რ ო მ ც ი რ ე ც ა რ ი ს. მართლაც, მეპატრონის წმინდა შემოსავლის სიდიდე (47,1 მან. 1 შინამუშაზე) წარმოადგენს ს ა შ უ ა ლ ო ოდენობას ყველა საწარმოსათვის, მსხვილთა და წვრილთათვის, მეფაბრიკეთა და მარტოხელათათვის. ცხადია, მსხვილ მეპატრონეებში განსხვავება მეპატრონის წმინდა შემოსავალსა და დაქირავებულის ხელფასს შორის შეადგენს არა 4 მანეთს, არამედ 10 — 100-ჯერ მეტს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ წვრილი შინამრეწველის, მარტოხელას, შემოსავალი 47 მანეთზე გაცილებით უფრო დაბალია, ე. ი. ეს შემოსავალი დაქირავებული მუშის ხელფასზე ა რ ა მ ე ტ ი, ა რ ა მ ე დ ხ შ ი რ ა დ უ ფ რ ო მ ც ი რ ე ც ა რ ი ს. შინამრეწველობის აღწერის ცნობები საწარმოების წმინდა შემოსავლიანობის მიხედვით განაწილების შესახებ (იხ. ქვემოთ § V) სავსებით ადასტურებენ ამ, როგორც სჩანს, პარადოქსულ დასკვნას. მაგრამ ეს ცნობები ეხება საერთოდ ყველა საწარმოს, მიწათმოქმედთა და არამიწათმოქმედთა განურჩევლად; და აი რატომ არის ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ზემოხსენებული ცხრილის ეს შედეგი: ჩვენ გავიგეთ, რომ ყველაზე დაბალი შემოსავალი აქვთ სწორედ მიწათმოქმედთ, რომ «მიწასთან კავშირი» მეტისმეტად ამცირებს შემოსავალს.

მიწათმოქმედთა და არამიწათმოქმედთა შემოსავლის განსხვავებაზე რომ ვლაპარაკობდით, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შეუძლებელია იგი სამუშაო პერიოდთა განსხვავებით ავხსნათ. ვნახოთ ახლა შინამრეწველობის აღწერის ცნობები ამ საკით-

ხზე. აღწერის პროგრამაში, როგორც «შესავალიდან» გავიგეთ, შევიდა გამოკვლევა «წლის განმავლობაში წარმოების დაძაბულობისა, წარმოებაში თვიურად მომუშავე ოჯახებისა და დაქირავებული მუშების რიცხვის მიხედვით» (გვ. 14). ვინაიდან აღწერა კომლობრივი იყო, ე. ი. ყოველ საწარმოს იკვლევდნენ ცალ-ცალკე (სამწუხაროდ, «ნარკვევს» თანდართული არა აქვს კომლობრივი ბლანკის ფორმა), უნდა ვიფიქროთ, რომ ცნობებს ჰკრეფდნენ ყოველი საწარმოს მუშათა რიცხვის შესახებ თვეების მიხედვით, ანდა ყოველ საწარმოში სამუშაო თვეების ხანგრძლივობის შესახებ წელიწადში. ეს ცნობები «ნარკვევში» შეკრებილია ერთ ცხრილად (გვ. 57, 58), რომელშიც ორივე ჯგუფის თვითეული ქვეჯგუფისათვის აღნიშნულია რიცხვი იმ მუშებისა (შინამუშებისა და დაქირავებულებისა ერთად) რომელნიც წ ლ ი ს ყ ო ვ ე ლ თ ვ ე შ ი მ უ შ ა ო ბ ე ნ.

შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერის ცდა ასეთი სიზუსტით გამოერკვია შინამრეწველთა სამუშაო თვეები — ფრიად საგულისხმო და საინტერესოა. მართლაც, ასეთი ცნობების გარეშე მასალები შემოსავლისა და ხელფასის შესახებ სრული ვერ იქნებოდა, და სტატისტიკური გამოანგარიშებაც მხოლოდ დაახლოებითი გამოვიდოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობები სამუშაო პერიოდის შესახებ სრულიად არასაკმარისად არის დამუშავებული: გარდა ამ საერთო ცხრილისა მოცემულია მხოლოდ ცნობები ზოგიერთი სარეწის მუშათა რიცხვზე თვეების მიხედვით, ზოგჯერ ჯგუფებად დანაწილებით, ზოგჯერ კი ასე დაუნაწილებლად; ქვეჯგუფებად დანაწილება კი არც ერთი სარეწის მიხედვით არ არის. ამ საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა მსხვილ საწარმოთა გამოყოფა, ვინაიდან ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, — როგორც a priori, ისე შინამრეწველობის სხვა მკვლევართა ცნობების მიხედვით, — რომ სამუშაო პერიოდები მსხვილ და წვრილ შინამრეწველებში ერთნაირი არ არის. გარდა ამისა, თვით ცხრილი 57 გვერდზე, ეტყობა, შედგენილია არცთუ

ისე, რომ შიგ გამოანგარიშების ან ბეჭდვითი შეცდომები არ იყოს (მაგალითად, თვეებში: თებერვალი, აგვისტო, ნოემბერი; II ჯგუფის მე-2 და მე-3 სვეტები, ეტყობა, ერთმანეთშია არეული, ვინაიდან მე-3 ქვეჯგუფში მუშათა რიცხვი მეტია, ვიდრე მეორეში). ამ არასიზუსტეთა გასწორების (ხანდახან დაახლოებითი გასწორების) შემდეგაც კი ეს ცხრილი ბევრ ეჭვს იწვევს, რაც სახიფათოს ხდის მის გამოყენებას. მართლაც, თუ ამ ცხრილის ცნობებს ქვეჯგუფების მიხედვით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მე-3 ქვეჯგუფში (ჯგ. I) მომუშავე მუშათა maximum-ი მოდის დეკემბერზე და 2 911 მუშას შეადგენს. ხოლო «ნარკვევის» მიხედვით მე-3 ქვეჯგუფში სულ 2 551 მუშაა. იგივეა II ჯგუფის მე-3 ქვეჯგუფში: maximum — 3 221, ხოლო მუშათა ნამდვილი რიცხვი — 3 077. პირიქით, ქვეჯგუფების მიხედვით ერთ-ერთ თვეში მომუშავე მუშათა maximaნაკლებია მუშათა ნამდვილ რიცხვზე. როგორ ავხსნათ ეს მოვლენა? იმით ხომ არა, რომ ამ საკითხზე ცნობები შეკრებილია არა ყველა საწარმოს შესახებ? ეს ძალიან ახლოსაა ჭკუასთან, მაგრამ «ნარკვევში» კრინტიც არ არის დაძრული ამაზე. II ჯგუფის მე-2 ქვეჯგუფში არათუ მუშათა maximum-ი (თებერვალი) მეტია მუშათა ნამდვილ რიცხვზე (1 882 წინააღმდეგ 1 163-ისა), არამედ ერთ თვეს მომუშავე მუშათა საშუალო რიცხვიც (ე. ი. 12 თვეში მომუშავე მუშათა მთელი რაოდენობის 12-ზე გაყოფით მიღებული განაყოფი) მეტია მუშათა ნამდვილ რიცხვზე (1 265 წინააღმდეგ 1 163-ისა)!! საკითხავია, მუშათა რომელი რიცხვი მიაჩნდათ რეგისტრატორებს სინამდვილედ: საშუალო რიცხვი მთელი წლისა, საშუალო რიცხვი რომელიმე პერიოდისა (მაგალითად, ზამთრისა), თუ წლის ერთი განსაზღვრული თვის ფაქტიური რიცხვი? ყველა ამ გაუგებრობას ვერ ფანტავს ცალკეულ სარეწებში მუშათა თვიურ რიცხვზე ცნობების განხილვა. იმ 23 სარეწის უმეტესობაში, რომელთა შესახებაც ეს ცნობებია მოცემული, წლის ერთ-ერთ თვეში მომუშავე მუშათა maximum-ი ნაკლებია მუშათა ნამდვილ

რიცხვზე. 2 სარეწში ეს maximum-ი მეტია მუშათა ნამდვილ რიცხვზე: სპილენძის ნაკეთობათა (239 წინააღმდეგ 233-ისა) და სამჭედლო სარეწებში (II ჯგუფი — 1 811 წინააღმდეგ 1 269-ისა). ორ სარეწში კი maximum-ი მუშათა ნამდვილ რიცხვს უდრის (თოკისა და ზეთსახდელში, II ჯგუფები).

ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება გამოვიყენოთ ცნობები მუშების თვეების მიხედვით განაწილების შესახებ მათ შესადარებლად ხელფასის თანხებთან, მუშათა ნამდვილ რიცხვთან და სხვ. ისღა დაგვრჩენია, რომ ეს ცნობები ავიღოთ სხვებთან შეუფარდებლად, ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა თვეში მომუშავე მუშების maxima და minima. «ნარკვევში» სწორედ ასეა, მაგრამ ამასთანავე შედარებულია ცალკე თვეები. ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ერთმანეთს შევადაროთ ზამთარი და ზაფხული: მაშინ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ, თუ რამდენად იზიდავს მიწათმოქმედება მუშებს სარეწისაგან. ჩვენ ნორმად ავიღეთ ზამთრობით (ოქტომბერ — მარტში) მომუშავე მუშათა საშუალო რიცხვი, ამ ნორმას მივუყენეთ ზაფხულში მომუშავე მუშათა რიცხვი და მივიღეთ ზაფხულის სამუშაო თვეების რიცხვი. ზაფხულისა და ზამთრის სამუშაო თვეთა ჯამი იძლეოდა წლის სამუშაო თვეების რიცხვს. განვმარტოთ ეს მაგალითით. I ჯგუფის 1-ლ ქვეჯგუფში ზამთრის ექვს თვეში მუშაობს 18 060 მუშა; მაშასადამე, ზამთრის ერთ თვეში მუშაობს საშუალოდ (18 060 : 6 =) 3 010 მუშა. ზაფხულში მუშაობს 12 345 მუშა, ე. ი. სამუშაო პერიოდს ზაფხულში შეადგენს (12 345 : 3 010) 4,1 თვე. მაშასადამე, I ჯგუფის 1-ლ ქვეჯგუფში სამუშაო პერიოდს შეადგენს 10,1 თვე წელიწადში.

ცნობების დამუშავების ასეთი ხერხი ჩვენ ყველაზე მართებულად და ყველაზე მოხერხებულად მიგვაჩნდა. ყველაზე მართებულად — იმიტომ რომ იგი ემყარება ზამთრისა და ზაფხულის თვეების შედარებას, მაშასადამე, იმის ზუსტად გამორკვევას, თუ რამდენად იზიდავს მუშებს სარეწისაგან მი-

წათმოქმედება. ზამთრის თვეები რომ სწორად არის აღებული, ამას ის ადასტურებს, რომ სწორედ ოქტომბრიდან და სწორედ მარტამდე ორივე ჯგუფში მუშათა რიცხვი წლიურ საშუალო რიცხვზე დიდია. სწორედ სექტემბრიდან ოქტომბრამდე მუშათა რიცხვი ყველაზე უფრო იზრდება; სწორედ მარტიდან აპრილამდე იგი ყველაზე უფრო მცირდება. თუმცაღა, უნდა ითქვას, რომ სხვა თვეების აღებაც დასკვნებს ფრიად უმნიშვნელოდ შესცვლიდა. აღებული ხერხი ყველაზე მოხერხებულად მიგვაჩნია იმიტომ, რომ იგი სამუშაო პერიოდს ზუსტი რიცხვით გამოხატავს და საშუალებას იძლევა ამ მხრივ ჯგუფები და ქვეჯგუფები ერთმანეთს შევადაროთ.

აი ამ წესით მიღებული მონაცემები:

	I ჯგუფი				II ჯგუფი				ორივე ჯგუფში
	ქვეჯგუფები			სულ	ქვეჯგუფები			სულ	
სამუშაო პერიოდი თვეებად	1	2	3		1	2	3		
	10,1	9,6	10,5	10,0	10,0	10,4	10,9	10,5	10,2

ამ ცნობებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მიწათმოქმედთა და არამიწათმოქმედთა სამუშაო პერიოდს შორის განსხვავება სრულიად მცირეა: არამიწათმოქმედთა სამუშაო პერიოდი სულ 5%-ით უფრო ხანგრძლივია. ამ განსხვავების მეტისმეტი სიმცირე ეჭვს იწვევს ციფრების სისწორისადმი. ჩვენ მოვახდინეთ ზოგიერთი გამოანგარიშება, შევაჯამეთ წიგნში გაფანტული მასალა შესამოწმებლად და შემდეგ დასკვნამდე მივედით:

43 სარეწიდან 23-ზე «ნარკვევში» მოცემულია ცნობები მუშათა თვიური განაწილების შესახებ, ამასთან 12 (13) * სარეწისათვის ეს ცნობები გატარებულია ჯგუფებად, ხოლო 10-სათვის არ არის გატარებული. აღმოჩნდა, რომ სამ სარეწში (ფის-კუპრისა, სამღებროსა და აგურისაში) მუშათა რიცხვი ზაფხულობით მეტია, ვიდრე ზამთრობით: ზამთრის ექვს თვეში მუშაობს სულ 1 953 კაცი სამივე ამ სარეწში, ხოლო

* რქის სარეწს მხოლოდ ერთი I-ლი ჯგუფი აქვს.

ზაფხულის ექვს თვეში — 4 918 კაცი. ამ სარეწებში მიწათ-მოქმედთა რიცხვი დიდად სჭარბობს არამიწათმოქმედთ, შეადგენს მუშათა მთელი რაოდენობის 85,9%-ს. ცხადია, ჯგუფების მიხედვით საერთო ჯამებში ამ, ასე ვთქვათ, საზაფხულო სარეწების დანარჩენებთან შეერთება სრულიად უმართებულო იყო, ვინაიდან ეს ნიშნავდა სხვადასხვაგვარი საგნების შეერთებას და ყველა სარეწში ზაფხულის მუშათა რიცხვის ხელოვნურად გადიდებას. აქედან წარმომდგარი შეცდომის გასასწორებლად ორი საშუალება არსებობს. პირველი — გამოვაკლოთ ამ სამი სარეწის მონაცემები «ნარკვევის» I და II ჯგუფთა ჯამებს *. მივიღებთ სამუშაო პერიოდს I ჯგუფისათვის 9,6 თვეს, II-სათვის — 10,4 თვეს. აქ ორივე ჯგუფს შორის განსხვავება მეტია, მაგრამ მაინც ძალიან მცირეა: 8,3%. შეცდომის გასწორების მეორე საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ შევაჯამოთ მონაცემები იმ 12 სარეწის შესახებ, რომელთათვისაც «ნარკვევში» მოცემულია ცნობები მუშების თვეობით განაწილებაზე I და II ჯგუფისათვის ცალ-ცალკე. ასეთი შეჯამება მოიცავს შინამრეწველთა მთელი რაოდენობის 70%-ს, ამასთანავე I და II ჯგუფის შედარება უფრო სწორი იქნება. აღმოჩნდა, რომ ამ 12 სარეწში სამუშაო პერიოდი I ჯგუფისათვის უდრის მხოლოდ 8,9 თვეს, II-სათვის კი — 10,7 თვეს, ხოლო ორივე ჯგუფისათვის ერთად 9,7 თვეს. აქ არამიწათმოქმედთა სამუშაო პერიოდი 20,2%-ით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მიწათმოქმედთა. მიწათმოქმედნი ზაფხულობით მუშაობას სწყვეტენ 3,1 თვით, არამიწათმოქმედნი კი მხოლოდ 1,3 თვით. II და I ჯგუფებში სამუშაო პერიოდების მაქსიმალური შეფარდება ნორმად რომ მივიჩნიოთ, მაშინაც აღმოჩნდება, რომ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ს ა მ უ შ ა ო პ ე რ ი ო დ ე ბ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ ა ვ-ხ ს ნ ა თ არათუ I და II ჯგუფის მუშათა საერთო წარმოების ან მათ საწარმოთა წმინდა შემოსავლიანობის განსხვავებანი,

* ამ სამი სარეწის მუშების განაწილება I და II ჯგუფებს შორის დაახლოებითია, ნორმად აღებულია 85,9% I-სათვის.

არამედ მიწათმოქმედთა და არამიწათმოქმედთა დაქირავებული მუშების ხელფასის განსხვავებანიც. მაშასადამე, ზემოთ გამოყვანილი დასკვნა, რომ მიწასთან კავშირი ამცირებს შინამრეწველთა შემოსავალს, — სავსებით ძალაში რჩება.

ამიტომ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ «ნარკვევის» შემდგენელთა აზრი, რომელთაც სურთ მიწათმოქმედთა და არამიწათმოქმედთა შემოსავლის განსხვავება სამუშაო პერიოდების განსხვავებით ახსნან. მათი შეცდომა იმისგან წარმოსდგა, რომ ისინი არ ცდილან სამუშაო პერიოდთა განსხვავება ზუსტი ციფრებით გამოეხატათ, და ამიტომ დაიბნენ. მაგალითად, «ნარკვევის» 106-ე გვერდზე ნათქვამია: მიწათმოქმედ ქურქჩებისა და არამიწათმოქმედ ქურქჩების შემოსავლის განსხვავება «განისაზღვრება უმთავრესად იმ სამუშაო დღეთა რაოდენობით, რასაც ისინი ამ სარეწს ანდომებენო». ნამდვილად კი სარეწში არამიწათმოქმედთა შემოსავალი მიწათმოქმედთა შემოსავალს 2 — 4-ჯერ სჭარბობს (1-ლ ქვეჯგუფში ერთ შინამუშაზე 65 და 280 მანეთი; მე-2-ში — 27 და 62 მან.), არამიწათმოქმედთა სამუშაო პერიოდი კი უფრო ხანგრძლივია სულ 28,7%-ით (8,5 თვე წინააღმდეგ 6,6-ისა).

მიწასთან კავშირის გამო შემოსავლის შემცირების ფაქტი არც «ნარკვევის» შემდგენელთ დარჩენიათ შეუმჩნეველი, მაგრამ მათ იგი გამოხატეს ჩვეულებრივი ნაროდნიკული ფორმულით კაპიტალისტურთან შედარებით შინასამრეწველო ფორმის «უპირატესობის» შესახებ: «აერთებს რა მიწათმოქმედებას სარეწთან, შინამრეწველს... შეუძლია თავისი ნაწარმი ფაბრიკისაზე უფრო იაფად გაჰყიდოს» (გვ. 4), შეუძლია, სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაკლებ შემოსავალს დასჯერდესო. მაგრამ რაში გამოიხატება აქ მიწასთან კავშირის «უპირატესობა», თუ კი ქვეყნის მთელ წარმოებას ბაზარი უკვე იმდენად დაუფლებია, რომ ამცირებს ამ კავშირს, დაბლა სწევს მიწათმოქმედ შინამრეწველის შემოსავალს? თუ კი კაპიტალს შეუძლია ამ «კავშირით» ისარგებლოს, რათა უფრო მეტად დაჩაგროს მიწათმოქმედი შინამრეწველი, რომელსაც ნაკლები

უნარი აქვს. თავდაცვისა, სხვა მეპატრონის, სხვა მყიდველის, სხვა ხელობის არჩევისა? ხელფასის (და საერთოდ სამრეწველო შემოსავლის) შემცირება მაშინ როცა მუშას (და წვრილ მრეწველს) პატარა ნაკვეთი მიწა მოეპოვება, საერთო მოვლენაა ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის, მოვლენა, რომელიც მშვენივრად ცნობილია ყველა მეწარმისათვის, რომელთაც დიდი ხანია დააფასეს მიწასთან მიჯაჭვულ მუშათა უდიდესი «უპირატესობანი». მხოლოდ დამპალ დასავლეთში უწოდებენ მოვლენებს მათს პირდაპირ სახელს, ჩვენში კი შემოსავლის შემცირებას, მშრომელთა საარსებო დონის დაწევას, მანქანათა შემოღების შეფერხებას, ყოველგვარი კაბალის განმტკიცებას «სახალხო წარმოების» «უპირატესობას» უწოდებენ, რაც «მიწათმოქმედებას სარეწთან აერთებს»...

შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერის იმ ცნობების მიმოხილვის ბოლოს, რომლებიც სამუშაო პერიოდს შეეხება, არ შეიძლება კვლავ მწუხარება არ გამოვთქვათ მიღებული ცნობების დაუმუშავებლობის გამო და არ ვისურვოთ, რომ ამ მარცხმა არ დააფრთხოს ამ საინტერესო საკითხის სხვა მკვლევარები. კვლევის ხერხი — მუშა-ხელის თვეობით განაწილების გამორკვევა — არ შეიძლება ფრიად მოხერხებულად არ მივიჩნიოთ. ზემოთ მოვიყვანეთ ცნობები სამუშაო პერიოდის შესახებ ჯგუფებად და ქვეჯგუფებად. ცნობები ჯგუფების მიხედვით ჩვენ რამდენადმე შეგვეძლო შეგვემოწმებინა. ქვეჯგუფების მიხედვით კი ცნობების შემოწმება ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან წიგნში აბსოლუტურად არავითარი ცნობები არ მოიპოვება სამუშაო პერიოდის სხვადასხვა ქვეჯგუფების მიხედვით განსხვავების შესახებ. ამიტომ, როცა ეს ცნობები მოგვყავს, უნდა შევნიშნოთ, რომ შეუძლებელია მათი სრული საიმედოობის თავდებობა ვიკისროთ, და თუ მაინც გამოგვყავს შემდგომი დასკვნები, მხოლოდ იმისათვის, რომ საკითხი დავსვათ და მას მკვლევართა ყურადღება მივაპყროთ. უმნიშვნელოვანესი დასკვნა ის არის, რომ I და II ჯგუფის სამუშაო პერიოდების უმცირეს განსხვავებას 1-ლ

ქვეჯგუფში ვამჩნევთ (სულ I%-ით: 101,1 და 10,0 თვე), ე. ი. მიწათმოქმედებას ყველაზე ნაკლებად შორდებიან ყველაზე შეძლებული შინამრეწველნი და ყველაზე მსხვილი და შეძლებული მიწათმოქმედნი. ყველაზე მეტი განსხვავებაა ხელოსნებში (მე-2 ქვეჯგუფი: 9,5 და 10,4 თვე), ე. ი. მრეწველსა და საშუალო მიწათმოქმედებში, რომელთაც სასაქონლო მეურნეობა ყველაზე ნაკლებად შეხებიათ. თითქოს ისე გამოდის, რომ შეძლებულ მიწათმოქმედთა მცირე დაშორება მიწათმოქმედებისაგან დამოკიდებულია ან მათი ოჯახების უფრო დიდ შემადგენლობაზე, ან დაქირავებული შრომის უფრო მეტ ექსპლუატაციაზე სარეწში, ან მათ მიერ მიწათმოქმედ მუშაკთა დაქირავებაზე, და რომ მიწათმოქმედებისაგან ხელოსანთა ყველაზე მეტად დაშორება დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი ყველაზე ნაკლებად არიან დაშლილნი, როგორც მიწათმოქმედნი, ყველაზე მეტად შენარჩუნებული აქვთ პატრიარქალური ურთიერთობა და უშუალოდ მუშაობა მომხმარებელ-მიწათმოქმედთათვის, რომელნიც ზაფხულობით თავიანთ შეკვეთებს ამცირებენ *.

— «მიწათმოქმედებასთან კავშირი», აღწერის ცნობებით, ფრიად თვალსაჩინო გავლენას ახდენს შინამრეწველთა წერა-კითხვის ცოდნაზე; — დაქირავებულ მუშათა წერა-კითხვის ცოდნა, სამწუხაროდ, გამოკვლეული არ არის. აღმოჩნდა, რომ არამიწათმოქმედი მოსახლეობა ** მნიშვნელოვნად უფროა წერა-კითხვის მცოდნე, ვიდრე მიწათმოქმედი, მასთან ეს შეფარდება ემჩნევა უკლებლივ ყველა ქვეჯგუფს მამაკაცთათვისაც და ქალ-

* არის გამონაკლისი: სამღებრო სარეწი — იგი მხოლოდ და მხოლოდ ხელოსნურია, და მასში ზაფხულის მუშაობა სჭარბობს ზამთრისას.

** მოგაგონებთ, რომ ამაში ქალაქი (ისიც სამაზრო) შესულია მხოლოდ ერთი, როგორც გამონაკლისი: II ჯგუფის 4 762 შინამუშიდან ქალაქელია მხოლოდ 1 412, ე. ი. 29,6%.

თათვისაც. აი in extenso* აღწერის მონაცემები ამ საკითხზე პროცენტული შეფარდებით (გვ. 62):

		I ჯგუფი (მიწათმოქმ.)				II ჯგუფი (არა მიწათმოქ.)				ორივე ჯგუფში
		ქვეჯგუფები				ქვეჯგუფები				
		1	2	3	სულ	1	2	3	სულ	
«წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტული შეფარდება არსებულ პირთა რაოდენობასთან»	მამრ. სქ.	32	33	20	31	41	45	33	39	33
	მდედრ. სქ.	9	6	4	7	17	22	14	17	9
«წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი იმათ შორის, რომელნიც პირად შრომითს მონაწილეობას იღებენ წარმოებაში»	მამრ. სქ.	39	37	26	36	44	57	51	49	40
	მდედრ. სქ.	13	17	4	10	53	21	23	30	19
პროცენტი წერა-კითხვის მცოდნეთა ოჯახებისა		49	43	34	44	55	63	50	55	47

საინტერესოა აღინიშნოს, რომ არამიწათმოქმედ მოსახლეობაში წერა-კითხვის ცოდნა გაცილებით უფრო სწრაფად ვრცელდება ქალთა შორის, ვიდრე მამაკაცთა შორის. II ჯგუფში წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცთა პროცენტი $1^1/_2$ — 2-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე I-ში, ხოლო წერა-კითხვის მცოდნე ქალთა პროცენტი მეტია $2^1/_2$ — $5^3/_4$-ჯერ.

ვაჯამებთ რა იმ დასკვნებს, რაც «სარეწთან დაკავშირებულ მიწათმოქმედების» შესახებ შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერამ მოგვცა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიწათმოქმედებასთან კავშირი:

1) იცავს მრეწველობის ყველაზე ჩამორჩენილ ფორმებს და აფერხებს ეკონომიურ განვითარებას;

* — მთელი მოცულობით. რ ე დ.

2) ამცირებს შინამრეწველთა საშოვარსა და შემოსავალს, ასე რომ მიწათმოქმედ-მეპატრონეთა ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი ქვეჯგუფები იღებენ, საერთოდ და საშუალოდ, უფრო ნაკლებს, ვიდრე არამიწათმოქმედთა დაქირავებული მუშების ყველაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი ქვეჯგუფები, არამიწათმოქმედ-მეპატრონეთა შესახებ რომ აღარა ვთქვათ რა. დაქირავებულ მუშებთან შედარებითაც კი იმავე ჯგუფის მეპატრონეთა I ჯგუფში იღებენ ფრიად მცირე შემოსავალს, რაც ძალიან ცოტათი აღემატება დაქირავებულ მუშათა ხელფასს, ზოგჯერ კი უფრო მცირეც არის;

3) აფერხებს იმ მოსახლეობის კულტურულ განვითარებას, რომელსაც მოთხოვნილებათა უფრო დაბალი დონე აქვს და რომელიც ძალიან დიდად ჩამორჩება არამიწათმოქმედთ წერა-კითხვის ცოდნაში.

ეს დასკვნები გამოგვადგება ქვემოთ, სამრეწველო პოლიტიკის ნაროდნიკული პროგრამის შეფასების დროს.

4) შინამრეწველ-მიწათმოქმედთა შორის აღნიშნულია დაშლა, რაც პარალელურია მრეწველთა დაშლისა. ამასთანავე მიწათმოქმედთა უმაღლესი (უზრუნველყოფის მხრივ) კატეგორიები წარმოადგენენ იმ გლეხური ბურჟუაზიის წმინდა ტიპს, რომელიც თავის მეურნეობას აფუძნებს მოჯამაგირეთა და დღიურ მუშათა დაქირავებაზე.

5) მიწათმოქმედთა სამუშაო პერიოდი უფრო მოკლეა, ვიდრე არამიწათმოქმედთა, მაგრამ ეს განსხვავება ფრიად მცირეა (5% — 20%).

V

მსხვილი და წვრილი საწარმონი. — შინამრეწველთა შემოსავალი

შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერის ცნობებზე შინამრეწველთა შემოსავლის შესახებ საჭიროა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ. შემოსავლის შესახებ კომლობ-

რივ მონაცემთა თავმოყრის ცდა ფრიად საგულისხმოა, და სრულიად უმართებულო ხერხი იქნებოდა დავკმაყოფილებულიყავით ქვეჯგუფების მიხედვით საერთო «საშუალო ციფრებით» (რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ). ჩვენ უკვე არა ერთხელ გვითქვამს იმ «საშუალო ციფრების» ფიქტიურობის შესახებ, რომლებიც მარტოხელა შინამრეწველთა და მსხვილი საწარმოების პატრონთა შეერთებიდან და მიღებული ჯამის საკრებთა რიცხვზე გაყოფიდან გამოჰყავთ. მაშ შევეცადოთ «ნარკვევში» ამ საკითხზე არსებული ცნობები შევკრიბოთ, რათა ცხადვყოთ და დავამტკიცოთ ეს ფიქტიურობა, დავამტკიცოთ, რომ მეცნიერული კვლევისა და კომლობრივ აღწერათა ცნობების დამუშავებისას აუცილებელია შინამრეწველთა დაჯგუფება თანრიგებად სახელოსნოს მუშათა (როგორც შინამუშათა, ისე დაქირავებულთა) რიცხვის მიხედვით და აღწერის ყველა ცნობა მოვიყვანოთ ამ თანრიგთა მიხედვით.

«ნარკვევის» შემდგენლებს არ შეიძლებოდა არ შეემჩნიათ ყველასთვის თვალსაჩინო ფაქტი მსხვილ საწარმოთა მეტი შემოსავლიანობისა და შეეცადნენ მისი მნიშვნელობა შეესუსტებინათ. მსხვილ საწარმოთა შესახებ აღწერის ზუსტი ცნობების ნაცვლად (ამ ცნობების გამოყოფა ძნელი არ იქნებოდა) ისინი კვლავ დაკმაყოფილდნენ ზოგადი მსჯელობითა და მოსაზრებებით, ნაროდნიკობისთვის არასასიამოვნო დასკვნების საწინააღმდეგო საბუთებით. განვიხილოთ ეს საბუთები.

«თუ ასეთ (მსხვილ) საწარმოებში გვხვდება ოჯახის არაპროპორციულად მეტი შემოსავალი წვრილ საწარმოებთან შედარებით, მხედველობიდან როდი უნდა გამოგვრჩეს, რომ ამ შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია, უმთავრესად, ღირებულების რეპროდუქცია, ჯერ-ერთი, ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილისა, რომელიც პროდუქტებში გადასულა; მეორე, იმ შრომისა და სავაჭრო-სატრანზიტო ხასიათის ხარჯებისა, რომელნიც წარმოებას ვერ მიეკუთვნებიან, და, მესამე, იმ დაქირავებული მუშების საკვები ულუფის ღირებულებისა, რომელნიც მეპატრონეთა ხარჯზე არიან. ამ ფაქტებით (! კარ-

გი ფაქტები კია!) განისაზღვრება ზოგიერთი ილუზიის შესაძ-ლებლობა შინასამრეწველო წარმოებაში დაქირავებული შრომის ანუ, რაც იგივეა, კაპიტალისტური ელემენტის ხელ-საყრელობის შესახებ გაზვიადებული წარმოდგენისა» (გვ. 15). კვლევაძიებისათვის ილუზიათა შესაძლებლობის «შეზღუდვა» რომ ფრიად სასურველია, ამაში, რა თქმა უნდა, ეჭვი არავის შეუვა; მაგრამ ამისათვის საჭიროა «ილუზიებს» დავუპირისპი-როთ სწორედ ის ფ ა ქ ტ ე ბ ი, კომლობრივი აღწერით რომ არის შეკრებილი, და არა საკუთარი მოსაზრებანი, რომელნიც ხანდახან მთლად «ილუზიებს» ეკუთვნიან. მართლაც, განა ილუზია არ არის ავტორთა მსჯელობა სავაჭრო-სატრანზიტო ხარჯებზე? ვინ არ იცის, რომ მსხვილი მრეწველისათვის ეს ხარჯები პროდუქტის ერთეულზე გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე წვრილისათვის *, რომ პირველი მასალას უფრო იაფად ყიდულობს, ხოლო პროდუქტს უფრო ძვირად ჰყიდის, რადგან დროისა და ადგილის შერჩევის უნარი (და შესაძლებლობა) აქვს? შინამრეწველობის აღწერაც მიგვითითებს ამ საყოველ-თაოდ ცნობილ ფაქტებზე: შეად., მაგალ., გვ. 204 და 263, და არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ, რომ «ნარკვევში» არ მოიპოვება ფ ა ქ ტ ე ბ ი ნედლეულის შეყიდვასა და პრო-დუქტის გასაღებაზე მსხვილ და წვრილ მრეწველთა, შინა-მრეწველთა და შემყიდველთა მიერ გაწეული ხარჯების შე-სახებ. შემდეგ, რაც შეეხება ძირითადი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ცვდება, ავტორები აქაც, ილუზიას რომ ებრძვიან ილუზიაში ვარდებიან. თეორიით ცნობილია, რომ ძირითად კაპიტალზე გაწეული დიდი ხარჯები ამცირებენ ღირებულე-ბის იმ ნაწილს პროდუქტის ერთეულზე გაანგარიშებით, რო-მელიც ცვდება და პროდუქტზე გადადის. «ხელით ნაკეთ ან სამანუფაქტურო საქონელთა და მანქანებით დამზადებულ იმავე საქონელთა შედარებითი ანალიზი საერთოდ იმ შედეგს

* თავისთავად იგულისხმება, რომ შედარება შეიძლება მხოლოდ ერთი ქვეჯგუფის შინამრეწველთა და არა საქონელმწარმოებლისა ხელოსანთან ან შემყიდველისათვის მომუშავესთან.

იძლევა, რომ მანქანით დამზადებულ პროდუქტში შრომის იარაღებიდან გარდამავალი ნაწილი ღირებულებისა შედარებით იზრდება, მაგრამ აბსოლუტურად მცირდება. ესე-იგი მისი აბსოლუტური სიდიდე მცირდება, მაგრამ მისი სიდიდე პროდუქტის, მაგ., ერთი გირვანქა ნართის, მთელი ღირებულების მიმართ იზრდება» (« Das Kapital », I³, S. 406) *. აღწერა ანგარიშობდა წარმოების ხარჯებსაც, რომელთა რიცხვში შედის (გვ. 14, პ. მე-7) «ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის რემონტი». სად არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ პუნქტის რეგისტრაციაში ხარვეზები უფრო ხშირად გვხვდება მსხვილ, ვიდრე წვრილ მეპატრონეთა შორის? იქნებ უფრო პირიქით იყოს? რაც შეეხება დაქირავებული მუშების შენახვას, «ნარკვევში» ამ საკითხზე არავითარი ფ ა ქ ტ ე ბ ი არ მოიპოვება: ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ რამდენ მუშას ინახავს მეპატრონე, რამდენად ხშირია აღწერის ხარვეზები ამ პუნქტში, რამდენად ხშირად ინახავენ მეპატრონე-მიწათმოქმედნი დაქირავებულებს საკუთარი მეურნეობის პროდუქტებით, რამდენად ხშირად შეჰქონდათ მეპატრონეებს მუშების შენახვა წარმოების ხარჯებში. სწორედ ასევე არავითარი ფ ა ქ ტ ე ბ ი არ არსებობს მსხვილ და წვრილ საწარმოებში სამუშაო პერიოდთა არაერთნაირი ხანგრძლივობის შესახებ. ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ, რომ მსხვილ საწარმოებში სამუშაო პერიოდი, ალბათ, უფრო გრძელია, ვიდრე წვრილ საწარმოებში, მაგრამ, ჯერ-ერთი, შემოსავლიანობის განსხვავება გაცილებით უფრო დიდია სამუშაო პერიოდის განსხვავებაზე; მეორე, უნდა აღვნიშნოთ, რომ კომლობრივი აღწერის ზუსტი ფ ა ქ ტ ე ბ ი ს (რომლებიც ქვემოთ მოგვყავს) წინააღმდეგ პერმელმა სტატისტიკოსებმა ვერ შესძლეს მოეყვანათ ვერც ერთი საფუძვლიანი, ზუსტ ცნობებზე დამყარებული, მოსაზრება ნაროდნიკულ «ილუზიათა» დასაცავად.

ცნობებს მსხვილ და წვრილ საწარმოთა შესახებ ჩვენ ამ-

* — «კაპიტალი», ტ. I, გამ. მე-2, გვ. 406 [80]. რ ე დ.

ნაირად ვიღებდით: ვსინჯავდით «ნარკვევისათვის» დართულ ცხრილებს, აღვნიშნავდით მსხვილ საწარმოებს (როდესაც მათი გამოყოფა შეიძლება, ე. ი. როდესაც ისინი გათქვეფილი არ არიან საწარმოთა მასის საერთო ჯამში) და ვადარებდით «ნარკვევის» ი მ ა ვ ე ჯგუფის და ქვეჯგუფის ყველა საწარმოს საერთო ჯამებს. საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ, იმედი გვაქვს, მკითხველები არ დაგვემდურებიან ქვემოთ მოყვანილი ცხრილების სიმრავლისათვის: ცხრილებში მონაცემები უფრო რელიეფურად და კომპაქტურად მოსჩანს:

თექის ჩექმის სარეწი:

ჯგუფი I ქვეჯგუფი 1	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			მთლიანი შემოსავალი		დაქირავ. მუშ. ხელფასი		წმინდა შემოსავალი		მითითებანი «ნარკვევის» გვერდებზე
		შინამუშები	დაქირავებული	ს ე ნ	ს ე ნ	1 მუშაზე	ს ე ნ	1 დაქირავ. მუშაზე	ს ე ნ	1 შინამუშაზე	
					მანეთები						
ს უ ლ	58	99	95	194	22 769	117,3	4 338	45,6	7 410	75,0	გვ. 112 ტექსტისა
მსხვილი საწარმო:	10	14	65	79	13 291	168,0	3 481	53,5	3 107	222,0	გვ. 214, 215 და 154 ცხრ.
დარჩენი საწარმოები გაოდა ამ მსხვილებისა	48	85	30	115	9 478	82,4	857	28,5	4 303	41,2	

მაშასადამე, ერთი შინამუშის «საშუალო» შემოსავალი 75 მან. მივიღეთ შემოსავლის 222 მ. და 41 მ. შეერთების გზით. აღმოჩნდა, რომ 10 მსხვილი საწარმოს გამოკლებით *,

* მაგრამ ესენი არცთუ ყველაზე დიდი საწარმოები არიან. დაქირავებულ მუშათა რიცხვის მიხედვით საწარმოთა განაწილებიდან (გვ. 113) შეიძლება გამოვიანგარიშოთ, რომ 3 საწარმოში 163 დაქირავებული მუშაა, ე. ი. თითო საწარმოზე საშუალოდ 54 დაქირავებული მუშა. აი ესენი არიან ის «შინამრეწველნი», რომლებსაც მარტოხელებს უმატებენ (მარტოხელები სარეწში 460 კაცზე არანაკლებია) და საერთო «საშუალო ციფრები» გამოჰყავთ!

სადაც 14 შინამუშაა, დანარჩენი საწარმონი იძლევიან წ მ ი ნ-
დ ა შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ს, რომელიც დაქირავებული მუშის
ხელფასზე ნ ა კ ლ ე ბ ი ა (41,2 მ. წინააღმდეგ 45,6-ისა),
მსხვილ საწარმოებში კი ხელფასი კიდევ მატულობს. შრომის
ნაყოფიერება მსხვილ საწარმოებში ერთიორად და კიდევ უფ-
რო მეტად დიდია (168,0 და 82,4), დაქირავებული მუშის
ხელფასიც თითქმის ორჯერ მეტია (53 და 28), ხოლო წმინდა
შემოსავალი ხუთჯერ მეტი (222 და 41). ცხადია, ვერც სა-
მუშაო პერიოდის განსხვავებით, ვერც სხვა რაიმე მოსაზრე-
ბებით ვერ გავაბათილებთ იმ ფაქტს, რომ მსხვილ საწარ-
მოებს შრომის უმაღლესი ნაყოფიერება * და უმაღლესი შემო-
სავლიანობა აქვთ, ხოლო წვრილი შინამრეწველნი — მთელი
თავისი «დამოუკიდებლობის» (1-ლი ქვეჯგუფი: დამოუკი-
დებლად მუშაობენ საბაზროდ) და მიწასთან კავშირის (I ჯგუ-
ფი) მიუხედავად, დაქირავებულ მუშებზე ნაკლებს იღებენ.

სადურგლო სარეწში I ჯგუფის 1-ლ ქვეჯგუფში ოჯახთა
«წმინდა შემოსავალი» უდრის «საშუალოდ» 37,4 მანეთს ში-
ნამუშაზე, მაშინ როდესაც ამავე ქვეჯგუფის ერთი დაქირა-
ვებული მუშის საშუალო ხელფასი უდრის 56,9 მ. (გვ. 131).
ცხრილების მიხედვით მსხვილ საწარმოთა გამოყოფა შეუძლე-
ბელია, მაგრამ ეჭვს გარეშეა — მუშის შემოსავლის ეს «სა-
შუალო» სიდიდე იმის შედეგია, რომ ერთმანეთთან მიმატებუ-
ლია დიდშემოსავლიანი საწარმოები, სადაც დაქირავებული
მუშები ჰყავთ (რომლებსაც 56 მანეთს ხომ რისთვისმე აძლე-
ვენ), და პაწაწკინტელა სახელოსნოები წვრილი «დამოუკიდე-
ბელი» შინამრეწველებისა, რომლებიც დაქირავებულ მუშაზე
ბევრად ნაკლებს იღებენ.

მაშასადამე, 99 საწარმოდან 11-ში კონცენტრირებულია
მთელი წარმოების თითქმის ნახევარი. შრომის ნაყოფიერება
იქ ერთიორად და უფრო მეტად დიდია; ასევეა დაქირავებულ
მუშათა ხელფასი; წმინდა შემოსავალი ექვსჯერ და უფრო

* «ერთ-ერთ საწარმოში» აღნიშნულია საპენტავი მანქანის შემო-
ღება (გვ. 119).

მეტად დიდია «საშუალოზე» და თითქმის ერთიანად აღემატება დანარჩენთა, ე. ი. უფრო წვრილ შინამრეწველთა შემოსავალს. ამ უკანასკნელთა შემოსავალი კი უკვე ოდნავ მეტია დაქირავებულთა ხელფასზე (34 და 26).

შემდეგ, ჭილობის სარეწი:

ჯგუფი I ქვეჯგუფი 1	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			მთლიანი შემოსავალი		ხელფასი		წმინდა შემოსავალი		მითითებანი «ნარკვევის» გვერდებზე
		შინამუშები	დაქირავებულნი	ჯ/ ს ე	ჯ/ ს ე	1 მუშაზე	ჯ/ ს ე	1 მუშაზე	ჯ/ ს ე	1 შინამუშაზე	
სულ	99	206	252	458	38 681	84,4	6 664	26,4	10 244	49,7	გვ. 151 ტექსტისა
მსხვილი საწარმონი	11	11	95	106	18 170	171,4	2 520	26,5	3 597	327,0	გვ. 95, 97 და 126 ცხრილ.
დანარჩენები	88	195	157	352	20 511	58,2	4 144	26,4	6 647	34,0	

მაშასადამე, საერთო «საშუალო რიცხვები» აქაც გვიჩვენებენ, რომ შინამუშებს უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ, ვიდრე დაქირავებულთ (90 წინააღმდეგ 65,6-ისა). მაგრამ 58 საწარმოდან 4-ში კონცენტრირებულია მთელი წარმოების ნახევარზე მეტი. ამ საწარმოებში (წმინდა ტიპის კაპიტალისტურ მანუფაქტურებში) * შრომის ნაყოფიერება თითქმის ერთისამად აღემატება საშუალოს (800 და 286) და ხუთჯერ და უფრო მეტად აღემატება დანარჩენთა, ე. ი. უფრო წვრილ საწარმოთა შრომის ნაყოფიერებას (800 და 146). დაქირავებულ მუშათა ხელფასი ფაბრიკებში მნიშვნელოვნად

* შეად. «შინამრეწველობა», გვ. 46 — 47, აგრეთვე წარმოების აღწერილობა «ნარკვევში», გვ. 162 და შემდ. მეტად დამახასიათებელია, რომ «ეს მეწარმენი ოდესღაც ნამდვილი შინამრეწველნი ყოფილან, ამიტომ მათ ყოველთვის... უყვარდათ და უყვართ თავიანთ თავს შინამრეწველნი უწოდონ».

უფრო მაღალია, ვიდრე წვრილ მეპატრონეებთან (84 და 45). მეფაბრიკეთა წმინდა შემოსავალი ოჯახზე 1 000 მანეთზე მეტს შეადგენს წინააღმდეგ 90 მანეთისა «საშუალოდ» და წვრილ შინამრეწველთა 60,5 მანეთისა. ამგვარად, წვრილ შინამრეწველთა შემოსავალი დაქირავებულთა ხელფასზე მცირეა (60,5 და 65,6).

თოკ-ბაგირის სარეწი *:

ჯგუფი I ქვეჯგუფი 1	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			მთლიანი შემოსავალი		ხელფასი		წმ. შემოსავალი		მითითებანი «ნარკვევის» გვ.
		შინამუშები	დაქირავებულ.	ს/ ა ფ	ს/ ა ფ	1 მუშაზე	ს/ ა ფ	1 დაქირავებულ. მუშაზე	ს/ ა ფ	1 შინამუშაზე	
ს ულ	58	179	106	285	81 672	286	6 946	65,6	16 127	90,1	ტექსტის 158 გვ.*
მსხვილი საწარმონი	4	5	56	61	48 912	800	4 695	83,8	5 591	1 119,0	ცხრილების 40 და 188 გვ.
დანარჩენები	54	174	50	224	32 760	146	2 251	45,0	10 532	60,5	

მაშასადამე, ამ წარმოებაშიც, რომელიც საზოგადოდ ძალიან წვრილია და რომელშიც დაქირავებულ მუშათა რიცხვი ძალიან მცირეა (20%), მიწათმოქმედთა ჯგუფში, დამოუკიდებელ შინამრეწველთა შორისაც ვხედავთ იმავე წმინდა კაპიტალისტურ მოვლენას — მსხვილ (შედარებით) საწარმოთა უპირატესობას. ფის-კუპრის წარმოება კი ტიპიური გლეხური, «ხალხური» სარეწია! მსხვილ საწარმოებში შრომის ნაყოფიერება სამჯერ და უფრო მეტად მაღალია, დაქირავებულ მუშათა ხელფასიც ერთნახევარჯერ უფრო დიდია, წმინდა შემოსა-

* 158 გვერდზე მოთავსებულ ცხრილში, ეტყობა, ბეჭდვის ან გამოანგარიშების შეცდომაა, ვინაიდან ირბიტის მაზრაში წმინდა მოგება აღემატება ჯამში ნაჩვენებ 9 827 მანეთს. იძულებული გავხდით ეს ცხრილი გადაგვეკეთებინა «ნარკვევზე» დართული ცხრილების ცნობათა მიხედვით.

ვალი «საშუალოზე» რვაჯერ მაღალია და ათჯერ უფრო მაღალია იმ დანარჩენ მეოჯახე-შინამრეწველთა საშოვარზე, რომელნიც იღებენ საშუალო დაქირავებულ მუშაზე არა უმეტესს და უ ფ რ ო მ ს ხ ვ ი ლ ს ა წ ა რ მ ო თ ა დ ა ქ ი-რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ზ ე ნ ა კ ლ ებ ს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ფის-კუპრის წარმოებას უმთავრესად ზაფხულობით ეწევიან, ასე რომ სამუშაო პერიოდის განსხვავება შეუძლებელია მნიშვნელოვანი იყოს *.

ფის-კუპრის სარეწი:

ჯგუფი I ქვეჯგუფი 1	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			მთლიანი შემოსავალი		ხელფასი		ზმირდა შემოსავ.		მითითებანი «ნარკვევის» გვერდზე
		შინაშუშები	დაქირავებულ.	ს ე ვ	ს ე ვ	1 მუშაზე	ს ე ვ	1 დაქირ. მუშაზე	ს ე ვ	1 შინამუშაზე	
ს ე ულ	167	319	80	399	22 076	55,3	2 150	26.4	10 979	34,4	გვ. 189 ტექსტისა»
მსხვილი საწარმონი	9	10	16	26	4 440	170,7	654	40.8	2 697	269,7	გვ. 100, 101, 137, 160, 161 და 220 ცხრილ.
დანარჩენები	158	309	64	373	17 636	47,3	1 496	23,2	8 282	26,4	

ესე-იგი, საშუალო ციფრები მთელი ქვეჯგუფისა აქაც სავსებით ფიქტიური გამოდის. მსხვილ საწარმოებში (წვრილი კაპიტალისტებისა) მთელი წარმოების ნახევარზე მეტია კონ-

* «ნარკვევიდან» სჩანს, რომ ფის-კუპრის წარმოებაში ფისის გამოსახდელად პირველყოფილ წესებსაც მიმართავენ — ო რ მ ო ში გამოხდას — და უფრო გაუმჯობესებულსაც — თ ა ნ გ ი რ ებ ში და ც ი ლ ი ნ დ რ უ ლ ქ ვ ა ბ ებ ში ც კ ი (გვ. 195). კომლობრივმა აღწერამ მოგვცა მასალა როგორც პირველთა, ისე მეორეთა განაწილებისა, მაგრამ ეს მასალა არ გამოუყენებიათ, რადგან გამოყოფილი არ არიან მსხვილი საწარმონი.

ცენტრირებული, ისინი იძლევიან საშუალოზე ექვსჯერ უფრო მეტ წმინდა შემოსავლიანობას და 14-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე წვრილ მეპატრონეთა საწარმონი; დაქირავებულ მუშებს აძლევენ ხელფასს, რომელიც წვრილ შინამრეწველთა შემოსავალს აღემატება. აღარას ვამბობთ შრომის ნაყოფიერებაზე; 3—4 მსხვილ საწარმოში ამზადებენ უფრო ძვირფას პროდუქტს — ბადაგს.

პურის ცხობის სარეწი:

ჯგუფი I ქვეჯგუფი 1	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			მთლიანი შემოსავალი		ხელფასი		წმინდა შემოსავალი		მითითებანი «ნარკვევის» გვერდზე
		შინაგუშები	დაქირავებულ.	ს ულ	ს ულ	1 მუშაზე	ს ულ	1 დაქირავებულ მუშაზე	ს ულ	1 შინაგუშაზე	
ს უ ლ	27	63	55	118	44 619	378,1	2 497	45,4	7 484	118,8	გვ. 215 ტექსტისა
მსხვილი საწარმონი	4	7	42	49	25 740	525	2 050	48,8	4 859	694	გვ. 68 და 229 ცხრილებისა
დანარჩენები	23	56	13	69	18 879	273	447	34,4	2 625	46,8	

მეთუნეობა. ესეც ტიპიური წვრილი გლეხური სარეწია, სადაც დაქირავებულ მუშათა რიცხვი უმნიშვნელოა (13%), საწარმოები მეტად წვრილია (თითო საწარმოზე 2 მუშაზე ნაკლები მოდის) და მიწათმოქმედთა რიცხვი სჭარბობს. აქაც იმასვე ვხედავთ: (იხ. ცხრილი 504-ე გვ.)

აქ, მაშასადამე, ერთბაშად ცხადი ხდება, რომ «საშუალო» ციფრების მიხედვით დაქირავებული მუშის ხელფასი შინამუშის შემოსავალზე უფრო მაღალია. მსხვილ საწარმოთა გამოყოფა განგვიმარტავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც ზემოთ მასობრივი ცნობების მიხედვით უკვე აღვნიშნეთ.

ჯგუფი I ქვეჯგუფი 1	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			მთლიანი შემოსავალი		ხელფასი		წმინდა შემოსავალი		მითითებანი «ნარკვევის» გვერდზე
		შინამუშები	დაქირავებულ.	ს ე ნ	ს ე ნ	1 მუშაზე	ს ე ნ	1 დაქირ. მუშაზე	ს ე ნ	1 შინამუშაზე	
ს უ ლ	97	163	31	194	12 414	63,9	1 830	59	6 657	41	გვ. 291 ტექსტ.
მსხვილი საწარმონი	7	9	17	26	4 187	161,0	1 400	80,2	1 372	152	გვ. 168 და 206 ცხრილ.
დანარჩენები	90	154	14	168	8 227	48,9	430	30,0	5 285	34,3	

მსხვილ საწარმოებში გაცილებით უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერებაც, ხელფასიც, მეპატრონეთა შემოსავალიც, წვრილი შინამრეწველნი კი იღებენ დაქირავებულ მუშებზე ნაკლებს და ერთიორად და უფრო ნაკლებს, ვიდრე საუკეთესოდ დაყენებულ სახელოსნოთა დაქირავებული მუშები.

მაშასადამე, აქაც «ერთი შინამუშის «საშუალო» შემოსავალი დაქირავებულის ხელფასზე უფრო ნაკლებია. აქაც ამ მოვლენის ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ მსხვილი საწარმოები, რომელნიც განირჩევიან შრომის გაცილებით უფრო დიდი ნაყოფიერებით, დაქირავებულ მუშათა უმაღლესი ხელფასითა და ფრიად დიდი (შედარებით) შემოსავლიანობით, შეუერთებიათ წვრილ საწარმოებთან, რომელთა მეპატრონეებს დიდი სახელოსნოების დაქირავებულ მუშათა ხელფასზე თითქმის ერთიორად ნაკლები შემოსავალი აქვთ.

ჩვენ შეგვეძლო სხვა სარეწებზეც* მოგვეყვანა ცნობები, მაგრამ, გვგონია, რომ ესეც საკმაოზე მეტია.

---

* შეად. ეტლის სარეწი, გვ. 308 ტექსტისა და გვ. 11 და 12 ცხრილებისა, ზანდუკის სარეწი, გვ. 335; სამკერვალო სარეწი, გვ. 344 და სხვ.

აგურის წარმოება:

ჯგუფი I ქვეჯგუფი 1	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			მთლიანი შექოსავალი		ხელფასი		წმინდა შექოსავ.		მითითებანი «ნარკვევის» გვერდზე
		შინაგუნები	დაქირავებულ.	სულ	სულ	1 მუშაზე	სულ	1 დაქირავებულ მუშაზე	სულ	1 შინაგუნზე	
სულ	229	558	218	776	17 606	22,6	4 560	20,9	10 126	18,1	გვ. 299 ტექატ.
მსხვილი საწარმონი	8	9	45	54	3 130	57,9	1 415	31,4	1 298	144	გვ. 46, 120, 169
დანარჩენები	221	549	173	722	14 476	20,0	3 145	18,2	8 826	16,0	და 183 ცხრილ.

შევაჯამოთ ახლა ის დასკვნები, რომლებიც განხილული ცნობებიდან გამომდინარეობენ:

1) მსხვილ და წვრილ საწარმოთა შეერთება იძლევა სრულიად ფიქტიურ «საშუალო» ციფრებს, რომელნიც სინამდვილეზე ვერავითარ წარმოდგენას ვერ გვაძლევენ, ჩქმალავენ კარდინალურ განსხვავებებს, ერთგვაროვანად გვიხატავენ იმას, რაც სრულიად სხვადასხვაგვარია და სრულიად სხვადასხვა შემადგენლობისაა.

2) მთელ რიგ სარეწთა ცნობები მოწმობენ, რომ მსხვილი (მუშათა საერთო რიცხვით) საწარმონი განირჩევიან საშუალოთა და წვრილთაგან:

ა) შრომის გაცილებით უფრო დიდი ნაყოფიერებით;

ბ) დაქირავებულ მუშათა უფრო მაღალი ხელფასით;

გ) გაცილებით უფრო მაღალი წმინდა შემოსავლიანობით.

3) ჩვენ მიერ გამოყოფილი უკლებლივ ყველა მსხვილი საწარმო გაცილებით უფრო მეტად იყენებს დაქირავებულ შრომას (ამა თუ იმ სარეწის საშუალო საწარმოებთან შედარებით), რომელიც თავისი როლით მნიშვნელოვანად აღემატება ოჯახურს. მათი ნაყოფიერება ათეულ ათას მანეთს აღწევს, ხოლო დაქირავებულ მუშათა რიცხვი — ათსა და მეტ კაცს

თვითეულ საწარმოზე. ამგვარად, ეს მსხვილი საწარმონი კაპიტალისტურ სახელოსნოებს წარმოადგენენ. მაშასადამე, შინამრეწველობის აღწერის ცნობებით მტკიცდება ყბადაღებულ «შინასამრეწველო» წარმოებაში წ მ ი ნ დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს ა და უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა; მტკიცდება მარტოხელებთან და საერთოდ წვრილ შინამრეწველებთან შედარებით დაქირავებულ მუშათა კოოპერაციაზე დამყარებული კაპიტალისტური სახელოსნოების სრული უპირატესობა, — უპირატესობა შრომის ნაყოფიერებითაც და თვით დაქირავებულ მუშათა შრომის ანაზღაურების მხრივაც.

4) მთელ რიგ სარეწებში წვრილ დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ შინამრეწველთა შემოსავალი უფრო მეტი კი არა, ხშირად ნაკლებიც არის იმავე სარეწის დაქირავებულ მუშათა ხელფასზე. ეს განსხვავება უფრო გაიზრდება, თუ დაქირავებულთა ხელფასს მივუმატებთ იმ სარჩოს, რასაც ზოგიერთი მათგანი იღებს.

ამ უკანასკნელ დასკვნას ჩვენ ვაცალკევებთ პირველი სამისაგან იმ მხრივ, რომ პირველი დასკვნები გამოხატავენ სასაქონლო წარმოების კანონთა მიხედვით საყოველთაო და სავალდებულო მოვლენებს, მაშინ როდესაც აქ ჩვენ ვერ ვხედავთ საერთოდ სავალდებულო მოვლენებს. მაშასადამე, ჩვენ ვიძლევით შემდეგ ფორმულირებას: წვრილ საწარმოთა დაბალი ნაყოფიერებისა და ბაზარზე მათი მეპატრონეების (განსაკუთრებით მიწათმოქმედთა) უმწეო მდგომარეობის გამო, სავსებით შესაძლებელია ისეთი მოვლენა, რომ დამოუკიდებელი შინამრეწველის შემოსავალი დაქირავებულის ხელფასზე ნაკლები იყოს, და ცნობებიც მოწმობენ, რომ ამ მოვლენას სინამდვილეში ძალიან ხშირად აქვს ადგილი.

მოყვანილ გამოანგარიშებათა დამამტკიცებელ მნიშვნელობაში შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ, ვინაიდან ჩვენ ავიღეთ მთელი რიგი სარეწები, შემთხვევით კი არ ამოვარჩიეთ ისინი, არამედ ავიღეთ ყველა, რომელთა შორის ცხრილები საშუა-

ლებას გვაძლევდა გამოგვეყო მსხვილი საწარმონი, ვიღებდით არა ცალკე საწარმოებს, არამედ ამა თუ იმ დარგის ყველა საწარმოს და ყოველთვის ვადარებდით მათ სხვადასხვა მაზრის რამდენიმე მსხვილ საწარმოს. მაგრამ სასურველი იყო ზემოაღწერილი მოვლენებისათვის მიგვეცა უფრო ზოგადი და უფრო ზუსტი გამოხატულება. საბედნიეროდ, «ნარკვევში» მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ მაინც განვახორციელოთ ეს სურვილი. ეს არის ცნობები ს ა წ ა რ მ ო თ ა გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ მ ა თ ი წ მ ი ნ დ ა შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. ცალკე სარეწებზე «ნარკვევში» აღნიშნულია, თუ რამდენ საწარმოს აქვს წმინდა შემოსავალი 50 მანეთამდე, 100 მანეთამდე, 200 მანეთამდე და სხვ. ჩვენ სწორედ ეს ცნობები შევაჯამეთ. აღმოჩნდა, რომ ასეთი ცნობებია 28 სარეწის შესახებ *, რომელნიც მოიცავენ 8 364 საწარმოს, ე. ი. მთელი რაოდენობის (8 991) 93,2%-ს. ამ 28 სარეწში სულ 8 377 საწარმოა (13 საწარმო შემოსავლიანობის მიხედვით განაწილებული არ არის) 14 135 შინამუშით + 4 625 დაქირავებული მუშა, სულ 18 760 მუშით, რაც მუშათა მთელი რაოდენობის 93,9%-ს შეადგენს. ცხადია, შინამრეწველთა ამ 93%-ის შესახებ ცნობების მიხედვით სრული უფლება გვაქვს ყველას შესახებ გამოვიტანოთ დასკვნები, ვინაიდან არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ დანარჩენი შვიდი პროცენტი ამ 93-ს არ ემსგავსება. ვიდრე ჩვენი შეჯამების ცნობებს მოვიყვანდეთ, საჭიროა შემდეგი აღვნიშნოთ:

1) «ნარკვევის» შემდგენელნი, ეს დაჯგუფება რომ მოჰყავდათ, ყოველთვის ზუსტად როდი იცავდნენ თვითეული ჯგუ-

* მაქმანის, საზეინკლო და გარმონის სარეწთა შესახებაც არის ასეთი ცნობები, მაგრამ ჩვენ ეს სარეწები გამოვტოვეთ, ვინაიდან მათ შესახებ არ მოიპოვება ცნობები, თუ როგორ ნაწილდებიან საწარმონი შინამუშათა რიცხვის მიხედვით.

ფის სახელწოდებათა ერთგვარობასა და ერთნაირობას. მაგალითად, ამბობენ: «100 მანეთამდე», «100 მანეთზე ნაკლები», ხან კი «ას-ასი მანეთი». ყოველთვის როდი აღნიშნავენ თანრიგის დაწყებითს და ბოლო ზღვარს, ე. ი. ხან იწყებენ დაჯგუფებას თანრიგიდან «100 მანეთამდე», ხან თანრიგიდან «50 მანეთამდე», «10 მ-მდე» და სხვ.; ხან დაჯგუფებას ამთავრებენ თანრიგით «1 000 მან. და უფრო მეტი», ხან კი მოჰყავთ თანრიგი «2 000 — 3 000 მ.». და სხვ. ყველა ამ არასიზუსტეს არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ შევაჯამეთ «ნარკვევში» მოყვანილი ყველა თანრიგი (სულ არის 15: 10 მანეთამდე, 20 მანეთამდე, 50 მანეთამდე, 100 მანეთამდე, 200 მანეთამდე, 300 მანეთამდე, 400 მანეთამდე, 500 მანეთამდე, 600 მანეთამდე, 700 მანეთამდე, 800 მანეთამდე, 900 მანეთამდე, 1 000 მანეთამდე, 1 000 მან. და მეტი, 2 000 — 3 000 მ.), და ყველა მცირე არასიზუსტესა და გაურკვევლობას იმით ვძლევდით, რომ რომელსამე ამ თანრიგს ვუყენებდით.

2) «ნარკვევში» მოცემულია მხოლოდ იმ საწარმოთა რიცხვი, რომელთაც ამა თუ იმ თანრიგის შემოსავალი აქვთ, მაგრამ ნაჩვენები არ არის იმ შემოსავლის სიდიდე, რომელიც თვითეული თანრიგით ყველა საწარმოს წილად მოდის. ჩვენთვის კი სწორედ ეს უკანასკნელი ცნობებია აუცილებელი. ამიტომ ჩვენ მივიღეთ, რომ ამა თუ იმ თანრიგის საწარმოთა შემოსავლის სიდიდე საკმარისი სიზუსტით გამოირკვევა, თუ თანრიგის საწარმოთა რიცხვს გავამრავლებთ შემოსავლის საშუალო სიდიდეზე, ე. ი. გავამრავლებთ თანრიგის maximum-ისა და minimum-ის არითმეტიკულ საშუალოზე (მაგალითად, 150 მ. თანრიგში 100 — 200 მ. და სხვ.). მხოლოდ ორი დაბალი თანრიგისთვის (10 მანეთამდე და 20 მანეთამდე) საშუალოთა მაგივრად მივიღეთ შემოსავლის მაქსიმალური ოდენობა (10 მ. და 20 მ.). შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ასეთი ხერხი (საერთოდ დასაშვები სტატისტიკურ გამოანგარიშებაში) სინამდვილესთან ფრიად მიახლოე-

ბულ ციფრებს იძლევა. სახელდობრ, ამ 28 სარეწში შინამრეწველთა ოჯახების მთელი წმინდა შემოსავალი, «ნარკვევის» ცნობებით, შეადგენს 951 653 მანეთს, ხოლო ჩვენი დაახლოებითი ცნობებით, რომლებიც ემყარება თანრიგებს შემოსავლიანობის მიხედვით, მივიღეთ 955 150 მანეთი, ე. ი. 3 497 მანეთით მეტი = 0,36%. განსხვავება ან შეცდომა, მაშასადამე, 10 მანეთზე მოდის ოთხ კაპიკზე ნაკლები.

3) ჩვენი ნაკრებიდან ვგებულობთ შემოსავლის საშუალო ოდენობას ოჯახზე (ყოველ თანრიგში) და არა ერთ შინამუშაზე. უკანასკნელი ოდენობის გამოსარკვევად კვლავ დაახლოებითი გაანგარიშება დაგვჭირდა. რაკი ვიცოდით ოჯახთა განაწილება შინამუშათა (და ცალკე — დაქირავებულ მუშათა) რიცხვის მიხედვით, ჩვენ ვივარაუდეთ, რომ, რაც უფრო ნაკლებია შემოსავლის ოდენობა ოჯახზე, მით უფრო მცირეა ოჯახური შემადგენლობა (ე. ი. შინამუშათა რიცხვი 1 საწარმოზე) და მით უფრო ნაკლებია საწარმოები დაქირავებული მუშებით. პირიქით, რაც უფრო მეტია შემოსავალი 1 ოჯახზე, მით უფრო მეტია საწარმოები დაქირავებული მუშებით, მით უფრო დიდია ოჯახური შემადგენლობა, ე. ი. შინამუშათა რიცხვი 1 საწარმოზე. ცხადია, ეს ვარაუდი ყველაზე ხელსაყრელია იმის თვალსაზრისით, ვინც მოინდომებდა ჩვენი დასკვნების უარყოფას. სხვანაირად რომ ვთქვათ: სხვა რ ო მ ე ლ ი მ ე ვარაუდი რომ გამოეთქვათ, ჩვენი დასკვნები ამით მხოლოდ გაძლიერდებოდა.

ახლა მოვიყვანთ შეჯამებულ ცნობებს შინამრეწველთა განაწილების შესახებ საწარმოთა შემოსავლიანობის მიხედვით. (იხ. ცხრილი 510 გვ.)

ეს ცნობები მეტისმეტად დანაწევრებულია, ასე რომ ისინი უფრო უბრალო და მარტივ რუბრიკებში უნდა მოვათავსოთ. ავიღოთ შინამრეწველთა ხუთი კატეგორია შემოსავლიანობის მიხედვით: ა) ღარიბები — ოჯახზე 50 მანეთამდე შემოსავლით; ბ) მცირეშეძლებულნი — ოჯახზე 50 — 100 მან. შე-

მოსავლით; გ) საშუალონი — ოჯახზე 100 — 300 მან. შემოსავლით; დ) შეძლებულნი — ოჯახზე 300 — 500 მან. შემოსავლით და ე) მდიდარნი — ოჯახზე 500 მანეთზე მეტი შემოსავლით.

თანრიგები	საწარმოთა რიცხვი	ერთი საწარმოს საშუალო შემოსავალი (დაახლოებით)	ყველა საწარმოს შემოსავალი (დაახლოებით)	თანრიგები	საწარმოთა რიცხვი	ერთი საწარმოს საშუალო შემოსავალი (დაახლოებით)	ყველა საწარმოს შემოსავალი (დაახლოებით)	თანრიგები	საწარმოთა რიცხვი	ერთი საწარმოს საშუალო შემოსავალი (დაახლოებ.)	ყველა საწარმოს შემოსავალი (დაახლოებ.)
10 მ-დე	127	10	1 270	300 მან.	602	250	150 050	800 მან.	22	750	16 500
20 »	139	20	2 780	400 »	208	350	72 800	900 »	20	850	17 000
50 »	2 110	35	73 850	500 »	112	450	50 400	1 000 »	17	950	16 150
100 »	3 494	75	262 050	600 »	40	550	22 000	1 000 მ. და მეტი	19	1 500	28 500
200 »	1 414	150	212 100	700 »	38	650	24 700	2 000—3 000 მ.	2	2 500	5 000
სულ არის საწარმო									8364	—	955150

საწარმოთა შემოსავლიანობის მონაცემთა მიხედვით ამ კატეგორიებს მივუმატოთ საწარმოთა დაახლოებითი განაწილება შინამუშებისა და დაქირავებული მუშების რიცხვის მიხედვით *. მივიღებთ ასეთ ცხრილს: (იხ. ცხრილი 511-ე გვ.)

ამ ცნობებს მივყავართ ძალიან საინტერესო დასკვნებამდე, რომლებსაც ჩვენ კიდევაც განვიხილავთ შინამრეწველთა კატეგორიების მიხედვით:

* შინამუშათა და დაქირავებულ მუშათა რიცხვის მიხედვით 28 სარეწის 8 377 საწარმო ასე ნაწილდება: 0 შინამუშით — 95 საწარმო; 1 მუშით — 4 362 საწარმო; 2 მუშით — 2 632; 3-ით — 870; 4-ით — 275; 5-ით და მეტით — 143. საწარმონი დაქირავებული მუშებით — 2 228; მათ შორის 1 დაქირ. მუშით — 1 359; 2-ით — 447; 3-ით — 201; 4-ით — 96; 5-ით და მეტით — 125. სულ დაქირავებული მუშაა 4 625, რომელთა ხელფასიც უდრის 212 096 მანეთს (ერთზე — 45,85 მან.).

შინამრეწველთა კატეგორიები შემოსავლის ოდენობის მიხედვით	რიცხვი		წმინდა შემოსავალი		საშუალო შემოსავალი		ოჯახთა დაახლოებითი დაყოფა										
							შინამეშეთა რიცხვის მიხედვით						დაკირ. მუშ. რიცხ. მიხედვ.				
	ოჯახებისა	%	მთელ აქვთ მანეთობით	%	1 ოჯახისა	1 შინამეშეზე (დაახლოებ.)	ერთი	ორ-ორი	სამ-სამი	ოთხ-ოთხი	ხუთ-ხუთი მეტი	0	ერთი	ორ-ორი	სამ-სამი	ოთხ-ოთხი	ხუთ-ხუთი მეტი
ა) ღარიბნი	2 376	28,4	77 900	8,2	32,7	32,7	2 376	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
ბ) მცირეშეძლებულნი	3 494	41,8	262 050	27,4	75,0	50	1,986	1 508	—	—	—	—	—	—	—	—	—
გ) საშუალონი . .	2 016	24,1	362 150	37,9	179,6	72,0	—	1 124	870	22	—	—	1 359	392	—	—	—
დ) შეძლებულნი . .	320	3,8	123 200	12,9	385,0	100,0	—	—	—	253	67	—	—	55	201	64	—
ე) მდიდრები	158	1,9	129 850	13,6	821,8	348	—	—	—	—	76	82	—	—	—	32	125
სულ . . .	8 364	100	955 150	100	114,2	67,5	4 362	2 632	870	275	143	82	1 359	447	201	96	125

ა) შინამრეწველთა ოჯახების მეოთხედზე მეტი (28,4%) ეკუთვნის ღ ა რ ი ბ ე ბ ს, რომელნიც ოჯახზე საშუალოდ დაახლოებით 33 მანეთ შემოსავალს იღებენ. დავუშვათ, მთელი ეს შემოსავალი მოდის ერთ შინამუშაზე, რომ ამ კატეგორიაში ყველანი მარტოხელები არიან. ყოველ შემთხვევაში ამ შინამრეწველთა შემოსავალი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ნ ა დ უ ფ რ ო მ ც ი რ ე ა, ვიდრე შინამრეწველთა დაქირავებული მუშების საშუალო ხელფასი (45 მ. 85 კ.). თუ ამ მარტოხელათა უმრავლესობა დაბალ (მე-3) ქვეჯგუფს ეკუთვნის, ე. ი. შემყიდველთათვის მუშაობს, ეს იმას ნიშნავს, რომ «მეპატრონენი» შინ მომუშავეებს უფრო ნაკლებ ხელფასს აძლევენ, ვიდრე სახელოსნოში დაქირავებულ მუშებს. კიდევაც რომ დავუშვათ, რომ შინამრეწველთა ამ კატეგორიას უმცირესი სამუშაო პერიოდი აქვს, მათი შემოსავალი მაინც მთლად მათხოვრული გამოდის.

ბ) შინამრეწველთა მთელი რაოდენობის ორ მეხუთედზე მეტი (41,8%) მცირეშეძლებულებია, რომლებსაც საშუალოდ ოჯახზე 75 მ. შემოსავალი აქვთ. ეს შინამრეწველნი უკვე ყველანი მარტოხელები როდი არიან (თუ წინა კატეგორია მხოლოდ მარტოხელთაგან შესდგებოდა): აქ დაახლოებით ოჯახთა ნახევარს ჰყავს ორ-ორი შინამუშა, და, მაშასადამე, ერთი შინამუშის საშუალო ხელფასი შეადგენს დაახლოებით მხოლოდ 50 მანეთს, ე. ი. შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ ი ს დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ზ ე ა რ ა უ მ ე ტ ე ს ს ა ნ დ ა ნ ა კ ლ ე ბ ს ა ც კ ი (გარდა ფულადი ქირისა, 45 მ. 85 კ., დაქირავებულ მუშათა ნაწილი მეპატრონეთაგან იღებს სარჩოს). ა მ რ ი გ ა დ, შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ თ ა მ თ ე ლ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს შ ვ ი დ ი მ ე ა თ ე დ ი, თ ა ვ ი ს ი ს ა შ ო ვ რ ი თ, შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ თ ა დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი ს დ ო ნ ე ზ ე დ გ ა ს, ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ მ ა თ ზ ე დ ა ბ ლ ა ც კ ი. რარიგ საკვირველიც უნდა იყოს ეს დასკვნა, იგი სავსებით შეესაბამება ზემოთ მოყვანილ მონაცემებს წვრილ საწარმოებთან შედარებით მსხვილ საწარმოთა

უპირატესობის შესახებ. თუ რამდენად დაბალია ამ შინამრეწველთა შემოსავლის დონე, შეიძლება იმით განვსაჯოთ, რომ პერმის გუბერნიაში მიწათმოქმედი წლიური მუშის საშუალო ხელფასი შეადგენს 50 მანეთს მეპატრონის სარჩოზე *. მაშასადამე, «დამოუკიდებელ» შინამრეწველთა შვიდი მეათედი, საარსებო დონის მიხედვით, მიწათმოქმედ მოჯამაგირეებზე მაღლა ვერა დგას!

ნაროდნიკები, რა თქმა უნდა, იტყვიან, ეს მხოლოდ დამხმარე საშოვარია მიწათმოქმედებასთან ერთადო, მაგრამ, ჯერ-ერთი, განა უკვე დიდიხნის გამორკვეული არ არის, რომ მიწათმოქმედებას შეუძლია გლეხების მხოლოდ უმცირესობას მისცეს ოჯახის შესანახად აუცილებლად საჭირო სახსარი, გადასახდელთა, იჯარის ფულისა და მეურნეობის ხარჯების გამოკლებით? ჩვენ კი ერთმანეთს ვადარებთ შინამრეწველის შემოსავალს და მეპატრონის სარჩოზე მყოფი მოჯამაგირის ხელფასს. მეორე, შინამრეწველთა მთელი რაოდენობის შვიდ მეათედში უნდა შესულიყვნენ არამიწათმოქმედნიც. მესამე, თუნდაც აღმოჩნდეს, რომ მიწათმოქმედება ისტუმრებს ამ კატეგორიების მიწათმოქმედ-შინამრეწველთა ხარჯებს, მაინც ყოველ ეჭვს გარეშე რჩება მიწასთან კავშირის გამო შემოსავლის მეტისმეტი შემცირების ფაქტი.

ერთი შედარება კიდევ: კრასნოუფიმსკის მაზრაში შინამრეწველის ერთი დაქირავებული მუშის საშუალო ხელფასი უდრის 33,2 მან. (ცხრილების 149 გვ.), ხოლო საშუალო ხელფასი ერთი ისეთი პიროვნებისა, რომელსაც სამუშაო აქვს თავის ახლო ქარხანაში, ე. ი. საქარხნო გლეხებიდან გამოსული სამთამადნო მუშისა, საერობო სტატისტიკამ განსაზღვრა 78,7 მანეთით («მასალები პერმის გუბერნიის სტატისტიკისათვის. კრასნოუფიმსკის მაზრა. საქარხნო რაიონი». პერმი, 1894 წ.),

* სარჩოს ღირებულება უდრის 45 მანეთს წელიწადში. ეს მონაცემები საშუალოა ათი წლისათვის (1881 — 1891) მიწათმოქმედების დეპარტამენტის ცნობათა მიხედვით. (იხ. ს. ა. კოროლენკო, «ნებით დაქირავებული შრომა» და სხვ.)

ე. ი. ერთიორად და უფრო მეტად დიდია. ხოლო სამთამადნო ხელოსნების ხელფასი, რომელთაც სამუშაო აქვთ თავის ახლო ქარხანაში, როგორც ცნობილია, ყოველთვის უფრო ნაკლებია ფაბრიკებისა და ქარხნების «თავისუფალ» მუშათა ხელფასზე. ამის მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, თუ მოთხოვნილებათა რა შემცირებით, მათხოვრულ მდგომარეობამდე საარსებო დონის როგორი დაცემით არის შეძენილი რუსი შინამრეწველის სანაქებო «დამოუკიდებლობა» «მიწათმოქმედებასთან სარეწის ორგანული კავშირის საფუძველზე»!

გ) «საშუალო» შინამრეწველებს ჩვენ მივაკუთვნეთ ოჯახები, რომელთაც აქვთ შემოსავალი 100-დან 300 მანეთამდე, საშუალოდ დაახლოებით 180 მან. ოჯახზე. ასეთები შეადგენენ შინამრეწველთა მთელი რაოდენობის დაახლოებით ერთ მეოთხედს (24,1%). მათი შემოსავალიც აბსოლუტურად ძალიან, ძალიან მცირეა: თუ თვითეულ საწარმოზე 2½ შინამუშას ვიანგარიშებთ, ეს შეადგენს დაახლოებით 72 მ. ერთს შინამუშაზე, — ეს თანხა ფრიად არასაკმარისია და იგი ფაბრიკა-ქარხნის არც ერთ მუშას არ შეშურდება. მაგრამ შინამრეწველთა მასასთან შედარებით ეს თანხა საკმაოდ მნიშვნელონად გვეჩვენება! ირკვევა, რომ ესოდენ მცირე «შეძლების» შეძენაც მხოლოდ სხვის ხარჯზე ხდება: შინამრეწველთა ამ კატეგორიაში უმრავლესობას უკვე დაქირავებული მუშები ჰყავს (დაახლოებით მეპატრონეთა 85%-ს ჰყავს დაქირავებულნი, და საშუალოდ 2 016 საწარმოდან თვითეულზე მოდის ერთ დაქირავებულ მუშაზე მეტი). თავი რომ დააღწიო სიღარიბით დაბეჩავებულ შინამრეწველთა მასას, საჭირო ხდება, მაშასადამე, არსებული სასაქონლო-კაპიტალისტური ურთიერთობის ნიადაგზე «შეძლება» სხვებს წაჰგლიჯო, ეკონომიურ ბრძოლაში ჩაება და კიდევ უფრო მეტად შეავიწროო წვრილ მრეწველთა მასა, წვრილ ბურჟუად გადაიქცე. ან სიღატაკე და საარსებო დონის nec plus ultra-მდე * დაწევა, — ანდა (უ მ ც ი რ ე ს ო-

* — უკიდურესობამდე. რ ე დ.

ბ ი ს თ ვ ი ს) საკუთარი (აბსოლუტურად ფრიად მცირედი) კეთილდღეობის შექმნა სხვის ხარჯზე, — აი როგორია დილემა, რასაც წვრილი მრეწველის წინაშე აყენებს სასაქონლო წარმოება. ასე მეტყველებენ ფაქტები.

დ) შეძლებულ შინამრეწველთა კატეგორიას ეკუთვნის ოჯახთა მხოლოდ 3,8%— საშუალო შემოსავლით 385 მანეთამდე და დაახლოებით 100 მანეთამდე ერთ შინამუშაზე (თუ ვიგულისხმებთ, რომ ამათში ჩაითვლებიან ისეთი მეპატრონენი, რომელთაც საწარმოში 4 და 5 მუშა ჰყავთ). ეს შემოსავალი, რომელიც ერთიორად აღემატება დაქირავებული მუშის ფულადს შემოსავალს, დამყარებულია დაქირავებული შრომის უკვე მნიშვნელოვან გამოყენებაზე: ამ კატეგორიის ყველა საწარმოს ჰყავს დაქირავებული მუშები, საშუალოდ დაახლოებით 3 კაცი თითო საწარმოზე.

ე) მდიდარი შინამრეწველნი, ოჯახზე საშუალოდ 820 მ. შემოსავლით, სულ 1,9%-ია. ამათ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ნაწილობრივ საწარმონი 5 შინამუშით, ნაწილობრივ კიდევ ისეთი საწარმონი, სადაც შინამუშები სულ არ არიან, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებულ შრომაზე დამყარებულნი. ერთს შინამუშაზე გაანგარიშებით. ეს იძლევა 350 მ-მდე შემოსავალს. ამ «შინამრეწველთა» მიერ მიღებული დიდი შემოსავალი დამოკიდებულია დაქირავებული მუშების მეტ რიცხვზე, რაც საშუალოდ ერთ საწარმოზე დაახლოებით 10 კაცს უდრის *. ესენი უკვე წვრილი მეფაბრიკენი არიან, კაპიტალისტური სახელოსნოების მფლობელნი, რომელთა შეტანა «შინამრეწველთა» რიცხვში მარტოხელა-მრეწველებთან, სოფლის ხელოსნებთან და მეფაბრიკეთათვის შინ მომუშავეებთან (ხანდახან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამავე მდიდარი შინამრეწველებისათვის მომუშავეებთან!) ერთად, — მხოლოდ იმას

* ამ 28 სარეწში 2 228 საწარმოდან, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, 46 საწარმოს ჰყავს ათ-ათი და მეტი დაქირავებული მუშა, სულ 887 დაქირავებული მუშა, ე. ი. საშუალოდ ერთ საწარმოზე 19,2 დაქირავებული მუშა.

მოწმობს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ ტერმინი «შინამრეწველი» სრულიად გაურკვეველი და ბუნდოვანია.

შინამრეწველთა შემოსავლის შესახებ შინამრეწველობის აღწერის ცნობათა გადმოცემის დასასრულ საჭიროა კიდევ შემდეგი აღვნიშნოთ. შეიძლება სთქვან, რომ შინასამრეწველო სარეწებში შემოსავლის კონცენტრაცია არცთუ ისე მნიშვნელოვანია: საწარმოთა 5,7%-ს აქვს შემოსავლის 26,5%, საწარმოთა 29,8%-ს აქვს შემოსავლის 64,4%. ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ, რომ, ჯერ-ერთი, ასეთი კონცენტრაციაც ამტკიცებს «შინამრეწველზე» ხელაღებით მსჯელობისა და მის შესახებ «საშუალო» ციფრების გამოყენების სრულ უვარგისობასა და არამეცნიერულობას. მეორეც, არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ, რომ ამ ცნობებში შეტანილი არ არიან შემყიდველნი, რის გამოც შემოსავლის განაწილება ფრიად უსწოროდ არის წარმოდგენილი. ჩვენ დავინახეთ, რომ 2 346 ოჯახი და 5 628 მუშა მუშაობს შემყიდველთათვის (მე-3 ქვეჯგუფი), მაშასადამე, აქ უმთავრეს შემოსავალს შემყიდველნი იღებენ. მრეწველთა რიცხვიდან მათი გამოყოფა სავსებით ხელოვნური და სრულიად გაუმართლებელი ხერხია. როგორც უმართებულო იქნებოდა მსხვილ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ეკონომიური ურთიერთობის ისე გამოხატვა, თუ მეფაბრიკეთა შემოსავლის ოდენობას არ აღვნიშნავდით, ისევე უმართებულოა «შინამრეწველობის» ეკონომიკის გამოხატვა შემყიდველთა შემოსავლის აღუნიშვნელად, — შემოსავლისა, რაც მიიღება იმავე წარმოებიდან, რომელშიც შინამრეწველნიც არიან ჩაბმულნი; შემოსავლისა, რაც წარმოადგენს იმ პროდუქტების ღირებულების ნაწილს, რომლებსაც შინამრეწველნი ამზადებენ. მაშასადამე, ჩვენ უფლება გვაქვს და მოვალენიც ვართ დავასკვნათ, რომ შინამრეწველობაში შემოსავლის ნამდვილი განაწილება გაცილებით უფრო უთანაბროა, ვიდრე ზემონაჩვენები უთანაბრობა, ვინაიდან ამ უკანასკნელში შესული არ არიან ყველაზე მსხვილ მრეწველთა კატეგორიები.

სტატია მესამე

(VI. რა არის შემყიდველი? — VII. «სასიხარულო მოვლენები» შინამრეწველობაში — VIII. სამრეწველო პოლიტიკის ნაროდნიკული პროგრამა)

VI

რა არის შემყიდველი?

შემყიდველებს ჩვენ ზემოთ ყველაზე დიდი მრეწველები ვუწოდეთ. ჩვეულებრივი ნაროდნიკული თვალსაზრისით ეს ერესია. ჩვენში სჩვევიათ შემყიდველი დაგვიხატონ წარმოების გარეთ მდგომ რამედ, რაღაც გარედან მოტანილად, თვით მრეწველობისთვის უცხო რადმე, რომელიც «მხოლოდ» გაცვლაზეა დამოკიდებული.

აქ უადგილოა დაწვრილებით განვიხილოთ თეორიული არასისწორე ამ შეხედულებისა, რომელიც დამყარებულია თანამედროვე მრეწველობის (და კერძოდ შინამრეწველობის) საერთო და ძირითადი საფუძვლის, ბაზისის, ფონის, სახელდობრ სასაქონლო მეურნეობის გაუგებლობაზე, სასაქონლო მეურნეობისა, რომელშიც სავაჭრო კაპიტალი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და არა შემთხვევითი და გარედან მოტანილი ჩანამატი. ჩვენ აქ უნდა ვემყარებოდეთ ფაქტებსა და შინამრეწველობის აღწერის მონაცემებს, და ჩვენი ამოცანაც ახლა ის იქნება, რომ განვიხილოთ ეს მონაცემები შემყიდველთა შესახებ და ანალიზი გავუკეთოთ მათ. ამ განხილვის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს იმ შინამრეწველთა ცალკე ქვეჯგუფად (მე-3) გამოყოფა, რომელნიც შემ-

ყიდველთათვის მუშაობენ. მაგრამ ამ საკითხში გაცილებით მეტი ხარვეზები და გამოუკვლეველი პუნქტებია, რაც მის განხილვას საკმაოდ აძნელებს. არ მოიპოვება ცნობები შემყიდველთა რიცხვის შესახებ, მსხვილ და წვრილ შემყიდველთა შესახებ, შეძლებულ შინამრეწველებთან მათი კავშირის შესახებ (კავშირი წარმოშობის მხრივ; შემყიდველის სავაჭრო ოპერაციების კავშირი საკუთარ სახელოსნოში წარმოებასთან და სხვ.), შემყიდველთა მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს შესახებ. ნაროდნიკულმა ცრურწმენებმა, როცა შემყიდველს გამოჰყოფენ როგორც რაღაც გარეშეს, ხელი შეუშალა შინამრეწველობის მკვლევართა უმრავლესობას დაესვათ საკითხი შემყიდველთა მეურნეობის შესახებ, ხოლო ამასთანავე, ცხადია, რომ ეკონომისტისათვის ეს პირველი და უმთავრესი საკითხია. აუცილებელია დაწვრილებით და ზედმიწევნით შევისწავლოთ, თუ როგორ ეწევა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს შემყიდველი, როგორ სდგება მისი კაპიტალი, როგორ მოქმედებს ეს კაპიტალი ნედლეულის შეყიდვის, პროდუქტის გასაღების სფეროში, როგორია ამ სფეროებში კაპიტალის მოქმედების პირობები (საზოგადოებრივ-სამეურნეო), რამდენად დიდია შემყიდველის ხარჯები შეყიდვისა და გასაღების მოწყობაზე, როგორ ეწევიან ამ ხარჯებს სავაჭრო კაპიტალის ოდენობისა და შეყიდვის და გასაღების ოდენობის მიხედვით, რა მიზეზები იწვევს ზოგჯერ ნედლეულის ნაწილობრივ დამუშავებას შემყიდველის სახელოსნოებში და შემდეგ მის შინ გადაცემას მუშებისათვის შემდგომი დამუშავებისათვის (ამასთან საბოლოო დამუშავებას ზოგჯერ ისევ შემყიდველი ახდენს) ანდა ნედლეულის მიყიდვას წვრილი მრეწველებისათვის იმ ვარაუდით, რომ შემდგომ მათგანვე ბაზარზე იყიდონ ნაკეთობა. აუცილებელია ერთმანეთს შევადაროთ პროდუქტის წარმოების ღირებულება წვრილ შინამრეწველთან, მსხვილ მრეწველთან სახელოსნოში, რომელიც რამდენიმე დაქირავებულ მუშას აერთიანებს, და შემყიდველთან, რომელიც მასალას არიგებს შინ დასამუშავებლად. აუცილებელია გამოკვლევის ერთეულად ავიღოთ

ყოველი ს ა წ ა რ მ ო, ე. ი. ყოველი ცალკეული შემყიდველი, გამოვირკვიოთ მის ბრუნვათა ოდენობა, სახელოსნოსა თუ სახელოსნოებში ან შინ მისთვის მომუშავეთა რიცხვი, რიცხვი იმ მუშებისა, რომელნიც მის მიერ ნედლეულის დამზადების, მისი და პროდუქტის შენახვისა და გასაღების საქმეში არიან დაბანდებულნი. აუცილებელია შევადაროთ, წარმოების როგორი ტექნიკა აქვს წვრილ მეპატრონეს, სახელოსნოს პატრონს, რომელსაც დაქირავებული მუშები ჰყავს, და შემყიდველს (ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის რაოდენობა და ხარისხი, შ რ ო მ ის დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა და სხვ.). მხოლოდ ასეთი ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ი ს შემდეგ შეიძლება ზუსტი მეცნიერული პასუხი გავცეთ კითხვაზე, თუ რა არის შემყიდველი, რა მნიშვნელობა აქვს მას მეურნეობაში, რა მნიშვნელობა აქვს მას სასაქონლო წარმოების სამრეწველო ფორმების ისტორიულ განვითარებაში. ასეთი ცნობების უქონლობა კომლობრივი აღწერის შეჯამებაში, აღწერისა, რომელმაც დაწვრილებით გამოიკვლია ყველა ეს საკითხი თვითეული შინამრეწველის შესახებ, არ შეიძლება დიდ ხარვეზად არ მივიჩნიოთ. თვითეული შემყიდველის მეურნეობის რეგისტრაცია და გამოკვლევა თუნდაც (სხვადასხვა მიზეზის გამო) შეუძლებელი რომ გამხდარიყო, — დასახული ცნობების დიდი რაოდენობა შეიძლებოდა ამოგვეკრიფა კომლობრივ მონაცემთაგან იმ შინამრეწველთა შესახებ, რომელნიც შემყიდველებისთვის მუშაობენ. ამის მაგივრად «ნარკვევში» ვხვდებით მხოლოდ გაცვეთილ ნაროდნიკულ ფრაზებს იმაზე, რომ «კულაკი» «არსებითად უცხოა თვით წარმოებისთვისო» (გვ. 7), მასთან კულაკებად სთვლიან, ერთის მხრივ, შემყიდველებსაც და საამწყობლო სახელოსნოებსაც, ხოლო, მეორე მხრივ, მევახშეებსაც; რომ «დაქირავებულ შრომას ჰფლობს არა მისი ტექნიკური კონცენტრაცია, მსგავსად ფაბრიკისა (?), არამედ შინამრეწველთა ფულადი დამოკიდებულება... კულაკობის ერთ-ერთი სახე» (309 — 310), რომ «შრომის ექსპლუატაციის წყაროს...

წარმოადგენს არა წარმოების ფუნქცია, არამედ გაცვლის ფუნქცია» (101), რომ შინასამრეწველო სარეწებში ხშირად გვხვდება არა «წარმოების კაპიტალიზაცია», არამედ გაცვლის პროცესის კაპიტალიზაცია» (265). რა თქმა უნდა, ჩვენ ფიქრადაც არ მოგვსვლია «ნარკვევის» მკვლევარებს დამოუკიდებლობა დავაბრალოთ: მათ უბრალოდ მთლიანად ისესხეს ის სენტენციები, რომელნიც ასე უხვად არის გაბნეული, მაგალითად, «ჩვენი ცნობილი» ბ-ნ ვ. ვ-ის თხზულებებში.

ამგვარი ფრაზების ნამდვილი მნიშვნელობა რომ შევაფასოთ, საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ჩვენი მრეწველობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგში, სახელდობრ საფეიქრო მრეწველობაში, «შემყიდველი» უშუალო წინამორბედი, მამა იყო დიდი მეფაბრიკისა, რომელიც მსხვილ სამანქანო წარმოებას მისდევს. შინამრეწველებისთვის ნართის დარიგება შინ დასამუშავებლად, — ასეთი იყო ყველა ჩვენი საფეიქრო წარმოების გუშინდელი დღე; მაშასადამე, ეს იყო მუშაობა «შემყიდველისათვის», «კულაკისათვის», რომელსაც საკუთარი სახელოსნო არა ჰქონდა («წარმოებისათვის უცხო იყო») და «მხოლოდ» ნართს არიგებდა და მზა ნაწარმს იღებდა. ჩვენი კეთილი ნაროდნიკები არც კი ცდილან გამოეკვლიათ ამ შემყიდველთა წარმოშობა, მათი მემკვიდრეობითი კავშირი პატარ-პატარა სახელოსნოების პატრონებთან, მათი როლი, როგორც ნედლეულის შეყიდვისა და პროდუქტის გასაღების ორგანიზატორებისა, როლი მათი კაპიტალისა რომელიც წარმოების საშუალებათა კონცენტრაციას ახდენს, ერთად უყრის თავს დაქსაქსულ წვრილ შინამრეწველთა მასებს, შემოაქვს შრომის დანაწილება და ამზადებს ისევ მსხვილი, მაგრამ უკვე სამანქანო წარმოების ელემენტებს. კეთილი ნაროდნიკები წუწუნსა და ჩივილს სჯერდებოდნენ ამ «სამწუხარო», «ხელოსნური» და სხვ. და სხვ. მოვლენის შესახებ, თავს ინუგეშებდნენ იმით, რომ ეს არა წარმოების, არამედ «მხოლოდ» გაცვლა-გამოცვლის პროცესის «კაპიტალიზაციაა»; ტკბილად მასლაათობდნენ «სამშობლოსათვის სხვა გზებზე», — ხოლო ამასობაში «ხე-

ლოვნური» და «უნიადაგო» «კულაკები» მიდიოდნენ და მიდიოდნენ თავიანთი ძველი გზით, განაგრძობდნენ კაპიტალის კონცენტრაციას, წარმოების საშუალებათა და მწარმოებელთა «შეკრებას», ნედლეულის შეყიდვის ოდენობის გაფართოებას, ცალ-ცალკე ოპერაციებად წარმოების დანაწილების გაღრმავებას (ქსელვა, ქსოვა, შეღებვა, გამოყვანა და სხვ.) და დაქსაქსული, ტექნიკურად ჩამორჩენილი, ხელით მუშაობასა და დამონებაზე დამყარებული კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ი ს გარდაქმნას კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ს ა მ ა ნ ქ ა ნ ო ი ნ დ უ ს ტ რ ი ა დ.

სავსებით ასეთივე პროცესი ხდება ახლა ჩვენს ეგრეთწოდებულ «შინასამრეწველო» სარეწთა უმრავლესობაშიც; და ნაროდნიკები სწორედ ასევე იბრუნებენ პირს სინამდვილის გამოკვლევისაგან მისი განვითარების პროცესში, სწორედ ასევე არსებული ურთიერთობისა და მისი ევოლუციის წარმოშობის საკითხს სცვლიან საკითხით, თუ რა შეიძლებოდა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო (ის რ ო მ არ ყოფილიყო, რაც არის), სწორედ ასევე თავს ინუგეშებენ იმით, რომ ესენი ჯერჯერობით «მხოლოდ» შემყიდველნი არიანო, სწორედ ასევე აიდეალებენ და ალამაზებენ კაპიტალიზმის ყველაზე ცუდ სახეებს, ყველაზე ცუდს — ტექნიკური ჩამორჩენილობის მხრივაც, ეკონომიური არასრულყოფილობითაც, მშრომელი მასების სოციალური და კულტურული მდგომარეობის მხრივაც.

მივმართოთ პერმის შინამრეწველობის აღწერის ცნობებს. ზემოხსენებული ხარვეზები ამ ცნობებში შევეცადოთ შევავსოთ, საჭიროებისამებრ, ზემოხსენებული წიგნის «პერმის გუბერნიის შინამრეწველობა და სხვ.» მასალით. უპირველეს ყოვლისა გამოვყოთ ის სარეწები, რომელნიც შემყიდველთათვის მომუშავე შინამრეწველთა უმთავრეს მასას იძლევიან (მე-3 ქვეჯგუფი). ამასთან მოგვიხტება მივმართოთ ჩვენს საკუთარ შეჯამებას, რომლის შედეგები (როგორც ზემოთ აღნიშნეთ) არ ემთხვევა «ნარკვევის» ციფრებს.

რიცხვი შემყიდველთათვის მომუშავე ოჯახებისა.

სარეწები:	I ჯგუფი	II ჯგუფი	სულ
მეწაღლეობისა	31	605	636
თექის ჩექმისა	607	12	619
სამკედლო	70	412	482
ჭილობისა	132	10	142
ავეჯ-სადურგლო	38	49	78
ეტლის	32	28	60
სამკერვალო	4	42	46
სულ 7 სარეწში	914	1 158	2 072
სულ მე-3 ქვეჯგუფის შინამრეწველნი . .	1 016	1 320	2 336

ამრიგად, შემყიდველთათვის მომუშავე შინამრეწველთა დაახლოებით $^{9}/_{10}$ თავმოყრილია ზემოჩამოთვლილ შვიდ სარეწში. ჩვენც უწინარეს ყოვლისა ამ სარეწებს მივმართოთ.

დავიწყოთ მეწაღლეობის სარეწით. შემყიდველთათვის მომუშავე მეწაღლეების დიდი უმრავლესობა თავმოყრილია კუნგურის მაზრაში, რომელიც პერმის გუბერნიის ტყავის წარმოების ცენტრია. დიდძალი შინამრეწველი ტყავის მექარხნეებისათვის მუშაობს: «ნარკვევის» 87 გვერდზე მოხსენებულია 8 შემყიდველი, რომელთათვისაც 445 საწარმო მუშაობს *. ყველა ეს შემყიდველნი ტყავის «ძველისძველი» მექარხნენი არიან; მათი სახელები შეიძლება ამოიკითხოთ 1890 და 1879 წლის «ფაბრიკებისა და ქარხნების მაჩვენებელში» და «ფინანსთა სამინისტროს წელიწდეულის» შენიშვნებშიც. ნაკვ. I, 1869 წ. [80]. ტყავის მექარხნეები ტყავს გამოსჭრიან ხოლმე და გამოჭრილს შესაკერად «შინამრეწველებს» აძლევენ. წინალის გაჭიმვას რამდენიმე ოჯახი ასრულებს ცალკე, მექარხნეთა შეკვეთით. საერთოდ ტყავის საქარხნო წარმოებასთან დაკავშირებული არიან მთელი რიგი «შინასამრეწველო» სარეწები, ე. ი. მთელ რიგ ოპერაციებს შინ ასრუ-

* მათ შორის ორი შემყიდველისთვის (პონომარიოვისა და ფომინსკისათვის) — 217 საწარმო. სულ კუნგურის მაზრაში მეწაღლეთა 470 საწარმო შემყიდველთათვის მუშაობს.

ლებენ. ასეთი ოპერაციებია: 1) ტყავის გამოყვანა; 2) ფეხსაცმლის შეკერვა; 3) ტყავის ნათალის ერთმანეთზე დაწებება საქუსლე ფენებად; 4) ჩექმის სჭვალის რეცხვა; 5) ჩექმის სარჭის დამზადება; 6) ჩექმის კალაპოტების დამზადება; 7) ტყავის ქარხნებისთვის ნაცრის დამზადება; 8) მათთვისვე «თრიმლის» (ტირიფის ქერქის) დამზადება. ტყავის წარმოების ნარჩენებს ამუშავებენ თექის სათელავი და წებოს სახარში სარეწები («შინამრეწვ.», III, გვ. 3 — 4 და სხვ.). გარდა შრომის დეტალური დანაწილებისა (ე. ი. ერთი ნივთის წარმოების დანაწილებისა რამდენიმე ოპერაციად, რასაც სხვადასხვა პირნი ასრულებენ) ამ წარმოებაში განვითარდა შრომის დანაწილება საქონლის მიხედვითაც: თვითეული ოჯახი (ხანდახან შინამრეწველობის სოფლის თვითეული ქუჩაც) ამზადებს ერთი სახეობის ფეხსაცმელს. როგორც კურიოზი, უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნში «შინამრეწველობა და სხვ.» «კუნგურის ტყავის წარმოება» გამოცხადებულია «საფაბრიკო მრეწველობისა და შინამრეწველობის ერთმანეთისათვის სასარგებლო ორგანული კავშირის იდეის ტიპიურ გამომხატველად» (sic!)... ფაბრიკა ამყარებს წესიერ (sic !) კავშირს შინამრეწველობასთან, მიზნად ისახავს თავისივე ინტერესების მიხედვით (სწორედ ასეა!) არა მისი ძალების დათრგუნვას... არამედ განვითარებასო (III, გვ. 3). მაგალითად, მექარხნე ფომინსკიმ ეკატერინბურგის 1887 წლის გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო არა მარტო ტყავის საუკეთესო გამოყვანისათვის, არამედ «იმ დიდი წარმოებისთვისაც, რ ო მ ე ლ ი ც გ ა რ შ ე მ ო მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს ს ა შ ო ვ ა რ ს ა ძ ლ ე ვ ს ო» (ibid. *, გვ. 4, ხაზგასმა ავტორისაა). სახელდობრ, მისი 1 450 მუშიდან 1 300 შინ მუშაობს; მეორე მექარხნის, სარტაკოვის, 120 მუშიდან შინ მუშაობს 100 კაცი და სხვ. მაშასადამე, პერმელი მექარხნეები ფრიად წარმატებით ეჯიბრებიან ნაროდნკულ ინტელიგენციას შინასამრეწველო სარეწთა დანერგვასა და განვითარებაში...

* — ibidem — იქვე. რ ე დ.

სავსებით ანალოგიურია მეწაღეობის სარეწის ორგანიზაცია კრასნოუფიმსკის მაზრაში («შინამრეწვ.», I, 148 — 149): ტყავის მექარხნეები აქაც ტყავს ფეხსაცმლად ჰკერავენ ნაწილობრივ საკუთარ სახელოსნოში, ნაწილობრივ კი შინ ურიგებენ; ტყავ-მეწაღეობის საწარმოთა ერთ-ერთ უდიდეს მეპატრონეს 200-მდე მუდმივი მუშა ჰყავს.

ახლა ჩვენ შეგვიძლია საკმაო სიცხადით წარმოვიდგინოთ მეწაღეობის და მრავალი სხვა, მასთან დაკავშირებული, «შინასამრეწველო» სარეწის ეკონომიური ორგანიზაცია. ეს სხვა არა არის რა, თუ არ მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოების («ფაბრიკების», ჩვენი ოფიციალური სტატისტიკის ტერმინოლოგიით) გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი, სხვა არა არის რა, თუ არ ტყავის დამუშავების დარგში მსხვილი კაპიტალისტური ოპერაციების ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი. მეწარმეებმა ფართო მასშტაბით მოაწყეს მასალის შეყიდვა, გამართეს ტყავის დამმუშავებელი ქარხნები და შემოიღეს ტყავის შემდგომი გადამუშავების მთელი სისტემა, — სისტემა, დამყარებული შრომის დანაწილებაზე (როგორც ტექნიკურ პირობაზე) და ქირით მუშაობაზე (როგორც ეკონომიურ პირობაზე): ისინი ზოგ ოპერაციას თავის სახელოსნოებში ასრულებენ (ფეხსაცმლის გამოჭრას), სხვა ოპერაციებს კი მათთვის შინმომუშავე «შინამრეწველნი» ასრულებენ; მეწარმენი განსაზღვრავენ წარმოების ოდენობას, სანარდო ხელფასის ოდენობას, გასამზადებელი საქონლის სახეებს და თვითეული სახის ნაკეთობათა რაოდენობას. მათვე მოაწყეს პროდუქტის საბითუმო გასაღება. ცხადია, მეცნიერული ტერმინოლოგიით ეს არის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა, რომელიც ნაწილობრივ უკვე უმაღლეს ფორმად, ფ ა ბ რ ი კ ა დ იქცევა (სახელდობრ რამდენადაც წარმოებაში იხმარება მანქანები და მანქანათა სისტემები: ტყავის დიდ ქარხნებს ორთქლის ძრავები აქვთ). ამ მანუფაქტურის ზოგიერთი ნაწილის წარმოების განსაკუთრებულ «შინასამრეწველო» ფორმად გამოცალკევება ცხადი უაზრობაა, რომელიც ჩქმალავს დაქირა-

ვებული შრომის ბატონობისა და მსხვილი კაპიტალისადმი მ თ ე ლ ი ტყავ-მეწაღეობის საქმის დაქვემდებარების ძირითად ფაქტს. ამ სარეწისათვის «გაცვლა-გამოცვლის კოოპერაციული ორგანიზაციის» ხასიათის მიცემის სასურველობის შესახებ კომიკურ მსჯელობათა ნაცვლად («ნარკვევის» 93 გვ.) ურიგო როდი იქნებოდა უფრო დაწვრილებით შეესწავლათ წარმოების ნამდვილი ორგანიზაცია, შეესწავლათ ის პირობები, რომელთა მიხედვით მექარხნეები ამჯობინებენ სამუშაო სახლებში დაარიგონ. მექარხნეებს, უეჭველია, ეს თავისთვის უფრო ხელსაყრელად მიაჩნიათ და ეს ხელსაყრელობა ჩვენთვისაც გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ საერთოდ შინამრეწველთა, ხოლო განსაკუთრებით მიწათმოქმედ-შინამრეწველებისა და მე-3 ქვეჯგუფის შინამრეწველების დაბალ შემოსავალს. მასალის სახლებში დარიგებით კაპიტალისტები აიაფებენ ხელფასს, ამცირებენ სადგომის, ნაწილობრივ იარაღების, მეთვალყურეობის ხარჯებს, თავისუფლდებიან მეფაბრიკეებისადმი არცთუ ყოველთვის სასიამოვნო მოთხოვნათაგან (ისინი მეფაბრიკენი როდი არიან, ვაჭრები არიან!), იძენენ უფრო დაქსაქსულ, განცალკევებულ მუშებს, რომლებსაც თავდაცვის ნაკლები უნარი აქვთ, იძენენ ამ მუშათა უფასო ზედამხედველებს — თავისებურს «მღრღნელებს» ანუ «ხელოსნუკებს» (ეს ნართის შინ დარიგების სისტემის დროის ჩვენებური საფეიქრო მრეწველობის ტერმინებია) მათთვის მომუშავე იმ შინამრეწველთა სახით, რომელნიც თ ა ვ ი ს მ ხ რ ი ვ ა ც ი ყ ვ ა ნ ე ნ კ ი დ ე ვ დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ მ უ შ ე ბ ს (მეწაღეთა 636 ოჯახში, რომელნიც შემყიდველთათვის მუშაობენ, 278 დაქირავებული მუშა ითვლება). ჩვენ უკვე ვნახეთ საერთო ცხრილში, რომ ეს დაქირავებული მუშები (მე-3 ქვეჯგუფში) ფრიად დაბალ ხელფასს იღებენ. ეს არც გასაკვირველია, რადგან ისინი ორმაგ ექსპლუატაციას განიცდიან: ექსპლუატაციას თავისი დამქირავებლის მხრივ, რომელიც თავისთვის სწოვს მუშას «ცოტა რამ სარგებლობას», და

ექსპლუატაციას იმ მეტყავე-მექარხნის მხრივ, რომელიც წვრილ მეპატრონეებს მასალას ურიგებს. ცნობილია, რომ ეს წვრილი ხელოსნუკები, რომელნიც კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს და მუშათა პირად თავისებურებებს, განსაკუთრებით გამოქნილნი არიან ათასგვარი შევიწროების, დაქირავების დამმონებელი პირობების, **truck - system**-ის[61] და სხვათა გამოგონებაში. ცნობილია სამუშაო დღის მეტისმეტი ხანგრძლივობა ასეთ სახელოსნოებსა და «შინასამრეწველო ქოხებში», და არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ, რომ შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერას თითქმის სრულებით არ მოუცია მასალები ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ჩვენებური თავისებური **sweating-system**-ის * გასაშუქებლად იმ უამრავ შუამავლითურთ, რომელნიც აძლიერებენ მუშების შევიწროებას, სრულიად უკონტროლო და მოურიდებელი ექსპლუატაციით.

თექის ჩექმის სარეწის ორგანიზაციის შესახებ (ამ სარეწს ბეორე ადგილი უჭირავს შემყიდველთათვის მომუშავე ოჯახთა აბსოლუტური რაოდენობით) «ნარკვევი», სამწუხაროდ, თითქმის არავითარ ცნობას არ იძლევა. ჩვენ დავინახეთ, რომ ამ სარეწში არიან ისეთი შინამრეწველნი, რომელთაც დაქირავებული მუშები ათობითა ჰყავთ, მაგრამ შინ ურიგებენ თუ არა ისინი სამუშაოს, ასრულებინებენ თუ არა ოპერაციათა ნაწილს თავისი სახელოსნოს ** გარეთ — ეს გამოურკვეველი დარჩა. მოვიყვანთ მხოლოდ მკვლევართა მიერ აღნიშნულ ფაქტს, რომ თექის ჩექმის სარეწის ჰიგიენური პირობები ფრიად არადამაკმაყოფილებელია («ნარკვევი», გვ. 119, შინამრეწვ.», III, 16) — აუტანელი სიცხე, უამრავი მტვერი, სულის შემხუთავი ატმოსფერო. და ეს ხდება შინამრეწველთა

* — ოფლის გამოწურვის სისტემა. რ ე დ.

** ასეთია ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის არზამასისა და სემიონოვის მაზრებში სამთელავო სარეწის ორგანიზაცია. იხ. «შინამრეწველობის სარეწთა გამომკვლევი კომისიის შრომები» და ნიჟნი-ნოვგოროდის საერობო სტატისტიკის «მასალები».

საცხოვრებელ ქოხებში! ამის ბუნებრივი შედეგი ის არის, რომ შინამრეწველნი 15 წელიწადზე მეტ მუშაობას ვერ იტანენ და ჭლექდებიან. ი. ი. მოლესონი, რომელმაც მუშაობის სანიტარული პირობები გამოიკვლია, ამბობს: «თექის მეჩექმეთა უმთავრესს კონტინგენტს შეადგენენ 13-დან 30-მდე წლის მუშები. და ყველა ისინი მკვეთრად გამოირჩევიან ფერმკრთალობით, კანის მქრქალი ფერით და მოდუნებული, თ ი თ ქ ო ს ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ი თ, გ ა ლ ე უ ლ ი შ ე ხ ე დ უ ლ ო ბ ი თ» (III, გვ. 145, ხაზგასმა ავტორისაა). მკვლევარის პრაქტიკული დასკვნა ასეთია: «საჭიროა მეპატრონეები ვალდებული გავხადოთ სახელოსნო (თექის ჩექმებისა) ააგონ ბევრად უფრო დიდი ზომისა, ისე, რომ თვითეულ მუშაზე მოდიოდეს ჰაერის წინასწარ განსაზღვრული მუდმივი მოცულობა»; სახელოსნო მხოლოდ და მხოლოდ მუშაობისთვის უნდა იყოს განკუთვნილი. მუშათა ღამისთევა შიგ უეჭველად უნდა აიკრძალოს» (ibid.). ამრიგად, სანიტარული ექიმები ამ შინამრეწველთათვის მოითხოვენ ფაბრიკების მოწყობას, შინ მუშაობის აკრძალვას. არ შეიძლება ამ ღონისძიების განხორციელება არ ვისურვოთ; იგი წინ წასწევდა ტექნიკურ პროგრესს, განდევნიდა უამრავ შუამავალს, გზას გაუკაფავდა სამუშაო დღისა და შრომის პირობების მოწესრიგებას, ერთი სიტყვით, მოსპობდა ყველაზე აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებებს ჩვენს «სახალხო» მრეწველობაში.

ჭილობის სარეწში შემყიდველთა რიცხვში მოქცეულია ოსაელი ვაჭარი ბუტაკოვი, რომელსაც, 1879 წლის ცნობებით, ქალ. ოსაში ჰქონია ჭილობის ქარხანა 180 მუშით *. ნუთუ ეს მეფაბრიკე «თვით წარმოებისათვის უცხოდ» უნდა მივიჩნიოთ იმიტომ, რომ მან უფრო ხელსაყრელად სცნო სამუშაო შინ დაარიგოს ხოლმე? საინტერესოა აგრეთვე ვიცოდეთ, რით განირჩევიან შინამრეწველთა რიგებიდან განდევნილი

* «ფაბრიკებისა და ქარხნების მაჩვენებელი» 1879 წლისა. შემყიდველთათვის მომუშავე მეჭილობენი ყველაზე მეტად თავმოყრილი არიან ოსას მაზრაში.

შემყიდველნი იმ «შინამრეწველთაგან», რომელნიც, რაკი შინამუშები არა ჰყავთ, «ყიდულობენ ხრალს და გამოსაყვანად ურიგებენ მას ნარდად მომუშავეებს, რომელნიც გადაამუშავებენ ხოლმე მას ჭილობად და თოფრაკებად თავიანთ დაზგებზე» («ნარკვევი», 152)? — ეს თვალსაჩინო ნიმუშია იმ დომხალისა, რომელშიც მკვლევარები ჩააგდეს ნაროდნიკულმა ცრურწმენებმა. ამ სარეწის ჰიგიენური პირობებიც ყოველ კრიტიკის გარეშე დგას: სივიწროვე, ჭუჭყი, მტვერი, ნესტი, სიმყრალე, ხანგრძლივი სამუშაო დღე (12 — 15 საათი დღე-ღამეში) — ყველაფერი ეს სარეწის ცენტრებს «პარტახტიანი ტიფის ნამდვილ წყაროდ» * აქცევს, რომელიც აქ ხშირად ჩნდებოდა.

«ნარკვევიდან» აგრეთვე ვერაფერს ვიგებთ, თუ როგორია შემყიდველთათვის მუშაობის ორგანიზაცია სამჭედლო სარეწში და ამიტომ უნდა მივმართოთ წიგნს «შინამრეწველობა და სხვ.», რომელიც ნიჟნი-ტაგილის სამჭედლო სარეწის ფრიად საინტერესო აღწერილობას გვაძლევს. სინებისა და სხვ. ნაკეთობათა წარმოება დანაწილებულია რამდენიმე საწარმოს შორის: სამოქლონო სახელოსნოებში სჭედენ რკინას, სამკალაოში ჰკალავენ მას, სამღებროში — ღებავენ. ზოგიერთ შინამრეწველ-მეპატრონეს ყველა ასეთი საწარმო აქვს, მაშასადამე, ის წმინდა ტიპის მანუფაქტურისტია. სხვები — თავის სახელოსნოში ასრულებენ ერთ-ერთ ოპერაციას, ხოლო შემდეგ შინამრეწველებს შინ ურიგებენ ნაკეთობებს მოსაკალავად და შესაღებავად. აქ, მაშასადამე, განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს სარეწის ეკონომიური ორგანიზაციის ერთგვარობა, როდესაც სამუშაოს შინ ურიგებენ და როდესაც მეპატრონეს რამდენიმე სადეტალო სახელოსნო ეკუთვნის. ის შემყიდველი შინამრეწველნი, რომელნიც სახლებში არიგებენ სამუშაოს, ყველაზე მსხვილ მეპატრონეთა რიცხვს (ისინი 25 კაცია) ეკუთვნიან, რომელთაც ყველაზე ხელსაყრელად მოაწყეს ნედლეულის შეყიდვა და პროდუქტის გასაღე-

* «ნარკვევი», გვ. 157.

ბა ფართო მასშტაბით: ეს 25 შინამრეწველი (და მხოლოდ ოსინი) ბაზრობაზე დადიან ანდა საკუთარი დუქნები აქვთ. მათ გარდა შემყიდველებს წარმოადგენენ უკვე დიდი «მეფაბრიკე-ვაჭარნი», რომელთაც ეკატერინბურგის გამოფენაზე თავისი ნაკეთობანი საფაბრიკო-საქარხნო განყოფილებაში გამოაფინეს: წიგნის ავტორი მათ «საფაბრიკო შინამრეწველობას (sic!) აკუთვნებს» («შინამრეწველობა», I, გვ. 98 — 99). საერთოდ და მთლიანად ჩვენ ამრიგად მივიღებთ ფრიად ტიპიურ სურათს კაპიტალისტური მანუფაქტურისას, რომელიც ათასნაირი და უცნაური საშუალებით არის გადახლართული წვრილ საწარმოებთან. რათა თვალნათლივ ვაჩვენოთ, თუ რა მცირედ გვეხმარება ამ რთულ ურთიერთობათა გარკვევაში მრეწველების დაყოფა «შინამრეწველებად» და «მეფაბრიკეებად», მწარმოებლებად და «შემყიდველებად», ვისარგებლოთ ხსენებულ წიგნში მოყვანილი ციფრებით და სარეწის ეკონომიური ურთიერთობა გამოვხატოთ შემდეგი ცხრილის სახით:

დამოუკიდებელი წარმოება საბაზროდ					შემყიდველთათვის მუშაობა			
საწარმონი	მ უ შ ე ბ ი			წარმოების ჯამი ათას მანეთობით	საწარმონი	ნ უ შ ე ბ ი		
	შინამუშები	დაქირავებულნი	სულ			შინამუშები	დაქირავებულნი	სულ
ა.	«ს ა ფ ა ბ რ ი კ ო შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა»							
?	?	?	?	60+7	a) 29	51	39	90
	(«მ ე ფ ა ბ რ ი კ ე - ვ ა ჭ რ ე ბ ი»)				b) 39	53	79	132
					68	104	118	222
ბ.	«შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა»							
25	(შინამრეწველ-შემყიდველი)			95+30				
16	88	161	249	8				
				168+37				
				200 ათას მ.=ნ.-ტაგილის სარეწის მთელი წარმოების ჯამი				

a) გასაღების მხრივ დამოკიდებული შინამრეწველნი.

b) შინამრეწველნი, დამოკიდებულნი როგორც გასაღების, ისე წარმოების მხრივ.

და ახლა კიდევ გვეტყვიან, რომ შემყიდველნი ისევე, როგორც მევახშენი, «უცხონი არიან თვით წარმოებისათვის», რომ მათი ბატონობა ნიშნავს მხოლოდ «გაცვლა-გამოცვლის პროცესის კაპიტალიზაციას» და არა «წარმოების კაპიტალიზაციას»!

კაპიტალისტური მანუფაქტურის ფრიად ტიპიური მაგალითია აგრეთვე ზანდუკის სარეწი («ნარკვევი», გვ. 334—339, «შინამრეწვ.», I, გვ. 31 — 40). მისი ორგანიზაცია ასეთია: რამდენიმე დიდი მეპატრონე, რომელთაც აქვთ სახელოსნოები დაქირავებული მუშებით, ყიდულობს მასალებს, ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ თვითონ ამზადებს ნაკეთობას, უმთავრესად კი მასალას ურიგებს წვრილ სადეტალო სახელოსნოებს, თავის სახელოსნოებში კი ააწყობს ზანდუკის ნაწილებს და, საბოლოოდ გამოყვანის შემდეგ, საქონელს ბაზარზე გზავნის. შრომის დანაწილება — მანუფაქტურის ეს ტიპიური პირობა და ტექნიკური საფუძველი — წარმოებაში ფართოდ არის გამოყენებული: მთელი ზანდუკის გაკეთება იყოფა 10 — 12 ოპერაციად, რომელთაგან თვითეულს მედეტალე-შინამრეწველები ასრულებენ. სარეწის ორგანიზაცია — ეს არის მედეტალე მუშების (Theilarbeiter, როგორც მათ უწოდებენ «კაპიტალში») გაერთიანება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მეთაურობით. რატომ აძლევს კაპიტალი უპირატესობას შინ სამუშაოს დარიგებას — სახელოსნოში დაქირავებული მუშების მუშაობის წინაშე, ამის ცხადს პასუხს გვაძლევს შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერის ცნობები ეკატერინბურგის მაზრის (სარეწის ერთ-ერთი ცენტრია) ნევიანის ქარხნის საწარმოთა შესახებ, სადაც ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს გ ვ ე რ დ ი თ ვხედავთ საამწყობლო სახელოსნოებსაც და მედეტალე-შინამრეწველებსაც. მაშასადამე, მათი ერთმანეთთან შედარება სავსებით შესაძლებელია. მოგვყავს შედარებითი ცნობები ცხრილში (გვ. 173 ცხრილებისა):

ნევიანის ქარხნის მეზანდუკანი	ჯგუფები	ქვეჯგუფები	საწარმოთა რიცხვი	მუშათა რიცხვი			მთლიანი შემოსავალი		ხელფასი		წმინდა შემოსავალი	
				შინამუშები	დაქირავებული	ს ე ვ	ს ე ვ	1 მუშაზე	ს ე ვ	1 დაქირ. მუშაზე	ს ე ვ	1 შინა-მუშაზე
«შემყიდველნი»	II	1	2	1	13	14	5 850	418	1 300	100	1 617	808,5*
«შინამრეწველნი» . . .	II	8	8	11	8	19	1 315	70,3	351	44	984	89,4

განვიხილოთ ეს ცხრილი: თავდაპირველად კი უნდა აღვნიშნოთ, ჩვენ რომ მარტო ნევიანის ქარხნის მაგივრად მთელ 1-ლი და მე-3 ქვეჯგუფის («ნარკვევის» 335 გვ.) ცნობები აგვეღო, დასკვნები იგივე იქნებოდა. მთლიანი შემოსავლის ოდენობას ორივე ქვეჯგუფში, ცხადია, ერთმანეთს ვერ შევადარებთ, ვინაიდან ერთი და იგივე მასალა სხვადასხვა მედეტალე მუშებისა და საამწყობლო სახელოსნოების ხელში გაივლის ხოლმე. მაგრამ დამახასიათებელია ცნობები შემოსავლისა და ხელფასის შესახებ. საამწყობლო სახელოსნოთა დაქირავებული მუშების ხელფასი თურმე უფრო დიდია, ვიდრე დამოკიდებულ შინამრეწველთა შემოსავალი (100 მ. და 89 მ.), მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელნიც დაქირავებულ მუშათა ექსპლუატაციას ეწევიან. ამ უკანასკნელთა ხელფასი კი ერთიორად და უფრო მეტად დაბალია საამწყობლო სახელოსნოების მუშათა ხელფასზე. აბა როგორ არ უნდა ერჩიოთ ჩვენს მეწარმეებს «შინამრეწველობა» საფაბრიკოსთან შედარებით, როცა პირველი მათ ასეთ არსებითს «უპირატესობებს» აძლევს! სავსებით ანალოგიურია ეტლის სარეწის შემყიდველებისათვის მუშაობის ორგანიზაცია («ნარკვევი», გვ. 308 და შემდ., «შინამრეწვ.», I, გვ. 42 და შემდ.); იგივე საამწყობლო სახელოსნოები, რომელთა მეპატრონენი «შემყიდველები» (და სამუშაოს მიმცემნი, დამრიგებელნი) არიან მედეტალე-შინამრეწველთა მიმართ; იგივე სიჭარბე სახელოსნოს დაქირავებული მუშის ხელფასისა და-

მოკიდებული შინამრეწველის შემოსავალთან შედარებით (მისი დაქირავებული მუშის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ). ეს გადამეტება აღნიშნულია როგორც მიწათმოქმედთათვის (I ჯგუფი), ისე არამიწათმოქმედთათვის (II ჯგუფი). ავეჯ-სადურგლო სარეწში შემყიდველებად გვევლინებიან ქ. პერმის ავეჯის მაღაზიები («ნარკვევი», 133, «შინამრეწვ.», II, 11), რომელნიც შეკვეთის დროს შინამრეწველებს ნიმუშებს აწვდიან, რითაც, სხვათა შორის, მათ «წარმოების ტექნიკა თანდათანობით აამაღლეს».

სამკერვალო სარეწში მზა ტანსაცმლის მაღაზიები პერმსა და ეკატერინბურგში შინამრეწველებს ურიგებენ მასალას შესაკერავად. ცნობილია, რომ სამკერვალო და საკონფექციო სარეწის სავსებით ამგვარივე ორგანიზაცია არსებობს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. «კაპიტალისტური» დასავლეთი რუსეთისაგან მისი «სახალხო წარმოებითურთ» იმით განირჩევა, რომ დასავლეთში ასეთ წესებს Schwitz - system-ს * უწოდებენ და ზომებს ეძიებენ ექსპლუატაციის ამ ყველაზე ცუდ სისტემასთან საბრძოლველად, მაგალითად, გერმანელი მკერვალები თავიანთ მეპატრონეთაგან მოითხოვენ ფაბრიკების მოწყობას (ე. ი. «ხელოვნურად ნერგავენ კაპიტალიზმს», როგორც დაასკვნიდა რუსეთის ნაროდნიკი); ჩვენში კი «ოფლის გამოწურვის ამ სისტემას» გულკეთილად «შინამრეწველობას» უწოდებენ და მსჯელობენ მის უპირატესობაზე კაპიტალიზმთან შედარებით.

ჩვენ ახლა განვიხილეთ ყველა სარეწი, რომელნიც შემყიდველთათვის მომუშავე შინამრეწველთა უდიდეს უმრავლესობას იძლევიან. რა შედეგები მოგვცა ამ მიმოხილვამ? ჩვენ დავრწმუნდით იმ ნაროდნიკული დებულების სრულ უმწეობაში, თითქოს შემყიდველნი და საამწყობლო სახელოსნოებიც კი იგივე მეკახშენი, წარმოებისათვის უცხო ელემენტები იყვ-

* — ოფლის გამოწურვის სისტემას. რ ე დ.

ნენ და სხვ. მიუხედავად «ნარკვევის» ცნობათა ზემოხსენებული არასაკმარისობისა, მიუხედავად აღწერის პროგრამაში შემყიდველთა მეურნეობის შესახებ კითხვების უქონლობისა, ჩვენ შევძელით სარეწთა უმრავლესობაში აღგვენიშნა შემყიდველთა სრულიად განუყრელი კავშირი წარმოებასთან, — წარმოებაში მათი პირდაპირ მონაწილეობაც კი, «მონაწილეობა» როგორც დაქირავებულმუშებიანი სახელოსნოების მეპატრონეებისა. იმაზე შეუსაბამო არა არის რა, როგორც ის აზრი, თითქოს შემყიდველთათვის მუშაობა მხოლოდ რაღაც ბოროტმოქმედების, რაღაც შემთხვევითობის, რაღაც «გაცვლა-გამოცვლის პროცესის კაპიტალიზაციის» შედეგი იყოს და არა წარმოებისა. პირიქით, შემყიდველთათვის მუშაობა არის სწორედ წ ა რ მ ო ე ბ ი ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ფ ო რ მ ა, წარმოებაში ეკონომიური ურთიერთობის განსაკუთრებული ორგანიზაცია, — ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ წვრილი სასაქონლო წარმოებიდან აღმოცენდა («წვრილი სახალხო წარმოებიდან», როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენს გულკეთილ ლიტერატურაში) და ახლაც ათასნაირი ძაფით არის მასთან დაკავშირებული, რადგან სწორედ ყველაზე შეძლებული მეპატრონენი, ყველაზე მოწინავე «შინამრეწველნი» უყრიან საძირკველს ამ სისტემას, აფართოებენ თავიანთ ბრუნვას შინ სამუშაოს დარიგების შემწეობით. შემყიდველთათვის მუშაობა, რაც უშუალოდ ემეზობლება კაპიტალისტურ სახელოსნოს დაქირავებული მუშებით და ხშირად წარმოადგენს მხოლოდ მის გაგრძელებას ან ერთ-ერთს მის განყოფილებას, ფ ა ბ რ ი კ ი ს უ ბ რ ა ლ ო დ ა ნ ა მ ა ტ ი ა, თუ ამ უკანასკნელ გამოთქმას გავიგებთ არა მეცნიერული, არამედ მის სალაპარაკო მნიშვნელობით. მრეწველობის ფორმათა მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით კი, ამ ფორმათა თანმიმდევარი განვითარების პროცესში, შემყიდველისათვის მუშაობა უმეტეს ნაწილად კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ ა ს ეკუთვნის, ვინაიდან იგი: 1) დაფუძნებულია ხელით წარმოებასა და წვრილ საწარმოთა ფართო ბაზისზე; 2) ამ საწარმოთა

შორის შეაქვს შრომის დანაწილება, ავითარებს რა მას სახელოსნოს შიგნითაც; 3) წარმოების სათავეში აყენებს ვაჭარს, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე მანუფაქტურაში, რომელიც გულისხმობს წარმოებას ფართო მასშტაბით, ნედლეულის ბითუმად შეყიდვასა და პროდუქტის გასაღებას; 4) მშრომელებს აქვეითებს დაქირავებულ მუშათა მდგომარეობამდე, რომელნიც მეპატრონის სახელოსნოში ან თავიანთ სახლში მუშაობენ. სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება, როგორც ვიცით, მეცნიერული ცნება მანუფაქტურისა, როგორც კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებული საფეხურისა მრეწველობაში (იხილე «Das Kapital», I, Kapitel XII *). მრეწველობის ეს ფორმა, როგორც ცნობილია, ნიშნავს უკვე კაპიტალიზმის ღრმა ბატონობას და მისი უკანასკნელი და უმაღლესი ფორმის, ე. ი. მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის უშუალო წინამორბედია. შემყიდველისათვის მუშაობა, მაშასადამე, კაპიტალიზმის ჩამორჩენილი ფორმაა, და თანამედროვე საზოგადოებაში ეს ჩამორჩენილობა იწვევს მშრომელთა მდგომარეობის განსაკუთრებულ გაუარესებას, — მშრომელთა, რომელნიც ექსპლუატაციას განიცდიან მთელ რიგ შუამავალთა მხრივ (sweating-system), დაქსაქსული არიან, იძულებული ხდებიან დასჯერდნენ მეტად მცირე ხელფასს, იმუშაონ უკიდურესად ანტიჰიგიენური ვითარებისა და მეტისმეტად ხანგრძლივი სამუშაო დღის პირობებში, — ხოლო რაც მთავარია, იმუშაონ ისეთ პირობებში, რაც უკიდურესად აძნელებს წარმოებისადმი საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას.

ჩვენ ახლა დავამთავრეთ შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერის ცნობათა მიმოხილვა. ამ მიმოხილვამ საკმაოდ დაადასტურა ზემოთ გამოთქმული შენიშვნა «შინამრეწველობის» ცნების სრული უშინაარსობის შესახებ. ჩვენ დავინახეთ, რომ

* — «კაპიტალი», ტ. I, თავი XII. რ ე დ.

ამ ცნებას უყენებდნენ მრეწველობის ფრიად სხვადასხვანაირ ფორმებს, ჩვენ იმის უფლებაც კი გვაქვს, რომ ვთქვათ: მ რ ე წ-ვ ე ლ ო ბ ი ს თ ი თ ქ მ ი ს ყ ვ ე ლ ა ფ ო რ მ ა ს, რ ა ს ა ც კ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ი ც ნ ო ბ ს. მართლაც, ამ ცნებაში შედიან პატრიარქალური ხელოსნებიც, მომხმარებელთა შეკვეთით რომ მუშაობენ მათივე (მომხმარებელთა) მასალით, ხოლო გასამრჯელოს ხან ნატურით, ხან კი ფულად იღებენ. გარდა ამისა, მასში შედიან მრეწველობის სრულიად სხვაგვარი ფორმის წარმომადგენელნიც — წვრილი საქონელმწარმოებელნი, თავიანთი ოჯახით რომ მუშაობენ. მასში შედიან იმ კაპიტალისტური სახელოსნოების მფლობელნიც, რომელთაც დაქირავებული მუშები ჰყავთ, და თვით ეს დაქირავებული მუშებიც, რომელთა რიცხვი თითო საწარმოში რამდენსამე ათეულს აღწევს. მასში შედიან მეწარმე-მანუფაქტურისტები მსხვილი კაპიტალით, რომელნიც სადეტალო სახელოსნოთა მთელ სისტემაზე ბატონობენ. მასში შედიან კაპიტალისტებისათვის მომუშავე შინამუშებიც. ყველა ამ თანრიგში «შინამრეწველებად» თანაბრად ითვლებოდნენ მიწათმოქმედნიც და არამიწათმოქმედნიც, გლეხებიც და ქალაქელებიც. ასეთი დომხალი პერმელ შინამრეწველთა შესახებ აღნიშნული გამოკვლევის თავისებურება როდია. სრულიადაც არა. მას იმეორებენ ყ ო ვ ე ლ გ ა ნ დ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, როდესაც და სადაც კი «შინამრეწველობაზე» ლაპარაკობენ და სწერენ. ყველამ, ვინც იცნობს, მაგალითად, «შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის შრომებს», იცის, რომ იქ შინამრეწველთა რიცხვში მოხვდა ყველა ეს თანრიგიც. და აი ჩვენებური ნაროდნიკული ეკონომიის ჩვეულებრივი ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ გროვაში მოაქციოს მრეწველობის ფორმათა მთელი ეს დაუსრულებელი მრავალგვარობა, ამ გროვას დაარქვას «შინამრეწველობა», «სახალხო» მრეწველობა, და — **risum teneatis, amici!** * — ეს უაზრობა დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ ო ს «კაპიტალიზმს» — «საფაბრიკო-საქარხნო მრეწველო-

* — სიცილი შეიკავეთ, მეგობრებო! რ ე დ.

ბას». ამ წარმტაცი ხერხის «დასაბუთება», მისი ინიციატორის აზროვნებისა და ცოდნის შესანიშნავ სიღრმეს რომ მოწმობს, ეკუთვნის, თუ არ ვცდებით, ბ-ნ ვ. ვ-ს, რომელიც თავისი «შინამრეწველობის ნარკვევების» პირველსავე ფურცლებზე იღებს მოსკოვის, ვლადიმირისა და სხვ. გუბერნიების «საქარხნო-საფაბრიკო» მუშათა ოფიციალურ რიცხვებს და ადარებს მათ «შინამრეწველთა» რიცხვს; ამასთან, რა თქმა უნდა, ირკვევა, რომ «სახალხო მრეწველობა» გაცილებით უფრო მძლავრად არის განვითარებული ჩვენს კურთხეულ რუსეთში, ვიდრე «კაპიტალიზმი», ხოლო მკვლევართა მიერ მრავალჯერ დადასტურებულ იმ ფაქტს *, რომ ამ «შინამრეწველთა» უდიდესი უმრავლესობა იმავე მეფაბრიკეთა ათვის მუშაობს, ჩვენი «ავტორიტეტიანი» ეკონომისტი კეთილგონივრულად, დუმილით უვლიდა გვერდს. ზუსტად მისდევენ რა ნაროდნიკულ ცრურწმენებს, «ნარკვევის» შემდგენელნიც იმავე ფანდს იმეორებენ. პერმის გუბერნიაში «შინამრეწველობის» წლიური წარმოების ჯამი თუმცა 5 მილიონ მანეთს შეადგენს **, ხოლო «საფაბრიკო-საქარხნოსი» — 30 მილიონ მანეთს, მაგრამ ისინი «საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაში მომუშავე მუშა-ხელს განსაზღვრავენ 19 ათასი კაცით, ხოლო შინამრეწველობაში მომუშავეთ — 26 ათასი კაცით» (გვ. 364). როგორც ხედავთ, კლასიფიკაცია გულისამაჩვილებლად მარტივია:

---

* იხ. თუნდაც ბ-ნ ხარიზომენოვის სტატია «შინამრეწველობის მნიშვნელობა», მოთავსებული «იურიდიჩესკი ვესტნიკის» [92] 1883 წ. №№ 11 და 12-ში, რომელიც იძლევა მაშინდელი დროის სტატისტიკური მასალის შეჯამებას.

** ჩვენ აღარას ვამბობთ ამ ციფრის კურიოზულ განსაზღვრაზე. მაგალითად, უდიდეს თანხას იძლევა საფქვავი სარეწი (1,2 მილიონ მან.), რადგან ამაში ჩათვლილია მეწისქვილეთა მიერ დაფქვილი მთელი ხორბლის ღირებულება! ცხრილებში, აგრეთვე «ნარკვევის» აღწერილობაშიც, აღებული იყო მხოლოდ საერთო შემოსავალი 143 ათასი მან. (იხ. გვ. 358 და შენიშვნა). მეწაღეობის სარეწი იძლევა 930 ათას მან., რომლის კარგა მოზრდილ ნაწილს კუნგურის მექარხნეთა ბრუნვა შეადგენს. და სხვ., და სხვ.

ა) საქარხნო-საფაბრიკო მუშები	19 000
ბ) შინამრეწველნი	26 000
სულ . . .	45 000

გასაგებია, რომ ასეთი კლასიფიკაცია ფართოდ უღებს კარს მსჯელობას «სამშობლოსათვის სხვა გზის შესაძლებლობის» შესახებ!

მაგრამ ტყუილად ხომ არა გვაქვს მონაცემები შინამრეწველობის იმ კომლობრივი აღწერისა, რომელმაც მრეწველობის ფორმები გამოიკვლია. შევეცადოთ და მოვახდინოთ კლასიფიკაცია, რომელიც შეესაბამებოდეს აღწერის მონაცემებს (იმ მონაცემებს, რომლების მიმართ ნაროდნიკული კლასიფიკაცია მხოლოდ დაცინვას წარმოადგენს) და შეესაბამებოდეს მრეწველობის სხვადასხვა ფორმებს. ის პროცენტული თანაფარდობანი, რაც აღწერამ მოგვცა 20 ათასი მუშის შესახებ, მივუყენოთ ავტორების მიერ სხვა წყაროების მიხედვით გადიდებულ რიცხვს — 26 ათასს.

ა. სასაქონლო წარმოება.	მუშათა რიცხვი.	
I. კაპიტალისტურად გამოყენებული მუშები.		
(1) «ფაბრიკა-ქარხნების» მუშები (1885 — 1891, 7 წლის ცნობების მიხედვით, საშუალოდ თითო საწარმოზე მოდის 14,6 მუშა)...	19 000 **42,2%**	30 700 **68,2%**
(2) «შინამრეწველთა» დაქირავებული მუშები (მთელი რაოდენობის 25%). (მათგან მეოთხედი ისეთ საწარმოებშია, რომელთაც, საშუალოდ, თითო საწარმოზე 14,6 მუშა ჰყავთ)	6 500 **14,4%**	
(3) შემყიდველთათვის შინ მომუშავენი, ე. ი. მე-3 ქვეჯგუფის შინამრეწველ-შიხამუშები 20%. (მათგან ბევრი მუშაობს იმავე მეფაბრიკეთათვის, რომლებისთვისაც მუშაობენ 1 და მე-2 პუნქტის მუშები).....	5 200 **11,6%**	

II. წვრილი საქონელმწარმოებელნი, ე. ი. 1-ლი ქვეჯგუფის შინამრეწველ-შინამუშები 30%.
(მათგან დაახლოებით $^1/_3$-ს დაქირავებული მუშები ჰყავს) 7 800
17,4%

ბ. ხელოსნობა.

სოფლის (ნაწილობრივ ქალაქის) ხელოსნები, ე. ი. მე-2 ქვეჯგუფის შინამრეწველ-შინამუშები 25%.
(მათგან მცირე ნაწილს აგრეთვე დაქირავებული მუშები ჰყავს) 6 500
14,4%

სულ 45 000
100%

ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ ამ კლასიფიკაციაშიც არის შეცდომები: მასში არ არიან მეფაბრიკენი და მექარხნენი, მაგრამ არიან შინამრეწველნი, რომელთაც ათეულობით დაქირავებული მუშები ჰყავთ; მასში შემთხვევით შედიან ზოგიერთი მანუფაქტურისტები, რომელნიც, მიუხედავად ამისა, ცალკე როდი არიან გამოყოფილნი, და არ შედიან სხვები, რომელნიც განდევნეს როგორც «შემყიდველნი»; მასში მოხვდნენ ქალაქელი ხელოსნები ერთი ქალაქიდან და ვერ მოხვდნენ 11 ქალაქიდან და სხვ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს კლასიფიკაცია ემყარება შინამრეწველობის აღწერის ცნობებს მრეწველობის ფორმათა შესახებ, და ხსენებული შეცდომები ამ ცნობების შეცდომებია და არა კლასიფიკაციის შეცდომები*. ყოველ შემთხვევაში ეს კლასიფიკაცია ზუსტ წარმოდგენას იძლევა სინამდვილეზე, გან-

* შეიძლება გვიპასუხონ, რომ შინამრეწველ ხელოსანთა დაქირავებული მუშები (შინამრეწველთა დაქირავებული მუშების მთელი რაოდენობის 20%) ხელოსნობას უნდა მივაკუთვნოთ და არა საქალაქო წარმოებასაო. მაგრამ სამუშაო ძალა აქ თვითონ წარმოადგენს საქონელს, და მისი ყიდვა-გაყიდვა კაპიტალიზმის არსებითი ნიშანია.

მარტავს მრეწველობის სხვადასხვა მონაწილეთა შორის არსებულ ნამდვილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობას, და, მაშასადამე, მათს მდგომარეობასაც, მათს ინტერესებსაც, — ხოლო ასეთ განმარტებაში მდგომარეობს სწორედ ყოველგვარი მეცნიერულ-ეკონომიური გამოკვლევის უმაღლესი ამოცანა.

VII

«სასიხარულო მოვლენები» შინამრეწველობაში

შეეძლოთ ჩვენთვის ბრალი დაედოთ ცალმხრივობაში, შინამრეწველობის მხოლოდ ბნელი მხარეების გამომჟღავნებაში, რომ სიჩუმით აგვევლო გვერდი «ნარკვევში» მოყვანილი ფაქტებისთვის, რომელთაც შინამრეწველობის «ნათელი მხარე» და «სასიხარულო მოვლენები» უნდა ცხადჰყონ.

მაგალითად, გვეუბნებიან, რომ შინასამრეწველო წარმოებაში დაქირავებულ შრომას ერთგვარი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან აქ დაქირავებული მუშა განირჩევა მეპატრონესთან «საყოფაცხოვრებო» სიახლოვით და თვითონაც «შეუძლია» მეპატრონე გახდესო. «სასიხარულო მოვლენებად» აქ, მაშასადამე, ჩათვლილია კეთილი სურვილი, რომ ყველა მუშა წვრილ მეპატრონედ გადააქციონ! * თუმცა, არა, ყველა კი არა, მხოლოდ ზოგიერთნი, ვინაიდან «სხვისი შრომის ექსპლუატაციის ტენდენცია, ეჰვს გარეშეა, ახასიათებს ყველა ადამიანს საერთოდ, მათ შორის შინამრეწველსაც» («ნარკვევი», გვ. 6). ეს ფრაზა პირდაპირ შეუდარებელია იმ გულუბრყვილობის გამო, რის მიხედვითაც «ყველა ადამიანი» პირდაპირ გაიგივებულია წვრილ ბურჟუებთან! საკვირველი როდია, რომ ვინც მთელ ქვეყნიერებას წვრილი ბურჟუის სათვალით უყურებს, ასეთ შე-

* თუ რა გავლენას ახდენს «საყოფაცხოვრებო სიახლოვე» ანგარიშის გასწორების სისტემასა და სისწორეზე, დაქირავების პირობებზე, მუშის დამონებაზე, truck-system-აზე, — ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან.

სანიშნავ ჭეშმარიტებებს აღმოაჩენს ხოლმე. 268-ე გვერდზე «შრომითი გარემოების მიხედვით (sic!) შინასამრეწველო საწარმოდ ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით» გამოცხადებული წვრილი ფაბრიკა 8 დაქირავებული მუშით და 10 ათასი მან. წარმოებით. 272 — 274 გვ. მოთხრობილია, თუ როგორ იყო, რომ ერთმა სხვა წვრილმა მეფაბრიკემ (7 დაქირავებული მუშით და 5 შეგირდით; წარმოება — 7 ათასი მან.) ბრძმედი მოაწყო გლეხთა საზოგადოებისაგან იჯარით აღებულ მიწაზე და შინამრეწველობის ბანკიდან 5 000 მან. სესხი გამოითხოვა ქურის მოსაწყობად, თან განმარტავდა, რომ «მთელ მის საწარმოს წმინდა ადგილობრივი ინტერესი აქვს, ვინაიდან მადნის ამოღება იწარმოებს საზოგადოების მიწებზე ადგილობრივი გლეხებისავე საშუალებითო». ბანკმა თხოვნა უარჰყო ფორმალური მოსაზრებით. და «ნარკვევიც» ამის გამო გვიხატავს ამ საწარმოს კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოდ გადაქცევის მომხიბლავ სურათს: მეპატრონეს ეს, «უეჭველია, ეამება, როგორც არა მარტო წარმოების, არამედ მის გარშემო მყოფ თანამოთემეთა ინტერესების გულშემატკივარსო». საწარმო «მოიცავს საზოგადოების თანაწევრთა უამრავ შრომითს ინტერესებს, იმ თანაწევრთა, რომელნიც ამოიღებენ და ქარხანაში მიზიდავენ მადნეულს, ხე-ტყის მასალებს». «მეოჯახენი ქარხანაში მიზიდავენ ხოლმე მადნეულს, ნახშირსა და სხვ., მსგავსად იმისა, როგორც დიასახლისებს საზოგადოების ყველის ქარხანაში რძე მიაქვთ. რა თქმა უნდა, აქ ნავარაუდევია უფრო რთული ორგანიზაცია, ვიდრე ყველის საზოგადოებრივი ქარხანაა, განსაკუთრებით იმ პირობით, როცა თვით საქმის წარმოებაში, ე. ი. მადნეულიდან თუჯის გამოდნობაში, გამოყენებული იქნებიან ადგილობრივივე ხელოსნები და შავი მუშებიო». ო, რა იდილიაა! შავი მუშები («საზოგადოების თანაწევრები») «ქარხანაში მიზიდავენ» ხოლმე მადნეულს, შეშას და სხვ. მსგავსად იმისა, როგორც გლეხ ქალებს რძე მიაქვთ ყველის ქარხანაში!! ჩვენ როდი უარვყოფთ იმას, რომ შინამრეწველობის ბანკს შეუძლია (თუ მისმა ბიუროკრატიულმა

ორგანიზაციამ ხელი არ შეუშალა) ისეთივე სამსახური გასწიოს, როგორსაც სხვა ბანკები სწევენ, ავითარებენ რა სასაქონლო მეურნეობას და კაპიტალიზმს, მაგრამ ფრიად სამწუხარო იქნებოდა, რომ მან, ამასთან ერთად, განაგრძოს სესხის მთხოვნელ მეწარმეთა ფარისევლობისა და მანილოვისებური უქმი ლაყბობის განვითარება.

აქამდე ჩვენ ვხედავდით, რომ დაქირავებულ მუშათა დიდრიცხვიან საწარმოებს «შინასამრეწველოს» უწოდებდნენ იმ საბუთით, რომ მეპატრონენი თვითონ შრომობენო. მაგრამ ეს პირობაც წვრილი ბურჟუებისათვის რამდენადმე შემზღუდველი იქნებოდა, და აი «ნარკვევი» ცდილობს მის გაფართოებას: თურმე, ისეთი საწარმოც, რომელიც «მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებული შრომით არსებობს», შეიძლება შინასამრეწველო იყოს, თუ საწარმოს «წარმატება» დამყარებულია მეპატრონის «პირად მონაწილეობაზე» (გვ. 295), ანდა თუ მეპატრონენიც «იძულებული არიან თავიანთი მონაწილეობა განსაზღვრონ საწარმოს გაძღოლისათვის სხვადასხვანაირი მზრუნველობით» (გვ. 301). ხომ ხედავთ, რა წარმატებით «მიდიან წინ» პერმელი ნაროდნიკები? «პირადი შრომა», — «პირადი მონაწილეობა», «სხვადასხვანაირი მზრუნველობა». Mein Liebchen, was willst du noch mehr? * დაქირავებული შრომა აგურის სარეწში თურმე «განსაკუთრებით ხელსაყრელია» (302) დაქირავებული მუშებისათვის, რომელნიც აგურის ქარნებში «დამხმარე შემოსავალს» პოულობენ; ამ ქარხანათა პატრონები კი ხშირად განიცდიან «მუშათა დასაქირავებელი ფულის ნაკლებობასო». «ნარკვევი» დაასკვნის, რომ ასეთს მეპატრონეებს შინამრეწველობის ბანკიდან კრედიტი უნდა მიეცეთ და «ასეთი საწარმონი, თანახმად შინამრეწვ. ბანკის წესდ. მე-7 მუხ. მე-3 პ. შენიშვნისა, განსაკუთრებით საპატიო შემთხვევებს უნდა მივაკუთვნოთო» (გვ. 302). ეს მაინცდამაინც გამართულად ვერ არის ნათქვამი, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან შთამაგონებელი და მრავალმნიშვნელოვანია! «დასასრულ, ჩვენ

* — ჩემო საყვარელო, მეტი რაღა გინდა? რ ე დ.

საკმაო საბუთი გვაქვს ის აზრი გამოვთქვათ, — ვკითხულობთ აგურის სარეწის აწერილობის ბოლო ნაწილში, — რომ აგურის სარეწში მეპატრონეთა და დაქირავებულ მუშათა ინტერესები გლეხთა შორის იმდენად განზოგადებულია, რომ თუმცა ამ სარეწში ფორმალურად არტელები არ არის რეგისტრირებული, მაგრამ ფაქტიურად მასში მეპატრონეთა და მათს დაქირავებულ მუშათა შორის მტკიცე ამხანაგური კავშირი არსებობს» (305). მკითხველს მივუთითებთ ამ «ამხანაგური კავშირის» ზემოთ მოცემულ სტატისტიკურ სურათზე. კურიოზულია აგრეთვე, — როგორც ნიმუში ნაროდნიკების ეკონომიურ ცნებათა დომხალისა, — რომ «ნარკვევი» ერთსა და იმავე დროს იცავს და ალამაზებს დაქირავებულ შრომას, როცა ამტკიცებს, რომ კულაკია სრულიადაც არა დაქირავებული მუშების მეპატრონე, არამედ ფულადი კაპიტალის მფლობელი, რომელიც «ექსპლუატაციას უწევს შრომას შინამრეწველ მეპატრონისა და მის დაქირავებულ მუშათა სახით» (!), და ამასთან ერთად ყოვლად უგუნურად და უზომოდ იცავს კულაკობას: «კულაკობა, რა მუქი საღებავებითაც უნდა გვიხატავდნენ მას, ჯერჯერობით აუცილებლად საჭირო ბორბალია შინასამრეწველო წარმოების გაცვლა-გამოცვლის მექანიზმში... კულაკობა, შინამრეწველობის წარმატების მიმართ, უეჭველია, საკეთილო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, იმ მდგომარეობასთან შედარებით, როდესაც უკულაკოდ, ყოველგვარი ფულადი საშუალებების უქონლად, შინამრეწველი იძულებულია უმუშევრად დარჩეს» (გვ. 8) *. მაგრამ როდემდის დარჩეს ეს

* იმავე აზრებს ეპოულობთ წიგნში «შინამრეწვ.», I, 39 და შემდ., სადაც პოლემიკას ეწევიან გაზეთ «დელოვოი კორესპონდენტის» [93] წინააღმდეგ, რომელიც სწერდა, რომ კულაკები (ზანდუკის სარეწის საამწყობლო სახელოსნოთა მეპატრონეები) შინამრეწველობის განყოფილებაში არ უნდა შეეშვათო. «მთელი ჩვენი შინამრეწველობა, — ვკითხულობთ ამის პასუხად, — კერძო კაპიტალების ხუნდებშია მოქცეული; ამიტომ შინამრეწველობის განყოფილებაში მხოლოდ ის შინამრეწველნი რომ შეგვეშვა, რომელნიც თვითონვე ვაჭრობენ საკუთარი ნაკეთობებით, ჩვენი ხაშინამრეწველო განყოფილება სრულიად გამოცარიელებული იქნებო-

«ჯერჯერობით»? რომ ეთქვათ: სავაჭრო და სავახშო კაპიტალი აუცილებელი მომენტია კაპიტალიზმის განვითარებაში, აუცილებელი ბორბალია ნაკლებ განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოების (როგორიც ჩვენია) მექანიზმშიო, — ეს მართალი იქნებოდა. ასეთი განმარტების დროს სიტყვა «ჯერჯერობით» ასე უნდა გავიგოთ: ჯერჯერობით მრეწველობის თავისუფლებისა და კონკურენციის თავისუფლების უამრავი შევიწროება (განსაკუთრებით გლეხობაში) ხელს უწყობს ჩვენში კაპიტალიზმის ყველაზე ჩამორჩენილ და ყველაზე ცუდ ფორმებს. ვშიშობთ მხოლოდ, რომ ეს განმარტება არ მოეწონებათ არც პერმელ და არც სხვა ნაროდნიკებს!

გადავიდეთ არტელებზე, ამ უახლოეს და უმნიშვნელოვანეს გამომხატველებზე ვითომდა იმ თემური პრინციპებისა, რომელთა დანახვაც შინასამრეწველო სარეწებში უეჭველად სურთ ნაროდნიკებს. საინტერესოა გადავათვალიეროთ მთელი გუბერნიის შინამრეწველთა კომლობრივი აღწერის ცნობები, იმ აღწერისა, რომელსაც პროგრამაში პირდაპირ ჰქონდა დასახული არტელების რეგისტრაცია და შესწავლა (გვ. 14, პ. 2). მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია არათუ გავეცნოთ არტელების სხვადასხვა ტიპს, არამედ კიდევაც გავიგოთ, რამდენად ფართოდ არიან ისინი გავრცელებულნი.

ზეთსახდელი სარეწი. «საყოფაცხოვრებო არტელია ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით»: სოფ. პოკროვსკოესა და სოფ. გავრიატაში ორ ზეთსახდელ ქარხანას ჰფლობენ ხუთნი ძმანი, რომელნიც გაყრილნი არიან, მაგრამ ზეთსახდელი ქარხნებით რიგრიგობით სარგებლობენ. ეს ფაქტები «ღრმა ინტერესს» წარმოადგენენ, რადგან «ისინი ნათელს ჰფენენ შინასამრეწველო სარეწთა თემურ-შრომითი თანამომდევნობის საკონტრაქტო პირობებს». ცხადია, ასეთი საყოფაცხოვრებო «არტელები

დაო». ხომ ფრიად დამახასიათებელი აღიარებაა? ჩვენ ზემოთ, აღწერის ცნობათა მიხედვით, ცხადვყავით ეს «ხუნდები კერძო კაპიტალებისა», რომელთაც ხელში ჩაუგდიათ შინასამრეწველო სარეწები.

მნიშვნელოვან პრეცედენტს წარმოადგენენ შინამრეწველთა წრეში კოოპერაციულ საფუძველზე საქარხნო ტიპის წარმოებათა გავრცელების საკითხში» (გვ. 175—176). მაშასადამე, არტელი, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, როგორც კოოპერაციის პრეცედენტი, როგორც თემობის გამოხატულება, თურმე, გ ა უ ყ რ ე ლ ი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა ყოფილა!! თუ ეს ასეა, «თემობისა» და «კოოპერაციის» ნამდვილი პალადიუმი იქნება რომაული სამოქალაქო სამართალი და ჩვენი X ტომი condominium -ის ინსტიტუტებით, მემკვიდრეთა და არამემკვიდრეთა საერთო საკუთრების ინსტიტუტებით!

«საფქვავ წარმოებაში... ყველაზე ნათლად გამოიხატა თავისებურ საყოფაცხოვრებო ფორმებში გლეხთა საარტელო თაოსნობაო». ბევრი წისქვილი ამხანაგობათა ანდა მთელ სოფელთა საერთო მფლობელობაშია. წისქვილით სარგებლობის წესები შემდეგნაირია: ყველაზე გავრცელებულია — მორიგეობით სარგებლობა; შემდეგ — წმინდა შემოსავლის პაების მიხედვით განაწილება თვითეული თანამფლობელის დანახარჯის პროპორციულად; «ასეთ შემთხვევებში მეპატრონე-ამხანაგები იშვიათად იღებენ პირად შრომითს მონაწილეობას წარმოებაში, რომელსაც ჩვეულებრივად დაქირავებული შრომის საშუალებით უძღვებიან» (გვ. 181; იგივეა ნათქვამი ფისის გამომხდელ არტელებზეც — გვ. 197). მართლაც, საკვირველი თავისებურობა და არტელურობაა — საერთო საკუთრება წვრილი მეპატრონეებისა, რომელნიც ერთად ქირაობენ მუშებს! ის ფაქტი, რომ შინამრეწველნი მ ო რ ი გ ე ო ბ ი თ სარგებლობენ წისქვილებით, ფისის გამოსახდელებით, სამჭედლოებით, პირიქით, მოწმობს იმ მწარმოებელთა გასაოცარს დაქსაქსულობას, რომელთაც კოოპერაციულად შეკავშირების სურვილი საერთო საკუთრებამაც კი ვერ აღუძრა.

«საარტელო ორგანიზაციის ერთ-ერთი სახეა» — «საარტელო სამჭედლოები» (239). მჭედელი-მეპატრონენი სათბობის ეკონომიისათვის თავს იყრიან ერთს სამჭედლოში, ქირაობენ

ერთს მბერველს (ეკონომია მუშებისა!) და იჯარით იღებენ სამჭედლოს მეპატრონისაგან როგორც შენობას, ისე განსაკუთრებულ ფასად ჩაქუჩსაც. — მაშასადამე, ერთი პიროვნების კერძო საკუთრების უფლებით კუთვნილი ნივთის მეორისათვის ფასიანი იჯარით გადაცემა «საარტელო ორგანიზაცია» ყოფილა! უეჭველად რომაულ სამართალს «საარტელო ორგანიზაციის» კოდექსი უნდა ვუწოდოთ!.. «საარტელო ორგანიზაციაში... ჩვენ ვპოულობთ იმის ახალ მითითებას, რომ შინამრეწველთა შორის წარმოებაში კლასობრივ კრისტალიზაციას ადგილი არა აქვს, — იმის მითითებას, რომ მიწათმოქმედთა და შინამრეწველთა წრეში ფენათა ისეთივე შეერთებაა. როგორიც საარტელო წისქვილებშიც ვნახეთო» (239). და ამის შემდეგ ვიღაც ბოროტი ადამიანები ბედავენ გლეხობის დაშლაზე ლაპარაკს!

მაშასადამე, აქამდე ერთი შემთხვევაც არ ყოფილა ნედლეულის შესასყიდად, პროდუქტის გასასაღებლად შინამრეწველთა შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა, თვით წარმოებაში შეერთებაზე რომ არა ვთქვათ რა! მაგრამ არის ასეთი შეერთებანიც. პერმის გუბერნიის შინამრეწველთა კომლობრივ აღწერაში აღნუსხულია მ თ ე ლ ი ო თ ხ ი ასეთი შემთხვევა, ამასთან ისინი ყ ვ ე ლ ა ნ ი მოეწყვნენ შინამრეწველობის ბანკის დახმარებით: სამი—ეტლის სარეწში და ერთიც—სამიწათმოქმედო მანქანათა წარმოებაში. ერთ-ერთ არტელს ჰყავს დაქირავებული მუშები (2 შეგირდი და 2 დაქირავებული «დამხმარე» მუშა); მეორეში — ორი ამხანაგი სარგებლობს მესამე ამხანაგის კუთვნილი სამჭედლოთი და სახელოსნოთი, ცალკე ფასად. ერთად ყიდულობენ ნედლეულს და ასაღებენ პროდუქტს, მუშაობენ კი ცალ-ცალკე სახელოსნოებში (გარდა სამჭედლოს და სახელოსნოს ფულად ქირაობის უკვე მოხსენებული შემთხვევისა). ოთხივე ამ არტელმა გააერთიანა 21 შინამუშა. პერმის შინამრეწველობის ბანკი უკვე რამდენიმე წელიწადია მოქმედებს: დავუშვათ, რომ იგი ახლა «გააერთიანებს» (მეზობლის სამჭედლოს დასაქირავებლად) წ ე ლ ი წ ა დ შ ი არა 20 შინამუშას,

არამედ 50-ს. მაშინ შინამრეწველთა ყველა 15 000 შინამუშა «გაერთიანებული» იქნება «საარტელო ორგანიზაციის» მიერ სწორედ 300 წლის შემდეგ. ხოლო ამ საქმეს რომ მორჩებიან, შინამრეწველთა დაქირავებული მუშების «გაერთიანებასაც» შეუდგებიან... და პერმელი ნაროდნიკები ზეიმობენ: «ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური კონცეფციები, შექმნილნი შინამრეწველთა წრის აზროვნების დამოუკიდებელი მუშაობით, მტკიცე საწინდარია ამ წრეში წარმოების ეკონომიური პროგრესისა, კაპიტალისაგან შრომის დამოუკიდებლობის საფუძველზე, ვინაიდან ამ ფაქტებით მეღავნდება შინამრეწველთა არა მარტო სტიქიური, არამედ სავსებით შეგნებული მისწრაფება შრომითი დამოუკიდებლობისაკენ» (გვ. 333). შებრალება იქონიეთ, ბატონებო! რა თქმა უნდა, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ნაროდნიკობა მანილოვისებური ფრაზების გარეშე, მაგრამ ზომაც ხომ საჭიროა! როგორც დავინახეთ, ა რ ც ე რ თ ი ამ არტელთაგანი არ გამოხატავს «კაპიტალისაგან შრომის დამოუკიდებლობის საფუძველს»: ყველა — მეპატრონეთა და წვრილ მეპატრონეთა არტელებია, ბევრს დაქირავებული მუშები ჰყავს. კოოპერაცია ამ არტელებში არ არის, ნედლეულის საერთო დამზადება და პროდუქტის საერთო გასაღებაც კი მეტისმეტად იშვიათად გვხვდება და მეპატრონეთა საოცრად მცირე რიცხვს აერთიანებს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არ მოიძებნება არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა, სადაც თითქმის 9 ათასი წვრილი საწარმოს რეგისტრაციას, რომლებშიც 20 ათასი მუშაა, მწარმოებელთა ა ს ე თ ი გ ა ს ა ო ც ა რ ი დ ა ქ ს ა ქ ს უ ლ ო ბ ა დ ა გ ა ვ ე ლ უ რ ე ბ ა გამოევლინოს, — იმ მწარმოებელთა, რომელთა შორის ს ა ე რ თ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს მხოლოდ რამდენიმე ათეული შემთხვევა აღმოჩნდა, ხოლო ნედლეულის შეყიდვისა და პროდუქტის გასაღებისთვის 3 — 5 წვრილი მეპატრონის გაერთიანება ა თ ე უ ლ შემთხვევაზე ნ ა კ ლ ე ბ ი! ეს დაქსაქსულობა უ ე ჰ ვ ე ლ ი საწინდარი იქნებოდა უ ი მ ე დ ო ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი და კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი შ ე ფ ე რ ხ ე ბ ი-

ს ა, ჩვენ რომ, საბედნიეროდ, არ ვხედავდეთ, თუ როგორ დღითიდღე უთხრის ძირს კაპიტალიზმი პატრიარქალურ ხელოსნობასა და მის თვითკმარ წვრილ მეპატრონეთა ადგილობრივ შეზღუდულობას, დღითიდღე ანგრევს ადგილობრივ წვრილ ბაზრებს (რომელთა მეოხებითაც ცოცხლობს წვრილი წარმოება), სცვლის მათ ნაციონალური და მსოფლიო ბაზრით. ა ი ძ უ ლ ე ბ ს არა მარტო რომელიღაც სოფელ გავრიატის მწარმოებლებს, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისა და სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლებსაც კი — კავშირი შეჰკრან ურთიერთშორის, გადააცილონ ეს კავშირი მარტო მეპატრონეთა და წვრილ მეპატრონეთა ფარგლებს, დაუსახონ ამ კავშირებს უფრო ფართო საკითხები, ვიდრე ხე-ტყის მასალისა და რკინეულის იაფად შეყიდვის საკითხია, ანდა ლურსმნისა თუ ფორანების უფრო სარფიანად გაყიდვის საკითხი.

VIII

სამრეწველო პოლიტიკის ნაროდნიკული პროგრამა

ვინაიდან პრაქტიკული ვარაუდები და ღონისძიებანი ყოველთვის დაკავშირებულია იმასთან, თუ სინამდვილეში რა მიაჩნიათ «სასიხარულოდ» და იმედის მომგვრელად, უკვე a priori გასაგებია, თუ რა სურვილებია გამოთქმული შინამრეწველობის შესახებ «ნარკვევში», რომელმაც ყველა «სასიხარულო მოვლენა» დაიყვანა წვრილ მეურნეობაში დაქირავებული შრომის შელამაზებამდე და წვრილ მეპატრონეთა ფრიად მცირერიცხოვან და ცალმხრივ გაერთიანებათა ქება-დიდებამდე. იმეორებს რა ჩვეულებრივს ნაროდნიკულ რეცეპტებს, ეს სურვილები გვაოცებს, ერთი მხრივ, თავისი წინააღმდეგობით, და, მეორე მხრივ, იმ უბრალო «ღონისძიებათა» უზომო გაზვიადებით, რომელნიც ფრაზების საშუალებით გადაქცეულია დიდი საკითხების გადაჭრად. «ნარკვევის» დასაწყისშივე, შესავალში, აღწერის მონაცემთა მოყვანამდე, ჩვენ ვხვდებით მაღალფარდოვან ლათაიებს «საშინამრეწველო კრედიტის ამოცანაზე» — «უფულობის მოსპობის (sic!)» ამოცანაზე, «წარმოებასა და მოხმარებას შორის გაცვლის კოოპერაციულად მოწყობაზე»

(გვ. 8), «საარტელო ორგანიზაციების გავრცელებაზე», საშინამრეწველო საწყობების, ტექნიკური კონსულტაციების, ტექნიკური სკოლების მოწყობაზე და სხვ. (გვ. 9). ეს მსჯელობანი წიგნში მრავალჯერ არის განმეორებული. «სარეწის ეკონომიკა ისე უნდა ვარდავქმნათ, რომ შინამრეწველს ფული გაუჩნდეს; უბრალოდ რომ ვთქვათ, შინამრეწველი კულაკისაგან უნდა კავათავისუფლოთ» (119). «ჩვენი დროის ამოცანაა» მოვახდინოთ «შინამრეწველობის ემანსიპაცია კრედიტის გზით» და სხვ. (267). «საჭიროა მოვახდინოთ გაცვლის პროცესების რაციონალიზაცია», ვიზრუნოთ «გლეხთა სამიწათმოქმედო მეურნეობის წიაღში კრედიტის, გაცვლისა და წარმოების რაციონალური საფუძვლების შეტანისთვის» (362), საჭიროა «შრომის ეკონომიური ორგანიზაცია» (sic!! გვ. 363), «სახალხო მეურნეობის ეკონომიკის რაციონალურად მოწყობაო» და სხვ. და ა. შ. როგორც ხედავთ, ეს არის ნაცნობი ნაროდნიკული პანაცეა, აღწერის მონაცემებზე მიკრული. და თითქოს თავისი ნაროდნიკული მართლმორწმუნეობის საბოლოოდ დასადასტურებლად, შემდგენლებმა არ დააყოვნეს დაეგმოთ ფულადი მეურნეობა საზოგადოდ; ისინი მკითხველს ასწავლიან, რომ ხელოსნობა «სახალხო მეურნეობას მნიშვნელოვან სამსახურს უწევს, უზრუნველჰყოფს რა მისთვის ნატურალური მეურნეობის ფულად მეურნეობად გადაქცევის თავიდან აცილების შესაძლებლობას». «სახალხო მეურნეობის საარსებო ინტერესები იმას მოითხოვს, რომ მის მიერ დამზადებული ნედლეულის გადამუშავება ადგილობრივ სწარმოებდეს, გაცვლის პროცესში შეძლებისდაგვარად ფულადი ჩარევის გარეშე» (გვ. 360).

აქ ნაროდნიკული პროგრამა ჩამოყალიბებულია მთელი სისრულითა და გულახდილობით, ასე რომ უკეთესს კაცი ვეღარც კი ისურვებს! ჩვენ ვთქვით: «ნაროდნიკული პროგრამა», ვინაიდან ჩვენ გვაინტერესებს არა ის, რაც «ნარკვევის» შემდგენლებს განასხვავებს სხვა ნაროდნიკებისაგან, არამედ, პირიქით, სწორედ ის, რაც მათ საერთო აქვთ. ჩვენ გვაინტერესებს პრაქტიკული ნაროდნიკული პროგრამა საზოგადოდ საში-

ნამრეწველო სარეწთა შესახებ. ადვილი დასანახავია, რომ «ნარკვევში» ნათლად წამოყენებულია სწორედ ამ პროგრამის ძირითადი თვისებანი: 1) ფულადი მეურნეობის დაგმობა და სიმპათიები ნატურალური მეურნეობისა და პრიმიტიული ხელოსნობისადმი; 2) სხვადასხვა ღონისძიებანი წვრილი გლეხური წარმოების დასახმარებლად, როგორიცაა კრედიტი, ტექნიკის განვითარება და სხვ.; 3) ყოველგვარ გაერთიანებათა და კავშირთა დანერგვა მეპატრონეთა და წვრილ მეპატრონეთა შორის — ნედლეულის შემძენი, სასაწყობო, შემნახველ-გამსესხებელი, საკრედიტო, სამომხმარებლო, საწარმოო ამხანაგობებისა; 4) «შრომის ორგანიზაცია» — მოარული ფრაზა ნაროდნიკების ყველა და ყოველგვარ კეთილ სურვილთა გამოთქმის დროს. მაშ ვნახოთ ეს პროგრამა.

რაც შეეხება უწინარეს ყოვლისა ფულადი მეურნეობის დაგმობას, მრეწველობის მიმართ იგი უკვე სავსებით პლატონური ხასიათისაა. ხელოსნობა პერმის გუბერნიაშიც კი უკვე ძალიან უკანა რიგზეა დაყენებული სასაქონლო წარმოების მიერ და ისეთ საცოდავ მდგომარეობაშია, რომ იმავე «ნარკვევში» ვკითხულობთ: სასურველია «შინამრეწველი გავათავისუფლოთ დამოკიდებულებისაგან», სახელდობრ, მოვსპოთ ხელოსნის დამოკიდებულება შემკვეთ-მომხმარებლისაგან ისეთ საშუალებათა გამოძებნით, რომ თვით გამსაღებელი რაიონი გაფართოვდეს ადგილობრივი მოხმარების მოთხოვნილების ფარგლებს იქითო» (გვ. 33). სხვა სიტყვით: ფულადი მეურნეობის დაგმობა თეორიაში და ხელოსნობის სასაქონლო მეურნეობად გადაქცევისადმი მისწრაფება პრაქტიკაში! და ეს წინააღმდეგობა სრულიადაც არ შეადგენს მარტოოდენ «ნარკვევის» კუთვნილებას, არამედ დამახასიათებელია ყველა ნაროდნიკული პროექტისათვის: თუმცა ძალიან ჯიუტობენ ისინი სასაქონლო (ფულადი) მეურნეობის წინააღმდეგ, მაგრამ კარიდან გაგდებული სინამდვილე ფანჯრიდან იჭრება და ის ღონისძიებანი, რომელთაც ისინი ემხრობიან, სწორედ სასაქონლო მეურნეობას ავითარებენ. ამის მაგალითია კრე-

დიტი. თავის გეგმებსა და სურვილებში ნაროდნიკები თვით სასაქონლო მეურნეობას როდი სპობენ. «ნარკვევი», მაგალითად. კრინტსაც არა სძრავს იმაზე, რომ წამოყენებული რეფორმები სასაქონლო მეურნეობის ნიადაგზე არ უნდა იყოს დაფუძნებული. პირიქით, მას მხოლოდ გაცვლის რაციონალური საფუძვლები სურს, გაცვლის კოოპერაციული მოწყობა. სასაქონლო მეურნეობა რჩება, ის მხოლოდ უნდა გარდაიქმნას რაციონალურ საფუძველთა მიხედვით. ეს არცთუ იმდენად ახალი უტოპიაა, რომელსაც ძველ ეკონომიურ ლიტერატურაში უდიდესი გამომხატველი ჰყავდა. მისი თეორიული უსაფუძვლობა უკვე დიდი ხანია ცხადყოფილია, ასე რომ ამ საკითხზე შეჩერება არ მოგვიხდება. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ ეკონომიკის «რაციონალიზაციის» აუცილებლობაზე ახირებული ფრაზების ლაპარაკის მაგივრად ჯერ მოეხდინათ «რაციონალიზაცია» საკუთარი წარმოდგენისა ნამდვილ ეკონომიკაზე, იმაზე, თუ როგორია ნამდვილი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა «შინამრეწველთა» იმ მეტად სხვადასხვაგვარ, სხვადასხვა შემადგენლობის მასაში, რომლის სვე-ბედიც ჩვენს ნაროდნიკებს ასე ბიუროკრატიულად და თავქარიანად სურთ ზევიდან გადაწყვიტონ? სინამდვილე განა ხშირად არ გვიჩვენებს, რომ «შრომის ორგანიზაციისა» და სხვათა ვითომდა «წმინდა» იდეების რეცეპტების მიხედვით შეთხზულ ნაროდნიკების პრაქტიკულ ღონისძიებებს ნამდვილად მივყავართ მხოლოდ «მეურნე გლეხკაცის», წვრილი მეფაბრიკისა ან შემყიდველის, საზოგადოდ წვრილი ბურჟუაზიის ყველა წარმომადგენლისადმი დახმარებასა და ხელშეწყობამდე? ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი, არ არის შედეგი ცალკეულ ღონისძიებათა ნაკლისა თუ უხეირობისა. პირიქით, სასაქონლო მეურნეობის საერთო საფუძველზე კრედიტით, საწყობებით, ბანკებით, ტექნიკური რჩევითა და სხვ. უცილობლად და უეჭველად უპირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტად წვრილი ბურჟუები სარგებლობენ.

მაგრამ თუ ასეაო, — გვიპასუხებენ, — თუ ნაროდნიკები თავიანთი პრაქტიკული ღონისძიებებით, შეუცნობლად და თავისდა უნებურად, წვრილი ბურჟუაზიის და, მაშასადამე, საერთოდ კაპიტალიზმის განვითარებას ემსახურებიან, რაღად ესხმიან თავს მათს პროგრამებს ის ადამიანები, რომელნიც კაპიტალიზმის განვითარებას პრინციპულად პროგრესულ პროცესად სთვლიან? განა მართებული იქნება იდეოლოგიურ სამოსელთა მცდარობის, ან — უფრო რბილად რომ ვთქვათ — სადავოობის გამო თავს ესხმოდეთ პრაქტიკულად სასარგებლო პროგრამებს, ვინაიდან ვის შეუძლია უარჰყოს ტექნიკური განათლების, კრედიტის, მწარმოებელთა შორის კავშირებისა და შეერთებათა «სარგებლობა»?

ეს პასუხი მოგონილი როდია. ხან ერთი, ხან მეორე ფორმით, ხან ამ, ხან იმ საბაბით იგი ნაროდნიკობის წინააღმდეგ პოლემიკის პასუხად ყოველთვის გაისმის. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ასეთი შემოდავება, თუნდაც ის სამართლიანიც იყოს, სრულიადაც ვერ უარჰყოფს იმას, რომ წვრილბურჟუაზიული პროექტების თუნდაც მარტო ამ შემოსვას უდიადესი სოციალური პანაცეით დიდი საზოგადოებრივი ზიანი მოაქვს. ჩვენ განზრახვა გვაქვს საკითხი თანამედროვეობის უახლოეს და საარსებო საჭიროებათა პრაქტიკულ ნიადაგზე დავაყენოთ და ამ, გ ა ნ ზ რ ა ხ შემოფარგლული, თვალსაზრისით შევაფასოთ ნაროდნიკული პროგრამა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაროდნიკების ბევრ ღონისძიებას პრაქტიკული სარგებლობა მოაქვს, ემსახურება რა კაპიტალიზმის განვითარებას, საერთოდ და მთლიანად ეს ღონისძიებანი მაინც აღმოჩნდნენ: 1) უაღრესად არათანმიმდევარი, 2) დოქტრინულ-უსიცოცხლო და 3) წვრილმანი იმ ნამდვილ ამოცანებთან შედარებით, რომელთაც ჩვენი მრეწველობის წინაშე აყენებს განვითარების გზაზე მდგომი კაპიტალიზმი. განვმარტოთ ეს. ჩვენ აღვნიშნეთ, ჯერ-ერთი, ნაროდნიკების, როგორც პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ადამიანების, არათან-

მიმდევრობა. ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად, რომელნიც ჩვეულებრივ ხასიათდებიან, როგორც ლიბერალური ეკონომიური პოლიტიკა და რომელთაც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის ბელადები ყოველთვის თავის დროშას აწერდნენ, ნაროდნიკები ახერხებენ შეინარჩუნონ განზრახვა — შეაფერხონ მოცემული ეკონომიური განვითარება, ხელი შეუშალონ კაპიტალიზმის პროგრესს, ხელი შეუწყონ წვრილ წარმოებას, რომელიც სულს ღაფავს მსხვილ წარმოებასთან ბრძოლაში. ისინი იცავენ ისეთ კანონებსა და დაწესებულებებს, რომლებიც აფერხებენ მიწის მობილიზაციის თავისუფლებას, გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლებას, იცავენ გლეხობის წოდებრივს კარჩაკეტილობას და სხვ. საკითხავია, არის კი რაიმე გონივრული საფუძველი, რომ კაპიტალიზმისა და მსხვილი მრეწველობის განვითარება შეეაფერხოთ? აღწერის მონაცემებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ შინამრეწველთა ყბადაღებული «დამოუკიდებლობა» მათ სრულიადაც ვერ უზრუნველჰყოფს სავაჭრო კაპიტალისადმი დამორჩილებისაგან, ყველაზე უარესი სახის ექსპლუატაციისაგან, რომ სინამდვილეში ამ «დამოუკიდებელ» შინამრეწველთა უდიდესი მასის მდგომარეობა ხშირად უფრო უმწეოა, ვიდრე შინამრეწველთა დაქირავებული მუშების მდგომარეობა, რომ მათი შემოსავალი საოცრად მცირეა, შრომის პირობები (სანიტარული პირობებისა და სამუშაო დღის სიდიდის მხრივ) მეტად არადამაკმაყოფილებელია, წარმოება დაქსაქსული, ტექნიკურად პირველყოფილი და განუვითარებელია. საკითხავია, არის თუ არა რაიმე გონივრული საფუძველი შევინარჩუნოთ პოლიციური კანონები, რომლებიც განამტკიცებენ «მიწასთან კავშირს», ეძალავენ ამ კავშირის გაწყვეტას, კავშირისა, რომელიც ასე უჩვილებს გულს ნაროდნიკებს? * პერმის გუბერნიის

* «ნარკვევი» აგრეთვე დიდი პათოსით ლაპარაკობს თემის სარგებლობასა და მიწათმფლობელობის «მობილიზაციის თავისუფლების» მავნეობაზე, რაც «პროლეტარიატის» გაჩენას გამოიწვევსო (გვ. 6). მობილიზ-

«შინამრეწველობის 1894/95 წლის აღწერის» ცნობები ცხადად მოწმობენ გლეხების ხელოვნურად მიწაზე მიჯაჭვის სრულ უაზრობას. ეს მიჯაჭვა მხოლოდ ამცირებს მათს შემოსავალს, რომელიც «მიწასთან კავშირის» დროს ერთიორად და უფრო მეტად ნაკლებია, ვიდრე არამიწათმოქმედთა შემოსავალი; იგი აქვეითებს საარსებო დონეს, აძლიერებს სოფლად გაფანტულ მწარმოებელთა დაქსაქსულობასა და დაქუცმაცებას, აძლიერებს მათს უმწეობას ყოველი შემყიდველისა და წვრილი ხელოსნის წინაშე. ამავე დროს მიწაზე მიჯაჭვა აფერხებს მიწათმოქმედების განვითარებას, მაგრამ ძალა კი არ შესწევს სოფლის წვრილი ბურჟუაზიის კლასის გაჩენას ხელი შეუშალოს. ნაროდნიკები გაურბიან საკითხის ასე დასმას: შევაფერხოთ თუ არ შევაფერხოთ კაპიტალიზმის განვითარება? ისინი უმჯობესად სთვლიან იმსჯელონ «სამშობლოსათვის სხვა გზათა შესაძლებლობაზე». მაგრამ რაკი ლაპარაკია უახლოეს პრაქტიკულ ღონისძიებებზე, სწორედ ამით ყოველი მოღვაწე ა რ ს ე ბ უ ლ ი გ ზ ი ს* ნიადაგზე დგება. რაც გნებავთ ის ჰქენით იმისათვის, რომ სამშობლო სხვა გზაზე «გადაითრიოთ»! ასეთი მოქმედება ვერავითარ კრიტიკას (გარდა სიცილის კრიტიკასა) ვერ გამოიწვევს. მაგრამ ნუ იცავთ იმას, რაც ხელოვნურად ა ფ ე რ ხ ე ბ ს მონაცემ განვითარებას, ფრაზებით «სხვა გზის შესახებ» ნუ ჩქმალავთ არსებული გზიდან დაბრკოლებათა აშორების საკითხს.

მეორე გარემოება, რომელიც საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ნაროდნიკების პრაქტიკული პროგრამის შეფასე-

---

ციის თავისუფლების ეს დაპირისპირება თემისადმი მშვენივრად ცხადჰყოფს «თემის» სწორედ ყველაზე რეაქციულსა და მავნე თვისებას. — საინტერესოა ვიცოდეთ, გამოინახებოდა თუ არა თუნდაც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ისეთი «პროლეტარი», რომელსაც წელიწადში 33 და 50 მან. შემოსავალი ექნებოდა და მას პ ა უ პ ე რ ებ ს არ მიაკუთვნებდნენ?

* ხოლო ეს არსებული გზა რომ კაპიტალიზმის განვითარებაში მდგომარეობს, ეს, რამდენადაც ვიცით, არ უარუყვიათ თვით ნაროდნიკებსაც, არც ბ-ნ ნ. — ონს, არც ბ-ნ ვ. ვ-ს, არც ბ-ნ იუჟაკოვს და სხვ. და სხვ.

ბის დროს, შემდეგში მდგომარეობს. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ნაროდნიკები ცდილობენ რაც შეიძლება განყენებულად ჩამოაყალიბონ თავისი სურვილები, მოგვაჩვენონ ისინი «წმინდა» მეცნიერების, «წმინდა» სამართლიანობის აბსტრაქტულ, განყენებულ მოთხოვნებად და არა გარკვეული ინტერესების მქონე რეალური კლასების რეალურ საჭიროებად. კრედიტს — კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყოველი მეპატრონისა და წვრილი მეპატრონის ამ საარსებო მოთხოვნილებას — ნაროდნიკი გვიხატავს შრომის ორგანიზაციის სისტემის რაღაც ელემენტად; მეპატრონეთა კავშირები და გაერთიანებანი წარმოდგენილია საერთოდ კოოპერაციის იდეის, «შინამრეწველობის ემანსიპაციის» იდეის ჩანასახ გამოხატულებად და სხვ., მაშინ როდესაც ყველამ იცის, რომ ყველა ასეთი კავშირი ნამდვილად ისეთ მიზნებს ისახავენ, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ასეთ მაღალ მატერიებთან; ეს მიზნები მხოლოდ დაკავშირებული არიან ამ წვრილ მეპატრონეთა შემოსავლის ოდენობასა, მათი მდგომარეობის განმტკიცებასა და მათი მოგების გადიდებასთან. ეს ჩვეულებრივი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სურვილების გადაქცევა რაღაც სოციალურ პანაცეად — მხოლოდ აუძლურებს ამ სურვილებს, აცლის მათ სასიცოცხლო ნერვს, მათი არსებითობისა და განხორციელების გარანტიას. ნაროდნიკი ცდილობს თვითეული მეპატრონის, შემყიდველის, ვაჭრის საარსებო საკითხები (კრედიტი, კავშირები, ტექნიკური დახმარება) დასვას როგორც ისეთი ზოგადი საკითხები, რომელნიც ცალკეულ ინტერესებზე მაღლა დგანან. ნაროდნიკს ჰგონია, რომ ამით იგი მათს მნიშვნელობას აძლიერებს, აღამაღლებს მათ, — ნამდვილად კი ამით იგი ცოცხალ საქმეს, რომლითაც დაინტერესებული არიან მოსახლეობის ესა თუ ის ჯგუფები, ფილისტერულ სურვილად, კაბინეტურ სიბრძნედ, «სარგებლობათა შესახებ» ბიუროკრატიულ «მსჯელობად» აქცევს. ამასთან უშუალოდ დაკავშირებულია მესამე გარემოებაც. არ ესმის რა, რომ ისეთი პრაქ-

ტიკული ღონისძიებანი, როგორიცაა კრედიტი და არტელი, ტექნიკური ხელსაწყოები და სხვ., განვითარების გზაზე შემდგარი კაპიტალიზმის მოთხოვნილებებს გამოხატავენ, ნაროდნიკს უნარი არ შესწევს ასეთი განვითარების საერთო და ძირითადი მოთხოვნილებანი გამოხატოს, სცვლის რა მათ წვრილმანი, შემთხვევით ხელში მოხვედრილი, ნახევრადი ღონისძიებებით, რომელთაც, ცალკე აღებულთ, არ შეუძლიათ რაიმე სერიოზული ზემოქმედება მოახდინონ და გარდუვალი მარცხისათვის არიან განწირულნი. ნაროდნიკი რომ აშკარად და თანმიმდევრად დამდგარიყო კაპიტალისტური გზით საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა გამომხატველის თვალსაზრისზე, იგი შესძლებდა დაენახა ამ განვითარების ს ა ე რ თ ო პ ი რ ო ბ ე ბ ი, ს ა ე რ თ ო მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი, იგი დაინახავდა, რომ ყველა მისი პატარა პროექტი და ღონისძიება ამ საერთო პირობების არსებობის დროს (ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში მათ შორის უმთავრესია მრეწველობის თავისუფლება) თავისთავად განხორციელდებოდა, ე. ი. განხორციელდებოდა თვით დაინტერესებულ პირთა საქმიანობით, მაშინ როდესაც ამ საერთო პირობების უგულებელყოფას და სრულიად კერძო ხასიათის მარტო პრაქტიკულ ღონისძიებათა წამოყენებას არ შეიძლება წყლის ნაყვა არ მოჰყვეს. მაგალითისთვის შევჩერდეთ მრეწველობის თავისუფლების ამ საკითხზე. ერთი მხრივ, სამრეწველო პოლიტიკის საკითხთა შორის ეს ისეთი საერთო და ძირითადი საკითხია, რომ მისი განხილვა განსაკუთრებით საჭიროა. მეორე მხრივ, პერმის მხარის საყოფაცხოვრებო თავისებურებანი ამ საკითხის კარდინალური მნიშვნელობის საინტერესო დადასტურებას იძლევიან.

როგორც ცნობილია, ამ მხარის ეკონომიური ცხოვრების მთავარი მოვლენაა სამთამადნო მრეწველობა, რომელმაც მას სავსებით განსაკუთრებული დაღი დაასვა. ურალის სამთამადნო მრეწველობის მდგომარეობასა და ინტერესებთან დაკავშირებულია ამ მხარის კოლონიზაციის ისტორიაც და ახლანდელი მდგომარეობაც. «გლეხები საზოგადოდ ურალში დაასახლეს

ბის დროს, შემდეგში მდგომარეობს. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ნაროდნიკები ცდილობენ რაც შეიძლება განყენებულად ჩამოაყალიბონ თავისი სურვილები, მოგვაჩვენონ ისინი «წმინდა» მეცნიერების, «წმინდა» სამართლიანობის აბსტრაქტულ, განყენებულ მოთხოვნებად და არა გარკვეული ინტერესების მქონე რეალური კლასების რეალურ საჭიროებად. კრედიტს — კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყოველი მეპატრონისა და წვრილი მეპატრონის ამ საარსებო მოთხოვნილებას — ნაროდნიკი გვიხატავს შრომის ორგანიზაციის სისტემის რაღაც ელემენტად; მეპატრონეთა კავშირები და გაერთიანებანი წარმოდგენილია საერთოდ კოოპერაციის იდეის, «შინამრეწველობის ემანსიპაციის» იდეის ჩანასახ გამოხატულებად და სხვ., მაშინ როდესაც ყველამ იცის, **რომ** ყველა ასეთი კავშირი ნამდვილად ისეთ მიზნებს ისახავენ, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ასეთ მაღალ მატერიებთან; ეს მიზნები მხოლოდ დაკავშირებული არიან ამ წვრილ მეპატრონეთა შემოსავლის ოდენობასა, მათი მდგომარეობის განმტკიცებასა და მათი მოგების გადიდებასთან. ეს ჩვეულებრივი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სურვილების გადაქცევა რაღაც სოციალურ პანაცეად — **მხოლოდ** ა უ ძ ლ უ რ ე ბ ს ამ სურვილებს, აცლის მათ სასიცოცხლო ნერვს, მათი არსებითობისა და განხორციელების გარანტიას. ნაროდნიკი ცდილობს თვითეული მეპატრონის, შემყიდველის, ვაჭრის საარსებო საკითხები (კრედიტი, კავშირები, ტექნიკური დახმარება) დასვას როგორც ისეთი ზოგადი საკითხები, რომელნიც ცალკეულ ინტერესებზე მაღლა დგანან. ნაროდნიკს ჰგონია, რომ ამით იგი მათს მნიშვნელობას აძლიერებს, აღამაღლებს მათ, — ნამდვილად კი ამით იგი ცოცხალ საქმეს, რომლითაც დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ უ ლ ი არიან მოსახლეობის ესა თუ ის ჯგუფები, ფილისტერულ სურვილად, კაბინეტურ სიბრძნედ, «სარგებლობათა შესახებ» ბიუროკრატიულ «მსჯელობად» აქცევს. ამასთან უშუალოდ დაკავშირებულია მესამე გარემოებაც. არ ესმის რა, რომ ისეთი პრაქ-

ტიკული ღონისძიებანი, როგორიცაა კრედიტი და არტელი, ტექნიკური ხელსაწყოები და სხვ., განვითარების გზაზე შემდგარი კაპიტალიზმის მოთხოვნილებებს გამოხატავენ, ნაროდნიკს უნარი არ შესწევს ასეთი განვითარების საერთო და ძირითადი მოთხოვნილებანი გამოხატოს, სცვლის რა მათ წვრილმანი, შემთხვევით ხელში მოხვედრილი, ნახევრადი ღონისძიებებით, რომელთაც, ცალკე აღებულთ, არ შეუძლიათ რაიმე სერიოზული ზემოქმედება მოახდინონ და გარდუვალი მარცხისათვის არიან განწირულნი. ნაროდნიკი რომ აშკარად და თანმიმდევრად დამდგარიყო კაპიტალისტური გზით საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებათა გამომხატველის თვალსაზრისზე, იგი შესძლებდა დაენახა ამ განვითარების ს ა ე რ თ ო პ ი რ ო ბ ე ბ ი, ს ა ე რ თ ო მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი, იგი დაინახავდა, რომ ყველა მისი პატარა პროექტი და ღონისძიება ამ საერთო პირობების არსებობის დროს (ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში მათ შორის უმთავრესია მრეწველობის თავისუფლება) თავისთავად განხორციელდებოდა, ე. ი. განხორციელდებოდა თვით დაინტერესებულ პირთა საქმიანობით, მაშინ როდესაც ამ საერთო პირობების უგულებელყოფას და სრულიად კერძო ხასიათის მარტო პრაქტიკულ ღონისძიებათა წამოყენებას არ შეიძლება წყლის ნაყვა არ მოჰყვეს. მაგალითისთვის შევჩერდეთ მრეწველობის თავისუფლების ამ საკითხზე. ერთი მხრივ, სამრეწველო პოლიტიკის საკითხთა შორის ეს ისეთი საერთო და ძირითადი საკითხია, რომ მისი განხილვა განსაკუთრებით საჭიროა. მეორე მხრივ, პერმის მხარის საყოფაცხოვრებო თავისებურებანი ამ საკითხის კარდინალური მნიშვნელობის საინტერესო დადასტურებას იძლევიან.

როგორც ცნობილია, ამ მხარის ეკონომიური ცხოვრების მთავარი მოვლენაა სამთამადნო მრეწველობა, რომელმაც მას სავსებით განსაკუთრებული დაღი დაასვა. ურალის სამთამადნო მრეწველობის მდგომარეობასა და ინტერესებთან დაკავშირებულია ამ მხარის კოლონიზაციის ისტორიაც და ახლანდელი მდგომარეობაც. «გლეხები საზოგადოდ ურალში დაასახლეს

ქარხნების მეპატრონეთათვის მუშაობის მიზნითო», — ვკითხულობთ ნოვო-სერგინოს ქარხნის მოსახლე ბაბუშკინის წერილში, რომელიც მოთავსებულია «შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის შრომებში» *. და ეს უბრალო სიტყვები ძალიან სწორად გამოხატავენ ქარხნების მფლობელთა უდიდეს როლს ამ მხარის ცხოვრებაში, მათს მნიშვნელობას, როგორც მემამულეებისა და მექარხნეებისას ერთსა და იმავე დროს, მათს ჩვევას განუყოფელი და განუსაზღვრელი ბატონობისადმი, იმ მონოპოლისტთა მდგომარეობისადმი, რომელნიც თავის მრეწველობას ამყარებენ თავის, როგორც მფლობელის, უფლებაზე და არა კაპიტალსა და კონკურენციაზე. ურალის სამთამადნო მრეწველობის მონოპოლიური საწყისები კანონში გამოხატულია კანონთა კრებ. VII ტომის (სამთამადნო წესდება) ცნობილი 394-ე მუხლით, რომლის შესახებაც ასე ბევრი თქმულა და ახლაც ლაპარაკობენ ლიტერატურაში ურალის შესახებ. ეს კანონი, 1806 წელს გამოცემული, ჯერ-ერთი, მოითხოვს სამთამადნო ხელისუფალთა ნებართვას სამთამადნო ქალაქების მიერ ყოველგვარ ფაბრიკათა გახსნისათვის და, მეორე, საქარხნო ოლქებში კრძალავს «ყველა იმ მანუფაქტურისა და ფაბრიკის გახსნას, რომელთა მთელი წარმოება უმთავრესად დამყარებულია ცეცხლის მოქმედებაზე, რომელსაც ნახშირი და შეშა სჭირდება». 1861 წელს ურალის სამთამადნო მექარხნეები განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ასეთი კანონი გლეხთა განთავისუფლების პირობებში შეეტანათ, და დებულების მე-11 მუხლი სამთამადნო ხელოსნების შესახებ იმეორებს ამგვარსავე აკრძალვას **. შინასამრეწველო ბანკის გამ-

* ნაკვ. XVI, გვ. 594 — 595. ციტირებულია წიგნში «შინამრეწვ.», I, 140.

** იხ. «შინამრეწვ.», I, 18 — 19. «ნარკვევი, 222, 223, 244. — «ანგარიშები და გამოკვლევა შინამრეწვ. შესახებ», გამოც. სახ. ქონ. და მიწათქოქ. სამინისტროსი, ეგუნოვის სტატია III ტომში. ათავსებს რა ეგუნოვის სტატიას, სამ-სტრო შენიშვნაში აღნიშნავს, რომ ავტორის შეხედულებანი «არსებითად განსხვავდებიან სამთამადნო უწყების შეხედულებათა და მონაცემთაგანაო» — კრასნოუფიმსკის მაზრაში, მაგალ., ზემომოყვა-

გეობის 1895 წლის ანგარიშში სხვათა შორის ნათქვამია: «მაგრამ ყველაზე ხშირად შემოდის საჩივარი სამთამადნო უწყების მოხელეთა და საპოსესიო ქარხნების მფლობელთა მიერ მათს ვამგებლობაში მყოფ რაიონთა ფარგლებში ცეცხლმოქმედ საწარმოთა გ ა ხ ს ნ ი ს აკრძალვაზე. და ლითონის დამმუშავებელ სარეწთა წარმოებაში ყოველგვარ შეეწროებაზეო» («ნარკვევი», გვ. 223). ამრიგად, ურალში დღემდე შენარჩუნებულია «დალოცვილი ძველი დროის» ურყევი ტრადიციები; წვრილი გლეხური მრეწველობისადმი დამოკიდებულება აქ სრულ ჰარმონიაშია «შრომის იმ ორგანიზაციასთან», რომელიც ქარხნებს უზრუნველჰყოფდა ადგილზე მიჯაჭვული საქარხნო მუშათა მოსახლეობით. ეს ტრადიციები სრული მკაფიობით დახასიათებულია «პერმის საგუბერნიო უწყებების» 1896 წლის № 183-ში მოთავსებულ შემდეგ ცნობაში, რომელიც მოყვანილია «ნარკვევში» და რომლისთვისაც სამართლიანად უწოდებიათ «დიდმნიშვნელოვანი». აი ეს ცნობა: «მიწათმოქმედებისა და სახელმწ. ქონებ. სამინისტრომ წინადადება მისცა ურალის სამთამადნო მრეწველებს განეხილათ საკითხი ურალში შინასამრეწველო სარეწთა განვითარებისათვის სამთამადნო ქარხნების მიერ ღონისძიებათა მიღების შესაძლებლობის შესახებ. სამთამადნო მრეწველებმა აცნობეს სამ-სტროს, რომ ურალში შინამრეწველობის განვითარება მსხვილი მრეწველობისთვის საზიანო იქნება, ვინაიდან ახლაც კი, ურალში შინასამრეწველო სარეწთა სუსტად განვითარების დროს, იქაური მოსახლეობა ვერ აწვდის ქარხნებს მუშათა საჭირო რიცხვ-

ნილი კანონების საფუძველზე, დახურულ იქნა 400-მდე სამჭედლო. — შეად. «შინამრეწველობის გამომკვლევი კომისიის შრომები», ნაკ. XVI, ვ. დ. ბელოვის სტატია: «ურალის შინამრეწველობა სამთამადნო საქმესთან დაკავშირებით». ავტორი მოგვითხრობს, რომ შინამრეწველთ ეშინიათ სასტიკი კანონებისა და თავიანთ მანქანებს მალავენო. ერთმა შინამრეწველმა ნაკეთობათა ჩამოსასხმელად თ ვ ლ ე ბ ი ა ნ ი ღუმელი გააკეთა, რათა მისი გადამალვა უფრო ადვილი ყოფილიყო! (გვ. 18 ხსენებ. სტატ.).

საო *; ხოლო როცა მოსახლეობას შემოსავალი შინვე ექნება, ქარხნებს სამუშაოს სავსებით დაკარგვის საფრთხე დაუდგებათო» («ნარკვევი», გვ. 244). ამ ცნობამ «ნარკვევის» შემდგენელთა შემდეგი სიტყვები გამოიწვია: «რა თქმა უნდა, ყოველგვარი მრეწველობის, მ ს ხ ვ ი ლ ი ს, ს ა შ უ ა ლ ო ს ი და წ ვ რ ი ლ ი ს, პირველი, აუცილებელი პირობა — მრეწველობის თავისუფლებაა... მრეწველობის თავისუფლების გულისთვის ყ ვ ე ლ ა მ ი ს ი დ ა რ გ ი იურიდიულად თანასწორუფლებიანი უნდა იყოს... ურალის ლითონის ნაკეთობათა საშინამრეწველო სარეწები უნდა განთავისუფლდნენ ყოველგვარი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ხუნდებისაგან, საქარხნო რეგლამენტაციას რომ შეუქმნია მათი ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი განვითარების შეზღუდვის მიზნითო» (ibid. ხაზგასმა ჩვენია). «მრეწველობის თავისუფლების» დაცვის გრძნობიერი და ღრმად სამართლიანი ტირადა რომ წავიკითხეთ, გაგვახსენდა ცნობილი არაკი მეტაფიზიკოსის შესახებ, რომელიც ხაროდან ამოსვლას აყოვნებდა და კითხულობდა, რა არის ჩემთვის მოწოდებული თოკი, — «ბაწარი უბრალოო»! პერმელი ნაროდნიკებიც მრეწველობის თავისუფლების, კაპიტალიზმის განვითარების თავისუფლებისა და კონკურენციის თავისუფლების შესახებ ქედმაღლად კითხულობენ: რა არის მრეწველობის თავისუფლება — უბრალო ბურჟუაზიული მოთხოვნაო! თავის სურვილებში ისინი ბევრად მაღლა იწევენ; მათ სურთ არა კონკურენციის თავისუფლება (რა მდაბალი, ვიწრო, ბურჟუაზიული სურვილია!), არამედ «შრომის ორგანიზაცია»... მაგრამ საკმარისია ეს მანი-

* მკითხველისთვის განსამარტებლად აღვნიშნავთ, რომ ჩვენი სამთამადნო მრეწველობის სტატისტიკას უკვე მრავალჯერ დაუდასტურებია ის ფაქტი, რომ ურალში დაბანდებულ მუშათა რიცხვი მიღებულ პროდუქტთან პროპორციის მიხედვით — განუზომლად უფრო მეტია, ვიდრე სამხრეთის ანდა პოლონეთის სამთამადნო რაიონში. დაბალი ხელფასი — შედეგი მიწაზე მუშების მიჯაჭვისა — ურალს ამყოფებს ტექნიკის შეუდარებლად უფრო დაბალ დონეზე სამხრეთსა და პოლონეთთან შედარებით.

ლოვისებური ოცნებანი «პირისპირ» შეეჯახონ შეულამაზებელ და პროზულ სინამდვილეს, — და ამ სინამდვილეს უცბად ისეთი «შ რ ო მ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს» სუნი აედინება, რომ ნაროდნიკს ავიწყდება კაპიტალიზმის «მავნეობა» და «საშიშროება», «სამშობლოსათვის სხვა გზების შესაძლებლობა» და იგი «მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს» შესახებ მოუწოდებს.

ვიმეორებთ, ჩვენ ეს სურვილი ღრმად სამართლიანად მიგვაჩნია და გვგონია, რომ ასეთი თვალსაზრისი (რომელსაც იზიარებს არა მარტო «ნარკვევი», არამედ თითქმის ყველა ავტორი, ვისაც კი ამ საკითხზე უწერია) ნაროდნიკებისათვის სასახელოა. მაგრამ... რას იზამთ! ყოვლად შეუძლებელია ნაროდნიკები შეაქო უიმისოდ, რომ მყისვე უზარმაზარი «მაგრამ» არ დასვა, — მაგრამ ჩვენ ამის გამო ორი არსებითი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ.

პირველი. შეიძლება დარწმუნებული იყოთ, რომ ნაროდნიკთა უდიდესი უმრავლესობა აღშფოთებით უკუაგდებს ჩვენ მიერ «მრეწველობის თავისუფლებისა» და «კაპიტალიზმის თავისუფლების» გაიგივების მართებულობას. ისინი იტყვიან, რომ მონოპოლიათა და ბატონყმობის ნაშთების მოსპობა — ეს არის თანასწორუფლებიანობის «უბრალო» მოთხოვნა, «მთელი» სახალხო მეურნეობის ინტერესი საზოგადოდ და გლეხთა მეურნეობისა განსაკუთრებით, და სრულიადაც არა კაპიტალიზმისაო. ვიცით, რომ ნაროდნიკები ამას იტყვიან. მაგრამ ეს სწორი როდი იქნება. მას შემდეგ, რაც «მრეწველობის თავისუფლებას» ასე იდეალისტურ-აბსტრაქტულად უყურებდნენ და მასში ხედავდნენ ძირითად და ბუნებრივ (შეად. «ნარკვევში» ხაზგასმული სიტყვა) «უფლებას ადამიანისას», უკვე ასზე მეტი წელი გავიდა. «მრეწველობის თავისუფლების» მოთხოვნამ და ამ მოთხოვნის განხორციელებამ მას შემდეგ რამდენიმე ქვეყანა მოიარა, და ეს მოთხოვნა ყველგან მზარდი კაპიტალიზმისა და მონოპოლიათა და რეგლამენტაციათა ნაშთების შეუფარდებლობის გამოხატულებას წარმოადგენდა; იგი ყველგან მო-

წინავე ბურჟუაზიის ლოზუნგი იყო, ყველგან მას მხოლოდ კაპიტალიზმის სრულ გამარჯვებამდე მივყავდით. მას შემდეგ თეორიამ სავსებით განმარტა იმ ილუზიის მთელი გულუბრყვილობა, თითქოს «მრეწველობის თავისუფლება» «წმინდა გონების» მოთხოვნა იყოს, მოთხოვნა განყენებული «თანასწორუფლებიანობისა», და ცხადჰყო, რომ მრეწველობის თავისუფლების საკითხი კაპიტალისტური საკითხია. «მრეწველობის თავისუფლების» განხორციელება სრულიადაც არ არის მხოლოდ «იურიდიული» გარდაქმნა; ეს — ღრმა ეკონომიური რეფორმაა. «მრეწველობის თავისუფლების» მოთხოვნა ყოველთვის ნიშნავს შეუფარდებლობას იურიდიულ ნორმებსა (რომლებიც დრომოჭმულ წარმოებითს ურთიერთობას გამოხატავენ) და იმ ახალ წარმოებითს ურთიერთობას შორის, რომელიც განვითარდა წინააღმდეგ ძველი ნორმებისა, მათგან აღმოცენდა და მათს გაუქმებას მოითხოვს. თუ ურალის წესები ახლა უკვე „საყოველთაო ძახილს იწვევს «მრეწველობის თავისუფლების» შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ ის რეგლამენტაციები, მონოპოლიები და პრივილეგიები, რომელნიც მემკვიდრეობით იყვნენ გადმოცემულნი მემამულე-მექარხნეთა სასარგებლოდ, ზღუდავენ არსებულ საშეურნეო ურთიერთობას, არსებულ ეკონომიურ ძალებს. რანაირია ეს ურთიერთობა და ეს ძალები? ეს არის სასაქონლო მეურნეობის ურთიერთობა. ეს ძალებია — სასაქონლო მეურნეობის ხელმძღვანელი კაპიტალის ძალები. გაიხსენეთ პერმელი ნაროდნიკის თუნდაც ზემომოყვანილი «აღსარება»: «მთელი ჩვენი შინამრეწველობა კერძო კაპიტალთა ხუნდებში იმყოფებაო». მაგრამ უამაღსარებოდაც შინამრეწველობის აღწერის ცნობები თავისთავად საკმაო მჭევრმეტყველებით ღაღადებენ.

მეორე შენიშვნა. ჩვენ მივესალმებით ნაროდნიკების მიერ მრეწველობის თავისუფლების დაცვას. მაგრამ ამ მისალმების პირობად ვაყენებთ ასეთი დაცვის თანმიმდევრად გატარებას. განა «მრეწველობის თავისუფლება» მარტო ის

არის, რომ მოვსპოთ ურალში ცეცხლმოქმედ საწარმოთა გახსნის აკრძალვა? გლეხს რომ უფლება არა აქვს თემიდან გამოვიდეს, უფლება არა აქვს რომელ სარეწსაც თუ საქმესაც უნდა მოჰკიდოს ხელი, განა ეს «მრეწველობის თავისუფლების» ბევრად უფრო არსებითს შეზღუდვას არ წარმოადგენს? გადასვლა-გადმოსვლის თავისუფლების უქონლობა, კანონის მიერ შეუწყნარებლობა თვითეული მოქალაქის უფლებისა — საცხოვრებლად აირჩიოს რომელიც უნდა ქალაქისა თუ სოფლის თემი სახელმწიფოში, განა არ ზღუდავს მრეწველობის თავისუფლებას? გლეხთა თემის წოდებრივი კარჩაკეტილობა, მასში ვაჭარ-მრეწველთა კლასის წარმომადგენელთა შესვლის შეუძლებლობა განა არ ზღუდავს მრეწველობის თავისუფლებას? და სხვ. და სხვ. ჩვენ ჩამოვთვალეთ მრეწველობის თავისუფლების გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ზოგადი, უფრო გავრცელებული შეზღუდვანი, რომელთა გავლენას მთელი რუსეთი და ყველაზე მეტად გლეხთა მასა განიცდის. თუ «მსხვილი, საშუალო და წვრილი» მრეწველობა თანასწორუფლებიანი უნდა იყვნენ, განა უკანასკნელმა მიწის გასხვისების მხრივ ისეთივე უფლებანი არ უნდა მოიპოვოს, როგორითაც პირველნი სარგებლობენ? თუ ურალის სამთამადნო კანონები «განსაკუთრებული ხუნდებია, რომელნიც ზღუდავენ ბუნებრივ განვითარებას», განა ურთიერთი თავდებობა, ნადელების გაუსხვისებლობა, განსაკუთრებული წოდებრივი კანონები და წესები გადასახლებათა, გადარიცხვათა, სარეწთა და ხელობათა შესახებ — «განსაკუთრებული ხუნდები» არ არის? განა ისინი არ «ზღუდავენ ბუნებრივ განვითარებას»?

აი საქმეც სწორედ ისაა, რომ ნაროდნიკობამ ამ საკითხშიც იგივე ნახევრადობა და ორპირობა გამოიჩინა, რაც ასე დამახასიათებელია Kleinbürger-ობის * ყოველგვარი იდეოლოგიისათვის. ნაროდნიკები, ერთი მხრივ, არ უარჰყოფენ, რომ ჩვენს ცხოვრებაში დარჩენილია მრავალი ნაშთი «შრომის ისეთი ორგანიზაციისა», რომლის წარმოშობა საუფლისწულოების ხა-

* — წვრილბურჟუაზიულობის. რ ე დ.

ნას ეკუთვნის და რომელიც უაღრესად აშკარა წინააღმდეგობაში იმყოფება თანამედროვე ეკონომიურ წყობილებასთან, ქვეყნის მთელ სამეურნეო და კულტურულ განვითარებასთან. მეორე მხრივ, ნაროდნიკებს არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ ეს ეკონომიური წყობილება და ეს განვითარება წვრილ მწარმოებელს დაღუპვას უქადის; და, შეშფოთებულნი თავიანთ «იდეალთა» ამ პალადიუმის ბედის გამო, ნაროდნიკები ცდილობენ შეაფერხონ ისტორია, შეაჩერონ განვითარება, ითხოვენ და იმუდარებიან «აკრძალონ», «ნება არ მისცენ» და ამ საცოდავ რეაქციულ ტიტინს ჰფარავენ ფრაზებით «შრომის ორგანიზაციის» შესახებ, — ფრაზებით, რომელნიც არ შეიძლება მწარე დაცინვად არ გაისმოდეს.

მკითხველისათვის, რა თქმა უნდა, ახლა უკვე ცხადია, თუ რა უმთავრესსა და ძირითადს საბუთს მოვიყვანთ თანამედროვე მრეწველობის საკითხებში ნაროდნიკების პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი პროგრამის წინააღმდეგ. რამდენადაც ნაროდნიკული ღონისძიებები შედის როგორც ნაწილი ან ემთხვევა იმ გარდაქმნას, რომელსაც ადამ სმიტის დროიდან მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) უწოდებენ, იმდენად ეს ღონისძიებები პროგრესულია. მაგრამ, ჯერ-ერთი, მათში მაშინ არაფერია «ნაროდნიკული», არაფერია ისეთი, რაც სპეციალურად წვრილ წარმოებასა და სამშობლოს «განსაკუთრებულ გზებს» ხელს უწყობდეს. მეორე, ნაროდნიკული პროგრამის ეს დადებითი ნაწილი უძლურდება და მახინჯდება მრეწველობის თავისუფლების ზოგადი და ძირითადი საკითხის მაგივრად კერძო და წვრილმანი პროექტებისა და ღონისძიებათა წამოყენებით. ხოლო რამდენადაც ნაროდნიკების სურვილები ეწინააღმდეგებიან მრეწველობის თავისუფლებას, ცდილობენ რა შეაფერხონ თანამედროვე განვითარება, იმდენად ეს სურვილები რეაქციული და უაზრო, და მათი განხორციელება, ზიანის მეტს, სხვას ვერაფერს მოგვიტანს. ავიღოთ მაგალითები. კრედიტი. კრედიტი — დიდად განვითარებული სასაქონლო მიმოქცევის, დიდად განვი-

თარებული სამოქალაქო ბრუნვის დაწესებულებაა. «მრეწველობის თავისუფლების» განხორციელება აუცილებლად იწვევს საკრედიტო დაწესებულებათა, როგორც საკომერციო საქმის, შექმნას, გლეხთა წოდებრივი კარჩაკეტილობის მოსპობას, მათს დაახლოებას იმ კლასებთან, რომელნიც ყველაზე მეტად სარგებლობენ კრედიტით; იგი იწვევს დაინტერესებულ პირთა მიერ საკრედიტო საზოგადოებათა დამოუკიდებლად შექმნას და სხვ. პირიქით, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ საკრედიტო ღონისძიებებს, რომელთაც ერობელები და დანარჩენი «ინტელიგენცია» სთავაზობენ «გლეხკაცებს», ვიდრე კანონები და დაწესებულებანი გლეხობას ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, რომელიც გამორიცხავს მართებულსა და განვითარებულ სასაქონლო ბრუნვას, — ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, როდესაც ქონებრივი პასუხისმგებლობის მაგივრად (კრედიტის საფუძველი) ბევრად უფრო ადვილია, განსახორციელებელია, ხელმისაწვდომია და უფრო ხშირად იხმარება... მუშაობით ანაზღაურება! ასეთ პირობებში საკრედიტო ღონისძიებანი ყოველთვის იმ მონატან, უცხო მცენარეებად დარჩებიან, რომელნიც გარედან დარგულია სრულიად შეუფერებელ ნიადაგზე, დარჩებიან მკვდრადნაშობ პირმშოდ, რომლის წარმოშობა შეეძლოთ მხოლოდ მეოცნებე ინტელიგენტ-მანილოვებსა და კეთილმოსურნე მოხელეებს, და რომელსაც დასცინიან და დასცინებენ ფულადი კაპიტალით ნამდვილი მოვაჭრენი. რათა ლიტონსიტყვაობა არავინ დაგვწამოს, მოვიყვანოთ აზრი ეგუნოვისა (ციტირ. სტატია), რომელსაც ვერავინ დასწამებს... «მატერიალიზმს». შინასამრეწველო საწყობების შესახებ ის ამბობს: «ფრიად ხელსაყრელ გარემოებაშიც კი უძრავი საწყობი, და ისიც მთელი მაზრისთვის ერთადერთი, ვერასოდეს ვერ გასწევს, და არც შეუძლია გასწიოს, მარად მოძრავი და პირადად დაინტერესებული ვაჭრის მაგიერობას». პერმის შინასამრეწველო ბანკის შესახებ ეკითხულობთ: სესხის მისაღებად შინამრეწველმა განცხადება უნდა

მისცეს ან ბანკს, ან მის აგენტს და დაასახელოს თავდებნი. აგენტი მიდის, ამოწმებს შინამრეწველის განცხადებას, აგროვებს დაწვრილებითს ცნობებს წარმოების შესახებ და სხვ. «და ქაღალდის მთელ ამ გროვას შინამრეწველის ხარჯზე ბანკის გამგეობას უგზავნის». გადასწყვეტს რა სესხის მიცემას, ბანკი უგზავნის (აგენტის ან სათემო სამმართველოს საშუალებით) სავალო ვალდებულებას. როდესაც მას მოვალე ხელს მოაწერს (ხელმოწერას თემის უფროსი ამოწმებს) და გაგზავნის ბანკში, — მხოლოდ ამის შემდეგ ეგზავნება მას ფული. თუ სესხს არტელი იღებს, საჭიროა საამხანაგო ხელშეკრულების ასლის წარდგენა. აგენტებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ სესხი სწორედ იმაზე იხარჯებოდეს, რისთვისაც იგი გაცემულია, რომ კლიენტთა საქმე არ ჩაიშალოს და სხვ. «ცხადია, ბანკის კრედიტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შინამრეწველთათვის ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ა დ მივიჩნიოთ; დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შინამრეწველი ბევრად უფრო მეტი ხალისით ამჯობინებს კრედიტი ადგილობრივ მდიდართან ეძიოს, ვიდრე ყველა ზემოხსენებული წამება განიცადოს, გადაიხადოს საფოსტო, სანოტარო და სათემო ხარჯები, სესხის საჭიროების წარმოშობის დღიდან მთელი თვეობით ელოდოს სესხის მიღების დღეს და ამ სესხის მთელი ვადის განმავლობაში ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდეს» (გვ. 170 ხსენებ. სტატ.). რამდენადაც შეუსაბამოა ნაროდნიკების აზრი რაღაც ანტიკაპიტალისტური კრედიტის შესახებ, იმდენადვე შეუსაბამოა, უხეში და ნაკლებად ნაყოფიერია მსგავსი განზრახვანი (უვარგისი საშუალებებით) — «ინტელიგენტთა» და მოხელეთა ძალებით გააკეთონ ის, რაც ყველგან და ყოველთვის ვაჭართა ნამდვილ საქმეს შეადგენს. — ტექნიკური განათლება. მგონი, ამაზე უკვე შეიძლება აღარც ვილაპარაკოთ... მხოლოდ გავიხსენოთ «მარად სახსენებელი» პროექტი ჩვენებური ცნობილი პროგრესული მწერლის ბ-ნ იუჟაკოვისა — რუსეთში სამიწათმოქმედო გიმნაზიების დანერგვის შესახებ იმ ანგარიშით, რომ უქონელი გლეხები და გლეხი-ქალები თავიანთი სწავლის

ფულს მ უ შ ა ო ბ ი თ გ ა დ ა ი ხ დ ი ა ნ, იმსახურებენ, მაგალითად, მზარეულებად და მრეცხავებად... * არტელები. მაგრამ ვინ არ იცის, რომ მათ გავრცელებას ძირითადად აბრკოლებს სწორედ იმავე «შრომის ორგანიზაციის» ტრადიციები, რამაც გამოხატულება ჰპოვა ურალის სამთამადნო კანონებშიც? ვინ არ იცის, რომ მრეწველობის თავისუფლების მთელი მოცულობით განხორციელებას — ყველგან მოჰყვა ყოველგვარი კავშირებისა და გაერთიანებათა უმაგალითო აყვავება და განვითარება? ფრიად სასაცილოა ხოლმე იმის ყურება, როდესაც ნაროდნიკი ცდილობს თავისი მოწინააღმდეგე საზოგადოდ არტელობის, შეკავშირებისა და სხვათა მტრად დაგვისახოს. აი ჭეშმარიტად ესაა — «ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო». საქმე მხოლოდ ის არის, რომ შეკავშირების იდეათა და მის განხორციელების საშუალებათა საძებნელად საჭიროა ვიცქირებოდეთ არა უკან, არა წარსულისაკენ, არა პატრიარქალური ხელოსნობისა და წვრილი წარმოებისაკენ, რომელნიც მწარმოებელთა უკიდურეს განკერძოებულობას, დაქსაქსულობასა და გაველურებას წარმოშობენ, — არამედ წინ, მომავლისაკენ, მსხვილი სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისაკენ.

ჩვენ მშვენივრად ვიცით, თუ რა მედიდური ქედმაღლობით მოეპყრობა ნაროდნიკი მისი საკუთარი პროგრამისადმი დაპირდაპირებულს სამრეწველო პოლიტიკის ამ პროგრამას. «მრეწველობის თავისუფლება»! რა ძველებური, ვიწრო, მანჩესტერული **, ბურჟუაზიული სურვილია[94]! ნაროდნიკი დარ-

* იხ. შემდეგი სტატია.

** შეიძლება, ისეთი ადამიანებიც აღმოჩნდნენ, რომელნიც იფიქრებენ, რომ «მრეწველობის თავისუფლება» გამორიცხავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა საფაბრიკო კანონები და სხვ. «მრეწველობის თავისუფლებად» იგულისხმება ძ ვ ე ლ ი დ რ ო ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა რ ჩ ე ნ ი ლ იმ დაბრკოლებათა მოსპობა, რომელნიც კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებენ. საფაბრიკო კანონმდებლობა კი, როგორც სხვა ღონისძიებებიც თანამედროვე ეგრეთწოდებული Socialpolitik-ისა (სოციალური პოლიტიკისა. რ ე დ.), გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ ს კაპიტალიზმის ღრმა განვითარებას და, თავის მხრივ, წ ი ნ ს წ ე ვ ს ამ განვითარებას.

წმენებულია, რომ მისთვის ეს არის **Überwundener Standpunkt** *, რომ მან შესძლო ყველა იმ გარდამავალ და ცალმხრივ ინტერესებზე მაღლა დამდგარიყო, რომელნიც ასეთ სერვილს საფუძვლად უდიეთ, რომ მან შესძლო აბაღლებულიყო „ორგანიზაციის“ უფრო ღრმა და უფრო ფართო იდეებამდე... ნამდვილად კი იგი ჩ ა მ ო ბ ე ნ ი თ ე ბ ლ ა პროგრესული ბურჟუაზიული იდეოლოგიიდან რეაქციულ ფეოდალბურჟუაზიულ იდეოლოგიამდე, რომელიც უმწეოდ ბანაობს თანამედროვე ეკონომიური განვითარების დაჩქარების და მისი შეფერხების მისწრაფებებს შორის, ფეოდალ მეპატრონეთა ინტერესებსა და ბრძოლის ინტერესებს შორის. ეს უკანკნელნი ამ საკითხში ემთხვევიან მსხვილი საბრუნველი კაპიტალის ინტერესებს.

---

* — დაძლეული თვალსაზრისი. ს ვ

სახლი სოფელ შუშენსკოეში, სადაც გადასახლების დროს ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი.
ორი უკანასკნელი ფანჯარა მარცხნივ — ლენინის ოთახის ფანჯრებია.

ნაროდნიკული პროექტეროების მარგალიტები

(ს. ნ. იუჟაკოვი. განათლების საკითხები. პუბლიცისტური ცდები. — საშუალო სკოლის რეფორმა. — უმაღლესი განათლების სისტემები და ამოცანები. — გიმნაზიის სახელმძღვანელოები. — საყოველთაო-სახალხო სწავლების საკითხი. — ქალი და განათლება. სპბ. 1897. გვ. VIII + 283... ფასი 1 მან. 50 კაპ.)[95]

დაწერილია გადასახლებაში
1897 წ. დამლევს.

პირველად დაიბეჭდა 1898 წ. კრებულში:
ვლადიმირ ილინი — «ეკონომიური
ეტიუდები და სტატიები»

იბეჭდება კრებულის
ტექსტის მიხედვით

I

ასეთი სათაურით ბ-ნმა იუჟაკოვმა გამოუშვა კრებული თავისი სტატიებისა, რომლებიც 1895 — 1897 წლებში «რუსსკოე ბოგატსტვოში» იბეჭდებოდა. ავტორი ფიქრობს, რომ მისმა სტატიებმა «მოიცვეს უმთავრესნი ამ საკითხებიდან», ე. ი. «განათლების საკითხებიდან», და «ყველა ერთად წარმოადგენს ჩვენი გონებრივი კულტურის ყველაზე მეტად მომწიფებულ და საჭირბოროტო, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ ნაკლებად დაკმაყოფილებულ მოთხოვნილებათა რაღაც მიმოხილვის მსგავსს». (წინასიტყვაობა, გვ. V.) მე-5 გვერდზე ერთხელ კიდევ ხაზგასმულია, რომ ავტორი ფიქრობს შეჩერდეს «უმთავრესად პრინციპის საკითხებზე». მაგრამ ყველა ეს ფრაზა მხოლოდ ცხადჰყოფს, რომ ბ-ნ იუჟაკოვს უყვარს ფართო გაქანება აზროვნებისა, ისიც აზროვნებისა კი არა, კალმისა. წიგნის სათაურიც მეტისმეტად ფართოა: ნამდვილად, — როგორც ეს თხზულების ქვესათაურში მოთავსებულ სტატიათა სიიდანაც სჩანს, — ავტორი ეხება სრულიადაც არა «განათლების საკითხებს», არამედ მხოლოდ სკოლის საკითხებს, ისიც მხოლოდ საშუალო და უმაღლესი სკოლისას. წიგნის ყველა სტატიიდან ყველაზე საქმიანია სტატია ჩვენს გიმნაზიებში გიმნაზიის სახელმძღვანელოთა შესახებ. ავტორი აქ დაწვრილებით განიხილავს რუსული ენის, გეოგრაფიისა და ისტორიის გავრცელებულ სახელმძღვანელოებს და ცხადჰყოფს მათს სრულს უვარგისობას. ეს სტატია უფრო მეტი ინტერესით წაიკითხებოდა, იგიც რომ არ ღლიდეს კაცს ავტორის დამახასიათებელი მრავალსიტყვაობით. ჩვენ ვფიქრობთ მკითხველის ყურადღება

შევაჩეროთ წიგნის მხოლოდ ორ სტატიაზე, სახელდობრ სტატიაზე საშუალო განათლების რეფორმისა და საყოველთაო-სახალხო სწავლების შესახებ, ვინაიდან ეს სტატიები მართლაც პრინციპულ საკითხებს ეხებიან და «რუსსკოე ბოგატსტვოს» სანუკვარ იდეათა ნათელსაყოფად განსაკუთრებით დამახასიათებელნი არიან. ეს ხომ ბატონ გრინევიჩებსა და მიხაილოვსკებს სჭირდებათ — იმისათვის, რათა მტრული დოქტრინის საშინლად სულელურ დასკვნათა მაგალითები გამონახონ, — რუსული ლექსების მაკულატურის ნაგავი ჰქექონ. სათანადო მიზნისათვის ჩვენ ესოდენ უსიამო ქექვა როდი გვჭირდება: ჩვენთვის საკმარისია მივმართოთ ჟურნალ «რუს. ბოგატსტვოს» და მის ერთ-ერთ ეჭვმიუტანელ «ბურჯთაგანს».

II

II პარაგრაფი სტატიისა «საშუალო განათლების რეფორმის საფუძვლების» შესახებ ბ-ნ იუჟაკოვს ასე აქვს დასათაურებული: «საშუალო სკოლის ამოცანები. კლასობრივი ინტერესები და კლასობრივი სკოლა» (იხ. სარჩევი). თემა, როგორც ხედავთ, წარმტაც ინტერესს წარმოადგენს, გვპირდება რა განგვიმარტოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი არა მარტო განათლებისა, არამედ საზოგადოდ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, და მასთან სწორედ ის საკითხი, რომელიც ნაროდნიკებსა და «მოწაფეთა» შორის ერთ-ერთ უმთავრეს უთანხმოებას იწვევს[96]. ვნახოთ ერთი, რა წარმოდგენა აქვს «რუსსკოე ბოგატსტვოს» თანამშრომელს «კლასობრივ ინტერესებსა და კლასობრივ სკოლაზე».

ავტორი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ ფორმულა: «სკოლამ ადამიანი ცხოვრებისათვის უნდა მოამზადოსო» სრულიად უშინაარსოა, რომ საკითხი ის არის, თუ ცხოვრებისათვის. რაა საჭირო და «ვის ესაჭიროებაო» (6). «ვის ესაჭიროება საშუალო განათლება — ეს ნიშნავს: ვის ინტერესს შეადგენს, ვისი სიკეთისა და სარგებლობისათვის ეძლევათ განათლება საშუალო სკოლის მოწაფეებს?» (7). საკითხის მშვე-

ნიერი დაყენებაა, და ჩვენც გულითადად მივესალმებოდით ავტორს, რომ... რომ მთელი ეს პრელუდიები შემდგომ გადმოცემაში ცარიელ ფრაზებად არ იქცეოდეს: «ეს შეიძლება იყოს სახელმწიფოს, ერის, ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასის, თვით გასანათლებელი ინდივიდის სიკეთისა და სარგებლობის ინტერესები». იწყება დომხალი: იძულებული ვხდებით დავასკვნათ, რომ კლასებად დაყოფილი საზოგადოება შეიძლება შეეთავსოს უკლასო სახელმწიფოს, უკლასო ერს, კლასთა გარეშე მდგომ ინდივიდებს! ახლავე დავინახავთ, რომ ბ-ნ იუჟაკოვს ეს სრულიადაც არ წამოსცდენია, რომ იგი სწორედ ასეთ აბსურდულ აზრს ადგას. «სასკოლო პროგრამის შემუშავების დროს თუ მხედველობაში აქვთ კლასობრივი ინტერესები, მაშასადამე, ლაპარაკიც არ შეიძლება სახელმწიფო საშუალო სკოლის ერთ ზოგად ტიპზე. ასეთ შემთხვევაში სასწავლებლები აუცილებლად წოდებრივნი არიან და მასთან არა მარტო საგანმანათლებლონი, არამედ აღმზრდელობითნიც, ვინაიდან მათ უნდა მისცენ არა მარტო წოდების სპეციალურ ინტერესებსა და ამოცანებთან შეგუებული განათლება, არამედ წოდებრივი ჩვევებიც და წოდებრივი კორპორაციული სულისკვეთებაც» (7). ამ ტირადის პირველი დასკვნა ისაა, რომ ბ-ნ იუჟაკოვს არ გაეგება განსხვავება წოდებათა და კლასთა შორის და ამიტომ უღმერთოდ ურევს ერთმანეთში ამ სრულიად სხვადასხვაგვარ ცნებებს. მისი სტატიის სხვა ადგილებში (იხ. მაგალითად, გვ. 8) ასეთივე გაუგებლობა აშკარავდება, და ეს მით უფრო საკვირველია, რომ ამავე სტატიაში ბ-ნი იუჟაკოვი თითქმის პირისპირ მიადგა ამ ცნებათა არსებითს განსხვავებას. «უნდა გვახსოვდესო, — მოგვითხრობს ბ-ნი იუჟაკოვი მე-11 გვ., — რომ ხშირად (მაგრამ სრულიადაც არა აუცილებლად) პოლიტიკური, ეკონომიური და სულიერი ორგანიზაციები შეადგენენ მოსახლეობის ცალკე ჯგუფთა ხან იურიდიულ პრივილეგიას, ხან კი ფაქტიურ კუთვნილებას. პირველ შემთხვევაში ეს არის წოდებანი; მეორეში — კლასები». აქ სწორადაა აღნიშნული ე რ თ-ე რ თ ი განსხვავება კლასსა და წოდებას

შორის, სახელდობრ ის, რომ კლასები ერთმანეთისაგან განირჩევიან არა იურიდიული პრივილეგიებით, არამედ ფაქტიური პირობებით, რომ, მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოების კლასები ი უ რ ი დ ი უ ლ თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა ს გულისხმობენ. ბ-ნი იუჟაკოვი თითქოს არ უგულებელჰყოფს წოდებათა და კლასთა შორის არსებულ სხვა განსხვავებასაც: «...ჩვენ... მაშინ (ე. ი. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ) ხელი ავიღეთ... ნაციონალური ცხოვრების ბატონყმურ და წოდებრივ წყობილებაზე, მათ შორის წოდებრივი კარჩაკეტილი სკოლის სისტემაზეც. ამჟამად კაპიტალისტური პროცესის გადმონერგვა რუს ერს ანაწილებს არა იმდენად წოდებებად, რამდენადაც ეკონომიურ კლასებად...» (8). აქ სწორად არის აღნიშნული მეორე ნიშანიც, რომელიც ევროპისა და რუსეთის ისტორიაში წოდებებს კლასებისაგან განასხვავებს, სახელდობრ ის, რომ წოდებები — ბატონყმური, ხოლო კლასები — კაპიტალისტური საზოგადოების კუთვნილებაა *. ბ-ნი იუჟაკოვი თუნდ ოდნავ რომ ჩაჰკვირვებოდა ამ განსხვავებებს და ასე ზერელედ არ აჰყოლოდა თავის მოქნილ კალამსა და თავის **Kleinbürger**-ულ ** გულისთქმას, იგი ვერც ზემომოყვანილ ტირადას დასწერდა, ვერც იმის მსგავს სხვა აბდაუბდას, რომ სკოლების კლასობრივმა პროგრამებმა უნდა დაანაწილონ პროგრამები ღარიბთა და მდიდართათვის, რომ დასავლეთ ევროპაში კლასობრივ პროგრამებს წარმატება არა აქვთ, რომ კლასობრივი სკოლა კლასობრივ კარჩაკეტილობას გულისხმობსო და სხვ. და სხვ. ყველაფერი ეს ცხადზე უცხადესად ააშკარავებს, რომ, მიუხედავად მრავლისმეტყველი სათაურისა, მიუხედავად მაღალფარდოვანი ფრაზებისა, ბ-ნ იუჟაკოვს სრულიად ვერ გაუგია, თუ რაშია კლასობრივი სკოლის დედაარსი. ეს დედაარსი, ფრიად

* წოდებები გულისხმობენ საზოგადოების კლასებად დაყოფას, რადგან წოდება კლასობრივ განსხვავებათა ერთი ფორმათაგანია. როდესაც უბრალოდ კლასებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ კაპიტალისტური საზოგადოების უწოდებრიო კლასებს.

** — წვრილბურჟუაზიულ. რ ე დ.

პატივცემულო ბ-ნო ნაროდნიკო, იმაში მდგომარეობს, რომ განათლება თანაბრად მოწყობილია და თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა შ ე ძ ლ ე ბ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს. მხოლოდ ამ უკანასკნელ სიტყვაშია მოცემული კლასობრივი სკოლის დედაარსი წოდებრივი სკოლისაგან განსხვავებით. ამიტომ ბ-ნმა იუჟაკოვმა მტკნარი სისულელე სთქვა ზემომოყვანილ ტირადაში, თითქოს სკოლის კლასობრივი ინტერესების დროს «ლაპარაკიც კი შეუძლებელია სახელმწიფო საშუალო სკოლის ერთ ზოგად ტიპზე». სწორედ რომ პირიქით: კლასობრივი სკოლა, — თუ იგი თანმიმდევრად არის გატარებული, ე. ი. თუ იგი განთავისუფლებულია წოდებრიობის ყველა და ყოველგვარი ნაშთისაგან, — აუცილებლად გულისხმობს სკოლის ერთ ზოგად ტიპს. კლასობრივი საზოგადოების (და, მაშასადამე, კლასობრივი განათლებისაც) დედაარსს შეადგენს სრული იურიდიული თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა, ყველა მოქალაქის სრული თანასწორუფლებიანობა, მქონებელთათვის განათლების სრული თანასწორობა და ხელმისაწვდომობა. წოდებრივი სკოლა მოწაფისაგან მოითხოვს, რომ ის განსაზღვრულ წოდებას ეკუთვნოდეს. კლასობრივი სკოლა წოდებებს არ იცნობს, ის მხოლოდ მოქალაქეებს იცნობს. იგი ყველა და ყოველგვარი მოწაფისაგან მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ს რ ა ს მ ე მოითხოვს: რომ მან სწავლის ფული გადაიხადოს. პროგრამების სხვადასხვაობა მდიდართა და ღარიბთათვის კლასობრივ სკოლას სრულიადაც არ ესაჭიროება, ვინაიდან იმათ, ვისაც სწავლის ფულის გადახდისათვის, სახელმძღვანელოების შესაძენი ხარჯებისათვის, მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში მოწაფის შენახვისათვის საშუალებანი არ მოეპოვება, — იმათ კლასობრივი სკოლა არც მიუშვებს საშუალო განათლებამდე. კლასობრივი სკოლა კლასობრივ კარჩაკეტილობას სრულიადაც არ გულისხმობს: პირიქით, წინააღმდეგ წოდებებისა, კლასები ყოველთვის სრულიად თავისუფალს ხდიან ცალკეულ პიროვნებათა ერთი კლასიდან მეორეში გადასვლას. კლასობრივი სკოლა კარს არ უხშობს არავის, ვისაც კი სწავლისათვის საშუალებები

აქვს. იმის თქმა, რომ დასავლეთ ევროპაში «ნახევარგანათლებისა და ხალხის სხვადასხვა ფენის კლასობრივი მორალურ-ინტელექტუალური განკერძოების ამ საშიშარ პროგრამებს წარმატება არა აქვსო» (9), — ეს სინამდვილის სრული დამახინჯებაა, ვინაიდან ყველამ იცის, რომ დასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც საშუალო სკოლა, არსებითად, — კლასობრივია და იგი ემსახურება მოსახლეობის მხოლოდ ფრიად და ფრიად მცირე ნაწილს. ცნებათა იმ წარმოუდგენელი აღრევის გამო, რასაც ბ-ნი იუჟაკოვი იჩენს, ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია მისთვის ერთი დამატებითი განმარტება კიდევ მოვიყვანოთ: თანამედროვე საზოგადოებაში ის საშუალო სკოლაც, რომელიც სწავლის ფულს სულ არ იღებს, ამით სრულიადაც არ ჰკარგავს თავის კლასობრიობას, რადგან მოწაფის შესანახი ხარჯები 7 — 8 წლის განმავლობაში განუზომლად უფრო მეტია, ვიდრე სწავლის ფული; ხოლო ამ ხარჯების გაწევა შეუძლია მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას. ბ-ნ იუჟაკოვს თუ სურს საშუალო სკოლის თანამედროვე რეფორმატორების პრაქტიკული მრჩეველი იყოს, თუ მას სურს საკითხი თანამედროვე სინამდვილის ნიადაგზე დააყენოს (იგი კი მას სწორედ ასე აყენებს), — მან უნდა ილაპარაკოს მხოლოდ იმაზე, რომ წოდებრივი სკოლა კლასობრივი სკოლით შეიცვალოს, ილაპარაკოს მ ხ ო ლ ო დ ამაზე, ანდა სულ გაჩუმდეს «კლასობრივ ინტერესთა და კლასობრივი სკოლის» ამ საჩოთირო საკითხზე. ისიც სათქმელია: არცთუ ისე დიდია ამ პრინციპული საკითხების კავშირი ძველი ენების ახლებით შეცვლასთან, რასაც ბ-ნი იუჟაკოვი თავის სტატიაში გვირჩევს. ის რომ მარტო ამ რჩევას დასჯერებოდა, — ჩვენ მას აღარ შევედავებოდით და მზადაც კი ვიქნებოდით მიგვეტევებინა მისთვის მისი თავშეუკავებელი მჭევრმეტყველება. მაგრამ რაკი მან თ ვ ი თ ო ნ ვ ე დასვა საკითხი «კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი სკოლის» შესახებ, — დაე მანვე იკისროს პასუხისმგებლობა ყველა თავისი სულელური ფრაზებისათვის.

მაგრამ ხსენებულ თემაზე ბ-ნ იუჟაკოვის ფრაზები სრულიადაც არ განისაზღვრება ზემოხსენებულით. «სოციოლოგიაში სუბიექტური მეთოდის» ძირითადი იდეების ერთგული ბ-ნი იუჟაკოვი, ეხება რა კლასების საკითხს, «ფართო თვალსაზრისზე» დგება (12, შეად. 15), ისეთ ფართოზე, საიდანაც მას შეუძლია მედიდურად უგულებელჰყოს კლასობრივი განსხვავებანი, ისეთ ფართოზე, რომ მას საშუალება ეძლევა ილაპარაკოს არა ცალკეულ კლასებზე (ფუი, რა შეზღუდულობაა!), არამედ მთელ ერზე საზოგადოდ. თვალსაზრისის ამ საუცხოო «სიფართოვეს» ის აღწევს ყველა მორალისტისა და პაწია მორალისტის, განსაკუთრებით Kleinbürger-მორალისტების გაცვეთილი ხერხით. ბ-ნი იუჟაკოვი სასტიკად ჰგმობს საზოგადოების ამ დაყოფას კლასებად (და განათლებაზე ამ დაყოფის ანარეკლს) და დიდი მჭევრმეტყველებითა და უბადლო პათოსით ლაპარაკობს ამ მოვლენის «საშიშროებაზე» (9); ლაპარაკობს იმაზე, რომ «განათლების კლასობრივი სისტემა ყველა მისი სახითა და ფორმით, თავისი საფუძვლით, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს, ერისა და გასანათლებელ პიროვნებათა ინტერესებსაო» * (8); სკოლაში კლასობრივ პროგრამათა «მიზანშეუწონლობასა და საშიშროებაზე სახელმწიფოებრივი და ნაციონალური თვალსაზრისით» (9); იმაზე, რომ ისტორიის მაგალითები მხოლოდ ცხადჰყოფს «კლასობრივი წყობილებისა და კლასობრივ ინტერესთა იმ განსაკუთრებულ ანტინაციონალურ განვითარებას, რაზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ზემოთ და რაც ჩვენ უკვე ნაციონალური კეთილდღეობისა და თვით სა-

* ორში ერთი, ფრიად პატივცემულო ბ-ნო Kleinbürger-ო: ილაპარაკეთ ან ისეთ საზოგადოებაზე, რომელიც კლასებადაა დაყოფილი, ან ისეთზე, რომელიც კლასებად არაა დაყოფილი. პირველ შემთხვევაში შეუძლებელიცაა არა-კლასობრივი განათლება. უკანასკნელ შემთხვევაში არც კლასობრივი სახელმწიფოა შესაძლებელი, არც კლასობრივი ერი, არც ისეთი. პიროვნებანი, რომელნიც ერთ-ერთ კლასს ეკუთვნიან. ორივე შემთხვევაში ფრაზა მოკლებულია აზრს და მხოლოდ იმ Kleinbürger-ის უწყინარ სურვილს შეიცავს, რომელიც ლაჩრულად ხუჭავს თვალს თანამედროვე სინამდვილის ყველაზე მკვეთრ თვისებებზე.

ხელმწიფოსათვის საშიშარ რადმე აღვიარეთო» (11); იმაზე, რომ «ყველგან მმართველობის კლასობრივი მოწყობა ასე თუ ისე გაუქმებულია» (11); იმაზე, რომ «საშიშარი» დანაწილება კლასებად «მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთა შორის ანტაგონიზმს» იწვევს და თანდათანობით აღმოფხვრის ხოლმე «ნაციონალური სოლიდარობისა და საერთო-სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის გრძნობას» (12); იმაზე, რომ «ფართოდ, მართებულად და შორსმჭვრეტელურად გაგებული ინტერესები ერისა, როგორც მთელისა, სახელმწიფოსი და ცალკეულ მოქალაქეთა საზოგადოდ არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთსო (ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე სახელმწიფოში მაინც)» (15) და სხვ. და სხვ. ყველაფერი ეს თავიდან ბოლომდე სიყალბეა, მხოლოდ ცარიელი ფრაზებია, რომლებიც **Kleinbürger** -ის ყოველგვარ აზრს მოკლებულ «სურვილთა» საშუალებით აფუჩეჩებენ თანამედროვე სინამდვილის თვით არსს, იმ სურვილთა, რომელნიც უჩინრად იქცევიან იმის დახასიათებადაც, რაც არსებობს. რომ გამოვნახოთ ანალოგია ამისი მსგავსი მსოფლმხედველობისა, რომლიდანაც ასეთი ფრაზები გამომდინარეობენ, უნდა მივმართოთ დასავლეთ ევროპის იმ «ეთიკური» სკოლის წარმომადგენლებს, რომელიც იქაური ბურჟუაზიის თეორიული სილაჩრისა და პოლიტიკური დაბნეულობის ბუნებრივი და აუცილებელი გამოხატულება იყო.

ჩვენ კი დავჯერდებით იმას, რომ ამ საუცხოო მჭევრმეტყველებასა და გულკეთილობას, ამ შესანიშნავ გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობას დავუპირდაპირებთ შემდეგს პატარა ფაქტს. ბ-ნი იუჟაკოვი შეეხო წოდებრივი და კლასობრივი სკოლის საკითხს. პირველ საკითხზე შეიძლება ზუსტი სტატისტიკური ცნობების გამოძებნა, ყოველ შემთხვევაში, ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებზე და რეალურ სასწავლებლებზე. აი ეს ცნობები, ამოკრეფილნი ჩვენ მიერ ფინანსთა სამინისტროს გამოცემიდან: «რუსეთის საწარმოო ძალები» (სპბ. 1896. განყ. XIX. სახალხო განათლება, გვ. 31):

«მოსწავლეთა წოდებრივი დაყოფა» (%%-ბით მათი საერთო რიცხვის მიმართ) სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

შვილები	სახ. განათლ. სამინისტროს ვაჟთა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში 1880	1884	1892	რეალურ სასწავლებლებში 1880	1884	1892
მკვიდრ და პირად აზნაურთა და მოხელეთა	47,6	49,2	56,2	44,0	40,7	38,0
სასულიერო წოდებისა	5,1	5.0	3,9	2,6	1,8	0,9
ქალაქის წოდებისა.....	33,3	35,9	31,3	37,0	41,8	43,0
სოფლის წოდებისა (სხვა ერებისა და დაბ. მოსამსახურეების შვილებიანად)	8,0	7,9	5.9	10,4	10,9	12,7
უცხოელთა	2,0	2,0	1,9	3,0	4,8	5,4
სხვა წოდებისა	2,6	ზემოხს. ერთად		3,0	ზემოხს. ერთად	
	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0»

ეს პატარა ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ მოურიდებლად მოიქცა ბ-ნი იუჟაკოვი, როდესაც სთქვა, თითქოს ჩვენ უცებ და გადაჭრით (??) «ხელი აგვეღოს წოდებრივ სკოლაზე». პირიქით, წოდებრიობა ახლაც კი სჭარბობს ჩვენს საშუალო სკოლებში, თუ გიმნაზიებშიც კი (პრივილეგიურ სათავადაზნაურო სასწავლებელთა და სხვ. შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ) მოწაფეთა 56% — თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილები არიან. მათი ერთადერთი სერიოზული მეტოქე ქალაქის წოდებანი არიან, რომელთაც რეალურ სასწავლებლებში უპირატესობისათვის მიუღწევიათ. ხოლო სოფლის წოდებათა მონაწილეობა, — განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ დანარჩენ წოდებათა მიმართ მათს უზარმაზარ რიცხვობრივ სიჭარბეს — სრულიად უმნიშვნელოა. მაშასადამე, ეს პატარა ცხრილი ნათლად გვიჩვენებს, რომ იმან, ვისაც სურს თანამედროვე ჩვენი საშუალო სკოლის ხასიათზე ილაპარაკოს, მტკიცედ უნდა შეითვისოს, რომ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ წოდებრივ და კლასობრივ სკოლაზე და რომ, რამდენადაც «ჩვენ» მართლაც უარს ვამბობთ წოდებრივ სკოლაზე, — ამას მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი სკოლის გუ-

ლისთვის ჩავდივართ. თავისთავად იგულისხმება, რომ ამით სრულიადაც იმის თქმა არ გვინდა, რომ წოდებრივი სკოლის — კლასობრივი სკოლით შეცვლისა და ამ უკანასკნელის გაუმჯობესების საკითხი უმნიშვნელო ან სულერთი იყოს იმ კლასებისათვის, რომლებიც ვერ სარგებლობენ და ვერც ისარგებლებენ საშუალო სკოლით: პირიქით, მათთვისაც ეს საკითხი სულერთი როდია, ვინაიდან წოდებრიობა ცხოვრებაშიც, სკოლაშიც მათ განსაკუთრებით მძიმე ლოდად აწევთ, რადგან წოდებრივი სკოლის კლასობრივით შეცვლა — ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი რუსეთის საერთო და ყოველმხრივი ევროპეიზაციის პროცესში. ჩვენ მხოლოდ იმის ცხადყოფა გვსურს, თუ როგორ დაამახინჯა საქმე ბ-ნმა იუჟაკოვმა და მისი ვითომდა «ფართო» თვალსაზრისი ნამდვილად რა განუზომლად უფრო დაბლა დგას ამ საკითხზე ბურჟუაზიულ თვალსაზრისთან შედარებითაც კი. რახან სიტყვამ მოიტანა, ბურჟუაზიულობის შესახებაც ვიტყვით ორიოდე სიტყვას. აი ბ-ნი ა. მანუილოვი ვერაფრით ვერ მიმხვდარა, რატომ არის, რომ ჰ. ბ. სტრუვე, რომელმაც ასე გარკვევით დაახასიათა შულცე-გეგერნიცის ცალმხრივობა, მიუხედავად ამისა «ქადაგებს მის ბურჟუაზიულ იდეებს» («რ. ბოგატსტვო» № 11, გვ. 93). ბ-ნ ა. მანუილოვის მიუხვედრელობა მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ იქიდან წარმოსდგება, რომ მას ვერ გაუგია არა მარტო რუს, არამედ ყველა დასავლეთ-ევროპელ «მოწაფეთა» ძირითადი შეხედულებანი, არა მარტო მოწაფეთა, არამედ მასწავლებლისაც. ან, ბ-ნმა ა. მანუილოვმა, იქნებ, მოინდომოს იმის უარყოფა, რომ «მასწავლებლის» ძირითად შეხედულებათა რიცხვს, — იმ შეხედულებათა, რომლებიც წითელი ზოლივით გადის მთელ მის თეორიულ, ლიტერატურულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში, — ეკუთვნის შეურიგებელი მტრობა ფართო თვალსაზრისთა» იმ მოყვარულთადმი, რომელნიც ტკბილი ფრაზების საშუალებით აფუჩეჩებენ თანამედროვე საზოგადოების კლასობრივ დაყოფას? რომ მის ძირითად შეხედულებათა რიცხვს ეკუთვნის აშკარა და თანმიმდევარი

«ბურჟუაზიული იდეების» პროგრესულობისა და უპირატესობის გადაჭრით ცნობა შედარებით იმ Kleinbürger-ების იდეებთან, რომელთაც კაპიტალიზმის შეფერხება და შეჩერება სწყურიათ? თუ ბ-ნ მანუილოვისათვის ეს ცხადი არ არის, დაე თავისი თანამოჟურნალე ამხანაგის ბ-ნ იუჟაკოვის ნაწარმოებთ მაინც ჩაუფიქრდეს. დაე წარმოიდგინოს, რომ იმ საკითხზე, რომელიც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს, ბ-ნ იუჟაკოვის გვერდით ჩვენ ვხედავთ «ბურჟუაზიულ იდეათა» აშკარა და თანმიმდევარ წარმომადგენელს, რომელიც თანამედროვე სკოლის სწორედ კლასობრივ ხასიათს იცავს და ამტკიცებს, რომ ეს არის საუკეთესო რამ, რის წარმოდგენაც კი შესაძლებელიაო, და მიისწრაფვის წოდებრივი სკოლის სრული განდევნისა და კლასობრივი სკოლის ხელმისაწვდომობის გაფართოებისაკენ (ამ ხელმისაწვდომობის ზემოხსენებული მნიშვნელობით). მართლაც-და, ასეთი იდეები ბ-ნ იუჟაკოვის იდეებზე ბევრად მაღლა იდგებოდა; ამავე დროს ყურადღება მიექცეოდა თანამედროვე სკოლის რეალურ საჭიროებებს, სწორედ მისი წოდებრივი კარჩაკეტილობის მოსპობას და არა Kleinbürger-ის რაღაც უსახო «ფართო თვალსაზრისს». თანამედროვე სკოლის ცალმხრივი ხასიათის აშკარა გამორკვევა და დაცვა სინამდვილის სწორი დახასიათება იქნებოდა და უკვე თვით თავისი ცალმხრივობით მეორე მხარის შეგნებას გაანათლებდა *. ბ-ნ იუჟაკოვის «ფართო» ლათაიები კი, პირიქით,

* ჩვენ მშვენივრად ვგრძნობთ, რომ «რ. ბოგატსტვოს» თანამშრომლებს ფრიად და ფრიად გაუძნელდებათ ასეთი ხასიათის არგუმენტის გაგება. ესეც კვლავ იმაზეა დამოკიდებული, რომ მათ ვერ გაუგიათ არა მარტო «მოწაფეები», არამედ «მასწავლებელიც».

აი, მაგ., როგორ ამტკიცებდა ჯერ კიდევ 1845 წელს ერთ-ერთი «მასწავლებელი» იმ სარგებლობას, რომელსაც მიიღებდნენ ინგლისელი მუშები პურის კანონების გაუქმებით. ამ კანონების გაუქმებაო, — სწერდა ის, — ფერმერებს «ლიბერალებად, ე. ი. შეგნებულ ბურჟუებად» გადააქცევს, ხოლო ერთი მხარის შეგნებულობის ეს ზრდა აუცილებლად იწვევს მეორე მხარის შეგნების ასეთსავე ზრდასაო (Fr. Engels. «The condition of the working class in England in

მხოლოდ რყვნის საზოგადოებრივ შეგნებას. დასასრულ, საკითხის პრაქტიკული მხარე... მაგრამ ბ-ნი იუჟაკოვიც ხომ ოდნავადაც ვერ სცილდება კლასობრივი სკოლის ფარგლებს არა მარტო ამ სტატიაში, არამედ იმ თავის «უტოპიაშიც», რომელზედაც ჩვენ ახლა გადავდივართ.

III

ბ-ნ იუჟაკოვის სტატია, რომელიც «საყოველთაო-სახალხო სწავლების საკითხს» (იხ. წიგნის სათაური) განიხილავს, ასე იწოდება: «საგანმანათლებლო უტოპია. საყოველთაო-სახალხო სავალდებულო საშუალო განათლების გეგმა». უკვე სათაურიდანვე სჩანს, რომ ბ-ნ იუჟაკოვის ეს ფრიად საგულისხმო სტატია ძალიან ბევრ რასმე გვპირდება. მაგრამ ნამდვილად ბ-ნ იუჟაკოვის «უტოპია» შეუდარებლად უფრო მეტს გვპირდება. «არა, ამაზე ნაკლები შეუძლებელია, ძვირფასო მკითხველნო, არავითარი დათმობა ან კომპრომისი»... — ასე იწყებს ავტორი თავის სტატიას. — «სრული გიმნაზიური განათლება ორივე სქესის მთელი მოსახლეობისათვის, ყველასათვის სავალდებულო და სახელმწიფოს, ერობისა და ხალხის მხრივ ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად, — ასეთია ჩემი უდიდესი საგანმანათლებლო უტოპია»! (201). კეთილი ბ-ნი იუჟაკოვი, როგორც სჩანს, ფიქრობს, რომ ამ საკითხის დედაარსს «ხარჯები» წარმოადგენს; ამავე გვერდზე იგი კვლავ იმეორებს, რომ საყოველთაო-სახალხო დაწყებითი განათლება ხარჯებს მოითხოვს, ხოლო საყოველთაო-სახალხო საშუალო განათლება მისი «გეგმის» მიხედვით არავითარ ხარჯებს არ მოითხოვს. ბ-ნ იუჟაკოვის გეგმა რომ არავითარ ხარჯებს არ მოითხოვს, ეს კიდევ

1844». New York. 1886, p. 179) (ფ. ენგელსი. «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში 1844 წ.». ნიუ-იორკი, 1886, გვ. 179.[97] რ ე დ.). რატომაა, ბ-ნო «რ. ბოგატსტვოს» თანამშრომლებო, რომ «მასწავლებელთა» წინაშე თქვენ მხოლოდ ქედს იხრით და «ბურჟუაზიულ იდეათა პროპაგანდაში» არ ამხილებთ მათ?

არაფერი: იგი მთელი ხალხის საშუალო განათლებაზე ბევრად დიდ რასმე გვპირდება. რათა ცხადვყოთ მთელი მოცულობა იმისა, რასაც «რ. ბოგატსტვოს» თანამშრომელი გვპირდება, საჭიროა წინასწარ მოვიყვანოთ ავტორის საკუთარი აღფრთოვანებული სიტყვები, რომლებსაც ამბობს მას შემდეგ, როცა უკვე დაამთავრა მთელი თავისი გეგმის გადმოცემა და აღტაცებით შეჰყურებს მას. ბ-ნ იუჟაკოვის გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ გიმნაზიურ განათლებას უერთდება იმ გიმნაზიელთა ნაყოფიერი შრომა, რომელნიც თვითონვე ინახავენ თავის თავს: «...მიწის ნაკვეთის დამუშავება... უზრუნველჰყოფს მთელი ახალგაზრდა თაობის უხვს, გემრიელსა და საღ სურსათს დაბადებიდან გიმნაზიის კურსის დამთავრებამდე, აგრეთვე იმ ახალგაზრდობის სურსათს, რომელიც შრომით იხდის სწავლის ფასს (იუჟაკოვის Zukunfisstaat-ის* ამ ინსტიტუტზე დაწვრილებით ქვემოთ ვილაპარაკებთ), და ადმინისტრატორთა, მასწავლებელთა და მეპატრონეთა მთელი პერსონალის სურსათსაც. ამასთან ყველა ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან ფეხსაცმლითაც, აგრეთვე ტანისამოსის შეკერვით. გარდა ამისა, ზემოხსენებული ნაკვეთიდან მივიღებთ 20 ათასამდე მანეთს, სახელდობრ 15 ათასს ზედმეტი რძისა და გაზაფხულის ხორბლისაგან... ხოლო დაახლოებით 5 ათას მან. ტყავის, ჯაგრის, ბუმბულისა და სხვა დამხმარე პროდუქტების გაყიდვით» (216). ერთი ჩაუფიქრდით, მკითხველო, მ თ ე ლ ი ახალგაზრდა თაობის რჩენა გიმნაზიის კურსის დამთავრებამდე, ე. ი. 21 — 25 წლამდე (გვ. 203)! ეს ხომ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის ნ ა ხ ე ვ რ ი ს რჩენას ნიშნავს**. ათეული მილიონობით მოსახლეობის რჩენა და განათლება, — ეს ხომ «შრომის» ნამდვილი «ორგანიზაციაა»! ცხადია, ბ-ნი იუჟაკოვი ძალიან გაჯავ-

* — მომავლის სახელმწიფოს. რ ე დ.

** ბუნიაკოვსკის ცნობებით, რუსეთის მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა შემდეგნაირია: 1 000 მცხოვრებზე მოდის 485 0 — 20 წლიანნი და 576 — 0 — 25 წლიანნი.

რებულა იმ ბოროტ ადამიანებზე, რომლებიც ამტკიცებენ. რომ «შრომის ორგანიზაციის» ნაროდნიკული პროექტები ფუჭი მოლაყბეების ფუჭი ფრაზებია, და გადაუწყვეტნია სავსებით მოსპოს ეს ბოროტი ადამიანები იმით, რომ გამოაქვეყნოს მთელი «გეგმა» ასეთი «შრომის ორგანიზაციისა», რომელიც «ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად» ხორციელდება... მაგრამ საქმე ამით არ თავდება: «...გზადაგზა ჩვენ გავაფართოვეთ ამოცანა; ჩვენ ამ ორგანიზაციას დავაკისრეთ ბავშვთა მთელი მოსახლეობის რჩენაც; ჩვენ ვიზრუნეთ იმისათვის, რომ ახალგაზრდები უზრუნველგვეყო სოფლის პირობების შესაფერი სერიოზული მზითვით; ჩვენ შესაძლებლად დავინახეთ იმავე ხახსრებით თვითეულ გიმნაზიაში, ე. ი. თვითეულ თემში დაგვენიშნა თითო ექიმი, ბეითალი, სწავლული აგრონომი, სწავლული მებაღე, ტექნოლოგი და ექვს-ექვსი ხელოსანი, არა ნაკლები (რომელნიც კულტურას აამაღლებენ და მთელი მხრის სათანადო მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ)... და ყველა ეს ამოცანა ფინანსურად და ეკონომიურად სწყდება ჩვენი გეგმის განხორციელებისას...» *. როგორ შერცხვენილნი იქნებიან ახლა ის ბოროტი ენები, რომელნიც გაიძახოდნენ: განთქმული ნაროდნიკული «ჩვენ» ეს არის «ფარული უცნობი», ეს — ორარახჩინიანი ებრაელია და სხვ.! რა უღირსი ცილისწამებაა! ამიერიდან საკმარისი იქნება მივუთითოთ ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმაზე», რათა დავამტკიცოთ ამ «ჩვენ»-ის ყოვლისშემძლეობა და აგრეთვე «ჩვენი» პროექტების განხორციელების შესაძლებლობა.

შეიძლება მკითხველს ეჭვი დაებადოს ამ სიტყვების: «განხორციელების შესაძლებლობის» გამო? მკითხველმა შეიძლება სთქვას, რაკი ბ-ნმა იუჟაკოვმა თავის ქმნილებას უტოპია უწოდა, ამით მან უკუაგდო განხორციელების შესაძლებლობის სა-

* გვ. 237. ორივე მრავალმეტყველი მრავალწერტილი ამ ტირადაში ბ-ნ იუჟაკოვს ეკუთვნის. ჩვენ ვერ გავბედავდით აქ თუნდ ერთი ასო გამოგვეტოვებინა.

კითხი? — ეს ასე იქნებოდა, თვით ბ-ნ იუჟაკოვს რომ სიტყვა «უტოპიის» გამო მეტად არსებითი განმარტება არ დაერთო და მთელ თავის გადმოცემაში მრავალჯერ ხაზი არ გაესვა თავისი გეგმის განხორციელების შესაძლებლობისთვის. «ვბედავ და ვფიქრობ, — აცხადებს იგი სტატიის დასაწყისშივე, — რომ ასეთი საყოველთაო-სახალხო საშუალო განათლება მხოლოდ პირველი შეხედვით სჩანს უტოპიად» (201)... მეტი რაღა გნებავთ?.. «კიდევ უფრო მეტი გაბედულება მაქვს ვამტკიცო, რომ ასეთი განათლება მთელი მოსახლეობისთვის გაცილებით უფრო ადვილი განსახორციელებელია, ვიდრე საყოველთაო-სახალხო დაწყებითი განათლება, თუმცა იგი უკვე განახორციელეს გერმანიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, შეერთებულმა შტატებმა და განხორციელებასთან ფრიად ახლოა რუსეთის ზოგიერთი გუბერნია» (201). ბ-ნი იუჟაკოვი იმდენად დარწმუნებულია თავისი გეგმის განხორციელების შესაძლებლობაში (ცხადია, ზემოთქმულის შემდეგ, რომ სიტყვა «გეგმა» უფრო მართებულია, ვიდრე უტოპია), რომ იგი ამ გეგმის დამუშავების დროს არ უგულებელჰყოფს სულ წვრილმან «პრაქტიკულ ხელსაყრელ გარემოებებსაც» კი, განგებ სტოვებს რა, მაგ., ორი გიმნაზიის, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების სისტემას, რადგან ანგარიშს უწევს «ევროპის კონტინენტზე» ორივე სქესის «ერთად სწავლების წინააღმდეგ არსებულ აზრს», — და გაძლიერებით უსვამს ხაზს იმას, რომ მისი გეგმა «საშუალებას იძლევა არ დაირღვეს ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების დამკვიდრებული სასწავლო გეგმები, მეტს სამუშაოს და, მაშასადამე, მეტს გასამრჯელოსაც აძლევს მასწავლებელთა პერსონალს»... «ყველაფერ ამას მცირე მნიშვნელობა როდი აქვს, თუ სურვილი გვექნება მარტოოდენ ცდას კი არ დავჯერდეთ, არამედ ნამდვილ საყოველთაო-სახალხო განათლებას მივაღწიოთ» (205—206). ბევრნი ყოფილან ქვეყნად უტოპისტები, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ თავის უტოპიათა მიმზიდველობით, სიმწყობრით, — მაგრამ ძნელად თუ გამოინახება მათ შორის თუნდაც ერთი ისეთი, რომელიც ესოდენი ყურადღებით ეკიდებოდეს «დამკვიდრებულ სასწავლო გეგმებს» და მასწავლე-

ბელთა პერსონალის დაჯილდოებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შთამომავლობა ჯერ კიდევ დიდხანს მოიგონებს ბ-ნ იუჟაკოვს, როგორც ჭეშმარიტად პრაქტიკულსა და ჭეშმარიტად საქმიან «უტოპისტს».

ცხადია, ავტორის ასეთ დაპირებათა გამო მისი საყოველთაო-სახალხო სწავლების გეგმა დიდი ყურადღებით განხილვის ღირსია.

IV

პრინციპი, რომელსაც ბ-ნი იუჟაკოვი ემყარება, იმაში მდგომარეობს, რომ გიმნაზია ამასთანავე სამიწათმოქმედო მეურნეობაც უნდა იყოს და თავისი მოწაფეების საზაფხულო მუშაობით მან უნდა უზრუნველჰყოს საკუთარი არსებობა. ასეთია მისი გეგმის ძირითადი აზრი. «ეს აზრი რომ მართებულია, ამაში ძნელია დაეჭვება» (237), — ფიქრობს ბ-ნი იუჟაკოვი. ჩვენც ვეთანხმებით მას, რომ აქ მართლაც არის მართებული აზრი; მხოლოდ იგი არ შეიძლება მივატმასნოთ არც უსათუოდ «გიმნაზიებსა» და არც მოწაფეთა შრომით გიმნაზიების «შენახვის» შესაძლებლობას. ეს მართებული აზრი იმაში მდგომარეობს, რომ/შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეალი უიმისოდ, თუ ახალგაზრდა თაობის სწავლება ნაყოფიერ შრომასთან არ იქნება შეერთებული: ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გარეშე, ვერც ნაყოფიერი შრომა პარალელური სწავლებისა და განათლების გარეშე ვერ იქნება აყვანილი იმ სიმაღლეზე, რომელსაც ტექნიკის თანამედროვე დონე და მეცნიერული ცოდნის მდგომარეობა მოითხოვს. ეს აზრი გამოსთქვეს ჯერ კიდევ ძველმა დიდმა უტოპისტებმა; მას სავსებით იზიარებენ ის «მოწაფეებიც», რომლებიც სწორედ ამ მიზეზის გამო, სხვებს შორის, პრინციპულად წინააღმდეგნი არ არიან ქალთა და მოზარდთა სამრეწველო შრომისა, რეაქციონერობად სთვლიან ამ შრომის სავსებით აკრძალვის ცდას და მხოლოდ იმას მოითხოვენ, რომ ეს შრომა სავსებით ჰიგიენურ პირობებში იქნას ჩაყენებული. ამი-

ტომ ბ-ნი იუჟაკოვი ამაოდ ამბობს: «მე მხოლოდ მსურდა აზრი მომეცა» (237)... ეს აზრი უკვე დიდი ხანია მოცემულია, და ჩვენ ვერ გაგვიბედნია დავუშვათ (ვიდრე საწინააღმდეგო დამტკიცებული არ არის), რომ ბ-ნი იუჟაკოვი მას არ იცნობდეს. «რუს. ბოგატსტვოს» თანამშრომელს სურდა მოეცა და მოგვცა კიდევაც ამ აზრის გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს სრულიად დამოუკიდებელი გ ე გ მ ა. მხოლოდ ამ მხრივ შეიძლება იგი ორიგინალურად მივიჩნიოთ, მაგრამ სამაგიეროდ მისი ორიგინალობა აქ უკვე აღწევს... უკიდურეს საზღვარს.

საყოველთაო ნაყოფიერი შრომა საყოველთაო სწავლებას რომ შევუერთოთ, ამისათვის, ცხადია, აუცილებლად საჭიროა ყ ვ ე ლ ა ს დაეკისროს მოვალეობა მონაწილეობა მიიღოს ნაყოფიერ შრომაში. ეს თითქოს თავისთავად ცხადია? — მაგრამ თურმე ასე როდია. ჩვენი «ნაროდნიკი» ამ საკითხს სწყვეტს ისე, რომ ფიზიკური შრომის მოვალეობა მართლაც უნდა დაწესდეს როგორც ზოგადი პრინციპი, მ ა გ რ ა მ ს რ უ ლ ი ა-დ ა ც ა რ ა ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს, ა რ ა მ ე დ მ ხ ო ლ ო დ ხ ე ლ მ ო კ ლ ე თ ა თ ვ ი ს.

მკითხველმა იქნებ იფიქროს, რომ ჩვენ ვხუმრობთ? ღმერთმანი, არა.

«წმინდა საქალაქო გიმნაზიებს იმ შეძლებულთათვის, რომელნიც მზად არიან განათლების მთელი ფასი ფულად გაიღონ, შეეძლოთ ახლანდელი ტიპი შეენარჩუნებინათ» (229). 231-ე გვ. «შეძლებულნი» საერთოდ პირდაპირ შეტანილნი არიან «მოსახლეობის იმ კატეგორიათა» რიცხვში, რომელთაც არ ეხებათ სავალდებულო განათლების მიღება «სამიწათმოქმედო გიმნაზიებში». სავალდებულო ნაყოფიერი შრომა, მაშასადამე, ჩვენი ნაროდნიკისთვის ადამიანის საყოველთაო და ყოველმხრივი განვითარების პირობა კი არაა, არამედ გიმნაზიაში სწავლის უბრალო ქირაა. სწორედ ასეა. თავისი სტატიის დასაწყისშივე ბ-ნი იუჟაკოვი განიხილავს იმ ზამთრის მუშების საკითხს, რომლებიც სამიწათმოქმედო გიმნაზიისათვის საჭირონი არიან. ყველაზე «ლოგიკურად» მას ზამთრის მუშებით გიმნაზიის უზრუნველყოფის ამნაირი წესი მიაჩნია. უმცროს

კლასთა მოწაფეები არ მუშაობენ და, მაშასადამე, უფასოდ სარგებლობენ სწავლითა და რჩენით, არაფერს იხდიან გიმნაზიის მიერ ამაზე გაწეული ხარჯებისათვის. «ხოლო თუ ეს ასეა, განა მისი პირდაპირი მოვალეობა არ არის ეს დანახარჯი გაისტუმროს კურსის დამთავრების შემდეგ მუშაობით? ეს მოვალეობა, კარგად მოფიქრებული და მტკიცედ დაწესებული ყველასათვის, ვ ი ს ა ც ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ს წ ა ვ ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა გ ა დ ა ი ხ ა დ ო ს, იმას გამოიწვევს, რომ გიმნაზიის მეურნეობას მიაწვდის ზამთრის მუშათა საჭირო კონტინგენტს და ზაფხულის მუშათა დამატებითს კონტინგენტს... თეორიულად ეს ფრიად მარტივი, ადვილად მისახვედრი და სრულიად უდავოა» (205, ხაზგასმა ჩვენია). გეთაყვათ, რაღა შეიძლება ამაზე «მარტივი» იყოს? ფული გაქვს — გადაიხადე, არა გაქვს ფული — იმუშავე! — ყოველი მედუქნე დაგეთანხმებათ, რომ ეს უალრესად «ადვილი მისახვედრია». და თანაც, რა შესანიშნავად პრაქტიკულია — ოღონდ... ოღონდ, რა შუაშია აქ «უტოპია»? რატომ სვრის ბ-ნი იუჟაკოვი ასეთი გეგმებით იმ დიადს ძირითად აზრს, რომელიც მას სურდა თავისი უტოპიისათვის საფუძვლად დაედო?

მუშაობით ანაზღაურება ღარიბ მოწაფეთა მხრივ — ბ-ნ იუჟაკოვის მთელი გეგმის საფუძველია. მართალია, მას დასაშვებად მიაჩნია ზამთრის მუშების შოვნის სხვა საშუალებაც — დაქირავება *, მაგრამ მას უკანა რიგში აყენებს. მუშაობით ანაზღაურება კი სავალდებულოა სამი წლის განმავლობაში (საჭიროების შემთხვევაში კი ოთხი წლისაც) ყველა

* «გიმნაზიის მეურნეობა, რომლის ხელმძღვანელი იქნება გამოცდილი და სწავლული მეურნე, მომარაგებული იქნება ყველა გაუმჯობესებით და ეყოლება დახელოვნებული განათლებული მუშების კონტინგენტი; იგი შემოსავლიანი მეურნეობა უნდა იყოს და უნდა გაამართლოს დაქირავება მუშების აუცილებელი კონტინგენტისა, რომელთაგან ზოგიერთი დამსახურებული მუშა (sic!) (ასეა! რ ე დ.) შეიძლება შემოსავლის მონაწილეებადაც გახდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ალბათ, მართლაც მოგვიხდებოდა ამ ზომისათვის მიგვემართნა, განსაკუთრებით ამავე გიმნაზიის კურსდამთავრებულ უმიწაწყლოთა მიმართ» (204).

იმათთვის, ვინც სამხედრო სამსახურში არ მიდის, ე. ი. მოწაფე ვაჟთა $^{2}/_{3}$-ისა და ყველა ქალიშვილისთვის. «მხოლოდ ეს სისტემა იძლევაო, — პირდაპირ აცხადებს ბ-ნი იუჟაკოვი, — გასაღებს საყოველთაო-სახალხო განათლების ამოცანის გადასაჭრელად, და ისიც არა დაწყებითისა, არამედ საშუალო განათლებისა» (207—208). «მცირეოდენი კონტინგენტი მუდმივი მუშებისა, რომლებიც გიმნაზიაში სავსებით დარჩენილან და მას ზიარებულან (!?), შეავსებს გიმნაზიის მეურნეობის ამ სამუშაო ძალებს. ასეთია ჩვენი სამიწათმოქმედო გიმნაზიის შესაძლებელი და სრულიადაც არა უტოპიური სამუშაო ძალები» (208). რასაკვირველია, სხვა სამუშაოებსაც — განაცოტაა ასეთი მეურნეობაში? — ისინივე შეასრულებენ: «მზარეულებისა და მრეცხავების დამხმარე პერსონალი, აგრეთვე საქმისმწარმოებლები ადვილად შეიძლება ამორჩეულ იქნან გიმნაზიადამთავრებული სამწლიანი მუშების შემადგენლობიდან» (209). გიმნაზიას ხელოსნებიც დასჭირდება: მკერავები, მეჩექმეები, დურგლები და სხვ. რა თქმა უნდა, მათ შეიძლება «მიეცეთ თანაშემწენი სამწლიანი შრომის ბეგარის მომხდელთაგან» (210).

მერე რას მიიღებენ თავიანთ შრომაში ეს მოჯამაგირეები (თუ მიწათმოქმედი გიმნაზიელები? აღარც კი ვიცი, რა ვუწოდო მათ)? ისინი მიიღებენ ყველაფერს, რაც კი საჭიროა საცხოვრებლად, «უხვსა და გემრიელ საზრდოს». ბ-ნ იუჟაკოვს ყველაფერი ეს ზუსტად აქვს გამოანგარიშებული, იღებს რა პროდუქტების ისეთ ნორმებს, რაც «ჩვეულებრივ ეძლევა სოფლის მუშას». მართალია, იგი «არ ფიქრობს გიმნაზია ამ წესით კვებოს» (210), მაგრამ ამ ნორმებს მაინც სტოვებს, ვინაიდან გიმნაზიელები თავიანთი მიწიდან ხომ მიიღებენ კარტოფილს, ცერცვს, მუხუდოს, დასთესენ კანაფს და მზისუმზირას საჭმელი ზეთისათვის, შემდეგ სახსნილო დღეებში მიიღებენ ნახევარ-ნახევარ გირვანქა ხორცსა და ორ-ორ ჭიქა რძეს. ნუ იფიქრებთ, მკითხველო, რომ ბ-ნი იუჟაკოვი ამ საკითხს მხოლოდ ოდნავ შეხებოდეს. მხოლოდ მაგალითისა-

თვის ჩამოეთვალოს. არა, მან ყველაფერი დაწვრილებით იანგარიშა — ერთწლიანი და ორწლიანი ხბოების რიცხვიც, ავადმყოფთა შენახვაც, ფრინველთა საკვებიც. მას არ დავიწყნია არც სამზარეულოს ნარეცხი, არც შიგნეულობა, არც ბოსტნეულის ნაფცქვენი (212). მას არაფერი არ გამოუტოვებია. შემდეგ — ტანისამოსი და ფეხსაცმელი გიმნაზიაში შეიძლება საკუთარი საშუალებით დავამზადოთო. «მაგრამ ბამბის ქსოვილი საცვლებისა, ლოგინისა და სუფრისათვის და საზაფხულო ტანისამოსისათვის, უფრო სქელი ქსოვილი საზამთრო ტანისამოსისათვის და ბეწვეული, თუნდაც ცხვრისა, ზედა საზამთრო ტანსაცმელისათვის, რა თქმა უნდა, უნდა ვიყიდოთ. რა თქმა უნდა, პედაგოგთა და მოსამსახურეთა მთელმა პერსონალმა ოჯახებითურთ თვითონვე უნდა უზრუნველჰყოს თავისი თავი მასალით, თუმცა შეიძლება ნება მიეცეთ სახელოსნოებით ისარგებლონ. ხოლო თვით მოწაფეებისა და სამწლიანი მუშებისათვის ეს ხარჯი შეიძლება უშურველად ვიანგარიშოთ წელიწადში 50 მანეთი ანუ 60 000 მანეთამდე წლიურად მთელი სასწავლებლისათვის» (213).

ჩვენ პირდაპირ გულაჩვილებული ვართ ჩვენი ნაროდნიკის პრაქტიკულობით. ერთი წარმოიდგინეთ: «ჩვენ», «საზოგადოებას», შრომის ასეთი გრანდიოზული ორგანიზაცია შემოგვაქვს, ხალხს საყოველთაო-საშუალო განათლებას ვაძლევთ, და ყველაფერს ამას ვაკეთებთ ყოველგვარი ხარჯის გაუწევლად, და მერე რა უზარმაზარი მორალური შენაძენით! რა მშვენიერი გაკვეთილი იქნება ეს «ჩვენი» ახლანდელი სოფლის მუშებისათვის, რომელნიც, მიუხედავად მთელი თავისი უვიცობისა, თავხედობისა და ველურობისა, არ თანხმდებიან წელიწადში 61 მანეთზე ნაკლებ იმუშაონ და ისიც მეპატრონის ხარჯზე *, — როდესაც ისინი დაინახავენ, თუ

* მიწათმოქმედებისა და სოფლის მრეწველობის დეპარტამენტის ცნობებით, სოფლის წლიური მუშის ხელფასი ევროპის რუსეთში შეადგენს 61 მ. 29 კ. (10 წლის მანძილზე — 1881 — 1891), ამას გარდა კვება — 46 მანეთს.

განათლებული გიმნაზიელი მოჯამაგირენი როგორ იმუშავებენ წელიწადში 50 მანეთად! შეიძლება დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ახლა თვით კორობოჩკაც კი დაეთანხმება ბ-ნ იუჟაკოვს, რომ მისი გეგმის თეორიული საფუძვლები მეტისმეტად «ადვილად მისახვედრი» რამაა.

V

როგორი იქნება გიმნაზიათა მეურნეობის გაძღოლა და მათი მართვა? მეურნეობა, როგორც უკვე დავინახეთ, შერეული იქნება: ნაწილობრივ ნატურალური, ნაწილობრივ ფულადი. ბ-ნი იუჟაკოვი, რასაკვირველია, ამ მნიშვნელოვან საკითხზე ფრიად დაწვრილებითს ცნობებს იძლევა. 216-ე გვერდზე იგი ზედმიწევნით, მუხლობრივად ანგარიშობს, რომ თვითეულ გიმნაზიას დასჭირდება ფულად 160—170 ათასი მანეთი; ასე რომ ყველა 15—20 ათასი გიმნაზიისათვის — სულ რაღაც სამი მილიარდი მანეთი იქნება საჭირო. რასაკვირველია, მიწათმოქმედების პროდუქტებს გაჰყიდიან და ამით ფულს მიიღებენ. ჩვენი ავტორი იმდენად წინდახედულია, რომ ამასთან მხედველობაში იღებს თანამედროვე სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობის საერთო პირობებს: «გიმნაზიები ქალაქის ან რკინიგზის სადგურების ახლოს, იმ ხაზებზე, რომელნიც დიდ ცენტრებს დაშორებულნი არ არიან, სრულიად სხვანაირი ტიპის უნდა იყვნენ. მებოსტნეობას, მებაღეობას, მერძეობას და ხელოსნობას აქ შეუძლიათ სავსებით შესცვალონ მემინდვრეობა» (228). მაშასადამე, ვაჭრობა სახუმარო როდი იქნება. ვინ იკისრებს ამას — ავტორი არ გვეუბნება. უნდა ვიფიქროთ, რომ გიმნაზიათა პედაგოგიური საბჭოები ნაწილობრივ საკომერციო საბჭოებიც იქნებიან. — სკეპტიკოსები, ალბათ, იმის გაგებასაც მოისურვებენ, როგორ მოვიქცეთ გიმნაზიების გაკოტრების შემთხვევებში და შესძლებენ კი ისინი საერთოდ სავაჭრო საქმის გაძღოლას? — მაგრამ, ცხადია, ეს უსაფუძვლო ახირება იქნებოდა: თუკი ახლა გაუნათლებელი ვაჭრები ეწევიან ვაჭრობას, განა შე-

იძლება დავეჭვდეთ წარმატებაში, როდესაც ამ საქმეს ჩვენი ინტელიგენტური საზოგადოების წარმომადგენელნი მოჰკიდებენ ხელს?

გიმნაზიებს მეურნეობისათვის, ბუნებრივია, მიწა დასჭირდებათ. ბ-ნი იუჟაკოვი სწერს: «მე მგონია..., თუ ამ აზრს პრაქტიკული გამოცდა უწერია, ცდისათვის პირველ ასეთ სამიწათმოქმედო გიმნაზიებს უნდა მიეცეთ მიწა 6-დან 7 ათას დესეტინამდე» (228). 109 მილიონ მოსახლეობაზე — 20 000 გიმნაზიას — დასჭირდებოდა 100 მილიონ დესეტინამდე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ სამიწათმოქმედო შრომას ეწევა მხოლოდ 80 მილიონი. «მხოლოდ მათმა შვილებმა უნდა გაიარონ სამიწათმოქმედო გიმნაზიები».

გარდა ამისა დაახლოებით 8 მილიონი უნდა მივაკუთვნოთ მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიას * — დარჩება 72 მილიონი. მათთვის საჭიროა მხოლოდ 60 — 72 მილიონი დესეტინა. «და ეს, რა თქმა უნდა, ბევრია» (231), მაგრამ ბ-ნ იუჟაკოვს ეს გულს როდი უტეხს. ხაზინასაც ხომ დიდძალი მიწა აქვს, ოღონდ ამ მიწის ადგილმდებარეობა არ არის საკვლებით ხელსაყრელი. «მაგალითად, ჩრდილოეთ პოლესიეში ასეთი მიწებია 127,6 მილიონი დესეტ., და აქ, განსაკუთრე-

* აი სრული სია სამიწათმოქმედო გიმნაზიათაგან განთავისუფლებულ ბედნიერთა ამ კატეგორიებისა: «შეძლებულნი, გასასწორებელნი, მაჰმადიანი გოგონები, წვრილი სხვა ერისანნი, ფანატიკური სექტანტები, ბრმები, ყრუ-მუნჯნი, იდიოტები, ქრონიკულნი, გადამდებსენიანნი და დამნაშავენი» (231). ეს სია რომ წავიკითხეთ, გული ტკივილით შეგვეკუმშა: ღმერთო, გავიფიქრეთ ჩვენ, ნეტა მოვახერხებდეთ, რომ ახლობელნი მაინც მოვათავსოთ განთავისუფლებულთა სიაში! — პირველი კატეგორიით? — ალბათ, ფინანსები არ გვეყოფა! იქნებ შევძლოთ და მდედრობითი სქესი რაიმე ეშმაკობით მაჰმადიან გოგონებში ჩავრიცხოთ, მაგრამ მამრობითს რაღა ვუყოთ? ერთადერთი იმედი მე-3 კატეგორიაა. ბ-ნ იუჟაკოვის თანამოუურნალე თანამშრომელმა ბ-ნმა მიხაილოვსკიმ, როგორც ვიცით, პ. ბ. სტრუვე უკვე ჩარიცხა სხვა ერებში, იქნებ კეთილინებოს და ჩვენ ყველანი «წვრილ სხვა ერებს» მაინც მიგვაკუთვნოს ჩვენთა ახლობელთა გასათავისუფლებლად სამიწათმოქმედო გიმნაზიებისგან!

ბით თუ მივმართავთ, სადაც ეს საჭირო იქნება, კერძო და თვით გლეხთა მიწების სახაზინო მიწებზე გაცვლის სისტემას იმ მიზნით, რომ პირველნი სკოლებს მივცეთ, ალბათ, ძნელი როდი იქნებოდა ჩვენი სამიწათმოქმედო გიმნაზიების მუქთად უზრუნველყოფა მიწით. ასევე კარგადაა საქმე»... სამხრეთ-აღმოსავლეთშიც (231). ჰმ... «კარგადაო»! მაშასადამე, ისინი არხანგელსკის გუბერნიაში უნდა გავგზავნოთ! — მართალია, აქამდე ეს გუბერნია უფრო გადასახლების ადგილი იყო, და სახაზინო ტყეების უმეტესი ნაწილი იქ «მოწყობილიც» კი არაა, — მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. როგორც კი იქითკენ გიმნაზიელებსა და მათს განათლებულ მასწავლებლებს გაგზავნიან, ისინი მთელ ამ ტყეს გასჩეხენ, მიწას გასწმენდენ და კულტურას დანერგავენ!

ხოლო ცენტრალურ ოლქში შეიძლება მიწის გამოსყიდვა მოვაწყოთ: 80 მილიონ დესეტინაზე მეტი ხომ არაა. გამოვუშვათ «გარანტირებული ობლიგაციები». ხოლო მათი გადახდა, თავისთავად იგულისხმება, უნდა დაევალოს «გიმნაზიებს, რომლებმაც მიწები მუქთად მიიღეს» (232) — და საქმეც გაჩარხულია! ბ-ნი იუჟაკოვი გვარწმუნებს: ნურას გაშინებთ «ფინანსური ოპერაციის გრანდიოზულობა. იგი ქიმერასა და უტოპიას როდი წარმოადგენს» (232). ეს, «არსებითად, ჩინებულად უზრუნველყოფილი ჰიპოთეკა» იქნებაო. მართლაც-და, ამაზე მეტი უზრუნველყოფა რაღა გნებავთ! მაგრამ ერთხელ კიდევ: რა შუაშია აქ «უტოპია»? და ნუთუ ბ-ნი იუჟაკოვი ჩვენებურ გლეხებს სერიოზულად იმდენად დაბეჩავებულად და განუვითარებლად სთვლის, რომ ჰგონია მათგან ასეთ გეგმაზე თანხმობას მიიღებს?? ინებე და მიწის გამოსასყიდი ფულიც გადაიხადე, «პირველ ხანებში მოწყობისათვის სესხის გადახდაც» იკისრე *, ინებე და მთელი გიმნაზიაც შეინახე, ჯამაგირიც აძლიე ყველა მასწავლებელს; და ყველაფერ ამისთვის (ე. ი. იმისათვის, რომ მასწავლებ-

* გვ. 216. 10 000 მან. გიმნაზიახე.

ლები ხელფასზე დაიქირავეს?) ინებე და იმუშავე კიდევ სამ-სამი წელიწადი! ძალიან ბევრი ხომ არ გამოდის, ბ-ნო განათ-ლებულო «ნაროდნიკო»? ჩაუფიქრდით თუ არა, როდესაც 1897 წელს გადმობეჭდეთ თქვენი ქმნილება, გამოქვეყნებული ჟურნალ «რუსსკოე ბოგატსტვოში» 1895 წელს, — საით მიჰყავხართ სხვადასხვა საფინანსო ოპერაციისა და გამოს-ყიდვისადმი სიყვარულს, რომელიც ყველა ნაროდნიკს მოსდ-გამს? მკითხველო, გაიხსენეთ, რომ ჩვენ დაგვპირდნენ სა-ყოველთაო-სახალხო განათლებას «სახელმწიფოს, ერობისა და ხალხის მხრივ ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად». და ჩვენი გენიალური ფინანსისტი, მართლაც, გროშსაც არ მოი-თხოვს არც სახელმწიფოსაგან, არც ერობისაგან. მაგრამ «ხალ-ხისაგან»? ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შ ე უ ძ ლ ო გ ლ ე ხ თ ა გ ა ნ? * მათი ფულით მიწასაც ყიდულობენ, გიმ-ნაზიებსაც აწყობენ (ვინაიდან ისინი პროცენტებს იხდიან და საამისოდ დახარჯულ კაპიტალებს ნაწილ-ნაწილ ისტუმრე-ბენ), ისინივე აძლევენ ხელფასს მასწავლებლებს და ყველა გიმნაზიასაც ინახავენ. ამას ზედ ერთვის მუშაობით ანაზღაურე-ბაც. მერე რისთვის? — იმისათვისო, — გვიპასუხებს ულმობე-ლი ფინანსისტი, — რომ უმცროს კლასებში გიმნაზიელები თა-ვის განათლებასა და რჩენაში არას იხდიდნენო (204). მაგრამ, ჯერ-ერთი, არასამუშაო ასაკში ჩათვლილნი არიან მხოლოდ «მოსამზადებელი და ორი პირველი კლასი გიმნაზიისა» (206), ხოლო შემდგომ უკვე ნახევარმუშები არიან. მეორე, ამ ბავშ-ვებს ხომ მათივე უფროსი ძმები ინახავენ; ისინივე აძლევენ ხელფასს მასწავლებლებს უმცროსთა სწავლებისათვის. არა, ბ-ნო იუჟაკოვ, არათუ ახლა, არაკჩეევის დროსაც კი მსგავ-

* ვინაიდან შეძლებულნი ხომ გამორიცხულნი არიან. ბ-ნი იუჟაკოვი თვითონაც ეჭვობს: «ერთგვარი პროცენტი სასოფლო-სამეურნეო მოსახ-ლეობისაც ამჯობინებს თავისი ბავშვები ქალაქის ფასიან საშუალო სკო-ლებში მიაბაროს» (230). მოდი და ნუ ამჯობინებენ!

სი გეგმა სრულიად განუხორციელებელი იქნებოდა, ვინაიდან იგი მართლაც ბატონყმური «უტოპიაა».

რაც შეეხება გიმნაზიების გამგებლობას, ბ-ნი იუჟაკოვი ამაზე ძალიან ცოტა ცნობებს იძლევა. მართალია, მასწავლებელთა პერსონალი მან ზუსტად ჩამოთვალა და ყველა მათ «შედარებით ზომიერი» ჯამაგირი დაუნიშნა (ვინაიდან მათ აქვთ მზამზარეული ბინა, ბავშვების რჩენა, «ტანისამოსის ხარჯის ნახევარი») — შეიძლება, თქვენ ფიქრობთ წელიწადში 50 მანეთი თვითეულს? არა, ცოტა უფრო მეტი: «დირექტორს, დირექტრისას და მთავარ აგრონომს თითოს 2 400, ინსპექტორს» და სხვებს ჩინის საიერარქიო კიბის მიხედვით, დაბალ მოსამსახურეებს 200 მანეთამდე (214). როგორც ხედავთ, ცუდი კარიერა როდია განათლებული საზოგადოების იმ წარმომადგენელთათვის, რომელთაც სამიწათმოქმედო გიმნაზიას ქალაქის ფასიანი სკოლები «ამჯობინეს»! ყურადღება მიაქციეთ «ტანისამოსის ხარჯის ნახევარს», რომელიც ბ-ნ მასწავლებელთათვის უზრუნველყოფილია: ჩვენი ნაროდნიკის გეგმით ისინი ისარგებლებენ სახელოსნოებით (როგორც უკვე ვიცით), ე. ი. «გიმნაზიელებს» მისცემენ ტანისამოსს შესაკეთებლად და შესაკერავად. მართლაც-და, როგორ ზრუნავს ბ-ნი იუჟაკოვი... ბ-ნ მასწავლებლებზე? თუმცა ის «გიმნაზიელებზედაც» ზრუნავს, — ისე, როგორც კეთილი მეპატრონე ზრუნავს პირუტყვზე: მას უნდა აჭამო, ასვა, დააბინავო და... და დააგრილო. აი ინებეთ:

«თუ... ნებადართული იქნება ქორწინება კურსდამთავრებულთა და გიმნაზიასთან სამი წლით დარჩენილ ახალგაზრდათა შორის..., მაშინ გიმნაზიასთან სამი წლით დარჩენა ბევრად უფრო მსუბუქი იქნება სამხედრო ბეგარაზე» (207). «თუ ნებადართული იქნება ქორწინება»!! მაშასადამე, შეუძლიათ არც დართონ ნება? მაგრამ ამისთვის ხომ ახალი კანონია საჭირო, პატივცემულო ბ-ნო პროგრესისტო, კანონი, რომელიც გლეხთა სამოქალაქო უფლებებს ზღუდავს. მაგრამ შეიძლება განა გაგვიკვირდეს ბ-ნ იუჟაკოვის ასეთი «წამოცდენა» (?),

როცა მას მთელ თავის «უტოპიაში», მასწავლებელთა ჯამაგირის, გიმნაზიელების მხრივ მუშაობით ანაზღაურების და სხვ. საკითხების ფრიად დაწვრილებითი განხილვის დროს ერთხელაც არ გახსენებია, რომ ცოდვა როდი იქნებოდა — ყოველ შემთხვევაში «უტოპიაში» მაინც — ზოგიერთი უფლება მიენიჭებინა «გიმნაზიის» მმართველობასა და მეურნეობის გაძღოლაში თვით «მოწაფეთათვის», ისინი ხომ თვითონ ინახავენ მთელ სასწავლებელს და ამთავრებენ მას 23 — 25 წლის ასაკში, ისინი ხომ არა მარტო «გიმნაზიელები», არამედ მ ო ქ ა ლ ა ქ ე ნ ი ც არიან. ეს წვრილმანი ჩვენს ნაროდნიკს მთლად დავიწყებია! სამაგიეროდ აი ცუდი ყოფაქცევის «მოწაფეთა» საკითხი მას ზედმიწევნით დაუმუშავებია. «მეოთხე ტიპი (გიმნაზიებისა) უნდა დავაარსოთ იმ მოწაფეთათვის, რომელნიც ცუდი ყოფაქცევისათვის ჩვეულებრივი გიმნაზიებიდან გაირიცხებიან. ვალდებულად ვხდით რა მთელ ახალგაზრდათაობას გაიაროს საშუალო განათლების კურსი, არარაციონალური იქნებოდა მისგან განთავისუფლება ცუდი ყოფაქცევისთვის. უფროსი კლასებისათვის ეს შეიძლება ცთუნებად და ცუდი ყოფაქცევის წახალისებად გადაიქცეს. (ღმერთმანი, სწორედ ასეა დაბეჭდილი 229 გვერდზე!!) ცუდი ყოფაქცევის გამო გარიცხულთათვის განსაკუთრებული გიმნაზიების დაარსება მთელი სისტემის ლოგიკური დამატება იქნებოდა». მათ «გამასწორებელი გიმნაზიები» დაერქმეოდათ (230).

მართლაც-და, რა უებროა რუსული ყაიდის ეს «საგანმანათლებლო უტოპია» გამასწორებელი გიმნაზიებით იმ ავაზაკებისთვის, რომელნიც შეიძლება «აცთუნოს»... განათლებისაგან «განთავისუფლების» პერსპექტივამ!?

VI

მკითხველებს, შეიძლება, არ დავიწყებიათ მრეწველობის ხელმძღვანელობის ერთი პროექტი, რომელიც სამართლიანად დახასიათებულია როგორც მერკანტილიზმის აღორძინება, როგორც «ჩვენებური მრეწველობის ბურჟუაზიულ-ბიუროკრა-

ტიულ-სოციალისტური ორგანიზაციის» პროექტი (გვ. 238). ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმის» დასახასიათებლად კიდევ უფრო რთული ტერმინის ხმარება გვიხდება. ჩვენ გვიხდება ამ გეგმას ვუწოდოთ — ბ´ა ტ ო ნ ყ მ უ რ-ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი უ ლ-ბ უ რ-ჟ უ ა ზ ი უ ლ-ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ექსპერიმენტი. საკმაოდ უშნო, ოთხსართულიანი ტერმინია, მაგრამ რას იზამთ? თვით გეგმაც ხომ უშნოა. სამაგიეროდ ეს ტერმინი ზუსტად გადმოგვცემს ბ-ნ იუჟაკოვის «უტოპიის» ყველა დამახასიათებელ თვისებას. დავიწყოთ განხილვა მე-4 სართულიდან. «სოციალიზმის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი გაგების ერთ-ერთი ძირითადი ნიშნეულობაა — საზოგადოებრივი წარმოების გეგმაშეწონილი მოწესრიგება» — სამართლიანად ამბობს ზემოხსენებული ავტორი *. «უტოპიაში» არის ეს ნიშნეულობა, ვინაიდან ათეული მილიონობით მუშათა მეურნეობა იქ წინასწარ ეწყობა ერთი საერთო გეგმით. უტოპიის ბურჟუაზიული ხასიათი ეჭვს გარეშეა: ჯერ-ერთი, საშუალო სკოლა ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმით» კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ს კ ო ლ ა დ რ ჩ ე ბ ა. და ეს ყველა იმ მაღალფარდოვანი ფრაზების შემდეგ, რასაც ბ-ნი იუჟაკოვი ისროდა თავის პირველ სტატიაში კლასობრივი სკოლის «წინააღმდეგ»! შეძლებულთათვის ერთი სკოლა, ხელმოკლეთათვის — მეორე; ფული გაქვს — სწავლის ფული გადაიხადე, არა გაქვს — მაშ იმუშავეო. ესეც ცოტაა: შეძლებულთათვის, როგორც დავინახეთ, დატოვებულია «ახლანდელი ტიპი». ახლანდელ საშუალო სკოლებში, მაგალითად, სახ. განათლების სამინისტროს სკოლებში, სწავლის ფული ჰფარავს მთელი ხარჯების მხოლოდ 28,7%-ს, 40,0%-ს — ხაზინა იძლევა; 21,8% — დახმარება ცალკე პირთა, დაწესებულებათა და საზოგადოებათაგან; 3,1% — კაპიტალის პროცენტი და 6,4% — დანარჩენი წყაროები («საწარმოო ძალები», განყ. XIX, გვ. 35). მაშასადამე, ბ-ნმა იუჟაკოვმა საშუალო სკოლის კლასობრივი ხასიათი ა ხ ლ ა ნ დ ე ლ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ კ ი დ ე ვ უ ფ რ ო გ ა ა ძ ლ ი ე რ ა: მისი «გეგმით» შეძლებულნი გადაიხდიან

* «ნოვოე სლოვო», 1897 წ. აპრილი. შინაური მიმოხილვა.

თავისი სწავლის ღირებულების მხოლოდ 28,7%-ს, ხოლო ხელმოკლენი — თავისი სწავლის მთელ ღირებულებას და ამას გარდა სამუშაოსაც შეასრულებენ დამატებით! განა ცუდია ეს «ნაროდნიკული» უტოპიისათვის? მე-2, გეგმით გათვალისწინებულია გიმნაზიის მიერ ზამთრის მუშების დაქირავება — განსაკუთრებით უმიწაწყლო გლეხთა წრიდან. მე-3, დატოვებულია წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის — შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ეს საფუძველი. რაკი ბ-ნი იუჟაკოვი იცავს საზოგადოებრივი შრომის გეგმაშეწონილ ორგანიზაციას, რაკი ის სწერს «უტოპიას» სწავლებისა და ნაყოფიერი შრომის შეერთებაზე, — ამ წინააღმდეგობის შენარჩუნება აბსურდია, მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენს ავტორს არა გაეგება რა იმ საგნისა, რომლის განხილვაც უკისრნია. არა თუ ახლანდელ მოსწავლეთა «მასწავლებლებს» უწერიათ ამ აბსურდის წინააღმდეგ, არამედ ძველ უტოპისტებსაც, და ჩვენს რუს დიდ უტოპისტსაც კი[98]. ბ-ნ იუჟაკოვს ამასთან არა ესაქმება რა! მეოთხე, — და ეს ყველაზე ღრმა საფუძველია იმისათვის, რომ «უტოპიას» ბურჟუაზიული ვუწოდოთ, — მასში საზოგადოებრივი წარმოების გეგმაშეწონილი ორგანიზაციის ცდის გვერდით დატოვებულია სასაქონლო წარმოებაც. გიმნაზიები პროდუქტებს ამზადებენ საბაზრო. მაშასადამე, საზოგადოებრივი წარმოების გამგებელი იქნება ბაზრის კანონები, რომელთაც «გიმნაზიებიც» უნდა დაემორჩილონ! ბ-ნ იუჟაკოვს ამასთან არა ესაქმება რა! საიდან მოჭორეთო, — შეიძლება სთქვას მან, — რომ წარმოების გამგებელი ბაზრის რაღაც კანონები იქნებაო? ეგ ყველაფერი ლათაიებია! წარმოების გამგებელი იქნება არა ბაზრის კანონები, არამედ სამიწათმოქმედო გიმნაზიების ბ-ნ დირექტორთა განკარგულებები. Voilà tout*. — ბ-ნ იუჟაკოვის უტოპიური გიმნაზიების წმინდა ბიუროკრატიულ მოწყობაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. ნება გვიბოძეთ იმედი ვიქონიოთ, რომ «საგანმანათლებლო უტოპია» სასარგებლო სამსახურს გაუწევს რუს მკითხველ სა-

* — ესაა და ეს. რედ.

ზოგადოებას, უჩვენებს რა მას, თუ რამდენად ღრმაა თანამედროვე ნაროდნიკების «დემოკრატიზმი». — ბატონყმურ ნიშანს ბ-ნ იუჟაკოვის «გეგმაში» წარმოადგენს ხელმოკლეთა მხრივ სწავლის ფულის მუშაობით ანაზღაურება. ამგვარი პროექტი რომ თანმიმდევარ ბურჟუას დაეწერა, მას არც 1-ლი, არც მე-2 სართული არ ექნებოდა, პროექტიც ასეთ ნაროდნიკულ უტოპიაზე განუზომლად უფრო მაღლა იდგებოდა და განუზომლად უფრო სასარგებლოც იქნებოდა. მუშაობით ანაზღაურება — ბატონყმური წყობილების სამეურნეო დედაარსია. კაპიტალისტურ წყობილებაში ხელმოკლე ადამიანმა თავისი სამუშაო ძალა უნდა გაჰყიდოს, რათა საარსებო საშუალებანი იყიდოს. ბატონყმურ წყობილებაში ხელმოკლემ მუშაობით უნდა მოიპოვოს ის საარსებო საშუალებანი, რაც მას მემამულისაგან მიეღია. მუშაობით ანაზღაურება აუცილებლად მოითხოვს აიძულო იმუშაოს, მომუშავის არასრულუფლებიანობას, იმას, რასაც «კაპიტალის» ავტორი «ausserökonomischer Zwang»-ს* უწოდებს (III, 2, 324). ამიტომ რუსეთშიც, რამდენადაც დარჩენილა და რჩება მუშაობით ანაზღაურება — მისი აუცილებელი დამატებაა გლეხის მოქალაქობრივი არასრულუფლებიანობა, მიწაზე მიმაგრება, ფიზიკური სასჯელი, სამუშაოდ გაგზავნის უფლება. ბ-ნ იუჟაკოვს მუშაობით ანაზღაურებასა და არასრულუფლებიანობას შორის ეს არსებული კავშირი არ ესმის, მაგრამ «პრაქტიკული» ადამიანის ალღო უკარნახებს მას, რომ გიმნაზიელთა მხრივ მუშაობით ანაზღაურების დროს ცუდი არ იქნება გამასწორებელი გიმნაზიების შემოღება იმათთვის, ვინც გაბედავს და განათლებას თავს აარიდებს; რომ დიდწლოვანი «გიმნაზიელი»-მუშები ბიჭუნა-მოწაფეთა მდგომარეობაში უნდა დარჩნენ.

და საკითხავია, რისთვის დასჭირდა ჩვენს უტოპისტს მისი ქმნილების პირველი სამი სართული? დაეტოვებინა მარტო მეოთხე სართული, — მაშინ ვერავინ კრინტსაც ვერ დასძრავდა მის წინააღმდეგ, ვინაიდან მან ხომ თვითონვე პირდაპირ და

* — გარეეკონომიური იძულება. რ ე დ.

წინასწარ სთქვა, «უტოპიას» ვწერო! მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი მისმა Kleinbürger-ულმა ბუნებამ. ერთი მხრივ, «უტოპიაც» — კარგი რამაა, მეორე მხრივ, მასწავლებელთა ჰონორარებიც ქალბატონ ინტელიგენციისათვის — ცუდი საქმე როდია. ერთი მხრივ — «ხალხის მიერ ყოველგვარი ხარჯების გაუწევლად», — ხოლო მეორე მხრივ — არა, ჩემო ძამია, პროცენტები და დასაფარავი თანხებიც მთლიანად გადაიხადე, და გარდა ამისა სამ წელიწადსაც იმუშავეო. ერთი მხრივ — მაღალფარდოვანი დეკლამაციები კლასობრივი დაქუცმაცების საშიშროებისა და მავნეობის შესახებ, მეორე მხრივ — წმინდა კლასობრივი «უტოპია». სწორედ ეს მარადი მერყეობა ძველსა და ახალს შორის, ეს კურიოზული პრეტენზიები საკუთარ თავს გადახტომისა, ე. ი. ყოველგვარ კლასზე მაღლა დადგომისა — ყოველგვარი Kleinbürger-ული მსოფლმხედველობის დედაარსია.

* * *

იცნობთ თუ არა, მკითხველო, ბ-ნ სერგეი შარაპოვის ნაწარმოებს: «რუსი სოფლის მეურნე. რამდენიმე აზრი რუსეთში ახალ საფუძვლებზე მეურნეობის მოწყობის შესახებ» (ჟურნ. «სეევერის» 1894 წ. უფასო დამატება), სპბ. 1894 წ.? «რუსსკოე ბოგატსტვოს» თანამშრომლებს საზოგადოდ და კერძოდ ბ-ნ იუჟაკოვს ჩვენ ძალიან ვურჩევთ გაეცნონ მას. მისი პირველი თავის სათაურია: «რუსეთის მეურნეობის ზნეობრივი პირობები». ავტორი აქ ღეჭავს «ნაროდნიკობასთან» ძალიან ახლო მდგომ იდეებს დასავლეთ ევროპისაგან რუსეთის ძირითადი განსხვავების, დასავლეთში მშრალი კომერციული ანგარიშიანობის სიჭარბის, იქაური მეპატრონეებისა და მუშებისთვის ყოველგვარი ზნეობრივი საკითხების უქონლობის შესახებ. პირიქით, რუსეთში 1861 წელს გლეხებისთვის მიწების მიცემის წყალობით «მათი არსებობისათვის სულ სხვანაირი მიზანი დაისახა, ვიდრე დასავლეთში» (8). «ჩვენებურ გლეხს, რომელმაც მიწა მიიღო, ყოფის დამოუკიდებელი მიზანი გაუჩნდა». ერთი სიტყვით, მოხდა სახალხო წარმოების სანქცია, —

როგორც ბევრად უფრო მკაფიოდ სთქვა ბ-ნმა ნიკოლაი—ონმა. ჩვენებური მემამულეო, — განაგრძობს თავისი აზრის განვითარებას ბ-ნი შარაპოვი, — დაინტერესებულია გლეხის კეთილდღეობით, ვინაიდან იგივე გლეხი თავისი ინვენტარით ამუშავებს მემამულის მიწებს. «მის (მემამულის) ანგარიშში, გარდა საწარმოს კერძო სარფიანობის მოსაზრებებისა, შედის ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი, უფრო სწორად — ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი ც» (12. ხაზგასმა ავტორისაა). და ბ-ნი შარაპოვი პათოსით (რომელიც ბ-ნ იუჟაკოვის პათოსს არ ჩამოუვარდება) ლაპარაკობს ჩვენში კაპიტალიზმის შეუძლებლობაზე: ჩვენში კაპიტალიზმის მაგივრად შესაძლებელი და საჭიროა «ბატონისა და გლეხის კავშირი» (ბ-ნ შარაპოვის წიგნის მეორე თავის სათაური). «მეურნეობა აგებულ უნდა იქნას ბატონისა და გლეხის მჭიდრო სოლიდარობაზე» (25): ბატონს კულტურას უნდა ნერგავდეს, ხოლო გლეხმა... გლეხმა, რასაკვირველია, უნდა იმუშაოსო! და აი მან, ბ-ნმა სერგეი შარაპოვმა, «ხანგრძლივი და მტანჯველი შეცდომების» შემდეგ, ბოლოს და ბოლოს განახორციელა თავის მამულში «ბატონისა და გლეხის ზემოხსენებული ერთობა» (26). მან შემოიღო რაციონალური თესლბრუნვა და სხვ. და სხვ., გლეხებთან კი ასეთი ხელშეკრულება დასდო: გლეხები მემამულისაგან იღებენ მდელოებს, საძოვრებსა და სახნავ მიწას პლუს ამდენი და ამდენი დესეტინის სათესლე და სხვ. გლეხები კი ვალდებულნი არიან შეასრულონ მემამულის ყველა სამეურნეო სამუშაო (გაიტანონ ნაკელი, მოაყარონ ფოსფორიტი, დახნან, დასთესონ, აიღონ, «ჩემს ბელელში» მიიტანონ, გალეწონ და სხვ. და სხვ. ამდენი და ამდენი დესეტინა სხვადასხვა პურეული) და ამას გარდა ჯერ გადაიხადონ 600 მანეთი, შემდეგ 800, 850, 1 100, 1 200 მანეთი (ე. ი. ყოველწლიურად მომატება). ამ ფულის გადახდას ვადები აქვს... სათავადაზნაურო ბანკში პროცენტების შეტანასთან შეფარდებით (36 გვ. და შემდ.). ავტორი, თავისთავად იგულისხმება, «სოფლის თემის დარწმუნებული მომხრეა» (37). ჩვენ ვამბობთ: «თავისთავად იგულისხმებაო»,

ვინაიდან ნადელზე გლეხთა მიმაგრებისა და გლეხური თემის წოდებრივი კარჩაკეტილობის შესახებ კანონთა უქონლობის დროს მეურნეობის მსგავსი ტიპები შეუძლებელი იქნებოდა. გლეხებისგან გადასახდელთა მიღების უზრუნველსაყოფად ბ-ნ შარაპოვს მიუჩნევია ის, რომ «მისი მონაწილეობის გარეშე ნება არა აქვთ მზა პროდუქტები გაჰყიდონ, რის გამოც აუცილებელი ხდება ყოველივე ეს თავის ბეღელში ჩაიყაროს და დაიწყოს» (36). ვინაიდან ღარიბებისგან გადასახდელთა მიღება ძალიან ძნელი იქნებოდა, ბ-ნმა შარაპოვმა ისე მოაწყო, რომ ამ გადასახდელებს იგი მდიდარი გლეხებისგან იღებს: ეს მდიდარი გლეხები თვითონვე შეარჩევენ ხოლმე თავისთვის ხელმოკლეთა ჯგუფს, დგებიან ამ არტელის სათავეში (38) და მემამულეს ფულს სიტყვაშეუბრუნებლივ აძლევენ, იმიტომ რომ ღარიბისაგან ისინი ყოველთვის შესძლებენ ფული პროდუქტების გაყიდვის დროს მიიღონ (39). «ბევრი ღარიბისთვის, განსაკუთრებით მცირეოჯახიანთათვის, ძალიან მძიმეა ჩემი სამუშაოს შესრულება. მათ უხდებათ ძალიან და ძალიან დაძაბვა, მაგრამ თავს ვერ აარიდებენ, — გლეხები ნახირში არ მიიღებენ იმ მეოჯახის პირუტყვს, რომელიც მუშაობას თავს აარიდებს. არც მე მივიღებ, ამით გლეხები მე სამსახურს მიწევენ, და ღარიბიც ძალაუნებურად მუშაობს. ეს, რა თქმა უნდა, ერთგვარი ძალადობაა, მაგრამ იცით რა შედეგი მოსდევს მას? ერთი-ორი წელიწადი იჯარა — და ღარიბს უკვე სახაზინო გადასახადთა ნარჩენებიც გადახდილი აქვს, ნივთებიც გირაოდან გამოყიდულია, თავისუფალი გროშებიც უჩნდება, ქოხიც გადაკეთებულია... გაიხედავ, და იგი სიღატაკიდან გამოსულა კიდეც» (39). და ბ-ნი შარაპოვი «ამაყად აღნიშნავს», რომ «მისი» გლეხები (იგი არა ერთხელ ამბობს — «ჩემი გლეხები») კეთილდღეობაში არიან, რომ იგი კულტურას ნერგავს, შემოაქვს სამყურას თესვა, ფოსფორიტი და სხვ., «გლეხები კი თვითონ ვერაფერს გააკეთებენ» (35). «ამასთანავე ყველა სამუშაო უნდა ხდებოდეს ჩემი განკარგულებითა და მითითებით. მე ვნიშნავ თესვის, ნა-

კელის გატანის, თიბვის დღეებს. მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვენში თითქმის აღდგენილია ხოლმე ბატონყმობა, გარდა, რა თქმა უნდა, ცხვირ-პირის მტვრევისა და საჯინიბოში გაწკეპლვისა» (გვ. 29).

როგორც ხედავთ, წრფელი მეპატრონე ბ-ნი შარაპოვი ცოტა უფრო გულახდილია, ვიდრე განათლებული პუბლიცისტი ბ-ნი იუჟაკოვი. და მერე განა დიდი განსხვავებაა პირველის მამულისა და მეორის უტოპიის მეურნეობის ტიპთა შორის? იქაც და აქაც საქმის მთელი არსი სწორედ მუშაობით ანაზღაურებაა; იქაც და აქაც ჩვენ ვხედავთ — იძულებას ან «თემის» მესვეურ მდიდართა ზეგავლენით, ანდა მუქარით, რომ გამასწორებელ გიმნაზიაში მიგცემთო. — იქნებ მკითხველმა სთქვას, რომ ბ-ნი შარაპოვი მეურნეობას სარფის გულისათვის, ხოლო ბ-ნ იუჟაკოვის უტოპიის მოხელეები მეურნეობას ეწევიან საერთო კეთილდღეობის სიყვარულის გამოო? — უკაცრავად. ბ-ნი შარაპოვი პირდაპირ ამბობს: მე მეურნეობას ვუძღვები ზნეობრივი მოტივების გამო, ნახევარ შემოსავალს გლეხებს ვაძლევო და სხვ. — და ჩვენ არა გვაქვს არც უფლება, არც საფუძველი მას უფრო ნაკლებად დავუჯეროთ, ვიდრე ბ-ნ იუჟაკოვს, რომელმაც თვითონაც ხომ უზრუნველჰყო თავისი უტოპიური მასწავლებლები სრულიადაც არა უტოპიური «შემოსავლიანი ადგილით». ხოლო თუ ზოგიერთი მემამულე ბ-ნ იუჟაკოვის რჩევას გაჰყვება და თავის მიწას დასთმობს სამიწათმოქმედო გიმნაზიისათვის, მიიღებს რა «გიმნაზიელებისგან» პროცენტებს სათავადაზნაურო ბანკში შესატანად — («ჩინებულად უზრუნველყოფილი ჰიპოთეკაა», თვით ბ-ნ იუჟაკოვის სიტყვით), — მაშინ განსხვავება თითქმის სულ გაჰქრება. რჩება, რა თქმა უნდა, უდიდესი განსხვავება «განათლების საკითხში», მაგრამ, ერთი გვიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, ნუთუ ბ-ნი სერგეი შარაპოვიც არ ამჯობინებდა განათლებული მოჯამაგირეები დაექირავებინა 50 მანეთად, ვიდრე გაუნათლებელნი — 60 მანეთად?

და აი, თუ ბ-ნ მანუილოვს ახლაც არ ესმის, რატომაა, რომ

რუს (და არა მარტო რუს) მოწაფეებს აუცილებლად მიაჩნიათ, შრომის ინტერესების გულისთვის, მხარი დაუჭირონ თანმიმდევარ ბურჟუებსა და თანმიმდევარ ბურჟუაზიულ იდეებს — წინააღმდეგ ძველი დროის იმ ნაშთებისა, რომელნიც ბატონ შარაპოვთა მეურნეობებს და ბატონ იუჟაკოვების «უტოპიებს» წარმოშობენ, — მაშინ, უნდა აღვიაროთ, ჩვენთვის ძნელი იქნება მასთან ლაპარაკიც კი, ვინაიდან ჩვენ, როგორც სჩანს, სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. ბ-ნი მანუილოვი მსჯელობს, ალბათ, განთქმული ბ-ნ მიხაილოვსკის განთქმული რეცეპტით: რაც კარგია, იქიდანაც უნდა აიღო და აქედანაც, — მსგავსად გოგოლის პატარძლისა, რომელსაც სურდა ერთი საქმროს ცხვირი მეორის ნიკაპზე მიეკრა. ჩვენ კი გვგონია, რომ მსგავსი მსჯელობა — ეს არის მხოლოდ Kleinbürger -ის კომიკური პრეტენზია დადგეს განსაზღვრულ კლასებზე შაღლა, იმ კლასებზე, რომელნიც საკვლებით ჩამოყალიბდნენ ჩვენს ხინამდვილეში და საკვლებით გარკვეული ადგილი დაიკავეს ისტორიული განვითარების იმ პროცესში, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება. ამგვარი მსჯელობიდან ბუნებრივად და აუცილებლად აღმოცენებული «უტოპიები» უკვე კომიკურნი კი არა, მავნენი არიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ მივყავართ უკიდურესად თავაშვებულ ბიუროკრატიულ ლათაიებამდე. რუსეთში მსგავსი მოვლენა, საკვლებით გასაგებ მიზეზთა გამო, განსაკუთრებით ხშირია, მაგრამ იგი რუსეთით როდი განისაზღვრება. ტყუილად კი არ ამბობს ანტონიო ლაბრიოლა თავის მშვენიერ წიგნში: «Essais sur la conception matérialiste de l'histoire» (Paris, Giard et Brière, 1897) *, მხედველობაში ჰყავს რა პრუსია: უტოპიათა იმ მავნე ფორმებს, რომელთაც ნახევარი საუკუნის წინათ «მასწავლებელნი» ებრძოდნენ, ახლა მიემატა კიდევ ერთი: «ბიუროკრატიული და ფისკალური უტოპია, კრეტინების უტოპია» (l'utopie bureaucratique et fiscale, l'utopie des crétins. Page 105, note).

* — «ნარკვევები ისტორიის მატერიალისტური გაგებისა» (პარიზი. გამ. ჟიარისა და ბრიერისა, 1897). რ ე დ.

VII

დასასრულ ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ განათლების საკითხებს, — მაგრამ არა ბ-ნ იუჟაკოვის წიგნს, რომელსაც ასეთი სათაური აქვს. უკვე შევნიშნეთ, რომ ეს სათაური ძალიან ფართოა, ვინაიდან განათლების საკითხებს სრულიადაც ვერ ჰფარავს სკოლის საკითხები, განათლება სრულიადაც არ განისაზღვრება სკოლით. ბ-ნი იუჟაკოვი «განათლების საკითხებს» მართლა პრინციპულად რომ აყენებდეს და სხვადასხვა კლასების ურთიერთობას არკვევდეს, იგი გვერდს ვერ აუვლიდა რუსეთის კაპიტალისტური განვითარების როლის საკითხს მშრომელი მასების განათლების საკითხის განხილვისას. ამ საკითხს შეეხო «რუს. ბოგატსტვოს» მეორე თანამშრომელი, ბ-ნი მიხაილოვსკი, 1897 წ. № 11-ში. ბ-ნ Novus-ის[89] სიტყვების გამო, რომ მარქსს არ შინებია, და სრული უფლებაც ჰქონდა არ შინებოდა, «სოფლის ცხოვრების იდიოტიზმზე» წერისა[140], და კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის დამსახურებად «ამ იდიოტიზმის დამსხვრევა» მიაჩნდაო, ბ-ნი მიხაილოვსკი სწერს:

«მე არ ვიცი, სახელდობრ სად უწერია მარქსს ეს უხეში (?) სიტყვები»... დამახასიათებელი აღიარებაა იმისა, რომ იგი არ იცნობს მარქსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს (სახელდობრ «მანიფესტს»)! მაგრამ კიდევ უფრო დამახასიათებელი შემდეგია: «...მაგრამ დიდი ხანია ცნობილია, რომ თუმცა ალექსანდრე მაკედონელი დიდი გმირი იყო, მაგრამ სკამების მტვრევა მაინც საჭირო არ არის. მარქსი საზოგადოდ გამოთქმაში მოურიდებელი იყო, და, რა თქმა უნდა, მისთვის ამ მხრივ მიბაძვა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, უჭკუობაა. მაგრამ მე იმაშიც კი ვარ დარწმუნებული (უსმინეთ!), რომ ხსენებული გამოთქმა მარქსისათვის უბრალო კაპრიზია. და თუ თაობას, რომელიც ბ-ნ ზლატოვრატსკისთან ერთად თავს იტეხდა სოფლის ცხოვრების რთული საკითხების გამო, ბევრი ამაო ვაება ჰხვდა, მაშინ ვაი — თუმცა სხვანაირი ვაი —

იმ თაობასაც, რომელსაც ისე აღზრდიან, რომ ზიზღს ჩაუნერგავენ «სოფლის ცხოვრების იდიოტიზმისადმი»»... (გვ. 139).

უაღრესად დამახასიათებელია ბ-ნ მიხაილოვსკისათვის, რომელსაც არა ერთხელ გამოუცხადებია, მარქსის ეკონომიურ დოქტრინას ვეთანხმებიო, ამ დოქტრინის სრული გაუგებლობა, რაც ნებას აძლევს მას «დარწმუნებით» განაცხადოს: მარქსის სიტყვები, მოყვანილი Novus-ის მიერ — უბრალო გატაცების, გამოთქმაში უბრალო მოურიდებლობის შედეგია, უბრალო კაპრიზიაო! არა, ბ-ნო მიხაილოვსკი, სასტიკად სცდებით. მარქსის ეს სიტყვები — კაპრიზი კი არაა, არამედ გამოხატულებაა მთელი მისი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნისა. ამ სიტყვებში ნათლად არის გამოხატული აღიარება მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ, სოფლებიდან ქალაქებისაკენ მოსახლეობის მიზიდულობის იმ პროცესის პ რ ო გ რ ე ს უ ლ ო ბ ი ს ა, რაც ერთ-ერთი უაღრესად დამახასიათებელი ნიშანია კაპიტალისტური განვითარებისა, რომელსაც ჩვენ ვამჩნევთ დასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც. სტატიაში: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» მე უკვე ვილაპარაკე იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარქსის ამ შეხედულებას, რომელსაც ყველა «მოწაფე» აღიარებს, რა მკვეთრად ეწინააღმდეგება იგი ყველა და ყოველგვარ რომანტიკულ თეორიას, დაწყებული მოხუცი სისმონდით და გათავებული ბ-ნ ნ. — ონით. იქვე აღნიშნული იყო (გვ. 39[101]), რომ ეს შეხედულება მარქსს სავსებით გარკვეულად აქვს გამოხატული «კაპიტალშიც» (I Band, 2-te Aufl., S. 527 — 528 *), აგრეთვე ენგელსს თხზულებაში: «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». აქ შეიძლება დავუმატოთ კიდევ მარქსის თხზულება: « Der Achtzehnte Brumaire des Louis Bonaparte»

* — ტ. I, მე-2 გამ., გვ. 527 — 528 [102]. რ ე დ.

(Hamb. 1885. Cf. S. 98 *) **. ორივე ამ მწერალმა ისე დაწვრილებით გაგვაცნეს თავიანთი შეხედულებანი ამ საკითხზე, ისინი ისე ხშირად იმეორებდნენ თავიანთ აზრს სულ სხვადასხვა გარემოებათა გამო, რომ მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელიც სრულიად არ იცნობს მათს მოძღვრებას, შეიძლებოდა აზრად მოსვლოდა იდეა — სიტყვა «იდიოტიზმი» ზემოხსენებულ ამონაწერში უბრალო «უხეშობად» და «კაპრიზად» გამოეცხადებინა. ბოლოს, ბ-ნ მიხაილოვსკის შეეძლო გაეხსენებინა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამ მწერალთა ყველა მიმდევარი მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გამო ყოველთვის ამ მოძღვრების მიმართულებით ლაპარაკობდა, როცა იცავდა, მაგალითად, მიმოსვლის სრულ თავისუფლებას, ილაშქრებდა იმ პროექტების წინააღმდეგ, რომელთა მიხედვით თვითეულ მუშას უნდა მისცემოდა მიწის პაწია ნაკვეთი ან საკუთარი სახლი და სხვ.

შემდეგ ზემოხსენებულ ამონაწერში ბ-ნი მიხაილოვსკი Novus-ს და მის თანამოაზრეებს ბრალსა სდებს იმაში, რომ ისინი ვითომ თანამედროვე თაობას ისე ზრდიან, რომ «ზიზღს უნერგავენ სოფლის ცხოვრების იდიოტიზმისადმი». ეს ტყუილია. «მოწაფეები», რა თქმა უნდა, დაგმობის ღირსნი იქნებოდნენ, მათ რომ «ზიზღით» დაეწყოთ ცქერა გაჭირ-

---

* «მეთვრამეტე ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» (ჰამბურგი. 1885. შეად. გვ. 98) [103]. რ ე დ.

** ბ-ნი Novus-ი, რა თქმა უნდა, ვერ იფიქრებდა, რომ ბ-ნი მიხაილოვსკი ამდენად არ იცნობდა მარქსის თხზულებებს, თორემ იგი მის მთელ ფრაზას ამოსწერდა: Die Bourgeoisie hat das Land der Herrschaft der Stadt unterworfen. Sie hat enorme Städte geschaffen, sie hat die Zahl der städtischen Bevölkerung gegenüber der ländlichen in hohem Grade vermehrt und so einen bedeutenden Theil der Bevölkerung dem Idiotismus des Landlebens entrissen. (ბურჟუაზიამ სოფელი ქალაქის ბატონობას დაუმორჩილა. მან შეჰქმნა უზარმაზარი ქალაქები, უაღრესად გაამრავლა ქალაქის მოსახლეობა სოფლის მოსახლეობასთან შედარებით და ამრიგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოგლიჯა სოფლის ცხოვრების იდიოტიზმს. — «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». რ ე დ.)

ვებითა და სიბნელით დაბეჩავებული სოფლელი მცხოვრებისათვის; მაგრამ ვერც ერთს მათგანს ბ-ნი მიხაილოვსკი ვერ დაუმტკიცებს ამგვარ მოპყრობას. მოწაფეები რომ «სოფლის ცხოვრების იდიოტიზმზე ლაპარაკობენ», იმავე დროს ისინი მიუთითებენ, თუ რა გამოსავალს ჰქმნის ამ მდგომარეობიდან კაპიტალიზმის განვითარება. განვიმეოროთ, რაც ზემოთ იყო ნათქვამი სტატიაში ეკონომიური რომანტიზმის შესახებ: «თუ ქალაქის უპირატესობა აუცილებელია, მხოლოდ ქალაქებში მოსახლეობის მიზიდვას შეუძლია უვნებელჰყოს (და მართლაც, როგორც ისტორია ამტკიცებს, უვნებელჰყოფს) ამ უპირატესობის ცალმხრივი ხასიათი. თუ ქალაქი თავის თავს აუცილებელ პრივილეგიურ მდგომარეობას უქმნის, ხოლო სოფელს სტოვებს დამორჩილებულს, განუვითარებელს, უმწეოსა და დაბეჩავებულს, მაშინ სოფლის მოსახლეობის უმწეო მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მოსახლეობის დენას ქალაქებისკენ, მხოლოდ და მხოლოდ მიწათმოქმედი და არამიწათმოქმედი მოსახლეობის შერევასა და შეერთებას. ამიტომ პასუხად რომანტიკოსთა რეაქციული წუწუნისა და დრტვინვისა უახლესი თეორია მიგვითითებს იმაზე, თუ მიწათმოქმედი და არამიწათმოქმედი მოსახლეობის ცხოვრების პირობების სწორედ ეს დაახლოება როგორ ჰქმნის პირობებს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული წინააღმდეგობის მოსასპობად» *.

ეს სრულიადაც არ არის ზიზღით მოპყრობა «სოფლის ცხოვრების იდიოტიზმისადმი», არამედ ეს არის სურვილი მისგან თავის დაღწევის გამონახვისა. ამ შეხედულებებიდან გამომდინარეობს მხოლოდ «ზიზღით მოპყრობა» იმ მოძღვრებათადმი, რომელნიც გვირჩევენ «ვეძიოთ გზანი სამშობლოსათვის» — იმის მაგივრად, რომ გამოსავალი ა რ ს ე ბ უ ლ გზასა და მის შემდგომ მსვლელობაში ვეძიოთ.

მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ მოსახლეობის მიზიდულობის პროცესის მნიშვნელობის საკითხის გამო ნა-

* — იხ. ეს ტომი, გვ. 275 — 276. რ ე დ.

როდნიკთა და «მოწაფეთა» შორის არსებული განსხვავება მდგომარეობს არა მხოლოდ პრინციპულ თეორიულ უთანხმოებასა და რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის ფაქტების სხვადასხვანაირ შეფასებაში, არამედ ამ პროცესთან დაკავშირებული პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ს გადაწყვეტაშიც. «მოწაფეები», ბუნებრივია, დაჟინებით მოითხოვენ სოფლებიდან ქალაქებში გლეხთა გადასვლისა და დასახლების ყველა მოძველებული შეზღუდვის გაუქმებას; ნაროდნიკები კი ან აშკარად იცავენ ამ შეზღუდვას, ანდა ფრთხილად თავს არიდებენ ამ საკითხს (რაც პრაქტიკაში მათს დაცვასვე უდრის). ბ-ნ მანუილოვს შეეძლო ამ მაგალითის მიხედვითაც გაერკვია ის მისთვის საკვირველი გარემოება, რომ «მოწაფეები» სოლიდარობას უცხადებენ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. თანმიმდევარი ბურჟუა ყოველთვის მომხრე იქნება მიმოსვლის ზემოხსენებული შეზღუდვის გაუქმებისა, ხოლო მუშისთვის — ამ გაუქმებას მოითხოვს მისი საარსებო ინტერესი. მაშასადამე, მათ შორის სოლიდარობა სავსებით ბუნებრივი და გარდუვალია. პირიქით, აგრარიებისთვის (მსხვილთა და წვრილთათვის, მეურნე გლეხების ჩათვლით) ხელსაყრელი არ არის მრეწველობისაკენ მოსახლეობის მიზიდულობის ეს პროცესი, და ისინიც გულმოდგინედ ცდილობენ მის შეფერხებას, წახალისებულნი ბ-ნ ნაროდნიკების თეორიებით.

დავასკვნით: კაპიტალიზმის მიერ მიწათმოქმედებისაგან მოსახლეობის ჩამოშორების უდიდეს საკითხში ბ-ნმა მიხაილოვსკიმ მარქსის მოძღვრებათა სრული გაუგებლობა გამოიჩინა, ხოლო რუს «მოწაფეთა» და ნაროდნიკთა შორის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული პუნქტების გამო არსებულ სათანადო უთანხმოებას მან თავი აარიდა უშინაარსო ფრაზებით.

რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს? [104]

დაწერილია გადასახლებაში
1897 წ. დ მლევს.

პირველად დაიბეჭდა 1898 წელს
კრებულში: ვლადიმირ ილინი—
«ეკონომიური ეტიუდები და სტატიები»

იბეჭდება კრებულის
ტექსტის მიხედვით

1897 წლის «რუსსკოე ბოგატსტვოს» № 10-ში ბ-ნი მიხაილოვსკი, იმეორებს რა ბ-ნ მინსკის მიერ «დიალექტიკურ მატერიალისტებზე» გამოთქმულ აზრს, სწერს: «მან (ბ-ნმა მინსკიმ) უნდა იცოდეს, რომ ამ ადამიანებს არ სურთ რაიმე მემკვიდრეობითი კავშირი ჰქონდეთ წარსულთან და გადაჭრით ამბობენ უარს მემკვიდრეობაზე» (გვ. 179), ე. ი. «60 — 70-იანი წლების მემკვიდრეობაზე», რომელსაც საჯაროდ უარჰყოფდა 1891 წ. ბ-ნი ვ. როზანოვი «მოსკოვსკიე ვედომოსტიში» (გვ. 178).

«რუს მოწაფეებზე» ბ-ნ მიხაილოვსკის ამ შეხედულებაში მრავალი სიყალბეა. მართალია, ბ-ნი მიხაილოვსკი ერთადერთი და დამოუკიდებელი ავტორი როდია ამ სიყალბისა «რუს მოწაფეთა მიერ მემკვიდრეობაზე უარის თქმის» შესახებ; — მას უკვე დიდი ხანია იმეორებენ ლიბერალურ-ნაროდნიკული პრესის თითქმის ყველა წარმომადგენელნი, როდესაც «მოწაფეთა» წინააღმდეგ იბრძვიან. «მოწაფეებთან» თავისი ცხარე ბრძოლის დასაწყისში ბ-ნ მიხაილოვსკის, რამდენადაც გვახსოვს, ჯერ არ მოეფიქრებინა ეს სიყალბე, და მასზე უფრო ადრე იგი სხვებმა მოიფიქრეს. შემდეგ მან საჭიროდ დაინახა მისთვისაც ჩაეჭიდა ხელი. რაც უფრო მეტად ავითარებდნენ «მოწაფეები» რუსულ ლიტერატურაში თავიანთ შეხედულებებს, რაც უფრო დაწვრილებით და ვრცლად გამოსთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს მთელ რიგ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე, — მით უფრო იშვიათად შეგვხვდებოდათ მოწინააღმდეგეთა პრესაში არსებითი პასუხი ახალი მიმართულების ძირითადი პუნქტების წინააღმდეგ. წინააღ-

მდეგ შეხედულებისა რუსეთის კაპიტალიზმის პროგრესულობაზე, წვრილი მწარმოებლის ნაროდნიკული იდეალიზაციის სისულელეზე, წინააღმდეგ იმისა, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი აზროვნების მიმდინარეობათა და იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა ახსნა ვეძიოთ რუსი საზოგადოების სხვადასხვა კლასის მატერიალურ ინტერესებში. ამ ძირითად პუნქტებზე კრინტს არ სძრავდნენ, მათ შესახებ ამჯობინებდნენ და ამჯობინებენ არ ილაპარაკონ, — მაგრამ სამაგიეროდ სთხზავდნენ მით უფრო მეტ ჭორებს, რომელთაც სახელი უნდა გაეტეხათ ახალი მიმართულებისათვის. ამგვარი ჭორების, «უხეირო ჭორების» რიცხვს ეკუთვნის ეს მოარული ფრაზაც «რუს მოწაფეთა მიერ მემკვიდრეობაზე უარის თქმის», რუსი საზოგადოების საუკეთესო, მოწინავე ნაწილის საუკეთესო ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტის, დემოკრატიული ძაფის გაწყვეტის შესახებ და სხვ. და ა. შ., და სხვა ამისთანა გამოთქმების შესახებ. ამგვარი ფრაზების არაჩვეულებრივი გავრცელება გვაიძულებს დაწვრილებით შევჩერდეთ მათს განხილვასა და უარყოფაზე. ჩვენი ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვად არავის მოეჩვენოს, — დავიწყებთ ერთი ისტორიულ-ლიტერატურული პარალელით ორ «სოფლის პუბლიცისტს» შორის, რომელთაც ჩვენ შევეხებით «მემკვიდრეობის» დასახასიათებლად. წინასწარვე ვიტყვით, რომ დავკმაყოფილდებით მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური და პუბლიცისტური საკითხებით, მთელი «მემკვიდრეობიდან» განვიხილავთ მხოლოდ ამ საკითხებს და გვერდს ავუვლით ფილოსოფიურ, ლიტერატურულ, ესთეტიკურ და სხვა საკითხებს.

I

«მემკვიდრეობის» ერთ-ერთი წარმომადგენელი

ოცდაათი წლის წინათ, 1867 წელს, ჟურნალში «ოტეჩესტვენნიე ზაპისკი» დაიწყო სკალდინის პუბლიცისტური ნარკვევების ბეჭდვა შემდეგი სათაურით: «ყრუადგილასა და

დედაქალაქში». ეს ნარკვევები იბეჭდებოდა სამი წლის განმავლობაში, 1867 — 1869 წლებში. 1870 წელს ავტორმა ისინი ერთად შეჰკრიბა და ცალკე წიგნად გამოსცა იმავე სათაურით *. ამჟამად თითქმის სავსებით მივიწყებული ამ წიგნის გაცნობა მეტისმეტად საგულისხმოა ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის, ე. ი. ნაროდნიკებისა და «რუსი მოწაფეებისადმი» «მემკვიდრეობის» წარმომადგენელთა დამოკიდებულების საკითხისათვის. წიგნის სათაური ზუსტი არ არის. ავტორს თვითონვე შეუმჩნევია ეს და თავისი წიგნის წინასიტყვაობაში განმარტავს, ჩემი თემაა — «დედაქალაქის» დამოკიდებულება «სოფლისადმი», ე. ი. სოფლის პუბლიცისტური ნარკვევები, და განზრახვა როდი მაქვს დედაქალაქზე ცალკე ვილაპარაკოო. ესე-იგი შეიძლება განზრახვაც ჰქონებოდა, მაგრამ ეს უხერხულად მიაჩნია: ὡς δύναμαι — οὐ βούλομαι. ὡς δὲ βούλομαι — οὐ δύναμαι (ისე, როგორც შემიძლია, არ მინდა, ისე კი, როგორც მინდა, არ შემიძლიაო) — მოჰყავს სკალდინს ერთი ბერძენი მწერლის სიტყვები ამ უხერხულობის განსამარტავად.

მოკლედ მოვიყვანოთ სკალდინის შეხედულებანი.

დავიწყოთ საგლეხო რეფორმით, — ამ გამოსავალი პუნქტით, რომლისკენაც აუცილებლად უნდა მიიმართებოდეს დღემდე ყველა ის, ვისაც სურს გამოსთქვას თავისი ზოგადი შეხედულებანი ეკონომიურ და პუბლიცისტურ საკითხებზე. სკალდინის წიგნში საგლეხო რეფორმას ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი. სკალდინი თითქმის პირველი მწერალი იყო, რომელმაც სისტემატურად, მრავალი ფაქტისა და სოფლის მთელი ცხოვრების დაწვრილებით განხილვის საფუძველზე გვიჩვენა გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობა რეფორმის გატარების შ ე მ დ ე გ, მათი ყოფა-ცხოვრების გაუარესება, მათი ეკონომიური, იურიდიული და საყოფაცხოვრებო დამო-

* ს კ ა ლ დ ი ნ ი. «ყრუადგილასა და დედაქალაქში», სპბ. 1870 (გვ. 451). ჩვენ საშუალება არ გვქონდა ხსენებული წლების «ოტეჩესტვენნიე ზაპისკი» გვეშოვნა და მხოლოდ ამ წიგნით ვსარგებლობდით.

კიდებულების ახალი ფორმები, — ერთი სიტყვით, გვიჩვენა ყველაფერი ის, რაც შემდგომ ასე ვრცლად და დაწვრილებით გვიჩვენეს და დაგვიმტკიცეს მრავალრიცხოვანი გამოკვლევისა და აღწერილობის საშუალებით. ახლა ყველა ეს ჭეშმარიტება ახალი ამბავი აღარ არის. მაშინ კი ეს ჭეშმარიტებანი არათუ ახალი იყო, არამედ ეჭვსაც კი ჰბადებდა ლიბერალურ საზოგადოებაში, რომელსაც ეშინოდა, «რეფორმის» ეგრეთწოდებულ «ნაკლოვანებათა» მითითებაში მისი დაგმობა და ბატონყმობისადმი ფარული ტრფიალი ხომ არ იმალებაო. სკალდინის შეხედულებებისადმი ინტერესი უფრო ძლიერდება კიდევ იმით, რომ ავტორი რეფორმის თანამედროვე იყო (შესაძლოა, მისი მონაწილეც კი. ჩვენს განკარგულებაში არ მოიპოვება სკალდინის შესახებ არავითარი ისტორიულ-ლიტერატურული და ბიოგრაფიული ცნობები). მაშასადამე, მისი შეხედულებები დამყარებულია არა მწიგნობრული მასალის კაბინეტურ შესწავლაზე, არამედ როგორც მაშინდელი «დედაქალაქის», ისე მაშინდელი «სოფლის» უშუალო დაკვირვებაზე.

სკალდინის შეხედულებებში საგლეხო რეფორმაზე თანამედროვე მკითხველმა, რომელიც მიჩვეულია ამ თემაზე ნაროდნიკების გულისამასუყებელ ლათაიებს, არ შეიძლება ყურადღება არ მიაპყროს უწინარეს ყოვლისა ავტორის არაჩვეულებრივ ფხიზელ დამოკიდებულებას საგნისადმი. სკალდინი რეფორმას უყურებს ყოველგვარი თავმოტყუების, ყოველგვარი იდეალიზაციის გარეშე, უყურებს როგორც გარიგებას ორ მხარეს შორის, მემამულეთა და გლეხთა შორის, რომელნიც აქამდე ერთად სარგებლობდნენ მიწით განსაზღვრულ პირობებში და ახლა აი გაიყარნენ, ხოლო ამ გაყრასთან ერთად ორივე მხარის იურიდიული მდგომარეობაც შეიცვალა. ფაქტორი, რომელმაც ამ გაყრის წესი და თვითეული მხარის მიერ მიღებული წილის ოდენობა განსაზღვრა, მხარეთა ინტერესები იყო. ეს ინტერესები განსაზღვრავდნენ ორივე მხარის მისწრაფებებს, ხოლო ერთი მხარის იმ შესაძლებლობამ, რომ

უშუალო მონაწილეობა მიეღო თვით რეფორმაში და მისი განხორციელების სხვადასხვა საკითხის პრაქტიკულ განვითარებაში, განსაზღვრა, სხვათა შორის, ერთი მხარის უპირატესობა. სწორედ ასეთია სკალდინის მიერ რეფორმის გაგება. რეფორმის მთავარ საკითხზე, ნაღელებსა და გადასახდელებზე, სკალდინი განსაკუთრებით დაწვრილებით ჩერდება და არა ერთხელ უბრუნდება მათ თავის ნარკვევებში. (სკალდინის წიგნი დაყოფილია 11 ნარკვევად, რომელთაც დამოუკიდებელი შინაარსი აქვთ და თავისი ფორმით მოგვაგონებენ სოფლიდან გამოგზავნილ ცალკე წერილებს. პირველი ნარკვევი დათარიღებულია 1866 წლით, უკანასკნელი — 1869-ით.) ეგრეთწოდებულ «მცირემიწიან» გლეხებზე სკალდინის წიგნში, რასაკვირველია, თანამედროვე მკითხველისათვის ახალი არა არის რა, მაგრამ 60-იანი წლების დამლევისათვის მისი საბუთები ახალიც იყო და მნიშვნელოვანიც. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევუდგებით ამ საბუთების გამეორებას, აღვნიშნავთ მხოლოდ მოვლენის იმ დახასიათების თავისებურებას, რომელსაც სკალდინი იძლევა, — თავისებურებას, რაც წარმოადგენს მის დაღებითს განსხვავებას ნაროდნიკებისაგან. სკალდინი ლაპარაკობს არა «მცირემიწიანობაზე», არამედ «გლეხთა ნაღელებიდან მეტად მნიშვნელოვან ჩამონაჭრებზე» (გვ. 213, იგივე 214 და მრავ. სხვ. შად. III ნარკვევის სათაური), ლაპარაკობს იმაზე, რომ დებულებებით განსაზღვრული ყველაზე დიდი ნადელები ნამდვილ ნაღელებზე ნაკლები აღმოჩნდნენ (გვ. 257), და, სხვათა შორის, მოჰყავს გლეხთა ფრიად დამახასიათებელი და ტიპიური შეხედულებანი რეფორმის ამ მხარეზე *. ამ ფაქტის განმარტება და და-

* «მიწა მ ა ნ (ხაზგასმა ავტორისაა) ისე ჩამოგვიჭრა, რომ ჩვენ უამჩამონაჭროდ ცხოვრება არ შეგვიძლია; ყოველი მხრიდან თავისი ძინდვრები შემოგვარტყა, ასე რომ პირუტყვი ვერსად გაგვირეკია; მოდი და იხადე ნადელისთვის ცალკე, ჩამონაჭერი მიწისთვის კიდევ ცალკე, რამდენსაც მოგთხოვს». «ყოფა-ცხოვრების რაღა გაუმჯობესებაა ეს! —

საბუთება სკალდინის ნაწერებში უაღრესად ვრცელი, ძლიერი და მკაცრიც კია საერთოდ ძალიან ზომიერი, ფხიზელი და თავისი ზოგადი შეხედულებებით უეჭველად ბურჟუაზიული მწერლისათვის. მაშასადამე, ეს მოვლენა მეტად თვალსაჩინო ყოფილა, როცა ისეთი მწერალიც კი, როგორც სკალდინი, ასე ენერგიულად ლაპარაკობს ამაზე. გადასახდელთა სიმძიმეზედაც სკალდინი ძალიან ენერგიულად და ვრცლად ლაპარაკობს და თავის დებულებებს მრავალი ფაქტით ასაბუთებს. «უზომო გადასახადები, — ვკითხულობთ III ნარკვევის ქვესათაურში (1867), — მათი (გლეხების) სიღარიბის უმთავრესი მიზეზია», და სკალდინი გვიჩვენებს, რომ გადასახადები გლეხების მიერ მიწისაგან მიღებულ შემოსავალს აღემატება, «გამოსალებთა კომისიის შრომებიდან» მოჰყავს ცნობები რუსეთის იმ გადასახადთა განაწილების შესახებ, რომელთაც ახდევინებენ უმაღლეს და დაბალ კლასებს, ამასთან ირკვევა, რომ უკანასკნელ კლასებზე მოდის ყველა გადასახადის 76%, ხოლო პირველზე — 17%, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში შეფარდება ყველგან გაცილებით უფრო ხელსაყრელია დაბალი კლასებისათვის. VII ნარკვევის (1868) ქვესათაურში ვკითხულობთ: «უზომო ფულადი ბეგარა გლეხთა სიღარიბის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიაო», და ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ ერთბაშად მოითხოვა ცხოვრების ახალმა პირობებმა გლეხისაგან ფული, ფული და ფული, როგორ დააწესა «დებულებამ» მემამულეთა დაჯილდოება ბატონყმობისთვისაც (252), როგორ განსაზღვრეს ღალის სიდიდე «მემამულეთა, მათ მოურავთა და მამასახლისთა ნამდვილი ცნობების მიხედვით, ე. ი. სრულიად თვითნებური და სრულიად არასანდო ცნობების მიხედვით» (255), რის გამო კომისიების მიერ განსაზღვრული საშუალო ღალა სინამდვილეში არსებულ საშუალო ღალაზე მეტი აღმოჩნდა. «ღალის სიმძიმეს დაერთო

მეუბნებოდა ერთი წერა-კითხვის მცოდნე და გამოცდილი გლეხი წინანდელ მოღალეთაგან, — ღალა წინანდელი დაგვიტოვეს, მიწა კი ჩამოგვიჭრესო».

ძიდევ გლეხების მიერ იმ მიწის დაკარგვა, რომლითაც ისინი საუკუნეთა განმავლობაში სარგებლობდნენ» (258). «გამოსასყიდი მიწის შეფასება რომ მომხდარიყო არა ღალის კაპიტალიზაციის, არამედ განთავისუფლების ეპოქაში მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით, გამოსყიდვა ძალიან ადვილად მოხდებოდა და მას არც მთავრობის მხრივ დახმარება დასჭირდებოდა და არც საკრედიტო ქაღალდების გამოშვება» (264). «გამოსყიდვა, რომელსაც, 19 თებერვლის დებულების აზრით, გლეხთა მდგომარეობა უნდა შეემსუბუქებინა და მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმე დაეგვირგვინებინა, სინამდვილეში ხშირად უფრო მეტად შემავიწროებელი ხდება» (269). ჩვენ მოგვყავს ყველა ეს ამონაწერი, — თავისთავად ნაკლებად საინტერესო და ნაწილობრივ მოძველებულიც, — რათა ცხადვყოთ, თუ რა ენერგიით ესარჩლება გლეხთა ინტერესებს მწერალი, რომელიც მტრულად უცქერის თემს და რომელიც მთელ რიგ საკითხებზე ისე გამოსთქვამს აზრს, როგორც ნამდვილი მანჩესტერელი. ფრიად საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ნაროდნიკობის თითქმის ყველა სასარგებლო და არარეაქციული დებულებანი სავსებით ემთხვევიან ამ მანჩესტერელის დებულებებს. თავისთავად ცხადია, რომ სკალდინს, რაკი ასეთი შეხედულება ჰქონდა რეფორმაზე, არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო აჰყოლოდა რეფორმის იმ გულისამასუყებელ იდეალიზაციას, რომელშიც ვარდებოდნენ და ვარდებიან ნაროდნიკები, როცა ამბობენ, რომ ამ რეფორმამ სანქცია მისცა სახალხო წარმოებას, რომ იგი დასავლეთ ევროპის საგლეხო რეფორმებზე უფრო მაღლა იდგა, რომ მან რუსეთი თითქოს tabula rasa * გახადა და სხვ. სკალდინს არათუ ამის მსგავსი არა უთქვამს რა და არც შეეძლო ეთქვა, არამედ პირდაპირ ამბობდა, ჩვენში საგლეხო რეფორმა განხორციელდა გლეხთათვის უფრო ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში, მან უფრო ნაკლები სარგებლობა მოიტანა, ვიდრე დასავლეთშიო. «საკითხი პირდაპირ იქნება

* — სუფთა ადგილი. რ ე დ.

დაყენებული, — სწერდა სკალდინი, — თუ ჩვენს თავს შევეკითხებით: რატომ არის, რომ განთავისუფლების საკეთილო შედეგები ჩვენში ისეთივე სისწრაფით და პროგრესული ალმავლობით არ იჩენენ თავს, როგორც მათ თავი იჩინეს, მაგალითად, პრუსიასა და საქსონიაში მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედში?» (221). «პრუსიაში, ისევე როგორც მთელ გერმანიაში, გამოსყიდულ იქნა არა გლეხთა მიწები, რომლებიც კანონმა უკვე დიდი ხანია მათს საკუთრებად აღიარა, არამედ გლეხების სავალდებულო ბეგარანი მემამულეების მიმართ» (272).

სკალდინის მიერ რეფორმის ეკონომიური შეფასებიდან გადავიდეთ იურიდიულ მხარეზე. სკალდინი სასტიკი მტერია ურთიერთთავდებობისა, საპასპორტო სისტემისა და გლეხობაში (აგრეთვე ქალაქის მდაბიოთა საზოგადოებაში) «თემის» პატრიარქალური ძალაუფლებისა მათს წევრებზე. III ნარკვევში (1867) იგი მტკიცედ მოითხოვს ურთიერთთავდებობის, სულადობრივი გამოსაღებისა და საპასპორტო სისტემის გაუქმებას, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ქონებისკვალობითი გამთანაბრებელი გადასახადი, პასპორტების შეცვლა უფასო და უვადო მოწმობებით. «გადასახადი პასპორტებზე სამშობლოს შიგნით არც ერთ სხვა ცივილიზებულ სახელმწიფოში არ არსებობს» (109). ცნობილია, რომ ეს გადასახადი მხოლოდ 1897 წელს გაუქმდა. IV ნარკვევის სათაურში ვკითხულობთ: «სოფლის საზოგადოებათა და ქალაქის საბჭოების თვითნებობა პასპორტების გაგზავნისა და სხვაგან მყოფ გადამხდელთაგან გადასახადის აღების დროს»... «ურთიერთთავდებობა — მძიმე უღელია, რომლის ზიდვაც ეკისრებათ წესიერ და კარგ მეოჯახე მეურნეებს უქნართა და ზარმაცთა სასარგებლოდ» (126). გლეხობის უკვე იმხანად შემჩნეული დაშლა სკალდინს სურს ახსნას აღმავალთა და დაღმავალთა პირადი თვისებებით. — ავტორი დაწვრილებით ასწერს იმ დაბრკოლებებს, რასაც ს.-პეტერბურგში მცხოვრები გლეხები განიცდიან პასპორტების მიღებისა და მათი

ვადის გაგრძელების დროს, და აბათილებს იმათ პასუხს, ვინც იტყვის: «მადლობა ღმერთს, მთელი ეს უმიწაწყლო გლეხთა მასა ქალაქებს რომ არ მიეწერა, არ გაადიდა ქალაქის იმ მცხოვრებთა რიცხვი, რომელთაც უძრავი ქონება არ მოეპოვებათო» (130)... «ბარბაროსული ურთიერთთავდებობა»... (131)... «საკითხავია, განა შეიძლება მოქალაქობრივად თავისუფალნი ვუწოდოთ ამგვარ მდგომარეობაში ჩაყენებულ ადამიანებს? განა ესენი იგივე — glebae adscripti* არ არიან?» (132). ბრალს სდებენ საგლეხო რეფორმას. «მაგრამ განა საგლეხო რეფორმის ბრალია, რომ კანონმდებლობამ, მემამულის ყმობისაგან რომ გაათავისუფლა გლეხი, ვერაფერი ვერ მოიგონა საზოგადოებისა და მიწერის ადგილისადმი ყმობისაგან მის გასათავისუფლებლად... სადღაა სამოქალაქო თავისუფლების ნიშნები, როდესაც გლეხს თავისი ნებით არ შეუძლია აირჩიოს არც თავისი ადგილსამყოფელი, არც თავისი ხელობა?» (132). ჩვენებურ გლეხს სკალდინი ფრიად მართებულად და მოსწრებულად უწოდებს «ბინადარ პროლეტარს» (231) **. VIII ნარკვევის (1868 წ.) სათაურში ვკითხულობთ: «გლეხების მიმაგრება მათ საზოგადოებებსა და ნადელებზე აფერხებს მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას... დაბრკოლებაა გარესამუშაოთა განვითარებისათვის». «გლეხთა უვი-

---

* — ძველი რომის იმპერიის ეპოქის გლეხები, მიწერილნი მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიტოვება მათ არ შეეძლოთ, რაგინდ საზარალოც ყოფილიყო ეს ნაკვეთები. რ ე დ.

** სკალდინმა ძალიან დაწვრილებით დაგვანახა ამ განსაზღვრის არა მარტო პირველი, არამედ მეორე ნაწილის (პროლეტარი) სისწორე. თავის ნარკვევებში მან დიდი ადგილი დაუთმო გლეხთა დამოკიდებული მდგომარეობისა და სიღატაკის, მოჯამაგირეთა მძიმე მდგომარეობის აწერას, «1868 წ. შიმშილობის აწერას» (V ნარკვევის სათაური) და გლეხის დამონებისა და დამცირების ყოველნაირი ფორმების აწერას. 60-იან წლებშიც, ისევე როგორც 90-იანებში, ყოფილან ადამიანები, რომელნიც ხელს აფარებდნენ და უარჰყოფდნენ შიმშილობას. სკალდინი მხურვალედ ილაშქრებს მათ წინააღმდეგ. რასაკვირველია, ზედმეტი იქნებოდა ამ საგანზე დაწვრილებით ამონაწერები მოგვეყვანა.

ცობისა და პროგრესულად მზარდი გადასახადებით მათი დაბეჩავების გარდა, გლეხთა შრომისა და, მაშასადამე, გლეხთა კეთილდღეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზია გლეხთა მიმაგრება მათ საზოგადოებებსა და მიწაზე. მუშა-ხელის ერთ ადგილზე მიჯაჭვა და მიწათმოქმედი თემის დაურღვეველი კავშირით შებოჭვა — ეს თავისთავად უკვე მეტად არახელსაყრელი პირობაა შრომის, პირადი თაოსნობისა და მიწის წვრილი საკუთრების განვითარებისათვის» (284). «გლეხები, მიჯაჭვულნი თავიანთ ნადელებსა და საზოგადოებებზე, მოკლებულნი შესაძლებლობას იქ მოიხმარონ თავიანთი შრომა, სადაც იგი უფრო ნაყოფიერი და მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, თითქოს გაქვავდნენ ყოფა-ცხოვრების იმ შეჯგუფებულ, ჯოგისებურ, უნაყოფო ფორმაში, რომელშიც ისინი ბატონყმობიდან გამოსვლის დროს იმყოფებოდნენ» (285). ავტორი, მაშასადამე, გლეხთა ყოფა-ცხოვრების ამ საკითხებს უყურებს წმინდა ბურჟუაზიული თვალსაზრისით, მაგრამ, მიუხედავად ამისა (უფრო სწორად რომ ვთქვათ: სწორედ ამის წყალობით), იგი ფრიად სწორად აფასებს იმ მავნეობას, რაც მოაქვს გლეხთა მიმაგრებას მთელი საზოგადოებრივი განვითარებისა და თვითონ გლეხებისათვის. ეს მავნეობა განსაკუთრებული ძალით (დავძენთ ჩვენი მხრივ) იჩენს თავს გლეხობის ყველაზე დაბალ ჯგუფებში, სოფლის პროლეტარიატში. სკალდინი ძალიან მოსწრებულად ამბობს: «ჩინებულია კანონის ზრუნვა იმაზე, რომ გლეხები უმიწაწყლოდ არ დარჩნენ; მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითონ გლეხები ამავე საგანზე გაცილებით უფრო ძლიერ ზრუნავენ, ვიდრე რომელიც გნებავთ კანონმდებელი» (286). «გარდა ნადელებსა და საზოგადოებებზე გლეხების მიმაგრებისა, საშოვარზე დროებით წასვლაც კი მათთვის დაკავშირებულია მრავალ შეზღუდვასა და ხარჯთან, ურთიერთთავდებობისა და საპასპორტო სისტემის გამო» (298). «მრავალი გლეხისათვის, ჩემის აზრით, დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსავალი გზა გაიხსნებო-

და, მიღებულ რომ იქნას... ზომები, რომლებიც გლეხებს გაუადვილებდა მიწაზე უარის თქმას» (294). სკალდინი აქ ისეთ სურვილს გამოსთქვამს, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგება ნაროდნიკულ პროექტებს, რომელნიც ყველანი საწინააღმდეგოს შეიცავენ: თემის განმტკიცებას, ნადელების გაუსხვისებლობას და სხვ. მას შემდეგ მრავალი ფაქტით სავსებით დამტკიცდა, რომ სკალდინი სრულიად მართალი იყო: გლეხების მიწაზე მიმაგრებისა და გლეხთა თემის წოდებრივი კარჩაკეტილობის დაცვა მხოლოდ აუარესებს სოფლის პროლეტარიატის მდგომარეობას და აფერხებს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, თანაც ოდნავ არ შესწევს ძალა დაიცვას «ბინადარი პროლეტარი» ყველაზე ცუდი სახის დამონებისა და დამოკიდებულებისაგან, ხელფასისა და საარსებო დონის ფრიად დაბლა დაცემისაგან.

ზემომოყვანილი ამონაწერებიდან მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ სკალდინი თემის მტერია. იგი თემისა და მიწების გადანაწილების წინააღმდეგ ილაშქრებს პირადი საკუთრების, თაოსნობისა და სხვ. თვალსაზრისით (გვ. 142 და შემდ.). თემის დამცველებს სკალდინი უპასუხებს, რომ «ძველისძველმა საადათო სამართალმა» თავისი დრო მოსჭამა: «ყველა ქვეყანაში, როგორც კი სოფლის მცხოვრებნი ცივილიზებულ წრეს დაუახლოვდებოდნენ, მათი საადათო სამართალი ჰკარგავდა თავის პირვანდელს სიწმინდეს, ფუჭდებოდა და მახინჯდებოდა. ჩვენშიც ამავე მოვლენას ვამჩნევთ: სოფლის ძალაუფლება ნელნელა სოფლის წურბელებისა და სოფლის მწერალთა ძალაუფლებად იქცევა და იმის მაგივრად, რომ გლეხის პიროვნება დაიცვას, მძიმე უღლად აწვება მას» (143); ეს შენიშვნა ძალიან სწორია და ამ 30 წლის განმავლობაში უამრავი ფაქტით დადასტურდა. «პატრიარქალური ოჯახი, მიწის სათემო მფლობელობა, საადათო სამართალი», სკალდინის აზრით, სამუდამოდ განწირულია ისტორიის მიერ. «ვისაც სურს სამუდამოდ შეგვინარჩუნოს განვლილ საუკუნეთა ეს პატივსადები ძეგლები, ის ამით ამტკიცებს,

რომ მას იდეით გატაცების უნარი უფრო აქვს, ვიდრე სინამდვილეში ჩაწვდომისა და ისტორიის შეუჩერებელი სვლის შეგნებისა» (162), და სკალდინი ამ ფაქტიურად სწორ შენიშვნას უმატებს მხურვალე მანჩესტერულ ფილიპიკებს. «მიწის სათემო სარგებლობა, — ამბობს იგი სხვა ადგილას, — «თვითეულ გლეხს მთელი საზოგადოებისაგან მონურ დამოკიდებულებაში აყენებს» (222). ამრიგად, სკალდინის ნაწერებში წმინდა ბურჟუაზიული თვალსაზრისით თემისადმი უეჭველი მტრობა უერთდება გლეხთა ინტერესების მტკიცედ დაცვას. თემისადმი მტრობას სკალდინი სრულიადაც არ აკავშირებს თემის ძალდატანებით მოსპობისა და მიწის მფლობელობის ასეთივე სხვა სისტემის ძალდატანებით შემოღების იმ სულელურ პროექტებთან, რომელთაც ჩვეულებრივ თხზავენ თემის თანამედროვე მოწინააღმდეგენი, გლეხთა ცხოვრებაში უხეშად ჩარევის მომხრენი რომ არიან და თემის წინააღმდეგ რომ ილაშქრებენ სრულიადაც არა გლეხთა ინტერესების თვალსაზრისით. სკალდინი, პირიქით, სასტიკ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ მას «მიწის სათემო სარგებლობის ძალდატანებით მოსპობის» მომხრედ სთვლიან (144). «19 თებერვლის დებულებამ, — ამბობს ის, — ფრიად ბრძნულად თვით გლეხებს მიანდო... გადასვლა... სათემო სარგებლობიდან ოჯახობრივზე. მართლაც, გარდა თვით გლეხებისა, ვერავინ ვერ გადასწყვეტს საფუძვლიანად ამგვარი გადასვლის დროის საკითხს». მაშასადამე, სკალდინი თემის მოწინააღმდეგეა მხოლოდ იმ აზრით, რომ თემი ზღუდავს ეკონომიურ განვითარებას, გლეხთა გამოსვლას საზოგადოებიდან, მიწაზე უარის თქმას, ე. ი. იმავე აზრით, რა აზრითაც თემის მტრები არიან ახლა «რუსი მოწაფეები»; მემამულეთა ანგარებიანი ინტერესების დაცვასთან, ბატონყმობის ნაშთებისა და სულისკვეთების დაცვასთან, გლეხთა ცხოვრებაში ჩარევის დაცვასთან, — ამ მტრობას საერთო არა აქვს რა. ფრიად მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიოთ ეს განსხვავება, რადგან თანამედროვე ნაროდნიკები, რომელნიც

მიჩვეული არიან თემის მტრებს მხოლოდ «მოსკოვსკიე ვედომოსტისა» და სხვ. ბანაკში ხედავდნენ, დიდი ხალისით ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს თემისადმი ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი მტრობისა არა გაეგებოდეთ რა.

გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზებზე სკალდინის ზოგადი თვალსაზრისი ის არის, რომ ყველა ეს მიზეზი ბატონყმობის ნაშთებში მარხია. ასწერს რა 1868 წლის შიმშილობას, სკალდინი აღნიშნავს, რომ ამ შიმშილობაზე ღვარძლიანი სიხარულით მიუთითებდნენ ბატონყმობის მოტრფიალენი და შიმშილობის მიზეზად მიაჩნდათ გლეხთა თავგასულობა, მემამულეთა მეურვეობის გაუქმება და სხვ. სკალდინი მხურვალედ ილაშქრებს ამ შეხედულებების წინააღმდეგ. «გლეხთა გაღარიბების მიზეზები, — ამბობს ის, — ბატონყმობის გაუქმების შედეგი კი არ არის, არამედ მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა ბ ა ტ ო ნ ყ მ ობ ი ს ა გ ან (212); ეს არის ის ზოგადი მიზეზები, რაც ჩვენი გლეხების უმრავლესობას პროლეტარიატის დონესთან ახლო მდგომარეობაში ამყოფებს», და სკალდინი იმეორებს თავის ზემოხსენებულ აზრებს რეფორმის შესახებ. სისულელეა ოჯახთა გაყრის წინააღმდეგ გალაშქრება: «გაყრა თუ დროებით კიდევაც ზიანს აყენებს გლეხთა მატერიალურ სარფიანობას, სამაგიეროდ მათს პირადს თავისუფლებასა და გლეხის ოჯახის ზნეობრივ ღირსებას იცავს, ე. ი. იცავს ადამიანის იმ უმაღლეს სიკეთეს, ურომლისოდაც შეუძლებელია რაიმე მოქალაქობრივი წარმატება» (217), — და სკალდინი სამართლიანად აღნიშნავს გაყრათა წინააღმდეგ გალაშქრების ნამდვილ მიზეზებს: «ბევრი მემამულე მეტად აზვიადებს გაყრათაგან წარმომდგარ ზიანს და მას, ისევე როგორც ლოთობას, მიაწერს გლეხთა სიღარიბის ამა თუ იმ მიზეზების ყველა შედეგს, — მიზეზებისა, რომელთა აღიარება მემამულეებისათვის ასე არასასურველია» (218). იმათ, ვინც ამბობს, ახლა ბევრს სწერენ გლეხთა სიღარიბეზე, წინათ კი არ სწერდნენ, მაშასადამე, გლეხთა მდგომარეობა გაუარესებულიაო, —

სკალდინი უპასუხებს: «გლეხთა ახლანდელი და წინანდელი მდგომარეობის შედარების გზით შესაძლებელი რომ გახდეს მემამულეთა ბატონობისაგან განთავისუფლების შედეგების განსჯა, ამისათვის საჭირო იქნებოდა, ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს, გლეხთა ნადელები ისე ჩამოეჭრათ, როგორც ჩამოჭრილია ახლა, დაეკისრებინათ გლეხებისათვის ყველა ის ბეგარა, რაც განთავისუფლების შემდეგ გაჩნდა, და მერე ენახათ, როგორ აიტანდნენ ყმა გლეხები ასეთ მდგომარეობას» (219). ეს სკალდინის შეხედულებათა უაღრესად დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი თვისებაა, რომ ის გლეხთა მდგომარეობის გაუარესების ყ ვ ე ლ ა მიზეზს მიაწერს ბატონყმობის ნაშთებს, ბატონყმობისა, რომელმაც მემკვიდრეობად დაგვიტოვა შრომამიგება, ღალა, მიწის ჩამონაჭრები, გლეხთა პირადი უუფლებობა და ბინადრობა. იმას, რომ გლეხთა გაღარიბების მიზეზები შეიძლება იმალებოდეს თვით ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის წყობაში, თვით რეფორმისშემდგომი დროის მეურნეობის წყობაში, — ამას სკალდინი არათუ ვერ ხედავს, არამედ აბსოლუტურად დაუშვებლად მიაჩნია ასეთი აზრი, მას ღრმად სწამს, რომ ბატონყმობის ყველა ამ ნაშთის სრული მოსპობისთანავე საყოველთაო კეთილდღეობა დამყარდება. მისი თვალსაზრისი სწორედ უარყოფითია: მოსპეთ გლეხობის თავისუფალი განვითარების დაბრკოლებანი, მოსპეთ ბატონყმობისაგან მემკვიდრეობით მიღებული ხუნდები, — და ყველაფერი საუკეთესოდ მოეწყობა ამ საუკეთესოთა შორის საუკეთესო სამყაროშიო. «სახელმწიფო ხელისუფლების მხრივ, — ამბობს სკალდინი, — აქ (ე. ი. გლეხობის მიმართ) შესაძლებელია მხოლოდ ერთი გზა: თანდათანობით და შეუდრეკლად მ ო ს პ ო ბ ა ი მ მ ი ზ ე ზ ე ბ ი ს ა, რომელთაც ჩვენი გლეხი დღევანდელ დაბეჩავებამდე და სიღარიბემდე მიიყვანეს და საშუალებას არ აძლევენ მას ფეხზე წამოდგეს და წელში გასწორდეს» (224, ხაზგასმა ჩემია). ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია სკალდინის პასუხი იმათ მიმართ, ვინც იცავს

«თემს» (ე. ი. გლეხების მიმაგრებას საზოგადოებებსა და ნადელებზე) და ამბობს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში «სოფლის პროლეტარიატი გაჩნდებაო». «ეს პასუხი», — ამბობს სკალდინი, — «თავისთავად ბათილდება, როდესაც გავიხსენებთ, თუ მიწის რა თვალუწვდენი სივრცეებია ჩვენში ცარიელი და მუშა-ხელს მოკლებული. თუ ჩვენში კანონი არ შეზღუდავს მუშა-ხელის ბუნებრივ განაწილებას, რუსეთში ნამდვილი პროლეტარები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ხელობით მათხოვარნი, ანდა გაუსწორებელი მანკიერნი და ლოთნი» (144); ეს არის ტიპიური თვალსაზრისი XVIII საუკუნის ეკონომისტებისა და «განმანათლებლებისა», რომელთაც სწამდათ, რომ ბატონყმობის გაუქმება და ყველა მისი ნაშთის მოსპობა ქვეყნად საყოველთაო კეთილდღეობის სასუფეველს დაამყარებდა. — ნაროდნიკი, ალბათ, ქედმაღლურად გადახედავდა სკალდინს და იტყოდა, ეს ხომ ნამდვილი ბურჟუაა. — დიახ, რა თქმა უნდა, სკალდინი ბურჟუაა, მაგრამ იგი წარმომადგენელია პროგრესული ბურჟუაზიული იდეოლოგიისა, რომლის მაგივრად ნაროდნიკს წვრილბურჟუაზიული, მთელ რიგ პუნქტებში რეაქციული იდეოლოგია აქვს. ხოლო გლეხთა იმ პრაქტიკული და რეალური ინტერესების დაცვა, რომლებიც მთელი საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს ემთხვეოდა და ემთხვევა, ამ «ბურჟუას» ნაროდნიკზე უკეთაც ეხერხებოდა! *

სკალდინის შეხედულებათა დახასიათების დასამთავრებლად დავძენთ, რომ იგი მოწინააღმდეგეა წოდებრიობისა, მომხრეა ყველა წოდებისათვის ერთიანი სასამართლოსი,

* და პირიქით: ყველა ის პროგრესული პრაქტიკული ღონისძიება, რომელთაც ნაროდნიკებში ვხვდებით, თავისი შინაარსით ს ა ვ ს ე ბ ი თ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ა, ე. ი. სასარგებლოა სწორედ კაპიტალისტური და არა სხვა რომელიმე განვითარებისათვის. მხოლოდ წვრილ ბურჟუებს შეეძლოთ შეეთხზათ თეორია, თითქოს გლეხური მიწათმფლობელობის გაფართოება, გამოსაღებთა შემცირება, გადასახლებანი, კრედიტი, ტექნიკის ამაღლება, გასაღების მოწესრიგება და სხვ. ღონისძიებანი რაღაც «სახალხო წარმოებას» ემსახურება.

«თეორიულად» თანაუგრძნობს უწოდებრივო თემს, მხურვალე მომხრეა სახალხო განათლებისა, განსაკუთრებით საერთოსი, მომხრეა თვითმმართველობისა და საერობო დაწესებულებებისა, მომხრეა ფართო საადგილმამულო კრედიტისა, განსაკუთრებით წვრილისა, ვინაიდან გლეხებს მიწის ყიდვის დიდი მოთხოვნილება აქვთ. «მანჩესტერელი» აქაც იჩენს თავს: სკალდინი, მაგალითად, ამბობს, რომ საერობო და ქალაქის ბანკები — «ბანკების პატრიარქალური ანუ პირველყოფილი ფორმაა», რომელმაც ადგილი უნდა დაუთმოს კერძო ბანკებს, რომელთაც «ყოველგვარი უპირატესობა» აქვთო (80). მიწას ფასი «შეიძლება მაშინ დაედოს, როცა ჩვენს პროვინციებში სამრეწველო და კომერციული საქმიანობა გაცხოველდებაო» (71) და სხვ.

შევაჯამოთ. შეხედულებათა ხასიათის მიხედვით სკალდინს შეიძლება ვუწოდოთ ბურჟუა-განმანათლებელი. მისი შეხედულებანი მეტისმეტად მოგვაგონებენ XVIII საუკუნის ეკონომისტთა შეხედულებებს (რასაკვირველია, რუსეთის პირობების პრიზმაში სათანადოდ გარდატეხით), და 60-იანი წლების «მემკვიდრეობის» საერთო «საგანმანათლებლო» ხასიათი მის მიერ საკმარისად მკაფიოდ არის გამოხატული. როგორც დასავლეთ-ევროპელი განმანათლებელნი, როგორც 60-იანი წლების ლიტერატურის წარმომადგენელთა უმრავლესობა, სკალდინიც გამსჭვალულია მხურვალე მტრობით ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში. ეს «განმანათლებლის» პირველი დამახასიათებელი თვისებაა. მეორე დამახასიათებელი თვისება, რაც საერთოა ყველა რუსი განმანათლებლისთვის, — ეს არის მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპეიზაციისა. ბოლოს, «განმანათლებლის» მესამე დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა (რომელნიც ჯერ სავსებით განთავისუფლებულნი არ იყვნენ ანდა ის-იყო

თავისუფლდებოდნენ განმანათლებლების ეპოქაში) ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისთვის ხელშეწყობისა. ეს სამი თვისება შეადგენს სწორედ იმის არსს, რასაც ჩვენში «60-იანი წლების მემკვიდრეობას» უწოდებენ, და საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ მემკვიდრეობაში ნაროდნიკული არა არის რა. რუსეთში ცოტანი როდი არიან ისეთი მწერლები, რომელთა შეხედულებებიც ხსენებულ თვისებებს ეფარდება და რომელთაც არასოდეს ნაროდნიკობასთან საერთო არა ჰქონიათ რა. მწერლის მსოფლმხედველობის ზემოხსენებულ თვისებათა გამო ყოველთვის და ყველანი სცნობენ, რომ მან «60-იანი წლების ტრადიციები შეინარჩუნა», სრულიად დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ უცქერის ნაროდნიკობას. რა თქმა უნდა, ფიქრადაც არავის მოუვა სთქვას, რომ, მაგალითად, ბ-ნმა მ. სტასიულევიჩმა, რომლის იუბილეც ამ ცოტა ხნის წინათ გადაიხადეს, «უარი სთქვა მემკვიდრეობაზე» — იმ საფუძველზე, რომ იგი ნაროდნიკობის მოწინააღმდეგე იყო ანდა გულგრილად უყურებდა ნაროდნიკობის მიერ წამოყენებულ საკითხებს. ჩვენ მაგალითისათვის სკალდინი *

* შეიძლება გვითხრან, სკალდინი თემისადმი თავისი მტრობითა და ტონით 60-იანი წლებისათვის ტიპიური არ არისო. მაგრამ საქმე აქ მარტოოდენ თემში როდია. საქმე ყველა განმანათლებლის იმ საერთო შეხედულებებშია, რომელთაც სკალდინიც იზიარებს. რაც შეეხება მის ტონს, ის, მართლაც, ტიპიური არ არის თავისი დინჯი წინდახედულობით, ზომიერებით, თანდათანობრიობითა და .სხვ. ენგელსმა ტყუილად კი არ უწოდა სკალდინს liberalkonservativ (ზომიერი კონსერვატორი [108]. რ ე დ.). მაგრამ მემკვიდრეობის სხვა, უფრო ტიპიური ტონის მქონე წარმომადგენლის დასახელება, ჯერ ერთი, უხერხული იქნებოდა სხვადასხვა მიზეზით, მეორეც, შეიძლება მას გაუგებრობა წარმოეშვა თანამედროვე ნაროდნიკობასთან პარალელის გატარების დროს [109]. თვით ჩვენი ამოცანის ხასიათი ისეთია, რომ ტონი (ანდაზის საწინააღმდეგოდ) მუსიკას ვერა ჰქმნის, და სკალდინის არატიპიური ტონი მით უფრო მკვეთრად გამოჰყოფს მის «მუსიკას».

სწორედ იმიტომ ავიღეთ, რომ ის «მემკვიდრეობის» უ ე ჰ ვ ე ლ ი წარმომადგენელია და ამავე დროს უეჰველი მტერია ძველი დროის იმ დაწესებულებებისა, რომელთა მფარველობაც ნაროდნიკობას უკისრნია.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ სკალდინი ბურჟუაა. ამ დახასიათების საბუთები საკმაოდ იყო მოყვანილი ზემოთ, მაგრამ უნდა დავძინოთ, რომ ჩვენში ხშირად მეტად არასწორად, ვიწროდ, ანტიისტორიულად ესმით ეს სიტყვა, უკავშირებენ რა მას (ი ს ტ ო რ ი უ ლ ე პ ო ქ ა თ ა გ ა ნ უ ს ხ ვ ა ვ ებ ლ ა დ) უმცირესობის ინტერესთა ანგარებიან დაცვას. ნუ დავივიწყებთ, რომ იმ ხანებში, როდესაც XVIII საუკუნის განმანათლებელნი სწერდნენ (რომელნიც საყოველთაოდ აღიარებული აზრით ბურჟუაზიის ბელადებად ითვლებიან), როდესაც 40-ანი და 60-იანი წლების ჩვენებური განმანათლებელნი სწერდნენ, ყ ვ ე ლ ა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ არავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები არ იჩენდნენ; პირიქით, დასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც მათ სავსებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელად სწადდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ ჯერ არც შეეძლოთ დაენახათ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა. სკალდინს თავის წიგნში ტყუილად კი არ მოჰყავს ერთ ადგილას ციტატი ადამ სმიტიდან: ჩვენ დავინახეთ, რომ მისი შეხედულებებიც და მისი არგუმენტაციის ხასიათიც ბევრ რა-

ე. ი. მის შეხედულებათა შინაარსს. ჩვენ კი სწორედ მხოლოდ ეს შინაარსი გვაინტერესებს. ჩვენ განზრახვა გვაქვს მემკვიდრეობის წარმომადგენელთა და თანამედროვე ეპოქის ნაროდნიკთა შორის პარალელი გავატაროთ სწორედ შეხედულებათა შინაარსის (და არა მწერალთა ტონის) მიხედვით.

მეში განმეორებაა მოწინავე ბურჟუაზიის ამ დიდი იდეოლოგის თეზისებისა.

და აი, თუ ჩვენ ერთმანეთს დავუპირისპირებთ, ერთის მხრივ, სკალდინის პრაქტიკულ სურვილებს და თანამედროვე ნაროდნიკების შეხედულებებს, ხოლო მეორე მხრივ, «რუს მოწაფეთა» დამოკიდებულებას მათდამი, დავინახავთ, რომ «მოწაფენი» ყოველთვის მხარს დაუჭერენ სკალდინის სურვილებს, ვინაიდან ეს სურვილები პროგრესულ საზოგადოებრივ კლასთა ინტერესებს, არსებული, ე. ი. კაპიტალისტური, გზით მთელი საზოგადოებრივი განვითარების საარსებო ინტერესებს გამოხატავენ. ის კი, რაც სკალდინის ამ პრაქტიკულ სურვილებში, ან მის მიერ საკითხთა დაყენებაში ნაროდნიკებს შეუცვლიათ, — მ ი ნ უ ს ი ა და «მოწაფე» მას უარჰყოფს. მოწაფეები «თავს ესხმიან» არა «მემკვიდრეობას» (ეს სულელური ჭორია), არამედ ნაროდნიკების მიერ მემკვიდრეობაზე დართულ რომანტიკულ და წვრილბურჟუაზიულ დანამატებს. სწორედ ამ დანამატებზე გადავჭლთ ახლა.

II

ნაროდნიკების დანამატი «მემკვიდრეობაზე»

სკალდინისაგან გადავიდეთ ენგელგარდტზე. მისი წერილებიც «სოფლიდან» სოფლის პუბლიცისტური ნარკვევებია, ასე რომ მისი წიგნის შინაარსიც და ფორმაც კი ძალიან ჰგავს სკალდინის წიგნს. ენგელგარდტი სკალდინზე გაცილებით უფრო ნიჭიერია, მისი წერილები სოფლიდან გაცილებით უფრო ცოცხლად, მხატვრულად არის დაწერილი. მას არა აქვს ნარკვევების —, «ყრუადგილასა და დედაქალაქში» დინჯი ავტორის გრძელი მსჯელობანი, მაგრამ სამაგიეროდ გაცილებით უფრო მეტი აქვს მოხდენილი დახასიათებანი და სხვა სახეები. საკვირველი როდია, რომ ენგელგარდტის წიგნი მკითხველი საზოგადოების ასე მტკიცე სიმპათიით სარგებლობს და

ამ ცოტა ხნის წინათ ხელმეორედ გამოიცა, მაშინ როდესაც სკალდინის წიგნი თითქმის მთლად დავიწყებულია, თუმცა ენგელგარდტის წერილების ბეჭდვა «ოტეჩესტვენნიე ზაპისკი»-ში სკალდინის წიგნის გამოსვლიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ დაიწყო. ამიტომ არავითარი საჭიროება არ მოითხოვს მკითხველს ენგელგარდტის წიგნის შინაარსი გავაცნოთ, ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რომ მოკლედ დავახასიათებთ მის შეხედულებათა ორ მხარეს: ჯერ-ერთი, იმ შეხედულებებს, რომელნიც მოსდგამს საერთოდ «მემკვიდრეობას» და კერძოდ იმ შეხედულებებს, რომელთაც იზიარებენ ენგელგარდტიც და სკალდინიც; მეორეც, სპეციფიკურად ნაროდნიკულ შეხედულებებს. ენგელგარდტი უ კ ვ ე ნ ა რ ო დ ნ ი კ ი ა, მაგრამ მის შეხედულებებში ჯერ კიდევ იმდენად ბევრია ისეთი თვისებანი, რომლებიც საერთოა ყველა განმანათლებელთათვის, იმდენია ისეთი რამ, რაც უკუგდებულია ან შეცვლილია თანამედროვე ნაროდნიკობის მიერ, — რომ გიძნელდება გადაწყვეტა, ვის მიაკუთვნო იგი: საერთოდ ნაროდნიკულ ელფერს მოკლებული «მემკვიდრეობის» წარმომადგენლებს, თუ ნაროდნიკებს.

პირველებთან ენგელგარდტს აახლოებს უწინარეს ყოვლისა მის შეხედულებათა შესანიშნავი სიფხიზლე, სინამდვილის მარტივი და პირდაპირი დახასიათება, შეუბრალებელი მხილება ყველა უარყოფითი თვისებისა, «ბურჯებისა» საერთოდ და გლეხობისა კერძოდ, — სწორედ იმ «ბურჯებისა», რომელთა ყალბი იდეალიზაცია და შელამაზება ნაროდნიკობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ ენგელგარდტის ნაროდნიკობა, ფრიად სუსტად და გაუბედავად გამოხატული, პირდაპირ და აშკარად ეწინააღმდეგება სოფლის ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს იმ სურათს, რომელიც მან ასე ნიჭიერად დაგვიხატა; და რომელიმე ეკონომისტს ან პუბლიცისტს სოფლის შესახებ მსჯელობისათვის რომ საფუძვლად დაედო ის მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი და დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა ნ ი, რომლებიც

ენგელგარდტს მოჰყავს *, ასეთი მასალიდან ნაროდნიკული დასკვნების გამოტანა შეუძლებელი იქნებოდა. გლეხისა და მისი თემის იდეალიზაცია ნაროდნიკობის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, და ყველა ჯურის ნაროდნიკებს, დაწყებული ბ-ნ ვ. ვ-ით და გათავებული ბ-ნ მიხაილოვსკით, «თემის» იდეალიზაციისა და შელამაზებისადმი ამ მისწრაფებისათვის უხვი ხარკი მიურთმევიათ. ენგელგარდტს ასეთი შელამაზების ნასახიც არა აქვს. წინააღმდეგ მოარული ფრაზებისა ჩვენი გლეხის თემობრიობის შესახებ, წინააღმდეგ მოარული ჩვეულებისა, რომ ქალაქთა ინდივიდუალიზმს, კაპიტალისტური მეურნეობის კონკურენციას და სხვ. დაუპირისპიროს ეს «თემობრიობა», ენგელგარდტი სრული ულმობელობით ააშკარავებს წვრილი მიწათმოქმედის საოცარ ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ი ზ მ ს. იგი დაწვრილებით გვიჩვენებს, რომ ჩვენებური «გლეხები საკუთრების საკითხებში ყველაზე უკიდურესი მესაკუთრენი არიან» (გვ. 62, ციტ. 1885 წ. გამოცემიდან), რომ მათ საშინლად ეჯავრებათ «გროვად მუშაობა», და ეჯავრებათ ვიწრო პირადული და ეგოისტური მოტივებით: გროვად მუშაობის დროს თვითეულ მათგანს «ეშინია ზედმეტი მუშაობა არ შეხვდეს» (გვ. 206). ეს შიში, რომ ზედმეტი მუშაობა არ შეხვდეთ, უდიდეს კომიზმს (შეიძლება ტრაგიკომიზმს) აღწევს, როდესაც ავტორი გვიამბობს, როგორ რეცხენ ერთ სახლში მცხოვრები და საერთო მეურნეობით და ნათესაობით დაკავშირებული დედაკაცები თავთავის წილს იმ მა-

* გაკვრით ვიტყვით: ეს არათუ ფრიად საინტერესო და საგულისხმო, არამედ მკვლევარ-ეკონომისტის სავსებით კანონიერი ხერხი იქნებოდა. თუ კი მეცნიერნი ენდობიან ანკეტების მასალას — იმ მრავალი მეპატრონის პასუხებსა და აზრებს, რომელნიც ძალიან ხშირად მიკერძებულნი, ნაკლებად მცოდნენი არიან და მთლიანი შეხედულება არ შეუმუშავებიათ, თავის შეხედულებებს ვერ ჩაჰკვირვებიან, — რატომ არ უნდა ვენდოთ იმ დაკვირვებებს, რომელთაც მთელი 11 წლის განმავლობაში აგროვებდა დაკვირვების შესანიშნავი უნარის მქონე, უეჭველად გულწრფელი ადამიანი, — ადამიანი, რომელსაც მშვენივრად შეუსწავლია ის, რაზედაც ლაპარაკობს.

გიდისას, რომელზედაც სადილობენ, ანდა ძროხებს მორიგეობით სწველიან და რძეს თ ა ვ ი ს ი ბავშვისათვის აგროვებენ (რძის გადამალვისა ეშინიათ) და როგორ ცალ-ცალკე ამზადებენ თავისი ბავშვისათვის ფაფას (გვ. 323). ენგელგარდტი ისე დაწვრილებით არკვევს ამ თვისებებს, იმდენი მაგალითით ადასტურებს მათ, რომ ამ ფაქტების შემთხვევითობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ორში ერთი: ან ენგელგარდტი ყოვლად უვარგისი და არასანდო დამკვირვებელია, ანდა ლათაიები ჩვენებური გლეხის თემობრიობისა და თემობრივი თვისებების შესახებ უბრალო ჭორია, რომელსაც მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ზ ე გადააქვს მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ფორმისაგან განყენებული თვისებები (მასთან მიწათმფლობელობის ამ ფორმისაგან განყენებულია კიდევ ყველა მისი ფისკალურ-ადმინისტრაციული მხარე). ენგელგარდტი გვიჩვენებს, რომ გლეხის ტენდენცია მის სამეურნეო საქმიანობაში კულაკობაა: «კულაკობის განსაზღვრული დოზის მატარებელია ყოველი გლეხი» (გვ. 491), «გლეხთა წრეში კულაკური იდეალები მეფობს»... მე არა ერთხელ აღმინიშნავს, რომ გლეხებში მეტად განვითარებულია ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი, ექსპლუატაციისადმი მისწრაფება»... «თვითეული ამაყობს იმით, რომ ორაგული გახდეს და ჭიჭყინა გადაყლაპოს». გლეხობის ტენდენცია, მიმართული სრულიადაც არა «სათემო» წყობილებისაკენ, არა «სახალხო წარმოებისაკენ», არამედ ფრიად ჩვეულებრივი, ყველა კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელი, წვრილბურჟუაზიული წყობილებისაკენ — ენგელგარდტის მიერ ჩინებულად არის ნაჩვენები. შეძლებული გლეხის მისწრაფება — გააჩაღოს სავაჭრო ოპერაციები (363), დაარიგოს პური სამუშაოს ფასად, იყიდოს ღარიბი გლეხის მუშაობა (გვ. 457, 492 და სხვ.), ე. ი., ეკონომიური ენით რომ ვთქვათ, მეურნე გლეხების გადაქცევა სოფლის ბურჟუაზიად, ენგელგარდტმა ასწერა და საბოლოოდ დაამტკიცა. «თუ გლეხები საარტელო მეურნეობაზე არ გადავიდნენ, — ამბობს ენგელგარდტი, — და თვითეული კომლი ცალ-ცალკე გაუძღვა

თავის მეურნეობას, მიწის სიუხვის დროსაც კი მიწათმოქმედ გლეხთა შორის იქნებიან უმიწაწყლონიც და მოჯამაგირენიც. უფრო მეტსაც ვიტყვი: ვფიქრობ, გლეხთა შორის ქონებრივი განსხვავება კიდევ უფრო დიდი იქნება, ვიდრე ახლაა. მიუხედავად მიწის სათემო მფლობელობისა, «მდიდრებთან» ერთად მრავლად იქნებიან ფაქტიურად უმიწაწყლო მოჯამაგირენი. რაღა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის და ჩემი ბავშვებისათვის იმას, რომ მე მიწის საკუთრების უფლება მაქვს, როდესაც არც კაპიტალი მომეპოვება და არც დასამუშავებელი იარაღი? ეს იგივეა, ბრმას მიწა რომ მისცე: აჰა, სჭამეო!» (გვ. 370). «საარტელო მეურნეობა» რაღაც მწარე ირონიით განმარტოებულად დგას აქ, როგორც კეთილი, უმწიკვლო სურვილი, რომელიც არათუ არ გამომდინარეობს ცნობებიდან გლეხობის შესახებ, არამედ პირდაპირ გაბათილებული და გამორიცხულიც არის ამ ცნობებით.

მეორე თვისება, რაც ენგელგარდტს აახლოებს მემკვიდრეობის ისეთ წარმომადგენლებთან, რომელთაც სრულიად არავითარი ნაროდნიკული ელფერი არ დაჰკრავთ, ეს არის იმის რწმენა, რომ გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობის უმთავრესი და ძირითადი მიზეზია ბატონყმობის ნაშთები და მისი დამახასიათებელი რეგლამენტაცია. მოსპეთ ეს ნაშთები და ეს რეგლამენტაცია — და საქმეც მოგვარდებაო. ენგელგარდტის უეჭველი უარყოფითი დამოკიდებულება რეგლამენტაციისადმი, მის მიერ გესლიანი დაცინვა ყოველგვარი ცდისა, რომ ზემოდან რეგლამენტაციის გზით გააბედნიერონ გლეხი — მკვეთრად ეწინააღმდეგება ნაროდნიკთა სასოებას «ხელმძღვანელი კლასების გონიერებასა და სინდისზე, ცოდნასა და პატრიოტიზმზე» (ბ-ნ იუჟაკოვის სიტყვები «რ. ბ — ვო»-ში, 1896, № 12, გვ. 106), ნაროდნიკთა პროექტერობას «წარმოების ორგანიზაციისა» და სხვ. შესახებ. გავიხსენოთ, რა სარკასტულად ესხმოდა თავს ენგელგარდტი იმ წესს, რომ წისქვილში არაყის გაყიდვა არ შეიძლებაო, წესს, რომელსაც მხედველობაში აქვს გლეხის «სარგებლო-

ბა»; რა აღშფოთებით ლაპარაკობს იგი რამდენიმე ერობის 1880 წლის სავალდებულო დადგენილებაზე: ჭვავი 15 აგვისტოზე ადრე არ დასთესოთო, ამ — აგრეთვე გლეხის სარგებლობის მოსაზრებებით გამოწვეულ — კაბინეტურ «მეცნიერთა» უხეშ ჩარევაზე «მილიონობით მიწათმოქმედ-მეურნეთა» მეურნეობაში (424). აღნიშნავს რა ისეთ წესებსა და განკარგულებებს, როგორიცაა წიწვიან ტყეში თამბაქოს მოწევის აკრძალვა, გაზაფხულზე ქარიყლაპია თევზის ხოცვის, «სამაისოდ» არყის ხის მოჭრის, ბუდეების მოშლისა და სხვათა აკრძალვა, ენგელგარდტი სარკასტულად დასძენს: «...გლეხზე ზრუნვა ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს ინტელიგენტ ადამიანთა მთავარ საწუხარს. ვინღა ცხოვრობს თავის თავისთვის? ყველანი გლეხისათვის ცხოვრობენ!.. გლეხი ბრიყვია, თვითონ მას მოწყობა არ შეუძლია. მისთვის თუ არავინ იზრუნა, იგი მთელ ტყეებს გადაბუგავს, ყველა ფრინველს ამოსწყვეტს, თევზებს სულ დაიჭერს, მიწას გააფუჭებს და თვითონაც მთლად ამოწყდება» (398). ერთი სთქვით, მკითხველო, განა შეეძლო ამ მწერალს თანაგრძნობით მოჰკიდებოდა თუნდაც ნაროდნიკების სანუკვარ კანონებს ნადელების განუსხვისებლობის შესახებ? განა შეეძლო მას ეთქვა «რუს. ბოგატსტვოს» ერთ-ერთი ბურჯის ზემომოყვანილი ფრაზის მსგავსი რამ? განა შეეძლო მას გაეზიარებინა იმავე ჟურნალის მეორე ბურჯის, ბ-ნ ნ. კარიშევის თვალსაზრისი, კარიშევისა, რომელიც ჩვენს საგუბერნიო ერობებს უსაყვედურებდა (90-იან წლებში!), რომ მათ «ადგილი ვერ უპოვიათ» «სამიწათმოქმედო შრომის ორგანიზაციისათვის დიდი, სერიოზული, სისტემატური ხარჯების 'გასაწევად»? *.

აღვნიშნავთ კიდევ ერთ თვისებას, რომელიც ენგელგარდტს სკალდინთან აახლოებს: ეს არის ენგელგარდტის

* «რუსსკოე ბოგატსტვო», 1896 წ., № 5, მაისი. ბ-ნ კარიშევის სტატია საგუბერნიო ერობის მიერ ეკონომიურ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯების შესახებ. გვ. 20.

შეუცნობელი დამოკიდებულება ბევრ წმინდა ბურჟუაზიულ სურვილთან და ღონისძიებასთან. ნუ იფიქრებთ, თითქოს ენგელგარდტი ცდილობდეს შეალამაზოს წვრილი ბურჟუები, თხზავდეს რაიმე მიზეზებს (á la* ბ-ნ ვ. ვ-ისა) ამა თუ იმ მეწარმეთადმი ამ კვალიფიკაციის მიყენების წინააღმდეგ, — სრულიადაც არა. ენგელგარდტი, როგორც პრაქტიკოსი მეურნე, მხოლოდ გატაცებულია ყოველგვარი პროგრესით, მეურნეობაში გაუმჯობესებათა შეტანით და სრულიად ვერ ამჩნევს, რომ ამ გაუმჯობესებათა საზოგადოებრივი ფორმა საუკეთესოდ აბათილებს მისსავე საკუთარ თეორიებს ჩვენში კაპიტალიზმის შეუძლებლობის შესახებ. გავიხსენოთ, მაგალითად, როგორ არის იგი გატაცებული იმ წარმატებებით, რომლებისთვისაც თავის მეურნეობაში მიუღწევია მუშების ს ა ნ ა რ დ ო ხ ე ლ ფ ა ს ი ს სისტემის წყალობით (სელის წეწვისათვის, ლეწვისათვის და სხვ.). ენგელგარდტს თითქოს ეჭვიც კი არ ებადება, რომ მუშაობის დროის მიხედვით ხელფასის შეცვლა საცალო ხელფასით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხია განვითარების გზაზე მდგომი კაპიტალისტური მეურნეობისა, რომელიც ამ ხერხით შრომის ინტენსიფიკაციის გაძლიერებას და ზეღირებულების ნორმის გადიდებას აღწევს. მეორე მაგალითი. ენგელგარდტი დასცინის «ზემლედელჩესკაია გაზეტას» [107] პროგრამას: «მინდვრების ჯგუფებად გაცემის შეწყვეტა, მოჯამაგირეთა შრომის გამოყენებით მეურნეობის მოწყობა, გაუმჯობესებული მანქანების, იარაღების, პირუტყვის ჯიშების, მრავალმინდვროვანი სისტემის შემოღება, სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესება და სხვ. და სხვ.». — «მაგრამ ყველაფერი ეს ხომ ზოგადი ფრაზებია!» — აცხადებს ენგელგარდტი (128). და მაინც ენგელგარდტმა სწორედ ეს პროგრამა განახორციელა თავის სამეურნეო პრაქტიკაში, მიაღწია ტექნიკურ პროგრესს თავის მეურნეობაში სწორედ იმის წყალობით, რომ მისი ორგანიზა-

* — მსგავსად. რ ე დ.

ცია დამყარებული იყო მოჯამაგირეობაზე. ანდა კიდევ: ჩვენ დავინახეთ, თუ რა გულახდილად და რა სისწორით ამხილა ენგელგარდტმა მეურნე გლეხის ნამდვილი ტენდენციები; მაგრამ ამან მას ოდნავაც ხელი არ შეუშალა ამტკიცოს, რომ «საჭიროა არა ფაბრიკები და ქარხნები, არამედ სოფლის პ ა ტ ა რ-პ ა ტ ა რ ა (ხაზგასმა ენგელგარდტისაა) არაყის საწდელები, ზეთსახდელები» და სხვ. (გვ. 336), ე. ი. «საჭიროა» სოფლის ბურჟუაზიის გადასვლა ტექნიკურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებებზე, — გადასვლა, რომელიც ყველგან და ყოველთვის სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმპტომი იყო. აქ თავი იჩინა იმან, რომ ენგელგარდტი იყო არა თეორეტიკოსი, არამედ პრაქტიკოსი მეურნე. ერთია მსჯელობდე უკაპიტალიზმო პროგრესის შესაძლებლობაზე და სულ სხვაა თვითონ ეწეოდე მეურნეობას. დაისახა რა მიზნად საკუთარი მეურნეობის რაციონალურად დაყენება, ენგელგარდტი არსებულ გარემოებათა გამო ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გახდა ამ მიზნისათვის მიეღწია წმინდა კაპიტალისტური ხერხებით და გვერდზე გადაედო მთელი თავისი წმინდა თეორიული და განყენებული ეჭვები «მოჯამაგირეობის» შესახებ. სკალდინი თეორიაში მსჯელობდა, როგორც ტიპიური მანჩესტერელი და სრულიად ვერ ამჩნევდა ვერც თავის მსჯელობათა ხსენებულ ხასიათს, ვერც მათს შესაბამისობას რუსეთის კაპიტალისტური ევოლუციის საჭიროებებთან. ენგელგარდტი პრაქტიკაში იძულებული გახდა ემოქმედნა როგორც ტიპიურ მანჩესტერელს, მიუხედავად თავისი თეორიული პროტესტისა კაპიტალიზმის წინააღმდეგ და თავისი სურვილისა ჰქონებოდა რწმენა სამშობლოს განსაკუთრებული გზებისადმი.

ენგელგარდტს კი ასეთი რწმენა ჰქონდა, რაც გვაიძულებს ნაროდნიკი ვუწოდოთ მას. ენგელგარდტი უკვე ნათლად ხედავს რუსეთის ეკონომიური განვითარების ნ ა მ დ ვ ი ლ ტენდენციას და იწყებს მ ო მ ი ზ ე ზ ე ბ ა ს, რათა თავი აარიდოს ამ განვითარების წინააღმდეგობებს. იგი ცდი-

ლობს დაამტკიცოს, რომ რუსეთში სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის არსებობა შეუძლებელია, ცდილობს დაამტკიცოს, რომ «ჩვენში არ არის კნეხტი» (გვ. 556), — თუმცაღა თვითონვე ფრიად დაწვრილებით გააბათილა ლათაიები ჩვენი მუშების სიძვირეზე, თვითონვე დაგვანახა, თუ რა სრულიად მცირე ხელფასით მუშაობს მასთან თავისი ოჯახით მესაქონლე პეტრე, რომელსაც რჩენის გარდა წელიწადში რჩება 6 მანეთი «მარილის, საჭმელი ზეთისა და ტანისამოსის საყიდლად» (გვ. 10). «მაგრამ, მიუხედავად ამისა, პეტრეს მაინც შენატრიან, და მე რომ ის დავითხოვო, მყისვე 50 მსურველი მაინც გამოჩნდება მისი ადგილის დასაჭერად» (გვ. 11). აღნიშნავს რა თავისი მეურნეობის წარმატებას, იმას, რომ მუშები გუთანს უნარიანად ხმარობენ, ენგელგარდტი ძლევამოსილად აცხადებს: «მერე ვინ არიან მხვნელნი? უვიცი, არაკეთილსინდისიერი რუსი გლეხები» (გვ. 225).

ენგელგარდტმა თავისი საკუთარი მეურნეობის გაძღოლით და გლეხთა ინდივიდუალიზმის მხილებით გააქარწყლა ყოველგვარი ილუზიები «თემობრიობის» შესახებ; მიუხედავად ამისა მას არათუ «სწამდა» საარტელო მეურნეობაზე გლეხთა გადასვლის შესაძლებლობა, არამედ «რწმენასაც» გამოსთქვამდა, რომ ეს ასეც მოხდება, რომ სწორედ ჩვენ, რუსები, მოვახდენთ ამ დიად საქმეს, შემოვიღებთ მეურნეობის გაძღოლის ახალს წესებსაო. «სწორედ ეს შეადგენს ჩვენი მეურნეობის თვითმყოფობას, ორიგინალობასაო» (გვ. 349). ენგელგარდტი-რეალისტი იქცევა ენგელგარდტ-რომანტიკოსად, რომელიც თავის მეურნეობის გაძღოლის წესებსა და გლეხთა მეურნეობის გაძღოლის წესებში მის მიერ შემჩნეულ «თვითმყოფობის» სრულ უქონლობას ინაზღაურებს მომავალი «თვითმყოფობისადმი» «რ წ მ ე ნ ი თ»! ამ რწმენიდან მცირე მანძილიღაა ულტრა-ნაროდნიკულ თვისებებამდისაც, რომლებიც — თუმცა მეტად იშვიათად — გვხვდება ენგელგარდტის აზრებში, მცირე მანძილია ვიწრო ნაციონალიზმამდე, რომელიც შოვინიზმის მომიჯნავეა («ევროპასაც თავპირს

დავამტვრევთ», «ევროპაშიც გლეხი ჩვენი მომხრე იქნებაო» (გვ. 387) — უმტკიცებდა ომის გამო ერთს მემამულეს ენგელგარდტი), — მცირე მანძილია შრომამიგების იდეალიზაციამდისაც კი! დიახ, სწორედ ის ენგელგარდტი, რომელმაც თავისი წიგნის ბევრი მშვენიერი ფურცელი მიუძღვნა გლეხის დაბეჩავებული და დამცირებული მდგომარეობის აღწერას, იმ გლეხისა, რომელსაც ვალად აუღია ფული ან პური სამუშაოს ფასად და იძულებულია თითქმის მუქთად იმუშაოს პირადი დამოკიდებულების ყველაზე ცუდ პირობებში * — სწორედ ეს ენგელგარდტი იქამდე მისულა, რომ ამბობს: «კარგი იქნებოდა, რომ ექიმს (ლაპარაკი იყო სოფლად ექიმის საჭიროებასა და სარგებლობაზე. ვ. ი.) თავისი მეურნეობა ჰქონდეს, ისე რომ გლეხს შეეძლოს თავისი წამლობის სამაგიერო მუშაობით გადაუხადოს» (გვ. 41). კომენტარიები ზედმეტია.

— საერთოდ და მთლიანად, თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ენგელგარდტის მსოფლმხედველობის ზემოთ დახასიათებულ დადებითს თვისებებს (ე. ი. თვისებებს, რაც მას საერთო აქვს «მემკვიდრეობის» იმ წარმომადგენლებთან, რომელთაც არავითარი ნაროდნიკული ელფერი არ დაჰკრავთ) და უარყოფითს (ე. ი. ნაროდნიკულ) თვისებებს, უნდა აღვიაროთ, რომ «სოფლიდან» წერილების ავტორში პირველნი უეჭველად სჭარბობენ, მაშინ როდესაც უკანასკნელნი თითქოს გარეშე, შემთხვევითი ჩამატებაა, გარედან ნაკარნახევი და წიგნის ძირითადი ტონის შეუფერებელი.

III

მოიგო თუ არა «მემკვიდრეობამ» ნაროდნიკობასთან კავშირით?

— მერე და რას გულისხმობთ თქვენ ნაროდნიკობად? — შეგვეკითხება, ალბათ, მკითხველი. — იმის განსაზღვრა, თუ

* გაიხსენეთ სურათი, როდესაც სტაროსტა (ე. ი. მემამულის მოურავი) გლეხს სამუშაოდ იბარებს, მაშინ როცა გლეხს საკუთარი ყანა ჩაუცვივა, და მხოლოდ იმის გახსენება აიძულებს წასვლას, რომ ვოლოსტში მას «შარვალს ჩახდიან».

რა შინაარსს ვდებთ «მემკვიდრეობის» ცნებაში, ზემოთ იყო მოცემული, ხოლო «ნაროდნიკობის» ცნებისათვის არავითარი განსაზღვრა არ მოგვიცია.

— ნაროდნიკობად ჩვენ მიგვაჩნია შეხედულებათა ის სისტემა, რომელიც შეიცავს შემდეგ სამ თვისებას: 1) კაპიტალიზმის აღიარება რუსეთში დაცემულობად, რეგრესად. აქედან გამომდინარეობს მისწრაფება და სურვილები «შეაფერხონ», «შეაჩერონ», «შესწყვიტონ» საუკუნოვან ბურჯთა «მსხვრევა» კაპიტალიზმის მიერ და სხვა ამის მსგავსი რეაქციული გოდება. 2) აღიარება საერთოდ რუსეთის ეკონომიური წყობის თვითმყოფობისა და კერძოდ გლეხის თვითმყოფობისა მისი თემით, არტელით და სხვ. საჭიროდ არ მიაჩნიათ რუსეთის ეკონომიურ ურთიერთობას მიუყენონ თანამედროვე მეცნიერების მიერ შემუშავებული ცნებები სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასებისა და მათი კონფლიქტების შესახებ. თემურ გლეხობას უყურებენ როგორც კაპიტალიზმთან შედარებით რაღაც უმაღლეს, უკეთეს რასმე; ჩნდება «ბურჯთა» იდეალიზაცია. გლეხობაში უარყოფენ და აფუჩეჩებენ იმავე წინააღმდეგობებს, რომლებიც ყოველგვარ სასაქონლო და კაპიტალისტურ მეურნეობას მოსდგამს, უარჰყოფენ ამ წინააღმდეგობათა კავშირს მათს უფრო განვითარებულ ფორმასთან კაპიტალისტურ მრეწველობასა და კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაში. 3) უგულებელყოფა ჩვენი ქვეყნის «ინტელიგენციისა» და იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირისა განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასთა მატერიალურ ინტერესებთან. ამ კავშირის უარყოფა, ამ სოციალური ფაქტორების მატერიალისტური ახსნის უქონლობა იძულებულს ხდის მიიჩნიონ ისინი ისეთ ძალად, რომელსაც შეუძლია «ისტორია სხვა ხაზით წარმართოს» (ბ-ნი ვ. ვ.), «გზიდან

გადაახვევინოს» (ბ-ნი ნ. — ონი, ბ-ნი იუჟაკოვი და სხვ.) და ა. შ.

აი რას ვგულისხმობთ ჩვენ «ნაროდნიკობად». მკითხველი, მაშასადამე, ხედავს, რომ ამ ტერმინს ჩვენ ვხმარობთ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ისე, როგორც ხმარობს მას აგრეთვე ყველა «რუსი მოწაფე», რომელნიც ილაშქრებენ შეხედულებათა მთელი სისტემისა და არა მის ცალკეულ წარმომადგენელთა წინააღმდეგ. ამ ცალკეულ წარმომადგენელთა შორის, რა თქმა უნდა, არის განსხვავება, ზოგჯერ არცთუ მცირედი. ამ განსხვავებას არავინ არ უგულებელჰყოფს. მაგრამ მსოფლმხედველობის ხსენებული ნიშნები საერთო აქვთ ნაროდნიკობის სულ სხვადასხვა წარმომადგენლებს, დაწყებული... თუნდაც, ვთქვათ, ბ-ნ იუზოვით და გათავებული ბ-ნ მიხაილოვსკით. ბატონი იუზოვები, საზონოვები, ვ. ვ-ები და სხვანი თავიანთ შეხედულებათა ხსენებულ უარყოფითს თვისებებს უმატებენ კიდევ სხვა უარყოფით თვისებებს, რომლებიც, მაგალითად, არა აქვთ არც ბ-ნ მიხაილოვსკის და არც ახლანდელი «რუს. ბოგატსტვოს» სხვა თანამშრომლებს. ამ განსხვავებათა უარყოფა ნაროდნიკებსა, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, და საერთოდ ნაროდნიკებს შორის, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უმართებულობა იქნებოდა იმის უგულებელყოფა, რომ ყველა და ყოველნაირ ნაროდნიკთა ძირითადი სოციალურ-ეკონომიური შეხედულებანი ზემოხსენებულ მთავარ პუნქტებში ერთმანეთს ემთხვევიან. ხოლო ვინაიდან «რუსი მოწაფეები» უარჰყოფენ სწორედ ამ ძირითად შეხედულებებს და არა მარტო მათგან «სამწუხარო გადახრებს» უარესი მიმართულებით, ცხადია, მათ სრული უფლება აქვთ იხმარონ ცნება «ნაროდნიკობა» ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. არათუ უფლება აქვთ, არამედ არც შეუძლიათ სხვანაირად მოიქცნენ.

ვუბრუნდებით რა ნაროდნიკობის ზემოთ დახასიათებულ ძირითად შეხედულებებს, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშ-

ნოთ, რომ «მემკვიდრეობა» ამ შეხედულებებში სრულიად არაფერ შუაშია. არიან «მემკვიდრეობის» მთელი რიგი უეჭველი წარმომადგენელნი და დამცველნი, რომელთაც ნაროდნიკობასთან საერთო არა აქვთ რა, კაპიტალიზმის საკითხს სრულიადაც არ აყენებენ, რუსეთისა, გლეხთა თემისა და სხვათა თვითმყოფობა სრულიად არა სწამთ, ინტელიგენცია და იურიდიულ-პოლიტიკური დაწესებულებანი სრულიად არ მიაჩნიათ ისეთ ფაქტორად, რომელსაც შეუძლია «გზიდან გადაახვევინოს». ზემოთ ჩვენ მაგალითისათვის დავასახელეთ «ვესტნიკ ევროპის»[108] რედაქტორ-გამომცემელი, რომელსაც რაც გნებავთ დააბრალეთ, მაგრამ მემკვიდრეობის ტრადიციათა დარღვევას კი ვერ დასწამებთ. პირიქით, არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთი შეხედულებებით ნაროდნიკობის აღნიშნულ ძირითად პრინციპებს ეფარდებიან და ამასთან პირდაპირ და აშკარად «უარჰყოფენ მემკვიდრეობას» — დავასახელებთ თუნდაც იმავე ბ-ნ ი. აბრამოვს, რომელზედაც ბ-ნი მიხაილოვსკიც მიგვითითებს, ანდა ბ-ნ იუზოვს. ის ნაროდნიკობა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვიან «რუსი მოწაფეები», სრულიადაც არ ყოფილა იმ დროს, როცა (იურიდიული ენით რომ ვთქვათ) მემკვიდრეობა «იხსნებოდა», ე. ი. 60-იან წლებში. ნაროდნიკობის ჩანასახი, დასაბამი, რა თქმა უნდა, იყო არა მარტო 60-იან წლებში, არამედ 40-იან წლებსა და ამაზე ადრეც კი*, — მაგრამ ნაროდნიკობის ისტორია ახლა ჩვენ სრულიად არ გვაინტერესებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ, კიდევ ვიმეორებთ, გამოვარკვიოთ, რომ 60-იანი წლების «მემკვიდრეობას» იმ აზრით, როგორც იგი ზემოთ დავახასიათეთ, საერთო არა აქვს რა ნაროდნიკობასთან, ე. ი. შეხედულებათა დედაარსის მხრივ მათ შორის საერთო არა არის რა, ისინი სხვადასხვა საკითხებს აყენებენ. არიან «მემკვიდრეობის» არა-ნაროდნიკი დამცველ-

* შეად. ახლა ტუგან-ბარანოვსკის წიგნი: «რუსეთის ფაბრიკა» (სპბ. 1898 წ.).

ნი, და არიან ნაროდნიკები, რომლებმაც «უარჰყვეს მემკვიდრეობა». რასაკვირველია, არიან ისეთი ნაროდნიკებიც, რომელნიც «მემკვიდრეობას» იცავენ ან მის დაცვას ჩემულობენ. სწორედ ამიტომ ვლაპარაკობთ ჩვენ ნაროდნიკობასთან მემკვიდრეობის კავშირზე. ვნახოთ, რა მოგვცა ამ კავშირმა.

ჯერ-ერთი, ნაროდნიკობამ დიდი ნ ა ბ ი ჯ ი გადადგა წ ი ნ მემკვიდრეობასთან შედარებით იმით, რომ გადასაწყვეტად დ ა ა ყ ე ნ ა საზოგადოებრივი აზრის წინაშე ისეთი საკითხები, რომელთა დაყენება მემკვიდრეობის დამცველებს ნაწილობრივ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ (მათ დროს), ნაწილობრივ კი არ აყენებდნენ და არც აყენებენ თავიანთი გონებრივი ჰორიზონტის სივიწროვის გამო. ამ საკითხების დ ა ყ ე ნ ე ბ ა ნაროდნიკობის დიდი ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დამსახურებაა, და საკვლევით ბუნებრივი და გასაგებია, რომ ნაროდნიკობამ, ამ საკითხების გადაწყვეტა რომ მოგვცა (როგორიც უნდა იყოს), ს წ ო რ ე დ ა მ ი თ მოწინავე ადგილი დაიჭირა რუსეთის საზოგადოებრივი აზრის პროგრესულ მიმდინარეობათა შორის.

მაგრამ ნაროდნიკობის მიერ ამ საკითხების გადაწყვეტა სრულიად უვარგისი აღმოჩნდა; იგი დაფუძნებული იყო ჩამორჩენილ თეორიებზე, რომელნიც დასავლეთ ევროპამ დიდი ხანია უკუაგდო, დაფუძნებული იყო კაპიტალიზმის რომანტიკულ და წვრილბურჟუაზიულ კრიტიკაზე, რუსეთის ისტორიისა და სინამდვილის უდიდესი ფაქტების უგულებელყოფაზე. სანამ კაპიტალიზმისა და მის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა განვითარება რუსეთში ჯერ კიდევ ძალიან სუსტი იყო, კაპიტალიზმის ეს პრიმიტიული კრიტიკა კიდევ ასატანი იყო. რუსეთში კაპიტალიზმის თანამედროვე განვითარებას კი, რუსეთის ეკონომიური ისტორიისა და სინამდვილის შესახებ ჩვენი ცოდნის თანამედროვე მდგომარეობას, სოციოლოგიური თეორიის მიმართ თანამედროვე მოთხოვნებს ნაროდნიკობა უსათუოდ ვეღარ აკმაყოფილებს. ნაროდნიკობა თავის დროზე პროგრესული მოვლენა იყო, როგორც პირველი დაყენება საკითხისა კაპიტალიზმის შესახებ, ხოლო ახლა იგი რ ე ა ქ ც ი უ ლ ი და მ ა ვ ნ ე თეორიაა, რომელიც თავგზას უბნევს

საზოგადოებრივ აზრს, ხელს უწყობს დამყაყებასა და ყოველგვარ აზიურობას. კაპიტალიზმის ნაროდნიკული კრიტიკის რეაქციულმა ხასიათმა ამჟამად ნაროდნიკობას ისეთი თვისებებიც კი შესძინა, რომ მას ეს თვისებები იმ მსოფლმხედველობაზე უფრო დაბლა აყენებენ, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ მემკვიდრეობის ერთგული დაცვით*. ეს რომ ასეა, — ჩვენ ახლავე ვეცდებით ცხადვყოთ ნაროდნიკული მსოფლმხედველობის ზემოხსენებული სამი ძირითადი თვისების სათითოოდ გარჩევით.

პირველი თვისებაა რუსეთში კაპიტალიზმის აღიარება დაცემულობად, რეგრესად. როგორც კი დაისვა საკითხი რუსეთში კაპიტალიზმის შესახებ, სულ მალე გამოირკვა, რომ ჩვენი ეკონომიური განვითარება კაპიტალისტურია, და ნაროდნიკებმა ეს განვითარება გამოაცხადეს რეგრესად, შეცდომად, იმ გზიდან გადახვევად, რომელსაც თითქოს ერის მთელი ისტორიული ცხოვრება გვიკარნახებდა, იმ გზიდან გადახვევად, რომელიც თითქოს ნაკურთხი იყო საუკუნეებრივი ტრადიციებით და სხვ. და ა. შ. არსებული საზოგადოებრივი განვითარებისადმი განმანათლებელთა მხურვალე რწმენის ნაცვლად გაჩნდა მისდამი უნდობლობა, ისტორიული ოპტიმიზმისა და სულიერი სიმხნევის ნაცვლად — პესიმიზმი და სასოწარკვეთილება; ეს პესიმიზმი და სასოწარკვეთილება დამყარებულია იმაზე, რომ, რაც უფრო შორს წავა საქმე ისე, როგორც ახლა მიდის, მით უარესი, მით უფრო ძნელი იქნება ახალი განვითარებით წამოყენებული ამოცანების გადაწყვეტაო; ჩნდება მოწოდებანი «შევაფერხოთ» და «შევაჩეროთ» ეს განვითარებაო, ჩნდება თეორია, რომ ჩამორჩენილობა რუსეთის ბედნიერებააო და სხვ. ნაროდნიკული

* მე უკვე შემთხვევა მქონდა ზემოთ აღმენიშნა სტატიაში ეკონომიური რომანტიზმის შესახებ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი საოცარ სიბეცეს იჩენენ, როდესაც ტერმინები: რეაქციული, წვრილბურჟუაზიული ესმით როგორც პოლემიკური ფანდები, მაშინ როცა ამ გამოთქმებს სავსებით გარკვეული ისტორიულ-ფილოსოფიური აზრი აქვთ. (იხ. ეს ტომი, გვ. 259. რედ.).

მსოფლმხედველობის ყველა ამ თვისებას «მემკვიდრეობასთან» არათუ საერთო არაფერი აქვს, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება მას. რუსეთის კაპიტალიზმის აღიარება «გზიდან გადახვევად», დაცემულობად და სხვ. იწვევს რუსეთის მთელი ეკონომიური ევოლუციის დამახინჯებას, იმ «ცვლის» დამახინჯებას, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება. კაპიტალიზმის მიერ საუკუნოვან ბურჯთა მსხვრევის შეფერხებისა და შეწყვეტის სურვილით გატაცებული ნაროდნიკი საოცარ ისტორიულ უტაქტობაში ვარდება, ივიწყებს, რომ ამ კაპიტალიზმის უკან არაფერია, გარდა ასეთივე ექსპლუატაციისა და მასთან შეერთებული დამონების და პირადი დამოკიდებულების უსაზღვრო ფორმებისა, რაც უაღრესად ამძიმებდა მშრომელის მდგომარეობას, არაფერია, გარდა რუტინისა და დამყაყებისა საზოგადოებრივ წარმოებაში და, მაშასადამე, სოციალური ცხოვრების ყველა სფეროშიც. კაპიტალიზმის წინააღმდეგ თავისი რომანტიკული, წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით მებრძოლი ნაროდნიკი უკუაგდებს ყოველგვარ ისტორიულ რეალიზმს, კაპიტალიზმის სინამდვილეს ყოველთვის უპირისპირებს ჭორებს წინაკაპიტალისტური წესების შესახებ. «მემკვიდრეობა» 60-იანი წლებისა და მათი მხურვალე რწმენა არსებული საზოგადოებრივი განვითარების პროგრესულობისადმი, მათი ულმობელი მტრობა, მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ მიმართული ძველი დროის ნაშთების წინააღმდეგ, მათი რწმენა, რომ საკმარისია პირწმინდად აღიგავოს ეს ნაშთები, და საქმეც საუკეთესოდ წავალ, — ეს «მემკვიდრეობა» არათუ არაფერ შუაშია ნაროდნიკობის ხსენებულ შეხედულებებში, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ.

ნაროდნიკობის მეორე თვისებაა რწმენა რუსეთის თვითმყოფობისადმი, გლეხის, თემისა და სხვათა იდეალიზაცია. მოძღვრებამ რუსეთის თვითმყოფობის შესახებ აიძულა ნაროდნიკები ჩასჭიდებოდნენ მოძველებულ დასავლეთ-

ევროპულ თეორიებს, აიძულა ისინი გასაოცარი თავქარიანობით მოპყრობოდნენ დასავლეთ-ევროპული კულტურის ბევრ მონაპოვარს: ნაროდნიკები გულს იმით იკეთებდნენ, რომ თუ ჩვენ ცივილიზებული კაცობრიობის ესა თუ ის თვისებები გვაკლია, სამაგიეროდ «ჩვენ მოწოდებულნი ვართ» ქვეყნიერებას მეურნეობის გაძღოლის ახალი წესები ვუჩვენოთო და სხვა. კაპიტალიზმისა და ყველა მისი გამოვლინების ის ანალიზი, რომელიც მოწინავე დასავლეთ-ევროპულმა აზროვნებამ მოგვცა, არათუ მიღებულ არ იქნა კურთხეული რუსეთის მიმართ, არამედ, პირიქით, ყოველი ღონისძიება იქითკენ იყო მიმართული, რომ მოემიზეზებინათ ისეთი რამ, რაც ნებას მისცემდა მათ არ გაეკეთებინათ რუსეთის კაპიტალიზმის შესახებ იგივე დასკვნები, რაც გაკეთებულია ევროპის კაპიტალიზმის შესახებ. ნაროდნიკები თავს დაბლა უკრავდნენ ამ ანალიზის ავტორებს და... და განაგრძობდნენ გულდამშვიდებით ყოფნას ისეთივე რომანტიკოსებად, რომელთა წინააღმდეგ ეს ავტორები მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდნენ. ყველა ნაროდნიკისთვის ამ საერთო მოძღვრებას რუსეთის თვითმყოფობის შესახებ ისევ და ისევ არათუ საერთო არა აქვს რა «მემკვიდრეობასთან», არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება კიდეც მას. «60-იანი წლები», პირიქით, მიისწრაფოდნენ რუსეთის ევროპეიზაციისაკენ, სწამდათ, რომ რუსეთი ეზიარება საერთოევროპულ კულტურას, ზრუნავდნენ ამ კულტურის დაწესებულებათა გადმოტანისათვის ჩვენს, სრულიადაც არა თვითმყოფ, ნიადაგზე. ყოველგვარი მოძღვრება რუსეთის თვითმყოფობის შესახებ სრულიად არ შეესაბამება 60-იანი წლების სულისკვეთებასა და ტრადიციას. კიდევ უფრო მეტად არ შეესაბამება ამ ტრადიციას სოფლის ნაროდნიკული იდეალიზაცია, შელამაზება. ეს ყალბი იდეალიზაცია, რომელსაც სურვილი ჰქონდა რადაც უნდა დაჯდომოდა დაენახა ჩვენს სოფელში რაღაც განსაკუთრებული, რომელიც სრულიად არა ჰგავს ყოველი სხვა ქვეყნის ყოველი

სხვა სოფლის წყობას წინაკაპიტალისტური ურთიერთობის პერიოდში, აშკარად ეწინააღმდეგება გონივრული და რეალისტური მემკვიდრეობის ტრადიციებს. რაც უფრო მეტად და ღრმად ვითარდებოდა კაპიტალიზმი, რაც უფრო მძლავრად იჩენდნენ თავს სოფლად ის წინააღმდეგობანი, რომელნიც საერთოა ყოველი სასაქონლო-კაპიტალისტური საზოგადოებისთვის, მით უფრო და უფრო მკვეთრად იჩენდა თავს წინააღმდეგობა, ერთის მხრივ, გლეხის «თემობრიობის», «არტელობის» და სხვ. შესახებ ნაროდნიკების ტკბილ-ტკბილ ლათაიებსა — და მეორე მხრივ, სოფლის ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარიატად გლეხობის ფაქტიურ გათიშვას შორის; მით უფრო სწრაფად იქცეოდნენ ნაროდნიკები, რომელნიც მოვლენებს კვლავ გლეხის თვალით უცქერდნენ, სენტიმენტალური რომანტიკოსებიდან წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებად, ვინაიდან წვრილი მწარმოებელი თანამედროვე საზოგადოებაში საქონლის მწარმოებლად იქცევა. სოფლის ყალბ იდეალიზაციას და რომანტიკულ ოცნებებს «თემობრიობის» შესახებ ის მოსდევდა, რომ ნაროდნიკები უკიდურესი თავქარიანობით ეპყრობოდნენ გლეხობის იმ ნამდვილ საჭიროებებს, რომელნიც არსებული ეკონომიური განვითარებიდან გამომდინარეობდნენ. თეორიაში შეიძლებოდა რამდენიც გნებავდათ იმდენი გელაპარაკნათ ბურჯთა ძლიერებაზე, მაგრამ პრაქტიკაში ყოველი ნაროდნიკი მშვენივრად გრძნობდა, რომ მოსპობა ძველი დროის ნაშთებისა, რეფორმამდელი წყობილების ნაშთებისა, რომელნიც დღემდე თავით ფეხამდე ბოჭავენ ჩვენს გლეხობას, გზას გაუხსნის სწორედ კაპიტალისტურ და არა სხვა რომელიმე განვითარებას. შეფერხება გვირჩევნია კაპიტალისტურ პროგრესსაო, — ასეთია, არსებითად, ყოველი ნაროდნიკის შეხედულება სოფელზე, თუმცა, რასაკვირველია, ყოველი ნაროდნიკი როდი გაბედავს ბ-ნ ვ. ვ-ის გულუბრყვილო პირდაპირობით აშკარად და გულახდილად გამოსთქვას ეს აზრი. «გლეხები, მიჯაჭვულნი ნადელებსა და საზოგადოებებზე, მოკლებულნი შესაძლებლობას იქ მოიხმა-

რონ თავიანთი შრომა, სადაც იგი უფრო ნაყოფიერი და მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, თითქოს გაქვავდნენ ყოფა-ცხოვრების იმ შეჯგუფებულ, ჯოგისებრ, უნაყოფო ფორმაში, რომელშიც ისინი ბატონყმობიდან გამოსვლის დროს იმყოფებოდნენ». ასე უყურებდა საკითხს «მემკვიდრეობის» ერთ-ერთი წარმომადგენელი «განმანათლებლის» დამახასიათებელი თავისი თვალსაზრისით. — «უმჯობესია გლეხები ყოფა-ცხოვრების თავიანთ რუტინულ, პატრიარქალურ ფორმაში გაქვავდნენ, ვიდრე კაპიტალიზმს გაუკაფონ გზა სოფლად» — არსებითად ასე უყურებს საკითხს ყოველი ნაროდნიკი. მართლაც, ალბათ, არ მოიძებნება არც ერთი ისეთი ნაროდნიკი, რომელიც გაბედავს და უარყოფს იმას, რომ გლეხური თემის წოდებრივი კარჩაკეტილობა თავისი ურთიერთთავდებობით, მიწის გაყიდვისა და ნადელზე ხელის აღების აკრძალვით მკვეთრად ეწინააღმდეგება თანამედროვე ეკონომიურ სინამდვილეს, თანამედროვე სასაქონლო-კაპიტალისტურ ურთიერთობას და მის განვითარებას. ამ წინააღმდეგობის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ საქმის მთელი არსი ის არის, რომ ნაროდნიკებს მეტისმეტად ეშინიათ საკითხის ასე დაყენებისა, გლეხობის იურიდიული გარემოს ასეთი დაპირისპირებისა ეკონომიურ სინამდვილესთან, არსებულ ეკონომიურ განვითარებასთან. ნაროდნიკს დაჟინებით სურს იწამოს არსებული და მისი რომანტიკული ფანტაზიით შექმნილი განვითარება უკაპიტალიზმოდ, და ამიტომ... ამიტომ იგი მზად არის შეაფერხოს ახლანდელი განვითარება, რომელიც კაპიტალისტური გზით მიმდინარეობს. გლეხური თემის წოდებრივი კარჩაკეტილობის, ურთიერთთავდებობის, გლეხის მიერ მიწის გაყიდვისა და ნადელზე ხელის აღების უფლების საკითხებს ნაროდნიკი ეპყრობა არა მარტო უდიდესი სიფრთხილით და «ბურჯთა» (რუტინისა და დამყაყების ბურჯთა) ბედის შიშით; უფრო მეტიც, ნაროდნიკი იმდენად დაბლაც კი ეცემა, რომ მიესალმება გლეხების მიერ მიწის გაყიდვის პოლიციურ აკრძალვას. «გლეხი ბრიყვია, — შეიძლება

ვუთხრათ ასეთს ნაროდნიკს ენგელგარდტის სიტყვები, — თვითონ მას მოწყობა არ შეუძლია. მისთვის თუ არავინ იზრუნა, იგი მთელ ტყეებს გადაბუგავს, ყველა ფრინველს ამოსწყვეტს, თევზებს სულ დაიჭერს, მიწას გააფუჭებს _და თვითონაც მთლად ამოწყდება». ნაროდნიკი აქ უკვე პირდაპირ «უარს ამბობს მემკვიდრეობაზე», და რეაქციონერი ხდება. ამასთან ნუ დაივიწყებთ, რომ გლეხური თემის ამ წოდებრივი კარჩაკეტილობის დამსხვრევა, ეკონომიურ განვითარებასთან ერთად, სოფლის პროლეტარიატისთვის სულ უფრო და უფრო აუცილებელ საჭიროებად ხდება, მაშინ როდესაც გლეხური ბურჟუაზიისათვის აქედან გამომდინარე უხერხულობანი არცთუ ისე მნიშვნელოვანია. «მეურნე გლეხს» ადვილად შეუძლია იჯარით აიღოს მიწა სხვაგანაც, საწარმო გახსნას სხვა სოფელში, სავაჭრო საქმეებზე წავიდეს სადაც უნდა და რამდენ ხანსაც უნდა. მაგრამ «გლეხისათვის», რომელიც უმთავრესად საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობს, ნადელსა და საზოგადოებაზე მიმაგრება იმას ნიშნავს, რომ მისი სამეურნეო საქმიანობა უაღრესად შეიზღუდოს, იმას ნიშნავს, რომ მისთვის შეუძლებელი იქნება იშოვოს უფრო ხელსაყრელი დამქირავებელი, იმას ნიშნავს, რომ თავისი სამუშაო ძალა მიჰყიდოს სწორედ ადგილობრივ მყიდველებს, რომელნიც ყოველთვის ნაკლებს იძლევიან და დამონების ათასგვარ ხერხებს იგონებენ. — რაკი ერთხელვე მოექცა რომანტიკული ოცნების ტყვეობაში, რაკი მიზნად დაისახა ხელი შეუწყოს და დაიცვას ბურჯები წინააღმდეგ ეკონომიური განვითარებისა, ნაროდნიკი თავისდა შეუმჩნევლად ამ დახრილ სიბრტყეზე დაექანა და იქამდე დაეშვა, რომ გვერდში ამოუდგა აგრარის, რომელსაც სულითა და გულით სწყურია «მიწასთან გლეხის კავშირის» შენარჩუნება და განმტკიცება. საკმარისია გავიხაენოთ თუნდაც ის, თუ როგორ წარმოშვა გლეხური თემის ამ წოდებრივმა კარჩაკეტილობამ მუშათა დაქირავების განსაკუთრებული წესები: ქარხნებისა და ეკონომიების მეპატრონენი სოფლებში გზავნიან, მეტადრე იმ სოფლებში, რომლებ-

ზედაც გადასახადთა ნარჩენები ირიცხება, თავიანთ ნოქრებს მუშების რაც შეიძლება ხელსაყრელად დასაქირავებლად. საბედნიეროდ, სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის განვითარება პროლეტარის «ბინადრობას» არღვევს (ასეთია ეგრეთწოდებულ სამიწათმოქმედო გარესამუშაოთა მოქმედება) და თანდათანობით სცვლის ამ დამონებას თავისუფალი დაქირავებით.

მეორე, შეიძლება ითქვას, არანაკლებ მკაფიო დადასტურება ჩვენი დებულებისა თანამედროვე ნაროდნიკული თეორიების მავნეობის შესახებ — ეს არის ის ფაქტი, რომ ნაროდნიკთა შორის ჩვეულებრივი მოვლენაა შ რ ო მ ა მ ი გ ე ბ ი ს ი დ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ იმის მაგალითი, თუ როგორ მოხდა, რომ ენგელგარდტი, ნაროდნიკული შეცდომების შემდეგ, იქამდე მივიდა, რომ დასწერა, «კარგი იქნებოდა» სოფლად შრომამიგებას რომ განავითარებდნენო! ამასვე ვხედავთ ბ-ნ იუჟაკოვის ცნობილ პროექტში სამიწათმოქმედო გიმნაზიების შესახებ («რუსსკოე ბოგატსტვო», 1895, № 5) *. ასეთსავე იდეალიზაციას ეძლეოდა სერიოზულ ეკონომიურ სტატიებში ენგელგარდტის თანამშრომელი ჟურნალში ბ-ნი ვ. ვ., რომელიც ამტკიცებდა, რომ გლეხმა გამარჯვება მოიპოვა მემამულეზე, რომელსაც თითქოს კაპიტალიზმის შემოღება სურდა; მაგრამ უბედურება ის იყო, რომ გლეხი კისრულობდა მემამულის მიწების დამუშავებას და ამისათვის მისგან მიწას იღებდა «იჯარით», — ე. ი. სავსებით აღადგენდა მეურნეობის სწორედ იმ წესს, რომელიც ბატონყმობის დროსაც არსებობდა. ეს ნაროდნიკების მხრივ ჩვენი მიწათმოქმედების საკითხებისადმი რეაქციული დამოკიდებულების ყველაზე მკვეთრი მაგალითებია. უფრო ნაკლებად მკვეთრი ფორმით ეს იდეა ყველა ნაროდნიკს მოეპოვება. ყოველი ნაროდნიკი ლაპარაკობს ჩვენს მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის მავნეობასა და საშიშროებაზე, ვინაიდან კაპიტალიზმი, თურმე ნუ იტყ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 75 — 84 და 567 — 607. რ ე დ.

ვით, დამოუკიდებელ გლეხს მოჯამაგირით სცვლის. კაპიტალიზმის სინამდვილე («მოჯამაგირე») უპირდაპირდება მონაჭორს «დამოუკიდებელი» გლეხის შესახებ: ეს მონაჭორი იმაზეა დამყარებული, რომ წინაკაპიტალისტური ეპოქის გლეხი წარმოების საშუალებებს ჰფლობსო, ამასთან მორიდებულად დუმილით უვლიან გვერდს იმას, რომ ამ წარმოების საშუალებებში მათ ღირებულებასთან შედარებით ერთიორად მეტი უნდა გადაიხადო; რომ ამ წარმოების საშუალებებს შრომამიგებისათვის იყენებენ; რომ ამ «დამოუკიდებელი» გლეხის საარსებო დონე ისე დაბალია, რომ ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში მას პაუპერებში ჩასთვლიდნენ; რომ ამ «დამოუკიდებელი» გლეხის უიმედო სიღატაკესა და გონებრივ უძრაობას ემატება კიდევ პირადი დამოკიდებულება, რომელიც მეურნეობის წინაკაპიტალისტური ფორმების აუცილებელი თანამგზავრია.

ნაროდნიკობის მესამე დამახასიათებელი თვისება — უგულებელყოფა «ინტელიგენციის» და ქვეყნის იურიდიულ-პოლიტიკური დაწესებულებების კავშირისა განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასთა მატერიალურ ინტერესებთან — განუყრელად დაკავშირებულია ზემოხსენებულ თვისებებთან: სოციოლოგიურ საკითხებში რეალიზმის მხოლოდ ამ უქონლობას შეეძლო წარმოეშვა მოძღვრება რუსეთის კაპიტალიზმის «შემცდარობისა» და «გზიდან გადახვევის» შესაძლებლობის შესახებ. ნაროდნიკობის ამ შეხედულებასაც არავითარი კავშირი არა აქვს «მემკვიდრეობასთან» და 60-იანი წლების ტრადიციებთან, არამედ, პირიქით, პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ ტრადიციებს. ამ შეხედულებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს რუსეთის ცხოვრების რეფორმამდელი რეგლამენტაციის მრავალი ნაშთისადმი ნაროდნიკების ისეთი დამოკიდებულება, რის გაზიარებაც არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ «მემკვიდრეობის» წარმომადგენლებს. ამ დამოკიდებულების დასახასიათებლად თავს ნებას

მივცემთ ვისარგებლოთ ბ-ნ ვ. ივანოვის სტატიის «ცუდი გამოგონების» («ნოვოე სლოვო», 1897 წ. სექტ.) მშვენიერი შენიშვნებით. ავტორი ლაპარაკობს ბ-ნ ბობორიკინის ცნობილ რომანზე «სხვანაირად» და ამხელს ავტორის მიერ ნაროდნიკთა და «მოწაფეთა» დავის გაუგებლობას. ბ-ნი ბობორიკინი თავისი რომანის გმირს, ნაროდნიკს, «მოწაფეებისადმი» მიმართულ საყვედურს ათქმევინებს, ვითომც ისინი ოცნებობენ «ყაზარმაზე რეგლამენტაციის აუტანელი დესპოტიზმითო». ბ-ნი ვ. ივანოვი ამის გამო შემდეგს ამბობს:

««რეგლამენტაციის» აუტანელ დესპოტიზმზე, როგორც თავისი მოწინააღმდეგეების «ოცნებაზე», ისინი (ნაროდნიკები) არათუ არ ლაპარაკობდნენ, არამედ არც შ ე უ ძ ლ ი ა თ ლ ა პ ა რ ა კ ი და ა რ ც ი ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ე ნ, თ უ ნ ა რ ო ღ ნ ი კ ე ბ ა დ დ ა რ ჩ ე ბ ი ა ნ. «ეკონომიურ მატერიალისტებთან» მათი დავის დედაარსი ა მ დ ა რ გ შ ი სწორედ ის არის, რომ ძველი რეგლამენტაციის ჩვენში დარჩენილი ნაშთები, ნაროდნიკების აზრით, საფუძველი გახდება რეგლამენტაციის შემდგომი განვითარებისათვის. ამ ძველი რეგლამენტაციის აუტანლობას მათ თვალთაგან ფარავს, ერთის მხრივ, იმის წარმოდგენა, თითქოს თვით «გლეხის სული (ერთიანი და განუყოფელი) ევოლუციას განიცდის» რეგლამენტაციის მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ, ის რწმენა, რომ არსებობს ან მომავალში გაჩნდება «ინტელიგენციის», «საზოგადოების» ან საერთოდ «ხელმძღვანელი კლასების» ზნეობრივი სილამაზე. ეკონომიურ მატერიალისტებს ისინი აბრალებენ მიკერძოებას არა «რეგლამენტაციისადმი», არამედ, პირიქით, იმ დასავლეთ-ევროპული წესებისადმი, რომელნიც რეგლამენტაციის უქონლობაზეა დაფუძნებული. და ეკონომიური მატერიალისტები მართლაც ამტკიცებენ, რომ ნატურალური მეურნეობის საფუძველზე აღმოცენებული ძველი რეგლამენტაციის ნაშთები, დღითიდღე უფრო «აუტანელი» ხდებიან ჩვენს ქვეყანაში, რომელიც გადავიდა ფულადს მეურნეობაზე, რაც უამ-

რავ ცვლილებას იწვევს მისი მოსახლეობის სხვადასხვა წრის როგორც ფაქტიურ მდგომარეობაში, ისე გონებრივ და ზნეობრივ ფიზიონომიაში. ამიტომ მატერიალისტები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ახალი საკეთილო «რეგლამენტაციის» წარმოშობისათვის აუცილებელი პირობები შეიძლება განვითარდეს არა ნატურალურ მეურნეობასთან და ბატონყმობასთან შეგუებული რეგლამენტაციის ნაშთებიდან, არამედ მხოლოდ ამ ძველი რეგლამენტაციის ისეთივე ფართო და ყოველმხრივი უქონლობის ატმოსფეროში, როგორიც დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებში არსებობს. ასეთ მდგომარეობაშია «რეგლამენტაციის» საკითხი ნაროდნიკთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის ატეხილ დავაში» (გვ. 11 — 12, l. c. *). «ძველი რეგლამენტაციის ნაშთებისადმი» ნაროდნიკების ეს დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, «მემკვიდრეობის» ტრადიციებისაგან ნაროდნიკობის ყველაზე დიდი განდგომის გამოხატულებას წარმოადგენს. ამ მემკვიდრეობის წარმომადგენელნი, როგორც დავინახეთ, განირჩეოდნენ ძველი რეგლამენტაციის ყველა და ყოველგვარი ნაშთების მტკიცე და სასტიკი დაგმობით. მაშასადამე, «მოწაფეები» ამ მხრივ 60-იანი წლების «მემკვიდრეობასა» და «ტრადიციებთან» გაცილებით უფრო ახლო დგანან, ვიდრე ნაროდნიკები.

სოციოლოგიური რეალიზმის უქონლობა, ნაროდნიკების ზემოხსენებული ფრიად მნიშვნელოვანი შეცდომის გარდა, იწვევს აგრეთვე მათში საზოგადოებრივ საქმეთა და საკითხთა შესახებ აზროვნებისა და მსჯელობის იმ განსაკუთრებულ მანერას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ვიწრო ინტელიგენტური დიდი წარმოდგენა თავის თავზე ანდა, შეიძლება ითქვას, ბიუროკრატიული აზროვნება. ნაროდნიკი ყოველთვის **იმაზე** მსჯელობს, თუ რა გზა უნდა ავირჩიოთ სამშობლ**ოსათვის** «ჩვენ», რა განსაცდელი მოგველის, თუ «ჩვენ» ასეთ გზაზე

* — loco citato — ციტირებულ ადგილას. რ ე დ.

დავაყენეთ სამშობლო, რა გამოსავალი შეგვიძლია ავირჩიოთ «ჩვენ», თუ მოვახერხეთ და ავცდით იმ გზის საშიშროებას, რომელსაც ბებერი ევროპა გაჰყვა, თუ «ავიღებთ კარგს», რაც რამ არის როგორც ევროპაში, ისე ჩვენებურ ძველთა-ძველ თემობრივობაშიო და სხვ. და ა. შ. აქედან გამომდინარეობს ნაროდნიკის სრული უნდობლობა და უგულებელყოფა იმ ცალკეულ საზოგადოებრივ კლასთა დამოუკიდებელი ტენდენციებისა, რომელნიც ისტორიას თავის ინტერესთა მიხედვით ჰქმნიან. სწორედ აქედან მომდინარეობს ის საოცარი თავქარიანობა, რითაც იწყებს ნაროდნიკი (ივიწყებს რა მის გარშემო არსებულ ვითარებას) ყოველგვარ სოციალურ პროექტერობას, დაწყებულს რადაც «სამიწათმოქმედო შრომის ორგანიზაციით» და გათავებულს ჩვენი «საზოგადოების» მეცადინეობით «წარმოების გაუმჯობესებით». «Mit der Gründlichkeit der geschichtlichen Action wird also der Umfang der Masse zunehmen, deren Action sie ist»* — ამ სიტყვებში გამოხატულია იმ ისტორიულ-ფილოსოფიური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც ვერას გზით ვერ გაუგიათ და არც სურთ გაიგონ ჩვენს ნაროდნიკებს. ადამიანთა ისტორიული შემოქმედების გაფართოებასა და გაღრმავებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს იმ მოსახლეობის მასის რაოდენობაც, რომელიც შეგნებული ისტორიული მოქმედია. ნაროდნიკი კი ყოველთვის მსჯელობდა მოსახლეობაზე საერთოდ, კერძოდ კი მშრომელ მოსახლეობაზე, როგორც ამა თუ იმ მეტად თუ ნაკლებად გონივრულ ღონისძიებათა ობიექტზე, როგორც ისეთ მასალაზე, რომელიც ამა თუ იმ გზისაკენ უნდა წარმართო, და არასოდეს არ უყურებდა მოსახლეობის სხვადასხვა კლასებს

* Marx, «Die heilige Familie», 120. ბელტოვის თარგმ., გვ. 235. («ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად, მაშასადამე, გაიზრდება იმ მასის მოცულობაც, რომლის ქმნილებასაც იგი წარმოადგენს». — მარქსი, «წმიდა ოჯახი» [100]. რედ.)

რავ ცვლილებას იწვევს მისი მოსახლეობის სხვადასხვა წრის როგორც ფაქტიურ მდგომარეობაში, ისე გონებრივ და ზნეობრივ ფიზიონომიაში. ამიტომ მატერიალისტები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ახალი საკეთილო «რეგლამენტაციის» წარმოშობისათვის აუცილებელი პირობები შეიძლება განვითარდეს არა ნატურალურ მეურნეობასთან და ბატონყმობასთან შეგუებული რეგლამენტაციის ნაშთებიდან, არამედ მხოლოდ ამ ძველი რეგლამენტაციის ისეთივე ფართო და ყოველმხრივი უქონლობის ატმოსფეროში, როგორიც დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მოწინავე ქვეყნებში არსებობს. ასეთ მდგომარეობაშია «რეგლამენტაციის» საკითხი ნაროდნიკთა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის ატეხილ დავაში» (გვ. 11 — 12, l. c. *). «ძველი რეგლამენტაციის ნაშთებისადმი» ნაროდნიკების ეს დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, «მემკვიდრეობის» ტრადიციებისაგან ნაროდნიკობის ყველაზე დიდი განდგომის გამოხატულებას წარმოადგენს. ამ მემკვიდრეობის წარმომადგენელნი, როგორც დავინახეთ, განირჩეოდნენ ძველი რეგლამენტაციის ყველა და ყოველგვარი ნაშთების მტკიცე და სასტიკი დაგმობით. მაშასადამე, «მოწაფეები» ამ მხრივ 60-იანი წლების «მემკვიდრეობასა» და «ტრადიციებთან» გაცილებით უფრო ახლო დგანან, ვიდრე ნაროდნიკები.

სოციოლოგიური რეალიზმის უქონლობა, ნაროდნიკების ზემოხსენებული ფრიად მნიშვნელოვანი შეცდომის გარდა, იწვევს აგრეთვე მათში საზოგადოებრივ საქმეთა და საკითხთა შესახებ აზროვნებისა და მსჯელობის იმ განსაკუთრებულ მანერას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ვიწრო ინტელიგენტური დიდი წარმოდგენა თავის თავზე ანდა, შეიძლება ითქვას, ბიუროკრატიული აზროვნება. ნაროდნიკი ყოველთვის იმაზე მსჯელობს, თუ რა გზა უნდა ავირჩიოთ სამშობლოსათვის «ჩვენ», რა განსაცდელი მოგველის, თუ «ჩვენ» ასეთ გზაზე

* — loco citato — ციტირებულ ადგილას. რ ე დ.

დავაყენეთ სამშობლო, რა გამოსავალი შეგვიძლია ავირჩიოთ «ჩვენ», თუ მოვახერხეთ და ავცდით იმ გზის საშიშროებას, რომელსაც ბებერი ევროპა გაჰყვა, თუ «ავიღებთ კარგს», რაც რამ არის როგორც ევროპაში, ისე ჩვენებურ ძველთა-ძველ თემობრივობაშიო და სხვ. და ა. შ. აქედან გამომდინარეობს ნაროდნიკის სრული უნდობლობა და უგულებელყოფა იმ ცალკეულ საზოგადოებრივ კლასთა დამოუკიდებელი ტენდენციებისა, რომელნიც ისტორიას თავის ინტერესთა მიხედვით ჰქმნიან. სწორედ აქედან მომდინარეობს ის საოცარი თავქარიანობა, რითაც იწყებს ნაროდნიკი (ივიწყებს რა მის გარშემო არსებულ ვითარებას) ყოველგვარ სოციალურ პროექტერობას, დაწყებულს რაღაც «სამიწათმოქმედო შრომის ორგანიზაციით» და გათავებულს ჩვენი «საზოგადოების» მეცადინეობით «წარმოების გათემობრივებით». «Mit der Gründlichkeit der geschichtlichen Action wird also der Umfang der Masse zunehmen, deren Action sie ist»* — ამ სიტყვებში გამოხატულია იმ ისტორიულ-ფილოსოფიური თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი დებულება, რომელიც ვერას გზით ვერ გაუგიათ და არც სურთ გაიგონ ჩვენს ნაროდნიკებს. ადამიანთა ისტორიული შემოქმედების გაფართოებასა და გაღრმავებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს იმ მოსახლეობის მასის რაოდენობაც, რომელიც შეგნებული ისტორიული მოქმედია. ნაროდნიკი კი ყოველთვის მსჯელობდა მოსახლეობაზე საერთოდ, კერძოდ კი მშრომელ მოსახლეობაზე, როგორც ამა თუ იმ მეტად თუ ნაკლებად გონივრულ ღონისძიებათა ობიექტზე, როგორც ისეთ მასალაზე, რომელიც ამა თუ იმ გზისაკენ უნდა წარმართო, და არასოდეს არ უყურებდა მოსახლეობის სხვადასხვა კლასებს

* Marx, «Die heilige Familie», 120. ბელტოვის თარგმ., გვ. 235. («ისტორიული მოქმედების საფუძვლიანობასთან ერთად, მაშასადამე, გაიზრდება იმ მასის მოცულობაც, რომლის ქმნილებასაც იგი წარმოადგენს». — მარქსი, «წმიდა ოჯახი» [108]. რედ.)

როგორც არსებულ გზაზე დამოუკიდებელ ისტორიულ მოქმედ კლასებს, არასოდეს არ აყენებდა საკითხს ამ გზის იმ პირობათა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ განავითარონ (ან, პირიქით, შებორკონ) ისტორიის ამ შემოქმედთა დამოუკიდებელი და შეგნებული საქმიანობა.

ამრიგად, თუმცა ნაროდნიკობამ განმანათლებელთა «მემკვიდრეობასთან» შედარებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რუსეთის კაპიტალიზმის საკითხი რომ დ ა ა ყ ე ნ ა, მაგრამ ამ საკითხის მის მიერ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისისა და კაპიტალიზმის სენტიმენტალური კრიტიკის გამო იმდენად არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, რომ ნაროდნიკობა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში უ კ ა ნ მოექცა «განმანათლებლებთან» შედარებით. ნაროდნიკობის შეერთება ჩვენებურ განმანათლებელთა მემკვიდრეობასა და ტრადიციებთან ბოლოს და ბოლოს მ ი ნ უ ს ი აღმოჩნდა: ის ახალი საკითხები, რომლებიც რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე რუსეთის რეფორმისშემდგომმა ეკონომიურმა განვითარებამ დააყენა, ნაროდნიკობამ ვერ გადასწყვიტა, მათ შესახებ დასჯერდა სენტიმენტალურ და რეაქციულ ლამენტაციებს, ხოლო ის ძველი საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ განმანათლებლებმა წამოაყენეს, ნაროდნიკობამ თავისი რომანტიკით დაამძიმა და მათი სრული გადაწყვეტა შეაფერხა.

IV

«განმანათლებლები», ნაროდნიკები და «მოწაფეები»

ახლა ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ ჩვენი პარალელები. წავეცადოთ და მოკლედ დავახასიათოთ სათაურში მოხსენებული საზოგადოებრივი აზროვნების თვითეული მიმდინარეობის ურთიერთდამოკიდებულება.

განმანათლებელს სწამს არსებული საზოგადოებრივი გან-

ვითარება, ვინაიდან ვერ ამჩნევს მის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს. ნაროდნიკს ეშინია არსებული საზოგადოებრივი განვითარებისა, ვინაიდან მან უკვე შეამჩნია ეს წინააღმდეგობანი. «მოწაფეს» სწამს არსებული საზოგადოებრივი განვითარება, ვინაიდან მას საუკეთესო მომავლის საწინდრად მხოლოდ ამ წინააღმდეგობათა სრული განვითარება მიაჩნია. ამიტომ პირველი და უკანასკნელი მიმართულება ისწრაფის ხელი შეუწყოს, დააჩქაროს, გააადვილოს ამ გზით განვითარება, თავიდან მოიშოროს ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის და აფერხებს ამ განვითარებას. ნაროდნიკობა, პირიქით, ისწრაფის შეაფერხოს და შეაჩეროს ეს განვითარება, ეშინია კაპიტალიზმის განვითარების ზოგიერთი დაბრკოლების მოსპობისა. პირველ და უკანასკნელ მიმართულებას ახასიათებს ის, რასაც შეიძლება ისტორიული ოპტიმიზმი ვუწოდოთ: რაც უფრო შორს და უფრო სწრაფად წავა საქმე ისე, როგორც ახლა მიდის, მით უკეთესიო. ნაროდნიკობას, პირიქით, ბუნებრივად მივყავართ ისტორიული პესიმიზმისაკენ: რაც უფრო შორს წავა საქმე ასე, მით უარესიო. «განმანათლებლებს» სრულიად არ დაუყენებიათ რეფორმისშემდგომი განვითარების ხასიათის საკითხები; ისინი კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ რეფორმამდელი წყობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით, კმაყოფილდებოდნენ რუსეთის ევროპულად განვითარების გზის გაწმენდის უარყოფითი ამოცანით. ნაროდნიკობამ წამოაყენა კაპიტალიზმის საკითხი რუსეთში, მაგრამ იგი გადასწყვიტა კაპიტალიზმის რეაქციულობის აზრით და ამიტომ მთლიანად ვერ შეითვისა განმანათლებლების მემკვიდრეობა: ნაროდნიკები ყოველთვის იბრძოდნენ იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც «ცივილიზაციის ერთიანობის» თვალსაზრისით მიისწრაფოდნენ რუსეთის ევროპეიზაციისაკენ საერთოდ, იბრძოდნენ არა მარტო იმიტომ, რომ არ შეეძლოთ დაკმაყოფილებულიყვნენ ამ ადამიანთა იდეალებით (ასეთი ბრძოლა სამართლიანი იქნებოდა), არამედ იმიტომ,

რომ მათ არ სურდათ ასე შორს წასვლა არსებული, ე. ი. კაპიტალისტური, ცივილიზაციის განვითარების გზაზე. «მოწაფეები» რუსეთის კაპიტალიზმის საკითხს სწყვეტენ მისი პროგრესულობის აზრით და ამიტომ მათ არათუ შეუძლიათ, არამედ ვალდებულიც არიან მთლიანად მიიღონ განმანათლებელთა მემკვიდრეობა, შეავსონ ეს მემკვიდრეობა კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ანალიზით, დამოუკიდებელ მწარმოებელთა თვალსაზრისით. განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ. ნაროდნიკებს სურდათ შრომის ინტერესების წარმომადგენელნი ყოფილიყვნენ, მაგრამ მეურნეობის თანამედროვე სისტემის რომელსამე განსაზღვრულ ჯგუფზე არ მიუთითებდნენ; სინამდვილეში ისინი ყოველთვის იმ წვრილი მწარმოებლის თვალსაზრისზე დგებოდნენ, რომელსაც კაპიტალიზმი საქონელმწარმოებლად აქცევს. «მოწაფეები» არა მარტო კრიტერიუმად იღებენ შრომის ინტერესებს, არამედ ამასთანავე მიუთითებენ კაპიტალისტური მეურნეობის სავსებით გარკვეულ ეკონომიურ ჯგუფებზე, სახელდობრ დამოუკიდებელ მწარმოებლებზე. პირველი და უკანასკნელი მიმართულება, თავისი სურვილების შინაარსით, შეესაბამებიან იმ კლასთა ინტერესებს, რომელთაც კაპიტალიზმი ჰქმნის და ავითარებს; ნაროდნიკობა თავისი შინაარსით შეესაბამება იმ წვრილ მწარმოებელთა კლასის, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელსაც თანამედროვე საზოგადოების დანარჩენ კლასთა შორის შუალედი მდგომარეობა უჭირავს. ამიტომ ნაროდნიკობის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება «მემკვიდრეობისადმი» სრულებითაც არ არის შემთხვევითი, არამედ თვით ნაროდნიკულ შეხედულებათა შინაარსის აუცილებელი შედეგია: ჩვენ დავინახეთ, რომ განმანათლებელთა შეხედულებების ერთ-ერთ ძირითად თვისებას წარმოადგენდა მხურვალე მის-

წრაფება რუსეთის ევროპეიზაციისადმი, ნაროდნიკებს კი, თუ ნაროდნიკებად დარჩენა სურთ, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ ამ მისწრაფების სავსებით გაზიარება.

მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივიღეთ ის დასკვნა, რომელიც უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ ზემოთ კერძო საბაბთა გამო, სახელდობრ, რომ მოწაფეები გაცილებით უფრო თანმიმდევარი, გაცილებით უფრო ერთგული დამცველნი არიან მემკვიდრეობისა, ვიდრე ნაროდნიკები. ისინი არათუ არ უარჰყოფენ მემკვიდრეობას, პირიქით, თავიანთ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ გააბათილონ ის რომანტიკული და წვრილბურჟუაზიული შიში, რომელიც ნაროდნიკებს აიძულებს ფრიად მრავალ და ფრიად მნიშვნელოვან პუნქტში უარი სთქვან განმანათლებელთა ევროპულ იდეალებზე. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ «მოწაფეები» მემკვიდრეობას იცავენ არა ისე, როგორც არქივარიუსები იცავენ ძველ ქაღალდებს. მემკვიდრეობის დაცვა სრულიადაც არ ნიშნავს მხოლოდ მემკვიდრეობით დაკმაყოფილებას, და ევროპეიზმის ზოგადი იდეალების დაცვას «მოწაფეები» უმატებენ იმ წინააღმდეგობათა ანალიზს, რომელთაც ჩვენი კაპიტალისტური განვითარება შეიცავს, და ამ განვითარების შეფასებას ზემოხსენებული სპეციფიკური თვალსაზრისით.

V

ბ-ნი მიხაილოვსკი «მოწაფეთა» მიერ მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ

დასასრულ დავუბრუნდეთ ისევ ბ-ნ მიხაილოვსკის და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მისი მსჯელობის განხილვას. ბ-ნი მიხაილოვსკი აცხადებს არა მარტო იმას, რომ ამ ადამიანებს (მოწაფეებს) «არ სურთ რაიმე მემკვიდრეობითი კავშირი ჰქონდეთ წარსულთან და გადაჭრით ამბობენ უარს მემკვიდ-

რეობაზე» (I. c. გვ. 179); ამასთანავე ის აღნიშნავს, რომ «ისინი» (სულ სხვადასხვა მიმართულების სხვა პირებთან ერთად, ბ-ნ აბრამოვის, ბ-ნ ვოლინსკის, ბ-ნ როზანოვის ჩათვლით) «თავს ესხმიან მემკვიდრეობას არაჩვეულებრივი გაბოროტებით» (180). — რა მემკვიდრეობაზე ლაპარაკობს ბ-ნი მიხაილოვსკი? — 60 — 70-იანი წლების მემკვიდრეობაზე, იმ მემკვიდრეობაზე, რომელზედაც საჯაროდ ამბობდა და ამბობს უარს «მოსკოვსკიე ვედომოსტი» (178).

ჩვენ უკვე ცხადვყავით, რომ თუ იმ «მემკვიდრეობაზე» ვილაპარაკებთ, რომელიც თანამედროვე ადამიანებს დარჩათ, უნდა განვასხვავოთ ორი მემკვიდრეობა: ერთია მემკვიდრეობა განმანათლებლებისა საერთოდ, იმ ადამიანებისა, რომელნიც ყოველივე რეფორმამდელის უეჭველი მტრები არიან, იმ ადამიანებისა, რომელნიც იცავენ ევროპულ-იდეალებს და მოსახლეობის ფართო მასის ინტერესებს. მეორეა ნაროდნიკული მემკვიდრეობა. ჩვენ უკვე ცხადვყავით, რომ ამ ორი სხვადასხვა რამის ერთმანეთში არევა უხეში შეცდომა იქნებოდა, ვინაიდან ყველამ იცის, რომ იყვნენ და არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც «60-იანი წლების ტრადიციებს» იცავენ და ნაროდნიკობასთან საერთო არა აქვთ რა. ბ-ნ მიხაილოვსკის ყველა შენიშვნა მთლიანად და მხოლოდ და მხოლოდ ამ სრულიად სხვადასხვანაირ მემკვიდრეობათა აღრევაზეა დაფუძნებული. ხოლო ვინაიდან შეუძლებელია ბ-ნმა მიხაილოვსკიმ არ იცოდეს ეს განსხვავება, მის გამოლაშქრებას ეძლევა სავსებით გარკვეული ხასიათი არა მარტო შეუსაბამო, არამ დ ცილისმწამებლური გამოლაშქრებისაც. თავს ესხმოდა თუ არა «მოსკ. ვედომოსტი» სპეციალურად ნაროდნიკობას? — სრულიადაც არა: იგი არა ნაკლებად, თუ მეტად არა, თავს ესხმოდა განმანათლებლებს საერთოდ და ნაროდნიკობის სრულიად უცხო «ვესტნიკ ევროპი» მისთვის უფრო ნაკლები მტერი როდია, ვიდრე ნაროდნიკული «რუსსკოე ბოგატსტვო». იმ ნაროდნიკებს, რომელნიც მემკვიდრეობაზე ყველაზე უფრო მტკიცედ ამბობენ უარს, მაგ., იუზოვს, «მოს-

კოვსკიე ვედომოსტი», რა თქმა უნდა, ძალიან ბევრ რამეში არ დაეთანხმებოდა, მაგრამ არა გვგონია გაბოროტებით დასხმოდა თავს, და ყოველ შემთხვევაში შეაქებდა იმისათვის, რითაც იგი მემკვიდრეობის დაცვის მსურველ ნაროდნიკთაგან განსხვავდება. — თავს ესხმოდა თუ არა ბ-ნი აბრამოვი ან ბ-ნი ვოლინსკი ნაროდნიკობას? — სრულიადაც არა. პირველი მათგანი თვითონ არის ნაროდნიკი; ორივენი თავს ესხმოდნენ განმანათლებლებს საერთოდ. — თავს ესხმოდნენ თუ არა «რუსი მოწაფეები» რუს განმანათლებლებს? უარს ამბობდნენ თუ არა ისინი როდისმე იმ მემკვიდრეობაზე, რომელმაც რეფორმამდელი ყოფა-ცხოვრებისა და მისი ნაშთებისადმი უეჭველი მტრობა გვიანდერძა? — არათუ თავს არ ესხმოდნენ, არამედ, პირიქით, ნაროდნიკებს ამხელდნენ კაპიტალიზმის წინაშე წვრილბურჟუაზიული შიშის გამო ზოგიერთი ამ ნაშთის დაცვისადმი მისწრაფებაში. — როდისმე თავს ესხმოდნენ თუ არა ისინი მემკვიდრეობას, რომელმაც გვიანდერძა ევროპული იდეალები საერთოდ? — არათუ თავს არ ესხმოდნენ, არამედ, პირიქით, ნაროდნიკებს ამხელდნენ, რომ ისინი საერთოევროპული იდეალების ნაცვლად მრავალ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე ყოველნაირ თვითმყოფ სულელურ ლათაიებს სთხზავენ. — როდისმე თავს ესხმოდნენ თუ არა ისინი მემკვიდრეობას, რომელმაც მოსახლეობის მშრომელი მასების ინტერესებისათვის ზრუნვა გვიანდერძა? — არათუ თავს არ ესხმოდნენ, არამედ, პირიქით, ნაროდნიკებს ამხელდნენ იმაში, რომ მათი ზრუნვა ამ ინტერესებისათვის არათანმიმდევარია (ვინაიდან ისინი გულმოდგინედ ურევენ ერთმანეთში გლეხურ ბურჟუაზიას და სოფლის პროლეტარიატს); რომ ამ ზრუნვიდან გამომდინარე საუბლობას ასუსტებს ოცნება იმაზე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო, ნაცვლად იმისა, რომ თავისი ყურადღება მიაპყრონ იმას, რაც არის; რომ მათი ზრუნვა ფრიად ვიწროა, ვინაიდან მათ არასოდეს არ იცოდნენ ღირსეულად დაფასება იმ პირობებისა (სამეურნეო

და სხვა), რომლებიც უადვილებს თუ უძნელებს ამ პირთ თავიანთ თავზე ზრუნვის შესაძლებლობას.

ბ-ნ მიხაილოვსკის შეუძლია არ დაეთანხმოს ამ მხილებათა სისწორეს და, როგორც ნაროდნიკი, რასაკვირველია, არც დაეთანხმება, — მაგრამ თქმა იმისა, რომ: «60 — 70-იანი წლების მემკვიდრეობას» «გაბოროტებით» თავს ესხმიან ის ადამიანები, რომელნიც სინამდვილეში «გაბოროტებით» ესხმიან თავს მხოლოდ ნაროდნიკობას, თავს ესხმიან იმისათვის, რომ მან ვერ შესძლო ახალი, რეფორმისშემდგომი ისტორიის მიერ წამოყენებული საკითხის გადაწყვეტა ამ მემკვიდრეობის სულისკვეთების მიხედვით და ისე, რომ მას არ ეწინააღმდეგებოდეს, — ასეთი რამის თქმა საკითხის პირდაპირ დამახინჯებას ნიშნავს.

ბ-ნი მიხაილოვსკი ყოვლად სასაცილოდ არის აღშფოთებული იმის გამო, რომ «მოწაფეები» სიამოვნებით გვრეევენ «ჩვენ» (ე. ი. «რუსსკოე ბოგატსტვოს» პუბლიცისტებს) ნაროდნიკებთან» და «რუსსკოე ბოგატსტვოსათვის» სხვა უცხო პირებთანო (გვ. 180). ეს კურიოზული ცდა — გამოეყოს «ნაროდნიკებს» და ამავე დროს ნაროდნიკობის ყველა ძირითადი შეხედულებანი შეინარჩუნოს, სიცილის მეტს ვერაფერს გამოიწვევს. ყველამ იცის, რომ ყველა «რუსი მოწაფე» სიტყვებს «ნაროდნიკსა» და «ნაროდნიკობას» ხმარობს ფართო მნიშვნელობით. ნაროდნიკთა შორის ბევრი სხვადასხვა ელფერი რომ არსებობს, ეს არავის დავიწყებია და არც უარუყვია: მაგალითად, არც პ. სტრუვეს და არც ნ. ბელტოვს თავიანთ წიგნებში არ «აურევიათ» ბ-ნი ნ. მიხაილოვსკი არა მარტო ბ-ნ ვ. ვ-თან, არამედ ბ-ნ იუჟაკოვთანაც კი, ე. ი. არ მიუფუჩეჩებიათ მათი შეხედულებების განსხვავებანი, არ მიუწერიათ ერთისათვის მეორის შეხედულებანი. პ. ბ. სტრუვე პირდაპირაც კი აღნიშნავდა ბ-ნ იუჟაკოვის შეხედულებათა განსხვავებას ბ-ნ მიხაილოვსკის შეხედულებათაგან. ერთია სხვადასხვა შეხედულებათა ერთმანეთში აღრევა; სულ სხვაა

განზოგადება და ერთ კატეგორიაში მოქცევა იმ მწერლებისა, ვინც, მიუხედავად ბევრ საკითხში განსხვავებისა, ერთმანეთის სოლიდარულია იმ ძირითად და უმთავრეს პუნქტებში, რომელთა წინააღმდეგაც «მოწაფეები» ილაშქრებენ. «მოწაფისათვის» მნიშვნელოვანია სრულიადაც არა ის, რომ ცხადჰყოს, მაგალითად, იმ შეხედულებათა უვარგისობა, რომელიმე ბ-ნ იუზოვს სხვა ნაროდნიკებისგან რომ განასხვავებს: მისთვის მნიშვნელოვანია გააბათილოს ის შეხედულებანი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ს ა ე რ თ ო ა ბ-ნ ი უ ზ ო ვ ი ს თ ვ ი ს ა ც, მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს კ ი ს თ ვ ი ს ა ც და ყ ვ ე ლ ა ნ ა რ ო დ ნ ი კ ი ს თ ვ ი ს ს ა ე რ თ ო დ, ე. ი. მათი დამოკიდებულება რუსეთის კაპიტალისტური ევოლუციისადმი, მათ მიერ ეკონომიური და პუბლიცისტური საკითხების განხილვა წვრილი მწარმოებლის თვალსაზრისით, მათ მიერ სოციალური (თუ ისტორიული) მატერიალიზმის გაუგებლობა. ე ს თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი საერთო კუთვნილებაა საზოგადოებრივი აზროვნების მთელი მიმდინარეობისა, რომელმაც დიდი ისტორიული როლი შეასრულა. ამ ფართო მიმდინარეობაში მრავალი სხვადასხვა ელფერია, არის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთა, არიან ადამიანები, რომელნიც ჩამოქვეითებულან ნაციონალიზმამდე და ანტისემიტიზმამდე და სხვ., და არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც ეს ბრალი არ მიუძღვით; არიან ადამიანები, რომელნიც «მემკვიდრეობის» მრავალ ანდერძს ქედმაღლურად უცქეროდნენ, და არიან ადამიანები, რომელნიც ცდილობდნენ, რამდენადაც კი შესაძლებელია, დაეცვათ ეს ანდერძები (ე. ი. რამდენადაც ეს შესაძლებელია ნაროდნიკისათვის). არც ერთ «რუს მოწაფეს» არ უარუყვია ელფერთა ეს განსხვავებანი, ვერც ერთ მათგანს ბ-ნი მიხაილოვსკი ვერ ამხელს იმაში, რომ მან ერთი ელფერის ნაროდნიკის შეხედულებანი მეორე ელფერის ნაროდნიკს მიაწერა. მაგრამ რაკი ჩვენ ყველა ამ სხვადასხვა ელფერის ს ა ე რ თ ო ძირითად შეხედულებათა წინააღმდეგ ვილაშქრებთ, რატომღა უნდა ვილაპარაკოთ ამ საერთო მიმდინარეობის კერძო განსხვავებათა შესახებ?

ეს ხომ სავსებით უაზრო მოთხოვნაა! რუსეთის კაპიტალიზმზე, გლეხურ «თემზე», ეგრეთწოდებული «საზოგადოების» ყოვლისშემძლეობაზე საერთო შეხედულებანი იმ მწერლებისა, რომელნიც სრულიადაც არ არიან ყველაფერში სოლიდარულნი, ხომ არა ერთხელ აღუნიშნავთ ჩვენს ლიტერატურაში ბევრად უფრო ადრე, ვიდრე «მოწაფეები» გამოჩნდებოდნენ, და არა მარტო აღუნიშნავთ, არამედ შეუქმიათ კიდეც, როგორც რუსეთის საბედნიერო თავისებურება. ტერმინიც «ნაროდნიკობა» ფართო მნიშვნელობით ჩვენს ლიტერატურაში იხმარებოდა აგრეთვე «მოწაფეთა» გამოჩენამდე ბევრად უფრო ადრე. ბ-ნი მიხაილოვსკი არათუ მრავალი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა «ნაროდნიკ» (ვიწრო მნიშვნელობით) ბ-ნ ვ. ვ-თან ერთ და იმავე ჟურნალში, არამედ შეხედულებათა ზემოხსენებულ ძირითად თვისებებსაც იზიარებდა მასთან. ბ-ნი მიხაილოვსკი 80-იან და 90-იან წლებში ბ-ნ ვ. ვ-ის ცალკეული დასკვნების წინააღმდეგი იყო, უარჰყოფდა განყენებული სოციოლოგიის სფეროში მის ექსკურსიათა სისწორეს, მაგრამ როგორც 80-იან, ისე 90-იან წლებში დასძენდა, რომ მისი კრიტიკა სრულიადაც არ იყო მიმართული ბ-ნ ვ. ვ-ის ეკონომიური ნაშრომების წინააღმდეგ, რომ იგი სოლიდარული იყო მისი ძირითადი შეხედულებებისა რუსეთის კაპიტალიზმზე. ამიტომ, თუ ახლა «რუსსკოე ბოგატსტვოს» ბურჯნი, რომელთაც ასე ბევრი რამ გაუკეთებიათ ნაროდნიკულ (ფართო მნიშვნელობით) შეხედულებათა განვითარების, განმტკიცებისა და გავრცელებისათვის, ფიქრობენ თავიდან აიცილონ «რუს მოწაფეთა» კრიტიკა უბრალო განცხადებით, ჩვენ «ნაროდნიკები» (ვიწრო მნიშვნელობით) როდი ვართ, ჩვენ სრულიად განსაკუთრებულ «ეთიკურ-სოციალურ სკოლას» წარმოვადგენთო, — ასეთი ხრიკები, რასაკვირველია, მხოლოდ სამართლიან დაცინვას იწვევს იმ ადამიანების მიმართ, რომელნიც ესოდენ მამაცნი და ამავე დროს ესოდენ დიპლომატები არიან.

თავისი სტატიის 132-ე გვერდზე ბ-ნი მიხაილოვსკი «მოწაფეთა» წინააღმდეგ აყენებს კიდევ შემდეგ ფენომენალურ საბუთს. ბ-ნი კამენსკი გესლიანად ესხმის თავს ნაროდნიკებსაო [110]; ეს, თურმე ნუ იტყვით, «იმას მოწმობს, რომ იგი გაჯავრებულია, ეს კი მას არ შეჰფერისო (sic!! *). ჩვენ, «სუბიექტური მოხუცნი», ისევე როგორც «სუბიექტური ჭაბუკნი», ჩვენს თავს როდი ვეწინააღმდეგებით, როდესაც თავს ნებას ვაძლევთ ამ სისუსტეს ავყვეთ. მაგრამ იმ მოძღვრების წარმომადგენელნი, რომელიც «სამართლიანად ამაყობს თავისი ულმობელი ობიექტურობით» (ერთ-ერთი «მოწაფის» გამოთქმაა), სხვა მდგომარეობაში არიან».

ეს რა ამბავია?! თუ ადამიანები მოითხოვენ სოციალურ მოვლენებზე შეხედულებანი ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ა და ნამდვილი განვითარების ულმობელ ობიექტურ ანალიზს უნდა ეყრდნობოდნენო, — განა აქედან ის გამომდინარეობს, რომ მათ გაჯავრება აღარ შეჰფერით?! ეს ხომ ნამდვილი უაზროობა, აბდაუბდაა! განა არ გაგიგონიათ თქვენ, ბ-ნო მიხაილოვსკი, რომ საზოგადოებრივ მოვლენათა კვლევაში ულმობელი ობიექტურობის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშად სამართლიანად ითვლება ცნობილი ტრაქტატი «კაპიტალზე»? მთელ რიგ მეცნიერებსა და ეკონომისტებს ამ ტრაქტატის უმთავრეს და ძირითად ნაკლად მიაჩნიათ სწორედ მისი ულმობელი ობიექტურობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იშვიათ სამეცნიერო ტრაქტატში შეხვდებით ამდენ «გულისწყრომას», ამდენ მხურვალე და ცხარე პოლემიკურ გალაშქრებას ჩამორჩენილ შეხედულებათა წარმომადგენლების წინააღმდეგ, იმ საზოგადოებრივ კლასთა წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომელნიც, ავტორის რწმენით, საზოგადოებრივ განვითარებას აფერხებენ. მწერალი, რომელმაც ულმობელი ობიექტურობით ცხადჰყო, რომ შეხედულებანი, ვთქვათ, პრუდონისა ფრანგი petit bourgeois-ის * შეხედულებებისა და განწყობი-

* — ასეა!! რ ე დ.

** — წვრილი ბურჟუას. რ ე დ.

ლების ბუნებრივი, გასაგები, აუცილებელი ანარეკლია, — მიუხედავად ამისა უდიდესი მგზნებარებით, მხურვალე რისხვით «ესხმოდა თავს» წვრილი ბურჟუაზიის ამ იდეოლოგს. იქნებ ბ-ნი მიხაილოვსკი ფიქრობს, რომ მარქსი აქ «თავის თავს ეწინააღმდეგება»? თუ განსაზღვრული მოძღვრება ყოველი საზოგადო მოღვაწისაგან მოითხოვს სინამდვილისა და ამ სინამდვილის ნიადაგზე აღმოცენებულ სხვადასხვა კლასთა შორის არსებული ურთიერთობის ულმობელ ობიექტურ ანალიზს, — რა სასწაულით შეიძლება აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ საზოგადო მოღვაწე არ უნდა თანაუგრძნობდეს ამა თუ იმ კლასს, რომ ეს მას «არ შეჰფერის»? სასაცილოც კია აქ მოვალეობაზე ლაპარაკი, ვინაიდან არც ერთ ცოცხალ ადამიანს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ა რ მ ი ე მ ხ რ ო ს ამა თუ იმ კლასს (რაკი მან შეიგნო მათი ურთიერთდამოკიდებულება), არ შეუძლია არ გაიხაროს ამ კლასის წარმატებით, არ შეუძლია არ შეწუხდეს მისი მარცხის გამო, არ შეუძლია არ აღშფოთდეს იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ კლასს მტრობს, იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის მის განვითარებას ჩამორჩენილ შეხედულებათა გავრცელებით და სხვ. და სხვ. ბ-ნ მიხაილოვსკის ფუჭი გამოლაშქრება მხოლოდ იმას ცხადჰყოფს, რომ ის ჯერაც ვერ გარკვეულა ფატალიზმისა და დეტერმინიზმის განსხვავების ფრიად ელემენტარულ საკითხში.

««კაპიტალი მოდის»! — ეს უეჭველია, — სწერს ბ-ნი მიხაილოვსკი, — მაგრამ (sic!!) საკითხი ის არის, თუ როგორ დავხვდეთ მას» (გვ. 189).

ბ-ნმა მიხაილოვსკიმ ამერიკა აღმოაჩინა, იგი მიგვითითებს იმ «საკითხზე», რომელზედაც «რუსი მოწაფეები», სჩანს, სრულიადაც არ დაფიქრებულან! «რუსი მოწაფეები» ნაროდნიკებს დაშორდნენ, ალბათ, სრულიადაც არა ამ საკითხში! რუსეთში განვითარების გზაზე მდგომი კაპიტალიზმის «შეხვედრა» შეიძლება მხოლოდ ორნაირად: ან პროგრესულ მოვ-

ლენად აღიარო იგი, ან რეგრესულად; ან — არსებულ გზაზე ნაბიჯის წინ გადადგმად, ან ჭეშმარიტი გზიდან გადახვევად; ან შეაფასო იგი წვრილ მწარმოებელთა კლასის თვალსაზრისით, რომელსაც კაპიტალიზმი არღვევს, ან — დამოუკიდებელ მწარმოებელთა კლასის თვალსაზრისით, რომელსაც კაპიტალიზმი ჰქმნის. შუათანა რამ აქ არ არსებობს *. მაშასადამე, თუ ბ-ნი მიხაილოვსკი უარჰყოფს კაპიტალიზმისადმი იმ დამოკიდებულების სისწორეს, რასაც მტკიცედ იცავენ «მოწაფეები», მაშინ იგი, მაშასადამე, იწყნარებს ნაროდნიკულ დამოკიდებულებას, რომელიც მას თავის წინანდელ სტატიებში მრავალჯერ გამოუხატავს სრული გარკვეულობით. ამ საკითხზე თავისი ძველი შეხედულებების არც რაიმე დამატება და არც ცვლილება ბ-ნ მიხაილოვსკის ჩვენთვის არ მოუცია და არც გვაძლევს, რჩება რა კვლავ ნაროდნიკად. — სრულიადაც არა! ღმერთმა დაიფაროს, იგი ნაროდნიკი როდია! იგი «ეთიკურ-სოციოლოგიური სკოლის» წარმომადგენელია...

«ნუ ლაპარაკობენ», — განაგრძობს ბ-ნი მიხაილოვსკი, — «იმ მომავალ (??) სიკეთეზე, რასაც თან მოიტანს (?) კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება».

ბ-ნი მიხაილოვსკი ნაროდნიკი როდია. იგი მხოლოდ მთლიანად იმეორებს ნაროდნიკების შეცდომებს და მათი მსჯელობის არასწორ ხერხებს. რამდენჯერ ჩასჩიჩინებდნენ ნაროდნიკებს, რომ «მომავალზე» ასე საკითხის დაყენება სწორი არ არის, რომ ლაპარაკია არა «მომავალ», არამედ წინაკაპიტალისტური ურთიერთობის ნამდვილ, უკვე მომხდარ,

* ცხადია, ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმ შეხვედრაზე, რომელსაც სრულიადაც არ მიაჩნია საჭიროდ შრომის ინტერესებით იხელმძღვანელოს, ანდა რომლისთვისაც თვით განზოგადება, გამოხატული ტერმინით «კაპიტალიზმი», გაუგებარი და ბუნდოვანია. რარიგ მნიშვნელოვანიც უნდა იყვნენ რუსეთის ცხოვრებისათვის საზოგადოებრივი აზროვნების ის მიმდინარეობანი, რომელნიც ამას ეხებიან, ნაროდნიკებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის ატეხილ დავაში ისინი მაინც სრულიად არაფერ შუაში არიან, და მათი აქ მიტმასნება საჭირო არ არის.

პროგრესულ ცვლილებებზე, — იმ ცვლილებებზე, რაც მოსდევს (და არა მოჰყვება) კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში. საკითხი «მომავლის» სფეროში რომ გადააქვს, ბ-ნი მიხაილოვსკი ამით არსებითად დამტკიცებულად სცნობს სწორედ იმ დებულებებს, რომლებშიც «მოწაფეები» ედავებიან. იგი დამტკიცებულად სცნობს, რომ იმაში, რაც ჩვენს თვალწინ ხდება, ძველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობაში კაპიტალიზმის განვითარებას ნამდვილად არავითარი პროგრესული ცვლილება ა რ შ ე მ ო ა ქ ვ ს. ნაროდნიკული შეხედულება სწორედ იმაში მდგომარეობს, და სწორედ ამის წინააღმდეგ კამათობენ «რუსი მოწაფეები» და საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. არ მოიპოვება «რუსი მოწაფეების» მიერ გამოცემული არც ერთი წიგნაკი, რომელშიც ნათქვამი და ნაჩვენები არ იყოს, რომ მიწათმოქმედებაში შრომამიგების ნებით დაქირავებული შრომით შეცვლა, ეგრეთწოდებული «შინაძალეწველობის» საფაბრიკო მრეწველობით შეცვლა ნამდვილი მოვლენაა, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება (თანაც უდიდესი სისწრაფით) და სრულიადაც არ არის მხოლოდ «მომავლის» საქმე; რომ ეს შეცვლა ყოველმხრივ პროგრესული მოვლენაა, რომ იგი ანგრევს რუტინულ, საუკუნოვანი უძრაობითა და დამყაყებით ცნობილ, დაქსაქსულ, ხელოსნურ წარმოებას; რომ იგი ზრდის საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას და ამით უკვე ჰქმნის მშრომელის საარსებო დონის აწევის შესაძლებლობას; რომ იგი ჰქმნის აგრეთვე იმ პირობებს, რომლებიც ამ შესაძლებლობას აუცილებლად აქცევენ, სახელდობრ: «მიყრუებულ» ადგილას გადასროლილ «ბინადარ პროლეტარს», ბინადარს ფიზიკურადაც და მორალურადაც, მოძრავ პროლეტარად აქცევენ, შრომის აზიურ ფორმებს, უსაზღვროდ განვითარებული დამონებითა და პირადი დამოკიდებულების ყოველგვარი ფორმით, აქცევენ ევროპულ ფორმებად; რომ «ევროპულად აზროვნება და გრძნობა მანქანათა წარმატებითი უტილიზაციისათვის არანაკლებ აუცილებელია (დაიხსომეთ: აუცილებელია. ვ. ი.),

ვიდრე ორთქლი, ნახშირი და ტექნიკა» * და სხვ. ვიმეორებთ, ყოველივე ამას ამბობს და ამტკიცებს ყოველი «მოწაფე», მაგრამ ყოველივე ამას, ალბათ, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ბ-ნ მიხაილოვსკისთან და მის «ამხანაგებთან»: ყოველივე ეს იწერება მხოლოდ იმ «ნაროდნიკების» წინააღმდეგ, რომელთაც «რუსსკოე ბოგატსტვოსთან» «კავშირი არა აქვთ». «რუსსკოე ბოგატსტვო» — ეს ხომ «ეთიკურ-სოციოლოგიური სკოლაა», რომლის დედაარსს ის შეადგენს, რომ ახალი დროშით ძველი აბდაუბდა შემოგვაპაროს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი სტატიის ამოცანაა გავაბათილოთ ლიბერალურ-ნაროდნიკულ პრესაში ფრიად გავრცელებული ჭორები, თითქოს «რუსი მოწაფეები» უარჰყოფენ «მემკვიდრეობას», კავშირს სწყვეტენ რუსი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის საუკეთესო ტრადიციებთან და სხვა. ინტერესს მოკლებული როდი იქნება აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა მიხაილოვსკიმ, ეს გაცვეთილი ფრაზები რომ გაიმეორა, არსებითად სრულიად იგივე სთქვა, რაც გაცილებით უფრო ადრე და გაცილებით უფრო გადაჭრით განაცხადა «რუსსკოე ბოგატსტვოსათვის» «უცხო» «ნაროდნიკმა» ბ-ნმა ვ. ვ-მა. იცნობთ თუ არა, მკითხველო, «ნედელიაში» [111] დაბეჭდილ იმ სტატიებს, რომლებიც ამ მწერალმა მოათავსა სამი წლის წინათ, 1894 წლის დამლევს, პ. ბ. სტრუვეს წიგნის პასუხად? უნდა გამოვტყდე, რომ, ჩემის აზრით, თქვენ სრულიად არა დაგიკარგავთ რა, თუ ამ სტატიებს არ გასცნობიხართ. ამ სტატიების ძირითადი აზრი ის არის, რომ «რუსი მოწაფეები» თითქოს სწყვეტენ იმ დემოკრატიულ ძაფს, რომელიც რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ყველა პროგრესულ მიმდინარეობას გასდევს. განა ამასვე, ოღონდ ოდნავ სხვანაირი გამოთქმებით, არ იმეორებს ახლა ბ-ნი მიხაილოვსკი, როდესაც «მოწაფეებს» აბრალებს «მემკვიდრეობის» უარ-

* სიტყვები შულცე-გევერნიცისა «Schmollers Jahrbuch»-ში («შმოლერის წელიწდეულში». რ ე დ.), 1896, მის სტატიაში მოსკოვ-ვლადიმირის გამბეულის მრეწველობის შესახებ.

ყოფას, იმ «მემკვიდრეობისა», რომელსაც გაბოროტებით თავს ესხმის «მოსკოვსკიე ვედომოსტი»? ნამდვილად კი, როგორც დავინახეთ, ამ ჭორის შემთხზველნი თავიანთ სატკივარს სხვას ახვევენ თავს, როცა ამტკიცებენ, თითქოს «მოწაფეების» მხრივ «ნ ა რ ო დ ნ ი კ ო ბ ა ს თ ა ნ კავშირის საშუდამოდ გაწყვეტა მოასწავებდეს რუსი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის საუკეთესო ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტას. იქნებ პირიქით არის, ბატონებო? იქნებ ეს კავშირის გაწყვეტა მოასწავებს ამ საუკეთესო ტრადიციების გ ა წ მ ე ნ დ ა ს ნ ა რ ო დ ნ ი კ ო ბ ი ს ა გ ა ნ?

შენიშვნები

1 «რ ა ბ ო ტ ნ ი კ» — არაპერიოდული კრებული, 1896 — 1899 წლებში საზღვარგარეთ სცემდა «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირი». «რაბოტნიკის» გამოცემის ინიციატორი იყო ლენინი. 1895 წლის 25 აპრილს (7 მაისს) ლენინი გაემგზავრა საზღვარგარეთ, რათა კავშირი დაემყარებინა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან და გასცნობოდა დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას. შვეიცარიაში იგი შეუთანხმდა გ. ვ. პლეხანოვს, პ. ბ. აქსელროდსა და ჯგუფის სხვა წევრებს კრებულის გამოცემისა და რედაქტირების შესახებ. როდესაც ლენინი 1895 წლის სექტემბერს რუსეთში დაბრუნდა, მან დიდი მუშაობა გაიჩაღა კრებულის უზრუნველსაყოფად რუსეთიდან გაგზავნილი სტატიებითა და კორესპონდენციებით. აგრეთვე ამ გამოცემის მატერიალური დახმარების მოსაწყობად. «რაბოტნიკის» პირველი ნომერი, რომელშიც მოთავსებული ლენინის სტატია «ფრიდრიხ ენგელსი» და რომლისთვისაც ლენინმა მოამზადა და გადაგზავნა რამდენიმე კორესპონდენცია, დაიბეჭდა არა უადრეს 1896 წლის მარტისა.

სულ გამოვიდა «რაბოტნიკის» 6 ნომერი სამ წიგნად და «ლისტოკ «რაბოტნიკას»» 10 ნომერი. — **1.**

2 სტატიის «ფრიდრიხ ენგელსი» ეპიგრაფად მოყვანილი სიტყვები ლენინმა აიღო ნ. ა. ნეკრასოვის ლექსიდან «დობროლიუბოვის ხსოვნას». იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. ლექსების სრული კრებული, ტ. II, წიგ. I, 1937, გვ. 94 — 95. — **5.**

3 ფ. ენგელსი. «წინასიტყვაობა «გლეხთა ომისა გერმანიაში»». იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 441. — **8.**

4 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 293 — 573. — **10.**

5 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 21 — 244. — **11.**

6 ლენინს მხედველობაში აქვს ჟურნალი «Deutsch - Französische Jahrbücher» («გერმანულ-ფრანგული წელიწდეული»), დაარსებული კ. მარქსის მიერ ა. რუგესთან ერთად პარიზში. სულ გამოვიდა ერთი (ორმაგი) ნომერი 1844 წელს. — 11.

7 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. II, 1931, გვ. 293 — 320. — 12.

8 «კომუნისტთა კავშირი» — რევოლუციური პროლეტარიატის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, დაარსებული 1847 წლის ზაფხულს ლონდონში რევოლუციური პროლეტარული ორგანიზაციების დელეგატთა კონგრესზე. «კომუნისტთა კავშირის» ხელმძღვანელები იყვნენ მარქსი და ენგელსი, რომელთაც ამ ორგანიზაციის დავალებით დასწერეს «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». «კომუნისტთა კავშირმა» იარსება 1852 წლამდე. მისი ისტორია იხ. ფ. ენგელსის სტატიაში «კომუნისტთა კავშირის ისტორიისათვის» (კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 3 — 21). — 12.

9 «რაინის ახალი გაზეთი» («Neue Rheinische Zeitung») გამოდიოდა კელნში 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. გაზეთს ხელმძღვანელობდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი; მთავარი რედაქტორი იყო მარქსი. «არც ერთ გერმანულ გაზეთს, — სწერდა ენგელსი, — არც წინათ და არც შემდგომ არა ჰქონია ისეთი ძალა და გავლენა, არ შეეძლო პროლეტარული მასების ისე აღგზნება, როგორც «რაინის ახალ გაზეთს»» (კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 30). ლენინი თავის სტატიაში «კარლ მარქსი» ამ გაზეთს უწოდებს «რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო, უბადლო ორგანოს» — 12.

10 ფ. ენგელსის წიგნის «ანტი-დიურინგის» რუსული თარგმანი პირველად გამოვიდა 1904 წელს. ლენინი «ლ. კუგელმანისადმი კ. მარქსის წერილების რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში» «ანტი-დიურინგის» ამ თარგმანს ახასიათებს როგორც ფრიად არადამაკმაყოფილებელს. იხ. ფ. ენგელსი. «ანტი-დიურინგი», 1938, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIV, 1931, გვ. 1 — 388, გამოც. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტ. — 13.

11 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. I, 1937, გვ. 3 — 153. — 14.

12 კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 383 — 426. — **14**.

13 «სოციალ-დემოკრატ» — ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმოხილვა, 1890 — 1892 წლებში საზღვარგარეთ სცემდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი; გამოვიდა სულ ოთხი წიგნი. ლენინს მხედველობაში აქვს ენგელსის სტატია «რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 3 — 40. — **14**.

14 ფ. ენგელსი. «საბინაო საკითხისათვის». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 1 — 81. — **14**.

15 ფ. ენგელსი. «რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ». იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 536 — 549. — **14**.

16 ენგელსის მითითების შესაბამისად, ლენინი «კაპიტალის» მეოთხე ტომს უწოდებს მარქსის ნაწარმოებს — «ზედმეტი ღირებულების თეორიები». «კაპიტალის» მეორე ტომის წინასიტყვაობაში ენგელსი წერდა: «მე ვკისრულობ ამ ხელნაწერის («ზედმეტი ღირებულების თეორიები». რ ე დ.) კრიტიკული ნაწილის გამოქვეყნებას «კაპიტალის» IV წიგნის სახით, ამასთან ამოღებული იქნება ბევრი ისეთი ადგილი, რომლებიც ამოწურულად არის გაშუქებული II და III წიგნში (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 2). ხსენებული ნაწარმოები გამოქვეყნდა კაუტსკის დამუშავებით ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, 1905 — 1910 წლებში, გერმანულ ენაზე. იხ. კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. I — III, ოთხ წიგნად, 1936. — **14**.

17 ენგელსის წერილი — ი. ფ. ბეკერს 1884 წლის 15 ოქტომბრის თარიღით. იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVII, 1935, გვ. 415. — **14**.

18 ბროშურა «განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ» ლენინმა დასწერა 1895 წლის შემოდგომაზე და დაიბეჭდა სამი ათასი ეკზემპლარის რაოდენობით დეკემბრის დამდეგს პეტერბურგის არალეგალურ ეგრეთწოდებულ ლახტინის სტამბაში, რომელიც «ნაროდოვოლცების ჯგუფს» ეკუთვნოდა.

ბროშურის გარეკანზე — პოლიციის თვალის ასახვევად — აღნიშნულია მოგონილი ცნობები: «გამოცემა ა. ე. ვასილიევის წიგნის მაღაზიისა». «ხერსონი. კ. ნ. სუპოტინის სტამბა, ეკატერინ. ქუჩა,

სახლი კალინინისა». «იყიდება მოსკოვისა და ს.-პეტერბურგის ყველა წიგნის მაღაზიაში». «ნებადართულია ცენზურის მიერ. ხერსონი. 1895 წლის 14 ნოემბერი». ბროშურის მეორე გამოცემა გამოვიდა ჟენევაში 1897 წელს. — **19.**

19 «ნოვოე ვრემია» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე; ეკუთვნოდა სხვადასხვა გამომცემელს და ხშირად იცვლიდა თავის პოლიტიკურ მიმართულებას. თავდაპირველად ის იყო ზომიერ-ლიბერალური მიმართულებისა, 1876 წლიდან კი გადაიქცა რეაქციული თავადაზნაურული და ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. გაზეთი მოსყიდული იყო მეფის მთავრობის მიერ და ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. 1905 წლიდან გახდა შავრაზმელთა ერთ-ერთ ორგანოდ. — **28.**

20 «მოსკოვსკივ ვედომოსტი» — ერთ-ერთი უძველესი რუსული გაზეთი; თავდაპირველად სცემდა (1756 წლიდან) მოსკოვის უნივერსიტეტი პატარა ფურცლის სახით; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თავისი მიმართულებით იყო მონარქისტულ-ნაციონალისტური ორგანო, რომელიც ატარებდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო. გამოდიოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე. — **29.**

21 «რუსსკოე ბოგატსტვო» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა 1876 წლიდან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დამდეგიდან ჟურნალი გახდა ლიბერალური ნაროდნიკების ორგანოდ და გამოდიოდა ს. ნ. კრივენკოს და ნ. კ. მიხაილოვსკის რედაქციით. ჟურნალი ქადაგებდა მეფის მთავრობასთან შერიგებას და მასთან ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღებას, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ და სდევნიდა რუს მარქსისტებს. — **75.**

22 «სამარსკი ვესტნიკ» — გაზეთი, გამოდიოდა სამარაში (ამჟამად კუიბიშევი) 1883-დან 1904 წლამდე. წარსული საუკუნის 90-იან წლებში მასში იბეჭდებოდა რუსი მარქსისტების ცალკეული სტატიები. — **84.**

23 ფურცელი «ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა-ქალებს» ლენინმა დასწერა 1895 წლის ნოემბერში. 1895 წლის 5 ნოემბერს პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» ხელმძღვანელობით ფაბრიკაში იფეთქა 500 ფეიქრის გაფიცვამ, რომელიც გამოიწვია მუშების აუტანელმა მძიმე მდგომარეობამ. ამ გაფიცვასთან დაკავშირებით გამოშვებული ლენინის ფურცელი მოუწოდებდა ფაბრიკის ყველა მუშასა და მუშა-ქალს მხარი დაეჭირათ გაფიცული ფეიქრებისთვის. ფურცელში მოყვანილია მასალები ტორნტონის მუშათა ცხოვრებიდან, გულდასმით შეგროვილი თვით ლენინის მიერ. ფურცელმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ფაბრიკის მუშებზე. გაფიცვა წარმატებით დამთავრდა მუშებისათვის.

1896 წლის გაზაფხულზე ფურცელი გადაბეჭდეს საზღვარგარეთ კრებულ «რაბოტნიკის» № 1 — 2-ში. — 85.

24 ნოლესი — მატყლის ნავარცხნი, მოკლე ბოჭკო, რომელიც უფრო ნაკლებ გამოსადეგია სართავად, ვიდრე მატყლი; მიიღება ნავარცხნ მანქანებზე მატყლის დამუშავებისას.

კნოპი — მოკლე ბოჭკო, რომელიც მიიღება მაუდის კრეჭისას და უვარგისია სართავად. — 86.

25 შმიცი — სიგრძის საზომი, რომელიც უდრის 5 არშინს (დაახლოებით 3,5 მეტრი); იხმარებოდა ფეიქრებისთვის შეფასებათა დაწესებისას. — 86.

26 «ბიბერი» და «ურალი» — მაუდის ხარისხის სახელწოდება: დრაპი ბიბერი, დრაპი ურალი. — 89.

27 «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?» — ერთ-ერთი სტატია, რომელიც უნდა მოთავსებულიყო პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» მიერ გამოსაცემად მომზადებულ გაზეთ «რაბოჩეე დელოში». «რაბოჩეე დელოს» პირველი ნომერი შეადგინა და რედაქცია გაუკეთა ლენინმა. მანვე დასწერა ყველა ძირითადი სტატიაც: მოწინავე «რუს მუშებს», «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?», «ფრიდრიხ ენგელსი», «იარუსლავლის 1895 წლის გაფიცვა». გაზეთის პირველი ნომრის შინაარსის შესახებ ლენინი «რა ვაკეთოთ?»-ში სწერს. შემდეგს: «ეს ნომერი, სრულიად გამზადებული დასაბეჭდად, ჟანდარმებმა 1895 წლის 8 დეკემბერს ღამით თავდასხმის დროს უპოვნეს ჯგუფის ერთ-ერთ

წევრს, ანატოლი ალექსის-ძე ვანეევს, და პირველი ფორმაციის «რაბოჩეე დელოს» აღარ ეღირსა დღის სინათლის ხილვა. ამ გაზეთის მოწინავე სტატია (რომელიც, შესაძლოა, 30 წლის შემდეგ აღმოაჩინოს რომელიმე «რუსსკაია სტარინამ» პოლიციის დეპარტამენტის არქივებში) გვიხატავდა მუშათა კლასის ისტორიულ ამოცანებს რუსეთში და ამ ამოცანების სათავეში აყენებდა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას. შემდეგ იყო სტატია «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?», რომელიც შეეხებოდა პოლიციის მიერ წერა-კითხვის კომიტეტების დარბევას, და მთელი წყება კორესპონდენციებისა არა მარტო პეტერბურგიდან, არამედ რუსეთის სხვა ადგილებიდანაც (მაგ., მუშების ცემა-ტყეპის შესახებ იაროსლავლის გუბერნიაში)». ამ სტატიების ხელნაწერები დღემდე არ არის ნახული. 1924 წლის იანვარში პოლიციის დეპარტამენტის საქმეში «ბრძოლის კავშირის» შესახებ ნახულია მხოლოდ ასლი სტატიისა «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?». — **91.**

28 «სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება» ლენინმა დასწერა პეტერბურგის საპყრობილეში: «პროგრამის პროექტი» — 1895 წლის დამლევს, «პროგრამის განმარტება» — 1896 წლის ზაფხულში.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება «პროგრამის პროექტის» სამი ნუსხა. პირველი ნუსხა, რომელიც იპოვნეს ლენინის 1900 — 1904 წლების პერიოდის პირად არქივში, დაწერილია უცნობი ხელით ქიმიური მელნით 1900 წლის ჟურნალ «ნაუჩნოე ობოზრენიეს» № 5-ის ერთ-ერთი სტატიის სტრიქონებს შუა. ამ ნუსხას სათაური არა აქვს. ნუსხის გვერდები დანომრილია ფანქრით ლენინის ხელით და ჩადებულია კონვერტში, რომელსაც ლენინის ხელით აწერია: «პროგრამის ძველი (1895) პროექტი».

მეორე ნუსხა, აგრეთვე ლენინის 1900 — 1904 წლების პერიოდის პირად არქივში ნახული, დაბეჭდილია მანქანაზე თხელ პაპიროსის ქაღალდზე და სათაურად აქვს: «სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის ძველი (1895) პროექტი».

მესამე ნუსხა წარმოადგენს ჰექტოგრაფირებულ რვეულს. ეს ნუსხა, პირველი ორისაგან განსხვავებით, შეიცავს არა მარტო «პროგრამის პროექტს», არამედ «პროგრამის განმარტებასაც», რაც ერთ მთლიან ნაწარმოებს შეადგენს. — **99.**

29 გამოსასყიდი გადასახდელები. 1861 წლის «19 თებერვლის დებულებით» რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ

მეფის მთავრობამ გლეხები აიძულა გამოსასყიდი გაეღოთ მიწისათვის, რომელიც «ძველთაგანვე მათ ეკუთვნოდა და მათი საკუთარი სისხლით იყო მორწყული» (ს ტ ა ლ ი ნ ი). გამოსასყიდი გადასახდელები ერთიორად-ერთისამად სჭარბობდა გლეხებისათვის მიზომილი მიწების ნამდვილ ფასს. «გლეხები აიძულეს ეძლიათ მემამულეებისათვის თავისი «განთავისუფლების გამოსასყიდი — დაახლოებით ორი მილიარდი მანეთი» («საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 5). — **105**.

30 უ რ თ ი ე რ თ თ ა ვ დ ე ბ ო ბ ა — თვითეული სასოფლო თემის გლეხთა იძულებითი კოლექტიური პასუხისმგებლობა ფულადი გადასახდელების დროულად და სრულად შეტანისა და სახელმწიფოს და მემამულეების სასარგებლოდ ყოველგვარი ბეგარის შესრულებისათვის (გადასახადები, გამოსასყიდი გადასახდელები, ახალწვეულთა გაყვანა და სხვ.). გლეხთა დამონების ეს ფორმა, რომელიც რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც დარჩა, მხოლოდ 1906 წელს გაუქმეს. — **105**.

31 ქვემოთ, შემდეგ სიტყვებისა «უარს არ ეუბნებიან», სჩანს, გადამწერს ორიგინალში ვერ გაურჩევია რამდენიმე სიტყვა. ჰექტოგრაფირებულ რვეულში აქ არის სიტყვა «[ხარვეზი I *]», და შემდგომ მიჰყვება ნაწყვეტი ფრაზისა: «უპასუხისმგებლო მოხელეების ბატონობა, ვიდრე საზოგადოების ყოველგვარი ჩარევა სახელმწიფო საქმეებში, რაც უფრო ხალისიანად აძლევს იგი საშუალებას [ხარვეზი II *]». — **128**.

32 ფურცელი «მ ე ფ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ა ს» ლენინმა დასწერა საპყრობილეში 1896 წლის შემოდგომაზე და ნოემბერში დაბეჭდა პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა».

ფურცელი წარმოადგენს პასუხს «პრავიტელსტვენი ვესტნიკის» 1896 წლის 19 (31) ივლისის № 158-ში გამოქვეყნებულ მთავრობის ცნობაზე პეტერბურგის 1896 წლის ზაფხულის გაფიცვების შესახებ. — **136**.

33 «მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს კ ა ვ შ ი რ ი» ლენინმა მოაწყო 1895 წლის შემოდგომაზე. მასში გაერთიანდნენ პეტერბურგის ყველა მარქსისტული მუშათა წრეები. «ბრძოლის კავშირის» სათავეში იდგა ცენტრალური ჯგუფი, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა.

ლენინის «ბრძოლის კავშირი» ხელმძღვანელობდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, იგი მუშათა ეკონომიური მოთხოვნებისთვის

ბრძოლას უკავშირებდა პოლიტიკურ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. «ბრძოლის კავშირმა» რუსეთში პირველად დაიწყო მუშათა მოძრაობასთან სოციალიზმის შეერთების განხორციელება, მოწინავე მუშათა მცირე წრეში მარქსიზმის პროპაგანდიდან მუშათა კლასის ფართო მასებში პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლა. «ბრძოლის კავშირი» უშვებდა ფურცლებს და ბროშურებს მუშებისათვის, ხელმძღვანელობდა საგაფიცვო მოძრაობას. «ბრძოლის კავშირის» გავლენა დიდად გასცილდა პეტერბურგის ფარგლებს. მან «მძლავრი ბიძგი მისცა მუშათა წრეების გაერთიანებას ასეთსავე კავშირებად რუსეთის სხვა ქალაქებსა და ოლქებშიც» («საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 23).

1895 წლის 8 (20) დეკემბერს ღამით დააპატიმრეს «ბრძოლის კავშირის» ხელმძღვანელი ბირთვი ლენინის მეთაურობით. საპყრობილეში ყოფნის დროს ლენინს არ შეუწყვეტია რევოლუციური ბრძოლა. «ბრძოლის კავშირს» იგი ეხმარებოდა რჩევითა და მითითებებით, საპყრობილიდან უგზავნიდა მას ფურცლებსა და ბროშურებს. საპყრობილეშივე დასწერა ლენინმა პარტიის პროგრამის პროექტიც.

«პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი, ლენინის თქმით, წარმოადგენდა მუშათა მოძრაობაზე დაყრდნობილი რევოლუციური პარტიის პირველ სერიოზულ ჩანასახს» («საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 23). — **142.**

34 ლენინის ნაშრომი «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» დაწერილია ციმბირში გადასახლების დროს 1897 წლის გაზაფხულს. პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «ნოვოე სლოვოს» ოთხ ნომერში (7—10) (1897 წლის აპრილ—ივლისში) «კ. ტ—ნის» ხელმოწერით, შემდეგ შევიდა კრებულში: ვლადიმირ ილინი — «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები», რომელიც გამოიცა 1898 წლის ოქტომბერში (კრებულის გარეკანზე და სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია 1899 წელი). 1908 წელს ზოგიერთი შესწორებით და შემოკლებით დაიბეჭდა კრებულში «აგრარული საკითხი».

1897 და 1898 წლების ლეგალურ გამოცემათა მომზადების დროს ლენინი, ცენზურული მოსაზრებებით, იძულებული იყო დაეწერა: ნაცვლად «მარქსის თეორია» და «მარქსიზმის თეორია» — «უახლესი თეორია»; ნაცვლად «მარქსი» და «კარლ მარქსი» — «ცნობილი გერმანელი ეკონომისტი»; ნაცვლად «მარქსისტი» — «რეალისტი»; ნაცვლად «კაპიტალი» — «ტრაქტატი» და სხვ. 1908 წლის გამოცემაში აღნიშნული გამოთქმების მნიშვნელოვანი ნაწილი ლენინმა ან

ტექსტში გაასწორა, ანდა შენიშვნები გაუკეთა სქოლიოლებში. თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემებში ლენინის შესწორებები მოყვანილი იყო სქოლიოებში შენიშვნების სახით. ამ გამოცემაში ეს შესწორებები შეტანილია თვით ტექსტში. — **143.**

35 «ნ ო ვ ო ე ს ლ ო ვ ო» — მეცნიერულ-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი; 1894 წლიდან პეტერბურგში სცემდნენ ლიბერალური ნაროდნიკები, 1897 წლის გაზაფხულიდან — «ლეგალური მარქსისტები». არალეგალურ პრესასთან ერთად ლენინმა გამოიყენა მეფის რუსეთის ლეგალური ბეჭდვითი სიტყვაც. ციმბირში გადასახლების პერიოდში ლენინმა «ნოვოე სლოვოში» მოათავსა ორი სტატია: «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» და «ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო». ჟურნალში იბეჭდებოდა აგრეთვე გ. ვ. პლეხანოვის სტატიები და ა. მ. გორკის მოთხრობები. 1897 წლის დეკემბერს ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ. — **143.**

36 ვ. ვ. (ვ. პ. ეორონცოვის ფსევდონიმი) და ნ. — ონ ი, ანუ ნიკოლაი — ონი (ნ. ფ. დანიელსონის ფსევდონიმი). — XIX საუკუნის 80 — 90 იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის იდეოლოგები. — **149.**

37 ზ ე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა — ზედმეტი ღირებულება. ლენინი თავის 90-იანი წლების ნაშრომებში ტერმინს «ზეღირებულებას» ხმარობს ტერმინ «ზედმეტ ღირებულებასთან» ერთად. შემდეგში იგი ხმარობს მხოლოდ ტერმინს «ზედმეტი ღირებულება». — **157.**

38 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 323. ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII, 1939, გვ. 399. — **171.**

39 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II. 1936, გვ. 303 — 455, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი. ტ. XVIII, 1939, გვ. 374 — 561. — **172.**

40 1897 და 1898 წლების გამოცემებში ლენინი აქ იძოწმებდა მ. ი. ტუგან-ბარანოვსკის წიგნს «სამრეწველო კრიზისები», ნაწილი II. 1908 წლის გამოცემაში ლენინმა ეს დამოწმება შესცვალა და მიუთითა თავის წიგნზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», რომლის პირველი გამოცემა 1899 წელს გამოვიდა. — **172.**

41 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 339, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVIII. 1939, გვ. 418. — **175.**

42 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 225, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწ. I, 1939, გვ. 269. — **178.**

43 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. II, 1936, გვ. 272, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1939, გვ. 336. — **194.**

44 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 378. — **209.**

45 პ რ ო ტ ე ქ ც ი ო ნ ი ზ მ ი — საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე მაღალი ბაჟების დადების სისტემა — უცხოური კონკურენციისაგან ამა თუ იმ ქვეყნის კაპიტალისტური მრეწველობის, აგრეთვე მემამულეთა და კულაკთა მეურნეობის დაცვის მიზნით. იმპერიალიზმის პირობებში პროტექციონიზმის პოლიტიკა მიზნად ისახავს კაპიტალისტური მონოპოლიებისთვის უზრუნველჰყოს საქონლის გაყიდვა შინაურ ბაზარზე მაღალ ფასებში, მონოპოლიური ზემოგების მიღება ხალხის მასების გაძარცვით. — **225.**

46 ფ რ ი ტ რ ე დ ე რ ე ბ ი — თავისუფალი ვაჭრობის მომხრეები, რომლებიც გამოხატავდნენ უმთავრესად სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს. XIX საუკუნის 30 — 40-იან წლებში ინგლისში ფრიტრედერობის დასაყრდენს წარმოადგენდნენ ქალაქ მანჩესტერის მრეწველები, ამიტომ ფრიტრედერებს უწოდებდნენ აგრეთვე «მანჩესტერელებს». ფრიტრედერობის თეორიული დასაბუთება მოცემულია ა. სმიტისა და დ. რიკარდოს ნაწარმოებებში. — **282.**

47 «Zur Kritik» — დასაწყისი კ. მარქსის წიგნის სახელწოდებისა — «Zur Kritik der politischen Oekonomie» — «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», რომლიდანაც ლენინს მოჰყავს ციტატები (იხ. კ. მარქსი. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», 1938, გვ. 36, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XII, ნაწ. I, 1935, გვ. 48). ლენინს მოჰყავს ნაწყვეტი ამ წიგნის რუსული თარგმანიდან, რომელიც მოამზადა პ. პ. რუმიანცევმა და გამოიცა 1896 წელს; წიგნის თარგმანში მთელი რიგი უსწორობანია. — **285.**

48 1897 და 1898 წლების გამოცემებში ლენინი აქ, ცენზურული მოსაზრებებით, იმოწმებდა არა პირდაპირ მარქსს, არამედ სტრუვეს, რომელსაც მოჰყავდა შემდეგი ადგილი მარქსის «გოთას პროგრამის კრიტიკიდან»:

«ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ზემოთქმულის გარდა, საერთოდ შეცდომა იყო საქმის არსი ეგრეთწოდებულ გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა შ ი დაგვენახა და მთავარი მახვილი მასზე დაგვესვა.

მოხმარების საგნების ყოველგვარი განაწილება ყოველთვის მხოლოდ თვით წარმოების პირობათა განაწილების შედეგია... ვულგალურმა სოციალიზმმა (მისგან კი დემოკრატიის ერთგვარმა ნაწილმაც) ბურჟუაზიული ეკონომისტებისაგან გადმოიღო მანერა — განაწილება განიხილოს და განმარტოს როგორც წარმოების წესისაგან დამოუკიდებელი რამ... მაგრამ როდესაც ნამდვილი დამოკიდებულება უკვე დიდი ხანია გამორკვეულია, რაღა საჭიროა უკანვე დაბრუნება?» (კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 454).

1908 წლის გამოცემაში ლენინი უშუალოდ იმოწმებს მარქსის «გოთას პროგრამის კრიტიკას». ლენინის ეს შესწორება შეტანილია თხზულებათა ამ გამოცემის ტექსტში. — **240.**

49 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 774. 777 და 779. — **241.**

50 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 741. — **243.**

51 გ. ვ. პლეხანოვი (ნ. ბელტოვი). «ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის», 1938, გვ. 32 — **245.**

52 კ. მარქსი. «ზედმეტი ღირებულების თეორიები», ტ. II, ნაწ. 1, 1936, გვ. 203 და შემდგომი. — **246.**

53 XIX საუკუნის დამლევის «მოწინავე» პუბლიცისტს ლენინი ირონიულად უწოდებს ლიბერალ ნაროდნიკს ს. ნ. იუჟაკოვს. — **251.**

54 ლენინმა, ცენზურული მოსაზრებებით, აქ სიტყვა «სოციალისტები» (გერმანულ ორიგინალში „Sozialisten») შესცვალა სიტყვით «მწერლები». იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1938, გვ. 118 — 119, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 396. — **254.**

55 კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1938, გვ. 51 — 52, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 329 — 330. — **257.**

56 კ. მარქსი. «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», 1938, გვ. 61, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XII, ნაწ. I, 1935, გვ. 80. — **261.**

57 ამ ნაშრომის პირველ და მეორე გამოცემებში (ჟურნალ «ნოვოე სლოვოში», 1897 წ., და კრებულში «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები», 1898 წ.) ლენინი, ცენზურული პირობების გამო, არ ასახელებს კ. მარქსს და ეს ციტატი მარქსის ნაშრომიდან «მეთვრამეტე ბრიუ-

მერი ლუი ბონაპარტისა» მოჰყავს ნ. ბელტოვის (გ. ვ. პლეხანოვის) წიგნის მიხედვით — «ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის».

მესამე გამოცემაში (კრებულში «აგრარული საკითხი», 1908 წ.) ლენინი პირდაპირ იმოწმებს მარქსს და მის წიგნს, მოჰყავს რა ციტატი კრებულის მიხედვით: კ. მარქსი — «ისტორიულ ნაშრომთა კრებული», ს.-პეტერბურგი, 1906 წელი. ლენინის ეს შესწორება შეტანილია თხზულებათა ამ გამოცემის ტექსტში. ლენინის მიერ მოყვანილი ადგილი იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 278 279. — **266.**

58 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ», — ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1880 წლიდან. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ჟურნალი გახდა კადეტთა პარტიის ორგანოდ და გამოდიოდა პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. დაიხურა 1918 წლის შუახანებში. — **266.**

59 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 160. — **273.**

60 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 562. — **274.**

61 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 392, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 552. — **275.**

62 ფ. ენგელსი. «მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 293 — 589. — **275.**

63 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 314. — **286.**

64 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 390, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 550. 1897 და 1898 წლების გამოცემებში ციტატის ბოლოს ლენინმა, ცენზურული მოსაზრებებით, კ. მარქსის სიტყვები «სოციალური რევოლუციის» («der soziale Revolution») შესცვალა სიტყვებით: «საზოგადოებრივი გარდაქმნის». 1908 წლის გამოცემაში ლენინმა ეს სიტყვები ასე სთარგმნა: «სოციალური გადატრიალების». ლენინის ეს შესწორება შეტანილია თხზულებათა ამ გამოცემის ტექსტში. — **297.**

65 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». ლენინმა ცენზურული მოსაზრებებით სიტყვები «ეს სოციალიზმი»

(«dies:r Sozialismus») სთარგმნა როგორც «ეს მოძღვრება», ხოლო ფრაზა «აღმაშფოთებელი უთანასწორობა სიმდიდრის განაწილებაში» სთარგმნა როგორც «აღმაშფოთებელი უსამართლობანი წარმოებაში». ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე-მესამე გამოცემათაგან განსხვავებით ამ გამოცემაში სიტყვა «წარმოებაში» შეცვლილია სიტყვებით «სიმდიდრის განაწილებაში». ლენინის მიერ ციტირებული ადგილი იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 159 — 160. **301.**

66 პ ურ ი ს კ ა ნ ო ნ ე ბ ი ინგლისში შემოიღეს 1815 წელს. ამ კანონებით მაღალი ბაჟები წესდებოდა სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ პურზე, ხოლო ზოგჯერ სავსებითაც კრძალავდნენ საზღვარგარეთიდან პურის შემოტანას. პურის კანონები მსხვილ მიწათმფლობელებს საშუალებას აძლევდნენ პურის ფასები აეწიათ შინაურ ბაზარზე და უდიდესი რენტა მიეღოთ. პურის კანონების გარშემო დაძაბული და ხანგრძლივი ბრძოლა სწარმოებდა მსხვილ მიწათმფლობელებსა და ბურჟუაზიას შორის, რაც დამთავრდა ამ კანონების გაუქმებით 1846 წელს. — **307.**

67 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 445 — 461. — **313.**

68 Anti-Corn-Law-League (პურის კანონების საწინააღმდეგო ლიგა) დაარსდა XIX საუკუნის 30-იანი წლების დამლევს მანჩესტერში. ლიგის სათავეში იდგნენ საფეიქრო მრეწველობის მეფაბრიკეები კობდენი და ბრაიტი. ლიგა იბრძოდა საზღვარგარეთიდან შემოტანილ პურზე იმ მაღალი ბაჟების მოსპობისათვის, რომლებიც უდიდეს შემოსავალს აძლევდა მსხვილ მიწათმფლობელებს. ლიგა ცდილობდა დაეწია პურის ფასები, რათა ამით შეემცირებინა მუშების ხელფასი და გაედიდებინა კაპიტალისტების მოგება. ლიგა იცავდა საერთოდ ვაჭრობის თავისუფლების საჭიროებას და 1846 წელს მიაღწია იმას, რომ მთავრობამ გააუქმა პურის კანონები. ამ მოძრაობის შეფასება მოგვცა მარქსმა «სიტყვაში ვაჭრობის თავისუფლების შესახებ» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 445 — 461). — **314.**

69 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 447. — **315.**

70 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 545. — **315.**

71 «D i e N e u e Z e i t» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი, გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1917 წლამდე მისი რედაქტორი იყო კ. კაუტსკი, 1917 წლიდან — გ. კუნოვი. 1885 — 1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში

გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ენგელსი ხშირად აძლევდა მითითებებს ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმისაგან გადახვევისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჟურნალი შეუდგა რევიზიონისტების სტატიების სისტემატურად ბეჭდვას. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში ჟურნალს ცენტრისტული, კაუტსკიანური პოზიცია ეჭირა, მხარს უჭერდა სოციალ-შოვინიზმს. — **316.**

72 ლაპარაკია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომის «გერმანული იდეოლოგიის» ნაწილზე, რომელიც კ. მარქსმა თავისი ხელმოწერით გამოაქვეყნა ცალკეულ სტატიებად 1847 წელს ყოველთვიურ ჟურნალში «ვესტფალიის გემი» («Westphälisches Dampfboot») და 1899 წელს გადაიბეჭდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანოში «Die Neue Zeit». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. IV, 1938, გვ. 481 — 528. — **316.**

73 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 541 — 542, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 742 — 743. — **318.**

74 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. III, 1936, გვ. 640. — **319.**

75 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 545 — 546. — **323.**

76 ლენინმა აქ ცენზურული მოსაზრებებით შესცვალა (ან გამოსტოვა) ცალკეული სიტყვები მის მიერ ციტირებული მარქსის «სიტყვისა ვაჭრობის თავისუფლებს შესახებ». მაგალითად, სიტყვები «აჩქარებს სოციალურ რევოლუციას» მან სთარგმნა — «აჩქარებს ამ «მსხვრევას»»; ფრაზა «მხოლოდ ამ, რევოლუციური აზრით» გადათარგმნილია — «მხოლოდ ამ აზრით». იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. V, 1929, გვ. 461. — **323.**

77 ბროშურა «ახალი საფაბრიკო კანონი» ლენინმა დასწერა ციმბირში გადასახლების დროს 1897 წლის ზაფხულში, ხოლო დამატება ბროშურისა — იმავე წლის შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა (ოქტომბრის დამდეგს) ამ კანონის გამოყენების წესები. ბროშურის ხელნაწერი საზღვარგარეთ მოხვდა მხოლოდ 1898 წლის შემოდგომაზე. 1899 წელს ჟენევაში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა დაბეჭდა «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» სტამბაში. — **325.**

78 «რუსსკიე ვედომოსტი» — გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1863 წლიდან; გამოხატავდა იმ ზომიერ-ლიბერალური ინტელიგენციის შეხედულებებს, რომელიც რევოლუციის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1905 წლიდან იყო ბურჟუაზიული კადეტური პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. 1918 წელს დაიხურა სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად. — **387.**

79 ლიბერალი ნაროდნიკის ს. ნ. იუჟაკოვის სტატია «საგანმანათლებლო უტოპია» ქვესათაურით «საყოველთაო-სახალხო სავალდებულო საშუალო განათლების გეგმა» დაიბეჭდა «რუსსკოე ბოგატსტვოს» 1895 წლის მაისის წიგნაკში. სტატიებში «გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები» (იხ. ეს ტომი, გვ. 75) და «ნაროდნიკული პროექტერობის მარგალიტები» (იხ. ეს ტომი, გვ. 567) ლენინმა ამხილა ამ «გეგმის» უტოპიურობა და რეაქციულობა. — **394.**

80 ბროშურა «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» ლენინმა დასწერა ციმბირში გადასახლების დროს 1897 წლის დამლევს. პირველად 1898 წელს ჟენევაში გამოსცა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა.

ლენინის «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანების» ხელნაწერის დედანი ნახული არ არის. არსებობს მხოლოდ ამ ხელნაწერის ასლი, გადაწერილი უცნობი ხელით. 1902 წელს გამოვიდა ამ ბროშურის მეორე, ხოლო 1905 წელს მესამე გამოცემა. ამ ორი ხელნაწერისთვის ლენინმა დასწერა წინასიტყვაობანი. ბროშურა შევიდა აგრეთვე კრებულში: ვლ. ილინი — «12 წლის მანძილზე», რომელიც გამოვიდა 1907 წელს. 1902, 1905 და 1907 წლების გამოცემებში არ შედის პროკლამაცია «პეტერბურგის მუშებსა და სოციალისტებს «ბრძოლის კავშირისაგან»», რომელიც არსებობს როგორც ხელნაწერის ასლი და შეტანილია ბროშურის პირველ გამოცემაში როგორც დამატება. ეს პროკლამაცია, რომელიც დაიბეჭდა თხზულებათა მეორე-მესამე გამოცემაში, შეტანილია ამ გამოცემაშიც. ხელნაწერის ასლში არის ზოგიერთი შეცდომა, დაშვებული გადამწერის მიერ. არასიზუსტენი დაშვებულია ბროშურის პირველ გამოცემაშიც მისი საზღვარგარეთ დაბეჭდვისას «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის მიერ. ლენინმა ეს შეცდომები გაასწორა შემდგომ გამოცემებში. — **397.**

81 «ხალხის უფლების» პარტია — დემოკრატიული ინტელიგენციის არალეგალური ორგანიზაცია, დაარსებული 1893 წელს ყოფილი ნაროდოვოლცების მონაწილეობით; 1894 წლის გაზაფხულზე ის გაა-

ნადგურა მეფის მთავრობამ. ამ ორგანიზაციამ გამოუშვა ორი საპროგრამო დოკუმენტი: «არსებითი საკითხი» და «მანიფესტი». ნაროდოპრავცების, როგორც პოლიტიკური პარტიის შეფასება ლენინის მიერ იხ. თხზ., ტომი 1, გვ. 391 — 395, და ეს ტომი, გვ. 423 — 425. შემდეგში ნაროდოპრავცების უმრავლესობა ესერების პარტიაში შევიდა. — **401.**

82 «ნ ა რ ო დ ო ვ ო ლ ც ე ბ ი ს ჯ გ უ ფ ი» წარმოიშვა 1891 წელს და არსებობა შესწყვიტა 1896 წელს. ნაროდოვოლცობიდან ეს ჯგუფი თანდათან გადადიოდა სოციალ-დემოკრატიზმისაკენ. ჯგუფის ცალკეული წევრები შემდეგში რსდმპ აქტიური მოღვაწეები იყვნენ. ჯგუფი თავის სტამბაში ბეჭდავდა პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» ზოგიერთ გამოცემას, მაგალითად, ლენინის ბროშურას «განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ». განზრახული იყო ამავე სტამბაში დაებეჭდათ 1896 წელს სიბერიიდან გადმოგზავნილი ლენინის ბროშურა «გაფიცვების შესახებ». მაგრამ მისი დაბეჭდვა არ მოხერხდა იმის გამო, რომ სტამბა მეფის მთავრობამ გაანადგურა (ბროშურის ხელნაწერი დღემდე არ არის ნახული). — **401.**

83 «რ უ ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ» დაარსდა 1894 წელს ჟენევაში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ინიციატივით. მას ჰქონდა თავისი სტამბა, სადაც ბეჭდავდა რევოლუციურ ლიტერატურას, სცემდა ჟურნალ «რაბოტნიკს». თავდაპირველად «კავშირს» ხელმძღვანელობდა და მის გამოცემებს რედაქტორობდა «შრომის» განთავისუფლების» ჯგუფი. შემდეგ «კავშირში» უპირატესობა მოიპოვეს ოპორტუნისტულმა ელემენტებმა («ახალგაზრდებმა» — «ეკონომისტებმა»). 1898 წლის ნოემბერში «კავშირის» პირველ ყრილობაზე «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა უარი განაცხადა მისი გამოცემების რედაქტირებაზე. საბოლოო გათიშვა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის «კავშირიდან» გამოსვლა მოხდა 1900 წლის აპრილში «კავშირის» მეორე ყრილობაზე, როცა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი და მისი თანამგრძნობნი ყრილობიდან წავიდნენ და შეიქმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი». — **401.**

84 ხელნაწერში ბროშურისა «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» ამ ადგილს ეწერა არა «საზოგადოებისა», არამედ «წარ — ბისა» («წარმოებისა»). ბროშურის პირველ გამოცემაში (1898 წლისა) ეს სიტ-

ყვა შეცდომით არის გაშიფრული და დაბეჭდილია: «მთავრობისა». მეორე გამოცემაში (1902 წლისა), რომელიც ლენინმა გამოუშვა, ეს აშკარა შეცდომა გასწორებულია. სიტყვა «მთავრობისა» შეცვლილია სიტყვით «საზოგადოებისა». ლენინის ამ შესწორებით ბროშურა დაიბეჭდა 1905 წელს და კრებულში «12 წლის მანძილზე» 1907 წელს. — **403.**

35 «შ რ ო მ ი ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს» ჯგუფი — პირველი რუსული მარქსისტული ჯგუფი, დაარსებული ჟენევაში (შვეიცარია) 1883 წელს. მისი დამაარსებელი იყო გ. ვ. პლეხანოვი. ჯგუფმა იარსება რსდმპ II ყრილობამდე (1903 წ.).

«შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა «დიდი მუშაობა ჩაატარა მარქსიზმის გასავრცელებლად რუსეთში, თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და გადადგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობისაკენ» («საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 31). მან რუსულ ენაზე სთარგმნა, საზღვარგარეთ დაბეჭდა და რუსეთში ფარულად ავრცელებდა მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებებს: მარქსისა და ენგელსის «კომუნისტური პარტიის მანიფესტს», მარქსის «დაქირავებულ შრომას და კაპიტალს», ენგელსის «სოციალიზმის განვითარებას უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» და სხვ. გ. ვ. პლეხანოვმა და მისმა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა გადამწყვეტი ლახვარი ჩასცეს ნაროდნიკობას. მაგრამ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს ჰქონდა სერიოზული შეცდომებიც, რომელნიც პლეხანოვისა და ჯგუფის სხვა წევრთა მომავალი მენშევიკური შეხედულებების ჩანასახს წარმოადგენდნენ.

ამ ჯგუფის მოღვაწეობისა და მისი ისტორიული როლის შეფასება იხ. «საკ. კ. პ. (ბ) მოკლე კურსის» პირველ თავში. — **416.**

36 ბ ლ ა ნ კ ი ზ მ ი — მიმდინარეობა საფრანგეთის სოციალისტურ მოძრაობაში, რომელსაც მეთაურობდა განთქმული რევოლუციონერი ლუი-ოგიუსტ ბლანკი (1805 — 1881).

ბლანკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის რევოლუციურ მოძრაობაში, ორჯერ ჰქონდა მისჯილი სიკვდილი, საერთოდ თითქმის ნახევარი სიცოცხლე საპყრობილეში გაატარა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს ბლანკი მიაჩნდათ უეჭველ რევოლუციონერად და სოციალიზმის მხურვალე მომხრედ, მაგრამ ამავე დროს გადაჭრით აკრიტიკებდნენ მას სექტანტობისათვის და საჭმიანობის შეთქმულებითი მეთოდებისათვის. «ბლანკიზმი, — სწერდა ლენინი 1906 წელს სტატიაში «ყრილობის შედეგებისათვის», — არის

თეორია, რომელიც უარჰყოფს კლასობრივ ბრძოლას. ბლანკიზმი დაქირავებული მონობისაგან კაცობრიობის ხსნას მოელის არა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გზით, არამედ ჰატარა ინტელიგენტური უმცირესობის შეთქმულების გზით». — **418.**

87 სტატია «შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894/95 წელს და «შინამრეწველობის» ზოგადი საკითხები» ლენინმა დასწერა ციმბირში გადასახლების დროს 1897 წელს. ამ სტატიის მასალები ლენინმა გამოიყენა წიგნში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (თხზულებანი, ტომი 3).

სტატია პირველად დაიბეჭდა 1898 წელს კრებულში «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები», შემდეგ გადაიბეჭდა 1908 წელს კრებულში «აგრარული საკითხი». — **435.**

88 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 600 — 601, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 818. — **469.**

89 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 296, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 429. — **497.**

90 ლენინს მხედველობაში აქვს «ეჟეგოდნიკ მინისტერსტვა ფინანსოვ» («ფინანსთა სამინისტროს წელიწდეული»). ნაკვეთი I, ს.-პეტერბურგი, 1869, გვ. 225. — **522.**

91 Truck - system — მეფაბრიკეთა კუთვნილი საფაბრიკო დუქნებიდან მუშების ხელფასის საქონლით გასტუმრების სისტემა. მეპატრონენი მუშებს აიძულებენ ფულადი ხელფასის მაგივრად ამ დუქნებიდან მიიღონ სამომხმარებლო საგნები ცუდი ხარისხისა მაღალ ფასად. ეს სისტემა, რომელიც მუშათა ექსპლუატაციის დამატებითს საშუალებას წარმოადგენს, რუსეთში განსაკუთრებით გავრცელებული იყო შინამრეწველობის სარეწთა რაიონებში. — **526.**

92 «იურიდიჩესკი ვესტნიკ» — ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1867-დან 1892 წლამდე. — **536.**

93 «დელოვოი კორესპონდენტ» — გაზეთი, გამოდიოდა ეკატერინბურგში (ამჟამად სვერდლოვსკი) 1886 — 1898 წლებში. — **542.**

94 «მანჩესტერელები» — მომხრენი «მანჩესტერული სკოლისა» ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში; ეს სკოლა XIX საუკუნის

პირველ ნახევარში გამოდიოდა ვაჭრობის თავისუფლების დამცველად და კაპიტალიზმის განვითარების შემავიწროებელი კანონების (პურის კანონები და სხვ.) გაუქმების სასარგებლოდ. ამ მოძრაობის ცენტრი იყო ინგლისის დიდი სამრეწველო ქალაქი — მანჩესტერი. «მანჩესტერული სკოლის» სათავეში იდგნენ კობდენი და ბრაიტი. — **565.**

95 სტატია «ნ ა რ ო დ ნ ი კ უ ლ ი პ რ ო ჟ ე ქ ტ ე რ ო ბ ი ს მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი» ლენინმა დასწერა ციმბირში გადასახლების დროს 1897 წლის დამლევს ჟურნალ «ნოვოე სლოვოსათვის», რომლის დახურვა მთავრობის მიერ 1897 წლის დეკემბერში ლენინმა ჯერ კიდევ არ იცოდა.

1898 წელს ეს სტატია ლენინმა შეიტანა კრებულში «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები». — **567.**

96 «მ ო წ ა ფ ე ე ბ ი» — მარქსისა და ენგელსის მიმდევრები. ამ ტერმინს XIX საუკუნის 90-იან წლებში ხმარობდნენ როგორც მარქსისტების ლეგალურ სახელწოდებას. — **570.**

97 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. III, 1930, გვ. 546. — **580.**

98 დ ი დ ი რ უ ს ი უ ტ ო პ ი ს ტ ი — ნ. გ. ჩერნიშევსკი (1828 — 1889), გამოჩენილი რევოლუციონერი-დემოკრატი, დიდი რუსი მეცნიერი და კრიტიკოსი. ჩერნიშევსკი ჟურნალ «სოვრემენნიკში», რომელსაც იგი რედაქტორობდა, «მიუხედავად ცენზურის მხრივ დაბრკოლებებისა და ხელის შეშლისა, ატარებდა გლეხური რევოლუციის იდეას, ყველა ძველ ხელისუფალთა დამხობისათვის მასების ბრძოლის იდეას» (ლენინი, სტატია «საგლეხო რეფორმა»). რევოლუციურ პროკლამაციაში «მებატონეთა გლეხებისადმი», რომელიც დაწერილია გლეხთა «განთავისუფლების» (1861 წელს) მანიფესტს შემდეგ, ჩერნიშევსკი გლეხთა მასებს მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. მარქსი ჩერნიშევსკის უწოდებდა დიდ რუს მეცნიერსა და კრიტიკოსს, რომელმაც ოსტატურად გამოააშკარავა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრება. «ჩერნიშევსკი, — სწერდა ლენინი, — ერთადერთი ნამდვილად დიდი რუსი მწერალია, რომელმაც შესძლო 50-იანი წლებიდან თვით 88 წლამდე მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის დონეზე დარჩენა... მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ შესძლო, უფრო სწორად: მას არ შეეძლო, რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, ამაღლებულიყო მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე» (ლენინი. «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი»). 1862 წელს მეფის მთავრობამ დააპატიმრა ჩერნიშევსკი და მიუსაჯა

7 წლის საკატორღო მუშაობა და ციმბირში სამუდამოდ დასახლება. მაგრამ ცარიზმის მხრივ ასეთმა დევნამ ვერ გასტეხა ჩერნიშევსკი. ის სიკვდილამდე გაბედულად ებრძოდა თვითმპყრობელობას. — **596.**

99 Novus — პ. ბ. სტრუვეს ფსევდონიმი. — **603.**

100 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი». იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1940, გვ. 142. ქვემოთ ლენინს ეს ადგილი მოჰყავს უფრო ვრცლად (იხ. მესამე შენიშვნა ამ ტომის 605 გვერდზე). — **603.**

101 ლენინი აქ იმოწმებს ჟურნალ «ნოვოე სლოვოს» 39-ე გვერდს (მე 9 წიგნი, 1897 წლის ივნისი), სადაც მოთავსებულია ხსენებული ადგილი მისი სტატიისა «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 275). — **604.**

102 კ. მარქსი. «კაპიტალი», ტ. I, 1935, გვ. 392, ან კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 552. — **604.**

103 კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ.II, 1940, გვ. 249 — 339. — **605.**

104 სტატია «რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?» ლენინმა დასწერა ციმბირში გადასახლების დროს 1897 წლის დამლევს. 1898 წელს ეს სტატია დაიბეჭდა კრებულში «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები». — **609.**

105 სკალდინის, როგორც ზომიერი კონსერვატორის, დახასიათება ენგელსმა მოგვცა ბროშურაში « Soziales aus Russland» («საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ რუსეთში») (1875). იხ. კ. მარქსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940, გვ. 547. — **627.**

106 ლენინი, XIX საუკუნის 60-იანი წლების იდეურ «მემკვიდრეობაზე» რომ ლაპარაკობდა, იძულებული იყო, ცენზურული მოსაზრებებით, დაემოწმებინა სკალდინი. ნამდვილად კი აღნიშნული «მემკვიდრეობის» მთავარ წარმომადგენლად ლენინი სთვლიდა ნ. გ. ჩერნიშევსკის. ციმბირის გადასახლებიდან გამოგზავნილ წერილში 1899 წლის 26 იანვრის თარიღით ლენინი სწერს: «...სახელდობრ სკალდინისაგან მემკვიდრეობის მიღებაზე ხომ მე არსად არ ვლაპარაკობ. მემკვიდრეობა სხვა «დამიანებისაგან რომ უნდა მიეიღოთ, — ეს უდავოა. ჩემის აზრით, ჩემი დამცველი (მოწინააღმდეგეთა შესაძლებელ თავდასხმათაგან) იქნება შენიშვნა 237 გვერდზე (ამ ტომის 627 გვ. რ ე დ.), სადაც მე

მხედველობაში სწორედ ჩერნიშევსკი მყავდა და პარალელისათვის მისი აღების უხერხულობის მიზეზებს ვასაბუთებდი». — **627.**

107 «ზ ე მ ლ ე დ ე ლ ჩ ე ს კ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — გაზეთი, რომელსაც 1834 წლიდან სცემდა სახელმწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების სამინისტრო.

გაზეთმა არსებობა შესწყვიტა 1917 წელს. — **635.**

108 «ვ ე ს ტ ნ ი კ ე ვ რ ო პ ი» — ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1866 წლიდან 1918 წლის ზაფხულამდე. ჟურნალი ატარებდა რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს; 90-იანი წლებიდან სისტემატურ ბრძოლას აწარმოებდა მარქსიზმის წინააღმდეგ. — **641.**

109 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებები, ტ. III, 1930, გვ. 105 — **653.**

110 ნ. კ ა მ ე ნ ს კ ი — ფსევდონიმი გ. ვ. პლეხანოვისა, რომელიც ასე აწერდა ხელს თავის სტატიებს «ნოვოე სლოვოში». ლენინს მხედველობაში აქვს ნ. კ. მიხაილოვსკის თავდასხმა პლეხანოვის სტატიაზე «ისტორიის მატერიალისტური გაგების შესახებ», რომელიც მოთავსებული იყო «ნოვოე სლოვოს» 1897 წლის სექტემბრის წიგნში. — **663.**

111 «ნ ე დ ე ლ ი ა» — ყოველკვირეული ლიბერალურ-ნაროდნიკული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1866-დან 1901 წლამდე. გაზეთი გამოდიოდა თვითმპყრობელობასთან ბრძოლის წინააღმდეგ, ქადაგებდა ეგრეთწოდებულ «მცირე საქმეთა» თეორიას, ე. ი. მოუწოდებდა ინტელიგენციას უარი ეთქვა რევოლუციურ ბრძოლაზე და ხელი მოეკიდა «კულტურული მუშაობისათვის». — **667.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1895 — 1897* წლები)

1895

თებერვალი, 18 ან 19 (მარტი, 2 ან 3).	ლენინი მონაწილეობას იღებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფთა წევრების პეტერბურგის თათბირში. თათბირზე ირჩევა საკითხები ვიწრო წრეებში მარქსიზმის პროპაგანდიდან მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლისა და მუშებისათვის პოპულარული ლიტერატურის გამოცემის შესახებ.
აპრილი.	დაიბეჭდა ლენინის ნაშრომი (კ. ტულინის ფსევდონიმით) «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში» — კრებულში «მასალები ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის». კრებული მეფის ცენზურამ დააკავა და თითქმის მთელი ტირაჟი დასწვა.
აპრილი, 25 (მაისი, 7).	ლენინი მიემგზავრება საზღვარგარეთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან კავშირის დასამყარებლად და დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობის გასაცნობად.
მაისი.	ლენინი შვეიცარიაში ეცნობა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წევრებს (გ. ვ. პლეხანოვსა და სხვ.), უთანხმდება მათთან მუდმივი კავშირის დამყარებისა და საზღვარგარეთ კრებულ «რაბოტნიკის» გამოცემის შესახებ.
მაისის დამლევი — ივნისი (ივნისი — ივლისის დამდეგი).	ლენინი ცხოვრობს პარიზში. ეცნობა პ. ლაფარგს.

ივლისი.	ლენინი მკურნალობს შვეიცარიის ერთ-ერთ სანატორიუმში.
ივლისის მეორე ნახევარი — სექტემბრის დამდეგი (აგვისტოს პირველი ნახევარი — შუა სექტემბერი).	ლენინი ბერლინში ყოფნის დროს მუშაობს საჯარო ბიბლიოთეკაში, ეცნობა საზღვარგარეთულ მარქსისტულ ლიტერატურას, ესწრება მუშათა კრებებს.
ივლისი, 25 (აგვისტო, 6).	ლენინი ესწრება სოციალ-დემოკრატიულ კრებას ბერლინის მუშათა უბანში (ოლქი Niederbarnim).
სექტემბერი, 7 (19).	ლენინი ბრუნდება საზღვარგარეთიდან. ორმაგფსკერიანი ჩემოდნით მას თან მოაქვს არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა.
7 და 29 სექტემბერს შუა (19 სექტემბერსა და 11 ოქტომბერს შუა).	ლენინი ჩადის ვილნოში, მოსკოვსა და ორეხოვო-ზუევოში, ამყარებს კავშირს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფთა წევრებთან, უთანხმდება მათ კრებულ «რაბოტნიკის» საზღვარგარეთული გამოცემისათვის ხელის შეწყობის შესახებ.
სექტემბერი, 29 (ოქტომბერი, 11).	ლენინი ბრუნდება პეტერბურგში.
შემოდგომა.	ლენინი პეტერბურგში ჰქმნის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირს».
ნოემბერი.	ლენინი საზღვარგარეთ კრებულ «რაბოტნიკისათვის» გზავნის მთელ რიგ კორესპონდენციებს რუსეთის მუშათა მოძრაობის შესახებ.
არაუადრეს 7 (19) ნოემბრისა.	პეტერბურგის «ბრძოლის კავშირი» უშვებს ლენინის მიერ დაწერილ ფურცელს «ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა-ქალებს».
ნოემბერი, 25 (დეკემბერი, 7).	გაზეთ «სამარსკი ვესტნიკში» ქვეყნდება ლენინის სტატია «გიმნაზიის მეურნეობანი და გაშასწორებელი გიმნაზიები».

ნოემბერი — დეკემბრის დამდეგი (ნოემბერი — შუა დეკემბერი).	ლენინი გამოსაცემად ამზადებს პეტერბურგის «ბრძოლის კავშირის» ორგანოს, არალეგალურ გაზეთ «რაბოჩეე დელოს» პირველ ნომერს; სწერს მოწინავეს «რუსი მუშებისადმი», სტატიას «რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?» და სხვ.; რედაქციას უკეთებს ნომრის ყველა მასალას.
დეკემბერი, 8 (15).	იწყება ბეჭდვა ლენინის ბროშურისა «განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ».
დეკემბერი, 8 (20).	ლენინის მეთაურობით «ბრძოლის კავშირის» ხელმძღვანელი ჯგუფის სხდომაზე ირჩევა დასაბეჭდად მომზადებული გაზეთის «რაბოჩეე დელოს» პირველი ნომერი.
დეკემბერი, 8 (20) ღამე.	ლენინის და პეტერბურგის «ბრძოლის კავშირში» მის თანამებრძოლთა დაპატიმრება. ა. ა. ვანეევის გაჩხრეკისა და დაპატიმრებისას პოლიციამ წაიღო გაზეთ «რაბოჩეე დელოს» პირველი ნომრის დასაბეჭდად გამზადებული მასალები. დაპატიმრების შემდეგ ლენინი გაგზავნეს წინასწარი პატიმრობის სახლში.
დეკემბერი, 21 (იანვარი, 2, 1896 წ.)	ლენინის პირველი დაკითხვა საპყრობილეში.
წლის დამლევი.	ლენინი სწერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტს.

1896

1896 წელი.	ლენინი საპყრობილიდან ამყარებს კავშირს პეტერბურგის «ბრძოლის კავშირის» თავისუფლად დარჩენილ წევრებთან, თავისი რჩევითა და მითითებით ეხმარება კავშირს, უგზავნის მის მიერ დაწერილ ბროშურებსა და ფურცლებს.
იანვრის დამდეგი.	საპყრობილეში ლენინი იწყებს მუშაობას თავის ნაშრომზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში».

არაუადრეს მარტისა.	კრებულ «რაბოტნიკის» № 1—2-ში ქვეყნდება ლენინის სტატია «ფრიდრიხ ენგელსი», დაწერილი 1895 წელს.
მარტი, 30 (აპრილი, 11).	ლენინის მეორე დაკითხვა საპყრობილეში.
მაისი, 7 (19).	მესამე დაკითხვა.
მაისი, 27 (ივნისი, 8)	მეოთხე დაკითხვა.
ზაფხული.	ლენინი სწერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის განმარტებას.
25 ნოემბრის (7 დეკემბრის) ადრე.	პეტერბურგის «ბრძოლის კავშირი» უშვებს ლენინის მიერ საპყრობილეში დაწერილ ფურცელს «მეფის მთავრობას».

1897

იანვარი, 29 (თებერვალი, 10)	მეფის მთავრობის განკარგულება ლენინის აღმოსავლეთ ციმბირში სამი წლით პოლიციის აშკარა მეთვალყურეობით გადასახლების შესახებ.
თებერვალი, 18 (25),	ლენინს უცხადებენ განაჩენს აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლების შესახებ.
თებერვალი, 14 (26)	ლენინს უშვებენ წინასწარი პატიმრობის სახლიდან და ნებას აძლევენ პეტერბურგში დაჰყოს 17 თებერვლის (1 მარტის) საღამომდე.
თებერვალი, 14 — 17 (თებერვალი, 26 — მარტი, 1).	ლენინი პეტერბურგში ხვდება გადასახლების წინ განთავისუფლებულ «ბრძოლის კავშირის» სხვა «ძველ» წევრებს და «ახალგაზრდებს». «კავშირის «ძველ» და «ახალგაზრდა» წევრთა კრებაზე ლენინი მკაცრად აკრიტიკებს «ახალგაზრდების» უკვე დასახულ «ეკონომიზმს».
თებერვალი, 17 (მარტი, 1).	ლენინის გამგზავრება პეტერბურგიდან ციმბირის გადასახლებაში მოსკოვზე გავლით.

თებერვალი, 18 — 22 (მარტი, 2 — 6).	გადასახლებაში მიმავალი ლენინი ჩერდება მოსკოვში დედასთან და ორი დღით მეტ ხანს რჩება, ვიდრე პოლიციისაგან ჰქონდა ნებადართული.
თებერვალი, 22 (მარტი, 6).	ლენინის გამგზავრება მოსკოვიდან ციმბირის გადასახლებაში.
მარტი, 4 (16).	ლენინი ჩადის კრასნოიარსკში.
მარტი, 9 — აპრილი, 30 (მარტი, 21 — მაისი, 12).	კრასნოიარსკში ყოფნის დროს ლენინი მუშაობს რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხებზე, რისთვისაც იყენებს ადგილობრივი ვაჭრის გ. ვ. იუდინის პირადი ბიბლიოთეკის წიგნებს.
აპრილი — ივლისი.	ლენინის ნაშრომი «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» ქვეყნდება ჟურნალ «ნოვოე სლოვოს» № № 7 — 10 ში.
აპრილის დამლევი (მაისის პირველი ნახევარი).	ლენინის შეხვედრა ნ. ე. ფედოსეევთან კრასნოიარსკის საპყრობილეში.
აპრილი, 30 (მაისი, 12)	ლენინი კრასნოიარსკიდან მინუსინსკში გავლით მიემგზავრება სოფ. შუშენსკოეში, სადაც უნდა მოიხადოს გადასახლების ვადა.
მაისი, 6 (18).	ლენინის ჩასვლა მინუსინსკში.
მაისი 8 (20).	ლენინის ჩასვლა ენისეის გუბერნიის მინუსინსკის ოკრუგის სოფელ შუშენსკოეში.
ზაფხული და შემოდგომა.	ლენინი სწერს ბროშურას «ახალი საფაბრიკო კანონი» და მის დამატებას.
სექტემბერი, 27 — 28 (ოქტომბერი, 9 — 10).	ლენინი მიემგზავრება მინუსინსკში; ეცნობა გადასახლებულ ნაროდოვოლცებსა და ნაროდოპრავცებს.
სექტემბერი, 29 — ოქტომბერი, 4 (ოქტომბერი, 11 — 16).	მინუსინსკიდან ლენინი მიდის სოფ. ტესინსკოეში გადასახლებულ სოციალ-დემოკრატებთან, სადაც ხუთ დღეს რჩება.

ნოემბერი. ლენინის «თავისი ნებით წასვლა» სოფელ შუშენსკოედან მინუსინსკში.

წლის მეორე ნახევარი. ლენინი სწერს ბროშურას «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები» და სტატიებს: «შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894/95 წელს და «შინამრეწველობის» ზოგადი საკითხები», «ნაროდნიკული პროექტერობის მარგალიტები», «რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?»

1897 წელი. გადასახლებაში მყოფ ლენინს კვლავ კავშირი აქვს მუშათა მოძრაობის ცენტრებთან რუსეთში და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფთან საზღვარგარეთ, აგრეთვე მიწერ-მოწერას აწარმოებს სხვა ადგილებში გადასახლებულ სოციალ-დემოკრატებთან; განაგრძობს მუშაობას წიგნზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში».

ლენინი იურიდიული რჩევა-დარიგებით ეხმარება სოფ. შუშენსკოეს და მისი მიდამოების გლეხებს და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მათ შორის.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1895 წ.

ფრიდრიხ ენგელსი . . . . . 1 — 17

განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახლევინებენ 19 — 74

I რა არის ჯარიმები? 23

II როგორ აჯარიმებდნენ წინათ და რამ გამოიწვია ახალი კანონები ჯარიმების შესახებ? 26

III რა საბაბით შეუძლია მეფაბრიკეს დაჯარიმება? . 32

IV რამდენად დიდი შეიძლება იყოს ჯარიმები? . . . 41

V როგორია დაჯარიმების წესი? 46

VI რას უნდა ხმარდებოდეს, კანონით, ჯარიმების ფული? 51

VII ყველა მუშაზე ვრცელდება თუ არა ჯარიმების კანონები? 67

VIII დასკვნა 71

გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები («русское богатство») . . . . . 75 — 84

ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა-ქალებს . 85 — 90

რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები . . . . . 91 — 97

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება . . . . . 99 — 135

პროგრამის პროექტი 101

პროგრამის განმარტება 105

1896 წ.

მეფის მთავრობას . . . . . 136 — 142

1897 წ.

ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის (სისმონდი და ჩვენებური სისმონდისტები) 143—323

თავი I რომანტიზმის ეკონომიური თეორიები 148

I მცირდება თუ არა შინაური ბაზარი წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგების გამო? 149

II სისმონდის შეხედულებანი ნაციონალურ შემოსავალსა და კაპიტალზე 157

III სისმონდის დასკვნები შემცდარი მოძღვრებიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში წლიური წარმოების ორი ნაწილის შესახებ 164

IV რაში მდგომარეობს ად. სმიტისა და სისმონდის მოძღვრებათა შეცდომა ნაციონალური შემოსავლის შესახებ 170

V დაგროვება კაპიტალისტურ საზოგადოებაში . 176

VI სგარეო ბაზარი, როგორც ზეღირებულების რეალიზაციის «სიძნელიდან გამოსავალი» . . 184

VII კრიზისი 191

VIII კაპიტალისტური რენტა და კაპიტალისტური ჭარბმოსახლეობა 202

IX მანქანები კაპიტალისტურ საზოგადოებაში . . 215

X პროტექციონიზმი 225

XI სისმონდის საერთო მნიშვნელობა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში 234

პოსტსკრიპტუმი 246

თავი II რომანტიკოსების მიერ კაპიტალიზმის კრიტიკის ხასიათი 247

I კაპიტალიზმის სენტიმენტალური კრიტიკა . . 247

II რომანტიზმის წვრილბურჟუაზიული ხასიათი . 263

III მიწათმოქმედი მოსახლეობის ხარჯზე ინდუსტრიული მოსახლეობის ზრდის საკითხი . . 270

IV რომანტიზმის პრაქტიკული სურვილები . . . 279

V რომანტიზმის რეაქციული ხასიათი 288

VI ინგლისში პურის ბაჟების საკითხი რომანტიზმისა და მეცნიერული თეორიის შეფასებით . . 307

ახალი საფაბრიკო კანონი . . . . . 325 — 386
I რამ გამოიწვია ახალი საფაბრიკო კანონის გამოცემა? . 329
II რა უნდა ჩაითვალოს სამუშაო დროდ? 333
III რამდენად ამცირებს სამუშაო დროს ახალი კანონი? . 336
IV რას სთვლის კანონი «ღამის დროდ» მუშებისათვის? . 339
V როგორ ამტკიცებს ფინანსთა სამინისტრო, რომ ზედმეტ საათებში მუშაობის შეზღუდვა «უსამართლობა» იქნებოდა მუშის მიმართ? 343
VI რა უფლებებს ანიჭებს ახალი კანონი მინისტრებს? . 348
VII როგორ ჰკვეცს ჩვენი «ქრისტიანული» მთავრობა უქმეებს მუშებისათვის 354
VIII რით არის უზრუნველყოფილი ახალი კანონის შესრულება? 361
IX გააუმჯობესებს თუ არა ახალი კანონი მუშათა მდგომარეობას? 364
X რა მნიშვნელობა აქვს ახალ კანონს? 369
დ ა მ ა ტ ე ბ ა 372
I 372
II 374
III 376
IV 376
V 380
VI 381
VII 385
ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო . . . . . 387 — 395
რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები . . . . 397 — 431
პეტერბურგის მუშებსა და სოციალისტებს — «ბრძოლის კავშირისაგან». 428
შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894/95 წელს და «შინამრეწველობის» ზოგადი საკითხები . . . . . 435 — 566
ს ტ ა ტ ი ა პ ი რ ვ ე ლ ი 437
I ზოგადი მონაცემები 439
II «შინამრეწველი» და დაქირავებული შრომა . . . 453
III «თემურ-შრომითი თანამომდევნობა» 467

სტატია მეორე 474

IV «შინამრეწველთა» მიწათმოქმედება 474

V. მსხვილი და წვრილი საწარმონი. — შინამრეწველთა შემოსავალი 494

სტატია მესამე 517

VI რა არის შემყიდველი 517

VII «სასიხარულო მოვლენები» შინამრეწველობაში . 539

VIII სამრეწველო პოლიტიკის ნაროდნიკული პროგრამა 547

ნაროდნიკული პროტექტორობის მარგალიტები (ს. ნ. იუჟაკოვი. განათლების საკითხები. პუბლიცისტური ცდები. — საშუალო სკოლის რეფორმა. — უმაღლესი განათლების სისტემები და ამოცანები. — გიმნაზიის სახელმძღვანელოები. — საყოველთაო-სახალხო სწავლების საკითხი. — ქალი და განათლება. სპბ. 1897. გვ. VIII+283. ფასი 1 მან. 50 კაპ.) . 567 — 607

I 569

II 570

III 580

IV 584

V 589

VI 594

VII 603

რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს? . . . . . 609 — 668

I «მემკვიდრეობის» ერთ-ერთი წარმომადგენელი . . . 612

II ნაროდნიკობის დანამატი «მემკვიდრეობაზე» . . . 629

III მოიგო თუ არა «მემკვიდრეობამ» ნაროდნიკობასთან კავშირით? 638

IV «განმანათლებლები», ნაროდნიკები და «მოწაფეები» . 654

V ბ-ნი მიხაილოვსკი «მოწაფეთა» მიერ მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ 657

შენიშვნები . . . . . 669 — 691

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 693 — 700

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინის პორტრეტი. — 1897 . . . . . X — 1

თავფურცელი კრებულისა «რაბოტნიკ», რომელშიც პირველად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია-ნეკროლოგი «ფრიდრიხ ენგელსი». — 1896 წ. 3

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ». — 1895 წ. 21

გარეკანი ჟურნალისა «ნოვოე სლოვო», რომელშიც პირველად დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატიები «ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის» და «ერთი საგაზეთო შენიშვნის გამო». — 1897 წ. 145

გარეკანი ვ. ი. ლენინის ბროშურისა «ახალი საფაბრიკო კანონი». — 1899 წ. 327

ვ. ი. ლენინის ბროშურის «რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანების» მეორე გამოცემის გარეკანი. — 1902 წ. . . . 399

გარეკანი ვ. ილინის (ვ. ი. ლენინის) სტატიათა კრებულისა «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები» 433

სახლი სოფელ შუშენსკოეში, სადაც გადასახლების დროს ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი . . . . . 566 — 567

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-1948.
უე 17 305. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 44,75.
ფასი 8 მან.

*

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობის საქმეთა სამმართველოს 1-ლი
სტამბა. თბილისი. ორჯონიკიძის ქ. № 50.
შეკვეთის № 1298.